




ე. თ. ა. ჰოფმანი  
კატა მურის  
ცხოვრებისეული  
ფილოსოფია



ე. თ. ა. ჰოფმანი

კატა მურის  
ცხოვრებისეული  
ფილოსოფია

გერმანიიდან თარგმნა  
ნანა გოგოლაშვილმა

წიგნის ელექტრონული ვერსია მოამზადა  
საიტმა: [www.PDF.ChiaturaINFO.GE](http://www.PDF.ChiaturaINFO.GE)



## უცნაურად ნიჭიერი ნიგონი

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტას“ შექმნამდე (რომლის პერსონაჟი, კატა-ბეკემოთი, მთელმა მსოფლიომ „გაიცნო და შეიყვარა“) მსოფლიო ლიტერატურის ყველაზე სახელგანთქმული კატა სწორედ ჰოფმანის კატა მური ბრძანდებოდა!

ჰო, კიდევ იქნებ სახელგანთქმული „ჩექმებიანი კატა“ შესცილებოდა პოპულარობაში, მაგრამ მას არ „ეწყინება“, პირიქით, იამაყებდა კიდევ, რადგან როგორც რომანიდან ირკვევა, კატა მური სწორედ ამ სახელოვანი „ისტორიული პერსონაჟის“ პირდაპირი შთამომავალი ყოფილა...

იმედია, მკითხველი მაპატიებს ამ უჩვეულო, ხუმრობანარეუვ შესავალს, მაგრამ, ვფიქრობ, იმ უცნაური და მართლაც ბრწყინვალე ნაწარმოების წინასიტყვაობა, რომლის წაკითხვაც გელით, სწორედ ასე შეიძლებოდა დაგვეწყოს.

„კატა მურის ცხოვრებისეული ფილოსოფია“ ერნსტ თეოდორ ამადეუს ჰოფმანის რომანია, რომელმაც, შესაძლოა, გარკვეული დისონანსი შეიტანოს ჩვენ მიერ „49 წიგნის“ პროექტით შემოთავაზებულ ნაწარმოებთა შორის და იქნებ მკითხველსაც ეუცნაუროს, მაგრამ ამ მოულოდნელობას პირველივე გვერდებიდან აუცილებლად უდიდეს სიამოვნებად აქცევს ჭეშმარიტ ლიტერატურასთან ზიარება.

ამ წიგნში ყველაფერი უჩვეულო და საინტერესოა: მთავარი პერსონაჟიც, სიუჟეტიც, თვით ამბის გადმოცემის ფორმაც – ყველაფერში იგრძნობა ავტორის მახვილი გონება, ღრმა აზრი და მწერლური ოსტატობა.

ამბის გადმოცემის ფორმაზე ვთქვით და თავად განსაჯეთ, როგორი ორიგინალური მიგნებაა: რომანი იწყება გამოგონილი გამომცემლის მიერ მოთხრობილი ახსნა-განმარტებით, რომ ეს არის სწავლული კატა მურის აღსარება, რომელიც ავტორიც არის და წიგნის გმირიც. მაგრამ გამომცემლებს შეცდომა მოგვივიდაო: თურმე ავტორს (კატას), როდესაც წერდა, თავისი პატრონის ბიბლიოთეკაში პირველივე ხელში მოხვედრილი წიგნი დაუგლეჯია და მისი ფურცლები საკუთარი ხელნაწერისთვის მელნის საშრობებად ჩაუფენია გვერდებს შორის. ჩემი ასოთამწყობები კი ვერ მიმხვდარან და ის სრულიად უცხო ტექსტიც წიგნში შეუტანიათ. ამიტომ არის, რომ კატა მურის ფილოსოფიური ნააზრევი მოულოდნელად წყდება ხოლმე სრულიად უცხო ტექსტებითო.

ეს „უცხო ტექსტი“ კი ერთი პატარა გერმანული სამთავროს კაპელმაისტერისა და იმაჟდროულად, „გენიალური კომპოზიტორის“, იოჰანეს კრაისლერის ბიოგრაფია აღმოჩნდა.

იოჰანეს კრაისლერი, ცხადია, გამოგონილი პერსონაჟია, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ჰოფმა-

ნი, რომელიც არცთუ ბევრად უარესი მხატვარი და კომპოზიტორი იყო, ვიდრე მწერალი, მუსიკას სწორედ ამ ფსევდონიმით წერდა – იოჰანეს კრაისლერი.

ამ შესავალ წერილში, ალბათ, უპრიანი არ იქნება რომანის შინაარსზე ვრცლად საუბარი და რადგან ჰოფმანის შემოქმედების სხვა სფეროებიც ვახსენეთ, მის საინტერესო ცხოვრებაზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა:

სამწუხაროდ, დიდებით ტკობას, რომელიც „კატა მურმა“ მოუტანა, ჰოფმანი ვერ მოესწრო – ერთი წელიც არ იყო გასული წიგნის გამოსვლიდან, როდესაც 46 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ერნსტ თოდორ ამადეუს ჰოფმანი 1776 წელს დაიბადა კენიგსბერგში, ახლა რომ კალინინგრადი ჰქვია და ისტორიული უკულმართობის გამო რუსეთის „განუყოფელი ნაწილია“. რადგან რუსეთი ვახსენეთ, აქვე ისიც ვთქვათ, რომ რუსულ კულტურაში, თუმცა უნებურად, მაგრამ უშუალო და მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ჰოფმანს: მისი გარდაცვალებიდან 70 წლის შემდეგ, სწორედ მისი ნაწარმოების მიხედვით შექმნა პეტრე ჩაიკოვსკიმ უკვდავი ბალეტი „მაკნატუნა“.

ჰოფმანის მამა იურისტი იყო – სამეფო სასამართლოს ადვოკატი და თავისი მეორე ვაჟისთვისაც წინასწარ ჰქონდა განსაზღვრული პროფესია, ისიც მამის კვალს უნდა გაჰყოლოდა. თუმცა, ერთი წლის შემდეგ მამისთვის უკვე სულერთი იყო – ცოლს გაშორდა და უმცროს ვაჟზე ზრუნვაც სამუდამოდ დაივიწყა – უფროსი კი თავისთან დაიტოვა. ოჯახის დანგრევას იმანაც ვერ შეუშალა ხელი, რომ მომავალი მწერლის, კომპოზიტორისა და მხატვრის მშობლები, ცოლქმრობის გარდა, ბიძაშვილ-მამიდაშვილებიც იყვნენ და ბავშვობიდან იცნობდნენ ერთმანეთს.

ამ დროს ერნსტი მხოლოდ სამი წლისა იყო. სანამ შვიდი წელი შეუსრულდებოდა, მამამ კიდევ რამდენჯერმე „ზრდილობის გულისთვის“ ნახა, ამის შემდეგ კი სხვა ქალაქში გადავიდა და ცხოვრების ბოლომდე აღარ შეხვედრია უმცროს ვაჟს.

სწორედ ეს უკვირდით და სწყინდით მის შინაურებს: ცოლ-ქმრის დაშორება ხომ მათი ხასიათისა და ცხოვრების წესის რადიკალურმა განსხვავებამ გამოიწვია – დედა ავადმყოფურად პედანტი, უმკაცრესი და წესების მცირე გადახვევის შემჩნევისას ისტერიკის „უყოყმანოდ“ მომწყობი ქალი იყო, მამა კი – უფრო შემოქმედებითი ნატურა, რომელიც იმის მიუხედავად, რომ სახელმწიფო ჩინოვნიკი და საზოგადოებაში პატოცემული კაცი ბრძანდებოდა, ამას არად დაგიდევდათ და სულაც არ ერიდებოდა, იაფფასიან სამიკიტნოში ერთი კათხა რომ გადაეკრა მღაბიოებთან ერთად.

და „პრობლემატ“ ის იყო, რომ ბიჭუნას თავიდანვე ყველა მონაცემი აღმოაჩნდა, რომ „წესიერ“ დედას კი არა, „უვარგის“ მამას დამსგავსებოდა.



ჰოფმანის დედა შშობლების სახლში დაბრუნდა და პატარა ერნსტი ჯერ დეიდის, შემდეგ კი ბიძის მეთვალყურეობით იზრდებოდა, რომელიც მისტიკითა და ფანტასტიკით იყო გატაცებული.

ბიჭმა ადრეულ ასაკშივე გამოიჩინა ხატვისა და მუსიკის ნიჭი, მაგრამ ბიძამ, იმის მიუხედავად, რომ დიდ პატივს სცემდა შემოქმედ ადამიანებს, დაჟინებით მოითხოვა მისგან უნივერსიტეტში სწავლა და იურისტად გახდომა. ასეც მოიქცა და კენიგსბერგის სახელგანთქმულ უნივერსიტეტში ჩაირიცხა, რომლის კურსიც ბრწყინვალე შეფასებებით დაასრულა. სხვათა შორის, მას იქ თვით იმანუელ კანტი უკითხავდა ლექციებს, მაგრამ როგორც თანამედროვენი იგონებდნენ, სტუდენტი ჰოფმანი მისი ლექციების შემდეგ უფრო მეტად მეგობრების გასართობად დიდი ფილოსოფოსის პაროდირებით იყო დაკავებული, ვიდრე მისი ლექციების გარჩევით.

თუმცა, უნივერსიტეტში სწავლის დასრულებამდე იყო „დიდი თავგადასავალი“: საკუთარი შემოსავალი რომ ჰქონოდა, ფორტეპიანოზე დაკვრას ასწავლიდა ფულიან ბიურგერთა ოჯახის წევრებს. ერთ-ერთი მათგანი იყო კორა პატი – კენიგსბერგელი ღვინით მოვაჭრის ცოლი, 25 წლის ქალი, იმ დროისათვის უკვე 5 შვილის დედა. მათ თავდავიწყებით შეუყვარდათ ერთმანეთი და ეს ოთხი წელი გრძელდებოდა. სანამ დორას მუქქესე ბავშვი არ ეყოლა და მთელი ქალაქი არ ალაპარაკდა, ეს სტუდენტ ჰოფმანის შვილიაო.

რომ არა ეს ამბავი, შესაძლოა, არც დამორჩილებოდა ოჯახის ნებას და სახელმწიფო სამსახურში არც ჩამდგარიყო, თანაც არა შშობლიურ ქალაქში. ამ სკანდალის გამო კი, სხვა გზა არ ჰქონდა და მაშინვე დაიწყო სამსახური, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, თავისი „პროფილით“, მაგრამ იმთავითვე ცდილობდა, თავი დაეღწია ამ „ოჯახური წყევლისთვის“ (იურისტობისთვის) და საყვარელი საქმისთვის მოეკიდა ხელი, თანაც, ყალბი მოკრძალების გარეშე, და ცხადია, სამართლიანადაც, საკუთარ სახელოვნებო და ლიტერატურულ შესაძლებლობებზე არცთუ დაბალი შეხედულებისა იყო და ამას მეგობრებთან ყოველთვის აღნიშნავდა ხოლმე.

ძნელია, ასეთ მცირე ფორმატში დაწვრილებით საუბარი იმ ადამიანის ბიოგრაფიაზე, რომლის საოცარი კრეატიულობა და მრავალმხრივი ნიჭიერება არა მხოლოდ ყოველ მოთხრობასა თუ ზღაპარში, მუსიკალურ პიესასა თუ ტილოზე ნახატში ჩანს, არამედ მეგობრებისა და ბიოგრაფების ნაწერებს თუ დაუუჯერებთ, ყოველდღიურ ურთიერთობასაც ხელოვნებად აქცევდა.

თუ დაუუჯერებთ-მეთქი, ვთქვი და ეს ისე, „სიტყვის მასალაა“, თორემ არავის მონათხრობი არ დაგჭირდებათ, თქვენ ხელში გიჭირავთ ძალიან, ძალიან უცნაურად ნიჭიერი წიგნი და სულ მალე თავად დარწმუნდებით, რომ თანამედროვენი არ ტყუოდნენ.

**ზეიად დოღობე**

არც ერთ თხზულებას ვგრერიგად არ სჭირდება წინათქმა, როგორც წინამდებარე წიგნს. აუცილებელია შევიტყოთ, როგორ შეიქმნა და რა საოცარი გზით მოველინა იგი ქვეყანას; წინააღმდეგ შემთხვევაში, მკითხველმა ნაწარმოები შეიძლება მტკნარ სისულელედ ჩათვალოს.

სწორედ ამიტომ გამომცემელი უმორჩილესად სთხოვს ძვირფას მკითხველს, გვერდს ნუ აუვლის და აუცილებლად გადაიკითხოს ეს წინათქმა.

ზემოაღნიშნულ გამომცემელს ერთი გულითადი მეგობარი ჰყავს, რომელსაც საკუთარი ხუთი თითოვით იცნობს. ჰოდა, ამ მეგობარმა ერთხელ დაახლოებით ასეთი რამ უთხრა: „ჩემო კარგო, შენ ხომ არა ერთი და ორი წიგნი გამოგიცია და გამომცემლებს შორისაც საკმაო ნაცნობები გყავს. ვგონებ, არ უნდა გაგიჭირდეს ისეთი ადამიანის პოვნა, შენი რჩევით რომ დაბეჭდავდა ერთი ბრწყინვალე ნიჭის ახალგაზრდა ავტორის ნაწარმოებს. ჩემი თხოვნა იქნება, დაეხმარო ამ მწერალს, იგი ნამდვილად იმსახურებს ამასო“.

გამომცემელი შეჰპირდა თავის ლიტერატორ კოლეგას, ამ საქმეს მეცადინეობას არ დაუკლებ და ყველაფერს გააკეთებ, რაც კი ჩემს ხელთ არისო. თუმცა, როცა მეგობარმა გაანდო, ხელნაწერი კატა მურს ეკუთვნის და მის ცხოვრებისეულ ფილოსოფიას წარმოადგენსო, ცოტა არ იყოს, შეცბა. მაგრამ სიტყვა უკვე მიცემული ჰქონდა და რაღა გაეწყობოდა; თანაც ნაწარმოების შესავალი სტილისტურად ისე მშვენივრად იყო გამართული, რომ გამომცემელმა ხელნაწერი უსიტყვოდ ჩაიღო ჯიბეში, უნტერდენლინდენს მიაშურა და ბატონ დიუმლერს<sup>2</sup> კატის წიგნის გამოცემა შესთავაზა.

დიუმლერმა ამაზე მიუგო, ჩემს სიცოცხლეში არ მსმენია კატის

<sup>1</sup> ე. თ. ა. პოფმანის (რედ.).

<sup>2</sup> ფერდინანდ დიუმლერი (გარდ. 1846 წ.) — წიგნის გამომცემელი ბერლინში.

მწერლობა და პატრიოტული კოლეგებს შორისაც არავინ მგულებს ისეთი, მსგავს პიროვნებებთან რომ ჰქონოდათ საქმეო. გამომცემლისთვის უარი მაინც არ უთქვამს თხოვნაზე, ცდა ბედის მონახვერუა, ძალიან კუცლები, რამეში გამოგადგეო.

შეუდგნენ ხელნაწერის ბეჭდვას. აი, გამომცემელს პირველი საკორექტურო ფურცლებიც მიუტანეს, და უნდა გენახათ მისი გაცემა. როდესაც შეაძწნია, რომ მურის ისტორია ალაგ-ალაგ წყდება, მის ნაცვლად კი ადგილები სხვა წიგნიდან იყო ჩამატებული: ეს გახლდათ ნაწყვეტები კაპელმაისტერ იოჰანეს კრაისლერის<sup>1</sup> ბიოგრაფიიდან.

გამომცემელმა გაიკითხ-გამოიკითხა და, ბოლოს და ბოლოს, აი, რა შეიტყო: თურმე კატა მური თავის „ცხოვრებისეულ ფილოსოფიას“ რომ წერდა, სრულიად განუკითხავად ხედა და ანადგურებდა რომელიღაც წიგნს. როგორც შემდგომ გამოირკვა, ეს წიგნი კატას თავის პატრონთან უპოვია და საკმაოდ კარგადაც გამოუყენებია: თურმე წიგნის ფურცლებს ხან თავისი თხზულების გვერდებს ამოუდებდა ხოლმე ქვეშ, ხან კი საშრობ ქალაქად იყენებდა. შემდგომ ეს ფურცლები ხელნაწერში დარჩენილა, უყურადღებობის გამო ისიც დაუბეჭდავთ და კატა მურის შემოქმედებისათვის მიუკუთვნებიათ.

გამომცემელმა გულწრფელად უნდა აღიაროს, რომ მასალის ქაოსური აღრევა, სამწუხაროდ, მხოლოდ და მხოლოდ მისი დაუდევრობის ბრალია. რა თქმა უნდა, ვიდრე ამ შედეგს დასაბეჭდად გადასცემდა, ვალდებული იყო, კატის ხელნაწერი გულდასმით გადაეკითხა; ნუგეშად ისლა დაგვრჩენია, მკითხველს ვურჩიოთ, რომ წიგნს უფრო ადვილად აუღებს ალღოს, თუკი ყურადღებით მოეკიდება ფრჩხილებში მოქცეულ შემოკლებებს: სამაკ. თაბ. (სამაკულატურო თაბახი) და მ. ა. ა. (მური აგრძელებს ამბავს). გარდა ამისა, ეტყობა, წიგნი, ასე უწყალოდ რომ გაავლო მუსრი მურმა, არც არასოდეს გაყიდულა. ყოველ შემთხვევაში, მასზე არავის არასოდეს

<sup>1</sup> კრაისლერი — კომპოზიტორის გვარი თავად ე. თ. ა. პოფმანის მიერაა გამოგონილი. შესაძლოა ამ მხატვრული სახის შექმნისას მან გამოიყენა ზოგიერთი ფაქტი გერმანელი კომპოზიტორის, კ. კრაიცერის (1780-1849) ცხოვრებიდან, რომელიც მუსიკალურ ხელოვნებას ეუფლებოდა ბენედიქტელთა სააბატოს სკოლაში, ხოლო მერე კაპელმაისტერი გახდა.



არაფერი სმენია. ამიტომაც ადვილი შესაძლებელია, კაპელმაისტერის მეგობრებს სასიამოვნოდაც კი დაურჩეთ, რომ კატის ლიტერატურული ვანდალიზმისა თუ ბედნიერი გარემოებების თაემოყრის წყალობით ფართო საზოგადოებრიობამ შეიტყო საკმაოდ იშვიათი წვრილმანები ამ მართლაც რომ არაჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრებისა.

გამომცემელი არ კარგავს იმედს, რომ ძვირფასი მკითხველი შეუნდობს მას ყოველივეს.

დაბოლოს, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს: ავტორები თავიანთ თამამ იდეებსა თუ უჩვეულო გამოთქმებს ხშირად ასოთამწყობების საოცარ ფანტაზიას უნდა უმადლოდნენ. ეს უკანასკნელნი მწერლის აღმაფრენის გადმოცემას შესანიშნავად ახერხებენ უკრუთ წოდებული მცდარბეჭდილით. მაგალითებსაც დაგისახელებთ: ავიღოთ თუნდაც გამომცემლის საკუთარი ნაწარმოებები. თავისი „ღამის მოთხრობების“<sup>1</sup> კრებულის მეორე ნაწილში ავტორი აგვიწერს ბალის დამამშვენებელ ხშირ ბუჩქებს. ასოთამწყობს ყოველივე ეს არასაკმარისად გენიალურად მოსჩვენებია, აუღია და სიტყვა „ბუჩქები“ „ქუდებით“ შეუცვლია. ან კიდევ: ალბათ, გაგონილი გექნებათ მოთხრობა „მადმუაზელ დე სკიუდერი“.<sup>2</sup> ჰოდა, ასოთამწყობმა ამ მოთხრობის გმირ ქალს შავი სამოსლის ნაცვლად შავ საღებავში ამოაყოფინა თავი.<sup>3</sup>

მაგრამ, დაე, ყველას თავისი მიეზღოს! ამიტომ, მოდი, ნურც კატა მური და ნურც კაპელმაისტერი კრაისლერი ნუ დაიდგამენ თავზე სხვის დიდების გვირგვინს. გამომცემელი დაბეჯითებით სთხოვს ძვირფას მკითხველს: ვიდრე ამ წიგნის კითხვას შეუდგებოდეს, გადაათვალიეროს ქვემოთ მოყვანილი შენიშვნები. მაშინ მას ის პირუთვნელი (ცუდი ან კარგი) აზრი შეექმნება, რასაც მური და კრაისლერი სინამდვილეში იმსახურებენ.

საერთოდ კი, მინდა მოგახსენოთ, რომ აქ მხოლოდ მთავარი შეც-

<sup>1</sup> „ღამის მოთხრობები“ — ე. თ. ა. ჰოფმანის ნოველებისა და მოთხრობების კრებული (1817).

<sup>2</sup> „მადმუაზელ დე სკიუდერი“ — ე. თ. ა. ჰოფმანის მოთხრობა.

<sup>3</sup> ტექსტში მწერალს სიტყვათა თამაშისათვის მოყვანილი აქვს: *Boskette* — დეკორატიული ბუჩქი და *Kaskette* — ტყავის პატარა ქუდი; *Farbe* — საღებავი და *Robe* — სამოსი, კაბა (მთარგმნ.).



დომებია აღნუსხული; წვრილ-წვრილი შეცდომების აღმოჩენა კი, მთლიანად ჩვენს ძვირფას მკითხველს მივანდოთ.<sup>1</sup>

დასასრულად, გამოძველებული ისიც უნდა დასძინოს, რომ პირადად იცნობდა კატა მურს. იგი სასიამოვნო გარეგნობისა და სათნო ხასიათის მამაკაცი გახლდათ. წიგნის დასაწყისში მოთავსებული მისი პორტრეტი საოცრად ჰგავს ორიგინალს.

**ბერლინი, 1819 წლის ნოემბერი**  
**მ. თ. ა. კოვჩანინი**

---

<sup>1</sup> ამის შემდეგ მოყვანილი იყო პირველი გამოცემის მცდარბეჭდილი სიტყვების სია.

## ავტორის წინათქმა

მოწიწებითა და გულის ფანცქალით გამომაქვს სამსჯავროს წინაშე ჩემი ცხოვრების რამდენიმე ფურცელი. ეს ცხოვრება ტანჯვით, იმედითა და ოცნებებითაა აღსავსე. ნებფრობის ტკბილ საათებში სწორედ ეს ოცნებები აღავსებდნენ ჩემს შინაგან სამყაროს პოეტური აღმაფრენით ვაიმე, გაუძლებ კი კრიტიკის მკაცრ მსჯავრს?! ხომ იცით, რომ მე თქვენთვის, მხოლოდ და მხოლოდ თქვენთვის ვწერდი, ჩემი სულის მონათესავე, ბავშვურად მიაპიტო ადამიანებო! დიახ, თქვენთვის მომიძღვნია ეს ქმნილება და თქვენს თვალებზე მომდგარი ერთი ობოლი ცრემლიც კი მომიშუშებდა ღრმა ჭრილობას, უგულო რეცენზენტების მსახურალმა ხელმა რომ მომაყენა!

ბერლინი, მაისი (18..).

მური

Etudiant en belles lettres<sup>1</sup>

---

<sup>1</sup>ახალბედა ლიტერატორი (ფრანგ.).



## ავტორის წინათმზა

(დასაბუქლად რომ არ იყო გათუჯალასწინებული)

სრული დამაჯერებლობითა და სიძშვიდით გამომაქეს სამსჯავროს წინაშე ჩემი ცხოვრება, სწორედ ისე, როგორც ჭეშმარიტ გენიოსებს სჩვეიათ ხოლმე. დაე, იცოდნენ ადამიანებმა, რა გზებით აღწევენ კატები დიდების მწვერვალს; დაე, ყველამ ძიული სისავსით შეიგრძნოს ჩემი არსების სრულყოფილება, შეძიყვაროს, აღტაცება ვერ დამალოს, და ბოლოს, გამაღძერთოს კიდეც.

ისიც მინდა მოგახსენოთ: თუ ამ საოცარი წიგნის ღირსებებში ვინმეს ოდნავ მაინც შეუპარება ეჭვი, არ დაუძალავ, ძტერთან ექნება საქმე. თანაც ყველას ვაფრთხილებ, რომ ის ძტერი საკმაოდ ძახვილგონიერი და ამავე დროს ბასრბრჭყალებიანი კატა გახლავთ.

ბერლინი, მაისი (18..).

მური

(Homme de lettres très renommé)<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> საქვეზნოდ ცნობილი მწერალი (ფრანგ.).

## შენიშვნა

ეს კი მეტისმეტია! ავტორის ის წინათქმაც კი დაუბეჭდავთ, გამოსაქვეყნებლად რომ არ იყო გათვალისწინებული. ისლა დაგვრჩენია, ვთხოვოთ ძვირფას მკითხველს, შეუნდოს ლიტერატორ კატას, ცოტა არ იყოს, კადნიერი ტონი და მხედველობაში მიიღოს შემდეგი გარემოება: ბევრი თავმდაბალი ავტორის წინათქმათა იდუმალი არსი ჩვენთვის გასაგებ ენაზე რომ გადმოგვეტანა, დაახლოებით იმავეს მოვიღებდით.

**გამოცემელი**



## ტომი პირველი

### ნაწილი პირველი

ამქვეყნიური ცხოვრების მადლი. სიყრმის თვეები

მაინც რა მშვენიერი, წარმტაცი და ამაღლებული რამ არის სიცოცხლე! „ო, ამქვეყნიური ცხოვრების ღვთიურო მადლო!“ — აღმოხდება ნიდერლანდელ გმირს<sup>1</sup> ცნობილ ტრაგედიაში. მე კი ამ სიტყვებს მასაუთ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში არ გავიმეორებ; ო, არა! პირიქით, ახლავე შემიძლია ვთქვა, რომ მთელი ძალით შევიგრძენი სიცოცხლის ეშხი, ძვალსა და რბილში გამიჯდა მისი გემო და არაუითარი სურვილი არა მაქვს, ოდესმე გამოვესაღმო. ყოვლისშემძლე დედაბუნება, თვალთ უხილაუი იდუმალი ძალა, თუ არ ვიცი, კიდევ რას უწოდებენ ხოლმე ჩვენზე გამეფებულ უზენაეს ნებას, ვგონებ, ცუდად არ უნდა იყოს განწყობილი ჩემ მიმართ, იგოვე შემიძლია ვთქვა ჩემს პატრონზეც. მაგალითად, იგი არასოდეს იკადრებს, ცხვირწინ ამაცალოს თევზი, თუკი დაინახავს, რომ მადიანად შევექცევი.

ო, დედაბუნებაჲ, სპეტაკო და დიდებულო! როგორი აღტაცება და სიხარული ეუფლება ხოლმე ჩემს აღელვებულ გულს, როგორ ელამუნება ჩემს სულს შენი იდუმალი სუნთქვა. ოდნავ გრილი ღამეა და როგორ მინდა, რომ... და შენ, მკითხველო, წაიკითხავ თუ არ წაიკითხავ ამ სტრიქონებს, სულერთია, მაინც ვერ გაიგებ ჩემს უდიდეს აღტყინებას, რადგან არასოდეს, არასოდეს მდგარხარ იმ მაღალ მწვერვალზე, მე რომ აუფრინდი, ანდა, უფრო სწორად, საკუთარი ფეხებით რომ აუფოფხდი; თუმცა, მოგეხსენებათ, პოეტები, საერთოდ, გაურბიან ხოლმე ფეხებზე საუბარს, და დარწმუნებული ვარ, ოთხი ფეხიც რომ ჰქონდეთ, ამ საკითხს მაშინაც დუმილით

<sup>1</sup> „აღმოხდება ნიდერლანდელ გმირს ცნობილ ტრაგედიაში“ — იგულისხმება ჯმონტი გოეთეს ამავე სახელწოდების ტრაგედიაში (მოქმედება 5, სცენა ციხეში, ჯმონტის მიმართვა ფერდინანდისადმი).

აუვლიდნენ გვერდს. სამაგიეროდ, ხოტბა-დიდებით მოიხსენიებენ ხოლმე საკუთარ ფრთებს, თუმცა, ისიც კარგად მოეხსენება ყველას, რომ ფრთის მსგავსიც კი არაფერი გააჩნიათ.

თავზე დამყურებს ვარსკვლავებით მოჭედული უკიდევანო ცა. საუსე მთვარე ციმციმა სხივებს აფრქვევს ირგვლივ. მათ ვერცხლისფერ ციალში შთანთქმულა შენობათა სახურავები და კოშკები. ტაატიით მიდიან ღრუბლები. სამრეკლოზე შემომჯდარი ობოლი მტრული უიმედოდ მოთქვამს სიყვარულზე. ო, ჩემო პაწია, ნუთუ არ მომი-ახლოვდები? აშკარად ვგრძნობ, როგორ მიჩქროლდება გული; ოცნებაში მადაც საოცარი სისწრაფით იღვიძებს და უჩვეულო ძალით ეუფლება მთელს ჩემს არსებას. ო, ჩემო სულიკო! ნეტავ ახლა სადმე ახლომახლო ამოყოფდე თავს! მთრთოლარე მკერდზე მიგიკრავდი და არასოდეს, არასოდეს აღარ გაგიშვებდი. მაგრამ, ამოა ჩემი ნატვრა! ვერაგი მტრული სივრცეში ჰკრავს კამარას და სახურავზე პირში ჩალაგამოვლებულს მტოვებს. ო, რა ძნელი ყოფილა ამ ჩვენს უსულგულო სინამდვილეში ორი ჭეშმარიტად მონათესავე სულის პოვნა!

კიდევ ერთი რამ მაინტერესებს: ნუთუ ორ ფეხზე სიარული კმარა იმისათვის, რომ არსებებმა, თავიანთ თავს ადამიანებს რომ უწოდებენ, ჩვენს მბრძანებლებად შერაცხონ თავი? განა ჩვენ უფრო მყარად არ ვდგავართ ოთხზე? მაგრამ, მგონი, ვხვდები, რაშიც უნდა იყოს საქმე: ადამიანები ამპარტავნობენ და ყოყონობენ იმით, თითქოს მათ თავში მოთავსებულია რაღაც განსაკუთრებული რამ, რასაც, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, გონება ჰქვია. მაინცდამაინც კარგად ვერ გავრკვეულვარ, რას გულისხმობენ ამაში, მაგრამ ჩემი პატრონისა და მფარველისაგან კი გამიგონია, გონება სხვა არა არის რა, თუ არა ადამიანის უნარი, შეგნებულად იქცეოდეს და სისულელეებს არ სჩადიოდესო; თუ ეს მართლაც ასეა, შემძლია დაბეჯითებით მოგახსენოთ, რომ არც ერთ ადამიანს არ ჩამოუყვარდება ჭკუით საერთოდ კი, ჩემი აზრით, გონიერება მხოლოდ და მხოლოდ შეძენილი თვისება გახლავთ. განა მხოლოდ ამიტომ არ რჩება ჩვენთვის გამოცანად, თუ რა გზით, რატომ და რა მანქანებით მოვევლინებით ხოლმე ქვეყანას? ყოველ შემთხვევაში, პირადად მე სწორედ ასე დამემართა; მაგრამ, აბა, მიჩვენეთ თუნდაც ერთი კაცი, პირველი სასიცოცხლო სუნთქვა რომ აღმოხდა და გონებით გაიაზრა, თუ რატომ უნდა განვლოს წუთისოფლის ეკლიანი გზა. ადამიანმა ეს ყველაფერი მხო-



ლოდ გადმოცემით იცის. ეს კი, ძალიან ხშირად, არასარწმუნო გზა გახლავთ ჭეშმარიტების დასადგენად.

მთელი ქალაქები ეცილებიან ხოლმე ერთმანეთს ცნობილ ადამიანთა სამშობლოობის პირველუფლებას. პირადად ჩემთვის, გულახდილად რომ გითხრათ, საკვებით სულერთია, პირველად სად ვიხილე შხის სინათლე: სარდაფში, სხვენზე თუ ფარდულში. ანდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მე კი არ ვიხილე შხის სინათლე, თავად ჩემმა ძვირფასმა დედილომ მიხილა შხის შუქზე მოვლინებული. ცხადია, ჩვენი მოდგმის წესის თანახმად, თვალები ახელილი არ მქონდა. ბუნდოვნად მაგონდება: უკუნეთ სიბნელეში რალაც კნავილი და კრუტუნნი გაისმოდა. ხანდახან მსგავს ბგერებს ჩემდა უნებურად მეც გამოცემდი ხოლმე, როცა ვინმე გამაბრაზებდა. პირველად ჩემი არსება მთელი სიცხადითა და შეგნებით ვიწრო, რბილკედლებიან ყუთში შევიგრძენ. შეშინებული საწყალობლად ვკნაოდი. უცებ ვიგრძენ, რომ ჩემს სამფლობელოში ვილაც შემოიჭრა და ფერდებში უხეშად ჩამიჭირა მარწუხები. ამან შესაძლებლობა მომცა, პირველად გამომეფლავებინა ღვთით მომადლებული ნიჭი: ხშირი ბეწვით დაფარული წინა თათებიდან ელვის სასწრაფით დაჰაძვრე ბასრი ბრჭყალები და მაგრად ჩაჟსვე საგანს, ასე უხეშად რომ ჩამაფრინდა ფერდებში. როგორც მოგვიანებით დაუდგინე, თურმე ეს ადამიანის ხელი ყოფილა. სწორედ ამ ხელმა ამომათრია ჩემი ვიწრო სადგომიდან და უმისამართოდ მომისროლა. მალე დრუნჩზე რამდენიმე ძლიერი დარტყმაც ვიგეძე (ქებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ, უნდა მოგახსენოთ, რომ ამ დრუნჩზე ახლა ჯეჯილივით მიღელავს შშვენიერი წვერ-ულვაში). ჰოდა, მოგვიანებით მიუხვდი, რომ ჩემი თათების თამაშით გაღიზიანებულმა ხელმა რამდენჯერმე კარგა გვარიანად გამაწნა სილა და ჩაახშო ჩემში ყოველგვარი სურვილი, ბრჭყალების ვარჯიში კვლავაც გამეგრძელებინა. ეს ჩემი პირველი აღმოჩენა გახლდათ ზნეობრივ მიზეზშედგობრიობის სფეროში. სწორედ ზნეობრივი ინსტინქტის წყალობით ისევ სასწრაფოდ შევმალე ბრჭყალები, როგორც გამოვაჩინე. მოგვიანებით, ბრჭყალების ელვისებურად დამალვის ამ ნიჭს, არცთუ უსაფუძვლოდ, ჩემს უდიდეს bonhomie-სა<sup>1</sup> და გულისხმიერებას მიაწერდნენ, თავად მე კი, „ხაყერდისთათება ფისუნია“ შემარქვეს.

<sup>1</sup> გულკეთილობა (ფრანგ.).

როგორც უკვე მოგახსენეთ, ვილაცის ხელმა მიწაზე დამანარცხა, მაგრამ მალე კვლავ მომქაჩა ქეჩოზე და თავი ისე დამაწვეინა, რომ დრუნჩზე რაღაცა სისველე ვიგრძენი. მაშინვე, სრულიად ქვეცნობიერად, ალბათ, თანდაყოლილი ინსტინქტის წყალობით, სითხეს სვლეპა დაუწყე და საოცრად მომეწონა. ახლავ ვხვდები, რომ თურმე ჩემთვის რძე დაუდგამთ, მე კი გვარიანად მოშივებული ვყოფილვარ, ჰოდა, კარგად გამოვბესტილვარ კიდევაც. ასე და ამრიგად, ჩემს ზნეობრივ წრთობას ფიზიკური გაკაუებაც მოჰყვა კვალდაკვალ.

ორმა ხელმა, ამჯერად უფრო სათუთად, ხელახლა ამიყვანა და ფუმფულა, თბილ ლოგინზე დამაწვინა. სულ უფრო და უფრო ნეტარი განწყობა მეუფლებოდა და კმაყოფილების გამოხატვა ჩემი მოდგმისათვის ჩვეული ბგერებით დავიწყე, ადამიანები კრუტუნს რომ ეძახიან. მაშ, ასე, გიგანტური ნაბიჯებით ავუყვები სამყაროს შეცნობის ურთულეს გზას. რა უდიდესი ბედნიერებაა, რა ღვთისგან ბოძებული წყალობაა, როცა ძაღვიმს ბგერებითა და სხეულის მოძრაობით გამოხატო ნეტარება! თავდაპირველად მხოლოდ კრუტუნი შემეძლო, ცოტა მოგვიანებით კი უჩვეულო ნიჭი გამოვავლინე: ახლა ჩემს გრძნობებს უკვე კუდის ნარნარი რხევით გამოვხატავდი. სულიერი განწყობილების მდიდარ გამას, კმაყოფილება იქნებოდა ეს თუ აღშფოთება, შიში თუ სასოწარკვეთა, ერთადერთი სიტყვით, „მიაუთი“ გადმოვცემდი. აბა, მითხარით, რა მოსატანია ადამიანთა ენა, როცა გაგებინების ასეთი უმარტივესი საშუალებაა ჩვენს ხელთ! მაგრამ, მოდი, ჩემი ფათურაკებით აღსავსე ყრმობის თვეებს დავუბრუნდეთ.

ერთხელაც ღრმა ძილიდან გამოვერკვიე და ჩემ ირგვლივ გამეფებულმა სიკაშკაშემ შემაკრთო. თავდაპირველად საშინლად შევშინდი, მაგრამ მალე მივხვდი: თურმე ბისტი ჩამომცლია და... თვალები ამხელია!

ვიდრე თვალს შევაჩვევდი ამ საოცარი სამყაროს ჯადოსნურ შუქსა და ფერებს, ზედიზედ რამდენჯერმე მაგრად დაუცხიკვე. მაგრამ მალე გონს მოვეგე და სულ ცოტა ხანში ისე ნათლად ვხედავდი ყველაფერს, თითქოს თვალებზე ბისტი არასოდეს მქონოდეს გადაკრული.

ო, თვალისჩინო! რა ბედნიერებაა, რომ განგებამ გვიბოძა შენი თავი! რა უაზრო იქნებოდა უშენოდ ჩვენი ყოფა ამქვეყნად! ნეტავი



თქვენს ბედნიერებას, მაღალნიჭიერო სულდგმულნო, ვისაც ჩემსავით შეგწევთ ძალა, გამოიყენოთ დედაბუნებით მომადლებული ეს ნიჭი!

ვერ მოგატყუებთ: კვლავ შიშმა ამიტანა და ისევ საწყალობლად მოურთუ კნავილი, როგორც ერთ დროს იქ, ჩემს ვიწრო სადგომში. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ის ჩია მოხუცი. მის სახეს ვერასოდეს დაუთვიწყებ, რადგან, ნაცნობობის ფართო წრის მიუხედავად, მსგავსი ადამიანი ჩემს დღეში არ შემხვედრია. მოგეხსენებათ, ჩვენს მოდგმაში ბლომად გამოერუჯიან ხოლმე შავ-თეთრი ბეწვით დამშვენებული ვაჟკაცები, მაგრამ იშვიათად ნახეთ მამაკაცს, თოვლივით თეთრი თმა და კუპროვით შავი წარბები რომ ჰქონდეს! ჩემი აღმზრდელი კი სწორედ ამით გამოირჩეოდა. სახლში მოკლე, საოცრად ჭყეტელა ყვითელი ხალათი ეცვა ხოლმე. პირველად ამ ფერის დანახვაზე საშინლად შევშინდი და ჩემი მაშინდელი უმწეობის წყალობით რბილი ბალიშიდან ძირს მოუადინე ტყაპანი. ჭაღაროსანი სათნო ღიმილით დაიხარა ჩემკენ და ხელში ამიყვანა. დიდის ვაი-ვაგლახით გაუძელი ცდუნებას, რომ ბრჭყალები არ გამომეყო. ჩემს გონებაში უნებურად დაუკაჟშირდა ერთმანეთს დაკაწვრისა და ალიყურის ცნებები. არც შევმცდარვარ, ამ ადამიანს ჩემთვის აშკარად სიკეთე უნდოდა. მან ტკბილი რძიანი ლამბაქის წინ დამსვა და მეც ხარბად ამოვსვლიპე. ეტყობა, ჩემი მფარველი ამან ძალზე გაახარა. მოხუცმა მასლაათი გამიბა, თუმცა, მისი ნალაპარაკვიდან ბევრი არა გამეგებოდა რა. იმხანად ჯერ კიდევ სრულიად გამოუცდელი ცინდალი ვიყავ და ადამიანთა ენა გამოცანას წარმოადგენდა ჩემთვის. საერთოდ, ჩემს მფარველზე ბევრს ვერაფერს მოგახსენებთ, ერთი რამ კი შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა: ძალზე გონიერი და მრავლისმცოდნე კაცი გახლდათ შესანიშნავად ერკვეოდა მეცნიერებასა თუ ხელოვნებაში. ყველა, ვინც კი ჩემს პატრონთან სტუმრად დადიოდა (შემჩნეული მქონდა: ბევრ მის სტუმარს ჯვრები და ვარსკვლავები უციმციმებდა სწორედ იმ ადგილას, სადაც დედაბუნებამ მე თავად ყვითელი ხალი ამომიტვიფრა, ესე იგი, მკერდზე), გამორჩეული პატივისცემით ეპყრობოდა მას. ზოგი აშკარად პირმოთნეობდა მის წინაშე (რასაც შემდეგში პუდელ სკარამუშთან მეც არ ვაკლებდი ხოლმე ხელს) და შემდეგნაირად მიმართავდნენ: „ღრმად პატივცემულო, უძვირფასესო მაესტრო აბრაჰამო!“ მხოლოდ ორად ორი ადამიანი ეძახდა უბ-



რალოდ: „ჩემო საყვარელო!“ ეს გახლდათ თუთიყუშისფერ მწვანე შარვალსა და თეთრ აბრეშუმის წინდებში გამოწყობილი მაღალი, ხმელ-ხმელი კაცი და დაბალი, მსუქან-მსუქანი, შავგვრემანი მანდილოსანი, უამრავი ბეჭედი რომ აეჩონჩხლა ხელებზე. როგორც შემდეგ გამოირკვა, კაცი დიდგვაროვანი ოჯახის ჩამომავალი გახლდათ, ქალი კი ებრაელი უნდა ყოფილიყო.

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც მოგახსენეთ, მაესტროს ასეთი საპატიო სტუმრების მიღება-დახვედრა უხდებოდა, მას ზემო სართულზე, სხვენთან, მხოლოდ ერთი პატარა ოთახი ეჭირა, ასე რომ, მისი სადგომიდან სულ ადვილად შემეძლო სახურავზე გადაძრომა და სხვენზე სეირნობა.

დიახ, ჩემი სამშობლო ნამდვილად სხვეია! აბა, რა მოსატანია სხვენთან სარდაფი ანდა ფარდული! დიახ, მე სხვენის ტრფიალი გახლავართ, რამეთუ დარწმუნებული ვარ: იქ ვიხილე შხის სინათლე! სამშობლო, მისი ჰავა, ადათ-წესები, — რა წარუშლელ კვალს ტოვებენ ისინი ადამიანის შინაგან თუ გარეგნულ იერზე! საიდან ჩაიბუდა ჩემში ამგვარმა ლტოლვამ ღვთიურისაკენ, ამ მარადიულმა სწრაფვამ ამაღლებულისაკენ, რა მანქანებით გაჩნდა ძრომისა თუ ხოხილის საოცარი უნარი, რა გზით დავეუფლე გენიალური ნახტომების ესოდენ შესაშურ ხელოვნებას? ო, საამო სითბო მეღვრება მთელს სხეულში! გული სევდით მევსება მშობლიური სხვენის გახსენებაზე! ჩემო მშვენიერო მამულო! შენ გიძღვნი ამ ცრემლებსა და საზეიმოდ წარმოთქმულ ჩემს „მიაუს“! შენს სადიდებლად ვკრავ კამარას ნახტომისათვის, განა ამაში არ ჩანს ჩემი მაღალი ზნეობრიობა და მამულიშვილური აღტყინება? დიახ, ჩემო სხვენო, შენ იბერტყავდი ჩემზე თავუნიებით სავსე გულუხვ კალთას. რამდენი ბედნიერი წუთი განმიცდია, როცა შენს წიაღში უხვად ვპოულობდი ძეხვებსა და ქონის ნაჭრებს. ზოგჯერ საკვამურთან ჩასაფრებულს, მარტო ბელურები კი არა, მტრუდიც კი შემიხრამუნებია. „ო, მამულო, საყვარელო, უსაზღვროა ჩემი ტრფობა შენდამი!“<sup>1</sup>

ძალიან, ძალიან ბევრი რამ მაქვს სათქმელი ჩემს...

<sup>1</sup> „ო, მამულო, საყვარელო, უსაზღვროა ჩემი ტრფობა შენდამი!“ — არია გერმანელი კომპოზიტორის, ფ. გოტერის (1746-1797) კომიკური ოპერიდან „სულთა კუნძული“ (მოქმედება III, ფინალი).

(სამაკ. თაბ.) „...კი, მაგრამ, თქვენო აღმატებულებავ, ნუთუ არ გახსოვთ ის საშინელი ქარიშხალი, ვექილს ქუდი რომ მოსტაცა და სენაში გადაუძახა? იგი სწორედ ახალ ხიდზე მიაბიჯებდა იმ დამით. შეგახსენებთ, რომ მსგავსი ამბავი რაბლესაც აქვს აღწერილი.<sup>1</sup> მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ქარიშხალი არაფერ შუაშია. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს ვექილს ქუდი თავზე ჰქონდა ჩამოფხატული და ხელიც მაგრად ჩაუღებელი, რომ სტიქიისათვის არ დაენებებინა. ალაღბედზე მოგდებული მოსასხამის კალთებს ქარი აქეთ-იქით უფრიალებდა. სწორედ ამ დროს ხიდზე მავანი გრუნადერი გამოიჯირითდა. მოახლოებულმა ერთი კი მაგრად დაჰყიჟინა: „ბატონო ჩემო, ძლიერმა ქარმა დაჰბერაო დღეს!“ და ვექილს ელვის სისწრაფით აართვა თავიდან შესანიშნავი კასტორის ქუდი. დაუდგარმა ქარმა კი ვექილის ქუდის ნაცვლად გრუნადერის გაქუცული ქუდი მისცა სენის მღვრიე ტალღებს. თქვენო აღმატებულებავ, ახლა უკვე კარგად მოგეხსენებათ, რომ გაოგნებულმა ვექილმა ტანს ადგილიდან ძვრა ველარ უყო. სწორედ ამ დროს მეორე ჯარისკაცი გამოჩნდა. „ძლიერმა ქარმა დაჰბერაო დღეს!“ — დასჭყოლა მანაც, ელვის სისწრაფით სწვდა საბრალოს საყელოში და თვალის დახამხამებაში ააძრო მხრებიდან მოსასხამი. „საშინელმა ქარმა დაჰბერაო დღეს, ბატონო ჩემო!“ — ამ შეძახილით მეორეს ფეხდაფეხ მესამე ჯარისკაცი მოჰყვა და ვექილს ოქროსბუნიკიანი ესპანური ხელჯოხი გამოჰგლიჯა ხელიდან. ახლა კი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შეჰღრიალა საბრალომ და არაშხადას საკუთარი პარიკი დაადევნა. მერე უქუდოდ, უმოსასხამოდ და უხელჯოხოდ მოქუსლა, გზადაგზა კი შეადგინა ანდერძთა შორის ყველაზე საოცარი ანდერძი და შეიტყო ბნელითა და ბურუსით მოცული ერთ-ერთი ყველაზე საოცარი ამბავი. ეს ყველაფერი, ალბათ, უჩემოდაც კარგად მოგეხსენებათ, თქვენო აღმატებულებავ!

— მაგ ამბისა არაფერი ვიცი, — მომიგო მთავარმა, როცა თხრობა დაუასრულე, — და, საერთოდ, ძალიან მიკვირს, მაესტრო, როგორ ბედავთ ასეთი სისულელეების მოყოლას. რა თქმა უნდა, ახალი

<sup>1</sup> „მსგავსი ამბავი რაბლესაც აქვს აღწერილი“ — თავისუფალი თხრობა ამბებისა, რომლებსაც ინგლისელი მწერალი ლ. სტერნი (1713-1768) მოგვითხრობს თავის წიგნში „სენტიმენტალური მოგზაურობა“. ვარაუდობენ, რომ ეს ამბები ავტორს დასესხებული აქვს ფრანგი მწერლის, ფრანსუა რაბლესგან (1494-1553).



ხიდი ძალიან კარგად ვიცი, სადაც არის, იგი პარიზშია. მართალია, ფეხით არასოდეს გამოვლია იქ, სამაგიეროდ, ცხენით ხშირად მიჯირითია, როგორც ჩემი წოდების კაცს შეშვენის; რაც შეეხება ვექილ რაბლეს, მისთვის თვალიც კი არასოდეს მომიკრავს, ხოლო ჯარისკაცების ოინბაზობებით დიდად არასოდეს ვყოფილვარ დაინტერესებული. ჩემს ყმაწვილკაცობაში, როცა ჯარს ვმეთაურობდი, ბრძანებას გავცემდი ხოლმე, იუნკრები გაეროზგათ იმ ოინებისათვის, რომელთა ჩადენაც მათ უკვე მოესწროთ, ან მომავალში უნდა ჩადინათ. რიგითი ჯარისკაცების მორჯულება კი ლეიტენანტების საქმე იყო. ჩემი მაგალითისამებრ, მათაც შაბათობით როზგაუდნენ ხოლმე. ასე რომ, კვირა დღეს არმიაში ვერავის ნახავდით, ვისაც არ ეწვინია თავისი წილი როზგი. სწორედ როზგის პოლიტიკის წყალობით ჩემს არმიაში მტრის გამოჩენამდე გადიოდნენ მაგარ წროთობას და ისისხლხორცებდნენ დარტყმებს, ასე რომ, მტერთან პირისპირ შეხვედრისას არ შეიძლებოდა, არ აღძვროდათ სურვილი, რაც შეიძლება მწარედ გადაეხადათ მისთვის სამაგიერო. ვგონებ, ყველაფერი ცხადი გახდა თქვენთვის, არა, მაესტრო აბრაჰამ? ახლა კი, ღვთის გულისათვის, მითხარით, საერთოდ, რატომ მოჰყვეთ ქარიშხლისა და იმ ვექილი რაბლეს ამბავს, ახალ ხიდზე რომ გაძარცვეს? მაგრამ უმჯობესია, ამას თავი დაუანებოთ. რატომ არ იხდით ბოდის იმის გამო, რომ დღესასწაული ასეთი აურზაურით დასრულდა, რომ შუშხუნა შიგ კინკრიხოში მომხვდა, რომ ჩემი საყვარელი ბიჭუნა აუზში ჩავარდა, გაიძვერა დელფინებმა კი ჭავლებად ასხეს და ასხეს წყალი, რომ ტანსაცმელშემოდარცული და პირბადეჩამოხეული პრინცესა ატალანტესავით<sup>1</sup> დარბოდა პარკში. აბა, ვინ მოთვლის, რამდენი უბედურება მოხდა იმ საბედისწერო ღამით და რამდენ რამეზე მოგიწევთ პასუხის გაცემა, მაესტრო! მაშ, ამიხსენით ყველაფერი, როგორც წესი და რიგია!

— თქვენო აღმატებულებაჲ, — მიუუგე და თან მოწიწებით დაუხარუ თავი, — განა ჩემზე უკეთესად არ უწყით, რომ ყველა ამ უბედურების მიზეზი ქარიშხალი გახლდათ, განა აუდარმა არ ჩაგვაშხამა ზეიმის ყველაზე საუკეთესო წუთები? ნუთუ მართლა ფიქრობთ, რომ ძალმიძს რაიმე ვუბრძანო სტიქიას? და განა ყველაზე მეტად თა-

<sup>1</sup> ატალანტე — ბერძნული მითოლოგიური გმირი, ფეხმარდი არკადიელი ქალი, რომელსაც ბადალი არ ჰყავდა სირბილში.



ვად არ დაუზარალებდი? განა იმ ვექილის მსგავსად, — უმორჩილესად გთხოვთ მას ცნობილ ფრანგ მწერალ რაბლემში ნუ აურევთ, — მეც არ დაუკარგე ქუდი, ხელჯობი და მოსასხამი? განა მე კი...“

— ყური მიგდე, ჩემო მეგობარო, — გააწყვეტინა მანესტრო აბრაჰამს კრაისლერმა, — აი, უკვე კარგა ხანი გავიდა მთავრინას დღეობიდან, შენს მოწყობილ ზეიმზე კი დღესაც დაუფარავი ცნობის-მოყვარეობით ლაპარაკობენ, როგორც იდუმალებით მოცულ რამ ამბავზე. დარწმუნებული ვარ, ხელს არ დააკლებდი, რომ სტუმრები უჩვეულო ამბებით განგეცვიფრებინა. თუკი წინათ ხალხს ჯადოქრად მიაჩნდი, ამ ზეიმის მერე მით უფრო დარწმუნდებოდა შენს კუდიანობაში. ახლა კი, მოდი, ყველაფერი წვრილად მიაძბე. როგორც მოგეხსენება, აქ არ გახლდი მაშინ...

— საქმეც ის არის, რომ აქ არ ბრძანდებოდი, — გააწყვეტინა მეგობარს აბრაჰამმა, — ყველაზე მეტად იმან გამაცოფა, რომ ჯოჯოხეთის მოციქულისგან დევნილი გადარეულივით გადაიკარგე და სწორედ ამ დროს დამაკელი შენი ხელი. ბუნების ძალებსაც ამისათვის ვუხმე, მინდოდა, ჩამეშალა დღესასწაული. უფრო იმიტომ მაგდებდა ეს ზეიმი სასოწარკვეთაში, რომ შენ, ამ წარმოდგენის მთავარი გმირი, აქ არ იყავი. დღესასწაული თავიდანვე უღიმღამოდ და მოსაწყენად დაიწყო და საბოლოოდ ისე დამთავრდა, ჩემთვის ესოდენ ძვირფასი ადამიანებისათვის უსიამოვნების, შიშისა და ტანჯვის მეტი არაფერი მოუტანია! მაშ, იცოდე, იოჰანეს! იცოდე, რომ ღრმად ჩავიხედე შენს სულში და უნებლიეთ აღმოვაჩინე მასში ჩამალული საშინელი საიდუმლო, თუმცა, საიდუმლო კი არა, ქაფ-ქაფა ვულკანი, ყოველ წუთს ლავის ამოტყორცნითა და ირგვლივ ყველაფრის წალეკვით რომ იმუქრება! ჩვენი სულის სიღრმეში ხანდახან ისეთ სანუკვარ გრძნობებს ვმალავთ ხოლმე, თვით ყველაზე უახლოეს მეგობარსაც რომ ვერ გაანდობს კაცი. ამიტომ, ბუნებრივია, ყოველნაირად ვცდილობდი დამეშალა შენთვის, რომ ჩემდა უნებურად ვეზიარე შენი სულის საიდუმლოს. იმ აუბედითი დღესასწაულის წყალობით მინდოდა, დაუფლებოდი მთელს შენს არსებას, ეს ზეიმი ხომ მთლიანად შენთან და ჩემს საყვარელ, ნაზ არსებასთან იყო დაკავშირებული და არაფრით მაგონებდა მთავრინას სახელს. კვლავ მინდოდა ამეფორიაქებინა შენში ყველაზე სანუკვარი ვნებები და ახალგაღვიძებული დემონებისთვის საჯიჯგნად გადამეგდო შენი

გული. ეს საშუალება მინდოდა შენზე მეცადა სამკურნალო შხამის მსგავსად. დიახ, სიკვდილ-სიცოცხლის აპოთეოზის წუთებში არც ერთი ექიმი არ უნდა შეუშინდეს სნეულისათვის ამ შხამის მიცემას. ვიფიქრე, რომ შენ, სასიკვდილოდ დაჭრილს, იგი ან სამუდამოდ დაგლუპაუდა, ან შვებას გაგრძნობინებდა. იცოდე, იოჰანეს! მთავრინას სახელწოდების დღე იულიას<sup>1</sup> დღესასწაულიც არის, მასაც ხომ მარია ჰქვია!

— აბა, აბა, მაესტრო, — თვალების კვესებით წამოხტა კრაისლერი ადგილიდან, — ვინ მოგცა უფლება, ასე მწარედ დამცინო? იქნებ გგონია, რომ თაუდა ხარ ბედისწერა, ჩემი სულის კუნჭულებში შეღწევა რომ ძალუძს?

— ო, ველურო, დაუოკებლო ადამიანო! — წყნარად მიუგო მაესტრომ, — ნეტავ თუ ოდესმე დადგება ჟამი, როცა შენს გულში გამანადგურებელი ცეცხლის ენები ნარნარა ალად გადაიქცევა, ნეტავ თუ კვლავ ოდესმე მოიცავს შენს არსებას ხელოვნების, და საერთოდ, მშვენიერის არსში წვდომის შენეული უნატიფესი გრძნობა? შენ იმ აუბედითი დღესასწაულის აღწერა მთხოვე. მაშ, ეცადე, მშვიდად მომისმინო. მაგრამ, თუ ატყობ, რომ საამისოდ ძალა არ შეგწევს, უმჯობესია, ახლავე გაგეცალო.

— კარგი, მოჰყვი, — ყრუდ წარმოთქვა კრაისლერმა, სახეზე ხელები აიფარა და კვლავ საუარძელში ჩაესვენა.

— ძვირფასო იოჰანეს, — მოულოდნელად მხიარულად წამოიწყო მაესტრო აბრაჰამმა, — სულაც არ მინდა თავი შეგაწყინო წინასაზეიმო საშხადისის აღწერით, ძირითადად, მთავრის მდიდარი ფანტაზიის ნაყოფი რომ გახლდათ. დღესასწაული გვიან საღამოს დაიწყო და როგორც ასეთ დღეს შემვენის, პარკიცა და საზაფხულო სასახლეც ერთიანად იყო გაჩახჩახებული. როგორ არ ვეცადე! მინდოდა განათება უჩვეულოდ ეფექტური ყოფილიყო, მაგრამ მიზანს მხოლოდ ნაწილობრივ მოვალწიე. საქმე ის არის, რომ მთავრის ბრძანებით ყველა ბილიკზე მაღალი ბოძების დადგმა და ზედ დიდი შავი დაფების მიმაგრება მოგვიხდა. ამ დაფებზე დროდადრო ფერად-ფერადი ნათურები ინთებოდა და იკვეთებოდა მთავრინას ვენზელი საგვარეულო

<sup>1</sup> იულია — რომანის გმირის პროტოტიპი გახლდათ ჰოფმანის სატრფო იულია მარკი, რომელსაც იგი სიმღერაში ამეცადინებდა ბამბერგში. დედის სურვილით იულია ცოლად გაჰყვა მდიდარ კაცს, რომელიც არ უყვარდა.

გერბითურთ დაფები განათებულ ფირნიშებს მოგაგონებდათ, ჩვეულებრივ რომ გვაუწყებენ ხოლმე: ამ ადგილას სიარული ან თამბაქოს მოწევა აკრძალულიაო. დღესასწაულის გვირგვინი, მწვანე ბუჩქებითა და ხელოვნური ნანგრევებით შემოგარული, შენტვის კარგად ნაცნობი თეატრი იყო. ამ თეატრის სცენაზე ქალაქიდან ჩამოსულ მსახიობებს რომელიღაც ალჟორიული პიესა უნდა წარმოედგინათ. ეს უბადრუკი ქმნილება საკმაოდ უხამსი იყო, რათა აღფრთოვანებინა მაყურებელი, მიუხედავად იმისა, რომ იგი მთავრის სათუთი პირშმო გახლდათ, ანდა, როგორც მისი ბრწყინვალეების ერთ-ერთი პიესის დამდგმელმა, თეატრის დირექტორმა, გონებამახვილურად შენიშნა, „მისი უდიდებულესობის ბრწყინვალე კალმიდან იყო აფრენილი“. სასახლიდან თეატრამდე კარგა დიდი გზა ჰქონდათ საგალი. და, აი, მთავარს ჭეშმარიტად პოეტურმა აზრმა გაუნათა გონება: ეს გზა ჰაერში გამოკიდებულ გენიუსს უნდა გაენათებინა ორი ჩირაღდნით. სადღესასწაულო პროცესიის დროს ეს ერთადერთი განათება უნდა ყოფილიყო იმ არემარეზე. თეატრი და მისი შემოგარენი მხოლოდ მას შემდეგ განათდებოდა, რაც მთავრის ოჯახობა და მისი ამაღლა თავ-თავიანთ ადგილებს დაიკავებდნენ. აი, რატომ იყო, რომ ირგვლივ ყველაფერი ჯერჯერობით უკუნეთ სიბნელეს შთაენთქა. ამას გამოდგა ჩემი მეცადინეობა, ამეხსნა მისი უდიდებულესობისათვის ამ ჩანაფიქრის სირთულე, ყველაფერ ამას ხომ ძნელად საგალი გზაც ერთვოდა ზედ. მთავარს, ეტყობოდა, რაღაც ამგვარი „Fêtes de Versailles“-ში<sup>1</sup> ამოეკითხა, ახლა კი ამ აზრს თავისად ასაღებდა და დაჟინებით მოითხოვდა მის სისრულეში მოყვანას. პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე ალება აღარ მინდოდა და, ამიტომ გენიუსები თავიანთი ჩირაღდნებითურთ ქალაქიდან ჩამოსულ თეატრის მექანიკოსს გადავულოცე.

და, აი, ის-ის იყო, მთავარი ოჯახობითა და დიდგვაროვანთა ამაღლის თანხლებით დარბაზიდან გამოვიდა, რომ სასახლის სახურავიდან თოკით საზეიმო ტანსაცმელში გამოწყობილი ტიკინა ჩამოუშვეს. მას ხელში ანთებული ჩირაღდნები ეჭირა. თოჯინა ზომაზე მძიმე აღმოჩნდა, სასახლიდან ოციოდ ნაბიჯის მოშორებით მექა-

<sup>1</sup> „Fêtes de Versailles“ (ფრანგ.) — „ვერსალის დღესასწაულები, ანუ მოჯადოებული კუნძულის გართობანი“ (1664) — ამ ნაწარმოებს მიაკუთვნებენ მოლიერის კალამს. მასში აღწერილია ლუი XIV-ის დროის სასახლის კარზე მოწყობილი დღესასწაულები.



ნიზმი მოიშალა და მთავრის საგვარულოს მფარველი ანგელოზი ჰაერში უმწეოდ გამოეკიდა. დაბნეულმა მექანიკოსებმა თოჯინა ისე ძლიერ მოქაჩეს, თავდაყირა ამოატრიალეს. გადმოყირაუებული ჩირაღდნებიდან, კაცუნას რომ ეპყრა ხელთ, სანთლის გაგარვარებულმა წვეთებმა იწყეს ღვენთა. პირველი წვეთი მთავარს დაეცა, მაგრამ შესაშური ვაჟკაცობით აიტანა ტკოვილი, ერთი კია, ჩვეული მედიდურობით ვეღარ გაიარა და მოსხლეტით გაკუნტრუშდა წინ. გენიუსი ახლა დიდგვაროვანთა ამაღლას დასთამაშებდა თავს. აქ იყვნენ ჰოფმარშალი, კამერიუნკრები და სხვა დიდებულები. ციდან გადმოფრქვეული ცეცხლოვანი წვიმის წვეთები ვის თავზე, ვის კი ცხვირზე ეცემოდა. ირგვლოვ სამარისებური სიჩუმე გამეფებულიყო, რადგან ტკოვილის გამოხატვა და ამით საზეიმო განწყობილების გაფუჭება ეტიკეტის დარღვევას ნიშნავდა. თავშესაქცევი სანახაუი იყო, ეს უბედური სტოელი სცეკოლების<sup>1</sup> მთელი კოპორტა როგორ მიიწვედა წინ. პირისახე ტკოვილისგან დამანჭოდათ, მაგრამ ცდილობდნენ, ტანჯვისათვის გაეძლოთ და ოდნავ ილიმებოდნენ კიდეც, რის გამოც მათ სახეებს სატანისებური იერი დაჰკრავდა. სამარისებურ სიჩუმეში აქა-იქ დროდადრო თავშეკავებული კვნესა გაისმოდა. ამასობაში ბუკსა და ნალარასაც დაჰკრუს და ბრბომ ერთხმად შეჰკლრიალა: „გაუმარჯოს მის ბრწყინვალეობა მთავრინას! გაუმარჯოს მის ბრწყინვალეობა მთავარს!“ — ლაოკონისებური სახეებისა და მხიარული შეძახილების კონტრასტით შექმნილმა ტრაგიკულმა პათოსმა მთელ ამ სცენას უჩვეულო დიდებულება შესძინა!

ხანში შესულმა, ჩასუქებულმა ჰოფმარშალმა, ბოლოს და ბოლოს, ვეღარ გაუძლო ამდენ ტანჯვა-წამებას და, როდესაც საბრალლოს სანთლის გაგარვარებული წვეთი პირდაპირ ლოყაზე დაეღვენთა, გაშმაგებით განზე გახტა, მაგრამ ფეხი გაქლართა იქვე, გზის პირას ჩარჭობილ სოლზე მიბმულ თოკში, რომელზედაც საჰაერო მექანიზმი იყო ჩამოკიდებული. „ეშმაკმა დალახვროსო“, — ესლა წამოიბღავლა საბრალომ და მიწაზე ბრაგვანი მოადინა. სწორედ ამ დროს ჰაერში გამოკიდებულმა ტიკინამაც დაასრულა თავისი სატრიუმფო სვლა. ზორბა ჰოფმარშალმა ისეთი ძალით დაითრია იგი

<sup>1</sup> სტოელი სცეკოლა — გაიუს მუციუსი, ლევენდარული რომაელი გმირი, თვლის დაუხამხამებლად დაიწვა მარჯვენა ხელი საკურთხეველის ცეცხლზე, რის გამოც მეტსახელად სცეკოლა, ანუ მარცხენამკლავა შეარქვეს.

თავისკენ, რომ თოჯინა შიგ შუაგულ ამაღლაში ჩაჯარდა. ხალხი წივილ-კვილით მიმოიფანტა. უკუნეთმა სიბნელემ მოიცვა არემარე. ყველა ჩირაღდანი ჩაქრა. ეს ყველაფერი ზუსტად თეატრის წინ მოხდა. მე, რა თქმა უნდა, დაგახანე და მაშინვე არ წავუკიდე ცეცხლი ზონარს, რომლითაც ერთდროულად აინთებოდა ყველა ნათურა. მინდოდა, დრო მომეგო. ყოველივე ეს ერთი-ორი წუთის საქმე გახლდათ, ეს კი სავსებით საკმარისი აღმოჩნდა, რომ ხალხს ტყე-ღრეში საბოლოოდ დაბნეოდა გზა-კვალი.

„სანათი, სანათი!“<sup>1</sup> — წამოიყვირა მთავარმა ზუსტად ისე, როგორც მეფე შესძახებს „ჰამლეტში“. „სანათი, სანათიო!“ — ჩახლეჩილი ხმით შეჰკრიალა ბრბომაც. როცა, ბოლოს და ბოლოს, მიდამო განათდა, ტყეში გაბნეული ამაღლა, დამარცხებული ჯაროვით, დიდის ვაი-ვაგლახით იყრიდა თავს ერთ ადგილას. ამ ორომტრიალში ობერ-კამერჰერმა უჩვეულო ვაჟკაცობა და შემართება გამოიჩინა და დაამტკიცა, რომ თავისი დროის ყველაზე გამჭრიახ სტრატეგთა რიცხვს მიეკუთვნებოდა. მისი საზრიაანობის წყალობით წესრიგი სულ რამდენიმე წუთში იქნა აღდგენილი. მთავარი თავისი ამაღლით დარბაზის შუაგულში აღმართული, ყვაუილებით მორთული ტახტისაკენ გაეშურა. ის-ის იყო, მისმა ბრწყინვალეებამ მეუღლითურთ თავისი ადგილი დაიკაჟა, რომ ზემოხსენებული მექანიკოსის მახვილგონიერების წყალობით თავზე ყვაუილების მეწყერი დააცხრა. მუხთალმა ბედმა თუ ინება, რომ უზარმაზარი ალისფერი შროშანა მთავარს ზედ ცხვირზე დასცემოდა და მისი სახე მეწამულისფერი მტვრით დაეფარა. ამან კი მისი უდიდებულესობის გარეგნობას ისეთი დიდებულება შესძინა, სავსებით რომ ესადაგებოდა იმ წუთის საზეიმო განწყობილებას.

— არა, არა, ეს კი უკვე მეტი სმეტია! — წამოიძახა კრაისლერმა და ისე ახარხარდა, კედლებმა ზანზარი დაიწყო.

— შენი ხარხარი სავსებით უადგილოა, — შეაჩერა იგი მაესტრო აბრაჰამმა, — თუმცა, იმ ღამეს მეც შეშლილივით ვიციხნოდი. მინდოდა, ელფი პეკის<sup>2</sup> მსგავსად, რაც შეიძლება მეტად ამერ-დამერია

<sup>1</sup> „სანათი, სანათი!“ წამოიყვირა მთავარმა ზუსტად ისე, როგორც მეფე შესძახებს „ჰამლეტში“ — (შექსპირი, „ჰამლეტი“, მოქმედება 3, სურათი 2), მაგრამ შექსპირთან მეფე კი არა, პოლონიუსი წამოიძახებს ამ სიტყვებს.

<sup>2</sup> „მინდოდა ელფი პეკის მსგავსად... მეტად ამერ-დამერია ყველაფერი“... — ელფი პეკი — გმირი შექსპირის კომედიისა „ზაფხულის ღამის სიზმარი“ (მოქმედება 3, სურათი 2).

ყველაფერი, მაგრამ სხვისთვის დამიზნებული ისრები მევე მიბრუნდებოდა უკან და დაკოდილ გულში მესობოდა. მაშ, ასე, მომისმინე, ყველაფერს წვრილად მოგიყვები! იმ სულელური ყვაილთცვენის წუთიდან ვცდილობდი, შემერჩია დრო და დამენტო უხილაეი ჭიაკოკონა, მთელს დღესასწაულს რომ მოედებოდა. ცეცხლის ენები იმ არსებათა სულელებშიც უნდა შეჭრილიყო, ვისი საკუთარი, იდუმალი ნებისთვის დამორჩილებაც გულით მეწადა. ეს ცეცხლი სწორედ იმ იდუმალმა ნებამ ააგიზგიზა ჩემს გულში... ნუ შემაწყვეტინებ, იოჰანეს! ეცადე, დინჯად მომისმინო! იულია და პრინცესა მთავრინას უკან, ოდნავ გვერდულად ისხდნენ ისე, რომ ორივეს კარგად ვხედავდი. როგორც კი ბუკისა და ნალარის ხმა მიწყნარდა, იულიას კალთაზე სურნელოვანი იების თაიგულში ჩამალული ვარდის კოკორი დაეცა და ღამის სიოსავით ნაზად დაირხა ჰაერში შენი სულში ჩამწვდომი სიმღერის ჰანგები: *Mi Lagnero tacendo della mia sorte amara.*<sup>1</sup> იულია თავდაპირველად თითქოს შეკრთაო, მაგრამ აი, ტკბილი სიმღერა გაისმა. შენი მუსიკის უზადო შესრულებაში ერთი წუთითაც არ შეგეპაროს ეჭვი. ჩემი დაფალებით მას ცოტა მოშორებით ოთხი ბრწყინვალე მუსიკოსი ასრულებდა. ჰოდა, ამ სიმღერის გაგონებაზე იულიას ბაგეს ჩუმი „აჰ!“ მოსწყდა. მან თაიგული მკერდზე მიიკრა და სრულიად გარკვევით გავიგონე, როგორ წასჩურჩულა პრინცესას: „იცი, ის დაბრუნებულაო!“ პრინცესამ აღელვებით მოხვია ხელი იულიას და ისე ხმამაღლა შესძახა: „არა, არა, ეს შეუძლებელიაო“, რომ მთავარმა მეწამულისფრად აღაჟღაღებელი სახე მისკენ მრისხანედ მიატრიალა და ისროლა: *Silence!*<sup>2</sup>

შესაძლებელია, საყვარული ასულის თავნებობას ისე ძალიან არც განურისხებია მთავარი, მაგრამ შეგახსენებთ: ეს სილაჟღაჟე, ცხვირზე ანაზდად დაცემულმა წითელმა შროშანამ რომ დაუტოვა სახსოვრად, — მსგავსი გრიმი, ალბათ, ოპერის „*tiranno ingrato*“-საც<sup>3</sup> კი შეშურდებოდა, — მის სახეს დაუოკებელი რისხვის იერს აძლევდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ყველაზე გულის ამაჩუყებელი სიტყვები, ყველაზე ნაზი მიზანსცენები, ალგორიულად გვირგვინოსანი წყვილის ბედნიერებას რომ გვაუწყებდნენ, ფუჭ თა-

<sup>1</sup> უხმოდ დაეიტირებ ჩემს მწარე ბედს (იტალ.).

<sup>2</sup> სიჩუმე (ფრანგ.).

<sup>3</sup> მრისხანე ტირანი (იტალ.).



მაშად რჩებოდა და მისი უდიდებულესობის სულსა და გულს არ ეკარებოდა. ამან მსახიობებიც და მაყურებელიც დიდ საგონებელში ჩააგდო. მაშინაც კი, როდესაც მთავარი ხელზე ეამბორობოდა თავის მეუღლეს და თვალყურს ადევნებდა პიესაში წინასწარ წითელი ფანქრით აღნიშნულ ადგილებს (პიესის ერთი ეგზემპლარი ხელთ ეპყრა), რის დროსაც ცხვირსახოცით ცრემლები უნდა მოეწმინდა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მისი უდიდებულესობა ფარული რისხვით არის შეპყრობილი. ფინიასავით ერთგული კამერპერები ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ: „ღმერთო დიდებულო, ნეტავ რა დაემართა მის ბრწყინვალებასო?“ იოჰანეს, ისიც მინდა მოგახსენო, რომ ვიდრე მსახიობები სულელური პიესით შეაქცევდნენ მაყურებელს, მე მაგიური სარკისა და სხვა ხელსაწყოების დახმარებით გამჭვირვალე ცის ფონზე შევძელი ჩამეტარებინა ჯადოსნური წარმოდგენა ღვთიური ქმნილების, მშვენიერი იულიას პატოსაცემად. ერთმანეთს ენაცვლებოდა შენ მიერ ზემთაგონების წუთებში შექმნილი ჰანგები. ხან სადღაც შორს, ხან კი სულ ახლოს დემონთა მოკრძალებული, მაგრამ ვნებიანი ძახილით გაისმოდა მისი სახელი: „იულია!“ შენ კი არა და არ ჩანდი, ჩემო ძვირფასო იოჰანეს! წარმოდგენის დამთავრების შემდეგ შექსპირის პროსპეროსავით მეც შემეძლო შემექო ჩემი არიელი,<sup>1</sup> მეთქვა მისთვის, ყველაფერი ჩინებულად წარიმართა-მეთქი, მაგრამ სულის სიღრმეში ვიგრძენ, ჩანაფიქრი, მთელი სული და გული რომ შევალე, უღიმღამო და უბადრუკი გამოვიდა. იულია თავისი უტყუარი გუმანით ყველაფერს მიხვდა, მაგრამ მან მთელი ეს წარმოდგენა ტკბილ სიზმრად ჩათვალა. სიზმარს კი, მოგეხსენება, გამოღვიძების მერე არავითარ მნიშვნელობას აღარ აძლევს ხოლმე კაცი. პრინცესა კი, პირიქით, ღრმად ჩაფიქრებული ჩანდა. ვიდრე ერთ-ერთ პავილიონში მთავარი და მისი ამაღლა სანადიმო სუფრას უსხდნენ, გოგონები ხელიხელჩაკიდებულები დასეირნობდნენ პარკის განათებულ ხეივნებში. მთავარი დარტყმა ამ წუთისათვის მქონდა გაანგარიშებული, შენს გამოჩენას კი ისევ და ისევ არ დაადგა საშველი, ჩემო იოჰანეს! იმედგაცრუებული და გაბოროტებული დავრბოდი პარკში, მინდოდა, შემემოწმებინა,

<sup>1</sup> „შექსპირის პროსპეროსავით მეც შემეძლო შემექო ჩემი არიელი“ — შექსპირის „ქარიშხალში“ სტიქიის მბრძანებელი პროსპერო აქებს ნათულ სულს — არიელს, რომელიც მას ეხმარება (მოქმედება 5, სურათი 1).

ყველაფერი მზად იყო თუ არა საზეიმო ფეიერვერკისათვის, რითაც უნდა დასრულებულიყო იმდღევანდელი დღესასწაული. ანაზღად ზეცას მიჯაპყარ თვალი და შორეული გაიერშტაინის თავზე, ღამის წყვილიადში, პატარა მოწითალო ღრუბელი შევნიშნე. ასეთი ღრუბელი ყოველთვის ადრის მომასწავებელია ხოლმე. ჩვეულებისამებრ, იგი წყნარად მიზოზინებს ცაზე, რომ ცოტა ხანში მოულოდნელად საშინელი ჭექა-ქუხილი დაგვატეხოს თავზე. კარგად მოგეხსენება, რომ ღრუბლის მოძრაობის მიხედვით, ზედმიწევნით ზუსტად შემიძლია განვსაზღვრო ჭექა-ქუხილის დაწყების დრო. იმ საღამოს გაავდრებამდე ერთი საათილა თუ რჩებოდა, ამიტომ გადავწყვიტე, ფეიერვერკი დროზე დამეწყო. მაგრამ სწორედ იმ წუთში მოხვდი, რომ ჩემმა არიელმა ისეთი ფანტასმაგორია წამოიწყო, რომელსაც ყველაფერი, დიახ, ყველაფერი უნდა გადაეწყვიტა; პარკის ბოლოს, წმინდა მარიამის პატარა ეკლესიიდან გუნდის გლობა შემომესმა. ჩემს ყურს შენი ჰიმნის „Ave maris stella“-ს<sup>1</sup> ხმა მისწვდა. სასწრაფოდ იქით გავეშურე. იულიასა და პრინცესას ღია ცის ქვეშ, ეკლესიის წინ მოედრიკათ მუხლი სალოცავად. იქამდე მირბენა ვერც კი მოვასწარი, რომ... ეჰ, შენ კი მაინც არ ჩანდი, მაინც არსაით მოდიოდი, ჩემო იოჰანეს! ნება მომეც, დუმილით ავუარო გვერდი ყველაფერს, რაც შემდგომ მოხდა. ო, რა არ ვიღონე, რომ შემექმნა ის, რაც ჩემი ხელოვნების მწვერვალად მიმაჩნდა, მაგრამ ვერაფერს მოვალწიე. ერთი კია, ისეთი საიდუმლო შევიტყვე, მე, ბრიყვს, იმ დღემდე წარმოდგენაც რომ არ მქონდა!

— იცოდე, არაფერი დამიძალა! — დასჭექა კრაისლერმა, — ყველაფერი მიაბზე, მაესტრო. მითხარი, რა მოხდა შემდეგ?

— არაფრის გულისათვის! — მიუგო მაესტრო აბრაჰამმა, — შენთვის ამის ცოდნა საჭირო არ არის, იოჰანეს, მე კი გული მიკვდება იმის გაფიქრებაზე, რომ ჩემ მიერ მოხმობილმა დემონებმა მკვე გამაბეს შიშისა და განსაცდელის ბადეში! „ო, ეს ღრუბელი! — გამიელვა თავში ანაზღად, — რა შესანიშნავი აზრია! დაე, ყველაფერი აურზაურით დამთავრდეს-მეთქი“, — გაშმაგებით წამოვიძახე და უმაღლ ფეიერვერკის ადგილისაკენ გავექანე. მთავარმა მიბრძანა, როცა ყველაფერი მზად იქნება, ნიშანი მიეციო. მე კი თვალი ვერ

<sup>1</sup> „Ave maris stella“ — „საღამო შენდა, ზღვათა ვარსკვლავო“, მრავალხმიანი ჰიმნი, დაწერილი თავად ე. თ. ა. პოფმანის მიერ (1808).



მოქმედებინა ღრუბლისათვის, სულ მადლა-მადლა რომ დახტო  
 ალებდა გაიერშტაინს. ბრძანება გავეცა, მორტიანი გაეხროპოთ და  
 ლე მთელი სამეფო კარი და ზეიმზე მიწვეული სტუმრები დაეპოძე  
 გაჩნდნენ. როგორც ყოველთვის, ასეთ დროს ასობების მაძინა  
 ბის, ჩირაღდებისა და შუშხუნების შუქი აკრავდა ირგვლივ მის  
 ათასი სხვა სანახაობა მოჰყვა. ბოლოს და ბოლოს, პაერში ხაირ  
 ნაირი ჩინური ნათურით აციმციმებელი მთავრისას ექსხელო აიჭ  
 რა, მის ზემოთ კი რძისფერი ნისლიყით გადღვა სახელო „იუქოა“.  
 ახლა კი დროა-მეთქი, გავიფიქრე და... რომაეული სახელო აქმ  
 თე. სწორედ იმ დროს, როდესაც შუშხუნები მაძინათა და სტუმრით  
 აიჭრნენ ცაში, როდესაც მორტირებისა და ზარბაზხების კრიპისა  
 არემარე გააყრუა, პაერში ელვამ ცეცხლის ქსები დააქცხა და ისე  
 თი საშინელი ჭექა-ქუხილი ატყდა, მთა-ბარი შეაჩახიარა. ელვის  
 სისწრაფით ამოვარდნილი ქარიშხალი შმაგად გადაეცლო ხეებსა თე  
 ბუჩქებს და საწყალობელი ხმით დააწყებინა ბორჯვა. მე მარადეა ვა  
 მოვგლიჯე ხელიდან საყვირი ვიღაც მუსიკოსს, ის-ის იყო, გვერდით  
 რომ ჩამიქროლა, და გახარებულმა რომელიღაც სახელოსი ძახელები  
 ჩავბერე. ანთებული მაშხალების შიშინი ზარბაზხების ბათქს ეროყო  
 და და ყველაფერი ეს, ერთად, მხიარულად ერწყმისოდა სულ უყვრი  
 და უფრო გამძვინვარებული ჭექა-ქუხილის ხმას.

როდესაც მაესტრო ამ ადგილამდე მივიდა, კრასსლები რაიმეღეს  
 ჯერმე წამოხტა ადგილიდან და ოთახში ხელების ქსეყით გაიარა გა  
 მოიარა. ბოლოს ველარ მოითმინა და აღყროიოჯანებულმა წაძლიძახა:

— შესანიშნავია! ბრწყინვალეა! აი, ახლა კი შეეცადე ჩემი ძვირ  
 ფასი მასწავლებლის ნახელავი; ო, რომ იცოდე, როგორ გულისთა და  
 სულით მიყვარხარ, ჩემო მაესტრო!

— დიახ, — მიუგო მაესტრო აბრაჰამმა, — მშვენიერად ეუწყო  
 რომ მსგავსი ველური და უჩვეულო საქციელი შენს აღტაცებასა და  
 მოწონებას იწვევს ხოლმე, მაგრამ იმის მოყოლა კი გადაამჯიწედა,  
 რაც საბოლოოდ ბოროტი სულების სამყელობელოში ამოგკეყოფო  
 ნებდა თავს. ბრძანება გავეცა, დაეჭიმათ ეოლოსის არყა;<sup>1</sup> იგი, რომ

<sup>1</sup> მილანელმა აბატმა გატონიმ ორ კომქს შორის დააჭამყინა თხუთსეჭვი რკინის  
 სიში. ეს სიშები ისე იყო აწყობილი, რომ ისინი დააჭითხეო გამას ქმნადხეეს ამხილის  
 ოდნავი ცვლილებაც კი სიშების ძლიერად ან სუსტად რტყახ იწვევდა. ეოლოსის ამ  
 არფას „გოლიათური“, ანუ „ამინდის“ არფა უწოდეს.



გორც მოგეხსენება, უზარმაზარ აუზზეა გადაჭიმული. ქარიშხალსაც აღარ დაუყოვნებია და ვირტუოზი მუსიკოსით ჩამოჰკრა სიმებს ხელი. სტიქიის ღრიალსა და ღმუილს ახლა რისხვით ერთვოდნენ გიგანტური ორღანის მძლავრი აკორდები. სულ უფრო და უფრო სწრაფად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს ძლევამოსილი ბგერები. ეს ყველაფერი ფურიების იმ საოცარ, მედიდურ როკვას მოგაგონებდა, თეატრის კედლებში ვერასოდეს რომ ვერ იხილავს კაცი! მაგრამ აი, სულ რაღაც ნახევარ საათში ყველაფერი მიწყნარდა. ღრუბლებიდან მთვარემ გამოანათა. ვნებადამცხრალმა ქარმა შარიშურით ჩამოუარა ტყის მწვანე საბურველს, თითქოს ცდილობს, ცრემლი შეუშროს შეშინებულ ხეებსა და ბუჩქებსო. დროდადრო ზანზალაკების შორეულ, ყრუ ექოსავით კვლავ გაისმოდა ეოლოსის არფის სიმთა ჟღარუნი. საოცრად ნეტარი გრძნობა დამეუფლა. მთელი ჩემი არსება შენზე ფიქრს მოეცვა, ჩემო იოჰანეს. ასე მეგონა, აი, ან ახლა, ან ახლა აღდგება იგი გაცრუებული იმედისა და აუხდენელი ოცნებების დასამარებელი სამეფოდან და მკერდზე მომეყრდნობა-მეთქი. და აი, ამ დროს ღამის სიჩუმეში ჩემს გონებაში ნათლად ამოტოვტოვდა აზრი: რატომ წამოვიწყე ეს სახიფათო თამაში, რისთვის მოვინდომე, შეერკინებოდი თავად ბედისწერას, როგორ გაუბედე იმ კვანძის გამორჩევა, თავად განგებამ რომ გამონასკვა. და მაშინ საკუთარი სულის სიღრმიდან ამომსკდარი გრძნობა იმდენად გაუცხოებულად და უჩვეულო იერით წარდგა ჩემ წინაშე, საბოლოოდ შეუძრწუნდი ამ სახეშეცვლილი „მეს“ დანახვაზე...

ეფემერული სინათლეები როკვითა და ხტუნვით დაქროდნენ პარკში, — ეს ფარნებით შეიარაღებული მსახურები დაეძებდნენ ირგვლივ გაბნეულ ქუდებს, თმის ბადეებს, დაშნებს, ფეხსაცმელებს, მოსასხამებს, მათ მფლობელებს გაქცევისას რომ დაეკარგათ. სასწრაფოდ გავეცალე იქაურობას, მაგრამ ქალაქის კარიბჭესთან, უზარმაზარ ხიდზე ისევ შევჩერდი და ერთხელ კიდევ შევაღწეე თვალი პარკს: მთვარის ჯადოსნურ სხივებში გახვეული, იგი ზღაპრულ ედემს წაგავდა, სადაც მხიარულად ერთობიან ანცი ელფები. უეცრად ძლივს გასაგონი კნავილი მომესმა; ახალშობილის ტირილს მივამსგავსე. რაღაც არასასიკეთოს მოლოდინში ხიდის მოაჯირზე გადავიხარე და მთვარის კაშკაშა შუქზე ერთი ბჭო კნუტი დავინახე; საბრალო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ჩაჰბლაუჭებოდა ფიცარს, რომ წყალში

არ ჩავარდნილიყო. ეტყობოდა, ვიღაცას დასახრჩობად გაქწირა კატის მთელი საგვარეულო და მხოლოდ ამ პაწიას დაედწია თავი სიკვდილისათვის. მერე რა, რომ ბავშვი არ გამოდგა, ვუსხარი საკუთარ თავს, ეს საცოდავიც ხომ სულიერი არსებაა და შველას ითხოვს შენგან, ამიტომ მოვალე ხარ, გადაარჩინო და შეიფარო-მეთქი.

— ო, ჩემო გულჩვილო იუსტი! — სიცილით წამოიძახა კრაისლერმა, — აბა, ერთი მიჩვენე, სად არის შენი ახალგაძომცხვარი ტელჰაიმი?<sup>1</sup>

— მომიტყევე, ჩემო იოჰანეს, — მიუგო მავსტრო აბრაჰამმა, — ვგონებ, უსაფუძვლო უნდა იყოს ჩემი შედარება იუსტთან. ჩემი საქციელით მე ხომ აშკარად გადავაჭარბე მას. იუსტმა პუდელი იხსნა, ეს ცხოველი კი, მოგეხსენებათ, ყველას უყვარს; მისგან სარგებლობასაც შეიძლება გამოელოდეს კაცი. პუდელს შეუძლია წამოგილოს ხელთათმანები, სათუთუნე, ჩიბუხი და ბევრი სხვა ამისთანა. მე კი სიკვდილისაგან ვიხსენ კატა. მისი ბევრს ეშინია, რადგან ვერაგ ცხოველად მიაჩნიათ. საყოველთაოდ გავრცელებული აზრის თანახმად, კატისათვის უცხოა ჭეშმარიტი მეგობრობის გრძნობა და დღე-ნიადაგ მტრულადაა განწყობილი ადამიანისადმი. დიახ, ეს კნუტი წმინდა, უანგარო კაცთმოყვარეობით ვიხსენი. საფრთხეში ჩავიგდე სიცოცხლე, გადავიხარე ხიდის მოაჯირზე, ძლივძლივობით ამოვიყვანე კრუტუნა ცინდალი და ჯიბეში ჩავისვი. შინ დაბრუნებულმა, სასწრაფოდ გავიხადე ტანთ და დაღლილ-დაქანცული, ლოგინზე მივეგდე. მერე ის-ის იყო, თვალები მივლულე, რომ საწყალობელმა კნავილმა გამომაფხიზლა. ხმა თითქოს ჩემი ტანსაცმლის კარადიდან ისმოდა. საბრალო კნუტი სულმთლად დამეიწყებოდა და ქურთუკის ჯიბეში ჩამეტოვებინა! დაუყოვნებლივ გაგათავისუფლე პატიმრობიდან, მან კი მადლობის ნიშნად ისე დამჩხაპნა, ხუთივე თითიდან თქრიალით მომდიოდა სისხლი. ახლა კი მოვისვრი ფანჯარაში-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ მაშინვე შემრცხვა საკუთარი სულმოკლეობისა და სულელური შურისგებისა, რაც ადამიანის მიმართაც კი მიუტევებელ ცოდვად ჩამეთვლებოდა, არამცთუ უგუნური პირუტყვისა. ბევრს აღარ გაგაგრძელებ. იმასლა გეტყვი, რომ დიდის სასოებით

<sup>1</sup> იუსტი და ტელჰაიმი — გერმანელი მწერლის, პ. ე. ლესინგის (1729-1781) კომედიაში „მინა ფონ ბარნჰელმი“ (1767) ტელჰაიმის მსახური იუსტი სიკვდილს გადაარჩენს წყალში გადაგდებულ პუდელს (მოქმედება I, სურათი 8).

გაუზარდუ ეს კატა. იგი ყველაზე გონიერი, წესიერი და შეგნებული არსება გახლავთ თაკისი მოდგმის წარმომადგენლებს შორის. მხოლოდ სწავლა-განათლებაში მოიკოჭლებს ცოტაოდენს; ეს კი, ჩემო იოჰანეს, მოგეხსენება, ისეთი ხარვეზია, რომლის ამოვსებაც ადვილად შეიძლება ყოველგვარი ჯაფის გარეშე, თუკი შენებური სიბეჯითით მოჰკიდებ მას ხელს. სწორედ ამის გამო გადავწყვიტე, გადმოგილოცო ჩემი ძვირფასი კატა მური. დიახ, დიახ, ამ სახელით მონათლე იგი. და თუმცა, ჩვენი მური, იურისტების ენით რომ ვთქვათ, ჯერ კიდევ არ გახლავთ homo sui juris,<sup>1</sup> ყოველი შემთხვევისთვის, მაინც ვკითხე, თანახმა იქნებოდა თუ არა, შენთან ჩამდგარიყო სამსახურში. აღმოჩნდა, რომ იგი დიდად კმაყოფილია ამ ამბით.

— ო, როგორ გიყვარს ხოლმე ხუმრობა, მაესტრო! — თქვა კრაისლერმა, — მშვენივრად მოგეხსენება, რომ ძაღლები ძალიან მიყვარს, კატები კი ჭირის დღესაუთ მძულს.

— გვედრები, ჩემო საყვარულო იოჰანეს, — მიუგო მაესტრო აბრაჰამმა კრაისლერს, — სულითა და გულით გვედრები, ვიდრე მოგზაურობიდან დავბრუნდებოდე, დაიტოვე შენთან ჩემი დიდი მოძულის მქონე საოცარი კატა მური. დღეს თან წამოვიყვანე. ახლა კარს უკან ზის და შენს სტუმართმოყვარე მოპატიუებასლა ელოდება. ნუთუ არ გაინტერესებს მისი ნახვა? თვალი მაინც შეაუღლე!

მაესტრო აბრაჰამმა კარი გამოაღო. ჩაღის ფარდაზე კატა გორგალოვით მოკალათებულიყო და ეძინა. მართლაც, რომ საოცარი სილამაზის პატრონი გახლდათ ის წყეული, ისა! მთელს ზურგზე შავი და ნაცრისფერი ზოლები დაუყვებოდა და კუფაზე ერთმანეთს უერთდებოდა, მერე კი შუბლზე გადადიოდა და უჩვეულოდ ჩახლართულ, იეროგლიფებისმაგვარ ნახატს ქმნიდა. ასეთივე ზოლიანი, საოცრად გრძელი და მოქნილი კუდი ერთიორად მეტ შნოსა და ლაზათს მატებდა. კატის ჭრული ქათიბი მზის სხივებზე ისე თვალისმომჭრელად ლოვლივებდა, თითქოს მისი ბეწვის შავსა და რუხ ზოლებს შორის ოქროსფერად დაკლაკნილი ისრები რიალებენო.

— მურ... მურ... — თავისთან იხმო კატა მაესტრო აბრაჰამმა.

— მრრ... მრ... — ხმამაღლა გამოეპასუხა იგი, ფეხზე წამოდგა, გაიზმორა, წელში ზამბარასაუთ გაიზნიქა და გაახილა ზურმუხ-

<sup>1</sup> არ გააჩნია დამოუკიდებელი უფლებამოსილება (ლათ).



ტისფერი, კაშკაშა თვალები, საიდანაც გონიერება და საზრიანობა გამოსჭვიოდა. არ ვიცი, რამდენად მართალი იყო, მაესტრო აბრაჰამში კი ირწმუნებოდა ეს ასეაო, და, ბოლოს და ბოლოს, თვით კრაისლერიც იძულებული გახდა, ელიარუბინა, ამ კატას მართლაც რაღაც უჩვეულო, განსაკუთრებული გამოხედვა აქვსო. მერე ისიც დასძინა, ამ კატის ტვინის მოცულობა საესეებით საკმარისია, მისმა პატრონმა სხვადასხვა მეცნიერების შესწავლას მოჰკიდოს ხელი, ხოლო გრძელი, ჭალარა ულვაში, სიჭაბუკის მიუხედავად, მას ბერძენი ბრძენებისთვის ჩვეულ დარბაისლურ იერს აძლევსო.

— ო, შე ძილისგუდავ, შენა! ნეტავ ვიცოდე, რა ძილქუში დაგაწვება ხოლმე? — მიმართა კატას მაესტრო აბრაჰამმა, — ასე შეიძლება კაცმა ყოველგვარი სიხალისე დაკარგოს და ერთი უხასიათო და უნიათო ვინმე გახდეს. აბა, ერთი, შენებურად დაიბანე პირი, ჩემო მურ!

კატაც მაშინვე უკანა თათებზე ჩამოჯდა, ხავერდოვანი თათი შუბლსა და ლოყებზე ჩამოისვა და თან ნარნარი, მხიარული „მიაუც“ დააყოლა ზედ.

— აბა, შეხედე, მურ, — განაგრძო მაესტრო აბრაჰამმა, — ეს გახლავს ბატონი იოჰანეს კრაისლერი; დღეიდან მასთან უნდა გაგამწესო სამსახურში.

კატამ კაპელმაისტერს ჯერ თავისი მოელვარე თვალები შეაულო და წაიკრუტუნა, შემდეგ კრაისლერის გვერდით მაგიდაზე ახტა, იქიდან კი მოურიდებლად მხარზე შეასკუპდა და თავი ისე ახლოს მიუტანა ყურთან, კაცი იფიქრებდა, რაღაცა უნდა უჩურჩულოსო. მერე ისევ ძირს ჩამოხტა და თავისი ახალი პატრონის გარშემო კრუტუნითა და კუდის ქნევით ბოლთის ცემა დაიწყო, თითქოს მისი ახლოს გაცნობა უნდაო.

— ღმერთო, შენ შემინდე, — წამოიძახა კრაისლერმა, — ახლა უკვე მზადა ვარ, ვირწმუნო, რომ ეს პატარა, რუხი ოინბაზი მამაზეციერს ნამდვილად დაუჯილდოებია ჭკუითა და გონებით ვგონებ, საქვეყნოდ სახელგანთქმული ჩექმებიანი კატის პირდაპირი შთამომავალიც კი უნდა იყოს!<sup>1</sup>

<sup>1</sup> „სახელგანთქმული ჩექმებიანი კატის პირდაპირი შთამომავალიც კი უნდა იყოს“ — ჰოფმანს მხედველობაში აქვს გერმანელი რომანტიკოსის, ლუდვიგ ტიკის (1773-1853) კომედია „ჩექმებიანი კატა“ (1797), რომელსაც პეროს (1628-1703) ამავე სახელწოდების ზღაპარი დაედო საფუძვლად.

— მე კი ვიცი, — მიუგო მაესტრო აბრაჰამმა, — რომ ჩემი მური ყველაზე ანცი და სასაცილო ცხოველია ამ ქვეყანაზე. ნამდვილი ოინბაზია. ამასთან, ძალზე კარგი ზნის ყმაწვილიც გახლავთ და არც ზოგიერთი ძალღოვით აბეზარია, გაუთავებელი ქლესაობით თავს რომ მოგაბეზრებს ხოლმე.

— აი, ახლა, შევყურებ ამ ბრძენ კატას, — თქვა კრაისლერმა, — და გულდამძიმებული ვფიქრობ, რა ვიწროა ჩვენი ცხოვრების ჩარჩოები. ვის ძალუძს გაიგოს და განსაზღვროს პირუტყვთა გონებრივი შესაძლებლობების საზღვრები! ადამიანს ყველა მოვლენის ასახსნელად მზამზარეული იარღიყები აქვს გამზადებული და მაშინ, როცა ბუნების ზოგიერთი მოვლენა, ანდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ბუნების მთელი ძალები მისთვის გამოცანას შეადგენს, ადამიანი ბაქიბუქობს სულელური განსწავლულობით, თავისი ვითომდა სიბრძნით. სინამდვილეში კი საკუთარ ცხვირს იქით ვერ იხედება! განა ჩვენ არ ვიყავით, „ინსტინქტის“ იარღიყი რომ მივაკარით ცხოველთა მთელს სულიერ სამყაროს, მაშინ, როდესაც მათი შესაძლებლობები ხშირად საოცარი ფორმებით ვლინდება ხოლმე? ერთადერთ კითხვაზე მინდა პასუხი გამცეთ: შეიძლება თუ არა, ინსტინქტს, ამ ბრძმა, ქვეცნობიერი იმპულსის იდეას, შევუთავსოთ სიზმრების ნახვის საოცარი უნარი? ამ დროს საყოველთაოდ ცნობილია, რომ ძალები ძალზე მრავალფეროვან სიზმრებს ხედავენ; ამას დაგიდასტურებთ ყველა, ვისაც კი თვალყური უდევნებია მძინარე მწვერისათვის: იგი ნადირობის მთელ სურათს ხედავს სიზმარში; დაეძებს მსხვერპლს, ყნოსავს, ფეხებს ისე ამოძრავებს, თითქოს დარბისო, წკაუნწკაუნებს და ოფლად იღვრება... თუმცა, აი, მართალი გითხრათ, იმაზე კი არაფერი მსმენია, კატები ხედავენ თუ არა სიზმრებს...

— კატა მურს არა მარტო საოცრად ცოცხალი სიზმრები ესიზმრება, — გააწყვეტინა მეგობარს მაესტრო აბრაჰამმა, — ხშირად შემიმჩნევია, როგორ ჩაძირულა ოცნებების მორეჟში და ველარ დაულწევია თავი ზმანებების ტყვეობისთვის. ერთი სიტყვით, ხშირად ჩაუარდნილა ძილ-ბურანის იმ საოცარ მდგომარეობაში, ჩვეულებრივ პოეტური, მეოცნებე სულის ადამიანებს რომ ეუფლებათ ხოლმე გენიალური აზრების სტუმრობის წუთებში. აი, უკვე რამდენიმე ხანია, დაეუფლება თუ არა ასეთი განწყობა, მყისვე იწყებს კენესას და ოხ-

ერას. იძულებული ვარ, ორში ერთი ვიფიქრო: მას ან ტრფობის აღი  
მოედო, ანდა რაიმე ტრაგედიას უნდა წერდეს.

კრაისლერმა გადაიხარხარა და წამოიძახა:

— მაშ, ერთი მობრძანდი ჩემთან ზრდილო, მახვილგონიერო, მე-  
ოცნებე კატავ! ნება გვიბოძე, მურ...

(მ. ა. ა.) ...ჩემს თავდაპირველ აღზრდასა და, რაც მთავარია,  
ყრმობის პირველ თვეებზე. უაღრესად ყურადსაღები და სასარგებ-  
ლო საქმეა, როდესაც ესა თუ ის ცნობილი პიროვნება ავტობიოგრა-  
ფიაში დაწვრილებით აღწერს ხოლმე თავისი ახალგაზრდობის ყვე-  
ლა წვრილმანსაც კი, რაგინდ უმნიშვნელოც უნდა იყოს იგი. მაგრამ  
არსებობს კი უმნიშვნელო ფაქტები, როცა საქმე გენიოსის ცხოვრუ-  
ბას ეხება? ყველაფერს, რაც მას ყრმობის წლებში ჩაუდენია, ან არ  
ჩაუდენია, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება და ნათელს ჰფენს მისი  
უკედავი ქმნილებების ჭეშმარიტ არსსა და მნიშვნელობას. საკუთარ  
შესაძლებლობებში დაეჭვებულ, ცოდნას მოწყურებულ ჭაბუკს რაო-  
დენი სიამაყის გრძნობა შეიპყრობს ხოლმე, როდესაც სადმე ამოი-  
კითხავს, რომ ბავშვობაში თურმე გენიოსებიც თამაშობენ ომობანას,  
რომ მათაც ჰყვარებიათ პირის ჩატკბარუნება, სიზარმაცისა თუ ან-  
ცობისათვის მათთვისაც უთაგაზებიანთ ალიყური. „ზუსტად ჩემსა-  
ვით ყოფილა! ზუსტად ჩემსავით!“ — აღტაცებით იმეორებს ჭაბუკი  
და იოტისოდენადაც აღარ ეპარება ეჭვი, რომ თუადაც, არც მეტი,  
არც ნაკლები, იმ კერპის მსგავსი გენიოსია, რომელსაც ეთაყვანება.

მაჟანი და მაჟანი, რომელსაც ძირისძირობამდე წაუკითხავს პლუ-  
ტარქე თუ არა, კორნელიუს ნეპოსი<sup>1</sup> მაინც, შემდეგში უდიდესი გმი-  
რი გამხდარა. სხვა მაგალითიც გამიგონია. თურმე ერთი კაცი თარ-  
გმანში გასცნობია ანტიკურ ავტორთა ტრაგედიებს, ასევე გულდას-  
მით შეუსწავლია კალდერონის,<sup>2</sup> შექსპირის, შილერისა და გოეთეს  
ქმნილებები. თუმცა, მისგან საქვეყნოდ ცნობილი დიდი პოეტი არ  
გამოსულა, მაგრამ ხალხისათვის საყვარელი, ხელიხელსაგოგმანე-  
ბელი მგოსანი მაინც დამდგარა. პოდა, ჩემი შედეგებიც, ალბათ, არა  
ერთი და ორი გონიერი, მეოცნებე ჭაბუკი კატის გულში დაანთებენ

<sup>1</sup> კორნელიუს ნეპოსი — რომაელი ისტორიკოსი (ძვ. წ. 99-24 წწ.).

<sup>2</sup> კალდერონი — პედრო კალდერონ დე ლა ბარკა (1600-1681), ესპანელი დრამატურგი.



პოეზიის წმინდა ლამპარს, ხოლო, როცა მაგანი ყარობი კატა კვლავ გაიმეორებს ჩემს ბიოგრაფიაში აღწერილ ოინებს, სახლის სახურავზე რომ ჩამიდენია,<sup>1</sup> მთლიანად განიმსჭვალება ჩემი წიგნის ამაღლებული იდეალებით და აღტაცებით შესძახებს: „ო, მურ, ღვთაებრივო მურ! კატათა მოდგმის უმამაცესო რაინდო! მხოლოდ შენი გმირული საქმეების წყალობით შევიგრძენ საკუთარი სიდიადე!“

უდავო შექების ღირსია მაესტრო აბრაჰამი იმის გამო, რომ ჩემი აღზრდის დროს არ გამოუყენებია არც ბაზედოვის<sup>2</sup> მოძველებული სისტემა, არც პესტალოცის<sup>3</sup> მოძღვრება, და, ასე ვთქვათ, ჩემი თავი მქვე გადმომილოცა აღსაზრდელად. იგი ჩემგან მხოლოდ ერთს მოითხოვდა: მეხელმძღვანელა იმ საყოველთაოდ ცნობილი, დადგენილი ნორმებით, რომლებიც მაესტროს აუცილებლად მიაჩნდა ჩვენს პლანეტაზე გაბატონებული საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაშიო, — ამბობდა იგი, — ადამიანები შეშლილებს ან ბრძებს დაემსგავსებოდნენ, ყოველ წუთში შეასკდებოდნენ ერთმანეთს და პანდურებითა თუ მუჯღუგუნებით დააღილაკებდნენ. ასეთი საზოგადოება კი დასაღუპავად იქნებოდა განწირულიო. ამ პრინციპების ერთობლიობას მაესტრო აბრაჰამი ბუნებრივ თავაზიანობას უწოდებდა პირობითი თავაზიანობის საპირისპიროდ, როცა ვალდებული ხარ უმდაბლესი ბოდიში მოუხადო რეგვენს, რომელიც დაგეჯახება ანდა ფეხებს მოგამტვრევს. ადვილი შესაძლებელია, ასეთი თავაზიანობა ძალიანაც ესაჭიროებათ ადამიანებს, მაგრამ კერაფრით გამიგია, რატომ უნდა ვრცელდებოდეს ეს წესები ჩემს თავისუფლებისმოყვარე მოდგმაზეც. და რამდენადაც იმ საყოველთაოდ მიღებულ წესებს ჩემი პატრონი ძირითადად ავბედითი იფნის წკეპლით მაზიარებდა ხოლმე, სრული უფლება მაქვს, გაეკიცხო ჩემი აღმზრდელის მკაცრი მეთოდები. დიდი ხანია კიდევაც გამოვექცეოდი მას, კულტურის მაღალი მწვერვალებისაკენ თანდაყოლილ სწრაფვას რომ არ დავეკავებინე. ალბათ, მოგეხსენებათ, რაც უფრო მაღალ კულტურასთან

<sup>1</sup> „ჩემს ბიოგრაფიაში აღწერილ ოინებს, სახლის სახურავზე რომ ჩამიდენია“ — მინიშნება გერმანელი მწერლის, ჟან პაულის (იოჰან პაულ რიხტერი (1763-1825) წიგნზე „ბიოგრაფიული გართობანი“.

<sup>2</sup> იოჰან ბაზედოვი (1723-1790) — გერმანელი პედაგოგი, ჟან-ჟაკ რუსოს აღმზრდელობითი სისტემის მიმდევარი.

<sup>3</sup> იოჰან ჰაინრიხ პესტალოცი (1746-1827) — შვეიცარიელი პედაგოგი, სკოლის რეფორმატორი, ჟან-ჟაკ რუსოს პედაგოგიური სისტემის განმგრძობი.

გაკქვს საქმე, მით ნაკლებ თავისუფლებაზე გვიხდება ლაპარაკი. ეს საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტება გახლავთ კულტურის ზრდა მოთხოვნილებების ზრდას ნიშნავს; მოთხოვნილებებთან კი... აი, ამ აუბედითი იფნის წყებლის წყალობით ჩემმა პატრონმა უპირველესად სწორედ იმ ბუნებრივი მოთხოვნილებების დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებას გადამაჩვია, რის დროსაც ჩემთვის არ არსებობდა ადგილისა და დროის პრობლემა. ამის მერე მაესტრომ ჩემს პატარ-პატარა წუწკობებს გამოუცხადა ბრძოლა. როგორც მოგვიანებით დაურწმუნდი, ჩემი ზოგიერთი სისუსტე თურმე მხოლოდ და მხოლოდ განსაკუთრებული სულიერი განწყობილების შედეგი გახლდათ შესაძლოა, ეს უჩვეულო განწყობა, ჩემს ფსიქიკაზე რომ იყო დამოკიდებული, მაიძულებდა, მიმეტოვებინა საკუთარი ჩემთვის მომზადებული რძე და ასე განსაჯეთ, შემწვარი ხორციც კი, აუმხტარიყავი მაგიდაზე და მეტლიკა პატრონისათვის გაშხადებული საჭმელი. ჰოდა, რაკილა იფნის წყებლას გემო გავუგე, ამ უხეირო ჩვეულებასაც შევეშვი. უნდა ვაღიარო: პატრონი საყსებით მართალი ბრძანდებოდა, როდესაც ჩემში მსგავსი მანკიერებების აღმოფხვრას ცდილობდა. ბევრი ჩემი უფრო ნაკლებად კულტურული და ზრდილი თანამემამულე გადააწყდა დიდ უბედურებებს ამ მანკიერების გამო, უფრო მეტიც, ამ უბედურებებმა ბევრი ჭაბუკი კატის მთელს ცხოვრებას დაასუ დაღი. მაგალითად, ჩემამდე მოაღწია ხმამ, თითქოს ერთ ჩემს უნებისყოფო თანამოდმეს, დიდ მომაუაღს რომ უწინასწარმეტყველებდნენ, შესაფერის წუთებში ვერ გამოეჩინოს საჭირო სიმტკიცე, ვერ გაეძლოს ცდუნებისათვის და ჯამიდან ამოესვლიპოს რძე. ჰოდა, ეს სიამოვნება საკუთარი კუდის ფასად დასჯდომია საბრალოს და გამასხარაუებული და შეურაცხყოფილი განდგომია ამა ქვეყანას. ამრიგად, ჩემი პატრონი მართალი გახლდათ, როცა ჩემში დამლუპველ მანკიერებათა აღმოფხვრას ცდილობდა. მაგრამ ერთი კი ვერ მიპატიებია მისთვის: რატომ უნდა აღდგომოდა იგი წინ ჩემს სწრაფვას მეცნიერებისა და ხელოვნებისაკენ?!

ჩემი პატრონის ოთახში არაფერი მიტაცებდა ეგრიგად, როგორც წიგნებით, ქაღალდებითა და ათასგვარი უცნაური ნივთით დახუნძლული საწერი მაგიდა. შემიძლია ვთქვა, რომ ეს მაგიდა ანდამატებით მიზიდავდა, მაგრამ რაღაც შინაგანი მოკრძალება ხელს მიშლიდა მთელი არსებით მივცემოდი დაუცხრომელ ვნებათაღელვას. დაბოლოს, ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც ჩემი პატრონი შინ არ



გახლდათ, დავძლიე შიში და მაგიდაზე ავხტი. ო, რაოდენ დიდი იყო ჩემი ბედნიერება, ბოლოს და ბოლოს წიგნებისა და ქალაქების ამ ჯადოსნურ სამყაროში რომ დავიგულე თავი და მათი ქექვა დავიწყე. არა, ეს მორიგ ანცობად არ ჩამითვალთ! მხოლოდ ცნობისმოყვარეობამ და ცოდნის წყურვილმა ამაღებინა ერთ-ერთი ხელნაწერი და იმდენ ხანს მატრიალებინა თათებში, ვიდრე ნაკუწ-ნაკუწად არ იქცა. სწორედ ამ დროს შემოვიდა ოთახში ჩემი პატრონიც. დაინახა თუ არა ჩემი ნამოქმედარი, შეურაცხყოფელი ლანძღვა-გინებით გამოემართა ჩემკენ. „ო, შე წყეულო, შენაო!“ — შეჰყვირა აღშფოთებულმა და ისე გამეტებით გადამაწნა იფნის წკეპლა, სიმწრისაგან დავიკლაკნე, ავკნაულდი და ღუმელქვეშ შევძკერი. მთელი დღე გალურსული ვიჯექი იქ და ჩემი პატრონის ალერსიანმა სიტყვებმაც კი ვეღარ მაიძულა, დრუნჩი გამომეყო საფრიდან. აბა, ასეთი დასაწყისი ვის არ წაართმევდა ხალისსა და სურვილს, ხელი აეღო თავად დედაბუნების მიერ ნაწყალობევ ნიჭზეც კი? მაგრამ, დახე, ტკოვილი ჯერ კიდევ მთლიანად არ მქონდა დამცხრალი, რომ კვლავ შემიპყრო მაგიდაზე ახტომის ავბედითმა სურვილმა. თუმცა, ჩემი პატრონი შემომძახებდა თუ არა: „აცხა, შე უპატრონო!“ მაშინვე თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი, ასე რომ, სერიოზულ მეცადინეობას ვერა და ვერ დავაყენე საშველი. მე მაინც მოთმინებით ველოდებოდი, როდის დაჰკრავდა მეცნიერებასთან ჩემი ზიარების ჟამი, და ეს დღეც მალე დადგა.

ერთ მშვენიერ დღეს ჩემი პატრონი სადღაც წასასვლელად მოემზადა. ძალიან კარგად ახსოვდა დაგლეჯილი ხელნაწერის ამბავი და ამიტომ ოთახიდან გაგდება დამიპირა. მაგრამ დრო ვიხელთე და ისე მოხერხებულად დავიმალე, ეშმაკიც ვერ მიპოვიდა. მაესტროს ოთახიდან გასვლა და საწერ მაგიდაზე ჩემი ასკუპება ერთი იყო. ნებიერად გავწექი გაშლილ ქალაქლებზე, რამაც ენით აუწერელი სიამონება მომანიჭა. აღფრთოვანებულმა თათით გადავშალე ერთი საკმაოდ სქელი წიგნი და შევეცადე, გამერჩია, რომელი ნიშანი რას ნიშნავდა. თავდაპირველად, ასოებს ვერც თავი გავუგე და ვერც ბოლო, მაგრამ ფარ-ხმალი მაინც არ დამიყრია. სასწაულის მოლოდინში მონუსხულვით ჩავშტერებოდი წიგნს, იმედი მქონდა, რომ ბოლოს და ბოლოს გონება გამეხსნებოდა და კითხვას დავიწყებდი. წიგნში თავჩარგულმა ვერ შევნიშნე, როგორ შემოსულიყო ოთახში მაესტრო და თავს დამდგომოდა. გამძვინვარებულმა ერთი კი შესძახა: „შეხედეთ, ეს წყეუ-



ლი ისევ რაღაცას ხეხსო“ და ხელი მომიღერა. თავის შველაზე ფიქრი გვიანდა იყო. შიშისაგან გავილურსე, გორგალოვით დავიგრავნე და ზურგზე წკეპლის მოქნევას დაუწყე ლოდინი. მაგრამ მაესტრომ სრულიად მოულოდნელად ძირს დაუშვა ჩემს საცემრად აღმართული ხელი, ახარხარდა და წამოიძახა: „კატავ, ჰეი, ჩემო კატავ, ნუთუ მართლა შეგიძლია კითხვა? ჩემო კარგო, ამას კი ვერ აგიკრძალავ, რადგან ამის არც უფლება მაქვს და არც სურვილი. დახე, როგორ უძძლავრია შენში სწავლა-განათლებისაკენ სწრაფვას?“ მაესტრომ თათბქვეშიდან გადაშლილი წიგნი გამომაცალა და კიდევ უფრო ხმამაღალი ხარხარი მორთო: „რაო, რაო? გეტყობა, შენ საკუთარი პატარა ბიბლიოთეკაც შეგიდგენია, არა? თორემ, აბა, სხვა რა შეიძლება იფიქროს კაცმა? ეს წიგნი საიდან გაჩნდა ჩემს მაგიდაზე? კი, ბატონო, რა გაქწყობა! რაკი ასეა, იბეჯითე, ჩემო კატუნიაჟ, იმის ნებასაც კი გაძლევ, ოდნავ გაჩხაპნო წიგნში განსაკუთრებით საინტერესო ადგილები“. ამ სიტყვებით მან ხელახლა ამომიღო თათბქვეშ გადაშლილი წიგნი. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, ეს გახლდათ კნიგეს<sup>1</sup> თხზულება „ადამიანებთან ურთიერთობის შესახებ“. ამ შესანიშნავი წიგნიდან მართლაც ბევრი ცხოვრებისეული სიბრძნე ამოვხაპე. პირდაპირ გასაოცარია, როგორ ესადაგება ეს ნაშრომი ჩემს სულს. რაოდენ სასარგებლოა იგი კატების იმ კატეგორიისათვის, ადამიანთა საზოგადოებაში თავიანთი ადგილის პოვნა რომ სწადიათ ამ წიგნის მიზანიც სწორედ ეს გახლავთ, მაგრამ, როგორც ვიცი, მას დღემდე არ ეთმობა ჯეროვანი ყურადღება. სწორედ ამის გამო დამკვიდრდა მცდარი აზრი, თითქოს ადამიანს, რომელიც ამ წიგნში ჩამოთვლილი წესებითა და კანონებით იცხოვრებს, აუცილებლად გაუვარდება უსულგულო, დახავსებული პედანტის სახელი.

ამიერიდან მაესტრო არათუ მაძლევდა საწერ მაგიდაზე ჯდომის უფლებას, არამედ ძალზე უხაროდა, როცა ვისკუპებდი და პირდაპირ მის ქაღალდებზე მოვიკალათებდი ხოლმე, თვითონ კი ამ დროს მუშაობას განაგრძობდა.

მაესტრო აბრაჰამს ჩვეულებად ჰქონდა, საათობით ხმამაღლა ეკითხა წიგნი. ასეთი შემთხვევა კი, ვცდილობდი, ხელიდან არ გამეშვა. მოხერხებულად დაუჯდებოდი ხოლმე, თანაც საკმაოდ შორს,

<sup>1</sup>ადოლფ კნიგე (1752-1796) — გერმანელი მწერალი, ავტორი წიგნისა „ადამიანებთან ურთიერთობის შესახებ“ (1788), რომელიც შეიცავს საზოგადოებაში ქცევის წესებს.

რომ მისთვის ხელი არ შეემშალა, მაგრამ ჩემს საქმეს მაინც ვაკეთებდი, მშვენივრად ვიხედებოდი წიგნში, რადგან, მოგეხსენებათ, ბუნებას ჩემთვის მახვილი თვალი არ დაუშურებია. ამ ხერხით წიგნში დაბეჭდილ ნიშნებს იმ სიტყვებს ვადარებდი, მაესტრო რომ წარმოთქვამდა და სულ მოკლე ხანში კითხვაც ვისწავლე. ვისაც ჩემი ნაამბობი არასარწმუნოდ მოეჩვენება, უნდა მოვახსენო, ეტყობა, მას წარმოდგენაც კი არ ჰქონია იმ საოცარ ნიჭიერებაზე, დედაბუნებამ რომ დამაბერტყა თავს. სამაგიეროდ, გენიალური ადამიანები ადვილად გამიგებენ და დამათვასებენ და ეჭვიც კი არ შეეპარებათ სწავლების ასეთი მეთოდის ჭეშმარიტებაში, რამეთუ, ალბათ, საკუთარ თავზე გამოცდილი ექნებათ იგი. აქვე არ შემიძლია, არ გაგიზიაროთ ჩემი აზრი, ერთ-ერთი, ძალზე ყურადსაღები დაკვირვების თაობაზე. ეს დაკვირვება იმ მიზნით ჩავატარე, რათა რაც შეიძლება სრულყოფილად გამეგო ადამიანური მეტყველების წერილმანები. უნდა გამოგიტყდეთ, თავად არ ვიცი, როგორ მიუედი აქამდე და რა გზით დავეუფლე ადამიანთა ენას. გამიგონია, თავად ადამიანებიც ამას ამბობენო; რა თქმა უნდა, ეს ამბავი სრულიადაც არ მაოცებს, რადგან ადამიანთა ნაშიერები, ბაღლობაში, ჩვენზე გაცილებით სულელები და უმწეონი არიან. აი, რატომ ვამბობ ამას: სულ ერთი ბეწო ციცუნია ვიყავ, მაგრამ არასოდეს ვცდილვარ საკუთარი თვალების ამოკორტნას; არც ის მახსოვს, თათები ცეცხლში ჩამეყოს, ანთებული სანთლისათვის წამეტანებინოს ანდა ფეხსაცმლის საცხი მიმერთვას ალუბლის მურაბის ნაცვლად, რის გაკეთებაც ასე ხშირად სჩვევიათ ხოლმე ადამიანთა მოდგმის პაწია ნაშიერებს.

და, აი, მალე წყალივით დავიწყე კითხვა. დღითი დღე ვიტენიდი თავს სხვების ნააზრევით. ბოლოს და ბოლოს, დაუოკებელი სურვილი დამებადა, დროის მსახვრალი ხელისათვის როგორმე გამოემგლიჯა საკუთარი გენიალური აზრები, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო, ვზიარებოდი ამ აზრების ქაღალდზე გადატანის ურთულეს ხელოვნებას. ძალიან დიდი ყურადღებით ვადევნებდი თვალს ჩემი პატრონის ხელის მოძრაობას წერის დროს, მაგრამ ვერა და ვერ ჩავწვდი მათ საიდუმლოს. გულდასმით გავეცანი მხცოვანი პილმარ კურასის<sup>1</sup> წიგნს. ეს სუფთა წერის ერთადერთი სახელმძღვანელო

<sup>1</sup> პილმარ კურასი — გერმანელი პედაგოგი, ავტორი წიგნისა „სუფთა წერის სახელმძღვანელო“ (1714).

გახლდათ, ჩემს მფარველთან რომ ვიპოვე. ანაზღად გონება გამინათდა: მივხვდი, რომ წერის რთული ხელოვნების საიდუმლოებას მხოლოდ და მხოლოდ დიდი მანუქტის წყალობით თუ ჩავწვდებოდი. სახელმძღვანელოში სწორედ ასეთი მანუქტიანი ხელი იყო გამოხატული, მას სხვადასხვა ასო გამოჰყავდა. მართალია, მაესტრო, ჩვეულებრივ, უმანუქტებოდ წერდა, მაგრამ ეს მის არაჩვეულებრივ გაწაფულობაზე მეტყველებდა მხოლოდ: თოკზე მოსიარულე გამოცდილ ჯამბაზსაც ხომ არ ესაჭიროება დამცველი ბადე?! დაუიწყე ფიქრი, რა გზით შეიძლებოდა მანუქტების შოვნა. ის-ის იყო, დაუაპირე, ჩვენი მსახური ქალის საღამურ ჩაჩს დაგხვე და მარჯვენა თათისათვის მანუქტს გავიკეთებ-მეთქი, რომ გენიალურმა აზრმა გამიელვა თავში და ყველაფერი თავდაყირა დააყენა. მივხვდი, რატომ არ შემიძლო ჩემი პატრონოვით მოხერხებულად დამეჭირა კალამი! ეს ხომ უშუალოდ ჩვენი კიდურების სხვადასხვაგვარ აგებულებასთან იყო დაკავშირებული. ჩემი ვარაუდი ფაქტებმა დამიდასტურა. ამიტომ საჭირო გახდა, გამომენახა კალმის ხელში ჭერის ისეთი ხერხი, რომელიც ჩემი მარჯვენა თათის წყობას მიესადაგებოდა. ალბათ, მიხვდებით, რომ ეს ხერხიც მალე გამოვნახე. აი, სწორედ ინდივიდუუმთა განსხვავებული ორგანიზაციის წყალობით იქმნება ხოლმე ამქვეყნად ახალ-ახალი სისტემები.

მაგრამ წინ კიდევ ერთი სიძნელე გადამელობა: საქმე ის არის, რომ საჭირო იყო, კალამი მეღანში ჩამეწო ხოლმე. ვერაფრით ვახერხებდი, თათი ისე შემოძრავებინა, რომ მეღანში არ ამომეთხუპნა. ამიტომაც ჩემი პირველი ასოები უფრო თათით არის გამოყვანილი, ვიდრე კალმით და, ცოტა არ იყოს, ოკრობოკროდ ნაწერის შთაბეჭდილებას ტოვებს. შესაძლოა, ამის გამო ჩემი პირველი მანუსკრიპტები ვინმე რეგვენს მეღნიანი ლაქებით აჭრულებული ქალაღდი ეგონოს მხოლოდ. გონიერი კაცი კი ჩემს პირველსავე ქმნილებებზე მიხვდება, რომ საქმე აქვს გენიალურ კატასთან და გაოცდება ჩემი გონებიდან უეცრად ამოხეთქილი ნიჭის სიღრმითა და სრულყოფილებით იმისათვის, რომ მომავალ თაობებში დაუა არ გამოიწვიოს ჩემი უკვდავი ქმნილებების ქრონოლოგიურობის საკითხმა, აქვე მოგახსენებთ, რომ ჩემი პირველი ნაწარმოები გახლდათ ფილოსოფიური ხასიათის სენტიმენტალურ-დიდაქტიკური რომანი „გონება და გუმიანი, ანუ კატა და ძაღლი“. უკვე ჩემი ამ პირველი ნაშრომით



შემქმნელი მიმექცია მთელი მსოფლიოს ყურადღება. მოგვიანებით, როდესაც თითქმის ყველა მეცნიერებას მოუუსინჯე კბილი, დაწვე-  
რე პოლიტიკური ტრაქტატი სათაურით: „სათაგურებისა და მათი  
ზემოქმედების შესახებ კატათა მოდგმის მსოფლმხედველობასა და  
მოღვაწეობაზე“. ჩემი შთაგონების მორიგი აღტყინების ნაყოფი გახ-  
ლდათ ტრაგედია „ვირთხების ხელმწიფე კაუდალორი“. დარწმუნე-  
ბული ვარ, ამ ტრაგედიის დადგმა თამამად შეიძლებოდა მსოფლიოს  
თითქმის ყველა თეატრის სცენაზე. ეს ნაწარმოებები და კიდევ მრავალი  
სხვა ჩემი ამაღლებული სულის გამოვლინების ბრწყინვალე  
შედგენი გახლავთ და მათ სათანადო ადგილი უნდა დაიკავონ ჩემს  
რჩეულ თხზულებებში. თუ რა გარემოებებმა მაიძულა, დამეწერა  
ისინი, ამაზე უფრო დაწვრილებით სხვა ადგილას მოგახსენებთ.

მაღე მშვენიერად დავეუფლე კალმის ხმარებას, აღარც თათი მეს-  
ვრებოდა, სტილიც სულ უფრო და უფრო დამეხვეწა და მსუბუქი,  
ნათელი და სასიამოვნო გამიხდა. ახლა უკვე ვამჯობინებდი მეწერა  
„მუზების ალმანახის“ სტილში. კიდევ და კიდევ ვქმნიდი მშვენიერ  
ნაწარმოებებს, ძალიან მაღე გადავიქეცი მგრძნობიარე და მომხიბ-  
ლავ მამაკაცად და ეს სახელი მას შემდეგ საყოველთაოდ გამივარდა  
კიდევც. იმ დროისათვის კინალამ არ დაწვერე ოცდაოთხი სიმღერი-  
საგან შემდგარი ჰეროიკული პოემა, მაგრამ როდესაც დაუასრულე,  
მოვხვდი, რომ სულ სხვა რაღაც გამომივიდა. ამისათვის ტასომ<sup>1</sup> და  
არიოსტომ,<sup>2</sup> საფლავში მშვიდად რომ განისვენებენ, მამაზეციერს  
მადლობა უნდა შესწირონ. ეს პოემა მართლა რომ გამოსულიყო  
ჩემი თათებიდან, ეჭვი არ არის, შთამომავლობა ორივეს სამუდამო  
დავიწყებას მისცემდა.

ახლა კი შევუდგები...

(სამაკ. თაბ.) ...იმისათვის, რომ ღრმად ჩასწვდეთ ჩემი ნაამბობის  
არსს, საჭიროდ მიმაჩნია, ძვირფას მკითხველს უფრო დაწვრილე-  
ბით გაეაცნო საქმის ვითარება.

ვინც კი ერთხელ მაინც ჩამომხტარა ჩვენი მშვენიერი ქალაქის,  
ზიგჰარტსვაილერის სასტუმროში, არ შეიძლება, არ გაეგონოს მთა-

<sup>1</sup> ტორკვატო ტასო (1544-1595) — აღორძინების ხანის იტალიელი პოეტი, ავტორი  
ეპიკური პოემისა „გათავისუფლებული იერუსალიმი“.

<sup>2</sup> ლოდოვიკო არიოსტო (1474-1533) — იტალიელი პოეტი.

ვარ ირენეუსის სახელი. როგორც კი მგზავრი ამ მხარეში სასტუმროს მხარეულს სახელგანთქმულ კალმახის კერძს დაუკვეთდა, მეპატრონე მყისვე მასთან გაჩნდებოდა და შენიშნა და ხოლმე: „დიახ, ბატონო ჩემო, საკლებით მართალი ბრძანდებით. მის უდიდებულესობა ბრწყინვალე მთავარსაც ძალიან უყვარს კალმახის კერძი, ხოლო ჩვენთან ისევე გვემარჯვება ამ კერძის გემრიელად დაშხადება, როგორც სასახლის კარზეო“. ამ დროს ყველა მეტ-ნაკლებად საქმეში ჩახედულმა მგზავრმა, უახლესი გეოგრაფიის სახელმძღვანელოდან იქნებოდა ეს, გეოგრაფიული რუკებიდან თუ სტატისტიკური მონაცემებიდან, იცოდა, რომ ქალაქები ზიგპარტსვაილერი და გაიერშტაინი, თავიანთი შემოგარენით, დიდი ხანია მიუერთეს დიდ საჰერცოგოს. სწორედ ამ საჰერცოგოზე უნდა გაეგლო ახლა ყველა მგზავრს და წარმოიდგინეთ, რა დიდი იქნებოდა მისი გაოცება, როდესაც აქ ბრწყინვალე მთავარსა და მის სამეფო კარს წააწყდებოდა ხოლმე. მაგრამ საქმის ვითარება სულ ადვილად შეგვიძლია აგისხნათ: მთავარი ირენეუსი ერთ დროს მართლაც განაგებდა ზიგპარტსვაილერის თვალწარმტაც მხარეს. თავისი სასახლის ბელკედერიდან<sup>1</sup> ჭოგრიტით შეეძლო თვალი მიმოეწყო თავისი სამფლობელოსთვის და კიდით-კიდემდე დაენახა იგი. ამიტომაც მის მახვილ მზერას არაფერი გამოეპარებოდა ხოლმე. იგი თავისი საყვარელი ხელქვეითების ჭირისუფალი თუ მუდმივი თანაზიარი იყო ჭირსა და ლხინში. როცა კი მოისურვებდა, მაშინვე შეეძლო გაეგო, ქვეყნის რომელიღაც მივარდნილ კუთხეში ხორბლის როგორ მოსავალს მოიწევდა წლეულს მაგანი პეტერი, ანდა თვალყური ედევნებინა, ბეჯითად შრომობენ თუ არა თავიანთ ვენახებში ჰანსი და კუნცი. ხმები დადიოდა, მთავარ ირენეუსს თავისი პაწია სახელმწიფო ჯიბიდან ამოუვარდა და დაკარგა, როდესაც მეზობელ ქვეყანაში სასეირნოდ იყო წაბრძანებულიო.<sup>2</sup> ასეა თუ ისე, როცა ხელახლა გამოსცეს დიდ საჰერცოგოში შემავალი სახელმწიფოების შესწორებული და განახლებული სია, მთავარ ირენეუსის პაწია სამფლობელოც მის შემადგენლობაში აღმოჩნდა. ამიერიდან მთავარს მთლიანად მოეხსნა ზურგიდან სა-

<sup>1</sup> სახლზე ან რაიმე მადლობზე აგებული კოშკი, საიდანაც იშლება მიდამო, ხედი.

<sup>2</sup> „მთავარ ირენეუსს თავისი პაწია სახელმწიფო ჯიბიდან ამოუვარდა და დაკარგა, როდესაც იგი მეზობელ ქვეყანაში სასეირნოდ იყო წაბრძანებულიო“ — ესე იგი, მისი სახელმწიფო სხვას შეუერთეს იმ დროს, როდესაც იგი ნაპოლეონს გაექცა.



ხელმწიფოს მართვის მძიმე ტვირთი. მას თავისი ყოფილი სამფლობელოების ხარჯზე კარგა გვარიანი შემოსავალი დაენიშნა, რითაც საკმაოდ ხელგაშლილ, უდარდელ და მხიარულ ცხოვრებას მიჰყო ხელი წარმტაცი ზიგპარტსვაილერის სასახლის კარზე.

თავისი პაწია სახელმწიფოს გარდა, მთავარი ირენეუსი პირადად მის განკარგულებაში არსებული მნიშვნელოვანი კაპიტალის მფლობელიც გახლდათ ასე და ამგვარად, ეს წვრილი ფეოდალი მსხვილ დიდგვაროვანად გადაიქცა და შეეძლო თავისი ცხოვრება კვლავ საკუთარი ნება-სურვილითა და გუნება-განწყობილებით აეწყო.

მთავარ ირენეუსს დიდად განსწავლული კაცის სახელი ჰქონდა გაუარდნილი. იგი მფარველობდა მეცნიერებასა და ხელოვნებას. ყველაფერ ამას, აი, კიდევ, რა უნდა დაეუმატოთ ამბობენ, იმ დროს, როცა მთავარი მტკივნეულად განიცდიდა ქვეყნის მართვის სიმძიმეს, თავის ლექსებში გამოხატა რომანტიკული სურვილი, სიამოვნებით ვიცხოვრებდი იდილიური ცხოვრებით, მორაკრაკე წყაროსთან განმარტობით მდგომ პატარა სახლში, *procul negotiis*,<sup>1</sup> საყვარელი შინაური ცხოველებით გარემოცულიო. ჰოდა, ახლა, როცა უკან დარჩა მმართველობის მძიმე წლები, ბუნებრივია, ყველას ეგონა, მთავარი გამოიყენებს თავის სიმდიდრეს, დამოუკიდებლობას და ერთიანად ოჯახური ბედნიერების მორეჟში ჩაიძირებაო, მაგრამ ნურას უკაცრავად!

ბუნებრივია, სასახლის კარის ცხოვრება განუყოფელია მეცნიერებისა და ხელოვნებისაგან, რისკენაც ესოდენ ილტვიან ძლიერნი ამა ქვეყნისა. დიდგვაროვანისთვის აუცილებელია, ჰქონდეს სურათების კოლექცია და უსმენდეს მუსიკას. ცოტა არ იყოს, უხერხულად ითვლება, რომ სასახლის კარის მკინძავი უსაქმურად იჯდეს და ტყავის ყდაში არ სვამდეს ან ოქროთი არ ავარაყებდეს უახლესი ლიტერატურის ქმნილებებს. და თუ ეს ყველაფერი ასეა, თუ დიდგვაროვანთა სიყვარული მეცნიერებისა და ხელოვნებისადმი სასახლის კარის ცხოვრების განუყოფელ ნაწილს შეადგენს, მაშინ იგი მასთან ერთად უნდა ქრებოდეს კიდევც. ამ სიყვარულს, თავისთავად, არც რაიმე სიხარულის მოტანა ძალუძს და არც ის შეუძლია, რეგენტს ნუგეში სცეს დაკარგული გვირგვინის, ან უფრო სწორად,

<sup>1</sup> საქმეებს ჩამოშორებული (ლათ).



პაწია სათამაშო სკამის გამო, რომელზედაც მისი ბრწყინვალეობა იყო მიჩვეული ჯდომას.

მთავარ ირენეუსს კი არც ერთი დაუთმია და არც მეორე. სასახლის კარის უზრუნველ ცხოვრებას მეცნიერებისა და ხელოვნებისადმი ტრფიალი შეუზავა და, ამრიგად, ცხოვრება ნეტარ სამოთხედ აქცია. ამ სამოთხეში კი თვითონაც დაიდო ბინა და თავის ახლობლებსაც და ზიგჰარტსვაილერის ყველა მკვიდრსაც სათანადო ადგილი მიუჩინა.

სხვა მხრივ კი ისევ ისე განაგრძობდა ცხოვრებას, თითქოს კვლავ ხელთ უპყრია ქვეყნის მართვის სადავეებიო: უკლებლივ დაიტოვა სასახლის მთელი ამაღა, სახელმწიფო კანცლერი, საფინანსო კოლეგია და ა. შ. და ა. შ. ქვეშევრდომებს კვლავ ძველებურად აჯილდოებდა სასახლის კარის ორდენით და მეჯლისებსაც კი აწყობდა, რომლებზედაც დიდი-დიდი, თორმეტი-თხუთმეტი დიდებული ესწრებოდა ხოლმე. ამ მეჯლისებზე გაცილებით მკაცრად იცავდნენ ეტიკეტს, ვიდრე დიდ სახელმწიფოთა სასახლის კარზე, ხოლო ქალაქის კუთილი მკვიდრნი თავს ისე იჭერდნენ, თითქოს სასახლის კარის ამ ყალბ, მოჩვენებით ბრწყინვალეობას პატივი და დიდება მოჰქონდა მათთვის. ასე და ამრიგად, კუთილი ზიგჰარტსვაილერები მთავარ ირენეუსს მიმართავდნენ „თქვენო ბრწყინვალეობაო“, ლამპიონებით აჩირაღდნებდნენ თავიანთ ქალაქს მთავრისა და მისი ოჯახობის დღეობის ზეიმებზე და, საერთოდ, სიამოვნებით ეწირებოდნენ მსხვერპლად სასახლის კარის გართობებსა და დროსტარებას, ვითარცა ათენელი მოქალაქენი შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარში“.<sup>1</sup>

რაც მართალია, მართალია: მთავარი ირენეუსი თავის როლს შთამაგონებელი პათოსით ასრულებდა და იმასაც ახერხებდა, რომ ეს პათოსი გარშემო მყოფებსაც გადასდებოდათ. აი, ზიგჰარტსვაილერის კლუბში მობრძანდება სასახლის ფინანსთა მრჩეველი — დაღვრემილი, გულჩახვეული და სიტყვაძუნწი. შუბლზე ქუფრი ღრუბლები ჩამოსწოლია, დროდადრო ღრმა ფიქრებში იძირება, მერე კი დარეტიანებული წამოხტება ადგილიდან, თითქოს ეს-ეს არის, ძილიდან გამოერკვაო! მისი თანდასწრებით ყველა თითის წვერებზე დადის,

<sup>1</sup> „ვითარცა ათენელი მოქალაქეები შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარში“ — შექსპირის კომედიაში „ზაფხულის ღამის სიზმარი“ ათენელი ხელოსნები ართობენ პერცოვს და მის წინ პიესას გაითამაშებენ.

ხმამაღლა სიტყვის თქმას ვერაუინ ბედავს. აი, ცხრა საათმაც ჩამოპკრა. მრჩველი ფეთიანოვით წამოხტება, ქუდს დასტაცებს ხელს და წასასვლელად ეშხადება. ამოდ ემუდარებიან, დარჩითო. იგი ამაყი, მრავლისმთქმელი ღიმილით ცდილობს, დაარწმუნოს დამსწრენი, ქალაღდის მთელი მთები მელოდება, ალბათ, დამისთუვა მოძიწევს, რომ მოვეშხადო კოლეგის სხდომისთვის. ეს სხდომა ამ კვარტალში უკანასკნელად უნდა ჩატარდესო. იგი სწრაფად უჩინარდება და ტოვებს გაოგნებულ საზოგადოებას; ყველა მოწიწებით შესცქერის ამ დიდი პიროვნების მნიშვნელოვანსა და რთულ მოღვაწეობას. კი, მაგრამ, რა აუცილებელი მოხსენება აქვს მოსამშხადებელი ამ საცოდავს ამაღამ? დიდი არაფერი, უბრალოდ, ყველა დეპარტამენტმა გამოგზავნა სამშარულოს, საკუჭნაოსა და ტანსაცმელთან დაკავშირებული კვარტალური სამეურნეო ხარჯები; ჩვენს ჩინოვნიკს კი დაწმენდა-დასუფთავებისა და რეცხვის საქმეები აბარია და სწორედ ამაზე უნდა დაწეროს მოხსენება. არანაკლებ თანაუგრძნობს ქალაქი სასახლის კარის მეჯინიბეთუხუცესსაც; მაგრამ ყველანი გოცუბული არიან კოლეგის ბრძნული გადაწყვეტილებით და ერთხმად გაიძახიან: „მკაცრია, მაგრამ სამართლიანიო!“ გამოირკვა, რომ მავან დიდებულს, მიღებული მითითების თანახმად, გაუყიდია ხმარებისათვის უკვე გამოუსადეგარი ეტლის წინა ნაწილი; ჰოდა, ფინანსთა კოლეგია დამუქრებია, დაუყოვნებლოვ გაგათავისუფლებთ სამსახურიდან, თუ სამ დღეში არ მოგვახსენებთ, რა ბედი ეწია ეტლის უკანა ნაწილს, შეიძლებოდა იგი რამეში კიდევ გამოგვდგომოდაო.

მთავარ ირუნეუსის სამეფო კარის მოკაშკაშე ვარსკვლავი მრჩველი ბენცონი გახლდათ. ოცდაათ წელს გადაცილებულ ქვრივს ახალგაზრდობაში მზეთუნახავის სახელი ჰქონია გავარდნილი, თუმცა, დღესაც შემორჩენოდა პეწი და მომხიბლაობა. სასახლის კარზე ერთადერთი ადამიანი იყო, ვის დიდგვაროვნულ წარმოშობასაც ეჭვის თვალით უცქერდნენ. ამ ქალში ნათელი, გამჭრიახი გონება, ცხოვრებისეული სიბრძნე და, რაც მთავარია, ერთგვარი ცოვი ხასიათი ჰარმონიულად იყო შერწყმული მბრძანებლობის ნიჭთან. ყველაფერ ამას ქალბატონი ბენცონი დიდის მოხერხებულობით იყენებდა, ასე რომ, ფაქტობრივად, მას ეჭირა ხელში ყველა ძაფი, რის წყალობითაც სასახლის კარის თოჯინების თეატრს მართავდა. მისი ქალიშვილი იულია პრინცესა ჰედვიგასთან ერთად იზრდებოდა, და



ქალბატონ მრჩვეულს ისე დიდი გავლენა ჰქონდა მთავრის ასულზე, რომ იგი ოჯახურ წრეში უცხო ფრინველივით მოჩანდა. განსაკუთრებით განსხვავდებოდა პრინცესა ჰედვიგა თავისი ძმისაგან. საქმე ის არის, რომ ყრმა პრინცი იგნატიუსი ჭკუასუსტი გახლდათ და მარადიული ბავშვობისთვის იყო განწირული.

სასახლის კარის საქმეებში ქალბატონი მრჩვეულივით ღრმად იყო ჩახედული და ასევე დიდი გავლენით — ოღონდ სულ სხვაგვარად, — სარგებლობდა ერთი უცნაური ადამიანი. ძვირფასო მკითხველო, შენ მას უკვე იცნობ, როგორც მთავარ ირენეუსის სასახლის კარის maître de plaisir-სა<sup>1</sup> და დამცინავ შავ მოგვს.

სასახლის კარზე მაესტრო აბრაჰამი საკმაოდ საინტერესო გარემოებებში მოხვდა.

ცხონებული მამა მთავარ ირენეუსისა მეტად უბრალო და რბილი ხასიათის კაცი გახლდათ მან მშვენივრად უწყოდა, რომ პატარა ბიძგსაც კი შეუძლია ლუკმა-ლუკმად აქციოს მისი სახელმწიფოებრივი მანქანის სუსტი მექანიზმი, ნაცვლად იმისა, დააჩქაროს ამ მანქანის რბოლა. და რამეთუ მან ქვეყანაში ყველაფერი ისევე დატოვა, როგორც ეს ათადან და ბაბადან დაქწესებინათ, ხშირად ეცლებოდა ხოლმე შემთხვევა ხელიდან, გამოემზეურებინა თავისი ბრწყინვალე გონება და ვინ უწყის კიდევ, ღვთითბოძებული რამდენი მადლი. მისი უდიდებულესობა იმითლა თუ ინუგეშებდა თავს, რომ მის სამთავროში ყველა დიდებულად გრძნობდა თავს. სხვა ქვეყნების დამოკიდებულება მისი სახელმწიფოსადმი კი ქალის პატიოსნების ანალოგიას მოგაგონებდათ: რაც უფრო ნაკლებს ლაპარაკობდნენ მასზე, მით უფრო უზადო მოჩანდა იგი. და თუ სასახლის კარზე უჩვეულო სიმკაცრეს, ცერემონიულობასა და ძველმოდურობას მოეკიდებინა ფეხი, თუ მთავარს ვერ მოესწრო ზიარებოდა ზოგიერთ ახალმონაქროლ იდეას, ამაში მხოლოდ და მხოლოდ ის მოუქნელი ხის მექანიზმი იყო დამნაშავე, ობერჰოფმაისტერები, ჰოფმარშლები და კამერჰერები რომ შეადგენდნენ ერთად. მაგრამ ამ მექანიზმის შიგნით ერთი ისეთი ბორბალი ტრიალებდა, რომლის გაჩერებაც არც ერთ ჰოფმაისტერსა და მარშალს არ ძალუძდა. ეს გახლდათ მთავრის თანდაყოლილი სწრაფვა ყოველივე ფანტასტიკურის, უჩვე-

<sup>1</sup> ზეიმების მომწეობი (ფრანგ.).



ულოსა და იდუმალისადმი. ცნობილი ხალიფა ჰარუნ-ალ-რაშიდის<sup>1</sup> მაგალითისამებრ, ხშირად უყვარდა ქალაქსა და მის გარეუბნებში გადაცმული ხეტიალი. ამ გზით ცდილობდა, დაეკმაყოფილებინა, ანდა ცოტაოდენი საზრდო მაინც მიეცა თავისი ამ გატაცებისათვის, სრულიად რომ არ შეესაბამებოდა მისი ცხოვრების ყაიდას. ასეთ შემთხვევებში მთავარი დაიხურავდა ხოლმე მრგვალ ქუდს, ჩაიცვამდა ნაცრისფერ ქურთუკს და ამ დროს უკვე ყველამ იცოდა, რომ მისი ცნობის უფლება არავის ჰქონდა.

ერთხელაც ისე მოხდა, რომ გადაცმული და საიდუმლოებით მოცული მთავარი გრძელ ხეივანს დაუყვა. გზა თავდებოდა განმარტოებით მდგარ სახლთან, სადაც სასახლის მზარეულის ქვრივი ცხოვრობდა. ის-ის იყო, სახლს მიუახლოვდა, რომ კარი გაიღო და იქიდან მოსასხამში გახვეული ორი უცნობი ფრთხილად გამოვიდა. სასახლის კარის მემატიანე, ვისაც ეს ცნობები დავესესხე, ირწმუნება, მთავარს ამ ნაცრისფერ ქურთუკში კი არა, ორდენებითა და ვარსკვლავებით დამშვენებულ სამეფო სამოსშიც ვერ შეამჩნევდა კაცი, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ უკუნეთი ღამე იდგაო. და აი, მოსასხამში გახვეული უცნობები მთავარს გაუსწორდნენ და მისი უდიდებულესობა შემდგვი საუბრის მოწმე გახდა.

ერთმა თქვა: „საყვარელო ძმაო, ძალიან გთხოვ, ამჯერად მაინც მოიკრიბო ჭკუა და გონება და შენებური ვირობა არ გამოიჩინო. ეს კაცი მანამდე უნდა გავაქროთ, ვიდრე მთავარი ყურს მოჰკრავდეს მასზე რამეს, თორემ წყეული ჯადოქარი კისერზე შეგვაჯდება და ყველას დაგვლუპავს თავისი ეშმაკური ოინბაზობებით!“

მეორემ მიუგო: „*Mon cher frère,*<sup>2</sup> ძალიან გთხოვ, ნუ გაცხარდები. კარგად მოგეხსენება ჩემი ჭკუა-გონების ამბავი, ჩემი *savoir faire,*<sup>3</sup> ხვალვე გავაპანლურებ აქედან ამ თაღლითს და მერე იქ უჩვენოს თავისი ოინები, სადაც მოეპრიანება, აქ კი მისი დატოვება აღარ შეიძლება. მთავარი ხომ...“

აქ უცნობის ხმა სიბნელემ შთანთქა და მთავარმა ველარ შეიტყო, რა აზრისა გახლდათ ბატონი ჰოფმარშალი მის უდიდებულესობაზე.

<sup>1</sup> ჰარუნ-ალ-რაშიდი (786-809 წწ.) — ხალიფა, „ათას ერთი ღამის ზღაპრებში“ გამოყვანილია იდეალურ მმართველად.

<sup>2</sup> ჩემო საყვარელო ძმაო (ფრანგ.).

<sup>3</sup> მოხერხებულობა (ფრანგ.).

დიახ, სახლიდან საიდუმლოდ გამოსული ორი ვაჟბატონი სასახლის ჰოფმარშალი და მისი ძმა — მონადირეთუხუცესი ბრძანდებოდნენ. მთავარმა ხმაზე მშვენივრად იცნო ისინი.

ადვილი მისახვედრია, თუ პირველად რას მოიმოქმედებდა მისი ბრწყინვალეობა. გადაწყვიტა, დაუყოვნებლოდ მოეძებნა ის სახიფათო ჯადოქარი, რომელთანაც მის შებვედრას ასე ჯიქურ აღსდგომოდნენ წინ. მთავარმა კარზე მიაკაკუნა. მალე ზღურბლზე, სანთლით ხელში, ქვროვიც გამოჩნდა და როცა ნაცრისფერ ქურთუკსა და მრგვალ ქუდს ჰკიდა თვალი, ზრდილობიანად, მაგრამ ცოვად ჰკითხა მოსულს: „რა გნებავთ, monsieur?“<sup>1</sup>-ო. ასე კი მაშინ მიმართაუდნენ ხოლმე მთავარს, როდესაც ხედაუდნენ, რომ იგი გადაცმული იყო და მისი ცნობის უფლება არ ჰქონდათ. მთავარმა გამოიკითხა უცნობის ამბავი, რადგან ყური ჰქონდა მოკრული, ქვროვთან გაჩერდა სტუმრადო. ქალმა მაშინვე მოახსენა მის უდიდებულესობას, ეს კაცი მრავალი ატესტატით, პატენტითა და მოწმობით აღჭურვილი ცნობილი მოგვი გახლდათ და ახლა იგი ჩვენს ქალაქში აპირებს თავისი ხელოვნების ჩვენებასო. მერე მთავარს ისიც აუწყა: დღეს სასახლიდან ორი დიდებული ქვია, სტუმარმა მათ ისეთი საოცრებები უჩვენა და ისე განაცვიფრა ისინი, სრულიად გაფითრებული და გაოგნებული წავიდნენ აქედანო.

მთავარს აღარ დაუყოვნებია და დიასახლისს სთხოვა, წინ გასძლოლოდა. მაესტრო აბრაჰამმა (სწორედ ის გახლდათ იდუმალი მოგვი) დიდი ხნის ნანატრი სტუმაროვით მიიღო მისი ბრწყინვალეობა და კარი მაგრად ჩაკეტა.

არაუინ იცის, რა სანახაობით შეიქცევდა იმ ღამეს მაესტრო მთავარს. ცნობილია მხოლოდ, რომ ის ღამე მისმა უდიდებულესობამ მასთან გაათია, მეორე დღეს კი სასახლეში მაესტროსათვის უკვე გაშხადებული იყო ოთახები, სადაც მთავარს კაბინეტიდან საიდუმლო კარით შეუმჩნევლად შეეძლო შესვლა. ისიც ცნობილია, რომ მთავარს იმ დღიდან თავისი ჰოფმარშალისათვის აღარ მიუმართავს „mon cher ami“<sup>2</sup>-ო და მონადირეთუხუცესისთვისაც აღარასოდეს უთხოვია, მოეყოლა თუთრი, რქიანი კურდღლის ამბავი, მის საყვარელ ქვეშეურდომს თავისი პირველი ნადირობის დროს რომ გაუშვია თურმე ხელიდან, რამაც ორივე ძმა ისეთ საგონებელში ჩააგდო, რომ

<sup>1</sup> ბატონო (ფრანგ.).

<sup>2</sup> ძვირფასო მეგობარო (ფრანგ.).



მალე მიატოვეს სასახლის კარი და უგზო-უკვლოდ გადაიკარგნენ. დაბოლოს, ცნობილია ისიც, რომ მაესტრომ განაცვიფრა დიდებულები, ქალაქის მოსახლეობა და მთელი ქვეყანა არა მარტო თავისი საოცარი ხელოვნებით, არამედ იმ საოცარი კეთილგანწყობითაც, მის მიმართ რომ იჩენდა მთავარი.

მაესტრო აბრაჰამის საოცარ ხელოვნებაზე ზემოხსენებული მემატთანე იმდენ დაუჯერებელ ამბავს ჰყვება, რომ მათი აღწერის შემდგომ მეშინია, სრულიად არ დაუკარგო ძვირფასი მკითხველის ნდობა. მაგრამ ყველაზე საოცარი ჯადოქრობა, იმავე მემატთანის აზრით, აშკარად რომ ადასტურებს მაესტრო აბრაჰამის დანაშაულებრივ კავშირს ბოროტ ძალებთან, გახლავთ ეგრეთ წოდებული აკუსტიკური საოცრება; ეს სანახაობა შემდგომ „უხილავი გოგონას“ სახელით გახდა ცნობილი და დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ეს იყო ჭეშმარიტად ფანტასტიკური და გამაოგნებელი სანახაობა. ჯერ კიდევ თავის დროზე მას მაესტრო აბრაჰამი ისე მახვილგონორულად წარმოადგენდა, რომ ამაში, არც მანამდე და არც შემდეგ, ბადალი არა ჰყოლია.

გარდა ამისა, ძვირფასმა მკითხველმა, დაე, ისიც იცოდეს, რომ მთავარიც გახლდათ ზოგიერთი ამ მაგიური ცდის მონაწილე. სასახლის სეფექალები, კამერჰერები და სხვა დიდებულები ცდილობდნენ ერთმანეთისათვის ტოლი არ დაედოთ და ამ ამბავზე ათასგვარ სულელურ ვარაუდს გამოთქვამდნენ. ერთი რამ კი ყველასთვის აშკარა იყო: მაესტრო აბრაჰამი მთავარს ოქროს დაშხადების საიდუმლოებას ანდობდა, რასაც ადასტურებდა მისი ლაბორატორიის საკვამურიდან ამოსული ბოლი. არც იმაში ეპარებოდათ ეჭვი, რომ მაესტრომ მთავარი მისი მფარველი კეთილი სულების სამყაროში შეიყვანა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ მისი ბრწყინვალეა უბრალო გადაწყვეტილებასაც არ მიიღებდა მაშინაც კი, როდესაც საქმე ისეთ წვრილმან ამბებს შეეხებოდა, როგორცაა ახალი ბიურგერმაისტერისთვის პატენტის მიცემა, ანდა, სასახლის ცეცხლფარეშისათვის ხელფასის მომატება, მას რჩევა აუცილებლად თავისი აგათოდემონისათვის,<sup>1</sup> spiritum familiarem-ისათვის,<sup>2</sup> ანდა ვარსკვლავებისათვის უნდა ეკითხა.

<sup>1</sup> აგათოდემონი — ბერძნულ მითოლოგიაში მიწის სარჩოს, განსაკუთრებით კი ღვინის მფარველი სული.

<sup>2</sup> კერიის მფარველი სული (ლათ).



დიდი მთავრის სიკვდილის მერე ქვეყნის მმართველობის სადავეებმა მისი ვაჟის, ირენეუსის ხელში გადაინაცვლა, ხოლო მაესტრო აბრაჰამმა მიატოვა სასახლის კარი და იქაურობას გაეცალა. ჭაბუკ მთავარს არ დაჰყოლია ფანტასტიკურისა და საოცრებებისა კენსწრაფვის მამისეული ნიჭი. არც კი უცდია მაესტროს დაკავება, მაგრამ ძალიან მალე მიხვდა, რომ ჯადოქრის მაგიური ძალა თურმე აუცილებელი ყოფილა იმ ბოროტი სულის დასათრგუნადად, ხშირად რომ ჩაიბუდებს ხოლმე პატარა ქვეყნის სამეფო კარზე. ეს ჯოჯოხეთური მოწყენილობის სული გახლდათ. ესეც რომ არ ყოფილიყო, მოწიწების იმ გრძნობას, ბრწყინვალე მთავარს მაესტრო აბრაჰამის მიმართ რომ ჰქონდა, ღრმად გაედგა ფესვები ჭაბუკი მთავრის გულშიც. იყო წუთები, როცა მთავარ ირენეუსს მაესტრო აბრაჰამი რაღაც ზებუნებრივ არსებად ესახებოდა, ამქვეყნად ყველა ადამიანზე მაღლა რომ იდგა. ამბობენ, ეს საოცარი შთაბეჭდილება მთავარს ჯერ კიდევ ბავშვობის დროინდელი ერთ-ერთი მოგონებიდან დაჰყვაო. ერთხელ, თავის პატარაბიჭობაში, ყმაწვილური ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი მთავარი მაესტრო აბრაჰამის ოთახში შეპარულა და ანაზღად რაღაც პატარა ხელსაწყო გაუტეხია. ეს ხელსაწყო მაესტროს ის-ის იყო, დაუშხადებია დიდი ჯაფისა და წვალების ფასად. მაესტრო აბრაჰამი საშინლად აღუშფოთებია მისი ბრწყინვალეების მოუქნელობას, აბეზარისათვის კარგა გვარიანი ალიყური უჭმევია და ელვის სისწრაფით გამოუპანლურებია ოთახიდან. ყრმა მთავარი ცრემლების ფრქვევით ძლივს გასაგონად ლულლულეებდა თურმე: „Abraham... soufflet“-ო;<sup>1</sup> დაბნეულ ობერპოფმაისტერს სახიფათოდაც კი მიუჩნევია, ჩასწვდომოდა მისი უდიდებულესობის ცრემლების საიდუმლოს და მხოლოდ ეჭვებითა და ვარაუდებით დაკმაყოფილებულა.

ერთი სიტყვით, მთავარმა აშკარად იგრძნო, რომ მაესტრო ის აუცილებელი მაცოცხლებელი ძარღვი გახლდათ, აგრერიგად რომ სჭირდებოდა სამეფო კარს და მისი დატოვება მოიწადინა, მაგრამ შავი მოგვის დაბრუნების ყველა ცდა ამაო აღმოჩნდა. მხოლოდ იმ ავბედითი სეირნობის შემდეგ, როდესაც მთავარმა ირენეუსმა თავისი სამფლობელო დაკარგა და ზიგპარტსვაილერის სამეფო კარზე ეფემერული ცხოვრების ყაიდა შემოიღო, მაესტრო აბრაჰამი კვლავ

<sup>1</sup> აბრაჰამ... ალიყური (ფრანგ.).

გამოჩნდა სარბიელზე. და მართლაცდა, ამაზე უფრო შესაფერის დროს იგი ვერც შეარჩევდა დასაბრუნებლად, რადგან...

(მ. ა. ა.) ...იმ საოცარი ამბის აღწერას; იგი ხომ ჟამთააღმწერლის მოსწრებული თქმით, მთელს ეპოქას ქმნის ჩემს ცხოვრებაში!

— მკითხველნო! ყმაწვილნო! ბატონებო და ქალბატონებო! თუკი თქვენს ბეწვქვეშაც ძგერს მგრძნობიარე და კეთილი გული, თუკი თქვენთვისაც ძვირფასია ის უნაზესი ძაფები, რითაც ბუნებასთან ვართ დაკავშირებული, არ შეიძლება, არ გამიგოთ და არ შემიყვაროთ!

გარეთ საშინელი პაპანაქება იდგა და მთელი დღე ღუმელქვეშ ვნებივრობდი. მაგრამ აი, ბინდბუნდი ჩამოწვა და გრილმა სიომ შემოუქიქინა მაესტროს კაბინეტის ფანჯარაში. ძილ-ბურანიდან გამოვერკვიე. გულმკერდი ფართოდ გაუშალე. სვედისა და სიხარულის ნაზაჟმა გაურკვეველმა გრძნობამ მომიცვა, რომელშიც საოცრად ნეტარი წინათგრძნობა იმალება ხოლმე. ამ გრძნობით შეპყრობილი წამოვდექი და ზურგი იმ ნარნარი მოძრაობით გაუზნიქე, უსულგულად აღამიანები „გაზმორებას“ რომ ეძახიან. „ჩემკენ, ჩემკენო!“ — მიხმობდა დედაბუნება და მეც მის წიაღს მივაშურე. სახურაზე გამოვედი და ჩამაჯალ შზის სხივებქვეშ დაუიწყე სეირნობა. სწორედ ამ დროს სხვენის სარკმლიდან უჩვეულოდ ნაზი, მიძზიდველი და გულშიჩამწვდომი ხმა შემომესმა. რაღაც ენით გამოუთქმელმა გრძნობამ არაჩვეულებრივი ძალით გამწია ქვევითკენ. ზურგი ვაქციე წარმტაც დედაბუნებას და ვიწრო სარკმლიდან სხვენზე გადავძვერი. ჩახტომისთანავე თვალში მეცა შაუთუთრხალებიანი, ჯიშიანი, ლამაზი კატა. თურმე ის გახლდათ იმ საამო ხმების ავტორი. ახლა ეს ლამაზმანი მოხერხებულად შესკუპებულიყო უკანა თათებზე და თვალი თვალში გაყრილი მიყურებდა. მეც აღარ დამიყოვნებია, მაშინვე მის პირდაპირ დაუსკუპდი და შევეცადე, გუმანით ავყოლოდი სიმღერაში ჭრულა შხეთუნახავს. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ზედმიწევნით კარგად შეუწყვე ხმა. ახლა კი, ჩემი ცხოვრებით დაინტერესებული ფსიქოლოგების საყურადღებოდ მინდა აღვნიშნო, რომ სწორედ მაშინ, იმ წუთში დამებადა საოცარი რწმენა ჩემი ფარული მუსიკალური ნიჭისადმი. და, ჰოი, საოცრებაჲ! ამ რწმენასთან ერთად თავად ნიჭსაც დიდხანს აღარ დაუმაღლავს თავი! ჭრულა კი კვლავ არ მაშორებდა



დაჟინებულ, მომნუსხველ შხერას. მერე უეცრად დადუმდა და ძლიერი ნახტომით ჩემკენ ისკუპა. რაღაც არასასიკეთოს მოლოდინში სასწრაფოდ მოვიშველიე ბრჭყალები, მაგრამ ჭრულა ლამაზმანს თვალთაგან ცრემლები წასკდა და შესძახა:

— ო, შვილო ჩემო, შვილო ჩემო! მოდი, მოგხვიო თათები და გულში ჩაგიკრა! — მან მხურვალედ მიმიკრა მკერდზე და განაგრძო, — დიახ, ეს შენა ხარ, შენ, ჩემი მშვენიერი პირმშო, უწვალებლად და უტანჯველად რომ გშობე ამქვეყნად!

ამ ამბავმა სულის სიღრმემდე შემძრა; ეს მღელვარება კმაროდა იმის დასადასტურებლად, რომ ჭრულა მანდილოსანი ნამდვილად ჩემი მშობელი დედა გახლდათ მაგრამ, სხვათა შორის, მაინც ვკითხუ, ნამდვილად თუ ხართ ამაში დარწმუნებული-მეთქი?

— რა თქმა უნდა, — მომიგო ჭრულამ, — განა ეგ თვალეები, დრუნჩი, წვერ-ულვაში თუ ბეწვი იმ უმადურს, იმ მოღალატეს არ მაგონებს, ბედის ანაბარა რომ დამაგდო და მიმატოვა? ჩემო მურ! — ვგონებ ასე გეძახიან, არა? ჰო, ჩემო საყვარულო მურ! სწორედ რომ მამაშენის ალიკვალი ხარ მაგრამ ვიმედოვნებ, მშობელი მამის მშვენიერ გარეგნობასთან დედაშენის გონიერება და სათნოებაც დაგყვა. მამაშენი კარგად მოსული ვაჟკაცი გახლდათ და, გარდა ამისა, სხვა ღირსებებიც ბლომად ჰქონდა. ზურმუხტი თვალეები ჭკუასა და გონებას აკვესებდნენ, ტუჩებზე კი ხშირად დასთამაშებდა მომხიბლავი ღიმილი. უმალ დაატყვევა ჩემი გული მისმა ვაჟკაცურმა შესახედაობამ, მაშინვე მომხიბლა გამჭრიახობამ, თავკებზე ნადირობის დროს ასე ნატიფად რომ ერწყმოდა სხეულის მოქნილობასა და სინარნარეს; მაგრამ სულ მალე მამაშენის სულში მიმალულმა მტარვალმა იჩინა თავი! ო, თურმე როგორ ოსტატურად თვალთმაქცობდა იქამდე! და, ჰოი, საშინელებაჲ! ის-ის იყო, დაიბადე, რომ სისხლისმსმელმა მამაშენმა შენცა და შენს და-ძმებსაც შესანსვლა მოგინდომათ!

— საყვარულო დედიკო! — შევაწყვეტინე სიტყვა ჭრულას, — მოდი, დიდად ნუ შეიცხადებთ მამაჩემის ამ ნაკლს. დედამიწის ყველაზე დიდი ცოვილიზაციის მქონე ერი მიაწერს თავის ღმერთებს ჩვილთაჭამიობის ამ საოცარ თვისებას. ერთ დროს იუპიტერიც ჩემსავით დასძრომია ხელიდან საშინელ განგებას!

— შვილო ჩემო, ვერაფერი გამიგია შენი, — მომიგო მინამ, —



ორში ერთია: ან თავს ძალით იშტერებ და სისულელეებს იმიტომ ჩმახავ, ანდა გადაწყვეტილი გაქვს, რაღაც უნდა დაგიჯდეს, გაამართლო წყეული მამაშენი. მოდი, ნუ იქნები უმადური. მე რომ თავის დროზე ასე არ მყოჩაღა და ჩემი ბასრი ბრჭყალებით არ დამეცვა შვილები იმ მტარვალისაგან, ახლა შენი ბურღდაც აღარსად იქნებოდა. ამის შემდეგ კი სად არ დაკწანწალებდი და ვეძებდი თავშესაფარს. ხან სარდაფში, ხან სხვენზე, ხან კი საჯინბოში შევიყუებოდი და შიშისაგან გულგახეთქილი ვემალებოდი იმ პირუტყვს. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, დამეხსნა. ეს იყო და ეს, მას მერე თვალთ აღარ დამილანდავს, მაგრამ ეს ოხერი გული მაინც მისი ტრფობით ძგერს! ო, რომ იცოდე, რა კატა იყო მამაშენი! მისი ნარნარი სხეულისა და ნატიფი მიხრა-მოხრის წყალობით ბევრს უცხოელი გრაფიც კი ეგონა. ვფიქრობდი, ამიერიდან მაინც წყნარად და უშფოთველად ვიცხოვრებ-მეთქი, მეგონა, დედობრივი ზრუნვა და შვილების სიყვარული იქნებოდა ჩემი ცხოვრების მიზანი, მაგრამ, ვაგლახ, რომ კვლავ ახალი უბედურება მელოდა! იმ საბედისწერო დღეს სულ რამდენიმე წუთით გავედი სასეირნოდ; როცა დაუბრუნდი, ღმერთო ჩემო, რა იხილეს ჩემმა თვალებმა! აღარც შენ და აღარც შენი და-ძმა აღარ დამხვდით. წინადღით ვიღაც დედაბერს აღმოეჩინა ჩვენი თავშესაფარი. და აი, ახლაც კი მესმის, გამკივანი, ბოროტი ხმით როგორ გვემუქრებოდა, წყალში გადაგიძახებთ სუყველასო. ო, ჩემო საყვარულო შვილიკო! მაღლი უფალს, გადარჩენილხარ და ცოცხალს გხედავ! მომიახლოვდი, ერთხელ კიდევ ჩაგიკრა გულში, ჩემო ძვირფასო ბიჭო!

ჭრელა დედიკომ ალერსითა და ფერებით გული რომ იჯერა, ჩემი ცხოვრებით დაინტერესდა. მეც შევეცადე, რაც შეიძლებოდა წვრილად მომეთხრო მისთვის ყველაფერი. ჩემი არაჩვეულებრივი განსწავლულობის ამბავიც აღარ დამიმაღავს და ისიც დაუძინე, მხოლოდ დაუღალავი შრომით მივალწიე ყველაფერ ამას-მეთქი.

მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, შევამჩნიე, რომ თავისი პირშმოს უჩვეულო ნიჭისა და სწავლა-განათლების ამბავი მინას დიდად არ ეპიტნავა. ეს კიდევ არაფერი, პირდაპირ მომახალა, შენი არაჩვეულებრივი განსწავლულობისა და ჩალიჩის წყალობით მოლიპულ გზაზე მიაბიჯებ და არ გაგიკვირდეს, უფსკრულში თუ გადაიჩეხებო. მერე ჩემი საყვარული დედიკო დიდხანს მარიგებდა, შენი სწავლა-განათ-

ლების ამბავი მაესტრო აბრაჰამის ყურამდე არ მივიდეს, თორემ მონობაში ამოგძვრება სულიო.

— რა თქმა უნდა, შენსავით ნასწავლი ვერა ვარ, — მითხრა მინამ, — სამაგიეროდ, ბუნებას ჩემთვის ნიჭიერება და ბევრი სხვა ღირსება არ დაუშურებია. ასეთ ღვთისგან ბოძებულ წყალობად მიმაჩნია, მაგალითად, ის, რომ მთელი ჩემი სხეული მოფერების დროს ნაპერწკლებსა ყრის. აბა, მითხარ, განა მარტო ეს უნარი საკმარისი არ არის იმისათვის, რომ კაცმა ბედნიერად ჩათვალოს თავი? მაგრამ ვაი, რომ უამრავი ტანჯვა-წამება მიგემია ამ ნიჭის გამო! ვისაც არ ეზარება, დიდი თუ პატარა, ყველა ზურგზე მიცაცუნებს ხელს, რომ ჩემი ბეწვიდან წამოსული ცეცხლოვანი წვიმით დატკბეს. ხოლო თუ ამდენ ტანჯვა-წამებას ვეღარ გაუძლებ და განზე გაუხტები, ან ბრჭყალებს მოვიშველიებ, ველურს შეძახიან და ზოგჯერ კარგა გვარიანადაც მითაჯაზებენ კიდევ. ასე რომ, მურ, იცოდე, თუ მაესტრო აბრაჰამს ყურში ჩასწვდა შენი განსწავლულობის ამბავი, უმაღლესი საკუთარი საქმეების მოსაგვარებლად გიკრავს თავს და ის საქმე, რაც აქამდე ესოდენ დიდ სიამოვნებას განიჭებდა, ამიერიდან მოვალეობის ტვირთად დაგაწვება ზურგზე.

მინამ კიდევ ბევრი სხვა რჩევა-დარიგება მომცა, მაგალითად, როგორ უნდა დამეჭირა თავი მაესტრო აბრაჰამის თანდასწრებით და როგორ უნდა შეემნიღბა ჩემი არაჩვეულებრივი ნიჭი. მხოლოდ მოგვიანებით მივხვდი, რომ ჩემს ჭრელა დედიკოს მეცნიერების სიძულვილი კი არა, ჭეშმარიტად ცხოვრებისეული სიბრძნე ალაპარაკებდა.

მერე მინამ თავისი დარდიც გამანდო: მეზობლის ქალთან არცთუ დიდ ფუფუნებაში ვცხოვრობო. განსაკუთრებით იმოქმედა ჩემზე, საბრალოდ რომ შემომჩივლა, ხანდახან კუჭს რიგიანად ვერც კი ვიძლებ ხოლმეო. აი, აქ კი, მთელი სიძლიერით იფეთქა ჩემში მშობელი დედისადმი სიყვარულის გრძნობამ. ანაზღად გუშინდელი სადილიდან მორჩენილი მშვენიერი ქაშაყის თავი გამახსენდა და მაშინვე გადავწყვიტე, გავმასპინძლებოდი ჩემს საყვარულ დედიკოს. რა ბედნიერებაა, რომ ბედმა ასე მოულოდნელად კვლავ შეგვყარა ერთმანეთს!

მაგრამ განა ადამიანის ენას ძალუძს აღწეროს ჩვენს გულში ჩაბუდებული მზაკვრულ გრძნობათა ჭიდილი? რატომ მოგვისვრის



ხოლმე ეს დალოცვილი ბედ-იღბალი ვნებათა ქარცეცხლის უკიდევანო მორევში? ნაზი ლერწამოვით რატომ გვზნექს ხოლმე წელში ცხოვრების ქარტეხილი? მაგრამ რას იზამ, ასეთი ყოფილა ჩვენი ბედი! „ო, მადავ, კატა უნდა გერქვას შენ!“<sup>1</sup> აი, უკვე სახლის სახურავზე მოვაბიჯებ; ჩემი შემხედვარე კაცი იფიქრებს, ახლად მოვლინებული pius Aeneas-ი<sup>2</sup> მოემართებაო. ის-ის იყო, სარკმელში გადაძრომა დავაპირე, რომ იმ წუთში ისეთი უჩვეულო გრძნობა დამეუფლა, თითქოს სხვა არსებად გადავიქეცი და სწორედ ის გაუცხოებული „მე“ გადაიქცა ჩემი ნამდვილი „მეს“ ჭეშმარიტ არსად.<sup>3</sup> იმედი მაქვს, საკმაოდ გასაგებად და ნათლად გამოვხატე ჩემი გრძნობები და განცდები, ისე, რომ ამ საოცარი განწყობილების აღწერაში ყველა იგრძნობს გამოცდილი ფსიქოლოგის დაკვირვებულ თვალს! მაშ, ასე, ვაგრძელებ ამბავს!

ჩემს არსებაში ბოროტი და კეთილი საწყისების ამ უცნაურმა ჭიდილმა ერთიანად შემძრა. ბოლოს ბოროტმა სძლია კეთილს და მე დაუმარცხდი! წინააღმდეგობის გაწევის ყოველგვარი უნარი წამერთვა და ქაშაყის თავი თვალის დახამხამებაში შევსანსლე! სწორედ ამ დროს იმედგაცრუებული მინას გულმოსული, ნაღვლიანი ჩხავილი ჩამესმა ყურში. სინდისის ქენჯნისა და დარდისაგან გონებაარეული ოთახში შევვარდი და ღუმლის უკან შევიძურწე. მერე კარგა ხნით საშინელი, მტანჯველი ზმანებები ამეკვიატა. თვალწინ დამიდგა ჩემი საცოდავი დედიკო, სასწაულისამებრ რომ მომივლინა ღმერთმა, გამახსენდა მისი სევდიანი თვალები, წარმოვიდგინე დარდიანი და ეული, როგორ მოუთმენლად ელოდა ნუგბარ საჭმელს და შიმშილისაგან გული წასვლაზე ჰქონდა. საკვამურში შლიგინით დაქროდა ქარი. „მინა! მინა! მინა!“ — ვინ იცის მერამდენედ იმეორებდნენ ამ

<sup>1</sup> „ო, მადავ, კატა უნდა გერქვას შენ!“ — ირონიული პერიფრაზი ჰამლეტის სიტყვებისა: „არარაობავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენ!“ (შექსპირი, „ჰამლეტი“, მოქმედება I, სურათი 2).

<sup>2</sup> სათნო ენეასი — ტროის გმირი, რომლის კეთილშობილებას, სათნობასა და სიბრძნეს პომპროსი განსაკუთრებით აქებს. ვირჯილიუსის „ენეიდაში“ ენეასი საოცრად მოსიყვარულე შეილად არის გამოყვანილი. მას მხრებით გამოჰყავს მოხუცი მამა აღმოდებული ტროიდან.

<sup>3</sup> „იმ წუთში ისეთი უჩვეულო გრძნობა დამეუფლა, თითქოს სხვა არსებად გადავიქეცი და სწორედ ის გაუცხოებული „მე“ გადაიქცა ჩემი ნამდვილი „მეს“ ჭეშმარიტ არსად“ — ირონიული მინიშნება იოჰან გოტლიბ ფიხტეს (1762-1814) სუბიექტურ-იდეალისტურ ფილოსოფიაზე.



სახელს მაესტრო აბრაჰამის შრიალა ქალაღდები, ჭრიჭინა ჩალის სკამები, ღუმლის წუწუნა კარი. საშინელ გუნებაზე დაუდექი. გადაუწყვიტე, პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში რძეზე მომეწვია საბრალო დედაჩემი. ამ აზრმა ხსნასავით გამიელვა გონებაში და ძაღვ მთელს ჩემს არსებას უჩვეულო სიმშვიდე დაეუფლა... მერე აღარ მახსოვს, ნეტარებით ყურებგალურსულს როგორ ჩამძინებოდა!

ძვირფასო მეგობრებო! თქვენ, დიახ, თქვენ მინდა მოგმართოთ ახლა, რამეთუ მხოლოდ თქვენ ძაღვიდთ გამიგოთ ბოლომდე! და თუ მართლა ვირები არა ხართ და ჭეშმარიტად კეთილსინდისიერი კატები ბრძანდებით, ვგონებ, უნდა დაგენახათ ჩემს სულში ქუფრი ღრუბლებით ჩამოწოლილი წყვდიადი, მაგრამ იმასაც შეამჩნევდით, ცითმოვლინებულმა კეთილმოსურნე გრიგალმა როგორ მიმოფანტა ჩემი სიჭაბუკის ღვჯა ღრუბლები, როგორ მოსარკა ჩემი ცხოვრების ცის ტატნობი და უკიდუგანო, მოკრიალებული სოვრცე გამოაჩინა. დიახ, რაც უნდა მძიმე დანაშაულად აწვეს ჩემს სინდისს იმ ავბედითი ქაშაყის თავი, მაინც ვიტყვი, რომ მხოლოდ მისი წყალობით შევიტყვე ჭეშმარიტი მადის ფასი და იმ აზრის სიღრმესაც მხოლოდ ახლა ჩავწვდი, რომ თურმე მკრეხელობაა დედაბუნების წინააღმდეგ წასვლა. დაე, ამ საქმეში სხვისი იმედი ნურავის ექნება, რამეთუ საყოველთაოდ ცნობილია: კაცი ჯერ საკუთარ კუჭზე ზრუნავს, შემდეგ კი სხვისაზე.

ასე და ამრიგად, ჩემი ცხოვრების ეს ეპიზოდიც, როგორც იქნა, ბოლოში გავიყვანე.

(სამაკ. თაბ.) ...ჟამთააღმწერელი რატომღაც გაუხედნავ ცხენზე ამხედრებულ მოჯირითეს მაგონებს, ამაოდ რომ გადაუვლება ხვეებს, რიყეებსა და მდელოებს, აქეთ-იქით რომ ეხეთქება საგალი ბილიკის ძებნაში. დაახლოებით იგივე დაემართა თქვენს უმორჩილეს მონასაც, როდესაც გადაწყვიტა, ძვირფასი მკითხველისათვის რაც შეიძლება წვრილად მოეთხრო კაპელმაისტერ იოჰანეს კრაისლერის ფათურაკებით სავსე ცხოვრების შესახებ.

დიახაც, რომ ამბის მოყოლას იგი სიამოვნებით დაიწყებდა ასე: „მაჟან და მაჟან პატარა ქალაქში, ამა და ამ წლის გაზაფხულსა თუ შემოდგომაზე, ქვეყნიერებას მოვევლინა იოჰანეს კრაისლერი!“ მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, აქ ასეთ ქრონოლოგიურ თანამიმდევ-

რობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, რადგან უიღბლო მწერალს მხოლოდ და მხოლოდ ყურმოკრული ფაქტები აქვს ხელთ. ეს ფაქტები კი დაუყოვნებლივ დალაგებასა და დახარისხებას მოითხოვენ, რომ ავტორს შემდგომში მეხსიერებამ არ უღალატოს. ძვირფასო მკითხველო! თუ რა გზით დაგროვდა ეს ცნობები, წიგნის ბოლოს შეიტყობ. და იქნებ მაშინ მაინც შეუნდო და აპატიო მის ავტორს, რომ ნაწარმოები ასეთი დაქუცმაცებული გამოუვიდა. იქნება ღმერთმა გადმოგვხედოს და ისიც კი გაფიქრებინოს, წიგნის ასეთი დაქუცმაცებულ-დანაწევრებულობა მოჩვენებითია და, სინამდვილეში მისი ყველა ნაწილი ერთიანი, უწყვეტი ძაფით არის შეგვირისტებულიო.

ახლა კი, აი, რა მინდა მოგითხროთ: მთავარი ირენეუსი ზიგჰარტსფაილერში ახალი ჩამობრძანებული გახლდათ. პრინცესა ჰედვიგა და იულია სასახლის თვალწარმტაც პარკში დასეირნობდნენ. ტყე ჩამავალი მზის სხივების ნარინჯისფერ ბადეში გახვეულიყო. ბურქები და ხეები საღამოს მოალერსე სიოს მოლოდინში გარინდებულიყვნენ. სიჩუმეს მხოლოდ თეთრ კენჭებზე ცელქად მოდგაფუნე ტყის ნაკადული არღვევდა. ხელიხელჩაკიდებული გოგონები უხმოდ მიჰყვებოდნენ ყვავილოვან მდელოს, მსუბუქად გადადიოდნენ ნაკადულის დაკლაკნილ კალაპოტზე გადებულ პაწაწკინტელა ხიდებზე, ვიდრე პარკის ბოლოს, დიდ ტბასთან არ გავიდნენ. წყალში მთელი ბრწყინვალეებით ირუკლებოდა გაიერშტაინი თავისი ნანგრევებითურთ.

— რა მშვენიერებაა! — წამოიძახა იულიამ.

— წამო, მეტეფზის ქოხში შევიდეთ, — უთხრა ჰედვიგამ მეგობარს, — აქ მზე საშინლად აჭერს, ქოხის ფანჯრიდან კი დიდებული სანახაობა იშლება. იქიდან გაიერშტაინი მართლაც რომ ზღაპრულ სამყაროს წააგავს. ეს წარმტაცი მიდამო ერთ მთლიან სურათად თუ არ აღიქვა კაცმა, მისი ნაწილ-ნაწილ ჭკრუტით ვერ მიიღებს ესოდენ დიდ სიამოვნებას.

იულია ფეხდაფეხ მიჰყვა პრინცესას. ჰედვიგა ქოხში შესვლისთანავე ფანჯარასთან მიიჭრა, გარეთ გაიხედა და უმაღლ ფანქარსა და ქალღმერთს ეცა, რომ ეს უჩვეულო, არამიწიერი შუქით განათებული წარმტაცი სანახაობა ქალღმერთზე გადაეტანა.

— ნეტავი ღმერთს ჩემთვისაც მოეცა ნიჭი ამ ბუნების, ბურქების, ხეების, ტბებისა და მთების მშვენიერების არსში წვდომისა, — შენიშნა იულიამ, — მაგრამ ვიცე, რარიგ კარგადაც უნდა დაუფლუ-



ბოდი ხატვის ხელოვნებას, მაინც ვერასოდეს შევძლებდი ბუნების ამ ბრწყინვალეების განმეორებას. და რაც უფრო მშვენიერი იქნებოდა ბუნების სურათი, მით უფრო უძლურად ვიგრძნობდი თავს. ამ სილამაზის ჭკრუტისას ისეთი ძალით შემიპყრობს ხოლმე აღფრთოვანება და სიხარული, ამქვეყნად აღარაფერი მაგონდება.

იულიას ამ სიტყვებზე პრინცესას სახეზე ისეთმა ღიმილმა გადაურბინა, თქვესმეტი წლის ქალიშვილისათვის, ცოტა არ იყოს, უცნაური რომ მოეჩვენებოდა კაცს. ენამოსწრებული და მახვილგონიერი მაესტრო აბრაჰამი იტყოდა ხოლმე, ასეთი ღიმილი კაცმა შეიძლება წყლის ნარნარ ლივლივს შეადაროს, მის სიღრმეში კი უთუოდ შემადრწუნებელი რამ სტიქია იმალებაო.

ერთი სიტყვით, პრინცესამ გაიღიმა და ის-ის იყო, ვარდისფერი ბაგეები შეაშხადა კეთილი და მიამიტი იულიასათვის პასუხის გასაცემად, რომ სწორედ ამ დროს იქვე ახლოს არაჩვეულებრივი სიძლიერის აკორდები გაისმა. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ამ ბგერებს ჩვეულებრივი გიტარის სიმები გამოსცემდნენ.

პრინცესას სიტყვა პირზე შეაცოვდა და ქალიშვილები ელვის სისწრაფით გამოცვივდნენ მეთევზის ქოხიდან. ახლა მათ სმენას უფრო გარკვევით მისწვდა, როგორ საოცრად ენაცვლებოდა ერთიმეორეს უჩვეულო მოდულაციებითა და აკორდთა საოცარი თანამიმდევრობით დაკავშირებული მელოდიები. გიტარის ჰანგებს მამაკაცის ზარივით წკრიალა ხმა ერთვოდა. ეს ხმა ხან ტკბილ, იტალიურ სიმღერას არაკრაკებდა, ხან წყდებოდა და სერიოზულ, პირქუშ მელოდიებზე გადადიოდა, ხან კი რეჩიტატივით მღეროდა და განსაკუთრებულად მკაფიოდ წარმოთქვამდა სიტყვებს.

და, აი, კვლავ ვიღაც აწყობს გიტარას... კვლავ გაისმის აკორდების ხმა... კვლავ ისადგურებს სიჩუმე... მერე ისევ თავიდან იწყება ყველაფერი... გიტარის ჟღარუნი, რისხვით წარმოთქმული ხმამალალი მუქარა... რაღაც მელოდია... და ვიღაც ისევ აწყობს გიტარას, მიდამოს ისევ და ისევ ეფინება გულში ჩამწვდომი ჰანგები.

გოგონები საგონებელში ჩააგდო უცნაურმა ვირტუოზმა და ცნობისმოყვარეობით შეპყრობილნი გაუყვნენ გზას. მალე შავ მოსასხამში გახვეული მამაკაცი შენიშნეს; იგი გოგონებისაგან ზურგშექცევით, ტბის ნაპირთან, კლდის ქიმზე ჩამომჯდარიყო და გატაცებით განაგრძობდა დაკვრასა და სიმღერას. აი, მან რაღაც უჩვეულო



წესით ააწყო გიტარა, შეუცადა რამდენიმე აკორდი აელო, მაგრამ ამაოდ. „ვერა და ვერ ავიღე საჭირო ტონალობა! ხან დაბალი გამოძის, ხან კი მაღალი!“ — წამოიძახა მან ბოლოს, ორივე ხელი სტაცა მხარზე ცისფერი ბაფთით ჩამოკიდებულ საკრავს, მოიხსნა იგი და ასეთი საუბარი გაუბა:

— მითხარ, პატარა, ჯიუტო არსებავ, სად გაქრა შენი კეთილხმოვანება? რომელ კუნჭულში გადაძალე სუფთა გამა? ან იქნებ გადაწყვიტე, აუჯანყდე შენს პატრონს, იქნებ გსურს, დაუმტკიცო, რომ მას ტემპერირებული წყობის<sup>1</sup> სამჭედლოში სამუდამოდ დაეხშო სმენა, ხოლო მისი ენკარმონიზმი ბალღური თამაშია მხოლოდ? ახლა კი ვატყობ, რომ ჩემი მასხრად აგდება განგიზრახავს, თუმცა, წვერი გაცილებით უფრო კოხტადა მაქვს შეკრუჭილი, ვიდრე იმ შენს მანესტრო სტეფანო პაჩინის, detto il Venetiano-ს.<sup>2</sup> ეტყობა, ეს მან შთაგბერა ასე უხვად ჰარმონიის მაღლი, ჩემთვის რომ აწ და მარადის ამოუცნობ საიდუმლოდ ქცეულა. მაგრამ იცოდე, ჩემო ძვირფასო, თუკი არ მომცემ საშუალებას, ავიღო Gis და As, Es და Des, ანდა ნებისმიერი სხვა ტონალობის მაუნისონირებული ბგერები, იცოდე, ცხრა ახალგამომცხვარ გერმანელ მუსიკოსს მოგისევ! ისინი კი, მერწმუნე, კარგა გვარიანად შეგიკურთხებენ და არცთუ მთლად ჰარმონიული გამოთქმებით შეგამკობენ. აი, მაშინ კი იცოდე, ველარ პოეზი თავშესაფარს შენი ძვირფასი სტეფანო პაჩინის გულმკერდზე და ვერც შენს სიტყვას გაიტან, როგორც ეს ჯაჯღანა ცოლებს სჩვევიათ ხოლმე. ანდა, იქნებ იმდენად გათავხედდი და გამედიდურდი, რომ გგონია, შენში ჩაბუდებული დემონური სულები მხოლოდ იმ ჯადოქართა მაგიურ ძალას ემორჩილებიან, რომლებმაც დიდი ხანია მიატოვეს ეს ქვეყანა; ან იქნებ ფიქრობ, რომ ლაჩარს ჩაუვარდი ხელში და... — უკანასკნელი სიტყვები წარმოთქვა თუ არა, უცნობი მიყუჩდა, მაგრამ მაშინვე წამოხტა და ღრმა ფიქრებში წასულს, კარგა ხანს არ მოუშორებია მხერა ტბის მოსარკული ზედაპირისათვის. უცნობის საქციელთ განცვიფრებული გოგონები ბუჩქებს უკან მიმალულიყვნენ და სულგანაბულებს სუნთქვა შეჰკვროდათ.

— ჰმ, გიტარა! — კვლავ იფეთქა უცნობმა, — იგი ხომ ყველაზე

<sup>1</sup> ტემპერირებული წყობა — თანახომიერი წყობა, რომელსაც საფუძვლად უდევს ოქტავის მექანიკური დაყოფა თანაბარ ნაწილებად.

<sup>2</sup> კენეციელად წოდებულს (იტალ.).

საცოდავი, უმწეო და არასრულყოფილია ყველა საკრავთა შორის, გიტარა მხოლოდ მტრედით მოღუღუნე შეკვარებულ მწვემსს თუ გამოადგება, ისიც მაშინ, როდესაც თავის სალაძურს დაკარგავს. ისე კი, რა თქმა უნდა, მწვემსი ბიჭისთვის არ არსებობს იმაზე დიდი ბედნიერება, აკვნესოს თავისი სალაძური, არემარეს მოპყინოს მისი წკრიალა ხმები და ნაღვლიანი ჰანგები მიაწვდინოს შორეულ ძიუბს, სადაც მისი ემელინა<sup>1</sup> შოლტის მხიარული ტყლაშუნით მოერეკება ნახირს! ო, ღმერთო დიდებულო! ო, მწვემსო გოგონებო! „საბერველით რომ ქშენთ“<sup>2</sup> და გულმოკლული უმღერით სატრფოს მშვენიერ თვალებს, შეაგნებინეთ მათ, რომ სამხმოფანება, ალიაბალია, სამი ბგერისაგან შედგება და მისი დამარცხება მხოლოდ სექტიმის ხანჯალს თუ ძალუძს. აი, მხოლოდ ამის შემდეგ მიეცით მათ ხელში გიტარა! მაგრამ აი, სერიოზული ადამიანები, ერუდიტები, თაყიანთი ცხოვრება ბერძნული ფილოსოფიისათვის რომ მიუძღვნიათ და, ისიც მშვენიერად უწყიან, თუ რა ხდება პეკინისა და ნანკინის სამეფო კარზე, აზრზე არ არიან, რას ნიშნავს მწვემსური ცხოვრება, ან ფარის მოვლა-პატრონობა. აბა, მითხარ, რას მიქეია ამ ხალხისთვის ან სატრფიალო ოხვრა-ვაება, ან გიტარის ჟღარუნნი? აბა, აბა, რას აპირებ, საცოდავო ტაკიმასხარაუ? გახსოვს, რას ამბობდა ცხონებული ჰიპელი:<sup>3</sup> როცა კაცი ფორტეპიანოზე უკრავს, ასე მგონია, კვერცხის ცილას თქვეფსო... შენ კი გიტარაზე ჟღარუნნი დაგიჩემებია... ტაკიმასხარაუ, საცოდავო ტაკიმასხარაუ! დაგლახვროს ეშმაკმა! — უცნობმა გაბრაზებით მოისროლა საკრავი ბუჩქებში და სწრაფი ნაბიჯით გაუჩინარდა, ისე, რომ გოგონები არ შეუძინეფია.

— აბა, ჰედვიგა, როგორ მოგეწონა ყოველივე ეს? — თქვა იულიამ მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ, — ნეტავ საიდან გაჩნდა ამ არემარეზე ეს უცნაური კაცი; საკვირველია პირდაპირ, ჯერ ცოცხალ არსებასავით ესაუბრებოდა თავის საკრავს, მერე კი უმაქნისი რამ ნიუთოვით მოისროლა ბუჩქებში.

<sup>1</sup> ემელინა — გმირი ქალი გერმანელი კომპოზიტორის, იოზეფ ვაიგლის (1766-1846) ოპერისა „შვეიცარიული ოჯახობა“ (1809).

<sup>2</sup> „საბერველით რომ ქშენთ“ — ციტატა შექსპირის კომედიიდან „როგორ მოგეწონებათ ეს“.

<sup>3</sup> თოდორ გოტლიბ ჰიპელი (1741-1796) — გერმანელი მწერალი; კრაისლერს აქ მხედველობაში აქვს მისი ნაშრომი „ქორწინების შესახებ“, რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1774 წელს, ბერლინში.



— აღმაშფოთებელია, — ბრაზმორევით წამოიძახა ჰედვიგამ და ფერმკრთალ ლოყებზე ალმური მოედო, — ღმერთო ჩემო, რა აღმაშფოთებელია, რომ პარკის კარი არ იკეტება და ვისაც მოეპრიანება, თავის ნება-სურვილზე შეუძლია შესვლა-გამოსვლა.

— როგორ, — გაიკვირვა იულიამ, — შენი აზრით, მთავარს უნდა ებრძანებინა, დაეგმანათ პარკის კარი? ამით ხომ არა მარტო ზიგ-პარტსვაილერებს, არამედ ყველა მგზავრს მოესპობოდა სიამოვნება, დამტკბარიყო ბუნების ამ საოცარი მშვენიერებით? რა სისასტიკა! არა მგონია, ამას სერიოზულად ამბობდე!

— ნუ გავიწყდება ის საშიშროება, ყოველ წუთს რომ შეიძლება დაგვატყდეს თავს! — უფრო აღელვებით განაგრძო პრინცესამ, — ძალიან კარგად მოგეხსენება, რომ ხშირად მხლებლების გარეშე, მარტოდმარტო დაუეხეტებით ხოლმე პარკის უკაცრიელ კუთხე-კუნჭულებში. და, აი, წარმოიდგინე, უეცრად ვიღაც აუზაკი...

— ოი, ოი, ოი! — გააწყვეტინა პრინცესას იულიამ, — იქნება იმის შიში გაქვს, რომ ბურქებიდან უეცრად ზღაპრული დევი, ანდა მომხიბლავი რაინდი გადმოხტება, მოგვიტაცებს და თავის ციხე-კოშკში ჩაგვამწყვდევს? ო, ამისგან ღმერთმა დაგვიფაროს! ისე კი, უნდა გამოგიტყდე, ურიგო არ იქნებოდა, ამ უღრან, რომანტიკულ ტყეში პატარა რამ ფათურაკს გადაუყროდით. სწორედ ახლა ერთი სცენა გამახსენდა შექსპირის პიესიდან „როგორ მოგეწონებათ ეს“. გახსოვს, დედაჩემი დიდხანს არ გვიგდებდა ამ წიგნს ხელში, ვიდრე ლოტარიომ თვითონ არ წაგვიკითხა. გამოტყდი, დროებით ხომ სიამოვნებით გადაიქცეოდი სელიად? მე კი მაშინ შენი ერთგული როზალინდა<sup>1</sup> ვიქნებოდი. რას იტყვი, ჩვენი უცნობი ვირტუოზისათვის რა როლი შეგვეთავაზებინა?

— დიახ, დიახ, უბედურებაც ეს არის! — წამოიძახა პრინცესამ, — დამიჯერებ, იულია, ამ უცნობის დანახვამ, მისმა უცნაურმა საუბარმა, არაჩვეულებრივად შემადრწუნა. ჯერ კიდევ ვერ მოვსულვარ გონს. ახლაც შიშის ჟრუანტელი მივლის ტანში; მთელს ჩემს არსებას თითქოს რაღაც ბოჭავს, ტვინის შორეულ კუნჭულებში იღვიძებს მოგონება, მაგრამ მის გაცნობიერებას ამაოდ ვცდილობ. ასე მგონია, სადღაც უკვე მინახავს-მეთქი ეს კაცი. ეს ყველაფერი რა-

<sup>1</sup> სელია, როზალინდა — გმირი ქალები შექსპირის კომედიის „როგორ მოგეწონებათ ეს“.



ლაც საშინელ ამბავთან უნდა იყოს დაკავშირებული, თავის დროზე გულზე მძიმე დალი რომ დამასვა. შესაძლოა, ეს მხოლოდ საშინელი სიზმარი იყო, ასე ღრმად რომ ჩამებეჭდა გონებაში. ასეა თუ ისე... ეს ადამიანი... თავისი უცნაური ქცევითა და აბდაუბდა ლაპარაკით მრისხანე დემონივით შემოიჭრა ჩემს არსებაში. ვინ იცის, იქნებ ამ დემონს განზრახული აქვს, თავის რკინის მარწუხებში მოგვიქციოს და მერე დაგვასამაროს.

— ღმერთო ჩემო! რა უცნაური აზრები მოგდის თავში! — წამოიძახა იულიამ, — მე კი მაგ გიტარიან შავ დემონს ბატონ ჟაკად ან მის უდიდებულესობა ერბოქვად<sup>1</sup> გადაუქცევდი; მისი მსოფლმხედველობა ხომ ზუსტად ესადაგება უცნობის აზრებს. ახლა კი, ჯერ ის საბრალო პაწია უნდა მოუნახო; დაინახე, იმ ბარბაროსმა როგორ გამეტებით მოისროლა ბუჩქებში?!

— იულია, ღვთის გულისათვის, რას სჩადიხარ? — მიაძახა პრინცესამ მეგობარს, მაგრამ იულიას მისთვის ყური აღარ უთხოვებია, ბუჩქებში გაუჩინარდა. რამდენიმე წუთის შემდეგ, სიხარულით სახე-გაცისკროვნებულს, საზეიმოდ ეპყრა ხელთ უცნობის გიტარა.

პრინცესამ დასძლია შიში და გულდაგულ დაუწყო დათვალიერება საკრავს. გიტარის დეკაზე საგანგებოდ იყო ამოტვიფრული მისი დამზადების თარიღი და ოსტატის ვინაობა: „Stefano Pacini, fec. Venet<sup>2</sup> 1532“, თუმცა, საკრავის უჩვეულო ფორმა უწარწეროდაც მეტყველებდა მის სიძველეზე.

იულიამ თავი ველარ შეიკავა და თითები ჩამოჰკრა ამ ულამაზესი საკრავის სიმებს. მოულოდნელად ისეთმა სავსე და ძლიერმა ბგერებმა გამსჭვალა სივრცე, გოგონა შეკრთა.

— ღმერთო დიდებულო! ეს რა საოცრება ყოფილა, ნამდვილი საოცრება! — ამბობდა აღფრთოვანებული იულია და დაკვრას განაგრძობდა. გოგონას ძალზე უყვარდა გიტარის თანხლებით სიმღერა და ახლაც, სიმებს თითები ჩამოჰკრა თუ არა, თავისდა უნებურად აღიღინდა. პრინცესა უხმოდ მიჰყვებოდა მეგობარს ფეხდაფეხ და როცა, მოულოდნელად, იულიამ დაკვრა შეწყვიტა, ჰედვიგამ სთხოვა:

— დაუკარი, დაუკარი და იმღერე ამ გრძნეულ საკრავზე. იქნე-

<sup>1</sup> ერბოქვა — ტაკიმასხარა იმავე კომედიაში.

<sup>2</sup> სტეფანო პაჩინი, დამზ. ვენეციაში (ლათ.).

ბა შენ მაინც შეძლო და ქვესკნელში შედენო ბოროტი სულები, ასე ჯიქურ რომ ცდილობენ დაეუფლონ ჩემს არსებას!

— რას დაგიჩემებია ეს ბოროტი სულები, — მიუგო იულიამ, — მე დაკვრა და სიმღერა მინდა, არასოდეს მჭერია ხელში ასეთი თვინიერი საკრაუი. ასე მგონია, მისი თანხლებით ჩემი ხმაც განსაკუთრებით ლამაზად ჟღერს-მეთქი, — და იულიამ ნატიფი სინარნარით წამოიწყო ურთულესი მელიზმებითა და პასაჟებით მდიდარი ცნობილი იტალიური კანცონეტა.

მაგრამ აი, ხეივანის ბოლოს, მოსახვევში, მათ წინ მოულოდნელად კვლავ უცნობი აღიმართა. პრინცესას ჯერ კიდევ არ გაჰქრობოდა წელანდელი შიში, იულია კი თითქოს გაქვავდაო, ერთ ადგილს მიეყინა.

უცნობი ოცდაათიოდე წლის იქნებოდა. შავ, მოღურ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი. მის ჩაცმულობაში თითქოს არაფერი ეცემოდა კაცს თვალში, მაგრამ გარეგნობაში მაინც ჰქონდა რაღაც უჩვეულო და უცნაური. მართალია, პწიანად ეცვა, მაგრამ ტანსაცმელზე რაღაც დაუდევრობაც ემჩნეოდა. ამის მიზეზი კი ის არ უნდა ყოფილიყო, რომ ამ საქმეს ხელს აკლებდა. უბრალოდ, ეტყობოდა, უცნობს მოულოდნელად გამოეწია სამოგზაუროდ, რის გამოც მისი სამოსი შეუფერებელი და უადგილო ჩანდა: ჟილეტი გამოსჩაჩოდა, ყელსახვევი სანახევროდ შეხსნოდა, დამტკვერილ ფეხსაცმელებზე ოქროსფერ ბალთებს ჩვეული ბზინვარება დაეკარგათ. აი, ასეთი წარდგა იგი გოგონების წინაშე. ყველაფერ ამას ისიც ემატებოდა, რომ თავზე პატარა, სამკუთხა ქუდი დაეკოსებინა, რომლის ფარფლებიც მზისგან თავის დასაცავად წინ გადმოეკეცა. ეს ქუდი, დიდი-დიდი, იღლის ქვეშ სატარებლად თუ გამოდგებოდა, ამიტომ უცნობს საკმაოდ სასაცილო იერს აძლევდა. ხშირ ბუჩქნარში თუ ევლო, რადგან აწეწილი შავი თმა ნაძვის ხიწვებით ჰქონდა სავსე. მან გულგრილად შეხედა პრინცესას, მერე კი დიდი შავი თვალების გაციისკროვნებული მზერა იულიაზე გადაიტანა. ისედაც შემცბარმა გოგონამ უარუსად დაირცხვინა და როგორც ხშირად ემართებოდა ხოლმე ასეთ შემთხვევებში, თვალებზე ცრემლი მოადგა.

— ო, ეს ღვთაებრივი ხმა! — ნაზი, ხავერდოვანი ხმით დაიწყო უცნობმა, — ო, რა ძნელია იმის ატანა, როცა ხედავ, რომ შენს გამოჩენაზე ეს ღვთაებრივი ხმა ღუმდება და ობოლ ცრემლად იქცევა.



პრინცესა, ეტყობოდა, თავს ებრძოდა, უცნობის მოულოდნელი გამოჩენით გამოწვეული გრძნობათა ჭიდილი რომ ჩაეხშო. მერე მუდღუერად შეხედა მას და საკმაოდ უხეშად უთხრა:

— გაოცებას ვართ თქვენი უეცარი სტუმრობით, ბატონო ჩემო. ამ დროისათვის მთავრის პარკში, ჩვეულებისამებრ, აღარ ელიან ხოლმე უცხოებს. მე პრინცესა ჰედვიგა გახლავართ.

პრინცესის ხმის გაგონებისთანავე უცნობი მკვეთრად შეტრიალდა მისკენ და პირდაპირ თვალებში შეაჩერდა. მყის ჩაუქრა მეოცნებე გამომეტყველება, ღრმა, სულიერი განცდის ყოველგვარი კვალი წაეშალა სახეზე: უცნაურად მრუდე ჩალიმილება, აშკარა ირონიას რომ გამოხატავდა, რაღაც სასაცილო, ტაკიმასხარული იერიც კი მისცა მის სახეს. ამის შემყურე პრინცესას სათქმელი პირზე შეეყინა და სახელაწილმა თვალები ძირს დახარა.

უცნობმა თითქოს რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ იულიამ დაასწრო.

— განა სულელი არა ვარ? — თქვა მან, — ნეტავ ვიცოდე, რამ შემაშინა და გოლეულის ქურდობაზე წასწრებული დატუქსული ბავშვით რატომ აუტირდი. დიახ, ბატონო ჩემო, მე მართლაც რომ ვტკბებოდი თქვენი შესანიშნავი გიტარის ღვთაებრივი ხმებით. ყველაფერში ეს საკრავი და ჩვენი ცნობისმოყვარეობაა დამნაშავე! ჯერ იყო და, ყური მოგიგდეთ და გავიგონეთ, რა ნაზად ესაუბრებოდით პაწიას, მერე ისიც დავინახეთ, გაბრაზებულმა, რა უწყალოდ მოისროლეთ იგი ბუჩქებში. გული მომიკვდა, როდესაც შემომესმა, როგორი საწყალობელი ხმით დაიკვნესა საბრალომ. უმაღლ შევძვერი ბუჩქებში და მოვძებნე ეს საოცარი საკრავი... ჰოდა... ჰოდა, კარგად მოგეხსენებათ, ყველა ქალი უწყარუნებს გიტარაზე; მერე ის იყო, სიმებს თითები ჩამოუკარ და რაკილა ერთხელ მესმა მისი ჯადოსნური ხმა, ხელიდან ვეღარ გაუგდე. მომიტყვეთ, ბატონო ჩემო, და დაიბრუნეთ თქვენი საკრავი.

იულიამ უცნობს გიტარა გაუწოდა.

— უნდა მოგახსენოთ, — დაიწყო უცნობმა, — რომ ეს ძალზე იშვიათი და ამავე დროს საოცრად კეთილხმოვანი საკრავი გახლავთ. იგი ჯერ კიდევ იმ ძველი, ბედნიერი დროების პირშია, მაგრამ ჩემს მოუქნელ ხელებში... თუმცა, რას მიქვია ხელები? ხელები არაფერ შუაშია! ამ იშვიათ არსებაში ჩაბუდეებული ჰარმონიის სული ჩემს

გულშია ც ჩაიკირა, მაგრამ იქ თითქოს შეიკრა და შეიბოჭაო, არც ერთი ლალი მოძრაობის შესრულება აღარ ძალუძს. თქვენს ხელში კი, ჩემო ქალბატონო, ეს საოცარი პარმონია შხით გაციისკროვნებული უკიდუგანო ცის ტატნობში იჭრება და ცისარტყელას კაშკაშა ფერებად იღვრება! დიახ, დიახ, თქვენს სიმღერაში გრძნეული ძალით გამოსჭვიადა მტანჯველი სიყვარულის მთელი ნაღველი, ტკბილი ოცნებების, იმედისა და წადილის აღმაფრენა; ყოველივე ეს, ერთ დიდებულ თაიგულად შეკრული, თავს დაჰფარფატებდა ტყე-ველს, მაცოცხლებელ ნექტრად ეპკურებოდა ყვავილთა ხალიჩას, ხსნად იჭრებოდა სმენად გატრუნული ბულბულების გულში! ეს საკრავი თქვენთვის მიჩუქებია, ჩემო ქალბატონო, რადგან მხოლოდ თქვენ ერთს გიპყრიათ ხელთ მისი საიდუმლოების ჯადოსნური გასაღები.

— კი, მაგრამ, განა თქვენ არ იყავით, რომ გადააგდეთ ეს საოცარი საკრავი? — მიუგო იულიამ და ღაწვებზე ყაყაჩოსფერი მოედო.

— მართალი ბრძანებაა, — თქვა უცნობმა, ქალიშვილს სასწრაფოდ გამოსტაცა გიტარა და მკერდზე მიიკრა, — დიახ, გადაუგდე, ახლა კი უკან ვიბრუნებ, როგორც რამ ღვთაებრივსა და სათაყვანოს, რომ ამიერიდან აღარასოდეს გაუგდო ხელიდან.

მაგრამ იმავე წუთს უცნობის სახემ კვლავ დამცინავი ნიღაბი აიფარა და მაღალი, გამკოჟანი ხმით წარმოთქვა:

— თავად განგებას ან ბოროტ დემონს თუ უნებებია ჩემთან ანგარიშის გასწორება, ძვირფასო მანდილოსნებო! ალბათ, ამიტომ მომავლინა თქვენ წინაშე, როგორც ლათინისტები ან სხვა განსწავლული პირნი იტყოდნენ, ასე *ex abrupto*.<sup>1</sup> თქვენო ბრწყინვალება! ღვთის გულისათვის, პატივი დამდეთ და თავიდან ფეხებამდე ამათვალიერ-ჩამათვალიერეთ, და ჩემს ჩაცმულობაზე მაშინვე მიხედებით, რომ არა ერთი და ორი დარბაზობა მეღის. დიახ, განზრახული მქონდა ზიგ-პარტსვაილერს ვწვეოდი და ამ წარმტაც ქალაქში თავად თუ ვერ დაურჩებოდი, ჩემი სავიზიტო ბარათი მაინც დამეტოვებინა. ღმერთო ჩემო, ნუთუ თქვენი ბრწყინვალება მართლა ფიქრობს, რომ არც არავის ვიცნობ და არც არავინ მიცნობს აქ? განა მამათქვენის ჰოფმარშალი თავის დროზე ჩემი მეგობარი არ გახლდათ? ეჭვი არ მეპარება, მას ახლა აქ რომ დაჟენახე, თავის ატლასის მკერდზე მიმიხუტებდა,

<sup>1</sup> მოულოდნელად (ლათ).



ბურნუსს შემომთავაზებდა და აღელვებით მეტყვოდა: „ჩემო ძვირფასო მეგობარო, აქ ჩვენ სრულიად მარტონი ვართ, ამიტომ შემიძლია ჩემს გრძნობებს გასაქანი მოვცეო“. მერე, ალბათ, ბრწყინვალე მთავარიც მიმიღებდა სასახლის კარზე და ჩემს თავს ყველა წესის დაცვით თქვენც წარმოგიდგენდათ. ო, პრინცესა! ეს ყველაფერი ისეთნაირად მოხდებოდა, აუცილებლად დავიმსახურებდი თქვენს კეთილგანწყობას. შხად ვარ, სანაძლეო დაედო და ჩემი საუკეთესო სექტაკორდების კოლექცია ერთ ალიყურზე გავცვალო, თუ ეს ასე არ იქნებოდა. ამჟამად კი, უბედურება ის არის, რომ იძულებული ვარ აქ, ამ გაუვალ ტყეში, გარეული იხვებითა და ბაყაყებით საჯსე დაჭაობებულ გუბესთან თავად წარმოგიდგინოთ ჩემი თავი. ღმერთო დიდებულო! ახლა ჯადოსნური წკეპლა რომ მქონოდა და შემძლებოდა ეს კეთილშობილი კბილსაჩიჩქნი (მან ჟილეტის ჯიბიდან კბილსაჩიჩქნი ამოაძვრინა) subito<sup>1</sup> სამეფო კარის უბრწყინვალეს კამერპერად გადაამექცია, იგი ქეჩოში ხელს წამაულებდა და მოგახსენებდათ: „ბრწყინვალე პრინცესაჲ! ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ მაჟანი და მაჟანი პიროვნებაო“. ახლა კი... *che far, che dir,*<sup>2</sup> მომიტყვეთ, მოწყალეო პრინცესა! მომიტყვეთ, კეთილშობილო ბატონებო და ქალბატონებო!

უცნობი პრინცესის წინაშე მუხლებზე დაეცა და გამკოვანი ხმით წაიძღერა: *Ah, pietà, pietà, signora!*<sup>3</sup>

პრინცესამ ხელი სტაცა იულიას და ორივენი თავქუდმოგლეჯილი გაიქცნენ სასახლისაკენ. შეშინებული ჰედვიგა გზადაგზა გაიძახოდა: „ეგ ნამდვილად შეშლილია, ეტყობა, საგიჟეთიდან არის გამოქცეულიო“.

მერე ის იყო, სასახლიდან გამოსულმა ქალბატონმა მრჩველმა სახეშეშლილ, აღელვებულ გოგონებს მოჰკრა თვალი და მათ შესაგებებლად გაეშურა.

— ღვთის გულისათვის, გამაგებინეთ, მოხდა რამე? რატომ გირბენიათ ასე? — ჰკითხა ქალბატონმა ბენცონმა მის ფერხთით გართხმულ აქოშინებულ გოგონებს.

<sup>1</sup> უეცრად (ლათ).

<sup>2</sup> რა გავაკეთო, რა გითხრათ! (იტალ.).

<sup>3</sup> „ო, შემიბრალებთ, შემიბრალებთ, სინიორა!“ (იტალ.) — კრაისლერი ხუმრობით იმეორებს დასაწყის სტრიქონებს ნიკოლო იომელის (1714-1774) ნაწარმოებიდან „Miserere“.

პრინციესა საშინლად აღელვებული და გონებააბნეული იყო, ამიტომ აბდაუბდად დაიწყო მოყოლა ვიღაც შემლილზე, მოულოდნელად რომ დაესხათ თავს. იულია კი წყნარად და დალაგებით მოუყვა დედას ყველაფერს, და თავისი ნაამბობი იმით დაასრულა, რომ ხაზი გაუსვა, სრულიად არა მგონია, უცნობი მართლა შემლილი იყოს, უბრალოდ, ბატონი ჟაკივით<sup>1</sup> სიტყვამოსწრებული და ენაკვიმატია და ძალიან მოუხდებოდა კიდევ ეს როლი კომედია „არდენის ტყეში“.<sup>2</sup>

ქალბატონმა ბენცონმა ქალიშვილს ერთხელ კიდევ გაამეორებინა ნაამბობი, დაინტერესდა ყველა წვრილმანით, გამოჰკითხა, როგორი გარეგნობა, მიხრა-მოხრა და საუბარი ჰქონდა უცნობს, როგორ იყო ჩაცმული და ბოლოს წამოიძახა:

— ჰო, ნამდვილად ის არის, ის! მის გარდა სხვა არავინ შეიძლება ყოფილიყო!

— ვინ, ვინ არის? — მოუთმენლად ჩაეკითხა ქალბატონ მრჩეველს პრინციესა.

— დამშვიდდით, ძვირფასო ჰედვიგა, — მიუგო ქალბატონმა ბენცონმა, — სულ ტყუილუბრალოდ გაგხეთქიათ გული. უცნობი, ასე რომ შეგაშინათ, სრულიადაც არ გახლავთ შემლილი. მართალია, ბევრის უფლება მიუცია თავისი თავისთვის და მისი ხუმრობა უადგილო და თავხედურია, მაგრამ ამ უცნაური ბუნების კაცს მსგავსი საქციელი შეიძლება ეპატიოს კიდევაც. დარწმუნებული ვარ, აუცილებლად მოგიბრუნდებათ მასზე გული.

— არასოდეს! არასოდეს მოხდება ეგ! — შესძახა პრინციესამ, — ღმერთმა დამიფაროს, ოდესმე კიდევ შევხვდე მაგ აყვია ტაკიმასხარას!

— აჰ, ჰედვიგა! — გაეცინა ქალბატონ ბენცონს, — მითხარით, გუმანით ასე ზუსტად როგორ იხმარეთ სიტყვა „აყვია“. ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ ზედგამოჭრილია იგი ჩვენი უცნობისათვის. ამას დღევანდელი ამბებიც მოწმობს.

— მეც ვერაფრით ამიხსნია, საყვარულო ჰედვიგა, ასე ძალიან რად აღგაშფოთა უცნობის საქციელმა? — ჩაერია საუბარში იულია,

<sup>1</sup> ბატონი ჟაკი — დამცინავი მელანქოლიკი შექსპირის კომედიაში „როგორ მოგქონებათ ეს“.

<sup>2</sup> როლი „არდენის ტყეში“ — იგულისხმება შექსპირის კომედია „როგორ მოგქონებათ ეს“, რომელშიც ზოგიერთი სცენა არდენის ტყეში თამაშდება.



— მართალია, მისი საქციელი და აბდაუბდა ლაპარაკი მეც, ცოტა არ იყოს, უცნაურად მომეჩვენა და ამაღელვება კიდევ, მაგრამ ამის გამო არავითარი უსიამოვნო გრძნობა არ დამრჩენია.

— ნეტავი შენ, — მიუგო თვალცრემლიანმა პრინცესამ, — ნეტავი შენ, რომ ასე მშვიდად და აუღელვებლად შეგიძლია ლაპარაკი, მაშინ, როცა მე ძარღვებში სისხლი მეყინება ამ საშინელი ადამიანის გახსენებაზე! ქალბატონო ბენცონ, ვინ არის ეგ შეშლილი?

— შევეცდები, ორიოდ სიტყვით აგიხსნათ ყველაფერი, — მიუგო მას ქალბატონმა ბენცონმა, — ამ ხუთიოდე წლის წინ...

(მ. ა. ა.) ...დამარწმუნა იმაში, რომ ჭეშმარიტ პოეტში ჰარმონიულად არის შერწყმული ბავშვურად მიაშიტური აზრები და მოყვასისადმი ცოდვა-მადლის წმინდა გრძნობა.

მოგეხსენებათ, ფარული სევდა მეოცნებე ჭაბუკის ხშირი სტუმარი გახლავთ და კაცს სწორედ მაშინ ეჩვენება ხოლმე, როდესაც იგი დიდი და ამაღლებული გრძნობების ქარტეხილს ებრძვის. სწორედ ამ სევდამ მიბიძგა განდევნობისაკენ. კარგა ხანს აღარ გაუკარებია არც სახურავს, არც სხვენსა და აღარც სარდაფს. ერთი ცნობილი პოეტისა არ იყოს, მტირალა ტირიფებისა და ტანწერწეტა არყების ჭალაში, მორაკრაკე ნაკადულთან პატარა ქოხში რომ დასახლდა,<sup>1</sup> მეც, ღუმელქვეშ მოკალათებულმა, წყნარ, იდილიურ ცხოვრებას მივყავი ხელი. გამოხდა ხანი და უკუღმართი ბედის ჩარხი ისე დატრიალდა, ჩემი ჭრულქურქიანი, მოსიყვარულე დედიკო აღარ მინახავს. ამიერიდან მეცნიერებაში ვპოვე სულიერი სიმშვიდე და ბედნიერება. ო, რა შესანიშნავია, როცა კაცი ეზიარება ხოლმე მას! დიდება, ჭეშმარიტი დიდება კეთილშობილ ადამიანს მეცნიერების შექმნისათვის! განა თავისი მშვენიერებითა და სარგებლობით შეედრება იგი შემხარავ თოფისწამალს, ვილაც მტარვალ ბერის ამ ჯოჯოხეთურ გამოგონებას? ო, როგორი უცხო და საძულველია მთელი ჩემი არსებისათვის ეს მომაკვდინებელი საშინელება! ბარტოლდი<sup>2</sup>

<sup>1</sup> „ერთი ცნობილი პოეტისა არ იყოს... მორაკრაკე ნაკადულთან პატარა ქოხში რომ დასახლდა“ — მწერალს მხედველობაში ჰყავს იტალიელი პოეტი ფრანჩესკო პეტრარკა (1304-1374), რომელმაც მრავალი წელი გაატარა ბუნების წიაღში განმარტოებულმა.

<sup>2</sup> ბარტოლდი, მეტსახელად შვარცი — ფრანგი ბერი ფრაიბურგიდან, მისდევდა ალქიმიკოსობას, 1259 წელს გამოიგონა თოფისწამალი.

გახლავთ იმ ბარბაროსისა და ჯოჯოხეთის მოციქულის სახელი. აღშფოთებულმა შთამომავლობამ სამარცხვინო ბოძზე გააკრა იგი და დღესაც, როდესაც სურთ ქებით ცაში აიყვანონ ცნობილი მეცნიერი ან ისტორიკოსი, ერთი სიტყვით, როდესაც უნდათ ხარკი მიუზღონ ვინმეს არაჩვეულებრივ ნიჭიერებას, ამბობენ ხოლმე: „ეს კაცი თოფისწამალს ვერ გამოიგონებდაო!“

დიდი მომავლის მქონე კატათა ახალგაზრდა თაობას ერთი რამ მინდა გაუანდო: როდესაც მეცნიერების ჭია შემიძვრება ხოლმე, შევხტები ჩემი პატრონის წიგნების კარადაზე, თვალდახუჭული ჩავვლებ ბრჭყალებს რომელი წიგნიც მომხვდება, გამოვართევ და ვკითხულობ, რა შინაარსისაა უნდა იყოს იგი. სწავლების ამგვარმა მეთოდმა ჩემს ტვინს მოქნილობა და სისხარტე შესძინა, ჩემს ცოდნას კი ცისარტყელას ფერებად აკიაფებული ისეთი ბრწყინვალეობა მიანიჭა, მომავალი თაობები, ალბათ, განცვიფრდებიან. აქ არ მოყვები ახლა ყველა იმ წიგნის ჩამოთვლას, ჩემი პოეტური განდეგილობის თვეებში განურჩევლად რომ გადავიკითხე. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, ის გახლავთ, რომ უფრო შესაფერის აღვიღას მინდა ამაზე მოგახსენოთ, ხოლო მეორე მხრივ კი ის, რომ უკვე წესადა მაქვს გადაქცეული, არ ვიკითხო წიგნის სათაურები. სწორედ ამიტომ არასოდეს არ ვიცი, რას ვკითხულობ. იმედია, ყველა კმაყოფილი დარჩება ჩემი ახსნა-განმარტებით და ბრალად არავინ დამდებს ბიოგრაფიულ ქარაფშუტობას.

წინ კი ახალი ფათურაკებით საუსე გზა მელოდა.

ერთ მშვენიერ დღეს, როცა ჩემი პატრონი წინ გადაშლილ სქელ ფოლიანტს ჩასჯდომოდა, მე კი იქვე, მის ფეხებთან, მშვენიერ ატლასის ქალაღზე ვიყავ მოკალათებული, — ბერძნული დამწერლობა შესანიშნავად მიესადაგა ჩემი თათის მოყვანილობას და მეც სიამოვნებით ვვარჯიშობდი ხოლმე წერაში, — მოულოდნელად ოთახში ახალგაზრდა კაცი შემოვიდა. იგი ადრეც არაერთხელ სწვევია ჩემს პატრონს და ყოველთვის მეგობრული პატივისცემით მეპყრობოდა, უფრო მეტსაც გეტყვით, აშკარად გამოხატავდა ჩემ მიმართ იმ მოწიწებას, როგორსაც მხოლოდ აღიარებული გენიოსი იმსახურებს ხოლმე. ოთახში შემოსვლისთანავე ჯერ ჩემს პატრონს მიესალმებოდა, მერე მე მომიბრუნდებოდა და „დილა მშვიდობისას“ მისურვებდა, მაგრამ ამასაც არ სჯერდებოდა: ყურებსა და ზურგზე აუცილებ-



ლად ნაზად უნდა გადაესვა ხელი. გამოგიტყდებით, ასეთი მოპყრობა ძალზე მსიამოვნებდა და ხელს უწყობდა ჩემი ნიჭის კიდევ უფრო გაფურჩქნას.

მაგრამ ვაი, რომ იმ დღეს ყველაფერი უკულმა დატრიალდა!

ახალგაზრდა კაცს ოთახში ხტუნვა-ხტუნვით ერთი გაბურძენილი ურჩხული შემოჰყვა ფეხდაფეხ. იგი თვალებიდან ნაპერწკლებს აკვესებდა. დამინახა თუ არა, მაშინვე ჩემკენ გამოექანა. საშინელმა შიშმა ამიტანა; თვალის დახამხამების უმაღლეს ვისკუპე, ჩემი პატრონის საწერ მაგიდაზე ავხტი და საწყალობლად მოვრთე კნავილი. ურჩხულსაც აღარ დაუხანებია და ერთი აურზაურით ამოხტა მაგიდაზე. ჩემს კუთილ პატრონს ძალიან შევეცოდე, ხელში ამიყვანა და ხალათის უბეში ჩამისვა. ახალგაზრდა კაცმა თქვა:

— ამაოდ წუხხართ, ძვირფასო მაესტრო, ჩემი პუდელი სულაც არ ერჩის კატებს, უბრალოდ, სურს გაეთამაშოს თქვენს ციციუნიას. აბა, ჩამოსვით ძირს, ვნახოთ, როგორ გაეცნობიან ერთმანეთს ჩემი პუდელი და თქვენი კატა. ვგონებ, ძალზე სასაცილო სანახავი უნდა იყოს!

ჩემმა პატრონმა მართლა მოინდომა ძირს ჩამოვესვი, მაგრამ მე ისე საწყალობლად მოვრთე კნავილი, რომ იგი გაიწია და სკაშზე, თავის გვერდით დამითმო ადგილი.

პატრონის მხარდაჭერით გათამამებული, უკანა თათებზე შევსკუპდი, კუდი ზედ შემოვიხვიე და ისეთი ამაყი და მედიდური გამომეტყველება მივიღე, არ შეიძლებოდა შავ მტარვალში მოწიწება არ აღმიძრა. პუდელი ჩემ წინ მოკალათდა, დაჟინებით მომაშტერდა, თან დროდადრო, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, რაღაც სიტყვებს ისროდა. მე კი მისი ლაპარაკისა, რა თქმა უნდა, არა გამეგებოდა რა. შიშმა ნელ-ნელა გამიარა და როდესაც საბოლოოდ დაუმშვიდდი, მივხვდი, რომ პუდელის შხერაში მხოლოდ და მხოლოდ სიკეთე და გულწრფელობა გამოსჭვიოდა. კუდის ქიცინით დავიწყე იმ ნდობის გამოხატვა, მისმა შხერამ რომ აღმიძრა; პუდელსაც აღარ დაუხანებია და თავისი მოკლე კუდის ქნევით გამომეპასუხა.

როგორც იტყვიან, გულს გული იცნობსო! დიახ, ჩვენ შშვენთრად გაუუგეთ ერთმანეთს! „ნეტავ ასე რატომ შემაშინა უცნობის უცნაურმა საქციელმა? — ვკითხე საკუთარ თავს, — განა მისი ხტუნვა-თამაში, წკმუტუნი, წინ და უკან გაშმაგებული სირბილი, ყმაწ-

ვილკაცის ჯან-ღონეზე, მოქნილობასა და თავისუფალი, მხიარული ცხოვრებისადმი სიყვარულზე არ მეტყველებდა? ო, რა კეთილშობილური გრძნობითაა აღსავსე მისი შავი ბალნით დაფარული მკერდი!“ ამ აზრმა, ცოტა არ იყოს, მხნეობა შემმატა და გადავწყვიტე, გადამედგა პირველი ნაბიჯი უცნობთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის დასამყარებლად. ახლა უკვე სკამიდან ჩამოსვლა იყო საჭირო.

ის-ის იყო, ფეხზე წამოვდექი და გავიზმორე, რომ პუდელი წამოხტა და ხმამაღალი ყეფით შემოურბინა ოთახს. დიახ, მსგავსი საქციელი მის ჯანსაღ, ლამაზ სულზე მიუთითებდა! საშიში აღარაფერი იყო. სკამიდან ჩამოვუდი და ნელი, ფრთხილი ნაბიჯებით მოუახლოვდი ჩემს ახალ მეგობარს. ახლა კი იმ აქტის შესრულებას შევუდექით, სიმბოლურად მონათესავე სულების უფრო მჭიდრო დაზავებას რომ გამოხატავს. ეს შინაგანი ურთიერთლტოლვით გამოწვეული ის კავშირი გახლავთ, რასაც ბეცმა ადამიანმა უხეში, უწმაწური და მკრუხელური სიტყვა „დაყნოსვა“ დაარქვა. ჩემმა შავმა მეგობარმა მაგრძნობინა, სიამოვნებით მოვირთმევედი შენს ჯამში ჩაყრილ ქათმის ძვლებსო. რამდენადაც შემეძლო, მივახვედრე, კარგი აღზრდის წესები და უბრალო ზრდილობა მოითხოვს, სტუმარს, რაც შეიძლება, პატოვი ვცე-მეთქი. იგი, მართლაც რომ მაღიანად მიაძღა ჩემს ულუფას, მე კი ისღა დამრჩენოდა, შორიახლოს მივმჯდარიყავი და თვალყური მედევნებინა მისთვის. ბედი ჩემი, რომ შემწვარი თევზის ნაჭერი საწოლის ქვეშ გადავმაღლე წელან. სადილის შემდეგ თამაში და გართობა დავიწყეთ ერთმანეთს ველაციციებოდით, კისერზე ვახტებოდით, ვკოტრიალობდით და მეგობრობასა და ერთგულებას ვეფიცებოდით.

ვერაფრით გამეგო, რა იყო სასაცილო ორი გულითადი მეგობრის საზეიმო შეხვედრაში, ჭაბუკური გრძნობების გულწრფელ გამოვლინებაში; მაგრამ რატომღაც ორივენი, ჩემი პატრონიცა და უცნობი ყმაწვილიც, ჩემდა გულის გასახეთქად, სიცილით იჭაჭებოდნენ.

ახალმა ნაცნობობამ ჩემზე ისეთი წარუშლელი კვალი დატოვა, სადაც უნდა ვყოფილიყავი, — მზის სხივებს შეფიცხებული თუ ჩრდილს შეფარებული სახლის სახურავზე თუ ღუმელქვეშ, — მხოლოდ და მხოლოდ პუდელს დასტრიალებდა ჩემი ფიქრი და ოცნება. სწორედ ამიტომ მთელი სისავსით, მთელი ბრწყინვალეობით გამოიკვეთა ჩემს წარმოდგენაში პუდელის ხასიათი და შინაგანი



ბუნება, და ამ ნაცნობობის შედეგად იშვა ზემოხსენებული ღრმად ფილოსოფიური თხზულება: „გონება და გუმანი, ანუ კატა და ძალღი“. ამ ნაწარმოებში იმ აზრს ვავითარებ, რომ კატათა და ძალღთა მოდგმის ადათ-წესები, ზნე-ჩვეულებები თუ მეტყველება მჭიდროდ არის დაკავშირებული მათი ჯიშის თავისებურებებთან და ვამტკიცებ, რომ ეს თავისებურებები ერთ პრიზმაში გადაკვეთილი სინათლის ორი სხვადასხვა სხივია მხოლოდ. განსაკუთრებით კარგად შევძელი ენის ბუნებისა და არსის გამოხატვა. დიახ, მე ვამტკიცებ, რომ ენა ბუნებრივი პრინციპის სიმბოლური გამოხატულება გახლავთ ბგერებში. აქედან გამომდინარე, ამქვეყნად მხოლოდ ერთი ენა არსებობს. ამიტომ კატური ენაც, ისევე, როგორც ძალღური, — ამ შემთხვევაში კი მისი პუდელური დიალექტი, — ერთი ხის სხვადასხვა შტოს წარმოადგენს მხოლოდ. სწორედ ამის გამო ნათელი ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებულ კატასა და პუდელს თავისუფლად შეუძლიათ გამონახონ საერთო ენა. იმისათვის, რომ ჩემი მოსაზრება დამესაბუთებინა, ორივე ენიდან მრავალი მაგალითი მოვიშველიე, განსაკუთრებული ყურადღება კი მონათესავე ფუძეებზე გავამახვილე, როგორიცაა: აუ, აუ, მიაუ-მიაუ, ჰაუ-ჰაუ, აუ-იაუ, კორ-კურ, პტს-პმრც და ა.შ.

წიგნის დამთავრების შემდეგ უდიდესმა სურვილმა შემიძყრო, მართლა შემესწავლა პუდელური ენა, რაშიც დიდი დახმარება გამიწია ჩემმა ახალმა მეგობარმა, პუდელმა პონტომ. უნდა მოგახსენოთ, რომ პუდელური ენა, ჩვენთვის, კატებისათვის, არცთუ ისე ადვილი შესათვისებელია, მაგრამ გენიოსი რის გენიოსია, თუ ყველა დაბრკოლება არ გადალახა. თუმცა, სწორედ ასეთი სახის გენიალურობას ეჭვის თვალთ უყურებს ადამიანთა მოდგმის ერთი მწერალი.<sup>1</sup> მისი აზრით, ადამიანმა უცხო ენა თავისი დიალექტებიანად სრულყოფილად რომ შეისწავლოს, ჯამბაზის ნიჭით უნდა იყოს დაჯილდოებული. კაცმა რომ თქვას, ჩემი პატრონიც ამ თვალსაზრისზე იდგა. იგი ამბობდა: ერთია, ძირისძირობამდე შეისწავლო უცხო ენა და სულ სხვაა, ამ ენაზე ტიტინი შეგეძლოსო. ტიტინში იგი გულისხმობდა ადამიანის უნარს, ერთდროულად ყველაფერზეც ელაპარაკა და ამავე

<sup>1</sup> „ადამიანთა მოდგმის ერთი მწერალი“ — გერმანელი სატირიკოსი მწერალი გეორგ კრისტოფ ლიხტენბერგი (1742-1799); პოფმანს მხედველობაში აქვს მისი ნაშრომი „შენიშვნები ენის შესახებ“ (1800).

დროს არაფერზეც. იგი იმასაც კი ამტკიცებდა, რომ ფრანგული ენა, რომელზედაც სამეფო კარის დიდებულები მეტყველებენ, კატალეფსიური შეტევის მსგავსი რამ არის და ძალიან სახიფათო მოუღენებით ხასიათდებაო. საკუთარი ყურით გავიგონე, როგორ იცავდა თავის ამ სულელურ მოსაზრებას მთავრის პოფმარშლის თანდასწრებით.

— პატოვი დამდეთ, თქვენო უდიდებულესობაჲ, — ეუბნებოდა მაესტრო აბრაჰამი პოფმარშალს, — დააკვირდით საკუთარ თავს. ბუნებას ხომ მშვენიერი, წკრიალა ხმით დაუჯილდოებიხართ, მაგრამ საკმარისია ფრანგულად ალაპარაკდეთ, რომ იწყებთ სისინს, შიშინს, ჩიფჩიფს, დუდლუნს, სახე ამ დროს გემანჭებათ, მშვენიერი, გაუკაცური, სერიოზული სახის ნაკვთები საშინლად გითრთით. აბა, მითხარით, რას შეიძლება მიუაწეროთ ეს ყველაფერი, თუ არა თქვენს სხეულში ჩაბუდებულ რომელიღაც აუბედით აუადმყოფობას?

პოფმარშალი გულიანად ხარხარებდა და მართლაც, კაცს არ შეიძლებოდა, არ გასცინებოდა მაესტრო აბრაჰამის უცნაურ მოსაზრებაზე, თითქოს უცხოური ენებით გატაცება რაღაც აუადმყოფობა ყოფილიყოს.

ერთი გამჭრიახი გონების მეცნიერი თავის წიგნში ასეთ რჩევა-დარიგებას აძლევს ყველას, ვისაც კი უცხოურ ენაში დაოსტატება გადაუწყვეტია; იგი ამბობს: ადამიანმა ამ ენაზე უნდა იაზროვნოსო. რა გვეთქმის! მართლაც შესანიშნავი რჩევაა, მაგრამ ამას თუ მიჰყვა კაცი, შეიძლება ხიფათსაც გადაეყაროს. მე, მაგალითად, ძალიან სწრაფად შევეჩვიე პუდელოვით აზროვნებას, მაგრამ იმდენად გადავერთე მისეულ აზროვნების ყაიდაზე, საკუთარი ენა გადამაჟიწყდა და აღარ მესმოდა, სად იწყებოდა და სად მთავრდებოდა ჩემი საკუთარი აზრები. სწორედ იმ გაურკვეველი აზრების დიდი ნაწილი გადავიტანე ქალაქდზე. კრებული შევადგინე და „აკანტის ფურცლები“<sup>1</sup> ვუწოდე. დღემდე მაოცებს ამ აფორიზმების სიღრმე, მათ აზრს ვერა და ვერ ჩავწვდომივარ.

ვფიქრობ, ამ მოკლე მიმოხილვის შემდეგ, ჩემი ყრმობის თვეებთან დაკავშირებით რომ გავაკეთე, მკითხველს ნათელი წარმოდგენა შეექმნება, თუ რა ვიყავ უწინ და რას წარმოუადგენ ამჟამად.

<sup>1</sup> „აკანტის ფურცლები“ — ირონიული მინიშნება გერმანელი რომანტიკოსი პოეტის, ისიდორ ორიენტალის (ნამდვილი გვარი და სახელი: ოტო ჰაინრიხ ფონ ლიობენი, (1785-1825), ნაწარმოებზე „ლოტოსის ფურცლები“ (1817).



და მაინც, ისე ადვილად ვერ დავეშვიდობები ჩემი ფათურაკუბით აღსავსე მშვენიერი სიჭაბუკის ხანას, რომ არ გავიხსენო ერთი შემთხვევა, იგი ხომ ჩემი დაუაჟაკაციების ერთგვარ წანამძღვარს წარმოადგენს! კატების ახალგაზრდა თაობა ამ შემთხვევის წყალობით შეიტყობს, რომ ვარდი უეკლოდ არაუვის მოუკრეფია, რომ დიადი მიზნების მისაღწევად კაცს არა ერთი და ორი სიძნელის გადალახვა მოუწევს, და რომ ქვალორლიან გზაზე ხშირად გასისხლიანებული თათებით გვიხდება სიარული. ო, მაინც რა მგრძნობიარე და მტკივნეულია ხოლმე ეს ოხერი ჭრილობები!

კეთილო მკითხველო! გეტყობა, შეგეხარბა ჩემი უზრუნველი ყრმობისა და გულში, ალბათ, კიდევაც ამბობ, ეს რა ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილა დაბადებულიო. აბა, წარმოიდგინეთ, ერთი ხელმოკლე, მაგრამ დიდგვაროვანი მშობლების შვილი, ხელიდან ვუძვრები სამარცხვინო სიკვდილს და მოულოდნელად საოცარ ფუფუნებაში, უმდიდრესი ლიტერატურის ზღაპრულ სამეფოში ამოვყოფ თავს! არაფერი უდგება წინ ჩემს სწავლა-განათლებას, არაფერი აფერხებს ჩემი ნიჭის გაშლა-გაფურჩქნას, გოლიათური ნაბიჯებით მივაბიჯებ სრულყოფილების მწვერვალებისაკენ და ჩემს დროებას კარგა გვარიანად ვუსწრებ წინ. და აი, უეცრად ხელში ვუვარდები ვიღაც მებაჟეს; და წარმოიდგინეთ, ჩემგან იმავე ხარკის გადახდას მოითხოვს, რასაც ჩვეულებრივი მოკვდავები იხდიან!

აბა, ვინ იფიქრებდა, რომ მეგობრობის უნაზეს საბურველქვეშ იმალებოდა დაშნა, შემდეგ საშინელ ჭრილობებს რომ მომაყენებდა?

და აი, ახლა, როდესაც მოგიყვებით ჩემი და პონტოს ურთიერთობაზე, ყველა, ვისაც კი ჩემებრ მგრძნობიარე გული უცემს მკერდში, მიხვდება, თუ რა ძვირფასი იყო ამიერიდან იგი ჩემთვის. მაგრამ, დახე ბედის დაცინვას! სწორედ პონტო გახდა პირველი მიზეზი ჩემი უბედურებისა და ეს უბედურება აუცილებლად დამლუპავდა კიდევ, დიდებული წინაპრის სულს რომ არ ემძღავრა ჩემში. დიახ, ძვირფასო მკითხველო, მე წინაპარიც მყავდა. წინაპარი, ურომლისოდაც, ალბათ, არც ვიქნებოდი ამქვეყნად. ეს გახლდათ შესანიშნავი ვაჟკაცი, გაულენიანი, ფრიად განსწავლული, არაჩვეულებრივად ქველმოქმედი, უაღრუსად კაცთმოყვარე, ნატიფი გემოვნებით დაჯილდოებული პიროვნება. პიროვნება, ვინც... ერთი სიტყვით, აქ მას მხოლოდ გაკვრით შეეხები. მოგვიანებით კი უფრო დაწვრილუ-

ბით აღვწერ ჩემს ღირსეულ წინაპარს, საქვეყნოდ სახელგანთქმულ პრემიერ-მინისტრ ჰინც ფონ ჰინცენფელდს,<sup>1</sup> ადამიანთა მოდგმა აგრერიგად რომ აფასებდა და ჩექმებიანი კატის სახელით რომ იყო ცნობილი.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ამ უკეთილშობილეს კატაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

შეიძლებოდა კი, რომ ეს ყველაფერი სხვაგვარად მომხდარიყო? აბა, მითხარით, მას მერე, რაც ასე ოსტატურად დავეუფლე პუდელურ ენას, განა შემეძლო არ გამენდო ჩემს ძვირფას მეგობარ პონტოსათვის გულის ხვაშიადი, განა შემეძლო არ მესაუბრა მასთან ჩემს ქმნილებებსა და საკუთარ თავზე? ასე და ამგვარად, მისთვის ცნობილი გახდა ჩემი არაჩვეულებრივი შესაძლებლობების, ნიჭიერებისა და გენიალურობის ამბავი; მაგრამ, სამწუხაროდ, შევნიშნე, რომ თავად პონტოს ქარაფშუტა ხასიათი და ამპარტაუნობა საშუალებას არ აძლევდა, თავისი წვლილი შეეტანა მეცნიერებისა და ხელოვნების წინსვლის საქმეში. და, აი, ნაცვლად იმისა, აღფრთოვანებულიყო ჩემი განსწავლულობით, განმიცხადა, ვერ გამიგია, რა ჭკუაში მოგვიდა ასეთ საქმეებზე დაგეკარგა დროო. თავად ჩემი მოღვაწეობა ხელოვნების სფეროში იმით შემოიფარგლება, რომ ჯოხზე გადაუხტები ანდა წყლიდან ამოვიღებ ხოლმე ჩემი პატრონის ქუდსო. ჩემი აზრით, დაასკვნა მან, ჩვენნაირ ხალხში მეცნიერებით გატაცებამ შეიძლება მხოლოდ კუჭის აშლილობა გამოიწვიოს და სამუდამოდ გაგვიფუჭოს მადაო.

ერთ-ერთი ასეთი საუბრის დროს, როდესაც ჩემი ქარაფშუტა მეგობრისათვის ჭკუის დარიგებას ვცდილობდი, საშინელი რამ მოხდა. გონს მოსვლა ვერ მოვასწარ, რომ...

(სამაკ. თაბ.) ...ღიახ, ღიახ, — მიუგო ქალბატონმა ბენცონმა, — დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენი უზალტირებული ქცევებითა და გულგამგმირავი ირონიით ყოველთვის გამოიწვევთ ალიაქოთსა და არეულ-დარეულობას. ერთი სიტყვით, ყოველთვის შეიტანთ ერთგვარ დისონანსს ადამიანთა შორის დადგენილ პირობით ურთიერთობებში.

<sup>1</sup> „პრემიერ-მინისტრი ჰინც ფონ ჰინცენფელდი“ — იგულისხმება ჩექმებიანი კატა, ლუდვიგ ტიკის ამავე სახელწოდების კომედიის გმირი.



— ო, ნეტავ იმ კაპელმაისტერს, ვისაც ასეთი დისონანსების შეტანა ძალუძს! — გაეცინა კრაისლერს.

— ნუ გეცინებათ, — განაგრძო ქალბატონმა ბენცონმა, — უფრო სერიოზულად მოეკიდეთ ამ ამბავს. იცოდეთ, მაგ მწარე ირონიით ჩემთან ფონს ვერ გახვალთ, ჩემო ძვირფასო იოჰანეს! ახლა უკვე ვეღარ დამიძვრებით ხელიდან! დიახ, იოჰანეს-მეთქი, ეთქვი; ამიერიდან ამ ნაზი სახელით მინდა მოგმართოთ, და მაინც არ ვკარგავ იმედს, რომ მწარე დაციხვის ნილაბქვეშ ნაზი გრძნობების პატრონს დავინახავ; და გარდა ამისა, ვერაფრით დავიჯერებ, რომ „კრაისლერი“ თქვენი ნამდვილი გვარია და ვინმემ არ შეგიცვალათ იგი.

— ძვირფასო ქალბატონო მრჩეველო, — ჩაილაპარაკა კრაისლერმა და სახეზე უცნაურად აუთამაშდა თითოეული ნაკვთი, აუტოკდა ყველა ნაოჭი, — ვერ გამიგია, რა გაქვთ ჩემი პატიოსანი გვარის საწინააღმდეგო? შესაძლოა, ოდესღაც კიდევაც ვატარებდი სხვა გვარს, მაგრამ მას შემდეგ იმდენმა წყალმა ჩაიარა! მეც იგოფე ამბავი დამემართა, რაც ერთ მრჩეველს ტიკის „ლურჯწვერაში“<sup>1</sup> გახსოვთ, რას ამბობდა იგი: „ერთ დროს, მართლაც რომ შესანიშნავი გვარის კაცი ვიყავი, მაგრამ, აი, გამოხდა ხანი, იმ გვარს დავიწყების ფარდა მიეფარა და მისგან მხოლოდ ბუნდოვანი მოგონებალა დამრჩაო“.

— აბა, იფიქრეთ, იფიქრეთ, იოჰანეს! — წამოიძახა ქალბატონმა მრჩეველმა და ანთებული მხერა შეავლო კაპელმაისტერს, — დარწმუნებული ვარ, გაგახსენდებათ ის თქვენი მოვიწყებული გვარი!

— არა და არა, ჩემო ძვირფასო ქალბატონო! ეს შეუძლებელია! — მიუგო კრაისლერმა, — მოგეხსენებათ, ადამიანისათვის გვარი და სახელი მისი არსებობის დამადასტურებელი საბუთია. ეჰ, ეს ყველაფერი ძალზე შორეულ ამბებს მაგონებს და იმ ბედნიერ დროს მიეკუთვნება, როცა ჩემი ძველი გარეგნობა ძველსავე გვარსა და სახელთან იყო დაკავშირებული. იმ დროს კი, გულახდილად რომ გითხრათ, მე, კრაისლერი, ჯერ კიდევ არ ვარსებობდი ამქვეყნად. პატივცემულო ქალბატონო, აბა, ერთი სცადეთ და ჩემს საბრალო სახელს მოწყალე თვალით შეხედეთ! დაინახავთ, რა ლამაზი მოგეჩვენებათ არა

<sup>1</sup> „რაც ერთ მრჩეველს ტიკის „ლურჯწვერაში“ — ლუდვიგ ტიკის დრამა „ლურჯწვერა რაინდი“ (1796), დაწერილი შარლ პეროს ამავე სახელწოდების ზღაპრის მიხედვით

მარტო თავისი კეთილზმოვანებითა თუ ფერადლოვნებით, არამედ, ასე ვთქვათ, გარეგნობითაც. უფრო მეტიც! გადმოაბრუნეთ იგი უკუღმა! გაკვეთეთ გრამატიკის ანატომიური დანით და თქვენ წინაშე მთელი თავისი მშვენიერებით გაიელვებს მისი შინაგანი არსი. ჩემო ძვირფასო! იმედია, არ დაიფიწყებთ ჩემი გვარის ფუძის ძებნას სიტყვაში „Kraus“, რაც დახვევას, დახუჭუჭებას ნიშნავს, ხოლო ჩემზე კი სიტყვა „Kräusler“-ის ანალოგიით, არა ბრძანებთ, რომ ბგერებს, ანდა შესაძლოა, თმასაც ვახუჭუჭებ, ერთი სიტყვით, რომ უბრალოდ დალაქი გახლავართ. მაგრამ მაშინ ხომ ჩემი გვარიც ასე დაიწერებოდა: Kräusler. არა, თქვენ ვერსად გაექცევით სიტყვას „Kreis“ — წრეს; და მე ვვედრი უფალს, რომ თქვენს თავში უმაღლეს გაჩნდნენ ჯადოსნური წრეები; განა ამ წრეებში არ ტრიალებს მთელი ჩვენი წუთისოფელი და მათგან, რაც უნდა მოინდომოს კაცმა, თავის დაღწევა არ უწერია. დიახ, კრაისლერიც ამ წრეებში ტრიალებს; შესაძლოა, დროდადრო, წმინდა ვიტეს როკვისაგან<sup>1</sup> სასომიხდილი, — ეტყობა, ამისათვის განგებას გაუწირავს იგი, — ორთაბრძოლაში ებმება ბნელეთის იდუმალ ძალებთან. აი, სწორედ ის ძალები შემოფარგლავენ იმ აუბედით წრეებს. მაშინ კი, კრაისლერს ერთიათად შემოაწვება ხოლმე სვედა უკიდუგანო სოვრცეზე, ეს კი ბევრად აღემატება იმ ძალებს, რასაც შეუძლია გაუძლოს მისმა ისედაც ნაზმა სხეულმა. შესაძლოა, ოხუნჯობა, ასე მკაცრად რომ კიცხავთ, იმ ვნებიანი აღტყინების მწარე ტკოილი გახლავთ! რატომ არ გინდათ შეამჩნიოთ, რომ ჯან-ლონით სავსე დედამ შვა ძე, ცხოვრებაში ძალაუფლებიანი გამგებელივით რომ შედის! მხედველობაში მაქვს ოხუნჯობა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო თავის მრუმ, გერ დასთან — დაცინვასთან!

— დიახ, — თქვა ქალბატონმა მრჩეველმა, — სწორედ ეს ოხუნჯობა გახლავთ თქვენი უცნაური, აულაგმავი წარმოსახვის ნაყოფი. იგი იმდენად მოკლებულია სახიერებასა და ფერადლოვნებას, რომ თავად თქვენ, გულქვა მამაკაცებმაც კი, არ უწყით, სად შეიძლება მიუჩინოს მას ადგილი კაცმა. ძალიან ცდილობთ, ხუმრობა წარმოგიდგინოთ, როგორც ამაღლებული და მშვენიერი რამ და არც კი იცით, რომ ამ დროს ფეხით თელავთ ყოველივე ჩვენთვის ძვირფასსა და წმიდათაწმიდას. იცით თუ არა, კრაისლერ, რომ პრინცესა ჰედვიგა

<sup>1</sup> წმინდა ვიტეს როკვა — ნერვული დაავადება, რომლისთვისაც დამახასიათებელია განსაზღვრული კუნთების თრთოლა და თამაში.



დღემდე ვერ მოსულა გონს პარკში თქვენთან შეხვედრის შემდეგ? განა არ იყო უცნაური თქვენი მაშინდელი საქციელი? პრინცესა უაღრესად მგრძნობიარეა და აუადმყოფურად განიცდის ყველა ხუმრობას, რაშიც ოდნავადაც კი იგრძნობს თავმოყვარეობის შელახვას. თქვენ კი, ძვირფასო იოჰანეს, თავი მოგიგიჟიანებიათ და ისე შეგიშინებიათ, საბრალო კინალამ ლოგინად ჩავარდა. აბა, მითხარით, შეიძლება ამის პატიება?

— ისევე, როგორც ვილაც პრინცესას არ შეიძლება ეპატიოს უბადრუკი სურვილი, გააცამტვეროს თავისი ბრწყინვალე მამიკოს პარკში შემთხვევით გამოჩენილი უცნობი და ცილი დასწამოს, გიჟიანო, მაშინ, როცა მას გიჟისა არა სცხია რა.

— ასე იყო თუ ისე, — განაგრძო ქალბატონმა მრჩველმა, — თქვენს უცნაურ გამოხდომას პარკში შეიძლებოდა საესებით საუბარად შედეგი მოჰყოლოდა. თუ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა და პრინცესა შეურიგდა იმ აზრს, რომ შესაძლოა კვლავ მოუხდეს თქვენთან შეხვედრა, ამას ჩემს იულიას უნდა უმადლოდეთ. იგი ერთადერთი ადამიანი იყო, ვინც გიცავდათ და ამტკიცებდა, თითქოს თქვენი თითოეული სიტყვა თუ საქციელი უჩვეულო აგზნებულობის შედეგი ყოფილიყო, და რომ მსგავსი გრძნობა ხშირად ეუფლება ხოლმე ბედისაგან დაჩაგრულ ანდა ძალიან მგრძნობიარე ადამიანებს. ერთი სიტყვით, იულიამ ამას წინათ წაიკითხა შექსპირის „როგორ მოგეწონებათ ეს“ და მელანქოლიურ ბატონ ჟაკს შეგადარათ.

— ო, საოცრებაჲ! ო, ძვირფასო ბავშვო! — წამოიძახა კრაისლერმა და თვალები ცრემლით ავესო.

— გარდა ამისა, — განაგრძო ქალბატონმა ბენცონმა, — როდესაც გიტარაზე დაკვრა დაგიწყიათ, და როგორც იულიამ მიაძმო, — საკრავს ხან ალერსიანად ესაუბრებოდით, ხან კი უწყრებოდით, ჩემს გოგონას თქვენში ბრწყინვალე ნიჭის კომპოზიტორი და მუსიკოსი აღმოუჩენია. იგი მარწმუნებს, იმ წუთში ჩემში ისეთმა მუსიკალურმა შთაგონებამ გაიღვიძა და ისეთი გრძნობით დავიწყე სიმღერა და დაკვრა, როგორც არასდროსო. უნდა გამოგიტყდეთ, იულია ვერაფრით შეეგუა იმ აზრს, რომ ვერასოდეს შეხვდებოდა ამ საოცარ ადამიანს და იგი მის მეხსიერებას მხოლოდ უჩვეულო ზმანებად უნდა შემორჩენოდა. პრინცესა კი, პირიქით, მისთვის ჩვეული სიფიცხით ამტკიცებდა, იმ შეშლილთან თუნდაც კიდევ ერთი შეხვედრა სიკვ-

დილის პირამდე მიმიყვანსო. გოგონები სულს არ დაიშურებენ ერთმეორისათვის და თამამად შეიძლება ვთქვა, რომ მათ შორის უბრალო უთანხმოებაც კი არასოდეს მომხდარა, თუ მხედველობაში არ მოვიღებთ მათ ბაუშეობის დროინდელ ერთ ამბავს; ახლაც თითქმის იგივე განმეორდა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ გოგონებმა როლები შეცვალეს: მაშინ იულიას უნდოდა ანთებულ ბუხარში შეეგდო სათამაშო ჯამბაზი, პრინცესა კი არაფრით არ ანებებდა და გაიძახოდა: უმაგჯამბაზოდ სიცოცხლე ვერ წარმომიდგენიაო...

— ო, — გააწყვეტინა ქალბატონ მრჩეველს სიტყვა კრაისლერმა და ხმამაღლა გაიცინა, — თანახმა ვარ, ახლა პრინცესამ მე შემიძახოს იმ ჯამბაზოვით ბუხარში, თუკი ძვირფასი იულია თავის მფარველ კალთას გადამაფარებს.

— ძალიან გთხოვთ, — განაგრძო ქალბატონმა ბენცონმა, — ჩემი ნაამბობი უწყინარ ხუმრობად ჩათვალოთ და თქვენი საკუთარი თვალსაზრისიდან გამომდინარე, ცუდად არ ჩამომართვათ ერთი სიტყვით, ალბათ, დამიჯერებთ: როდესაც გოგონებმა თქვენი გარეგნობა აღმიწერეს და დაწვრილებით მომიყვნენ პარკში მომხდარ ამბავს, მყისვე მივხვდი, რომ ეს თქვენ იქნებოდით იულიასაც რომ არ გამოეთქვა ამის სურვილი, მე ჩემდათავად მაინც დავაჩხრეკინებდი მსახურებს მთელს პარკს და ზიგჰარტსვაილერის მიდამოებს, რომ მეპოვეთ მიუხედავად ჩვენი ხანმოკლე ნაცნობობისა, თქვენ ხომ ძალიან ახლობელი გახდით ჩემთვის! ძებნამ ამაოდ ჩაიარა, ვიფიქრე, ისე დაგკარგე მისი ასაუალ-დასაუალი-მეთქი; და რაოდენ დიდი იყო ჩემი გაოცება, როდესაც დღეს დილით კვლავ გამომეცხადეთ იულია ახლა პრინცესასთანაა. წარმომიდგენია, რა საწინააღმდეგო გრძნობების კორიანტელს გამოიწვევდა ორივე გოგონაში ახლა თქვენი უეცარი გამოჩენა! არ დაგიწყებთ იმის გამოკითხვას, თუ როგორ გაჩნდით ასე მოულოდნელად აქ; დარწმუნებული ვარ, საფუძვლიანად გაქვთ მოკიდებული ფეხი ერცჰერცოგის სასახლის კარზე და იქ საპატიო კაპელმაისტერის ადგილი გიჭირავთ! მოდი, ეს საუბარი იმ დრომდე გადავდოთ, სანამ საჭიროდ ჩათვლით, მომიყვეთ საკუთარ თავზე.

ვიდრე ქალბატონი მრჩეველი ლაპარაკობდა, კრაისლერი ღრმა ფიქრებს წაეღო. იგი მიწას ჩაშტერებოდა და თითუბით შუბლს ისე ისრესდა, თითქოს ამაოდ ცდილობს რალაციის გახსენებასო.



— ო, — წამოიწყო კრაისლერმა, როცა ქალბატონი ბენცონი დადუმდა, — ეს ძალზე სულელური ამბავია და მოსაყოლადაც არ ღირს. ერთს კი მოგახსენებთ იმაში, რაც პრინცესამ შეშლილის აბდაუბდა ლაპარაკად ჩათვალა, სიმართლის მარცვალაც ურევია! ამ დროისათვის, როცა ღმერთი გამიწყრა და ჩემდა უნებურად პატარა, ჭირვეული არსების თაჟმოყვარეობა შევბღალე, მართლა დარბაზობიდან ვბრუნდებოდი. არ იკითხავთ, ვისთან ვიყავი? დიახ, თაჟდ მის ბრწყინვალეობა ერცჰერცოგთან გახლდით მიღებაზე. აქაც, ზიგჰარტსვაილერშიც, ბევრი სასიამოვნო შეხვედრა მეღის...

— ოჰ, კრაისლერ, — გააწყვეტინა ქალბატონმა მრჩვეულმა ჩუმი სიცილით (იგი არასოდეს აძლევდა თავს უფლებას, ხმამაღლა, გულიანად გაეცინა), — ოჰ, კრაისლერ, თქვენმა დაუოკებელმა ფანტაზიამ, ეტყობა, ისევ გაშალა ფრთები! თუ არ ვცდები, ერცჰერცოგის რეზიდენციიდან ზიგჰარტსვაილერამდე ოცდაათი საათის საგალია ფეხით!

— დიახ, მართალი ბრძანებაა, — მიუგო კაპელმაისტერმა, — მაგრამ ეს გზა ისე მშვენივრად გაშენებულ ბაღებზე გადის, რომ თაჟდ ლენოტრიც<sup>1</sup> კი აღფრთოვანდებოდა. პატოცემულო ქალბატონო, თუ ის არ გჯერათ, რომ აქ სტუმრად ვიმყოფებოდი, ასეთი სურათი მაინც წარმოიდგინეთ ერთი სენტიმენტალური კაპელმაისტერი გიტარით ხელში, სიმღერით დაეხეტება ათასნაირი სურნელით გაჟღენთილ ტყეში, დაუყვება ზურმუხტისფერად აბიბინებულ ველებს, დაუვლის კენჭებით მოკირწყლულ რიყეს, გადაევლება პაწაწკინტელა ხიდეებს, მათ ქვეშ კი აქაფებული ტყის ნაკადული მოდგაფუნობს; ჰოდა, როცა ამ კაპელმაისტერის ეული ხმა მოგუგუნე მრავალხმიან გუნდს ერთვის, ალბათ, მიხვდებით, რა ადვილად შეიძლება აებნეს გზა და უცხო სამფლობელოში ამოყოს თავი. აი, სწორედ ასე მოგხვდით ზიგჰარტსვაილერის საგვარეულო პარკში! იგი ხომ დედაბუნების ხელით შექმნილი წალკოტის მცირე ნაწილია მხოლოდ. მაგრამ არა, არცთუ მთლად ასე იყო საქმე! ეს-ეს არის, მომიყევით, რომ ნადირობა გაგიმართავთ ჩემზე და დაგეშილ მსახურთა ჯგრო თურმე ოთხფეხა ნადიროვით ლამობდა ჩემს ხელში მოგდებას. და აი, იმწუთას, როცა ამას მიყვებოდით, პირველად გამიჩნდა რწმენა, რომ

<sup>1</sup> ანდრე ლენოტრი (1613-1700) — საფრანგეთის სასახლის კარის მებაღე-დეკორატორი, კლასიკური ფრანგული საბაღო სტილის ფუძემდებელი ლუი XIV-ის ეპოქაში.

ჩემი ადგილი მხოლოდ აქ არის, და სხვაგან არსად. დიახ, ეტყობა, ეს აუცილებლობა გახლდათ და, ადრე თუ გვიან, მაინც ასე უნდა მომხდარიყო, რაგინდ დიდხანსაც უნდა გაგრძელებულიყო ჩემი უაზრო რბოლა. თქვენ ინებეთ და დიდბუნებოვნად აღნიშნეთ, რომ ჩემთან ნაცნობობამ მცირეოდენი სიხარული მოგანიჭათ აბა, განა მე კი ძალმიძს დავიფიქრო იმ აუბედითი ცდომილებისა და საყოველთაო უბედურების დღეები, როცა ბედმა ერთმანეთს შეგვყარა? თქვენ სწორედ იმ დროს შემხვდით, როდესაც სასოწარკვეთილი და გულდაკოდილი აქეთ-იქით ვეხეთქებოდი და აღარ ვიცოდი, რა მეღონა. როგორ გულთბილად მიმიღეთ მაშინ! რა ნაზად გადამიხსენით ვგულჩახვეული ქალისიერობა და დამანახვეთ თქვენი სათუთი ბუნების უღრუბლო ცა, ყოველნაირად ცდილობდით ჩემს დაშშვიდებას, მკიცხავდით და ამავე დროს გქწადათ, გაგემართლებინათ ჩემი გიჟური აღვირახსნილობა, აგეხსნათ იგი იმ უკიდუგანო სასოწარკვეთით, უბედურების სიმძიმემ რომ დამატეხა თავს. სწორედ თქვენი წყალობით დავალწიე თავი იმ ორჭოფულ მდგომარეობას, რაშიც თავადაც ვერ გავრკვეულიყავ ხეირიანად. თქვენი სახლი ჩემთვის სიმშვიდისა და მეგობრობის ნავსაყუდლად იქცა, სადაც მუხლს ვიყრიდი თქვენი ჩუმი სიმძიმის წინაშე, და ამრიგად, ვიფიქვებდი საკუთარს. თქვენი მახვილგონიერი და კეთილი საუბარი სწეულ სულს ძალამოსავით ედებოდა, თუმცა, არც კი იცოდით, თუ რა სენით ვიყავი შეპყრობილი. მერწმუნეთ, აინუნშიაც არ ვაგდებდი იმას, რომ თავს დატეხილი ამბები სახელს შემილახავდნენ ძალაღ საზოგადოებაში. უკვე კარგა ხანია ოცნებად მქონდა გადაქცეული, კავშირი გამქწყვიტა ყველაფერთან, რაც ასე მაშინებდა და მბოჭავდა. ამიტომაც განა შეიძლებოდა ბედის უმაღური ვყოფილიყავი? მან ხომ ის გააკეთა, რისთვისაც თავად არ მეყო ძალ-ღონე და გამბედაობა. არა! თავისუფლება ვიგრძენ თუ არა, კვლავ იმ ენით აუწერული მოუსვენრობის ტყვეობაში მოვექეცი, ჯერ კიდევ ადრეულ ბავშვობაში ასე რომ ექიშპებოდა ხოლმე ჩემი მეორე „მე“. ეს არ გახლავთ ნეტარი ტანჯვა. ერთმა ღრმად მოაზროვნე პოეტმა მშვენივრად თქვა:<sup>1</sup> „ნეტარი ტანჯვა სულის უმაღლესი გამოვლინებაა და მარადიულად არსებობს, რამეთუ მარად მიუწვდომელი რჩებაო“. დიახ, ნეტარი ტანჯვა ვერ

<sup>1</sup> „ერთმა ღრმად მოაზროვნე პოეტმა რა მშვენივრად თქვა“ — იგულისხმება ლუდვიგ ტიკი (იხ. მისი ნოველების კრებული „ფანტაზუს“, 1812).



ითმენს ვერც სიცრუეს, ვერც სიყალბეს და იმისათვის, რომ მარად ცოცხლობდეს, ყოველთვის მიუღწეველი უნდა რჩებოდეს. არა, დაუოკებელი შმაგი სურვილი მიმაქანებს წინ რალაციისაკენ; ამ რალაცას მე სადღაც ჩემს მიღმა ვეძებ, ის კი ჩემი სულის სიღრმეშია ჩამალული, როგორც ბნელთ მოცული რამ საიდუმლო, ან სამოთხის დარი ნეტარი სიზმარი. ასეთ რამეს თვით სიზმარშიც ვერ განიცდის კაცი, ამ განცდის სიმძაფრეს მხოლოდ გუმანით თუ ვხვდები და მასზე ფიქრი ტანტალოსით<sup>1</sup> მტანჯავს. ჯერ კიდევ სრულიად პატარა ბიჭი ვიყავ და ვგრძნობდი, როგორ მოულოდნელად დამეუფლებოდა ხოლმე ეს გრძნობა. ტოლ-ამხანაგებთან მხიარული თამაშის დროს უეცრად მოატოვებდი ყველას და ყველაფერს, გაგიჟებული ტყეში გავიჭრებოდი ან ბორცვზე ავბობდებოდი და სასოწარკვეთილი მიწაზე დაკეძხობოდი ხოლმე. იქ კარგა ხანს უნუგეშოდ ვქვითინებდი და ვმოთქვამდი და ეს მაშინ, როდესაც ჩემი სიცელქითა და დაუდევრობით არც ერთ ანც ბიჭს არ ვუდებდი ტოლს. მოგვიანებით ვისწავლე საზოგადოებაში თავის დაჭერა, მაგრამ ჩემს ტანჯვას საშველი მაინც არ დაადგა. აბა, წარმოიდგინეთ, ვარ სადმე მხიარულ თავყრილობაზე, სასიამოვნო და კეთილმოსურნე მეგობრებს შორის, ვტკბები ხელოვნებით, უფრო მეტიც, ამა თუ იმ მიზეზით საკუთარ პატომოყვარეობასაც დაკმაყოფილებულად ვგრძნობ და, აი, ამ დროს, მოულოდნელად ყველაფერი ქრება, არარაობად იქცევა, უფერული და უსიცოცხლო ხდება და ასე მგონია, თითქოს ვიღაცამ უკაცრიელ, ხრიოკ უდაბნოში გადამისროლა. მხოლოდ შარავანდედით მოსილ ერთადერთ ანგელოზს ძალუძს დათრგუნოს ამქვეყნად ბოროტი სული. ეს მუსიკის გენია გახლავთ. ხშირად, ძალიან ხშირად, ძლევამოსილად წამოიძარათება ხოლმე ჩემი სულის სიღრმიდან და მაშინ მისი ყოვლისშემძლეობის წინაშე ფარ-ხმალს ყრის ამქვეყნიური ჭირ-ვარამით გამოწვეული ყველა ტკივილი...

— ყოველთვის იმ აზრისა ვიყავი, — გააწყვეტინა კაპელმაისტერს ქალბატონმა მრჩვეელმა, — რომ მუსიკა თქვენზე არაჩვეულებრივი ძალით, შეიძლება ითქვას, დამლუპველადაც კი მოქმედებდა. ხშირად ვყოფილვარ მოწმე, როგორ შეგცვლიათ სახე რომელიმე მშვენიერი

<sup>1</sup> ტანტალოსი — ძველ ბერძნულ მითოლოგიაში: ზევსის ვაჟი, ფრიგიის მეფე; საიდუმლოს გათქმისთვის ღმერთებმა კადესში გადაისროლეს და სამუდამო ტანჯვისთვის გაწირეს.

ნაწარმოების შესრულებისას, გაფითრებულხართ, სიტყვა ვეღარ დაგიძრავთ, ოხვრა და ცრემლი ვერ შეგვიკავებიათ. დასასრულ კი, მობრუნებულხართ და ბოღმა და ბაღღამი გადმოგინთხევიათ ყველაზე, ვისაც კი კომპოზიტორის აუგი დასცდენია. მაშინაც კი, როცა...

— ო, ჩემო ძვირფასო ქალბატონო, — გააწყვეტინა კრაისლერმა ქალბატონ ბენცონს და მის სახეზე გულწრფელი აღელვება ჩვეულმა ირონიამ შეცვალა, — ეს ყველაფერი უკვე წარსულს ჩაბარდა! ვერც კი წარმოიდგენთ, მოწყალეო ქალბატონო, როგორ წესიერად და ჭკვიანურად მეჭირა თავი დიდი ჰერცოგის სასახლის კარზე. ახლა უკვე შემძლია საუსებით მშვიდად ვიდგე სადირიჟორო პულტთან, ვდირიჟორობდე „დონ-ჟუანს“ ან „არმიდას“,<sup>1</sup> თავაზიანად ვუღიმოდე მომღერალ ქალს, როცა იგი თავბრუდამხვევ კადენციაში ბორძიკით აუყვება ბგერათა ძნელ საფეხურებს, და თუ ჰოფმარშალი ჰაიდნის „წელიწადის დრონის“<sup>2</sup> დამთავრების შემდეგ ჩამჩურჩულებს: „C’était bien ennuyant, mon cher maître de chapelle“-ო,<sup>3</sup> შემძლია გავუღიმო, თანხმობის ნიშნად თავი დაუკანტურო და მრავალმნიშვნელოვნად ამოვიღო ბურნუთი მისი სათუთნიდან! დიახ, შემძლია მოთმინებით ვუსმინო მუსიკისმოყვარული კამერჰერისა თუ ცერემონმაისტერის მტკიცებას, თითქოს მოცარტსა და ბეთჰოვენს მუსიკისა არა გაეგებოდათ რა, ხოლო როსინი, პუჩჩინა<sup>4</sup> და ძმანი მათნი საოპერო მუსიკის კორიფეები გახლდნენ. დიახ, დიდად პათოვცემულო ქალბატონო, ვერც კი წარმოიდგენთ, რა მდიდარი გამოცდილება შემძინა ჩემმა კაპელმაისტერობამ, მაგრამ, რაც მთავარია, საუსებით დამარწმუნა იმაში, რომ ხელოვანი აუცილებლად უნდა იდგეს სახელმწიფო სამსახურში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეშმაკსაც კი გაუჭირდება ამ მედიდური და ამპარტაჟანი კაცუნების გულის მოგება. აბა, სცადეთ, თავნება კომპოზიტორი კაპელმაისტერი ან მუსიკალური დირექტორი გახადეთ, პოეტი სასახლის კარის მგოსნად დანიშნეთ, ფერმწერს სამეფო მხატვრის ტიტული მიანი-

<sup>1</sup> „არმიდა“ (1777) — გერმანელი კომპოზიტორის, გლუკის (1714-1787) ოპერა, შექმნილი ტორკვატო ტასოს პოემის „გათავისუფლებული იერუსალიმის“ მიხედვით, ფ. კიმოს ლიბრეტოზე.

<sup>2</sup> „წელიწადის დრონი“ (1800) — იოზეფ ჰაიდნის (1732-1809) ორატორია.

<sup>3</sup> ეს საკმაოდ მოსაწყენი გახლდათ, ჩემო ძვირფასო კაპელმაისტერ! (ფრანგ.).

<sup>4</sup> ვინჩენცო პუჩჩინა (1778-1861) — იტალიელი კომპოზიტორი, მსუბუქი კომიკური ოპერების ავტორი.



ჭეთ, ხოლო მძერწავი მისი ბრწყინვალეების, მთავრის მოქანდაკედ აღაზვევით და მალე მთელს ქვეყანაში სანთლით საძებნი გაგიხდებიან უსარგებლო მეოცნებენი! სამაგიეროდ, ბლომად მომრავლდებიან ზრდილი და კეთილი ბიურგერები!

— ჩუმად, ჩუმად, კრაისლერ! — უკმაყოფილოდ წაილაპარაკა ქალბატონმა მრჩვეულმა, — გეყოფათ! აი, ხომ ხედავთ, ისევ საყვარელ რაშზე შეჯექით, ის კი, როგორც ყოველთვის, ყალყზე იწყებს შედგომას! მაგრამ გული რაღაც არასასიკეთოს მეუბნება და ამიტომ დაწვრილებით მინდა შევიტყო, რა უსიამოვნო შემთხვევამ გაიძულათ ასე მოულოდნელად გამოქცეულიყავით რეზიდენციიდან. ამ არემარეზე თქვენი უცნაური გამოჩენა ხომ მხოლოდ და მხოლოდ ამაზე მეტყველებს!

— მე კი შემძლია დაგარწმუნოთ, — მშვიდად თქვა კაპელმაისტერმა და ქალბატონ მრჩვეულს გამჭოლი მზერა ესროლა, — რომ უსიამოვნების მიზეზი, რამაც რეზიდენციიდან გამოქცევა მაიძულა, თავად ჩემშია და არა გარემო პირობებში. სწორედ მოუსვენრობის გრძნობამ, რაზედაც სულ ახლახან, ვგონებ, გაცილებით ვრცლად და სერიოზულად გელაპარაკეთ, ვიდრე, ალბათ, ამას საჭიროება მოითხოვდა, ისე ძლიერად შემიპყრო, როგორც არასდროს, და მივხვდი, რომ არაფრით აღარ შემეძლო იქ დარჩენა. თავად ბრძანდებით მოწმე, რაოდენ დიდი იყო ჩემი სიხარული, როდესაც ბრწყინვალე ჰერცოგის სასახლის კარზე კაპელმაისტერის ადგილი მოვიღე. მე სულელი, ვფიქრობდი, ხელოვნებასთან მუდმივი კავშირი მომეხმარება-მეთქი ჩემი სულის დამთრგუნველი დემონის მოთვინიერებაში, მაგრამ იმ მცირედიდანაც, რაც სასახლის კარზე ჩემი ცხოვრების შესახებ მოგიყევით, ალბათ, აშკარა გახდა, თუ რა მწარედ ვცდებოდი. ნუ მაიძულებთ იმის მოყოლას, ღვთაებრივ ხელოვნებასთან კუკუმალულობის უხამსმა თამაშმა, ჩემდა უნებურად წილად რომ მარგუნა ბედმა, უსულგულო შარლატანებისა და გონებაჩლუნგი დილეტანტების სისულელეებმა, უბადრუკი ტიკინებით დასახლებული ამ სამყაროს უნიათობამ თანდათან როგორ ამიხილა თვალი და როგორ დამარწმუნა საკუთარი არსებობის არარაობაში. ერთ დილას ბრწყინვალე ჰერცოგს უნდა ვხლებოდი, რათა შემეტყო, რა მონაწილეობა უნდა მიმეღო მომავალ დღესასწაულში. მიღებაზე, რა თქმა უნდა, ცერემონმაისტერიც ბრძანდებოდა. ჰოდა, იმ უგუნურმა

ვაუბატონმა ათასგვარი უაზრო და სულელური განკარგულებების მთელი ნაკადი დამატება თავს. მეც, რაღა უნდა მექნა, იძულებული ვიყავი, დავმორჩილებოდი. ამჯერად საქმე მისსავე შეთხზულ პროლოგს ეხებოდა და მე სწორედ თეატრალური ხელოვნების ეს შედეგრი უნდა გადამეტანა მუსიკის ენაზე. „ამჯერადო, — მოახსენა მან ბრწყინვალე ჰერცოგს და თან აღმაცერად გესლიანი შხერა მესროლა, — საქმე გვექნება არა უკუღმართ გერმანულ მუსიკასთან, არამედ ნატიფ იტალიურ სიმღერასთან. სწორედ ამიტომ თავად შევთხზე რამდენიმე ნაზი მელოდია. ახლა კი მათი ოსტატურად არანჟირებაა მხოლოდ საჭიროო“.

ბრწყინვალე ჰერცოგი არათუ სავსებით დაეთანხმა მას, არამედ შემთხვევითაც ისარგებლა და იმედი გამოთქვა, რომ გულდასმით შევისწავლიდი თანამედროვე იტალიურ მუსიკას და ამით სრულყოფილი ჩემს შემდგომ დაოსტატებას! ღმერთო, რა საცოდავი ვიყავი იმ წუთში! საშინელი ზიზღი ვიგრძენ საკუთარი თავის მიმართ. დიახ, ყველა ეს დამცირება სამართლიანი სასჯელი გახლდათ ჩემი სულელურად მიაპიტი, ნებაყოფლობითი მოთმენისა! აი, მაშინ კი გადავწყვიტე, სამუდამოდ მიმეტოვებინა სასახლე. იმავე საღამოს მინდოდა სამსახურიდან გადადგომა მეთხოვა, მაგრამ ამ გადაწყვეტილებამაც ვერ დამამშვიდა, რადგან უკვე ვიგრძენ, რომ საიდუმლო ოსტრაკიზმის მსხვერპლი გავმხდარიყავ. როდესაც ქალაქის კარიბჭეს გავცდი, მხოლოდ გიტარა ავიღე, — იგი განსაკუთრებული მიზნებისათვის მჭირდებოდა, — ეტლი კი ქალაქში გააბრუნე. და, აი, თავისუფლება ვიგრძენ თუ არა, დაუადეჟი გზას და სულმოუთქმელად მივიწვედი წინ და მხოლოდ წინ! შხე ჩადიოდა. სულ უფრო სწრაფად წვებოდა მიწაზე მთებისა და ტყეების ფართო, მრუმე ჩრდილები. რეზიდენცი-აში დაბრუნებაზე უბრალო ფიქრიც კი მტანჯველი და აუტანელი გახდა ჩემთვის! „ახლა უკვე ვერავითარი ძალა ვეღარ დამაბრუნებს უკან-მეთქი!“ — შევძახე ხმამაღლა. გზა სწორედ ზიგჰარტსვაილერზე გადიოდა. მოხუცი მაესტრო აბრაჰამი გამახსენდა; წინა დღით მქონდა მისგან მიღებული ბარათი. მაესტროს კარგად ესმოდა ჩემი მდგომარეობა, მირჩევდა, დაუყოვნებლივ გამოვქცეულიყავი რეზიდენციიდან და მისი სტუმარი ვყოფილიყავი...

— როგორ, — გააწყვეტინა ქალბატონმა მრჩველმა სიტყვა კრასლერს, — განა თქვენ იცნობთ ამ უცნაურ მოხუცს?



— მაესტრო აბრაჰამი მამაჩემის საუკეთესო მეგობარი გახლდათ. გარდა ამისა, ჩემს აღზრდაშიც დიდი წვლილი მიუძღვის და მე მას ჩემს საუკეთესო მასწავლებლად ვთვლი. ამრიგად, ღრძაღ პატოცემულო ქალბატონო, ახლა უკვე დაწვრილებით მოგახსენებთ, როგორ გაჰჩნდი მისი უდიდებულესობის, მთაყარ ირენეუსის პარკში. აი, ახლა კი, ვგონებ, დარწმუნდით, რომ, როდესაც საჭიროება მოითხოვს, სრულიად გულდამშვიდებით და დინჯად, მართლად და ნათლად შემიძლია ამბის მოყოლა, და თანაც ისე დაწვრილებით, თავადაც გოცელები ვრჩები. საერთოდ კი, პერცოგის რეზიდენციიდან ჩემი გამოქცევა, როგორც უკვე მოგახსენეთ, ამჟამად საოცრად სულელურ, ყოველგვარ პოეტურობას მოკლებულ პროზად მეჩვენება და მის გახსენებაზე არ შეიძლება, გულმა რეჩხი არ მიყოს ხოლმე. უმორჩილესად გთხოვთ, ძვირფასო ქალბატონო, ნუ დაიზარებთ და ეს პატარა შემთხვევა პრინცესას მოუყევით. იქნებ ამის მერე მაინც მოუღბეს გული და მიხვდეს, რომ არ შეიძლება განსაკუთრებული გონიერება და სიბრძნე მოსთხოვო ერთ უბრალო გერმანელ მუსიკოსს. აბა, წარმოიდგინოს მისი მდგომარეობა: ის-ის იყო, ჩაიცვა აბრეშუმის წინდები და მოხერხებულად მოეწყო პერცოგის საგვარეულო ეტლში, რომ საცოდავი მყისვე გადმოაბრძანეს იქიდან ვიღაც როსინიმ, პუჩიტამ, პავეზიმ,<sup>1</sup> ფიორაჯანტიმ<sup>2</sup> და ვინ მოთვლის, კიდევ ვინ! ასე და ამრიგად, შენდობის იმედს არ ვკარგავ! და კიდევ ყური მიგდეთ, ძვირფასო ქალბატონო, რა პოეტური დასასრული ჰქონდა ჩემს მოსაწყენ თავადასაკალს. სწორედ იმ წუთში, როდესაც ბოროტმა დემონმა ლაგამი ამომდო და პარკიდან გაგდება დამიპირა, რაღაც მომნუსხველმა თილისმამ ადგილზე მიმაჯაჭვა. ის-ის იყო, ბოროტი დემონი ჩემი სულის უწმინდესი საიდუმლოს წაბილწვას აპირებდა, რომ მუსიკის გენიამ ძლევამოსილად შემართა ფრთები, მისმა კეთილხმოვანმა ჰანგებმა იმედი გამიღვიძა, ნუგეში არ დაიშურა ჩემთვის და ენით გამოუთქმელი ნეტარება მაგრძნობინა. და განა ყველაფერ ამაში არ უნდა ეძებოს კაცმა სიყვარულის უკვდავება და მარადიული სიჭაბუკის

<sup>1</sup> სტეფანო პავეზი (1778-1850) — იტალიელი კომპოზიტორი, კომიკური ოპერების ავტორი.

<sup>2</sup> ვალენტინო ფიორაჯანტი (1768-1837) — იტალიელი კომპოზიტორი, კომიკური ოპერების ავტორი.

ყოვლისშემძლეობა? დიახ, ის, რამაც ასე აღმაფრთოვანა, იულიას სიმღერა გახლდათ!

კრაისლერი დადუმდა. ქალბატონი ბენცონი ცნობისმოყვარეობით უგდებდა ყურს, რას იტყოდა მისი მოსაუბრე შემდგომ. მაგრამ, ეტყობა, კაპელმაისტერი ღრმა ფიქრებს წაელო. მცირე ხნის დუმილის შემდეგ ქალბატონმა მრჩეველმა ნაძალადევი თავაზიანობით ჰკითხა:

— მაშ, თქვენ მართლა იმ აზრისა ბრძანდებით, ძვირფასო იოჰანეს, რომ ჩემი ქალიშვილი სასიამოვნოდ მღერის?

კრაისლერი სხარტად წამოხტა, მაგრამ პასუხის ნაცვლად მკერდიდან ღრმა ოხვრა აღმოხდა.

— აბა, რა შემძლია გითხრათ ამის თაობაზე. გეტყვით მხოლოდ, რომ ეს ამბავი ძალზე მსიამოვნებს, — განაგრძობდა ქალბატონი ბენცონი, — იულიას თქვენგან ბევრი რამის სწავლა შეუძლია, ძვირფასო კრაისლერ. იმედი მაქვს, მეცადინეობას არ დააკლებთ, რომ რაც შეიძლება სრულყოფილად დაეუფლოს სიმღერის რთულ ხელოვნებას. ხოლო, რაც შეეხება თქვენს აქ დარჩენას, მე ეს უკვე გადაწყვეტილ ამბად მიმაჩნია.

— დიდად პატივცემულო... — წამოიწყო კრაისლერმა, მაგრამ ამ დროს კარი გაიღო და ოთახში იულია შემოვიდა.

კრაისლერის დანახვაზე მის სანდომიან სახეს ნაზი ღიმილი გადაეფინა და გოცებისაგან ბაგეებს ოდნავ გასაგონი ოხვრა აღმოხდა.

ქალბატონი ბენცონი წამოდგა, კაპელმაისტერს ხელი ჩაჰკიდა, იულიასთან მიიყვანა და წაილაპარაკა:

— აი, ჩემო შვილიჯო, ეს გახლავთ ის უცნაური...

/მ. ა. ა./ ...ჭაბუკი პონტო ჩემს ახალ ხელნაწერს ეცა, კბილებში მოიგდო და ვიდრე გონზე მოსვლას მოვასწრებდი და წინააღმდეგობის გაწევას მოვახერხებდი, ოთახიდან თავქუდმოგლეჯილი გავარდა, თან ისე შხაკრულად გადაიხარხარა, რომ მაშინვე მივხვდი: ეს ოინბაზობა ყმაწვილკაცური სიცელქით არ ჩაუდენია და გულში უკეთური რამ უდევს-მეთქი. მალე ყველაფერი აშკარა გახდა.

რამდენიმე დღის მერე მაესტრო აბრაჰამს ვილაც კაცი ესტუმრა. როგორც შემდგომ გამოირკვა, უცნობი თურმე პონტოს პატრონი, ბატონი ლოტარო გახლდათ, ზიგჰარტსგაილერის გიმნაზიის ესთე-



ტიკის პროფესორი. მისაღმების შემდეგ სტუმარმა ოთახში მიიხედ-  
მოიხედა და თვალი მოძკრა თუ არა, ჩემს პატრონს მიმართა:

— ძვირფასო მაესტრო, შეიძლება ეს ყმაწვილი ცოტა ხნით აქე-  
დან გააბრძანოთ?

— კი, მაგრამ, რატომ? — გაიკვირვა მაესტრომ, — პროფესორო, თუ მუხსიერება არ მლაღატობს, კატები ყოველთვის გიყვარდათ; გან-  
საკუთრებით კი, რამდენადაც მახსოვს, ჩემი საყვარელი, ლამაზი და  
გონიერი კატა მურის მიმართ ვერ იყავით გულგრილი.

— დიახ, დიახ, — ჩაიქირქილა პროფესორმა, — ლამაზი და გო-  
ნიერი, გაგიხარია, არის! და მაინც, ძალიან გთხოვთ, პატივი დამ-  
დოთ და უც თქვენი საყვარელი კატა ოთახიდან გააბრძანოთ. ისეთ  
სერიოზულ ამბებზე უნდა მოგელაპარაკოთ, რაც მაგან არამც და  
არამც არ შეიძლება გაიგოს.

— რას ბრძანებთ, ვინ არ შეიძლება გაიგოს? — ვერ მიუხვდა  
მაესტრო აბრაჰამი ნათქვამს და პროფესორს გაოცებული მიაჩერ-  
და.

— ვინა და თქვენმა პატიოსანმა კატამ, — მიუგო პროფესორმა,  
— ძალიან გთხოვთ ამის თაობაზე აღარაფერი მკითხოთ და შეასრუ-  
ლოთ ის, რასაც გთხოვთ.

— სასწაულიო, რომ იტყვიან, სწორედ ამასა ჰქვია! — წაილა-  
პარაკა ჩემმა პატრონმა, მერე კი კაბინეტის კარი გამოაღო და მიბ-  
რძანა, გარეთ გაესულიყავი. მეც მორჩილად მივუახლოვდი კარს,  
მაგრამ დრო ვიხელთე და იმავე წუთს უკან შემოვიპარე ოთახში,  
შეუმჩნევლად შევძვერი წიგნების კარადის ქვემო თაროზე, საიდანაც  
ხელისგულივით ჩანდა მთელი ოთახი და მკაფიოდ ისმოდა თითოე-  
ული სიტყვა.

— ახლა კი, ღვთის გულისათვის, გამაგებინეთ, რაშია საქმე? —  
მიმართა მაესტრო აბრაჰამმა პროფესორს და მის პირდაპირ საუარ-  
ძელში ჩაჯდა, — ნეტავ ისეთი რა საიდუმლო უნდა გამანდოთ, რომ  
არ შეიძლება იგი ჩემმა მურმა შეიტყოს?

— ძვირფასო მაესტრო, — ძალიან სერიოზულად და დაფიქრე-  
ბით დაიწყო პროფესორმა, — უპირველეს ყოვლისა, აი, რა გამა-  
გებინეთ: შეიძლება თუ არა, ჯან-ღონით სავსე, ერთი ჩვეულებრივი  
ბავშვი, რომელიც ღმერთს განსაკუთრებული ნიჭითა და ტალანტით  
არ დაუჯილდოებია, პატარაობაში ისე გავწვრთნათ და გავწაფოთ,

რომ ბევრი მეცადინეობისა და ჩიჩინის წყალობით მისგან მეცნიერების ან ხელოვნების კორიფე დადგეს?<sup>1</sup>

— ჰოო, მაშ, ასე, — მიუგო მანესტრომ, — ამაზე შემიძლია მხოლოდ მოგახსენოთ, რომ მსგავსი თვალსაზრისი სავსებით სულელურად და უაზროდ მეჩვენება. მოგეხსენებათ, მაიმუნის მსგავსად ბავშვსაც საოცარი მიბაძვის უნარი აქვს, და თუ ამავე დროს კარგი მეხსიერებაც, სავსებით ადვილი შესაძლებელია, რომ მას ათასგვარი სისულელით გამოუტენოს კაცმა თავი. შემდგომში იგი შეძლებს ეს თავისი უკრთ წოდებული განსწავლულობა ყველა გამკლელ-გამომკლელის წინაშე გამოაშხეუროს. მაგრამ, მოგეხსენებათ, ასეთი ბავშვი აუცილებლად მოკლებული იქნება ხალას ნიჭს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი შეიგრძნობდა ამ მკრეხელური ცდის უაზრობას და მთელი თავისი არსებით აღსდგებოდა მის წინააღმდეგ. ასეც რომ არ იყოს, განა ვინმეს მოუვა თავში აზრად, მეცნიერად მონათლოს გონებაჩლუნგი კაცი, მხოლოდ მეცნიერების ნასუფრალი რომ უგემია?

— ვის მოუვა აზრად და მთელს მსოფლიოს! — გაცხარებით წამოიძახა პროფესორმა, — დიახ, დიახ, მთელს მსოფლიოს! ო, რა საშინელებაა! ასე და ამრიგად, ამ სულელური და მკრეხელური აზრის წყალობით ნამქერს უნდა გავატანოთ ჩვენი რწმენა ბუნების უმაღლესი ძალების ყოვლისშემძლეობის შესახებ; ამ რწმენის თანახმად კი მხოლოდ აბსოლუტურ სულს ძალუძს ამქვეყნად ჭეშმარიტი მეცნიერისა თუ ხელოვანის გამოძერწვა!

— ნუ ცხარობთ, — გაელიმა მანესტროს, — რამდენადაც ვიცი, ჩვენს მშობლიურ გერმანიაში, ამ ცდამ, ასე თუ ისე, მხოლოდ ერთადერთხელ გაამართლა. მასზე ერთხანს ბევრს ლაპარაკობდნენ კიდევ, ვიდრე არ დარწმუნდნენ, რომ ვერაფერი დიდი შვილი იყო და მალე მთლად მიიფიცეს.

გარდა ამისა, ამ თეორიის აყვავების ხანა სწორედ იმ დროს დაემთხვა, როცა მოდაში ვუნდერკინდები შემოვიდნენ. ეს ზებუნებრივი ბავშვები მზად იყვნენ, გროშების საფასურად, კარგად გაწვრთნილი

<sup>1</sup> „შეიძლება თუ არა, ჯან-ღონით სავსე ერთი ჩვეულებრივი ბავშვი... პატარაობაში ისე გავწვრთნათ და გავწაფოთ, რომ მისგან... მეცნიერების ან ხელოვნების კორიფე დადგეს?“ — ლოტარიო გულისხმობს სასულიერო პირის, კარლ ჰაინრიხ ვიტეს (1767-1845) წიგნს: „კარლ ვიტე, მისი აღზრდისა და სწავლა-განათლების ისტორია“ (1819), რომელიც მან თავის ეუნდერკინდ ვაჟს, კარლ ვიტეს (1800-1883) მიუძღვნა.



მაიმუნებოვით, ან ძაღლებოვით, ნებისმიერი თავყრილობის წინაშე წარმოედგინათ თავიანთი ხელოვნება...

— აი, ხედავთ, ახლა როგორ მსჯელობთ, ძვირფასო მაესტრო! — გააწყვეტინა პროფესორმა, — თუ კაცმა არ იცის, რომ ყოველი ამ სიტყვის მიღმა რაღაც მზაკვრობა იმალება და, რომ მთელი თქვენი ცხოვრების არსს საოცარი ცდები შეადგენენ, შეიძლებოდა ერწმუნებინა კიდევ ამ სიტყვების ჭეშმარიტება. მაშ, მოდი, გამოტყდით, ძვირფასო მაესტრო, გამოტყდით, რომ საიდუმლოდ, ყველასაგან უჩუმრად ატარებდით საოცარ ცდებს ზემოხსენებული იდეის განსახორციელებლად და გადაწყვეტილი გქონდათ, გეჯობნათ იმ ალქიმიკოსისათვის, ვის მეთოდზედაც წელან ბრძანეთ მიზნად დასახული გქონდათ, ჯერ წინასწარ კარგად გაგეწვრთნათ თქვენი პირმშო, ხოლო შემდგომ, როცა უკვე ყველაფერი მზად იქნებოდა, განცვიფრებაში მოგეყვანათ და საგონებელში ჩაგეგდოთ მთელი მსოფლიოს პროფესორები. თქვენი განზრახვა იყო, თავსლაფი დაგესხათ მშვენიერი გამონათქვამისთვის, რომ თითქოს „Non ex guovis ligno fit Mercurius“.<sup>1</sup> ერთი სიტყვით, guovis უკვე სახეზეა, მაგრამ თქვენთვის იგი მერკური კი არა, ერთი ჩვეულებრივი კატა გახლავთ!

— რაო, რაო, რა ბრძანეთ? — გადაიხარხარა მაესტრომ, — ჯრა თქვით, კატაო?

— ნუ შეეცდებით იმის უარყოფას, — განაგრძო პროფესორმა, — რომ სწორედ აღზრდის ზემოხსენებული აბსტრაქტული მეთოდი გამოიყენეთ თქვენს პატოცემულ კატაზე, ახლა მეზობელ ოთახში რომ ბრძანდება; ასწავლეთ მას წერა-კითხვა, აზიარეთ მეცნიერებას და აი, ახლა იგი უკვე პოეტობას იჩემებს და ლექსების წერასაც კი იწყებს!

— მხოლოდ ისღა შემიძლია გითხრათ, — მიუგო პროფესორს მაესტრომ, — რომ ამაზე დიდი სისულელე ჩემს სიცოცხლეში არ მსმენია. მაშ, რაო, რა ბრძანეთ? ჩემს კატას წერა-კითხვა ვასწავლო? მეცნიერებას ვაზიარო? ამიხსენით, პროფესორო, საიდან დაგებადათ თავში ასეთი გიჟური აზრები? გარწმუნებთ: ჩემი კატის განსწავლულობაზე არასოდეს არაფერი მსმენია და, საერთოდ, გეუბნებით, რომ მსგავსი რამ წარმოუდგენლად მიმაჩნია!

<sup>1</sup> ყოველი ხისაგან ვერ გამოთლი მერკურს (ლათ).

— ა, მაშ, ასე, არა? — დამარცვლა პროფესორმა სიტყვები და ჯიბიდან რვეული ამოიღო. მე მაშინვე ვიცანი ჩემი ხელნაწერი, ჭაბუკმა პონტომ რომ მომტაცა. პროფესორი კითხვას შეუდგა:

### **ლტოლვა ამაღლებულისადმი**

რა მემართება, რა ძალუმად აძგერდა გული?  
ბორგვა და თართოლა წინათგრძნობის რად მეუფლება?  
შმაგი ნახტომით აღზვევას რად ცდილობს სული  
ცად, სად გენიის ყოვლისშემძლე სუფევს სუფევა?  
ან ეს რა არის! აზრი აზრს ცვლის — ასკდება ნაპირს,  
ნეტარი ლტოლვა აცახცახებს არსებას ჩემსას  
დაუოკებელ მგზნებარების ტკბილ-მწარე სწრაფვით,  
და მესმის გულის, მთართოლაუ გულის, შემკრთალი კვნესა.  
აღტაცებული — ჯადოსნური ქვეყნისკენ მივქრი  
მთელი არსებით, უხმოდ, მთელი აზრით და ფიქრით,  
შორეულ იმედს გაზაფხულის სინორჩე შვენის;  
აღთქმული მხარე მიქნევს თოთო, ხასხასა რტოებს,  
და ჰა, — სულ ძალე მარადიულ სიმწვანეს ვპოვებ!  
აღზვედი, გულო! მიზანს მხოლოდ მიაღწევ ფრენით!

დარწმუნებული ვარ, ძვირფასი მკითხველები ერთხმად დამიდასტურებენ ამ მშვენიერი სონეტის სრულყოფილებას. იგი ხომ ჩემი სულის ყოვილი გახლავთ! და რაოდენ დიდი იქნება, მეგობრებო, თქვენი გაოცება, როდესაც გაიგებთ, რომ ეს ლექსი ჩემი ერთ-ერთი პირველი ქმნილებათაგანია. გააუებულმა პროფესორმა კი იგი ისე უღიმღამოდ და საზიზღრად წაიკითხა, ძლივძლივობით ვიცანი საკუთარი სტრიქონები. რისხვით შეპყრობილმა, რაც აგრერიგად ახასიათებთ ახალბედა პოეტებს, თავი ძლივს შევიმაგრე, რომ ჩემი საფრიდან არ გადმოუმხტარიყავი, სიფათში არ ვცემოდი იმ საზიზღარ პედანტს და არ მეგრძნობინებინა მისთვის ჩემი ბასრი ბრჭყალების ძალა. მაგრამ ბრძნულმა აზრმა, რომ შეიძლებოდა ეს საქციელი სანანებლად გამხდომოდა, თუ პროფესორი და მაესტრო ერთდროულად შეუდგებოდნენ ჩემთან ანგარიშსწორებას, მაიძულა, ჩამეხშო

<sup>1</sup> ლექსები თარგმნა იორამ ქემერტელიძემ.



ჩემი რისხვა; მაგრამ თავი ვერ შევიკავე და ჩემდა უნებურად მაინც აღმომხდა აღშფოთებული „მიაუ“.

ეჰ, ალბათ, ჩემი განკითხვის დღეც დადგებოდა, რომ სწორედ იმ დროს, როდესაც პროფესორმა სონეტი ჩაამთავრა, ჩემი პატრონი გულიანად არ ახარხარებულყო. გამოგიტყდებით, ამ ხარხარმა უფრო მომიკლა გული, ვიდრე პროფესორის უნიჭო დეკლამაციამ.

— ჰა, ჰა, ჰა, — გადაიხარხარა მაესტრომ, — ღმერთმანი, სონეტი საესებით იმსახურებს, რომ მისი ავტორი კატა იყოს. მაგრამ, პროფესორო, თქვენი ხუმრობისა კი მაინც ვერც თავი გამიგია და კერც ბოლო. მიკიბ-მოკიბვის გარეშე მითხარით, ძვირფასო, რას უმიზნებთ? პროფესორმა უსიტყვოდ გადაშალა ხელნაწერი და კითხვა განაგრძო:

## გლოსა<sup>1</sup>

სიყვარული მოვა, გინდა — წავა,  
მეგობრობას თავისი გზა აქვს მუდამ.  
სიყვარული მოდის თავისთავად,  
მეგობრობას დიდი ძებნა უნდა.

ხმა ჩივილის, დამწვარ გულის კენესის.  
სადაც კი ვარ — სუყოველგან მესმის,  
და ვერაფრით გამიგია დღესაც, —  
რაა ეს ხმა — მღერა თუ კენესა.  
თვითონაც კი მიკვირს ხოლმე ხშირად —  
მღვიძარი ვარ თუ სიზმარში ვხვდინავ.  
ხელის ხვევნა-ფოთიალს და ხვანხვალს  
რა დავარქვა? — მოვა, გინდა წავა, —  
სადაც გინდა, სადაც გინდა ნახავ, —  
სიყვარული მოდის თავისთავად.

გაუქრება უცებ ყველა ბზარი  
გულს — ტრფიალის აღმურისგან მხურვალს,

<sup>1</sup> გლოსა — ლექსი, რომლის თემაც იწყება ოთხსტრიქონიანი ლექსით ეს ლექსი შემდეგ მუშავდება ოთხ ათსტრიქონიან სტროფად; ამ დროს ყოველი სტროფის უკანასკნელი სტრიქონი იმეორებს თემის შესაბამის სტრიქონს.

და ერთხელაც ჩამორუკავს ზარი, —  
განქარდება ყველა ტანჯვა-ურვა,  
და ჰა, თითქოს მოისვენა სულმაც;  
გამოიცვლის ფისუნია ხალათს,  
მოიშორებს ფაციფუსს და ვარამს;  
როგორ ფიქრობთ, სამუდამოდ? — არა!  
შორს ასეთი ყალბი გულის ძგერა,  
შეძრომა თუ ხელში გამოჭერა!  
მგობრობას თავის გზა აქვს მარად.  
კარგად ვიცი — “...

— არა, მგობარო! — გააწყვეტინა ჩემმა პატრონმა პროფესორს,  
— ეს უკვე მეტისმეტია, მოთმინების ფიალა ამქვსო! არ ვიცი, ეტყო-  
ბა, ან თქვენ, ანდა სხვა ვინმე ოხუნჯს თუ მოგოვიდათ თავში აზრად,  
შეგექმნათ ეს შედეგები. ახლა კი დგახართ და ჩემს საცოდავ მურს  
სწამებთ ცილს, ვითომ ჯ იყოს ამ ლექსების ავტორი. რატომ გადა-  
გიწყვეტიათ, რომ მთელი დილა მასულელლოთ? თუმცა, უნდა გამო-  
გიტყდეთ, ხუმრობა საკმაოდ მარილიანია და, დარწმუნებული ვარ,  
ძალიან მოწონებოდა კრაისლერს. იგი, რა თქმა უნდა, ხელიდან  
არ გაუშვებდა ხელსაყრელ შემთხვევას და პატარა ნადირობას მო-  
გიწყობდათ. აი, იქ კი, ეჭვგარეშეა, თავად აღმოჩნდებოდით დევნილი  
ნადირის როლში. ახლა კი, ძალიან გთხოვთ, შეეშვით ამ ოინბაზო-  
ბას და ვაჟკაცურად, გულწრფელად მითხრათ, რა არის ამ თქვენი  
უცნაური, გონებამახვილი წარმოსახვის მიზანი?

პროფესორმა ხელნაწერი განზე გადადო, მაესტროს სერიოზუ-  
ლად შეხედა თვალებში და თქვა:

— ეს ფურცლები ამ რამდენიმე დღის წინ პონტომ მომიტანა.  
მოგეხსენებათ, ჩემი ძალღი და თქვენი მური განუყრელი მგობრები  
არიან. და თუმცა, პონტოს ხელნაწერი, ძაღლების წესისამებრ, კბი-  
ლებში ჰქონდა გარჭობილი, მაინც სრულიად უვნებლად ჩამაბარა.  
პუდელმა თავისი ნადავლი მუხლებზე დამიდო და აშკარად მაგრძნო-  
ბინა, იგი ჩემი მგობარი მურისგან პირადად მივიღეო. ნაწერს დავ-  
ხედე თუ არა, მაშინვე თვალში მეცა განსაკუთრებული, სავსებით უჩ-  
ვეულო ხელწერა, ხოლო, როცა კითხვას შევუდექი, თავად არ ვიცი,  
საიდან და როგორ, უცნაური ეჭვი დამებადა: ხომ შესაძლებელია, ეს



ნაწარმოები თვითონ კატა მურს შეექმნა-მეთქი. მშვენივრად ვგრძნობდი, რომ მკრეხელობა იყო ამის გაფიქრებაც კი, რამეთუ გონიერება და ცხოვრების მანძილზე ჩვენდა უნებურად შეძენილი გამოცდილება, — გამოცდილება კი ბოლოს და ბოლოს არა არის რა, თუ არა ისევ გონიერება, — მეუბნებოდა, რომ ჩემი ვარაუდი მტკნარი სისულელე იყო. დიახ, გიმეორებთ, გონება ყოველნაირად ეურჩებოდა ამ აზრს, რამეთუ ყველას კარგად მოეხსენება, რომ კატას არც წერა შეუძლია და არც ლექსების თხზვა. მაგრამ ეს უცნაურად აკვიატებული აზრი ვერა და ვერ მოვიშორე თავიდან და ბოლოს გადავწყვიტე, გულდასმით მედევნებინა თვალყური თქვენი საყვარელი კატისათვის. პონტოსგან გაგონილი მქონდა, მური უმეტეს დროს სხვენზე ატარებსო. ჰოდა, ზევით აუძვერი და ჩემი სახურავიდან რამდენიმე კრამიტი ამოვიღე. პატარა სარკმელში ხელისგულვით მოჩანდა მურის ადგილსამყოფელი. და არ იკითხავთ, რა იხილეს ჩემმა თვალებმა?! ყურადღებით მომისმინეთ, თქვენს გაოცებას საზღვარი არ ექნება! სხვენის შორეულ კუთხეში, პატარა მაგიდას სარგადაყლაპულობით მისჯდომია თქვენი კატა მური, კალამი მოუმარჯვებია და თათით ხან შუბლს, ხან კი კეფას ისრუსს, დროდადრო თათს დრუნჩხედაც გადაისვამს ხოლმე, მერე კალამს მელანში აწობს და წერს; ცოტა ხნის შესვენების შემდეგ, ხელახლა შეუდგება წერას, გადაიკითხავს დაწერილს და აკრუტუნდება (დიახ, დიახ, გარკვევით მესმოდა მისი კრუტუნნი). სიამოვნებისაგან კარგა ხანს კრუტუნებს და კრუსუნებს, გარშემო კი გაშანშლული უყრია ნაირ-ნაირი წიგნები; ყლებზე ვიცანნი, რომ თქვენი ბიბლიოთეკიდან უნდა ყოფილიყო ამოტანილი!

— ეს რა ღვთის წყრომია! — წამოიძახა მაესტრომ, — აბა, ერთი ენახო, ადგილზეა თუ არა ყველა წიგნი?

ჩემი პატრონი წამოდგა და წიგნების კარადასთან მივიდა. უეცრად თვალი მომკრა, რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია და გაოცებით დამაშტერდა. პროფესორი კი წამოხტა და შესძახა:

— აი, ხედავთ, მაესტრო! თქვენ კატა მეზობელ ოთახში ჩამწყვდეული გეგულებათ, ის კი არხეინად მოკალათებულა წიგნების თაროზე. სანაძლეოზე, ახლა ეგ ან რაიმე წიგნს ჩაჰკირკიტებდა, ან არადა, ყურები ჰქონდა დაცქვეტილი, რომ ჩვენი ლაპარაკი გაეგო. ეჭვი აღარ მეპარება იმაში, რომ ყველაფერი მოისმინა და ახლა, ალბათ, სათანადო ზომებსაც მიიღებს.

— კატაჟ, ჰეი, კატაჟ, გამიგონე, — მომმართა მაესტრომ ისე, რომ გაოცებული მზერა არ მოუშორებია ჩემთვის, — ერთი წუთითაც არ მომსვლია თავში აზრად, დამეჯერებინა ის ამბავი, თითქოს კატათა მოდგმის ადათ-წესებისთვის გელალატოს და იმ საშინელი ლექსების ჩმახვა დაგეწყოს, პროფესორმა რომ წამიკითხა. დაუშვათ, სიმართლეა, რომ თავგების ჭერის ხელოვნება მეცნიერულ მოღვაწეობაზე გაცვალე, იცი, რას გიზამდი მაშინ? ყურებს აგაგლეჯდი, ანდა სულაც...

შიშის კანკალმა ამიტანა, თვალები მაგრად დაუხუჭე და თავი მოვიკატუნე, თითქოს ღრმა ძილში ვიყავ წასული.

— მაგრამ არა, არა, — განაგრძო მაესტრომ, — პროფესორო, აბა, ერთი შეხედეთ, რა არხეინად სძინავს ჩემს საბრალო კატას. განა უწყინარ დრუნჩზე არ ეტყობა, რომ არ შეუძლია ასეთი საოცარი ეშმაკობის ჩადენა და სულ ტყუილუბრალოდ დასწამეთ ცილი? ლამის არის ჯოჯოხეთის მოციქულად გამოაცხადეთ საბრალო მურ, ჰა, მურ!

პატრონის ძახილი შემომესმა თუ არა, აღარ დამიყოვნებია, თვალები გაუხილე და ჩვეული „კრ, კრრ“-ით შევეხმიანე. მერე წამოვიმართე და წელში ნარნარად გავიზნიქე.

გააფთრებულმა პროფესორმა შიგ დრუნჩში მომახალა ხელნაწერი. მე ჩვეული ეშმაკობა ვიხმარე, თავი მოვიკატუნე, თითქოს მისი საქციელი თამაშში გამოწვევად ჩათვალე, ხტუნვა-ხტუნვასა და ცელქობა-ცელქობაში ხელნაწერი ნაკუწ-ნაკუწად ვაქციე და ირგვლივ მიმოფანტე.

— აბა, პროფესორო, — თქვა ჩემმა პატრონმა, — ახლა კი ვგონებ, აშკარაა, რომ მწარედ ცდებოდით და ეს ყველაფერი პონტოს მონაჩმახია მხოლოდ. ერთი შეხედეთ, რა უწყალოდ ავლებს მური მუსრს თავის შემოქმედებას. აბა, რომელი პოეტი მოექცევა თავის ნახელავს აგრე უდიერად?

— მე გამიფრთხილებიხართ და ახლა თქვენ იცით! — მკვახედ ესროლა პროფესორმა მაესტროს და ოთახიდან გავარდა.

ვიფიქრე, ჭექა-ქუხილმა გადაიარა-მეთქი, მაგრამ, ო, თურმე რა მწარედ ვცდებოდი! ჩემდა საუბედუროდ, მაესტრო საშინლად აღუდგა წინ ჩემს მეცნიერულ მოღვაწეობას. მართალია, თავი ისე ეჭირა, თითქოს არ სჯერა პროფესორის მონაჩმახიო, მაგრამ მალე



დავრწმუნდი, რომ თვალყურს ადევნებდა ჩემს თითოეულ ნაბიჯს, გულდასმით გმანავდა წიგნების კარადას და ამით მიხშობდა თავისი ბიბლიოთეკისაკენ მიმავალ ყველა გზას. მაესტრო ველარ იტანდა, როცა ძველებურად მის საწერ მაგიდაზე აჯხტებოდი და გამლილ ხელნაწერებზე მოვიკალათებდი ხოლმე.

ამრიგად, დარდი და კაეშანი ქუფრი ღრუბელივით ჩამოწვა ჩემი უზრუნველი სიჭაბუკის მოწმენდილ ცაზე. განა ადვილია, საკუთარი თვალთ ხედავდე, როგორ დაგცინიან, გამასხარავენ და არ სურთ შენი აღიარება! რა შეიძლება იყოს ამაზე უფრო საშინელი გენიოსი კატისათვის?! ო, რა ძნელია, აწყდებოდე სიძნელეებს სწორედ იქ, სადაც მხარდაჭერისა და ნუგეშის იმედი გაქვს?! აბა, ამაზე მეტად რამ შეიძლება გააბოროტოს ბუმბერაზი სულის კაცი?! მაგრამ ნათქვამია, რაც მეტია დაწოლა, მით მეტია წინააღმდეგობაო. რაც უფრო ძლიერადაა დაჭიმული მშვილდი, მით უფრო შორს მიფრინავს ისარი! რა გაწყობოდა! კითხვა კი ამიკრძალებს, მაგრამ ამით უფრო მეტი გასაქანი მიეცა სულის გენიას; იგი ხომ ძალას თავად ჩემში ხაპავდა!

ჩემი ცხოვრების ამ მძიმე ხანაში ჩვენი სახლის სარდაფში ვკლაფდი ღროს. აქ თავს იყრიდა ხოლმე სხვადასხვა ჯურის კატათა საზოგადოება; მათ სარდაფში ირგვლივ მიმოფანტული ხაფანგები იზიდავდა. ჰოდა, მეც იქ ვაღამებდი და ვათენებდი.

დაკვირვებულ, თამამად მოაზროვნე ფილოსოფოსს არასდროს გამოეპარა ცხოვრების მამოძრავებელი, ყველაზე იდუმალი ძალების არსებობაც კი. მას ყოველთვის შეუძლია განჭვრიტოს, თუ ამ ძალთა ურთიერთკავშირის წყალობით როგორ ყალიბდება თავად ცხოვრება, რაში მდგომარეობს ამ ცხოვრების არსი და დანიშნულება. სარდაფში სწორედ ხაფანგებისა და კატების ურთიერთგავლენას ვაკვირდებოდი. მე, როგორც საღაც მოაზროვნე კატას, გული მომიკვდა, როდესაც საკუთარი თვალთ ვიხილე, რომ ამ უსიცოცხლო მანქანების წყალობით, მექანიკური სიზუსტით რომ იკეტებოდნენ, კატათა ნორჩი თაობა მცონარობასა და ყალთაბანდობას ეჩვეოდა. სწორედ ამან ამაღებინა ხელში კალამი და დამაწერინა ჩემი უკვდავი ქმნილება: „ხაფანგებისა და მათი გავლენის შესახებ კატათა მოდგმის მსოფლმხედველობასა და მოღვაწეობაზე“. ამ წიგნით შევეცადე განებოვრებული კატების ნორჩი თაობა სარკვეში ჩამეხედებინა

და იქ მისთვის საკუთარი თავი დამენახვებინა. ცხოვრებისეული სიმართლით აღვწერე ყოველგვარ საზრიანობას მოკლებულ, გონებაჩლუნგ კატათა ბრბოს უმოქმედობა, სიმშვიდით რომ შესცქერის მის თვალწინ ქონის ნაჭურზე მონადირე გათავხედებულ თავუნებს. ჩემი მგზნებარე საჯარო გამოსვლებით შევაჯანჯღარე და გამოვაფხიზლე თანამოდმენი. რა თქმა უნდა, ჩემი ნაწარმოები ყველასათვის საჭირო და სასარგებლო იყო, მაგრამ ამ წიგნმა პირადად მეც მომიტანა დიდი სიკეთე, სახელდობრ კი, აი, რა: ერთხანს თავად მომეხსნა თავჯების ჭურის ვალდებულება და საკმაოდ დიდი ხნის მერეც, რაც ასე გადაჭრით გავილაშქრე მცონარობისა და ყალთაბანდობის წინააღმდეგ, თავში არაუვის მოსვლია აზრად მოეთხოვა, საკუთარ მაგალითზე მეჩვენებინა ჩემს წიგნში აღწერილი და ნაქადაგები გმირობანი.

ამით შეიძლებოდა დამესრულებინა მოგონებანი ჩემი ცხოვრების ადრინდელ ხანაზე და სიჭაბუკის წლებზე გადაუსულიყავი; ისინი ხომ უშუალოდ არიან დაკავშირებული ჩემიდაუაჟკაცების ხანასთან! მაგრამ არ შემიძლია, ძვირფას მკითხველს ასეთი სიამოვნება მოვაკლო და არ წაუუკითხო ჩემი „გლოსას“ ორი უკანასკნელი, შესანიშნავი სტროფი; სამწუხაროა, რომ მათ მოსასმენად ჩემს პატრონს ნებისყოფა არ ეყო. აი, ისინიც:

კარგად ვიცი, — ვერ წაუხვალ ვერსად  
უნეტარეს ხვევნასა და ალერსს.  
ვარდის ბუჩქი, იადონის კენესა  
და საამოდ მოლოფლოვე მთვარე...  
დააცეცებ მოწყურებულ თვალებს,  
აჰა, ისიც გამოჩნდება მალე,  
მოშრიანებს კაბის შარიშურით,  
ლამის გასკდეს ბაგაბუგით გული;  
ვერც გაიგებ, ღამე ისე გაუა...  
სიყვარული მოდის თავისთავად.

ეს ალერსი და ეს წვა და დაგვა  
გონს წაგართმევს და გაცდუნებს ხშირად,  
მაგრამ, აბა, ვის როდემდე გაჰყვა  
ტლინკაობა, მალაყი და ყირა.



ხოლო გული, მეგობრობით საესე,  
ვარსკვლავითი კაშკაშებდა ცაზე,  
უნათებდა მაჟანსა და მაჟანს;  
მისტვის, დაე, დავიღუპო თუნდაც, —  
რომ დამჭირდეს, ცხრა მთას იქით წაჟაღ...  
მეგობრობას დიდი ძებნა უნდა.

/სამაკ. თაბ./ ...დიდი ხანია იგი აღარ ყოფილა ისეთ კარგ გუნე-  
ბაზე, როგორც იმ საღამოს.

სწორედ ამის გამო გაუგონარი რამ მოხდა: არც აფეთქებულია და  
არც გაქცეულა, როგორც მსგავს შემთხვევაში სჩადიოდა ხოლმე.  
პირიქით, მშვიდად, თქვენ წარმოიდგინეთ, გულკეთილი ღიმილითაც  
კი მოისმინა უნიჭო ტრაგედიის ძალზე მოსაწყენი, გრძელი შესაჟა-  
ლი, ყაყაჩოსფრად აღაჟღაჟებული და ოსტატურად თმადახვეული  
მაჟანი ახალგაზრდა ოფიცრის ნათარგმანები; უფრო უკეთესსაც მო-  
გახსენებთ: როდესაც ზემოხსენებულმა, დიდი მომავლის მქონე პო-  
რუჩიკმა გზნებით ჩაიკითხა პიესა და ბედნიერებისაგან სახეგაცის-  
კროვნებულმა კაპელმაისტერს სთხოვა, თავისი პირუთვნელი აზრი  
გამოეთქვა მის შესახებ. აღფრთოვანებულმა კრაისლერმა მოახსე-  
ნა, თქვენი ქმნილება ესთეტიკური საზრდოს ნუგბარი ნაჭურია და  
ბევრ ღრმა და ორიგინალურ აზრს შეიცავსო. მათ გენიალურობაზე  
თუნდაც ის მეტყველებს, რომ მსგავსი აზრები თავის დროზე ისეთ  
აღიარებულ და საყოველთაოდ ცნობილ პოეტებსაც სწვევიათ, რო-  
გორიცაა კალდერონი და შექსპირი, ხოლო უფრო მოგვიანებით —  
შილერიო. ოფიცერი მხურვალედ გადაეხვია კომპოზიტორს და იღუ-  
მალი სახით ამცნო: განზრახული მაქვს ჩემი ტრაგედიის პირველი  
მოქმედება, ასე რომ მოგეწონათ, დღეს საღამოსვე მოვასმენინო ბა-  
ნოვანთა საზოგადოებას. მათ შორის ერთი გრაფის მეუღლეც კი იქ-  
ნებარ, დასძინა მან, მისი ბრწყინვალეობა თავისუფლად კითხულობს  
ესპანურად და მშვენიერად წერს ზეთის საღებავებითო. კრაისლერმა  
მიუგო, ამით მართლაც რომ ძალზე კეთილშობილურ საქმეს გააკუ-  
თებთო, რის შემდეგაც აღფრთოვანებული ოფიცერი სწრაფად გავიდა  
ოთახიდან.

— ჩემო ძვირფასო იოჰანეს, — წამოიწყო ტანმორჩილმა საი-  
ღუმლო მრჩეველმა, — აი, ვფიქრობ და ვერაფრით გამიგია, რას

უნდა მიეწეროს შენი დღევანდელი თვინიერება! პირდაპირ გაცუ-  
ბული ვარ, რა მოთმინება გეყო, რომ ასე გულდასმით და დინჯად  
გოისმინე ეს საოცარი ბოდვა? სასო წარმეკვეთა, როდესაც ოფი-  
ცერი მოულოდნელად დაესხა თავს ჩვენს უმწეო, თავდაცვისათვის  
გოუმზადებელ თავყრილობას და თავისი უკიდევანო პოეზიის ბადეში  
გაგვხვია! ვფიქრობდი შენზე, აი, ან ახლა, ან ახლა წამოხტება და  
მოქუსლავს-მეთქი, როგორც საერთოდ იქცევი ხოლმე მსგავს შემ-  
თხვევაში, მაგრამ, ნურას უკაცრაუად! ნაცვლად ამისა, რა იხილა  
ჩემმა თვალებმა! წყნარად ზიხარ, სასოებით უსმენ და სახეზე ნე-  
ტარების ღიმილიც კი დაგთამაშებს! დასასრულ, როდესაც მოთ-  
მინების ფიალა ამქვსო და გუნება საბოლოოდ გამიფუჭდა, ისეთი  
აღფრთოვანებული სახით შეასხი ხოტბა-დიდება საბრალოს, ვერც  
კი მიხვდა შენს დაცინვას! რჩევის სახით მაინც გეთქვა იმ დალოც-  
ვილისთვის, რომ პიესა ძალზე გაჭიანურებულია და სერიოზულ ქი-  
რურგიულ ჩარევას მოითხოვს.

— აჰ, — მიუგო კრაისლერმა, — აბა, რა აზრი ექნებოდა ჩემს  
უბადრუკ რჩევას? ჩვენი ოფიცრისთანა სიტყვახვარეილმა პოეტ-  
მა, რაც უნდა იღონოს და რამდენი ძალაც უნდა შეალიოს თავისი  
ლექსების შემცირება-დაპატარაების საქმეს, განა ისინი თვალის  
დახამხამების უმაღლ კვლავ ერთიორად არ გაიზრდებიან? როგორც  
ხვლიკს, რაც უნდა ძირში წააწყვიტო, ელვის სისწრაფით ეზრდე-  
ბა კუდი, ისე ჩვენი ახალგაზრდა ვაიპოეტების ლექსებიც უჩვეულო  
სისწრაფით იმატებენ მოცულობაში და მრავლდებიან; მაგრამ თუკი  
იმას ფიქრობ, რომ მშვიდად ვიჯექი და ოფიცერს ვუსმენდი, ძალიან  
ცდები! ჭექა-ქუხილმა გადაიარა. ვხედავდი, პატარა ბაღში როგორ  
იმართებოდნენ წელში ბალახები და ყვავილები, როგორ ხარბად ის-  
რუტავდნენ ციურ ნამს, ღრუბლების საბურველიდან წვეთ-წვეთად  
რომ ცვიოდა დაბლა. ახლა უკვე უზარმაზარი აყვავებული ვაშლის  
ხის ძირში ვიდექ და ყურს ვუგდებდი ჭექა-ქუხილის მისუსტებულ  
ხმას, დროდადრო რომ აღწევდა მთებიდან, ეს ხმა ჩემს სულში აუხ-  
დენელი ოცნებების წინასწარმეტყველურ ექოდ გაისმოდა. ვტკბე-  
ბოდი ცის ლაქვარდით, გაქცეულ ღრუბლებს შორის მოციმციმე  
თვალებით რომ გამოკრთოდა. უცაბედად ბიძაჩემის ხმა შემომეს-  
მა, მიყვიროდა, ახლავე აქ მობრძანდი, თორემ ამ წვიმიან ამინდში,  
სველ ბალახზე თამაშით ახალ ხალათსაც გააოხრებ და შესაძლოა,



სურდოც დაიმართო! მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს თურმე სულაც არ ყოფილა ბიძაჩემი. არ ვიცი, საიდან და როგორ გაჩნდა: ბუჩქებში თუ ბუჩქებს უკან მიმაღული თუთიყუში თუ კაჭკაჭი სულელური ხუმრობით ცდილობდა ჩემს გაბრაზებას და ყანყრატოდან ჩვეული აბეზარობით ისროდა ჩემთვის ძვირფას შექსპირისეულ აზრებს. პოდა, ჩემ თვალწინ კვლავ ის დოდრიალა ოფიცერი იდგა, თავისი უსასრულო ტრაგედიით! ხედავ, ჩემო ძვირფასო მრჩეველო, სწორედ რომ ბავშვობის მოგონებებმა გადამისროლეს შორეულ წარსულში, შენგან და იმ ოფიცრისგან შორს. ჩემი თავი მართლაც თორმეტი წლის ბიჭუნა მეგონა, ოცნებით კვლავ ბიძაჩემისეულ ბაღში ვიდექი და ტანზე მეცვა საოცრად ლამაზი ჩითის ხალათი, რომლის მსგავსი, ალბათ, ფართლეულის ვაჭარსაც არ დაესიზმრებოდა. ო, შენ კი, ჩემო ძვირფასო მრჩეველო, რა ამოდ დაშვრი დღეს, რა ტყუილუბრალოდ აბოლებდი შენს სურნელოვან თამბაქოს, ჩემი ყნოსვა აყვავებული ვაშლის სურნელის მეტს ვერაფერს გრძნობდა.

დამიჯერებთ? მისი თმის სურნელიც კი არ მიგრძნია. საცოდავი ხომ იმიტომ იპოხავს პომადით თმას, რომ იმედი არა აქვს, ოდესმე ქარისა და უამინდობისაგან დაფნის გვირგვინით დაიცავს თავს. ალბათ, მოგეხსენებათ, რომ სამხედრო წესდების თანახმად, მას უფლება აქვს, მხოლოდ და მხოლოდ ნაბდის ან ტყავის ქუდი დაიხუროს, რომელსაც კივერის ფორმა ექნება! მოკლედ რომ ვთქვათ, ჩემო კარგო, ჩვენ სამიდან შენ ერთი გამოდექი განტევების ვაცი და ჩვენმა ვაიპოეტმაც სწორედ შენ ჩამოგაცვა კისერზე თავისი ჯოჯოხეთური ტრაგედიის მარყუჟი. დიახ, დიახ, ვიდრე მე თორმეტი წლის ბიჭუნა, კოპწია ხალათში გამოწყობილი, ანცად დაუქროდი ბიძაჩემის ბაღში, მაესტრო აბრაჰამმა, როგორც ხედავთ, მშვენიერი სანოტო ქალაღდის სამი თუ ოთხი ფურცელი დახარჯა. მთელი ამ დროის განმავლობაში იგი იმით იქცევდა თავს, რომ ჭრიდა და ჭრიდა რაღაც საოცარ კაცუნებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩემსაჟივით მასაც არ მოხვედრია ოფიცრის მსახვრალი ხელი!

კრაისლერი მართალი გახლდათ: მაესტრო აბრაჰამს ოსტატურად გამოეჭრა ქალაღდისგან ნაირ-ნაირი ფიგურები. მათ დანახვაზე ჩვეულებრივ ვერაფერს გარჩევდა კაცი, მაგრამ, საკმარისი იყო, ქალაღდი უკნიდან გაგენათებინათ, რომ კედელზე როკვას იწყებდნენ საოცარი კაცუნები. მაესტრო აბრაჰამი, საერთოდ, ვერ იტანდა

მალაფარდოვნებას, ოფიცრის ნაჯღაბნმა კი მთლად დააკარგვინა წონასწორობა. ამიტომაც, როგორც კი ჩვენი ვაიპოეტი კითხვას შეუდგა, მაესტრო სანოტო ქალაღდს მისწვდა, შემთხვევით რომ აღმოჩნდა საიდუმლო მრჩეველის მაგიდაზე, ჯიბიდან პატარა მაკრატელი ამოიღო და ფიგურების გამოჭრას შეუდგა. და, აი, სწორედ ამ მადლიანი საქმის წყალობით საღ-საღამათი დაუძვრა ოფიცრის დარტყმებს.

— ყური მიგდე, კრაისლერ, — წამოიწყო საიდუმლო მრჩეველმა, — როგორც მოგვახსენე, მთელი შენი ჭკუა-გონება თურმე ბავშვობის დროინდელ მოგონებებს მოუცვავს და მეც შზად ვარ, ამას მივაწერო დღევანდელი შენი თვინიერება და კუთილგანწყობა. მომისმინე, ჩემო ძვირფასო მეგობარო! ისევე, როგორც ყველას, ვისაც უყვარხარ და პატოს გცემს, მეც არ მასვენებს აზრი, რომ სრულიად არაფერი ვიცი შენი ცხოვრების ადრეულ წლებზე. რატომღაც ყოველთვის ჯიუტად ბანზე აგდებ ხოლმე ბავშვობასთან დაკავშირებულ ყველა შეკითხვას და შენს წარსულს განგებ ხვევ იღუმალების საბურველში. ეს საბურველი კი, სხვათა შორის, ძალზე გამჭვირვალეა და ცნობისმოყვარეობას უღვიძებს კაცს, რადგან მის ქვეშ დროდადრო ბუნდოვნად მოჩანს ხოლმე უცნაურად მოკიაფე სურათები. მოდი, იმასთან მაინც იყავი გულწრფელი, ვინც უკვე შენი ნდობის ღირსი გახადე.

კრაისლერმა თანამოსაუბრეს ფართოდ გახელილი, გაკვირვებული თვალები შეანათა, თითქოს ეს-ეს არის, ბურანიდან გამოერკვა და თავის წინ სრულიად უცნობი ადამიანი დაინახაო; მერე სერიოზული ხმით დაიწყო:

— წმინდა იოანე ოქროპირის დღეს, ესე იგი, ოცდაოთხ იანვარს ათას შეიდას ამა და ამ წლისა, შუადღისას, ერთი ვინმე ძეხორციელი მოველინა ქვეყნიერებას.<sup>1</sup> როგორც ყველა ჩვილს, მასაც ჰქონდა პირისაზე, ხელები და ფეხები. ახალშობილის მამა სწორედ ამ დროს ცერცველას შეჭამანდს გეახლებოდათ და სიხარულისაგან წვერზე

<sup>1</sup> „წმინდა იოანე ოქროპირის დღეს, ესე იგი, ოცდაოთხ იანვარს... ერთი ვინმე ძეხორციელი მოველინა ქვეყნიერებას“ — 24 იანვარი პოფმანის დაბადების დღეა, ხოლო იოანე ოქროპირის დღეს, ესე იგი, 27 იანვარს დაიბადა მოცარტი. პოფმანი შვენებულად აერთიანებს ამ ორ თარიღს, რითაც ხაზს უსვამს კრაისლერის მხატვრული სახის ავტობიოგრაფიულ მნიშვნელობას.



მთელი კოვზი წვენი გადაისხა. ეს რომ მშობიარემ გაიგო, ისეთი გულღიანი ხარხარი აუტყდა, რომ მუსიკოსს, რომელიც ახალშობილის პატოსაცემად ლუტნაზე<sup>1</sup> მხიარულ მურკის<sup>2</sup> აუღერებდა, ყველა სიმი ერთად დაუწყდა. მაშინ ლუტნისტმა ცხონებული ბებიის სული დაიფიცა, სხვაში არ ვიცი და, მუსიკაში კი პატარა ჰანსი<sup>3</sup> სამუდამოდ რუგვენი და ლენჩი დარჩებაო. ამის გამგონე ახალშობილის მამამ წვერზე ხელი ჩამოისვა და საზეიმოდ განაცხადა: „დიახ, ჩემს ბიჭს იოჰანესად მოვინათლავ, მაგრამ მის სირუგვენეს კი ვერასოდეს მოესწრებითო!“ მაშინ ლუტნისტმა...

— ძალიან გთხოვ, კრაისლერ, — გააწყვეტინა კაპელმაისტერს საიდუმლო მრჩეველმა, — შეეშვი მაგ ოხერ ხუმრობას; პირდაპირ გეტყვი: უკვე აღარ შემიძლია მისი ატანა. განა მე შენი ბიოგრაფიის ყოფითი ამბები მაინტერესებს? უბრალოდ, გთხოვე, შენი წარსულის იმ ფურცლებში ჩამახედო, რომელსაც არ ვიცნობ-მეთქი. კაცმა რომ თქვას, არაუითარი უფლება არა გაქვს, ჩემი ცნობისმოყვარეობის გამო მისაყვედურო, რამეთუ იგი მხოლოდ და მხოლოდ შენდამი უღრმესი კეთილგანწყობით არის გამოწვეული. ამასაც თავი დაჯანებოთ, საერთოდ, იმდენად უცნაურად იქცევი, კაცს ძალაუნებურად აფიქრებინებ, რომ შენისთანა ხასიათი ადამიანს შეიძლება მხოლოდ ფათურაკებითა და თავგადასავლებით აღსაესე ცხოვრებამ გამოუჭედოს.

— ო, რა მცდარი აზრია! — თქვა კრაისლერმა და ღრმად ამოიოხრა, — ჩემი სიჭაბუკე იმ ხრიოკ, უნაყოფო უდაბნოს მაგონებს, სადაც გრძნობაცა და გონებაც ერთფეროვან სიმარტოვეში ჩლუნგდება.

— არა და არა! ამაში კი ვერ დაგეთანხმები! — წამოიძახა საიდუმლო მრჩეველმა, — როგორც ვიცი, ამ უდაბნოში მშვენიერი წალკოტიცაა, ხოლო ამ წალკოტში თუთრად აფეთქებული ვაშლის ხე დგას. მისი სურნელი ჩემი საუკეთესო თუთუნის სურნელებასაც კი ახშობს. ჰოდა, ჩემო იოჰანეს, მოდი, ახლა მაინც მოგვიყვი შენს ადრინდელ ბავშვობაზე. განა თავად არ აღიარე, ამ მოგონებებმა მთლიანად შეავსო დღეს ჩემი სულის ყველა კუნჭულიო!

<sup>1</sup> ლუტნა (პოლონ. *lutnia* <არაბ.) — ძველებური სიმებიანი მუსიკალური საკრავი; XVIII საუკუნეში განდევნა გიტარამ.

<sup>2</sup> მურკი — ბანის აკომპანემენტის განსაკუთრებული სახეობა, რის დროსაც გამოიყენება ე.წ. „დატეხილი ოქტავეები“; აგრეთვე, XVIII საუკუნეში გავრცელებული პიესა, რომლისთვისაც ასეთივე თანხლებაა დამახასიათებელი.

<sup>3</sup> რუგვენი ჰანსი — გერმანული ხალხური ზღაპრების გმირი.

— მეც მინდა მოგახსენოთ, — თქვა მაესტრო აბრაჰამმა და ქალღმრთის კაპუცინს კინკრიხოზე ტონზურა ამოაჭრა, — დიახ, აი, რა მინდა მოგახსენოთ, კრაისლერ: ვინაიდან და რადგანაც დღეს მშვენიერ გუნებაზე ბრძანდებით, იმაზე უკეთეს საქმეს ვერაფერს იზამთ, გული და სული გადაგვიშალოთ; ძალიან გთხოვთ, რა მოხდება, ბოლოს და ბოლოს, ჩვენთვისაც რომ გახსნათ თქვენი გრძნობების ქისა და იქიდან ზოგ-ზოგი სანუკვარი რამ ამოიღოთ და რახან უკვე წამოგცდათ, არ ვეპუებოდით მზრუნველი ბიძის მუქარას, წვიმაში დაუტანტალეხდი, რომ ცრურწმენით შეპყრობილს ჭეჭა-ქუხილის წინასწარმეტყველური ბუბუნისათვის მესმინაო, ახლა კეთილი ინებეთ და წვრილად მოგვიყვით, რა მოხდა მაშინ. ოღონდ, იოჰანეს, ტყუილები არ გამაგონოთ; თავადაც ხომ კარგად მოგეხსენებათ, რომ გამუდმებით თვალყურს ვადევნებდი თქვენს ცხოვრებას, ყოველ შემთხვევაში, იმ დროიდან მაინც, როცა ნაწნავი დაგიწნეს და შარვალი პირველად ჩაგაცვეს.

კრაისლერმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ მაესტრო აბრაჰამი სწრაფად მიუტრიალდა საიდუმლო მრჩეველს და უთხრა:

— ვერც კი წარმოიდგენთ, მეგობარო, რა ძალით ეუფლება ხოლმე ჩვენს იოჰანესს სიცრუის ბოროტი სული, როცა თავის ადრეულ ბავშვობაზე იწყებს მოყოლას. მაგრამ აქვე უნდა ვთქვა, რომ ეს ძალიან იშვიათად ხდება. მაგას რომ დაუჯეროს კაცმა, იმ ასაკში, როცა ბავშვები „დე-და — მა-მას“ ძლივს ტიტინებენ და ანთებულ სანთელს ხელის წასაუღლებად ეტანებიან, იგი უკვე ბევრ რამეს ამჩნევდა და შეეძლო ღრმად ჩაეხედა ადამიანის გულში.

— ძალზე უსამართლო ბრძანდებით ჩემდამი, — უთხრა მაესტროს კრაისლერმა მშვიდად და ოდნავ ჩაიღიმა, — დიახ, დიახ, მაესტრო, დიდ უსამართლობას იჩენთ. განა თავს უფლებას მიეცემდი, რომ მომეტყუებინეთ და ჩემს ადრე გაღვიძებულ ნიჭზე კვებნით მელაპარაკა? ნუთუ ასეთი პატომოყვარე ბაქია გგონივართ? მაგრამ, ძვირფასო საიდუმლო მრჩეველო, აი, რა მინდა გკითხო: არა გქონია ისეთი შემთხვევა, როცა შენს არსებაში კაშკაშა სურათებით აკიაფებულან მოგონებები შენი ცხოვრების იმ დროიდან, ხშირად მცენარეული არსებობის ხანას რომ უწოდებენ? გავრცელებული აზრის თანახმად, ამ დროს ადამიანს მხოლოდ შიშველი ინსტინქტები ამოდრავებს, რითაც ასე მდიდარია ცხოველთა სამყარო. ჩემი აზ-



რით, ამის მიზეზი შემდეგი გახლავთ: ჩვენთვის სამუდამოდ შეუცნობელი რჩება ის წუთი, რასაც შეგნების პირველი გაღვიძება ჰქვია! ასეთი რამ მოულოდნელად რომ ხდებოდეს, ადამიანი ნამდვილად გაგიჟდებოდა. ღრმა ძილიდან გამოღვიძებულს, ალბათ, გიგრძნიათ ის საშინელი შიში, როდესაც დროებით მიძინებული გრძნობები ფხიზლდებიან და ჩვენ, გაოგნებულები, კვლავ ვუბრუნდებით სინამდვილეს. ერთი სიტყვით, არ მინდა ძალიან ღრმად შევტოპო, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რომ გარდამავალ ასაკში მიღებული ყველა ძლიერი შთაბეჭდილება ჩვენში რაღაც ჩანასახს ტოვებს; ეს ჩანასახი შემდეგ იმისდა მიხედვით იზრდება და ვითარდება, თუ რა გზით წარვმართავთ ჩვენს საკუთარ სულიერ შესაძლებლობებს. ასე და ამრიგად, ძილიდან საბოლოოდ გამოფხიზლების წინ განცდილი ყველა სიხარული თუ მწუხარება ჩვენს არსებაში აგრძელებს არსებობას. ალბათ, ამიტომ ხდება, რომ, როდესაც ძილში ძვირფასი ადამიანების ნაზი და სვედიანი ხმები ჩაგვესმის, გვეჩვენება, თითქოს სიზმარში გაგვეგონოს ისინი; სინამდვილეში კი ის ხმები ნამდვილად ცოცხლობენ ჩვენში და გულის სიღრმიდან გვეხმებიან. მაშინვე მივხვდი, რატომ გადმომკრა მათრაზი მაესტრომ. მას მხედველობაში აწ განსვენებული დეიდაჩემის, ფიუსჰენის ამბავი ჰქონდა. იგი მიმტკიცებს, არამც და არამც არ შეიძლება, ეს ყველაფერი მართალი იყოსო. მე კი მის გასაბრაზებლად, აუღებები და სწორედ იმ ამბავს მოგიყვები, ჩემო ძვირფასო საიდუმლო მრჩეველო, თუკი პირობას მომცემ, რომ არ გამკიცხავ ზედმეტი გულჩვილობისათვის... ის კი, რაც ცერცველას შეჭამანდსა და ლუტნისტზე გაიმბე...

— ო, კარგი ერთი, გეყოფა, — გააწყვეტინა კაპელმაისტერს საიდუმლო მრჩეველმა, — ახლა უკვე აშკარაა, ჩემი გაბიაბრუება გადაციწყვეტია. ეს კი ნამდვილად არ გეკადრება!

— არაფერიც, ჩემო ძვირფასო! — წამოიძახა კრაისლერმა, — არა-მეთქი, გეუბნები. მაგრამ, იძულებული ვარ, თხრობა ლუტნისტით დავიწყო. იგი ხომ ბუნებრივი გაგრძელებაა ლუტნიასი; ო, მისი ღვთაებრივი ხმები როგორ ელამუნებოდა ჩვილის სმენას! დიახ, დედაჩემის უმცროსი და შესანიშნავად უკრავდა ამ საკრავზე; სამწუხაროდ, იგი დიდი ხანია ჩაბარდა მუსიკალურ არქივს. კაი შეღერებული ვაჟკაცები, უკვე კარგად რომ ფლობდნენ წერა-კითხვისა და მიმატება-გამოკლების რთულ ხელოვნებას, და უკვე სხვა,

ცოტა უფრო სერიოზული საქმისთვისაც გამოდგებოდნენ, ჩემი თანდასწრებით ცხარე ცრემლებს აფრქვევდნენ, როდესაც იგონებდნენ განსვენებული მადმუაზელ სოფის ბრწყინვალე დაკვრას ლუტნიაზე. მე კი, მოგეხსენებათ, იმ დროისათვის ერთი უმწეო ბავშვი ვიყავი, შეგნებას ჩემში მხოლოდ ის-ის იყო ამოყვარა ნორჩი ყლორტები და ჯერაც არ მორგებოდა აზრებისა და სიტყვების მყარი კალაპოტი. ამიტომაც ვერაუინ გამკიცხავს იმისათვის, რომ ხარბად ვიჭერდი ჯადოსნური ჰანგების ნაზ კაეშანს; დიახ, ეს სვედიანი ხმები თავად მუსიკოსის გულის სიღრმიდან მოედინებოდა. ზემოხსენებული ლუტნისტი კი, ჩემს აკვანთან რომ უკრავდა, განსვენებული დეიდა ფიუსჰენის მუსიკის მასწავლებელი გახლდათ. ამ პატარა კაცუნას ყველა მუსიე ტურტელს ეძახდა. საბრალოს ნამგალოვით მოხრილი ფეხები ჰქონდა და უცნაური მოყვანილობის ქათქათა თეთრ პარიკსა და ალისფერ მოსასხამს ატარებდა. ყველაფერ ამას მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის ვყვები, რათა დაგანახვოთ, როგორი სიცხადით შემოინახა ჩემმა მეხსიერებამ იმ დღეების ადამიანთა სახეები. არ მინდა, მაესტრო აბრაჰამს ან ვინმე სხვას, ეჭვი ეპარებოდეს ჩემი ნაამბობის ჭეშმარიტებაში. თავი ჯერ კიდევ სამი წლის ასაკიდან მახსოვს, იმ გოგონას მუხლებზე ჩამომჯდარი. სულსა და გულს ელამუნებოდა მისი კეთილი თვალების შუქი. დღესაც ჩამესმის ყურში მისი ნაზი ხმა, ტკბილი სიმღერები. შესანიშნავად მახსოვს, მაშინ ჩემი გული მხოლოდ და მხოლოდ ამ მომხიბლავი არსების სიყვარულითა და ერთგულებით იყო სავსე. სწორედ ეს გახლდათ დეიდა სოფი, შინაურობაში კი მას, ცოტა არ იყოს, უცნაურ მეტსახელს, „ფიუსჰენს“ ეძახდნენ.

ერთხელ მთელი დღე ვოვიშვიშე და ვიწუწუნე იმის გამო, რომ დეიდა ფიუსჰენს ვერსად მოვკარი თვალი. ბოლოს ძიძამ ხელი დამავლო და მის ოთახში შემეყვანა. დეიდაჩემი ლოგინში იწვა. ჩვენს დანახვაზე სასთუმალთან ჩამომჯდარი ვილაც მოხუცი სწრაფად წამოხტა და ლანძღვა-გინება დაუწყო ძიძას. მანაც ხელში ამიტაცა და სასწრაფოდ გამოვიდა ოთახიდან. მერე ის იყო, თბილად ჩამაცვეს, შალში შემეფუთნეს და სხვა სახლში გადამიყვანეს, სადაც ჩემთვის სრულიად უცხო ადამიანები ცხოვრობდნენ. ყველანი ერთხმად მარწმუნებდნენ, შენი დეიდები და ბიძიკოები ვართო, თანაც მეუბნებოდნენ, დეიდა ფიუსჰენი ძალიან აუადაა და თუ მასთან დარჩები, აუადმ-



ყოფობა შენც გადაგედებაო. რამდენიმე კვირის შემდეგ კვლავ ჩემს ძველ სახლში წამიყვანეს. მაშინ კი მოვრთე ღრიალი, ვყვიროდი, დეიდა ფიუსჰენთან მიმიყვანეთ-მეთქი. ბოლოს, მის ოთახში შევიპარე. საწოლთან მივდი და ფარდა გადავწიე, მაგრამ საწოლი ცარიელი დამხვდა. ჩემმა ერთ-ერთმა დეიდამ, ფეხდაფეხ რომ შემომყვა, ტირილით მითხრა: „იოჰანეს, დეიდა ფიუსჰენს ველარასოდეს ნახავ, იგი მოკვდა და ახლა მიწის ქვეშ განისვენებსო“.

რა თქმა უნდა, შესანიშნავად მესმის, რომ მაშინ არ შეიძლებოდა ჩავწვდომოდი ამ სიტყვების არსს; მაგრამ იმ წუთის გახსენებაზე, დღესაც ის ენით აუწერელი, საზარელი გრძნობა შემიპყრობს ხოლმე, მაშინ რომ დამეუფლა. სიკვდილმა თითქოს თავისი ყინულოვანი ჯაშუანი გადამაცვაო, საშინელმა ძრწოლამ დაისადგურა ჩემს სულში და მისმა ცომა სუნთქვამ შთანთქა ჩემი ბავშვობის დროინდელი ყველა სიხარული. არ მახსოვს და, ალბათ, ვერც ვერასოდეს გავიხსენებ, რა ჩავიდინე მაშინ; მაგრამ შემდეგ ხშირად მიყვებოდნენ, რომ თურმე ნელ-ნელა დამიშვია ფარდა, მერე კი ღრმად ჩაფიქრებული პატარა წნულ სკამზე ჩამოვმჯდარვარ. მოგვიანებით ისიც მითხრეს, რა გულის ამაჩუყებლად მოქმედებდა თურმე ახლობლებზე სიცოცხლით სავსე ბავშვის ესოდენ ჩუმი მწუხარება და ეშინოდათ, ყველაფერ ამას ცუდად არ ემოქმედა ჩემს ჯანმრთელობაზე. რამდენიმე კვირა საშინელ მდგომარეობაში ვყოფილვარ: არც ვტიროდი თურმე, არც ვიცინოდი, სათამაშოდ გული არ მიმიწევდა, შინაურების ალერსიან შეკითხვებზე პასუხს არ ვიძლეოდი და გარშემო საერთოდ ვერაფერს ვამჩნევდი.

სწორედ ამ დროს მათემატიკა აბრაჰამმა უცნაურად გამოჭრილი ქაღალდი აიღო ხელში და ანთებული სანთლის წინ მოათავსა. და აი, მოულოდნელად კედელზე მონაზონთა ლანდები აფარფატდნენ. ისინი უცნაურ საკრავებს მისხდომოდნენ.

— ოჰო, მათემატიკო, — წამოიძახა კრაისლერმა და გულდასმით შეათვალიერა წმინდა დედათა გამწკრივებული გუნდი, — ვიცი, ვიცი, რაც გინდათ, ამით გამახსენოთ! მაგრამ კვლავ ჯიუტად ვადგავარ იმ აზრს, რომ მაშინ სულ ტყუილუბრალოდ გამათხეთ გახსოვთ როგორ მიწოდეთ ჯიუტი, უგუნური ბიჭუნა და ისიც მითხარიო, შენი მადისონირებელი ხმით შეგიძლია ტაქტიდან თუ ტონალობიდან ამოაგდო მონასტრის მგალობელთა მთელი გუნდიო. მერე ის იყო,

წმინდა კლარისას საგანეში წამიყვანეთ. ეს მონასტერი ქალაქიდან სულ რაღაც ოცი-ოცდაათი მილის დაშორებით მდებარეობდა. იქ ჩემს სიცოცხლეში პირველად მომასმენინეთ ნამდვილი კათოლიკური საეკლესიო მუსიკა; მითხარით, ნუთუ არ მქონდა მაშინ უფლება, მეცეღქა და მეანცა? ეს ხომ ჩემი გიჟმაჟობის წლები იყო! აბა, რა იყო იმაში ცუდი, რომ მაშინ ჩემში ახალი ძალით იფეთქა ბავშვობის დროინდელმა, დიდი ხნის წინ მივიწყებულმა სიმძიმელმა და ისე აღმაფრთოვანა, გული უკიდევანო ბედნიერებითა და ნეტარი სევდით ამოვსო? თქვენ კი დაჟინებით წინააღმდეგი იყავით ამისა, მაგრამ, აბა, მითხარით, რატომ არ შეიძლებოდა ხმამაღლა გამომეხატა ჩემი ფიქრები და ყველას გასაგონად მეტქვა, რომ trompette marine-დ<sup>1</sup> წოდებულ იმ ღვთაებრივ საკრავზე სწორედ დეიდაჩემი ფიუსჰენი<sup>2</sup> უკრავდა; უნდა მოგახსენოთ, ეჭვიც არ მეპარებოდა ამაში, თუმცა, მშვენივრად ვიცოდი, რომ საბრალო დეიდაჩემი დიდი ხანია ცოცხლებში აღარ ეწერა. რატომ შემიშალეთ მაშინ ხელი, შევვარდნილიყავი მგალობელთა გუნდში? ხომ აუცილებლად ვიპოვიდი დეიდაჩემის ვარდისფერბაფთუბიან მწვანე კაბას? — კრაისლერმა მხერა კედელს მიაპყრო და აღელვებული, ათრთოლებული ხმით განაგრძო, — შეხედეთ, აი, ისიც, ჩემი საყვარელი დეიდა ფიუსჰენი! ხედავთ, იგი ყველაზე ტანადია; პატარა სკამზე შემდგარა, რომ უფრო მოხერხებულად დაიჭიროს თავისი მძიმე საკრავი.

საიდუმლო მრჩეველი წამოდგა, კრაისლერს წინ დაუდგა და ზურგით აეფარა კედელზე მოთამაშე ჩრდილებს, მერე ხელი მხარში ჩაავლო და უთხრა:

— ეჰ, ეჰ, ჩემო იოჰანეს, რა ჭკვიანური იქნება, შეეშვა მაგ უაზრო ოცნებებს და ამქვეყნად არარსებულ საკრავებზე არ მოჰყვე ლაპარაკს. პირადად მე, ჩემს სიცოცხლეში არაფერი მსმენია მაგ შენი ზღვის საყვირის შესახებ!

— ო! — გაიცინა მაესტრო აბრაჰამმა და მაგიდის ქვეშ შეაგლო უცნაურად გამოჭრილი ქალაღდის ფურცელი. კედელზე მონაზვნების გუნდთან ერთად უმაღლეს გაქრა დეიდა ფიუსჰენის ჩრდილიცა

<sup>1</sup> ტრომბა მარინა — „ზღვის საყვირი“ (ფრანგ.).

<sup>2</sup> „დეიდაჩემი ფიუსჰენი“ — ამ პერსონაჟის პროტოტიპი პოფმანისთვის გახლდათ დედამისის უმცროსი და შარლოტა ვილჰელმინა დიორფერი; იგი გარდაიცვალა, როცა მწერალი სამი წლის იყო.



და მისი ზღვის საყვირიც, — ო, ჩემო პატოცემულო საიდუმლო მრჩეველო, ბატონი კრაისლერი ყოველთვის იყო და დარჩა საზრიან, მშვიდ ადამიანად. იგი სრულიადაც არ გახლავთ ისეთი ოხუნჯი და მეოცნებე, როგორც ზოგიერთს ჰგონია. აბა, რა არის იმაში წარმოუდგენელი, რომ მუსიკოსს სიკვდილის შემდეგ, საიქიოში, თავისი ლუტნია იმ ჯადოსნური საკრავით შეეცვალა? ალბათ, გაგიკვირდებათ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ამ უცნაურ საკრავს ხანდახან დღესაც შეხვდები დედათა მონასტერში. მაშ, თქვენ გგონიათ, ზღვის საყვირი არ არსებობს, არა? აბა, გადაშალეთ ამ სიტყვაზე კოხის<sup>1</sup> „მუსიკალური ლექსიკონი“, იმედია, თქვენს საოჯახო ბიბლიოთეკაში მოგეძვეებათ ეს წიგნი!

საიდუმლო მრჩეველმა უმაღლესად შეასრულა მანესტროს თხოვნა და აი, რა ამოიკითხა:

„ეს ძველებური, საკმაოდ მარტოვი საკრავი სამი თხელი შვიდფუტიანი ფიცრისაგან შედგება. საყვირის სიგანე ქვევით, იქ, სადაც იგი იატაკს ეხება, ექვს-შვიდ დუიმს აღწევს, ზევით კი მხოლოდ ორი დუიმიანია. ფიცრები ერთმანეთთან ისეა შეერთებული, რომ მათ სამკუთხედის მოყვანილობა აქვთ. სწორედ ამის გამო საკრავი ზევით თანდათანობით ვიწროვდება. აქ იგი მოქლონებით ბოლოვდება. იმ სამი ფიცრიდან ერთ-ერთი დეკას წარმოადგენს. მასში რამდენიმე ნახვრეტია და ზედ ნაწლავის საკმაოდ მსხვილი სიმიანა დაჭიმული. დაკვრის დროს საკრავს დახრილად დგამენ, რომ მუსიკოსს შესაძლებლობა ჰქონდეს, მის ზემოთა ნაწილს მკერდით დაეყრდნოს. მარცხენა ხელის ცერით შემსრულებელი სიმს ბგერის სიმაღლისდა შესაბამისად, სხვადასხვა ადგილას ეხება, მაგრამ ამას იგი ძალიან მსუბუქად აკეთებს, მსგავსად იმისა, როგორც ეს ფლეიტინოზე ან ვიოლინოზე ფლაჟოლეტის დროს ხდება ხოლმე, მარჯვენა ხელით კი ხემს ამოძრავებს სიმზე. საკრავის თავისებური ტემბრი საყვირის მოგუდულ ბგერას მოგვაგონებს. ამ ბგერას ჯორაკის ქვევით, მარჯონირებულ დეკაზე დაჭიმული სიმი გამოსცემს; ჯორაკი მოყვანილობით პატარა ჩექმას წააგავს, წინ წვრილი და დაბალია, უკან კი მაღლდება და მსხვილდება. სიმიც სწორედ მის უკანა ნაწილზეა მოთავსებული. ხემის საშუალებით სიმის ზევით-ქვევით რხევას მოძ-

<sup>1</sup> *ჰაინრიხ კრისტოფ კოხი (1749-1816) — გერმანელი მუსიკათმცოდნე, „მუსიკალური ლექსიკონის“ ავტორი.*

რაობაში მოჰყავს ჯორაკის წინა მსუბუქი ნაწილი, მარუზონირებელ ღეკაზე რომ არის მოთავსებული; სწორედ ამის წყალობით გამოსცემს საკრავი იმ ცხვირისმიერ ბგერას, რაც ასე მოგვაგონებს საყვირის მოგუდულ ხმას“.

— ო, მაესტრო აბრაჰამ, ძალიან გთხოვთ, გამიკეთეთ ასეთი საკრავი! — წამოიძახა თვალეზგაბრწყინებულმა საიდუმლო მრჩეველმა, — გამიკეთეთ და უმაღლეს კუთხეში მივაგდებ ჩემს პაწია ვიოლინოს, ახლოს აღარ გავეკარები ვეფონიუმს<sup>1</sup> და ზღვის საყვირზე ისეთ მშვენიერ სიმღერებს დავაგუგუნებ, გავაოცებ სასახლესაც და მთელს ქალაქსაც.

— კარგი, თანახმა ვარ, გაგიკეთებთ, — დაეთანხმა მაესტრო აბრაჰამი, — და აი, მაშინ, ჩემო ძვირფასო მრჩეველო, დაე, მოგვეკლინოთ მწვანე ფარჩისკაბიანი დეიდა ფიუსჰენის აჩრდილი და სული შთაბეროს თქვენს შთაგონებას!

საიდუმლო მრჩეველი საზეიმოდ გადაეხვია მაესტროს, მაგრამ კრაისლერი მათ შუა ჩადგა და, ცოტა არ იყოს, განაწყენებულმა თქვა:

— ეჰ, ჩემო ძვირფასებო, ერთ დროს მეც ვიყავი საშინელი აყვია, მაგრამ ჩემზე ნაკლები არც თქვენა ყოფილხართ. გარდა ამისა, თურმე შეგიძლიათ სასტიკად მოექცეთ იმას, ვინც ვითოდცდა ძალიან გიყვართ! ისიც გეყოთ, ძირისძირობამდე რომ აღწერეთ საკრავი, რომლის ხმებმაც ერთ დროს სული და გული ამომიტრიალა, და ამით თითქოს მთელს ტანზე ცივი წყალი გადამასხით; ლუტნიაზე დამკვრულ ქალს მაინც მოეშვით! რა გაეწყობა, საიდუმლო მრჩეველო, შენ ჩემი ბავშვობის დროინდელი მოგონებების მოსმენა გინდოდა, მაესტრომ კი ჩემი ნაამბობი გაამდიდრა და ქალაქის აჩრდილებით შეავსო ჩემი ცხოვრების ის ხანა; ასე რომ, მგონი, ჩემი ბიოგრაფიული ნარკვევების შესანიშნავი გამოცემა გამოგვივიდა, დამშვენებული მაესტროს ხელით შესრულებული მშვენიერი გრაფიურით კონის ლექსიკონის კითხვისას მისივე კოლეგა, ლექსიკოგრაფი გერბერი<sup>2</sup> გამახსენდა და უცბად ჩემი თავი მაგიდაზე

<sup>1</sup> ვეფონიუმი — მუსიკალური საკრავი, შედგება მინის მილაკებისა და ფოლადის ფირფიტებისაგან. ეს საკრავი 1790 წელს გამოიგონა გერმანელმა ფიზიკოსმა ე. ქლადნიმ (1756-1827).

<sup>2</sup> ერნსტ ლუდვიგ გერბერი (1746-1819) — გერმანელი მუსიკათმცოდნე, „მუსიკოსთა ისტორიულ-ბიოგრაფიული ლექსიკონის“ (1791) ავტორი.



გართხმული გვაძი მეგონა. წარმოვიდგინე, როგორ მაძზადებენ ბი-  
ოგრაფიული გაკვეთისათვის. პროზექტორი, რა თქმა უნდა, იტყო-  
და: „აბა, რა არის იმაში საკვირველი, რომ ამ ყმაწვილს ძარღვებში  
წმინდა მუსიკალური სისხლი უჩქეფდეს, განა მის ყველა ნათესავს  
ასეთივე სისხლი არა ჰქონდა? ჰოდა, სწორედ ამიტომ ვამბობთ, ისი-  
ნი ერთმანეთის სისხლით ნათესავები არიანო“. ამით კი, აი, რისი  
თქმა მსურდა: მაესტროს კარგად მოეხსენება და აი, ახლა შენთ-  
ვისაც ცნობილია, რომ ბავშვობაში აურაცხელი ნათესაობა მეხვია  
გარს. ჩემი ყველა დეიდა და ბიძა მუსიკით იყო გატაცებული, მაგ-  
რამ ისინი უკვე იმ დროისათვის ძალზე იშვიათ საკრავებზე უკრავ-  
დნენ, ასე რომ, ახლა მხოლოდ სიზმარშიდა თუ მოვისმენ ხოლმე იმ  
საოცარ ჰანგებს, ჩემს სმენას ათ-თერთმეტ წლამდე რომ ატკობ-  
დნენ. შესაძლოა შემდგომში სწორედ ამის წყალობით გამოვავლინე  
ინსტრუმენტირების ის საოცარი, ჩემეული მიდგომა, რის გამოც  
დღეს მოჭარბებულ ფანტასტიკურობას მდებენ ბრალად. შენ კი,  
ჩემო ძვირფასო საიდუმლო მრჩეველო, თუ შეგიძლია ისე მოუსმი-  
ნო ძველებური საკრავის *viola d'amore*-ს<sup>1</sup> ღვთაებრივ ხმებს, რომ  
თვალზე ცრემლი არ მოგადგეს, ბარაქალა შენს ვაჟკაცობას! შენი  
არ ვიცი და, მე კი გულამოსკვნილი ვზლუქუნებდი, როცა ესე-  
რის,<sup>2</sup> — ამ იშვიათი რაინდის შესრულებით რომელიმე ნაწარმოებს  
ვუსმენდი. უფრო ადრე კი უდიდეს სიამოვნებას მგვრიდა ხოლ-  
მე ბერის ტანსაცმელში გამოწყობილი, მაღალი, წარმოსადეგი კა-  
ცის დაკვრა. მას არაჩვეულებრივად უხდებოდა ეს ჩაცმულობა. იგი  
ერთ-ერთი ჩემი ბიძათაგანი გახლდათ. კიდევ ერთი სხვა ნათესავი  
შესანიშნავად უკრავდა *viola di gamba*-ზე.<sup>3</sup> ჩემი გამზრდელი ბიძა<sup>4</sup>  
კი, — თუმცა, უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყოდი, ბიძა, რო-  
მელსაც დიდად არ შეუწუხებია თავი ჩემი აღზრდით, — ამ შესანიშ-  
ნავ შემსრულებელს არცთუ მთლად უსაფუძვლოდ საყვედურობდა  
ხოლმე, რიტმში მოიკოჭლებო. უნდა მოგახსენოთ, რომ თავად ბი-

<sup>1</sup> *Viola d'amore* — მუსიკალური საკრავი (ხუთ-შეიდსიმიანი ალტი).

<sup>2</sup> კარლ მიხაელ ესერი (1736-1795) — ცნობილი გერმანელი მვეიოლინე.

<sup>3</sup> *Viola di gamba* — ვიოლა დი გამბა, მუსიკალური საკრავი (ვიოლონჩელოს ჩამოჰგავს).

<sup>4</sup> „ჩემი გამზრდელი ბიძა“ — ჰოფმანი აქ აღწერს თავის ბიძას, ოტო ვილჰელმ დიორფერს (1741-1811), და ჰყვება ეპიზოდებს საკუთარი ცხოვრებიდან.

მაჩემი კლავესინის ტრფიალი გახლდათ და ბარბაროსული დაუნ-  
დობლობით, გამეტებით უკრავდა ამ საკრავზე. ჰოდა, იმ ნათესავზე  
მოგახსენებდით: ერთ შშვენეიერ დღეს აღმოჩნდა, რომ თურმე იგი  
სარაბანდის ტაქტზე დიდის ხალისით, მხიარულად ცეკვავს მენუ-  
ეტს a la Pompadour.<sup>1</sup> ეს იყო და ეს. ამ ამბავმა მთელი საგვარეულოს  
უდიდესი გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია და საბრალო  
გაუთავებელი დაცივნის მსხვერპლად გადაიქცა. რა თქმა უნდა, კი-  
დეც ბევრი რამის მოყოლა შემეძლო ჩემი ნათესავების მუსიკალურ  
გართობებზე. მაგრამ, მოდი, თავს შევიკავებ. მოგახსენებათ, მე ავ-  
ყიაობას თავს ვერ დაუანებებ, თქვენ კი ამაზე გაგეცინებათ, ჰოდა,  
სულაც არ მინდა ჩემი პატოცემული ნათესავების დაცივნა და საქ-  
ვეწოდ გამოჭენება; ეს ეწინააღმდეგება ჩემს respectus parentalae-ს.<sup>2</sup>

— იოჰანეს, — დაიწყო საიდუმლო მრჩეველმა, — დღეს კარგ  
გუნებაზე ხარ და იმედია, არ შემომწყრები. მინდა შენს გულში ერთ  
მთრთოლარე სიმს შევახო ხელი, თუმცა, წინასწარ ვიცი, მისი აჟღე-  
რება ტკივილს მოგაყენებს. ერთი მითხარ, ჩემო იოჰანეს, შენს ნათე-  
სავებზე ამდენს რომ ლაპარაკობ, რატომ დედაშენსა და მამაშენზე  
არასოდეს არაფერს იტყვი ხოლმე?

— ეჰ, ჩემო მეგობარო, — მიუგო ძალზე აღელვებულმა კრაის-  
ლერმა, — სწორედ დღეს ვიფიქრე... მაგრამ არა, კმარა მოგონებები  
და ოცნებები. ამ მოგონებებმა ხელახლა გამიხსნა იარა და ხელახლა  
განმაცდევინა ბავშვობის დროინდელი ენით აუწერელი სევდა. მე ხომ  
დღემდე მაქვს გამოყოლილი მაშინდელი სევდით გამოწვეული ტკი-  
ვილი?! მხოლოდ მოგვიანებით დაეუფლა ჩემს სულს სიმშვიდე, ბუ-  
ნების გარინდებას რომ ჰგავდა ჭექა-ქუხილის წინ! დიახ, მაესტრო,  
თქვენ მართალი ბრძანეთ; მაშინ სწორედ ვაშლის ხის ქვეშ ვიდექი და  
ყურს ვუგდებდი ჭექა-ქუხილის წინასწარმეტყველურ გრუხუნს! შენ  
კი, ჩემო მეგობარო, ვგონებ, უფრო კარგად გამიგებ, თუკი გეტყვი:  
დეიდა ფიუსჰენის სიკვდილის შემდეგ კარგა ხანი ისე გაოგნებული  
ვიყავი, დედაჩემის სიკვდილს ჩემზე მაინცდამაინც დიდი შთაბეჭდი-  
ლება არ მოუხდენია, თუმცა, ეს ამბები თითქმის დაემთხვა ერთმა-  
ნეთს. აღარ მოუყვები იმის ახსნას, თუ რაში დასჭირდა ან რატომ  
მოინდომა მამაჩემმა, ჩემი თავი დედაჩემის ძმისთვის ჩაებარებინა, —

<sup>1</sup> კომპადურის სტილში (ფრანგ.).

<sup>2</sup> ნათესავებისადმი პატოციცემა (ლათ.).



მსგავს შემთხვევებს არცთუ იშვიათად შეხვდები, რომელიც გინდა, გაცვეთილ, ყოფით რომანში, ანდა იფლანდის<sup>1</sup> ოჯახური უთანხმოების ამსახველ რომელიმე კომედიაში. იმის თქმაც საკმარისია, რომ მთელი ბავშვობა და ყრმობის უდიდესი ნაწილი მტანჯველ სიმართოვეში გაატარე. ეს კი მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ უმშობლებოდ ვიზრდებოდი და ობოლი ვიყავი. ჩემი აზრით, ყველაზე ცუდი მამაც კი სჯობია ყველაზე კარგ მეურვეს; ამიტომ თმა ყალფზე მიდგება, როცა წარმოვიდგენ, როგორ დაუნდობლად იგლეჯენ გულიდან პირშმოებს ულმობელი მშობლები და ბავშვთა თავშესაფარში ყრიან. იქ საბრალოებს ერთ თარგზე ჭრიან, ერთნაირ ყალიბში ასხამენ და არარად აგდებენ მათი ხასიათის განსაკუთრებულ თავისებურებებს. ბავშვის ბუნებაში ბოლომდე ჩაწვდომა კი, მოგეხსენებათ, მხოლოდ და მხოლოდ მშობლების ხვედრი გახლავთ! ახლა, რაც შეეხება აღზრდას! აბა, მითხარით, რა არის გასაკვირი იმაში, რომ ცუდად ვარ აღზრდილი? პატიოსან ბიძაჩემს ხომ თითი-თითზე არ დაუკარებია ჩემი გულისათვის და მთლიანად მასწავლებლების ამარა დამაგდო?! სკოლაში სიარულის ნება არ დამრთო, სასტიკად ამიკრძალა ტოლ-ამხანაგებში თამაში; ბერბიჭა ბიძაჩემს ეშინოდა, რომ ამით დავარღვევდი მისი ეული სახლის სიმყუდროვეს, სადაც თავის გამოთავყვანებულ, ბებერ მსახურთან ერთად ცხოვრობდა.

სამად-სამი შემთხვევა მახსენდება, როცა გამოლენჩებამდე უღარდელმა და გულარხეინმა ბიძაჩემმა ჭკუის დარიგების ხანმოკლე გაკვეთილი ჩამიტარა, — ესე იგი, გვარიანი სილა მითავაზა; ასე რომ, მთელი ყრმობის მანძილზე, საერთო ჯამში, მხოლოდ სამი ალიყური ვიგემე. როგორც ხედავთ, დღეს ლაქლაქის ხასიათზე ვარ, ამიტომ, რა თქმა უნდა, შემეძლო ჩემი ბავშვობის დროინდელი ის სამი სილა სამყურას მშვენიერი ფურცლებისათვის შემედარებინა, მაგრამ, რაკილა კარგად მომეხსენება შენი ცნობისმოყვარეობის ამბავი და ვიცი, ძალიან გაინტერესებს ჩემს მუსიკალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ყველა წვრილმანი, ამიტომ, მოდი, იმ სამყურაში განსაკუთრებით შუა ფურცელს გამოუყოფ მხოლოდ და მოგიყვები, პირველად ჩემს სიცოცხლეში როგორ დავწერე მუსიკა.

<sup>1</sup> ავგუსტ ვილჰელმ იფლანდი (1759-1814) — გერმანელი მწერალი, დრამატურგი, თეატრის დირექტორი დიუსელდორფში, ავტორი გერმანულ ბიურგერთა ოჯახური ცხოვრების ამსახველი პიესებისა.

ბიძაჩემს საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა. იმის ნებას კი მაძლევდა, თუნდაც მთელი დღეები წიგნები მექექა და რასაც მოვისურვებდი, ის წამეკითხა. ერთხელაც ხელში ჩამოვარდა რუსოს „აღსარება“ გერმანულ ენაზე. მეც ხარბად გადავიკითხე ეს წიგნი, თუმცა, მოგეხსენებათ, იგი თორმეტი წლის ბიჭისთვის სრულიადაც არ არის განკუთვნილი, და ადვილად შეუძლია მიაძიტი ბავშვის სულში ათასგვარი ბოროტების მარცვალი ჩაყაროს. იქ აღწერილი საკმაოდ ბევრი ჩახლართული თავგადასავლიდან მხოლოდ ერთმა მოახდინა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება და სხვა ყველაფერი დამავიწყა. აი, რა შეეიტყვე გაოცებულმა: თურმე პატარა რუსოს<sup>1</sup> იმ დროისათვის ჯერ კიდევ წარმოდგენა არა ჰქონია ჰარმონიასა და კონტრაპუნქტზე. ჰოდა, მას, ყოველგვარი დამხმარე სახელმძღვანელოს გარეშე, მხოლოდ და მხოლოდ თანდაყოლილი მუსიკალური შთაგონების კარნახით ოპერის დაწერა განუზრახავს. ბიჭუნას ფარდები ჩამოუშვია და პირქვე დაცემულა საწოლზე, რომ მთელი თავისი არსებით მისცემოდა ღვთაებრივ თავდავიწყებას. და მართლაც, მის სულში სულ მალე წარმტაცი სიზმაროვით გაიხშიანა საკუთარი ქმნილების ჰანგებმა. ამის გამგონეს სხეულში თითქოს დენმა დამიარაო. ის დღე იყო და ის, ამიერიდან მოსვენებას აღარ მაძლევდა იმ წუთზე ფიქრი, როდესაც, ჩემი აზრით, პატარა რუსოს ზეციური შთაგონება დაეუფლა! ხანდახან ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მეც მომეცხო იმ ნეტარი შთაგონების მადლი და ასე მეგონა, თუ ძალიან მოვინდომებ, მეც შევძლებ ფრთები გამოვისხა და იმ ნეტარ ქვეყანაში გაუფრინდე-მეთქი; ერთი სიტყვით, აშკარა იყო, მეც დამიპყრო მუსიკის ძლევამოსილმა სულმა და ისლა დამრჩენოდა, ყველაფერში ჩემი კერპისათვის მიმებადა!

და, აი, შემოდგომის ერთ წვიმიან საღამოს ბიძაჩემმა შინ ჯდომის მტკიცე ჩვეულებას უღალატა და სადღაც წავიდა. აღარ დამიყოვნებია, სასწრაფოდ ჩამოვუშვი ფარდები, ბიძაჩემის საწოლზე დავემხე და გულის ფანცქალით დაუწყე ლოდინი, როდის მეწვეოდა ნანინანატრი შთაგონება და რუსოს მსგავსად მეც დამიდგებოდა ოპერის ჩასახვის დიდებული წამი. რა არ ვცადე, რა არ ვილონე, როგორ არ ვუხმე პოეტურ აღმაფრენას! ამაოდ! არა და არ ინე-

<sup>1</sup> „პატარა რუსოს... ოპერის დაწერა განუზრახავს“ — ჟან-ჟაკ რუსო (1712-1778) მოგვითხრობს ამაზე თავისი „აღსარების“ (1767) მე-7 წიგნში.



ბა ჩემი გაბედნიერება! ჯადოსნური ჰანგების ნაცვლად, ასეთი სასოებით რომ ველოდი, ყურში გულის გამაწვრილებლად ჩამესმოდა ძველი სიმღერა: „მე მხოლოდ ისმენას ვეტრფოდი, ის კი — მე“. როგორ არ ვეცადე, მაგრამ ვერაფრით მოვიცილე თავიდან აკვიატებული სიტყვები. „ახლა ქერუბინების გუნდი დაიწყება „ოლიმპის მწვერვალებიდან“-მეთქი“, — ვამბობდი გულში, ყურებში კი კვლავ და კვლავ მომაბეზრებლად ჩაშუზუნებდა ის აჩემებული სიმღერა: „მე მხოლოდ ისმენას ვეტრფოდი, ის კი — მე“. ასე გაგრძელდა კარგა ხანს, ვიდრე იმ დაჟინებული, გაბმული ხმის დუდუნისგან თვალზე რული არ მომეკიდა. მოულოდნელად ვიღაცის ყვირილმა გამომაღვიძა, თან ცხვირში ისეთი აუტანელი სუნი მეცა, კინაღამ სული შემეხუთა! მთელი ოთახი ბოლით გაკსებულყო; მის სქელ ბოლქვებში გახვეული ბიძაჩემი ფეხების ბაკუნით აქრობდა ტანსაცმლის კარადიდან ჩამოგლეჯილ ფარდას, აღმოდებული რომ ბრიალებდა შუა ოთახში, და ცოვი ხმით გაჰკიოდა, „წყალი, წყალიო!“ მის ყვირილზე, როგორც იქნა, ბებერი მსახური გამოჩნდა; მან ბლომად წყალი მოიტანა, იატაკზე დაასხა და ხანძარი ჩააქრო. ბოლი ზღაზვნით გადიოდა ფანჯარაში.

„იმ უპატრონოს რა მიწის მგელი გამოუვარდა?“ — ამბობდა ბიძაჩემი და ოთახის ყველა კუთხე-კუნჭულს სანთლით ანათებდა.

რა თქმა უნდა, მშვენივრად მივხვდი, ვისაც გულისხმობდა და საწოლში თავკოვით გავილურსე. მაგრამ ბიძიამ სულ ძალე აღმოაჩინა ჩემი ადგილსამყოფელი და განრისხებულმა დაიყვირა: „აბა, ერთი გადმობრძანდი მანდედანო!“ თვალის დახამხამების უძალე ფეხზე წამოვხტი, ბიძაჩემი კი ლანძღვა-გინებით იქაურობას იკლებდა და გაათურებით მიმეორებდა: „არამზადავ, სახლი გადამიბუგე, ხომ?“ შემდგომი დაკითხვების დროს ბიძიას მშვიდად და აუღელვებლად მოვახსენე: რუსოს თავის „აღსარებაში“ აღწერილი აქვს, ბავშვობაში როგორ დაუწერია თავისი პირველი ოპერა. ჰოდა, მეც მისი მაგალითისამებრ გადავწყვიტე, საწოლში ჩავწოლილიყავ და *opera seria*<sup>1</sup> დამეწერა; ასე რომ, წარმოდგენაც კი არა მაქვს, რისგან შეიძლებოდა ხანძარი გაჩენილიყო-მეთქი.

<sup>1</sup> იტალიური ოპერის ჟანრი (იტალ. *opera seria* — სერიოზული ოპერა), რომელიც XVII საუკუნის მიწურულის ნეაპოლური საოპერო სკოლის კომპოზიტორების შემოქმედებაში წარმოიშვა.

„რა რუსო, რის რუსო? რაო, ოპერა დაუწერიაო? Opera seria-ს დაწერას ვაპირებო? ოხ, შე რუგვენო, შენა!“ — მიყვიროდა განრისხებული ბიძაჩემი, თან სიბრაზისგან ენა ებმოდა. მერე ის იყო, ისეთი სილა გამაწნა, შეძრწუნებული იქვე გაუქვავდი. ეს მეორე სილა გახლდათ ჩემს ცხოვრებაში. იმავე წუთს იმ გარტყმის ექოსაგვით სრულიად გარკვევით ჩამესმა ყურებში: „მე მხოლოდ ისმენას ვეტრფოდი...“ ამ ამბის მერე ეს სიმღერა ჭირის დღესაგვით შემძულდა და მუსიკის დაწერის ყოველგვარი სურვილი დამეკარგა.

— კი, მაგრამ, მაინც რისგან გაჩნდა ხანძარი? — იკითხა საიდუმლო მრჩეველმა.

— დღემდე ვერ გამიგია, ფარდას როგორ წაეკიდა ცეცხლი, — მიუგო კრაისლერმა, — ფარდასთან ერთად ხანძარმა შთანთქა ბიძაჩემის მშვენიერი ხალათი და სამი თუ ოთხი ოსტატურად დახვეული, თავზე ჩამოსადები პარიკი, რითაც ბიძია თავის ბრწყინვალე ვარცხნილობას აკვირგვინებდა ხოლმე. მაგრამ მე რატომღაც ყოველთვის მეგონა, რომ ის სილა ხანძრის გაჩენისთვის კი არ მითავაზეს, არამედ იმიტომ, რომ ოპერის დაწერა მოუინდომე...

აღბათ, გაიკვირვებთ, მაგრამ ბიძაჩემი მოითხოვდა, მუსიკაში ბეჯითად შემეცადინა, თუმცა, მასწავლებლის აზრით, საერთოდ მოკლებული ვიყავი მუსიკალურ ნიჭს. ეტყობა, მასწავლებელიც იმან შეაცდინა, რომ მე, როგორც ზევით მოგახსენეთ, მოულოდნელად საშინელი ზიზლი ვიგრძენ მუსიკისადმი. სხვა დანარჩენი კი ბიძაჩემისთვის საკლებით სულერთი იყო; რას ვისწავლიდი ან რას არ ვისწავლიდი, ნაკლებად აინტერესებდა და ძალიან იშვიათად გამოთქვამდა გულისწყრომას იმის გამო, რომ მუსიკაში ასე მოვიკოჭლებდი. გავიდა დრო, ჩემი მუსიკალური ნიჭი განვითარდა და გაიფურჩქნა და სხვა ყველაფერი დაჩრდილა ჩემში; ბუნებრივია, ვიფიქრე, ბიძაჩემი ამ ამბავმა ძალზე უნდა გაახაროს-მეთქი! მაგრამ ნურას უკაცრაჟად! იგი მხოლოდ ოდნავ ჩაიციინებდა, როცა ხედავდა, რომ მისი დისწული რამდენიმე საკრავზე ბრწყინვალედ უკრავდა და მასწავლებლებისა და მუსიკის თაყვანისმცემლებისდა სასიხარულოდ პატარა პიესებსაც კი თხზავდა. დიახ, მხოლოდ ოდნავ ჩაიციინებდა, როცა მისი თანდასწრებით ქება-დიდებას მასხამდნენ და ეშმაკური სახით იტყოდა ხოლმე: „ჰმ, ჩემი პაჩია დისწული კარგა გვარიანად აფრუნსო!“



— ჩემთვის მაინც გამოცანად რჩება, — წამოიწყო საიდუმლო მრჩეველმა, — რატომ უნდა დაეხუჭა ბიძაშენს თვალი შენს ნიჭზე და აეძულეებინე, ცხოვრებაში სხვა გზით წასულიყავი; რამდენადაც ვიცი, შენი კაპელმაისტერობა არცთუ დიდი ხნის ამბავი უნდა იყოს.

— დიახ, დიდი ხნის ამბავი არ გახლავთ, მაგრამ დიდი დღეც აღარ უწერია, — სიცილით თქვა მანქანის მძღველი და კედელზე ქაღალდისგან გამოჭრილი უცნაური კაცუნას ჩრდილი შეათამაშა, — ახლა კი, — განაგრძო მან, — ჩვენს ძვირფას ბიძიას უნდა გამოვექომაგო, თავისი უსინდისო დისწული მეტსახელად „ვაიბიდიკოს“ რომ ეძახდა. ახლავე მოგახსენებთ, რატომაც. იმ საცოდავს ჩვეულებად ჰქონდა, ხელს ინიციალებით აწერდა. ვოლფრამ ბენცელის ნაცვლად უბრალოდ ორ ასოს: ვ. ბ.-ს წერდა. ჰოდა, მეტსახელი „ვაიბიდიკოს“ სწორედ აქედან წარმოდგა. ჰო, მაშ, ასე, ახლა მინდა ჩვენს ბიძიას გამოვექომაგო და ყველას გასაგონად ვთქვა: თუკი კაპელმაისტერ იოჰანეს კრაისლერს უეცრად თავში მოუფრინდა, საელჩოს მრჩეველი გამხდარიყო და ისეთი საქმისთვის მოეკიდა ხელი, რაც საკლებით არ შეეფერებოდა მის ბუნებას, ამაში ყველაზე ნაკლებად „ვაიბიდიკოს“ მიუძღვის ბრალი.

— ახლავე გაჩუმდი, — გააწყვეტინა კრაისლერმა, — ახლავე გაჩუმდი და მოაშორე კედელს ბიძაჩემი. შესაძლოა, იგი მართლაც იყო დაცინვის ღირსი, მაგრამ ახლა, როცა მოხუცი უკვე კარგა ხანია სამარეში განისვენებს, არაუითარი სურვილი არა მაქვს მისი მასხრად აგდებისა.

— დღეს საოცარ გულჩვილობას გატყობ! — მიუგო მანქანის მძღველმა, მაგრამ კრაისლერს მისი სიტყვებისათვის ყურადღება აღარ მიუქცევია და საიდუმლო მრჩეველს მიუბრუნდა:

— მგონი, უკვე ნანობ კიდევ, ამდენი რომ მალაქლაქე, ალბათ, გგონა, რაიმე არაჩვეულებრივს გავიგონებო, მე კი, ხომ ხედავ, სრულიად ჩვეულებრივ ამბებს მოგიყვები: ასეთ ამბებს ცხოვრებაში ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეიძლება შეხვდეს კაცი. მინდა იცოდეთ: არც გამწვანების სიმკაცრეს და არც ბედის ჭირვეულობას არ აურევია ჩემთვის გზა-კვალი. უბრალოდ, მოვლენათა ბუნებრივმა დინებამ ამომავდო კალაპოტიდან და იქ ამომაყოფინა თავი, სადაც ყველაზე ნაკლებად ვესწრაფოდი ყოფნას.

აღბათ, შემჩნეული გექნება: ყველა ოჯახს ჰყავს თავისი კერპი. ჰოდა, ამ ადამიანს, რაც შეიძლება განადიდებენ და ქებით ზეცაში აჰყავთ ვერ მოგახსენებ, რა არის ამის მიზეზი: ის, რომ ეს ადამიანი მართლა განსაკუთრებული ნიჭის პატრონია, თუ უბრალოდ ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული. გმირივით კვარცხლბეკზე შემდგარი, იგი მედიდურად დასცქერის თავზე მოყვასთ და მბრძანებლური კილოთი წარმოთქვამს გაცვეთილ ჭეშმარიტებებს. ისინი კი სასოებით შესცქერიან თავიანთ სალოცავ ხატს. მსგავსი ბედი ეწია ბიძაჩემის უმცროს ძმასაც!<sup>1</sup> იგი თავისი მუსიკალური საგვარეულოს ბუდიდან ამოფრინდა, სასახლის კარზე საელჩოს საიდუმლო მრჩევლის ჩინს მიაღწია და რეზიდენციაში დიდი კაცი გახდა. მისმა აღზევებამ მთელი ჩვენი საგვარეულო უჩვეულოდ გააცვიფრა და უდიდესი მოწიწება ამ საოცარი კაცის მიმართ დიდი ხნის შემდეგაც აღარ განელებია. უმცროს ბიძას სრულიად სერიოზულად და საზეიმოდ „საელჩოს მრჩევლად“ იხსენიებდნენ ყოველთვის, ხოლო, როცა იტყოდნენ, „საიდუმლო მრჩეველმა ესა და ეს დაწერა“ ან არა და, „საიდუმლო მრჩეველმა ესა და ეს ბრძანაო“, ყველანი მონუსხულებით უსმენდნენ. რა თქმა უნდა, ბავშვობიდანვე ძვალსა და რბილში მქონდა გამჯდარი, რომ ჩემმა ქალაქელმა ბიძამ ადამიანთა მიზან-მისწრაფებების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია და მისი მიბაძვის მეტი ცხოვრებაში აღარაფერი დამრჩენია-მეთქი. სახელგანთქმული ბიძის სურათი სასტუმრო ოთახში გვეკიდა. ამქვეყნად ერთი ოცნება მქონდა მხოლოდ: ვნატრობდი, ნეტავ მასავით ვიყო ჩაცმული და თმადახვეული-მეთქი. მალე ეს სურვილი ჩემმა მეურვემ შემიხრულა. წარმოდგენილი მაქვს, აღბათ, რა სასაცილო სანახავი ვიქნებოდი, ათი წლის ბიჭუნა ოქრომკედით ნაქარგ მწვანე ქურთუკსა და აბრეშუმის წინდებში გამოწყობილი, სასაცილოდ აპრეზილი, დახვეული ქოჩრით და ქამარში გარჭობილი პატარა დაშნით. ჩემი ეს ბავშვური ოცნება კი წლითიწლობით სულ უფრო ღრმად იდგამდა ფესვებს. ხანდახან რომელიმე მოსაწყენი საგნის სწავლა რომ დამეზარებოდა, მეტყოდნენ თუ არა, უსწავლელად ბიძაშენივით საელჩოს მრჩეველი ვერასოდეს გახდებო, მაშინვე ჩავუჯდებოდი ხოლმე წიგნს. აბა, მაშინ რა ვიცო-

<sup>1</sup> „ბიძაჩემის უმცროს ძმასაც“ — ჰოფმანის ნათესავი იოჰან ლუდვიგ დიორფერი (1743-1803), 1798 წლიდან მსახურობდა ბერლინში საელჩოს საიდუმლო მრჩევლად.



დი, რომ მთელი ჩემი ცხოვრების არსი და ერთადერთი ჭეშმარიტი მოწოდება ხელოვნება გახდებოდა, თუმცა, იმის გაგება კი მქონდა, რომ მხოლოდ მისი წყალობით შევიგრძნობდი ხოლმე ენით გამოუთქმელ სიხარულსა თუ აღტაცებას; მით უმეტეს, რომ ხშირად ვყოფილვარ ასეთი საუბრის მოწმე: მუსიკა, ფერწერა და პოეზია შესანიშნავი რამ არის, მაგრამ მისი ერთადერთი მიზანია, მხოლოდ სმენა დაუტკბოს კაცს, გაართოს იგიო. ასე და ამრიგად, საკუთარი ნება-სურვილით დაფადექი ჩემი ცხოვრების იმ მრუდე გზას. კარგი განათლებისა და ბიძაჩემის ხელშეწყობის წყალობით ჩემი ცხოვრება ისე დავიწყე, ერთხელაც არ წავწყდომივარ სიძნელეს. ყველაფერი თავბრუდამხვევი სისწრაფით ხდებოდა და იმის დროც კი არ მქონდა, უკან მომეხედა და დამენახა, როგორ გამძრუდებოდა ცხოვრება. მერე ის იყო, მიზანს მივალწიე და უკან დასახვევი ყველა გზა მომეჭრა! მაგრამ აი, დადგა წუთი, როცა ჩემგან მოძულეებულმა ხელოვნებამ შური იძია მოლაღატეზე; სწორედ მაშინ ვიგრძენი, რომ საკუთარ თავს მძიმე ბორკილები დაუადე, მათი დამსხვრევა კი აღარ ძალმიძდა, და სასოწარკვეთილმა ესლა ვთქვი: დაღუპულია ჩემი ცხოვრება-მეთქი.

— დაე, კურთხეულ იყოს ის ძღვეამოსილი წამი, წყეული ბორკილები რომ აგყარა! — წამოიძახა საიდუმლო მრჩეველმა.

— ეჰ, მაგას ნუ იტყვი, ჩემო კარგო, — მიუგო კრაისლერმა, — ხსნას კი ველირსე, მაგრამ უკვე ძალიან გვიან იყო. მეც იგივე დამემართა, რაც ტუსაღს: აი, მან ბოლოს და ბოლოს, დააღწია თავი საძულველი ციხის კედლებს, მაგრამ ვაი, რომ თურმე უკვე გადასჩვეოდა ყოველდღიური ცხოვრების ალიაქოთს, ვაი, რომ თვალებსა სჭრიდა შხის შუქი და ვეღარ ტკბებოდა ნანიანატრი თავისუფლებით და აი, ტუსაღმა კვლავ საჰერობილის კედელზე დაიწყო ოცნება!

— ოჰ, დიდი ხანია აღარ მოგსვლია თავში უცნაური აზრები! — ჩაერია საუბარში მანესტრო აბრაჰამი, — ეგ ყველაფერი ისევ და ისევ შენი მოგონილი გახლავს! გამიგონე, სულ ტყუილუბრალოდ ტანჯავ სხვებსაც და საკუთარ თავსაც! კმარა, კმარა, გეყოფა! მხოლოდ და მხოლოდ თვითონა ხარ დამნაშავე იმაში, რომ არ გნებავდა ფართო, გაკაფული გზით სიარული და ხან ერთ საცალფეხო ბილიკს შეუყვებოდნი, ხან მეორეს. მაგრამ მაინც უნდა ვაღიარო, რომ შენი ბედის ვარსკვლავი განსაკუთრებით სიჭაბუკის ხანაში აკაშკაშდა...

## ნაწილი მეორე

ჭაბუკი ცხოვრებისეულ გამოცდილებას იძენს.  
მეც ვყოფილვარ არკადიაში<sup>1</sup>

/მ. ა. ა./ ...მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა საოცარი, და ამავე დროს სასაცილო იქნება, პროფესორი რომ მართალი გამოდგეს და ღუმელთან მოკალათებულმა ამ ვაჟბატონმა მართლა გამოავლინოს ასეთი საოცარი ნიჭი! — ასე ესაუბრებოდა ერთხელ თავის თავს ჩემი პატრონი, — ჰმ, ჰმ, ეს რომ ასე იყოს, ჩემი პატარა კატუნია უჩინარ გოგონაზე ბევრად მომგებიანი იქნებოდა. აუდგებოდი და ამ ვაჟბატონს გალიაში ჩაუძწყვდევდი; ის თავის ხელოვნებას ხალხს აჩვენებდა. აბა, ვინ დაინანებდა ფულს, ოღონდაც კი ასეთი საოცრება ეხილა! რად უნდა ლაპარაკი, რომ ნასწავლი კატა გაცილებით მეტად ფასობს, ვიდრე ერთი ვინმე უძწიფარა მეცნიერი, გაზუთხული სისულელეებით რომ აქვს თავი გამოტენილი. და თუ ყველა სიკეთესთან ერთად ჩემს კატას წერა-კითხვაც შეუძლია, მაშინ მაგის ფასი არაფრის მქოლავს ამქვეყნად! დიახ, დიახ, ამ პატარა ვაჟბატონს თვალი არ უნდა მოაშოროს კაცმა!

ამ ვერაგული სიტყვების გაგონებაზე ჩემი ძვირფასი დედიკოს — მინას რჩევა-დარიგება გამახსენდა. პატრონისთვის არაფრით შემიმჩნევინებია, რომ გავიგე მისი სიტყვები, გულში კი მტკიცედ გადავწყვიტე, ყველა ღონე მეხმარა და ჩემი სწავლა-განათლება არ გამოემეღაუნებინა. იმ დღიდან მხოლოდ ღამღამობით ვწერდი და ვკითხულობდი. მადლობა ღმერთს, ორფეხა თანამოძმეებთან შედარებით ჩემს მოდგმას ერთი დიდი უპირატესობა მაინც აქვს, თუმცა, ცნობილია, რომ ადამიანი თავის თავს ბუნების გვირგვინს უწოდებს. პოდა, იმ დღეებში მეც მხურვალე მადლობას ვწირავდი მამაზეციერს იმ ღვთიური მადლისათვის.

<sup>1</sup> „მეც ვყოფილვარ არკადიაში“ — დასაწყისი შილერის ლექსისა „განდგომა“ („Resignation“, 1784).



თამამად შეიძლება ითქვას, რომ ღამის მეცადინეობების დროს არც სანთელი მჭირდებოდა და არც ლამპა, რადგან ჩემი თვალების ფოსფორული ნათება საშუალებას მაძლევდა, თვით ყველაზე უკუნეთ ღამეშიც კი შესანიშნავად გამერჩია ყველაფერი. ამიტომაც ვერაფერს ვაბედავს მისაყვედუროს, თითქოს ჩემს ქმნილებებს ჭკარტლის სუნი ასდიოდეთ, როგორც ეს ერთ-ერთ ანტიკურ მწერალს დასწამეს. არა და არა, ჩემი შემოქმედება ნამდვილად არ იმსახურებს ამას! და თუმცა, დიდად მადლიერი ვარ დედაბუნებისა, ასეთი სიკეთით რომ დამაჯილდოვა, მაინც იძულებული ვარ, ვაღიარო: ამ ცოდვილ მიწაზე არაფერია სრულყოფილი და ჩვენ ყველანი საკუთარი თავისადმი მონური მორჩილებითა ვართ დათრგუნვილი. უკვე აღარაფერს ვამბობ იმ ბუნებრივ ხორციელ მოთხოვნილებებზე, ექიმები რატომღაც არაბუნებრივს რომ უწოდებენ, თუმცა, პირადად მე მათში არაბუნებრივს ვერაფერს ვხედავ. მხოლოდ ის მინდა შევნიშნო, რომ საკუთარი თავისადმი მონური მორჩილება ჩვენს ფსიქიკაზე საგრძნობლად მოქმედებს. განა საყოველთაოდ ცნობილი არ არის, თუ რა გვიშლის ხელს, რომ ლაღად ვინაგარდოთ ცაში? ეს გახლავთ ჩვენსავე ტანში ჩასხმული ტყვიისებური სიმძიმე და ვერაფრით გაგვიგია, საიდან, როგორ ან რა მანქანებით გაჩნდა იგი ჩვენში.

მაგრამ უფრო სამართლიანი იქნება, თუ ვიტყვოდი: ყოველგვარი ბოროტების ბუდე ცუდი მაგალითია მხოლოდ. კატათა მოდგმის სისუსტეც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ღმერთს ცუდი მაგალითის მიბაძვის უნარი მოუცია ჩვენთვის მოჭარბებულად, დაბოლოს, იმასაც ვიტყვი, რომ სწორედ ადამიანთა მოდგმა წარმოადგენს იმ ცუდი მაგალითების დაუშრეტელ წყაროს.

აბა, მიჯნურო კატავ, ერთი ამ სტრიქონების კითხვის დროს გაიხსენე: ცხოვრებაში არასოდეს შეუპყრიხარ რაღაც უჩვეულო, გაურკვეველ გრძნობას, რისთვისაც თანამოძმევებს მწარე საყვედურებიც უთქვამთ შენთვის და კარგა მაგრადაც დაუკბენიხარ? აი, რაში ვლინდებოდა ხოლმე შენი უზნეობა: სიზარმაცე გეუფლებოდა, ცხვირს ყოფდი ყველგან, რაც შენი საქმე არ იყო, ყველას თავს აბეზრებდი, ჯიუტი, ბლენძია და ღორმუცელა ხდებოდი, ერთი სიტყვით, ძალიან ძნელი გასაძლები იყავი. დამშვიდდი, ჩემო ძვირფასო! ალბათ, გგონია, შენი ცხოვრების ეს ავბედითი ხანა იმიტომ იყო ფათურაკებით სავსე, რომ თავად არ ვარგოდი: არა! შენ მხოლოდ ხარკს

უზღაუდი იმ ცუდი მაგალითის გავლენას, ადამიანმა „გარდამავალი ასაკი“ რომ უწოდა! ო, ძვირფასო მეგობარო, დამშვიდდი, რამეთუ ჩემი ცხოვრების გზაც არ ყოფილა ია-ვარდით მოფენილი!

აბა, წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა! ღამით მეცადინეობას ჩაუუჯდებოდი თუ არა, უმაღლ ყველაფრისადმი საშინელი ზიზღის გრძნობა მეუფლებოდა. ასეთ ხასიათზე, ჩვეულებრივ, მაშინ ვდგებოდი, როცა რამე ძნელად მოსანელებელს მოვირთმევდი. ძილისთვის თავი ვეღარ წამერთმია, და ხან წიგნის კითხვისას ჩამომეყვინებოდა, ხან კი ხელნაწერებზე მუშაობისას. ჩემი უგუნებობა დღითი დღე თვალში საცემი ხდებოდა და ბოლოს და ბოლოს საქმე იქამდე მოვიდა, წერა-კითხვაზეც ხელი ავიღე, ცეკვა-თამაშსაც შევეშვი, აღარც მეგობრებისკენ მიმიწევდა გული და სხვენზე და სარდაფშიც იშვიათადლა თუ გამოვჩნდებოდი. სამაგიეროდ, დღენიადაგ იმის ფიქრში ვიყავ, რა ჩამედინა ისეთი, რომ ჩემი პატრონისა და მისი მეგობრებისათვის უსიამოვნება მიმეყენებინა, რომ გული სტკენოდათ პატრონი კარგა ხანს მოთმინებით იტანდა ჩემს თავხედობას და მხოლოდ მაშინ გამომაბრძანებდა ოთახიდან, როცა უადგილო ადგილას მოვიკალათებდი ხოლმე; მაგრამ ბოლოს მასაც აევსო მოთმინების ფიალა და იძულებული გახდა, გავეწკაპლე. ხანდახან საწერ მაგიდაზე შევსკუპდებოდი და წინ და უკან ბოლოთის ცემას ვიწყებდი. ერთხელაც, წიგნებსა და ხელნაწერებზე შემომჯდარმა, იმდენი ვაქნიე კუდი, სანამ წვერი უზარმაზარ სამელნეში არ ამოვუსვი. ამით ვისარგებლე, ძირს გადმოვხტი და იატაკსა და ტახტზე ფერწერული შედეკრების შექმნა დავიწყე. ჩემი პატრონი, როგორც ეტყობა, ხელოვნების ამ სახეობაში ჩახედული არ გახლდათ და საშინლად გამიბრაზდა. სასწრაფოდ ეზოში გავიძურწე, მაგრამ თურმე არც იქ მელოდა კარგი დღე! ერთ ახოვან, მედიდურ კატას კარგა ხანია თვალში არ მოსდიოდა ჩემი საქციელი. და, აი, ახლა, რა იხილა ჩემმა თვალებმა: ამ კატას კაი გემრიელი ლუკმა დაუთრევია და შეჭმას უპირებს. არც ვაციე, არც ვაცხელე და პირდაპირ თათებში წავეტანე, მინდოდა ცხვირწინ ამეცინცლა ნუგბარი ნაჭერი, მაგრამ ამოდ. ნახტომი მოუხერხებელი გამომივიდა და ჩემი თავდასხმაც უშედეგოდ დამთავრდა. სამაგიეროდ, გოროზმა მეტოქემ ისე ლაზათიანად მიმბეჭვა, ყურებიდან სისხლი თქრიალით წამსკდა და გონებაც დავკარგე. თუ არ ვცდები, ეს ვაჟბატონი ბიძად მეკუთვნოდა,



რადგან პირისახით ძალზე ჩამოჰკავდა მინას, ხოლო მათი ულვა-  
შების ნათესაური წარმოშობა ხომ აშკარა იყო. ერთი სიტყვით, უნ-  
და ვაღიარო, რომ იმ დროისთვის საშინლად უზნეო ყმაწვილი გახ-  
ლდით. ჩემი პატრონი დროდადრო მომიბრუნდებოდა და მეტყვოდა  
ხოლმე: „მურ, არ ვიცი პირდაპირ, რა არის შენს თავს! მაინც მგო-  
ნია, რომ გარდამავალი ასაკის ბრალი უნდა იყოს ეს ყველაფერიო!“  
დიახ, ჩემი პატრონი მართალი გამოდგა. მეც ვერ ავცდი ადამიანთა  
მოდგმის ცუდი მაგალითის გაუგენას და ის ავბედითი გარდამავალი  
ასაკი, ანუ ანცობის ხანა დამეწყო. სწორედ ჩვენი ორფეხა თანამოდ-  
მეების გამოგონილი გახლავთ ეს საშინელი ცნება. ისინი ხომ თა-  
ვიანთ მოდგმაზე ძალიან დიდი წარმოდგენისა ბრძანდებიან და ხან  
რას მიაწერენ მას, ხან კი რას!

თავის ცხოვრებაში ამ ძნელბედობის ხანას ადამიანმა „ანცობის  
წლები“ უწოდა რატომღაც, თუმიცა, ძალიან ბევრი მათგანი მთელი  
სიცოცხლე ვერა და ვერ დააღწევს ხოლმე მას თავს. ჩვენ, რა თქმა  
უნდა, ამ ასაკს კვირებით ვსაზღვრავთ და არა წლებით და მეც ერთი  
ძლიერი დარტყმით დავალწიე თავი ამ უჩვეულო მდგომარეობას. მაგ-  
რამ აქვე უნდა მოგახსენოთ, ეს გათავისუფლება კინალამ თათისა და  
ორი თუ სამი ნეკნის ფასად დამიჯდა და სიმართლე თუ გინდათ იცო-  
დეთ, ანცობის იმ კვირებს ჩემი გაბედული საქციელით დავალწიე თავი.

ახლავე მოგიყვებით, როგორ მოვახერხე ეს:

ჩვენი სახლის ეზოში ოთხთვალაზე შემდგარი რაღაც მდიდრული  
მანქანა იდგა. როგორც მოგვიანებით შევითყვე, ეს ეგრეთ წოდებუ-  
ლი ინგლისური ეტლი გახლდათ თურმე. მოგეხსენებათ, ჩემი იმდ-  
როინდელი გუნება-განწყობილება. აღარ დამიყოვნებია და დიდის  
ვაი-ვაგლახით აფოფხდი ზედ. უმაღლ მომხიბლა რბილმა საჯდომ-  
მა, მაცდურად მიმოფანტულმა ფუმფულა ბალიშებმა და იმ დღიდან  
დიდ დროს ამ ბალიშებზე წამოკოტრიალეებული, ოცნებებსა და სიზ-  
მრებში ვატარებდი.

ერთ მშვენიერ დღესაც უდარდელად ჩამძინებოდა ეტლში. სწო-  
რედ მშვენიერ სიზმარს ვხედავდი: ვითომ შემწვარი კურდღლის  
ხორცსა და სხვა ათასნაირ ნუგბარ საჭმელს შევექცეოდი. მთელი  
ჩემი არსება ტკბილ ნეტარებას მოეცვა. ჰოდა, სწორედ ამ დროს სა-  
შინელმა დარტყმამ გამოძალვიდა, ამას ზედ ფლოქვების თქარათქუ-  
რი და გრიალი დაერთო. ალბათ, წარმოიდგენთ ჩემს შეძრწუნებას,

როდესაც მოხვდი, რომ ის უცნაური მანქანა საშინელი სისწრაფით მიქრის და ბალიშებზე მახურთავენს. ბოლოს და ბოლოს, ვიგრძენი, რომ შიშისაგან გონება მეკარგება, უკანასკნელი ძალ-ღონე მოვიკრიბე, ჰაერში კამარა შევკარ და მანქანიდან ვისკუპე. ჩემს ნახტომს ჯოჯოხეთური ხარხარი მოჰყვა და აშკარად ჩამესმა ყურში გაანჩხლებული ხმები: „კატაჟ... აცხა, აცხაო!“ შიშისაგან გაოგნებულს ახლა ქვების მეწყერი დამაცხრა თავზე. კარგა ხანს თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი, ვიდრე ბოლოს და ბოლოს რომელიღაც ეზოს ჭიშკარში არ შევვარდი და ქანცმილეული არ მივეგდე.

არც კი ვიცი, რამდენ ხანს ვიჯექი ასე გალურსული. მალე, იქვე ახლოს, ადამიანების ფეხის ხმა ჩამესმა, ზევით-ქვევით რომ დადიოდნენ. ყური მივუგდე, ალბათ, კიბის ქვეშ ვარ-მეთქი, გავიფიქრე, რადგან მსგავსი ხმები იქ ჯდომისას მესმოდა ხოლმე და მართლაც, არ შევმცდარვარ.

ცოტა ხნის მერე გარეთ გამოვედი. ო, ღმერთო დიდებულო! მყის თვალები ამიჭრელა უსასრულოდ გაწევილი, გრძელი ქუჩების დანახვამ. ტროტუარებზე ადამიანთა მოდგმის მთელი ლაშქარი მოლაშლაშებდა, გრუხუნით დაქროდნენ ეტლები, ძაღლების ყეფისაგან ყურთასმენა აღარ იყო. ბოლოს მთელი ქუჩა ხალხის ბრბომ ჩახურგა, ხელში ყველას მოელვარე შაშხანები ეჭირა. უცბად, ზუსტად ჩემ წინ, ვიღაცამ მთელი ძალით შემოჰკრა უზარმაზარ დოღს და ისეთი ბრაგაბრუგი აუტეხა, ელდანაკრავოვით ჰაერში შევხტი. აბა, წარმოიდგინეთ ეს ყველაფერი! ალბათ, მიხვდებით, რა შიში ვჭამე მაშინ! ახლა კი ცხადი გახდა: თურმე ცხოვრების იმ ბობოქარ მორევში მოვხვედრილვარ, აქამდე სხვენიდან რომ ვადევნებდი ცნობისმოყვარეობით თვალყურს! ასე და ამრიგად, გამოუცდელმა, მიამიტმა ჭაბუკმა სწორედ ამ ცხოვრების ორომტრიალში ამოვყავ თავი! ყურებაძურწული, უდიდესი სიფრთხილით დაუაბიჯებდი ქუჩებში. ბოლოს ჩემი ორი თანამემამულეც შემომხვდა. ნაბიჯი შევანელე, მინდოდა, გამოვლაპარაკებოდი, მაგრამ იმათ თავიანთი მოელვარე თვალები გადმოკარკლეს მხოლოდ და კუნტრუმ-კუნტრუმით გაუჩინარდნენ. „ჰეი, ჰეი, ქარაფშუტა ახალგაზრდობაჟ! რას ნიშნავს, რომ არ იცით, ვის გადაეყარეთ გზაზე! მთელს დედამიწაზე, ალბათ, რამდენი მოვიწყებულნი და დაუფასებელი გენიოსი დაეხეტება უგზო-უკვლოდ! რას იზამ, ასეთი ყოფილა ბრძენის ხვედრი ჩვეულებრივ მოკვდავთა შორის!“



ვიფიქრე, იქნებ ადამიანებმა მაინც გამოიჩინონ სიბრალული და თანაგრძნობა-მეთქი. სარდაფის კიბესთან ჩაუცუცქდი და, ჩემი ჭკუით, რამდენჯერმე ძალიან მხიარულად დავიკნაულე, მაგრამ ამაოდ, ყველა გვერდს მივლიდა და ზედაც არავის შემოუხედავს. უცბად ერთი ლამაზი, თმახუჭუჭა ბიჭუნა დავინახე. მეგობრულად შემომყურებდა, თითებს ატკაცუნებდა და თავისთან მიხმობდა: „ფისო... ფისუნიაო!“

„ჩემო სულიკო, შენ, შენ ერთმა იგრძენ ჩემი გულის ზვაშიადი!“ — გავიფიქრე გულში და ალერსიანი კრუტუნით ბიჭუნასაკენ გავწიე. მან ჯერ ზურგზე გადამისვა ხელი და მეც, გრძნობას აყოლილი, მთელი არსებით მივენდე ჩემს ახალგამომცხვარ მეგობარს. მაგრამ, აი, მოულოდნელად ისე მომიგრიხა კუდი, ტკივილისგან საზარლად დავიჩხავლე. ეტყობა, სწორედ ეს ჰგვრიდა სიამოვნებას პატარა მტარვალს, მან გადაიხარხარა, ხელში ჩამბლუჯა და იმ ჯოჯოხეთური ილეთის განმეორება დამიპირა. აი, აქ კი იფეთქა ჩემში შურისძიების გრძნობამ და ბრაზმორეულმა ისე ღრმად ჩავასვი ბრჭყალები ხელებსა და სახეში, რომ ბიჭმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შეჰკოვლა და ხელი მიშვა. მაგრამ იმავე წუთს ზურგს უკან მისი ყვირილი შემომესმა: „ტირას... კარტუშ... ქსა, ქსა, მიდი, მიდიო!“ ორი ძალღი საშინელი ყეფით დამედევნა ფეხდაფეხ. სირბილისგან ქანცი გამძვრა, ძაღლები კი მომდევდნენ და მომდევდნენ. ერთი სიტყვით, ხსნა არსაიდან ჩანდა. შიშისგან თვალეზაბნელებულმა ვისკუპე და რომელიღაც სახლის ფანჯარაში შევხტი. მინებმა ზრიალი დაიწყო, ფანჯრის რაფიდან ყვავილის ქოთნები გადმოცვივდა და ოთახში, იატაკზე მოადინა ლაწანი. ვიღაც ქალი, ხელსაქმეს რომ მისჯდომოდა, შიშისაგან ფეხზე წამოხტა და შეჰყვირა: „ოჰ, შე გაოხრებულო, შენაო!“ მერე ჯოხს დასტაცა ხელი და ჩემთვის თავში უნდა დაეცხო. მაგრამ, ეტყობა, ჩემმა რისხვით ანთებულმა თვალებმა, ჩასასობად მოშზადებულმა კლანჭებმა და სასოწარკვეთილმა კნაჟილმა თუ შეაჩერა. დასარტყმელად მოქნეული ჯოხი, როგორც ეს ერთ ცნობილ ტრაგედიაშია აღწერილი,<sup>1</sup> თითქოს ჰაერში გაიყინაო, ქა-

<sup>1</sup> „დასარტყმელად მოქნეული ჯოხი, როგორც ეს ერთ ცნობილ ტრაგედიაშია აღწერილი“ — აქაც და მერეც მურს მხედველობაში აქვს შემდეგი სტრიქონები შექსპირის ტრაგედიიდან „ჰამლეტი“ (მოქმედება II, სურათი 2): „აგერ ის ხმალი, რომლის დაკერას ლამობდა იგი/ მოხუცებულის პრიამისა ჭალარა თავსა./ თითქოს ჰაერში დაეკიდოთ თვითონ პიროსი უძრავადა დგას და ხატულის მტარვალის მსგავსად/ თითქოს მოესპოთ მისთვის ნებაც და ძლიერებაც“ (თარგმანი ი. მაჩაბლისა).

ლი კი ჩემ წინ იდგა, დარტყმა უნდოდა კიდევ, თან ვერც გაებედა, და ამ შინაგან ბრძოლას მისი ისედაც გოროზი სახე კიდევ უფრო გაგოროზებინა. სწორედ ამ დროს კარი გაიღო და ოთახში ვილაც კაცი შემოვიდა. მეც ვისარგებლე შემთხვევით, ფეხებში გავუძვარი და, როგორც იყო, სამშვიდობოს გამოვედი.

სავსებით ქანცმილულმა, ბოლოს და ბოლოს, ერთი მყუდრო ადგილი მოვნახე და ცოტა ხნით სული მოვითქვი. მაგრამ ახლადა ვიგრძენ, რომ კუჭმა ძალიან შემაწუხა და დასვედიანებულს ჩემი კეთილი მაესტრო აბრაჰამი გამახსენდა, ასე უნებურად რომ დამაშორა მუხთალმა ბედმა. „რა ვქნა, რა ვიღონო, როგორ მოვძებნო ჩემი პატრონი-მეთქი?“ — ვფიქრობდი გულდარდიანი და ნაღვლიანი ვიყურებოდი ირგვლივ. და, როცა დავრწმუნდი, შინ დასაბრუნებელ გზას ვეღარასოდეს ვიპოვიდი, თვალთაგან ცხარე ცრემლები წამსკდა.

მაგრამ, უეცრად, ჩემ თვალწინ იმედის სხივმა გაიკიაფა: ქუჩის კუთხეში პატარა დახლს ღიმილით მისჯდომოდა გოგო. დახლზე მაცდურად ეწყო ახალგამომცხვარი პური და მადისაღმძვრელი ძეხვი. ნელი ნაბიჯით მოუახლოვდა გოგონას. მან გამიღიმა. ძალიან მინდოდა, მისთვის ჩემი თაგზიანობა და კეთილგანწყობა დამენახებინა და წელში ლამაზად და ნარნარად გავიზნიქე. გოგო გულიანად ახარხარდა. „ძლივს არ შევხვდი კეთილ, გულისხმიერ ადამიანს? ო, ღმერთო ჩემო, რა ხსნაა ეს ჩემი დაკოდილი გულისათვის-მეთქი!“ — ვთქვი გულში და დახლიდან ძეხვის კარგა გვარიანი ნაჭური დავითრეი. როგორც ხედავთ, გოგონას კაცთმოყვარეობით დაიმედებულს, დიდი გული მომეცა. მაგრამ იმავე წუთს მან საშინლად დაიყვირა და თან იმხელა ხის მორი მდრუზა, ის რომ მომხვედროდა, ნამდვილად სულს გამაცხებინებდა და ერთი დარტყმით ყველაფერს გამოვეთხოვებოდი. უკანასკნელი ძალ-ღონე მოვიკრიბე, რომ როგორმე ხელიდან დავძრომოდი ამ გააფთრებულ მტარვალს. ბოლოს, როგორც იქნა, დავალწიე თავი, მყუდრო ადგილას მოვკალათდი და ძეხვი არხეინად შევსანსლე.

მცირეოდენი შენაყრების შემდეგ გუნება გამომიკეთდა. მერე კი, როცა მზესაც შევეფიცხე და ბეწვიც გავითბე, ვიფიქრე, „ვინც რა უნდა თქვას, ეს ცხოვრება მაინც საამური-მეთქი!“ მაგრამ აი, ცოვი ღამე ჩამოწვა. სადღა იყო ჩემი ფუმფულა ლოგინი, საკუთარ სახ-



ლში ასე რომ ვნებოვრობდი! მეორე დილით სიცოვისაგან აკანკალე-ბულს და შიშხილისგან გატანჯულს გამომეღვიძა. ისეთი უილაჯობა და სასოწარკვეთა დამეუფლა, კინალამ ხელი ჩავიქნიე ყველაფერზე. „ესეც შენ! — მოვრთე ხმამაღალი წუწუნი, — აი, თურმე როგორი ყოფილა სამყარო, ასეთი ცნობისმოყვარეობით რომ გადმოსცქერო-დი მშობლიური სხვენიდან და ასეთი გზნებით რომ მიისწრაფოდი! გეგონა, იქ, იმ ცხოვრების შუაგულში იპოვიდი ქველმოქმედებას, სიბრძნეს და დაქწაფებოდი ცოდნის წყაროს! ო, უსულგულო მტარ-ვალეო! თქვენი ძლიერება ცემა-ტყეპაშია, თქვენი სიბრძნე — და-ცინვაში, ხოლო მთელს თქვენს საქმიანობას რჩეულთა განუკითხავი დევნა შეადგენს მხოლოდ! განვედ, განვედ ჩემგან, პირმოთნეობისა და სიცრუის ბუდევ! კვლავ შემთხარე მშობლიურ ჭერქვეშ, საყვარელო სარდაფო! ჩემო ძვირფასო სხვენო! ჩემო თბილო ღუმელო!.. ო, ნეტარო სიმართოვევ, შენკენ ისწრაფვის ჩემი გული ასეთი გზნე-ბით!“

უცბად მთელი სიცხადით წარმოვიდგინე ჩემი უიმედო მდგომარეობა, საშინელმა სასოწარკვეთამ შემიპყრო. თვალები დავხუჭე და მწარედ ავქეითინდი.

„მურ, მურ, ძვირფასო მეგობარო, საიდან სადაო, მითხარ, აქ რო-გორ გაჩნდი და რა მოგსვლია?“ — ჩამესმა უცბად ყურში ნაცნობი ხმა. ჩემ წინ ჭაბუკი პონტო იდგა.

როგორც უნდა ვწყენინებინე პონტოს, ახლა მისი მოულოდნე-ლი გამოჩენა ნამდვილად ხსნა იყო ჩემთვის და ძალიან გამიხარდა კიდევ. მყის გადამავიწყდა, თუ მისი წყალობით რამე უსიამოვნება გადამხდენია თავს და თვალცრემლიანმა ჩემი ფათურაკებით სავსე თავგადასავალი ვუამბე. ავუწერე ჩემი უიმედო, გამოუვალი მდგო-მარეობა და თხრობა იმით დავასრულე, რომ შევჩივლე, მგელივით მშიერი ვარ-მეთქი.

იმედი მქონდა, ჩემს სიტყვებს თანაგრძნობით შეხვდებოდა, მაგ-რამ ჭაბუკმა პონტომ რატომღაც გადაიხარხარა.

— ჩემო მურ, რომ იცოდე, რა ჩერჩეტი ხარ! — მითხრა მან, — შე არიფო, ჯერ არის და ეტლში გამოჭიმულხარ, სადაც შენი ადგილი არამც და არამც არ არის, მერე ჩაგძინებია და შიშხისგან კინალამ სუ-ლი გაგძრობია, როცა ეტლი დაძრულა და სადღაც გაუქანებიხარ. რას ფიქრობდი, რომ ხტებოდი, ნუთუ არ იცოდი, რომ პირდაპირ

უცნობ სამყაროში მოადენდი ტყაპანს? შენ კი საკუთარი ეზოდან ცხვირი ერთხელაც არ გამოგიყვია! ა, ესე იგი, გაგიკვირდა, რომ იქ არაფერ გიცნობდა? შენი სულელური საქციელის გამო ყველგან რაღაც ფათურაკს უნდა გადაეყარო; ყველაფერთან ერთად მოუხერხებელიცა ხარ, საკუთარი სახლისკენაც კი ვერ გაგიგნია გზა! აი, ხომ ხედავ, ჩემო ძვირფასო! დღედაღამ ყურები მქონდა გამოჭედილი შენი მეცნიერული ლაყბობით, დღენიადაგ ბაქიბუქობდი, აი, ასეთი და ასეთი ნასწავლი და ჭკვიანი ვარო. ახლა კი, ხედავ, რა მოხდა? უმწეოდ შემომყურებ! შენი გენიალური ტვინი უძლური გამოდგა, გასწავლოს, თუ როგორ გაიძლო კუჭი და გაიგნო გზა პატრონთან! ყოველთვის ამპარტავნული მედიდურობით შემომყურებდი, მაგრამ იცოდე: ახლა მე რომ არ ამოგიდგე მხარში, საზარელი სიკვდილი გელის. ძეხორციელს აღარ გაახსენდება არც შენი ნიჭი, არც შენი ყოვლისმცოდნეობა. მართალია, ახლა ბევრ პოეტსა რაცხ შენს მეგობრად, მაგრამ იცოდე, იმედი არა გქონდეს, არც ერთი მათგანი არ იტყვის გულისტკივილით: „Hic jacet“,<sup>1</sup> როდესაც ფეხს დააბიჯებს იმ ადგილს, სადაც შიმშილით ამოგძვრა სული საკუთარი მოუსაზრებლობის წყალობით. ახლა მაინც ხომ ხედავ, რომ მეც არა ვარ არიფი და ცოტა რამ გამეგება მეცნიერებისა? ახლა მაინც დარწმუნდი, რომ ლათინური ციტატების მოყვანა საჭიროების შემთხვევაში სხვაზე ნაკლებად არ მქებრხება? მაგრამ, შენ მითხარ, მშიაო, საცოდავო მურ! ამიტომ, უპირველესად ეგ სურვილი უნდა შეგისრულო! აბა, ერთი, გამომყევი უკან!

ჭაბუკმა პონტომ მხიარულად, კუნტრუმ-კუნტრუმით გასწია წინ, მე კი ჩანჩალით გაყევი უკან. შიმშილისაგან დაუძლურებულს არ შეიძლებოდა პონტოს სიტყვებში გულის მომკვლელი სიმართლე არ დამენახა, მაგრამ რა საშინელი შიში ეჭამე, როცა...

/სამაკ. თაბ./ ...აღბათ, წარმოიდგენთ, როგორ გაუხარდებოდა ამ ჩანაწერების გამომცემელს, როდესაც პირველწყაროთი შეიტყობდა კრაისლერისა და ტანმორჩილი საიდუმლო მრჩევლის საინტერესო საუბრის შინაარსს. ძვირფასო მკითხველო, სწორედ ამან გააბედვინა მას, აღწერა რამდენიმე ბავშვობის დროინდელი სურათი

<sup>1</sup> აქ განისვენებს (ლათ.).



ამ საოცარი ადამიანის ცხოვრებიდან. გამომცემელს განზრახული აქვს, აღწეროს კაპელმაისტერის მთელი ცხოვრება და იმედოვნებს, ზემოხსენებული ეპიზოდები მის ნაამბობს უფრო ფერადოვანსა და ხატოვანს გახდიდა. ყოველ შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც კრაისლერმა დეიდა ფიუსჰენისა და მისი ლუტნიას ამბავი მოგვითხრო, უკვე აღარავის შეუპარება ეჭვი იმაში, რომ მუსიკას თავისი სვედის-მომგერული ნეტარებითა და ღვთაებრივი მომხიბვლელით უთვალავი სანუკვარი ძაფი გაება ბიჭის გულში, ასე რომ, არავისთვის გასაკვირი არ იქნება, თუ სულ პატარა წკიპურტის კვრითაც კი ამ გულიდან აღისფერი სისხლი მოთქრიალებდა. ძვირფასი კაპელმაისტერის ცხოვრებაში განსაკუთრებით ორი გარემოება იპყრობდა ზემოხსენებული გამომცემლის ყურადღებას და მოსვენებას არ აძლევდა. პირველი: როგორ მოხვდა მაესტრო აბრაჰამი პატარა იოჰანესის ოჯახში და რა გავლენა პქონდა მას ბიჭუნაზე; მეორე: ბუნებით წესიერმა და პატიოსანმა კრაისლერმა რა მიზეზით მიატოვა რეზიდენცია და რატომ მოჰკიდა ხელი კაპელმაისტერობას, რისთვისაც დაბადებით იყო მოწოდებული; მაგრამ განგების საქმეებში ჩარევა სულაც არ არის ჩვენი საქმე, რამეთუ შესაფერის ჟამს იგი ამქვეყნად ყველა სულდგმულს თავისას მიუზღავს ხოლმე! ზოგ-ზოგი რალაცის გაგება გამომცემელმა მაინც შეძლო და ამიტომ აღარ დაახანებს, რომ ყველაფერი დაუყოვნებლივ შენც მოგახსენოს, ძვირფასო მკითხველო!

რაც შეეხება პირველ გარემოებას, სარწმუნო წყაროებით დადგენილ იქნა, რომ გენიონესმიულში, სადაც დაიბადა და აღიზარდა იოჰანეს კრაისლერი, მართლაც ცხოვრობდა ერთი ახირებული ზნისა და ხასიათის კაცი. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ეს პატარა ქალაქი თურმე ოდითგანვე უცნაურ ადამიანთა ნამდვილი საკრებულო გახლდათ! კრაისლერიც ბავშვობიდანვე ამ უცნაური ხალხის წრეში ტრიალებდა. და, რადგანაც ბიჭუნას თავიდანვე სრულიად არ უხდებოდა ტოლ-ამხანაგებში თამაში, ადვილი გასაგებია, თუ რა ძლიერ გავლენას მოახდენდა მასზე ამ, ცოტა არ იყოს, გადარეულ ხალხთან ურთიერთობა.

ზემოხსენებული უცნაური კაცი, ცნობილი იუმორისტის,<sup>1</sup> აბრა-

<sup>1</sup> „ცნობილი იუმორისტის...“ — იგულისხმება გერმანელი სატირიკოსი მწერალი ქრისტიან ლუდვიგ ლისკო (1701-1760).

კამ ლისკოს სეხნია გახლდათ მას ორღანის დიდოსტატის სახელი ჰქონდა გავარდნილი. საოცარი იყო პირდაპირ: იგი ხან სიძულვილით ლაპარაკობდა თავის ხელობაზე, ხან კი ქებით ზეცაში აჰყავდა, ისე, რომ კაცი ვერ გაიგებდა, სინამდვილეში რა აზრისა იყო თავის საქმიანობაზე.

კრაისლერის გადმოცემით, მათ ოჯახში ლისკოს ყოველთვის უღრმესი პატივისცემით მოიხსენიებდნენ. მას თავისი საქმის დიდოსტატად თვლიდნენ, მაგრამ მაშინვე დასძენდნენ ხოლმე: თავისი უცნაური იაფიშებიცა თუ ოინბაზობების გამო მისი ყველას ეშინია და გაურბისო. ხანდახან გაიგონებდით, ქალაქში ვინმე ბედნიერი სახით როგორ ჰყვებოდა, თუ როგორ ეწვია ბატონი ლისკო, საკუთარი ხელით როგორ დაჭიმა სიმები და აუწყო ფორტეპიანო, მაგრამ, ამასთან, მის უცნაურობასა და ახირებულობაზედაც ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ, ასე რომ, პატარა იოჰანესს ამ კაცის მიმართ დიდი ცნობისმოყვარეობა აღექრა. თუმცა, ეს ადამიანი არასოდეს ენახა, სასეებით ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი მისი გარეგნობა და მასთან შეხვედრაზე ოცნებობდა. ბიძია ცდილობდა, დაემშვიდებინა ბიჭუნა და ეუბნებოდა, იქნება ერთ მშვენიერ დღეს ბატონი ლისკო ჩვენც გვეწვიოს ამ დანჯღრეული ფორტეპიანოს შესაკეთებლად. ბიჭუნა ყოველ დილას კითხულობდა: „ბოლოს და ბოლოს, როდის და მოვა ბატონი ლისკო?“ ბიძია არცთუ მაინცდამაინც იწუხებდა თავს ეკლესიაში სიარულით იმ დღეს კი ჩვეულებას უღალატა და იოჰანესის ყურს პირველად ჩასწვდა დიდი ორღანის ძლევამოსილი ხმები; ხოლო, იმ წუთიდან, როცა ბიძიამ უთხრა, ეს დიდებული საკრავი ბატონი ლისკოს ნახელაუიო, ბიჭუნას ცნობისმოყვარეობა ორღანის დიდოსტატისადმი უღრმესი მოწიწების გრძნობამ შეცვალა, რომელშიც გაოცებაც ერია.

ამავე წუთიდან გაქრა იოჰანესის წარმოსახვაში აბრაჰამ ლისკოს ძველი ხატი და ადგილი დაუთმო სხვა, ახალ ხატს, სრულიად რომ არ ჰგავდა პირველს. ბიჭუნას აზრით, ლისკო მაღალი, ლამაზი, წარმოსადგეი მამაკაცი უნდა ყოფილიყო, ჰქონოდა ვაჟკაცური, მჭექარე ხმა და აუცილებლად უნდა სცმოდა ოქროსსირმებიანი ფართო, ქლიავისფერი ქურთუკი. ასეთ ქურთუკს იცვამდა ხოლმე პატარა იოჰანესის ნათლია და ბიჭუნაც ყოველთვის დიდი მოწიწებით შესცქეროდა მის მდიდრულ სამოსს.



ერთხელ ბიძია და იოჰანესი ღია ფანჯარასთან იდგნენ. სწორედ ამ დროს ქუჩა სწრაფი ნაბიჯით გადაჭრა პატარა, გამხდარმა კაცმა. მას სქელი მაუდის ბაცი მწვანე ქურთუკი ეცვა; განიერი სახელოები ქარში ფრთებოვით უფარფატებდა. პატარა, სამკუთხა ქუდი მხედრულად ჩამოეფხატა შეპუდრულ, დახვეულ პარიკზე, ზურგზე კი ზომაზე გრძელი ნაწნავი უქანაუბდა. ამ კაცს ისეთი მძიმე ნაბიჯი ჰქონდა, მისი ფეხის გადადგმაზე ქვაფენილი ზანზარებდა. უცნობს გრძელი ესპანური ხელჯობი ეჭირა და ყოველ მოქნევაზე გამეტებით ურტყამდა მიწას. ფანჯარას რომ გაუსწორდა, ბიძიას თავისი მოელვარე, შავი თვალების გამჭოლი შხერა სტყორცნა, მაგრამ მისალმებაზე არ უპასუხია. პატარა იოჰანესს ჭირის ოფლმა დაასხა, ერთი სული ჰქონდა, გადაეხარხარა კაცუნას საქციელზე, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგან სუნთქვა შეეკრა.

— აი, ეგ იყო ბატონი ლისკო, — უთხრა ბიძიამ.

— ეგრეც ვიცოდი, — უპასუხა იოჰანესმა და არც ცრუობდა... — ბატონი ლისკო არც მაღალი და წარმოსადგვი გახლდათ და არც იოჰანესის ნათლიასავით, საკომერციო მრჩეველივით, ოქროსსირმებიანი ქლიავისფერი ქურთუკი სცმია... მაგრამ, რაც უნდა საკვირველად და უცნაურად მოგეჩვენოთ, ბიჭუნას ზუსტად ასეთად ჰყავდა წარმოდგენილი იგი მანამ, სანამ იმ ბრწყინვალე ორღანის ხმებს გაიგონებდა. გაოგნებული იოჰანესი ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო გონს, რომ ბატონი ლისკო მოულოდნელად შეჩერდა, უკან შემოტრიალდა, ფეხების ბაკუნით ფანჯარასთან მიირბინა, ბიძიას მდაბლად დაუკრა თავი და ხმამაღალი ხარხარით უკან გაიქცა.

— ერთი მითხარი, — თქვა ბიძიამ, — განა ეკადრება ასეთი საქციელი სერიოზულ, განათლებულ კაცს? იგი ხომ ორღანის დიდოსტატადაა აღიარებული და იმ ხელოვანთა რიცხვს მიეკუთვნება, კანონით რომ არიან უფლებამოსილი, დაშნა ატარონ? კაცი ძალაუნებურად იფიქრებს, დილაადრიან ან უკვე გადაკრულშია, ანდა ეს-ეს არის, საგიჟეთიდან გამოქცეულაო! მაგრამ აი, ნახავ, ახლა კი, ალბათ, აუცილებლად გვესტუმრება და შეაკეთებს ჩვენს ფორტეპიანოს.

ბიძია მართალი გამოდგა. ბატონი ლისკო მეორე დღესვე ჩვიამათ, მაგრამ ნაცვლად იმისა, ფორტეპიანო შეეკეთებინა, მოითხოვა, პატარა იოჰანესმა რაიმე დამიკრასო. ბიჭუნას სკამზე რამდენიმე

სქელი წიგნი დაუდეს და ზედ დასვეს. ბატონი ლისკო პირდაპირ დაუდგა მას, ორივე იდაყვით ფორტეპიანოს დაეყრდნო და ისე დაჟინებით მიაშტერდა სახეში პატარა მუსიკოსს, რომ ბიჭუნა საშინლად შეცბა. საბრალო დაბნეული იყურებოდა ძველ სანოტო რვეულში და ბორძიკ-ბორძიკით ასრულებდა მენუეტებსა და არიებს. ბატონი ლისკო მთელი ამ ხნის განმავლობაში სერიოზული სახით უსმენდა, მაგრამ, აი, მოულოდნელად, პატარა იოჰანესი სკამიდან გადმოვარდა და ფორტეპიანოს ქვეშ შევარდა. ორღანის დიდოსტატმა კი, რომელმაც თვალის დახამხამების უმაღლეს თვითონვე გამოაცავა ბიჭუნას ფეხქვეშ სკამი, საშინელი ხარხარი ატეხა. გაოგნებული იოჰანესი რის ვაი-ვაგლახით გამობობლდა იქიდან, ბატონი ლისკო კი ამასობაში უკვე მის ადგილზე დამჯდარიყო და ხელში ჩაქუჩმომარჯვებული ისე უწყალოდ ურაკუნებდა კლავიშებს, თითქოს განზრახული აქვს, საცოდავი საკრავი ნაკუნ-ნაკუნ აქციოსო.

— ბატონო ლისკო, სრულ ჭკუაზე ხართ თუ არა? — წამოიძახა ბიძიამ, ორღანის დიდოსტატის საქციელით საშინლად აღშფოთებულმა იოჰანესმა კი მთელი ძალით დაახეთქა საკრავის თავსახური; ბატონი ლისკო იძულებული გახდა, განზე გაწეულიყო, რომ თავზე არ დასცემოდა იგი.

— ოჰ, საყვარელო ბიძია! ნუთუ ეს არის ის ცნობილი ოსტატი, ბრწყინვალე ორღანი რომ ააგო? მე მგონია, ეს ვიღაც თავქარიანი კაცია, გათავზედებული, სულელი ბიჭვით რომ იქცევა!

ბიძია გააკვირვა ბიჭუნას გამბედაობამ, ბატონი ლისკო კი კარგა ხანს დაკვირვებით უყურებდა მას და ბოლოს თქვა: „ერთი ამას დამიხედეთ, რა საინტერესო ვაჟბატონი ყოფილაო?!“ მერე ფრთხილად ახადა ფორტეპიანოს თავსახური, ხელსაწყოები ამოიღო და რამდენიმე საათს ისე მუშაობდა, ხმა-კრინტი აღარ დაუძრავს.

იმ დღიდან ორღანის დიდოსტატი ბავშვის მიმართ სიყვარულით განიმსჭვალა. თითქმის ყოველდღე დადიოდა ბიჭუნას სანახაუდ და სულ მალე მისი გულის დაპყრობაც შეძლო. დიდოსტატმა იოჰანესს მისთვის მანამდე უცნობი ჯადოსნური სამყარო გადაუშალა, ბიჭის ცოცხალი წარმოსახვისთვის უფრო ახლობელი და საინტერესო რომ იყო. რაც უფრო იზრდებოდა იოჰანესი, ბატონი ლისკო მით უფრო ხშირად აქეზებდა მას, რაიმე ცელქობა ჩაედინა. ეს კი ნამდვილად გასაკიცხი იყო, რადგან ამ ცელქობის მსხვერპლი ხში-



რად ბიძია ხდებოდა ხოლმე. მისი გონებაშეზღუდულობა და უცნაური ქცევები მსგავსი გამოხდომებისათვის მდიდარ საკვებს იძლეოდა. ერთი რამ კი ცხადია: როდესაც იოჰანესი თავის ბავშვობის დროინდელ სიმარტოვეს უჩიოდა და თავის იმდროინდელ მძიმე სულიერ განწყობას აღწერდა, უთუოდ ბიძიასთან თავის უთანხმოებას გულისხმობდა. და მართლაც, განა შეეძლო ბიჭუნას პატოვისცემით ყოფილიყო გამსჭვალული იმ ადამიანის მიმართ, რომელსაც მისთვის მამობა უნდა გაეწია, ის კი თავისი გარეგნობითა თუ საქციელით ბავშვში მხოლოდ მწარე დაცინვას იწვევდა?

ლისკოს განზრახული ჰქონდა, მთლიანად თავის გავლენის ქვეშ მოექცია ბიჭუნა და მიაღწევდა კიდევ საწადელს, ამაში თვითონ იოჰანესის კეთილშობილური ბუნება არ რომ აღსდგომოდა წინ. სხარტი გონება, ცოცხალი წარმოსახვის უნარი, გრძნობათა სიღრმე — აი, რა შეადგენდა ორლანის დიდოსტატის განუყოფელ ღირსებებს. მაგრამ ის, რასაც ჩვეულებრივ გონებამახვილობას უწოდებენ, მისთვის არ გახლდათ უჩვეულო, მშვიდი სულიერი განწყობის პირშო. მსგავსი განწყობილება, ჩვეულებრივ, ცხოვრების გამოცდილებითა და მისი მიზეზშედეგობრივი კავშირების ცოდნითაა გამოწვეული, რასაც ხშირად ურთიერთსაპირისპირო საწყისების შეხლა-შემოხლაც ემატება ხოლმე. არა, ბატონი ლისკოსთვის მისი გონებამახვილობა მხოლოდ და მხოლოდ იმისი შედეგი გახლდათ, რომ მთელი არსებით სძულდა ყოველგვარი პირობითობა, ხოლო ეს სიძულვილი უშუალოდ იყო დაკავშირებული იმ იშვიათ უნართან, რომლის წყალობითაც იგი ახერხებდა, დაერღვია ამ პირობითობის საზღვრები. აი, სწორედ ეს გახლდათ მისი საოცარი გარდასახვის მიზეზი. ამიტომაც არ იშურებდა ლისკო თავისი შხამიანი დაცინვის ბასრ იარაღს, დაუზოგავად, გაბოროტებით ებრძოდა ყველაფერს, რასაც კი უხამს პირობითობად თვლიდა, ძირისძირობამდე ჩაჰყვებოდა ხოლმე მის ყველა გამოვლინებას, რათა დროზე ამოეძიკვა იგი. და, აი, ამ ბოროტმა დაცინვამ შეურაცხყო ბიჭუნას ნაზი გრძნობები, შეუშალა ხელი დიდ მეგობრობას მასა და ჭეშმარიტად მამასავით მოსიყვარულე უფროს მეგობარს შორის. მაგრამ, იმის უარყოფაც არ იქნება, რომ მხოლოდ ორლანის დიდოსტატის უცნაური ხასიათისა და საქციელის წყალობით გაიღვიძა იოჰანესში ჭეშმარიტმა გონებამახვილობამ, ასე უხვად რომ მოემადლებინა

მისთვის ბუნებას, და დასაბამი მისცა მის შემდგომ გაფურჩქნასა და აყვავებას.

ბატონი ლისკო ხშირად უყვებოდა იოჰანესს მამაზე, თავის ყრობის მეგობარზე. უნდა ითქვას, რომ ეს საუბრები გამზრდელი ბიძისათვის არცთუ მაინცდამაინც სახარბიელო იყო, რადგან იგი ყოველთვის ჩრდილში იდგა, მაშინ როცა იოჰანესის მამა შარავანდედით მოსილი წმინდანით წარდგებოდა ხოლმე ბიჭუნას წინაშე. ერთხელაც ორღანის დიდოსტატი ჩვეულებრივ ხოტბა-დიდებას ასხამდა განსვენებული მეგობრის ბრწყინვალე მუსიკალურ ნიჭს და თან იმ სულელურ მეთოდს დასცინოდა, რისი მეშვეობითაც ბიძია ცდილობდა თავისი აღსაზრდელისთვის მუსიკის ანაბანა ესწავლებინა. იოჰანესი მთელი არსებით შეეპყრო ძვირფას ადამიანზე ფიქრებს. ბიჭუნას მამა არასოდეს ენახა, მაგრამ შეეძლო დაუსრულებლივ ესმინა, როცა მასზე ჰყვებოდნენ. მოულოდნელად ლისკო დადუმდა და მიწას ჩააშტერდა, თითქოს გონება რაღაც საოცარმა აზრმა გაუნათაო.

— რა დაგემართათ, მასტრო, აგრერიგად რამ აგაღელვათ? — ჰკითხა იოჰანესმა. ლისკო შეკრთა, თითქოს ეს-ეს არის, გამოფხიზლდაო და ღიმილით თქვა:

— გახსოვს, იოჰანეს, სწორედ იმ დროს, როცა ბიძაშენმა მოინდომა თავისი უნიჭო მურკები და მენუეტები დაეკრუვინებინა შენთვის, ფეხქვეშ სკამი როგორ გამოგაცალე, შენ კი ფორტეპიანოს ქვეშ მოადინე ზღართანი?

— ეჰ, — ამოიოხრა იოჰანესმა, — ჩვენი პირველი შეხვედრის გახსენებაც კი არ მინდა. ეტყობა, სიამოვნებას განიჭებდათ, როცა ხედავდით, როგორ კარგავდა საბრალო ბავშვი წონასწორობას.

— ის საბრალო ბავშვიც საკმაოდ თავხედურად მომექცა მაშინ, — თქვა ლისკომ, — მაგრამ მაინც ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ შენში ასეთ ბრწყინვალე მუსიკოსს აღმოვაჩინდი. ამიტომ, ჩემო ბიჭუნავ, ქენი სიკეთე და პატარა ორღანზე ის მშვენიერი ქორალი დამიკარი, მე კი საბერველებს დაუბერავ.

აქ ერთხელ კიდევ უნდა აღენიშნოთ, რომ ლისკო დიდი მოყვარული გახლდათ უჩვეულო გართობებისა და ოინებისა, რითაც აღაფრთოვანებდა ხოლმე თავის მოწაფეს. ჯერ კიდევ სულ პატარა ბიჭი იყო იოჰანესი, რომ ორღანის დიდოსტატი მას ყველა მოსვლაზე



რაიმე უცნაური სათამაშოთი ასაჩუქრებდა. მაესტრო ხან ვაშლს მოუტანდა, თითის უბრალო მიკარებიტაც კი ათას ნაწილად რომ იშლებოდა, ხან კი უჩვეულო მოყვანილობის ნამცხვრით გაახარებდა ხოლმე ბიჭუნას.

როდესაც იოჰანესი წამოიზარდა, მაესტრომ ნატურალური მაგიის სხვადასხვა საოცრების ჩვენება დაუწყო. ხელმარჯვე ჭაბუკი თავის მასწავლებელს ოპტიკური ხელსაწყოების დაშხადებაში ეხმარებოდა, მასთან ერთად ხარშავდა სიმპათიკურ მელანს და ა.შ. მაგრამ ყველაზე დიდი საოცრება, რაც კი მაესტროს თავისი ხელით იოჰანესისათვის ოდესმე დაუშხადებია, მუყაოს რვამილაკიანი პატარა ორღანი გახლდათ. იგი ძალიან წაგავდა XVII საუკუნის ორღანის დიდოსტატის, ჯგენი კასპარინის ხელით დაშხადებულ ცნობილ საკრავს, ამჟამად ვენის იმპერატორის კუნსტკამერაში რომ იდგა. ლისკოს საოცარ ორღანს არაჩვეულებრივი სილამაზისა და სიძლიერის ბგერა ჰქონდა. იოჰანესი ირწმუნებოდა, მასზე დაკვრის დროს ყოველთვის უჩვეულოდ ვლელავ და მთელი ჩემი არსება ნათელი, ჭეშმარიტად ღვთიური საეკლესიო ჰანგებით ივსებაო.

ბიჭუნას სწორედ ამ ორღანზე უნდა დაეკრა ახლა მაესტროს თხოვნით. რამდენიმე ქორალის შესრულების შემდეგ, იგი გადავიდა ჰიმნზე: „*Misericordias domini cantabo*“,<sup>1</sup> ამ ორი თუ სამი დღის წინ რომ დაეწერა. როცა იოჰანესმა დაკვრა დაამთავრა, ლისკო წამოხტა, მხურვალედ მიიკრა მკერდზე და ხმამაღალი სიცილით წამოიძახა:

— ო, შე ონავარო, შენა! მითხარი, რატომ გინდა გამაბრაზო მაგ ნაღვლიანი კანტილენათი? მე რომ შენი ორღანის საბერველების დაბერვაზე არ მეზრუნა, ხეირიან მუსიკას, ალბათ, ვერასოდეს დაწერდი. ახლა კი ჩემი წასვლის დროც მოვიდა, იძულებული ვარ, ბედის ანაბარად მიგატოვო; შენ კი კეთილისმოსურნე ვინმე სხვა გამონახე, ვისაც შენთვის ჩემსავით შესტკივა გული.

მაესტროს თვალებში მსხვილი ცრემლები უბრწყინავდა. იგი სწრაფად გავარდა ოთახიდან და კარი მაგრად გაიჯახუნა. მაგრამ იმავე წუთს თავი კვლავ შემოყო და ძალიან ალერსიანად თქვა:

— სხვა გზა არა მაქვს! მშვიდობით, იოჰანეს!.. თუ ბიძაშენმა თავის გროდეტურის წითელყვავილებიან ქურთუკს ძებნა დაუწყო, გა-

<sup>1</sup> კადიღებ ღვთის წყალობას (ლათ).

დაეცი, მაესტრომ აწაპნა და მისგან ჩაღმის გაკეთებას აპირებს, რომ ასე წარდგეს მისი უდიდებულესობა სულთნის წინაშე-თქო! მშვიდობით, იოჰანეს!

ვერაჟის გაეგო, ასე მოულოდნელად რა მიზეზით მიატოვა ლისკომ პატარა, მშვენიერი ქალაქი გენიონესმიული და რატომ არაჟის გაანდო, საით აპირებდა გეზის აღებას.

ბიძიამ განაცხადა:

— სულ ვფიქრობდი, ეს დაუდგარი კაცი ერთ ადგილზე დიდხანს ვერ გაძლებს-მეთქი. მართალია, იგი შესანიშნავ ორღანებს აგებდა, მაგრამ ხომ გაგიგონია: „დამდგარი წყალი ბაყაყების ბუდეაო“. ძალიან კარგი, რომ ჩვენი ფორტეპიანო წესრიგშია; მაგ ნაგიჟრის ბედი კი სრულიადაც არ მალელვებს!

მაგრამ იოჰანესზე სულ სხვაგვარად იმოქმედა ლისკოს წასვლამ. მას აშკარად აკლდა მეგობარი და მალე გენიონესმიული მისთვის პირქუმ საპრობილედ იქცა.

და აი, მოხდა ისე, რომ კრაისლერმა მართლა შეისმინა მაესტროს რჩევა-დარიგება და გაუდგა გზას ახალი მეგობრის საძებნელად, მას საბერველებს რომ დაუბერავდა. ბიძიამ გონიერულად ჩათვალა, სწავლის დამთავრების შემდეგ დისწული რეზიდენციაში გაეგზავნა. იმედი ჰქონდა, იქ საელჩოს საიდუმლო მრჩევლის კალთას შეფარებული იოჰანესი საბოლოოდ გაშალაშინდება და საჭირო პეწიც მოეცხებაო. ასეც მოხდა.

უნდა მოგახსენოთ, რომ ამჟამად თქვენი მონა-მორჩილი ბიოგრაფი ძალზე გულნაკლული გახლავთ აი, ის-ის იყო, იოჰანეს კრაისლერის ცხოვრების იმ ხანაზე აპირებდა ძვირფასი მკითხველისათვის მოყოლას, როდესაც კრაისლერმა საელჩოს მრჩევლის შესაშური თანამდებობა დაკარგა და რეზიდენცია მიატოვა. სწორედ ამ დროს აღმოჩნდა, რომ მოსაყოლი თითქმის არაფერია, რადგან თავგადასავლებმა ღარიბულად, ძალზე ზედაპირულად და არეულ-ღარეულად მოაღწია ჩვენამდე.

ახლა ამის თქმაღა დაგვრჩენია: მას შემდეგ, რაც კრაისლერმა განსვენებული ბიძის ადგილი დაიკავა და საელჩოს მრჩეველი გახდა, რეზიდენციას ეწვია მავანი გვირგვინოსანი კოლოსი.<sup>1</sup> მან თვალის

<sup>1</sup> „გვირგვინოსანი კოლოსი“ — იგულისხმება ნაპოლეონ I (1769-1821), საფრანგეთის იმპერატორი 1804 წლიდან.



დახამხამების უმაღლესე მაგრად მოაქცია მთავარი თავის რკინის მკლავებში და ისე მხურვალედ მიიხუტა მკერდზე, მასპინძელმა კინაღამ სული განუტყა. გოლიათის ქცევაში ისეთი ძალა იგრძნობოდა, რომ მისი ყველა სურვილი დაუყოვნებლივ სრულდებოდა მაშინაც კი, როცა ეს დიდი მსხვერპლის გაღებას მოითხოვდა ხოლმე. ზოგ-ზოგი გოლიათის ასეთ მეგობრობას დაძლუპველად თვლიდა და მასთან შებმის სურვილსაც კი გამოთქვამდნენ, მაგრამ ამის წყალობით თვითონაც დილეშის წინაშე დგებოდნენ: ან უნდა ეღიარებინათ, რომ ამ მეგობრობაშია ხსნა, ან არა და თავიანთი ქვეყნის ფარგლებს გარეთ შეეჩინათ ადგილი, საიდანაც ძლევამოსილი კოლოსის ჭეშმარიტ სახეს დაინახავდნენ.

კრაისლერი სწორედ უკანასკნელთა რიცხვში აღმოჩნდა.

დიპლომატიური მოღვაწეობის მიუხედავად, იგი ჯერ კიდევ მეტისმეტად გულუბრყვილო გახლდათ და ხშირად მძიმე მდგომარეობაში ჩაგარდნილმა, აღარ იცოდა, რა ეღონა. და აი, ერთხელაც, სწორედ ასეთ მძიმე წუთებში, კრაისლერმა ძაძვებით მოსილ მაგან ლამაზმანს ჰკითხა, საერთოდ, რა აზრისა ბრძანდებით საელჩოს მრჩევლებზე? პასუხი საკმაოდ ვრცელი იყო და სინატიფე და მახვილგონიერებაც არ აკლდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მისგან ასეთი დასკვნის გამოტანა შეუძლებოდა: არ შემიძლია კარგი აზრის ვიყო მაგან და მაგან საიდუმლო მრჩევლებზე, რადგან ვხედავ, ჭკუას კარგავს ხელოვნებაზე და ვაჟკაცობა კი არ ჰყოფნის, მისი მსახური გახდესო.

— სევდისა და სილამაზის მეუფე! — წამოიძახა კრაისლერმა, — იცოდეთ, დღეიდან იწყება ჩემი დაუდევარი რბოლა!

და, აი, მან ჩაიცვა სამგზავრო ჩექმები, ხელში ქუდი აიღო და აღელვებული, მწუხარე სახით ეახლა გამოსამშვიდობებლად ლამაზ ქვრივს. მან კი იოჰანესს ჯიბეში ფარატინა ქალაღდი ჩაუდო, სადაც ნათქვამი იყო, რომ კრაისლერს დიდი ჰერცოგის სასახლის კარზე კაპელმაისტერად იწვევდნენ, სწორედ იმ დიდი ჰერცოგისა, რომელსაც ეს-ეს არის, შთაენთქა მთავარ ირენეუსის საგვარეულო მამულები.

ძვირფასო მკითხველო! არა მგონია, საჭირო იყოს იმის ახსნა-განმარტება, რომ ძაძვებით მოსილი მანდილოსანი თავად ქალბატონი ბენცონი გახლდათ. იგი თავისი მეუღლის, საიდუმლო მრჩევლის, ბატონი ბენცონის დაკარგვას გლოვობდა.

საოცარია პირდაპირ, სწორედ იმ დროს, როცა ქალბატონი ბენცონი...

/მ. ა. ა./ ...პონტო კუნტრუშით გაემართა პურიტა და ძეხვით მოვაჭრე გოგოსაკენ, ხომ გახსოვთ, კინალამ ანდერძი რომ ამიგო, როდესაც წელან ალერსიანად გავიშვირე თათი მისი დახლისაკენ.

— ოჰ, ძვირფასო, საყვარელო პონტო! რას აპირებ? იცოდე, უფროთხილდი, მოერიდე მაგ უსულგულო მტარვალს, მაგას შეუძლია ძეხვის გულისათვის სული გაათრთხობინოს კაცს! — მივაძახე პონტოს, მაგრამ მას ჩემი სიტყვებისთვის ყურადღება არ მიუქცევია და გზა განაგრძო. მე შორიახლოს მოვდევი მეგობარს; ვფიქრობდი, თუ ვინიცობაა, ბედი უმუხთლებს, მოვასწრებ და უჩუმრად გავიძურწები-მეთქი. პონტომ დახლთან მიირბინა, უკანა თათებზე შედგა და გოგონას გარშემო ცეკვა-თამაშს მოჰყვა. ისიც ძალიან კმაყოფილი დარჩა პონტოს ხელოვნებით და თავისთან მიიხმო. ჩემმა მეგობარმაც თავი მაშინვე მუხლებზე დაადო, მაგრამ უმაღლ წამოხტა, მხიარულად შეჰყეფა და ნერწყვის ყლაპვით კიდევ ერთხელ შემოურბინა დახლს გარშემო, თან გოგოს სასოებით შესცქეროდა თვალებში.

— გეტყობა, ძეხვი გინდა, არა, ჩემო კარგო ცუგრიავ? — ჰკითხა გოგონამ. პონტომ სიამოვნებისაგან კუდი გააქიცინა და მხიარულად შეჰყეფა. ჩემდა გასაკვირად, გოგომ ძეხვის ყველაზე მოზრდილი, ყველაზე კარგი ნაჭერი ამოარჩია და პონტოს გაუწოდა. ჩემმა მეგობარმა მადლობის ნიშნად ერთხელ კიდევ შემოურბინა გოგოს ცეკვა-თამაშით, მერე კი პირში ძეხვგარჭობილი ჩემკენ გამოეშურა, ძღვენი წინ დამიდო და ალერსიანად მითხრა: „ჭამე, ცოტა მომაგრდი, ჩემო კარგო!“

როდესაც ძეხვი შევსანსლე, პონტომ მთხოვა, უკან გავყოლოდი და თან დასძინა, ახლავე მაესტრო აბრაჰამთან მიგიყვანო. ნელ-ნელა გავუყევიტ გზას; ერთმანეთს გვერდიგვერდ მივყვებოდით, რომ მოხერხებულად გვესაუბრა საჭირბოროტო საკითხებზე.

— თითს ვკაკავ და ვაღიარებ, ჩემო პონტო, — წამოვიწყე მე, — რომ ამ ცხოვრებისთვის ჩემზე გაცილებით უკეთ აგიღია ალლო. იმ კაპასი გოგოს გულის მოგებას ჩემს სიცოცხლეში ვერ მოვახერხებდი; შენ კი, ვითომც აქ არაფერიყო, ხელად შეისრულე საწადელი! მაპატიე, მაგრამ არ შემიძლია, არ გითხრა: გამყიდველ გოგოსთან



შენი ქცევა სწორედაც არ მომეწონა. მე ჩემი თანდაყოლილი სიამაყის წყალობით ასე არასოდეს დაუკარგავ თავმოყვარეობას. ვხედავდი, როგორ მლიქვნელობდი, როგორ აქიცინებდი კუდს, როგორ თულავდი ფეხით საკუთარ ღირსებას და ვფიქრობდი: არა და არა! ძვირფასო პონტო! შენსავე ვერასოდეს მოველაქუცები ვერავის! ასე თავს ვერასოდეს დაუიმდაბლებ და ვერ ვითხოვ მოწყალებას! როცა ძალიან შშია ანდა ნუგბარი რამ სასუსნავი ჭამის საღერღელს ამიშლის, იმით ვკმაყოფილდები, რომ ჩემი პატრონის ზურგს უკან, სკამზე შევხტები და ვთხოვ ხოლმე, გამიმასპინძლდეს. ეს იმდენად თხოვნაც არ არის; ასეთ დროს უბრალოდ შევახსენებ, რომ მოვალეა, მომხედოს და მიპატრონოს.

პონტომ ჩემს სიტყვებზე გაიცინა და მიპასუხა:

— ჩემო საყვარელო მურ! მჯერა, რომ მხატვრული სიტყვის დიდოსტატი ბრძანდები; ისიც ვიცი, რომ ბევრ ისეთ სიბრძნეში ხარ ჩახედული, რაზედაც მე წარმოდგენაც კი არა მაქვს. მაგრამ ამ ცხოვრებისა ინჩიბინჩი არ გაგვება. მე რომ არა, იცოდე, შეიძლება დაღუპულიყავი, რადგან ცხოვრებისეული სიბრძნის ნატამალიც კი არ გაგაჩნია. ჯერ ერთი, დარწმუნებული ვარ, ძეხვის ხელში მოგდებამდე სულ სხვანაირად იჭიკჭიკებდი, რადგან შშიერი კაცი გაცილებით უფრო თვინიერი და დამყოლია, ვიდრე მაძღარი; მეორეც, ძალიან ცდები, როდესაც ჩემს საქციელს მლიქვნელობად ნათლავკარგად მოგეხსენება, რა დიდ სიამოვნებას მგერის ხტუნვა და ცეკვა-თამაში! ამგვარ გართობებს ხშირად საკუთარი სიამოვნებისთვისაც ვაწყობ ხოლმე. ალბათ, შეგიძნევა, რომ ადამიანებს ხშირად ვაჩვენებ ჩემს ხელოვნებას. ამით საკუთარ სხეულს ვავარჯიშებ და ვიკაჟებ მხოლოდ. იმ ჩვენ არიფ ორფეხა ძმებს კი ჰგონიათ, მათი დიდი სიყვარული და პატოვისცემა მაცეკვებს და მახტუნავენ. აი, ამის შემხედვარე კი ლამის სიცილისგან გავიგუდო. დიახ, ადამიანები ასე ფიქრობენ, მაგრამ განა დღესავე ნათელი არ არის, რომ სულ სხვა მიზნები მამოდრავენ? ჩემო ძვირფასო, სულ ახლახან ხომ თავად ბრძანდებოდი ამის ცოცხალი მოწმე? აბა, მაშ, გამყიდველი გოგო მაშინვე არ უნდა მიმხვდარიყო, რომ მხოლოდ ძეხვის გულისთვის ვოინბაზობდი ასე? ის კი ჩემმა ცეკვა-თამაშმა აღტაცებაში მოიყვანა და ძალზე ნასიამოვნები დარჩა, რომ მას, ამ ჩემთვის სრულიად უცხო ადამიანს, ვთხოვე, გამხდარიყო ჩემი ხელოვნების მსაჯული

და შემფასებელი. გულის წადილიც მხოლოდ ამიტომ შემისრულა ასეთი სიამოვნებით აბა, მომისმინე, რას შეგვაგონებს ერთ-ერთი ცხოვრებისეული სიბრძნე: როდესაც რაიმეს საკუთარი თავისთვის აკეთებ, ხალხს ისე უნდა მოაჩვენო თავი, თითქოს ყველაფერ ამას მხოლოდ და მხოლოდ სხვების საკეთილდღეოდ სჩადიხარ. მაშინ ის სხვები თავს შენგან დაჟალებულად ჩათვლიან და ძხად იქნებიან, შენი ყველა სურვილი შეასრულონ. ზოგ კაცს შეხედავ, თავს ისე მოგაჩვენებს, ვითომ ძალიან კეთილი და ზრდილია; გვეგონება, სხვებზე ზრუნვით ღამეები არ სძინავსო, სინამდვილეში კი თავში მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი „მე“ უტრიალებს. და სწორედ ამ „მე“-ს ემსახურება ყველა, მაგრამ ისე, რომ ამაზე არავის წარმოდგენაც კი არა აქვს. ის, რასაც შენ მლიქვნელობას უწოდებ, ბრძნული წინდახედულობაა მხოლოდ. იგი მოწოდებულია დროულად განჭვრიტოს მოყვასის მიერ ჩადენილი სისულელეები და ოსტატურად ისარგებლოს მისი სისუსტით.

— ოჰ, პონტო, — მოუუგე ამაზე, — კარგად ვიცი, ცხოვრებაში ჩემზე უკეთ რომ ბრძანდები ჩახედული, და სწორედ ამიტომ არ მჯერა, რომ ეგ შენი უცნაური მანჭვა-გრეხა დიდ სიამოვნებას განიჭებს. პირადად მე კინაღამ გული ამერია, როცა დავინახე, როგორ მიურბენინე შენს პატრონს შემწვარი ხორცის ნაჭერი და ვერაფრით გაბედე მისთვის კბილის გაკვრა, ვიდრე პატრონმა არ დაგროთო ნება.

— მაშ, ერთი ისიც მითხარ, ჩემო საყვარულო მურ, ბარემ ერთი ისიც მითხარ, ბოლოს რა მოხდა? — ჰკითხა პონტომ.

— მერე ის იყო, შენმა პატრონმაც და მაესტრო აბრაჰამმაც ქებით ცაში აგიყვანეს და შემწვარი ხორციით თავმოდგმული თუფში დაგიდგეს წინ, — ვუპასუხე მე, — შენ კი ძალზე მაღიანად შესანსლე, ისე, რომ არაფერი დაგიტოვებია.

— აი, ხედავ, ძვირფასო მურ, — განაგრძო პონტომ, — არა მგონია, ისეთი მიაძიტი იყო, ვერაფერს ხვდებოდე. ის ხორცი წინასწარ რომ შემესანსლა, არამცთუ ასეთ ბრწყინვალე ულუფას ვერ მივიღებდი, საერთოდ ცარიელზე დავრჩებოდი. იცოდე, კარგად დაიმახსოვრე, ჩემო გამოუცდელი ბიჭუნავ! პატარა მსხვერპლის გაღება ყოველთვის საჭიროა იქ, სადაც დიდ გამორჩენას ელის ხოლმე კაცი! მაოცებს, ნუთუ შენი სწავლა-განათლების პატრონს არ გაგიგია ანდაზა: „ვინც მოითმენს, ის მოიგებსო?“ გულზე თათი უნდა და-



ვიდო და გამოგიტყდე: სადმე მოფარებულ კუთხეში რომ მენახა ის შემწვარი ხორცი, ჩემი პატრონის ნებართვას, გაგიხარია, არ დაჟელოდები და უმაღლესსანსლავდი, მაგრამ იმ პირობით, თუ ამას არავინ დაინახავდა. რა გაქწყობა, ასეთია ჩვენი ბუნება! მოფარებულში სულ სხვაგვარად ვიქცევით ხოლმე, ვიდრე ხალხში! სხვათა შორის, სრულ ჭეშმარიტებას ღალადებს ცხოვრებისეული სიბრძნე: წვრილმანებში გვმართებს პატიოსნებაო.

ერთხანს ჩამაფიქრა პონტოს მსჯელობამ. და აი, უცბად სადღაც ამოკითხული სიბრძნე გამახსენდა: თითოეული ადამიანის საქციელი საყოველთაო ნორმად უნდა გამოდგებოდეს!<sup>1</sup> ესე იგი, კაცი ისე უნდა იქცეოდეს, როგორც სურს, თავად მას მოექცნენ სხვებიო. ამოდ ვცდილობდი ეს თვალსაზრისი პონტოს ცხოვრებისეულ სიბრძნესთან დამეკავშირებინა. გუნებაში გაუიფიქრე, ხომ შეიძლება ის მეგობრობა, პონტომ ახლახან რომ გამიწია, ჩემთვის ზიანის მომტანი იყოს, თავად იგი კი აქედან რაღაცა გამორჩენას ელოდეს-მეთქი. აუღექი და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე მოუახსენე მეგობარს ჩემი აზრი.

— ო, შე ეშმაკის ფეხო, შენა! — სიცილით თქვა პონტომ, — შენ რა ანგარიშში ჩასაგდები ხარ? აბა, რა სარგებლობა ან რა ზიანი შეგიძლია მოუტანო კაცს? შენი სწავლა-განათლებისა ნამდვილად არა მშურს, შენს მსოფლმხედველობას სრულიად არ ვიზიარებ, ხოლო თუკი ჩემს მტრობას ჩაიდებ გულში, იცოდე, ძალ-ღონითაც ყოველთვის გაჯობებ და მოქნილობითაც. ერთი რომ ვისკუპო და გაგკრა ჩემი ბასრი კბილები, ხომ იცი, შენგან ბურღლაც აღარ დარჩება.

ცოტა არ იყოს, შემეშინდა საკუთარი მეგობრისა. ეს შიში გამიათკეცდა, როდესაც დავინახე, ვიღაც შავი პუდელი როგორ მიესალმა პონტოს, მერე ხმადაბლა საუბარი გააბეს, თან ანთებული თვალებით ჩემკენ იყურებოდნენ.

ყურებგალურსული განზე გაუღექ. კიდევ კარგი, შავი პუდელი ძალე წავიდა, პონტომ კი კვლავ ჩემთან მოირბინა და მითხრა, მეგობარო, განვაგრძოთ გზაო!

<sup>1</sup> „თითოეული ადამიანის საქციელი საყოველთაო ნორმად უნდა გამოდგებოდეს“ — განსწავლული მური თავისუფალი თხრობით გადმოგვცემს კანტის კატეგორიულ იმპერატორს: „მოიქეც ისე, რომ შენი საქციელის მაქსიმა საყოველთაო კანონმდებლობის ნორმად გამოდგებოდეს“ (იხ. იმანუილ კანტი, „წმინდა გონების კრიტიკა“, თავი 7).

— ო, ღმერთო დიდებულო! — ვთქვი აღელვებულმა, — ერთი გამაგებინა, ვინ იყო ეს გაბლენძილი ჭაბუკი? ეტყობა, ცხოვრებაში შენზე ნაკლებად არ უნდა იყოს ჩახედული.

— რა იყო, ჩემი კეთილი ბიძის, სკარამუშის ხომ არ შეგეშინდა? — მკითხა პონტომ, — რაო, რაო, იმას არ სჯერდება, რომ კატა ხარ, ახლა კურდღლად გადაქცევა მოინდომე?

— მაშ, რატომ მიყურებდა ბიძაშენი ასე გაბოროტებით, — ვთქვი მე, — განა რა საიდუმლოება გქონდათ ისეთი, რომ დრუნჩი დრუნჩ-ზე მიაღეთ და ისე ეჩურჩულეობოდით ერთმანეთს?

— რაღა დაგიძალო, ჩემო მუგობარო, და ბიძაჩემს ცოტა ჯაჯლანი უყვარს, — მომიგო პონტომ, — თანაც მოძველებული შეხედულებების კაცია, როგორც ყველა მოხუცი. ძალიან გაუკვირდა, ჩვენ რომ ერთად დაგვინახა. ბიძაჩემს მიაჩნია, რომ მე და შენ საზოგადოებაში სრულიად განსხვავებული მდგომარეობა გვიკავია, ამიტომაც არა გვაქვს დამუგობრების უფლება. მე, რა თქმა უნდა, დაფარწმუნე იგი, ჩემი ძმაკაცი სასიამოვნო, განათლებული ყმაწვილია და მასთან ყოველთვის მხიარულად ვატარებ დროს-მეთქი. მაშინ ბიძაჩემმა შენთან დროდადრო შეხვედრის ნება დამართო, ოღონდ ის კი დასძინა: ღმერთი არ გაგიწყრეს და პუდელების თაყვრილობაზე არ გაბედო მაგის მოყვანა. ჩვენი შეკრების მონაწილე თავისი მოკლე ყურების გამო ვერასოდეს გახდება; მათი წყალობით სახეზე აშკარად აწერია, რა მდაბიო ჩამომავლობისა ბრძანდება. ამას კი ყველა გონიერი, გრძელყურა პუდელი საკუთარ შეურაცხყოფად ჩათვლისო. იძულებული გავხდი, ბიძაჩემს შევპირებოდი, შენს სურვილს შევასრულებ-მეთქი.

აფსუსს, იმ დროს რატომ არ ვიცოდი, რა ღირსეული წინაპარი მყავდა! ჩექმებიანმა კატამ ხომ საოცარ დიდებას მიაღწია და მეფე გოტლიბის<sup>1</sup> უახლოესი მუგობარიც კი გახლდათ! მაშინ ეს ყველაფერი რომ მცოდნოდა, ხომ მოვახსენებდი პონტოს, პუდელთა მოდგმამ ბედნიერადაც კი უნდა ჩათვალოს თავი, თუკი მათ თაყვრილობას ასეთი ცნობილი ჩამომავლობის ნაშიერი დაესწრება-მეთქი. მაგრამ იმ დროს ჯერ კიდევ მთლიანად ვერ დამეღწია თავი ბნელი უწიგნურობისათვის და იძულებული ვიყავ, მეთმინა პონტოსა და სკარამუშის დაცინვები.

<sup>1</sup> მეფე გოტლიბი — პერსონაჟი ლუდვიგ ტიკის დრამატული ზღაპრისა „ჩექმებიანი კატა“.



მე და ჩემმა მეგობარმა გზა განვაგრძეთ. ჩვენ წინ ვილაც ყმაწვილი მიდიოდა. ანაზღად მას აღფრთოვანებული შეძახილი აღმოხდა და ისე მკვეთრად შეძმოტრიალდა, ნამდვილად თათზე ფეხს დამადგამდა, რომ არ შემარჯვა და დროზე არ გაუმხტარიყავი განზე. ასეთივე ხმა-მალალი შეძახილით გამოეშურა მისკენ მეორე ახალგაზრდაც. ისინი დიდი ხნის უნახავი მეგობრებით გადაქვივნენ ერთმანეთს და ხელიხელჩაკიდებულებმა ტკბილი მასლაათით ჩაგვიარეს. მერე ასევე მეგობრულად, გულითადად დაემშვიდობნენ ერთმანეთს და ორივე თავ-თავისი გზით წავიდა. იმ ყმაწვილმა, ჩვენ წინ რომ მიდიოდა, დიდხანს უყურა მიმაჯალ მეგობარს, მერე კი იქვე, რომელიღაც სახლში შეიძურწა. მე და პონტო შევჩერდით. მალე იმ სახლის მეორე სართულზე, სადაც ჩვენი ნაცნობი ყმაწვილი შევიდა, ფანჯარა გაიღო და ვილაც ახალგაზრდა, პირმშვენიერმა ქალმა გადმოიხედა. ქალს ზურგს უკან ჩვენი ნაცნობი ყმაწვილი ამოსდგომოდა. ორივენი გულიანად იცინოდნენ და მეგობარს გასცქეროდნენ, ქუჩაზე რომ მიაბიჯებდა. პონტომ ზვეით აიხედა და კბილებში რაღაც გამოცრა, მაგრამ ვერა გავიგე რა.

— ჩემო საყვარელო პონტო! რატომ ითრევ ფეხს? არ გავაგრძელოთ გზა? — ვკითხე მეგობარს, მაგრამ ფიქრებში წასული პონტო ადგილიდან არ იძვროდა. ბოლოს, როგორც იქნა, გამოერკვა, თავი გააკანტურა და ხმის ამოუღებლად ცუნცულით განაგრძო გზა.

მალე აქოჩრილი ხეებითა და ქანდაკებებით დამშვენებულ პატარა მოედანზე გავედით.

— მურ, მოდი ცოტა მუხლი ჩავხაროთ და აქ სადმე დავისვენოთ, — მითხრა პონტომ, — თავიდან არ გამომდის ის ორი ყმაწვილი. ხომ დაინახე, რა მეგობრულად ეხვეოდნენ ერთმანეთს? მაგათი მეგობრობა დამონისა და პილადეს მეგობრობას მაგონებს.

— ალბათ, გინდოდა, გეთქვა დამონისა და პინთიასისო,<sup>1</sup> არა? —

<sup>1</sup> დამონი (*Dämon, Δαμων*) და პინთიასი (*Phintias, Φιντίας*) — სირაკუსელი განუყრელი მეგობრები; ტირანმა დიონისე-უმცროსმა II-მ (ძვ. წ. 397-337) პინთიასს ბრალად დასდო ღალატი და სიკვდილი მიუსაჯა, მაგრამ ნება დართო, სიკვდილამდე თავისი საქმეები მოეჯარებინა იმ პირობით, თუ დათქმულ დროს დაბრუნდებოდა და მანამდე მძველად თავის მეგობარ დამონს დატოვებდა. დამონი დათანხმდა, თუ პინთიასი არ დაბრუნდებოდა, ის დაესაჯათ, მაგრამ პინთიასი დაბრუნდა და მათი ერთგული მეგობრობით გაოცებულმა ტირანმა ორივე შეიწყალა.

შვეუსწორე პონტოს, — პილადე<sup>1</sup> ხომ ორესტეს მეგობარი იყო. ძმაცს ყოველთვის მზრუნველად ჩააწვენდა ლოგინში და საბანს კარგად ამოუკვცავდა. მერე კი, როდესაც ფურიები და დემონები განსაკუთრებით შემოუტევედნენ უბედურ ორესტეს, გვირილის ნაყენს ასმევდა ხოლმე. ძვირფასო პონტო, როგორ გეტყობა, რომ ისტორიაში მოიკოჭლებ!

— ნეტავი ერთი შენც მოგცლია! — მესროლა პონტომ, — სამაგიეროდ, იმ ორი ყმაწვილის ამბავი ვიცი მშვენიერად და თუ გინდა, დაწვრილებით მოგიყვები კიდევაც. ერთი ოცჯერ მაინც მექნება მოსმენილი ჩემი პატრონისაგან. აი, მაშინ კი შეგიძლია დამონსა და პინთიასს, ორესტესა და პილადესთან ერთად, მესამე წყვილიც ამოუყენო გვერდში; ეს ვალტერი და ფორმოზუსი გახლავთ! ფორმოზუსი ის ყმაწვილია, ძვირფასი ვალტერის დანახვაზე სიხარულით კინალამ რომ გაგსრისა. აი, იმ მოსარკულფანჯრებიან ლამაზ სახლში ცხოვრობს ზღაპრულად მდიდარი, მოხუცი პრეზიდენტი. ნათელი გონებით, მოხერხებულობითა და ცოდნით ფორმოზუსმა ისე მოხიბლა მოხუცი, რომ მან ყმაწვილი ღვიძლი შვილივით შეიყვარა. და აი, მოულოდნელად, ფორმოზუსი გულჩათხრობილი და სევდიანი გახდა. სახეზე ადამიანის ფერი აღარ ედო. დროდადრო ისეთი მძიმე ოხვრა აღმოხდებოდა ხოლმე მკერდიდან, კაცი იფიქრებდა, ან ახლა დალევს სულს, ან ახლაო. საბრალო შავ ნაღველს შეეპყრო და მწარე ფიქრებში ჩაძირულს, არავისთვის უნდოდა გაენდოთავისი დარდი და ვარამი. პრეზიდენტი დიდხანს ამაოდ ცდილობდა შეეტყო ყმაწვილკაცის იღუმალი ტანჯვის მიზეზი. დაბოლოს, მაინც გაანდო თავისი ხვაშიადი. თურმე ყმაწვილს პრეზიდენტის ერთადერთი ქალიშვილის ტრფობა შეჰყროდა და ამას ჩაეგდო ამ დღეში. მოხუცს თავდაპირველად ძალიან შეეშინდა. საყვარული ქალიშვილის თაობაზე მას თავის გეგმები ჰქონდა და სრულიადაც არ უნდოდა, ფორმოზუსისთანა უთვისტომო, ღარიბ-ღატაკი კაცისათვის მიეთხოვებინა. მაგრამ როდესაც დაინახა, რომ საბრალო ბიჭი თვალსა და ხელს შუა სანთელივით ჩამოდნა, მამამ მთელი თავისი ვაჟკაცობა მოიკრიბა და ულრიკეს ჰკითხა, მოგწონს თუ არა ფორმოზუსი და უკვე აგისხნა თუ არა სიყვარულიო? ულრიკემ თვალები

<sup>1</sup> პილადე — ბერძნული ლეგენდარული გმირი, აგამემნონის ძმისწული და ორესტეს მეგობარი, შემდგომში ორესტეს და, ელექტრა, პილადეს მეუღლე გახდა.



დახარა და მამას მიუგო: ფორმოზუსი ძალზე ზრდილი და თავ-  
დაჭერილი ჭაბუკია, ალბათ, ამიტომაც ვერ გაბედა და გული ვერ  
გადამიშალაო; ისე კი, ბრმა უნდა იყოს კაცი, რომ ვერ შეამჩნიოს,  
როგორ იტანჯება ჩემი სიყვარულითო. მე, ჩემდათავადო, — დასძი-  
ნა ულრიკემ, — ძალიან მომწონს ფორმოზუსი და თუ ამას არაფერი  
უდგას წინ, თუ ძვირფასი მამიკოც თანახმააო... ერთი სიტყვით, ულ-  
რიკემ ყველაფერი თქვა, რასაც ასეთ შემთხვევაში ამბობენ ხოლმე  
ქალიშვილები, კარგა ხანია უკან რომ ჩამოიტოვებს გაფურჩქნის ხა-  
ნა და ტვინს მხოლოდ ერთადერთი კითხვა უბურღავთ: „ნეტავი ვინ  
იქნება ის კაცი, ვინც ბოლოს და ბოლოს საკურთხეველთან მიმიყ-  
ვანსო?“ ქალიშვილის პასუხის შემდეგ პრეზიდენტმა ფორმოზუსს  
უთხრა: „აბა, ჩემო ბიჭუნავ! გამხნევდი, გამხიარულდი და ულრიკე  
შენად იგულეო!“

ასე და ამრიგად, ულრიკე ფორმოზუსის საცოლე გახდა. ყველას  
გულით გაუხარდა ლამაზი, თავმდაბალი ყმაწვილის გაბედნიერება.  
ამ ამბავმა მხოლოდ ერთი ადამიანი ჩააგდო სასოწარკვეთაში და სი-  
ცოცხლე მოუწამლა. ეს ფორმოზუსის განუყრელი მეგობარი, ვალ-  
ტერი გახლდათ, ვალტერს სულ რამდენჯერმე ჰყავდა ნანახი ულ-  
რიკე და ხეირიანად არც დალაპარაკებოდა ქალს, მაგრამ ისე ვნე-  
ბიანად შეუყვარდა, ფორმოზუსის ტრფობა იმასთან მონაგონი იყო!  
კაცმა რომ თქვას, აი, უკვე რა ხანია სიყვარულსა და მიჯნურობაზე  
გემასლაათები, ძვირფასო მურ, და არ ვიცი, ყოფილხარ კი ოდესმე  
შეყვარებული, გამოგიცდია კია ეს გრძნობა?

— საყვარელო პონტო, — მიუუგე მეგობარს, — აბა, რა გითხრა.  
არა მგონია, დღემდე ვინმე მყვარებოდეს. მართალია, ეს გრძნობა  
ბევრ პოეტსა აქვს აღწერილი, მაგრამ პირადად მე მსგავსი რამ არ  
განმიცდია. რა თქმა უნდა, ყველა პოეტს არ დაეჯერება. მაგრამ  
იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებ, რაც სიყვარულზე გამიგია, ან წა-  
მიკითხავს, აი, რა შემიძლია გითხრა: სიყვარული სულიერი დააუ-  
დების ერთ-ერთი ნაირსახეობა გახლავთ და ადამიანებში სიგიჟის  
ნიშნებით ვლინდება ხოლმე. სასიყვარულო ტანჯვა ისეთი სენია,  
როცა ადამიანი ამა თუ იმ არსებას ისეთ ნიშან-თვისებებს მიაწერს,  
რომელიც მას სინამდვილეში არ გააჩნია. აი, მაგალითად, დაინახავს  
კაცი ვინმე დაგვაჯულ, ჩატუკნულ გოგოს, წინდის საქსოვად რომ  
მიმჯდარა კუთხეში, და იტყვის, ეს რა ქალღმერთი გამომეცხადაო.

ახლა კი, ძვირფასო პონტო, კვლავ განაგრძე თხრობა იმ ორ მეგობარზე.

— ვალტერი გადაეხვია ფორმოზუსს, — განაგრძო პუდელმა — და მწარედ აქვითინებულმა უთხრა: „მართალია, მთელი ცხოვრების იმედსა და ბედნიერებას მართმევ, მაგრამ ჩემთვის ისიც დიდი ნუგეშია, რომ ეს ბედნიერება შენი წილხვედრი იქნება! მაშ, მშვიდობით, ჩემო ძვირფასო მეგობარო! მშვიდობით, აწ და მარადის!“ ამის შემდეგ ვალტერმა დაბურულ ტყეს მიაშურა, რადგან თავის მოკვლა ჰქონდა განზრახული. მაგრამ უბედურს გაწამაწიაში დამბაჩის დატენა დავიწყებოდა და საქმე სასოწარკვეთილი ვაი-შეძახილებითა და თავში ცემით დამთავრდა. ასეთი სიგიჟის მსგავსი შეტევები ამიერიდან ყოველდღე უმეორდებოდა საბრალოს. ფორმოზუსს კარგა ხანია არ ენახა მეგობარი. ერთ დღესაც სტუმრად ეწვია და აი, რა იხილა მისმა თვალებმა: ვალტერს მუხლი მოეყარა ულრიკეს პასტელით შესრულებული პორტრეტის წინ და ხმამაღლა მოთქვამდა თავის უიმედო სიყვარულზე. „არა, — შესძახა ფორმოზუსმა და მკერდში ჩაიკრა მეგობარი, — არაფრით არ ძალმიძს ამ საშინელი ტანჯვის ყურება. მეტი გზა არ არის, მსხვერპლად უნდა მოგიტანო საკუთარი ბედნიერება! ულრიკეზე უარი განვაცხადე და მოხუცი მამაც დაუარწმუნე, რომ მხოლოდ და მხოლოდ შენ უყვარხარ, თუმცა, ჯერ კიდევ მთლად და ცხადად ვერ შეუგრძნია ეს ამბავი. მიდი, სთხოვე მოხუცს ქალიშვილის ხელი, მე კი გზიდან ჩამოგეცლები. მშვიდობით!“ ფორმოზუსმა წასვლა დააპირა, მაგრამ მეგობარმა შეაჩერა იგი. ვალტერს თავი სიზმარში ეგონა და არ სჯეროდა თავისი ბედნიერებისა, ვიდრე ფორმოზუსმა მოხუცი პრეზიდენტის ხელით დაწერილი ბარათი არ აჩვენა. ბარათში დაახლოებით შემდეგი ეწერა: „კეთილშობილო ყმაწვილო! გამარჯვება შენ დაგრჩა! სინანულით გემშვიდობები და ამავე დროს მოწიწებით ვხრი თავს შენი მეგობრული თავდადების წინაშე. ასეთი მეგობრობა მე თავისებურ გმირობად მესახება. მსგავსი რამ ანტიკურ ავტორებთან თუ წამიკითხავს მხოლოდ. რამდენადაც ვიცი, ბატონი ვალტერი ღირსეული ყმაწვილია და შემოსავლიანი თანამდებობაც უკავია. თუკი ინებებს და ჩემი ულრიკეს ხელს მთხოვს, ხოლო ულრიკე, თავის მხრივ, მიიღებს ამ წინადადებას, მე, ჩემდათავად, არაფერი მექნება საწინააღმდეგო“. ამის მერე ფორმოზუსი მართლა სადღაც გადაიხვეწა, ვალტერმა კი ულრიკეზე დაიწერა ჯვარი.



მოხუცმა პრეზიდენტმა ფორმოზუსს კიდევ ერთი ბარათი მისწერა. მას ქებით ცაში აჰყავდა ყმაწვილი და სთხოვა, პატოვი დამდე და სამი ათასი ტალერი მიიღე ჩემგან, ოღონდ არ იფიქრო, ამით დანაკარგის ანაზღაურება მინდოდეს, რადგან ამგვარ დანაკარგს ამქვეყნად ვერაფერს აგინაზღაურებს; ამით მხოლოდ ის მინდა, ეს თანხა მიიღო, როგორც ჩემი გულწრფელი კეთილგანწყობილების დადასტურებაო. ფორმოზუსმა მოხუცს ამაზე უპასუხა: კარგად მოგეხსენებათ, დიდი მოთხოვნილებების კაცი არასოდეს ვყოფილვარ. ფული ბედნიერებას ვერასოდეს მომანიჭებს და მხოლოდ დროს ძალუძს განმიკურნოს და კოდილი გულიო. ბედისწერამ ინება, ულრიკესადმი სიყვარულის ცეცხლი ჩემი ერთგული მეგობრის გულში დაენთო. მეც სწორედ ბედისწერის წინაშე დავყარე ფარ-ხმალი და ამიტომ ჩემს კეთილშობილებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტიაო. „ისე, კაცმა რომ თქვას, — წერდა ფორმოზუსი, — თანახმა ვარ, იმ პირობით მივიღო ფული, თუ იგი მაგან ხელმოკლე ქვროვს გადაეცემა, თავის ქველმოქმედ ქალიშვილთან ერთად რომ ცხოვრობს ამა და ამ ადგილასო“. ქვროვი მოძებნეს და ფორმოზუსის კუთვნილი სამი ათასი ტალერიც გადასცეს. გამოხდა ხანი და ვალტერმა მისწერა ფორმოზუსს: „ძვირფასო მეგობარო, უშენოდ სიცოცხლე აღარ ძალმიძს; დაბრუნდი, რომ მხურვალედ ჩაგიკრა გულშიო!“ ფორმოზუსმა შეასრულა მეგობრის სურვილი და ქვია. ვალტერმა აუწყა, ჩემს საპატიო და შემოსავლიან ადგილზე უარი განუცხადე იმ პირობით, რომ ჩემ მაგვრად შენ დაგნიშნავდნენ. ვიცი, დიდი ხანია ოცნებობდი ასეთ სამსახურზეო. ფორმოზუსმა მართლა მიიღო შეპირებული ადგილი და მშვენივრად მოეწყო, თუ არ ჩავთვლით ულრიკესთან დაკავშირებულ დამსხვრეულ ოცნებას. მთელი ქალაქი გაოცებული იყო მეგობრების კეთილშობილებით, მათი საქციელი დიდი ხნის გარდასულ დღეთა ექოდ გაისმოდა და იმ გმირობას ჰგავდა, რომლის ჩადენაც მხოლოდ ამაღლებული სულის ადამიანთა ხვედრია ხოლმე.

— მართლაცადა, — დაუიწყე მე, როდესაც პონტო დადუმდა, — შენი ნაამბობიდან დაუასკვენი, რომ ვალტერი და ფორმოზუსი კეთილშობილი, ძლიერი სულის ადამიანები არიან და საკუთარ თავსაც კი დაუფიქრებლად შესწირავენ მსხვერპლად მეგობარს. ამ ადამიანებმა, რა თქმა უნდა, არაფერი იციან შენი ნაქები ცხოვრებისეული სიბრძნის შესახებ.

— კმ... — გესლიანად ჩაიღიმა პონტომ, — ეს ჯერ კიდევ სა-  
კითხავია, ჩემო კარგო! ახლა ორიოდე წვრილმანზეც მოგახსენებ,  
ხალხისთვის რომ შეუმჩნეველი დარჩა. მე კი ზოგი რამ ჩემი პატ-  
რონისაგან, ზოგიც საკუთარი დაკვირვებების წყალობით შევიტყ-  
ვე. როგორც გამოირკვა, ფორმოზუსს არცთუ მაინცდამაინც გა-  
გიჟებით ჰყვარებია პრუზიდენტის მდიდარი ქალიშვილი, როგორც  
ეს ულრიკეს მოხუც მამას ეგონა. თურმე სწორედ იმ ვნებიანი  
სიყვარულის დროს, როდესაც ყმაწვილი მთელი დღეები უიმედო  
ცრემლებს ღვრიდა, ხელიდან მაინც არ უშვებდა შემთხვევას, ყო-  
ველ საღამოს ერთი კოხტა მკერავი ქალი მოენახულებინა. მხო-  
ლოდ მას შემდეგ, რაც ულრიკე ფორმოზუსის საცოლე გახდა,  
ვაჟს შესაძლებლობა მიეცა, დაენახა, ეს ანგელოზისდარი ქალწუ-  
ლი დროდადრო რა მშვენიერად ფლობდა სატანად გარდასახვის  
რთულ ხელოვნებას. გარდა ამისა, ფორმოზუსმა ფრიად სარწმუნო  
წყაროებიდან კიდევ ერთი არასასიამოვნო ამბავი შეიტყო: თურმე  
ფროილან ულრიკეს დედაქალაქში ცხოვრების დროს მდიდარი  
გამოცდილება ჰქონია მიღებული სიყვარულის სფეროში. სწორედ  
ამის მერე შეიპყრო ფორმოზუსი კეთილშობილების გრძნობამ და  
გადააწყვეტინა, თავისი მდიდარი საცოლე მეგობრისათვის დაეთ-  
მო. მერე ის იყო, განგებამ ინება და ვალტერს მართლა მთელი  
გზნებით შეუყვარდა ულრიკე, ქალი, რომელიც დიდი გემოვნებით  
იცვამდა, და საზოგადოებაში ყოველთვის ნატიფ ტანისამოსში გა-  
მოწყობილი ჩნდებოდა. ულრიკესთვის კი, ბოლოს და ბოლოს, საუ-  
სებით სულერთი იყო, ვინ გახდებოდა მისი ქმარი: ვალტერი თუ  
ფორმოზუსი. მართალია, ვალტერს კარგი თანამდებობა ეჭირა,  
მაგრამ ბოლო დროს ისე აურ-დაურია ყველაფერი და ისე გადა-  
ამლაშა, ახლო ხანში, ალბათ, სამსახურიდან გადაყენება არ ასც-  
დებოდა, ჰოდა, მან მიზანშეწონილად ჩათვალა, მეგობრის სასარ-  
გებლოდ თავის ადგილზე უარი განეცხადებინა და ამ კეთილშობი-  
ლური საქციელით საკუთარი ღირსება ეხსნა. სამი ათასი ტალერი  
ქაღალდის ბანკოტებით მაგან დარბაისელ მოხუც მანდილოსანს  
ერგო, იმ კოხტა მკერავი ქალის ხან დედას, ხან დეიდას, ხან კი  
დიასახლისს რომ განასახიერებდა. ამ საქმეში მოხუცი მანდილო-  
სანი ორმაგ როლს ასრულებდა: ფულის მიღების დროს იგი ვი-  
თომ მკერავი ქალის დედა იყო; მერე კი, როცა ფული ჩაითვალა



და თვითონაც კარგი გასამრჯელო მიიღო, მის შინამოსამსახურედ გადაიქცა. იმ ახალგაზრდა მკერავ ქალს უკვე შენც იცნობ, ჩემო საყვარელო მურ. ახლახან იგი ფორმოზუსთან ერთად ფანჯრიდან იყურებოდა. კაცმა რომ თქვას, ორივე მეგობარი მშვენივრად მიხვდა, თუ როგორ აჯობეს ერთმანეთს კეთილშობილებისათვის გამართულ შეჯიბრებაში. ისინი კარგა ხანი გაუბოდნენ შეხვედრას, რათა არ დასჭირვებოდათ ერთურთისათვის ხოტბის შესხმა. ამიტომაც იყო დღეს, როდესაც ისინი შემთხვევამ ქუჩაში შეჰყარა, მათი სალამი ასე მეგობრული და თბილი.

სწორედ ამ დროს ქუჩაში საშინელი ალიაქოთი ატყდა. ხალხი თავქუდმოგლეჯილი დარბოდა წინ და უკან. ისმოდა შეძახილები: „ხანძარია! ხანძარია!“ ცხენის ფლოქვების საშინელი თქარათქურისგან ყურთასმენა აღარ იყო. ქვაფენილზე გრუხუნით მიქროდნენ ეტლები. იქვე ახლოს, რომელიღაც სახლის ფანჯრიდან კლაკნით ამოდიოდა ცეცხლის ენები, ბოლის შავი ბოლქვები ზღაზვნით მიიწევდნენ ცაში... პონტო თავქუდმოგლეჯილი გაუარდა სადღაც. მე საშინლად შემეშინდა და იქვე კედელზე აყუდებულ მაღალ კიბეზე ავცოცდი. მალე სახლის სახურავზე ამოვყავ თავი. აქ კი არავითარი საფრთხე აღარ მელოდა, მაგრამ უეცრად მომეჩვენა...

(სამაკ. თაბ.) ...და ისე, რომ არც პოფმარშლისათვის და არც მორიგე კამერპერებისათვის არ მოუხსენებია, სრულიად მოულოდნელად შემოიჭრა... — თქვა მთავარმა ირუნეუსმა, — ძალიან გთხოვთ ეს ამბავი ჩვენ შორის დარჩეს, არ მინდა გახმაურდეს, — წარმოგიდგენიათ, სწორედ ამ დროს სასახლეში არც ერთი ლაქიის ჭაჭანება არ ყოფილა თურმე. ეს სახედრები ბანქოს თამაშით ყოფილან გართული! ო, ბანქო ხომ ყველაზე დიდი ბოროტებაა ამქვეყნად! ეს ვაჟბატონი კი ის-ის იყო კარის შემოღებას აპირებდა! სწორედ ამ დროს, სრულიად შემთხვევით, გაუვლია სასახლის მზარეულთუხუცესს და უკითხავს, ვინ ბრძანდებით და როგორ მოვახსენო თქვენ შესახებ მთავარსო. მიუხედავად ამისა, თქვენ წარმოიდგინეთ, მას ჩემზე ურიგო შთაბეჭდილება არ მოუხდენია; ყმაწვილი საკმაოდ ზრდილი და თავაზიანი ჩანდა! მგონი, თქვენგან გამიგია, იგი ყოველთვის უბრალო მუსიკოსი არ ყოფილა, ერთ დროს მაღალი თანამდებობაც ეკავო, არა?

მაესტრო აბრაჰამმა მოახსენა, უწინ კრაისლერს, რა თქმა უნდა, სულ სხვა პირობებში უხდებოდა ცხოვრებაო. მას პატოვიც კი ჰქონდა, მისი უდიდებულესობის სუფრასთან მჯდარიყო და მხოლოდ დროის დამანგრეველმა ქარიშხალმა აიძულა, ხელი აელო უზრუნველ ცხოვრებაზე. საერთოდ კი, კრაისლერი ამჯობინებს, — დასძინა მაესტრომ, — თუ მის წარსულს დუმილით აუვლიან გვერდსო.

— ასე და ამრიგად, — წამოიწყო მთავარმა, — სულ ადვილი შესაძლებელია, იგი ვინმე დიდგვაროვანიც კია: ბარონი ან გრაფი, ანდა, ვინ იცის... მაგრამ სრული უაზრობაა ახლა ამაზე ლაპარაკი! ასეა თუ ისე, კარგად მოგეხსენებათ, როგორ მიყვარს მსგავსი მისტერიები! ჰო, ჰო, რა მხიარული დრო იყო საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ: მარკიზები ლუქს აღნობდნენ, გრაფები კი საღამურ ჩაჩებს ქსოვდნენ და ყველას უნდოდა, მისთვის „მოსიე“-თი მიემართა. დიანახ, ეს დიდებული მასკარადი გახლდათ, ყველანი სიცილით ბჟირდებოდნენ. მაგრამ, მოდი, ისევ ბატონ ფონ კრაისლერს მივუბრუნდეთ. ქალბატონი ბენცონი მშვენივრად ერკვევა ხოლმე ასეთ სიტუაციებში. აი, ახლაც მან ძალზე აქო და მშვენივრად დაახასიათა ეს ყმაწვილი. ძალიან კარგი, რომ ქალბატონი მრჩეველი არ შემცდარა. უმაღლესა თვალში, რომ კრაისლერი ქუდს იღლიის ქვეშ ამოდებულს დაატარებს. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ძალიან ზრდილი და განათლებული ყმაწვილი უნდა იყოს!

მთავარმა რამდენიმე სიტყვით გარუგნობაც შეუქო კრაისლერს, ასე რომ, მაესტროს იმედი ჩაესახა, ალბათ, შეეძლებ ჩემი გეგმის განხორციელებასო. ეს გეგმა კი, აი, რაში მდგომარეობდა: მაესტროს განზრახული ჰქონდა, თავისი საყვარელი მეგობარი როგორმე სასახლის კარის კაპელმაისტერად მოეწყო და ამ გზით ეიძულებინა, ზიგჰარტსვაილერში დარჩენილიყო. მაგრამ, როდესაც ერთხელ კიდევ ჩამოაგდო ამაზე ლაპარაკი, მთავარმა სრულიად გადაჭრით მოახსენა, ამ საქმიდან არაფერი გამოვაო.

— თავად განსაჯეთ, მაესტრო, — დაიწყო მან, — აბა, როგორ შეეძლებ ამ ზრდილი, სასიამოვნო ყმაწვილის ჩემს ვიწრო ოჯახურ წრეში შემოყვანას, თუკი მას კაპელმაისტერობას მივცემ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ჩემს მსახურად ვაქცევ? იქნებ მისთვის სხვა უფრო მაღალი თანამდებობა მიმეცა, ასე, მაგალითად,



maître de plaisir, ანდა maître spectacles-სა.<sup>1</sup> მაგრამ, მეორე მხრით, მას ხომ შესანიშნავად ესმის მუსიკა და, როგორც თავად ბრძანეთ, თეატრის საკითხებშიც საკმაოდ კარგადაა გათვითცნობიერებული. მე კი, კარგად მოგეხსენებათ, არც ერთი წუთით არ მინდა ვულგარული ცხონებული მამაჩემის შეხედულებებს. ამ საკითხზე იგი ყოველთვის ამბობდა: ღმერთმა დაგვიფაროს, რომ maître-მადლიან კარგად იცოდეს ის საქმე, რომელიც აბარიაო. არაფერი საჭირო არ არის, ძირისძირობამდე სწვდებოდეს ყველაფერს და მეტისმეტად ელოლიავებოდეს მსახიობებს, მუსიკოსებსა და სხვა მისთანებსო. განა უმჯობესი არ იქნება, თუ ბატონი კრაისლერი ჩვენთან ინკოგნიტოდ დარჩება და უცხოელი კაპელმაისტერის სახელით იცხოვრებს? მაშინ ადვილად მოახერხებს შინაური კაცი გახდეს სასახლის კარზე. აბა, გაიხსენეთ, მუშაითის ნილაბს ამოფარებული ერთი საკმაოდ ცნობილი პიროვნება<sup>2</sup> ამ რამდენიმე ხნის წინ როგორ შეიქცევდა და ართობდა დიდგვაროვანთა საზოგადოებას?

მთავარმა დაინახა, რომ მაესტრო აბრაჰამმა წასვლა დააპირა და სწრაფად ესროლა:

— მაესტრო, როგორც ვხედავ, გადაგიწყვეტიათ, ბატონი ფონ კრაისლერის chargé d'affaires<sup>3</sup> ბრძანდებოდეთ. ამიტომ არ დაგიმალავთ და გულახდილად მოგახსენებთ, რომ მისი ხასიათის ორი თვისება არ მომეწონა. კაცმა რომ თქვას, შესაძლოა, ეს თვისება კი არა, უბრალოდ ჩვეულებაც კი იყოს. ვგონებ, ხვდებით, რისი თქმაც მსურს. პირველი: როდესაც ველაპარაკები, თვალთვალში გაყრილი, ჯიქურ მიყურებს ხოლმე. როგორც მოგეხსენებათ, მე არცთუ ცუდი თვალების პატრონი გახლავართ და, როცა საჭიროა, ფრიდრიხ დიდის მსგავსად შესანიშნავად მეხერხება, მრისხანება ვაკვესო თვალთაგან. ვერც ერთი კამერჰერი, ვერც ერთი პაუი ვერ

<sup>1</sup> სხვადასხვა სანახაობის ხელმძღვანელი (ფრანგ.).

<sup>2</sup> „მუშაითის ნილაბს ამოფარებული ერთი საკმაოდ ცნობილი პიროვნება... როგორ შეიქცევდა და ართობდა დიდგვაროვანთა საზოგადოებას“ — ეტყობა, აქ მწერალი ცნობილ ანტიურისტს, გრაფ კალიოსტროს გულისხმობს. ალექსანდრ ფონ კალიოსტრო (ნამდვილი გვარი და სახელი ყოზუფ ბალზამო — 1743-1795) წარმოშობით იტალიელი, მისდევდა ალქიმიკოსობას; ანტიურისტსა და თაღლითს, გაუარდნილი ჰქონდა ჯადოქრის სახელი; ვითომდა გააჩნდა სულელების გამოხმობის უნარი; ჭრიდა ყალბ ფულს.

<sup>3</sup> რწმუნებული (ფრანგ.).

მისწორებს მზერას, როდესაც განრისხებული ვუყურებ თვალებში და ვეკითხები ამ mauvais sujet-ს<sup>1</sup> კიდევ ახალი ვალები ხომ არ დაუდვია ან მარციპანი ხომ არ შეუსანსლაგს-მეთქი? ბატონ ფონ კრაისლერს კი, რამდენიც გინდა, იმდენი უბრიალე თვალები, აინუნშიც არ აგდებს ჩემს მზერას და პასუხად მხოლოდ იღიმება. ბოლოს და ბოლოს, თავად ვერ ვუძლებ მის გამოხედვას და იძულებული ვხდები, თვალი ავარიდო ხოლმე. მეორე: მისი სიტყვა-პასუხი და საუბრის კილო საშინლად მოქმედებს ადამიანზე. მასთან საუბარში ძალაუნებურად გებადება კითხვა: ჩემს აზრებს ცოტა უაზრობის ელფერი ხომ არ დაჰკრავსო? და, მაშასადამე, გამოდის, რომ... წმინდა იანუარიუსს გეფიცებით, ყოველივე ეს ძალზე მძიმე ასატანია და თქვენ, მაესტრო, ყველაფერი უნდა იღონოთ, რომ ბატონმა ფონ კრაისლერმა ეს ორი საშინელი ჩვეულება როგორმე მოიშალოს.

მაესტრო აბრაჰამმა სიტყვა მისცა მის უდიდებულესობას, თქვენს ყველა სურვილს შევასრულებო და კვლავ წასასვლელად მოემზადა. მაგრამ მთავარმა ახლა პრინცესა ჰედვიგაზე ჩამოაგდო ლაპარაკი და მაესტროს შესჩივლა, ვერაფრით ამიხსნია, რატომ აღეძრა ჩემს ქალიშვილს ასეთი სიძულელი გრძნობა კრაისლერის მიმართო. მერე დასძინა: აი, უკვე რამდენიმე ხანია, პრინცესას უცნაური მოჩვენებები და საშინელი სიზმრები ტანჯავს, რისთვისაც სასახლის კარის მკურნალმა მომაგალი გაზაფხულისთვის შრატით მკურნალობაც კი დაუნიშნაო. სულ ახლახან კი პრინცესას საშინელი აზრი აეკვიატა. გაიძახის, კრაისლერი საგიჟედან არის გამოქცეული და პირველივე ხელსაყრელ შემთხვევაში რამე უბედურებას დაგვაწვეს თავსო.

— ერთი ეს მითხარით, მაესტრო, — იკითხა მთავარმა, — აბა, ამ გონიერ ადამიანს რა ეტყობა სიგიჟისა?

მაესტრო აბრაჰამმა დაარწმუნა მთავარი, კრაისლერზე ისევე ითქმის შემლილი, როგორც, მაგალითად, ჩემზეო. ერთი კია, დროდადრო, ცოტა არ იყოს, უცნაურად იქცევა და თავისი საქციელით ძალზე მოგვაგონებს პრინც კამლეტს. სწორედ ამის გამო დაჰკრავს მის პიროვნებას ასეთი იდუმალების იერიო.

<sup>1</sup> უსაქმური (ფრანგ.).



— რამდენადაც ვიცი, — თქვა მთავარმა, — ჭაბუკი ჰამლეტი უძველესი სამეფო საგვარეულოს ნაშთიერი გახლდათ მაგრამ, დროდადრო დაიჩემებდა ხოლმე, ყველა დიდგვაროვანი აუცილებლად ფლექსიონზე უნდა უკრავდესო. რა გაქვობა! მაღალი წრის ადამიანს სადღაც უხდება კიდევ ასეთი ახირებულობა, ეს მხოლოდ და მხოლოდ აძლიერებს პატივისცემას მის მიმართ ვინმე უთვისტომოსა და მდაბიოს ბრწყინვალე აზრიც კი შეიძლება სისულელედ ჩაუთვალონ, დიდგვაროვანის სულელურ ახირებულებას კი უზომოდ დიდი ტვინის ჭირვეულ თამაშად მიიჩნევენ ხოლმე, რამეთუ თავისი წარმოშობითა თუ მდგომარეობით ყველაში მოწიწებასა და აღფრთოვანებას იწვევს. რა თქმა უნდა, უმჯობესი იქნებოდა, ბატონი კრაისლერი თავის ქერქში დატეულიყო. მაგრამ, რაკილა ასეთი დიდი სურვილი აქვს, პრინც ჰამლეტს მიჰბადოს, რა გაქვობა! ეს მხოლოდ და მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ბატონ კრაისლერს მოჭარბებულად აქვს ამაღლებულისადმი სწრაფვის სანაქებო გრძნობა, რაც, ეტყობა, თავისი განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭის წყალობით განუვითარდა. ამიტომაც კაცმა ხანდახან შეიძლება აპათიოს კიდევ უცნაური ახირებულობა.

როგორც ეტყობოდა, მაესტრო აბრაჰამს იმ დღეს არ ქწერა შინ წასვლა; აი, მან კვლავ გამოალო კარი და გამოსვლა დააპირა, რომ მთავარმა ხელახლა მიაბრუნა იგი. ამჯერად, მის უდიდებულესობას სურდა, შეეტყო, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო კაპელმაისტერისადმი პრინცესის ესოდენ დიდი სიძულვილის მიზეზი. მაესტრომ უამბო მთავარს, რა პირობებში ნახეს პირველად კრაისლერი პრინცესამ და იულიამ. მერე ისიც დასძინა: იმ დროს კაპელმაისტერი ისე იყო აღელვებული, ადვილი შესაძლებელია, მართლა მოქდინა არასასიამოვნო შთაბეჭდილება პრინცესასთან სათუთი გრძნობების ქალიშვილზეო.

მთავარმა, ცოტა არ იყოს და, ფიცხად თქვა: იმედია, ბატონი ფონ კრაისლერი ზიგჰარტსვაილერში ფეხით არ მობრძანებულა და თავისი ეტლი სადმე ხეივანში დატოვა, რამეთუ მხოლოდ ბოროტმოქმედებსა და ფათურაკის მაძიებლებს აქვთ ჩვეულებად ფეხით ხეტი-ალიო.

მაესტრო აბრაჰამმა მის უდიდებულესობას ერთი გულადი ოფიცრის მაგალითი მოუყვანა და გაახსენა, ლაიფციგიდან სირაკუზამდე

მან ისე გაიარა გზა,<sup>1</sup> ერთხელაც არ შეუკეთებია თავისი ჩექმების ლანჩებიო. მაგრამ, რა თქმა უნდა, — დასძინა მაესტრომ, — კრაისლერს ეს არ შეეხება, რადგან თავისი ეტლი ნამდვილად სადღაც კარკში დატოვაო. ამჯერად, მთავარი, ეტყობა, კმაყოფილი დარჩა მაესტროს ახსნა-განმარტებით.

ვიდრე მისი უდიდებულესობა და მაესტრო აბრაჰამი ამ საუბრით იყვნენ გართული, იოჰანესი ქალბატონ მრჩვეულთან გახლდათ სტუმრად. იგი მისჯდომოდა ერთ-ერთ ბრწყინვალე ფორტეპიანოს, ნანეტე შტრაიხერის<sup>2</sup> ჯადოსნური ხელების ნახელავს, და აკომპანიატორობდა იულიას, კლიტემნესტრას ცეცხლოვან რეჩიტატივს რომ ასრულებდა გლუკის ოპერიდან „იფიგენია აულიდში“.

ბიოგრაფი ცდილობს, რაც შეიძლება მართლად დაგვიხატოს თავისი გმირი, რის გამოც, სამწუხაროდ, იძულებულია, შიგადაშიგ საკმაოდ უცნაურ ადამიანადაც კი წარმოგვიდგინოს იგი; ამიტომაც მუსიკალური ექსტაზის წუთებში, თუ მას გარეშე თვალი შეხედავს, კაცმა შეიძლება გიჟადაც ჩათვალოს. ჩვენ ზევით უკვე მოვიყვანეთ მაგალითი, თუ როგორ მაღალფარდოვნად მიმართავდა იულიას მისი სიმღერით აღფრთოვანებული კრაისლერი. აბა, გაიხსენეთ მისი სიტყვები:

„...თქვენს სიმღერაში გრძნეული ძალით გამოსჭვიადა მტანჯველი სიყვარულის მთელი ნალველი, ტკბილი ოცნებების, იმედისა და წადილის აღმაფრენა; ყოველივე ეს, ერთ დიდებულ თაიგულად შეკრული, თავს დაჰფარფატებდა ტყე-ველს, მაცოცხლებელ ნექტრად ეპკურებოდა ყვაუილთა ხალიჩას, ხსნად იჭრებოდა სმენად გატრუნული ბუღბუღების გულში“. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, რა თქმა უნდა, კრაისლერის აზრი იულიას მუსიკალური ნიჭის თაობაზე ანგარიშგასაწევი არ უნდა იყოს. და მაინც, ბიოგრაფი სარგებ-

<sup>1</sup> „ერთი გულადი ოფიცრის მაგალითი მოუყვანა: ლაიფციგიდან სირაკუსამდე მან ისე გაიარა გზა“ — იგულისხმება გერმანელი მწერალი იოჰან გოტფრიდ ზაიმე (1763-1810), რომელიც 90-იან წლებში ვარშავაში, რუსეთის არმიაში მსახურობდა ოფიცრად. წიგნში „გასეირნება სირაკუსაში“ (1803) აღწერა თავისი მოგზაურობა. მან ფეხით გაიარა გზა ლაიფციგიდან სირაკუსამდე და უკან.

<sup>2</sup> ნანეტე შტრაიხერი (1769-1833) — გერმანელი ფორტეპიანოს ოსტატი; ცნობილი აუგსბურგელი ფორტეპიანოსა და ორღანის ოსტატის, იოჰანეს ანდრუას შტაინის (1728-1792) ქალიშვილი, მამის სიკედილის შემდგომ ნანეტემ და მისმა ძმამ განაგრძეს მისი საქმე. ნანეტე ცნობილი პიანისტიცა და ფორტეპიანოების ფაბრიკანტის, იოჰან ანდრუას შტრაიხერის 1761-1833 მეუღლე იყო.



ლობს შემთხვევით და სურს, დაარწმუნოს ძვირფასი მკითხველი, რომ იულიას სიმღერაში, ეტყობა, მართლაც იყო რაღაც იდეალური და საოცრად მიძზიდველი; იგი, ამავე დროს, სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ, სამწუხაროდ, არასოდეს მოუსმენია ეს სიმღერა.

მაგალითისათვის ყველაზე დარბაისელი ადამიანები ავიღოთ აი, მათ სულ ახლახან მოიკვეცეს ნაწნავები. ერთ მათგანს სისხლის სამართლის რთული საქმე აქვს გახსნილი, მეორეს ვერაგი, განუკურნებელი სენისთვის გამოუტაცია აუადმყოფი, ან არა და ვინმე ყმაწვილი კარგა გვარიანად შეუხურებია აღვირახსნილი საქციელის გამო. პოდა, ეს ადამიანები ისხდნენ თეატრში, უსმენდნენ გლუკის, მოცარტის, ბეთჰოვენის, სპონტინის<sup>1</sup> მუსიკას და არაუითარ სულიერ თრთოლას არ განიცდიდნენ. და აი, ასეთი ადამიანებიც კი ხშირად ირწმუნებოდნენ, ფროილან იულიას სიმღერის დროს რაღაც საოცარი ნეტარება გვიპყრობსო. როგორ და რა მიზეზით ხდებოდა ეს, ვერავინ აგიხსნიდათ რაღაც უცნაური, ტკბილი კაეშანი ეუფლებოდა მათ სულს, საშინლად აცუნდრუკდებოდნენ ხოლმე, ტაკიმასხარაობდნენ და ვინ მოთვლის, რამდენ სისულელეს არ სჩადიოდნენ კიდევ. აქვე არ შეიძლება ერთი ამბავი არ გაგიხსენოთ ერთხელ თურმე იულია სასახლეში მთავრის თანდასწრებით რომელიღაც სიმღერას მღეროდა. დამსწრეთა ყურს არ გამოჰპარვია, როგორ ოხრავდა და გმინავდა მისი ბრწყინვალეობა. სიმღერის დამთავრების შემდეგ იგი გოგონასთან მისულა, ხელზე მთხვევია და თვალცრემლიანს, ღაღადით წარმოუთქვამს: „უძვირფასესო ფროილანო“. პოფმარშალი ირწმუნებოდა, მთავარი ირენეუსი ნამდვილად ეამბორა პატარა იულიას ხელზე და ორი ცრემლიც გადმოუგორდა თვალთაგანო. მაგრამ ეს ჭორი მალე ჩაფარცხეს, რადგან ქალბატონი ობერპოფმანისტერის აზრით, იგი თავისი უხამსობით ძირს უთხრიდა სასახლის კარის სიწმინდესა და პატიოსნებას.

იულიას ზაროვით წკრიალა, სასიამოვნო ხმა ჰქონდა. თან ისეთი გრძნობითა და თაუდაუიწყებით მღეროდა, კაცი მაშინვე იგრძნობდა: ასეთ ხმას მხოლოდ ათრთოლებული გულის სიმები გამოსცემენ ხოლმე. სწორედ ამაში გახლდათ ის საოცარი მომხიბვლელობა, რითაც იგი ახლაც, ამ წუთშიც, ასე აღაფრთოვანებდა მსმენელებს.

<sup>1</sup> გასპარო სპონტინი (1774-1851) — იტალიელი ხაოპერო კომპოზიტორი. მისი მუსიკაზე ცნობილი ოპერაა „ვესტალი“.

ყველანი სულგანაბული უსმენდნენ და ტკბილი ნეტარებით ევსებოდათ გული. იულია დადუმდა. გაოგნებულ მსმენელთა აღფრთოვანებამ კი მხოლოდ რამდენიმე წუთის მერე ამოხეთქა; ამოხეთქა მხურვალედ, თავშეუკავებლად. მხოლოდ საგარძლის ზურგს მიყრდნობილი კრაისლერი იჯდა უხმოდ და არ იძვროდა. ბოლოს, ნელ-ნელა წამოდგა. სწორედ ამ დროს იულია მისკენ შეტრიალდა. მისი შხერა აშკარად ამბობდა: „ნუთუ მართლა ასე კარგად ვიმღერეო?“ მაგრამ როცა კრაისლერმა გულზე ხელი დაიდო და აკანკალებული ხმით, ჩურჩულით წარმოთქვა: „იულიაო“, გოგონას სახე შეეფაკლა, თვალები დახარა და მოსხლეტით გაიჭრა გარშემორტყმულ მანდილოსანთა წრიდან.

ქალბატონმა ბენცონმა დიდი ვაი-ვაგლახით დაითანხმა პრინცესა ჰედვიგა, დასწრებოდა ამ საღამოს, რადგან იცოდა, რომ აქ იგი აუცილებლად შეხვდებოდა კრაისლერს. ჰედვიგა მხოლოდ მაშინ დანებდა, როცა ქალბატონმა მრჩველმა დამაჯერებლად აუხსნა, ასეთი საქციელი ნამდვილი ბავშვობაა, როგორ შეიძლება ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ იმის გულისათვის შეიძულოს კაცმა, რომ სხვებს არა ჰგავს, მათსავით ერთ თარგზე არ არის მოჭრილი და ხანდახან უცნაურად იქცევაო.

მთელი საღამო პრინცესა ჰედვიგა მოხერხებულად გაურბოდა კაპელმაისტერს. კრაისლერი ბუნებით გულკეთილი და უბოროტო კაცი იყო, ამიტომაც გულწრფელად უნდოდა პრინცესისთვის პატიება ეთხოვა თავისი საქციელის გამო. რა არ იღონა, რა ხერხი არ იხმარა იოჰანესმა, რომ როგორმე ახლოს მისულიყო მასთან, მაგრამ პრინცესას შზაკერული მოხერხებულობის წყალობით კაპელმაისტერის ყველა ცდა მარცხით მთავრდებოდა. ქალბატონი ბენცონი ყველაფერს ყურადღებით ადევნებდა თვალყურს და ამიტომ ძალზე გაოცდა, როდესაც დაინახა, რომ პრინცესამ მოულოდნელად გაარღვია ბანოჯანთა წრე და პირდაპირ კაპელმაისტერისაკენ გაემართა. კრაისლერი განმარტოებით იდგა და ღრმა ფიქრებს მისცემოდა. იგი მხოლოდ მაშინ მოეგო გონს, როცა პრინცესამ ჰკითხა: რატომ არ გსურთ გაგვანდოთ თქვენი აზრი, როგორ მოგეწონათ იულიას სიმღერაო?

— თქვენო ბრწყინვალეებავ, — უპასუხა კრაისლერმა მშვიდად, თუმცა, მის ხმაში შინაგანი მღელვარება იგრძნობოდა, — ცნობი-



ლი მწერლები ამბობენ, წმინდანები თავიანთ განცდებს მხოლოდ საკუთარ ფიქრებს ანდობენ და ეს განცდები მათ მზერაში ჩანსო. პოდა, მე ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ზეციდან ჩამოუფრინდი-მეთქი!

— ო, მაშ, გამოდის, რომ ჩვენი იულია ციური ანგელოზი ყოფი-  
ლა! — ღიმილით თქვა პრინცესამ, — და ცხადია, სამოთხის კარიც  
მან გაგიხსნათ! ახლა კი ძალიან გთხოვთ, რამდენიმე წუთით ციდან  
მიწაზე დაეშვათ და ცოტა ხანს ერთ უბრალო მოკვდავსაც მოუსმि-  
ნოთ!

პრინცესა დადუმდა, ეგონა, კრაისლერი რამეს იტყვისო, მაგრამ  
იგი ანთებული თვალებით უხმოდ მისჩერებოდა პედვიგას. პრინცე-  
სამ თვალები დახარა და ისე მკვეთრად შეტრიალდა, რომ მხრებ-  
ზე წამოსხმული შალი ჩამოუცურდა. კრაისლერმა პაერში დაიჭირა  
იგი. პრინცესა შეჩერდა.

— ძალიან გთხოვთ, — თქვა მან ბოლოს გაბზარული, აკანკალე-  
ბული ხმით, — კაცი იფიქრებდა, მიღებულ გადაწყვეტილებას ებრძ-  
ვის და ძალიან უჭირს რაღაცის თქმაო, — მოდი, პოეტურ საგნებზე  
უბრალო, პროზაული სიტყვებით ვილაპარაკოთ ვიცი, რომ იულიას  
სიმღერის გაკვეთილებს უტარებთ და უნდა ვაღიარო, რომ ამ ბოლო  
ხანებში საოცრად დაეზვეწა ხმაცა და შესრულების მანერაც. პოდა,  
ამან მეც ჩამისახა იმედი და ვიფიქრე, იქნება ჩემისთანა ჩვეულებრი-  
ვი ნიჭის პატრონმაც მიაღწიოს რამე წარმატებას თქვენი წყალო-  
ბით-მეთქი. რატომღაც მგონია, რომ...

აქ პრინცესას ენა დაება და მთელს სახეზე აღმური მოედო, რად-  
გან სწორედ ამ დროს ქალბატონი ბენცონი მიუახლოვდა მათ და  
დარწმუნება დაუწყო, პრინცესა ძალიან უსამართლოა საკუთარი  
თავის მიმართო. რატომ მიაჩნია, რომ ჩვეულებრივი ნიჭის პატ-  
რონია, მაშინ როცა ბრწყინვალედ უკრავს ფორტეპიანოზე და ღი-  
დი გრძნობითაც მღერისო? დაბნეული და სახეალეწილი პრინცესა  
კრაისლერს იმ წუთში არაჩვეულებრივად მშვენიერი მოეჩვენა და  
ქათინაურებიც არ დაუშურებია. დასასრულ კი თქვა: თავს ბედნიე-  
რად ჩავთვლი, თუკი შეეძლებ პრინცესას რითიმე მაინც ვემსახურო,  
ჩემთვის მხოლოდ და მხოლოდ სიამოვნება იქნება, მუსიკის გაკვე-  
თილები ჩაუუტარო მის ბრწყინვალეებას, თუკი, რა თქმა უნდა, სა-  
მისოდ მისი თანხმობაც იქნებაო.

პრინცესა კრაისლერს აშკარად კმაყოფილი სახით უსმენდა. მაგრამ აი, კაპელმაისტერი დადუმდა და პედეიგამ ქალბატონი ბენცონის შხერაში საყვედური ამოიკითხა: „აბა, განა შეიძლებოდა, გშინებოდა ასეთი შესანიშნავი ადამიანისო?“ პრინცესა ქალბატონ მრჩევლს მიუბრუნდა და წასჩურჩულა:

— დიახ, დიახ, ბენცონ, თქვენ მართალი ბრძანდებით. ხანდახან მართლა ბავშვით ვიქცევი ხოლმე.

კაპელმაისტერს აქამდე ხელში ეჭირა პრინცესის შალი და ახლა ისე, რომ კრაისლერისკენ არც კი მიუხედავს, პედეიგამ თავისი შალი ჩამოართვა. ამ დროს სრულიად შემთხვევით მათი ხელები ერთმანეთს შეეხო და იმავე წუთში კაპელმაისტერმა მთელს ტანში ისეთი დარტყმა იგრძნო, რომ თითოეული ძარღვი აუთრთოლდა და კინალამ გრძნობა დაკარგა.

მაგრამ აი, მის ყურთასმენას იულიას ნაზი ხმა მისწვდა, მოქუფრულ ცაზე ნათელი სხივის გამოჩენას რომ ჰგავდა.

— ძვირფასო კრაისლერ, ერთხელ კიდევ მომიწევს სიმღერა, — თქვა მან, — არაფრით არ მეშვებიან. რა თქმა უნდა, ძალიან მინდა ვცადო და ის შესანიშნავი დუეტი ვიმღერო, ამას წინათ რომ მომიტანეთ..

— არაფრით არ შეიძლება იულიას უარი უთხრათ, — ჩაერია საუბარში ქალბატონი ბენცონი, — ძვირფასო კაპელმაისტერ, აბა, მარდად მიუჯექით ფორტეპიანოს!

სრულიად ღონემიხდილი კრაისლერი ფორტეპიანოს მიუჯდა და ბანგდალეულობით აიღო პირველი აკორდები. იულიამ დაიწყო: „*Ah che mi manca L'anima in si fatal momento*“.<sup>1</sup> უნდა ითქვას, რომ ამ დუეტშიც, ისევე როგორც ყველა იტალიურ სიმღერაში, გულუბრყვილოდ იყო ლაპარაკი შეყვარებული წყვილის განშორებაზე, და მასში სიტყვა *momento*,<sup>2</sup> რა თქმა უნდა, ერთმებოდა *sento-სა*<sup>3</sup> და *tormento-ს*<sup>4</sup> და, ისევე, როგორც ასობით მსგავს დუეტში, მასშიც არ იგრძნობოდა ისეთი სიტყვების ნაკლებობა, როგორიცაა: *Abbi*

<sup>1</sup> „ო, ამ საბედისწერო წუთს რატომ არ მყოფნის მხნეობა“ — ჰოფმანის დუეტი, დაწერილი 1812 წ. (შესულია კრებულში „ექვსი დუეტინო“).

<sup>2</sup> წამი (იტალ.).

<sup>3</sup> გრძნობა (იტალ.).

<sup>4</sup> შფოთვა, ძრწოლა (იტალ.).



pietade, o cielo<sup>1</sup> და pena di morir.<sup>2</sup> მაგრამ კრაისლერმა ამ სიტყვებზე მუსიკა უდიდესი შთაგონების წუთებში შექმნა და ამიტომ მასში ისეთი ვნებათაღელვა იგრძნობოდა, არ შეიძლებოდა, სულის სიღრმეში არ ჩასწვდომოდა ყველას, ვინც კი ბუნებას ოდნავ მაინც დაეჯილდოებინა მუსიკალური სმენით. შეიძლება ითქვას, რომ ამ სახის ნაწარმოებებს შორის ეს დუეტი ერთ-ერთი ყველაზე ცეცხლოვანი და ბობოქარი გახლდათ. მაგრამ კრაისლერი უფრო შესრულების გამომსახველობით მხარეს აქცევდა ყურადღებას, ვიდრე იმას, რომ მომღერლისთვის თვალყური ედევნებინა და წყნარად, ტაქტში მიჰყოლოდა აკომპანემენტს. ამიტომაც დასაწყისში იულია ძლივს აყოლებდა მუსიკას ხმას. გოგონამ გაუბედავად, აკანკალებული ხმით წამოიწყო სიმღერა. არც კრაისლერი ჩანდა მასზე ნაკლებად აღელვებული, მაგრამ მალე მათი ხმები ერთმანეთს შეერწყა და სიმღერის ერთი დიდი, ბობოქარი ტალღა აიჭრა ცაში. ეს ხმები, ორი თეთრი გედის დარად, ხან ფრთების ფარფარით ჯიქურ მიიწვედნენ ღრუბლებისაკენ, ხან კი ტრფობის მათრობელი ამბორით გარინდებულნი, აკორდების გააფთრებულ ქარიშხალში ინთქმებოდნენ და ასე გრძელდებოდა მანამ, ვიდრე მძიმე ოხვრამ არ გვაუწყა სიკვდილის მოახლოება და ველური ტკოვილის წუთებში აღმომხდარმა უკანასკნელმა „Addio“-მ<sup>3</sup> სისხლის შადრუვანით არ იხუვლა დაკოდილი გულიდან.

არავინ დარჩენილა, რომ დუეტის შესრულებას გულის სიღრმემდე არ შეეძრა. ბევრს თვალზე ცრემლიც კი უბრწყინავდა. თითქოს ქალბატონმა ბენცონმაც განაცხადა, მსგავსი რამ თეატრშიც კი არ განმიცდია გამოსამშვიდობებელი სცენების საუკეთესო შესრულების დროსო. იულიასა და კაპელმაისტერს ხომ ყველა ხოტბა-დიდებას ასხამდა; უქებდნენ ჭეშმარიტ შთაგონებას, ორივეს რომ ერთდროულად დაუფლებოდა, აქებდნენ ნაწარმოებსაც, თუმცა, შესაძლოა უფრო მეტადაც, ვიდრე სინამდვილეში იმსახურებდა.

სიმღერის დროს პრინცესის სახე აშკარა მღელვარებას გამოხატავდა; მიუხედავად ამისა, ყოველნაირად ცდილობდა, მშვიდი გამომეტყველება მიეღო და თავისი განცდები დაემალა. მას გვერდით

<sup>1</sup>ო, ზეცაო, შეშინდე! (იტალ.).

<sup>2</sup>სიკვდილის ტანჯვა (იტალ.).

<sup>3</sup>მშვიდობით (იტალ.).

ლოყებლაჟღაჟა ახალგაზრდა სეფექალი ეჯდა, ტირილიცა და სიცილიც ერთნაირი ოსტატობით რომ ემარჯვებოდა. პრინცესა გაუთავებლად რაღაცას ეჩურჩულებოდა მას ყურში. მაგრამ სეფექალს ეშინოდა, არ დაერღვია სასახლის კარის წესები და მხოლოდ დროდადრო ჩაურთავდა ხოლმე თითო-ოროლა სიტყვას. პრინცესას მეორე მხარეს ქალბატონი მრჩეველი ეჯდა. ჰედვიგა რამდენჯერმე მასაც მიუბრუნდა კითხვებით და ამ დროს თავი ისე დაიჭირა, თითქოს სულაც არ უგდებს ყურს სიმღერასო. მაგრამ ქალბატონმა ბენცონმა ჩვეული სიმკაცრით სთხოვა პრინცესას, ეს საუბარი დუეტის დამთავრებამდე გადავდოთო. ჰოდა, მაშინ კი აღმურმოდებულმა და თვალეხანთებულმა ჰედვიგამ ისე ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი, თითქოს ცდილობდა, დამსწრეთა აღტაცებული შექება დაეფარა.

— ახლა იმედია, მეც მომცემენ უფლებას, გამოვთქვა ჩემი აზრი, — ამბობდა იგი, — უნდა ვაღიარო, რომ დუეტს, როგორც მუსიკალურ ნაწარმოებს, მრავალი ღირსება აქვს და ჩვენმა იულიამაც შესანიშნავად შეასრულა. მაგრამ აი, რისი თქმა მინდა: განა ჩვენ აქ იმისთვის არ ვიკრიბებით ხოლმე, რომ შინაურულ წრეში სასიამოვნოდ გავატაროთ დრო: მყუდროდ, ტკბილად ვისაუბროთ, მოვისმინოთ ნაზი მუსიკა? ამ მუსიკის ჰანგები მხიარულ ნაკადულს უნდა მოგვაგონებდეს, უდრტვინველად, ანცად რომ მოდგაფუნობს ამწვანებულ ნაპირებს შორის. ჰოდა, აბა, მითხარით, რამდენად სწორი და გამართლებულია, რომ ყოველივე ამის ნაცვლად ასეთ ამაღელვებელ, ბობოქარ დუეტებს გვასმენინებენ? ამგვარი მუსიკა მტანჯველად, დამღუპველად მოქმედებს და ისეთ ღრმა კვალს ტოვებს ჩვენზე, რომ ადამიანი შემდეგ დიდხანს ვეღარ მოეგება ხოლმე გონს. აი, მე მთელ ძალ-ღონეს ვძაბავდი, რომ არ მომესმინა, გულთან ახლოს არ მიმეტანა ეს საოცარი ჯოჯოხეთური ტკოვილი, კრაისლერმა ჩვეული ოსტატობით რომ ჩააქსოვა ბგერებში. მან ხომ ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცა, თუ რაოდენ გულგრილია თავისი მსმენელებისადმი და როგორ არად დაგიდევთ მათ მგრძნობიარე გულებს. მერუდა, რა? აბა, მითხარით, რომელმა თქვენგანმა გამოიჩინა გულმოწყალება და გამომიწოდა საშველად ხელი? კაპელმაისტერ! დაე, თქვით, რომ მე ერთი სუსტი და უნებისყოფო ქალი ვარ, დაე, გავხდე თქვენი დაციხვის მსხვერპლი, მაგრამ მაინც ვერ დავმაღაუ და ვიტყვი, — ამ დუეტის მოსმენის შემდეგ თავს მძიმე ავადმყოფად ვგრძნობ. ნუთუ



აღარ არსებობს ამქვეყნად აღარც ჩიმაროზა და აღარც პაიზიელო? მათი ნაწარმოებები ხომ სწორედ ჩვენი წრის ხალხისთვისაა შექმნილი და აგრერიგად ელამუნება ყურს?

— ღმერთო დიდებულო, — წამოიძახა კრაისლერმა და სახეზე ყველა კუნთი აუთამაშდა, როგორც ჩვეულებრივ ემართებოდა, როცა ხუმრობის ხასიათზე დგებოდა ხოლმე, — ღმერთო ჩემო! ნუთუ გგონიათ, რომ თქვენი უმორჩილესი მსახური სხვაგვარად ფიქრობს? თქვენო ბრწყინვალეებო, მე ხომ საყსებით ვიზიარებ თქვენს აზრს. მართლაცდა, აბა, მითხარით, განა მკრეხელობა არ არის, საქვეყნოდ გამოაჭყენო შენი გრძნობები და განცდები, მწუხარება იქნება თუ სიხარული, და წინასწარ არ გახვიო ისინი თაუზიანობისა და კდემამოსილების სქელ საბურველში? ერთი მითხარით, ასეთ შემთხვევაში მაშ, რისლა მაქნისია ცეცხლმქრობები, კარგი ტონის მესვეურთა ეს ბრწყინვალე გამოგონება? დიახ, დიახ, რაღა ფასი აქვს მათ, თუკი ვერ ჩააქრობენ ხანძარს, აქა-იქ რომ იფეთქებს ხოლმე დროდადრო? რამდენიც უნდა შეგვიქციონ ჩაით, მურაბიანი წყლით, ზრდილი საუბრებითა და სასიამოვნო ჟღურტულით, ვინმე არამზადა, ბოლოს და ბოლოს, მაინც მოახერხებს შიგ საზოგადოების შუაგულში ანთებული მაშხალის შეგდებას; აი, აუარდება ცეცხლის ენები და თქვენ წარმოიდგინეთ, ისინი არა მარტო გაანათებენ არემარეს, წვავენ კიდევაც, რაც აგრერიგად უჩვეულოა მთვარის სპეტაკი სხივებისათვის! დიახ, თქვენო ბრწყინვალეებო! მოგეხსენებათ, მე ერთი საცოდავი კაპელმაისტერი გახლავართ, ამხელა მკრეხელობა კი ჩავიდინე! გაუბედე და სამსჯავროს წინაშე გამოვიტანე ჩემი უწმინდური დუეტი, ვითომ არ ვიცოდი, რომ ამით მთელ პატიოსან საზოგადოებას შევაცბუნებდი! დიახ, მისი შესრულება ჯოჯოხეთურ ფეიერვერკს ჰგავდა. ყველაფერი ბლომად იყო: ცეცხლის ბურთებიც, კომეტებიც, რომაული სანთლებიცა და ზარბაზნების გრუხუნიც. რა გაეწყობა! ძალიან ვწუხვარ, რომ ასეთი ხანძარი გაუჩინე!

<sup>1</sup> დომენიკო ჩიმაროზა (1749-1801) — იტალიელი კომპოზიტორი, თავის დროს პოპულარული ოპერების ავტორი, საფრანგეთის რევოლუციის მხარდაჭერის გამო, ბურბონებმა ციხეში გამოამწყვდიეს. გარდაიცვალა ვენეციაში, როგორც ამბობდნენ, შხამით; ჯოჯანი პაიზიელო (1741-1816) — იტალიელი კომპოზიტორი, ნეაპოლური საოპერო სკოლის წარმომადგენელი, დიდხანს მუშაობდა რუსეთში. კომიკური რეალიზმის დიდოსტატი, დიდი გავლენა მოახდინა მოცარტისა და როსინის სტილის ჩამოყალიბებაზე.

ოპ! ცეცხლი... ცეცხლი... დალახვროს ეშმაკმა! ვიწვით! ცეცხლმ-  
ქრობები აქეთ, აქეთ! წყალი! წყალი! გვიშველეთ! გადაგვარჩინეთ!

კრაისლერი სწრაფად წამოხტა, ფორტეპიანოს ქვეშიდან ნოტე-  
ბის ყუთი გამოათრია, გახსნა და ერთი რვეული ამოიღო (ეს პაი-  
ზიელის „Molinara“<sup>1</sup> გახლდათ), მერე ფორტეპიანოს მიუჯდა და  
დაიწყო მეწისქვილე ქალის ცნობილი არიეტის რიტურნელი<sup>2</sup> „La  
Rachelina molinarina“.<sup>3</sup>

— ძვირფასო კრაისლერ, რა დაგემართათ? — მორიდებით ჰკი-  
თხა კაპელმაისტერს იულიამ.

კრაისლერი მის წინ მუხლებზე დაეცა და კედრებით უთხრა:

— ჩემო ძვირფასო, კუთილო იულია! შეიბრალებთ პატოცემული  
საზოგადოება! ნუგეში ეცით ბოლმით დამძიმებულ მათ გულებს, იმ-  
დერეთ „La Rachelina“! თუ ამ თხოვნას არ შემისრულებთ, იცოდეთ,  
აქვე, თქვენ თვალწინ გადავეშვები სასოწარკვეთის მორეეში; აი, უკვე  
ვდგარ კიდევაც ციცაბო ნაპირზე! მერე კი, გაგიხარია, ჩაებლაუ-  
ჭებით ბედუკუღმართ კაპელმაისტერს კაბის კალთაზე და თქვენე-  
ბურად გულკუთილად ეტყვით: „იოჰანეს, ჩვენთან დარჩიო“, მაგრამ  
გვიანლა იქნება. თქვენი კრაისლერი აქერონში<sup>4</sup> ამოყოფს თავს, იქ კი  
თავბრუდამხვევი როკვით შთაინთქმება ჯოჯოხეთურ მორეეში! თუ  
გინდათ, ეს არ მოხდეს, გვიმღერეთ, ძვირფასო!

იულიამ არცთუ დიდის სიამოვნებით შეასრულა კრაისლერის  
თხოვნა.

ის-ის იყო, არიეტა დაასრულა, რომ კრაისლერმა ნოტარიუსისა  
და მეწისქვილის ცოლის სახუმარო დუეტი წამოიწყო.

იულიას ხმას, მისი შესრულების მანერას უფრო სერიოზული,  
საზეიმო მუსიკა უხდებოდა, მაგრამ იგი კომიკურ ნაწარმოებებსაც  
არაჩვეულებრივი მომხიბვლელობითა და სინარნარით ასრულებ-  
და. კრაისლერს კი უკვე შეესისხლხორცებინა იტალიური buffi-ს<sup>5</sup>  
თვითმყოფადი, უჩვეულოდ მომხიბლავი მანერა. მაგრამ შეიძლება

<sup>1</sup> მეწისქვილე ქალი (იტალ.).

<sup>2</sup> რიტურნელი (ფრანგ. *ritournelle* <იტალ.) — მოკლე ინსტრუმენტული პასაჟი,  
ჩანართი, რომელიც პაუზებში მეორდება სიმღერის (არიის) შესრულების დროს.

<sup>3</sup> მეწისქვილე გოგო რაკელინა (იტალ.).

<sup>4</sup> აქერონი (ბერძ. *Αχέρων* — „მწუხარების მდინარე“) — 1. მდინარე თესპროტიდაში;

2. ქვესკნელის მდინარე.

<sup>5</sup> კომიკური მომღერლები (იტალ.).



ითქვას, დღეს მოლოდინს გადააჭარბა; მის ხმას ძნელადღა იცნობდა კაცი; სულ ახლახან მომღერალი დაძაბული დრამატიზმის ურთულეს ხვეულებს გადმოგვეცემდა, ახლა კი ისე სასაცილოდ მანჭავდა სახეს, თავად კატონსაც<sup>1</sup> კი გააცინებდა.

თავისთავად ცხადია, რომ დუეტის დამთავრებას ყველანი ხმამაღალი სიცილითა და მოწიწების შეძახილებით შეხვდნენ. აღფრთოვანებულმა კრაისლერმა იულიას ხელზე აკოცა, მაგრამ გოგონამ უკმაყოფილოდ გამოსტაცა იგი.

— აჰ, კაპელმაისტერ, — თქვა მან, — ვერაფრით აუღლე ალლო თქვენი გუნება-განწყობილების ამგვარ საოცარ ცვალებადობას. ასეთი თავბრუდამხვევი ჯირითი ერთი უკიდურესობიდან მეორეში პირდაპირ შიშის ზარს მცემს. გემუდარებით, ძვირფასო კრაისლერ, ნურასოდეს მთხოვთ შევასრულო თვით ყველაზე სასიამოვნო და ტკბილხმიერიც კი მაშინ, როცა ასეთი ალგზნებული ვარ და გულში ჯერ კიდევ არ გამქრალა ღრმა მწუხარების ნაკვალევი. ვიცი, რომ შესანიშნავად შემიძლია მოვერიო თავს, და ისე შევასრულო ესა თუ ის დუეტი, როგორც საჭიროა, მაგრამ ამის მერე აღარაფრად აღარ ვვარგოვარ და სრულიად გამოუდივარ წყობიდან. ნულარ მაიძულებთ მეტად ამის გაკეთებას! ხომ მაძლევთ პირობას, ძვირფასო კრაისლერ?

ის-ის იყო, კრაისლერმა პასუხის გაცემა დააპირა, მაგრამ ამ დროს იულიასთან პრინცესა მიიჭრა და მოეხვია; თან, ნამდვილად რომ არ ეკადრებოდა, ისე ხმამაღლა და თავშეუკავებლად იცინოდა.

— მოდი, მოდი, გულში ჩაგიკრა, ჩემო კარგო, — წამოიძახა მან, — შენისთანა კეკლუცი, მომხიბლავი და ხმაწკრიალა მეწისქვილე გოგონა მეორე არ დადის დედამიწის ზურგზე. შენ შეგიძლია გაასულელლო ამქვეყნად ყველა ბარონი, მოხელე თუ ნოტარიუსი, და კიდევ... — მისი უკანასკნელი სიტყვები ხელახლა დაწყებული ხმამაღალი ხარხარის ტალღამ შთანთქა.

მერე იგი კვლავ მიტრიალდა კრაისლერისკენ და განაგრძო:

— ძვირფასო კრაისლერ. იცოდეთ, რომ ამიერიდან საბოლოოდ შემომირიგეთ! ო, ახლა კი ჩავწვდი თქვენი ცვალებადი მახვილგონიერების საიდუმლოს! მართლაც რომ არაჩვეულებრივად სიტყვა-

<sup>1</sup> მარკ პორციუს კატონი (ძვ. წ. 234-149) — რომაელი სახელმწიფო მოღვაწე, კონსული და ცენზორი; გამოირჩეოდა სიმკაცრითა და პირუთვნელობით.

მოსწრებული ბრძანდებით; შესანიშნავია, შესანიშნავი! მძაფრი ვნებები ჩვეულებრივ სხვადასხვა შეგვრძნებისა და ურთიერთმტრული გრძნობების ჭიდილში იბადება ხოლმე. სულითა და გულით გწირაჲთ მადლობას და ნებას გრთავთ, ხელზე მეამბოროთ!

კრაისლერმა აიღო პრინცესის გამოწვედილი ხელი და იმავე წუთს მთელს ტანში, მართალია, გაცილებით სუსტად, ვიდრე პირველად, ხელახლა დაურბინა იმ უცნაურმა დენმა. ცოტა ხნით შეყოვნდა კიდევ, ვიდრე ტუჩებთან მიიტანდა პრინცესის უხელთათმნო, ნაზ ხელს და ამავე დროს ისე ღირსეულად დაუკრა ქალს თავი, თითქოს კვლავაც საელჩოს მრჩეველი ყოფილიყოს. კრაისლერი ვერაფრით მიმხვდარიყო, პრინცესის ხელის შეხებით გამოწვეულმა ფიზიკურმა შეგვრძნებამ რატომ დააყენა ასეთ მხიარულ ხასიათზე. „როგორც ეტყობა, — უთხრა თავის თავს, როცა პრინცესა სხვებთან საუბარში გაერთო, — მისი ბრწყინვალეობა თავისებური ლეიდენის ქილაა,<sup>1</sup> რახან თავის ნება-სურვილზე შეუძლია დამუხტოს ადამიანი და ძირს მოადენინოს ტყაპანიო“.

პრინცესა კი დარბაზში დაგოგმანებდა, ცეკვავდა და თან თავისთვის „La Rachelina molinarina“-ს ღიღინებდა. დროდადრო ხან ერთ ბანოჯანს მიეჭრებოდა და აკოცებდა, ხან მეორეს, თან ყველას არწმუნებდა, ასე ჩემს სიცოცხლეში არ მიმხიარულია და ამას ჩვენს საყვარულ კაპელმაისტერს უნდა ვუმადლოდეთ. მკაცრ და თავდაჭერილ ქალბატონ ბენცონს ერთობ არ მოეწონა პრინცესის საქციელი; ბევრი ითმინა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ვეღარ მოითმინა, განზე გაიხმო და ჩასჩურჩულა:

— ჰედვიგა, ღვთის გულისათვის, რასა ჰგავს თქვენი საქციელი?

— ძვირფასო ბენცონ, — უპასუხა თვალებანთებულმა პრინცესამ ქალბატონ მრჩეველს, — ვგონებ, ღვთისათვის უკვე საკმარისად დამარიგეთ ჭკუა, იქნებ გვეყოფა, ა? ძილის დროც მოსულა! აბა, სწრაფად, ლოგინებს მივაშუროთ, ლოგინებს! — და პრინცესამ ბრძანა, ეტლი მოერთმიათ.

იმ დროს, როცა საშინლად აგზნებული პრინცესა თავშეუკა-

<sup>1</sup> ლეიდენის ქილა — პირველი კონდენსატორი, რომელიც გამოიგონეს ჰოლანდიელმა მეცნიერმა პიტერ ვან მუშენბრუკმა და მისმა მოწაფე კიუნეუსმა 1745 წელს ქალაქ ლეიდენში. მათ პარალელურად და დამოუკიდებლად მსგავსი აპარატი, სახელწოდებით „სამედიცინო ქილა“, გერმანელმა მეცნიერმა კლაისტმაც გამოიგონა.



ვებლად მხიარულობდა, იულია ჩუმად და მოწყენით მიძვდარიყო ფორტეპიანოსთან და თავი ხელებზე ჩამოყრდნო. მიტკალოვით გაფითრებულ სახესა და დაბინდულ თვალებზე ეტყობოდა, რომ ამდენი განცდებისგან ძალ-ღონე გამოლეოდა.

კრაისლერის მთის ბროლოვით გამჭვირვალე გონებამახვილობაც თითქოს ერთბაშად ჩაქრაო. აშკარად ცდილობდა, არაუის დალაპარაკებოდა, ბოლოს კი ჩუმი ნაბიჯით კარისაკენ გაემართა, მაგრამ ქალბატონმა ბენცონმა გზა გადაუღობა და უთხრა:

— არ ვიცი, რა ძალა მაიძულებს...

/მ.ა.ა./ ...ისეთი მშობლიური და ნაცნობი გრძნობა დამეუფლა; შემწვარ ხორცს მოცისფრო ოხშივარი ასდიოდა და მისი მადისაღმძვრელი სურნელი სახურავზე აღწევდა. სადღაც შორიდან, ძალიან შორიდან, საღამოს სიოს იდუმალი შრიალივით ისმოდა ხმები: „მურ, საყვარელო მურ, სად იყავი ამდენ ხანსო?“.

*ეს რა ათრთოლებს მჭმუნვარ გულს ნეტავ  
საამო თრთოლით არქვეყნიურით?  
სულს აღზვეება სწადია ზეცად  
და ნეტარება მიჰყრობს ღვთიური?*

*გულო, რას უცდი, ამოდი ბარემ,  
დიდ საქმეთათვის დაჰკრეს ზარებმა.  
სიკვდილის გვემა, ტკივილი მწარე,  
მექცა თამაშად და ნეტარებად.  
ცოცხლობს იმედი, — სუნი მცემს მწვადის.*

ასე თავდავიწყებით ვმღეროდი. მერე კი, აინუნშიც აღარ ჩამიგდია არც ხანძარი, არც საშინელი ალიაქოთი და ტკბილ ოცნებას მივეც თავი! მაგრამ აქაც, სახურავზედაც ჩამითრია ამ უღმობელი, მახინჯი ცხოვრების მორუგება, სადაც პირველად, სრულიად შემთხვევით, ცოტა ხნის წინ ამოყავი თავი. მოხედვაც ვერ მოვასწარი, რომ საბუხრე მილიდან რაღაც საფრთხობელა ამოძვრა. ხალხში მას ბუხრის მწმენდავს ეძახიან ხოლმე. ჩემს დანახვაზე შაუმა საფრთხობელამ შეჰყვირა: „აცხა, შე უპატრონო!“ და ცოცხი მესროლა.

დარტყმა აუციდინე და მეზობელ სახურავზე გადაუხტი. იქიდან კი წვიმის სადინარ მილს ჩავუყვები. ვერ წარმოიდგენს ჩემს სიხარულსა და გაოცებას, როცა დავინახე, რომ ჩემი კუთხლი პატრონის სახლის სახურავზე ვიმყოფებოდი. სათითაოდ ჩამოუყარე სარკმლებს, მაგრამ ყველა დაგმანული აღმოჩნდა. მაშინ კი ავიძაღლე ხმა, მაგრამ ამოდ: არაუის ესმოდა ჩემი. აღმოდებული სახლიდან აჯარღნილი ცეცხლის ენები კი სულ უფრო და უფრო ძალუძად ბობოქრობდნენ, შიშინით იფრქვეოდა ირგვლივ წყლის ჭავლები; საშინელი ღრიანცელი იდგა. ერთმანეთს ერთუოდა ასობით ხმა, არაუის ესმოდა, ვინ რას ამბობდა: ეტყობა, ხანძარი ძლიერდებოდა. მოულოდნელად სარკმელი გაიხსნა და ნაცნობ ყვითელ ხალათში გამოწყობილმა ძაქსტრო აბრაჰამმა გამოყო თავი.

— მურ, მურ, ჩემო კარგო! აი, თურმე სადა ყოფილხარ! რაღას უდგახარ? შემოდი, შემოდი, ჩემო ნაცარავ! — ალერსიანად დამიძახა ჩემმა პატრონმა, სახურავზე გაღურსული რომ დამინახა. ძეც, რაც ჩემს ხელთ იყო, ყველა საშუალება ვიხმარე, და ძაქსტროს ჩემი სიხარულიც ვაგრძნობინე. ასე და ამრიგად, თითოეულმა ჩვენგანმა თავისებურად აღნიშნა ამ ბედნიერი შეხვედრის საზეიმო, დაუვიწყარი წუთები. შემდეგ სხვენზე ჩავხტი. პატრონმა ზურგზე გადაძისვა ხელი და ალერსი დამიწყო, მე კი სიამოვნებისაგან მთლად დაკდნი და ჩემი ბედნიერება ნაზი ბგერებით გამოუხატე, ადამიანები დაციხვით „კრუტუნს“ რომ ეძახიან.

— ჰა, ჰა, ჰა, — გაიცინა ჩემმა პატრონმა, — ჩემო ბიჭუნავ, ეტყობა, ბედნიერად გრძნობ თავს, ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ საკუთარ ჭერქვეშ რომ დაბრუნდი და ვერც კი ამჩნევ, რა საფრთხე გემუქრება ამჟამად. მართალი გითხრა, უარს არ ვიტყოდი, ახლა შენს ადგილზე რომ ვიყო. ერთი ბედნიერი, უდარდელი კატა ვიქნებოდი, მივაფურთხებდი ხანძარსაც და მეხანძრუებსაც. აბა, კატას რისი დაკარგვის უნდა ეშინოდეს? მას ხომ არაფერი აბადია? მისი ერთადერთი მოძრავი ქონება, ერთადერთი საგანძური, თავად საკუთარი არსება გახლავთ.

ჩემმა პატრონმა ხელში ამიყვანა და სხვენიდან თავის ოთახში ჩავიდა. შესვლა ვერ მოვასწარი, რომ ფეხდაფეხ პროფესორი ლოტარიო და ვილაც ორი უცნობი კაცი შემოგვეყვა.

— გემუდარებით! — წამოიძახა პროფესორმა, — ღვთის გული-



სათვის, გემუდარებით, მაესტრო! საშინელ საფრთხეში ხართ, ცეცხლი უკვე სახურავს მოედო. ნება მომეცით, გაუზიდოთ თქვენი ნივთები.

ჩემმა პატრონმა ამაზე ძალიან ცოვად უპასუხა, ასეთ შემთხვევაში მეგობრების გადაჭარბებულმა მზრუნველობამ შეიძლება გაცილებით მეტი ზიანი მიაყენოს კაცს, ვიდრე სტიქიურმა უბედურებამ, რამეთუ ყველაფერი, რასაც ამ დროს ცეცხლს გამოვტაცებთ ხოლმე, ასე თუ ისე, მაინც დასაღუპავად არის განწირული, თუმცა, ეს ძალიან რთული და ეშმაკური გზით ხდება ხოლმე. თავად მე, — გაიხსენა მაესტრომ, — მინდოდა ერთხელ, ხანძრის დროს მეგობარს მივხმარებოდი და გადამერჩინა მისი ნივთები. ჰოდა, კეთილმოქმედების ვნებათაღელვით შეპყრობილმა ფანჯარაში მოვისროლე მთელი ჩინური სერვიზი, ოღონდაც ცეცხლოვანი სტიქიის მსხვერპლი არ გამხდარიყო. მაესტრომ მეგობრებს სთხოვა, ძალიან დამავალებთ, თუ ზანდუკში მშვიდად და აუღელვებლად ჩამიწყობთ ორ საღამურ ჩაჩს, რამდენიმე ნაცრისფერ ქურთუკს, სხვა ტანსაცმელსა და თეთრეულს. მადლობელი ვიქნები, თუ განსაკუთრებით სათუთად მოეპყრობით აბრეშუმის საცვლებს, წიგნები და ხელნაწერები კი კალათებში ჩაჩურთეთო. ოღონდ ჩემი დიდი თხოვნა იქნება, — განაგრძო მაესტრომ, — ხელსაწყოებს თითოც კი არ მიაკაროთ და მხოლოდ მაშინ, როცა მთელს სახურავს ცეცხლი მოედება, გავალ სახლიდან ჩემი უძრავ-მოძრავი ქონებითო.

— მანამდე კი, — დაასრულა მან, — ნება მიბოძეთ, ცოტა დაუნაყრო ჩემი დაღლილ-დაქანცული მეგობარი და თანამეინახე, ეს-ეს არის, რომ დაბრუნდა შორეული მოგზაურობიდან. ამის მერე შეგიძლიათ ჩალაგების თადარიგს შეუდგეთ!

ყველას სიცილი აუტყდა, როცა გაიგეს, რომ მაესტრო თურმე ჩემზე ამბობდა ამას.

საუზმე მართლაც რომ ძალზე გემრიელი გამოდგა და ამრიგად მთლიანად ამიცხადდა ოცნება, ჯერ კიდევ სახურავზე ნაზი კრუტუნით რომ შევფოფინებდი.

კარგა გვარიანად როცა გამოვძეხი, მაესტრომ კალათაში ჩამსვა, იქვე რძიანი ლამბაქი დამიდგა და კალათას მზრუნველად დაახურა თავი.

— აბა, კატავ, იცოდე, წყნარად იყავი, — მითხრა მან, — გესმის? რაც უნდა მოხდეს, მშვიდად იჯექი ამ ბნელ საუანეში და თავის შე-

საქცევად წრუპე შენი საყვარელი სასმელი. იცოდე, თუ გამოხვალ ამ თავშესაფრიდან და ოთახში დაიწყებ ბოდიალს, ჩვენი მხსნელები საერთო აღიაქოთში აუცილებლად მოგაწყწყკავენ კუდს, ანდა თათს. როდესაც გაქცევის ჟამი დადგება, მე თვითონ გაგიყვან, რომ მაშინდელივით გზა არ აგებნეს.

— ჩემო ბატონებო და გაჭირვების ტალკვესნო, — მიუბრუნდა მაესტრო თავის სტუმრებს, — ვერც კი წარმოიდგენთ, აი, ის, ნაცრისფერქურქიანი ყმაწვილი, იქ, კალათაში რომ ზის, როგორი ჭკუის კოლოფია! ნატურალისტ გალის<sup>1</sup> მიმდევრები ამტკიცებენ, თითქოს კატები ისეთი იშვიათი თვისებებით იყვნენ დაჯილდოებულნი, როგორიცაა მკვლელობის წყურვილი, ქურდობისაკენ სწრაფვა, გაიძვერობა, ვერაგობა და ა.შ. თითქოს მათ კარგი განათლების მიღების მერეც კი სრულიად განუვითარებელი რჩებათ ადგილმდებარეობის შეცნობის ალლო და ერთხელ თუ აებნათ შინისაკენ მიმავალი გზა, ვერასოდეს ველარ იპოვიან საკუთარ სახლს. მაგრამ, ბატონებო, ჩემი კატა ბრწყინვალე გამონაკლისი გახლავთ ამ მხრივ. უკვე ორი დღეა, რაც დაიკარგა. მე მართლა სერიოზულად შევშფოთდი მისი ბედით და აი, დღეს ჩემი ნაცარა მოულოდნელად შინ დაბრუნდა! დარწმუნებული ვარ, ამისათვის სახურავებით ისარგებლა, რადგან ეს გახლავთ სეირნობისთვის განკუთვნილი ერთადერთი უსაფრთხო გზა. ამით ჩემმა საყვარელმა ბიჭუნამ არა მარტო თავისი გონიერება დაამტკიცა, არამედ აშკარად დაგვანახვა, თუ როგორ ძლიერად არის მიჯაჭვული თავის პატრონთან. ამიტომ იგი წინანდელზე გაცილებით მეტად შემეყვარდა.

მაესტროს შექება საოცრად მეამა. სიამაყის გრძნობამ შემეძყრო. აი, თურმე რამდენი უპირატესობა მაქვს ჩემი მოდგმის სხვა წარმომადგენლებთან შედარებით! რამდენად მაღლა ვმდგარვარ იმ უტვინო, მაწანწალა კატებზე, სრულიად რომ არა აქვთ ადგილმდებარეობის გამოცნობის ალლო და ძალიან გამიკვირდა, აქამდე როგორ ვერ შევნიშნე ჩემში ეს არაჩვეულებრივი ნიჭი-მეთქი. მართალია, სადღაც გამიელვა აზრმა, რომ სწორ გზაზე პონტომ დამაყენა, ხოლო მშობლიურ სახურავზე კი მებუხრის ცოცხმა შემომავლო,

<sup>1</sup> ფრანც იოზეფ გალი (1758-1828) — ავსტრიელი ექიმი, ფრენოლოგიის ფუძემდებელი; ფრენოლოგია შეისწავლის ადამიანთა გონებრივ შესაძლებლობებს მათი თავის ქალის მოყვანილობის საფუძველზე.



მაგრამ, მაინც, ერთი წუთითაც აღარ შემპარვია ეჭვი ჩემს მოსაზრებულობასა თუ გამჭრიახობაში და ჩემი პატრონის ხოტბა-დიდება დიახაც რომ ძალზე სამართლიანად ჩავთვალე. როგორც იტყვიან, რაღაც ფარულ, შინაგან ძალას ვგრძნობდი საკუთარ თავში, ეს კი იმის საწინდარი გახლდათ, რომ სამართლიანად ვიმსახურებდი შექებას. აღარ მახსოვს, სადღაც წამიკითხავს თუ გამიგონია, რომ დაუქმსახურებელი შექება გაცილებით მეტად ახარებს და პატომოყვარულობას უღვიძებს ადამიანს, ვიდრე დამსახურებულიო. მაგრამ, ვგონებ, ეს მხოლოდ ადამიანებს უნდა ეხებოდეთ; ჩვენ, გონიერი კატები, დაზღვეული ვართ ამგვარი სისულელეებისგან. ახლა უკვე დარწმუნებულიც კი ვარ იმაში, რომ გზას პონტოსა და მებუხრის გარეშეც მშვენივრად გავიგნებდი, მათ კი მხოლოდ დამაბნიეს და გონება ამირიეს. ის მცირედი ცხოვრებისეული გამოცდილება, რითაც ასე ბაჭიბუქობდა პონტო, შეიძლებოდა სხვა გზითაც მიმეღო. თუმცა, უნდა ვაღიარო: მე და ჩემს საყვარელ პონტოს, ამ „aimable roué“-ს<sup>1</sup> ბევრი საინტერესო თავგადასავალი გადაგვხდა. ეს კი შესანიშნავი მასალა იქნება ჩემი მომავალი წიგნისათვის. ამ ნაწარმოებში გადაწყვეტილი მაქვს, ჩემი მოგზაურობის შთაბეჭდილებებს მეგობრებისადმი მიწერილი წერილების სახე მოვცე. ეს წერილები შეიძლებოდა დაბეჭდილიყო დილის თუ საღამოს გაზეთებში და დარწმუნებული ვარ წარმატებაც მექნებოდა, რადგან ამ წერილებში ფრიად გამჭრიახად და მახვილგონივრად ვაშუქებ ჩემი „მეს“ საუკეთესო თვისებებს. ეს კი, მოგეხსენებათ, მკითხველს ძალზე დააინტერესებდა, მაგრამ მშვენივრად ვიცი: ბატონი რედაქტორები და გამომცემლები უმაღლ იკითხავენ: „კი, მაგრამ, ვინ არის ეს მურიო?“ და როცა გაიგებენ, რომ კატა ვარ, დიახ, ამქვეყნად ერთ-ერთი უნიჭიერესი, მაგრამ მაინც კატა, აგდებულად იტყვიან: „კატას რაღა ჯანდაბა უნდა მწერლობაშიო!“ ძალიან ბევრი კარგი რამ მსმენია ლიხტენბერგისა და ჰამანის<sup>2</sup> შესახებ. ამბობენ, მკითხველთათვის მშვენიერ ნაწარმოებებს წერდნენო, მაგრამ ამჟამად ორივე საიქიოშია, ეს კი საკმაოდ სახიფათო ამბავია ყველა მწერლისთვის, ვინც კი უკვდავებაზე ოცნებობს. ჰოდა, რისი თქმა მინდოდა ამით: ლიხტენბერგის მახვილგონიერებათა და ჰამანის აზრთა სიღრმითაც რომ ვიყო და-

<sup>1</sup> მომხიბლავი თაღლითი (ფრანგ.).

<sup>2</sup> იოჰან გეორგ ჰამანი (1730-1788) — გერმანელი ფილოსოფოსი და მწერალი.

ჯილდოებული, სულერთია, ხელნაწერს მაინც უკან დამიბრუნებდნენ. აბა, გაგონილა ასეთი რამ? უბრძანებიათ, კატის ბრჭყალებს არ ძალუძთ ჭეშმარიტად პოეტური შედეგების შექმნაო! მოდი და გული ნუ გეტკინება! ო, ცრურწმენავ, მუხანათო და ვერაგო! როგორ აბრმავებ ხოლმე ხალხს, განსაკუთრებით იმათ, გამომცემლების სახელით რომ არიან ცნობილი!

პროფესორმა და მასთან ერთად მოსულმა სტუმრებმა საშინელი რია-რია და აურზაური ატეხეს, რაც, ჩემი აზრით, საღამური ჩაჩებისა და ნაცრისფერი ქურთუკების ჩალაგებისას სრულიად ზედმეტი იყო.

უეცრად გარეთ ვიღაცამ ხმამაღლა დაიყვირა: „სახლი იწვისო!“

— ოჰო, — თქვა მაესტრომ, — ახლავე ჩაუალ ქვევით და გავიგებ, რა ხდება იქ; თქვენ კი, ბატონებო, აქ დამელოდეთ თუ დაუატყობ, რომ რამე საშიშროება გველის, მყისვე დავბრუნდები და შევუდგებით საქმეს!

მაესტრო აბრაჰამი სწრაფად გავიდა ოთახიდან. მე, რა თქმა უნდა, ცოცხალ-მკვდარი ვიჯექი კალათაში. ოთახში შემოჭრილმა საშინელმა ხმაურმა და ბოლმა კიდევ უფრო გამიძლიერა შიში. შავმა ფიქრებმა წამილო: „ვაითუ, ჩემს პატრონს დაუავიწყდი! მაშინ ხომ უსახელოდ უნდა შთანთქმას ცეცხლის ალმა-მეთქი“. შიშისაგან იყო თუ რა, მუცელში საშინლად არასასიამოვნო ჩხვლეტა ვიგრძენი. „ეჰეი, — გავიფიქრე შეშინებულმა, — ნუთუ კეთილი პატრონი ჩემი დიდ ვერაგობას ჩაიდებს გულში და შეპყრობილი შურისძიებით, ასე უწყალოდ ჩამტოვებს ყუთში? ნუთუ ეს სპეტაკი, თუთარი სასმელი, რძე კი არა და, შხამია მხოლოდ,<sup>1</sup> რომ ფლიდი ხელით შეზავებულმა გამაფშეკინოს ფეხები ბოლოს!“ რა საოცარი ვინმე ხარ, მურ! სიკვდილის ჟამსაც კი ვერ იფიწყებ პოეზიას და აზრებს რითმავ! სამუდამოდ ჩაგბეჭდვია გონებაში, რაც ერთხელ ამოგიკითხავს შექსპირთან თუ შლეგელთან!<sup>2</sup>

სწორედ ამ დროს მაესტრო აბრაჰამმა კარში თავი შემოყო და დაიძახა:

<sup>1</sup> „თუთარი სასმელი, რძე კი არა და შხამია მხოლოდ“ — მური ახდენს ჯულიეტას სიტყვების პერიფრაზს (შექსპირი „რომეო და ჯულიეტა“, მოქმედება 4, სურათი 3).

<sup>2</sup> „რაც ერთხელ ამოგიკითხავს შექსპირთან თუ შლეგელთან!“ — ავგუსტ ვილჰელმ შლეგელი (1767-1845) — გერმანელი მწერალი, რომანტიზმის თეორეტიკოსი, შექსპირის მთარგმნელი. შექსპირის ნაწარმოებების პირველი გამოცემის (10 ტომად) შლეგელისეული თარგმანი გამოვიდა 1797-1810 წლებში.



— ბატონებო, საფრთხემ განვლო! აი, მანდ, განჯინაში ორი ბოთლი ღვინო მეგულეა, გამოიღეთ, მიუსხედით სუფრას და შექქეცით მე კი მანამდე სახურავზე აჯალ და წყალს მივასხ-მოვასხამ. თუმცა, მოიცა, აბა, ერთი თვალი შევავლო რასა იქმს ჩემი საყვარელი კატა?

მაესტრო ოთახში შემოვიდა, კალათას სახურავი ახადა და ძალიან ალერსიანი ხმით მკითხა, როგორ გრძნობ თავს, ერთ ჩიტუნიას კიდევ ხომ არ მიირთმევდიო? მე უნახესი კრუტუნით შევებმიანე, თან სიამოვნებისგან ნებიერად გავიზმორე, და მაესტრომაც საუსებით სამართლიანად დაასკვნა, რომ მაძლარი ვიყავ და ისევ კალათაში მეწადა დარჩენა. მან კალათას ხელახლა დაახურა სახურავი და წავიდა.

ახლა კი საბოლოოდ დაურწმუნდი მაესტრო აბრაჰამის ერთგულებაში და ყოველგვარი ეჭვი გამეფანტა. წესით, უნდა შემრცხვენოდა ჩემი მკრეხელური აზრებისა, მაგრამ სირცხვილის გამომჟღავნება ვაჟკაცი კაცისთვის უღირს საქციელად მიმაჩნია. „ბოლოს და ბოლოს, — გავიფიქრე გულში, — ეს ენითაუწერელი შიში, უნდობლობა, უბედურების წინათგრძნობა ხომ მხოლოდ და მხოლოდ პოეტური ოცნება გახლდათ; უამისოდ, აბა, რას მიქვია ჭაბუკი გენიოსის სიცოცხლე?! მისთვის ოცნება გამაბრუებელი ბანგოვით საჭირო და აუცილებელია“. ამ აზრმა სრულიად დამამშვიდა.

როგორც კი ჩემი პატრონი ოთახიდან გავიდა, ჭუჭრუტანაში დავინახე, რომ პროფესორმა, ცოტა არ იყოს, შიშით გადმოხედა ჩემს კალათას და მეგობრებს თვალი ჩაუკრა, ვითომ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი უნდა გაგიმხილოთო. მერე ისე ჩუმად დაიწყო ლაპარაკი, ერთ სიტყვასაც ვერ გავიგებდი, ბუნებას რომ არაჩვეულებრივი მახვილი სმენით არ დავეჯილდოებინე.

— ბატონებო, იცით, ახლა რა სურვილი დამებადა? სიამოვნებით მოვიდოდი აი, იმ კალათასთან, ავხდიდი სახურავს და მჭრელი დანით ყელს გამოვლადრაავდი იმ დაწყვეტილ კატას, შიგ რომ მოკალათებულა და შეიძლება, ყველას თავხედურად დაგვცინის კიდევაც.

— ლოტარიო, გეტყობა, ნამდვილად გაგიჟებულხართ! — წამოიძახა ერთ-ერთმა სტუმარმა, — დიახ, ნამდვილად გაგიჟებულხართ! აბა, რა დაგიშაუათ ჩვენი ძვირფასი მაესტროს საყვარელმა, ლამაზმა კატამ, რომ მისთვის ანდერძის აგება გადაგიწყვეტიათ? და ერთი ისიც გამაგებინეთ, ჩურჩულით რატომღა ლაპარაკობთ?

პროფესორმა კვლავ იდუმალი ხმით გაანდო დამსწრეთ, ამ კატას

ყველაფერი ესმის და წერა-კითხვაც მშვენიერად შეუძლიაო. მაესტრო აბრაჰამმა რაღაცა მანქანებით აზიარა იგი სხვადასხვა მეცნიერებას. გარდა ამისა, როგორც პუდელმა პონტომ გამანდო, ჩვენი კატა თურმე უკვე კარგად არის დაუფლებული ლექსების წერის ხელოვნებას და პროზაზედაც არ გახლავთ მწყრალად. ეს ყველაფერი კი ეშმაკ მაესტროს იმისათვის დასჭირდა, რომ მასხრად აიგდოს და თავს ლაფი დაასხას ჩვენს სახელოვან მეცნიერებსა და პოეტებსო.

— ბატონებო, აი, ნახეთ, — ყვიროდა გაანჩხლებული ლოტარიო, — აი, ნახეთ, რა მოხდება: მაესტრო ისედაც დიდი ნდობით სარგებლობს ბრწყინვალე ჰერცოგის სასახლის კარზე. ჰოდა, აი, ნახეთ, გული მიგრძნობს, ის დღეც არ არის შორს, როცა მაესტრო ამ კატას ყველაფერს გააკეთებინებს, რასაც კი მოიწადინებს! ეს არაშხადა ჯერ magister legens<sup>1</sup> გახდება, მერე დოქტორის ხარისხს მიიღებს, ბოლოს კი პროფესორობასაც მოინდომებს, ესთეტიკის კათედრაზე აჯარდება და ესქილებზე, კორნელსა და შექსპირზე წაგვიკითხავს ლექციებს! ლამის ჭკუიდან შევიშალო! ეს თავხედი კატა ხომ შიგნეულობაში დამიწყებს თათების ფათურს, ბრჭყალები კი, მოგეხსენებათ, საკმაოდ ბასრი აქვს!

ლოტარიოს სიტყვებმა ყველანი საშინლად გააოცა. ერთმა სტუმარმა განაცხადა, ღმერთმა ნუ დამაჯერებინოს, რომ კატას წერა-კითხვის სწავლა შეუძლიაო.

— მოგეხსენებათ, — თქვა მან, — წერა-კითხვა ყველა მეცნიერების საფუძველთსაფუძველი გახლავთ. მას რომ დაეუფლოს კაცი, ხანგრძლივი წვრთნა და მეცადინეობაა საჭირო, რაც მხოლოდ ადამიანისთვისაა ხელმისაწვდომი. ამასაც თავი დაუანებოთ, ბატონებო, ამისთვის ხომ გონება, აზროვნების უნარია საჭირო; ასეთ რამეს ყველა ადამიანშიც ვერ აღმოაჩენ, არამცთუ კატაში; ადამიანი კი, მოგეხსენებათ, დედაბუნების გვირგვინი გახლავთ! მაშ, უგუნურ ცხოველს რაღა მოეკითხება?!

— ჩემო ძვირფასო, — ჩაერია საუბარში მეორე სტუმარი, კალათაში გამომწყვდეულს საოცრად ღვთისნიერ კაცად რომ მომეჩვენა, — ერთი გამაგებინეთ, მაგ „უგუნურ ცხოველში“ რას გულისხმობთ? ჰოდა, აი, რას გეტყვით, უგუნური ცხოველები არ არსებობენ! და-

<sup>1</sup> მაგისტრი, რომელსაც ლექციების წაკითხვის უფლება აქვს (ლათ).



ლიან ხშირად, როცა საკუთარ თავზე ფიქრები წამიღებს ხოლმე, უღრმესი პატივისცემით ვიმსჯელები სახედრებისა და ყველა სხვა სასარგებლო ცხოველების მიმართ ვერ გამიგია, რატომ არ შეიძლება, გონიერმა შინაურმა პირუტყვმა წერა-კითხვა ისწავლოს, თუკი ბუნებას უხვად მიუმაღლებია მისთვის საამისო ნიჭი? უფრო მეტს ვიტყვოდი: ვითომ რა არის შეუძლებელი იმაში, რომ ასეთი გონიერი პირუტყვი მეცნიერებისა და პოეზიის მაღალ მწვერვალებს მოებლა-უჭოს? უკვე აღარაფერს ვამბობ „ათას ერთი ღამის“ ზღაპრებზე, ამ შესანიშნავ ისტორიულ წყაროზე, სადაც ასეთი სიმართლითაა აღწერილი ცხოვრებისეული ამბები! ჩემო ძვირფასო, მე მხოლოდ მინდა ჩექმებიანი კატა გაგახსენოთ! აბა, მითხართ, განა იგი კუთილშობილების, გონიერებისა და საზრიანობის განსახიერება არ გახლდათ?!

ჩექმებიანი კატის შექებამ აღმაფრთოვანა; გუमानით მივხვდი, რომ იგი ჩემი ღირსეული წინაპარი უნდა ყოფილიყო. აღტაცებულმა თავი ვეღარ შევიმაგრე და ორჯერ თუ სამჯერ ხმამაღლა დაფაცხიკვე. მჭევრმეტყველი სტუმარი მყისვე დადუმდა. ყველამ გაკვირვებით გამოიხედა კალათისაკენ.

— Contentement, mon cher,<sup>1</sup> — დამიძახა ბოლოს იმ ღვთისნიერმა კაცმა და განაგრძო, — პატივცემულო პროფესორო! თუ არ ვცდები, ახლახან პუდელი პონტო ახსენეთ! რამდენადაც გაუიგე, ეს მან გაგიმჟღაუნათ ჩვენი მურის განსწავლულობისა და პოეტური ნიჭის საიდუმლო. ამან სერვანტესის „ბერგანცა“ გამახსენა. ამ ძაღლის შემდგომ ბედ-იღბალზე მოგვითხრობს ერთი სულ ახლახან გამოსული ძალიან საინტერესო წიგნი.<sup>2</sup> ამ საოცარი ცხოველის მაგალითზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენს ოთხფეხა მეგობრებსაც უხვდა აქვთ მომადლებული ბუნებრივი ნიჭიცა და მეცნიერებისაკენ ლტოლვის უნარიც.

— კი, მაგრამ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, — გააწყვეტინა მას სიტყვა მეორემ, — ეს რა უცნაური მაგალითები მოგყავთ? ნუ გა-

<sup>1</sup> ჯანმრთელობა, ჩემო ძვირფასო! (ფრანგ.).

<sup>2</sup> „სერვანტესის ბერგანცა გამახსენა. ამ ძაღლის შემდგომ ბედ-იღბალზე მოგვითხრობს ერთი სულ ახლახან გამოსული ძალიან საინტერესო წიგნი“ — პოფმანი გულისხმობს საკუთარ მოთხრობას „ცნობები ძაღლ ბერგანცას ახალი თავგადასავლების შესახებ“ (1812), რომელიც თითქოსდა წარმოადგენს გავრძელებას სერვანტესის ნოველისა „ძაღლთა საუბრების შესახებ“.

ვიწყებდათ, რომ ძალღ ბერგანცას სერვანტესი აღწერს; ის კი, მოგახსენებდათ, ცნობილი მწერალი გახლავთ. ჩექმებიანი კატის ამბავი კი ალია-ბალია, საბავშვო ზღაპარია; თუმცა, უნდა აღიაროს კაცმა: ტიკი ისე ცოცხლად გვიყვება ამ ზღაპარს, ზოგიერთ სულელს შეიძლება ნამდვილი ამბავიც კი ეგონოს. ასე და ამრიგად, თქვენ ნიმუშად ორი მწერალი მოგვიყვანეთ, თითქოს ისინი სერიოზული ბუნებისმეტყველნი ანდა ფსიქოლოგები იყვნენ. ამ დროს ყველამ კარგად იცის, რომ ისინი უსაშველო მეოცნებენი არიან და სრულიად დაუჯერებელ ამბებს თხზავენ და გვახვევენ თავს! აბა, რა საკადრისია, რომ თქვენისთანა ჭკვიანი კაცი მწერლებს იშველიებთ ისეთი რამის დასამტკიცებლად, რაც საერთოდ ეწინააღმდეგება საღ აზრსა და განსჯას? კარგი, ლოტარიო ესთეტიკის პროფესორია და ეპატიება, თუ ხანდახან გადაამლაშებს ხოლმე, მაგრამ თქვენ...

— მოითმინეთ, მოითმინეთ, ჩემო კარგო, — გააწყვეტინა მას ღვთისნიერმა კაცმა, — ნუ ცხარობთ! თუ დაუფიქრდებით, მგონი, აუცილებლად დამეთანხმებით: როცა საქმე რაიმე უცნაურს ან უჩვეულოს ეხება, სწორედაც რომ პოეტებს უნდა მიმართოს კაცმა, რამეთუ ცოვი გონების ისტორიკოსებს ასეთი ამბებისა არა გაეგებათ რა. მაშინაც კი, როდესაც ცდილობენ, რაიმე უჩვეულო და უცნაური ამბები მეცნიერულად დაგვისაბუთონ, თავიანთი მოსაზრების დამადასტურებელ მაგალითებს ისევ ცნობილ პოეტებთან ეძებენ ხოლმე, რამეთუ მხოლოდ მათი ბაგენი ღაღადებენ ჭეშმარიტებას. ახლა ერთი ცნობილი ექიმის მაგალითს მოგიყვანთ და, ვგონებ, კმაყოფილი დარჩებით, თქვენც ხომ ექიმი ბრძანდებით! ჰოდა, იმას ვამბობდი, ერთი ცნობილი ექიმის შესახებ<sup>1</sup> უნდა მოგახსენოთ-მეთქი: იგი ცხოველურ მაგნეტიზმზე მუშაობდა და გულდასმით შეისწავლა, თუ რა კავშირი აქვთ ადამიანებს აბსოლუტურ სულთან; ამავე დროს უნდოდა, დაემტკიცებინა, რომ ჩვენში ნამდვილად არსებობს წინათგორძნობის საოცარი ნიჭი; და აი, ამის დასამტკიცებლად მან სწორედ შილერის ვალენშტაინის სიტყვები მოიშველია: „არის ხოლმე ადამიანის ცხოვრებაში წუთები“ და შემდეგ: „ჩაგვესმის ხოლმე ისეთი

<sup>1</sup> „ერთი ცნობილი ექიმის შესახებ“ — კარლ ალექსანდერ კლუგე (1782-1844), გერმანელი ექიმი, ავტორი თხზულებისა „ცხოველური მაგნეტიზმის, როგორც სამკურნალო საშუალების, ახსნის გამოცდილება“ (1811).



ხმები...“<sup>1</sup> ახლა უკვე ზუსტად აღარ მახსოვს, რას ამბობს იგი, დანარჩენი თავად შეგიძლიათ ამოიკითხოთ ტრაგედიაში.

— ოჰო, — გამოედგა დოქტორი, — ხედავთ, საით მიაჭენებთ! არათანამიმდევრული ბრძანდებით, ჩემო კარგო! მაგნეტიზმის სფეროში იჭრებით და ცდილობთ, დაამტკიცოთ, თითქოს ყველა საოცრებასთან ერთად, რასაც საერთოდ მიაწერენ მაგნეტიზმს, მისი წყალობით იმასაც კი შეიძლება მივალწიოთ, რომ ნიჭიერ კატას სწავლა-განათლება მივცეთ.

— რას იზამ! — თქვა ღვთისნიერმა კაცმა, — განა ვინმეს შეუძლია იმის თქმა, თუ როგორ მოქმედებს ცხოველებზე მაგნეტიზმი? კატები სხეულში ელექტრულ ფლუიდებს ატარებენ, რაშიც ახლავე დარწმუნდებით და...

უეცრად მინა გამახსენდა, საწყალობლად რომ ჩიოდა, საშინელ ცდებს ატარებენ ჩემზეო; ძალიან შემეშინდა და ხმამაღალი „მიაუ“ აღმოძვდა.

— ვფიცავ ორკუსსა<sup>2</sup> და ყველა მის საშინელებას, რომ ამ ეშმაკის კერძს ყველაფერი ეყურება, რასაც ვამბობთ, — წამოიძახა შეშინებულმა პროფესორმა, — იცოდეთ, ახლავე, ამ წუთში, საკუთარი ხელით მივახრჩობ მაგ ოხერს, მაგასა.

— ძალზე არაბრძნული გადაწყვეტილებაა, პროფესორო! — უთხრა ღვთისნიერმა კაცმა, — იცოდეთ, ვერაფრით ვერ მოვითმენ, ამ კატას ვინმემ ოდნავ თითიც კი რომ დააკაროს. მართალია, ახლოს არ ვიცნობ, მაგრამ უკვე სულითა და გულით შემეყვარდა ეს სათნო ყმაწვილი. ბოლოს და ბოლოს ისღა დამრჩენია, ვიფიქრო, რომ თქვენ, ჩემო კარგო, უბრალოდ გშურთ ამ კატის პოეტური ნიჭი. ასეა თუ ისე, ჩვენი ნაცარა ვაჟბატონი ესთეტიკის პროფესორი მაინც ვერასდროს გახდება, ამაში შეგიძლიათ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ. ძველ აკადემიურ სტატუტებში ამასთან დაკავშირებით შავით თუთრზე წერია: უკანასკნელ ხანებში უფლებების ბოროტად გამოყენების გამო ვირებს პროფესორობა ჩამოერთვათო. განა

<sup>1</sup> „არის ხოლმე ადამიანის ცხოვრებაში წუთები“ და შემდეგ: „ჩაგვესმის ხოლმე ისეთი ხმები“ — იხ. შილერი, „ვალენშტაინი“, ტრილოგიის მე-3 ნაწილი. მოქმედება II, სურათი 3 და მოქმედება 5, სურათი 3.

<sup>2</sup> ორკუსი — 1. რომაულ მითოლოგიაში ქვესკნელის ღვთაება; 2. ქვესკნელის სამყარო, ლანდების სამყოფელი.

ეს კანონი ყველა ჯიშისა და ჯურის ცხოველებთან ერთად კატებზეც არ ვრცელდება?

— კაცი ყველაფერს უნდა მოელოდეს! — უკმაყოფილოდ თქვა პროფესორმა, — შესაძლოა, კატა არასოდეს გახდეს მაგისტრი და ესთეტიკის პროფესორი, მაგრამ მწერლობაში, ადრე თუ გვიან, მაინც შემოყოფს თავს. ეჭვიც არ მეპარება, რომ თავისი ნაწარმოებების უჩვეულო სიახლითა და ორიგინალობით უმაღლ მიიზიდავს გამომცემლებსაც და მკითხველებსაც და თვალსა და ხელს შუა აგვართმევს მსუყე, გემრიელ ჰონორარებს...

— რაც გინდა, ისა თქვით, — მიუგო ღვთისნიერმა კაცმა, — მე კი ვერაფრით გამიგია, რა არის იმაში ურიგო, რომ ჩვენი მაესტროს მშვენიერმა, გონიერმა კატამ ბედი სცადოს იმ სარბიელზე, სადაც ამდენი გონებაჩლუნგი და უნიჭო ერკინება ერთმანეთს. ერთადერთი ზომა კი მის წინააღმდეგ აუცილებლად უნდა მივიღოთ: კატუნას უნდა დაუჭრათ თავისი ბასრი ბრჭყალები. კარგი იქნება, თუ ამ საქმეს არ გადავდებთ მაშინ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ თუ ვინცობაა მწერალი გახდა, ბრჭყალს ვეღარ გაგვკრაუს და სისხლსაც ვეღარ გამოგვადენს.

ყველანი ფეხზე წამოდგნენ. ესთეტიკის პროფესორმა მაკრატელს წამოაუღო ხელი. ალბათ, წარმოგიდგენიათ ჩემი მდგომარეობა, არა? გადავწყვიტე, პირველსავე მომხდურს ვეფხვოვით ვკვეთებოდი და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დამეცვა თავი ამ ბარბაროსული ძალადობისაგან. ვიფიქრე, ვაი იმის ბრალი, ვინც მოძიახლოდებოდა, ისე დაუასახიჩრებ და ისეთ კვალს დაუამჩნევ, მთელი სიცოცხლე ემახსოვრება-მეთქი. ნახტომისთვის მოვეშხადე და დავუწყე ლოდინი, როდის აიხდებოდა კალათის ხუფი.

მაგრამ სწორედ ამ დროს ოთახში მაესტრო აბრაჰამი შემოვიდა. უკიდურეს სასოწარკვეთაში ჩავარდნილს, მის დანახვაზე ყოველგვარი შიში გამეფანტა. ჩემმა პატრონმა კალათას ხუფი ახადა. მე შლეგიანივით ვისკუპე და ერთი ნახტომით ღუმელქვეშ ამოვყავი თავი.

— რა დაემართა ჩემს კატას? — იკითხა მაესტრომ და ეჭვის თვალით აათვალიერ-ჩაათვალიერა შემცბარი სტუმრები. ისინი მშვენივრად გრძნობდნენ თავიანთ დანაშაულს, უხმოდ მისჩერებოდნენ მასპინძელს და კრინტს არ სძრავდნენ.

მართალია, კალათაში გამომწყვდეული მშვენივრად ვგრძნობდი,



რომ დიდი ხიფათი მქონდა, მაინც უდიდესი სულიერი კმაყოფილება ვიგრძენ, როცა გავიგონე, რა აზრისა ბრძანდებოდა ბატონი პროფესორი ჩემს მომავალ კარიერაზე. განსაკუთრებით კი იმ ამბავმა გამახარა, რომ მის სიტყვებში აშკარა შური ვიგრძენი. უკვე თვალნათლო ვხედავდი ჩემს კინკრიხოზე დაკოსებულ დოქტორის ქუდს, ვხედავდი, როგორ ავდიოდი კათედრაზე! განა ცოდნას მოწყურებული ახალგაზრდობა ყველაზე ხალისიანად სწორედ ჩემს ლექციებს არ დაესწრობოდა? არა მგონია, დამსწრეთაგან ვინმეს არასწორად გაეგო პროფესორის თხოვნა, ლექციებზე თან ძაღლები არ წამოეყვანათ! ყველა პუდელი ხომ ჩვენს პონტოსავით კეთილი არ არის? განსაკუთრებით კი გრძელყურებპარტყუნა მონადირე ძაღლებს ვერ ენდობა კაცი! ისინი ყველგან და ყოველთვის ცდილობენ ჩხუბი და დავიდარაბა აუტჯონ ხოლმე ჩემი მოდგმის ყველაზე ღირსეულ წარმომადგენლებს; ჩვენც იძულებულნი ვართ, უღირსი და დამამცირებელი საქციელით გამოუხატოთ ჩვენი რისხვა: ვიჭყაულოთ, ვკაწროთ, დაჯკბინოთ და ა.შ.

რა სამწუხარო იქნებოდა...

(სამაკ. თაბ.) ...მარტო ლოყებლაჟღაჟა სეფექალიდა დარჩა. იგი ადრეც ენახა კრაისლერს ქალბატონ ბენცონთან.

— ძალიან დამაჟალებოთ, ნანეტა, — მიმართა მას პრინცესამ, — თუკი ქვევით ჩაბრძანდებით და თვალყურს ადვენებოთ, რომ მიხაკები ჩემს ოთახში წაიღონ. მსახურები ძალიან დაუდევრები არიან და კაცს მათი იმედი არასდროს არ შეიძლება ჰქონდეს.

სეფექალი მყისვე წამოხტა, მოწიწებით დაუკრა თავი პრინცესას და გალიიდან გამოშვებული ჩიტოვით ოთახიდან გაფარფატდა.

— თუ მასწავლებელთან სრულიად მარტო არა ვარ ხოლმე, დაკვრა არაფრით არ შემიძლია, — მიუბრუნდა პრინცესა კრაისლერს, — მასწავლებელი ჩემთვის იგივე სულიერი მამაა, მას უშიშრად შეიძლება გაანდოს კაცმა თავისი ცოდვები. ძვირფასო კრაისლერ, ალბათ, ჩვენი სასახლის წესები, ცოტა არ იყოს, მკაცრი და შემბოჭავი გეჩვენებათ; აი, თუნდაც, ჩემზე გეტყვიოთ: დღენიადაგ სეფექალების გუნდი მახვევია გარს. ისე შემომფოფინებენ, თითქოს ესპანეთის დედოფალი ვიყო. ასეა თუ ისე, რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა, ჩვენს მშვენიერ ზიგპარტსვაილერში უფრო მეტი თავისუფლება ჰქონოდა კაცს. მთავარი რომ ახლა სასახლეში ბრძანებულიყო, კმ

რაფრით გაუბედავდი ნანეტას გაშვებას. ის საბრალო კი თვითონაც საშინლად მოწყენილია ჩვენს გაკვეთილებზე და მეც ძალზე მბოჭავს თავისი აქ ყოფნით. რა გაეწყობა, მოდი, ხელახლა დავიწყით. იმედია, ამჯერად უკეთესად წავა საქმე.

კრაისლერი გაკვეთილებზე ჩვეულებრივ დიდ მოთმინებას იჩენდა ხოლმე და აი, ახლაც ხელახლა დაიწყო არია, პრინცესას თავისი საკუთარი სურვილით რომ ამოერჩია სასწავლად. ჰედვიგა სულითა და გულით იყო მოწადინებული, რაც შეიძლება უკეთ შეესრულებინა არია, და კრაისლერიც ცდას არ იშურებდა, ყოველნაირად მიხმარებოდა მას, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა: პრინცესა ტაქტიდან ვარდებოდა, ყალბ ნოტებს იღებდა და შეცდომას შეცდომაზე უშვებდა. ბოლოს და ბოლოს, აღმურმოდებული ადგილიდან წამოხტა, ფანჯარასთან მიირბინა და პარკში დაიწყო ცქერა. კრაისლერს მოეჩვენა, რომ პრინცესა ტიროდა. პირველმა გაკვეთილმა და პრინცესის საქციელმა კაპელმაისტერს გუნება გაუფუჭა, მაგრამ უცბად ერთმა აზრმა გაუელვა თავში: საჭირო იყო, პრინცესის ახლანდელი სიძულვილი მუსიკისადმი ისევ და ისევ მუსიკის გენიით ამოეძირკვა. და, აი, მის თითებქვეშ ერთიმეორის მიყოლებით სასიამოვნო ჰანგები დაიღვარა. იგი საყვარელი ნაცნობი სიმღერების ვარირებას ახდენდა კონტრაპუნქტული ილეთებითა და რთული მუსიკალური სამკაულებით. ბოლოს და ბოლოს, თვითონვე გაუკვირდა, რა კარგად ვუკრავ ფორტეპიანოზეო და ისე გაიტაცა საკუთარმა შესრულებამ, სულ მთლად გადაავიწყდა პრინცესაცა და მისი უცნაური ჭირვეულობაც.

— რა მშვენიერი სანახავია დაისის სხივებით განათებული გაიერშტაინი, — თქვა პრინცესამ ისე, რომ თავი არც შემოუბრუნებია.

კრაისლერი კი ის-ის იყო, რთულ დისონანსში გადავიდა და მის გადაწყვეტას ლამობდა, ამიტომ არაფრით არ შეეძლო პრინცესასთან ერთად დამტკბარიყო დაისის სხივებით განათებული გაიერშტაინის ცქერით.

— ნუთუ არსებობს ამ ქვეყანაზე ჩვენს ზიგჰარტსვაილერზე მომხიბლავი მხარე? — განაგრძობდა ჰედვიგა და ხმას საგრძნობლად უწევდა. ახლა კი იძულებული გახდა კრაისლერი, დამამთავრებელი, ძლიერი აკორდი აეღო, მერე კი ფანჯარასთან მისულიყო და თავაზიან საუბარში აჰყოლოდა პრინცესას.



— დიახ, თქვენო ბრწყინვალეებავ, — დაიწყო მან, — პარკი მართლაც რომ შესანიშნავია, მაგრამ, იცით, განსაკუთრებით მაშინ ამჩუყდება ხოლმე გული, როდესაც გავცქერი სოვრცეს და ვხედავ, რომ მთელ მიდამოს მწვანე საბურველი შემოუხვევია. დიახ, ჩემში ყოველთვის უდიდეს გაცეხასა და აღტაცებას იწვევს, როცა ხუებს, ბუჩქებსა და ბალახებს ვუცქერი. ყოველ გაზაფხულზე მხურვალე მადლობას ვწირავ მამაზეციერს იმისათვის, რომ ბუნება ყოველ წელს ისევ და ისევ მწვანე სამოსელში ეხვევა, და არა წითელში. წარმოიდგინეთ, რა საშინელი სანახაობა იქნებოდა, ასე რომ ყოფილიყო. მართლაც, ვერც ერთ პეიზაჟისტთან ვერ შეხვდებით მსგავსურათს: ვერც კლოდ ლორენთან, ვერც ბერკემთან და თვით ჰაკერტთანაც<sup>1</sup> კი, რომელიც ოდნავ სითუთრეს თუ გაურვეს ხოლმე თავის ხასხასა მწვანე ფერს.

კრაისლერს უნდოდა განეგრძო, მაგრამ ანაზღად ფანჯრის გვერდით პატარა სარკეში პრინცესის გაკფითრებულ, ტანჯვით აღსავსე სახეს მოჰკრა თვალი. ამის დანახვაზე კაპელმაისტერს ყინულით სიცოცემ დაუარა მთელ ტანში.

ბოლოს და ბოლოს, ისევ პრინცესამ დაარღვია სიჩუმე. მას თავი არ მოუბრუნებია; ისევ და ისევ გასცქეროდა პარკს, მის მთრთოლარე ხმაში კი ღრმა ნალველი იგრძნობოდა.

— კრაისლერ, განგებამ ინება, რომ ჩემში თავიდანვე ერთი ჭირვეული, ანჩხლი, თავნება და სულელი არსება დაგენახათ, — თქვა პრინცესამ, — ეს კი მშვენიერი საბაბი გახლდათ იმისათვის, რომ ჩემზე ამოგენტხიათ მთელი თქვენი მწარე სიტყვამოსწრებულობა. მაგრამ დადგა დრო, აგიხსნათ, თუ რატომ ვიწყებ თქვენს დანახვაზე ციებცხელებიანოვით ცახცახს, რატომ მითრთის სხეულის თითოეული ნაკვთი! მინდა ყველაფერი იცოდეთ! გულწრფელი აღსარება შემიმსუბუქებს სიმძიმის და მომცემს ძალას, შევეგუო თქვენს ყოფნას სასახლის კარზე. როდესაც პირველად გნახეთ პარკში, თქვენცა და თქვენმა საქციელმაც ჩემში საშინელი ძრწოლა გამოიწვია, მაგრამ ამის მიზეზი ვერაფრით ამეხსნა. არ ვიცი, შესაძლოა, აღ-

<sup>1</sup> კლოდ ლორენი (1600-1682) — ფრანგი ფერმწერი და გრაფიორი, კლასიკური პეიზაჟის ერთ-ერთი უდიდესი დიდოსტატთაგანი; ნიკოლას (კლას) პიტერს ბერკემ-უფროსი (1620-1683) — პოლანდიელი ფერმწერი, გრაფიკოსი და გრაფიორი; იაკობ ფილიპ ჰაკერტი (1737-1807) — გერმანელი მხატვარი, უპირატესად, პეიზაჟისტი.

რინდელი ბავშვობის რომელიღაც მოგონებამ გაიღვიძა ჩემში უეცრად, მხოლოდ მოგვიანებით რომ მიიღო გამოკვეთილი სახე უცნაურ სიზმარში. სასახლის კარზე ერთი მხატვარი ცხოვრობდა, გვარად ეტლინგერი. მთავარიცა და მთავრინაც დიდად აფასებდნენ მის არაჩვეულებრივ ნიჭიერებას. ჩვენს გალერეაში შეგიძლიათ დატკბეთ მისი ფუნჯით შესრულებული მშვენიერი სურათებით: ერთი კია, ყველა მათგანში მთავრინას ამოიცნობთ. იგი ხან ერთ ისტორიულ სიუჟეტში გვხვდება, ხან მეორეში, მაგრამ ყოველთვის ათასნაირადაა სახემეცვლილი და გარდასახული. ეტლინგერის შემოქმედების გვირგვინს მაინც ერთი საოცარი სურათი წარმოადგენს, ყველა მნახველის განცვიფრებასა და აღტაცებას რომ იწვევს. ეს სურათი ამჟამად მთავრის სამუშაო ოთახში ჰკიდია. მასზე მთავრინაა გამოხატული. იგი მხატვარმა მაშინ დახატა, როცა დედაჩემი ახალგაზრდული მშვენიერების გაფურჩქნის ხანაში იმყოფებოდა, და დახატა ზეპირად, ყოველგვარი სეანსების გარეშე. მაგრამ ისე საოცრად მიამსგაუსა დედაჩემს, კაცი იფიქრებს, მხატვარმა მისი გამოსახულება სარკეს თუ გამოსტაცაო.

ეტყობა, ლეონჰარდი — ასე ერქვა მხატვარს, — კეთილი და უწყინარი კაცი იყო. მაშინ მე სამიოდე წლის თუ ვიქნებოდი, მაგრამ თურმე ისე მივეჩვიე მას, როგორც ეს მხოლოდ ბავშვებს სჩვევიათ. გვერდიდან აღარ ვიშორებდი, ისიც ხალისით მეთამაშებოდა, მიხატავდა ჭრულაჭრულა სურათებს, ქაღალდებისგან მიჭრიდა ფარატიხა თოჯინებს. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ მხატვარი მოულოდნელად გაქრა. ძიძამ თვალზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა და მითხრა: ლეონჰარდი მოკვდაო. ჩემს მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა; აღარ მინდოდა იმ ოთახში შესვლა, სადაც მე და ლეონჰარდი ვთამაშობდით. როგორც კი დროს მოვიხელთებდი, გავეპარებოდი ძიძასა და სეფექალებს, ჩავრბოდი ეზოში და ხმამაღლა ვუხმობდი, ლეონჰარდ, ლეონჰარდ-მეთქი; არაფრით მჯეროდა, რომ ჩემი საყვარელი ლეონჰარდი მართლა მოკვდა. რატომღაც მეგონა, სასახლეშია და სადღაც იმალება-მეთქი.

და აი, ერთ საღამოსაც ვისარგებლე იმით, რომ ძიძა ცოტა ხნით ოთახიდან გავიდა, დრო ვიხელთე და მთავრინას საძებნელად გავეშურე. ვიფიქრე, ის მაინც მეტყვის, სად არის ლეონჰარდი და მოიყვანს ჩემთან-მეთქი. დერუფანში გასასვლელი კარი ღია იყო. მთავარ



კიბემდე მოკედი, ზევით აყედი და ალაღბედზე პირველსავე ოთახში შევედი. კვლავ დაკეტილ კართან აღმოჩნდი. ცოტა ხანს შეფერ-დი და დაკაკუნება დავაპირე, რადგან მეგონა, მთავრინას ტალანებში მოუხვდი. ამის გაფიქრება და კარის გაღება ერთი იყო. ოთახიდან ვიღაც ჩამოძონძილ-ჩამოკონკილი, თმააბურძგნილი კაცი გამოვარ-და. მაშინვე ვიცანი. ლეონპარდი უაზრო, ანთებული თვალებით შე-მომცქეროდა. საბრალო ისე გამხდარიყო, სახე ისე გაფითრებოდა, ძნელადღა იცნობდა კაცი.

— აჰ, ლეონპარდ, — დაუიყვირე შეშინებულმა, — მითხარი, რა დაგემართა? რატომ გადევს ასე ცუდი ფერი? რად გიელავს თვალები და რატომ მიყურებ ასე უცნაურად? მეშინია, მეშინია შენი! ისევ იმ კეთილ ლეონპარდად გადაიქეც, რა! ისევ დამიხატე ლამაზი, ჭრუ-ლაჭრულა სურათები!

მაშინ იგი ველური ხარხარით გამოემართა ჩემკენ. მის ტანზე შე-მობხვეულმა ჯაჭვმა საშინლად დაიგრუხუნა, ლეონპარდი კი იატაკ-ზე მოიკრუნჩხა და ჩახრინწული ხმით ბუტბუტი დაიწყო: „ჰა, ჰა, ჰა, პატარა პრინცესა! ჭრულაჭრულა სურათები გნებავს, განა? ახ-ლა კი შემიძლია დაუსრულებლად ვხატო და ვხატო, ახლავე და-გიხატავ შენი მშვენიერი დედიკოს სურათს! ხომ მართალს ვამბობ? ხომ მართლა ძალიან ლამაზი დედიკო გყავს? ოღონდ სთხოვე, ნუ-ღარ ცდის ჩემზე თავის თილისმას და ნუღარ მაქცევს ლეონპარდ ეტლინგერად! აღარ მინდა ის საცოდავი კაცი ვიყო, ლეონპარდ ეტ-ლინგერი რომ ერქვა სახელად! იგი ხომ უკვე დიდი ხანია მოკვ-და! ახლა მე ერთი უღალი ძერა ვარ და მხოლოდ მაშინ შემიძლია ხატვა, როცა ათასფრად აკიაფებულ სხივებს გადავყლაპავ ხოლმე, როცა სახატავი ზეთის მაგიერ განგმირული გულიდან მოდგაფუნე სისხლს ვხმარობ! დიახ, დიახ, პატარა პრინცესა, მე შენი სისხლი მჭირდება, შენი გულიდან ამოჩქეფილი ცხელ-ცხელი სისხლი!“ — მხატვარმა მოულოდნელად ხელი მტაცა, თავისთან მიმათრია და ყუ-ლი მომიშიშვლა. იმ წუთს მომეჩვენა, თითქოს მის ხელში პატარა დანამ გაიელვა. ჩემს სასოწარკვეთილ კვილზე მსახურები შემოც-ვივდნენ და შეშლილს ეცნენ, მაგრამ მან არაადამიანური ძალით ყველანი აქეთ-იქით მიყარ-მოყარა. იმავე წუთში ხმამაღალი ფეხის ხმა გაისმა, ვიღაცა გოლიათური აგებულების კაცი კიბეზე ჩამორ-ბოდა და ბრდღვინაჟდა: „ღმერთო დიდებულო! ისევ გამომპარვია!

ღმერთო ჩემო, ეს რა ღვთის რისხუა! დამაცადე, დამაცადე, შე ეშ-  
მაკის კერძო, შენა!“ მის დანახვაზე შეშლილი, თითქოს მთელი ძალ-  
ღონე უეცრად გამოეცალაო, ღმუილით დაასკდა იატაკს. დარაჯმა  
ჯაჭვი მოიტანა და ტანზე შემოახვია. შეშლილი მაშინვე წაიყვანეს.  
უბედური, გალიაში შეგდებული ნადიროვით კარგა ხანს კვლავ ღმუ-  
ოდა და ღმუოდა.

აღბათ, წარმოგიდგენიათ, რა საშინლად იმოქმედებდა ოთხი  
წლის ბავშვზე ეს შემზარავი სურათი. რა თქმა უნდა, ყველანი მამ-  
შვიდებდნენ, ცდილობდნენ, აეხსნათ, თუ რა არის სიგიჟე! ცხადია,  
ყველაფერს ვერ გაუიგებდი, მაგრამ იმ დღიდან ჩემში შემზარავმა  
შიშმა დაისადგურა. ეს გრძნობა ახლაც დამეუფლება ხოლმე მთუ-  
ლი ძალით, როცა ვინმე შეშლილს დაჟინახავ, ანდა, როცა უბრა-  
ლოდ წარმოვიდგენ იმ საშინელ სულიერ მდგომარეობას, მხოლოდ  
ხანგრძლივ სასიკვდილო ტანჯვას რომ შეიძლება შეადაროს კაცმა.  
თქვენ კი, კრაისლერ, გაჭრილი ვაშლივით ჰგავხართ იმ უბედურს!  
განსაკუთრებით თქვენი ეს უცნაური გამოხედვა მაგონებს ლეონ-  
პარდს. აი, რატომ მოხდა, რომ მაშინ ასე შემზარა თქვენმა დანახ-  
ვამ და რატომაა, რომ თქვენი თანდასწრებით ყოველთვის რალაციის  
მეშინია... რალაცა მაწვალებს!

კრაისლერი გაოგნებული იდგა და ხმის ამოღება ვეღარ მოეხერ-  
ხებინა. დიდი ხანია თან სდევდა *idee fixe*,<sup>1</sup> რომ სიგიჟე დამშეული,  
ველური ნადიროვით უსაფრდება მას. და აი, დადგება დრო, როცა  
იგი ქურდულად მიეპარება თავის მსხვერპლს, დაესხმის თავს და ნა-  
კუწ-ნაკუწად აქცევს. კრაისლერი სწორედ იმ შემზარავმა გრძნობამ  
მოიცვა, პრინცესა მის დანახვაზე რომ განიცდიდა ხოლმე, და სა-  
კუთარი თავის წინაშე შიშის ძრწოლამ აიტანა. იგი ახლა საშინელ  
აზრს ებრძოდა, იქნებ მართლა მე ვიყავი ის კაცი, სიგიჟის წუთებში  
პატარა პრინცესის მოკვლა რომ უნდოდაო?

მცირე ხნის ღუმილის შემდეგ ჰედვიგამ განაგრძო:

— საბრალო ლეონპარდს მალულად უყვარდა დედაჩემი. ეს სიყ-  
ვარული თავისთავად უკვე სიგიჟე იყო და ბოლოს აკი გადაიზარდა  
კიდევ ნამდვილ შეშლილობასა და დაუოკებელ მძვინვარებაში.

— ეს კი იმას ნიშნავს, — თქვა კრაისლერმა რბილი, უწყინარი

<sup>1</sup> აკვირებული აზრი (ფრანგ.).



ხმით, როგორც იწყებდა საუბარს ყოველთვის, როცა მის მკერდში აბობოქრებული ქარიშხალი ჩაწყნარდებოდა ხოლმე, — დიახ, ეს იმას ნიშნავს, რომ ლეონჰარდის ტრფობა ხელოვანის ტრფობა არ გახლდათ.

— ამით რისი თქმა გსურთ, კრაისლერ? — იკითხა პრინცესამ და მკვეთრად შემოტრიალდა.

— ერთხელ საკმაოდ მხიარულ კომედიას დავესწარი,<sup>1</sup> — წამოიწყო კრაისლერმა უწყინარი ღიმილით, — პოდა, იმ კომედიაში ტაკიმასხარამ ორკესტრის მუსიკოსებს ასეთი ალერსიანი სიტყვებით მიმართა: „ბატონებო, თქვენ კარგი ადამიანები ხართ, მაგრამ უხეირო მუსიკოსები ბრძანდებითო!“ იმ დღიდან, მე, ვითარცა უხენაესმა მსაჯულმა, მთელი კაცობრიობა ორ არათანაბარ ნაწილად გაყავი: ერთში შევიყვანე კეთილი ადამიანები, მაგრამ უხეირო მუსიკოსები, ანდა საერთოდ არამუსიკოსები, მეორეში კი — ჭეშმარიტი მუსიკოსები. გარწმუნებთ, მათ შორის არავინ იქნება შერისხული, სამოთხეში ყველა მათგანს ნეტარება ელის, თუმცაღა, რა თქმა უნდა, სხვადასხვაგვარი. კეთილი ადამიანები ძალიან ადვილად ხდებიან ხოლმე წყვილი მშვენიერი თვალის მსხვერპლნი. ისინი მყის გაუწვდიან ხელებს არსებას, რომლის პირისახეზედაც ზემოხსენებული თვალები ციმციმებენ, და თავის მეუფეს წრიულ ალყაში მოაქცევენ; შემდეგ კი ეს წრე თანდათან ვიწროვდება, ვიწროვდება და, ბოლოს და ბოლოს, ნიშნობის ბეჭდისხელაღა ხდება. აი, სწორედ ამ ბეჭედს ჩამოაცვამენ ისინი თავიანთ ანგელოზს ნაზ თითზე, როგორც *pars pro toto*.<sup>2</sup> თქვენო ბრწყინვალებაჲ, ლათინურში, ვგონებ, ცოტათი ერკვეით, არა? დიახ, მე ვთქვი *pars pro toto*-მეთქი; ესე იგი, ნიშნობის ბეჭედი იმ გრძელი ჯაჭვის ერთი რგოლი გახლავს მხოლოდ, ცოლქმრობის უღელში შებმულ სიყვარულის მსხვერპლს რომ ჩამოაცვამენ და ოჯახური საპყრობილისკენ მიმაჯალ გზას გაუყენებენ. ამ დროს ეს კეთილი ადამიანები, რაც ძალი და ღონე აქვთ, გაჰყვირიან: „ო, ღმერთო ჩემო!“ ანდა „ო, ზეცაო!“, ვისაც ასტრონომია უყვარს, ისინი შეჰღალადებენ: „ო, ვარსკვლავებო!“ კერპთაყვანისმცემლები

<sup>1</sup> „ერთხელ საკმაოდ მხიარულ კომედიას დავესწარი“ — კრაისლერს მოჰყავს ციტატა გერმანელი რომანტიკოსის კლემენს ბრენტანოს (1778-1842) კომედიიდან „პონს დე ლეონი“ (მოქმედება 5, სურათი 2).

<sup>2</sup> ნაწილს მთელის ნაცვლად (ლათ.).

კი ასეთ შემთხვევაში ამბობენ ხოლმე: „ო, ღმერთებო! ეს უმშვენიერესი ქმნილება დღეიდან ჩემია, ჩემი! აღსრულდა ჩემი სანუკვარი ოცნებაო!“ ასეთ აურზაურს კეთილი ადამიანები იმისთვის ტყბენ, რომ პგონიათ, მუსიკოსებს ვბაძაუთო, მაგრამ ტყუილუბრალოდ დაშვრებიან, რამეთუ მუსიკოსის სიყვარული სულ სხვა რამ არის! თუმცა, ისიც ხდება ხოლმე, რომ ვილაციის უხილავი ხელი ანაზდად ჩამოაცლის მუსიკოსს თვალებზე აფარებულ ლიბრს. მაშინ კი, აი, რას შეიტყობს იგი: ეს მისი ციური ანგელოზი, ეს ტკბილი, იდუმალი ზმანება, მის გულში უხმოდ რომ იყო გარინდებული, თურმე დედამიწაზე დაშვებულა. მაშინ კი ამოხეთქს ხელოვნების სულიდან უჩვეულო აღფრთოვანება და ღვთაებრივი ნეტარება, დასაბამს ადამიანის სულის სანუკვარ კუნჭულებში რომ პოვებს. ეს აღფრთოვანება კაშკაშა ციურ ნათებას პგავს: მისი სხვი ანათებს, ათბობს და არკი წვავს. მუსიკოსის ვნებათაღელვით შეპყრობილი სული ათასნაირად ცდილობს, ოცნების უხილავ ბადეში გახვიოს თავისი სალოცავი ხატი. ეს ცითმოვლენილი ანგელოზი კი არის და არც არის მისი სულის ნაწილი, რამეთუ მუსიკოსის ლტოლვა მისდამი მარად დაუკმაყოფილებელი რჩება. სწორედ იგი, ეს სალოცავი ხატი, გახლავთ ის აუხდენელი ოცნება, ხელოვანის სულის კუნჭულებიდან რომ ამოიძარება და უმშვენიერეს სიმღერად, ფერწერულ ტილოდ ან პოემად გადაიქცევა ხოლმე... აჰ, მერწმუნეთ, თქვენო ბრწყინვალეებო, ჭეშმარიტ მუსიკოსს თავისი ხორცშესხმული ხელები და ზედ გამობმული თითები იმისთვის სჭირდება, რომ კალმით იქნება ფუნჯით თუ კიდევ რით, არ ვიცი, შემოქმედებით სიხარულს ეზიაროს. გულის სატრფოსთან ისინი სინამდვილეში სულიერი ძაფებით არიან დაკავშირებული; აი, რატომ ვერ დაინახავთ ვერსად ვერც ხელებსა და ვერც თითებს. სწორედ ამიტომ ჭეშმარიტ მუსიკოსს არასოდეს დაუდგება ხოლმე წამი, როცა იგი თავის ღვთაებას ნაზად ჩამოაცვამს ნიშნობის ბეჭედს ლამაზ თითზე. ასეთ შემთხვევებში, რა თქმა უნდა, მეზალიანსების საშიშროება არ მოგველის და, კაცმა რომ თქვას, საესებით სულერითა, ვინ იქნება მუსიკოსის გულის სატრფო, პრინცესა თუ მეფუნთუშის ქალიშვილი, მთავარია, ინდაური არ იყოს. ღვთიური შთაგონებით შეპყრობილი, გამიჯნურებული ხელოვანი ზღაპრულ შედეგებს ქმნის და არასოდეს არც ჭლექით კვდება და არც ჭკუიდან იშლება. აი, რატომ ვადანაშაულებ ბატონ



ეტლინგერს იმაში, რომ ასეთ დღეში ჩაიგდო თავი, მაშინ, როცა შეეძლო ჭეშმარიტი ხელოვანობით ძალუღადა, რამდენიც მოესურვებოდა, იმდენი ჰყვარებოდა მთავრინა და საკუთარი თავისთვის ზიანი არ მიეყენებინა!

პრინცესას ყურადღება აღარ მიუქცევია დამცინავი კილოსათვის, კრაისლერმა ლაპარაკში რომ გამოურია. ეს დაცინვა იმ სიმის წკარუნს ჩაეჭმო, კრაისლერმა რომ შეახო ხელი. ეს სიმი კი ქალის გულში ყველაზე მეტად არის დაჭიმული და ამიტომ არც გასაკვირია, რომ ყველაზე ძალუღადა ხშიანობს.

— ხელოვანის სიყვარული, — წაიჩურჩულა პრინცესამ, საუარძელში ჩაეშვა და თითქოს ოცნებას მიეცაო, თავი ხელს ჩამოაყრდნო, — ხელოვანის სიყვარული! ო, ასე რომ ვუყვარდე ვინმეს! აჰ, ეს მშვენიერი, ჯადოსნური სიზმარი იქნებოდა, მაგრამ მხოლოდ სიზმარი, დიახ, მხოლოდ აუხდენელი სიზმარი!

— თქვენო ბრწყინვალეებო, — თქვა კრაისლერმა, — გეტყობათ, ჯერონად ვერ აფასებთ სიზმრების სიკეთეს, მაშინ როცა მხოლოდ სიზმარში გამოგვესხმება ხოლმე პეპლის ფრთები; სწორედ ამ ჭრულაჭრულა, ფარფატა ფრთების წყალობით დაუღწევთ ხოლმე თავს ყველაზე შეუვალ, აუღებელ ციხესიმაგრეს და ციმციმ ავიჭრებით უკიდვანო სოვრცეში. ბოლოს და ბოლოს, ყველა ადამიანს აქვს ფრენის თანდაყოლილი მოთხოვნილება; აი, მაგალითად, თავის დროზე, ძალზე წესიერ, დარბაისელ ადამიანებს ვიცნობდი; ჰოდა, ისინი საღამოობით შამპანურით ოსებდნენ ხოლმე ფაშკებს, რომ მისი გაზით დატენილიყვნენ და თავისი თავისთვის იმის ილუზია შეექმნათ, ვითომ ღამით საჰაერო ბურთით ცაში მიფრინავთო.

— ო, რა ბედნიერებაა იცოდე, რომ ასე უყვარხარ ვინმეს... — წელანდელზე უფრო აღელვებით გაიმეორა პრინცესამ.

როდესაც ჰედვიგა დადუმდა, კრაისლერმა განაგრძო:

— ხოლო საუკლავლო მაგალითს იმგვარი ხელოვანისა და მიჯნურისა, ახლახან რომ შევეცადე, აღმიწერა თქვენთვის, ლეონჰარდ ეტლინგერი წარმოადგენს: იგი მუსიკოსი გახლდათ და ისეთი სიყვარულისკენ ილტვოდა, როგორც მხოლოდ კეთილ ადამიანებს შეიპყრობთ ხოლმე. ჰოდა, სწორედ ამის გამო დაებინდა ნათელი გონება. აი, სწორედ ამიტომ მგონია, რომ იგი არ ყოფილა ჭეშმარიტი მუსიკოსი. დიახ, ჭეშმარიტი ხელოვანი თავის სატრფოს ხატებას

გულში ატარებს სასოებით და არასოდეს არაფერს მოითხოვს მისგან. მას მხოლოდ და მხოლოდ ერთი ოცნება აქვს: თავის ქმნილებაში, მუსიკა იქნება ლექსი თუ ფერწერული ტილო, ხოტბა-დიდება შეასხას თავის რჩეულს. მიჯნურის წინაშე ხელოვანის ასეთი ქედის მოხრა რაინდის მოწიწებულ მორჩილებას შეიძლება შეედაროს. მაგრამ ამ უკანასკნელთან შედარებით მისი ზრახვები უფრო წმინდაა და სპეტაკი, რამეთუ მისთვის უცხოა რაინდისათვის ჩვეული შურისძიებისა და სისხლის აღების წყურვილი; რაინდები ხომ მზად იყვნენ გულის სატრფოს სადიდებლად შუბით განეგმირათ და სიცოცხლე მოესწრაფათ თვით ყველაზე ღირსეული ადამიანებისთვისაც კი, თუკი რომელიმე ურჩხულს ან გოლიათს ვერ მოიგდებდნენ ხოლმე დროულად ხელთ.

— არა, — წამოიძახა პრინცესამ და თავი გადააქნია, თითქოს ეს ეს არის ბურანიდან გამოერკვაო, — არა, ვაჟკაცის გულში არ უნდა ენთოს ასეთი სპეტაკი, მოწამებრივი ცეცხლი! გეკითხებით, რა არის მამაკაცის სიყვარული? განა ამ საშინელ, ვერაგულ იარაღს იმისათვის არ იყენებს, რომ საბოლოო გამარჯვებას მიაღწიოს, თუმცა, ეს გამარჯვება ქალისთვისაც დამლუპველია და თავად მისთვისაც არ მოაქვს ბედნიერება?

ის-ის იყო, კრაისლერმა გადაწყვიტა, გაოცება გამოეხატა და ეთქვა, ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ქალიშვილისგან ასეთ მსჯელობას არ მოელოდიო, რომ ამ დროს კარი გაიღო და ოთახში პრინცი იგნატიუსი შემოვიდა.

კრაისლერს გაუხარდა საუბრის გაწყვეტა. ეს პაექრობა მან ძალიან მოსწრებულად შეადარა კარგად ხმაშეწყობილ დუეტს, სადაც თითოეული შემსრულებელი თავისი ხასიათის ერთგული რჩება. იმ დროს, როდესაც პრინცესა კრაისლერის აზრით, ჯიქურ იმეორებდა აჩემებულ, მოსაწყენ *adagio*-ს და მხოლოდ დროდადრო თუ ჩაურთავდა ხოლმე *mordent*-ს, ანდა მოკლე, მკვეთრ ტრელს, თავად იგი — ეს ბრწყინვალე *buffo*<sup>1</sup> და ჭეშმარიტად კომიკოსი მომღერალი, — ქალს წყვეტილი *parlando*-ს<sup>2</sup> ძლევამოსილი ხმების ბობოქარ ზვირთებს აგებებდა. და, ვინაიდან და რადგანაც კაპელმაისტერმა ამ

<sup>1</sup> კომიკოსი მსახიობი (იტალ).

<sup>2</sup> ტერმინი (იტალ. *parlando* — ლაპარაკით), რომელიც მომღერლისგან სიტყვების მკაფიოდ წარმოთქმას მოითხოვს, მუსიკაზე ტექსტის დომინირების მიზნით.



დუეტის შესრულებაცა და მიხი კომპოზიციაც ჭეშმარიტ შედეგად ჩათვალა, უცბად ხულითა და გულით მოუნდა. ლოყაში ან სადმე სხვა მოხერხებულ ადგილას მოკალათებულს, მისთვის უცხო ფურით მოესმინა.

მაშ, ასე, ოთახში ტირილითა და ვიშვიშით შემოვიდა პრინცი იგნატიუსი. მას ხელში გატეხილი ფინჯანი ეჭირა.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ თავის საყვარელ, ბავშვურ თამაშობებს პრინცი ვერაფრით შელუოდა, თუმცა, კარგა ხანია გადაებიჯებინა ოცი წლის ასაკისათვის. ყველაზე მეტად მას ლამაზი ფინჯნებით თამაში უყვარდა. საათობით შეეძლო მჯდარიყო მაგიდასთან და ფინჯნები ერთმანეთის გვერდზე ათასნაირად დაემწკრივებინა: ხან ყვითელს დადგამდა წითლის გვერდით, ხან კი წითელ ფინჯნებს მწვანეების გვერდით ჩაამწკრივებდა, თან პატარა ანცი ბალლივით მთელი გულითა და სულით ხარობდა. მისი ახლანდელი ცრემლების მიზეზი პატარა გოშია გახლდათ: თურმე იგი შემთხვევით ამხტარიყო მაგიდაზე და იატაკზე პრინცის ერთ-ერთი უსაყვარლესი ფინჯანი გადმოვდო.

პრინცესა შეჰპირდა ძმას, პარიზიდან გამოაწერინებ შენტვის ყველაზე ლამაზ ფინჯანსო. პრინცი იგნატიუსი დამშვიდდა და სიხარულისაგან სახე გაებადრა. მან მხოლოდ ახლად შენიშნა კაპელმაისტერი, მიუახლოვდა მას და ჰკითხა, გაქვთ თუ არა ლამაზი ფინჯნებიო? კრაისლერს მაესტრო აბრაჰამისგან გაგონილი ჰქონდა, რა პასუხი უნდა გაეცა პრინცისათვის ასეთ შემთხვევაში; ამიტომ უპასუხა, რა თქმა უნდა, არა მაქვს და არც შეიძლება მქონდეს ასეთი ფინჯნები, მე ხომ ვერ დაუხარჯავ იმდენ ფულს, რამდენის დახარჯვაც თქვენს ბრწყინვალეობას შეუძლიაო.

— აი, ხომ ხედავთ, — თქვა კმაყოფილმა პრინცმა, — აი, ხომ ხედავთ, მე პრინცი გახლავართ და ამიტომ შემიძლია ამდენი ლამაზი ფინჯნის ყიდვა; თქვენ კი არ შეგიძლიათ, იმიტომ, რომ პრინცი არა ხართ; რადგან მე ნამდვილი პრინცი ვარ, ამიტომ ლამაზი ფინჯნები... — პრინცმა იგნატიუსმა ერთმანეთში აურია ფინჯნები და პრინციები, პრინციები და ფინჯნები და სახის გამომეტყველება სრულიად ყვეფიური გაუხდა. მერე კმაყოფილებისაგან უაზროდ ახარხარდა, ხტუნვასა და ტაშის კვრას მოჰყვა. ჰედვიგას სახეზე ალმური მოედო და თავი დახარა. მას თავისი გონებაჩლუნგი ძმისაც რცხვენოდა და

კრაისლერის დაცინვაც აშინებდა, მაგრამ ეს შიში ამჟამად უსაფუძ-  
ვლო იყო: კრაისლერი სულაც არ იყო დაცინვის ხასიათზე, რადგან  
პრინციის გონებაჩლუნგობა საშინელ სულიერ დაჟადებად მიაჩნდა,  
ეს კი მასში ისეთ სიბრაღულს აღძრავდა, აღარ იცოდა, როგორ  
მოქცეულიყო. პრინციესას უნდოდა საბრალო პრინციის ყურადღება  
იმ აზბედითი ფინჯნებიდან სხვა რამეზე გადაეტანა, ამიტომ სთხო-  
ვა, დაეღაგებინა კედლის ლამაზ კარადაში მოთავსებული პატარა  
ბიბლიოთეკა. კმაყოფილი და გახარებული პრინცი მყისვე სიცილით  
შეუდგა ლამაზყდიანი წიგნების გადმოღაგებას და მათი სიდიდისდა  
მიხედვით დაწყობას, — თან ვარაყიან ნაწილს ისე უტოვებდა გარე-  
დან წიგნებს, რომ ისინი ოქროსფრად მოელვარე მწკრივებს ქმნიდ-  
ნენ. ეს კი საოცრად ახარებდა პრინცს.

უეცრად ოთახში ყვირილით ნანეტა შემოვარდა:

— მთავარი მოდის, მთავარი! მას პრინციც ახლავს თან!

— აჰ, ღმერთო ჩემო, ნუთუ მართლა? — შეფუცხუნდა პრინცი-  
სა, — მე კი ჩაცმულიც არა ვარ! ისე გავერთე თქვენთან საუბარში,  
ვერც კი გავიგე, როდის გავიდა ამდენი დრო! როგორ ყველაფერი  
გადამვიწყდა! მთავარიც, პრინციცა და საკუთარი თავიც! — ეს თქვა  
და ნანეტასთან ერთად მეზობელ ოთახში გაუჩინარდა. პრინცი იგ-  
ნატიუსი კი გულმოდგინედ ალაგებდა წიგნებს და არავის აქცევდა  
ყურადღებას.

აი, მთავრის ეტლი უკვე სასახლის ეზოში შემოგრიალდა. ის-ის  
იყო, კრაისლერი დაუყვა ფართო კიბეს, რომ ეტლიდან ლივრეაში  
გამოწყობილი ორი მალემსრბოლი გადმოხტა, თუმცაღა, ეს გარე-  
მოება შემდგომ ახსნა-განმარტებას საჭიროებს. მთავარს ძალიან  
არ უყვარდა, როცა ძველ ადათ-წესებს დალატობდნენ და თუმცა,  
დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა მისი უდიდებულე-  
სობის ეტლს დაგეშილი მეძებრებოვით მიუძლოდნენ წინ ჭრულაჭ-  
რულა ქურთუკიანი ტაკიმასხარები, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ,  
ნაირ-ნაირი ჯურის მსახურთა შორის მთავარს დღესაც ჰყავდა ორი  
მალემსრბოლი. შუახანს გადაცილებული ეს ორი მსახური საკმაოდ  
დარბაისლურად გამოიყურებოდა. მოხუცები კარგად ჩაკურატებუ-  
ლი გახლდნენ და მეტისმეტი უმოძრაობისაგან კუჭის ცუდ მოქმე-  
დებას უჩიოდნენ. მთავარი არაჩვეულებრივად კაცთმოყვარე ადამიანი  
გახლდათ და, რა თქმა უნდა, არასდროს მოითხოვდა თავისი მსახუ-



რისაგან, დროდადრო ფეხმარდ მწევრად, ანდა სასახლის კარის ნაგაზად გადაქცეულიყო. მაგრამ ადათ-წესების პატივისცემით საზეიმო ვითარებაში ისინი წინ მიმაჯალ ეტლში უნდა მსხდარიყვნენ და საჭიროების დროს, აი, მაგალითად, თუ გზაზე უსაქმურების ბრბოს გადაყრებოდნენ, ფეხები უმაღლ აეფართხალებინათ, ვითომდა, შუკუხედეთ, მართლა როგორ დაერბივართო. ო, ეს ჭეშმარიტად დიდებული სანახაობა გახლდათ!

მაშ, ასე, მალემსრბოლები ეს-ეს არის გადმოვიდნენ ეტლიდან; კამერპერები სასახლეში შევიდნენ. მათ მთავარი ირენეუსი მოჰყვალამაზი ახალგაზრდა კაცის თანხლებით უცნობს ნეაპოლის გვარდიის ოქრომკედით ნაქარგი მდიდრული მუნდირი ეცვა, მკერდს კი ჯვრები და ვარსკვლავები უმშვენებდა.

— Je vous salue, monsieur de Krösel,<sup>1</sup> — თქვა მთავარმა კრაისლერის დანახვაზე. განსაკუთრებულ საზეიმო შემთხვევებში, როდესაც მთავარი ფრანგულად დაიწყებდა ხოლმე ლაპარაკს, კრაისლერს მიმართავდა ბატონო კრიოზელო, რადგან ასეთ დროს საერთოდ ვერც ერთ გერმანულ სახელს ვერ წარმოთქვამდა სწორად. როდესაც წელან ნანეტამ პრინცესას ამცნო, მთავარი მობრძანდა პრინცის თანხლებით, ეტყობა, ეს ახოვანი ახალგაზრდა კაცი უნდა ჰყოლოდა მხედველობაში. გვერდზე ჩავლისას უცხოელმა პრინცმა კაპელმაისტერს, ცოტა არ იყოს, აგდებულად დაუქნია თავი. ასეთ მისაღმებას კაპელმაისტერი თვით ყველაზე დიდგვაროვანი პირებისგანაც კი ვერ იტანდა. ამიტომ თითქმის მიწამდე მოიხარა და სასაცილო მოწიწებით მიესალმა სტუმარს. ჩასუქებული პოფმარშალი კრაისლერს საერთოდ ძალიან ენამოსწრებულად თვლიდა და ყველა საქციელსა თუ სიტყვას ხუმრობაში ართმევდა. აი, ახლაც, ამის შემხედვარემ თავი ვეღარ შეიკაფა და ჩუმად ჩაიფრუტუნა. ახალგაზრდა პრინცმა კრაისლერს სიბრაზით ანთებული, შავი თვალები შეაუღო და კბილებში გამოცრა: „ტაკიმასხარაო!“ და სწრაფი ნაბიჯით დაეწია მთავარს, მედიდური სიღინჯით რომ გაჩერებულიყო და თვალუბით ეძებდა სტუმარს.

— პატივცემული სტუმარი, იტალიელი გვარდიელის კვალობაზე, საკმაოდ კარგად ლაპარაკობს გერმანულად, — ხმამაღალი სი-

<sup>1</sup> სალაში თქვენდა, ბატონო დე კრიოზელ (ფრანგ.).

ცილით მიუბრუნდა კრაისლერი ჰოფმარშალს, — თქვენო ბრწყინვალეებო, ძალიან გთხოვთ, მოახსენოთ მის აღმატებულებას, რომ მეც მშვენივრად შემიძლია პასუხის გაცემა წმინდა ნეაპოლურ დიპლექტზე. დარწმუნებული ბრძანდებოდეს, არაფრით არ აუურევ მას ჩრდილოიტალიურ კილოკავში, და, მით უმეტეს, არ შემეშლება იგი გოცის ნიღბების ვენეციურ ჟარგონში. ერთი სიტყვით, მოახსენეთ, რომ თავს არ შევირცხვენ და ვალში არ დავრჩები! თქვენო ბრწყინვალეებო...

მაგრამ მისი ბრწყინვალეობა უკვე კიბეზე აღიოდა და მხრები ისე მალლა აეზიდა, თითქოს ორი ციხესიმაგრე აღუმართავს საკუთარი ყურების დასაცავად.

სწორედ ამ დროს მთავრის ეტლიც მოგრიალდა. ეს ეტლი, ჩვეულებრივ, კრაისლერის განკარგულებაში იყო ხოლმე ზიგჰარტსჰოფში. მოხუცმა მსახურმა კარი გამოაღო და სთხოვა, ბატონო ჩემო, დაბრძანდითო.

სად იყო და სად არა, წუწუნითა და ვიშვიშით მზარეულმა ბიჭუნამ გაიარა.

— ვაი, ვაი, რა გვეშველება! ეს რა უბედურება დაგვატყდა თავსო, — მოთქვამდა საცოდავად.

— რა მოხდა? — გასძახა კრაისლერმა.

— ო, რომ იცოდეთ, რა უბედურებაა ჩვენს თავს! — უთხრა მზარეულმა და უფრო მწარედ ატირდა, — ბატონი მზარეულთუხუცესი სასოწარკვეთილებაშია ჩაუარდნილი და ცოფს ყრის. ახლა საშზარეულოში გდია და ამბობს, ჯაყვით გამოვიფუშავ ნაწლაგებსო.<sup>1</sup> ეს ყველაფერი კი იცით, რატომ მოხდა? მისმა ბრწყინვალეობამ, მთავარმა, მოულოდნელად ვახშობა ინება, ჩვენ კი იტალიური სალათისათვის ლოკოკინები გაგვითავდა. ბატონი მზარეულთუხუცესი თავად წაბრძანდებოდა ქალაქში მოსატანად, მაგრამ უბედურება ის არის, რომ მეჯინიბეთუხუცესს ვერ გაუბედავს, მისი ბრწყინვალეობის დაუკითხავად, უბრძანოს ეტლში ცხენების შებმა.

— ო, ამ გაჭირვებას ადვილად მოველება, — თქვა კრაისლერმა,

<sup>1</sup> „მზარეულთუხუცესი სასოწარკვეთილია... და ამბობს... ჯაყვით გამოვიფუშავ ნაწლაგებსო“ — მთავარ ირენეუსის ჯუჯა სახელმწიფოს სასახლის კარი ყოველნაირად ცდილობს მიჰბადოს „ძლიერთ“: ლუი XIV-ის მზარეულმა ვატელმა თავი მოიკლა იმის გამო, რომ მეფის საზეიმო სუფრისათვის განკუთვნილი თევზი დროზე არ იყო მზად.



— ბატონი მზარეულთუხუცესი ამ ეტლით წაბრძანდება ზიგპარტ-სვაილერში და მისი ბრწყინვალეებისათვის საუკეთესო ლოკოკინებს იშოვის, მე კი მანამდე ფეხით გავისეირნებ! — და კრაისლერი სწრაფი ნაბიჯით პარკისაკენ მიმავალ გზას გაუყვა.

— ღმერთო, ეს რა დიდბუნებოვანი და ღვთისნიერი ადამიანი ყოფილხართ! — მიაძახა გულაჩუყებულმა მოხუცმა მსახურმა და თვალებზე ცრემლიც კი მოადგა.

დაისს გაეკაშკაშებინა შორეული მთები. ოქროსფერი სხივების მოციმციმე ანარეკლი ანცად დასთამაშებდა ხეებსა და ბუჩქებს, თითქოს საღამოს მოშრიალე სიოს გაურბისო.

კრაისლერი ხიდზე შეჩერდა, ტბის ყველაზე შორეულ ნაპირს მეთევზის ქოხთან რომ აერთებდა. წყალში ზღაპრულ სამყაროსავით ირეკლებოდა მთელი პარკი გოლიათური ხეებითა და დაბურული ბუჩქებით. ტბის მოსარკულ ზედაპირზე მედიდურად აღმართული გაიერშტაინიც მოჩანდა, თავზე უცნაური გვირგვინით რომ ედგა მზის შუქზე მოელვარე ქათქათა ნანგრევები. მოშინაურებული გედი „ბლანშის“ დაძახებაზე ებმიანებოდა ადამიანებს. იგი ხან ამაყად ყელმოღერებული მიაპობდა კამკამა ტალღებს, ხან კი ანცად იქნვედა თეთრ ფრთებს და ტბაში ჭყუმპალაობდა.

— ბლანშ, ბლანშ! — დაუძახა კრაისლერმა და ხელები მისკენ გაიშვირა, — მიმღერე შენი ყველაზე მშვენიერი სიმღერა! არ დაიჯერო, თითქოს ამის შემდეგ სიკვდილი გიწერია! ოღონდ, როდესაც სიმღერას დაიწყებ, მაგრად მომეკარ მკერდზე; მაშინ შენი გრძნეული ხმა ჩემს სხეულში გადმოიზრდება; მე, მხოლოდ მე შემიძყრობს ენით აუწერელი კაეშანი, მე გავხდები მისი მსხვერპლი, შენ კი, სიცოცხლითა და ტრფობით საუსე, კვლავ უწინდებურად იდგაფუნებ წყლის მოალერსე ტალღებში.

კრაისლერი ვერაფრით მიმხვდარიყო, რას შეიძლებოდა აელელებინა აგრერიგად. იგი მოაჯირს დაეყრდნო და თავისდა უნებურად თვალები დახუჭა. აი, მოულოდნელად ყურში იულიას სიმღერა ჩაესმა და ენით გამოუთქმელმა ტკბილმა ნეტარებამ ძალუმად აუჩქროლა გული. ცაზე კი ქუფრი ღრუბლები დაზოზინობდნენ, ფართო ჩრდილებს ჰფენდნენ მიდამოს, თითქოს სამგლოვიარო სამოსელში ხვევენო მას. საიდანღაც ჭექა-ქუხილის ყრუ ხმა აღწევდა. სულ უფრო მეტი გააფთრებით დაქროდა ქარი, ხმაურით მირაკრაკებდნენ

ნაკადულები და დროდადრო შორეული ორღანის ბუბუნით გაის-  
მოდა ეოლოსის არფის ხმები. შეშინებული ღამის ფრინველნი ხმაუ-  
რით აიშალნენ და წიაუ-წიავით მოედვნენ სიბნელეს.

კრაისლერი ოცნებიდან გამოერკვა და წყალში თავისი მრუმე  
ორეული დაინახა. უცბად მოეჩვენა, თითქოს ტბის სიღრმიდან შეშ-  
ლილი მხატვარი ეტლინგერი ამოსცქეროდა.

— ოჰო, — წამოიძახა წყალზე გადახრილმა კრაისლერმა, —  
ოჰო, მაშ, შენც აქ ბრძანებულხარ, ჩემო ძვირფასო ორეულო, ჩე-  
მო განუყრელო მეგობარო! მაგრამ, გამიგონე, ძმობილო! გაოცებასა  
ვარ პირდაპირ! შეშლილი მხატვრის კვალობაზე რა დარბაისლუ-  
რად გამოიყურები?! აბა, ვინ იტყვის შენზე, ამ კაცმა ცოტა ააფრინა  
და გაამპარტაუნებულმა მოინდომა სახატაუი ზეთის მაგიერ საღება-  
ვებში დიდგვაროვანთა სისხლი გაერიო? ჩემო კეთილო ეტლინგერ!  
ღამის ვიფიქრო, ეტყობა, ამ კაცს მთელი სასახლის გამაიმუნება  
უნდოდა და, ალბათ, იმიტომ ისულელებდა თავს-მეთქი. რაც უფრო  
მეტად გაკვირდები წყლის სიღრმეში, მით უფრო ვრწმუნდები, რა  
კეთილშობილური გარეგნობის პატრონი ბრძანდები, და რა დახვე-  
წილი მიხრა-მოხრა გაქვს. თუკი მოისურვებ, შემიძლია მოვახსენო  
მთავრინა მარიას, რომ ერთ დროს საკმაოდ ცნობილი პიროვნება  
იყავი. მაშინ კი უყოყმანოდ შეუძლია გაგიმიჯნურდეს. ჩემო კარგო,  
შენ, ალბათ, მოინდომებ, რომ მთავრინა ამჟამადაც ისეთი იყოს, რო-  
გორიც შენს დახატულ პორტრეტზეა. რა გაქწყობა! ასეთ შემთხვე-  
ვაში ერთი დიდგვაროვანი მოყვარული მხატვრის მაგალითი უნდა  
მოგიყვანო და გირჩიო, შენც იგივე მოიმოქმედო: ამბობენ, ის მხატ-  
ვარი თავის პორტრეტებში მსგავსებას იმით აღწევდა, რომ თავად  
ორიგინალს შეუფერადებდა ხოლმე საღებავებით პირისახესო. მაშ,  
ასე, ჩემო კარგო, რაკილა ასე უსამართლოდ გაგიყენეს ჯოჯოხეთის  
გზას, მეც მინდა ორიოდ ახალი ამბავი გაუწყო! ჰოდა, მაშ, იცოდე,  
შეშლილთა მოციქულო, რომ იმ საბრალო ბავშვს, მშვენიერ პრინ-  
ცესა ჰედვიგას, ჯერაც არ მოშუშებია შენგან მიყენებული ჭრილო-  
ბა და საშინელი ტკივილით შეპყრობილი, საოცარ ამბებს სჩადის  
ხოლმე! აგრე უწყალოდ როგორ დაუკოდე გული საბრალოს, რომ  
შენი ორეულის დანახვაზე ჭრილობიდან კვლავ და კვლავ მოსწან-  
წკარუბს სისხლი, ზუსტად ისე, როგორც მკვლელის მიახლოებაზე  
იწყებს ხოლმე იგი ჟონვას მოკლულის გვამიდან? ჩემო ძვირფასო,



ძალიან გთხოვ, კადნიერებაში ნუ ჩამომართმევ, რომ პრინციესამ შენს ორუულად ჩამთვალა! ის-ის იყო, უნდა დამერწმუნებინა იგი და მეთქვა, საიქიოდან მობრუნებული ვინმე გაიძვერა არ გეგონოთ, მე კაპელმაისტერი კრაისლერი ვარ-მეთქი, რომ სწორედ ამ დროს პრინცი იგნატიუსი გადამეღობა გზაზე. ეს საცოდავი აშკარად იტანჯება პარანოიითა და fatuitas stoliditas-ით,<sup>1</sup> რაც კლუგეს აზრით, შეშლილობის ერთ-ერთ საკმაოდ სასიამოვნო ნაირსახეობას წარმოადგენს. ნუ იჭყანები, მხატვარო! მე ხომ სრულიად სერიოზულად გელაპარაკები! მაინც არ იშლი ხომ, შენსას? ოჰ, ერთი გაცოვებისა არ მეშინოდეს, ჩამოგიხტებოდი წყალში და კარგა გვარიანად შეგახურებდი! ეშმაკსაც წაუღიხარ შენი წყეული მანჭვა-გრებით!

და კრაისლერი სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას.

უეცრად სრულიად ჩამობნელდა. ქუფრი ღრუბლებიდან აქა-იქ ელვის დაკლაკნილი ენები გამოკრთა, მერე კი ჭეჭა-ქუხილი გაისმა და ალაგ-ალაგ მსხვილი წვიმაც წამოვიდა. მეთევზის ქოხიდან ბღღვრიალა შუქი გამოდიოდა და კრაისლერიც იქით გაეშურა. ის-ის იყო, ქოხში შესვლა დააპირა, რომ განათებულ კართან თავისი ორუული დაინახა. ეს კრაისლერის საკუთარი „მე“ გახლდათ, მის გვერდით რომ მიაბიჯებდა. შეძრწუნებული კაპელმაისტერი ქოხში შევარდა და მიტკალოვით გაფითრებული, საგარძელში ქოშინით ჩაესვენა.

მაესტრო აბრაჰამი პატარა მაგიდას მისჯდომოდა და ლამპის კაშკაშა შუქზე რომელიღაც დიდტანიან ფოლიანტს ჩაჰკირკიტებდა. დაინახა თუ არა კრაისლერი, შეშინებული წამოხტა და მასთან მიიჭრა:

— ღვთის გულისათვის, კრაისლერ, რა დაგემართათ? საიდან გაჩნდით აქ ასე გვიან და რამ გაგაოგნათ ასე?

კრაისლერი რის ვაი-ვაგლახით მოეგო გონს და ყრუ ხმით ჩაიდუღუნა:

— დიახ, ეს ნამდვილად ასეა. ახლა ჩვენ ორნი ვართ მე და ჩემი ორუული. იგი ტბიდან ამოხტა და ქოხამდე მომყვა. მაესტრო, შემიბრალებთ, აიღეთ ხანჯალი და განგმირეთ ეს არამზადა. მერწმუნეთ, ის გიჟია და ორივეს უფსკრულში გადაგვიჩხს. ეს მან მოაჯადოვა ბუ-

<sup>1</sup> სიყვეყრე, გამოთავყანება (ლათ).

ნების ძალები, მან მოუხმო წვიმასა და ჭექა-ქუხილს! ჰაერში გაუ-  
თავებლად დაფარფატებენ რაღაც სულები და ადამიანს გულს უკო-  
დავენ თავიანთი მომაკვდინებელი ქორალებით! მაესტრო, მაესტრო!  
იქნებ როგორმე მოუხმოთ გელს! დაე, მიმღეროს რამე! ჩემს გულში  
ყველა ჰანგი თითქოს ყინულის ზოდად იქცა, რადგან იმ მეორე „მემ“  
დამადო მკერდზე თავისი გაფითრებული, უსიცოცხლო ხელი, მე კი  
ვიცი, როგორც კი გედი სიმღერას დაიწყებს, ორეული უმაღლ მომემ-  
ვება და კვლავ ტბის სიღრმეს მისცემს თავს.

მაესტრო აბრაჰამმა შეაჩერა კრაისლერი. ალერსიანად დაუწყო  
დამშვიდება, დაალეგინა ერთი-ორი ჭიქა მაგარი იტალიური ღვი-  
ნო, ბედად ხელთ რომ აღმოაჩნდა, და ნელ-ნელა გამოჰკითხა, რა  
აწუხებდა.

კრაისლერს თხრობა არც კი დაესრულებინა, რომ მაესტრო აბ-  
რაჰამი ხმამაღლა ახარხარდა:

— ჰო, ჰო, ახლა კი მივხვდი, რომ ყველაფერი მოგჩვენებია და  
თავად შეგითხზავს! მაშ, ასე, იმ შემადრწუნებელ ქორალებს ტყეში  
მოშლივინე ქარი ასრულებდა და ეოლოსის უზარმაზარი არფის სი-  
მებსაც ის არხუვდა. დიახ, დიახ, კრაისლერ, გეტყობა, დაგაუიწყდა,  
რომ პარკის ბოლოს, ორ პაუილიონს შორის, ეოლოსის არფაა გადა-  
ჭიმული! მერე ეს ორეული შემოგყვა განათებულ ქოხში ფეხდაფეხ,  
არა? აი, მე კი ახლავე დაგიმტკიცებ, რომ საკმარისია კარში გავიდე  
და მაშინვე ჩემ გვერდით გაჩნდება ჩემი ორეული; ასეა ყოველთვის,  
ყველა, ვინც კი გადმოაბიჯებს ამ კარის ზღურბლს, უნდა შეეჩვიოს  
იმ აზრს, რომ თავისივე *chevalier d'honneur*-ის<sup>1</sup> ატანა მოუხდება.

მაესტრო აბრაჰამი ქოხიდან გავიდა და მაშინვე მის გვერდით,  
შუქში კიდევ ერთი მაესტრო აბრაჰამი გამოჩნდა.

კრაისლერი მხოლოდ ახლაღა მიხვდა, რომ გამოსახულებას  
შენიღებული ჩაზნექილი სარკე იძლეოდა, და სიბრაზე მოერია. ასე  
ბრაზდება ხოლმე ადამიანი, როცა მის თვალწინ ფარდა ეხდება იმ  
საოცრების მარტივ საიდუმლოებას, თვითონ რომ უკვე სასწაულად  
იწამა. კაცის ბუნება ასე ყოფილა მოწყობილი: მას გაცილებით უფ-  
რო მეტად სიამოვნებს შემზარავი შიშის განცდა, ვიდრე ამ შიშის  
გამომწვევი მიზეზების ბუნებრივი ახსნა. ადამიანი ვერასოდეს კმა-

<sup>1</sup> საპატიო მცველი (ფრანგ.).



ყოფილდება ამქვეყნიური ცხოვრებით და სულ იმის ცდაშია, გამო-  
გონილ, იდუმალ სამყაროში დაინახოს ისეთი რამ, რაც განსხეულე-  
ბას არ მოითხოვს იმისათვის, რომ ხილული გახდეს.

— მაესტრო, ვერაფრით ამიხსნია თქვენი უცნაური გატაცება  
მსგავსი სისულელეებით! — თქვა კრაისლერმა, — გამოცდილი მზა-  
რეულოგიით ამზადებთ ათასნაირი საკაზმით შენელებულ საოცრებებს  
და გგონიათ, ასეთი სისულელეებით შეძლებთ შეაფუცხუნოთ გონე-  
ბადაჩლუნგებული ადამიანები; მათი ოცნებადაწრეტილი სული ხომ  
ისეა მოდუნებული, როგორც ქეიფს მოყირჭებული დარდიმანდის  
კუჭი. არაფერია იმაზე ამაზრზენი, ვიდრე ის, რომ ადამიანს ჯერ  
უჩვენო ასეთი საოცარი ოინბაზობა, რისგანაც მის გულს ბაგაბუგი  
გაუდის, მერე კი მოუბრუნდე და იმავე წუთში იმის მტკიცებას მოჰ-  
ყვე, ეს ყველაფერი ძალზე ბუნებრივად ხდებაო.

— ბუნებრივად! როგორ გეკადრებათ! ბუნებრივად! — წამოიძა-  
ხა მაესტრო აბრაჰამმა, — ძვირფასო კრაისლერ, მე გონიერი ადა-  
მიანი მგონიხარ, შენ კი აქამდე ვერ მიმხვდარხარ, რომ ამქვეყნად  
არაფერი ხდება ბუნებრივად! დიახ, არაფერი! თუკი ამა თუ იმ მოვ-  
ლენის ასახსნელად ჩვენს ხელთ არსებულ საშუალებებს ვიყენებთ  
და შედგესაც ვაღწევთ ხოლმე, ეს განა იმას ნიშნავს, რომ ამ მოვ-  
ლენის პირველმიზეზის წვდომაც ძალგვიძს? ეს პირველმიზეზი ხომ  
დედაბუნების იდუმალებაში იღებს სათავეს? ვიცი, ყოველთვის დიდი  
პატოვისცემით იყავი ხოლმე გამსჭვალული ჩემი მაგიური ხელოვნე-  
ბისადმი, თუმცა, არასოდეს გინახავს მათ შორის ჩემთვის ყველაზე  
ძვირფასი ქმნილებათაგანი.

— ალბათ, უჩინარ გოგონას გულისხმობთ, არა? — ჰკითხა კრა-  
ისლერმა.

— რა თქმა უნდა, — განაგრძო მაესტრომ, — დიახ, ეს ჩემი ხე-  
ლოვნების გვირგვინი გახლავთ. მისი ნახვა ერთ რამეში დაგარწ-  
მუნებდათ: სულ უბრალო მექანიკა, ადვილად რომ ემორჩილება  
გამოთვლებს, ხშირად ბუნების იდუმალ ძალებთან შეხებისას ისეთ  
მოქმედებას იწვევს, რომ მისი ახსნა წარმოუდგენელია ამ სიტყვის  
სულ უბრალო, მარტოვი გაგებითაც კი.

— ჰმ... — თქვა კრაისლერმა, — თუ გამოიყენებთ ცნობილ ბგე-  
რით თეორიას, თუ ოსტატურად გადამალავთ ხელსაწყოს, ხოლო  
ხელთ გონიერი და მოხერხებული არსება გეყოლებაო..

— ო, კიარა! — წამოიძახა მანესტრო აბრაჰამმა და თვალები ცრემლით ავესო, — კიარა, ჩემო საყვარელო, სათუთო ბავშვო!

კრაისლერს არასოდეს ენახა მანესტრო ასე აღელვებული. მოხუცს არ უყვარდა წუწუნი და ვაი-ვიში. პირიქით, ყოველთვის ცდილობდა, თავისი ცუდი გუნება-განწყობა მოსწრებული ხუმრობით გაეფანტა ხოლმე.

— ეს კიარა ვინლაა? — იკითხა კრაისლერმა.

— რა სისულელეა, რომ დღეს შენ წინაშე მოწუწუნე ბებრის სახით უნდა წარვდგე, — ღიმილით მიუგო მანესტრომ, — მაგრამ, ეტყობა, თავად განგებამ ინება, ბოლოს და ბოლოს, გადამეშალა ჩემი ცხოვრების ის ფურცელი, რომელსაც ამდენ ხანს დუმილით ვუვლიდი გვერდს. მოდი აქ, კრაისლერ, შეხედე ამ უზარმაზარ წიგნს. ეს ყველაზე ძვირფასი ნივთია, რაც კი საოცარი მოგვის, ვინმე სუვერინოს მემკვიდრეობიდან შემომრჩა. აი, ახლა ვიჯექი, ვკითხულობდი ათასნაირ უცნაურ ამბავს და თან კიარას სურათით ვტკბებოდი. შენ კი მოულოდნელად აღელვებული იჭრები ჩემს ქოხში და უარს აცხადებ, აღიარო ჩემი მაგია სწორედ ისეთ დროს, როდესაც მოგონებებში ვარ წასული და სიამოვნებით ვიხსენებ ერთ-ერთ დიდსა და მშვენიერ სასწაულს. დიახ, მისი საიდუმლოების გასაღები ჩემი ცხოვრების გაფურჩქნის ხანაში მეპყრა ხელთ.

— მაშ, მომიყევით, მანესტრო, — წამოიძახა კრაისლერმა, — მომიყევით, რომ თქვენთან ერთად მეც ვიწამო ეს სასწაული!

და მანესტრო აბრაჰამმაც დაიწყო:

— ახლა იმდროინდელ ამბავს მოგიყვები, როცა ჯეელიც ვიყავ, გულიც მერჩოდა და შესახედავდაც არა მიშავდა რა. ერთხელ გენიონესმიულის ეკლესიისათვის დიდ ორლანს ვაწყობდი; მოულოდნელად ძალ-ღონემ მიმტყუნა და ლოგინად ჩავვარდი. არც გასაკვირი იყო: ძალიან პატივმოყვარე გახლდით და ამიტომ მუყაითად და ბევრს ვშრომობდი. მკურნალმა მითხრა: „მანესტრო, ჩემი კუთილი რჩევა იქნება, გზას გაუდექით და ეცადეთ, ფეხით შემოიაროთ ქვეყანაო“. მეც ისე მოვიქეცი, როგორც მან მირჩია. სადაც კი მოვდიოდი, თავს ხუმრობით ყველგან მექანიკოსად ვასაღებდი, და ხალხს ათასნაირი სანახაობით ვართობდი. საქმე ძალიან კარგად წამივიდა და დიდი შემოსავალიც მქონდა. მაგრამ აი, სწორედ ამ დროს ბედმა ვინმე სუვერინოს გადამყარა. მას სიცილადაც არ ეყო ჩემი ხელოვნება და



ბრბოსთან ერთად კინალამ მეც დამაჯერა, რომ იგი ეშმაკთან ან სხვა ბოროტ სულებთან იყო შეკრული. ყველაზე დიდ გაოცებას იწვევდა მისი ორაკული ქალი. ეს სანახაობა შემდგომი „უჩინარი გოგონას“ სახელწოდებით გახდა ცნობილი. ოთახის შუაგულში, ჭერზე, გამჭვირვალე მინის ბურთი ეკიდა. ამ ბურთიდან ისმოდა სიოს დაბერვასავით მთრთოლარე ნაზი პასუხები იმ შეკითხვებზე, უჩინარ გოგონას რომ უსვამდნენ. მაგრამ ჯადოქრის დიდებას ხელს უწყობდა არა მხოლოდ ამ უცნაური სანახაობის იდუმალება, არამედ უჩინარი გოგონას ნაზი, გულში ჩამწვდომი ხმა, მისი პასუხების სიზუსტე და გულთამხილაობის საოცარი ნიჭი. ყველანაირად ვცდილობდი, დავახლოებოდი სვერინოს, ბევრს ვესაუბრებოდი ჩემს მექანიკურ ცდებზე. ის კი აგდებულად უყურებდა ჩემს საქმიანობას, მაგრამ მისი ეს დამოკიდებულება ჩემი ხელოვნებისადმი სულ სხვაგვარი იყო, ვიდრე შენი. მერე ის იყო, სვერინომ დაიჟინა, ისეთი წყლის ორღანი ამიგე, შემეძლოს მისი სახლში დადგმაო. ამაოდ ვცდილობდი, დამემტკიცებინა მისთვის, ისევე როგორც ამას ამტკიცებდა აწ განსვენებული გიოტინგენელი კარის მრჩეველი მაისტერი თავის ტრაქტატში *De veterum hydraulo*,<sup>1</sup> რომ *hydraulo*-ს ასეთი გამოყენება დიდად სახარბიელო ვერ არის. ამაში მხოლოდ ის ხეირია, რომ რამდენიმე გირვანქა ჰაერს ვზოგავთ, ჰოდა, მეც ვეუბნებოდი სვერინოს, ამ სიკეთეს ღვთის წყალობით, ჯერჯერობით უსასყიდლოდაც ვიღებთ-მეთქი. ბოლოს და ბოლოს, მოგვი გამომიტყდა, წყლის ორღანის ნაზი ხმა უჩინარი გოგონას წინასწარმეტყველური საუბრებისთვის მჭირდებო. თან შემპირდა, ჩემს საიდუმლოს გაგანდობ, თუ შემომფიცებ, რომ არც თავად ისარგებლებ ამით და არც არავის ეტყვი ამქვეყნად მის შესახებო. მაგრამ იქვე დასძინა: თუმცა, ძალიან მეეჭვება, რომ ვინმემ შეძლოს ზუსტად ასეთი ხელსაწყოს დაშნადება, თუ...

აქ სვერინო შეჩერდა და სახეზე კალიოსტროსავით იდუმალი ნეტარება გადაეფინა; ეს უკანასკნელი თავისი ზღაპრული ექსტაზის შესახებ, ალბათ, ასეთი ნეტარი ღიმილით უყვებოდა ხოლმე მანდილოსნებს. საშინელმა ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო, ერთი სული მქონდა, როდის ვიხილავდი უჩინარ გოგონას, და ამიტომაც შეე-

<sup>1</sup> „წყლის ორღანების შესახებ“ (ლათ).

პირდი მოგვს, რომ პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში აუუგებდი წყლის ორღანს. იმ დღიდან ნდობით განიმსჭვალა ჩემ მიძართი და საკმაოდ კარგადაც მეპყრობოდა, რადგან დროდადრო სიამოვნებით ვშველოდი ხოლმე საქმიანობაში. ერთხელაც სვეერინოსა კენ გავეშურე. გზად მიმაჯალმა ქუჩაში თავშეყრილი ბრბო დაუინახე. ვიკითხე, რა მოხდა-მეთქი და მომიგეს, ვილაც დარბაისელი ბატონი ქვაფენილზე დაეცა და გრძნობა დაკარგაო. ხალხის ბრბო გავარღვიე და წინ გავედი. მყის შევიცანი სვეერინო. იგი ხელში აიყვანეს და იქვე, გვერდით სახლში შეიყვანეს. შემთხვევით შემოსწრებული მკურნალი მის გონზე მოყვანას ცდილობდა. ბევრი ცდისა და მეცადინეობის შემდეგ სვეერინომ ღრმად ამოიხვნეშა და თვალი გაახილა. შეჭმუხნილ წარბებქვეშიდან შემადრწუნებელი მზერა შემავლო: ამ მზერაში აშკარად გამოსჭვითდა სიკვდილთან ბრძოლის მთელი საშინელება. და აი, უვცრად ტუჩები აუთრთოლდა, აშკარად რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ, ეტყობა, ენა არ ემორჩილებოდა. რამდენჯერმე მოწყვეტით დაირტყა ხელი ქურთუკის ჯიბეზე. ჯიბეში ხელი ჩაუყავი და გასაღებების მთელი აცმა ამოვიღე. „ეს თქვენი ბინის გასაღებია? — ჩავეკითხე მე. მან თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია, — ეს კი, — განუგრძე და თვალებთან ერთ-ერთი გასაღები მიფუტანე, — იმ ოთახის გასაღებია, სადაც არ გინდოდათ ხოლმე ჩემი შეშვება, არა?“ მოვინდომე კიდევ დამესვა კითხვები, მაგრამ სიკვდილის შიშით შეპყრობილმა სვეერინომ კვნესა და ოხვრა მორთო და შუბლზე ცოტა ოფლმა დაასხა. მან ჯერ წინ გაიშვირა ხელები, მერე რკალივით მოხარა, თითქოს ვინმეს ეხვევაო, და ჩემზე მიუთითა. „ეტყობა, იმის თქმა უნდა, — გამოთქვა ვარაუდი მკურნალმა, — ჩემს ნივთებსა და ხელსაწყოებს შენ გაბარებ და თუ მოგკვდები, ყველაფერი შენი იყოსო? ხომ მართალს ვამბობ?“ სვეერინომ უფრო გულმოდგინედ დაუქნია თავი. ბოლოს წამოიძახა: „Corre“-ო<sup>1</sup> და ისევ უგრძნობლად დაეცა. ცნობისმოყვარეობისა და მოუთმენლობისაგან აკანკალებულმა, სასწრაფოდ სვეერინოს სახლს მივაშურე, ადელკებულმა შუაღვე მისი სამუშაო ოთახის კარი, სადაც ჩემი ვარაუდით უჩინარი გოგონა მეგულებოდა და ძალზე გაკვირვებული დაურჩი, როცა ვერაუინ აღმოვაჩინე. ერთადერთ ფანჯარაზე სქელი ფარდა იყო ჩა-

<sup>1</sup> გაიქცევი (იტალ.).



მოფარებული და დღის სინათლე ოდნავ იჭრებოდა ოთახში. კარის პირდაპირ, კედელზე, დიდი სარკე ეკიდა. როდესაც ჩემი მზერა შემთხვევით სარკეს დაეცა და ბინდბუნდში საკუთარი გამოსახულება შემომაჩერდა, ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ელექტროსკაშზე ვიდექი. იმავე წუთს უჩინარმა გოგონამ იტალიურად თქვა: „მამილო, დღეს მაინც შემიცოდეთ და ნუ მცემთ ასე უმოწყალოდ! თქვენ ხომ უკვე მოკვდით!“ კარი სასწრაფოდ გამოვალე. ოთახში კაშკაშა სინათლე შემოიჭრა, მაგრამ ისევ და ისევ ვერაუინ დავინახე. „მამილო, რა კარგია, რომ ბატონი ლისკო გამოგზავნეთ ჩემთან, — საიდანღაც განაგრძობდა ხმა, — იგი არ მოგცემთ უფლებას, კვლავაც ასე მტანჯოთ და მაწამოთ, დაამსხვრევს ამ მაგნიტს და როგორი წინააღმდეგობაც უნდა გაუწიოთ, ისე ღრმად ჩაგფლავთ სამარეში, ვეღარასოდეს წამოდგებით ახლა თქვენ უკვე მკვდრების სამეფოში ხართ და ჩვენთან, ცოცხლებთან, ხელი აღარა გაქვთ!“.

ხომ წარმოგიდგენიათ, კრავსლერ, რა საშინელი შიში ამიტანდა. ოთახში ძეხორციელი არ იყო, ხმა კი, იქვე ახლოს, ზედ ყურთან ჩამესმოდა. „ფუი, ეშმაკს! — შევიკურთხე ხმამაღლა გამბედაობის მოსაკრებად და ახლომახლო რაიმე ჭურჭლისთვის რომ მომეკრა თვალი, ვიტყოდნი, ალბათ, მასში მოუკალათებია ბოროტ სულს-მეთქი; მყისვე ვეცემოდნი, დაგამსხვრევდი და დაე, თავად *diable boiteux*<sup>1</sup> შემრჩენოდა ხელში, არაფრისა შემეშინდებოდა.<sup>2</sup> ახლა კი, ახლა...“ და აი, ანაზღად თავში გამიელვა, ეს ჩუმი კვნესა-გოდება იმ პატარა ყუთიდან ხომ არ ამოდის, ოთახის კუთხეში რომ დგას-მეთქი, თუმცა, თან ძალიან პატარა მომეჩვენა იმისათვის, რომ შიგ ადამიანი ჩატეულიყო. მაინც ვეცი ყუთს, საკეტი გადაუატრიალე და რას ვხედავ: შიგ ოთხად მოკუნტული გოგონა წვეს და ზღაპრულად მშვენიერი თვალებით შემომყურებს; მერე ხელსაც მიწვდის. მეც ვუბნები, აბა, გამოდი მანდედან, ჩემო პატარა ბეკაკავ, ჩემო პატარა უჩინარო გოგუცუნა-მეთქი და ხელს ვუწვდი; უეცრად ვიგრძენ, რომ მთელს სხეულში თითქოს დენმა დამიარა.

<sup>1</sup> კოჭლი ეშმაკი (ფრანგ.).

<sup>2</sup> „ვეცემოდნი, დაგამსხვრევდი და დაე, თავად *diable boiteux* შემრჩენოდა ხელში, არაფრისა შემეშინდებოდა“ — მინიშნება ფრანგი მწერლის, ალენ ლესაჟის (1668-1747) რომანზე „კოჭლი ეშმაკი“ (1707): პირველ თავში სტუდენტი ამსხვრევს ჭურჭელს და ათავისუფლებს შიგ ჩამწყვდეულ ეშმაკს.

— მოითმინეთ, მოითმინეთ, — წამოიძახა კრაისლერმა, — მაესტრო აბრაჰამ, ერთი მითხარით, რა უნდა იყოს ეს? როდესაც პირველად შემთხვევით შევეხე პრინცესა ჰედვიგას ხელს, მეც ზუსტად იგივე დამემართა. აი, ახლაც, როგორც კი იგი მოწყალედ გამომიწვიდის ხელს, მთელ სხეულში დენი დამივლის ხოლმე, თუმცა, ისე ძლიერად აღარ, როგორც ეს თავდაპირველად დამემართა.

— ოჰო! — მიუგო მაესტრომ, — გამოდის, პატარა პრინცესაც ჩემი ძვირფასი კიარასავით *Gymnotus electricus*,<sup>1</sup> ან *Raja torpedo*,<sup>2</sup> ანდა სულაც *Trichiurus indicus*-ის<sup>3</sup> მსგავსი არსება ყოფილა. ან ეგებ ჩვენი ჰედვიგა ის ცელქი, შინაური თაგუნიაა, გახსოვთ, გულადმა კოტუნომ<sup>4</sup> ქეროში ხელი რომ ჩაავლო და მუცელზე გაკვეთა მოუნდომა, იმ ანცმა წრუწუნამ კი ამ დროს თავის ჯალათს კაი გვარიანი ალიყური უთავაზა. იმედია, თავშიც არ გაგივლიათ, ასეთი რამ პრინცესაზე გეცადათ! მაგრამ, მოდი, ეს საუბარი შემდეგისთვის გადავდოთ, ახლა კი ჩემს უჩინარ გოგონას დავუბრუნდეთ! ამ პატარა, დამუხტულმა არსებამ თავისი დარტყმებით ისე შემაშინა, რომ კედელს მოაწყდის, მაგრამ გოგონამ საოცრად ძლიერადი ხმით გერმანულად მითხრა: „ო, ბატონო ლისკო, გვედრებით, ნუ გამიწყრებით, ველარაფერს ვუხერხებ თავს; რომ იცოდეთ, რა მტკივნეულია!“.

როგორც იქნა, გონს მოვეგე, პატარას ფრთხილად მოვხვიე მხრებზე ხელი და ძლივძლივობით ამოვათრიე ამ შეშხარავი დილეგოდან. და, აი, ჩემ წინ მშვენიერი, ნაზი ქმნილება იდგა. ტანით თორმეტი წლის ბავშვისოდენა თუ იქნებოდა, მაგრამ ისე იყო ათქვირებული, თქვესმეტ წელზე ნაკლებს არ მისცემდი. აი, შეხედე ამ წიგნში მის სურათს! აქ იგი ძალიან ჰგავს თავის თავს. ალბათ, დამეთანხმები, რომ იშვიათად თუ შეგხვედრია ასეთი მშვენიერი და მეტყველი სახე. მაგრამ, შენ წარმოიდგინე, არავითარ სურათს არ ძალუძს გადმოსცეს მისი მშვენიერი შავი თვალების საოცარი სხოვი, მთელს მის არსებას რომ აცისკროვნებდა. ყველა ადამიანი, თუკი იგი მხოლოდ და მხოლოდ ყირმიზი სახის ოქროსკულულებიანი ბანოვანის ტრფიალი არ გახლავთ, ალბათ, დამეთანხმება, რომ კიარაზე შეიძ-

<sup>1</sup> ელექტრული გველთვეზა (ლათ).

<sup>2</sup> ელექტრული სკაროსი (ლათ).

<sup>3</sup> შიმშიერი (ლათ).

<sup>4</sup> დომენიკო კოტუნო (1754-1822) — იტალიელი ექიმი და ბუნებისმეტყველი.



ლებოდა, გეთქვათ, ზღაპრულად მშვენიერი ქალიაო. ისე კი, მართლაცდა, ძალიან მუქი პირისკანის პატრონი იყო, თან კუპროვით შავი და მბზინავი თმა ჰქონდა. კიარა, — ახლა უკვე იცით უჩინარი გოგონას სახელი, — ნატანჯ-ნაწამები, საცოდავი კიარა, ჩემ წინ მუხლებზე დაეცა, თვალთაგან ცრემლები წასკდა და გულისმომკვლელად შეჰღალადა: „Je suis sauvee“.<sup>1</sup> საოცარმა სიბრალულმა შემიპყრო, რადგან გულმა მიგრძნო, რომ აქ რაღაც საშინელი ამბავი ტრიალებდა! სწორედ ამ დროს სვეერინოს ცხედარიც შემოასვენეს. ჩემი წამოსვლის შემდეგ შეტევა განმეორებოდა და სულიც დაეღია. ცხედრის დანახვა და კიარას თვალებზე ცრემლების შემშრობა ერთი იყო. იგი მთელი გულისყურით დააცქერდა სვეერინოს. მაგრამ მალე სახლს ხალხი მოაწყდა და კიარას ცნობისმოყვარეობით დაუწყო თვალთვლება. ზოგ-ზოგი სიცილით იმასაც კითხულობდა, ეს ხომ არ არის ის უჩინარი გოგონაო? კიარა ოთახიდან გავიდა. მე აზრი გამოვთქვი, რომ არაფრით არ შეიძლებოდა გოგონას მარტო დატოვება მიცვალებულთან და კეთილი სახლის პატრონები დამთანხმდნენ, ჯერჯერობით ჩვენთან დავიტოვებთო. როცა ყველანი წავიდ-წამოვიდნენ და მე ოთახში შემოვბრუნდი, კიარა სარკის წინ იჯდა; რაღაც უცნაური ხდებოდა მის თავს! მთვარეულივით დაჟინებული მზერა სარკისთვის მიეპყრო და გარშემო სხვას ვერავის და ვერაფერს ამჩნევდა. თავდაპირველად თავისთვის ბუტბუტებდა რაღაცას, მაგრამ მერე და მერე სიტყვები გამოიკვეთა და გასაგები გახდა; და აი, ახლა იგი ერთმანეთში ურევდა გერმანულს, ფრანგულს, ესპანურსა და იტალიურს და დიდი ხნის წინ გარდასულ საგნებსა და ადამიანებზე ლაპარაკობდა. რაოდენ დიდი იყო ჩემი განცვიფრება, როცა გამახსენდა, რომ სწორედ ამ დროისათვის აიძულებდა ხოლმე სვეერინო თავის ორაკულს ქინასწარმეტყველა. ბოლოს და ბოლოს, კიარამ თვალები დახუჭა და თითქოს საღათას ძილს მიეცაო. საბრალო ხელში ავიყვანე და ქვემოთ, სახლის პატრონთან ჩავიყვანე. მეორე დილას გოგონა მხიარული და მშვიდი სახით შემეგება. მხოლოდ ახლადა მიმხვდარიყო, რომ, როგორც იქნა, დაუდგა ნატრი თავისუფლების წამი. მერე ის იყო, წვრილად მომიყვა ყველაფერს, რის გაგებაც აგრერიგად მაინტერესებდა. და თუმცა, თქვენ,

<sup>1</sup> ხსნილი ვარ (ფრანგ.).

კრაისლერ, რაღაცა ზომით მაინც აძლევთ მნიშვნელობას დიდგვაროვნულ წარმოშობას, მაინც იმედია, არ შეცბებით, როცა გაიგებთ, რომ კიარა ერთი პატარა ბოშა ქალი იყო. გაზინტლული თანამემამულეების ბრბოსთან ერთად იჯდა თურმე რომელიღაც დიდი ქალაქის ბაზრის მოედანზე. გარშემო მცველები შემორტყმოდნენ. თაკარა მზე წვაჟდა ყველაფერს. სწორედ ამ დროს ჩამოუვლია სვეერინოს. „საყვარელო, მომეც შენი ხელი, არ გინდა გიმკითხაო?“ — ასდვენებია მას რვა წლის გოგონა. სვეერინო ჯერ თვალებში ჩაშტერებია პატარას, მერე კი გაუწვდია ხელისგული. ბაჟშეს მკითხაობა დაუმთავრებია, გოცებული სვეერინო კი თურმე კარგა ხანს კიდევ ვერ მოეგო გონს. ეტყობა, ბოშა გოგონაში რაღაც უჩვეულო აღმოაჩინა, რადგან მაშინვე მისულა პოლიციელთან, იქვე დაპატიმრებულ ბოშებს რომ ყარაულობდა და უთქვამს, დიდ თანხას გადავიხდი, თუ იმ პატარა ბოშას თან გამატანთო. პოლიციელს მკვახედ უპასუხია, აქ თქვენ მონათა ბაზარი ხომ არ გგონიათო, მაგრამ მყისვე დასძინა თურმე, თუმცა, ეგ გოგონა, აბა, რა ადამიანებშია ჩასათვლელი, ციხეში მხოლოდ და მხოლოდ ზედმეტი ბარგი იქნება. ამიტომ, ბატონო ჩემო, შეგიძლიათ მისი წაყვანა, თუკი ღარიბ-ღატაკთა თავშესაფრის სალაროში ათ დუკატს შეიტანთო. სვეერინოს მყისვე ამოუვლია ქისა და ათი დუკატი ჩაუთვლია. კიარასა და მის ბებიას ყური მოუკრავთ ამ გარიგებისთვის და ერთი წიოკობა და გნიასი აუტეხიათ არაფრით არ უნდოდათ თურმე ერთმანეთთან დაშორება, მაგრამ მოვარდნილა ორი ჩაფარი, მოხუცი საზიდარზე შეუგდიათ და სადღაც გაუქანებიათ. პოლიციელმა, როგორც ეტყობა, იფიქრა, მე და ღარიბ-ღატაკთა სალარო რამ გაგვყოო და ბრჭყვიალა დუკატები საკუთარ ჯიბეში ჩაუჩხრიალებია. ასე წამოუყვანია სვეერინოს პატარა კიარა. ყოველნაირად ცდილობდა თურმე გოგონას დაშშვიდებას; იქვე ბაზარზე უყიდია მისთვის ლამაზი კაბა, გამასპინძლებია ათასნაირი ნუგბარი საჭმლით. ეტყობოდა, სვეერინოს იმ დროისთვის უკვე მოფიქრებული ჰქონდა, როგორ ჩაეტარებინა ცდები უჩინარი გოგონათი. და აი, პატარა ბოშა სწორედ რომ ზედგამოჭრილი იყო ამ საქმისათვის. იგი ძალზე თავისებურად ზრდიდა კიარას და ყოველნაირად ცდილობდა, აღეზნო იგი, თუმცა, გოგონას ძალზე მგრძნობიარე სხეული ჰქონდა და უამცდებოდაც ადვილად იღვზნებოდა. ასე და ამგვარად, ათასნაირი ცდითა და მეცადინეობით სე-



ვერინოს საბრალლო იმ მდგომარეობამდე მიჰყავდა, რომ გოგონაში წინასწარმეტყველების ნიჭი ილვიძებდა. აბა, გაიხსენეთ მესმერი<sup>1</sup> და მისი შემზარავი ცდები. დიახ, სვევრინომ მიაღწია ამას: ნებისმიერ დროს შეეძლო ისე აღეგზნო გოგონა, რომ იგი მზად იყო, წინასწარმეტყველება დაეწყო.

მალე, კიარასდა საუბედუროდ, სვევრინომ შეამჩნია, რომ გოგონაზე საოცრად მოქმედებდა ფიზიკური ტკივილი. დაინახა, რომ თურმე ტკივილის დროს ადამიანის სულის იდუმალ კუნჭულებში წვდომის უნარი მასში უკიდურეს საზღვრებს აღწევს და ნამდვილ ნათელმხილველად აქცევს. იმ დღიდან ეს მტარვალთ თურმე არა-ადამიანურად ტანჯავდა და აწამებდა გოგონას, რომ ამ გზით კიარას ნათელმხედველობა უკიდურესად გაემძაფრებინა. ამ ტანჯვაწამებას ისიც ემატებოდა, რომ სვევრინოს შინ არყოფნის დროს, — ის კი ხანდახან მთელი დღეები სადღაც იკარგებოდა, — კიარა თავის ყუთში მოკუნტული უნდა მჯდარიყო, რადგან სვევრინოს ეშინოდა, ვაითუ, ოთახში ვინმე შემოვიდეს და გოგონას არსებობის საიდუმლო გამოძეღავდესო. ამ ყუთით მოგზაურობდა კიარა ქალაქიდან ქალაქში სვევრინოსთან ერთად. საბრალლო ბოშა გოგონას ბედი გაცილებით საშინელი და შემზარავი იყო, ვიდრე იმ ჯუჯასი, ცნობილ კემპელენს<sup>2</sup> რომ ახლდა ხოლმე თან. ჯუჯას შემალავდნენ თოჯინაში, რომელიც თურქს განასახიერებდა, და ისე ათამაშებდნენ ჭადრაკს. სვევრინოსთან კარადაში დიდძალი ოქროს ფული და ქალაქის ასიგნაციები ვიპოვე. ამის წყალობით შესაძლებლობა მომეცა, კიარას მომავალი უზრუნველმეყო. მთლიანად გავანადგურე ორაკულის ხელსაწყო, ესე იგი, ის აკუსტიკური მოწყობილობა, ორივე ოთახში რომ იყო დადგმული. მას ზედ მოვაცილე ბევრი სხვა ხელსაწყოც; სამაგიეროდ, სვევრინოს უკანასკნელი ნების თანახმად, კარგად ჩავწვდი და შევითვისე მისი ხელოვნების ბევრი საიდუმლო.

<sup>1</sup> ფრანც ანტონ მესმერი (1734-1815) — ავსტრიელი ექიმი, ფუძემდებელი მისტიკური თეორიისა „ცხოველური მაგნეტიზმის“ შესახებ, რომლის თანახმადაც ცოცხალი არსებები ერთმანეთზე ზემოქმედებას ახდენენ განსაკუთრებული მაგნიტური ძალის წყალობით.

<sup>2</sup> კოლფგანგ კემპელენი (1734-1804) — ავსტრიელი მექანიკოსი, ავტომატების გამომგონებელი; განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობდა მისი „ჭადრაკის მანქანა“. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ჭადრაკის მოთამაშე ავტომატის შიგნით დამალული იყო ჯუჯა, რომელიც ოსტატურად ფლობდა ჭადრაკის ხელოვნებას.

ყველა საქმეს მოვრჩი და გულდამძიმებული გამოვეთხოვე კიარას. ლეთსნიერმა სახლის პატრონებმა იგი ღვიძლი შვილივით შეიყვარეს და თავისთან დაიტოვეს, მე კი ქალაქიდან წამოვედი.

უკვე მთელი წელიწადი გავიდა, რაც გენიონესმიული მიფატოვე; დაბრუნების დრო იყო. ღრმად პატოვცემული მაგისტრი უკვე კარგა ხანია მოთმინებით ელოდა თავისი ორლანის შეკეთებას, მაგრამ ბედობალი ისე დამიტრიალდა, რომ იძულებული ვიყავი, ხალხისთვის მოგვის ხელოვნება მეჩვენებინა, რადგან იმავე განგების წყალობით ვიღაცა არაშხადამ ჯიბიდან ამომაცალა ქისა, რომელშიც მქონდა მთელი ჩემი ავლადიდება. ჰოდა, რაკი ასე მოხდა, მეც იძულებული გაუხდი, ლუკმაპურის გულისთვის სახელგანთქმული მექანიკოსის როლში გამოვსულიყავი, რომელიც ვითომდა ნაირ-ნაირი ატესტაციებისა და პატენტების პატრონი გახლდათ, და ათასნაირი ოინბაზობები მეჩვენებინა ხალხის გასართობად. ეს ამბავი ზიგჰარტსვაილერის ახლოს მოხდა. ერთ საღამოსაც ჩემთვის ვიჯექი და რაღაც მაგიურ ხელსაწყოს ჩავკირკიტებდი. მოულოდნელად კარი გაიღო და ოთახში ვიღაც ქალი შემოვიდა. „არა, არა, მეტის ატანა ვერაფრით ვეღარ შევძელი, ბატონო ლისკო, — წამოიძახა მან, — ახლა რომ არ მოვსულიყავი თქვენთან, ალბათ, დარდისაგან მოვკვდებოდი! თქვენა ხართ ჩემი მბრძანებელი, რაც გინდათ, ის მიყავით!“ ქალს უნდოდა, ჩემს ფერხთით დაცემულიყო, მაგრამ ხელი შევაშველე და ამას რას ხედავს ჩემი თვალები! კიარა არა დგას ჩემ წინ?! ძნელადღა იცნობდა კაცი, გაზრდილიყო, დაქალებულიყო, მაგრამ მშვენიერ სხეულს სრულიადაც არ დაეკარგა ჩვეული სინატიფე. „ჩემო ძვირფასო, საყვარელო კიარა!“ — წამოვიძახე ღრმად აღელვებულმა და მხურვალედ მივიკარი მკერდზე.

„ბატონო ლისკო, იქნებ დამრთოთ ნება, დავრჩე თქვენთან, იმედია, არ მკრავთ ხელს. მე საბრალო ხომ მხოლოდ თქვენ უნდა გიმადლოდეთ, რომ დღეს ცოცხალი და თავისუფალი ვარ!“ — ეს თქვა თუ არა, უმაღლესა ზანდუკს, მსახურმა ბიჭმა რომ შემოიტანა ოთახში. კიარამ ბიჭს გასამრჯელოდ ხელში იმდენი ფული ჩაუჩურთა, რომ იგი სიხარულისაგან ჯერ დაიბნა, მერე კი შესძახა: „დალახვროს ეშმაკმა, აი, ბოშა ქალიც ასეთი უნდაო!“ და ოთახიდან გაუარდა. კიარა კი ზანდუკთან მივიდა, გახსნა, აი, ეს წიგნი ამოიღო, ხელში მომცა და მითხრა: „ბატონო ლისკო, გამომართვით ეს ერთი



წიგნი სვერინოს მთელ ქონებად ღირს, თქვენ კი მისი წამოღება დაგვიწყდათო!“ მე წიგნს დაუწყე თვალიერება, კიარა კი სრულიად მშვიდად შეუდგა ზანდუკიდან ტანსაცმლისა და თუთრულის ამოლაგებას. ხომ წარმოგიდგენიათ, კრაისლერ, რა საგონებელში ჩავარდებოდი? მაგრამ... ჩემო მეგობარო, ის დროც დადგა, დაგანახვო, თუ რა საპატიო პიროვნებასთან გაქვს საქმე და გასწავლო ჩემი დაფასება. ალბათ, გახსოვს, როგორ გაქეზებდი, ბიძაშენის ბაღში მწიფე მსხალი მოგეპარა, სამაგიეროდ კი ხეზე ოსტატურად შეღებულ ხის მსხლებს ვკიდებდით ხოლმე. ანდა, ისიც ხომ გახსოვს, სარწყაუში ნარინჯის წყალს რომ ჩავასხამდით, ბიძაშენი კი აიღებდა ამ სარწყავს და თავის მშვენიერ შარვალს მოასხურებდა, იქვე ბუჩქებზე რომ იყო გადაკიდებული მზეზე გასაშრობად. შარვალი უმაღლეს მარმარილოს დაემსგავსებოდა ხოლმე... ერთი სიტყვით, აბა, ვინ მოთვლის, რამდენ ოინბაზობაში ამიბამს შენთვის მხარი, შენ კი ამ დროს, ალბათ, ფიქრობდი, ვინ არის ეს უსულგულო ტაკიმასხარაო. მაგრამ თუ ზოგჯერ მაინც შეგეპარებოდა ეჭვი და იტყოდი, არ შეიძლება სადმე გული არ ჰქონდეს მიმაღულიო, იმასაც დასძენდი, ეტყობა, ისე გულდაგულ აქვს შეფუთული თავის სქელ ქურთუკში, რომ კაცი ვერ მიხვდება, თუკი საერთოდ უძგერსო. მაშ, ასე, ჩემო კარგო, მოდი, ძალიან ნუ გავყოყნობდებით იმით, რომ გულჩვილნი და მგრძნობიარენი ვართ. უმჯობესია შეხედე, მეც შენსავით როგორ ვიწყებ სამარცხვინოდ ვიშვიშსა და წუწუნს, მაგრამ, დალაზვროს ეშმაკმა, როგორ არ მინდა, ამ სიბერის ჟამს თოთო ბავშვებს გადავუშალო გული და ჩემი სულის საიდუმლო კუნჭულებში ჩავახედო!

მაესტრო აბრაჰამი ფანჯარასთან მივიდა და ღამის წყვდიადს ჩააშტერდა. ჭექა-ქუხილმა გადაიარა. ტყის შარიშურში ისმოდა, ქარის ყოველ დაბერვაზე როგორ ცვიოდა ხეებიდან წვიმის მსხვილი წვეთები. სასახლიდან მხიარული საცეკვაო მუსიკის ხმები მოდიოდა.

— ეტყობა, პრინც ჰექტორს ცოტა ტლინკაობა უნებებია, ვიდრე *partie de chasse*-ს<sup>1</sup> დაიწყებდეს! — თქვა მაესტრო აბრაჰამმა.

— კიარა, კიარა რაღა იქნა? — ჰკითხა კრაისლერმა.

— დიახ, დიახ, რა კარგია, რომ კვლავ გამახსენე კიარა, შვილო ჩემო, — თქვა მაესტრო აბრაჰამმა და სრულიად ღონემიხდილი

<sup>1</sup>ნადირობას (ფრანგ.).

ჩაეშვა სავარძელში, — ამ დაწყევლილ ღამეს ბოლომდე უნდა გამოცალო იმ მწარე მოგონებებით სავსე ფიალა! ოჰ, ღმერთო ჩემო! როცა დავინახე, რა მხიარულად დაცქრიალებდა ოთახში კიარა, რა უსაზღვრო ბედნიერება ჩასდგომოდა თვალებში, მოვხვდი, რომ ამ დღის მერე ვეღარ გავძლებდი უიმისოდ, რომ იგი ჩემი ცოლი უნდა გამხდარიყო. სხვათა შორის, მაინც ვუთხარი, კი, მაგრამ, ჩემო კიარა, აქ რომ დარჩე, რა უნდა მოგიხერხო-მეთქი. მაშინ იგი მომიახლოვდა და ძალზე დაფიქრებით მომიგო: „მაესტრო, იმ წიგნში, მე რომ ჩამოგიტანეთ, დაწვრილებითაა აღწერილი მოლაპარაკე ორაკულის მოწყობილობა. თუმცა, თავადაც ხომ ნახეთ საკუთარი თვალით, როგორ გამოიყურებოდა ეს ყველაფერი. მე მინდა თქვენი უჩინარი გოგონა ვიყო!“ „კიარა! — წამოვიდახე განცვიფრებულმა, — კიარა! აბა, სვერინოს როგორ მადარებ?“ „ო, სვერინოს ნურასოდეს გამახსენებთ!“ — მომიგო კიარამ. ერთი სიტყვით, წვრილმანებით აღარ მინდა შეგაწყინოთ თავი, ჩემო კრაისლერ. ისედაც მშვენივრად მოგეხსენებათ, რომ ჩემი უჩინარი გოგონა მთელ ქვეყანას აოცებდა. მაგრამ უმორჩილესად გთხოვთ, მერწმუნოთ, რომ არასოდეს მოვცემდი თავს უფლებას, ჩემი კიარა ხელოვნურად აღმეგზნო, ანდა ოდნავ მაინც შემებოჭა მისი თავისუფლება. იგი თავად მინიშნავდა ხოლმე დღესა და საათს, როცა იგრძნობდა, რომ მასში გულთამხილაობის ნიჭმა გაიღვიძა და ჩემი უჩინარი გოგონაც მაშინ იწყებდა წინასწარმეტყველებას. ყველაფერს რომ თავი დაუანებოთ, ეს იდუმალი თამაში ჩემს პატარა კიარას უკვე მოთხოვნილებად გადაქცეოდა. ერთი გარემოების წყალობით, — ამის მიზეზს მოგვიანებით შეიტყობთ, — ზიგჰარტსვაილერში ამოვყავი თავი. ისეთი გვემები მქონდა, რომ მინდოდა ჩემი იქ ყოფნა საიდუმლოდ დარჩენილიყო. ბინა განმარტოებულ სახლში, მთავრის მზარეულის ქვრითან დავიდე. მისი წყალობით კი სასახლის კარზე უმაღლ გავრცელდა ხმები ჩემი საოცარი ხელოვნების შესახებ. ყველაფერი ისე აქწყო, როგორც ვვარაუდობდი. მთავარმა — ვგულისხმობ მთავარ ირუნეუსის მამას, — თავად მომძებნა და გულთამხილავი კიარა თავის მისნად გაიხადა. რაღაც ზებუნებრივი ძალით შთაგონებული კიარა მთავარს ხშირად ახედებდა ხოლმე საკუთარი სულის იდუმალ კუნჭულებში და ბევრი რამ, რაც მის უდიდებულესობას აქამდე ქვეცნობიერად ესმოდა, ახლა კიარას შემწეობით მისთვის აშკარა და



ცხადი ხდებოდა. მე და კიარამ ჯვარი დავიწერეთ. მერე ის იყო, ზიგპარტსუაილერში ერთ ჩემს ერთგულ კაცთან მოუწყვე ბინად. ჩემი ცოლი მხოლოდ ღამდამობით დადიოდა ჩემთან, ამიტომ მისი არსებობის ამბავი ქალაქში საიდუმლოდ რჩებოდა. კარგად იცოდეთ, კრაისლერ! ადამიანები ჭკუას კარგავენ სასწაულებზე! და თუმცა, თავისთვის ყველამ მშვენიერად იცის, რომ უჩინარი გოგონა ხორცშესხმული ადამიანია, მაინც თავს გაბიაბრუებულად ჩათვლიდნენ, თუკი გაუარდებოდა ხმა, რომ ჩემი მისნის ძარღვებში ჩვეულებრივი სისხლი ჩქეფს. აი, რატომ მოხდა, რომ იმ ქალაქში, სადაც სვეერი-ნო გაუიცანი, სიკვდილის შემდეგ მას ყველა ღანძლაუდა, თაღლითსა და გაიძვერას ეძახდა. თურმე ნუ იტყვი, საიდუმლოებას ფარდა აქხადა და აღმოჩნდა, რომ ის უჩინარი გოგონა ერთი პატარა ბოშა ქალი ყოფილიყო. ამ დროს კაციშვილს არ მოსვლია თავში აზრად, ერთი საქები სიტყვა მაინც ეთქვა იმ რთულ მოწყობილობაზე, რისი საშუალებითაც ბგერა შუშის ბურთიდან აღწევდა მსმენელამდე.

მოხუცი მთავარი მიიცივალა. იმ დროისათვის მეც უკვე ყელში ამომოვიდა ჩემი საქმიანობა, არც ის ამბავი მსიამოვნებდა, რომ კიარას დამალვა მიხდებოდა. და აი, გადავწყვიტე ჩემს ღამაზე ცოლთან ერთად გენიონესმიულში დაუბრუნებელიყავი და კვლავ ჩემი ორღანებისათვის მომეკიდა ხელი. იმ ღამით კიარას უკანასკნელად უნდა ეწინასწარმეტყველა უჩინარი გოგონას მაგიერ, მაგრამ იგი დათქმული დროისთვის არ გამოჩენილა. ვაი-ვაგლახით მოვიცილე თავიდან ცნობისმოყვარე მსმენელები და პირში ჩალაგამოვლებული გავისტუმრე შინ. რაღაც ავბედითი წინათგრძნობა მიჭეჭკავდა გულს. დილაადრიანად სასახლეში გავვარდი და შევიტყვე, რომ კიარა თურმე დათქმული დროისთვის წამოსულა ჩემთან... ჰო, რა გაკვირვებით მომჩერებიხარ, ჩემო მეგობარო? იმედია, უაზრო შეკითხვებს აღარ მომცემ! განა ისედაც ცხადი არ არის, რომ კიარა უგზო-უკვლოდ გაქრა და ამის შემდეგ მისთვის არასოდეს, დიახ, არასოდეს თვალი აღარ მომიკრავს.

მაესტრო აბრაჰამი სწრაფად წამოხტა და ფანჯარასთან მიიჭრა. ღრმა ოხვრა იყო იმის დასტური, რომ ძველ ჭრილობას კვლავ შეხსნოდა პირი და სისხლს კვლავ ეწყო ჟონვა. კრაისლერი შეეცადა, დუმილით ეცა პატონი მოხუცის დიდი მწუხარებისათვის.

— კაპელმაისტერ, ამ დროს თქვენი ქალაქში წასვლა აღარ შეიძ-

ლება, — თქვა მანსტრომ კარგა ხნის დუმილის შემდეგ, — შუალაშე უკვე გადასულია, გარეთ კი, როგორც მოგეხსენებათ, ბოროტი ორუ-  
ლები დაეხეტებიან. ესეც არ იყოს, ამ დროს კაცი ათას ფათურაკს  
შეიძლება გადაეყაროს. დარჩით ჩემთან! სიგიჟეა, ო, რა სიგიჟეა...

(მ. ა. ა.) ...ასეთი უხამსობანი წმინდა ადგილებში რომ ხდებო-  
დეს, — მხედველობაში მაქვს აუდიტორია. რალაც სული მეხუთება,  
გული დამძიმებული მაქვს, ამაღლებული აზრებისაგან ლამის ტვი-  
ნი გამისკდეს, ხელი აღარ მემორჩილება საწერად, ამიტომ ცოტა  
ხნით სასეირნოდ გარეთ უნდა გავიდე. აი, მართლაც, ჰაერზე ცოტა  
გავიარ-გამოვიარე და თითქოს გულზე მომეშვაო. კვლავ სამუშაო  
მაგიდას დაუბრუნდი, მაგრამ, მოგეხსენებათ, გრძნობათა აღზვეება  
ენამჭევრად აქცევს კაცს, ენამჭევრობა კი პოეტური სიტყვაბარაქი-  
ანობის საწინდარი გახლავთ ჩემი პატრონის მონაყოლი გამახსენდა.  
ძველ წიგნში ამოუკითხავს თურმე, ერთ ცნობისმოყვარე, ახირებულ  
კაცს მთელ სხეულში ჩაგუბებული ჰქონია რალაც საოცარი *materia  
peccans*-ი.<sup>1</sup> ჰოდა, ეს ნივთიერება მხოლოდ თითებიდან გამოდიოდა  
გარეთ ის კაცი, ხელებქვეშ ამოიდებდა თურმე შშვენნიერ თეთრ ქა-  
ღალდს და მთელ ამ საზიზღარ სითხეს ზედ აგროვებდა. მერე ამ  
მყრალ გამონაჟონს ლექსებად ასაღებდა და ასე ამბობდა, ჩემი გუ-  
ლის სიღრმიდან არიან ამოხეთქილიო. მე, რა თქმა უნდა, ვთვლი,  
რომ ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ბოროტი დაცინვაა და მე-  
ტი არაფერი, მაგრამ საოცარია, რომ თავად მეც დამეუფლება ხოლ-  
მე დროდადრო მსგავსი გრძნობა. მე მას სულის ქაჟილს ვუწოდებ.  
ეს ქაჟილი ხანდახან თითებამდეც ატანს და მაშინ კი იძულებული  
ვხდები, ჩავიწერო ყველაფერი, რაც კი თავში მომიჯა. ამჟამადაც  
სწორედ ამ გრძნობას განვიცდი. დაე, ვიცოდე, რომ იგი მხოლოდ და  
მხოლოდ ზიანს მომიტანს, დაე, ყუყუჩმა კატებმა სიბრაზისაგან თავი  
კედელს ახალონ, დაე, ჩემმა თანამოდმეებმა ამის გამო თავიანთი ბას-  
რი ბრჭყალებიც კი გამოცადონ ჩემს ტყავზე, მაგრამ თავის შეკაჟება  
არაფრით ძალმიძს, — სათქმელი აუცილებლად უნდა ვთქვა!

ჩემი პატრონი დღეს მთელი დღე ღორის ტყავის ყდაში ჩასმულ  
უზარმაზარ ფოლიანტს ჩაჰკირკიტებდა. ბოლოს წამოდგა და, რო-

<sup>1</sup> მუნე ნივთიერება (ლათ).



გორც ყოველთვის ამ დროს, სადღაც წავიდა. წიგნი კი გადაშლილი დატოვა. აღარ დამიხანებია, სასწრაფოდ შევხტი მაგიდაზე და, სწავლის სურვილით შეპყრობილმა, გულდაგულ დავსუნე. საშინლად მაინტერესებდა, რა წიგნი იყო, ჩემი პატრონი რომ ასეთი გულისყურით შეისწავლიდა. თურმე ნუ იტყვით, ეს ყოფილა მხცოვანი მეცნიერის, იოჰანეს კუნისპერგერის<sup>1</sup> ბრწყინვალე ნაშრომი პლანეტებისა და ზოდიაქოს თორმეტი თანაფარსკვლავედის გავლენის შესახებ ცოცხალ ორგანიზმებზე. დიახ, ამ ნაშრომზე სამართლიანად შეიძლება თქვას კაცმა, მართლაც რომ მშვენიერი და ბრძნულიაო: განა სწორედ ამ წიგნის კითხვის დროს არ მოვხვდი მთელი სიცხადით, თუ რაში მდგომარეობს ჩემი ამქვეყნად ყოფნის დანიშნულება და არსი? ახლა, ამ წუთში, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, თავზე ბრწყინვალე თანაფარსკვლავედი დამნათის. მეც ხარბად ვირეკლავ მის მოციაგე სხივებს. ეს სხივები მითბობენ ბედკრულ გულს, რომ მერე ამ გულიდან გადმოსული ეს საოცარი სითბო კვლავ ჩვენს წარმტაც სამყაროში დაიღვაროს. დიახ, შუბლზე შევიგრძნობ კუდიანი კომეტის კაშკაშა, დამაბრმავებელ სინათლეს, თუმცა, რას ვამბობ, განა მე თავად არა ვარ ეს კუდიანი ვარსკვლავი, ციური ცდომილი, ზვიადი, გოროზი წინასწარმეტყველოვით რომ ჩაუქროლებს მთელ სამყაროს?! მოგეხსენებათ, კომეტასთან ვერც ერთი ვარსკვლავი ვერ მოვა სიკაშკაშით და ბრწყინვალეობით კატებო, ადამიანებო და ყველა სხვა სულდგმულნო! თქვენც სწორედ ასე ჩაქრებით და ჩაიფერფლებით, სწორედ ასევე გშთანთქავთ ღამის წყვდიადი, თუკი ჩემი ნიჭის კანდელს კაშკაშა შუქით აუბრიალებ და კრძალვით არ შევეცდები მის მიჩქმალვასა და დამალვას! ეს კი მთლიანად ჩემს ხელთაა! და თუმცა, ნათელი სხივით გაცისკროვნებული, გრძელი კუდი ჩემი სულის ღვთაებრივი დასაბამის დასტურია, განა თავად მეც არ ვიზიარებ უბრალო მოკვდავთა ხვედრს? ძალიან სათნო და მგრძნობიარე გულის პატრონი გახლავარ. ძალიან ახლოს მიმაქვს ამ ოხერ გულთან მოყვასის ჭირ-ვარამი და უბედურება. განა ერთხელ და ორჯერ დავრწმუნდი იმაში, რომ სულით ობოლი ვარ, და ასე მგონია, უკაცრიელ უდაბნოში ვცხოვრობ-მეთქი, რამეთუ ვეყუდნი არა დღევან-

<sup>1</sup> იოჰან კუნისპერგერი (1436-1476), ცნობილი აგრეთვე რეგიომონტანუსის სახელით (ნამდვილი სახელი და გვარი იოჰან მიულერი) — კენიგსბერგელი მათემატიკოსი და ასტრონომი.

დღეობას, არამედ განვითარებულსა და უკეთეს მერმისს; დღესდღეობით ძეხორციელი არ მგულება, ჯეროვნად რომ დააფასებდა ჩემს პიროვნებას. სასიამოვნო კია, როცა ვინმე შეგაქებს! თვით ხეპრე და უგუნური ჭაბუკი კატების ქებაც კი ენით გამოუთქმელ სიამოვნებას მგვრის ხოლმე. არაფრად მიღირს, გაუოცო ჩემი თანამოძმეები საკუთარი პიროვნებით, მაგრამ, აბა, მითხარით, რა ჭკუა აქვს ამას; რამდენიც უნდა იჩხავლონ „მიაუ, მიაუო“, მაინც ვერ შეძლებენ შემასხან ჯეროვანი ხოტბა-დიდება. ისლა დამრჩენია, იმედი მომაგულ თაობებზე დაუამყარო და იმითლა ვინუგეშო თავი, რომ ისინი მაინც მომიზღავენ ჯეროვნად! ახლა კი... მაგრამ რა ახლა? ფილოსოფიურ ტრაქტატს დავწერ და, მე შენ გეტყვი, ვინმე ჩასწვდება ჩემეული აზრების სიღრმეს თუ რა? დრამას შევქმნი და, ვიპოვი კი შესაფერის შემსრულებლებს? კარგი, ვთქვათ, ლიტერატურული მოღვაწეობა დავიწყე და კრიტიკას მოვკიდე ხელი. კრიტიკული წერილების წერა მართლაც რომ უპრიანი იქნებოდა ჩემთვის, თუნდაც იმიტომ, რომ ათი თავით მაღლა ვდგავარ ყველაზე, პოეტი იქნება, მწერალი თუ მხატვარი, და ამდენად მათთვის სრულყოფის მიუწვდომელ მწვერვალს წარმოუადგენ. ასე და ამრიგად, მხოლოდ და მხოლოდ მე მაქვს უფლება, მსჯავრი დაუდო, მაგრამ განა ვინმეს შესწევს უნარი, წაეპოტინოს იმ სიმაღლეებს, სადაც დაფარფატებს ჩემი სული, განა ვინმეს ძალუძს, გაიზიაროს ჩემი შეხედულებები? განა კი არსებობს ამქვეყნად ისეთი ღირსეული ხელი თუ თათი, თავს დამსახურებული დაფნის გვირგვინით რომ შემიმკობდა? მაგრამ შესანიშნავად ვუწყი, როგორ მოველება ამ დარდს: აუდგები და საკუთარი თათებით დავიდგამ თავზე გვირგვინს და ვაი იმისი ბრალი, ვინც მის ხელის ხლებას გაბედავს! იცოდეს ყველამ, ჩემს ბრჭყალებთან ექნება მაშინ საქმე! აბა, შურიან და ბოლმიან პირუტყვს რა დალევს დედამიწის ზურგზე?! ხშირად დამსიზმრებია, როგორ არ მაძლევენ გასაქანს ეს მტარვალეები, მე კი მამაცურად ვიგერიებ მათ თავდასხმებს და ცხადში თუ სიზმარში საკუთარ დრუნჩსა და ნათელ შუბლს ვიკაწრავ მხოლოდ. საკუთარი ღირსების კეთილშობილური გრძნობა გვაკლებს, ურწმუნონიც ვიყოთ ხოლმე... და სხვანაირად არც შეიძლება. სწორედ ამ შურს უნდა მოეწერო ამასწინანდელი ამბავიც: ჭაბუკი პონტო ქუჩაში იდგა და პუდელების მთელ ჯგროსთან ერთად რაღაცაზე ლაყბობდა, პოდა, თავი ისე დაიჭირა, ვითომ ვერც კი



შემაძნია! მე კი შშობლიური სარდაფის სარკმლიდან ვიყურებოდი და მისგან სულ რამდენიმე ნაბიჯი თუ მაშორებდა. მაგრამ ყველაზე მეტად იმან გამაცოფა, რომ, როცა ამ ქარაფშუტას ვუსაყვედურე, თვალი რატომ ამარიდე-მეთქი, საშინლად გაიკვირვა და მომიგო, მართლა არ დამინახავხარო.

ო, ჩემი სულის მონათესავე შშვენიერო მომაგალო თაობებო! რა ბედნიერება იქნებოდა, უკვე დღესვე იყოთ აქ, ჩემ გვერდით, და ყველას გასაგონად ისე ხმამაღლა მამკობდეთ, თქვენი ქება-დიდება ყველა სხვა ხმას ახშობდეს მთლიანად! ახლა კი დადგა დრო, უფრო დაწვრილებით მოგიყვეთ, თუ რა ფათურაკები გადახდომია თქვენს მურს სიჭაბუკის წლებში. მაშ, ასე, ჩემო კეთილებო, ყური მიგდეთ! ჩემი ცხოვრების გადამწყვეტი წუთები დგება!

მარტის იღები<sup>1</sup> დამდგარიყო. გაზაფხულის შხის სხივები ნაზად ელამუნებოდა სახლის სახურავს და გულს უცნაური თრთოლით მივსებდა. აი, უკვე რამდენიმე დღეა, მოუსვენრად ვწრიალებდი და ადგილს ვერ ვპოულობდი. მთელს ჩემს არსებას რაღაც უჩვეულო, დღემდე უცნობი სევდანარევი ნეტარება დაუფლებოდა. მერე ის იყო, ცოტა დაუშვინდდი, მაგრამ მოკლე ხნით; მალე ისეთ მდგომარეობაში ჩავვარდი, არასოდეს ვიფიქრებდი, თუ ასეთი რამ შეიძლებოდა თავს დამტყდომოდა.

იქვე ახლოს, სარკმლიდან, ნაზ-ნარნარი რხევით ვილაც ლამაზმანი გამოგოგმანდა! ო, განა კაცის ენას ძალუმს აღწეროს ეს შშვენიერება! მთლიანად თეთრ, ქათქათა სამოსელში იყო გახვეული, მხოლოდ შავი ხავერდის პაწია ქუდი დაეკოსებინა ღვთაებრივ შუბლზე, წერწეტა ფეხებს კი ასეთივე შავი წინდები უშშვენიებდა. ზურმუხტისფერი, მომხიბლავი თვალები მორცხვად უციმციმებდა, ლამაზი ყურები ისე დაეცქვიტა, უთუოდ დიდი ჭკუისა და სათნო ხასიათის პატრონი უნდა ყოფილიყო, ხოლო კუდის ნარნარი რხევა მის გულითადობასა და ქალურ მოკრძალებაზე მეტყველებდა.

ლამაზმანი, ეტყობოდა, ვერ მამჩნევდა, თვალებმოჭუტული შესცქეროდა შხეს და აცხიკვებდა. მისი ხმის გაგონებაზე ვნებათაღელვამ შემიპყრო. ძარღვებში სისხლი ამიჩქროლდა და გული საგულედან ამოვარდნას ლამობდა. ისე აღვფრთოვანდი, ამქვეყნად სუყველაფე-

<sup>1</sup> მარტის იღები — იუპიტერის პატოსაცემად მოწყობილი დღესასწაული, რომელსაც ძველ რომში ზეიმობდნენ 15 მარტს (იმპერატორ იულიანეს კალენდრით).

რი გადამაუიწყდა და ხმამაღლა, ომახიანად დავიჩხავლე, მიაუ-მეთქი. კატუნია მ სწრაფად მოატრიალა თავი და შეშინებული ბავშვით უმწიკვლო მზერა მესროლა. დაუოკებელმა სურვილმა საოცარი ძალით გამწია მისკენ და მეც აღელვებული მივყახლე მშვენიერს გულში ჩასაკრავად, მაგრამ იგი თვალის დახამხამებისუმაღ საკვამურს უკან გაუჩინარდა. სასოწარკვეთილი გააფთრებით დაუშლიგინებდი სახურავზე და საწყალობლად მოუთქვამდი, მაგრამ ამაოდ, ლამაზმანი არა და არ ჩანდა! ო, როგორ ვიტანჯებოდი! საჭმელი ყელში არ გადამდიოდა, მეცნიერებისადმი ყოველგვარი ინტერესი დაუკარგე, აღარც წერა მიტაცებდა და აღარც კითხვა. „ღმერთო, დიდებულო!“ — წამოვიძახე სასომიხდილმა, როცა მეორე დღეს ამაოდ დავიარე ყველა სახურავი, სხვენი თუ სარდაფი, ამაოდ გადაუქოთე სახლის ყველა კუთხე-კუნჭული, ჩემი ლამაზმანი კი ვერა და ვერ ვიპოვე. შინ დარდისაგან გულშემოყრილი დაუბრუნდი. კატუნიაზე ფიქრი მოსვენებას არ მამღლევდა. პატრონის შემოთავაზებული შემწვარი თევზიც კი სატრფოს თვალებით შემომყურებდა ჯამიდან. ძვირფასო, ნუთუ ეს შენა ხარ-მეთქი? — წამოვიძახე სიხარულისაგან გონებაარეულმა და თევზი თვალის დახამხამებისუმაღ გადავსანსლე. ჩემთვის კი ვთქვი: „ო, ღმერთო, შენს სახელს შემოვევლე, ნუთუ ეს არის სიყვარული?“ მერე ის იყო, ცოტათი დაუმშვიდდი. ვიფიქრე, განათლებული კაცი მქვია და ნუთუ ვერ უნდა გავიგო, რა არის ჩემს თავს-მეთქი. მაშინვე მოკიდე ხელი ჯერ ოვიდიუსის „De arte amandi“-ს,<sup>1</sup> რომლის წაკითხვაც, ცოტა არ იყოს, გამიჭირდა, მერე კი მანსოს<sup>2</sup> „სიყვარულის ხელოვნების“ შესწავლა დავიწყე, მაგრამ აღნიშნულ თხზულებებში შეყვარებული კაცის ისეთი ნიშან-თვისებებია ჩამოთვლილი, მე არც ერთი არ მომესადაგა. ბოლოს გამახსენდა, რომ რომელიღაც კომედიაში ამოკითხული მქონდა: თუ კაცს გულგრილობა დასჩემდა და წვერიც აბურძგნილი აქვს, ნაღდად შეყვარებულიაო.<sup>3</sup> მერე ის იყო, ჩავიხედე სარკეში და ჰოი, საოცრებავ! წვერ-ულვაში საშინლად ამჩიოდა და ამქვეყნად აღარაფერი მაინტერესებდა!

<sup>1</sup> „სიყვარულის ხელოვნების შესახებ“ (ლათ).

<sup>2</sup> იოჰან ფრიდრიხ მანსო (1760-1826) — გერმანელი პედაგოგი, ავტორი პოემისა „სიყვარულის ხელოვნება“ (1794), რომელიც სამი წიგნისაგან შედგება.

<sup>3</sup> კატას მხედველობაში აქვს შექსპირის კომედია „თქვენ როგორ მოგეწონებათ ეს“, მოქმედება 3, სურათი 2.



რაკილა დაერწმუნდი საბოლოოდ, რომ ნამდვილად მომდებოდა ტრფობის ალი, ცოტათი დაემშვიდდი. გადაუწყვიტე, ჯერ ერთი გვარიანად შეენაყრებულებიყავი, მერე კი ჩემი ლამაზმანი მომენახა. ო, მთელი ჩემი არსებით მივილტვოდი მისკენ! გული მეუბნებოდა, იქ, ქვევით, ჭიშკართან უნდა იჯდესო. ჩავედი და მართლა იქ არ დამხვდა?! ო, რომ იცოდეთ, რა ბედნიერი ვიყავი! გული ტკბილი ნეტარებითა და ტრფობით მქონდა საუსე! მისმისი, — მოგვიანებით შევიტყვე, რომ კატუნიას ასე ეძახდნენ, — ნარნარად ჩამომჯდარიყო უკანათათებზე და პირს იბანდა. ვერ წარმოიდგენთ, როგორი სიკეკლუცითა და მომხიბვლელობით იყო საუსე მისი თითოეული მოძრაობა. თუმცა, მის ბუნებით უხვად მომადლებულ მშვენიერებას განა სჭირდებოდა რაიმეს მიმატება ან დაკლება?! ამჯერად უფრო მორიდებით მივუახლოვდი და მის მახლობლად ჩამოუჯექი. გაქცევა აღარ უცდია, მხოლოდ გამომცდელი მზერა შემავლო და თვალები ძირს დახარა.

— მზეთუნახავო, გახდი ჩემი-მეთქი, — ვუთხარი ჩუმად.

— გულადო ჭაბუკო, — მითხრა დარცხვენით, — მითხარ, ვინა ხარ და საიდან მიცნობ? თუ შენც ჩემსავით ალალი გულის პატრონი ხარ და სიმართლეს ამბობ, შემომფიცე, რომ ნამდვილად გიყვარვარ!

— ო, — წამოვიძახე გზნებით, — ვფიცავ ორკუსსა და ჯოჯოხეთის ძალებს, ვფიცავ მთვარესა და ვარსკვლავებს, ამაღამ რომ უნდა ამობრწყინდნენ, თუკი ზეცა უღრუბლო და მოსარკული იქნება, ვფიცავ ყველაფერს, რაც კი წმინდა გამაჩნია ამქვეყნად, რომ მიყვარხარ!

— მეც მიყვარხარ! — წამჩურჩულა კატუნია და ნაზი სიმორცხვით დახარა ჩემკენ თავი. ვნებით შეპყრობილმა სატრფოს გულში ჩასაკრავად ის იყო, თათები გავშალე, რომ სწორედ ამ დროს ორი უზარმაზარი კატა ჯოჯოხეთური გნისით დამაცხრა თავს. ამ მტარვლებმა უღმერთოდ დამკბინეს და დამჩხაპნეს, მაგრამ ამასაც არ დასჯერდნენ, თათი მკრეს და თხრილში გადამიძახეს, ისე, რომ თავიან-ფეხიანად გავილუმპე აყროლებულ, ჭუჭყიან წყალში. რის ვაივაგლახით დაუძვერი ბრჭყალებიდან ამ სისხლისმსმელებს: ეტყობოდა, ჩემი პიროვნება არავითარ მოწიწებას არ აღძრავდა მათში. გულგახეთქილი, ხმამაღალი ჩხაუილით ტყვიასავით ავვარდი კიბეზე.

<sup>1</sup> „გულადო ჭაბუკო... მეც მიყვარხარ!“ — აქ კატების სიყვარულის ახსნა წარმოადგენს პაროდიას ჟან პაულის რომან „ტიტანის“ გმირებზე, ალბანოსა და ლინდაზე.

— რას დამგვანებიხარ, მურ! — გაეცინა მანესტროს ჩემს დანახვაზე. — ჰა, ჰა, ჰა, მგონი, მოხვდი, რაც მოხდა. ეტყობა, შენც იმ რანდოით აღმა-დაღმა დახუტიალებდი, სატროფოს რომ ეძებდა ბნელ-ბნელ ქუჩებში, ჰოდა, კარგა გვარიანად მიიღე კიდეც!

ძალიან ნაწყენი დავრჩი, როცა ჩემმა პატრონმა ხელახლა ატეხა ხარხარი. მერე ტაშტში თბილი წყალი ჩაასხმევინა და რამდენჯერმე ისე გამეტებით ჩამაყურყუმელაუა შიგ, რომ თვალთ დამიბნელდა. მალე ისეთი ცემინება და ძაგძაგი დამაწყებინა, კინალამ გონება დაკარგე. ბანაობის შემდეგ ჩემმა პატრონმა გამახვია ფლანელის ნაჭერში და კალათაში ჩამსვა. სიბრაზისა და ტკოვილისაგან გავლურჯდი, სხეულის ვერც ერთ ნაწილს ვეღარ გამოძრავებდი. სითბომ მალე თავისი გაიტანა, ტანში სასიამოვნოდ დამიარა და ცოტა გონს მოვუკე. „ოჰ, — მოვრთე ტირილი, — აი, კვლავ წილად მხვდა ბედის მწარე დაცინვა! რა ვერაგი ყოფილა ეს ცხოვრება! აი, თურმე როგორი ყოფილა ის, რასაც ასეთი აღფრთოვანებით ვასხამდი ხოტბა-დიდებას! ნუთუ ეს არის ის უმაღლესი ბედნიერება, ის ენით გამოუთქმელი ნეტარება, ადამიანს რომ აღამაღლებს და აკეთილშობილებს?!“ ოჰ, სხვისი არ ვიცი და, მე კი ამ დიადმა გრძნობამ აყროლებულ თხრილში ამომაყოფინა თავი! ამიერიდან შევაჩვენებ სიყვარულს! მან ხომ მხოლოდ ცემა-ტყეპა, კაწვრა-ფხაჭნა, აყროლებული წყლის აბაზანები და ფლანელის საძულველი არტახები მარგუნა წილად!“ — მაგრამ ცოტათი მომჯობინდი და გონს მოვუკე თუ არა, კვლავ მისმისის სახე დამიდგა თვალწინ. მიუხედავად საშინელი თავლაფდასხმისა, იძულებული ვიყავ, სიმწრით მეღიარებინა, რომ ისევ და ისევ მოდებული მქონდა ტროფობის ალი. რის ვაი-ვაგლახით მოვერიე თავს და როგორც საზრიანსა და გონიერ კატას შეშვენის, ოვიდიუსის კითხვას შევუდექი, რამეთუ მშვენივრად მახსოვდა, რომ „De arte amandi“-ში სიყვარულის საწინააღმდეგო საშუალებებზედაც იყო ლაპარაკი.

სწორედ იქ წავიკითხე:

*Venus otia amat. Qui finem quaeris amoris,  
Cedit amor rebus, res age, tutus eris!*

<sup>1</sup> „ვენერას უქმად ყოფნა უყვარს. თუ აღარ გინდა, რომ შევიყვარდეს, ვნებას საქმით განდევნი. იმოქმედე და ჯანმრთელი იქნები“ (ლათ.).



ამ რჩევას მოყვები და ახალი გატაცებით მოვკიდე ხელი მეცნიერებების შესწავლას, მაგრამ ამაოდ. წიგნს გადავშლიდი თუ არა, ყველგან მისმისის ხატება მელანდებოდა. მთელი ჩემი არსება მასზე ფიქრს მოეცვა, მხოლოდ და მხოლოდ ერთ სიტყვას ვწერდი და ვიმეორებდი. ეს მისი სახელი გახლდათ: „მისმის!“ ვიფიქრე, ეტყობა პოეტი სხვა საქმიანობას გულისხმობს-მეთქი. ჩემი თანამოძმეებისგან გაგონილი მქონდა, თავების ჭერა ფრიად სასიამოვნო გასართობიაო. ხომ შეიძლება, რომ ავტორი სიტყვაში rebus სწორედ თავებზე ნადირობას გულისხმობდა? როგორც კი დაბინდდა, სარდაფისკენ გაუწიე. მოყვებოდი ბნელ ლაბირინთებს და თან ვლილინებდი: „ტყით მიმაჯალსა ხელში მეჭირა თოფი ჩახმახზე შეყენებული...“<sup>1</sup>

მაგრამ, ო, ღმერთო დიდებულო! გარეულ მხეცზე ვაპირებდი ნადირობას და სიბნელეში სატრფოს შშვენიერი ხატება კი გამომეცხადა! სიყვარულის ისრებმა კვლავ გამსჭვალა ჩემი სათუთი გული და საშინელი ტკივილი მაგრძნობინა. აი, მაშინ კი ვუთხარ, მალღრსე შენი ნაზი მზერა, ჩემო ფერიაუ! შევდგათ ფეხი სიყვარულის ტაძარში, და ჩვენზე ბედნიერი არავინ იქნება ამქვეყნად-მეთქი. ასე შევციცინ-შეფოფინებდი ჩემს სულიკოს, რადგან იმედი მქონდა, რომ შესაფერის საზღაურს მოვიღებდი! მაგრამ, ვაი მე უბედურს! დამფრთხალმა კატამ წამწამები ააფახულა და თავქუდმოგლეჯილმა მოუსვა.

მე საცოდავს კი სულ უფრო და უფრო მედებოდა ტრფობის ალი, ასე უწყალოდ რომ დამინთო ამ ტანჯულ გულში დაუნდობელმა ყისმათმა. წყველა-კრულვით შევაჩვენე ჩემი უბედობა, კვლავ ოვიდიუსს ვეცი და აი, რა სტრიქონები ამოვიკითხე:

*Exige quod cantet, si qua est sine voce puella,  
Non didicit chordas tangere, posce lyram.<sup>2</sup>*

— ესეც შენ! — ვუთხარი საკუთარ თავს, — აბა, სახურავზე მოუსვი სწრაფად! ჩემს ღვთაებას ისევ იქ უნდა დაუწყოს ძებნა, სადაც პირველად ვიხილე. იმდენს ვიზამ, რომ ავამღერებ, დიახ, აუცილებლად ავამღერებ. და თუ იგი თუნდაც ერთ ყალბ ბგერას ამოუშვებს,

<sup>1</sup> „ტყით მიმაჯალსა“ — დასაწყისი გოეთუს ნაწარმოებისა „მონადირის საღამოს სიმღერა“.

<sup>2</sup> „თუ შენს სატრფოს ხმა არა აქვს, სთხოვე, იმღეროს, სთხოვე, დაუკრას, თუნდაც არც კი შეუბოს საკრავის სიმებს“ (ლათ).

ყველაფერი გამოვლის, ჩემი ხსნაც დადგება და კვლავ სალ-სალამათი და თავისუფალი ვიქნები!

სწორედ იმ დროს, როდესაც მისმისის საძებნელად სახურავზე ავედი, მოსარკულ ცაზე მთვარე ამოგორდა, სწორედ ის მთვარე, რომლის სახელითაც სატროფოს სიყვარულს ვეფიცებოდი. მისმისი დიდხანს არ გამოჩენილა და ჩემი ოხვრა-ვიშვიში ძალე ხმამაღალ კვნესად გადაიქცა.

ბოლოს ერთი უნიათო სიმღერა წამოვიწყე, სხვა არაფერი მომივიდა თავში. დაახლოებით აი, რას ვმღეროდი:

„მოშრიალე ტყუებო, მოწანწკარე რუებო,  
ცელქო, ცელქო ტალღებო და ნიაუო უებროო —  
ო, მითხარით რაიმე,  
თუკი რამე გაიგეთ  
სად ხარ, სად დამეკარგე, მისმის, ჩემო ხატო,  
მისმის, მთელი სულით, მთელი გულით გნატრობ.  
ან ის ბიჭი სად არის, შენ რომ გული განდო?  
ხმა გამეცი მარტო!  
ხმა გამეცი, სადა ხართ, გავტყვიურდი ხელი,  
მთვარევ, მთვარევ, ნათულო,  
პასუხს შენგან ველი!  
ველი გულდაკოდილი, ველი გულის ძგერით —  
ის კუდრაჭა სად გაქრა — ასე საყვარელი?  
მაგრამ გულს შეყვარებულს ვერაფერი შეველის,  
ხსნა ერთია, — მას დაბუგავს სიყვარული მწველი,  
ო, უშველეთ, უშველეთ, შეიბრალეთ ხელი“.

როგორც ხედავ, ძვირფასო მკითხველო, ჭეშმარიტ პოეტს არც მოშრიალე ტყეში ყოფნა სჭირდება და არც მორაკრაკე ნაკადულთან ჯდომა. მის ფერხთით უამისოდაც დგაფუნობენ ოცნების ცელქი ტალღები. პოეტს ამ ტალღებში ყველაფერი შეუძლია დაინახოს, რასაც მოისურვებს, შეუძლია უმღეროს ყველაფერს, როგორც მოეპრიანება. თუკი ვინმე გაოცდება ამ ლექსების სრულყოფილი მშვენიერებით, თავმდაბლად მივუგებ, რომ იმ დროისთვის ძალზე ალგზნებულ მდგომარეობაში ვიყავი და სიყვარულით გახლდით შთაგონებული, ეს კი კარგად მოგეხსენებათ, რა ყოვლისშემძლე გრძნობაა: ისეთი უნიჭო



კაციც კი, ჩვეულებრივ მდგომარეობაში „სიყვარული“ და „სიხარული“, ანდა „ლანდი“ და „დარდი“ რომ ვერ გაურითმავეს, სასიყვარულო ციებ-ცხელება შეეყრება თუ არა, მყისვე მგოსნად გადაიქცევა და ლექსად საუბრობს. და ამიერიდან მისთვის პოეტური შედევრების შექმნა ისეთივე თავისთავად გასაგები ამბავია, როგორიც ძალიან გაცივებული კაცისათვის ცხვირის დაცემინება. ექსტაზში მყოფ პროზაულ ადამიანებს უნდა ვუმაღლოდეთ არაერთ შესანიშნავ ქმნილებას და განსაკუთრებით ნიშანდობლივი ის ამბავია, რომ ადამიანის მოდგმის მისმისებს, რომლებიც დიდი beauté-თი<sup>1</sup> არ გამოირჩევიან, დაუდგებათ ერთი დრო და დიდი სახელი გაუვარდებათ ხოლმე. და თუ ასეთი ხოტბა-დიდება გამხმარ ხეზე ითქმის, მაშ, რაღა უნდა ვთქვათ აყვავებულსა და გაფურჩქნილზე? ამით კი, აი, რისი თქმა მინდა: თუ სიყვარულს ძალუძს ლექსად აამღეროს თვით ყველაზე პროზაული ადამიანიც კი, ხომ წარმოგიდგენიათ, რა მარგალიტებს უნდა ველოდეთ ჭეშმარიტი პოეტისაგან იმ დროს, როცა მისი ნიჭი იშლება და იფურჩქნება?! ასე და ამრიგად, არც მოშრიალე ტყეში მისეირნია და არც მორაკრაკე ნაკადულთან ვმჯდარვარ, უბრალოდ, მოტიტვლებულ სახურავზე ვიყავ მოკალათებული. იქიდან კი, თუ სათვალავში არ ჩავთვლით მთვარის გაცრეცილ სხივებს, არაფერი ჩანდა, მაგრამ ჩემს ჯადოსნურ ლექსებში მე მაინც მიემართავდი ვედრებით ტყეველს, ნაკადულს, კლდეებსა და ბოლოს, ჩემს მეგობარ ოვიდიუსს, გაექარვებინათ ჩემთვის სიყვარულის ტკოვილი. ძალიან გამიძნელდა და ვერაფრით გავრითმე საკუთარი სახელი „მური“. მიუხედავად იმისა, რომ საოცრად შთაგონებული ვიყავ, ისეთი მარტოვი სიტყვაც კი, როგორიცაა „იმედდაკარგული“, არა და არ მომივიდა თავში. მაგრამ იმ ამბავმა, რომ ბოლოს და ბოლოს მაინც ვიპოვე საჭირო რითმა, ერთხელ კიდევ დამარწმუნა ჩვენი მოდგმის უპირატესობაში ადამიანთან შედარებით. როგორც ვიცი, სიტყვა „ადამიანს“ არაფერი ერითმება. ამის გამო ერთმა ენამოსწრებულმა დრამატურგმა გამოთქვა მოსაზრება,<sup>2</sup> ადამიანი ყოვლად გაურითმავე ცხოველიაო. ესეც ასე: სამაგიეროდ, მე ხომ გართიმული ცხოველი ვარ?!

<sup>1</sup> სილამაზე (ფრანგ.).

<sup>2</sup> „ამის გამო ერთმა ენამოსწრებულმა დრამატურგმა გამოთქვა მოსაზრება“ — გერმანელი დრამატურგის, აგუსტ კოცებუს (1761-1819), კომედია „საბრალო პოეტის“ (1813) პირველ სურათში ნათქვამია, რომ სიტყვა „ადამიანს“ — „Mensch“ გერმანულ ენაში რითმა არ მოეძებნება.

არა, ამოდ არ ჩაუვლია ჩემს ნალვლიან სიმღერას, ამოდ არ ყოფილა ჩემი ვედრება, როცა ტყეს, ნაკადულსა და მთვარეს შევთხოვდი, მაპოვნინეთ ჩემი ოცნების დედოფალი-მეთქი. კეკლუცი კატუნია თურმე საკვამურს ყოფილა ამოფარებული და ახლა ნარნარი რხევით, მსუბუქად გამოგოგმანდა ჩემკენ!

— ა, ეს შენ მღეროდი ასე საამურად, ძვირფასო მურ? — მკითხა მისმისმა.

— როგორ, — წამოვიდახე საშინლად გახარებულმა, — როგორ, განა იცი, ვინცა ვარ, მშვენიერთა ხელმწიფავ?

— რა თქმა უნდა, ვიცი, — მომიგო მან, — ერთის ნახვით შემიყვარდი და გულში საშინლად ვიტანჯებოდი, როცა დაჟინახე, ჩემმა რუგვენმა ბიძაშვილებმა როგორ გკრეს თათი და აყროლებულ წუმპეში გადაგიდახეს.

— ხმა, კრინტი, მაგ ამბავს ნულარ გამახსენებ, — გააწყვეტინე სიტყვა, — ჩემო ძვირფასო, ახლა უმჯობესია, მითხრა, გიყვარვარ თუ არა?

— ბევრგან გავიკითხ-გამოვიკითხე შენზე, — განაგრძო მისმისმა, — შევიტყვე, რომ მურს გეძახიან, ერთ ძალიან გულკეთილ კაცთანა გაქვს დადებული ბინა და ყველა ამქვეყნიური სიკეთით სარგებლობ. ისიც შევიტყვე, ზურგი რომ მოგდევს თურმე და შეგიძლია შენი მომავალი მეუღლე ფუფუნებაში აცხოვრო. ო, რომ იცოდე, რა ძალიან მიყვარხარ, ძვირფასო მურ!

— დიდება შენდა, ღმერთო! — წამოვიდახე სიხარულისგან სახეგაბადრულმა, — ყურებს არ ვუჯერებ, რა არის ეს, ოცნება თუ სინამდვილე? ო, იყუჩე, იყუჩე, გულო! სალო განსჯავ, ნუ მიმატოვებ გაჭირვების ჟამს! ნუთუ კვლავ დედამიწაზე ვიმყოფები? ნუთუ სახურავზე ვზივარ? ან იქნებ ღრუბლებში დავფრინავ? ნუთუ მართლა ისევ ის კატა მური ვარ? იქნებ მთვარიდან ჩამოვფრინდი? მოდი, ჩემო მტრედო, მოდი, ჩაგიკრა მკერდში, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, შენი სახელი მითხარი, ანგელოზო!

— მისმისს მეძახიან, — მორცხვად წაიჩურჩულა პატარამ და გვერდით მომიჯდა. ღმერთო, რა მშვენიერი სანახაუი იყო! მის თუთრ ქათიბს მთვარის შუქზე ვერცხლისფერი დაჰკრავდა. ზურმუხტისფერი თვალები ნეტარებისგან მიჰბნელოდა.



(სამაკ. თაბ.) ...რა თქმა უნდა, ძვირფასო მკითხველო, კარგი იქნებოდა, ეს ყველაფერი რამდენადმე ადრე რომ გცოდნოდა, მაგრამ ღმერთს ვევედრები, მომავალში მაინც არ მომიხდეს ერთი ადგილიდან მეორეზე უთავბოლოდ გადახტომა, როგორც ეს აქამდე მიხდებოდა. მაშ, ასე, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, პრინც ჰექტორის მამას ზუსტად იგივე დაემართა, რაც მთავარ ირენეუსს: ვერც კი გაიგო, როგორ ამოუვარდა ჯიბიდან თავისი ადგილ-მამულები. პრინც ჰექტორს სრულიადაც არ იზიდავდა წყნარი და უშფოთველი ცხოვრება. მიუხედავად იმისა, რომ თვალსა და ხელს შუა გამოაცალეს სამთავრო ტახტი, ბორძიკი მაინც არ დაუწყია და გამართულად დადგა ფეხზე. ის კი იფიქრა, თუ ღმერთმა ქვეყნის მართვა არ მაღირსა, სამხედრო ბრძანებებს მაინც გავცემო, და ფრანგების არმიაში შევიდა. არმიაში არაჩვეულებრივ გულადობას და სიმამაცეს იჩენდა. მაგრამ აი, ერთხელაც ვილაც მოხეტიალე მომღერალმა წაუძღერა: „იცი ქვეყანა, სად ლიმონი ყვავილობს ველად?“<sup>1</sup> ის დღე იყო და ის დღე. პრინცი ჰექტორი უმაღლესად გაეშურა იმ მხარეში, სადაც მართლა მწიფს ნარინჯი. მოკლედ, ნეაპოლში ჩავიდა და ფრანგული არმიის მუნდირი ნეაპოლურზე გაცვალა. აქ კი ისე სწრაფად აღზევდა გენერლობამდე, როგორც ეს მხოლოდ პრინციებს შეუძლიათ ხოლმე. როცა მთავარმა ირენეუსმა პრინცის მამის სიკვდილის ამბავი შეიტყო, გადმოიღო უზარმაზარი წიგნი, სადაც საკუთარი ხელით იწერდა ევროპის ყველა დიდგვაროვანი შტოს ნაშეერთა სახელებს, და აღნიშნა ამ ბრწყინვალე ადამიანისა და ბედკრული მეგობრის გარდაცვალება. როცა ეს ყველაფერი მოათავა, მთავარი კიდევ დიდხანს ყურადღებით დასცქეროდა პრინც ჰექტორის სახელს, შემდეგ კი ისე ხმამაღლა შესძახა, პრინცი ჰექტორიო და ისეთი ძალით დახურა უზარმაზარი წიგნი, რომ გულგახეთქილი ჰოფმარშალი განზე გახტა. მერე ის იყო, მთავარი წამოდგა და ოთახში ნელა დაიწყო ბოლთის ცემა, თან იმდენი ესპანური ბურნუთი იყნოსა, აზრთა მთელ ოკეანეს ააზვირთებდა. ჰოფმარშალი კიდევ დიდხანს ესაუბრებოდა მის უდიდებულესობას აწ განსვენებულ მთავარზე, დიდი სიმდიდრის

<sup>1</sup> „იცი ქვეყანა, სად ლიმონი ყვავილობს ველად?“ — მინიონას სიმღერა გოეთეს რომანიდან „ვილჰელმ მაისტერის სწავლების (1796) წიგნი მე-3, თავი 1.

პატრონი იყო და ამასთან, კეთილი და სათნო გულიც ჰქონდაო. ჭაბუკ პრინცი ჰექტორზე კი მოახსენა, მონარქისა და ხალხის დიდი სიყვარულით სარგებლობს ნეაპოლშიო. კაცი იფიქრებდა, მთავარი ირენეუსი მის ლაპარაკს ერთი ყურიდან მეორეში უშვებსო, მაგრამ აი, იგი მოულოდნელად ჯიქურ, პირისპირ მიეჭრა პოფმარშალს, ფრიდრიხ დიდისეული მრისხანე მზერა შეაყლო და კუმტად უთხრა: „Peut être!“<sup>1</sup> რის შემდეგაც მეზობელ ოთახში გაუჩინარდა.

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა პოფმარშალმა, — როგორც ეტყობა, მის უდიდებულესობას ფრიად მნიშვნელოვანი აზრი დაე-ბადა.

დიახ, ეს მართლაც ასე იყო. მთავარმა ირენეუსმა კარგად აწონ-დაწონა, იფიქრა, პრინცი ჰექტორი დიდი სიმდიდრის პატრონია, თანაც არა ერთსა და ორ გავლენიან ქვეყნის მმართველს ენათესავე-ბაო და დაასკვნა, აუცილებლად დადგება დრო, როცა იგი დაშნას კვლავ სამეფო კვერთხზე გაცვლისო. და აი, მთავარს აზრი დაეზადა, ურიგო არ იქნება, ჩემს ქალიშვილს ჰედვიგას პრინცი ჰექტორს თუ გაატან ცოლადო.

მყისვე აფრინეს მსახური პრინცთან. მას მთავრისგან სამძიძარი უნდა გადაეცა მისი უდიდებულესობისათვის ძვირფასი მამის სიკვ-დილის გამო. მსახურს საიდუმლოდ პრინცესა ჰედვიგას მინიატიუ-რული პორტრეტიც გაატანეს, ქალის პირისკანის ფერიც კი ზუს-ტად რომ იყო დაჭერილი. აქვე უნდა აღვნიშნოთ ჰედვიგასათვის შე-იძლებოდა ნამდვილად მზეთუნახავი გქწოდებინათ, უჩვეულოდ მოყ-ვითალო პირისკანი რომ არ ჰქონოდა. ამიტომ იგი განსაკუთრებით ლამაზი ჩანდა სანთლის შუქზე. მსახურმა საკმაოდ მოხერხებულად შეასრულა საიდუმლო დავალება, რის შესახებაც მის უდიდებულე-სობას მთავრინასთანაც კი არ დაუძრავს კრინტი. პორტრეტის და-ნახვაზე პრინცი ისევე აღფრთოვანდა, როგორც მისი პატოცემული კოლეგა „ჯადოსნურ ფლეიტაში“<sup>2</sup>. ტამინოსაჲით<sup>2</sup> მასაც შეეძლო, თუ ვერ იმღერებდა, უბრალოდ წამოეძახა მაინც: „ო, შენი ზღაპრული ხატებაო!“ მერე კი ეთქვა: „ნუთუ მართლა შეყვარებული ვარ? დი-

<sup>1</sup> შესაძლებელია (ფრანგ.).

<sup>2</sup> ტამინოსაჲით — იგულისხმება მოცარტის ოპერა „ჯადოსნური ფლეიტის“ (1791) გმირი. ლამის დედოფლის ასულის სურათის დანახვაზე, იგი თავის სიყვარულს მულმხურვალე არიის შესრულებით გამოხატავს (მოქმედება I, სურათი 4).



ახ, დიახ, მგონი, ნამდვილად მიყვარსო!“ ჩვეულებისამებრ მხოლოდ სიყვარული არ გახლავთ იმის მიზეზი, რომ პრინციები შშვენიერებისაკენ ილტვიან ხოლმე, მაგრამ პრინცი ჰექტორს, ვგონებ, ორაზროვანი არაფერი უნდა სდებოდა გულში. იგი სასწრაფოდ მიუჯდა მაგიდას და მთავარ ირუნეუსს მისწერა: ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ექნება, თუკი ნებას დამრთავთ, თქვენი ასულის ხელი გთხოვოთ. მთავარმა ირუნეუსმა, თავის მხრივ, შეუთვალა: სულითა და გულით მივესალმები ამ ქორწინებას, ყველაფერს რომ თავი დაუანებოთ, მარტო ჩემი აწ გარდაცვლილი მეგობრის ხსოვნისადმი პატივისცემის გამო ვიძლევი თანხმობას, ამიტომ არაუითარი წინასწარი ნიშნობა საჭირო არ არისო. მაგრამ ადათ-წესების დასაცავად კარგი იქნება, თუ ინებებთ და ზიგჰარტსვაილერში ეინმე მაღალი წოდების პირს გამოგზავნით. იგი თქვენი თანხმობითა და შშვენიერი ძველი წესის თანახმად, თქვენ მაგიერ დაიწერს ჯვარს მთავრის ასულზე, თქვენ კი შგეძლებათ მთელი ბრწყინვალეობით პირდაპირ საქორწინო სარეცელთან ეახლოთ პატარძალსო. ამაზე პრინციმა შემოუთვალა: არა, თქვენო ბრწყინვალეებო, თავად გეახლებით საკუთარი ფეხითო.

მთავარს დიდად არ ეამა ეს ამბავი. იგი ფიქრობდა, რომ რწმუნებულ პირთან ჯვრისწერა უფრო ლამაზი, საზეიმო და დიდებული სანახაობა უნდა ყოფილიყო და წინასწარ უკვე ახარებდა ეს უჩვეულო დღესასწაული. მან მხოლოდ იმითლა ინუგეშა თავი, ჯვრისწერამდე შეიძლება სასახლეში დიდი მეჯლისი გაემართოთ. განზრახული ჰქონდა, პრინცისათვის მკერდზე საზეიმოდ ჩამოეკიდა დიდი მთავრის, ირუნეუსის მამის მიერ დაფუძნებული საგვარეულო ორდენის დიდი ჯვარი. ამ ორდენის ტარების უფლება უკვე აღარც ერთ რაინდს აღარ ჰქონდა და არც არაუინ ატარებდა.

ასე და ამრიგად, პრინცი ჰექტორი მობრძანებულიყო ზიგჰარტსვაილერს, რათა პრინცესა ჰედვიგა თავის ქვეყანაში წაეყვანა და თან აწ გარდასული ორდენის დიდი ჯვარიც მიეზნია მკერდზე. მან მთავარს სთხოვა: ეს ყველაფერი ჩვენ შორის დარჩეს, ვიფრთხილოთ, ამის შესახებ პრინცესამ არაფერი გაიგოს, რადგან ჯერ მის სიყვარულში მინდა დაურწმუნდე, მერე კი მისი ხელი გთხოვოთო.

მთავარმა ხეირიანად ვერ გაიგო, რისი თქმა უნდოდა ამით პრინცს, ის კი უთხრა: თუ მუხსიერება არ მღალატობს, ვგონებ, ასეთი ადათ-წესი, ქალს ნეფე ჯვრისწერამდე სიყვარულს უხსნიდეს, არასოდეს

ყოფილა მიღებული სასახლის კარზეო. თუ პრინცი ამაში ერთგვარ attachment-ს გულისხმობს, სასურველია, თუ სასიძო ქორწინებამდე მსგავს გრძნობებს დაიოკებს და მიჩქმალავს. მაგრამ ვინაიდან და რადგანაც თავქარიანი ახალგაზრდობა საერთოდ აგდებულად უყურებს ყოველგვარ ადათ-წესს, მსგავსი attachment-ი, რაც შეიძლება, გვიან უნდა გამოძულავდეს, თუნდაც საქორწინო ბეჭდების გაკვლამდე რამდენიმე წუთით ადრეო. რამდენად ამაღლებული და მშვენიერი იქნებოდა, — დასძინა მთავარმა, — ჯერისწერის დროს ნუფე-დელოფალს ერთმანეთისადმი ცოტაოდენი ზიზღიც გამოეხატათ მაგრამ ჩვენს დროში სინდის-ნამუსზე ლაპარაკი, სამწუხაროდ, მხოლოდ და მხოლოდ სიტყვების რახარუხად იქცაო.

დაინახა თუ არა ჰედვიგა, პრინცმა ჰექტორმა თავის ადიუტანტს დამსწრეთათვის გაუგებარ ნეაპოლურ დიალექტზე წასწურჩულა: „ვფიცავ ყველაწმინდას! მართლაც რომ მშვენიერია, მაგრამ ვეზუვის სიახლოვესა დაბადებული და ამიტომ მის თვალებში ვულკანისებური ცეცხლი ანთიაო“.

პრინცმა იგნატიუსმა უკვე მოასწრო სტუმრისათვის თავის მობეზრება გაუთავებელი შეკითხვებით აინტერესებდა, არის თუ არა ნეაპოლში ლამაზი ფინჯნები და რამდენი ფინჯანი აქვს თავად მის უდიდებულესობას, პრინც ჰექტორსო. მერე ის იყო, სტუმარმა დიდებულთა ამაღლას ჩაუარა და ხელახლა დააპირა ჰედვიგასთან მისვლა, რომ კარი გაიღო და მთავარმა იგი სამეჯლისო დარბაზში, დიდ ზეიმზე მიიწვია. სწორედ ამისათვის შეეკრიბათ სასახლის კარზე ყველა ქვეშევრდომი, ვინც კი ოდნავ მაინც იმსახურებდა ასეთ დღესასწაულში მონაწილეობის უფლებას. თავის არჩევანში მთავარი ამჯერად ნაკლებად მკაცრი იყო, რამეთუ მთავრის ერთი მუჭა დიდებულთა ამაღლა ვერაფრით ვერ ჩაითვლებოდა სასახლის კარად — მათი თავყრილობა პატარა ნადიმის გასამართავდაც კი არ იქნებოდა საკმარისი. ამ ზეიმს ქალბატონი ბენცონი და იულიაც ესწრებოდნენ.

ეტყობოდა, პრინცესა ჰედვიგა ფიქრებს წაეღო, აუღელვებელი და გულგრილი ჩანდა. ისევე როგორც სასახლის კარზე გამოჩენილ ნებისმიერ ახალ პირს, არც სამხრეთიდან მოსულ ლამაზ უცხოელს

<sup>1</sup> გულმოდრუკილება (ფრანგ.).



აქცევდა მაინცდამაინც დიდ ყურადღებას. ხოლო როცა მისმა ფრეილინამ, ლოყებლაჟლაჟა ნანეტამ, ჩასჩურჩულა, უცხოელი პრინცი საოცრად მომხიბლაჟია, ასეთი ლამაზი მუნდირი კი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავსო, პრინცესამ გაჯავრებით უთხრა, ნეტავ ვიცოდე, ჭკუიდან ხომ არ შეიშალეო.

და აი, პრინცმა პექტორმა მოინდომა, თავისი გოროზი თავაზიანობა ფარშავანგის ბრწყინვალე კუდივით გადაეშალა პედვიგას წინაშე. პრინცესა თითქმის შეურაცხყო მისი დათაფლული ქათინაურების უადგილობამ და საუბარი იტალიასა და ნეაპოლზე გადაიტანა. პრინცმა ახლა სამოთხე დაუხატა, სადაც იგი, პედვიგა, სათაყვანებელი ღვთაება იქნებოდა. პრინცი ისე ოსტატურად ფლობდა ბანოვანებთან საუბრის რთულ ხელოვნებას, რომ მისი თითოეული სიტყვა ახლა პრინცესის სილამაზისა და სიმშვენიერის სადიდებელ ჰიმნად ჟღერდა. მაგრამ პედვიგა სწორედ ამ გაცხოველებული ქება-დიდების დროს დაუძვრა პრინცს ხელიდან და იულიასკენ გაეშურა, იქვე ახლოს რომ იდგა დარბაზში. მან გულში ჩაიკრა მეგობარი, ათასნაირ სააღერსო სახელს უწოდებდა, ეუბნებოდა, შენა ხარ ჩემი საყვარელი, ძვირფასი, მშვენიერი და ნაზი დაიკოო. სწორედ ამ დროს მიუახლოვდა მათ პრინცი, ცოტა არ იყოს, საგონებელში ჩაჰარდნლი პრინცესის მოულოდნელი გაქცევით და აი, მან მზერა იულიაზე შეაჩერა. საკმაოდ დიდხანს აკვირდებოდა, ვიდრე გოგონა სირცხვილისაგან თმის ძირუბამდე არ გაწითლდა და თვალები არ დახარა, მერე კი შეწუხებული მის უკან მდგარი დედისკენ შებრუნდა. მაგრამ პრინცესამ ერთხელ კიდევ ჩაიკრა გულში მეგობარი. „ჩემო ძვირფასო, საყვარელო იულია!“ — შესძახა ისევ და თვალები ცრემლით ავესო.

— პრინცესა, — ჩუმად უთხრა მას ქალბატონმა ბენცონმა, — კი, მაგრამ, რას ნიშნავს თქვენი ესოდენ თავშეუკავებელი საქციელი?

პრინცესას ყურადღება არ მიუქცევია ქალბატონი მრჩევლის სიტყვებისათვის და კვლავ პრინცს მიუბრუნდა, გაოცებისაგან მთლიანად რომ წართმეოდა ჩვეული მჭევრმეტყველების უნარი. თუ პედვიგა სულ ცოტა ხნის წინ პირქუში, სიტყვაძუნწი და აულელვებელი ჩანდა, ახლა უჩვეულო მხიარულებას მოეცვა. ბოლოს და ბოლოს, მეტისმეტად დაჭიმული სიმები უეცრად მოეშვა და გოგონას სულის სიღრმიდან აღმომხდარ ჰანგებს ქალწულებრივად რბილი, ნაზი და სათუთი ჟღერადობა მიეცა. არასოდეს ყოფილა იგი ასე-

თი ალერსიანი და პრინციც საუსებით მოხიბლული ჩანდა მისით დაიწყო ცეკვები. რამდენიმე ცეკვის შემდეგ, პრინცმა ჰექტორმა ითხოვა, თუ ნებას დამრთავთ, ნეაპოლურ ხალხურ ცეკვას გიჩვენებთო და ისე ოსტატურად აუხსნა იქ დამსწრეთ ცეკვის ილეთები, რომ სტუმრებმა მშვენიერად იცეკვეს და ამ ცეკვისთვის საჭირო ცეცხლოვანი ხასიათის გადმოცემაც არ გასჭირვებიათ. მაგრამ ცეკვა ვეღვაზე დაუოკებელი გზებით მაინც ჰედვიგამ შეასრულა. იგი პრინცთან ცეკვავდა. პრინცესამ ცეკვის გამეორება მოითხოვა და მიუხედავად ქალბატონი ბენცონის გაფრთხილებისა, მესამედაც მოისურვა მისი დაწყება. ქალბატონი მრჩევლის დაკვირვებულ თვალს უკვე შეუმჩნია გოგონას სახეზე გადაკრული აბედითი სიფითრე. აი, ახლა კი შემიძლია ისე ვიცეკვო, როგორც ნამდვილად არის საჭიროო, ირწმუნებოდა ჰედვიგა. პრინცი ალფრთოვანებული იყო. იგი პრინცესასთან ერთად დაქროდა დარბაზში. ქალის თითოეული მოძრაობა სიცოცხლითა და სინარნარით იყო საუსე. ერთ-ერთი ძალიან რთული საცეკვაო ილეთის შესრულების დროს პრინცმა ვნებიანად მიიკრა მკერდზე თავისი მშვენიერი მანდილოსანი, მაგრამ იმავე წამს ჰედვიგა უგრძობლად გადაესვენა მის მკლაუებზე.

მთავარმა გამოთქვა აზრი, სასახლის კარზე ჯერ არ მომხდარა ამაზე უფრო სამარცხვინო ამბავი და მხოლოდ პრინცის იტალიური წარმოშობით თუ შეიძლება მისი საქციელის გამართლებაო.

პრინცმა ჰექტორმა თავისი ხელით გადაიყვანა სასომიხდილი ჰედვიგა მეზობელ ტალანში და საუარძელზე დაასვენა. ქალბატონმა ბენცონმა პრინცესას რაღაცა მძაფრი ესენციით დაუწყო საფეთქლების სრესა, სასახლის კარის მკურნალს რომ აღმოაჩნდა ხელთ სხვათა შორის, ამ უკანასკნელმა თქვა, ეს მეტისმეტი აღგზნებით გამოწვეული გულყრაა და ძალე გაოვლისო. მკურნალი მართალი გამოდგა. რამდენიმე წამში პრინცესამ ღრმად ამოიხვნეშა და თვალი გაახილა. პრინცმა ჰექტორმა როგორც კი შენიშნა, ჰედვიგა გონს მოჴოო, გარღვია პრინცესას გარსშემოხვეული მანდილოსნების მჭიდრო წრე, მუხლებზე დაეცა და მწარე სინანულით თქვა, მხოლოდ და მხოლოდ მე ვარ დამნაშავე ამ სამწუხარო ამბავში, რის გამოც მწუხარებით მეკუმშება გულიო. მაგრამ პრინცესამ თვალი შეავლო თუ არა მას, ზიზღნარევი ხმით წამოიძახა: „ახლავე მომშორდით, მომშორდით თავიდანო!“ და კვლავ დაკარგა გრძნობა.



— წამობრძანდით, ძვირფასო პრინცო, წამობრძანდით! — თქვა მთავარმა და პრინცს ხელკავი გამოსდო, — უნდა მოგახსენოთ, რომ პრინცესას ხშირად ემართება ხოლმე ასეთი უცნაური ამბები. ღმერთმა უწყის, რა შემზარავ ურჩხულად მოეჩვენეთ მას ამ წუთში. თქვენ წარმოიდგინეთ, პრინცო, — მაშინ ჰედვიგა ჯერ კიდევ სრულიად ბავშვი გახლდათ, — ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს აიჩემა, *entre nous soit dit,*<sup>1</sup> გინდა თუ არა, დიდი მოგოლი ხარ, ახლავე ხავერდის ფეხსაცმელი ჩაიცვი, ცხენზე შეჯექი და იჯირითო. ბოლოს და ბოლოს, იძულებული გახდი, შემესრულებინა მისი ახირებული მოთხოვნა, თუმცა, რა თქმა უნდა, საკუთარ ბაღს არ გაუცილებივარ.

პრინცმა ჰექტორმა მოურიდებლად გადაიხარხარა და ბრძანა, ეტლი მოერთმიათ.

ჰედვიგას მდგომარეობით ძალზე შეშფოთებულმა მთავრინამ სურვილი გამოთქვა, ქალბატონი ბენცონი და იულია იმ ღამეს სასახლეში დარჩენილიყვნენ. მთავრინამ იცოდა, რომ ქალბატონ მრჩეველს დიდი გაუღენა ჰქონდა პრინცესაზე და ასეთი შეტევების დროს ძალიან უმსუბუქებდა ხოლმე აუადმყოფს მდგომარეობას. ამჯერადაც, ქალბატონი ბენცონის ალერსიანი შეგონებების წყალობით ჰედვიგა სწრაფად მოვიდა გრძნობაზე და ახლა თავის ოთახში იწვა.

პრინცესა ირწმუნებოდა, ცეკვის დროს პრინცი შემზარავ ურჩხულად იქცა და შიგ გულში ჩამასო თავისი ცეცხლოვანი, წვეტიანი ენაო.

— უფალო, დაგვიფარე! — წამოიძახა ქალბატონმა ბენცონმა, — მაშ, გამოდის, პრინცი ჰექტორი გოცის ზღაპრის *mostro turchino*<sup>2</sup> ყოფილა. რა სისულელეა! ბოლოს და ბოლოს, აქაც იგივე ამბავი მოხდა, რაც კრაისლერთან. თავის დროზე ისიც ხომ სახიფათო შემოღილი გვეგონათ!

— არასოდეს! — აღელვებით წამოიძახა პრინცესამ და სიცილით დაუმატა, — არავითარი სურვილი არა მაქვს, ჩემი საყვარელი კრაისლერი პრინცი ჰექტორით უცაბედად ასევე *mostro turchino*-დ გადაიქცეს!

ის ღამე ქალბატონმა ბენცონმა პრინცესის სასთუმალთან გაათია და როცა დილაადრიან იულიას ოთახში შევიდა, უძილო ღამით გა-

<sup>1</sup> ჩვენ შორის დარჩეს (ფრანგ.).

<sup>2</sup> ლურჯი ურჩხული (იტალ.).

ტანჯული გოგონა დაღლილი და გაფითრებული სახით თავდახრილი იდგა და დამფრთხალი მტრუდოით თრთოდა.

— რა დაგემართა, იულია? — წამოიძახა შეშინებულმა ქალბატონმა მრჩეველმა. მას თავისი ქალიშვილი არასოდეს ენახა ასეთ მდგომარეობაში.

— ოჰ, დედაჩემო, — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა იულიამ, — დღეის შემდეგ ჩემი ფეხი აღარ იქნება აქ! გული ლამის გამისკდეს, როდესაც წუხანდელი დამე მახსენდება. ამ პრინცს მართლა აქვს რაღაც შემზარავი. ვერ აღგიწერ, რა განვიცადე, როცა იგი ჯიქურ დამაშტერდა. მისი ბოროტი, შავი თვალები თითქოს მომაკვდინებელ ნაპერწკლებს აკვესებენო და ასე მეგონა, მე საბრალოს, ან ახლა მაქცევენ ფერფლად, ან ახლა-მეთქი. ნუ დამცინი, ჩემო დედიკო! დიახ, ეს მკვლელის გამოხედვა იყო, მიზანში რომ იღებს თავის მსხვერპლს, მსხვერპლმა კი შიშისაგან კინალამ მანამდე განუტკვია სული, ვიდრე გულში ხანჯალს ჩასცემდა! დიახ, ვიმეორებ, რაღაც აქამდე უცნობმა გრძნობამ — ვერ აგიხსნი, რა იყო ეს, — ძაგძაგით დამიარა მთელ სხეულში! ტყუილად ხომ არ ჰყვებიან ბასილისკოებზე! ისინიც ხომ თავიანთი შხამიანი, ცეცხლოვანი მზერით გმირავენ ყველას, ვინც კი თვალის გასწორებას გაუბედავს. პრინციც სწორედ ამ საშინელ ურჩხულს მაგონებს.

— დიახ, დიახ! — ხმამაღლა გაიცინა ქალბატონმა ბენცონმა, — ახლა კი მართლა შეიძლება დაიჯეროს კაცმა, რომ *mostro turcino*-ზე შეთხზული ზღაპარი სრულიადაც არ არის მოკლებული სიმართლეს, რაკი ორ ქალიშვილს მშვენიერი და თავაზიანი პრინციც კი ურჩხულად და ბასილისკოდ მოეჩვენა. ის კი ვიცოდი, პრინცესას დროდადრო უცნაური აზრები რომ მოსდიოდა თავში, მაგრამ თუ ჩემი საყვარელი შვილიკო, ჩემი კრავივით მშვიდი და წყნარი იულიაც, სულელური შიშის ტყვეობაში აღმოჩნდებოდა...

— ჰედვიგას, ჰედვიგას რაღა ვუყოთ? — გააწყვეტინა დედას იულიამ, — თითქოს რაღაც იდუმალ, ბოროტ ძალას უნდაო მომგლიჯოს იგი გულიდან, მე კი იგივე ძალა ცდილობს ორთაბრძოლაში ჩამაბას იმ საშინელ სენტან, პრინცესის სულში რომ ჩაუბუდებია! დიახ, მე მიმაჩნია, რომ იგი მძიმედ არის დასნეულებული, საბრალოს კი ვერა და ვერ დაუთრგუნავს თავისი აუადმყოფობა. როდესაც მან პრინცს ზურგი შეაქცია, ჩემკენ გამოქანდა და ხვევნა-აღერსი



დამიწყო, უმაღლეს ვიგრძენ, რომ მთელ ტანზე ალმური ასდიოდა. მერე კი ყველაფერ ამას ის ცეკვაც დაერთო, ის საშინელი ცეკვა! შენ ხომ კარგად იცი, დედიკო, როგორ ვერ ვიტან ისეთ ცეკვებს, როცა მამაკაცებმა ხელი უნდა მოგვხვიონ ხოლმე. ასე მგონია, ამ დროს წესიერებისა და კდემამოსილების ყველა წესს ვარღვევთ და მამაკაცებს უფლებას ვაძლევთ, იგრძნონ თავიანთი ძალა-მეთქი. თუმცა, ძალიან ვეჭვობ, რომ ამ გზით საკუთარი ძალის შეგრძნებამ შეუძლია მათ რაიმე სიხარული აგრძნობინოს, ყოველ შემთხვევაში, ეს ასე უნდა იყოს დახვეწილი ბუნების მამაკაცისთვის მაინც. და აი, უეცრად ჰედვიგა შლეგიანოვით იწყებს როკვას! ო, რა საძაგელი სანახაურო იყო ის სამხრეთული ცეკვა! და მის დამთავრებას რომ აღარ დაადგა საშველი, ამან მთლად შემადრწუნა. პრინცს კი თვალები ამ დროს ჭეშმარიტად სატანისებური ცეცხლით უელავდა.

— რა სისულელეა! — თქვა ქალბატონმა ბენცონმა, — ეს რა აზრები მოგსვლია თავში! ახლა არ მოყვები მათი ავკარგიანობის განსჯას, შეგიძლია შენი თვალსაზრისის ერთგული დარჩე, მაგრამ, მოდი, ნუ იქნები უსამართლო ჰედვიგას მიმართ, საერთოდ კი, ძალიან კარგი იქნება, თუ არც მასზე იფიქრებ, არც პრინცზე და ყველაფერ ამას საუსებით ამოიგდებ გულიდან! გინდა, ვიზრუნებ იმაზე, რომ რამდენიმე ხანს არ ნახო არც ჰედვიგა და არც პრინცი? არა, მე შენს თავს არავის დაუაჩაგვრინებ, ჩემო საყვარელო, კეთილო შეილიკო! აბა, ერთი მოდი ჩემთან, მინდა გულში ჩაგიკრა! — და დედამ ნაზად მიიხუტა გულზე იულია.

— დედიკო! — თქვა გოგონამ და აღმოდებული სახე მის მკერდში ჩამალა, — ხომ შეიძლება ის საშინელი სიზმრებიც, ასე რომ ამათორიაქა, იმ უცნაური შიშით ყოფილიყო გამოწვეული?

— კი, მაგრამ, რა ნახე სიზმარში ასეთი? — ჰკითხა ქალბატონმა ბენცონმა.

— ვითომ წარმტაც წალკოტში დაუდიოდი, — დაიწყო იულიამ, — სადაც კი გაიხედავდი, არუმარე ია-ვარდებით იყო მოფენილი და მათი ნაზი სურნელი იფრქვეოდა ირგვლივ. უცნაური ნათება, მთვარის შუქით რომ ეცემოდა მიდამოს, დროდადრო ტკბილ, ჯადოსნურ ჰანგებად იღვრებოდა, ხოლო როცა მისი ოქროსფერი სხივები ყვავილებსა და ხეებს ეფინებოდა, ისინი აღფრთოვანებულნი კრთოდნენ; შრიალებდნენ ფოთლები, ჩურჩულებდნენ ნაკადულები და ხანდახან

ნაღვლიანი ოხვრაც აღმოხდებოდათ ხოლმე. ანაზღად ვიგრძენ: ეს თუად მე ვარ თურმე, დიახ, მე ვარ ის სიმღერა, წალკოტს რომ ეფინება, და როგორც კი ამ ჰანგების ელვარება ჩაქრება, მეც მყის გაუქრები. გავლხვები უძირო კაეშანში-მეთქო. მაგრამ ამ დროს ვილაცის ნაზი ხმა ჩამესმა: „განა არ იცი, რომ მუსიკა ნეტარების წყაროა და არა სიმძიმისა? ძლიერ მკლავებში ამიტომაც მიპყრიხარ ასეთი გზებით, რომ შენა ხარ დასაბამი და დაუშრეტელი წყარო ჩემი სიმღერისა. ეს სიმღერა კი ისეთოვე მარადიულია, როგორც მტანჯველი ნეტარებაო“. ჩემ წინ კრაისლერი იდგა, ის მეუბნებოდა ამას. მთელს ჩემს სხეულს ღვთაებრივი სიმშვიდე დაეუფლა, გული იმედით ამეფსო და თუად არ ვიცი, როგორ, — იცოდე, არაფერს გიმალავ, ჩემო დედიკო, — მკერდზე მივესვენე მას. მაგრამ უცაბედად ვიგრძენი, რომ ვილაცამ რკინის მარწუხებოვით შემომაჭლო მკლავები ტანზე და საშინელმა დამცინაუმა ხმამ წამოიძახა: „ამაოდ გამირბიხარ, უბედურო. იცოდე, ახლა უკვე მკვდარი ხარ და ჩემი უნდა იყოო“. პრინცის ხმა შევიცან. ეს მას ჩავებლუჯე მკლავებში. შეშინებულმა შევკოლე და გამომელვიდა კიდეც. მოსასხამი მოვიცვი, ფანჯარასთან მივირბინე და გამოეღე. ოთახში ძალზე ცხელოდა და დახუთული ჰაერი იდგა. უეცრად შორს, ბალის სიღრმეში, ვილაც კაცი შევნიშნე. იგი სასახლის ფანჯრებს გამოსცქეროდა ჭოგრიტში, მაგრამ მალე ტაკიმასხარასაუით მანჭვა-გრუხითა და სირბილით დაუყვა ხეივანს. კუნტრუმ-კუნტრუმით მიდიოდა, თან ხელები ცისკენ აღეპყრო და ვგონებ, ხმამაღლა მღეროდა. მის საქციელზე ჯერ გულიანად გამეცინა, მაგრამ მალე შევიცან ჩემი მხსნელი და ქომაგი და ვიფიქრე, თუ მიხსნის, ეს კაცი მიხსნის პრინცისაგან-მეთქი. მხოლოდ ახლად მოვხვდი, რა უკიდევანო სულის პატრონი ყოფილა ეს ჩვენი კრაისლერი, მხოლოდ ახლა გავიგე: მისი გესლიანი ხუმრობის მიღმა, ასე რომ შეურაცხყოფს ადამიანს, როგორი უებრო და სათნო გული იმალება თურმე. მზად ვიყავ, მოვჭრილიყავ მასთან და მომეყოლა ჩემი საშინელი სიზმარი!

— მართლაც, რა უაზრო სიზმარი დაგსიზმრებია, — დაფიქრებით თქვა ქალბატონმა ბენცონმა, — ბოლო კი მთლად სულელური აქვს! ჩემო იულია, შენ სიმშვიდე და მოსვენება გჭირდება. იქნებ ცოტა თვალიც მოატყუო. აი, ახლა, ერთი-ორი საათით მეც ვაპირებ წაძინებას.



ქალბატონი ბენცონი ოთახიდან გავიდა, იულია კი ისე მოიქცა, როგორც დედამ ურჩია.

როდესაც გამოელვოდა, შუადღის მზე ფანჯარაში კაშკაშებდა, და ოთახში ია-ვარდის მძაფრი სურნელი იდგა.

„რა არის ეს? ნუთუ ისევ სიზმარში ვარ?“ — წამოიძახა განცვიფრებულმა იულიამ, მაგრამ როცა ოთახში მიმოიხედა, თავისი საყარძლის ზურგზე იებისა და ვარდების უმშვენიერესი თაიგული შენიშნა.

„კრაისლერ, ჩემო საყვარელო კრაისლერ“, — ნაზად წარმოთქვა გოგონამ, თაიგული ხელში აიღო და ოცნებას მიეცა.

ამ დროს მსახურმა მოახსენა, პრინცი იგნატიუსს სურს, შეიტყოს, შეიძლება თუ არა ცოტა ხნით თქვენთან საუბრით შეიქცეოს თავიო.

იულიამ სწრაფად ჩაიცვა და მეორე ოთახში გავიდა. იქ უკვე ელოდა პრინცი იგნატიუსი. ხელში ფაიფურის ფინჯნებითა და ჩინური თოჯინებით საუსე კალათა ეჭირა. ბუნებით კეთილსა და გულისხმიერ იულიას შეეძლო საათობით ეთამაშა პრინცთან. უბედური მთაურის ძე ღრმა სიბრალულს იწვევდა გოგონაში. არასდროს წამოსცდენია მისი თანდასწრებით არც ერთი დამცინაჲი ანდა საწყენი სიტყვა, რასაც ხშირად სჩადიოდნენ სხვები, განსაკუთრებით კი პრინცესა ჰედვიგა. ამიტომ პრინცს ყველაზე მეტად იულიასთან ყოფნა უყვარდა და ხშირად მას თავის პაწია საპატარძლოსაც კი უწოდებდა ხოლმე. მერე ის იყო, ფინჯნებიც და თოჯინებიც დაამწყვროვეს და იულიამ პატარა არლეკინის სახელით სიტყვით მიმართა იაპონიის იმპერატორს (ორივე თოჯინა ერთმანეთის პირისპირ იდგა); სწორედ ამ დროს ოთახში ქალბატონი ბენცონი შემოვიდა.

იგი ცოტა ხანს თვალყურს ადევნებდა ამ თამაშს, მერე კი იულიას მიუბრუნდა, შუბლზე აკოცა და უთხრა: „აჰ, ჩემო საყვარელო, გულკეთილო ბავშვო!“

კარგა ხნის მოსაღამოებული იყო. იულიას თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. მას ნება დართეს, ვახშამზე არ გამოსულიყო. და აი, ახლა თავის ოთახში მარტო იჯდა და დედას ელოდებოდა.

უეცრად ჩუმი, შემპარაჲი ნაბიჯების ხმა გაისმა, მერე კარი გაიღო და ოთახში მოღანდებასავით შემოფარფატდა თეთრებში გამოწყობილი პრინცესა. სახე მიცვალებულს მიუგავდა, გაყინული მზერით იყურებოდა ირგვლივ.

— იულია, — ჩუმი, ყრუ ხმით ჩაილაპარაკა მან, — რაც გინდა, ის

მიწოდე, მითხარი, რომ ვარ გიჟი, გადარეული, თავზე ხელაღებული, მაგრამ გვედრები, შენი გულის კარს ნუ დამიხშობ. ო, რომ იცოდე, როგორ მჭირდება ახლა შენი თანაგრძნობა და ნუგეში! უბრალოდ, ძალზე აღგზნებული და გადაღლილი ვიყავი, სწორედ ამიტომ აღარ მეყო ძალა და ლოგინად ჩაკვარდი. ყველაფერი კი იმ დაწყვეტილი ცეკვის ბრალია! მაგრამ ახლა უკვე ყველაფერმა გამიარა და თავს უკეთ ვგრძნობ! პრინცი ზიგპარტსჰაილერში წაბრძანდა! სუფთა პაერზე გასვლა მწყურია! წამო, პარკში ვიხეტივალთ!

როდესაც იულია და პრინცესა ხეონის ბოლოს გავიდნენ, ხშირ ბუჩქნარში კაშკაშა შუქმა გაიკიაფა და მათ სძენას ტკბილი საეკლესიო გალობა მისწვდა.

— წმინდა მარიამის ეკლესიაში საღამოს ლიტანიაა! — წამოიძახა იულიამ.

— ჰო, ჰო, — მიუგო პრინცესამ, — წამო, წავიდეთ და ჩვენც ვილოცოთ ჩემთვისაც ილოცე, ილოცე, იულია!

— მოდი, ორივემ ვილოცოთ, — უთხრა იულიამ პრინცესას. იგი ფრიად შეშფოთებული ჩანდა მეგობრის მდგომარეობით, — ვილოცოთ, რათა ბოროტმა ძალამ ვერასოდეს დაგვთრგუნოს, და ვერ აცდუნოს ჩვენი სპეტაკი, უწყინარი სული.

გოგონები პარკის მეორე ბოლოში მდგომ ეკლესიას მიუახლოვდნენ. სოფლის გლეხები, ეს-ეს არის, ლიტანიას რომ მღეროდნენ ყვავილებით მორთული და სანთლებით განათებული წმინდა მარიამის ხატის წინ, ახლა უკვე გამოდიოდნენ ეკლესიიდან. გოგონებმა შესვლისთანავე სალოცავად მოიყარეს მუხლი. საკურთხეველთან, ოდნავ ამაღლებულ ადგილას, გუნდი იდგა, ჰიმნს „Ave maris stella“<sup>1</sup>-ს გალობდა, კრაისლერს სულ ახლახან რომ შეუთხზა.

ჰიმნი ჩუმად იწყებოდა, შემდეგ ხმები თანდათანობით ძლიერდებოდა, ვიდრე არ აღწყვედა სიტყვებს „dei mater alma“<sup>2</sup>, ამის მერე კი გუნდის ხმა ნელ-ნელა სუსტდებოდა და სიტყვებზე „felix coeli porta“<sup>3</sup> მთლიანად ყუჩდებოდა, თითქოს ღამის სიომ გაიტაცაო.

საოცარი ღვთისმოსაობით შეპყრობილი გოგონები კვლავ მუხლებზე დამხობილი იდგნენ. მოძღვარი ლოცვებს ბუტბუტებდა, შო-

<sup>1</sup> საღამო შენდა, ზღუათა ვარსკვლავო (ლათ).

<sup>2</sup> მოწყალეო ყოვლადწმინდა ანგელოზო (ლათ).

<sup>3</sup> ცის ნეტარი კარიბჭე (ლათ).



რიდან კი, თითქოს ღრუბლებში ანგელოზთა დასი გალობსო, ის-  
მოდა „O sanctissima“,<sup>1</sup> ჰიმნს გზად მიმავალი გლეხები მღეროდნენ.

ბოლოს მოძღვარმა მრევლი აკურთხა. გოგონები ფეხზე წამოდგ-  
ნენ და ერთმანეთს გადაეხვივნენ. მათი გულებიდან ამოხეთქას ლა-  
მობდა ენით აუწყრელი კაეშანი. ამ კაეშანში აღფრთოვანებაცა და  
სიმძიმელიც თანაბრად გარეულიყო. ღაწვებზე ცხელი ცრემლები  
მოსწანწკარებდათ; მათი დაკოდილი გულებიდან გამონაჟონი სისხ-  
ლის წვეთები.

— ეს ხომ ის იყო, — ოდნავ გასაგონად ჩაიჩურჩულა პრინცესამ.

— ჰო, ის იყო, — გაიმეორა იულიამ.

გოგონებს მშვენივრად ესმოდათ ერთმანეთისა.

რალაც იდუმალის მოლოდინში ტყე უხმოდ გარინდებულყო,  
თითქოს ელოდება, როდის ამოგორდება მთვარე და გადააფრქვევს  
არუმარეს მოციგლიგე ვერცხლის სხივებსო. მეწამულისფერი ღრუბ-  
ლები მთებს პირბადესაჟით დაეხურათ თავზე. საეკლესიო საგალობე-  
ლი კი ისევ ისე გაისმოდა ღამის სიჩუმეში, თითქოს ღრუბლების შე-  
სახვედრად მიიწვედა და გზას უკაფავდა მოკაშკაშე ციურ მნათობს,  
რომლის წინაშეც ყველა ვარსკვლავი გაფერმკრთალებულიყო.

— აჰ, — თქვა იულიამ, — ნეტავი გამაგებინა, ასე რად ვლელავთ,  
ან ასე სევდით რატომ გვევსება გული? ყური მიუგდე, ტკბილი ღა-  
ღადისოვით არ გაისმის საგალობელი ღამის სიჩუმეში?! ლოცვა ჩვე-  
ნი სულიდან აღმომხდარი ვედრებაა, ოქროსფერი ღრუბლებიდან  
დაღვრილი ნათელი ჰანგები კი მარადიულ ნეტარებას გვპირდება.

— ჰო, ჩემო ძვირფასო იულია, — მტკიცედ და დაფიქრებულად  
მიუგო პრინცესამ, — იქ, ღრუბლებს მიღმაა ხსნა და ნეტარება.  
ნეტავ ციურმა ანგელოზმა მანამდე გამიტაცოს ცაში, ვიდრე ჩემს  
სულს ბნელი ძალები დაეპატრონებიან. ძალიან მინდა სიკვდილი,  
მაგრამ ვიცი, საგვარეულო აკლდამაში ჩამაწვენენ. ჩემი წინაპრებიც  
ხომ ამ აკლდამაში განისვენებენ? ჰოდა, ისინი არაფრით არ დამი-  
ჯერებენ, რომ ნამდვილად მკვდარი ვარ, შემოიძარცვავენ სასიკვდი-  
ლო სუდარას, აღსდგებიან ბნელეთის წინააღმდეგ და გამომაძევენ  
თავიანთი სამფლობელოდან. აი, მაშინ კი აღარც ცოცხლებში ვეწე-  
რები და აღარც მკვდრებში, და ველარსად ვპოვებ ხსნას.

<sup>1</sup> „O sanctissima!“ (ლათ.) — „ო, წმიდათაწმიდაჲ“; თავად ჰოფმანის მიერ 1808 წელს დაწერილი ჰიმნი.

— ამას რას ამბობ. ქედვიგა? ღმერთო ჩემო, ამას რას ამბობ? — წამოიძახა შეშინებული იულიამ.

— ეს ყველაფერი ერთხელ უკვე ნანახი მაქვს სიზმარში, — მიძქრალი ხმით გულგრილად განაგრძო პრინცესამ. — ვაითუ, ჩემი რომელიმე ძრისხანე წინაპარი საიქოში ვამხირად გადაქცეულა და ახლა ჩემს სიხლსა სწოვს? იქნება ამისგანა მაქვს ხმარად გულყრა?

— ჩემო ქედვიგა, ხომ ხედავ როგორ აუდა ხარ — წამოიძახა იულიამ. — დიახ, ნამდვილად მძიძედა ხარ აუდა; მეშინია, ღამის ჰაერმა არ დაგცადოს. წამო, სასწრაფოდ წავიდეთ შინ! — იულიამ ხელი მოხვია პრინცესას და ისიც მორჩილად გაჰყვა მეგობარს.

მთვარე ჯილასავით დასდგომოდა თავზე გაიურშტაინს და ზღაპრული სხივებით გაენათებინა ბუჩქები და ხეები; ქოჩორა ტყე დაუდევრად შარიშურობდა და ვნებიანად ეჩურჩულებოდა ღამის ნიავს.

— რაც უნდა იფოს, მაინც ბედნიერებაა ამქვეყნად სიცოცხლე! — თქვა იულიამ, — რა გულუხეი და ბარაქიანია ეს დალოცვილი დედაბუნება! გადაგვაფარებს თავის მადლიან კალთას და ჩვენც, მისი პირშონი, სასოებით შევცქერით მის ჯადოსნურ ნახელავს!

— შენ ასე გგონია? — კვითხა პრინცესამ და მცირე ხნის დუმილის შემდეგ განაგრძო, — ძალიან გთხოვ, რასაც ახლა გეტყვი, გულთან ახლოს არ მიიტანო. ყველაფერი ჩემი უგუნებობის ბრალია. შენ ჯერ კიდევ არ იცი, რა არის სვედა, გულს ჭიასავით რომ გიჭამს და განადგურებს! დედაბუნება უღმობელია, იგი მხოლოდ თავის ჯანსაღ შეილებს უფროთხილდება და შეჰფოფინებს, დაურომილებსა და სნეულებს კი შერისხავს და მათ წინააღმდეგ თავის საშინელ იარაღსაც კი შემართავს ხოლმე. აჰ, იულია, აღბათ, გახსოვს: წინათ ბუნება ზღაპრული სასახლე მეგონა, ვფიქრობდი, მაღალმა ღმერთმა იმისათვის ააგო ასეთი ხელთუქმნელი ძეგლი, რომ მისმა შემყურე ადამიანმა შეძლოს, აუარჯიშოს აზრი, გონება თუ ხელები-მეთქი. მაგრამ ახლა ყველაფერი ძირფესვიანად შეიცვალა, რამეთუ ბუნებისაგან ტანჯვისა და მწუხარების გარდა აღარაფერ სიკეთეს აღარ ველი. ახლა გაცილებით მეტ სიამოვნებას მომგვრიდა კაშკაშა შუქით განათებულ ხალხით სავსე დარბაზში ყოფნა, ვიდრე მთვარიან ღამეში ტყე-ღრუში შენთან ხეტიალი.

იულია შიშმა აიტანა. გოგონა გრძობდა, როგორ სწრაფად უც-



ლებოდა ძალ-ღონე ჰედვიგას, თვითონ კი დიდის ვაი-ვაგლახით ახერხებდა შეხიდებოდა და სიარულში მოხმარებოდა მეგობარს.

ბოლოს, როგორც იქნა, სასახლეც გამოჩნდა. იქვე სასახლესთან, ანწლის ბუჩქებქვეშ, ქვის სკამზე შავი ლანდი ჩამომჯდარიყო. მის დანახვაზე ჰედვიგამ სიხარულით შესძახა: „დიდება შენდა, ღმერთო! ის აქ არისო!“; უეცრად მთელს სხეულში ძალის საოცარი მოჭარბება იგრძნო, იულია განზე გასწია და პირდაპირ შავი ლანდისაკენ გაეშურა. ის კი მყის წამოდგა და ყრუ ხმით ჩაილაპარაკა: „ჰედვიგა, ჩემო საბრალო ბავშვო!“.

იულიამ თავიდან ფეხებამდე თაღხ მოსასხამში გახვეული ქალი დაინახა. სახეზე მუქი ჩრდილი ადგა და არ უჩანდა. შიშისაგან აცახცახებული გოგონა ადგილზე გაშეშდა.

უცნობი ქალი და პრინცესა სკამზე ჩამოსხდნენ. ქალმა ნაზად გადაუწია გოგონას ჩამოშლილი კულულები, მერე შუბლზე დაადო ორივე ხელი და ნელ-ნელა მოჰყვა ბუტბუტს რაღაც უცნობ ენაზე, იულიას თავის დღეში რომ არ გაეგონა.

— გოგონა, სწრაფად გაიქეცი სასახლეში, სეფექალებს უხმე და უთხარი, პრინცესა შინ წაიყვანონ! ახლა მას ტკბილად სძინავს, ხოლო როცა გამოიღვიძებს, სრულიად საღ-საღამათი იქნება!

მიუხედავად გაოცებისა, იულიას წამიც არ დაუხანებია, მყისვე გაიქცა ბრძანების შესასრულებლად.

როდესაც სეფექალების თანხლებით დაბრუნდა, დაინახა, რომ მოსასხამში მზრუნველად შეფუთნილ პრინცესას ღრმა ძილით ეძინა, უცნობი ქალი კი სადღაც გამქრალიყო.

— მითხარი, ჰედვიგა, — ჰკითხა იულიამ პრინცესას, როცა იგი მეორე დილით სრულიად ჯანმრთელი და მხნე წამოდგა ლოგინიდან; გოგონას სახეზე სულიერი მღელვარების კვალიც კი აღარ აჩნდა, რისაც ასე ეშინოდა იულიას, — ღვთის გულისათვის, მითხარი, ჰედვიგა, ვინ იყო ის საოცარი ქალი?

— არაფერი არ ვიცი, — მიუგო პრინცესამ, — ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ მყავს ნანახი. გახსოვს, ერთხელ, ბავშვობაში, მძიმედ რომ ვიყავი ავად? მაშინ ექიმებმა ერთხმად დაიბანეს ჩემზე ხელი, აღარ მორჩებო. ერთხელაც, ღამით, გამომეღვიძა და დავინახე, რომ ის უცნობი ქალი ჩემს სასთუმალთან ჩამომჯდარიყო. იმ ღამესაც გუშინდელივით მინანულებდა და მალე მეც ღრმა ძილს მივე-

ცი თავი. მეორე დილით კი, რომ გამოძვლიდა, თავს მხნედ და ჯან-  
მრთულად ვგრძნობდი. წინა ღამით ამ ქალის სახე კელავ ამეკვიატა  
და მაშინ კი მიგრძნო გულმა, აუცილებლად გამოძვცხადება კვლავ-  
მეთქი, და ხომ ხედავ, მართლაც ასე მოხდა. ძალიან გთხოვ, თუ გიყ-  
ვარდე, ნურავის მოუყვები ამ ამბავს და ნურც სიტყვითა და საქცი-  
ელით შეიძინევ, რომ რაღაცა უჩვეულო გადაგვხდა თავს. გაიხსენე  
ჰამლეტი და გახდი ჩემი ძვირფასი პორაციო!<sup>1</sup> ეჭვი არ მეპარება,  
რომ ის ქალი რაღაც იდუმალ ამბებთანაა დაკავშირებული, მაგრამ,  
მოდის, ნუ მოვინდომებთ ჩავწვდეთ ამ საიდუმლოს, ჩემი აზრით, სა-  
ხიფათოც კი უნდა იყოს მისი გაგება. განა ის არ კმარა, რომ ჯანსა-  
ღი და მხიარული ვარ, და გარდა ამისა, სრულიად გაუთავისუფლდი  
იმ საზარელი მოჩვენებებისაგან, მოსვენებას რომ არ მაძლევდა?

ყველა გააოცა პრინცესის მოულოდნელმა გამოჯანმრთელებამ.  
სასახლის კარის მკურნალი ირწმუნებოდა, მის ბრწყინვალეებაზე სა-  
ღამოს სეირნობამ და წმინდა მარიამის ეკლესიაში ყოფნამ იმოქმე-  
და ასე კეთილმყოფელად, დაუწყნარდა ნერვები, მე კი უბრალოდ  
სულ გამომრჩა მხედველობიდან, ავადმყოფისთვის ეს უებარი საშუ-  
ალება გამოძეწერაო. ქალბატონმა ბენცონმა კი ჩაილაპარაკა: „ჰმ...  
მაშ, ბებრუხანა ისევ ყოფილა მასთან! რა გაქწყობა! ამჯერად თვალი  
უნდა დახუჭოს კაცმა ამ ამბავზეო!“

ახლა კი დადგა დრო, გადავჭრათ ბიოგრაფისათვის ესოდენ სა-  
ჭირობოროტო საკითხი: შენ...

(მ. ა. ა) ...გიყვარვარ, მშვენიერო მისმის? ო, გამიმეორე, ათიათას-  
ჯერ გამიმეორე ეს სასიყვარულო აღსარება, რომ ბედნიერებისაგან  
მეცხრე ცაზე ვიგრძნო თავი, და უამრავი სისულელე ვროშო, რო-  
გორც ამას ცნობილი მწერლების გამოგონილი შეყვარებული გმირე-  
ბი სჩადიან ხოლმე! ჩემო საუნჯევ, ალბათ, უკვე შემჩნეული გექნება,  
რა მხურვალედ მიყვარს სიმღერა და საკმაოდაც ვარ დაოსტატებუ-  
ლი ხელოვნების ამ სახეობაში. ახლა კი, ჩემო ძვირფასო, გთხოვ,  
მომანიჭო უდიდესი ბედნიერება და თავად მიმღერო რამე!

— აჰ, — მომიგო მისმისმა, — აჰ, საყვარულო მურ! თუმცა, სიმ-  
ღერაში ახალბედა არ გახლავარ და ამ საქმეში გამოცდილება არ

<sup>1</sup> პორაციო — ჰამლეტის მეგობარი. ჰამლეტი მას სთხოვს საიდუმლოდ შეინახოს  
მამის აჩრდილთან შეხვედრის ამბავი (შექსპირი, „ჰამლეტი“, მოქმედება 1, სურათი 2).



მაკლია, მაგრამ კარგად მოგეხსენება, რა ემართებათ ახალგაზრდა მომღერლებს, როდესაც ისინი პირველად გამოდიან კოლეჯებისა და მომთხონი მსმენელების წინაშე! შიში და სიმორცხვე მაჯლაჯუნა-საუთ წაუჭურთ ყელში ხელს და ულამაზესი ბგერები, ტრულები და მორდენტები თევზის ფხასაუთ გაეჩხირებათ ხოლმე ხახაში. ასეთ მდგომარეობაში არიის შესრულება ნამდვილად შეუძლებელია და ამიტომაც უფრო მიზანშეწონილია, თუ დუეტით დავიწყებთ. მოდი, ძვირფასო, თუ გინდა, ერთი პატარა სიმღერა შემოუძახოთ!

სიხარულით დაუთანხმდი და მაშინვე წამოვიწყეთ ტკბილი დუ-ეტი: „დაგინახე, შემიყვარდი...“ და ა.შ და ა.შ. მისმისი თავდაპირ-ველად მორცხვობდა, მაგრამ მალე იგი ჩემმა ძლიერმა ფალცეტმა გაამხნევა. ხმა მშვენიერი ჰქონდა, ასრულებდა დიდი გრძნობითა და განცდით, ერთი სიტყვით, მისმისი მშვენიერი მომღერალი გამოდგა. აღტაცებას ვეღარ ვმალავდი, თუმცა, მივხვდი, რომ ჩვენმა ძმა ოვი-დიუსმა კვლავაც პირში ჩალაგამოვლებული დამტოვა. მისმისი ისე იყო დახელოვნებული *cantare*-ში,<sup>1</sup> რომ „*chordas tangere*“<sup>2</sup> არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა და გიტარაც აღარ მოგვითხოვია.

მერე მისმისმა არაჩვეულებრივი სიმსუბუქითა და სინარნარით შე-ასრულა ცნობილი არია „*Di tanti palpiti*“.<sup>3</sup> ჰეროიკულად ძლევამო-სილი რეჩიტატივიდან იგი ძალდაუტანებლად გადავიდა ანდანტეში, კატური სინაზით რომ გამოირჩეოდა. გეგონებოდათ, არია საგანგე-ბოდ მისთვის არის შექმნილიო; თავი უბედნიერეს კატად ჩავთვალე და გახარებულმა ხმამაღლა შევჩხავლე. აჰ! ამ არიით მისმისი კა-ტათა მთელ მოდგმასაც კი მოხიბლავდა! კიდევ ერთი დუეტი შვეს-რულეთ ახალი ოპერიდან და თანაც ისე ოსტატურად, კაცი იფიქ-რებდა, კომპოზიტორს ამათთვის დაუწერიაო. მკერდიდან საოცარი, მართლაც რომ ბრწყინვალე რულადები<sup>4</sup> ამოგვდიოდა, რადგან ისინი უმთავრესად ქრომატული გამებისაგან შედგებოდა. უნდა შევნიშნო, რომ კატათა მოდგმისათვის საერთოდ უფრო მეტად ქრომატიზ-მებია დამახასიათებელი, ამიტომაც კარგი იქნება, თუ ესა თუ ის

<sup>1</sup> სიმღერა (იტალ.).

<sup>2</sup> სიმების ვლარუნი (ლათ.).

<sup>3</sup> „*Di tanti palpiti*“ („ასეთი თრთოლისაგან“ (იტალ.)) — არია როსინის ოპერიდან „ტანკრედი“ (1813).

<sup>4</sup> რულადა (ფრანგ. *rulade*) — ვირტუოზული პასაჟი სიმღერაში.

კომპოზიტორი ჩვენთვის მელოდიასაც და ყველაფერ დანარჩენსაც ქრომატულ გამაზე ააგებს. სამწუხაროდ, დამაჟიწყდა იმ ბრწყინვალე დუეტის კომპოზიტორის გვარი. ისე კი, ეტყობა, შესანიშნავი ადამიანი უნდა იყოს და მისი ნაწარმოებებიც შესანიშნავად ესადაგება ჩემს გემოვნებას.

ვიდრე ჩვენ სიმღერით ვიყავით გართული, სახურავზე საიდანღაც შავი კატა გამოჩნდა. იგი ანთებულ შხერას არ გვაშორებდა მე და მისმისს.

— მეგობარო, კეთილი ინებეთ და მიბრძანდით აქედან, — შევძახე გაგულისებულმა, — თორემ თვალებს ამოგკორტნით და სახურავიდან ძირს გადაგიძახებთ! მაგრამ, თუკი ჩვენთან სიმღერა გნებავთ, ძალიან დაგვაუალებთ! — ვიცოდი, რომ შავებში გამოწყობილ ჭაბუკს შესანიშნავი ბანი ჰქონდა და ამიტომ შევთავაზე ერთად გვემღერა. მართალია, ეს ნაწარმოები მაინცდამაინც არ მიყვარდა, მაგრამ სამაგიეროდ შინაარსით ძალიან შეეფერებოდა მისმისთან ჩემს სწრაფ გამოთხოვებას, და ჩვენც ავმღერდით: „გეფიცები, ველარ გნახავ, ძვირფასო!“<sup>1</sup> მაგრამ ის-ის იყო, შავ კატასთან ერთად დავიწყე სიმღერა, რომელშიც ჩემს თავს ვარწმუნებდი, ღმერთი, ალბათ, მოწყალე თვალთ გადმომხედავს-მეთქი, რომ წინ აგურის კარგა გვარიანმა ნატეხმა ჩაგვიქროლა და ვიღაცის საძაგელმა ხმამ დაიღრიალა: „ბოლოს და ბოლოს, ჩაიწყვეტთ თუ არა ხმას, თქვე ოხერო კატებო“. შიშისაგან გულგახეთქილებმა აქეთ-იქით მოვუსვით და სხვენზე მიმოვიძაღეთ. ო, ველურო ადამიანო! რას ნიშნავს, რომ არ გესმის, რა არის მშვენიერება! როგორ შეიძლება, არ გაღელვებდეს ტრფობით აღმოდებული რაინდის ურვა და დარდი? მითხარი, რატომ ფიქრობ დღენიადაგ შურისძიებაზე, სიკვდილსა და განადგურებაზე?

როგორც უკვე მოგახსენეთ, ყველაფერი პირუკუ მოხდა: რასაც უნდა განვეკურნე სასიყვარულო სენისაგან, სწორედ მისი მეოხებით უარესად გავიხლართე ტრფობის ბადეში! მისმისი საოცრად მუსიკალური გახლდათ და ორივენი ერთად მშვენიერ ჰანგებს ვამღერებდით ხოლმე მუნასიბად. ჩემი სატრფო შესანიშნავად მიწყობდა ხმას და დიდი ოსტატობით ასრულებდა ჩემსავე სიმღერებს. ბოლოს და

<sup>1</sup> „გეფიცები, ველარ გნახავ, ძვირფასო!“ — ტერცეტი მოცარტის ოპერა „ჯადოსნური ფლეიტის“ მეორე მოქმედებიდან.



ბოლოს, ისე ძლიერ შემიპყრო სიყვარულის ტანჯვამ, რომ მთლად დაკარგე ჭკუა-გონება, ჩამოხში და სამარიდან ამოღებულსლა და-ვემგვანე. ბევრი ფიქრის შემდეგ, თუმცა, ვიცოდი, ეს ამ სენისაგან განკურნების ყველაზე თაფზე ხელაღებული საშუალება გახლდათ, მაინც გადავწყვიტე, მისმისისთვის ცოლობა შემეთავაზებინა. იგი დამთანხმდა და როგორც კი ოჯახურ უღელში შევები, ჩემს სა-სიყვარულო ტანჯვა-წამებასაც უმაღლესი წერტილი დაესვა. რძესა და შემწვარ ხორცს ჩვეული სურნელება და გემო დაუბრუნდა, კვლავ დამეუფლა მხიარული გუნება-განწყობილება, წვერ-ულვაშმა ძვე-ლებური პეწი მიიღო, ქათობი არაჩვეულებრივად ბზინვარე გამიხ-და, რადგან ახლა უკვე საკმაოდ დიდ დროს ვანდომებდი ლაზათიან გარუგნობას. ჩემმა მეუღლემ კი, პირიქით, საკუთარ თაფზე მთლად აიყარა გული. მიუხედავად ამისა, მისმისს მაინც მოვუძღვენი რამ-დენიმე სონეტი. სონეტები მართლაც რომ მშვენიერი გამოძივდა; მათში მაღალფარდოვნად გამოხატავდი ჩემს ნაზ გრძნობებს და, ბოლოს და ბოლოს, იმ დასკვნამდე მოვედი, რომ ძალიან გადაუამ-ლაშე. მერე ის იყო, ჩემს მიჯნურს კიდევ ერთი ვრცელი ნაშრომი მოვუძღვენი და ამრიგად, ლიტერატურული და ესთეტიკური თვალ-საზრისით ყველაფერი გვაკეთე, რის გაკეთებაც კი უვალეა სიგი-ჟემდე შეყვარებულ, პატიოსან კატას. ამერიდან მე და მისმისმა ჩე-მი პატრონის კარებწინ დაგებულ ჩაღის ფარდაგზე დავიდეთ ბინა და მყუდრო და ბედნიერ ცხოვრებას შევუდექით. მაგრამ არსებობს ამქვეყნად მარადიული ბედნიერება? მალე ამკარად შევამჩნიე, რომ მისმისი ჩემი თანდასწრებით ხშირად ძალიან დაბნეულია და შე-კითხვებზე აბდაუბდა პასუხს მაძლევს. მკერდიდან ხშირად მძიმე ოხვრაც აღმოხდება, სიმღერაც აღარ ეხალისება ეგრერიგად და მხოლოდ სატრფიალო სიმღერებს თუ წაიმღერებს ხოლმე. ასეთ ყო-ფაში, ბოლოს და ბოლოს, ისე დასუსტდა და დაუძლურდა, რომ ლოგინად ჩავარდა. ვეკითხებოდი, რა არის შენს თავს-მეთქი, ის კი ლოყაზე თათს მომითათუნებდა და მეტყოდა: „არაფერი არ მჭირს, ჩემო ძვირფასო“. ეს ამბავი საშინლად არ მომწონდა. რამდენჯერ ვმჯდარვარ ფარდაგზე და ტყუილუბრალო ლოდინში გული გადამ-ლევია, ან ახლა მოვა ჩემი გულისსწორი და ან ახლა-მეთქი, რამ-დენჯერ ამაოდ მიძებნია იგი სარდაფსა თუ სხვენზე. როცა ვსაყვე-დურობდი, სად დადიხარ-მეთქი, თავს იმით იმართლებდა, ჩემი ჯან-

მრთელობისათვის აუცილებელია სუფთა ჰაერზე ყოფნა და ერთმა ჩვენმა ექიმმა ისიც კი მითხრა, კარგს იზამ, მინერალურ წყლებზე თუ წახვალ სამკურნალოდო. ეს ამბავი საშინლად არ მეამა. ეტყობა, მისმისმა იგრძნო, რომ ძალიან მატკინა გული და შეეცადა ალარსიანი სიტყვებით დაეშვიდებინე, მაგრამ მის ალერსში რაღაც ისეთს ვგრძნობდი, რისი გამოხატვაც არ ძალმიძს. ჰოდა, ნაცვლად იმისა, უფრო მეტად შევეპყარ ვნებათაღელვას, გული მხოლოდ მიცოდებოდა. საშინლად არ მომწონდა ეს სიტყვები, ვერ ვხვდებოდი, მისმისის ასეთი საქციელი რა მიზეზით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, მაგრამ იმას კი აშკარად ვგრძნობდი, რომ ჩემს გულში სატრფოსადმი სიყვარულის უკანასკნელი ნაპერწკალიც ჩაქრა და მის სიახლოვეს საშინელ მოწყენილობას ვგრძნობდი. ამიერიდან მე ჩემი ცხოვრება მქონდა, იმას — თავისი. თუკი შემთხვევა ხანდახან ისევ შეგვყრიდა ჩალის ფარდაგზე, ერთმანეთს ნაზად ვსაყვედურობდით, ტკბილ ცოლქმრობანას ვთამაშობდით და ხოტბა-დიდებას ვასხამდით ჩვენს ოჯახურ სიმყუდროვეს.

ერთხელაც ისე მოხდა, რომ პატრონის ბინაში ჩემი ნაცნობი მომღერალი შავი კატა მეწვია. რაღაც მიკიბულ-მოკიბულად მოჰყვალაპარაკს. მერე უცბად, არც აცია, არც აცხელა, მკითხა: როგორ შეწყვეთ ერთმანეთს შენ და მისმისიო. აშკარად შევამჩნიე, შავ კატას გულში რაღაც ედო და თქმას ვერ კი ბედავდა. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი გამოირკვა: მაჟანი ჭაბუკი კატა ამას წინათ ჯარიდან დაბრუნებულყო და ახლა სამსახურში მეზობელ მედუქნესთან დამდგარიყო. მედუქნე პატარა ჯამაგირს აძლევდა თევზის ფხებისა და გამოხრული ძვლების სახით. შესახედავად მშვენიერი ვაჟკაცი ყოფილა და პერკულესის აღნაგობა ჰქონია. ტანზე შავი და ყვითელზოლებიანი, მდიდრული ნაცრისფერი მუნდირი სცმია, გულზე კი ხოხოზიკის საპატიო ორდენი უკიაფებდა თურმე. ეს ორდენი მას იმ გმირობისათვის მიუღია, თავის რამდენიმე თანამოძმესთან ერთად თავგების მრავალრიცხოვანი არმიისაგან ბელლის გათავისუფლებისას რომ გამოუჩენია. ჰოდა, აი, ეს რაინდი ჩვენი კუთხის ბანოვან კატებს შორის თურმე დიდი მოწონებით სარგებლობდა. როდესაც იგი ამაყად თავაწეული, ცეცხლოვან მზერას შეაუღებდა მშვენიერთა სქესს, ყველანი აღტაცებაში მოდიოდნენ თურმე. შავმა კატამ მაცნობა, რომ სწორედ ამ ვაჟბატონს შეჰყვარდნია გული მისმისზე,



ჩემს პატიოსან მეუღლესაც ფიქრით დიდად არ უმტკრევია თავი და მის სიყვარულზე თანაგრძნობით უპასუხია. ეს ამბავი უკვე საკმაოდ გახმაურებული ყოფილა. ყველას სცოდნია, რომ ეს უსინდისოები ყოველდღე ან სარდაფში, ანდა საკვამურთან ხვდებოდნენ ჩუმიად ერთმანეთს.

— პირდაპირ გაოცებასა ვარ, ჩემო მეგობარო, — მითხრა შავმა კატამ, — თქვენისთანა გამჭრიახი გონების პატრონმა როგორ დროზე ვერ შეამჩნიეთ ეს ამბავი! მაგრამ იტყვიან, სიყვარული ბრმააო! ძალიან ვწუხვარ, რომ მეგობრის ვალი მაიძულებს, თვალი აგიხილოთ, რადგან ვიცი, რა ვნებიანი სიყვარულით გიყვართ თქვენი მომხიბლავი მეუღლე.

— ო, მუციუს! (ასე ერქვა შავ კატას), ო, მუციუს, — წამოვიდახე აღელვებულმა, — რა თქვი? ვნებიანი სიყვარულით გიყვარსო? მიყვარს კი არა, ვლოცულობ, ვაღმერთებ ამ უბედურ მოღალატეს! განა მას არ შევწირუ, რაც კი მეზადა?! არა, არა, ვერ დავიჯერებ, რომ მას შეეძლო ასე მზაკვრულად ჩაეცა ჩემთვის ზურგში მახვილი! მუციუს, ბოროტო ცილისმწამებელო, მიიღე შენი შავბნელი საქმის საზღაური!

გაცოფებულმა ჰაერში აღმართე ბრჭყალებმომარჯვებული თათი, რომ მუციუსისთვის ანდერძი ამეგო, მაგრამ მუციუსმა მეგობრულად შემომხედა და აუღელვებლად მითხრა:

— ნუ ცხარობთ, ძვირფასო მურ! თქვენ ხომ არა ხართ ამ საქმეში პირველი და უკანასკნელი? ვინ მოთვლის, რამდენი ღირსეული ვაჟკაცი იზიარებს ასეთ ხვედრს? რას იზამთ, ჩვენ გარშემო, სადაც კი გაიხედავ, ყველგან ღალატი და გარყვნილებაა, ჩვენი მოდგმა კი, მოგებსენებათ, განსაკუთრებით გამოირჩევა ავხორცობითა და აღვირახსნილობით.

მყისვე დაბლა დავუშვი აღმართული თათი, სასოწარკვეთილები-საგან ჰაერში რამდენჯერმე შევკარი კამარა და შეშლილივით დავიღრიალე:

— ნუთუ მართალია ეს ყველაფერი? ო, ცაო და დედამიწავ! ღმერთო, ეს რა ჯოჯოხეთი ყოფილა?!<sup>1</sup> მერედა, ვინ გამითხარა საფლავი, ვინ? ვილაც ზიზილ-პიპილებით აჭრელვებულმა კატამ? ჩემი ნაზი,

<sup>1</sup> „ო, ცაო და დედამიწავ! ღმერთო, ეს რა ჯოჯოხეთი ყოფილა?“ — კამლეტის მონოლოგი (მოქმედება I, სურათი 5).

მოსიყვარულე მეუღლე როგორღა დაადგა ასეთი ვერაგული ღალატის გზას? მერუდა ვის უღალატა, ვის? სიყვარულით გონებაშიხდილი, როგორი ნეტარებით მიუყვრდნობდი ხოლმე თავს ხაყერდოჟან მკერდზე! ო, ცრემლებო, იხუვლეთ და დაიტირეთ ვერაგი მღალატე! ეშმაკმა დალახვროს მაგისი თავი და ტანი! არა და არა! ეს არ მოხდება! ო, იმ ჭრულა ვაჟბატონის ბრალია ყველაფერი, მაგისი აქ ჩამოთესლების საათი გამქრალიყოს ადრე და მალე!

— გემუდარებით, დამშვიდდით, — მითხრა მუციუსმა, — მაინც-დამაინც ნუ აჰყვებით გრძნობებს. თავს თქვენს ჭყშმარიტ მეგობრად ვრაცხ და ამიტომ აღარ მინდა, ამ ტკბილი სასოწარკვეთილების წუთებში ხელი შევიშალოთ თუკი თავის მოკვლას გადაწყვეტო, შემძლია ვირთხის შხამი გიშოოთ ძალიან ძლიერი საწამლაჟია და მშვენოვრად მოქმედებს. თუმცა, არა, ასეთ სამსახურს არ გაგიწევთ! თქვენ ხომ ძალზე თავაზიანი, მომხიბლაჟი კატა ბრძანდებით და ძალზე დასანანი იქნება, ასე ადრე რომ გამოესალმოთ სიცოცხლეს! გამიგონეთ, შეეშვით მისმისს! დაე, თავისი გზით იაროს! ამქვეყნად განა ცოტაა ლამაზი კატუნია? მაშ, ასე, მშვიდობით, ძვირფასო! — მითხრა მუციუსმა და ღია კარში გაიჭრა.

მე ღუმელქვეშ მოვიკალათე და მუციუსის ნაამბობზე დავიწყე ფიქრი. კარგად ავწონ-დავწონე ყველაფერი და ვიგრძენი, რომ ჩემში იღუმალის სიხარულის გრძნობამ გაიღვიძა. გავიგე თუ არა მისმისის ფერისცვალების მიზეზი, გაურკვევლობის ტანჯვა-წამებაც მყისვე გამიქრა. მაგრამ ადათ-წესი მოითხოვდა, ერთი მხრივ, სასოწარკვეთილ ქმრად მომეკატუნებინა თავი, მეორე მხრივ კი, იმავე ადათ-წესის თანახმად, საჭირო იყო იმ ჭრულა ვაჟბატონისათვის საკადრისი პასუხი გამეცა.

ღამით შეყვარებულ წყვილს საკვამურთან ჩავუსაფრდი. ჰაიტ, შე მაცდურო სატანავ!-მეთქი, შევძახე გააღმასებულმა და მეტოქეს თავზე დაუაცხერი, მაგრამ ის წყეული აშკარად ჩემზე ღონიერი გამოდგა. სამწუხაროდ, ამას რომ მივხვდი, უკვე ძალიან გვიან იყო: მან ისე უწყალოდ ჩამაჯლო ბასრი ბრჭყალები, მალე ტყავი ნაფლეთ-ნაფლეთად მეკიდა ტანზე, მერე კი ელვის სისწრაფით თვალს მიუფარა. მისმისი გულწასული ეგდო მიწაზე, მაგრამ ჩემი მიახლოება და მისი წამოვარდნა ერთი იყო, ისიც დაფეთებული დაედევნა თავის კუროს სხვენზე.



დასახიჩრებული და ყურებდასისხლიანებული კოჭლობით წყ-  
ჩანჩალდი შინისაკენ, თან ვერ მეპატიებინა ჩემი თავისთვის, რომ  
გრძნობას აუყევი, ვითომ საკუთარი ღირსების დაცვა მოუინდომე და  
ასე კი გავბითურდი. ახლა სრულიადაც აღარ მიმაჩნდა ღირსების  
შელახვად, მისმისი სამუდამოდ ჭრელა კატისათვის დამეთმო.

„ჰაი გიდი, რა მწარედ დამცინა ბედმა! ამაღლებულმა რომანტი-  
კულმა სიყვარულმა მყრალ წუმპეში ამომაყოფინა თავი, ოჯახურმა  
ბედნიერებამ კი ცემა-ტყეპის მეტი არაფერი მომიტანა-მეთქი“, —  
ვფიქრობდი ჩემთვის.

და რარიგ დიდი იყო ჩემი გაოცება, როდესაც მეორე დილით ში-  
ნიდან გამოვედი და მისმისი ჩალის ფარდაგზე მოკალათებული დამ-  
ხვდა.

— საყვარელო მურ, — წამოიწყო მან ნაზად და თვინიერად, —  
ასე მგონია, ძველებურად აღარ მიყვარხარ-მეთქი. რომ იცოდე, რო-  
გორ მწყინს ეს ამბავი!

— ო, ნუ გეწყინება, ჩემო საყვარელო მისმის, — ასევე ნაზად მი-  
ვიგე მეც, — გული ლამის გამისკდეს, ამას რომ გეუბნები, მაგრამ  
უნდა გამოგიტყდე, გარკვეული ამბების შემდეგ მეც ამიცრუვდა შენ-  
ზე გული.

— ნურც შენ გეწყინება, ჩემო მეგობარო, — განაგრძო მისმისმა,  
— და აშკარად ვგრძნობ, რომ უკვე კარგა ხანია ვეღარ გიტან.

— ღმერთო დიდებულო! — წამოვიძახე აღფრთოვანებულმა, — აი,  
სულის ნათესაობაც ამას ჰქვია! მეც ხომ ზუსტად ამასვე განვიცდი  
შენ მიმართ!

ორივენი ერთხმად მივედით იმ დასკვნამდე, რომ ერთმანეთს ვეღარ  
ვიტანთ, ამიტომ განშორება აუცილებელია და გარდაუვალი. მერე ის  
იყო, ნაზად გადაუჭდეთ ყელი ყელს და ნეტარების ცრემლმა დაგვის-  
ველა თვალები! მალე ჩვენ-ჩვენი გზით წავედით; გაოცებული ვიყავით  
ერთმანეთის დიდბუნებოვნებით და, თუკი მსმენელი ვინმე გამოჩნდებო-  
და, შემთხვევას ხელიდან არ ვუშვებდით და ერთმანეთს კეთილშობი-  
ლებას ვუქებდით „მეც ვყოფილვარ არკადიაში!“ — წამოვიძახე და სა-  
ოცარი თავდაუიწყებით მოვიკიდე ხელი მეცნიერებასა და ხელოვნებას.

(სამაკ. თაბ.) ...— დიახ, — თქვა კრაისლერმა, — გულწრფელად  
გეუბნებით, ასეთი სიმშვიდე ჩემთვის ბობოქარ ქარიშხალზე საშინე-

ლა. აქდრის წინ ბუნება რომ გაირინდება, ისეა ახლა მიყუჩებული სასახლე(ც). მთავარ ირენეუსს duodecimo<sup>1</sup>-ს ფორმატის ოქროსვარა-ყიანი ძველებურა აღმანახით რომ სურს წარმოგვიდგინოს. ბრწყინ-ვალე მთავარი მეორე ფრანკლინით<sup>2</sup> ტყუილუბრალოდ ცდილობს ახალ-ახალი მუხამრიდების გამოგონებას, ცდილობს რა მოაწყოს ათასნაირი ბრწყინვალე ზეიმი. ადრე თუ გვიან, მეხი მაინც გავარდე-ბა და შესაძლოა თავად მასაც კი შეუტრუსოს სამეფო კაბა. მართა-ლია, პრინცესა ჰედვიგა ახლა ისე გამოიყურება, ყველას ნათელ და რაკრაკა სიძღერას აგონებს, ნაცვლად იმ ველური და მშფოთვარე აკორდებისა, მის ტანჯულ სულს წინათ რომ აღმოხდებოდა ხოლ-მე, მაგრამ... ჰოდა, აი, სახეგაბრწყინებული და მხიარული ჰედვიგა ახლა თავის ნეაპოლელ პრინცთან ერთად ამაყად დააბიჯებს ხელ-კავით იულია კი სტუმარს თავისი ღვთაებრივი ღიმილით უმასპინ-ძლდება და თან სიამოვნებით ისმენს ქათინაურებს. პრინცი ისე მო-ხერხებულად ახერხებს გოგონასათვის მათ თქმას, რომ თვალს არ აცილებს საცოლეს, მაგრამ მისი სიტყვები ზუსტად ნასროლი ისა-როვით ხვდება გულში გამოუცდელ, მიამიტ გოგონას და ამრიგად, მშვენოვრად აღწევს მიზანს! ქალბატონ ბენცონს თუ დაუუჯერებთ, პრინცი ჰექტორი ჯერ იყო და, ჰედვიგას mostro turchino-დ მიუღია, მერე კი ამ ციურ ქმნილებას, ჩვენს წყნარსა და სათნო იულიას, მოსჩვენებია ეს გაფხორილი Général en chef<sup>3</sup>-ი საზიზღარ ბასილის-კოდ! ო, გოგონებო, რა ფხიზელი გონების პატრონი ყოფილხართ! დალახვროს ეშმაკმა, განა ბაუმგარტენის „მსოფლიო ისტორიაში“<sup>4</sup> არა მაქვს ამოკითხული: როცა გველმა ადამიანებს სამოთხე წა-ართვა, მოლაპლაპე ოქროსფარფლებიან ტყავში დასრიალებდარ? ეს აზრი ძალაუნებურად ამეკვიატება, როდესაც პრინცის ოქრომ-ყდით ნაქარგ მუნდირს შევაულებ ხოლმე თვალს. სხვათა შორის,

<sup>1</sup> ფურცლის მეთორმეტედი ნაწილი (ლათ).

<sup>2</sup> კრაისლერი გულისხმობს ბენჯამინ ფრანკლინს (1706-1790) — გამოჩენილ ამერიკელ პოლიტიკოსსა და მეცნიერ-ფიზიკოსს. მან ერთ-ერთმა პირველმა გამოიგონა მუხის განმუხტვის საშუალება — მუხამრიდი.

<sup>3</sup> გენერალ-ანშეფი (Général en chef ფრანგ.) — XVIII ს.-ში ე. წ. სრული გენერალი (უღრის ახლანდელ არმიის გენერალს).

<sup>4</sup> „ბაუმგარტენის „მსოფლიო ისტორია“ — ზიგმუნდ იაკობ ბაუმგარტენი (1706-1757) — გერმანელი თეოლოგი, ინგლისურიდან თარგმნა „მსოფლიოს ისტორია“ (1744).



ჰექტორი ერქვა ერთ საოცრად პატიოსან ბულდოგსაც. მას ძალიან ვუყვარდი და არაჩვეულებრივად ერთგულიც იყო ჩემი. ეჰ, ერთი ეს ძაღლი აქ მყოლოდა! რა სიამოვნებით მიუქსევდი მისსავე გადაპრანჭულ სქნიას! ეჭვი არ მეპარება, ჩემი ოთხფეხა მეგობარი სწორედ იმ დროს სწვდებოდა და ჩამოახვედა მუნდირის კალთებს მის ბრწყინვალეებას, როდესაც იგი გაფხორილი, ამაყად გაივლიდა ამ ორი ციური ანგელოზის თანხლებით! ანდა, მაესტრო, თქვენ ხომ ჯადოქარი ბრძანდებით, ის მაინც მასწავლეთ, როგორ გადავიქცე კრაზანად, ამის სურვილი რომ დამებადება! აი, მაშინ კი გაგიხარია, ისე დაუკბენდი ამ ამპარტავან ნაგაზს, გაუცოფებდი და მოუაშლევინებდი თავის ოინბაზობებს.

— კრაისლერ, ყურადღებით გისმენდი, ვიდრე დაამთავრებდი სათქმელს, — წამოიწყო მაესტრო აბრაჰამმა, — ახლა მინდა გკითხო, შეგიძლია თუ არა დამშვიდებით მიგდო ყური? მაშინ ზოგიერთ ისეთ საიდუმლოს გაგანდობ, შენს ვარაუდს რომ დაგიდასტურებს.

— განა არ იცით, რომ ძალიან მაგარი კაპელმაისტერი ვარ? — უპასუხა კრაისლერმა, — მაგრამ სიტყვა „მაგარი“ ფილოსოფიური მნიშვნელობით კი არ ვიხმარე, ვითომ კაპელმაისტრად ძალიან ვივარგე-მეთქი; არა, ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს ჩემი სულიერი სიმტკიცე, რისი წყალობითაც შემიძლია წესიერ საზოგადოებაში მშვიდად ვიჯდე და რწყილნაკბენივით არ დავიწყო ცქმუტვა მაშინაც კი, როცა რწყილები დამიწყებენ კბენას.

— თუკი ასეა, კრაისლერ, — განაგრძო მაესტრო აბრაჰამმა, — მაშინ მინდა იცოდე, რომ უცნაურმა შემთხვევითობამ საშუალება მომცა, ღრმად ჩამეხედა პრინციის ცხოვრებაში. მართალი ბრძანდებოდი, როდესაც იგი სამოთხის გველს შეადარე; მის ბრწყინვალეებას ლამაზ გარეგნობას ნამდვილად ვერ წაართმევს კაცი, მაგრამ ამ გარეგნობის მიღმა გახრწნილების შხამი, უფრო მეტიც, შემზარავი მზაკვრობა იმალება. აკი გულში ახლაც ავი ზრახვები უტრიალებს! ყველაფერ იქიდან, რაც მოხდა, დაუასკვენი, რომ მან თავის მორიგ მსხვერპლად მშყენიერი იუღია ამოირჩია.

— ოჰო! — წამოიძახა კრაისლერმა და მოულოდნელად აწრი-  
აღდა, — გაიძვერა ყვანჩალავ, აი, თურმე რატომ დაგიწყია ასე ტკბილად ყრანტალი. დახეთ ერთი, რა ჩაუღვია გულში! რა ჩაღიჩა ვინმე ყოფილა ჩვენი პრინცი! დახეთ, რა მადა ჰქონია! რასაც სთა-

ვაზობენ, იმას როდი სჯერდება; ახლა აკრძალულ ხილსაც უნდა წაატანოს თავისი ტორი! ვერ მოგართვეს, ენამჭევრო ნეაპოლელო! ალბათ, არაუის უთქვამს შენთვის, რომ იულიას მამაცი კაპელმაისტერი მფარველობს. მას კი, მოგეხსენებათ, ძალზე მუსიკალური სისხლი უჩქეფს ძარღვებში. ამიტომაც, საკმარისია შენს მსხვერპლს მიუახლოვდე, რომ იგი იმ კვარტკვინტაკორდით<sup>1</sup> გაგისწორდება, რომელიც გადაწყვეტას საჭიროებს; კაპელმაისტერიც სწორედ იმას მოიმოქმედებს, რასაც მისი ხელობა მოითხოვს, ესე იგი, ან ცემით გადაგწყვეტს წელში, ან შუბლში მოგართყამს ტყვიას, ან არა და დაშნით გაგიპობს მკერდს!

ამ სიტყვებით კრაისლერმა ქარქაშიდან დაშნა დაადრო, საბრძოლო მდგომარეობა მიიღო და მაესტროს ჰკითხა, როგორ ფიქრობთ, შევძლებ თუ არა გამოფატრო ის ქოფაკი ძაღლი?

— დამშვიდდი, კრაისლერ, დამშვიდდი, — უთხრა მაესტრო აბრაჰამმა, — იმისთვის, რომ პრინცს დაუთრები აურიო, სრულებითაც არ არის საჭირო ასეთი გმირული საქციელის ჩადენა. მასთან ბრძოლის სხვა იარაღიც არსებობს, იმ იარაღს კი მე ჩაგიგდებ ხელში. გუშინ მეთევზის ქოხში ვიყავ. სწორედ ამ დროს ჩაიარა პრინცმა თავისი ადიუტანტით. იმათ ვერ შემნიშნეს. „პრინცესა ხომ ლამაზია, — თქვა პრინცმა, — მაგრამ ის პატარა ბენცონი პირდაპირ ღვთაებაა! მის დანახვაზე სისხლი მიჩქროლდება; ეს ქალი ჯერ კიდევ მანამ უნდა ჩავიგდო ხელში, სანამ პრინცესას ხელს ვთხოვ. როგორ გგონია, ადვილად დამნებდება?“ — „აბა, თქვენ წინაშე რომელი ქალი გაუძლებს ცდუნებას, თქვენო ბრწყინვალება?“ — მიუგო ადიუტანტმა. — „დალახვროს ეშმაკმა, ძალზე კდემამოსილი და უმწიკვლო კი ჩანს!“ — არ ცხრებოდა პრინცი. — „და, თანაც მიაშიტი, — სიცილით აუბა მხარი ადიუტანტმა, — მოგეხსენებათ, სწორედ ასეთი უმწიკვლო და მიაშიტი ქალები ებმებიან ადვილად მახეში, რადგან მყის კარგავენ გონებას გამარჯვებას შეჩვეული მამაკაცების შემოტევისაგან! ასეთი ქალები ყველაფერს ღვთის ნებას მიაწერენ, ადვილად ნებდებიან კაცს და მერე გამარჯვებულისადმი უსაზღვრო ტრფობაც კი შეიპყრობთ ხოლმე! შეიძლება თქვენც ასევე დაგემართოს, თქვენო ბრწყინვალება!“ — „რა კარგი იქნებოდა! — წამოი-

<sup>1</sup> კვარტკვინტაკორდი — მძაფრი დისონანსური ხმიანობა.



ძახა პრინცმა, — მაგრამ როგორ მოვიგდო ხელში მარტოდმარტო? საიდან მოუდგე?“ — „ამაზე ადვილი რა არის, თქვენო ბრწყინვალეებო, — მიუგო ადიუტანტმა. — შემჩნეული მაქვს, ჩვენი ლამაზმანი ხშირად მარტო დასეირნობს ხოლმე პარკში... თუ თქვენ...“ ამ დროს ხმები მიწყდა და სიტყვები ვეღარ გაუარჩიე. ეტყობა, რაღაც ჯოჯოხეთური გეგმა აქვთ ჩაფიქრებული და დღესვე შეეცდებიან მის შესრულებას. რაღაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა ჩაუფუშოთ ეს გეგმა. რა თქმა უნდა, შემეძლო თავად გამეკეთებინა ეს, მაგრამ რაღაც-რაღაცა მიზეზის გამო არ მინდოდა, დროზე ადრე ვჩვენებოდი პრინცს; ამიტომაც, კრაისლერ, დაუყოვნებლივ უნდა წახვიდე ზიგჰარტს-პოფში და თვალყური ადევნო იულიას, როდესაც იგი ჩვეულები-სამებრ ტბასთან გედების დაპურებას დაიწყებს. ეტყობა, იტალიელი არამზადაც სწორედ ამ დროისთვის აპირებს თავისი ჩანაფიქრის შესრულებას. მაგრამ საჭირო იარაღს და აუცილებელ მითითებას მიიღებ, რათა გაიძვერა პრინცთან ერთაბრძოლაში უებრო რაინდად წარდგე!

ბიოგრაფი ისევ და ისევ სასოწარკვეთილია! ამბები საშინლად დაქუცმაცებულია, ამიტომაც ძალზე ძნელია მათი ერთ მთლიან სურათად შეკოწიწება. რა თქმა უნდა, მიზანშეწონილი იქნებოდა, აქ მკითხველს გაეგო, რა იარაღი და რჩევა-დარიგება მისცა მანსტრომ კრაისლერს, რამეთუ მოგვიანებით კიდევ იქნება ლაპარაკი ამ იარაღზე, შენ კი, ძვირფასო მკითხველო, ვერ გაიგებ ამასთან დაკავშირებულ ამბებს. მაგრამ საბრალო ბიოგრაფმა თავად არაფერი იცის იმ რჩევა-დარიგებების შესახებ, რისი წყალობითაც ჩვენი კაპელმაისტერი (ყოველ შემთხვევაში, ეს ნაღდი ამბავი უნდა იყოს) რაღაც საშინელ საიდუმლოს ეზიარა. ცოტა მოთმინება კიდევ გმართებს, ძვირფასო მკითხველო! ბიოგრაფი თავს დასდებს მოსაჭრელად, თუ ამ საიდუმლოს წიგნის დასრულებამდე ფარდა არ აეხდება!

მანამდე კი აი, რას შეიძლება მოჰყვეს კაცმა:

მზე ნელ-ნელა ჩადიოდა. იულიას ხელში თეთრი პურით საუსე კალათა ეჭირა და ტბისკენ სიმღერით მიდიოდა. მერე ის იყო, მეთევზის ქოხთან ახლოს, შუა ხიდზე, შეჩერდა. კრაისლერი ბუჩქებში გაწოლილიყო და თავისი საფრიდან ჭოგრიტით ფხიზლად ადევნებდა თვალს გოგონას ყოველ მოძრაობას. გედი ნაპირთან მოცურდა. იულიამ პური წვრილად დაფშენა და წყალში გადაყარა. გედი

ხარბად ნთქაჲდა ნამცეცეებს. იულია კარგა ხანს აპურებდა მას, თან ხმამაღლა მღეროდა, ამიტომ ვერ გაიგონა მოახლოებული პრინცის სწრაფი ნაბიჯების ხმა. გოგონა მის დანახვაზე ელდანაკრავით შეკრთა. პრინცმა იულიას ხელი ჯერ მკერდზე მიიხუტა, მერე ზედ ეამბორა, რის შემდეგაც გოგონას გკერდში ამოუდგა და ხიდის მოაჯირზე გადაიხარა. იულია ტბას გასცქეროდა და თან გედის დაპურებას განაგრძობდა, პრინცი კი მას გაცხარებით რაღაცას ეუბნებოდა.

„ეი, შენ, ბრუქიაჲ! ტყუილუბრალოდ გაქვს ასეთი ბედნიერი სიტუატი! ნუთუ ვერა ხედავ, რომ სულ რაღაც ორიოდ ნაბიჯზე ვარ შენგან და შემიძლია ცხვირ-პირი ამოგინაყო? ჰო, მაგრამ, ღმერთო ჩემო, რატომ მოგედო ლოყებზე ალმური, პატარა ღვთაებაჲ? რატომ უყურებ ასე გაკვირვებით მაგ არაშხადას? ილიმები კიდევ? დიახ, მაგ მტარვალს უნდა, თავისი შხამიანი სუნთქვის სიმხურვალემ კოკორივით გადაშალოს შენი გული. შხის მცხუნვარე სხივებქვეშ გაშლილი კოკორი კი უმაღლესება ხოლმე!“ — ასე ესაუბრებოდა თავის თავს კრაისლერი და ჭოგრიტში თვალყურს ადევნებდა ხიდის მოაჯირზე გადახრილ წყვილს. მალე პრინცმა თვითონაც დაიწყო წყალში ნამცეცეების სროლა, მაგრამ გედმა არ შეჭამა მისი ხელით გადაყრილი პური და ხმამაღალი კვილი მორთო. მაშინ პრინცმა იულიას წელზე შემოხვია ხელი და ისე დაუწყო პურის ნამცეცეებს სროლა, თითქოს გედს იულია აპურებდა. ამ დროს მათი ლოყები თითქმის ეხებოდა ერთმანეთს.

„მაშ, ასე, ნაძირალაჲ! — ამბობდა კრაისლერი, — მაგრად ჩაბლუჯე ბრჭყალებში შენი მსხვერპლი, დიდგვაროვანო არაშხადაჲ! მაგრამ იცოდე, აქ, ბუჩქებში, მტერი გყავს ჩასაფრებული; აი, უკვე გიმიზნებს კიდევ ტყვიას და ჩამოგატყხს მაგ გალალეებულ ფრთებს! ასე რომ, იცოდე, შენს ნადირობას კარგი პირი არ უნდა უჩანდეს!“

სწორედ ამ დროს პრინცმა იულიას ხელკავი გამოსდო და ორივემ მეთევზის ქოხისკენ აიღო გეზი, მაგრამ ქოხს რომ გაუსწორდნენ, კრაისლერი ბუჩქებიდან გამოვიდა და მოსეირნე წყვილს მიუახლოვდა. მან პრინცს მდაბლად დაუკრა თავი და თქვა:

— შესანიშნავი საღამოა! არაჩვეულებრივად სუფთა ჰაერია! მერედა, რა სანეტარო სურნელი იფრქვევა ირგვლივ! თქვენი ბრწყინპალება, ეტყობა, ისე გრძნობს თავს, როგორც მშვენიერ ნეაპოლში!



— კი, მაგრამ, ვინ ბრძანდებით, მოწყალეო ხელმწიფე? — უკმეხად პკითხა მას პრინცმა. იულიამ იმავე წუთში გაითავისუფლა ხელი, ალერსიანად გაუწოდა იგი კრაისლერს და თქვა:

— რა კარგია, რომ კვლავ აქა ხართ, ძვირფასო კრაისლერ! რომ იცოდეთ, როგორ მომენატრეთ! დედა სულ მტუქსავს იმის გამო, რომ ჭირვეული, უზნეო ბავშვით ვიქცევი, ერთ დღესაც თუ არ შემოგვივლით ხოლმე. ალბათ, დარდით მოვკვდები, თუკი დადგება ის დღე, როცა ვიგრძნობ, რომ აღარ გსურთ ჩემი ნახვა და ჩემი სიმღერის მოსმენა.

— აჰა! — წამოიძახა პრინცმა და ღვარძლიანი მხერა სროლა იულიასა და კრაისლერს, — მაშ, ეს თქვენ ბრძანდებით *monsieur de Krösel*! მთავარი დიდი ქება-დიდებით მოგიხსენიებდათ.

— ო, კურთხეულ იყოს ჩვენი მთავარი! — მხარი აუბა პრინცს კრაისლერმა და სახეზე ყველა კუნთი აუთამაშდა, — დიახ, კურთხეულ იყოს მისი ბრწყინვალეობა. იქნებ ახლა მაინც გავხდე ღირსი იმისა, რაც თქვენთვის სულითა და გულით მინდოდა, მეთხოვა; სახელდობრ, მინდოდა, შეგვედრობოდით, გადაგეფარებინათ ჩემთვის თქვენი მფარველი კალთა. ჩემს თავს უფლებას ვაძლევ, ვიფიქრო, რომ პირველი შეხვედრისთანავე დამაჯილდოეთ თქვენი კეთილგანწყობით, რაკი გვერდზე ჩავლისას, სხვათა შორის, ტაკიმასხარა მიწოდეთ ტაკიმასხარებს კი ძალიან უხერხებათ ნაირ-ნაირი ოინბაზობები, ამიტომ...

— დიდი ხუმარა ყოფილხართ! — გააწყვეტინა პრინცმა.

— ცდებით, თქვენი ბრწყინვალეობა, — მიუგო კრაისლერმა, — მართალია, ხუმრობა მიყვარს, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ გესლიანი. ასეთი ხუმრობა კი, აბა, მითხარით, რა სასიამოვნოა? ამჟამად სიამოვნებით წავიდოდი ნეაპოლში და იქ, ზღვის სანაპიროზე მეთევზეებისა და მეკობრეების მშვენიერ სიმღერებს ჩავიწერდი *ad usum delphini*.<sup>1</sup> ძვირფასო პრინცო, ვიცო, ხელოვნების ტრფიალი ბრძანდებით, და, ამიტომ, კეთილ რჩევას მომცემთ, ვის შეიძლება მოემართო...

— დიდი ენაკვიმატი ვინმე ბრძანებულხართ, *monsieur de Krösel*, კვლავ შეაწყვეტინა პრინცმა, — ძალიან მიყვარს, დიახ, ნამდვილად

<sup>1</sup> მოწაფეებისთვის (ლათ).

ძალიან მიყვარს სიტყვამოსწრებული ხალხი, მაგრამ ახლა ხელს აღარ შევიშლით... Adieu!

— ო, არა, თქვენო ბრწყინვალეებო, — წამოიძახა კრაისლერმა, — ასე ადვილად ვერ შეგელევით... არ მინდა ხელიდან გაეუშვა შემთხვევა და მთელი ბრწყინვალეებით არ წარმოგიდგინოთ საკუთარი თავი. ხომ არ ინებებდით მეოფის ქოხში შემობრძანებას? იქ პატარა ფორტეპიანო დგას, მადმუაზელ იულია კი, ალბათ, უარს არ იტყვის, ჩემთან ერთად რამე დუეტი შეასრულოს!

— დიდი სიამოვნებით! — წამოიძახა იულიამ და კრაისლერს მკლავზე ჩამოეკიდა.

პრინცმა კბილები გააკრაჭუნა და ამაყად გაემართა ქოხისაკენ. შესვლისას იულიამ ჩასჩურჩულა კრაისლერს:

— კრაისლერ! რა საოცარ გუნებაზე ხართ!

— ო, ღმერთო ჩემო, — ჩურჩულითვე უპასუხა კაპელმაისტერმა, — ოცნების ბურუსში გახვეულს ჯერ კიდევ ტკბილად გძინავს, ამასობაში კი ნელ-ნელა გაიხლოვდება ასპიტი, რომ გესლიანი ენა გაგკრას და სიცოცხლეს გამოგასაღმოს.

იულიამ გაოცებით შეხედა მას. მთელი მათი ნაცნობობის მანძილზე კრაისლერმა მხოლოდ ერთხელ, ისიც უმაღლესი მუსიკალური შთაგონების წუთებში, მიმართა მას შენობით.

დუეტის დროს, მერე კი, მისი დამთავრების შემდეგაც პრინცის აღფრთოვანებულ შედახილებს საზღვარი არ უჩანდა. იგი ერთთავად გაჰყვიროდა: „Bravo, bravissimo“-ო. შმაგად უკოცნიდა ხელებს იულიას, ეფიცებოდა, სიმღერას ჯერ ასე არასოდეს უმოქმედია ჩემზეო და ეედრებოდა გოგონას, ნება მომეცით, გეამბოროთ იმ ღვთაებრივ ბაგეზე, ამ ციურ ხმებს რომ გამოსცემენო. შეშინებულმა იულიამ უკან დაიხია. კრაისლერი წინ გადაუდგა პრინცს და წამოიწყო:

— მისმა უდიდებულესობამ არ ინება, ჩემთვის სიამოვნება მოენიჭებინა და ერთი სიტყვით მაინც შევექე, თუმცა, იმედი მქონდა, რომ როგორც კომპოზიტორი და არცთუ მთლად უხეირო მომღერალი, მადმუაზელ იულიასთან ერთად ვიმსახურებდი ამას. მაგრამ, როგორც ეტყობა, ჩემი მუსიკალური ნიჭით ვერ შევძელ სათანადო შთაბეჭდილების მოხდენა. სამაგიეროდ, შესანიშნავად ვერკვევი ფერწერაში და ძალიან მინდა თქვენს ბრწყინვალეებას ერთი მინიატიურული პორტრეტი ვაჩვენო. მასზე აღბეჭდილი არსების უჩ-



ვეულო ბედ-იღბლისა და უცნაური აღსასრულის ამბავი იმდენად კარგადაა ჩემთვის ცნობილი, რომ შემძლია მოუყუყვე ყველას, ვინც კი მის მოსმენას მოისურვებს.

— ვინ არის ეს ოხერი! — წაიბურტყუნა პრინცმა.

კრაისლერს ჯიბეში პატარა კოლოფი ედო. სასწრაფოდ გახსნა, იქიდან ერთი ბეწო მინიატიურული პორტრეტი ამოიღო და პრინცს გაუწოდა. პრინცმა სურათს დახედა თუ არა, მკვდრისფერი დაედო, მზერა გაეყინა და ტუჩები აუკანკალდა.

— Maledetto,<sup>1</sup> — გამოცრა მან კბილებში და გარეთ გავარდა.

— ღმერთო ჩემო, მითხარით, რა ხდება აქ? — წამოიძახა საშინლად შეშინებულმა იულიამ, — ღვთის გულისათვის, კრაისლერ, მითხარით, რაშია საქმე?

— სისულელეა, — მიუგო კრაისლერმა, — ბოროტი სულების გასადევნად ცოტა წავიხუმრე! ძვირფასო, ერთი შეხედეთ, მისი ბრწყინვალეობა ხიდზე რა კუდამოძუებული მიაბოტებს! ღმერთო ჩემო! ვიღას ახსოვს პოეზია და იდილია, ცალი თვალითაც კი აღარ იყურება ტბისკენ და გედის დაპურების ყოველგვარი სურვილი გაჰქრობია. ესეც თქვენი კეთილი, სათნო... სატანა!

— კრაისლერ, — წაილაპარაკა იულიამ, — თქვენს ლაპარაკზე ტანში თითქოს ჭიანჭველებმა დამიარაო. გული რაღაც არასაკმეტოსს მიგრძნობს, მითხარით, თქვენ და პრინცს რა ანგარიშები გაქვთ ერთმანეთთან?

კაპელმაისტერი ფანჯარას მოსცილდა და ძალზე აღელვებულმა შეხედა იულიას. გოგონა მის წინ იდგა გულხელდაკრეფილი, თითქოს თავის მფარველ ანგელოზს ევედრება, მიხსენი ამ საშინელი შიშისაგან, თვალებზე ცრემლი რომ მომგვარაო.

— არა და არა, — თქვა კრაისლერმა, — არავითარ ბოროტებასა და სიყალბეს არ ძალუძს დაარღვიოს შენს სულში გამეფებული ჰარმონია, უმწიკვლო ბავშვო! ჯოჯოხეთის მოციქულები ვერაგულად სახეშეცვლილნი დაიარებიან ამქვეყნად, მაგრამ შენთან მათ ხელი არა აქვთ და თავიანთი შავბნელი საქმეებით ვერარას დაგაკლებენ! დამშვიდდი, იულია! ნება მიბოძეთ, აღარაფერი ვთქვა! ყველაფერმა უკვე ჩაიარა!

<sup>1</sup> დალახეროხ ეშმაკმა! (იტალ.).

უცბად ქოხში საშინლად შეშფოთებული ქალბატონი ბენცონი შემოვიდა.

— რა მოხდა? რაშია საქმე? — წამოიძახა მან, — პრინცმა შლეგიანოვით ჩამიქროლა, ისე, რომ არც კი შევუმჩნევია. სასახლესთან მას ადიუტანტი შეგება; ერთხანს გაცხარებით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, მერე, ეტყობა, პრინცმა ადიუტანტს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი უბრძანა. ისიც ტყვიასაუთ გაიჭრა პაუილიონისაკენ, სადაც ამჟამად არიან ბინად. მებაღემ შენზე მითხრა, პრინცთან ერთად იდგა ხიდზე. ეს გაუგონე თუ არა, გულში რაღაც აუბედითმა წინათგრძნობამ გამკრა და აქეთ გამოვიქეცი. მითხარით, რა მოხდა?

იულია დედას ყველაფერს დაწვრილებით მოუყვა.

— რაო, საიდუმლოო? — მკვახედ იკითხა ქალბატონმა ბენცონმა და კრაისლერს გამჭოლი მხერა ესროლა.

— ძვირფასო ქალბატონო მრჩეველო, — უპასუხა კრაისლერმა, — ცხოვრებაში არის ხოლმე ისეთი წუთები, შემთხვევები და გარემოებანი, როცა, ჩემის აზრით, უმჯობესია, თუ კაცი ენას კბილს დააჭერს, რადგან ხანდახან საკმარისია პირის დაღება, რომ სისულელეების ჩმახვას იწყებს, ეს კი, მოგეხსენებათ, ძალზე აღიზიანებთ ხოლმე საღი განსჯის ადამიანებს!

ამის მერე კრაისლერს კრინტი აღარ დაუძრავს, თუმცა, აშკარა იყო, ქალბატონი ბენცონი საშინლად შეურაცხყოფილი დარჩა მისი სიჩუმით.

კაპელმაისტერმა დედა-შვილი სასახლემდე მიაცილა, იქიდან კი ზიგჰარსტვაილერში გაბრუნდა. დაბურულ ხეივანში მიიშალა თუ არა, პაუილიონიდან პრინცის ადიუტანტი გამოვიდა და კრაისლერს ფეხდაფეხ მიჰყვა. მალე ტყის სიღრმეში სროლის ხმა გაისმა!

იმავე ღამით პრინცი ზიგჰარტსვაილერიდან გაემგზავრა. მან მთავარს ბარათი დაუტოვა, სადაც იმედს გამოთქვამდა, ალბათ, მალე დაებრუნდებო. მეორე დილით, როცა მებაღე მსახურებთან ერთად პარკში საქმიანობდა, ბუჩქებში კრაისლერის გასისხლიანებული ქუდი იპოვა.

თავად ქუდის პატრონი უგზო-უკვლოდ გამქრალიყო. მას...



## ტომი მეორე

### ნაწილი მესამე

სწავლის თვეები. შემთხვევის ჭირვეული თამაში

(მ. ა. ა.) ...უკიდუგანო სევდა, მგზნებარე სურვილი აღგვოსებს ხოლმე გულს, მაგრამ საკმარისია, მოვალწიოთ იმას, რისკენაც ასეთი სასოებით მოვილტვოდით, და სურვილი უმაღლ საშინელ გულგრილობაში გადადის, მყის მოგვყირჭდება მიღწეული ბედნიერება, და მალე, სკოლის კუთხეში მიგდებული უმაქნისი რამ ნოთოვით მიგვაფიწყდება კიდევ. და აი, იწყება ვაი-ვიში და თითზე კბენანი აჩქარებული ნაბიჯის გამო, მერე კი კვლავ და კვლავ ჩნდება ის უკიდუგანო სევდა და მგზნებარე სურვილი. მოკლედ, ზიზღისა და სურვილის ტალღათა მუდმივი მორევი ყოფილა ეს ცხოვრება! სხვისა არ ვიცი, ჩვენ, კატები კი ასეთები ვართ! დიახ! გუნება-განწყობის ასეთი ფერისცვალებით გამოირჩევა ჩემი მოდგმა; ამბობენ, თითქოს ზვიადი ლომიც ჩვენი ჯიშისა იყოს; ალბათ, ამის გამო იხსენიებს ნადირთა მეფეს გოლიათ კატად ცნობილი ჰორნვილა ტიკის „ოქტავიანეში“.<sup>1</sup> დიახ, ჩვენ, კატები, ასეთად გავუჩინვართ ღმერთს, რაცა ვართ, ესა ვართ! ვიმეორებ, ძალზე ცვალებადი გული გვაქვს მე და ჩემს თანამოძმეებს.

კეთილსინდისიერი ბიოგრაფის უპირველესი ვალი გახლავთ, თავი არ დაზოგოს სიმართლისათვის და მკითხველს ყველაფერი პირუთვნელად ამცნოს. მეც ამიტომ მინდა გულზე თათი დავიდო და გულახდილად მოგახსენოთ ყოველივე: უკვე გითხარით, მეცნიერებასა და ხელოვნებას დიდის გატაცებით მოვკიდე-მეთქი ხელი, მაგრამ მალე კვლავ ამეკვიატა მშვენიერ მისმისზე ფიქრი და მოსვენება წაპართვა.

<sup>1</sup> ჰორნვილა ტიკის „ოქტავიანეში“ — ტიკის კომედიაში „იმპერატორი ოქტავიანე“ (1804) გლეხი ჰორნვილა ლომს „გოლიათ კატას“ უწოდებს (ნაწილი I).

თავში ათასნაირი აზრი მიტრიალებდა. ვნანობდი, ნეტავ რატომ აყვავი გრძნობებს და რატომ მივატოვე ჩემი ერთგული მეგობარი-მეთქი. ოჰ, ღმერთო ჩემო! ხშირად, როცა დიდი პითაგორათი ტკბობას განვიზრახავდი (იმხანად მათუმატიკით გახლდით გატაცებული), შავ წინდაში გამოწყობილი თათი მყის ამირ-დამირევდა მთელ ჩემს კათეტებსა და ჰიპოტენუზებს და წინ ხავერდისქუდიანი მშვენიერი მისმისი დამისკუპდებოდა ხოლმე. ნაზი საყვედურით მომაპყრობდა ლამაზ, ზურმუხტისფერ თვალებს! მერუდა რა მომხიბლავი ცეკვა-თამაში იცოდა! ან კუდის რა ნარნარი რხევით დაიარებოდა! და, აი, ხელახალი ტრფობით აღმოდებულ თათებს ვიწვდიდი, რომ გულში ჩამეკრა მშვენიერი მიჯნური, მაგრამ აჰ, იგი ნიშნის მოგებით მიღიმოდა და ზმანებაც ქრებოდა.

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო! სიყვარულის არკადიიდან მოტრუნილმა ოცნებებმა დიდ სადარდელებში ჩამაგდო; ამას კი არ შეიძლებოდა, ხელი არ შეეშალა ჩემი მოღვაწეობისათვის ნატიფი ხელოვნებისა და მეცნიერების სარბიელზე. ჩემს სასოწარკვეთას მალე საშინელი სიზარმაცეც დაერთო, მისი დაძლევა კი ვერა და ვერ მომეხერხებინა. ბოლოს დიდის ვაი-ვაგლახით დავალწიე თავი ამ მძიმე მდგომარეობას და გადავწყვიტე, რადაც უნდა დამჯდომოდა, მომენახა მისმისი. მაგრამ, რამდენჯერაც გადავდგი თათი კიბეზე, რათა აუჭრილიყავი მალლა, სადაც ჩემი მიჯნური მეგულებოდა, საშინელი სიმხდალე და სირცხვილი შემიპყრობდა ხოლმე, კვლავ ძირს დავუშვებდი აღმართულ თათს და გულდამძიმებული ღუმელქვეშ შვეიყუებოდი.

მიუხედავად იმისა, რომ გულზე დიდი ბოღმა მაწვა, ავ თვალს არ ვენახვებოდი. ცოდნის მარაგისა რა მოგახსენოთ, — ამ მარაგის ზრდაზე ფიქრით დიდად არ შემიწუხებია თავი, — სამაგიეროდ წონაში ბლომად მოვიმატე. სარკვეში ყურებისას სიამოვნებით შევნიშნე, რომ პირბადრ დრუნჩხე ჭაბუკურ სიქორფესთან ერთად ისეთი იერი დამდებოდა, კაცს ჩემდამი მოწიწების გრძნობას აღუძრავდა უდავოდ.

პატრონმაც კი შეამჩნია ჩემს ხასიათში მომხდარი ცვლილება. მართლაცდა, როცა იგი წინათ ნუგბარი საჭმელებით მიმასპინძლებოდა, მხიარულად დაუხტოდი და ვკრუტუნებდი; დილაობით ჩემი პატრონი საწოლიდან რომ წამოდგებოდა და მეტყოდა: „დი-



ლა მშვიდობისა, მურო!“ , ფეხებზე კვლასუნებოდი, კოტრილობ-  
დი და მუხლებზედაც კი შევახტებოდი ხოლმე. ახლა კი არაფერს  
აინუნში არ ვაგდებდი, მხოლოდ ალერსიანად თუ დავიკნაულებდი,  
მიაუ-მეთქი, და წელში ნარნარად გავიზნიქებოდი. ამაში კი, კარ-  
გად მოგეხსენება, ძვირფასო მკითხველო, ჩვენ, კატებს, ბადალი არა  
გვყავს. ეს იყო და ეს. საერთოდ კი ისეთ გუნებაზე ვიყავი, რომ ჩემ-  
თვის ესოდენ საყვარული „ჩიტობანას“ თამაშიც ავითვალწუნვ. ური-  
გო არ იქნება, თუკი ჩვენი მოდგმის ახალგაზრდა ტანმოვარჯიშენი  
და მუშაითნი ამ თამაშის წესებს გაეცნობიან. აი, მისი არსიც: ჩემი  
პატრონი რამდენიმე ბუმბულს გრძელ ძაფს მიაბამდა ხოლმე, მერე  
ზვეით-ქვევით ამოძრავებდა ამ ძაფს და ამრიგად ბუმბულს ჰაერში  
აფრიალებდა. კუთხეში ჩასაფრებული თვალყურს ვადევნებდი ბუმ-  
ბულს და ვცდილობდი, ალლო ამელო მისი მოძრაობისათვის. მერე  
კი, მანამდე დაუდევდი, ვიდრე თათებში არ მოვიგდებდი და ბურღლა-  
ბურღლად არ დავგლეჯდი. ამ თამაშის დროს ხშირად ისე შევდიოდი  
ემშში, ბუმბული მართლა ჩიტი მეგონა და ძალ-ღონეს არ ვზოგავდი,  
რომ როგორმე დამეჭირა. ამრიგად, ასეთი ვარჯიშის წყალობით,  
ერთდროულად ვიკაეებდი სულსაც და სხეულსაც. პოდა, როგორც  
მოგახსენეთ, ამ თამაშსაც მივანებე თავი. ახლა ჩემს პატრონს დაე,  
იმდენი ეფრიალებინა თავისი ბუმბული, რამდენიც მოეპრიანებო-  
და. ბალიშზე მშვიდად ვიწექი და ადგილიდან არ ვიძროდი. „ყური  
მიგდე, კატავ, — მითხრა ერთხელ მაესტრომ, როცა დაინახა, რომ  
ბუმბული ცხვირში მილიტინებდა, მე კი გულგრილად ვაყოლებდი  
თვალს და იშვიათად, ისიც ოდნავ თუ გაკკრაუდი ხოლმე თათს, —  
შენ ის ძველი კატა აღარა ხარ; და რაც დრო გადის, უკან-უკან მი-  
დიხარ; სულ უფრო მეტად ზარმაცდები და მცონარა ხდები! ჩემის  
აზრით, ბევრს მიირთმევ და ძილითაც ძალიან დიდხანს გძინავს“.

ამ სიტყვებმა გულში იმედის სხივი ჩამისახა. ჩემს დაღვრუმი-  
ლობასა და მოთენთილობას აქამდე მისმისის სიყვარულსა და და-  
კარგულ სამოთხეზე ფიქრს ვაბრალებდი. ახლა კი მოვხვდი, რა დიდ  
მოთხოვნებს გვიყენებდა თურმე ყოველდღიური ცხოვრება: დიახ,  
მოვხვდი, რომ თურმე ყოფითობის უბადრუკობას ჩაუხშვია ჩემში  
მეცნიერებისა და პოეზიისაკენ სწრაფვის დაუოკებელი წყურვილი.  
ბუნებაში არსებული ზოგიერთი საგნის წვდომა შესაძლებლობას  
გვაძლევს, დავინახოთ, რომ ჩვენი სული მაგრად არის მიჯაჭვუ-

ლი მტარვალთან, სხეულს რომ უწოდებენ. ჰოდა, რატომაა, რომ ეს სული იძულებული ხდება ხოლმე, ამ მტარვალს შესწიროს თავისი თავისუფლება? როცა ამ საკითხზე ვლაპარაკობ, ძირითადად, მხედველობაში მაქვს რძესა და კარაქზე გემრიელად დაშხადებული მანანის ტკბილი ფაფა, და ასევე, ცხენის ძუით კარგა მაგრად დატენილი დიდი ბალიში. ჩვენი მზარეული ქალი ფაფების დიდოსტატი გახლდათ და მეც ყოველ დილით მადიანად შევექცეოდი ხოლმე ორ პირმოდგმულ თუფშს. მაგრამ ასეთი საუზმის შემდეგ სწავლა-განათლების ყოველგვარ ხალისს ვკარგავდი და მეცნიერება ხმელა პურადლა მეჩვენებოდა. მაშინაც კი, როცა გონებით ჭვრუტას შევეშვებოდი და პოეზიას მოუკიდებდი ხელს, ვერაუთარ სიამოვნებას ვეღარ განვიცდიდი. არც თანამედროვე მწერლების საუკეთესო ქმნილებებს და აღარც დაფნის გვირგვინით შემკული, სახელგანთქმული ძველი პოეტების ტრაგედიებს აღარ ძალუძდა კალაპოტში ჩაუგდოთ ჩემი აღრეული ფიქრთა მდინარება. ჩვენი მზარეული ქალი თავისი ხელოვნებით თავისდა უნებურად ორთაბრძოლაში იწვევდა ცნობილ პოეტებს და ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, მან პოეტებზე გაცილებით უკეთ იცოდა ზომა-წონა, თუ რამდენი ცხიმი, მარილი და სანელებელი უნდა ეხმარა, რომ მისი ნახელავი გემრიელად შენელებული გამოსულიყო.

ო, რა გამაბრუებელია სულიერი და ხორციელი ტკბობის ჰარმონია!

დიახ, ვამბობ, გამაბრუებელია-მეთქი ყოველივე ეს, რამეთუ ოცნებისთვის თავი ვეღარ დამელწია და სულ უფრო სახიფათო, მაცდუნებელი საგნებისაკენ მიმიწევდა გული. ეს გახლდათ ცხენის ძუით დატენილი ფართო ბალიში. ჰოდა, ამ ბალიშზე მოვიკალათებდი ხოლმე და ტკბილად ვიძინებდი. და აი, სწორედ მაშინ გამომეცხადებოდა მშვენიერი მისმისის მომხიბლავი ხატება! ო, ღმერთო დიდებულო! ყველაფერი როგორ იყო გადახლართული ერთმანეთთან: რძის ფაფა, სწავლაზე გულის აცრუება, კაემანი, ფაფუკი ბალიში, ჩემი პროზაული ბუნება, მოგონებები გარდასულ სიყვარულზე! მაესტრო მართალი გახლდათ: უზომოდ ბევრს ვჭამდი და მეძინა! როგორ არ ვატანდი თავს ძალას, რომ ჭამა-სმისაგან თავი შემეკავებინა, მაგრამ, მოგეხსენებათ, რა სუსტი ნებისყოფის პატრონები ვართ ჩვენ, კატები: ყველაზე კეთილშობილური და გონივრული გადაწყ-



ვეტილებაც კი უაზრობად იქცევა, და სტუმართმოყვარე, ფუმფულა ბალიშზე შთაინთქმება, როგორც კი რძის ფაფის სურნელი გვეცემა ხოლმე ცხვირში.

და აი, ერთხელაც გავიგონე, წინკარში მაესტრო ვილაცას ეუბნებოდა: „კი, ბატონო, თანახმა ვარ! იქნება ტოლებში განაჯარღებამ ცოტა მაინც გაახალისოს, მაგრამ იცოდეთ, თუ ხტუნვას მოჰყვებით, სამელნეს გადამიბრუნებთ და სხვა ამგვარი, ორივეს პანღურის კვრით გაგაძევებთ აქედან!“

ამ სიტყვებით ჩემმა პატრონმა ოდნავ გამოაღო კარი და ოთახში ვილაცა შემოუშვა. ეს ჩემი მეგობარი მუციუსი გახლდათ, მაგრამ ძნელადღა იცნობდა კაცი. ერთ დროს სლიქინა და სწორი ბეწვი ახლა ასწიწოდა და ალაგ-ალაგ გაჰქუცოდა კიდევ, თვალები ჩასცვივებოდა; თუმცა, დიდი სილამაზითა და დახვეწილი მიხრა-მოხრით წინათაც ვერ დაიკვებნიდა, მაგრამ ახლა ერთი გათავხედებული და თავზე ხელაღებული ვიგინდარას შთაბეჭდილებას ტოვებდა.

— უჰ, — წაიფრუტუნა მუციუსმა, — ძლივს არ მოგაგენი! მერუდა, სად გიპოვია თავშესაფარი? მაგ ოხერი ღუმლის ქვეშ! თუმცა, დამაცა!.. — იგი თეფშს მოულოდნელად დააცხრა და თვალის დახამხამების უმაღლესად სასანსლა შემწვარი თევზი, სამხრად რომ მქონდა გადანახული, — ერთი მითხარი, — მომიბრუნდა მერუ, — დალახვროს ეშმაკმა, სადა ხარ დაკარგული? რატომ არ გამოდიხარ სახურავზე? და, საერთოდ, რატომ გაურბიხარ გასართობ ადგილებს?

ამაზე მოუგე: მას შემდეგ, რაც შშვენიერ მისმისს დაუცილდი, გადავწყვიტე, ჩემი ძალა მეცნიერების სამსახურს შევალლო და ამიტომ, ბუნებრივია, სასეირნოდ აღარა მცხელა-მეთქი. მერუ ისიც დაუძინე: საზოგადოებისკენ სრულიად არ მივიღტვი, რადგან, რა გინდა, სულს და გულს, რომ ჩემს პატრონს არა ჰქონდეს: რძის ფაფა იქნება, თევზი, ხორცი, რბილი ბალიში თუ ბევრი სხვა ამგვარი. წყნარი, უდრტვინველი ცხოვრება ჩემისთანა ნიჭიერი კატისათვის უდიდესი სიკეთეა და მეშინია, განგებამ ხელიდან არ გამომაცალოს, როგორც კი ხალხში გამოვალ-მეთქი. მერუ მუციუსს იმაშიც გამოუტყედი, ვატყობ, პაწია მისმისისადმი ტრფობა ჯერ მთლიანად არ გამწვანებია და ძალიან მეშინია, მასთან შეხვედრისას ისეთი წინდაუხედავი საქციელი არ ჩავიდინო, რაც მერუ სანანებლად გამიხდება-მეთქი.

— ცოტა მოგვიანებით შეგიძლია კიდევ შემომთავაზო თევზი, —

მითხრა მუციუსმა, მოღუნული თათი დრუნჩხე, წვერ-ულვაშსა და ყურბზე დაუდევრად ჩამოისვა და ჩემ გვერდით ბალიშზე გამოიჭიმა, — შენი ბედი, ჩემო ძმაო, რომ თავში აზრად მომივიდა ამ სენაკში გწვეოდი, და შენმა პატრონმაც ხელი აღარ შემიშალა და შემომიშვა! — შემპარავი ხმით დაიწყო მუციუსმა და სიამოვნებისაგან რამდენჯერმე წაიკრუტუნა, — ჩემო კარგო, გასაფრთხილებლად მოვედი: მურ, დიდი მომაჯლის მქონე ბურში<sup>1</sup> ბრძანდები, თანაც ისეთი, მხრებზე რომ თავი გაბია, ძარღვებში კი სისხლი გიჩქეფს, ამიტომ მინდა გაცნობო: საშინელი ხიფათი გელის; დიახ, გემუქრება საფრთხე, რომ ადრე თუ გვიან საზიზღარ ფილისტერად გადაიქცევი. წელან ბრძანე, დრო ძალზე ძვირად მიღირს, იგი მეცნიერებას უნდა მოვახმარო, ამიტომ არა მაქვს შესაძლებლობა, კატები მოვინახულო ხოლმეო. ჩემო ძმაო, მომიტევე კადნიერება, მაგრამ ამისი რაღაც არ მჯერა! ისე ხარ ჩამრგვალებულ-ჩაკურატებული, ბეწვი ისე გიბზინავს, სრულიად არა ჰგავხარ შრომით გადახრწნეულ და ღამენათუვ წიგნის ჭიას! წყეულიმც იყოს უშფოთველი და წყნარი ცხოვრება! სწორედ ფუფუნებამ და უდარდელობამ გაგაზარმაცა და გაგამცონარა. მერწმუნე, სულ სხვაგვარად იგრძნობდი თავს, ჩვენსავეთ ჯაფა რომ გადგეს. რაც ჩვენ ტანჯვაში ვართ, სანამ თევზს აუწაპნით, ან ჩიტს დაჟიჭერთ?!

— მე კი მეგონა, — გააწყვეტინე მეგობარს, — ძალიან კმაყოფილი იყავით ცხოვრებით და ბედნიერად გრძნობდით თავს. უწინ ხომ თქვენ...

— იცი, რას გეტყვი? ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ! — გაბრაზებით შემომბუზღუნა მუციუსმა, — თუ ძმა ხარ, რა შეაწუხე სული ამ შენი „თქვენობით“! რას ნიშნავს, რომ ფილისტერი ხარ და სტუდენტური ადათ-წესებისა არა გაგეგება რა!

განრისხებულ მეგობარს ბოდიში მოუხადე და მან ახლა უკვე უფრო რბილად განაგრძო:

— ჰოდა, როგორც მოგახსენე, ძმობილო, ასეთი უსაქმურობა ხელს არ მოგცემს. ცოტა ჭკუას ძალა უნდა დაატანო და საზოგადოებაში იტრიალო!

— ო, ღმერთო დიდებულო! — წამოვიდახე შეძრწუნებულმა, —

<sup>1</sup> ბურში (გერმ. Bursch) — გერმანიაში მეტსახელი უფროსი კურსის სტუდენტისა, რომელიც ეკუთვნის სტუდენტთა ერთ-ერთ კორპორაციას.



ეს რა მითხარ, ძმაო მუციუს, საზოგადოებაში უნდა იტრიალო? ამ რამდენიმე თვის წინ სარდაფში ხომ მოგიყვები, როგორ ვისკუპე ერთხელ ინგლისური ეტლიდან, რა ფათურაკები გადამხდა თავს, ვიდრე ბოლოს და ბოლოს კეთილი პონტო არ მომეკვლინა მხსნელად და ჩემს პატრონთან არ მიმიყვანა?

მუციუსმა ღვარძლიანად გაიცინა.

— დიახ, დიახ, — თქვა მან, — სწორედ მაგაშია საქმე! როგორა ბრძანე? კეთილი პონტო, არა? ჰოდა, იცოდე: მაგ ტაკიმასხარამ, პატომოყვარე და ცბიერმა ფარისეველმა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ გაგიყადრა თავი, რომ იმ დროს სხვა გასართობი არა ჰქონდა რა, შენთან კი მშვენიერად იქცედა თავს. აბა, ერთი სცადე, მაშინ მიდი მასთან, როცა თავის მეგობრებთან ერთად სადმე თავყრილობაზე, ანდა მეჯლისზე იქნება. დარწმუნებული ბრძანდებოდე, ვერც კი გიცნობს, — შენ ხომ მისი მოდგმისა არა ხარ! თუმცა, რას ვამბობ, ვერ გიცნობს კი არა, შუაზე გაგგლეჯს, როგორ გამიბედე და ასეთ უდროოდ დროს შემაწუხო. დიახ, მაგ შენმა კეთილმა პონტომ, ნაცვლად იმისა, რომ რაიმე სასარგებლო რჩევა-დარიგება მოეცა შენთვის, ვიღაცა უცნობ ხალხზე სულელური ლაპარაკით გამოგიჭედა ყურები და ამით შეგიქცია! არა, ჩემო ძვირფასო მურ! შენმა საოცარმა თავგადასავალმა სულ სხვა ცხოვრებისეულ ბილიკზე შეგადგმევინა ფეხი, განგებით კი სულ სხვა ბედ-იღბალი გეწერა. მაპატიე კადნიერება, მაგრამ წიგნების ზუთხვა და ღამის თევა არამცთუ არავითარ სარგებლობას არ მოგიტანს, პირიქით, შეიძლება ზიანიც კი მოგაყენოს. რამეთუ, ასეა თუ ისე, ფილისტერი იყავი და დარჩი კიდევაც, ხოლო ამქვეყნად არ არსებობს ამაზე უფრო მოსაწყენი და საზიზღარი რამ!

მეგობარს გულწრფელად გამოუტყედი, მთლად კარგად არ მესმის არც სიტყვა „ფილისტერის“ მნიშვნელობა და არც შენი თვალსაზრისი ამ საკითხზე-მეთქი.

— ო, ძმობილო, — მომიგო მუციუსმა და თან სასიამოვნოდ გამიღიმა. ღიმილი ძალზე უხდებოდა და ისევ ის ძველი მუციუსი გამახსენდა, — ო, ძმობილო მურ, ამაოდ გავირჯებოდი და შევეცდებოდი შენთვის ამის ახსნას, რადგან ვიცი, მაინც ვერ გაიგებ, რა არის ფილისტერი, ვიდრე თავად არ მოიშლი ფილისტერობას. მაგრამ თუკი გსურს, ახლავე გაეცნო კატათა ფილისტერობის ძირითად ნიშანთვისებებს, მაშინ შემიძლია...

(სამაკ. თაბ.) ...საკმაოდ უცნაური სანახაობა გახლდათ ოთახის შუაგულში იდგა პრინცესა პედვიგა; გაფართოებულ სახეზე უსაცოცხლო და უმოდრაო მხერა შეჰყინვოდა. პრინცი იგნატიუსი მოსამართოჯინასაყით ათამაშებდა დას: ხელს ზეჟით თუ აუწევდა, ხელი ქაერში უმოდრაოდ რჩებოდა გამოკიდებული, ხოლო თუ დააწვეინებდა, უსაცოცხლოდ ეშვებოდა ძირს. მერე პრინცი ოდნავ მუჯღუგუნს პკრავდა პედვიგას, რომ წინ წასულიყო და ისიც მიდიოდა; ხელს მოპკიდებდა და შეაჩერებდა თუ არა, — პრინცესა ჩერდებოდა. პრინცი ასევე თაჟის ნებაზე სკაპდა და აყენებდა საკარძლიდან პრინცესას და ისე გართული იყო ამ თამაშით, ოთახში შექოსულები არც კი შეუმჩნეჟია.

— ამას რას სჩადიხართ, პრინც? — წამოიძახა მთაჟრინამ. პრინცმა მხიარულად ჩაიხითხითა, ხელები მოიფშენიტა და დედას მიუგო, დაიკო პედვიგა ძალზე თვინიერი და კუთილი გახდა, რასაც მოვისურვებ, ყველაფერს მიჯერებს, აღარც მეტუტება და აღარც მეჩხუბებაო. და პრინცმა ხელახლა დაიწყო სამხედრო ბრძანებების გაცემა, პრინცესას ხან როგორ აყენებდა და ხან როგორ, ისიც მოჯადოებულოით იმ მდგომარებაში გაქკავდებოდა, როგორშიც პრინცი მოინდომებდა მის გაჩერებას. გახარებული მთაჟრის ძე კუნტრუშობდა და ხმამაღლა იცინოდა.

— არა, ამის ატანა აღარ შეიძლება, — წამოიკვნესა მთაჟრინამ ათრთოლებული ხმით და თვალებზე ცრემლი მოადგა, კარის მკურნალი კი პრინცთან მივიდა და მკაცრად უბრძანა:

— ახლავე მოეშვით პრინცესას, მოწყალეო ხელმწიფეჟ! — მერე ხელში აიყვანა პედვიგა, ფრთხილად დააწვინა ტახტზე, ფარდები ჩამოუშვა და მთაჟრინას მიძართა:

— ჯერჯერობით პრინცესას ყველაზე მეტად მოსვენება ესაჭიროება, გთხოვთ, პრინცი ოთახიდან გაიყვანოთ!

პრინცმა იგნატიუსმა ჭირვეულობა დაიწყო. ზღუქუნებდა და წუწუნებდა, გამუდმებით რატომ მიდგანან კრიჭაში ვილაც-ვილაცები, როცა ისინი არამცთუ პრინცები, დიდგვაროჟანნიც კი არ არიანო. თვალცრემლიანი მოთქვამდა, ჩემს დაიკო პრინცესასთან მინდა დარჩენა, ახლა იგი ყველაზე ლამაზ ფინჯნებსაც კი მირჩეჟნია და ბატონ კარის მკურნალს უფლება არა აქვს, რაიმე ამიკრძალოსო.



— თქვენს ოთახში წაბრძანდით, პრინც, — მშვიდად უთხრა მთაურინამ, — პრინცესას ახლა მოსვენება სჭირდება, ნასადილვეს კი ფროილაინ იულია მოუა თქვენთან.

— ფროილაინ იულია! — სიცილით წამოიძახა პრინცმა და ბავშვივით მოჰყვა ხტუნვას, — ფროილაინ იულია! ფროილაინ იულია! ოჰ, რა კარგია! მე ჩემს ახალ სურათებს ვუჩვენებ. იმ ზღვის მეფის ზღაპარში ქარიყლაპია პრინცად ვარ გამოყვანილი და უზარმაზარი ორდენიც მიმშვენებს გულმკერდს, — იგი ცერემონიულად ეამბორა ხელზე მთაურინას, მერე კი ამბორისთვის ამაყად გაუწოდა ხელი მკურნალს, მაგრამ ეს უკანასკნელი სწრაფად მაჯაში სწვდა, კართან მიიყვანა, მოწიწებით დახარა თავი და კარი გაუღო. პრინცი ძალზე კმაყოფილი დარჩა, რომ ასეთი პატოვისცემით გამოაბრძანეს ოთახიდან.

დარდისაგან განადგურებული მთაურინა საგარძელში ჩაეშვა, თავი ხელზე ჩამოაყრდნო და ღრმად დამწუხრებულმა, ჩუმი ხმით თქვა:

— ღმერთო დიდებულო! განა რა ცოდვა მქონდა ასეთი, რომ ასე მკაცრად დამსაჯე? პრინცი ხომ სამუდამოდ განწირულია და განწირული, ახლა კი ამას ჰედვიგაც დაემატა, ჩემი ჰედვიგა! — და მთაურინა ღრმა ფიქრს მიეცა.

ამასობაში სასახლის კარის მკურნალმა დიდის ვაი-ვაგლახით ჩაასხა პრინცესას პირში რამდენიმე წვეთი წამალი. მერე აუდმყოფი, ისე, რომ გონს არც მოსულა, თავის ოთახში გადააყვანინა სეფექალებს და უბრძანა, პრინცესის მდგომარეობის ოდნავ გაუარესებაც კი უმაღლესობებინათ მისთვის.

— თქვენო ბრწყინვალეებო, — მიუბრუნდა მკურნალი მთაურინას, — თქვენ, რა თქმა უნდა, ფიქრობთ, რომ პრინცესა ძალზე უცნაური და სახიფათო სენითაა შეპყრობილი. მაგრამ, მინდა დაგარწმუნოთ, რომ აუდმყოფობა სულ მალე გაივლის და არაუითარ კვალსაც არ დატოვებს. პრინცესა გაშეშების განსაკუთრებულ, უჩვეულო სახეობას შეუპყრია; ეს დააუადება საექიმო პრაქტიკაში იმდენად იშვიათად გვხვდება, რომ ბევრ ძალიან ცნობილ მკურნალსაც კი არ ჰქონია შესაძლებლობა, დაჰკვირვებოდა მის მიმდინარეობას. ამიტომ თავს ჭეშმარიტად ვრაცხ... — აქ ექიმს ენა დაება.

— ოჰ, — მწარედ თქვა მთაურინამ, — როგორ გეტყობათ, რომ ჭეშმარიტი მკურნალი ბრძანდებით: არარად აგდებთ თვით საშინელ

ტანჯვა-წამებასაც კი, თუ მისი წყალობით ცოდნასა და გამოცდილებას გაიმდიდრებთ.

— ამას წინათ, — განაგრძო მკურნალმა, ისე, რომ ყურადღება არ მიუქცევია მთავრინას საყვედურისათვის, — სამედიცინო წიგნში ერთი დაუადების აღწერას წავაწყდი. ეჭვგარეშეა, პრინციპსაც ზუსტად იგოფე სჭირს. ავტორი შემდგეს მოგვითხრობს: მაგანი მანდილოსანი თურმე ვეზულიდან ბეზანსონში ჩამოსულა სასამართლოში რალაც სადავო საქმის მოსაგვარებლად. საქმე ძალზე მნიშვნელოვანი ყოფილა: სასამართლოში წაგება გაკოტრებამდე და მათხოვრობამდე მიიყვანდა თურმე ისედაც მრავალჭირნახულ ქალს. ამ აზრს საშინელ სასოწარკვეთაში ჩაუგდია იგი, მერე კი აუდმყოფურ მღელვარებას შეუპყრია. ღამეებს თეთრად ათენებდა თურმე, საჭმელს თითქმის არ ეკარებოდა, ეკლესიაში მუხლმოდრეკილი მხურვალედ ლოცულობდა; ერთი სიტყვით, საბრალოს ყველაფერზე ემჩნეოდა, რომ შეუძლოდ უნდა ყოფილიყო. ბოლოს და ბოლოს, სწორედ იმ დღეს, როდესაც სასამართლოს მისი ბედი უნდა გადაწყვიტა, მოულოდნელად, იქ მყოფთა გადმოცემით, ქალს თითქოს დამბლა დასცემია. როდესაც ექიმები მოვიდნენ, აუდმყოფი სავარძელში გაუნძრევლად იჯდა. ფართოდ გახელილი, გაბრწყინებული თვალები სივრცისთვის მიეპყრო, ქუთუთოები გაშეშებოდა, ხელები ერთმანეთზე გადაეჭდო და მაღლა ჰქონდა აწეული. მის ჩვეულებრივ სვედიანსა და ფერმკრთალ პირისახეს ჯანმრთელი, მხიარული და სასიამოვნო გამომეტყველება მიეღო. თავისუფლად სუნთქავდა, მაჯისცემა სუსტი და შენელებული, მაგრამ მშვიდად მთვლემარე ადამიანით თანაბარი ჰქონდა. კიდურები მსუბუქი და მორჩილი გახდომოდა და მცირედი წინააღმდეგობის გარეშეც შეეძლო კაცს ნებისმიერ მდგომარეობაში გაეჩერებინა ისინი. მაგრამ ქალის აუდმყოფური მდგომარეობა, — და სწორედ ეს გამორიცხავდა ყოველგვარ თვალთმაქცობას, — იმით ვლინდებოდა, რომ მას თავად არ ძალუძდა შეეცვალა ის მდგომარეობა, რომელშიც ჩააყენებდნენ ხოლმე. ნიკაპს ჩამოუწვედნენ თუ არა, აუდმყოფს პირი ეღებოდა და ასეთსავე მდგომარეობაში რჩებოდა. რიგრიგობით ხან ერთ, ხან მეორე ხელს აწვეინებდნენ ზვეით, ქალს ხელები ჰაერში უშეშდებოდა. ხელებს ზურგზე გადაუხლართავდნენ და ასე აწვეინებდნენ მაღლა; ადამიანს ასეთ მდგომარეობაში საერთოდ არ შეუძლია დიდხანს გა-



ჩერება, ის კი, ვითომც არაფერიყო, თავისუფლად იჯდა ასე. შუგულობით მისი სხეული როგორც გინდოდათ, ისე მოგელუნათ, იგი მაინც ინარჩუნებდა წონასწორობას. ქალი ყველაფრისადმი უგრძობი რჩებოდა. აჯანჯლარებდნენ, ჩქმეტდნენ, აწამებდნენ, ფეხებზე გაუარვარებულ შანთებს ადებდნენ, ყურში ჩაჰყვიროდნენ, საქმე მოიგეო, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო: ქალს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. მერე ნელ-ნელა იწყო გონს მოსვლა, მაგრამ მხოლოდ გაურკვევლად ბუტბუტებდა რაღაცას. ბოლოს...

— განაგრძეთ, — თქვა მთავრინამ, როდესაც მკურნალი შეჩერდა, — განაგრძეთ! იცოდეთ, არაფერი დამიძალათ! მითხარით მხოლოდ და მხოლოდ სიმართლე, რაგინდ საშინელიც უნდა იყოს იგი. მერე, მერე რა მოხდა, ის ქალი გაგიჟდა ხომ?

— მხოლოდ იმისი თქმალა დამრჩენია, — განაგრძო კარის მკურნალმა, — რომ ქალის ასეთი მძიმე მდგომარეობა მარტო ოთხ დღეს გრძელდებოდა, ხოლო როცა იგი ვეზულში ჩაიყვანეს, ამ უცნაური სენისაგან კვალიც კი არ დარჩენილა.

მთავრინა კვლავ ღრმა ფიქრს მიეცა, მკურნალი კი განაგრძობდა ყველა იმ სამკურნალო საშუალებების ჩამოთვლას, რის გამოყენებაც მას პრინციპის გამოჯანმრთელებისათვის მიზანშეწონილად მიიჩნდა. ბოლოს კი ისეთ ღრმა მეცნიერულ განსჯას მოჰყვა, თითქოს ცნობილ მკურნალთა თავყრილობას მიმართავსო.

— მითხარით, — გააწყვეტინა ბოლოს სიტყვა მთავრინამ ენამჭერ ექიმს, — შეუძლია კი მეცნიერებას გააწყოს რამე იქ, სადაც საფრთხე სულის სიმრთელეს ემუქრება?

მკურნალი მცირე ხანს დუმდა, მერე კი განაგრძო:

— თქვენო ბრწყინვალეებო, ბეზანსონელი ქალის მაგალითი ამტკიცებს, რომ ამ დაავადებას ფსიქიკური მიზეზები უდევს საფუძვლად. როგორც კი ავადმყოფი ცოტათი გონს მოვიდა, მკურნალობა იმით დაუწყეს, რომ შთააგონებდნენ სულის სიმზნევეს, ანუგეშებდნენ და ეუბნებოდნენ, ის აუბედითი სასამართლო პროცესი კეთილად დამთავრდაო. გამოცდილი ექიმები ერთხმად აღიარებდნენ, რომ ეს ავადმყოფობა უეცარი ძლიერი სულიერი ძრწოლის შედეგია. პრინციპსა ჰედვიგა საოცრად მგრძობიარე და ადვილად აღგზნებადი ადამიანი გახლავთ, იმასაც კი ვიტყვოდი, რომ იგი საერთოდ ძალზე თავისებური, ყველასაგან განსხვავებული ფსიქიკის პატრონია. ად-

ვიღად დასაშვებია, რომ მისი ეს აუადმყოფობაც რაღაც ძლიერი ხულიერი ტრავმით იყოს გამოწვეული. პოდა, უნდა შევეცადოთ, როგორმე მოვაგნოთ ამ მიზეზს და მაშინ იქნებ მოგვეცეს შესაძლებლობა, ვიმოქმედოთ მის ფსიქიკაზე. პრინცი პექტორის უეცარი წასვლა... თქვენო ბრწყინვალეებო, მოგეხსენებათ, ხანდახან დედას მკურნალზე გაცილებით ღრმად შეუძლია ჩაიხედოს თავის პირმშოს გულში და, პირიქით, თვითონ მისცეს ექიმს ხელთ აუადმყოფის სულის საიდუმლოს გასაღები.

მთავრინა წელში გაიმართა და ცოუად და ზვიადად თქვა:

— თვით მდაბიო წარმოშობის ქალებიც კი ცდილობენ ისე შენიღბონ თავიანთი გულის საიდუმლო, რომ ვერაფერს ჩასწვდეს მას. დიდგვაროვანი ოჯახის წევრები თავიანთი გულის სიღრმეში მხოლოდ ეკლესიის მსახურთ ახედებენ ხოლმე. მკურნალი კი, მოგეხსენებათ, არამც და არამც არ მიეკუთვნება მათ რიცხვს.

— როგორ, — გაცხარებით წამოიძახა კარის მკურნალმა, — განა შეიძლება ხულიერისა და ხორციელის ასე გამიჯვნა? მკურნალი მეორე მოძღვარი გახლავთ და თუ მას მოუსპეს საშუალება, ჩაიხედოს ადამიანის სულის სიღრმეში, ხომ შეიძლება საბედისწერო შეცდომაც დაუშვას... თქვენო ბრწყინვალეებო, აბა, სწული პრინციის ამბავი გაიხსენეთ..

— კმარა! — შეაწყვეტინა მკურნალს აშკარად გაგულისებულმა მთავრინამ, — არასოდეს ისე არ დაემცირდები, რომ წესიერებას ვუღალატო. გარდა ამისა, იმის დაჯერებაც არ ძალმიძს, თითქოს პრინციესის აუადმყოფობის მიზეზი შეიძლებოდა ისეთი რამ ყოფილიყო, რაც აზრებსა და ფიქრებშიც კი შეურაცხყოფდა ჩვენს ადათ-წესებს, — ესა თქვა თუ არა, მთავრინა წამოდგა, ოთახიდან გავიდა და კარის მკურნალი მარტო დატოვა:

— სწორედ რომ საოცარი ქალია ეს ჩვენი მთავრინა! — გაუბა საუბარი მკურნალმა საკუთარ თავს, — იგი სიამოვნებით დაარწმუნებდა ყველას, და მათ შორის თავის თავსაც, რომ დიდგვაროვნთა სულსა და ხორცს ეს დალოცვილი დედაბუნება სულ სხვაგვარი დერიტით კრავს და რომ ჩვენი, უბრალო მოკვდავების, სული და ხორცი სულ სხვაგვარადაა ჩაკირული! ერთი წუთითაც კი არ იფიქროთ, თითქოს პრინციესას საგულეში ჩვეულებრივი გული უცებდეს, ერთი ესპანელი კარისკაცისა არ იყოს; გახსოვთ, უარით



რომ გაისტუმრა კეთილი ნიდერლანდელი მოქალაქეები: მათ ხომ მის ბრწყინვალეობა დედოფალს აბრეშუმის წინაღობი მთარაყვს საჩუქრად, ეს კი პირდაპირ მთავრობებდა იმაზე, რომ ესპანეთის დედოფალსაც, ყველა სხვა ქალის მსგავსად, ორი ყველა ება! ასეა თუ ისე, სანაძლეოს დაუღებ, რომ პრინციესის საშინელი სენის მიზეზი სწორედ მის გულში, ქალთა ყოველგვარი ტანჯვა-წამების ამ სამტედლოში უნდა ვეძებოთ!

სასახლის კარის მკურნალმა გაიხსენა პრინცი პეიტორის უეცარი გამგზავრება, პრინციესის უცნაური, აუადმყოფური გულფიცხობა, ვნებათაღელვა, მისი აზრით პრინციესადმი ტრეფობით რომ უნდა ყოფილიყო გამოწყული, და თუვისთუის დაასკვნა, ქალის უეცარი აუადმყოფობა მიჯნურთა შორის რაღაც განხეთქილების ბრალია, რამაც, ეტყობა, ღრმა ჭრილობა მთაყენა პრინციესასო.

შემდგომი ამბებიდან გაუიგებო რამდენად საყუძველიანი იყო კარის მკურნალის უარაუდი, რაც შეეხება მთავრინას, ეტყობა, მასაც ეს ეჭვები უღრღნიდა გულს, და სწორედ ამიტომ ჩათვალა, რომ მკურნალმა სასახლის კარის ადათ-წესები დაარღვია, როდესაც ამ საკითხზე მის ბრწყინვალეობას გამოკითხვა და ჩაძიება დაუწყო — სასახლის კარზე ხომ ყოველგვარი ღრმა გრძნობა აკრძალული იყო, რამეთუ იგი შეურაცხმყოფლად და დამამცირებლად ითვლებოდა. მთავრინა ბუნებით მგრძნობიარე და გულკეთილი ქალი იყო, მაგრამ სასახლის კარის ადათ-წესებად წოდებულმა საოცარმა, დამცინაუმა და შემზარავმა ურჩხულმა თუვისი მსახურალი ხელი მაგრად წაუჭირა ყელში. და ამიერიდან მას არც ერთი კენესა, არც ერთი ოხვრა არ აღმოხდენია, რაც ოდნავ მაინც გაამჟღავნებდა მისი გულის საიდუმლოს. სწორედ ამიტომ ეყო მთავრინას ძალი და თავდაჭერა, მშვიდად ეცქირა, თუ როგორ აბუჩად იგდებდა შემკვიდრე პრინცი აუადმყოფ პრინციესას და კარზე მიუთათებდა ყველას, ვინც კი მისთვის ნუგეშის სათქმელად პირს დააღებდა.

ვიდრე სასახლეში ეს საოცარი ამბები ტრიალებდა, არც პარკში ხდებოდა ნაკლები, რაზედაც აუცილებლად უნდა ითქვას.

იქვე, შესასვლელთან, ხელმარცხნო ბუჩქებში, ჩასუქებული პოფმარშალი იდგა. მან ჯიბიდან პატარა ოქროს სათუთუნე ამოიღო, ქურთუკის სახელოთი გადააპრიალა, მთავრის კამერდინერს გაუწოდა და უთხრა:

— ძვირფასო მეგობარო, მშვენივრად ვიცი, რომ ასეთი ნატიფი ნოთების ტრფიალი ბრძანდებით მაშ, მიიღეთ ეს მცირედი საჩუქარი ნიშნად ჩემი თქვენდამი კეთილგანწყობისა. იცოდეთ, მომავალში ყოველთვის შეგიძლიათ ჩემი იმედი გქონდეთ ერთი მითხარით, ჩემო კარგო, რა მოხდა იმ საოცარი სეირნობის დროს?

— უღრმეს მადლობას მოგახსენებთ, თქვენო უდიდებულესობაუ! — მიუგო მსახურმა და ოქროს სათუთუნე ჯიბეში ჩაიღო. მერე ჩაახველა და განაგრძო, — ვბედავ, მოგახსენოთ, რომ დიდი მთავარი ძალზე შეშფოთებული ბრძანდება მას შემდეგ, რაც ჰედვიგამ, კაციშვილმა არ იცის, რატომ, გრძნობა დაკარგა. დღეს მისი ბრწყინვალეობა მთელი ნახევარი საათი გაშეშებული იდგა ფანჯარასთან და მარჯვენა ხელის თითებით ისე უკაკუნებდა ფანჯარას, მინები წკარუნებდა და ზრიალებდა. მისი ბრწყინვალეობა მშვენიერ მარშებს უკრავდა. ეს ის საოცარი ჰანგები გახლდათ, მხნეობას რომ მატებს კაცს, როგორც ჩემი აწ განსვენებული სიძე, სასახლის მეზუკე იტყოდა ხოლმე. ჩემი სიძე ოსტატურად იყო დაუფლებული თავის საკრავს, მას საოცარი ბანის ტრემოლო ჰქონდა, მაღალი და დაბალი რეგისტრის ბგერებს ბულბულვით არაკრაკებდა, ხოლო რაც შეეხება შუა რეგისტრს...

— ვიცი, ყველაფერი კარგად ვიცი, ჩემო კარგო, — გააწყვეტინა ჰოფმარშალმა სიტყვა ყბედ მსახურს, — ცხონებული თქვენი სიძე მართლაც რომ კარგი მეზუკე იყო, მაგრამ... ახლა იმაზეა საუბარი, თუ რას ამბობდა ან რას სჩადიოდა მისი ბრწყინვალეობა, როცა მარშებს აკაკუნებდა?

— რას ამბობდა, რას სჩადიოდაო? — გაიმეორა მსახურმა, — ჰმ, ბევრს არაფერს; მისი ბრწყინვალეობა შემოტრიალდა, ჭეშმარიტად გამანადგურებელი მზერა მტყორცნა, მერე გაბრაზებით ჩამოჰკრა ზარს და ხმამაღლა დაიყვირა: „ფრანსუა, ფრანსუაო!“ — „აქ გახლავართ, თქვენო ბრწყინვალეობა-მეთქი!“ — შეეხმიანე. მისმა უდიდებულესობამ განრისხებით მომიგო: „ასე გეთქვა, შე ვირო, შენაო! — და იქვე დასძინა, — საგარეო ტანსაცმელი მომართვითო!“ მეც დაუყოვნებლივ შევასრულე ბრძანება. მისმა უდიდებულესობამ მწვანე აბრეშუმის ხიფთონის ჩაცმა იწება და პარკისაკენ გაეშურა, თან უკან გაყოლა სასტიკად ამიკრძალა. მაგრამ, თქვენო კეთილშობილებაუ, ხომ უნდა ვიცოდეთ, სად იმყოფება ბრწყინვალე მთავარი? ვთქვათ, უცბად რამე



მოხდა... ერთი სიტყვიით.. შორიახლოს გაუყევი და მიუხედი, რომ მის-  
მა უდიდებულესობამ მეუფის ქობისკენ დაიჭარა გეხი.

— მაესტრო აბრაჰამთან მიდიოდა? — წამოიძახა საშინლად გა-  
ოცებულმა პოფმარშალმა.

— დიახ, დიახ, სწორედ რომ ასეა! — თქვა მსახურმა და იდუმალ-  
ლებით აღსაესე სახე მიიღო.

— მაშ, ასე, მეუფის ქობში, მაესტრო აბრაჰამთან, არა? — გა-  
იმეორა პოფმარშალმა, — მისი ბრწყინვალეობა არასდროს სწავლია  
მაესტროს მეუფის ქობში! — მკირე ხნით სიჩუქე ჩამოეყარდა, მერე  
კი პოფმარშალმა იკითხა, — მაშ, მის უდიდებულესობას აღარაფე-  
რი უთქვამს ამის მეტი, სრულიად არაფერი?

— არაფერი, სრულიად არაფერი, — ამაყად მიუგო მსახურმა, —  
მაგრამ ეშმაკურად ჩაილიძა და დაუმატა, — მეუფის ქობის ფან-  
ჯარა დაბურულ ბუჩქნარში გამოდის, ბუჩქებში პატარა ღარტაფია,  
სადაც მშვენიერად შეიძლება მოკალათდეს კაცი და ქობში ნათქვამი  
ყველა სიტყვა გაიგონოს. შეიძლებოდა...

— ო, ამას რომ მოახერხებდეთ, ჩემო ძვირფასო! — წამოიძახა  
აღფრთოვანებულმა პოფმარშალმა.

— შხად ვარ, შვეასრულო თქვენი ბრძანება, — მიუგო მსახურმა  
და ბუჩქებში ფრთხილად შეძვრა.

მაგრამ ის-ის იყო, გამოფორთხდა ბუჩქნარიდან, რომ პირისპირ  
მთავარს შეეფეთა. მისი ბრწყინვალეობა სასახლეში ბრუნდებოდა და  
ახლა მსახური კინალამ დაეჯახა და გადააგლო იგი. „Vous êtes un  
grand' ყეყეჩი!“ — დაულრიალა მას მთავარმა, პოფმარშალს კი ცი-  
ვად ესროლა „dormez bien“<sup>2</sup>-ო და მსახურის თანხლებით სასახ-  
ლისკენ გაემართა.

საუსებით გაოგნებული პოფმარშალი ადგილზე გაქვავებულიყო  
და თავისთვის ბუტბუტებდა: „მეუფის ქობი! მაესტრო აბრაჰამი!  
Dormez bien“, მერე უეცრად გადაწვიტა, დაუყოვნებლივ სახელმ-  
წიფო კანცლერს ხლებოდა და ამ საოცარ ამბავთან დაკავშირებით  
მისთვის რჩევა-დარიგება ეკითხა. გარდა ამისა, ისიც იფიქრა, კარგი  
იქნება, სასახლის კარის ცაზე ამ ამბით გამოწვეულ ვარსკვლავთა  
ახალ განლაგებას თუ ვიწინასწარმეტყველებდითო.

<sup>1</sup> თქვენ ხართ ღიღი... (ფრანგ.).

<sup>2</sup> ღამე მშვიდობისა (ფრანგ.).

მაესტრო აბრაჰამმა მთავარი სწორედ იმ ბუჩქნარამდე მიაცილა, სადაც ჰოფმარშალი და კამერდინერი იდგნენ, მერე კი უკან გაბრუნდა, რადგან მთავარმა არ ინება სასახლის ფანჯრიდან ისინი ვინმეს ერთად დაენახა. ძვირფასმა მკითხველმა უკვე იცის, რა მშვენივრად შეძლო მისმა ბრწყინვალეებამ მაესტრო აბრაჰამთან თავისი სტუმრობის გასაიდუმლოება, მაგრამ მსახურის გარდა მთავარს მისი ნებართვის გარეშე კიდევ ერთი ვინმე უთვალთვალებდა.

ის-ის იყო, მაესტრო აბრაჰამი ქოხს მიუახლოვდა, რომ საღამოს ბინდბუნდს ვილაცა გამოეყო და ჩაბნელებული ბილიკით მის შესახვედრად გამოემართა. ეს ქალბატონი ბენცონი გახლდათ.

— აჰა, — ხმამაღალი სიცილით თქვა ქალმა, — მაშ, მთავარი რჩვეისათვის ბრძანდებოდა თქვენთან, არა? მართლაც რომ სასახლის ჭეშმარიტი დედაბოძი ბრძანდებით, მაესტრო. ჯერ იყო და, მისი ბრწყინვალეების მამას უზიარებდით თქვენს მდიდარ გამოცდილებას და სიბრძნეს, ახლა კი აი, შვილსაც აპკურეთ თქვენეული ბალზამი. და ეს მაშინ, როცა კეთილი რჩევა ძალზე ძვირად ფასობს, ანდა საერთოდ, არ იცის კაცმა, ვისგან მიიღოს...

— აი, სწორედ ასეთი შემთხვევისათვის არსებობს ქალბატონი მრჩვეელი, უფრო სწორად, მრჩვეელი კი არა, მოკაშკაშე ვარსკვლავი, — გააწყვეტინა ქალბატონ ბენცონს სიტყვა მაესტრო აბრაჰამმა, — მისი სხივები ხომ აქ ყველაფერს აცისკროვნებს! სწორედ მას უნდა უმაღლოდეს სიცოცხლეს ერთი საცოდავი ბებერი მუსიკოსი. საბრალო იმის იმედსაც არ კარგავს, რომ მისივე შემწეობით დაასრულებს თავისი უბადრუკი ცხოვრების გზას.

— აბა, ასე ღვარძლიანად რატომ ხუმრობთ, მაესტრო, — თქვა ქალბატონმა ბენცონმა, — ვარსკვლავი, დღეს რომ ირგვლოვ ყველაფერს აცისკროვნებს, შეიძლება გაფერმკრთალდეს, ხოლო შემდგომ კი საერთოდ მიეფაროს თვალს. საოცარმა ამბებმა შეაფუცხუნა ადამიანთა ეს კარჩაკეტილი საკრებულო, რომელსაც ამ პაწია ქალაქის მცხოვრებნი და შესაძლოა კიდევ ორიოდე ათეული კაცი, სასახლის კარს უწოდებს. ესოდენ სასურველი სასიძოს მოულოდნელი გამგზავრება, ჰედვიგას საჯალალო მდგომარეობა, — დიახ, ყოველივე ამას მართლაც რომ შეიძლებოდა შეეძრა კაცი, ოღონდ არა ისეთი უსულგულო ადამიანი, როგორიც მთავარი გახლავით.



— ქალბატონო მრჩეველო, იყო დრო, როცა ასე არ ფიქრობდით,  
— გაწყვეტინა მას სიტყვა მაესტრო აბრაჰამმა.

— არ მესმის, რისი თქმა გსურთ ამით, — თქვა ქალბატონმა ბენ-  
ცონმა ზიზღნარევი კილოთი, მაესტროს გამგძირავი მზერა ესროლა  
და ზურგი შეაქცია.

მთავარი ირუნეუსი ნდობით იყო განმსჭვალული მაესტრო აბრა-  
ჰამისადმი და აღიარებდა მის გონებრივ და სულიერ უპირატესო-  
ბას. ამიტომაც გადაწყვიტა, უკუეგდო დიდგვაროვნული ამპარტავ-  
ნობა. მერე, ის იყო, მართლა ეწვია ორღანის დიდოსტატს მეთევ-  
ზის ქოხში და გულიც გადაუშალა, მაგრამ ხმა-კრინტი არ დაუძ-  
რავს იმაზე, თუ რა აზრისა იყო ქალბატონი ბენცონი სასახლეში  
მომხდარ ამბებზე. მაესტრომ იცოდა ეს ყველაფერი და ამიტო-  
მაც სრულიად არ გააკვირვებია ქალბატონი მრჩეველის აღელვება,  
თუმცა, ცოტა არ იყოს, გაოცებული დარჩა, რომ ასეთმა გულცივმა  
და ზვიადმა ქალმა ვერ შეძლო თავს მორეოდა და დაემალა თავისი  
გრძნობები.

მაგრამ, ეტყობა, ქალბატონი მრჩეველი ძალზე შეურაცხყოფი-  
ლად გრძნობდა თავს, რადგან ხედავდა, რომ მთავარზე მის ერთპი-  
როვნულ გავლენას წყალი შესდგომოდა, და ისიც ასეთ გადამწყვეტ,  
საბედისწერო წუთებში. რალაც-რალაცა მიზეზების გამო, რაც შე-  
საძლოა, მოგვიანებით გაირკვეს, ქალბატონ მრჩეველს სულითა და  
გულით ეწადა პრინცესის და პრინც ჰექტორის ქორწინება. ახლა  
კი, ამ ქორწინებას, მისი აზრით, საფრთხე ემუქრებოდა და ამიტო-  
მაც ამ საქმეში ვინმე გარეშე პირის ჩარევას სახიფათოდ მიიჩნევ-  
და. გარდა ამისა, მან თავის სიცოცხლეში პირველად იგრძნო, რომ  
რალაც იდუმალი ამბებით იყო გარემოცული და მთავარიც მასთან  
პირველად დუმდა. განა შეიძლებოდა ამაზე მეტად რაიმეთი ყოფი-  
ლიყო შეურაცხყოფილი ქალი, რომელიც შეჩვეული იყო ამ ქიმერუ-  
ლი სასახლის კარზე მომხდარი ყველა შეხლა-შემოხლის აუნჩავანი  
ყოფილიყო?

მაესტრო აბრაჰამმა მშვენიერად იცოდა: არაფერს ისე არ გამოჰ-  
ყავს წონასწორობიდან გაანჩხლებული დედაკაცი, როგორც მშვიდ  
დუმბილს. ამიტომაც ხმა-კრინტი არ დაუძრავს და უხმოდ მიჰყე-  
ბოდა გვერდით ღრმად ჩაფიქრებულ ქალბატონ ბენცონს, ჩვენი  
მკითხველისათვის უკვე ნაცნობ ხიდს რომ მიაშურა. იქ იგი ხიდის

მოაჯირს დაეყრდნო და შხერა შორეულ ტყეს მიაპყრო, თითქოს-  
და, გამოთხოვების ნიშნად, შხის ოქროსფერ, კაშკაშა სხივებში რომ  
გახვეულიყო.

— შშვენიერი საღამოა, — თავის მოუბრუნებლად თქვა ქალბა-  
ტონმა მრჩველმა.

— დიახ, — მიუგო მაესტრო აბრაჰამმა, — უცოდველი, სპეტაკი  
სულღით შშვიდია და წყნარი დღევანდელი საღამო.

— ნუ დამემდურებით, ძვირფასო მაესტრო, — ქალბატონი მრჩე-  
ველი ახლა კი შეეშვა მისთვის ჩვეულ მეგობრულ კილოს და ცი-  
ვად ლაპარაკობდა, — დიახ, ნუ დამემდურებით იმისათვის, რომ ასე  
შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს, როცა მთავარი მხოლოდ თქვენ  
გთვლით სანდო პირად და თქვენ გთხოვთ რჩევა-დარიგებას, თა-  
ნაც სწორედ ისეთ საქმეში, სადაც ქალს უფრო მეტი გაგება, და  
ბუნებრივია, შეუძლია უკეთ დაეხმაროს საქმითაც და რჩევითაც. ამ  
პატარა წყენის დამალვა ვერ შეეძელი, თავს ვერ მოკერიე. ახლა  
უკვე ყველაფერმა ჩაიარა, დიახ, მთლიანად ჩაიარა. მეც სავსებით  
დავშშვიდდი, ეს ყველაფერი ხომ მხოლოდ საქმის გარეგნულ მხარეს  
შეეხებოდა. მთავარს, წესით და რიგით, თავად უნდა ეთქვა ჩემთვის  
ის ამბავი, ჩემდათავად სრულიად სხვა გზით რომ შევიტყვე; უნდა  
მოგახსენოთ ის რჩევა-დარიგება, რაც თქვენ მის ბრწყინვალეობას მი-  
ეცით, სავსებით შექების ღირსია, ძვირფასო მაესტრო! ვაღიარებ,  
ისეთი რამ ჩავიდინე, ნამდვილად რომ არ მეკადრებოდა. მაგრამ ჩემი  
საქციელი უბრალო ქალური ცნობისმოყვარეობით კი არ იყო გა-  
მოწვეული, არამედ მთავრის ოჯახისადმი ღრმა თანაგრძნობით ამი-  
ტომ, ვგონებ, შეიძლება ამის პატიება. მაშ, ასე, მაესტრო, იცოდეთ  
თავიდან ბოლომდე ყურს ვუგდებდი მთავრისა და თქვენს საუბარს  
და სიტყვასიტყვით შევიტყვე ყველაფერი...

ამის გაგონებაზე მაესტრო აბრაჰამმა იგრძნო, რომ რაღაც უც-  
ნაური, გესლიანი დაცინვისა და სიმწრის ნაზავი გრძნობა დაეუფ-  
ლა. მთავრის კამერდინეროვით მასაც დიდი ხანია შემჩნეული ჰქონ-  
და, რომ ბუჩქებში დამალულ კაცს ფანჯრიდან შშვენოვრად შეეძლო  
გაგონა მეთევზის ქოხში ნათქვამი ყოველი სიტყვა. მაგრამ ოსტა-  
ტურად დამზადებული ბგერის შშთანთქავი დანადგარის წყალობით  
მოახერხა, რომ შიგნით ნალაპარაკები გარეთ მყოფი ადამიანის ყუ-  
რამდე მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტად, გაურკვეველი შრიალის სახით



აღწევდა. სიტყვების გარჩევა კი, რა თქმა უნდა, საერთოდ არ შეიძლებოდა. აი, ამიტომ შეიპყრო მაესტრო სიბრაღულის გრძობამ, როცა მიხვდა, თუ რატომ მოიგონა ქალბატონმა ბენცონმა ასეთი სიცრუე. ქალს უნდოდა მისთვის საიდუმლო დაეცინცლა, რაც თავად მხოლოდ ეჭვიმითანით იცოდა; მთავარი კი ამ საქმის ბაიბურში არ იყო და, ბუნებრივია, ვერც გაანდობდა ვერაფერს მაესტრო აბრაჰამს. თუ რაზე საუბრობდნენ მეთევზის ქობში მთავარი და მაესტრო აბრაჰამი, მკითხველი მოგვიანებით შეიტყობს.

— ო, — წამოიძახა მაესტრომ, — მეთევზის ქობთან ცხოვრებაში გამოცდილი, ბრძენი ქალის გუმანმა მოგიყვანათ მართალია, მოხუცი ვარ მე საცოდავი, მაგრამ ამგვარ საქმეებში გამოცდილება მაკლია და განა შემეძლო თქვენი დახმარების გარეშე იოლას გასვლა? ეს-ეს არის, დაუპირე, წვრილად შეამბნა თქვენთვის, რაც მთავარმა გამანდო, მაგრამ რაკი უკვე ყველაფერი გცოდნიათ, ახლა ეს უკვე არავითარ აუცილებლობას აღარ წარმოადგენს. ჩემო ძვირფასო, იქნებ პატოვი დამდოთ და გულწრფელად მაუწყოთ თქვენი შეშფოთების მიზეზი. ხომ შეიძლება სინამდვილეში ყველაფერი არც ისე საშიში იყოს, როგორც ერთი შეხედვით ჰგონია კაცს?

მაესტრო აბრაჰამმა ისე ოსტატურად გამოხატა გულუბრყვილო გულწრფელობა, რომ ქალბატონი ბენცონი, თავისი გამჭრიახობის მიუხედავად, ვერაფრით მიხვდა, რა იყო ეს, თავის მოკატუნება თუ ალალი გულით ნათქვამი. პოდა, ისე დაიბნა, ხელიდან გაუსხლტა თითქმის დაჭერილი ძაფი, რითაც იგი მაესტროს კისერზე გამონასკვულ ბაწრის დაგრებას ლამობდა. და აი, ახლა გაქვავებულით იდგა ერთ ადგილას, ტბას გასცქეროდა და ამაოდ ცდილობდა, სათქმელი რამ ეპოვა.

მაესტრო აბრაჰამი რამდენიმე ხანს ტკბებოდა მისი ტანჯვით, მაგრამ მალე გონებით იმ დღეს მომხდარ ამბებს მიუბრუნდა. კარგად იცოდა, რომ ამ ამბების შუაგულში კრაისლერი ტრიალებდა, ღრმა მწუხარებამ შეიპყრო საყვარელი მეგობრის დაკარგვის გამო, და თავისდა უნებურად აღმოხდა:

— საბრალო იოჰანეს!

ქალბატონი ბენცონი სწრაფად შემოტრიალდა მისკენ და მოულოდნელი სიფიცხით უთხრა:

— როგორ, მაესტრო აბრაჰამ, ნუთუ იმდენად უგუნური ბრძან-

დებით, რომ გგონიათ, თითქოს კრაისლერი მართლა დაიღუპა? განა შეიძლება გასისხლიანებული ქუდი იყოს ამის დამამტკიცებელი საბუთი? მითხარით, რას შეეძლო ეიძულებინა იგი, ასეთი საშინელი გადაწყვეტილება მიეღო და თვითმკვლელობა ჩაედინა? მაშინ ხომ მის გვამსაც იპოვიდნენ!

მაესტრო ძალიან გაოცდა, ქალბატონმა ბენცონმა რომ თვითმკვლელობაზე ჩამოაგდო ლაპარაკი, მაშინ როდესაც ეჭვი სულ სხვა ამბავზე იყო მისატანი, მაგრამ შეპასუხება ვერ მოასწრო, რომ ქალბატონმა მრჩველმა ისევ წამოიძახა:

— მადლობა ღმერთს, რომ გადაიკარგა აქედან ის საცოდავი. სადაც უნდა გამოჩენილიყო, მას ხომ ყველგან მხოლოდ და მხოლოდ უბედურება მიჰქონდა. ისეთი მშფოთვარე ბუნების კაცი გახლდათ და თანაც ისე იყო გაბოროტებული, — დიახ, დიახ, არ შემიძლია სხვა რამე ვუწოდო მის ნაქებ მახვილსიტყვაობას, — რომ ყველას, ვისაც ნიშანში ამოიღებდა, გულზე გესლსა და ბაღდაძეს ასხამდა. თუკი ყველა პირობითობის მასხრად აგდებას, საზოგადოების მიერ დადგენილი წესებსა და კანონებთან ბრძოლის წყურვილს, ადამიანის მაღალგონიერების დამადასტურებელ ნიშნად ჩავთვლით, მაშინ ჩვენ ყველამ მუხლი უნდა მოვიყაროთ კაპელმაისტერის წინაშე; მაგრამ უმჯობესი იქნება, თუკი იგი საერთოდ დაგვეხსნება და არ გაილაშქრებს ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ჭეშმარიტად ცხოვრებისეული გამოცდილებითაა დადგენილ-დაკანონებული და ჩვენი კეთილდღეობის საფუძველად არის აღიარებული. და სწორედ ამიტომ, ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ აქაურობას მოშორდა. იმედი მაქვს, აღარასოდეს ვიხილავ.

— კი, მაგრამ, ქალბატონო მრჩველო, — რბილად ჩაილაპარაკა მაესტრომ, — ვგონებ, ერთ დროს ჩემი იოჰანესის მეგობარი ბრძანდებოდით და მონაწილეობაც კი მიგიღიათ მისი ცხოვრების ყველაზე მძიმე, ავბედით წუთებში. ძალიან გაცხარებით კი იცავთ ყოველგვარ პირობითობას, მაგრამ განა სწორედ ამ პირობითობის წყალობით არ დაუსხლტა მას ფეხი იმ გზაზე, თავად რომ დააყენეთ? მითხარით, რატომ გადაუდებით ასე უეცრად ჩემს ძვირფას იოჰანესს? რანახეთ მასში ისეთი ცუდი? განა შეიძლება ადამიანი მარტო იმიტომ გძულდეს, რომ ბედისწერის კარნახით უჩვეულო გარემოში მოხვდა, და სწორედ ამ დროს ცხოვრებაც კრიჭაში ჩაუდგა? განა დამნაშავეა



იმაში, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა და იტალიელი ვაჩალი ფეხდაფეხ დასდევდა?

ამის გაგონებაზე ქალბატონი ბენცონი აშკარად შეკრთა.

— ეს რა ჯოჯოხეთური აზრი მოგსელიათ თავში, მაესტრო აბრაჰამ? მაგრამ, თუ ეს მართლა ასეა და კრაისლერი ნამდვილად დაიღუპა, რა გაეწყობა, ეს მხოლოდ და მხოლოდ სამართლიანი შურისძიება იქნება სატროფოს გამო, კრაისლერის გამოხდომებმა ჭკუაზე რომ შეშალა. გული მეუბნება, პრინცესას დასნეულებაში ბრალი მხოლოდ და მხოლოდ კაპელმაისტერს მიუძღვის. იგი დიდხანს დაუზოგავად ჭიმავდა ჰედვიგას გულში გაბმულ ნაზ სიმებს, ვიდრე ისინი მთლიანად არ დაწყდა.

— ასეთ შემთხვევაში იტალიელი ვაებატონი ისეთი ხელმარჯვე აღმოჩნდა, — ღვარძლიანად შენიშნა მაესტრო აბრაჰამმა, — რომ მისმა წინასწარგანჭვრუტილმა შურისგებად თავად ბოროტმოქმედების აღსრულებას დაასწრო. ღრმად პატივცემულო ქალბატონო, როგორც ბრძანეთ, მშვენივრად გსმენიათ ჩემი და მთავრის საუბარი მეთფეხის ქოხში და ამიტომ, ალბათ, ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ ჰედვიგა სწორედ იმ წუთში გაშეშდა თავფეხიანად, რა წამსაც ტყეში სროლის ხმა გაისმა.

— რა თქმა უნდა, — თქვა ქალბატონმა ბენცონმა, — კაცმა შეიძლება დაიჯეროს ყველაზე უჩვეულო ზღაპრებიც კი; მით უმეტეს, რომ ახლა ხშირად ლაპარაკობენ, მაგალითად, აზრების შორს მანძილზე გადაცემასა და სხვა მისთანებზე, მაგრამ მაინც ვიბეორებ, — რა ბუნდნიერებაა, რომ იგი აქაურობას მოშორდა. პრინცესა უნდა გამოკეთდეს და გამოკეთდება კიდევ! განგებამ კი თავიდან მოგვაშორა მყუდროების დამრღვევი. თავადვე აღიარეთ, მაესტრო აბრაჰამ, რომ ჩვენი მეგობარი დიდი შფოთისთავი იყო. სულში ისეთი ქარტუხილი უტრიალებდა, ვეჭვობ, ამქვეყნიურ ცხოვრებაში სიმშვიდე ეპოვა. თუნდაც ის ვიფიქროთ, რომ...

ქალბატონ მრჩვეულს სიტყვა აღარ დაუსრულებია, მაესტრო აბრაჰამი აქამდეც ძლივძლივობით ერეოდა თავს, ახლა კი მისმა რისხვამ უეცარი ძალით იფეთქა.

— რაო? — მეზოვით დაიგრევიანა მან, — რას გადაეკიდეთ იმ საცოდავ იოჰანესს? განა რა დაგიშავათ ისეთი, რომ დედამიწაზე პატარა ადგილიც კი არ გემეტებათ მისთვის? აჰ, არ იცით? მაშინ

თავად მოგახსენებთ საქმე ის არის, რომ კრაისლერს არ შეუძლია გუნდრუკი გიკმით, მას არ ესმის თქვენი გადაპრანჭული და ცარიელი სატყეუების აზრი. თქვენ იოპანესს სთავაზობთ, ადგილი დაიკაოს თქვენს წრეში, მას კი ეს ადგილი ძალზე ევიწროება და ეპატარაჟება. იგი არაფრით არ გგავთ თქვენ და ეს არის, რომ გაბრაზებთ კრაისლერი უარყოფს იმ ხელშეკრულებათა მარადიულობას, თქვენ რომ სდებდით, როდესაც ცდილობდით, თქვენი ცხოვრება მოგეწყოთ მას მიაჩნია, რომ გიყური აზრებით დაბრძანებულები ვერ ხელაუთ ჭეშმარიტ ცხოვრებას, მას სასაცილოდ ეჩვენება ის ამპარტაუნული მედიდურობა, რისი შემწეობითაც ცდილობთ, მართოთ ეს თქვენთვის ძარად მიუწვდომელი, გამოუცნობი ქვეყანა. და ყველაფერ ამას თქვენ გაბოროტებას უწოდებთ! ყველაზე მეტად კრაისლერი ისეთ დაცინვას აფასებს, ადამიანთა ბუნების ღრმა ცოდნიდან რომ მომდინარეობს. ასეთი დაცინვის ნიჭს ბუნებით მომადლებული წყალობა ჰქვია, რამეთუ თავად ბუნება მას თავისი შინაგანი არსის უწმინდესი წყაროდან ხაპავს, მაგრამ თქვენ თავმომწონე, დარბაისელი ადამიანები ბრძანდებით და არც ხუმრობის ნებას აძლევთ თავს და არც დაცინვისას. კრაისლერის არსებაში ჭეშმარიტად მოსიყვარულე გული ბუდობს. მაგრამ, როგორ გგონიათ, შეუძლია კი მას, გაუთბოს ვინმეს საუკუნოდ გაყინული გული, როცა ამ გულში სულ მცირე ნაპერწკალიც კი არ აკიაფებულა არასდროს? მერწმუნეთ, ასეთ შემთხვევაში ცეცხლის დანთებაზე ოცნებაც კი შეუძლებელია. დიახ, თქვენ არ წყალობთ კრაისლერს, რადგან, არ შეიძლება ვერ ხელაუდეთ და არ აღიარებდეთ ყველა იმ ღირსებას, რაც მას თქვენთან შედარებით აქვს; გეშინიათ ამ კაცისა, რადგან თავისი აზრებითა და ფიქრებით უფრო ამაღლებულ საგნებს ჭერუტს, ვიდრე ეს თქვენს პატარა სამყაროშია მიღებული.

— მაესტრო, — ყრუდ თქვა ქალბატონმა ბენცონმა, — ძალიან გაცხარებით იცაჟ შენს მეგობარს და ვერ კი გრძნობ, რომ ძალზე შორს შესტოპე. რაო, გულის მოკვლა გინდოდა ჩემთვის? ჩათვალე, რომ მიაღწიე მიზანს, რამეთუ ძალიან დიდი ხნის წინანდელი მიყუჩებული მოგონებები ამიშალე. ასე ბრძანე, გულის ნაცვლად ყინულის ლოდი გიდევსო, არა? მაგრამ, ნუთუ არასოდეს მოგნდომებია გაგეგო, ამ გულს ოდესმე სმენია კი სიყვარულის ალერსიანი ხმა? იცი თუ არა, რომ სიმშვიდე და ნუგეში სწორედ იმ პირობი-



თობის წყალობით ვპოვე, ასე რომ ეზიზღებოდა დაუოკებელ კრა-  
ისლერს? მოხუცო, თავადაც ხომ ამდენი ტანჯვა-წამების მომსწრე  
ხარ და ნუთუ ვერ ხვდები, რა სახიფათო თამაშში ებმება ადამია-  
ნი, როცა ცდილობს ამ პირობითობაზე ამაღლდეს, როგორ იტყუ-  
ებს თავს, როცა ჰგონია, რომ ეზიარება მსოფლიო სულს? ვიცი,  
რომ კრაისლერი ერთ გულცივ, ცხოვრებისეულ ქალად მთვლის  
და, როცა მეუბნები, გულის ნაცვლად ყინულის ლოდი გიდევსო,  
მხოლოდ და მხოლოდ მის აზრს იმეორებ. მაგრამ ოდესმე გიცდიათ  
კი გაგედნოთ ის ყინული, ჩემთვის კარგა ხანია დამცველ ჯავშნად  
რომ გადაიქცა? მამაკაცისათვის სიყვარული არასოდეს ყოფილა  
სიცოცხლის ტოლფასოვანი; მისთვის იგი მხოლოდ და მხოლოდ  
უმაღლესი მწვერულია, საიდანაც ქვევით, სხვადასხვა მიმართულე-  
ბით, სწორი და საიმედო გზები ეშვებიან. ჩვენთვის, ქალებისათვის  
კი პირველი სიყვარულის წუთია ის კაშკაშა სხოვი, მთელს ჩვენს  
ცხოვრებას რომ აცისკროვნებს; ჩვენი ბედნიერების არსსაც სწო-  
რედ ეს სხოვი განსაზღვრავს შემდგომ და, თუ ბოროტი განგება ამ  
წუთის მოწამვლას მოინდომებს, სუსტი ქალის ცხოვრება დაღუპუ-  
ლია და ამიერიდან მას სიხარული აღარ უწერია. სულით ძლიერი  
ქალი კი ბრძოლას იწყებს: იგი ამარცხებს საკუთარ თავს და სწო-  
რედ ჩვეულებრივი ყოფითი ურთიერთობების წყალობით აღიდგენს  
დაკარგულ წონასწორობას, მას სიშშვიდესა და მოსვენებას რომ  
ჰპირდება. ყური მიგდე, მოხუცო! ახლა, როცა ჩემს აღსარებას  
ღამის სიბნელე ნთქავს, მათქმევინე ყოველივე! ჩემს ცხოვრებაშიც  
დადგა ის წუთი; დავინახე ადამიანი, ვინც ჩემს გულში მხურვალე  
ტრფობის ცეცხლი დაანთო და ისეთი თავდავიწყებით შევიყვარე,  
როგორც ეს მხოლოდ ქალს ძალუძს. მაგრამ, როცა მოვიხედე, ჩემ  
გვერდით, საკურთხეველთან, სულ სხვა კაცი იდგა. ეს ბატონი ბენ-  
ცონი გახლდათ. შემდეგში იგი შესანიშნავი მეუღლე იყო ჩემთვის.  
მისმა უფერულმა პიროვნებამ მომცა ყველაფერი, რასაც კი გულით  
ვნატრობდი. ჩემი ოცნება მშვიდი და უშფოთველი ცხოვრება გახ-  
ლდათ, მიჯალწიე კიდევ ამას და ამიერიდან არც ერთი საყვედური,  
არც ერთი ჩივილი არ დასცდენია ჩემს ბაგეებს. ჩვეულებრივ მოკ-  
ვდავთა წრეში ვტრიალებდი; რა თქმა უნდა, ამ წრეშიც ხდებოდა  
ისეთი ამბები, რაც თავგზას მიბნევდა და კალაპოტიდან მაგდებდა.  
ჩემი ზოგიერთი საქციელი კი, რისთვისაც სხვა გამკიცხავდა, თავად

მე შემძლია გარემოებათა შემთხვევით თავმოყრას დაგაბრალო და თავი ვიმართლო. მაგრამ, მოდი, ჩემი გაკიცხვის უფლება იმ ქალს დაუტოვოთ, ვინც ჩემსავით ბოლომდე განვლო ცხოვრების ეკლიანი გზა, ყოველგვარი ბედნიერებისათვის მოჭრილი რომ იყო, თუნდაც ეს ბედნიერება მხოლოდ და მხოლოდ ტკბილი ზმანება ყოფილიყო და სხვა არაფერი. მერე, ის იყო, მთავარი ირუნეუსი გავიცანი... მაგრამ აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რაც კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა. ლაპარაკი დღევანდელ დღეზე გვექნება მხოლოდ. მაესტრო აბრაჰამ, ხომ ხედავ, ჩემს სულში ჩახედვის უფლება მოგეცი. ალბათ, ახლა უკვე ხვდები, თუ რატომ მეშინია, აქ დატრიალებულ ამბებში უცხო ხელი არ გაერიოს. მთელი ჩემი წარსული აუბედითი ჩრდილივით დატრიალებს თავს და მაფრთხილებს. დიახ, მე მოვალე ვარ, ვიხსნა ჩემთვის ძვირფასი ადამიანები. ამისათვის გვმაც შხადა მაქვს. ნუ გადამელობები გზაზე, მაესტრო! თუკი ჩემთან ორთაბრძოლაში ჩაებმები, მიფრთხილდი, ფარდა არ ავხადო შენს შხაკრულ ოინებს!

— უბედურო! — წამოიძახა მაესტრო აბრაჰამმა.

— ეს მე, მე მეუბნები, უბედურო? — აღშფოთებით თქვა ქალბატონმა ბენცონმა, — უბედურს მიწოდებ ქალს, ვინც შევძელი, დამემარცხებინა ბოროტი ბედისწერა და სწორედ იმ დროს ვპოვე სიმშვიდე და კმაყოფილება, როცა კაცი იფიქრებდა, ყველაფერი ცხოვრების ნამქერმა წაღეკაო?

— უბედურო! — ხელახლა წამოიძახა ღრმად აღელვებულმა მაესტრომ, — საბრალო, უბედურო ქალო! ამბობ, სიმშვიდე და კმაყოფილება ვპოვეო და არკი იცი, რომ ამ სასოწარკვეთამ შენი სულის სიღრმიდან ვულკანით ამოაფრქვია მთელი სითბო და მგზნებარება. სიავისაგან თვალეზღაბრმავებულს, ფერფლადქცეული მიწა თავად ცხოვრების ნოყიერი ველი გგონია და ზედ ხეაურიელი მოსაულის აღებასაც კი აპირებ! ის კი არ იცი, რომ ამ მწირ ხრიოკზე არსაით აღარ აბიბინდება ბალახი, აღარ გაიშლება კვირტი, აღარ აყვავდება ყვავილი. მეხით ჩანგრეულ ქვის საძირკველზე განგიზრახავს ნაგებობის აღმართვა და შიში არ კი გაქვს, რომ ეს შენი ნახელავი სწორედ იმ დროს შეიძლება ჩამოიქცეს, როცა ჰაერში მოფრიალე საზეიმო ბაირალები მშენებლის გამარჯვებას გვამცნობენ? ვიცი, კარგად ვიცი: იულია და ჰედვიგა... სწორედ მათი კე-



თილდღეობისათვის ქსოვი ასე ოსტატურად მაგ იღუმალ ზრახვა-  
თა ქსელს! უბედურო! უფრთხილდი, რომ იმ აუბედითმა გრძნობამ,  
იმ გაბოროტებამ, ასე უსამართლოდ რომ მიაწერდი ჩემს იოჰანესს,  
შენივე სულის ფსკერიდან არ ამოხეთქოს. ფრთხილად იყავ, შენი  
ბრძნული გეგმები გზაზე არ გადაელობოს იმ ბედნიერებას, თავად  
რომ ვერ გამოცადე. ახლა კი გინდა იგი შენს ახლობლებსაც ხე-  
ლიდან გამოაცალო? მშვენიერად ვგრძნობ, რა გეგმებიც შეიძლება  
გქონდეს დაწყობილი. იმ ყბადაღებულმა პირობითობამ, ასე ხშირად  
რომ ახსენებ და ამბობ, სიმშვიდე და მყუდროება მომიტანაო, სი-  
ნამდვილეში ბევრი სამარცხვინო საქმე ჩაგადენინა. ამის თაობაზე  
ბევრად მეტი ვიცი, ვიდრე შენ გგონია.

ამ სიტყვების გაგონებაზე ქალბატონ ბენცონს ყრუ, გაურკვეველი  
კვნესა აღმოხდა, რაც მის ღრმა სულიერ მღელვარებას მოწმობდა.  
მაესტრო ერთხანს დადუმდა, მაგრამ რაკილა დაინახა, ქალბატონი  
ბენცონი ხმის ამოღებას არ აპირებდა და ადგილიდან არ იძვროდა,  
გულგრილად განაგრძო:

— ღრმად პატივცემულო ქალბატონო მრჩეველო, არავითარი  
სურვილი არა მაქვს, თქვენთან ორთაბრძოლაში ჩაბმისა; ხოლო,  
რაც შეეხება ჩემს ეგრეთ წოდებულ ოინებს, კარგად მოგეხსენებათ,  
ჩემი უჩინარი გოგონას დაკარგვის შემდეგ... — და მოულოდნელად  
დაკარგული კიარას გახსენებამ მოხუცს ისეთი მწუხარებით აუვსო  
გული, როგორც კარგა ხანია აღარ განუცდია. მოეჩვენა, თითქოს  
შორეულ სიბნელეში კვლავ დაინახა მისი სახე, თითქოს კვლავ ჩა-  
ესმა ყურში მისი ნაზი ხმა, — ო, კიარა, ჩემო კიარა! — წამოიძახა  
მაესტრომ სვედიანი ხმით.

— რა დაგემართა? — ჰკითხა ქალბატონმა ბენცონმა და სწრა-  
ფად შეტრიალდა მისკენ, — მაესტრო აბრაჰამ, ვისი სახელი ახსენე  
ახლა? თუმცა, გიმეორებ: დაეხსენი წარსულს და მოდი, იმ უცნა-  
ური, ცხოვრებისეული თვალსაზრისით ნუ განმსჯი, კრაისლერთან  
ერთად რომ იზიარებ. პირობა მომეცი, რომ ბოროტად არ გამოიყუ-  
ნებ მთავარ ირენეუსის ნდობას შენდამი; იმის პირობაც დამიდე, რომ  
არ გადამეღობები გზაზე!

მაგრამ მაესტრო ისე ღრმად წაელო კიარაზე მწარე ფიქრს, არც  
კი ესმოდა, რას ამბობდა ქალბატონი მრჩეველი, და ამიტომაც ფრი-  
ად აბნეულ-დაბნეულად პასუხობდა.

— ხელს ნუ მკრავ, მაესტრო, — განაგრძო ქალბატონმა ბენცონმა, — ვგონებ, მართლაც გაცილებით მეტი იცი, ვიდრე მეგონა; მაგრამ, შესაძლოა, მეც ვიცი ზოგი რამ საიდუმლო, რაც შენთვის, ალბათ, ინტერესსმოკლებული არ იქნებოდა; ასე რომ, სულ ადვილი შესაძლებელია, სწორედ ისეთ დროს გაგიწიო დახმარება, როცა ეს ფიქრშიაც არ გექნება. მაშ, მოდი, ერთად მოვიგდოთ ხელში სამეფო კარის მართვის სადავეები, მით უმეტეს, რომ საჭიროა ეს სადავეები გონიერ ხელს ეპყრას. „კიარაო“, — ისეთი სვედიანი ხმით წამოიძახეთ, რომ...

სასახლეში საშინელი ხმაური ატყდა და ქალბატონ მრჩვეულს სიტყვა შეაწყვეტინა. მაესტრო აბრაჰამიც გამოერკვა ფიქრებიდან; ხმაური...

(მ. ა. ა.) ...მოგახსენოთ შემდეგი: ფილისტერი კატა, მაშინაც კი, როცა წყურვილი ახრჩობს, რძით სავსე ჯამს უდიდესი სიფრთხილით უახლოვდება. მისთვის მთავარია, დრუნჩი და წვერ-ულვაში არ დაისვაროს და მუდამ პეწიანად და წესიერად გამოიყურებოდეს, რამეთუ ცხოვრებაში წესიერებაა მისთვის უმთავრესი. თუ ფილისტერ კატას სტუმრად ეწვევი, ნაირ-ნაირ საჭმელს შემოგთავაზებთ, მაგრამ გამოშვიდობებისას მხოლოდ და მხოლოდ მეგობრობის ფიცით გაგიმასპინძლებათ. მერე კი სადმე მოფარებულში ჩამოჯდება და თავად გეახლებათ ნუგბარ ნაჭრებს, ცოტა ხნის წინ რომ გთავაზობდათ. ფილისტერ კატას შეუცდომელი ყნოსვა აქვს და ამის წყალობით შეუძლია სხვენზეც, სარდაფშიც და საერთოდ, ყველგან, საუკეთესო ადგილი გამოძებნოს, სადაც ისე მყუდროდ და მოხერხებულად მოეწყობა, რომ უკეთესს ვერც ინატრებს კაცი! ფილისტერ კატას ძალიან მოაქვს თავი, ასეთი და ისეთი ბიჭი ვარ, მადლობა ღმერთს, განგებამ უხვად დამაბერტყა თავზე თავისი მადლიანი კალთაო. ძალზე ენაწყლიანად გიყვება, როგორ მოიგდო ხელთ ასეთი თბილი ადგილი, როგორ ახერხებს მის შენარჩუნებას და რა გზით შეიძლება, რომ კიდევ უფრო გაიუმჯობესოს მდგომარეობა. მაგრამ, აი, ბოლოს და ბოლოს, შენც დააპირებ, ერთი-ორი სიტყვა უთხრა საკუთარ თავზე, მოიწუწუნო ბედზე, მაინცდამაინც რომ არ გწყალობს. აქ კი, ფილისტერი კატა მაშინვე თვალებს მოჭუტავს, ყურებს გაღურსავს, თავს მოიმძინარებს, ანდა, უბრალოდ, კრუტუნს



დაიწყებს. იგი გულმოდგინედ ილოკავს და ისუფთავენს ბუნეს, ვიდრე ბზინვას არ დააწყებინებს. თავებზე ნადირობის დროს კი ყოველ წუთში იბერტყავს თათებს, თუკი შემთხვევით ნესტიან ადგილას მოუხვდა. მერე რა, თუ ნანადირევი შეიძლება დაკარგოს! სამაგიეროდ, ყოველთვის გაკრიალებული და გაჯანდრული დაიარება. ფილისტერ კატას სულ მცირე საფრთხისაც კი ეშინია, თუკი გასაჭირში ხარ და მისგან შველას ითხოვ; იგი ხატსა და ჯვარზე შემოგფიცავს ერთგულებას და დაგიწყებს დარწმუნებას, სიამოვნებით დაუდებდი თავს შენი გულისთვის, მაგრამ მაგანი და მაგანი მიზეზების გამო იძულებული ვარ, გაჭირვებაში მიგატოვო. საერთოდ, ფილისტერი კატა ყველა თავის საქციელსა თუ მოქმედებას ათასჯერ ზომავს და წონის. ასე, მაგალითად: იგი დიდი თავაზიანობითა და ალერსით ექცევა პატარა ფინიას, თუმცა, მან გამეტებით უკბინა კუდზე. ეს კი ფილისტერ კატას ეზოს ძაღლთან კარგი ურთიერთობისათვის სჭირდება, რადგან ეშინია, მისი მფარველობა არ მოაკლდეს. სამაგიეროდ, ღამით მუხანათურად ამოკორტნის თვალს თავის მტერს. მეორე დღით კი სულითა და გულით თანაუგრძნობს მეგობარ ფინიას და აღშფოთებული ლაპარაკობს ვერაგი მტრების ბოროტებაზე. ერთი სიტყვით, მისი ყველა საქციელი თავისი გაიძვერობით მელიას მოგაგონებთ, რომელსაც სორო ისე ეშმაკურად მოუწყვია, შეუძლია სწორედ იმ წუთში დაგიძვრეთ ხელიდან, როცა დარწმუნებული ხართ, ეს არის, უკვე ხელთ ვიგდეო. ფილისტერ კატას ყველაზე დიდ სიამოვნებას საყვარელ ღუმელთან ჯდომა ანიჭებს; აქ იგი თავს უსაფრთხოდ გრძნობს. სახლის სახურავზე ასვლა კი სათავისო საქმედ არ მიაჩნია: თვალუწვდენელი სივრცის დანახვაზე თავბრუსხვევა ეწყება. ჩემო მეგობარო მურ, ახლა ხომ ხედავ, თუ როგორ ცხოვრებას ეწყვი? ყველაფერ ამას ისიც უნდა დაუძინო, რომ ბურში კატა გულწრფელობით, პატიოსნებითა და თავდადებით გამოირჩევა. იგი ყოველთვის მზადაა, დაეხმაროს მეგობარს და ამ დროს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ღირსების და სინდისის კარნახით მოქმედებს. ერთი სიტყვით, ბურში კატა ფილისტერი კატის სრული ანტიპოდაა. მე მგონია, სწორედ ამიტომ უნდა მოიწადინოთ, ფილისტერობაზე ხელი აიღოთ და ჭეშმარიტად წესიერ, ბურში კატად გადაიქცეთ.

აშკარად ვიგრძენი მუციუსის სიტყვების სამართლიანობა. მხოლოდ ახლად მივხვდი, რომ სიტყვა „ფილისტერის“ მნიშვნელო-

ბა არ ვიცოდი, თორემ თვითონ ამ ვაჟბატონების ხასიათი ჩემთვის კარგად ნაცნობი გახლდათ; განა ერთხელ და ორჯერ შევხვედრივარ ფილისტერებს, ჩვენი მოდგმის ამ უსაზიზღრეს წარმომადგენლებს, მთელი არსებით რომ მეზიზღებიან? ჰოდა, მით უფრო მტკივნეულად განვიცადე ჩემი შეცდომა, რისი წყალობითაც შეიძლება მეც ამ საძულველ ვაჟბატონთა რიგებში ამომეყო თავი. ამიტომაც გადავწყვიტე, ყურად მქონო მუციუსის რჩევა-დარიგება, იმ იმედით, რომ ჩემგან, რაც შეიძლება მალე დადგებოდა ჭეშმარიტი ბურში კატა. ერთხელ ვილაც ახალგაზრდა კაცი ჩემს პატრონს თავის ვერაგ მეგობარზე უყვებოდა და ძალიან გამიკვირდა, როდესაც ჩემთვის გაუგებარი, ძალზე უცნაური სახელი „გასლიქული ვაჟბატონი“ უწოდა. ჰოდა, ახლა გავიფიქრე, ზედსართავი „გასლიქული“ მშვენივრად მიესადაგება არსებით სახელს „ფილისტერს“-მეთქი, და ჩემი აზრი მუციუსს გაუზიარე. წარმოუთქვი თუ არა სიტყვა „გასლიქული“, მუციუსი სიხარულით ჰაერში შეტბა, მხურვალედ ჩამიკრა გულში და წამოიძახა:

— ძვირფასო მეგობარო, ახლა კი დაურწმუნდი, მშვენივრად გესმის ჩემი! დიახ, დიახ, სწორედ რომ „გასლიქული ფილისტერი“ გახლავთ კეთილშობილი ბურშების დაუძინებელი მტერი, და ჩვენი ვაღია უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვებრძოლოთ მას. დიახ, ჩემო მეგობარო, დღეს შენ დაამტკიცე, რომ არაჩვეულებრივი ყნოსვის პატრონი ხარ და მშვენივრად შეიცნობ ყოველივე კეთილშობილურსა და დიადს; ნება მიბოძე, ერთხელ კიდევ ჩაგიკრა მკერდში, სადაც ძვერს პატიოსანი გერმანული გული, — მუციუსი კვლავ გადამეხვია, მერე კი მაცნობა: ამაღამვე ვაპირებ შენს წაყვანას ბურშების თავყრილობაზე; შუაღამე რომ დადგება, სახურავზე გამოდი; ბურშების მამასახლისი პუფი პატარა პურმარილს მართავს და პირდაპირ საქეიფოდ წავალთო.

ოთახში ჩემი პატრონი შემოვიდა... მეც, ჩვეულებისამებრ, მის შესაგებებლად გაქანდი, ფეხებზე გავგლასუნე და იატაკზე დავიწყე კოტრიალი: ამით ვაგრძნობინე, ძალიან გამიხარდა შენი დანახვა-მეთქი. მუციუსიც სახუგაბრწყინებული, კმაყოფილებით შესცქეროდა მას. ჩემმა პატრონმა თავსა და კისერზე მომითათუნა ხელი, მერე ოთახი მოათვალიერა, და რაკი ნახა, ყველაფერი წესრიგში იყო, თქვა:



— აი, ყოჩაღ, რომ ასე წესიერად მოქცეულხართ! ახლა კი გეტყობათ, ზრდილი და წესიერი ყმაწვილები ბრძანდებით! ამისათვის ნამდვილად იმსახურებთ ჯილდოს!

ეს თქვა თუ არა, ჩემი პატრონი სამზარეულოსაკენ გაემართა. მე და მუციუსი მყისვე მოუხვდით კუთილ განზრახვას და მხიარული „მიაუ, მიაუს“ ძახილით უკან დაკედევნეთ! ჩემმა პატრონმა მართლაც გააღო სამზარეულოს კარადა და იქიდან ორი ვარიკიდან მორჩენილი ძვლები გადმოიღო. ეს ვარიკები მას წინადლით თვითონ მიერთვა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩემს მოდგმაში ყველაზე ნუგბარ საჭმლად ქათმის ძვლები ითვლება. სწორედ ამიტომ იყო, რომ მუციუსს თვალები გაუბრწყინდა, კუდი ნარნარად მიკლაკნ-მოკლაკნა და ხმამაღალი კრუტუნის მორთო, როცა ჩემმა პატრონმა ჯამი იატაკზე დაგვიდგა. მშვენიერად მახსოვდა, თუ რას ნიშნავდა „გასლიქული ფილისტერი“; ამიტომაც, რაც კი საუკეთესო ნაჭრები იყო: კისრები, აქაშები და კურტუმოები, ყველაფერი მუციუსს გადავუწყვე, თავად კი ფრთებისა და ბარკლების უხეში ძვლებით დაუკმაყოფილდი. როდესაც ძვლები პირწმინდად მოვასუფთავე, ერთი პირობა, დავაპირე, მეკითხა მუციუსისათვის, ერთ ფინჯან ტკბილ რძეს ხომ არ მიირთმევთ-მეთქი, მაგრამ „გასლიქული ფილისტერი“ არა და არ გამომდიოდა თავიდან, ამიტომაც ხელი ჩავიქნიე ყოველგვარ თავაზიანობაზე. ფინჯანი კარადის ქვეშ მეგულეობდა; დაუყოვნებლივ გამოვათრიე იქიდან და მუციუსს სულითა და გულით ვთხოვე, ჩემთან ერთად დაეღია რძე; თან მეგობრის სადღეგრძელო წარმოუთქვი და ჭიქა ჭიქას მოუჭახუნე. მუციუსმა პირწმინდად ამოტლიკა რძე, მერე თათი ჩამომართვა და სიხარულისაგან ცრემლმომდგარმა მითხრა:

— ჩემო მეგობარო, ჭეშმარიტად არაფერი გეთქმით, მართლაც რომ დარდიმანდულად ცხოვრობთ! მაგრამ თქვენ დაამტკიცეთ, რომ ალალი და კუთილშობილი გულის პატრონი ბრძანდებით, რომ შეგიძლიათ გაუძლოთ ნეტარი ცხოვრების ცდუნებებს და ფილისტერობის ჭაობში არ ჩაეფლოთ სულითა და გულით გიძღვნი მადლობას, ძვირფასო მეგობარო!

გერმანელ წინაპართა ადათ-წესებისამებრ გამოშშვიდობებისას ერთმანეთს თათი ჩამოვართვით გულაჩუყებულ მუციუსს, ალბათ, თვალზე მომდგარი ცრემლის დამალვა თუ უნდოდა, ელვისებური

ნახტომით ისკუპა ღია ფანჯრიდან სახურავზე. ბუნებას ჩემთვის მოქნილობა არ დაუშურებია და აკი ზამბარისებური ძლიერი კუნთებითაც დამაჯილდოვა, მაგრამ თავად მეც კი გამაოცა ჩემი მეგობრის გაბედულმა ნახტომმა. პოდა, ერთხელ კიდევ ჩამოვარდა ხელში შემთხვევა, ხოტბა-დიდება შემესხა კატათა მოდგმისათვის: ჩვენ ხომ ბუნებით გაწაფულ მუშაითებად ვითვლებით, ასე რომ, არც ღერძი გვჭირდება და არც ორძელი.

ამის გარდა, მუციუსის მაგალითმა დამარწმუნა, რომ უხეში და უსიამო გარეგნობის კაცი ხშირად შეიძლება ნაზი და მგრძობიარე გულის პატრონიც გახლდეთ.

ოთახში შევბრუნდი და ღუმელქვეშ მოვიკალათე. აქ, სიმარტოვეში, თვალი გადავავლე მთელს ჩემს განვლილ ცხოვრებას, გამახსენდა ჩემი ამასწინანდელი სულიერი განწყობა და შემზარა იმის გაფიქრებამ, თუ რა ახლოს ვიდექი უფსკრულთან. რა თქმა უნდა, იმ წუთში, აბურძგნილი და აჩეჩილბეწვიანი მუციუსი ჩემს მხსნელ ანგელოზად ჩავთვალე. პოდა, მაშინ გადავწყვიტე: ახალ სამყაროში უნდა შევბიჯო, როგორმე ამოვავსო ჩემს სულში დასადგურებული სიცარიელე და სულ სხვა კატად გადავიქცე-მეთქი! ო, დიდი და გაურკვეველი სიხარულის მოლოდინში რა ძალუმად მიცემდა გული!

შუალამემდე ჯერ კარგა დიდი დრო იყო, როცა ჩემს პატრონს შევკნაულე, გარეთ გამიშვი-მეთქი.

— დიდი სიამოვნებით, მურ, დიდი სიამოვნებით! — მითხრა მან და კარი გამიღო, — აბა, რას გარგებს დღენიადაგ ღუმელქვეშ წოლა და ძილი. წადი, წადი, ისევ გაერიე საზოგადოებაში, სცადე კატებთან ყოფნა. იქნებ ბედმა გაგიღიმოს და შენი ჭკუის უღვაშა ყმაწვილკაცებს შეხვდეს, მათთან გონივრულ მსჯელობას მოჰყვე და გაერთო კიდევ.

ოჰ, ჩემს პატრონს თითქოს გულმა უგრძობო, ახალი ცხოვრების ზღურბლთან რომ ვიდექი! როგორც კი შუალამემ მოატანა, მუციუსმა მომაკითხა, მეზობელი სახლების სახურავები გადამატარა და ბოლოს, ბანოვით ბრტყელ იტალიურ სახურავზე გადამიყვანა. აქ ხმამაღალი შეძახილებითა და მხიარული ყიჟინით შემოგვეგება ათი ზორბა, მაგრამ მუციუსით დაუდევრად და უცნაურად ჩაცმული ჭაბუკი კატა. მუციუსმა მეგობრებს გააცნო ჩემი თავი, მერე კი ჩემს ღირსებებს: ერთგულებასა და პატიოსნებას გაუსვა ხაზი. განსაკუთ-



რებით კი სტუმართმოყვარეობა შემიქო და აღნიშნა, როგორ გული-  
თადად გაეუმასპინძლდი მას შემწვარი თევზით, ქათმის ძვლებითა და  
რძით დასასრულ, მუციუსმა დამსწრეთ მოახსენა, ახალ მეგობარს  
სურს ჩვენი კავშირის წვერი გახდეს და ბურში კატის პატიოსანი  
სახელი დაიმსახუროსო. ყველა ყაბულს იყო.

ამას საზეიმო ნაწილიც მოჰყვა, მაგრამ ამის თაობაზე აღარაფერს  
ვიტყვი, რამეთუ ჩემი მოდგმის კეთილ მკითხველებს შესაძლოა, ეჭვი  
აღედრათ, თითქოს რომელიღაც აკრძალული ორდენის წვერი გაუხ-  
დი და ვაითუ, ამისათვის პასუხიც კი მომთხოვონ. მაგრამ სრულიად  
გულწრფელად გარწმუნებთ, რომ ამ შემთხვევაში ლაპარაკიც კი არ  
შეიძლებოდა ყოფილიყო საიდუმლო ორდენზე და მასთან დაკავში-  
რებულ ისეთ ცნებებზე, როგორიცაა სტატუტები, საიდუმლო ნიშნე-  
ბი და ა.შ. ჩვენი კავშირი მხოლოდ შეხედულებათა ერთიანობაზე იყო  
დამყარებული, რადგან მალე გამოირკვა, რომ ყოველი ჩვენგანი ტკ-  
ბილ რძეს ამჯობინებდა წყალს, ხოლო შემწვარი ხორცი პურს ერჩია.

საზეიმო ნაწილის დამთავრების შემდეგ ყველა კატა ძმურად მე-  
ამბორა, თათი ჩამომართვა და უკვე ყველა „შენობით“ მომმართაუდა.  
მერე ის იყო, უბრალო, მაგრამ მხიარული პურისჭამა გაიმართა,  
რაც თანდათანობით კარგა გვარიან დროსტარებაში გადაიზარდა.  
მუციუსმა ჩვენებური ბურახი მოაშხადა: ის ხომ კატების საყვარელ  
სასმლად ითვლება! ვინმე კაი ჭამა-სმის მოყვარულმა კატამ რომ  
მკითხოს, როგორ მზადდება ეს შესანიშნავი სასმელიო, საჭირო მი-  
თითებებს ვერც კი მივცემ. მხოლოდ ის ვიცი, რომ ასეთ განუმეორე-  
ბელ სურნელებას და ესოდენ სიმაგრეს იმით აღწევენ, რომ სასმელ-  
ში ბლომად ურევენ ქაშაყის წვენს.

მერე მამასახლისმა პუფმა შესანიშნავი სიმღერა „*Gaudeamus igi-  
tur*“<sup>1</sup> დასჭეჭა, ისე, რომ მისი ომახიანი ხმა სახურავებზე კარგა შორს  
ისმოდა. ენით აუწერელი ნეტარებით შეპყრობილი ვგრძნობდი, რომ  
სულით ხორცამდე ჭეშმარიტი „*juvenis*“<sup>2</sup> ვიყავი, და სრულიადაც  
არ მინდოდა მეფიქრა „*tumulus*“<sup>3</sup>-ზე, უღმობელი ბედისწერა ასე  
იშვიათად რომ იმეტებს ხოლმე ჩვენთვის ამ დალოცვილ დედამიწა-

<sup>1</sup> „*Gaudeamus igitur!*“ — „მოდი, მოვილხინოთ!“ — დასაწყისი ძველი ლათინური  
სტუდენტური სიმღერისა.

<sup>2</sup> ყმაწვილი, ჭაბუკი (ლათ).

<sup>3</sup> სამარე (ლათ).

ზე. მერე ბევრი სხვა მშვენიერი სიმღერაც ვიმღერეთ, როგორცაა, მაგალითად: „დაე, პოლიტიკოსებმა ილაქლაქონ“.<sup>1</sup> და აი, ბოლოს, გამასახლისმა პუფმა მძლავრად დაჰკრა მაგიდას თავისი ღონიერი ტორი და გამოაცხადა, ახლა კი დროა ისეთი სიმღერა დავაგუგუნოთ, რაც ახლანდელ საზეიმო წუთს შეჰფერისო, სახელდობრ კი შთამაგონებელი „Ecce quam bonum“<sup>2</sup>... და მაშინვე წამოიწყო. გუნდიც აჰყვა: „Ecce“ და ა.შ.

უწინ არასოდეს მომესმინა ეს საოცრად ღრმააზროვანი, კომპოზიციურად უზადოდ შეკრული, ჭეშმარიტად ტკბილხმიანი, პარმონიული მუსიკა, რომელსაც სამართლიანად შეიძლება იდუმალი და მშვენიერი უწოდოს კაცმა. რამდენადაც ვიცი, მისი შემოქმედი უცნობია. ერთნი მას გენიალურ ჰენდელს მიაწერენ, მეორენი კი ირწმუნებიან, ჯერ კიდევ ჰენდელამდე დიდი ხნით ადრე არსებობდაო, რადგან ვიტენბერგული ქრონიკის თანახმად ამ სიმღერას ჯერ კიდევ მაშინ მღეროდნენ, როცა პრინცი ჰამლეტი ფუქსი<sup>3</sup> გახლდათო. მაგრამ, განა სულერთი არ არის, ვინც იქნებოდა ამ სიმღერის ავტორი? ეს ხომ ერთ-ერთი ბრწყინვალე, უკვდავი ქმნილებათაგანია! ყველაზე მეტად კი მასში ის აოცებს კაცს, რომ გუნდთან ოსტატურად არის შერწყმული, ხოლო მომღერალს უდიდეს შესაძლებლობებს უქმნის სასიამოვნო და დაუშრეტელი იმპროვიზაციისათვის. იმ ღამეს მოსმენილი ზოგიერთი სიმღერა გონებამ ცოცხლად შემოინახა.

ის-ის იყო, გუნდი დადუმდა, რომ ჭრულა ჭაბუკმა მოულოდნელად შემოსძახა:

„ფინია ფინიასავით წკავის,  
 პუდელს კი ხმა აქვს ზარიანი.  
 ერთს საჯდომით მოაქვს თავი,  
 მეორეს — დრუნჩით გვარიანით“.

<sup>1</sup> „დაე, პოლიტიკოსებმა ილაქლაქონ“ — გერმანელი პოეტის, ლეოპოლდ ფრიდრიხ გიუნტერ ფონ გიოკინგის (1748-1828) სიმღერა, გამოქვეყნებული „სუფრული სიმღერის“ (1783) სათაურით.

<sup>2</sup> „Ecce quam bonum“... („შეზე, რა მშვენიერია“... (ლათ.)) — ძველებური სტუდენტური სიმღერა, რომლის ტექსტზეც პოფმანმა დაწერა „ბურში კატების სიმღერა“ (1819).

<sup>3</sup> გერმანიაში ფუქსებს (მელიებს) უწოდებდნენ უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტებს.



გ უ ნ დ ი

*Ecce quam* და ა.შ.

გუნდმა რომ დაამთავრა, ნაცარა კატამ წამოიწყო:

„მოდის ფილისტერი, შებეთ!  
სუყველას ქუდს უხდის ნისიად.  
თავი ისე მოაქვს ყვეყჩს,  
თითქოს ეს ქვეყანა მისია“.

გ უ ნ დ ი

*Ecce quam* და ა.შ.

ახლა მწითურის ჯერი დადგა:

„ჩიტი ლაჟვარდ ცაში დაქრის,  
თევზი ოკვანეს სერაუს,  
ბოლოც ეზრდებათ და ფარფლიც,  
აჯობებ რომელიმეს? — ვერა!“

გ უ ნ დ ი

*Ecce quam* და ა.შ.

ამას თეთრამ მიაბა:

„კნაუის და კრუტუნებს, კრუტუნებს, კნაუის, —  
ნუ შვეშინდება, რომ ნაბაუს თვალებს.  
მაგრამ ოდნაუ მაინც თუ გიყვარს თავი,  
ერიდე მისსავე ბრჭყალებს“.

გ უ ნ დ ი

*Ecce quam* და ა.შ.

ჩემმა მეგობარმა მუციუსმა ასე წაიმღერა:

„ბატონ მაიმუნს ასწვია კუჭი,  
თვლებით გაგვზომა წაბილწულმა.  
პირი გაილოკა, ასწია დრუნჩი, —  
ეტყობა, აღარ შეგვკვამს, დაგვიწუნა“.

გ უ ნ დ ი

*Ecce quam* და ა.შ.

მუციუსის გვერდით მე ვიჯექი და ახლა ჩემი შაირობის ჯერიც დადგა. აქამდე მოსმენილი ყველა სიმღერა ისე განსხვავდებოდა ჩემი ლექსებისგან, რომ უნებლიეთ შიშმა და მოუსვენრობამ შემიპყრო, ვაითუ, ვერ შევძლო ჩემი ძმაკაცებისათვის მხარის აბმა და დაჯარღვიო კომპოზიციურად თუ მელოდიურად ასე უზადოდ შეკრული ქმნილება-მეთქი. გუნდმა სიმღერა დაამთავრა, მე კი კვლავ ვდუმდი. ბევრმა უკვე სასმისიც კი ასწია და წამოიძახა „pro poena“<sup>1</sup>-ო, მაგრამ, აქ კი მოვიკრიბე მთელი ჩემი ძალ-ღონე და წამოვიწყე:

„ფილისტერის ჯინაზე,  
მტერს ვეკვეთათ თათებით,  
განა ტყუილად გვქვია  
დარდიმანდი კატები?!“

გ უ ნ დ ი

*Ecce quam* და ა.შ.

ჩემს მუნასიბად ნათქვამ სიმღერას დიდი წარმატება ხვდა წილად. აღფრთოვანებული ყმაწვილკატები მხიარული შეძახილებით გამოემართნენ ჩემკენ, სიყვარულით მითათუნებდნენ მხრებზე თათებს და სასოებით მიკრაუდნენ მთართოლარე მკერდზე. ასე და ამრიგად, აქაც აღიარეს, რომ გენიოსი ვარ ეს ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი წუთი გახლდათ მერე ცნობილი, სახელგანთქმული კატებიც მოვიხსენიეთ, განსაკუთრებით კი ისინი, სახელისა და დიდების მიუხედავად, ფილისტერობის ჭაობში ჩაფლობას რომ

<sup>1</sup>ჯარიმა (ლათ).



გადაურჩნენ, და სიტყვითაც და საქმითაც დაამტკიცეს ეს... ბოლოს მათ პატოსაცემად მგზნებარე „ვაშაც“ დავჭექეთ. ამის შემდეგ ერთ-მანეთს დავემშვიდობეთ და დავიშალეთ.

მაგრამ სასმელი თავში ამოვარდა. ასე მეგონა, სახურავი თათბ-ქვეშ ირწეოდა. ფეხზე ძლივსლა ვიდექი და წონასწორობას იმით-ლა ვინარჩუნებდი, რომ საკუთარ კუდს ვიყენებდი ყავარჯნად. ჩემმა ერთგულმა მუციუსმა შეამჩნია, რა მძიმე მდგომარეობაში ვიყავი, მხრებქვეშ შემიდგა და სახლამდე მშვიდობიანად მიმიყვანა, მერე კი სარკმლიდან ოთახშიც გადამაძვრინა. თავი საშინლად მქონდა დამ-ძიმებული, რაც ესოდენ უჩვეულო იყო ჩემთვის და კიდევ დიდხანს ვერ...

(სამაკ. თაბ.) ...მე ეს შორსმჭვრეტელ ბენცონზე უკეთ ვიცოდი; მაგრამ, ჩემო სულის თანაზიარო, იმას კი ვერაფრით ვიფიქრებდი, რომ სწორედ დღეს, სწორედ ახლა შევითვობდი შენს ამბავს! — თქვა გახარებულმა და გაოცებულმა მაესტრო აბრაჰამმა, როდესაც მიღე-ბულ ბარათზე კრაისლერის ხელი შეიცნო. მერე ისე, რომ არ გაუხს-ნია, მაგიდის უჯრაში შეინახა, თვითონ კი პარკისაკენ დაუყვა გზას.

მაესტრო აბრაჰამს უკვე კარგა ხანია ჩვეულებად გადაქცეოდა, საათობით, ხანდახან კი მთელი დღეებითაც არ გაეხსნა მიღებული ბარათი. „თუკი ბარათში არაფერია მნიშვნელოვანიო, — იტყო-და ხოლმე მაესტრო, — ამ შეყოვნებით არაფერს ვაგებ. თუ მასში რაიმე არასასიამოვნო ამბავს მატყობინებენ, მაშინ ჯერ კიდევ შე-მიძლია დავტკბე მხიარულად თუ არა, უდარდელად გატარებული რამდენიმე საათით მაინც. ხოლო თუ ბარათში რაიმე სასიხარულო ცნობაა, დარბაისელ კაცს უნდა ეყოს ცოტაოდენი მოთმინება, არ გახსნას იგი, რათა შემდეგ უფრო ცხოვლად შეიგრძნოს განცდი-ლი სიხარულიო“. მაესტრო აბრაჰამის ეს ჩვეულება აშკარად გა-კიცხვის ღირსია; სავსებით ცხადია, რომ ვინც დაუყოვნებლივ არ კითხულობს მიღებულ ბარათს, არც საუაჭრო საქმეში გამოდგება და ვერც მწერალ-პუბლიცისტად ივარგებს; ზემონათქვამიდან ისიც სავსებით აშკარაა, თუ რამდენ რამეს კარგავს ცხოვრებაში ადამია-ნი, ვინც ვერც მწერლად ივარგა და ვერც ვაჭრად. ხოლო რაც შე-ეხება თქვენთვის უკვე ნაცნობ ბიოგრაფს, უნდა მოგახსენოთ, რომ იგი ძალზე ეჭვის თვალთ უყურებს მაესტრო აბრაჰამის ვაჟკაცურ

გულგრილობას და მის ამ ჩვეულებას ბარათში მოთავსებული იდუ-  
მალი ამბებისადმი შიშით ხსნის. ადამიანი რაღაც საესებით უჩვეუ-  
ლო სიამოვნებას განიცდის ბარათის მიღების დროს. ამიტომაც, რომ  
განსაკუთრებულად თბილი გრძნობით ვიმსჭვალებით ხოლმე იმათ  
მიმართ, ვინც უშუალოდაა დაკავშირებული ამ სიამოვნებასთან. რო-  
გორც უკვე შენიშნა რომელიღაც მახვილგონიერმა მწერალმა, ეს  
ადამიანები ბარათების დამტარებლები გახლავან. დიახ, კაცმა ამას  
შესაძლოა სასიამოვნო თვითმოტყუება უწოდოს. ბიოგრაფს ამას-  
თან დაკავშირებით ასეთი შემთხვევა გაახსენდა: ერთხელ, უნივერსი-  
ტეტში სწავლისას, იგი მოუთმენლად ელოდა თურმე უსტარს ერთი  
წარმტაცი ასულისაგან. ლოდინით გატანჯული, თვალცრემლიანი  
ვედრობოდა დამტარებელს, თუ მალე მომიტან ბარათს მშობლიური  
ქალაქიდან, პატოვისცემა ჩემზე იყოსო. მანაც ეშმაკური ღიმილით  
აღუთქვა, აუცილებლად შეგისრულებ თხოვნასო. რამდენიმე დღის  
შემდეგ ბარათი მართლაც მოვიდა და დამტარებელმა ისეთი საზეი-  
მო სახით გადასცა იგი პატრონს, თითქოს მართლა მასზე ყოფილი-  
ყოს დამოკიდებული ამ ბარათის ბედ-იღბალი. მერე კი ყოველგვარი  
სინდისის ქენჯნის გარეშე აიღო შეპირებული გასამრჯელო. ისე კი,  
კაცმა რომ თქვას, ეტყობა, ბიოგრაფი ძალზე განწყობილია, მო-  
იტყუოს თავი და იმას კი არ დაგიდევს, ძვირფასო მკითხველო, ბა-  
რათის გახსნის დროს შენც იგივე გრძნობა გეუფლება თუ არა, არც  
იმას კითხულობს, შენც განიცდი უდიდეს სიხარულთან შეზავებულ  
უცნაურ შიშის გრძნობას, გულს ბაგაბუგს რომ აწყებინებს ხოლმე,  
მაშინაც კი, როცა წერილში საამისო არაფერი წერია? იქნებ ჩვენში  
ამ დროს სწორედ ის გრძნობა იღვიძებს, მომავლის წყვდიადში რომ  
გვახედებს და გულს გვიკუმშავს? აი, სწორედ ამის გამოა ხოლმე  
ეს წუთი საესე ასეთი დაძაბულობითა და აუხსნელი ძრწოლით, რომ  
თითის ერთი დაკარება საკმარისია, რათა იდუმალი აშკარა გახდეს.  
ვაგლახ! რამდენი ტკბილი იმედი დაუმსხვრევია ბედის მსახვრალ  
ხელს, რამდენი სანუკვარი ოცნება, გულმხურვალე, შმაგი სურვი-  
ლი უქცევია ნაცარტუტად! ეს პატარა ფარატინა ქალაღდი თითქოს  
ჯადოსნურ ძალას იძენსო! მთლიანად წაუღეკია და ხრიოკად უქ-  
ცევია წალკოტი, სადაც ოცნებად გვექონდა გადაქცეული ხეტიალი,  
და ამიერიდან ცხოვრება ერთ დიდ უკაცრიელ, მოსაწყენ უდაბნოდ  
მოგვიჩვენებია! მაგრამ თუ კაცს მხნეობის მოკრება გჭირდება იმი-



სათვის, რომ თითების ოდნავი შეხებით გახსნა ეს დახშული იდუმალება, მაშინ, მოდი, ნუ გავკიცხავთ მანესტრო აბრაჰამს ზემოხსენებული ჩვეულებისათვის. მით უმეტეს, რომ ეს უცნაურობა ჩვენს ბიოგრაფს დასჩემდა იმ დღიდან, როცა ყველა მიღებული ბარათი ჰანდორას ყუთს<sup>1</sup> აგონებდა და ეგონა, იქიდან გახსნისთანავე ათასგვარი უბედურება და მწუხარება უნდა გადმოფრქვეულიყო. და, თუმცა, მანესტრო აბრაჰამმა კაპელმაისტერის ბარათი ამჯერად საწერი მაგიდის უჯრაში ჩაკეტა და თვითონ სასეირნოდ გასწია, ჩვენი ძვირფასი მკითხველი მაინც დაუყოვნებლოვ შეიტყობს მის შინაარსს. აი, რას იწერებოდა იოჰანეს კრაისლერი:

ძვირფასო მანესტრო!

„*La fin couronne les œuvres*“;<sup>2</sup> — გახსოვთ, როგორ შესძახებს ლორდი კლიფორდი შექსპირის „ჰენრიხ VI“-ში, როცა მას ბრწყინვალე იორკელი ჰერცოგი სასიკვდილო ლახვარს ჩასცემს? მეც თამამად შემიძლია გავიმეორო მისი სიტყვები, რამეთუ ღმერთია მოწამე, ტყვიით დაცხრილული ჩემი ქუდი ბუჩქებში გადავარდა, თავად მე კი იმ მეომაროვით დავემხე პირქვე, რომელზედაც იტყვიან ხოლმე, ბრძოლის ველზე დაეცაო. ასეთ ადამიანებს, ძვირფასო მანესტრო, ჩვეულებისამებრ, აღარ უწერიათ ხოლმე ფეხზე წამოდგომა; თქვენმა იოჰანესმა კი, შეძლო მოემოქმედა ეს და თანაც ყოველგვარი დახანების გარეშე. ჩემი მძიმედ დაჭრილი მეგობარი, ესე იგი, ჩემი ქუდი, ჩემს მხარდამხარ კი არ დაცემულა, არამედ თავზე გადამიქროლა, ანდა უფრო სწორად რომ ვთქვათ, თავიდან გადამიფრინდა და მე ვეღარ შევძელი მეზრუნა მასზე, რამდენადაც ამ დროს მხოლოდ და მხოლოდ იმასლა ვფიქრობდი, როგორ გამეკეთებინა გვერდულა ნახტომი — აქ სიტყვა ნახტომს ვხმარობ არა ფილოსოფიური თვალსაზრისით, არამედ წმინდა მუშაითური ილეთის მნიშვნელობით — დიახ, მთელი ჩემი ფიქრი იმისკენ იყო მიმართული, როგორ ამეცილებინა თავიდან დამბაჩის ლულა, ვილაცა არამზადა ორიოდე ნაბიჯის მოშორებით რომ მიმიზნებდა. მაგრამ მე უფრო

<sup>1</sup> ჰანდორას ყუთი — ჰანდორა — ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ქალი, რომელიც ცნობისმოყვარეობას ვერ მოერიდა და გახსნა ღმერთების მირ ნაჩუქარი ყუთი. მასში მოთავსებული იყო ყველა ადამიანური ტანჯვა-წამება, უბედურება და აუღმყოფობანი.

<sup>2</sup> ხე ნაყოფით იცნობაო (ფრანგ.).

შეტის გაკეთებაც მოვახერხე: თავდაცვიდან უეცრად შეტევაზე გადა-  
ვედი, კეკეოთ თავდამსხმელს და ყოველგვარი დაჟიღარების გარეშე  
დაშნით გავუპე გული. მაესტრო, თქვენ ყოველთვის მსაყვედურობ-  
დით, ისტორიული ამბების გადმოცემაში მოიკოჭლებ და ვერაფრის  
მოყოლას ვერ ახერხებ ზედმეტი სიტყვებისა და ლირიკული წიაღ-  
სვლების გარეშეო. აბა, ახლა რაღას იტყოდით, ხომ სხარტად და  
მოხდენილად აღგიწერეთ ჩემი იტალიური თავგადასაყალი, ზიგჰარ-  
ტსპოფის პარკში რომ გადამხდა თავს? ჰო, მართლა, ჩვენი დიდბუნე-  
ბოიანი მთავარი ისე გონივრულად მართავს ქვეყანას, რომ სასახლის  
კარზე აუზაკებიც კი სრულიად თავისუფლად დათარეშობენ! არ ვი-  
ცი, იქნებ ამას იმისთვის სჩადის, რომ ჩვენი ცხოვრება კიდევ უფრო  
წარმტაცი და საამური გახადოს?

ძვირფასო მაესტრო, ყოველივე ზემოთქმული იმ ქრონიკის მოკ-  
ლე შინაარსი გახლავთ, თქვენთვის რომ ვაპირებ მოწერას ჩვეულებ-  
რივი ბარათის ნაცვლად, თუკი ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას  
ჩემმა სუსტმა ნებისყოფამ და ბატონმა პრიორმა არ შეუშალებს ხე-  
ლი. თავად ჩემს თავგადასაყალს ტყეში მხოლოდ ცოტაოდენი რამ თუ  
შეიძლება დაუმატოს კაცმა. ტყვიამ ყურთან გამიზუზუნა თუ არა,  
უმაღლ მოვხვდი, რომ ეს საჩუქარი ჩემთვის გაეშხადებინა ვილაცას,  
რამეთუ მიწაზე დაცემისას თავში მწვავე ტკივილი ვიგრძენი. ტყუ-  
ილად ხომ არ მეუბნებოდა გენიონესმიულის კონრექტორი, ჯიუტი  
თავი გაბია მხრებზეო. ჩემი თავნება გოგრა მართლაც რომ ვაჟკა-  
ცური შემართებით დაუხვდა მუხანათ ტყვიას, ასე რომ, ჭრილობამ  
ოდნავ შესამჩნევი კვალი დამიტოვა მხოლოდ. მაგრამ, ძვირფასო მა-  
ესტრო, უმორჩილესად გთხოვ, რაც შეიძლება სწრაფად მაცნობოთ,  
დღეს საღამოსთვის იქნება თუ, უკიდურეს შემთხვევაში, ხვალ დი-  
ლისთვის მაინც, ვისი სხეული გამსჭვალა ჩემმა დაშნამ! ძალიან მე-  
სიამოვნებოდა, თუკი შევიტყობდი, რომ ჩემი მახვილით დაღვრილი  
სისხლი უბრალო მოკვდავს არ ეკუთვნის, არამედ მასში პრინციის  
რამდენიმე წვეთი იხორიც<sup>1</sup> არის გარეული... — ყოველ შემთხვევაში,  
იმედს არ ვკარგავ, რომ ეს ასე იქნება! დიახ, მაესტრო. აღსრულდა!  
როგორც ხედავთ, ბედისწერამ მაინც ჩამადენინა ის დანაშაული, ავი-  
სული რომ მიწინასწარმეტყველებდა იქ, თქვენთან, მეთევზის ქოხში!

<sup>1</sup> იხორი (ძვ. ბერძ. ἰχθῆρ) — ბერძნულ მითოლოგიაში: ღმერთების სისხლი.



ნუთუ ის ჩემი პაწია დაშნა, როგორც კი თავის დასაცავად ვიძვრე, მაშინვე ნემეზიდას საშინელ მახვილად გადაიქცა, ბოროტებაზე რომ იძიებს ხოლმე შურს? მაესტრო, რაც შეიძლება წვრილად მაცნობეთ ყველაფერი, და უპირველეს ყოვლისა, მომწერეთ, რა იარაღი ჩამიგდეთ ხელში, ესე იგი, გამაგებინეთ, რას ნიშნავდა ის პატარა სურათი, მაშინ რომ მომეცით? მაგრამ არა, არა, არაფერი მითხრათ ამის შესახებ! დაე, ეს საშინელი ურჩხული, ვის დანახვაზეც თვით გამოუსწორებელი ავაზაკიც კი შეკრთა და აკანკალდა, ჩემთვის ამოუცნობ საიდუმლოდ დარჩეს. ასე მგონია, ეს ავგაროზი მყისვე დაკარგავს-მეთქი თილისძის ძალას, როგორც კი შევიტყობ, რა განგებით გადაიქცა იგი გრძნეულ იარაღად. დამიჯერებთ, მაესტრო, დღემდე წესიერად არც კი დამიხედავს იმ პატარა სურათისთვის! დადგება დრო, როცა ყველაფერს მიაშობთ, რისი ცოდნაც საჭიროა ჩემთვის, მე კი მაშინვე უკან დაგიბრუნებთ თქვენს ავგაროზს. მაშ, ასე, ჯერჯერობით ხმა-კრინტს ნულარ დაუძრავთ ამაზე! ახლა კი, კვლავ ჩემი თავგადასავლის თხრობას განვაგრძობ!

ჩავეც თუ არა დაშნა ზემოხსენებულ მაგან მტერს და დავინახე თუ არა, რომ უხმოდ დაეცა მიწაზე, აღარ დამიყოვნებია; მაშინვე ფეხმარდი აიაქსოვით<sup>1</sup> მოვკურცხლე, რადგან პარკში რაღაც ხმები ისმოდა და ვგრძნობდი, ჯერ კიდევ საფრთხეში ვიმყოფებოდი. გადავწყვიტე, ზიგპარტსუაილერში გავქცეულიყავი, მაგრამ ღამის სიბნელეში გზა ამებნა; სულ უფრო და უფრო ვუჩქარებდი ნაბიჯს და ჯერ კიდევ არ ვკარგავდი იმედს, რომ სწორ გზას დაუდგებოდი; ბოლოს გადაუახტი თხრილს, ციცაბო გორაკზე ავირბინე და ღონემიხდილი იქვე ბუჩქნარში დავეშვი. მოულოდნელად თითქოს თვალებიდან ნაპერწკლები გადმომცვივდაო, თავის არეში საშინელი ტკივილი ვიგრძენი და ღრმა ბურანიდან გამოვერკვიე. ჭრილობიდან კარგა ბლომად გამოეჟონა სისხლს. ცხვირსახოცით თავი ისე მარჯვედ შევიხვიე, ჩემი ნახელავი ბრძოლის ველზე გაწაფულ დასტაქარსაც კი შეშურდებოდა და მხიარულად მიმოუავლე თვალი გარემოს. ჩემს ახლოს ზვიადად აღმართულიყო სასახლის ნანგრევები. ალბათ, მიხედვით, მაესტრო, რომ ჩემდა გასაკვირვად, გაიერშტაინში ამოყავი თავი.

<sup>1</sup> ფეხმარდი აიაქსი — ტროის ომის ლეგენდარული გმირი. პომპროსი მას უხსრავებს მორბენლად და შესანიშნავ მშეილდოსნად გვიხატავს.

ჭრილობა დაძვინდა, თავს მხნედ და მსუბუქად ვგრძნობდი. ბუჩქებმა მშვენივრად გამიწია სარეცლის მაგორობა. ახლა კი, როცა მზე ამოიწვერა და თავისი კაშკაშა სხივები ძვირფასი რამ ძღვენივით მხიარულად მიმოაბნია ტყესა და მინდვრებს, მეც გამოუძვერი ჩემი საფრიდან; ჩიტუნები ბუჩქნარში ჟღერტულით ხვდებოდნენ განთიადს, ფრთებს ისველებდნენ მაგრილებელ დილის ნაშში და ჰაერში კამარას კრავდნენ. შორს, ქვევით, ზიგჰარტსჰოფი ჯერ კიდევ ღამის წყვდიადში იყო გახვეული, მაგრამ სიბნელე მალე გაიფანტა და მზის ოქროსფერი სხივებით მოვარაყებულ ბუჩქები და ხეები გამოჩნდა. ტბის მოსარკული ზედაპირი თვალისმომჭრელად ბზინავდა. მეთევზის ქოხი აქედან პატარა, თუთრ წერტილად მოჩანდა; მერე ხიდიც კი მოუძებნე თვალით. გუშინდელი დღე მთელი სიცხადით დაძვინდა თვალწინ, მაგრამ ასე მგონა, თითქოს იგი გარდასულ დღეთა ნაკადს შერთვოდა, თავად მისგან კი აღარაფერი დარჩენილიყო. ამ დღესთან ახლა მწუხარე მოგონებალა მაკავშირებდა, აი, ისეთი, კაცს რომ შეიპყრობს ხოლმე, როცა იცის, რომ რაღაც ძვირფასს სამუდამოდ კარგავს, რაიც ერთდროულად სულსაც უშფოთებს და ტკბილი ნეტარებითაც ავსებს. „ტაკიმასხარავ, ვითომ რისი თქმა გსურს მაგით? აბა, ერთი მოგვახსენე, რა დაკარგე სამუდამოდ იმ დიდი ხნის წინ გარდასულ გუშინდელ დღეს?“ — ყურში ჩამესმის თქვენი ეს სიტყვები, მაესტრო. ეჰ, ჩემო მგობარო! აი, ერთხელ კიდევ ავდივარ გაიერშტაინის ეულ მწვერვალზე, კვლავ ვშლი მკლავებს არწივის ფრთებივით, მწყურია ნაზარდი იქ, სადაც მეუფება ციურ მშვენიერებას უპყრია ხელთ; სადაც დაუსადგურებია სიყვარულს, რომლისთვისაც არ არსებობს არც დრო, არც სივრცე, რამეთუ იგიც ისეთივე მარადიულია, ვითარცა მსოფლიო სული, და აი, ახლა ამ სიყვარულმა ამავესო წინასწარმეტყველური ციური ჰანგებით, დაუოკებელ სურვილსა და დაუცხრომელ სწრაფვას რომ განასახიერებენ. უკვე ვიცი, ზუსტად ცხვირწინ ჩამომიჯდება გუდამშიერი მოწინააღმდეგე, — ეშმაკმა დალახვროს მისი თავი! — და მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ მოიპოვოს პური თავისი არსობისა, დამცინავი ხმით შემეკითხება, განა შეიძლება ბგერას ლურჯი თვალები ჰქონდესო? მეც ვცდილობ სარწმუნოდ დაჯასაბუთო, რომ ბგერა გახლავთ სხივი, რომელიც თავის დასაბამს სინათლის სამეფოში პოუებს და ღრუბელთა დაფლეთილი საფარულიდან



გამოკრთება ხოლმე. მაგრამ მოწინააღმდეგე არ მეპუება და დამცინავი ხმით მეკითხება: „მაშ, ისე გამოდის, რომ მარტო, ხუფთა ბგერას შუბლიც უნდა ჰქონდეს, თმაც, ტუჩებიც და ხელ-ფეხიცო?“<sup>1</sup> ო, ღმერთო ჩემო, ვიცო, რისი თქმაც უნდა ამ უქნარას; ჯერჯერობით ამ ვაებატონისა და სხვა დანარჩენების მსგავსად მეც *glebae adscriptus*<sup>1</sup>-ი ვარ, ჯერჯერობით ჩვენ ყველანი მარტო შხის სხივებით კი არ ვიკვებებით და მხოლოდ მეცნიერულ კათედრებზე კი არა ვართ წამოჭიმული, არამედ დროდადრო იძულებული ვართ, სხვა ადგილებზედაც ჩამოვსხდეთ ხოლმე, — აი, ეს გახლავთ ის მარადიული ტრფობა და მარად დაუოკებელი ხურვილი, არასდროს არაფერს რომ არ ნატრობს, საკუთარი თავის გარდა, და რაზუდაც ყველა ხულელს შეუძლია ილაქლაქოს... მაესტრო, სრულიადაც არ მინდა, იმ ჩემი გუდამშვიერი მოწინააღმდეგის ბანაკში აღმოჩნდეთ, ეს ძალზე არასასიამოვნო იქნებოდა ჩემთვის. აი, თვითონ მითხარით, ნუთუ არსებობს თუნდაც ერთი ისეთი მიზეზი, რომელიც ამის გაკეთებას გაიძულებდათ? როგორ ფიქრობთ, განა ოდესმე გამოძიმელაუნება მიდრეკილება ბავშვური სისულელეებისადმი? სიმწიფის წლებს განა ისე არ მივალწიე, რომ შევძელ შემენარჩუნებინა ფხიზელი გონება? ჩვენი ძმა რომეოსაუით განა ოდესმე ხელთათმნად გადაქცევა მინატრია<sup>2</sup> მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ შევხებოდი ლოჯას? მაესტრო, მოგეხსენებათ, ენა უძვლოა; ამიტომაც, ვინც რა უნდა, ისა თქვას, მე კი თავში მუსიკის მეტი არაფერი მიტრიალებს, ხოლო გული და გრძნობები ტკბილი ჰანგებითა მაქვს სავსე. ასე რომ არ იყოს, დალახეროს ეშმაკმა, განა შევძლებდი დამეწერა ისეთი დარბაისლური, ტკბილხმიერი საეკლესიო მუსიკა, დიახ, დიახ, განა შევძლებდი შემექმნა ჩემი საღამოს მესა, უკვე დამთავრებული რომ მიდევს აქ, მაგიდაზე? მაგრამ ჩემი თავგადასავალი კვლავ გვერდზე მიძრჩა. მაშ, ასე, ვაგრძელებ თხრობას.

შორიდან სიმღერა შემომესმა. მალე სულ უფრო ახლოს გაიხმა მჭექარე, ვაჟკაცური ხმა და საცალფეხო ბილიკით მომავალი ბუნდიქტელი ბერი დავინახე, ლათინურ ჰიშნს რომ მღეროდა. ჩემგან ოდნავ მოშორებით შედგა და სიმღერა შეწყვიტა. ფართოფარფლუ

<sup>1</sup> მიწას ვარ მიჯაჭვული (ლათ).

<sup>2</sup> „ჩვენი ძმა რომეოსაუით განა ოდესმე ხელთათმნად გადაქცევა მინატრია“ — იხ. შექსპირის ტრაგედია „რომეო და ჯულიეტა“, (მოქმედება II, სურათი 2).

ბიანი ქუდი მოიხადა, ხელსახოცით შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, გარემო შეათვალიერა, მერე კი ბუჩქებში გაუჩინარდა. სურვილი და-  
 მუბადა, გამოუხმაურებოდი. ბერი კარგად ჩაკურატებული გახლდათ,  
 მზე კი სულ უფრო და უფრო აჭერდა და ვიფიქრე, ალბათ, ჩრდილ-  
 ში წყნარ ადგილს ეძებს დასასვენებლად-მეთქი. არც შევმცდარვარ;  
 ბუჩქებში შევედი თუ არა, დავინახე, წმინდა მამა დახვედრულ ქვაზე  
 ჩამოძვდარიყო. იქვე, მის გვერდით უფრო მაღალი ქვა იდო, და  
 ბერმა ზედ სუფრის გამლა გადაწვივითა; ქვას თეთრი ხელსახოცი გა-  
 დააფარა, სამგზავრო აბგიდან პური და შემწვარი ფრინველი ამოი-  
 ლო და მადიანად შეუდგა ჭამას. „Sed praeter omnia bibendum quid“,<sup>1</sup>  
 — ხმამაღლა მიმართა საკუთარ თავს, ჯიბიდან ვერცხლის პატარა  
 ფიალა დააძრო და წნული ბოთლიდან ღვინო დაისხა. ის-ის იყო,  
 დაღუვას აპირებდა, რომ ბუჩქებიდან გამოვედი და შევძახე, კურთხე-  
 ულ იყოს იესო ქრისტე-მეთქი და ახლოს მივედი. წმინდა მამას პირ-  
 თან მიტანილი ფიალა ხელში შეაცოვდა და ქვევიდან ამომხედა. მყის  
 ვიცანი ჩემი ძველი კუთილო მგობარი, კანცკაიმის ბენედიქტელთა  
 საბატოს გუნდის რეგენტი, მამა პილარიუსი. „აჲ და მარადის“, —  
 წაილულულულა წმინდა მამამ და თვალეზღაჭყეტილი გოცებით შე-  
 მომაჩერდა. მაშინვე მოხვდი, ალბათ, ამ ჩემი შეხვეული თავის გამო,  
 ცოტა არ იყოს, უცნაურად გამოვიყურები-მეთქი და წამოვიწყე:

— ო, ჩემო ძვირფასო და ღირსეულო მგობარო პილარიუს, ნურც მოხეტიალე ინდუსი გვეგონებით და ნურც ბრიყვი სოფლელი ტეტა. მინდა მოგახსენოთ, რომ თქვენი მგობარი, კაპელმაისტერ-  
 ი იოჰანეს კრაისლერი გახლავართ და არავითარი სურვილი არა  
 მაქვს, ვინმე სხვად მოძნათლოთ!

— წმინდა ბენედიქტეს ვფიცავ, — სიხარულით შესძახა მა-  
 მა პილარიუსმა, — მაშინვე ვიცანით, ჩემო საყვარელო მგობარო  
 და ბრწყინვალე კომპოზიტორო! მაგრამ *per diem*,<sup>2</sup> მითხარით, სად  
 ფოფილბართ ან რა არის თქვენს თავს? მე კი მგონა, *in floribus*<sup>3</sup>  
 ბრწყინვალე პერკოგის ხასხლის კარზე!

მეც ბვერი მიკიბ-მოკიბვის გარეშე მოკლულ მოუყუფი მამა პილა-  
 რიუსს ყველაფერი, რაც თავს გადაძხდა. ვუთხარ, როგორ მაიძუ-

<sup>1</sup> მაგრამ უპირველეს ყოვლითა უნდა შევხვა (ლათ).

<sup>2</sup> ღვინოს გულიხათვის (ლათ).

<sup>3</sup> იფურჩქნებით (ლათ).



ლეს, დაშნით განმეგმირა მაჟანი მოწინააღმდეგე, რომელმაც სროლაში ვარჯიშის დროს სამიზნედ ამომირჩია. ისიც ვუთხარი, ჩემი ვარაუდით, ეს მსროლელი ერთი იტალიელი პრინცი უნდა გახლდეთ და მასაც ზოგიერთი ღირსეული მწვეაროვით სახელად ჰექტორი ჰქვია-მეთქი.

— ახლა რაღა ვიღონო? ზიგჰარტსვაილერში დავბრუნდე თუ... მირჩიე რამე, მამაო ჰილარიუს!

ასე დაუასრულე ჩემი ამბავი. მამა ჰილარიუსი დროდადრო ჩაურთავდა ხოლმე: „ჰმ! მაშ, ასე! დიახ, დიახ! ო, წმინდაო ბენედიქტე!“

— ბოლოს თვალები დახარა, ერთი კი ჩაილულულა „Bibamus“-ო, და სულმოუთქმელად გამოცალა ვერცხლის ფიალა.

მერე სიცილით წამოიძახა:

— კაპელმაისტერ, კაცმა რომ თქვას, ამჟამად მხოლოდ ერთი რჩევის მოცემა შემიძლია თქვენთვის. ყველაფერს აჯობებს, ახლა თუ გვერდით მომიჯდებით და ჩემთან ერთად შენაყრდებით ეს მწყრები გუშინ ჩვენმა პატოცემულმა მამა მაკარიუსმა დახოცა. გირჩევთ, გასინჯოთ კარგად მოგეხსენებათ, იგი ყოველთვის მიზანში ახვედრებს, მხოლოდ რესპონზორიუმებში<sup>2</sup> არ ემარჯვება ხოლმე სწორი ნოტების აღება. ხოლო, როცა საწებელს გასინჯავთ, მწყრებს რომ აქეთ ზემოდან გადასხმული, მაშინ კი მადლობას, ალბათ, ჩვენს მზრუნველ ძმას ეუსებიუსს უძღვნით ეს მან შეწვა ხორცი საკუთარი ხელით, ჩემს პატოცსაცემად. რაც შეეხება ლეინოს, სასმელი საგნებით იმსახურებს იმ პატოცს, რომ ლტოლვილ კაპელმაისტერს გაუსველოს ყელი. მშვენიერი ტიკი, *carrissime*<sup>3</sup> იოჰანეს, ვიურცბურგის წმინდა იოჰანეს ლაზარეთიდან გახლაფთ! ჩვენ, ღვთის უღირს მსახურებს, იქიდან საუკეთესო ღვინოს გვიგზავნიან ხოლმე. *Ergo bibamus!*<sup>4</sup>

მამა ჰილარიუსმა ფიალა შემოვსო და გამომიწოდა. მეც თავპატიუი აღარ გამომიღვია და შვეუდექი ჭამა-სმას, როგორც ეს დაღლილსა და მოშივებულ მგზავრს შეეფერებოდა.

<sup>1</sup> შეესვათ (ლათ).

<sup>2</sup> რესპონზორიუმი (ლათ. *responsum* — პასუხი) — კათოლიკური გალობის სახეობა; წარმოადგენს სოლისტის დიალოგს მეორე სოლისტთან, ანდა გუნდთან.

<sup>3</sup> უძვირფასესო (ლათ).

<sup>4</sup> მაშ, ასე, შეესვათ! (ლათ).

წმინდა მამას პურის საჭმელად უმშვენიერესი ადგილი შეერჩია. ქოჩორა არყის ხეები მშვენიერად ჩრდილაუდნენ ყვავილებით ნაქარვ მდელოს, ხოლო ბროლივით ანკარა ნაკადული, რაკრაკით რომ ჩაუდიოდა ტყეს, მაცოცხლებელ სიგრილეს ჰფენდა არუმარეს. ამ უკაცრიელ ადგილას გამეფებულმა სიმყუდროვემ საოცარი სიხარული და შუება მომგვარა. მამა ჰილარიუსი მონასტრის ამბებს მიყვებოდა. დროდადრო საუბარში სიტყვამოსწრებული ხუმრობების ჩართვაც არ ავიწყდებოდა და თავის ჩიქორთულ ლათინურსაც მშვენიერად იშველიებდა. მე კი ამ დროს ყურს ვუგდებდი ტყის შარიშურსა და ნაკადულის ჩხრიალს და მთელ სხეულში ნეტარი ჰანგები მელვრებოდა.

ეტყობა, მამა ჰილარიუსმა ჩემი სიჩუმე იმ მძიმე დარდით ახსნა, მომხდარმა ამბებმა რომ დამატება თავს.

— ფარ-ხმალს ნუ დაყრით, კაპელმაისტერ! — მითხრა და საესე ფიალა გამოძინოდა, — თუმცა, სისხლი დაღვარეთ, სისხლის დაღვრა კი, მოგეხსენებათ, ცოდვად ითვლება; მაგრამ *distinguendum est inter et inter.*<sup>1</sup> სიცოცხლე ყველას ძვირად უღირს. ადამიანს იგი ერთხელ ეძლევა. მაშ, ასე, თქვენ თავს იცავდით, ამას კი, როგორც ცნობილია, ეკლესია არ კრძალავს. ამიტომაც ცოდვის მონანიებაზე არც ჩვენი პატრიარქული აბატი გეტყვით უარს და არც ღვთის სხვა რომელიმე მსახური, მაშინაც კი, თუ თქვენმა დაშნამ ვინმე დიდგვაროვანს წინდაუხედავად გადმოაყრუვინა წელები. *Ergo bibamus! Vir sapiens non te abhorrebit, domine!*<sup>2</sup> მაგრამ, ძვირფასო კაპელმაისტერ, თუკი ზიგჰარტსვაილერში დაბრუნდებით, ღვარძლიანად დაგიწყებენ დაკითხვას, *cur, quomodo, quando, ubi*<sup>3</sup> მოხდა ეს ყველაფერიო, და თუ ეტყვით, პრინცს ჩემი მოკვლა ჰქონდა განზრახული და თავს ვიცავდიო, აბა, ვინ დაგიჯერებთ? *Ibi jacet lepus in pipere.*<sup>4</sup> აი, ხომ ხედავთ, კაპელმაისტერ, როგორ... მაგრამ, *bibendum quid!*<sup>5</sup> — მან გამოცალა პირამდე საესე ფიალა და განაგრძო, — დიახ, დიახ, ამ დალოცვილმა ტიკჭორამ ძალიან კარგი აზრები შთამავლო-

<sup>1</sup> საჭიროა განვასხვავოთ ერთიმეორისაგან (ლათ).

<sup>2</sup> მაშ, ასე, დაუღიოთ, ბრძენი ადამიანი ზურგს არ შეგაქცევს, უფალო! (ლათ).

<sup>3</sup> რატომ, როგორ, როდის, სად (ლათ).

<sup>4</sup> აი, სად არის დამარხული ძაღლის თავი (ლათ).

<sup>5</sup> საჭიროა შევსვათ (ლათ).



ნა! ჰოდა, სწორედ ახლა მივეშურებოდი ყველაწმინდის მონასტერში; მინდა იქაურ რეგენტს მომავალი დღესასწაულისათვის საგუნდო მუსიკის ნოტები გამოვართვა. ორჯერ თუ სამჯერ გადავქექე ჩემი სკოტები. ყველაფერი უკვე მოძველებულია და ყველას მობეზრებული აქვს. თქვენი მუსიკა კი, სააბატოში ყოფნისას რომ შეთხზეთ, ძალიან ლამაზია და სრულიად ახლებურად უღერს; მაგრამ, ნუ მიწყენთ, კაპელმაისტერ, და ისე უცნაურად არის დაწერილი, პარტიტურას თვალს ვერ მოაშორებს კაცი. როგორც კი მოაჯირებს შორის გააპარებ თვალს და მრევლში ვინმე კაი გოგოს ამოიღებ ნიშანში, მაშინვე გამოგრჩება პაუზა ან კიდევ რამე სხვა ნიშანი, ტაქტიდან ამოვარდები და ყველაფერი აირუვ-დაირუვა. მამა იაკობი კი უკაკუნებს და უკაკუნებს ორლანის კლაეიშებს: ბიმ-ბიმ, ბამ-ბამ, — *ad patibulum cum illis!* მაშ, ასე, შემეძლო... მაგრამ *bibamus!*

მერე ორივემ ხელახლა გამოეცალეთ ფიალა და მამა ჰილარიუსის მჭევრმეტყველების ნაკადიც ახალი ძალით დაიფრქვა:

— *Desunt,*<sup>2</sup> ვინც არ არის, ხოლო ვინც არ არის, იმას ვერც ვერაფერს ჰკითხავ. ჰოდა, უცბად თავში აზრი დამებადა: კარგი იქნებოდა, თუ ჩემთან ერთად დაბრუნდებოდით სააბატოში. პირდაპირი გზით თუ ვოვლით, ორ საათში იქ ვიქნებით იქ დაზღვეული იქნებით ყოველგვარი დევნისა და ხიფათისაგან, *contra hostium insidias.*<sup>3</sup> სააბატოში მიგიყვანთ როგორც ხორცშესხმულ მუსიკას და რამდენი ხანიც მოგესურვებათ ან საჭიროდ ჩათვლით, იმდენ ხანს შეგიძლიათ დარჩეთ იქ. პატოცემული აბატი იზრუნებს იმაზე, რომ არაფერი მოგაკლდეთ თქვენს განკარგულებაში იქნება საუკეთესო თეთრეული, მერე, ალბათ, ბენედიქტელების სამოსსაც ჩაიცვამთ ჩემის აზრით, ძალზე კი უნდა დაგმშვენდეთ აი, ხომ გახსოვთ სურათი, რომელზედაც მოწყალე სამარიტელია დახატული: ჰოდა, არ მინდა, ვიდრე სააბატომდე მივალწევთ, გზაში იმ დაჭრილს ჰგაუდეთ, ამ სურათზე რომ აღუბეჭდავს მხატვარს. აჰა, ჩამოიფხატეთ ჩემი სამგზავრო ქუდი, მე კი ამ მელოტ თავზე ყაბალახს შემოვიხვევ. *Bibendum quid,* ჩემო ძვირფასო!

მამა ჰილარიუსმა ერთხელ კიდევ გამოცალა ფიალა და წყაროს

<sup>1</sup> საზრჩობელაზე უკარით თავი მაგათ (ლათ).

<sup>2</sup> არ არსებობს (ლათ).

<sup>3</sup> მოწინააღმდეგეთა ხრიკებისაგან (ლათ).

წყალი გამოავლო, მერე ყველაფერი სამგზავრო აბგაში ჩაალაგა, შუბლზე თავისი ქუდი ჩამომადებატა და მხიარულად წამოიძახა: აბა, ჩემო კაპელმანიტერ, საჩქარო არაფერი გვაქვს, ახლა ზოზინ-ზოზინითაც რომ ვიაროთ, მაინც სწორედ იმ დროისათვის მოვალთ მონასტერში, როცა „Ad conventum conventuales“<sup>1</sup> ჩამორუკავენ, მაშასადამე, სწორედ მაშინ, როცა მისი უწმინდესობა სუფრას მიუჯდება.

აღბათ, მიმიხვდით, ძვირფასო მაესტრო, რომ მყისვე დაუთანხმდი მამა პილარიუსის წინადადებას. მისი რჩევა ძალიან ჭკუაში დამიჯდა და გადაუწყვიტე, მონასტერში დამედო ბინა. ვიფიქრე, ხომ შეიძლება იგი ჩემთვის საიმედო თავშესაფარი გახდეს-მეთქი? აუჩქარებლად, ლაპარაკ-ლაპარაკით მოვიწვედით წინ და სწორედ იმ დროისათვის მოვალწიეთ საბატოს, როგორც მამა პილარიუსმა თვარაუდა. ჩვენი მისვლა და სამხრობის ზარის ჩამოკერა ერთი იყო. ზედმეტი შეკითხვების თავიდან ასაცილებლად მამა პილარიუსმა აბატს მოახსენა, ყური მოკარი, რომ კაპელმანიტერი ზიგპარტსვაილერში იმყოფებოდა, ამიტომაც ყველაწმინდის მონასტერში წასვლა გადავიფიქრე და ამას ვამჯობინე, თვითონ ცოცხალი კომპოზიტორი წამომეყვანა, იგი ხომ მუსიკის დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენსო.

აბატმა ქრიზოსტომუსმა, — თუ მეხსიერება არ მღალატობს, ბევრი რამ მაქვს თქვენთვის ამ ადამიანზე მოყოლილი, — ისეთი გულწრფელი სიხარულით მიმიღო, როგორც ჭეშმარიტად გულკეთილ ადამიანებს სჩვევიათ ხოლმე, და მამა პილარიუსს გადაწყვეტილება მოუწონა.

ახლა კი, მაესტრო აბრაჰამ, წარმოიდგინეთ, რომ ბენედიქტელი ბერის სამოსში გადაცმული ვზოვარ საბატოს მთავარი შენობის ერთ-ერთ დარბაზში და ბეჯითად ვთხზავ პიმნებსა და მესებს. დროდადრო საზეიმო ლიტურგიის ნაწყვეტებზედაც კი ვმუშაობ. ჩემ გარშემო იკრიბება ხოლმე ბიჭების გუნდი და საერთოდ ყველა, ვისაც კი მონასტერში სიმღერა და დაკვრა შეუძლია! რომ იცოდეთ, როგორ ბეჯითად ვდგები პატრონიკეს მოაჯირს უკან და როგორი გულმოდგინებით ვლოტბარობ გუნდს. სინამდვილეში კი ისე ეულად ვგრძნობ თავს, ასე მგონია, ცოცხლად ვარ დამარხული-მეთქი.

<sup>1</sup> თავი მოიყარეთ, ძმებო! (ლათ).



ჩემი თავი სულ ტარტინის<sup>1</sup> მაგონებს ხოლმე, გახსოვთ, კარდინალ კორნაროს შურისძიებას ასიზის მინორიტთა მონასტერში რომ გაექცა, რამდენიმე წლის შემდეგ იტალიელი ერთმა პადუელმა აღმოაჩინა, შემთხვევით რომ მოხვდა თურმე მონასტერში; დიდი ხნის დაკარგული მუგობარი პატრონიკეში იმ დროს შეუნიშნავს, როცა ქარს დაუბერავს და რამდენიმე წამით აუფრიალებია ფარდა, ორკესტრს რომ ფარავდა. მაესტრო, სულ ადვილი შესაძლებელია, თქვენც იგივე დაგმართოდათ, რაც იმ პადუელს მოუვიდა, მაგრამ მე მაინც მოვალედ ჩავთვალე თავი, მეცნობებინა თქვენთვის ჩემი ადგილსამყოფელი. თორემ, ღმერთმა უწყის, რას ფიქრობდით თქვენს კრაისლერზე! მანდ, ალბათ, ჩემი ქუდი იპოვეს და საგონებელში არიან ჩაუარდნილი, თავი რაღა იქნაო?

მაესტრო! რაღაც უჩვეულო, ნეტარი სიმშვიდე დამეუფლა, ვფიქრობ, იქნებ სულაც აქ ჩამეშვა ღუზა-მეთქი? სააბატოს უზარმაზარ ბაღში ერთი პატარა ტბაა. ამას წინათ ამ ტბასთან ვსეირნობდი და შიგ საკუთარ გამოსახულებას მოვკარი თვალი, ფეხდაფეხ რომ მომდევდა. აი, მაშინ ვუთხარ ჩემს თავს: „ხედავ იმ კაცს, იქ, ქვევით რომ დახეტილებს? იგი ძალიან წყნარი და გონიერი ადამიანია; ცაში აღარ დაფრინავს ოცნებებით, მიწაზე მტკიცედ მოუკიდებია ფეხი და რა ბედნიერებაა, რომ ეს კაცი თავად მე ვარ-მეთქი“. ერთხელაც ასე ტბასთან ეიდექი და დავინახე, როგორ მიშხერდა იქიდან ჩემი ავბედითი ორეული. მაგრამ სუ, ჩუმად, ამაზე ხმა-კრინტს ნულარ დაუძრავთ, მაესტრო! ნურც ნურავის მიხსენებთ და ნურც ნურაფერს მომიყვებით. სახელიც კი არ მინდა ვიცოდე მისი, ვისაც მახვილით გავუპე გული! თქვენს თავზე კი რაც შეიძლება ბევრი მომწერეთ! აი, წმინდა მამები მეცადინეობაზე მობრძანდნენ. მეც ვამთავრებ ჩემს თავგადასავალს და ამ წერილსაც. მშვიდობით, ჩემო ძვირფასო მაესტრო! გამიხსენებდეთ და ა.შ. და ა.შ.“.

მაესტრო აბრაჰამი მარტოდმარტო დასეირნობდა დაბურული პარკის მიუარდნილ ბილიკებზე და კრაისლერის ბედ-იღბალზე ფიქრობდა. გული სტკიოდა, რომ ხელახლა დაკარგა ეს-ეს არის ნაპოუ-

<sup>1</sup> ჯუზეპე ტარტინი (1692-1770) — იტალიელი მწიგნობარი და კომპოზიტორი. საიღუმლოდ დაიწერა ჯვარი პადუელ კარდინალ კორნაროს ნათესავზე და პადუიდან ასიზის მონასტერში გაიქცა.

ნი საყვარელი მეგობარი. მაესტროს თვალწინ წარმოუდგა, როგორ მიუსხდებოდნენ ხოლმე თვითონ და პატარა იოჰანესი გენიონეს-მიულში მოხუცი ბიძის ფორტეპიანოს; ბიჭუნა ვაჟკაცური სიძლიერით ამაყად უკრავდა სებასტიან ბახის უროულეს პრელუდიებს, მაესტრო კი ამისათვის უჩუმრად უვსებდა მოწაფეს ჯიბეს ტკბილულით ასე ვგონა, თითქოს ეს ყველაფერი სულ რამდენიმე დღის წინ მოხდაო, და უკვირდა, ნუთუ ის ბიჭუნაა კრაისლერი, იდუმალმა განგებამ თავის უცნაურ, ჭირვეულ თამაშში რომ ჩააბაო; მაგრამ წარსულის დღეებსა და ავბედით აწმყოზე ფიქრებთან ერთად მაესტროს საკუთარი ცხოვრებაც დაუდგა თვალწინ.

ჯიუტი და მკაცრი მამა ჰყავდა. თითქმის ძალით აზიარა ვაჟი ორღანის შენების ხელოვნებას; თავად მისთვის ეს საქმე მხოლოდ და მხოლოდ ხელობა იყო, მძიმე, უხეში და მომქანცველი. მამა ვერ იტანდა, როცა ამ საკრავის კეთებას ორღანის ოსტატის გარდა ვინმე სხვა ჰკიდებდა ხელს. ამიტომ იყო, რომ ვიდრე თავის შუგირდებს ორღანის შინაგანი მოწყობილობის საიდუმლოებას აზიარებდა, მათგან ხელმარჯვე დურგლები, მსხმელები და ა.შ. გამოჰყავდა. მოხუცი ორღანის მთავარ ღირსებას მის გამძლეობაში, სიზუსტესა და გარეგნულ სიმსუბუქეში ხედავდა: საკრავის სულისა, მისი ხმის სილამაზისა კი არა გაუგებოდა რა. ეს კი არ შეიძლებოდა, არ დასტყობოდა მის ნახელავ ორღანებს, რის გამოც ოსტატს სამართლიანად საყვდურობდნენ. მისი ნაგები საკრავები მჭახე და მკვეთრ ხმებს გამოსცემდნენ. ამას გარდა, მოხუცი ძველი ბავშვური თამაშობებითაც იყო გატაცებული. ასე, მაგალითად, ერთ-ერთ თავის ორღანს მეფეები: დავითი და სოლომონი მიაძაგრა. დაკვრის დროს ისინი თითქოსდა გაოცებისაგან თავებს აკანტურებდნენ. მის ყველა საკრავს ანგელოზები ანდა მამლები ამშვენებდნენ. ანგელოზები ბუკსა და ნაღარას სცემდნენ, მოკრიახე მამლები კი „ყიყლიყოს“ გაჰყიოდნენ და ფრთებს აქნევდნენ. პატარა აბრაჰამს ახალნაგები ორღანისათვის ყოველთვის მზად ჰქონდა რაიმე გამოგონება. მაგალითად, საკრავზე ამაყად შემომჯდარ მამალს უეცრად მჭექარედ დააყოვლებდა ხოლმე. ბიჭუნას ასეთ ოინებს მამა აღტაცებაში მოჰყავდა, პატარა აბრაჰამი კი ამ გზით ხშირად ახერხებდა, თავიდან აეცდინა დამსახურებული თუ დაუმსახურებელი ცემა-ტყეპა. შიშითა და სასოებით ელოდა აბრაჰამი იმ დღეს, როცა შუგირდობის ხანა გაუთავდებოდა



და ხელოსანთა ადათ-წესის თანახმად ქვეყნიერების სანახაუად გასწევდა. ბოლოს და ბოლოს, ეს დღეც დადგა; მერე ის იყო, აბრაჰამ-მაც დატოვა მამისეული სახლი და მტკიცედ გადაწყვიტა, რომ იქ აღარასოდეს დაბრუნდებოდა.

ამ მოგზაურობაში მას რამდენიმე სხვა შუგირდიც ახლდა; ეს ყმაწვილები თავაშვებულობითა და უხეშობით გამოირჩეოდნენ. ჰოდა, ერთხელაც, შვარცვალდში ყოფნისას, აბრაჰამმა ამ ყმაწვილ-კაცებთან ერთად გზად წმინდა ვლასიუსის სააბატოში შეიარა. აი, სწორედ იქ მოუსმინა მოხუცი იოჰანეს ანდრეას ზილბერმანის<sup>1</sup> სახელგანთქმულ ორღანს. ამ საკრავის ღრმა და საოცრად საესე ხმებთან ერთად მან პირველად შეიგრძნო კეთილხმოვანების ჯადოსნური ძალა. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს ვიღაცის უხილავმა ხელმა იგი სულ სხვა სამყაროში გადაისროლა, და იმ წუთიდან მთელი მისი არსება იმ ხელოვნებისადმი უზომო სიყვარულმა მოიცვა, დღემდე ასე რომ ეზიზღებოდა. ახლა მას განვლილი ცხოვრება იმდენად უბადრუკად მოეჩვენა, რომ მთელ თავის ძალას მოუხმო, რათა ამობობლებულიყო ამ წუმპიდან, რომელშიც იგი, მისი აზრით, თავიდან ფეხებამდე ამოსვრილიყო. თანდაყოლილი ნიჭისა და საზრიანობის წყალობით აბრაჰამმა სწავლა-განათლებაში დიდ წარმატებას მიაღწია, და მაინც, არცთუ იშვიათად გრძნობდა ხოლმე, რა დიდი დაღი დაესვა მასზე ადრინდელ აღზრდასა და უღირსად გატარებულ ცხოვრებას. კიარასთან, ამ იდუმალ, უცნაურ არსებასთან შეხვედრა მისთვის მეორედ დაბადებას ნიშნავდა. ასე და ამრიგად, ამ ორმა გარემოებამ: კეთილხმოვანების შეგრძნების ანაზღად გაღვიძებულმა უნარმა და კიარას სიყვარულმა აბრაჰამის პოეტურ არსებაში ისეთი დუალიზმი შექმნა, რომელმაც კეთილისმყოფელი გაუღენა მოახდინა მის უხეშ, მაგრამ ძლიერ ბუნებაზე. ძვირფასმა მკითხველმა უკვე იცის, რომ აბრაჰამს განსაკუთრებით ეხერხებოდა მოსამართი სათამაშოების კეთება, მის ხელში ისინი ჯადოსნურ იდუმალებას იძენდნენ. ჰოდა, აი, მან, როგორც იქნა, თავი დააღწია ღამის თავშესაფრებს, თამბაქოს ბოლით გაუღენთილ დუქნებსა და სამიკიტნოებს, სადაც გამუდმებით გაისმოდა უწმაწური სიტყვები, და მალე ბედნიერი შემთხვევის, უფრო სწორად კი, თავისი ხელმარ-

<sup>1</sup> იოჰან ანდრეას ზილბერმანი (1712-1783) — გერმანელი ორღანის ოსტატი.

ჯგუფის წყალობით სრულიად ახალ სამყაროში მოხვდა. ამ სამყაროში იგი მარტოდმარტო ებრძოდა ბობოქარ დინებას და თუ ბოლოს მაინც მოახერხა ტალღებზე გაჩერება, მხოლოდ და მხოლოდ იმის წყალობით, რომ განგებას ხასიათის უჩვეულო სიმტკიცით დაეჯილდოებინა. გადიოდა დრო. აბრაჰამის მტკიცე ხასიათი გარშემო მყოფათათვის სულ უფრო და უფრო თვალში საცემი ხდებოდა, მაგრამ ეს გაუთლელი რეგვენის სიჯიუტე როდი იყო. მისი ხასიათის სიმტკიცე ბრძენი ადამიანის ნათელი გონების, ცხოვრებისეული გამოცდილების პირშეო გახლდათ, ამდენად, მისი ყოველი დაცინვა, მუდამ დროული და მიზანშეწონილი, შედეგსაც ბუნებრივს იწვევდა. თუკი ჭაბუკში ამ თვისებას გარშემომყოფნი უბრალოდ ვერ იტანდნენ, მოწიფულ მამაკაცში იგი უკვე სახიფათო რამ საწყისის მაუწყებელი იყო და სათანადო პატივისცემასაც იმსახურებდა. არაფერია იმაზე ადვილი, ვიდრე გუნდრუკი უკმით დიდგვაროვანთა საზოგადოებას, რომელიც სინამდვილეში არამც და არამც არ იმსახურებს არც ხოტბა-დიდებასა და არც პატივისცემას. მაესტრო აბრაჰამი სეირნობიდან მეთევზის ქოხში ბრუნდებოდა და სწორედ ეს აზრი უტრიალებდა თავში. მოულოდნელად ხმამაღალი, თავშეუკავებელი სიცილი აუტყდა და ამან თითქოს შეუმსუბუქა ბოლბით სავსე გული.

იყო დრო, როცა მაესტრო აბრაჰამმა არ იცოდა, რა იყო ურვა და დარდი. ახლა იგი ღრმა მწუხარებას შეეპყრო, წმინდა ვლასიუსის სააბატოს ეკლესიაში განცდილი წუთისა და დაკარგული კიარას მოგონებას რომ გამოეწვია. „ნეტავ ხელახლა რატომ დაიწყო სისხლმა ჟონვა ძველი ჭრილობიდან? მე ხომ ამ ჭრილობას უკვე კარგა ხანია მოშუშებულად ვთვლიდი? — ჰკითხა მაესტრომ თავის თავს, — რატომ ვეძლვეი ფუჭ ოცნებებს სწორედ ახლა, როცა საჭიროა მაგრად ჩავავლო ქეჩოში ხელი ბედისწერას, ბოროტმა სულმა მცდარი გზით რომ წარმართა?“ იმის გაფიქრებაზე, რომ მის უჩვეულოდ თავისებურ ცხოვრებასა და საქმიანობას საფრთხე ემუქრებოდა, — თუმცა, რომ გეკითხათ, ვერ გეტყოდით, რამ შთააგონა ეს აზრი, — მაესტრო შიშმა შეიპყრო. მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აზრთა მდინარებამ იგი დიდგვაროვანთა საზოგადოებამდე მიიყვანა, რამაც გულიანად გააცინა და შვებაც აგრძნობინა. და აი, მაესტრო აბრაჰამი მეთევზის ქოხში შევიდა, რათა ბოლოს და ბოლოს კრაისლერის ბარათი წაეკითხა.



მთაერის სასახლეში კი ამასობაში ფრიად ღირსშესანიშნაუი ამბები ტრიალებდა. კარის მკურნალმა თქვა:

— საოცარია პირდაპირ! ეს ყოველგვარი გამოცდილების ფარგლებს სცილდება.

მთაერინა:

— დიახ, ეს ყველაფერი ასეც უნდა მომხდარიყო. ამრიგად, პრინცის სახელს ჩირქი არ მოსცხვებია!

მთაერი:

— განა მკაცრად არ აკრძალე ეს? მაგრამ ეს *crapule*,<sup>1</sup> ვირი მსახურები სრულიად დაფრუებულები არიან. მონადირეთუხუცესმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ პრინცს ხელში თოფისწამალი აღარ ჩაუვარდეს.

ქალბატონი ბენცონი:

— მადლობა უფალს, რომ გოგონა გადარჩა!

პრინცესა ჰედვიგა ამ დროს თავისი საძინებლის ფანჯარაში იფურებოდა, დროდადრო კი გიტარაზე აკორდებს იღებდა. ეს ის გიტარა გახლდათ, კრასლერმა იმ ავბედითი უგუნებობის ჟამს ბუჩქებში რომ მოისროლა, მერე კი, მისივე სიტყვებით რომ ეთქვათ, იულიას ხელიდან ღვთიური მადლით ცხებული უკან დაიბრუნა. საუარძელში თვალცრემლიანი პრინცი იგნატიუსი იჯდა და გაუთავებლად მოთქვამდა: „მტკიუა, მტკიუაო“, მის გვერდით კი იულია ჩამომჯდარიყო. იგი გულმოდგინედ ფცქენიდა კარტოფილს და პატარა ვერცხლის თასში აწყობდა.

ყოველივე ეს იმ ამბის გაგრძელება გახლდათ, რომელზედაც კარის მკურნალმა სამართლიანად თქვა, საოცარიო და, აღნიშნა, ყოველგვარი გამოცდილების ფარგლებს სცილდებაო. ძვირფასი მკითხველი არაერთგზის შენიშნაუდა, რომ პრინცი იგნატიუსი ჭკუამხიარული ყმაწვილი გახლდათ და თავის ასაკში ექვსი წლის ბავშვის მიაპიტობა ჰქონდა გამოყოლილი. მის სხვა სათამაშოებს შორის ერთი პატარა ლითონის ზარბაზანიც ერია. პრინცს ძალიან უყვარდა ამ ზარბაზნით თამაში, მაგრამ ამისათვის ზოგიერთი რამ იყო საჭირო, რაზედაც ხშირად ხელი არ მიუწვდებოდა ხოლმე. სახელდობრ: უნდა ჰქონოდა თოფისწამალი, მსხვილი საფანტი და

<sup>1</sup>ვიგინდარუბი (ფრანგ.).

ჰყოლოდა პატარა ჩიტუნია. თუკი პრინცს შემთხვევა მიეცემოდა და ეს ყველაფერი ხელთ ჩაუვარდებოდა, მყისვე მწყობრში ჩააყენებდა თავის ჯარს და სამხედრო სასამართლოს უწყობდა ჩიტუნიას, რომელსაც ვითომ ამბოხი მოქმედი მისი მამიკოს, ბრწყინვალე მთავრის ყოფილ სამფლობელოებში. საბრალო ჩიტს წინასწარ შავი საღებავით მოუნიშნაუდა იმ ადგილს, სადაც, მისი ვარაუდით, გული უნდა ჰქონოდა, ფეხით მიაბამდა შანდალზე და შიგ მიზანში ესროდა. ხანდახან პრინცი ასეთი წესით ახერხებდა ჩიტის მოკვლას; აი, მაშინ კი სახელმწიფო მოღალატეს ჯაყვით უსწორდებოდა ხოლმე.

მებაღის ვაჟს, ათი წლის ფრიცს, პრინცისათვის ლამაზი, ჭრული ჭკინტა დაეჭირა, რისთვისაც გასამრჯელოდ, როგორც წესი, მთელი კრონი მიეღო. პრინცი მაშინვე შეპარულა მონადირეთა ქოხში. სწორედ იმ დროს იქ არაუინ ყოფილა. პოდა, თოფისწამალიც მოუძებნია და საფანტიც; ერთი სიტყვით, საფუძვლიანად შეიარაღებულია. მერე ის იყო, დაუყოვნებლივ აპირებდა თურმე ეგზეკუციის დაწყებას, რადგან პატარა ჟღერტულა შეამბოხე ყოველ ძალ-ღონეს ხმარობდა, რომ ტყვეობისათვის თავი დაედწია. მაგრამ პრინცს უეცრად გაახსენდა, რომ ჰედვიგა სიამოვნებით დაესწრობოდა პატარა დამნაშავის დასჯას. პრინცესა ხომ ამ ბოლო დროს ისეთი თვინიერი და მორჩილი გამხდარიყო! პრინცმა ერთ იღლიაში ჯარისკაცებით სავსე ყუთი ამოიჩარა, მეორეში — ზარბაზანი, ხელისგულში ჩიტუნია მოიმწყვდია და, რადგან მთავარმა მას სასტიკად აუკრძალა პრინცესასთან შესვლა, ფეხაკრუფით შეიპარა ჰედვიგას საძინებელში. პრინცესა ისევ და ისევ ვერ გამოსულიყო კატალეფსიური მდგომარეობიდან და ჩაცმული საწოლზე იწვა. მსახური ქალები ოთახიდან გაკრუფილიყვნენ, რაც, მალე დავინახავთ, რომ ერთი მხრივ, კარგიც იყო და ცუდიც.

პრინცმა ჩიტი მაშინვე შანდალზე მიაბა, ჯარი ჩაამწყრივა და ზარბაზანი დატენა. მერე პრინცესა საწოლიდან წამოაყენა, მაგიდასთან მიიყვანა და განუცხადა, ჯარების მთავარსარდლად გნიშნაუო. თავად მე მთავარი ვიქნები, ახლავე გავხსნი საარტილერიო ცეცხლს და გავანადგურებ შეამბოხესო. თოფისწამლისა და საფანტის უხვმა მარაგმა დალუპა პრინცი: მან არა მარტო დატენა ზარბაზანი, საფანტი მაგიდაზეც ბლომად მიმოაბნია. პატრუქს ცეცხლი წაუკიდა თუ არა, ზარბაზანმა საშინლად დაიგრუხუნა, ირგვლივ მიმობნეული საფან-



ტიც აფეთქდა და პრინცს კარგა გვარიანად დაუწვა ხელი. გამწარუბულმა შეპყვირა და არც კი შეუმჩნევია, აფეთქების დროს პრინცესა იატაკზე როგორ დაენარცხა. გრუხუნი დერეფანშიაც გაისმა, ავის მომასწავებელი ამბის მოლოდინში ყველა ოთახში შემოფარდა. შიშმა მთავარსა და მთავრინასაც დააუიწყა ყოველგვარი ადათ-წესი და ისინიც მსახურებს მიჰყვნენ. სეფექალებმა პრინცესა ხელში აიყვანეს და საწოლზე დააწვინეს. მაშინვე აფრინეს კაცი კარის მკურნალისა და დასტაქრის მოსაყვანად. მთავარმა მაგიდას დახედა თუ არა, მყისვე მიხვდა, რაც მომხდარიყო და განრისხებული მიუბრუნდა პრინცს, სასოწარკვეთილი რომ ვიშვიშებდა და წუწუნებდა.

— აი, ხომ ხედავ, იგნატიუს, რა გამოიწვია შენმა სულელურმა, ბავშვურმა ოინებმა! ახლავე წაასმევინე მაღამო დამწვარ ხელზე და შენი ხმა აღარ გავიგონო. რა არის, რას ჰგავს ეს, ქუჩის ბიჭოვით რომ ღრიალებ! ერთი კარგი წნელის სახრე ცხონება იქნებოდა ახლა მაგისტვის უკანალ... — მთავარს ტუჩები აუკანკალდა; არავის აღარ ესმოდა, რას ამბობდა მისი ბრწყინვალება, სრულიად გაურკვევლად ბუტბუტებდა და ბოლოს მედიდური ნაბიჯით გავიდა ოთახიდან. მსახურები საშინელმა შიშმა აიტანა. აი, უკვე მესამე შემთხვევა იყო, როცა მთავარი პრინცს უბრალოდ სახელითა და „შენობით“ მიმართავდა და ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ამ დროს მისი ბრწყინვალება საშინელი, დაუოკებელი რისხვით იყო შეპყრობილი.

კარის მკურნალმა გამოაცხადა, პრინცესამ ყველა სიძნელე უკვე გადალახა, საშიში მდგომარეობიდან გამოვიდა და იმედია, მალე საუსებით გამოჯანმრთელდებაო. მთავრინამ კი გაცილებით უფრო მშვიდად, ვიდრე მის მდგომარეობაში მყოფი ქალისგან იყო მოსალოდნელი, განაცხადა:

— Dieu soit loué!<sup>1</sup> დაე, მაცნობონ, როგორ იგრძნობს თავს პრინცესა შემდგომში, — მერე აქვითინებული პრინცი ნაზად ჩაიკრა მკერდში, მიეაღერსა და მთავარს ფეხდაფეხ დაედევნა.

ამასობაში, სასახლეში ქალბატონი ბენცონიც მობრძანდა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, იულიასთან ერთად მოენახულებინა საცოდავი ჰედვიგა. როგორც კი მოახსენეს, რაც მომხდარიყო, სწრაფად მიაშურა პრინცესას ოთახს, მის საწოლთან მიიღრბინა და მუხლებზე

<sup>1</sup> მადლობა უფალს! (ფრანგ.)

დაემხო, მერე ჰედვიგას ხელი აიღო ხელში და ყურადღებით ჩახედა თვალებში. იულიამ კი გაიფიქრა, ალბათ, ჩემი ძვირფასი მეგობარი მალე საუკუნო ძილით მიიძინებსო და თვალებზე ღაპაღუპით გადმოუგორდა ცხარე ცრემლები. მაგრამ ჰედვიგამ მოულოდნელად ღრმად ამოიოხრა და ყრუ, ოდნავ გასაგონი ხმით იკითხა:

— მაშ, მოკვდა, ხომ?

ამის გაგონებაზე პრინცმა იგნატიუსმა მყისვე შეწყვიტა წუწუნი და ვიშვიში, მიუხედავად იმისა, რომ დამწვარი ხელი ძალზე აწუხებდა, და ბრწყინვალედ ჩატარებული ეგზეკუციით გახარებულმა, სიცილით-ხითხითით წამოიძახა:

— დიახ, დიახ, ჩემო დაიკო, რა თქმა უნდა, მოკვდა, მე ხომ მას შიგ გულში მოვარტყი!

— დიახ, — განაგრძო პრინცესამ და თვალები კვლავ დახუჭა,  
— დიახ, ვიცი, მშვენივრად დაუინახე სისხლის წვეთი, პირდაპირ ჩიტუნას გულიდან რომ გამოჟონა; მაგრამ იგი მაშინვე მკერდში ჩამეწვეთა და ფიქლად მაქცია. ამიერიდან ჩემს უსიცოცხლო სხეულში მხოლოდ ეს წვეთი განაგრძობს სიცოცხლეს!

— ჰედვიგა, — თქვა ქალბატონმა მრჩეველმა ჩუმიად და ალერსიანად, — აბა, შეეცადეთ, თავი დააღწიოთ საზარელ სიზმრებს! ჰედვიგა, ვერა მცნობთ, ვინა ვარ?

პრინცესამ უღონოდ აიქნია ხელი, თითქოს ამბობდა, თავი დამანებეთო.

— ჰედვიგა, — განაგრძო ქალბატონმა ბენცონმა, — იულიაც აქ არის.

პრინცესას სახეზე ოდნავ შესამჩნევმა ღიმილმა გადაურბინა. იულია დაიხარა და მეგობარს ფრთხილად ეამბორა გადაფითრებულ ბაგეებზე. მაშინ კი ჰედვიგამ ძლივს გასაგონად წაიჩურჩულა:

— ყველაფერმა გამიარა. რამდენიმე წუთიც და ჩვეული სიმხნევე დამიბრუნდება.

აქამდე არავის გახსენებია პატარა სახელმწიფო დამნაშავე, მაგიდაზე გულგანგმირული რომ ეგდო. იულიამ მხოლოდ ახლაღა შენიშნა საბრალო ჩიტუნია და მაშინვე მიხვდა, რომ პრინცი იგნატიუსს თავის შესაქცევად კვლავ ეს ამაზრზენი თამაში ამოერჩია, იულიას აგრერიგად რომ ეზიზღებოდა.

— პრინცი, — თქვა გოგონამ და სახეზე აღმური მოედო, — განა



რა დაგიშვით ასეთი საბრალო ჩიტუნია? რატომ გამოასალმეთ სი-  
ცოცხლეს ასე უწყალოდ? ეს ხომ ძალზე სულელური და საშინელი  
თამაშია! თქვენ კარგა ხანია შემპირდით, მოვეშვები ამ საძაგლობასო  
და მაინც არ შეასრულეთ დანაპირები. იცოდეთ, თუ კიდევ ჩაგიდენ-  
ნიათ ასეთი რამ, აღარც ფინჯნებს ჩამოგიმწკრივებთ, აღარც თქვენს  
თოჯინებს ვასწავლი ლაპარაკს და ზღვის მეფეებზედაც აღარ მოგიყ-  
ვებით ხოლმე უჩვეულო ამბებს.

— ნუ გამიჯავრდებით, ფროილაინ იულია! — აღუდღუნდა პრინ-  
ცი, — ნუ გამიჯავრდებით ამ ჭყეტელა მტარვალმა ჯერ იყო და,  
ყველა ჯარისკაცს უჩუმრად ააჭრა ფარაჯის კალთები, მერე კი ამ-  
ბოხებაც მოაწყო. ვაიმე, როგორ მტკივა, როგორ მტკივა!

ქალბატონმა ბენცონმა დამცინავი ღიმილით შეხედა პრინცს, მე-  
რე იულიას გადახედა და წამოიძახა:

— განა ღირს კი დამწვარი თითის გამო ამდენი წუწუნი და მოთქ-  
მა! ისე, კაცმა რომ თქვას, ეს დასტაქარი სად გადაიკარგება ხოლმე,  
ვერასდროს დროულად რომ ვერ მოაქვს თავისი მალამო? მაგრამ უბ-  
რალო შინაურული წამალიც არსებობს, დიდგვაროვან ხალხსაც მშვე-  
ნოვრად რომ შველის ხოლმე. უბრძანეთ, მოიტანონ უმი კარტოფილი!

ქალბატონი მრჩვეული კარისკენ გაემართა, მაგრამ უეცრად თით-  
ქოს რაღაც აზრმა გაუელვაო, შეჩერდა და უკან მიბრუნდა. მერე  
იულიას მხრებზე ხელი მოხვია, შუბლზე ეამბორა და უთხრა:

— ჩემო კეთილო, საყვარელო შვილიკო! ვიცი, არასოდეს გა-  
მიცრუებ იმედს! მხოლოდ მძვინვარე, შლეგიან გიჟებს ერიდე და  
შეეცადე, არ მოექცე მათი მაცდური სიტყვების ბოროტი გავლენის  
ქვეშ! — მან დაკვირვებული მხერა ერთხელ კიდევ შეავლო პრინ-  
ცესას, მშვიდად და ტკბილად რომ თვლემდა, და ოთახიდან გავიდა.

ამ დროს სასახლის კარის დასტაქარიც შემოვიდა. ხელში უზარ-  
მაზარი სალბუნი ეჭირა და ირწმუნებოდა, ბრწყინვალე პრინცს რა  
ხანია მისსავე ოთახში ველოდებოდი, თავში არც კი გამოვლია, რომ  
იგი ბრწყინვალე პრინცესის საძინებელში... ის-ის იყო, დასტაქარმა  
პრინცისათვის სალბუნის დადება დააპირა, რომ სწორედ ამ დროს  
მსახურმა ქალმა ვერცხლის ლანგრით რამდენიმე მოზრდილი კარ-  
ტოფილი შემოიტანა; რა დაინახა დასტაქარი, გზა გადაუღობა და  
მტკიცება დაუწყო, დამწვრობისთვის გახეხილ კარტოფილზე უებარ-  
ი წამალი არ არსებობსო.

— მე თავად მინდა, — შეაწყვეტინა მსახურ ქალს სიტყვა იულიამ და ვერცხლის ლანგარი ჩამოართვა, — დიახ, მე თავად მინდა დაგადლოთ უებარი სალბუნი, ჩემო პატარა პრინც!

— ღმერთო დიდებულო! — წამოიძახა შეშინებულმა დასტაქარმა, — შეჩერდით! განა შეიძლება შინაური წამლის გამოყენება, როცა საქმე მისი ბრწყინვალეების დამწვარ თითებს ეხება? ასეთ შემთხვევაში შეველა მხოლოდ დიდის ხელოვნებით მომზადებულ წამალს შეუძლია! — და დასტაქარმა დააპირა კვლავ მიახლოებოდა პრინცს, მაგრამ ეს უკანასკნელი განზე გახტა და წამოიძახა:

— შორს, შორს ჩემგან! დაე, სალბუნი თავად იულიამ დამადოს! ხელოვნებამ კი ახლავე მოუსვას აქედან!

„ხელოვნებასაც“ ისლა დარჩენოდა, თავი დაეკრა მისი უდიდებულესობისათვის, მსახური ქალისათვის გესლიანი მხერა ესროლა და ოსტატურად მომზადებულ სალბუნთან ერთად გაუჩინარებულიყო.

იულიამ შენიშნა, რომ პრინცესამ სუნთქვას მოუხშირა; მაგრამ, წარმოიდგინეთ მისი გაოცება, როდესაც...

(მ. ა. ა.) ...დაძინება. შამფურზე წამოგებულოვით ვტრიალებდი ქვეშაგებში. როგორ აღარ ვცადე წოლა — ხან მთელ სიგრძეზე ვიჭიმებოდი, ხან გორგალვით დაუქვეოდი, თავს ფაფუკ თათებზე ჩამოვდებდი და კუდს ისე კოხტად შემოვიჭდობდი ტანზე, რომ თვალეებზე ამეფარებოდა ხოლმე; ხან გვერდზე წამოვწვებოდი, თათებს უმოძრაოდ დავიწყობდი, კუდს კი სრულიად უსიცოცხლოდ ჩამოვკიდებდი საწოლზე. მაგრამ ყველაფერი ამას იყო! სულ უფრო და უფრო მერუოდა აზრი და გონება; ბოლოს და ბოლოს კი ის უცნაური ციებ-ცხელება დამეწყყო, ძილი კი არა, ძილ-ღვიძილს შორის გამართული ორთაბრძოლა რომ შეიძლება უწოდოს კაცმა. ამას სამართლიანად ამტკიცებდნენ: მორიცი,<sup>1</sup> დავიდსონი,<sup>2</sup> ნუდო,<sup>3</sup> ტიდემა-

<sup>1</sup> კარლ ფილიპ მორიცი (1756-1793) — გერმანელი მწერალი და ექიმი, 1783-1793 წლებში გამოსცემდა „ცნობის ფურცელს სულიერი ცხოვრების გამოცდილების შესახებ“.

<sup>2</sup> კოლფ დავიდსონი — XVIII საუკუნის დასასრულისა და XIX საუკუნის დასაწყისის ექიმი, ავტორი წიგნისა „გამოკვლევები ძილის შესახებ“ (1786).

<sup>3</sup> ჰაინრიხ ნუდო — გერმანელი ექიმი და მწერალი. ავტორი წიგნისა „დაკვირვება ძილის თეორიაზე“ (1791).



ნი,<sup>1</sup> ვინპოლტი,<sup>2</sup> რაილი,<sup>3</sup> შუბერტი,<sup>4</sup> კლუგე და სხვა ფიზიოლოგები, რომელთაც თუმცა, კი ვიცი, ბევრი რამა აქვთ დაწერილი ძილსა და სიზმარზე, მაგრამ ეს ნაწერები თავად არ წამიკითხავს.

შხე უკვე ნათელ სხივებს აფრქვევდა ჩემი პატრონის ოთახში, როცა ამ მათრობელ ბურანს თავი დაგაღწიე და ძილ-ღვიძილს შორის ორთაბრძოლიდან გამოვედი. მალე საღი განსჯის უნარიც დამიბრუნდა. მაგრამ, რომ იცოდეთ, რად მიღირდა ან ეს გამოღვიძება, ან საღი განსჯა! ო, ჭაბუკო კატავ, ვიცი, შენ ახლა ხარბად ნთქავ ამ სტრიქონებს! მაშ, ყურადღებით დაცქვიტე ყურები, რომ არ გამოგეპაროს ჩემი დარიგების ძირითადი აზრი! შეეცადე, ჩემთან ერთად განიცადო ის უიმედო მდგომარეობა, რისი აღწერაც მხოლოდ მკრთალ ფერებში თუ ძალმიძს. გიმეორებ, შეეცადე წარმოიდგინო შენი თავი ამ მდგომარეობაში და გაითვალისწინო შენი შესაძლებლობები, როდესაც პირველად მოხვდები ბურში კატების წრეში და ჩვენებურ სასმელს შესვამ. გირჩევ, რაც შეიძლება ნელა წრუპო სასმელი და ზომარზე მეტი არ დალიო, ხოლო თუ ვინმე აგიხირდება, თავად კატა მური და მისი ამბავი მოიყვანე მაგალითად. ამის თავდები ჩემი საკმაოდ ცნობილი სახელი გახლავთ და იმედი მაქვს, ამას ყველა ერთხმად აღიარებს კიდევაც!

მაშ, ასე! რაც შეუხება ჩემს ჯანმრთელობას, მარტო დაღლილობასა და სისუსტეს როდი ვგრძნობდი; ამას ზედ ისიც ერთვოდა, რომ საშინლად მაწუხებდა კუჭში გასვლის მოთხოვნილება, მიზანს კი ვერა და ვერ ვაღწევდი. მუცელი და ნაწლავები მიბუყბუყებდა. ამის გამო საშინლად ვიყავ ალგზნებული და დაჭიმული ნერვები გაუთავებელი, უშედევო ჭინთვებისაგან აუადმყოფურად მითრთოდა. ო, რომ იცოდეთ, რა შავ დღეში ვიყავ!

მაგრამ კიდევ უფრო მტანჯველი იყო ჩემი საოცარი სულმძიმო-

<sup>1</sup> დიტრიხ ტილემანი (1748-1803) — გერმანელი მწერალი და ფილოსოფოსი. ნაშრომში „გამოკვლევები ადამიანის შესახებ“ (1778) იგი ეხება ძილის პრობლემებს.

<sup>2</sup> არნოლდ ვინპოლტი — ავტორი წიგნისა „ცხოველური მაგნეტიზმის განმკურნებელი ძალა საკუთარი დაკვირვებების მიხედვით“.

<sup>3</sup> იოჰან ქრისტიან რაილი (1759-1813) — გერმანელი ექიმი და მწერალი. თავის წიგნში „ფსიქიკური სამკურნალო მეთოდის გამოყენება სულიერი აშლილობის დროს“ (1803) იგი წერდა ძილის შესახებ.

<sup>4</sup> გოტჰილფ ჰაინრიხ შუბერტი (1780-1860) — ავტორი წიგნისა „ძილის სიმბოლიკა“ (1814).

ბა. გუშინდელი საქციელის გამო სინდისის ქენჯნას განვიცდიდი, თუმცა, კაცმა რომ თქვას, გასაკიცხი არაფერი ჩამიდენია. სულიერ სიმძიმის ყველაფერ ამქვეყნიურისადმი უიმედო გულგრილობის გრძნობაც დაემატა. მძულდა და მეზიზღებოდა ღვთით ბოძებული ყველა წყალობა, დედაბუნების ყველა საჩუქარი, თვით სიბრძნე, გონიერება და მახვილსიტყვაობაც კი. უდიდესი ფილოსოფოსები, უნიჭიერესი მწერლები ახლა ჩერის თოჯინებად მეჩვენებოდა და მათ, არც მეტი, არც ნაკლები, ეგრეთ წოდებულ „ტიკინებად“ ვნათლაუდი. მაგრამ ყველაზე დამღუპველი ის გახლდათ, რომ ეს ზიზღი საკუთარ თავზეც გადამოვიდა და მომეჩვენა, რომ ერთი უბრალო, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი, თავკიჭურია კატა ვიყავი მხოლოდ! აბა, მითხარით, რა შეიძლება იყოს ამაზე უფრო დამამცირებელი! იმის გაფიქრებაზე, რომ თავს უდიდესი უბედურება დამატყდა და, რომ ეს ქვეყანა მწუხარების ბუდეა მხოლოდ, გული მწარე ნალველით ამევსო. თვალები მოვჭკუტე და ხმამაღლა ავქვიითინდი.

— გეტყობა, გიქეიფია, მურ, და მაინცდამაინც კარგ გუნებაზე ვერა ხარ? დიახ, დიახ, ჩემო კარგო, ასეა ხოლმე. აბა, ერთი კარგად გამოიძინე, ნახე, როგორ მოგეშვას! ოხ, შე ძველო, შენა! — აი, ასე მომმართა პატრონმა, როცა ნახა, რომ საუზმეს პირი არ დაუკარე და თან ერთი-ორჯერ მწარედ ამოვიოხნე.

ო, ღმერთო დიდებულო! რა იცოდა ჩემმა პატრონმა, ან კი საიდან უნდა სცოდნოდა, როგორ ვიტანჯებოდი! მას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, როგორ მოქმედებდა ჩემს ნაზ, მგრძნობიარე სულზე ბურშების საზოგადოება და ჩვენებური ბურახი.

უკვე შუადღე უნდა ყოფილიყო მოტანებული, მე კი ჯერ ისევ ჩემს საწოლზე ვიყავ მოკალათებული. უეცრად, სად იყო და სად არა, ეშმაკმა უწყის როგორ, ოთახში ჩვენი ძმა მუციუსი გაჩნდა. მეგობარს მყისვე შევჩოვლე ჩემი უგუნებობა. რატომღაც იმედი მქონდა, მუციუსი შემბრალებს და დამამშვიდებს-მეთქი, მაგრამ ნაცვლად ამისა, იგი უზრდელად, ხმამაღლა ახარხარდა და წამოიძახა:

— ხა, ხა, ხა, ძმაო მურ! განა არ იცი, რომ ეს ყველაფერი დროებითია? ვერც კი მიმხვდარხარ, რომ უღირსი ფილისტერული ყრმობიდან ღირსეულ ბურშობის ხანაში შედგი ფეხი. შენ კი გგონია, რომ შეუძლოდა ხარ და თავს უბედურად გრძნობ. როგორ გეტყობა, რომ ჯერ კიდევ არა ხარ შეჩვეული დარდიმანდულ დროსტარებას!



მაგრამ ძალიან გთხოვ, პატოვი დამლო, და პატრონთან მაინც არ იწუწუნო შენს დარდსა და უგუნებობაზე. ისედაც უკვე საკმაოდ ვართ გამასხარავებული ამ სენის გამო, ყასიდად რომ შეაწერეს ჩვენს მოდგმას ყიამყრალმა ადამიანებმა, და თანაც ისეთი სახელი გამოუნახეს, რომ კაცი მაშინვე მიხვდება, ვისზედაც არის ლაპარაკი.<sup>1</sup> ახლა არ მინდა აქ მისი გამეორება. აბა, ერთი, ფეხზე წამოდექი, ძალ-ღონე მოიკრიბე და წამომყევი. ახლა შენ სუფთა პაერი მოგიხდება. და გარდა ამისა: უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ნაბახუსევზე გამოხვიდე! წამო, წამო! ახლავე საქმით გაიგებ, თუ რას ნიშნავს ყოველივე ეს.

მას შემდეგ, რაც ფილისტერობის წუმპიდან ამომიყვანა, ჩვენმა ძმა მუციუსმა დიდი გაულენა მოიპოვა ჩემზე, თავის ჭკუაზე დამატარებდა: აი, ახლაც, დიდის ვაი-ვაგლახით წამოვობოლდი საწოლიდან, გავიზმორე, რამდენადაც ამის უფლება მომცა დამძიმებულმა კიდურებმა, და ჩემს ერთგულ მეგობარს სახურავზე გავყევი. მცირე ხნის სეირნობის შემდეგ მართლაც უკეთ ვიგრძენი თავი და გუნებაც გამომიკეთდა. მერე ის იყო, მუციუსმა საკვამურთან მიმიყვანა და ძალისძალად მაიძულა, რამდენიმე ყლუპი ქაშაყის წვენი დამეღია. როგორც თვითონ ამიხსნა, სწორედ ეს გახლდათ ნაბახუსევზე გამოსვლა.

ო! რა სასწაულისამებრ მოქმედებდა ეს საოცარი სითხე! აბა, რაღა გითხრათ? კუჭში გასვლის საშინელი მოთხოვნილება გამიქრა, ნაწლავები აღარ მიბუყბუყებდა და თავადაც დაუძმვილდი; კვლავ მშვენიერი მომეჩვენა სიცოცხლე, ახლებურად ვიგრძენი ყველა ამქვეყნიური სიკეთის ძალა, კვლავ პატოვისცემით განვიმსჭვალე მეცნიერების, სიბრძნის, გონების, მახვილსიტყვაობისადმი და ა.შ. ერთი სიტყვით, კვლავ ვიპოვე საკუთარი თავი და ისევ იმ საოცარ, განუმეორებელ კატა მურად ვიქეც!

ო, დედაბუნებაუ! ნუთუ იმ ორიოდვე წვეთ სასმელს, ქარაფშუტა კატა მხიარული აღტყინების წუთებში რომ გადაკრავს ხოლმე, იმ-

<sup>1</sup> „ისედაც უკვე საკმაოდ ვართ გამასხარავებული ამ სენის გამო, ყასიდად რომ შეაწერეს ჩვენს მოდგმას ყიამყრალმა ადამიანებმა, და თანაც ისეთი სახელი გამოუნახეს, კაცი მაშინვე მიხვდება, ვისზედაც არის ლაპარაკი“ — ორიგინალში სიტყვათა თამაშია: „Katzenjammer“ — ნიშნავს ნაბახუსევზე გამოსვლას, სიტყვასიტყვით „კატის მოთქმას“.

დენი ძალა აქვს, რომ ამბოხი მოგიწვოს? ამავე დროს, მას ძალუძს, ბრძოლა გამოუცხადოს შენს კუთილშობილურ შეგონებას, დედობრივი სიყვარულით დღენიადაგ რომ გვიქადაგებდი და შთაგვაგონებდი, ეს სამყარო ყველა ამქვეყნიური სიკეთით, ყველაზე სრულყოფილია არსებულ სამყაროთა შორის,<sup>1</sup> კატა კი ამ სამყაროს გვირგვინი გახლავთ, რამეთუ ყველა ეს სიკეთე მხოლოდ და მხოლოდ მისთვის და მის გამოა შექმნილიო? ამქვეყნიურ სიკეთეზე რომ ვლაპარაკობდი, რაღა თქმა უნდა, შემწვარ თევზს, ქათმის ძელებს, რძის ფაფასა და სხვა ამგვარებს ვგულისხმობდი. მაგრამ ფილოსოფიურად მოაზროვნე კატას ძალუძს ამ ჭეშმარიტების შეცნობა: მასში ხომ ღრმა სიბრძნე იმალება, სახლდობრ კი, აი, რა: ეს საშინელი, მტანჯველი გრძნობა საპირისპირო განწყობას ქმნის და ადამიანს აშკარად უმსუბუქებს მდგომარეობას, ეს კი, მოგეხსენებათ, რარიგ აუცილებელია მისთვის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ასე და ამრიგად იგი (ეს მტანჯველი გრძნობა) დასაბამს თავად სამყაროს მარადიულობის კანონებში პოვებს. მაშ, ასე, ჭაბუკო კატებო! სვით ნაბახუსევზე ქაშაყის წვენი და გული გაიკეთეთ თქვენი განსწავლული და გამჭრიახი, მაგრამ ამავე დროს ბედკრული მეგობრის ამ ფილოსოფიური შეგონებით.

საკმარისია გითხრათ, რომ რამდენიმე ხანს, ბურშს რომ შეჰფერის, ისე ლაღად და უზრუნველად ვატარებდი დროს მეზობელ სახურავეებზე მუციუსის და კიდევ რამდენიმე თეთრი, ჟღალი და ჭრულა კატის საზოგადოებაში, ცნობილი რომ იყვნენ თავიანთი პატიოსნებით, გამოცდილებითა და მხიარულებით. ახლა კი ისეთი ამბების მოყოლას შევუდგები, მნიშვნელოვანი კვალი რომ დატოვებს ჩემს ცხოვრებაში.

ერთ ღამესაც მთვარის კაშკაშა შუქზე მუციუსთან ერთად სამიკიტნოსკენ მოეშურებოდი, სადაც ხშირად იკრიბებოდნენ ბურშები. აი, სწორედ იქ შევხვდი იმ ჭრულა არამზადას, მისმისი თვალსა და ხელს შუა რომ წამართვა. აბა, რა გასაკვირია, რომ საძულველი მეტოქის დანახვაზე ძალიან შევცბი. ჩემდა სამარცხვინოდ, თავის

<sup>1</sup> „ეს სამყარო ყველა ამქვეყნიური სიკეთით, ყველაზე სრულყოფილია არსებულ სამყაროთა შორის“ — ავტორი დასციხის გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცის (1646-1716) ფილოსოფიას, რომლის მიხედვითაც „ჩვენი სამყარო ყველაზე უკეთესია არსებულ სამყაროთა შორის“.



დროზე, განა სწორედ მას არ დაუთმე სატროფო? ახლა მან გვერდზე ჩამიარა, კინალამ მხარი გამკრა და, რა თქმა უნდა, მისალმების ღირსადაც არ ჩამთვალა. ისიც მომეჩვენა, თითქოს მოპოვებული გამარჯვებით გაამაყებულმა, გესლიანად ჩაიღიმა კიდევ. უმაღლესად დაკარგული მისმისი, გადატანილი ცემა-ტყეპა და სისხლი ამემღვრა. მუციუსმა შემამჩნია აღელვება და როცა მოუყვავი, რაც მიღრღნიდა გულს, მომიგო:

— მართალი ხარ, ძმაო მურ! ამ არაშხადამ ისეთი სიტუაციით მიიღო და ისე გამომწვევად ეჭირა თავი, აშკარად გადაწყვეტილი ჰქონდა, შეურაცხყოფა მოეყენებინა შენთვის. კეთილი და პატიოსანი! თუ ასეა, ამასაც მალე შევითვალთ თუ არ ვცდები, ეს ჭრულა ფილისტერის ახალი სიყვარულობანას თამაშით უნდა იყოს გართული; ყოველ საღამოს ამ სახურავზე დაეთრევა. ცოტა მოთმინება გვმართებს და ვაუბატონიც, ალბათ, მალე დაბრუნდება, მაშინ კი, გაგიხარია, ყველაფერი გაირკვევა.

მართლაც, დიდხანს არ დაგვჭირვებია ცდა: ჭრულა კატა გოროზად გამოემართა ჩვენკენ და შორიდანვე მესროლა ზიზღნარევი მხერა. მეც გაბედულად და გულდაგულ გავეშურე მის შესახვედრად. მალე პირისპირ აღმოჩნდით და კუდები არცთუ მთლად თავაზიანად მოგვიხვდა ერთმანეთზე. მაშინვე გავჩერდი, შემოვტრიალდი და მტკიცე ხმით ვთქვი, მიაუ-მეთქი.

ისიც შეჩერდა, შემობრუნდა და ამპარტავნულად მომახალა, მიაუო!

მერე ორივენი ჩვენ-ჩვენი გზით წავედით.

— ნახე, რა შეურაცხყოფა მოგაყენა! — წამოიძახა საშინლად განრისხებულმა მუციუსმა, — ხვალვე მოუთხოვ პასუხს ასეთი თავხედობისათვის იმ ჭრულა ვაუბატონს!

მეორე დღით მუციუსი ჭრულასთან გაეშურა და ჩემი სახელით ჰკითხა, გაპკარი თუ არა მურს კუდიო. მან მუციუსს დააჯალა, ჩემთვის გადმოეცა: დიახ, გაკკარიო. ამაზე მე შევუთვალე: თუკი ჩემს კუდს შეეხე, მაშ, უნდა ჩავთვალო, რომ შეურაცხყოფა მომაყენე-მეთქი? ამაზე ჭრულამ მომიგო: რადაც გინდა, იმად ჩათვალეო. მე ვუპასუხე: ჩემი აზრით, შეურაცხყოფა მომაყენე-მეთქი. მან შემომითვალა: აბა, შენ რა გესმის, რა არის შეურაცხყოფაო. მე მიუგე: წარმოიდგინე, მშვენიერად ვიცი და შეიძლება შენზე უკეთესადაც-მეთქი.

ამაზე ჭრულამ მიპასუხა: ვერაფერი დიდი შეილი ხარ, რომ ღირდეს შენი შეურაცხყოფაო. მე ხელახლა მოუგე: თავს მაინც შეურაცხყოფილად ვთვლი-მეთქი. მან კი მიპასუხა: შტერი ხარ ვილაცაო. მინდოდა საბოლოო სიტყვა მე დამრჩენოდა, ამიტომ გამოველავე, მე თუ შტერი ვარ, შენ ერთი გათახსირებული ფინია ბრძანდები-მეთქი. ამას ძეისვე დუელში გამოწვევა მოჰყვა.

**(რამულის მინდორზე გამოცემლის ხელით მინაწერი)**

ო, მურ, ჩემო საყვარელო კატაუ! ორში ერთია: ან შექსპირის დროიდან მოყოლებული დღემდე არ შეცვლილა ღირსების დაცვის წესები, ანდა მხატვრულ ტყუილში გამოგიჭირე. დიახ, ეს ისეთი ტყუილი გახლათო, კაცი თავისი თავგადასავლის შესაღამაზებლად რომ გამოიყენებს ხოლმე, რათა მას მეტი ეშხი და ლაზათი მისცეს. განა იმ მუქთახორა ჭრულა არამზადის ორთაბრძოლაში გამოწვევის ამბავი წმინდა წყლის პაროდია არ გახლათ იმ სიცრუეზე, ერბოქვა შეიდეგერ რომ უარყოფს შექსპირის პიესაში „თქვენ როგორ მოგეწონებათ ეს?“<sup>1</sup> განა შენ მიერ აღწერილ ორთაბრძოლაში აშკარად არ ჩანს, რიგრიგობით როგორ ენაცვლება თავზიან უარს გესლიანი დაცინვა, აშკარა თავდასხმას და მამაცურ თავდაცვას კი ცხარე შეტაკება? იქნებ ფიქრობ, ის გიშველის, რომ აშკარა ტყუილის ნაცვლად, აშკარა ლანძღვა-გინებით დაამთავრებ სათქმელს? მურ, ჩემო კატაუ! რეცენზენტების თავდასხმისათვის მზად უნდა იყო! თუმცა, რახან ის მაინც დაამტკიცე, რომ გულმოდგინედ და ყურადღებით წაგიკითხავს შექსპირი, ამის გამო ბევრი რამ შეიძლება ეპატიოს კაცს.).

გულწრფელად უნდა ვაღიარო, ცოტა არ იყოს, შიშმა დამიარა, როცა შევითყვე, მეტოქე ბრჭყალებით ორთაბრძოლაში მიწვევდა. მყის გამახსენდა, როგორ დამასახიჩრა ჭრულა არამზადამ, როცა მას ეჭვითა და შურისძიებით შეპყრობილი დავესხი თავს. აქ კი ვინანე, რომ მუციუსის ხელშეწყობითა და დახმარებით ორთაბრძოლაში თავად გამოვიწვიე მეტოქე. ეტყობა, მუციუსმა დაინახა, როგორ

<sup>1</sup> „პაროდია... იმ სიცრუეზე, ერბოქვა შეიდეგერ რომ უარყოფს შექსპირის პიესაში „თქვენ როგორ მოგეწონებათ ეს?“ — ტაკიმასხარა ერბოქვა ამბობს, რომ სიცრუე კაცმა შეიძლება შეიდეგერ უარყოს (იხ. შექსპირის კომედია „როგორ მოგეწონებათ ეს“, მოქმედება 5, სურათი 4).



გაუფითრდი, როდესაც ეს სისხლიანი ბარათი გადავიკითხე და ისიც შემამჩნია, რომ საერთოდ საშინელ გუნებაზე ვიყავი.

— ძმაო მურ, — მითხრა მან, — ეს შენი პირველი დუელია და აუცილებლად გამარჯვებაა საჭირო. მე კი რატომღაც მეჩვენება, რომ ცოტა შიშს შეუპყრიხარ.

აი, მაშინ კი უჭოჭმანოდ გადაუშალე მეგობარს გული და გამოვუტყდი, თუ რატომ შევდრკი.

— ო, ჩემო ძმაო! — წამოიძახა მუციუსმა, — ჩემო ძვირფასო ძმაო მურ! რატომ გავიწყდება, რომ მაშინ, როცა მაგ თავხედმა ჩხუბისთავმა ასე უღმერთოდ დაგალილა, შენ ერთი ცხვირმოუხოცავი ლაწირაკი იყავი, დღეს კი გულადი ბურში ხარ. ჭრელასთან შენს შეხლა-შემოხლას ვერც ნამდვილ დუელს ვუწოდებთ, — მოგეხსენება მას თავისი წესები და კანონები აქვს, — ვერც ჩვეულებრივ ორთაბრძოლას. ეს მხოლოდ და მხოლოდ ფილისტერული წაკინკლავება გახლდათ, ასეთი რამ კი ჭეშმარიტ ბურშს ნამდვილად არ ეკადრება! აბა, დაუკვირდი, ძმაო მურ; ადამიანები შურის თვალით შესცქერიან ჩვენს განსაკუთრებულ ნიჭსა და უნარს, გვკიცხავენ, თითქოს ჩვენ არაპატიოსანი გზებით ვებრძვით ერთმანეთს, ხოლო როცა მსგავსი ამბები მათ მოდგმაშიც დატრიალდება ხოლმე, დაცინვით ამბობენ: „წაკინკლავდნენ და კატებოვით დაფხოჭნეს ერთმანეთით“. სხვას ყველაფერს რომ თავი დაუანებოთ, წესიერი, პატიოსანი და თავმოყვარე კატა მარტო ამისათვის უნდა არიდებდეს თავს ამგვარ არასასიამოვნო შეხვედრებს, და ამით მაინც შეარცხვინოს ის ადამიანები, ხელიდან რომ არ უშვებენ ხელსაყრელ შემთხვევას, ან თვითონ გატყვიპონ ვინმე, ანდა სხვას გაატყეპინონ თავი. მაშ, ასე, ძვირფასო ძმაო! ეცადე, დასძლიო შიში და მოკრძალება! ეცადე, გაუკაცურად გეჭიროს თავი და დარწმუნებული იყავი, თანასწორ ორთაბრძოლაში შეძლებ ჯეროვნად იძიო შური იმ ჭრულა კოხტაპრუწაზე, მოყენებული შეურაცხყოფისათვის. იმედია, ისე მამაცურად გაუსწორდები მეტოქეს, რომ იგი კარგა ხნით შეეშვება მრუმ ძრომიალს და თავისი სასიყვარულო თავგადასავლებით სულელურ ბაქიბუქს. მაგრამ, მომითმინე! სწორედ ახლა თავში გამკრა აზრმა, რომ მას შემდეგ, რაც თქვენ შორის მოხდა, ბრჭყალებით ბრძოლა სრულიად არ იქნება საკმარისი. ეს შეტაკება სამკვდრო-სასიცოცხლო უნდა იყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ კბენის გარეშე ამ საქმეს

არაფერი ეშველება. მაგრამ აუცილებლად უნდა შევითვინოთ, რა აზრის არიან ბურშები ამის თაობაზე.

მუციუსმა მოახსენა ბურშების თავყრილობას ჩემსა და ჭრულა კატას შორის მომხდარი შეხლა-შემოხლის შესახებ და ყველაფერი ისე მშვენივრად დაასაბუთა, დამსწრენი ერთხმად დაეთანხმნენ მუციუსის მოსაზრებებს. მე კი ვთხოვე მეგობარს, გადაეცა ჭრულა მეტოქისათვის, რომ ბრძოლაში გამოწვევას კი ვიღებდი, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ერთი პირობით: ერთმანეთს კბილებით უნდა შევბოდიოთ, რამეთუ მაგ შეურაცხყოფით ენით აუწერელი ტკივილი მომაყენე-მეთქი. ჭრულა კატამ თავდაპირველად შორს დაიჭირა ჩემი წინადადება, მიზეზად მოიღო: კბილები ძალიან დაჩლუნგებული მაქვსო და სხვა მისთანები, მაგრამ მუციუსმა ჩვეული სერიოზულობითა და სიმტკიცით განაცხადა, აქ საქმე სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეხება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ კბილების გარეშე ფონს ვერ გახვალ. მაგრამ, იცოდე, თუ ამ წინადადებას უარყოფ, მოგიწევს შეურიგდე იმ აზრს, რომ მართლაც „გაიძვერა ფინია“ ხარო. აი, მაშინ კი ჭრულა ყველაფერზე დათანხმდა.

ბოლოს და ბოლოს, ის ღამეც დადგა, როცა ორთაბრძოლა იყო დანიშნული. როგორც შეთანხმებული ვიყავით, მუციუსთან ერთად ჩვენი უბნის ბოლო სახლის სახურავზე გამოვცხადდით. მალე ჩემი მეტოქეც მობრძანდა ვიღაც ზორბა კატის თანხლებით; ამ უკანასკნელს გაცილებით უფრო ჭყეტელა ქურქი ემოსა და ჭრულაზე ბევრად გაამპარტყუნებული და გათავწვერებული ჩანდა. მალე ჩვენი ვარაუდი გამართლდა: იგი სეკუნდანტი აღმოჩნდა. ისინი თურმე თანამებრძოლები იყვნენ და ერთად მონაწილეობდნენ ბელლისათვის გამათავისუფლებელ ბრძოლებში, რისთვისაც ჭრულა კატა ხოხოზიკის ორდენით დაუჯილდოვებიათ. გარდა ამისა, ჩვენს ორთაბრძოლას ესწრებოდა ერთი პატარა, ნაცრისფერი კატა; როგორც მოგვიანებით შევითვინე, თურმე წინდახედულ მუციუსს დაეჭირა ამის თადარიგი, რადგან ნაცრისფერი კატა ბრწყინვალე დასტაქარი ყოფილა. მას შეეძლო თვით ყველაზე მძიმე და სახიფათო ჭრილობებიც კი ძალზე მოკლე ხანში მოეშუშებინა და განეკურნა. ასე ვიყავით შეთანხმებული: ორთაბრძოლის დროს სამი ნახტომი უნდა გაგვეკეთებინა და, თუ შედეგს ამის მერეც ვერ მივაღწევდით, ვიმსჯელებდით და გადავწყვეტდით, როგორ მოვიქცეოდით შემდგომ: შევწყვეტდით



ბრძოლას, თუ გაუგრძელებდით სეკუნდანტებმა მანძილი ნაბიჯებით გადაზომეს და ჩვენც ერთმანეთის პირისპირ დაედევით შეძღვ, როგორც წესი მოითხოვდა, საშინელი ხმით ატეხეს ყვირილი და ჩვენც ერთმანეთს ვეკვეთეთ.

ის-ის იყო, მეტოქისათვის კლანჭები უნდა გამოემდო, რომ მან დამასწრო, მარჯვენა ყურით დამითრია და ისე საშინლად მიკბინა, უნებურად ყვირილი მოვრთე.

— დაიშალენით! — წამოიძახა მუციუსმა. ჭრულა შემეშვა და ჩვენ კვლავ საბრძოლველად მოვეშზადეთ.

ხელახლა გაისმა სეკუნდანტების გაბმული ყვირილი და ჩვენც ხელმეორედ ვეკვეთეთ ერთმანეთს. იმედი მქონდა, ამჯერად მაინც მარჯვედ ჩაუვლებდი კლანჭებს მოწინააღმდეგეს, მაგრამ ჩემი გაიძვერა მეტოქე ოსტატურად დამიძვრა ხელიდან და მარჯვენა თათზე ისე მიკბინა, სისხლმა შადრევანივით გადმოხეთქა.

— დაიშალენით! — კვლავ წამოიძახა მუციუსმა.

— კაცმა რომ თქვას, — მომიბრუნდა მეტოქის სეკუნდანტი, — საქმე შეიძლება მოთავებულად ჩავთვალოთ ჩემო კარგო, თათი ისე ძლიერ გაქვს დაზიანებული, რომ hors de combat<sup>1</sup>-ში ბრძანდები.

ისე ვიყავ ცაცოფებული და გაბოროტებული, ტკივილს სრულიადაც ვერ ვგრძნობდი; ამიტომაც მივუგე: მესამედ რომ შევებმებით ერთმანეთს, გამოჩნდება, შემწვეს თუ არა შემდგომი ბრძოლის უნარი. აი, მაშინ დავინახავთ, შეიძლება თუ არა ჩვენი საქმე მოთავებულად ჩაითვალოს-მეთქი.

— კი, ბატონო, — მომიგო სეკუნდანტმა და დამცინავად ჩაიქირქილა, — თუკი ასეთი დიდი სურვილი გაქვთ და მაინცდამაინც გინდათ, მოწინააღმდეგის თათით განგმირული დაეცეთ, რომელიც თქვენზე ბევრად ძლიერია, დაე, აღსრულდეს ნება თქვენი.

მუციუსმა კი მხარზე დამკრა თათი და მითხრა:

— ბარაქალა, ბარაქალა, ძმაო მურ! განა შეიძლება ნამდვილმა ბურშმა აინუნში ჩააგდოს ასეთი უბრალო განაკაწრი?! აბა, ახლა შენ იცი, ყოჩაღად იყავი!

სეკუნდანტებმა მესამედ შეჰკოვლეს და ჩვენც მესამედ შევკარით ცაში კამარა. მართალია, საშინლად ვიყავი გააფთრებული, მაგრამ

<sup>1</sup> არასაბრძოლო მდგომარეობაში (ფრანგ.).

მაინც შევნიშნე მოწინააღმდეგის ეშმაკობა. იგი ყოველთვის გვერდზე ცდილობდა გახტომას და ამის გამო ვერაფრით მომეხერხებინა მისი ხელში მოგდება; სამაგიეროდ, თვითონ მშვენივრად მასობდა ბრჭყალებს. რაკილა ამ ფანდს მიუხვდი, შევეცადე ამჯერად მეც გვერდზე გავმხტარიყვი; ვიდრე ჭრულა ჩემთვის ბრჭყალების ჩასობას მოასწრებდა, ყელში ვწვდი და ისე გამეტებით ვუკბინე, დაყვირებაც ვერ მოასწრო და მხოლოდ კვნესალა აღმოხდა.

— დაიშაღენით! — წამოიძახა ამჯერად ჩემი მეტოქის სეკუნდანტმა. მაშინვე უკან გადაჯხტი, ჭრულა კი უგრძნობლად დაეცა მიწაზე და ღრმა ჭრილობიდან სისხლმა შადრუკანოვით იხუვლა. ნაცარა კატა უმაღლ მისკენ გაეშურა. ჭრილობის გადახვევამდე სისხლის დენა როგორმე რომ შეეჩერებინა, ნაცარამ რაღაც შინაურული წამალი ამოიღო. როგორც მუციუსი ირწმუნებოდა, ეს წამალი ჩვენს დასტაქარს ყოველთვის ხელთ ჰქონდა და ნებისმიერ შემთხვევაში შეეძლო გამოეყენებინა. მან დაჭრილს მაშინვე რაღაცა სითხით მოსწმინდა ჭრილობა, მერე კი იგოვე სითხე თავით ფეხებამდე აჰკურა. წამალს ისეთი სუნი ჰქონდა, მაშინვე ეტყობოდა, რომ გამაცოცხლებლად და ძლიერად მოქმედებდა, თუმცა, ეს არც ოდეკოლონი უნდა ყოფილიყო და არც ტედენის<sup>1</sup> სველსაფენები.

მუციუსმა მხურვალედ მიმიხუტა მკერდზე და მითხრა:

— ძმარ მურ! შენი ღირსება მართლაც რომ ვაჟკაცურად დაიცავი. აი, რას ნიშნავს გამბედაობა და შეუპოვრობა! დარწმუნებული ვარ, ისე აღზვედები, ბოლოს და ბოლოს, ბურში ბიჭების გვირგვინი და მშვენება გახდები; ვიცი, არ ძაღვიძს უსამართლობის ატანა და ისიც ვიცი, რომ ყოველთვის პირველი ამოგვიდგები ხოლმე მხარში, როცა საქმე ჩვენი ღირსების დაცვაზე მიდგება.

ჩემი მეტოქის სეკუნდანტი აქამდე ნაცარა დასტაქარს ეშველებოდა, ახლა კი მედიდურად მოგვიახლოვდა და საკმაოდ თავხედურად გამომიციხადა, მესამე ნახტომზე ბრძოლის წესები დაარღვიეო. მას ჩემი მეგობარი მუციუსი გადაუდგა წინ და თვალების ბრიალითა და ბრჭყალების ტრიალით მოახსენა, ამის მოქმელს პირადად ჩემთან ექნება საქმე და მზად ვარ მას აქვე, ადგილიდან ფეხის მოუცვლელად გავუსწორდეო. სეკუნდანტმა გაჩუმება ამჯობინა, უხმოდ მოი-

<sup>1</sup> იოჰან ქრისტიან ტედენი (1714-1797) — გერმანელი ექიმი; გამოიგონა სველსაფენი, რომელსაც ჭრილობის გადასახვევად იყენებდნენ.



კიდა ზურგზე დაჭრილი მეგობარი, რომელიც ის-ის იყო, გრძნობაზე მოსულიყო, და სარკმლისაკენ გასწია. ნაცარა დასტაქარმა მკითხა: ხომ არ ინებებდით თქვენთვისაც მომესხურებინა ჩემი შინაურული წამალიო? და თუმცა, ყური და თათი ძალზე მტკიოდა, უარი განუცხადე. სამაგიეროდ საოცარ კმაყოფილებას ვგრძნობდი იმის გამო, რომ გავიმარჯვე და შური ვიძიე მისმისის მოტაცებისა და შელახული თავმოყვარეობის გამო.

ო, ჭაბუკო კატაჟ! შენთვის, შენთვის აღვწერე ასე დაწერილებით, ჩემს სიცოცხლეში პირველად როგორ გავედი ბრძოლის ველზე და როგორ ვიცაუდი ჩემს შებღალულ ღირსებას. გარდა იმისა, რომ ეს საოცარი თავგადასავალი სრულ წარმოდგენას შეგიქმნის ღირსების დაცვის წესებსა და კანონებზე, აქედან სასარგებლო ცხოვრებისეული გაკვეთილიც შეგიძლია მიიღო. სახელდობრ კი, აი, რას ვგულისხმობ: იცოდე, მარტო ვაჟკაცობითა და სიმამაცით ვერას გახდები მტრის ცბიერ ფანდებთან, ამიტომაც ძირისძირობამდე უნდა შეისწავლო მოწინააღმდეგის ყველა ილეთი, რათა მტკიცედ იდგე ფეხზე და მან ბეჭებით არ გაგაკრას მიწას. „Chi no se aiuta, se nega“,<sup>1</sup> — ამბობს ბრიგელა გოცის „ბედნიერ მათხოვარში“ და განაჭემმარიტ სიმართლეს არ ღალადებენ ბაგენი მისნი?! ჭაბუკო კატაჟ გულის კოვზზე დაიწერე ჩემი ეს შეგონება და არამც და არამც არ მოერიდო ცბიერ ფანდებს, რამეთუ უშრუტი მადნის მსგავსად, მათში ჭემმარიტად ცხოვრებისეული სიბრძნეა დამალული.

შინ დაბრუნებულს კარი უკვე ჩაკეტილი დამხვდა და იძულე-ბული გაუხდი, კარებწინ დაგდებულ ჩალის ფარდაგზე გამეთია ღამე. ეტყობა, ბლომად სისხლი დაუკარგე, რადგან ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ეს-ეს არის გული უნდა წამოვიდეს-მეთქი. ანაზ-დად ვიგრძენ, ვილაცამ ფრთხილად ამიყვანა ხელში. ეს ჩემი კეთილი პატრონი გახლდათ. ეტყობა, კარს უკან ჩემი კრუსუნი თუ შემოესმა; ხოლო, როცა გარეთ გამოვიდა და დამინახა, ჩემი ჭრილობებიც შენიშნა.

— ჩემო საცოდავო მურ! — წამოიძახა მან, — ეს რა დღეში ჩაუგდიხართ? როგორ დაუკბენიხართ? მაგრამ იმედია, არც შენ დარჩებოდი ვალში მოქიშპეს!

<sup>1</sup> „კინც თავს არ შევლის, იგი თავს ენებს“ (იტალ.).

„ო, ჩემო პატრონო, რომ იცოდე, რა გადავიტანე!“ — გავიფიქრე გულში და კვლავ მეცხრე ცაზე ვიგრძენ თავი, როცა გავიხსენე ბრწყინვალე გამარჯვება და წარმოვიდგინე, როგორი შარავანდელი მოუფინე საკუთარ თავს. კეთილმა პატრონმა ჩემს საწოლზე დამსვა და კარადიდან რაღაც მაღამოს ყუთი გამოიღო. მერე ორი სალბუნი მოაშხადა და ყურსა და თათზე დამადო. მოთმინებით და შშვიდად მეჭირა თავი და კეთილ პატრონს ყოველნაირად ხელს ვუწყობდი, ემკურნალა ჩემთვის, და მხოლოდ მაშინ აღმოძხდა ჩუმი, ოდნავ გასაგონი „მრრრ“, როცა დოლბანდის გადაჭერისას ჭრილობები ძალიან მეტკინა.

— მურ, ხედავ, რა ჭკუის კოლოფი ხარ! — მითხრა პატრონმა, — ამიტომაც შენი მოდგმის ზოგიერთ მჩხავანა და ანც კატასავით წინ არ აღუდექი შენი პატრონის კეთილ განზრახვას, დახმარება გაგიწიოს. ახლა წყნარად იწექი; ხოლო, როცა დრო დადგება, რომ თათზე ჭრილობა ლოკვით მოიშუშო, თავად მოიძრობ სახვევს. რაც შეეხება შენს დაფლეთილ ყურს, ამას კი, საბრალოვ, ვერაფერს მოვუხერხებ. მეტი ჩარა არ არის, უნდა მოითმინო და შეეგუო საფენებს.

პატრონს შევპირდი, რომ დავემორჩილებოდი მის ყველა ნებასურვილს და მისი გულისხმიერებით ნასიამოვნებმა, მადლიერების ნიშნად ჯანმრთელი თათი გაუწოდე; მანაც ჩვეულებისამებრ ფრთხილად ჩამომართვა ხელი. დიახ, ჩემმა პატრონმა იცოდა განსწულული კატის ფასი და ყადრი და ისიც არ ეშლებოდა, როგორ უნდა მოჰყრობოდა ჩემისთანა საოცარ პიროვნებას.

მალე ვიგრძენი კიდევ სალბუნის მადლიანი ძალა და გამიხარდა, რომ უარი ვთქვი შინაურულ წამალზე, ნაცარა დასტაქარმა რომ შემომთავაზა. როცა მუციუსი მოსანახულებლად მეწვია, თავს მხნედ და მხიარულად ვგრძნობდი. სულ მალე ჩვეული ძალ-ღონე დამიბრუნდა და მეგობართან ერთად სამიკიტნოსკენ გაუწიე, სადაც ბურშებს პურმარილი გაემართათ. ხომ წარმოგიდგენიათ, რა ენით აუწერელი აღტაცებით შემხვდა ყველა! ამიერიდან ძმაკაცებს ჩემდამი სიყვარული გაუასკეცდათ.

ეს იყო და ეს, იმ დროიდან ბურშების დარდიმანდულ ცხოვრებაში ჩაუვები და აინუნშიაც არ ვაგდებდი, რომ ასეთი ცხოვრების წყალობით ჩემი ქურქის საუკეთესო ნაჭრებს ვკარგავდი. მაგრამ, განა არსებობს ამქვეყნად მარადიული ბედნიერება? განა ყველა ამქვეყნი-



ურ სიხარულს, გულს ნეტარებით რომ გვოვსებს ხოლმე, საფრთხე არ ემუქრება, განა...

(სამაკ. თაბ.) ...მაღალი და ციცაბო გორაკი. სადმე, გაჯაკებულზე, მისთვის მთაც კი შეიძლებოდა ეწოდებინა კაცს. ზემოთ გადიოდა სურნელოვანი ბუჩქნარით შემორაგული ფართო და მოხერხებული გზა; მის ორივე მხარეზე, ფანჩატურების ქვეშ, ქვის სკამები ჩაემწკრივებინათ, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ აქ სტუმართმოყვარეობითა და შზრუნველად ხვდებოდნენ მეროჭიკე მგზავრებს. ზევით რომ ახვიდოდით, მხოლოდ მაშინ გადაიშლებოდა თქვენ თვალწინ იმ შენობის მთელი დიდებულება და ბრწყინვალება, რომელიც შორიდან კაცს ეულად მდგომი საყდარი ეგონებოდა. ალაყაფის კარს ზემოთ ქვაში გამოკვეთილი გერბები, ეპისკოპოსის მიტრა, კვერთხი და ჯვარი იმაზე მეტყველებდა, რომ აქ ოდესღაც ეპისკოპოსის ადგილსამყოფელი უნდა ყოფილიყო, ხოლო წარწერა: *Benedictus, qui venit in nomine domini*<sup>1</sup> ღვთისმოსავ მორწმუნეებს საუანეში სტუმრად იწვევდა. მაგრამ მნახველი თავისდა უნებურად გაოცებული შედგებოდა ხოლმე პალადიოს<sup>2</sup> სტილში ნაგები ეკლესიის დანახვაზე, რომელსაც ორი მაღალი, ჰაეროვანი კოშკი ამშვენებდა. ეს სააბატოს მთავარი შენობა გახლდათ; მას ორივე მხრიდან გვერდითი შენობები ეკვროდა. მთავარ შენობაში აბატის პალატები იყო, გვერდით შენობებში კი ბერების სენაკები, სასადილო ტრაპეზი, დარბაზები თავყრილობისათვის და სტუმართა მისაღები ოთახები. იქვე, მონასტერთან ახლოს, იყო აგრეთვე სამეურნეო სათავსები, ფერმა და მამასახლისის საცხოვრებელი სახლიც. ქვემოთ, ველზე გაშენებული ლამაზი სოფელი კანცჰაიმი, სააბატოს მდიდრული ჭრელი გვირგვინით შემოვლებოდა გარშემო. შორეული მთების ძირამდე გადაჭიმულიყო ზურმუხტისფერი ველი. დიდძალი ნახირი შეჰფენოდა ანკარა ნაკადულებით დასერილ მწვანე საძოვრებს. ფერდობებზე აქა-იქ შეფენილი სოფლები მოჩანდა, მობიბინე პურის ყანებს გლუხების მხიარული ყიჟინა ახშიანებდა. ხშირ ჭალებში ჩიტების ყურისწამლები ჭიკჭიკი ისმოდა. დაბურული ტყიდან ნიაუს

<sup>1</sup> „კურთხეულ იყოს ღვთის სახელით მოსული“ (ლათ).

<sup>2</sup> ანდრეა პალადიო (1508-1580) — აღორძინების ხანის იტალიელი არქიტექტორი, მისი შემოქმედება ჰარმონიულობითა და სიმკაცრით გამოირჩევა.

ბუკის შორეული ხმები მოჰქონდა. ფართო მდინარეზე, დაბლობზე რომ მიედინებოდა, სწრაფად მისრიალდნენ მძიმედ დატვირთული თეთრაფრიანი ნაჯები; აქა-იქ მენაჯეების მხიარული შედახილები ისმოდა. ირგვლივ იგრძნობოდა ხვავი და ბარაქა, ბუნების მადლი და ცხოველი, მარადმრბოლი სიცოცხლის სისხლსავე მაჯისცემა. საბატოს სარკმლებიდან ამ მხიარული სანახაობით ტკბობა ადამიანს სულიერად აღამაღლებდა და გულს ლხენით უესებდა.

ეკლესია გარედან ხომ ასეთი ბრწყინვალე და ამავე დროს კეთილშობილური ჩანდა, მის შიდა მოწყობილობას მნახველი მყისვე სამართლიანად გაკიცხავდა; მას აშკარად ესვა ბერების უგემოვნებობის ბეჭედი, ამის მიზეზი კი წმინდანთა ჭრულაჭრულად შეთხიპნილი ქანდაკებები და ოქროთი მოფარაყებული ხისჩარჩოიანი უაზრო სურათები გახლდათ, აქ რომ უხვად დაეხორაყებინათ ამიტომაც მით უფრო თვალში საცემი ხდებოდა აბატის პალატების ხუროთმოძღვრული სტილის სიწმინდე და მათი სადა მოწყობილობა. საკურთხევიდან ფართო დარბაზში შეიძლებოდა გასვლა; ეს გახლდათ წმინდა მამების თავყრილობის ადგილი. ამასთან, აქვე ინახუდნენ მუსიკალურ საკრავებსა და ნოტებს. დარბაზიდან აბატის პალატებისაკენ იონური სვეტებით დამშვენებული გრძელი დერეფანი მიემართებოდა. კედლებზე გაკრული აბრეშუმი, სხვადასხვა სკოლის საუკეთესო მხატვართა მშვენიერი ფერწერული ტილოები, ცნობილ ღვთისმსახურთა ქანდაკებანი, ხალიჩები, ულამაზესად ფენილი იატაკები, ძვირფასი მორთულობა, — ყველაფერი ეს მდიდრული მონასტრის დოვლათსა და ბარაქაზე მეტყველებდა. თუმცა, აქ გამეფებული სიმდიდრე არაფრით ტოვებდა მნახველზე იმ ბრწყინვალე ფუფუნების შთაბეჭდილებას, კაცს თვალს რომ ჭრის და აოცებს, მაგრამ არ ამშვიდებს, სიხარულს არ განაცდჳინებს. აქ ყველაფერს თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი. ამიტომაც ადამიანს არაფერი ეჩხირებოდა თვალში. ერთი ნოეთის მშვენიერება ვერ აბათილებდა მეორის სილამაზით მოგერილი კმაყოფილების გრძნობას; ადამიანს შეუძლო მთლიანობაში აღექვა ეს ყველაფერი და ჭეშმარიტი სიამოვნებაც განეცადა. სიამოვნების ეს გრძნობა კი მხოლოდ და მხოლოდ იმით იყო გამოწვეული, რომ ოთახების მოწყობილობაში არაფერი იყო ზედმეტი, ხოლო ზომიერების გამოწონილი გრძნობა კი, როგორც მოგეხსენებათ, გახლავთ ის, რასაც ნატიფ გემოვნებას



უწოდებენ ხოლმე. აბატის პალატების მოწყობილობა და სიმყუდროვე ფუფუნების მიჯნაზე იდგა, მაგრამ არასოდეს სცილდებოდა ამ ზღვარს; ერთი სიტყვით, აქ არაფერს შექმლო ჩრდილი მიყენებინა მისი უწმინდესობის ღირსებისათვის.

აბატი ქრიზოსტომუსი კანცკაიმში რამდენიმე წლის წინ ჩამოსულიყო და სწორედ მაშინ მოეწყო თავისი ადგილსამყოფელი ისე, როგორც დღეს გამოიყურებოდა. ამ მოწყობილობით შეიძლებოდა კაცს ცოცხლად წარმოედგინა აბატის ხასიათი და ცხოვრების ყაიდა, თუნდაც იგი პირადად არ ცნობოდა და არაფერი სცოდნოდა მისი იშვიათი განსწავლულობის შესახებ. მის უწმინდესობას სულ ახლახან გადაებიჯებინა ოთხი ათეულისათვის. ტანმაღალი, ბრგედ ასხმული, წარმოსადგვი, მადლფენილი, ვაჟკაცურად ლამაზი პირისახის აბატი სასიამოვნო ქცევებითა და კეთილშობილებით გამოირჩეოდა. ამიტომაც ყველა, ვისაც კი მასთან საქმის დაჭერა უხდებოდა, მისდამი ღრმა პატივისცემის გრძნობით იმსჭვალებოდა, რასაც აგრერიგად მოითხოვდა მისი სასულიერო წოდება. ეკლესიის დაუცხრომელი ქომაგი, თავისი ორდენისა და მონასტრის უფლებების მხურვალე დამცველი, საჭიროების შემთხვევაში ღმობიერიცა და დამთმობიც ჩანდა. მაგრამ სწორედ ეს მოჩვენებითი ღმობიერება და სირბილე გახლდათ ის იარაღი, რომელსაც იგი ოსტატურად ფლობდა, და რომლის წყალობითაც მარჯვედ იგერიებდა ყოველგვარ შემოტევებს, თვით უზენაეს ხელისუფალთა თავდასხმებსაც კი. შეიძლება კაცს ეფიქრა, აბატის გულუბრყვილო, დათაფლული, სულითა და გულით ნათქვამი სიტყვების მიღმა წმინდა მამებისათვის ჩვეული ეშმაკობა იმალებაო, მაგრამ უშუალო საუბარში თანამოსაუბრე უმაღლ იგრძნობდა აბატის მოქნილი გონების ძალას, ასე ღრმად რომ ჩასწვდომოდა საეკლესიო ცხოვრების ყველა იდუმალ კუთხე-კუნჭულს. აბატი რომის საპროკავანდო კონგრეგაციის პირში გახლდათ.

თავად იგი უარს ამბობდა ამქვეყნიურ სიამოვნებებზე, რამდენადაც ამის შეთავსება შეიძლებოდა საეკლესიო ზნე-ჩვეულებებსა და წესდებასთან. ამიტომ აბატი თავის მრავალრიცხოვან ქვეშევრდომებსაც ზუსტად იმდენ თავისუფლებას აძლევდა, რაც კი მათ მდგომარეობაში მყოფ კაცს შეიძლებოდა ჰქონოდა. ასეც დაეწესებინათ მონასტერში: ვინც მეცნიერებით იყო დაინტერესებული, თავის გან-

მარტოებულ სენაკში ჩაჰკირკიტებდა წიგნებს, სხვები კი ამ დროს უდარდელად დასეირნობდნენ სააბატოს პარკში და მხიარული საუბრით ერთობოდნენ. მეოცნებე, ღვთისმოსიშიში მამები მარხულობდნენ და ღღეებს ლოცვაში აღამებდნენ, სხვები კი ბარაქიან სუფრასთან ნუგბარი საჭმელებით ტკბებოდნენ და მხოლოდ იმ რელიგიური წეს-ჩვეულებების დაცვით კმაყოფილდებოდნენ, მათი ორდენის წესდებით რომ იყო გათვალისწინებული. ვის სააბატოს დატოვება უჭირდა, ვინ შორეულ მოგზაურობაში მიდიოდა; იყვნენ ისეთებიც, რომლებიც, საამისო დრო რომ დადგებოდა, ბერის გრძელ სამოსს სანადირო მოკლე ჯუბაზე ცვლიდნენ და ნადირობის ტრფიალად გადაიქცეოდნენ ხოლმე. რა მიზანსწრაფვის ბერს არ შეხვდებოდი თაქ! და თითოეულ მათგანს შეეძლო მთელი არსებით მისცემოდა თავის გატაცებას! მაგრამ ერთი კია: აქ ყველას ერთი რამ აერთიანებდა: ეს გახლდათ მუსიკისადმი მხურვალე სიყვარული. თითქმის ყველა მათგანი გაწაფული მუსიკოსი იყო, ხოლო მათ შორის ისეთი ვირტუოზებიც ერივნენ, ნებისმიერი სასახლის კარის კაპელას რომ დაამშვენებდნენ. წმინდა მამების განკარგულებაში გახლდათ ნოტების მდიდარი კოლექცია და შესანიშნავი საკრავები, ასე რომ, თითოეულ მათგანს შესაძლებლობა ჰქონდა, მუსიკალური ხელოვნების იმ სახეობისათვის მოეკიდა ხელი, რაც მისთვის უფრო სასურველი იყო; რჩეული მუსიკალური ნაწარმოებების ხშირი შესრულება კი იმის საწინდარი გახლდათ, რომ წმინდა მამები მუდმივად ხვეწდნენ და იმალდებდნენ თავიანთ საშემსრულებლო ოსტატობას.

კრაისლერის სააბატოში ჩამოსვლამ წმინდა მამების მუსიკით ამ გატაცებას ახალი ბიძგი მისცა. სწავლულებმა წიგნები დახურეს, ღვთისმოსიშებმა ლოცვას უკლეს; ყველამ კრაისლერის გარშემო მოიყარა თავი, რადგან თავად იგიც ძალიან უყვარდათ და მის ნაწარმოებებსაც ყველაზე უფრო აფასებდნენ. თვითონ აბატსაც გულწრფელად უყვარდა კრაისლერი და ცდილობდა სხვებთან ერთად მისთვის თავისი პატივისცემა და სიყვარული ეგრძნობინებინა. ადგილისათვის, სადაც სააბატო იყო მოთავსებული, კაცს შეიძლებოდა ნამდვილი სამოთხე ეწოდებინა. მონასტერში ცხოვრება ძალზე საამური და ხალისიანი იყო. მაგალითისათვის ისიც კმარა, რომ აქ სუფრა ყოველთვის ხუვრიელად იშლებოდა და ძვირფასი ღვინოების ნაკლებობაც არასოდეს იგრძნობოდა, რაზედაც მამა ჰილა-



რიუსი ზრუნავდა. წმინდა მამების დასში გულწრფელი მხიარულება სუფევდა, ამის თავიდათავი კი თვითონ აბატი გახლდათ; მათთან კრაისლერი, რომელიც მთელი არსებით მუსიკის ტყვეობაში იყო, მშობლიურ სტიქიაში გრძნობდა თავს; აფორიაქებული სული დაუმშვიდდა, ბასრი მახვილსიტყვაობა თითქოს მოუჩლუნგდა და ბავშვოვით თვინიერი და უწყინარი გახდა. მაგრამ რაც მთავარია, კვლავ დაუბრუნდა რწმენა საკუთარი თავისა და ამასთან, სადღაც გაქრა ის მოჩვენება-ორეულიც, მისი დაკოდილი გულიდან მოწანწკარე სისხლის წვეთებით რომ იკვებებოდა.

ვგონებ, კაპელმაისტერ იოჰანეს კრაისლერზე სადღაც ამომიკითხავს,<sup>1</sup> მეგობრები ვერაფრით აიძულებდნენ, რომელიმე თავისი ნაწარმოები ჩაეწერათ, და თუ, ბოლოს და ბოლოს, ასეთი სასწაული მაინც მოხდებოდა, იგი უმაღლეს ცეცხლს მისცემდა ხოლმე თავის ნახელავს, რაგინდ დიდიც უნდა ყოფილიყო მისთვის შემოქმედებითი აღტყინებით გამოწვეული სიხარულიო. როგორც ჩანს, ეს მისი ცხოვრების იმ საბედისწერო წლებში ხდებოდა, როდესაც საბრალო იოჰანესს გარდაუვალი დაღუპვა ემუქრებოდა, რის თაობაზეც ზემოხსენებული ბიოგრაფი ძალზე ძუნწ ცნობებს გვაწვდის. ყოველ შემთხვევაში, აქ, კანცკაიბის სააბატოში, კრაისლერი ყოველნაირად გაურბოდა თავისი ნაწარმოებების განადგურებას, პირდაპირ მისი სულიდან რომ იღვრებოდა თითქოს. მისი ახლანდელი განწყობა იმ ტკბილ, ნეტარ კაემანში ირეკლებოდა, რომლითაც მისი ქმნილებები იყო გამსჭვალული, მაშინ, როცა წინათ, ჰარმონიის წიაღიდან იგი მხოლოდ და მხოლოდ ძლევაგამოსილ სულებს უხმობდა, ადამიანთა გულებში შიშს, ძრწოლასა და უიმედო ტანჯვა-წამების გამო წუხილს რომ იწვევდნენ ხოლმე.

ერთ საღამოს პატრონიკებზე საეკლესიო გუნდი კრაისლერის საზეიმო მესას უკანასკნელად იმეორებდა. ეს ნაწარმოები კომპოზიტორს უკვე დაემთავრებინა და ხვალ დილით გუნდს იგი საჯაროდ უნდა შეესრულებინა. მეცადინეობის მერე წმინდა მამები თავიანთ სენაკებში დაბრუნდნენ, კრაისლერი კი მარტოდმარტო იდგა დარბაზის სვეტებიან გასასვლელში და შორით ჩამაული შხის უკანას-

<sup>1</sup> „ვგონებ, კაპელმაისტერ იოჰანეს კრაისლერზე სადღაც ამომიკითხავს“ — იხ. პირველი ნაწილი ე. თ. ა. ჰოფმანის ნაწარმოებთა კრებულითა „ფანტაზიები, დაწერილი კალოხ მიბაძვით“.

კნელი სხივებით განათებულ მიდამოს გასცქეროდა. ეჩვენებოდა, თითქოს სადღაც შორიდან ყურში კვლავ ჩაესმოდა საკუთარი ქმნილება, რომელსაც ეს-ეს არის სიცოცხლე შთაბერეს წმინდა მამებმა. ხოლო როცა „Agnus dei“<sup>1</sup> გაისმა, იგი კვლავ არაჩვეულებრივი ძალით შეიპყრო იმ წუთის ენით აუწერელმა ნეტარებამ, როცა მის გონებაში პირველად გაიხშიანა „Agnus“-მა. „არა, — წამოიძახა მან და ცხარე ცრემლები წასკდა თვალთაგან, — არა, ეს მე არა ვარ! ეს მხოლოდ შენა ხარ, შენ, ჩემო ერთადერთო ფიქრო, ჩემო ერთადერთო ოცნებაჲ!“

საოცარი იყო, როგორ შეიქმნა ნაწარმოების ის ნაწილი, სადაც აბატმაც და წმინდა მამებმაც უმხურვალესი ღვთისმოშიშობისა და ციური სიყვარულის გამოვლინება დაინახეს. კრაისლერი მთელი არსებით მოეცვა უკვე დაწყებულ საზეიმო მესაზე ფიქრს. მის დამთავრებას კი ძალიან ბევრი აკლდა. პოდა, ერთხელაც დაესიზმრა, ვითომ უკვე დამდგარიყო იმ წმინდანის სახელობის დღე, რომელსაც იგი თავის ქმნილებას უძღვნინდა; აი, ზარების რუკვა გაისმა. კრაისლერი პულტთან დგას, წინ მზა პარტიტურა უდევს. აბატი თავად წირავს, მერე ნიშანს აძლევს და მისი „Kyrie“<sup>2</sup>-ც იწყება.

ნაწილ-ნაწილ, თანამიმდევრობით სრულდება მესა. კრაისლერს აოცებს და მთლიანად იპყრობს მისი ბრწყინვალე, მგზნებარე შესრულება. და აი, „Agnus Dei“-ს ჯერიც დგება. მაგრამ შეძრწუნებული კრაისლერი ანაზღად ამჩნევს, რომ პარტიტურის გვერდები ცარიელია, მათზე ერთი ნოტიც კი არ არის აღნიშნული; წმინდა მამები მას შესცქერიან, ელიან, როდის დაირღვევა სიჩუმე. მაგრამ სირცხვილისა და შიშის გრძნობას მისი სხეული ტყვიასავით დაუძძიმებია, და თუმცა, მთელი მისი არსება „agnus“-ს მოუცავს, არაფრით ძალუძს მისი პარტიტურაში გადატანა. ანაზღად ის წმინდა ანგელოზი გამოეცხადება, პულტთან მიდის და ციური ხმით ასრულებს „Agnus“-ს: ეს ანგელოზი იულია გახლავთ! უმაღლესი შთაგონებით შეპყრობილ კრაისლერს გამოელვიდა და იმ ნეტარ სიზმარში ახშიანებული „Agnus“-ი ჩაიწერა. და, აი, ეს სიზმარი ახლა კვლავ

<sup>1</sup> „Agnus Dei“ („ღვთის კრავი“) — საეკლესიო ვალობა; შეადგენს კათოლიკური მუსის აუცილებელ ნაწილს.

<sup>2</sup> „Kyrie eleison“ — უფალო, შეგვიწყალო (ბერძნ.). კათოლიკური ლოცვის დასაწყისი.



დაესიზმრა, კვლავ ჩაესმა ყურში იულიას ხმა, სულ მაღლა-მაღლა მიიწევდა ტალღად ქცეული სიმღერა, და როცა ბოლოს და ბოლოს გუნდმა „Dona nobis pacem“<sup>1</sup> წამოიწყო, კრაისლერი ნეტარი სიხარულის უკიდუგანო მორევში ჩაიძირა...

მხარზე მსუბუქმა დარტყმამ გამოარკვია თავდაუიწყებისაგან. მის წინ აბატი ქრიზოსტომუსი იდგა და კუთილი ღიმილით შეპყურებდა.

— ხომ მართალს გეუბნები და არ ვცდები, — წამოიწყო აბატმა, — შვილო ჩემო იოჰანეს! ახლა ხომ სულით და გულით ხარობ იმის გამო, რომ შეძელი, ასე ბრწყინვალედ და უზადოდ შთაგებერა სიცოცხლე შენი ყველაზე სანუკვარი ოცნებისათვის? რატომღაც მგონია, ახლა შენს საზეიმო მესაზე ფიქრობდი, შენი შემოქმედების ერთ-ერთ ყველაზე უბადლო ქმნილებად რომ მიმაჩნია.

კრაისლერი უხმოდ შესცქეროდა აბატს. იგი ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო გონს და სიტყვის დაძვრას ვერ ახერხებდა.

— აბა, აბა, — განაგრძო აბატმა კუთილი ღიმილით, — ახლა კი ძირს დაეშვი იმ მწვერვალებიდან, ოცნებით ფრთაშესხმული რომ დაფარფატებდი. ეჭვი არ მეპარება, დამაშურალი შენი გონება დღენიადაგ ქმედობს და მუშაკობს და არც კი იცის, რა არის დაღლა. მართალია, ეგ შრომა ძალზე სასიამოვნო შრომა გახლავს, მაგრამ ამავე დროს სახიფათოცაა, რამეთუ ბოლოს და ბოლოს დაგწრეტს და გამოგფიტავს. სცადე, იქნებ დროებით მაინც შეეშვა აზრთა შემოქმედებით ჭიდილს; მოდი, ცოტა გავისეირნ-გამოვისეირნოთ ამ ვრცელ დერეფანში და გულითადად წავისაუბროთ!

აბატმა ლაპარაკი ჩამოაგდო მონასტერში გამეფებულ წესრიგზე, ბერების ცხოვრებაზე, შეაქო ის ჭეშმარიტად წმინდა და ღვთისმოსავი განწყობა, რომლითაც შეპყრობილი იყო აქ ყველა და, დასასრულ, ასეთი შეკითხვა დაუსვა კაპელმაისტერს: არ ვიცი, რამდენად მართალი ვარ, მაგრამ ასე მგონია, სააბატოში ყოფნის დროს უფრო მშვიდად, ძალდაუტანებლად და სისხლსაუსუდ იგრძენ მხურვალე გატაცება იმ მაღალი ხელოვნებით, ეკლესიის მსახურს რომ განადიდებსო.

კრაისლერს ისლა დარჩენოდა, დასთანხმებოდა ამ აზრს და დაერწმუნებინა აბატი, წმინდა საგანე ჩემთვის ნამდვილი ნავსაყუდე-

<sup>1</sup> „მოგვეც მშვიდობა“ (ლათ.).

ლიაო; აქ ყველაფერი ისე მშობლიური მეჩვენება, თათქოს მართ-  
ლაც ორდენის წვერი ვიყო, და ასე მგონია, ველარასოდეს შექცდებ  
მის მიტოვებასო.

— თქვენო უწმინდესობაჲ, — ასე დაასრულა სათქმელი კრაის-  
ლერმა, — ოღონდ ნუ ამიკრძალავთ თაჲის მოტყუებას, რაშიც ეს  
სამოსიც აგრერიგად მიწყობს ხელს! ნება მიბოძეთ, მეგონოს, თათ-  
ქოს საშინელ ქარიშხალს დაფაღწიე თაჲი და გზააბნეულმა განგების  
წყალობით მოვარდნილ კუნძულზე ვპოუე თაჲშესაფარი. დაე, მეგო-  
ნოს, რომ არასოდეს გაქრება ის მშვენიერი სიზმარი, რომელიც სხვა  
არა გახლავთ რა, თუ არა ხელოვანის შთაგონება!

— მართლაცდა, შვილო ჩემო იოჰანეს, — მიუგო აბატმა და სახე  
უჩვეულოდ კეთილმა ღიმილმა გაუცისკროვნა, — სამოსი, რომე-  
ლიც იმისათვის ჩაიცვი, რომ შენც წმინდა მამად გრაცხდეთ, ძალზე  
გიხდება, და ჩემი სურვილი იქნებოდა, არასოდეს გაგებოდა იგი. შენ  
ყველაზე ღირსეული ბენედიქტელი ხარ, რომელსაც კი შეიძლება  
შეხვდეს კაცი... მაგრამ, მოდი, — განაგრძო აბატმა მცირეოდენი  
ღუმილის შემდეგ, — ამას სახუმაროდ ნუ გავხდით. კარგად იცით,  
იოჰანეს, რომ თქვენი გაცნობა და შეყვარება ერთი იყო. იმ დღიდან  
სულ უფრო და უფრო მეტი პატივისცემით ვიმსჯულები თქვენი ხა-  
ლასი ნიჭისადმი და სულ უფრო და უფრო იზრდება ჩემში თქვენ-  
დამი ჭეშმარიტად მეგობრული გრძნობა. ასეა ხოლმე: თუ კაცი  
გიყვარს, მასზე გულიც შეგტკოვა. აი, სწორედ ეს გულისტკივილი  
მაიძულებდა, შიშით მედევნებინა თქვენთვის თვალყური მას შემ-  
დეგ, რაც მონასტერში მოხვედით. ამ დაკვირვებების შედეგად ისეთი  
აზრი დამებადა, რომელიც ვერა და ვერ ამოვიგდე თავიდან. დიდი  
ხანია მინდოდა, გული გადამეშალა თქვენთვის, მხოლოდ ხელსაყ-  
რელ წუთს ველოდი, და აი, ეს წუთიც დადგა: კრაისლერ, განუდევით  
ქვეყნიერებას! შემოდით ჩვენს ორდენში!

მართალია, კრაისლერი კმაყოფილი იყო სამონასტრო ცხოვ-  
რებით, ძალიანაც უნდოდა, გაეხანგრძლივებინა თაჲისი ყოფნა ამ  
წყნარსა და მყუდრო საგანეში, სადაც ყოველგვარი პირობა ჰქონ-  
და შექმნილი, სისხლსავე შემოქმედებითი საქმიანობისათვის მიეყო  
ხელი, მაგრამ აბატის სიტყვებზე მაინც უსიამოვნოდ შეცბა. ჯერჯე-  
რობით ძალიან შორს იყო იმ აზრისაგან, ხელი აეღო სანუკვარ თა-  
ვისუფლებაზე და მონასტრის კედლებში სამუდამოდ დამარხული-



ყო, თუმცა, კაცმა გულწრფელად რომ თქვას, ასეთმა სულელურმა აზრმა ერთხელ როგორღაც გაუელვა თავში, და როგორც ეტყობა, აბატს სწორედ ეს არ დარჩენია შეუმჩნეველი. კრაისლერი გაოცებით შეაჩერდა თანამოსაუბრეს, მან კი ისე, რომ იოჰანესს ხმა-კრინტის დაძვრა არ დააცალა, განაგრძო:

— მშვიდად დაძვირეთ ყური, კრაისლერ, ვიდრე პასუხს მომცემდეთ ჩემის მხროვ, მოხარული ვიქნებოდი, თუკი ეკლესიაც თქვენებერთგულ მსახურს შეიძენდა. მაგრამ ეკლესია თავად კიცხავს ყოველგვარ ძალადობას რწმენის საკითხში! იგი იქით მიისწრაფვის, რომ ადამიანში გააღვიოს ჭეშმარიტი შემეცნების ნაპერწკალი, რომელიც შემდგომ რწმენის მოკაშკაშე ალად გადაიქცევა და თავის გზაზე მოსრავს ყველა შეცდომასა თუ ეჭვს. მე მხოლოდ მინდა ხილული გავხადო და თქვენს ცნობიერებამდე მოვიტანო ის, რაც ბუნდოვნად და ქვეცნობიერად, ალბათ, უკვე არსებობს თქვენი გულის სიღრმეში. არა მგონია, ჩემო იოჰანეს, საჭირო იყოს თქვენთვის რაიმეს თქმა იმ სულელურ შეხედულებებზე, რომელიც ხალხშია გავრცელებული სამონასტრო ცხოვრებაზე. ფიქრობენ, თითქოს საშინელი ყისმათი უბიძგებს ხოლმე კაცს ბერის სენაკში შესვლას; და აი, იგი განუდგება ამქვეყნიურ ყველა სიკეთეს და ამიერიდან მხოლოდ და მხოლოდ მარადიული ტანჯვა-წამებისა და უბადრუკი არსებობისთვის არის განწირული. ასე რომ იყოს, მაშინ მონასტერი პირქუში საპყრობილე იქნებოდა მხოლოდ, სადაც უნუგეშოდ გლოვობენ სამუდამოდ დაკარგულ ბედნიერებას, სადაც გამეფებულია სასოწარკვეთა და საზარელი თვითგვემის სიგიჟე, და თავიანთ ბედკრულ, ილაჯგაწყვეტილ ყოფას მისდევენ სახეამოლამეებული, გატანჯული აჩრდილები, შემადრწუნებელ შიშს ლოცვების ყრუ ბუტბუტში რომ იხშობენ!

კრაისლერმა ღიმილისაგან თავი ვეღარ შეიკავა, როცა აბატმა წამებულ აჩრდილებზე ჩამოაგდო სიტყვა. მას თვალწინ წარმოუდგა კარგად ნაპატიოები ბენედიქტელები და განსაკუთრებით ლოყებლაჟლაჟა მამა ჰილარიუსი; ღვთის ამ კეთილი მსახურისათვის ხომ ყველაზე დიდი ტანჯვა ცუდად დაყენებული ღვინის დაღვევა გახლდათ ხოლო ყველაზე დიდი შიში ახალი პარტიტურის დანახვაზე ეუფლებოდა, როცა მას უცბად ვერ გაუგებდა ხოლმე თავსა და ბოლოს.

— გეცინებათ, არა? — განაგრძო აბატმა, — რადგან ხელაუთ

რა შეუსაბამობაა ჩემ მიერ აღწერილ სურათსა და იმ სამონასტრო ცხოვრებას შორის, აქ რომ ნახეთ და, რაღა თქმა უნდა, საამისოდ საკმარის მიზეზებიც გაქვთ. შესაძლოა, ბრძოლითა და ჭაპანწყვეტით გატანჯული ზოგი ადამიანი მართლაც აიღებს ხოლმე ხელს ამქვეყნიურ სიკეთესა და ბედნიერებაზე და მონასტერს მიაშურებს; ო, ნეტარება მას, ვისაც ასეთ წუთებში ეკლესია ხელს არა ჰკრავს და თავის კალთას გადააფარებს; მხოლოდ აქ, მის წიაღში პოუბენ ადამიანები ჭეშმარიტ შვებას, კაცს გადატანილი ტანჯვა-წამების საშინელებას რომ ავიწყებს და ამქვეყნიურ ბიწიერებათა დამღუპველი გავლენისაგან იხსნის! მაგრამ რამდენია ისეთი, ვინც მონასტერში ღვთისმოსაობისა და მჭვრეტელობითი ცხოვრებისაკენ ჭეშმარიტ სწრაფვას მოჰყავს. ვინც ღმერთს ამქვეყნიური ორომტრიალისათვის არ გაუჩენია, მის მხრებს არ შესწევს ძალა, ზიდოს ყოველდღიური ცხოვრების მძიმე უღელი, რამეთუ მისი სიმძიმე წელში ხრის და დრეკს. ასეთი კაცი მხოლოდ ნებაყოფლობით განდევნობაში პოუბს სულის სიმშვიდეს! მაგრამ ამათ გარდა კიდევ ერთი ჯურის ხალხი არსებობს: ისინი სამონასტრო ცხოვრებისაკენ დიდი სწრაფვით არ გამოირჩევიან, მაგრამ სწორედ აქ, მონასტერში კი პოუბენ ხოლმე თავიანთ ადგილს. ამ შემთხვევაში მხედველობაში მყავს ის, ვინც ამქვეყნიურ ცხოვრებაში დღენიადაგ გარიყულად გრძნობს თავს; ასეთ კაცს ჰგონია, რაკი ერთხელ უკვე შეიგრძნო, მაღალი იდეალისაკენ სწრაფვის მშვენიერება, ისე მის ცხოვრებას აზრი არა აქვს, თუ მთელი თავისი სიცოცხლე ამ იდეალის სამსახურს არ შეაღია. მაგრამ იმის გამო, რომ ასეთი ადამიანები დაუცხრომლად ელტვიან მიუწვდომელს, ამაოდ აწყდებიან აქეთ-იქით, ვერასოდეს იოკებენ სურვილს და უნუგემო ჭმუნვით შეპყრობილნი, ამაოდ დაშვრებიან სიმშვიდისა და მყუდროების ძებნაში. ისინი შიშველ მკერდს პირდაპირ უშვერენ მათკენ მომართულ ისრებს. მათი დაკოდილი გულის მოსაშუშებლად მხოლოდ და მხოლოდ ერთი წამალი არსებობს: მწარე დაცინვით გაუმასპინძლდნენ მტერს, დღენიადაგ იარაღს რომ აუღარუნებს მათ წინააღმდეგ. ერთადერთი, რაც ასეთ ადამიანს სულის სიმშვიდეს აგრძნობინებს და მთელ მის არსებას არამიწიერი ნეტარებით აღავსებს, — რაც ასე მიუწვდომელია ამ უკუღმართ ცხოვრებაში, — მარტოობა და მტრის თავდასხმებს განრიდებული ერთფეროვანი ყოფაა. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, მთუ-



ლი სამყაროს მუდმივი, თავისუფალი ჭვრეტა გახლავთ და თქვენც, იოჰანეს, დიახ, თქვენც, ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანი ხართ, ვისაც ყოვლისშემძლე განგება მიწიერ ტანჯვა-წამებას კი აგემებს, მაგრამ შემდეგ ციურ ნეტარებადღეც აპყავს ხოლმე. ამაღლებულის ცხოველი განცდა, რომელიც მარადჟამს იქნება და უნდა იყოს კიდევაც განხეთქილების მიზეზი თქვენსა და ამქვეყნიური ცხოვრების ამაზრზენ ამაოებას შორის, შუქურვარსკვლავით გამოანათებს ხელოვნებაში; ეს განცდა სხვა სამყაროს კუთვნილებაა. იგი იმ ღვთაებრივი სიყვარულის წმინდა საიდუმლო გახლავთ, თქვენს ტკბილი ნეტარებით აღსავსე გულში რომ დაუდვია ბინა. ეს ხელოვნება თავად გახლავთ მგზნებარე ღვთისმოსაობა. და, თუ იგი მთელი არსებით შეგიპყრობთ, შეძლებთ სრულიად განუდგეთ ამქვეყნიური ცხოვრების აურზაურს და ისე ადვილად შეეღვეით მას, როგორც ზრდადასრულებული ჭაბუკი მისთვის უკვე გამოუსადეგარ რამ სათამაშოს. ერთხელ და სამუდამოდ დაიხსომეთ, ნუ დაუგდებთ ყურს დაბოლმილ რეგვენთა გესლიან დაცინვას, რაც ასე ხშირად უძღვრევს ხოლმე კაცს სისხლს! დიახ, მუგობარი გიწვდით გაჭირვების ჟამს დახმარების ხელს, რომ მყუდრო ბინა დაგადებინოთ და შუგიფაროთ ქარიშხლისაგან დაცულ წყნარსა და საიმედო ნავსაყუდელში.

— ჩემო ღირსეულო მუგობარო! — თქვა იოჰანესმა დაფიქრებითა და პირქუშად, — მთელი არსებით, დიახ, მთელი არსებით ვგრძნობ თქვენი სიტყვების ჭეშმარიტებას; მართალი ბრძანდებით, მე ამ ცხოვრების კაცი არ გახლავართ, იგი ჩემთვის მარად ამოუხსნელი გამოცანა იყო და იქნება მუდამ. და მაინც — ამას სიამოვნებით ვაღიარებ, — დედის რძესთან ერთად შესისხლხორცეებული მაქვს ცრურწმენა, რომელიც მაფრთხილებს, რომ ამ სამოსის ჩაცმაზე ფიქრიც კი საშიში და სახიფათოა; დიახ, ეს სამოსი საპყრობილედ მესახება, რომელსაც უკვე ვეღარასოდეს დავადწევ თავს. ასე მგონია, ეს ქვეყანა, სადაც კაპელმაისტერ იოჰანესის თვალს სურნელოვანი ყვავილებით მოფენილი არა ერთი და ორი წალკოტი ატკბობდა, ბევრი იოჰანესისათვის უეცრად მივარდნილ, მწირ უდაბნოდ გარდაიქცევა-მეთქი. თითქოს მისთვის, ვისაც ერთხელ გადაუწყვეტია მჩქეფარე ცხოვრების ტალღებზე ნაფარდი, ამ ქვეყნისაგან განდგომა...

— განდგომა? — გააწყვეტინა კაპელმაისტერს აბატმა და ხმას აუწია, — იოჰანეს ჩემო, აბა, მითხარ, რა განდგომაზეა ლაპარაკი,

როცა ხელოვნების ყოვლისშემძლე ძალა დღითი დღე სულ უფრო და უფრო იპყრობს შენს არსებას, როცა შთაგონებით შეპყრობილი სულ უფრო მძლედ შლი ფრთებს და სულ ზვეით-ზვეით მიიწვევს კაშკაშა სხივით განათებული ღრუბლებისაკენ? სხვა რაიმეს ძალუძს კიდევ ცხოვრებაში, ბედნიერებით შეპყრობილს, ასე მოგჭრას თვალი? თუმცა, — განაგრძო აბატმა უფრო მომბალი ხმით, — უზენაესმა ინება, მკერდში ისეთი გრძნობა შთაებერა ჩვენთვის, თავისი უჩვეულო ძალით მთელს არსებას რომ შეგვირყევს ხოლმე. ეს სულსა და ხორცს შორის გაბმული იდუმალი ძაფი გახლავთ, სულსა ჰგონია, ქიმერული ნეტარების მწვერულისაკენ მოვისწრაფვიო, სინამდვილეში კი იმის მეტი არა უნდა რა, რაც ხორციელ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. ასე და ამრიგად წარმოიქმნება ის ურთიერთქმედება, რაც კაცთა მოდგმის გამრავლებას უზრუნველყოფს. ვგონებ, არ უნდა იყოს საჭირო იმის ახსნა, რომ ხორციელ სიყვარულზე მაქვს ლაპარაკი და სრულიადაც არ მიმაჩნია ადვილ საქმედ მასზე უარის თქმა. მაგრამ, იოჰანეს, ამ ქვეყნისაგან განდგომით, შეგიძლია საკუთარი თავი იხსნა დალუპვისაგან; ვერასოდეს, ვერასოდეს შეძლებ პოვო და ვერც პოვებ ბედნიერებას მიწიერ სიყვარულში!

აბატმა ეს სიტყვები ისე საზეიმოდ და მედიდურად წარმოთქვა, თითქოს წინ გადაშლილი ედო ბედ-იღბლის წიგნი, საიდანაც საბრალო კრაისლერს აუწყებდა, ყველა ამქვეყნიურ ტანჯვა-წამებას მხოლოდ იმ შემთხვევაში დააღწევ თავს, თუ მონასტერში ბერად აღიკვეციებიო.

მაგრამ სწორედ ამ დროს კრაისლერს სახეზე უჩვეულოდ აუთამაშდა ყველა კუნთი, რაც იმის მომასწავებელი იყო, რომ მასში ჩვეულმა კვიმატსიტყვაობის გრძნობამ გაიღვიძა.

— ჰა, ჰა, ჰა! — გადაიხარხარა მან, — თქვენი მაღალკეთილშობილება ცდება, დიახ, ცდება! თქვენს მაღალკეთილშობილებას სწორად ვერ ვუცნივარ; ეტყობა იგი შეცდომაში ჩემმა სამოსმა შეიყვანა; ეს სამოსი კი იმისათვის ჩამოვიცვი, რომ შესაძლებლობა მქონოდა, ადამიანებისათვის ცოტა ხანს მაინც დამეცინა en masque.<sup>1</sup> მინდა ისე ვუჩურონო მათ ყურში, თუ რას წარმოადგენენ სინამდვილეში, რომ ვერ მიცნონ, ვინა ვარ; დაე, იცოდნენ, რა შეილებიც არიან.

<sup>1</sup> ნილაბქვეშ (ფრანგ.).



აბა, ისე, მამაკაცის კვალობაზე განა დასაწუნი მეთქმის? ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა ვარ, უსიამოვნო გარეგნობა აქვსო, ვერ იტყვის კაცი; თანაც, არც სწავლა-განათლება და თავაზიანობა მაკლია! როგორ ფიქრობთ, მე კი არ შემძლია თავიდან ფეხებამდე აბრეშუმის თუთრეულში გამოვქეწო, ზევიდან მშვენიერი შავი ფრაკი გადავიცვა, თამამად მივუახლოვო რომელიმე პროფესორის ან სასახლის კარის მრჩველის თვალებმაცვალა თუ ზღვისფერთვალეა ქალიშვილს და უნაზესი amoroso<sup>1</sup>-სთვის ჩვეული მიხრა-მოხრით, სახის გამომეტყველებითა და ტკბილი ხმით მოვახსენო: „უშვენიერესო, ხომ არ ინებებდით, გებოძებინათ ჩემთვის ხელი, ხოლო მაგ ხელისათვის თქვენი ძვირფასი არსებაც გამოგეყოლებინათ?“ პროფესორის ქალიშვილი წამწამებს დახრიდა და ოდნავ გასაგონად წაილულლულულებდა: „მამიკოს მოელაპარაკეთო!“ ანდა სასახლის კარის მრჩველის ქალიშვილი მეოცნებე მზერას შემავლებდა, შემდეგ კი დამიწყებდა დარწმუნებას: კარგა ხანია შევამჩნიე, რომ მეტროფოდით და ვხედავ, ამ ტროფობის სიტყვებით გამოხატვა მხოლოდ ახლალა მოახერხეთო, მერე კი, ვითომდა სხვათა შორის, ჩამოაგდებდა სიტყვას საქორწილო კაბის გასაწყო მამანებზე. ო, ღმერთო ჩემო, პატოცემული ბატონი მამიკოები რა სიამოვნებით გაასაღებდნენ თავიანთ ქალიშვილებს, რა სიხარულით დასთანხმდებოდნენ ისეთი საპატიო კაცის სიძეობაზე, როგორიც გახლავთ დიდი მთავრის ყოფილი კაპელმაისტერი. მაგრამ ისიც შემეძლო, ოცნების მწვერვალზე ზეაუჭრილიყავ, იდილიაში გადავარდნილიყავ და ჩემი გული და ხელი მოიჯარადრის პირმშვენიერი ქალიშვილისათვის სწორედ იმ დროს შემეთავაზებინა, როცა იგი თხის ყველის ამოყვანას შეუდგებოდა; ანდა მეორე ნოტარიუს პისტოფოლუსით<sup>2</sup> წისქვილში გავვარდნილიყავი და იქ ფქვილის მტვრიან, ჰაეროვან ღრუბლებში გახვეული ჩემი ქალღმერთი მეპოვა. აბა, მითხარით, ვინ ეტყოდა უარს ჩემს მოსიყვარულე გულს, რომელსაც ამქვეყნად არაფერი სურს და არაფერს მოითხოვს, გარდა ქორწილისა, ქორწილისა და კვლავ ქორწილისა? რაო, რა ბრძანეთ, ჩემთვის არ არსებობს სიყვარულის ბედნიერებაო? ცდებით, თქვენო მაღალკეთილშობილე-

<sup>1</sup> მიჯნური (იტალ.).

<sup>2</sup> ნოტარიუსი პისტოფოლუსი — პაიზიელოს ოპერა „მეწისქვილე ქალის“ მთავარი გმირი, შეუყვარდება ახალგაზრდა მეწისქვილე ქალი და გულსა და ხელს შესთავაზებს.

ბავ ჩემსაერთ არაუის შეუძლია დატკბეს სიყვარულით, რამეთუ ჩემი უმარტივესი თუმა გახლავით „თუ გინდოვარ, მეც მინდიხარ“, ხოლო ამ თემის შემდგომმა ვარიაციებმა საქორწილო allegro brillante-ს მერე თავად ცოლ-ქმარს შორის უნდა გაიხშიანოს. თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ალბათ, არ იცით, რომ მე ადრეც ძალზე სერიოზულად ვკვიდებოდი ცოლქმრობის საკითხს. რა თქმა უნდა, იმ დროისათვის ვერ კიდევ ერთი გამოუცდელი და ტლუ ბიჭი ვიყავი, ასე, შვიდიოდე წლისა, მაგრამ ერთმა ოცდაცამეტი წლის ქალწულმა, ხაცოლედ რომ მომეწონა, შემომფიცა, შენს მეტი არაუინ მინდა ქმრადო, და თავის ფიცს ხვევნა-კოცნის ბეჭედით დაუსვა. დღემდე ვერ გამიგია, რატომ ჩაიშალა მაშინ ეს საქმე. როგორც ხედავთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ტრფობის ნეტარება ვერ კიდევ ადრეულ ბავშვობის ასაკში მაქვს ნაგებები. მაშ, მომართვან აბრეშუმის წინდები, დიახ, აბრეშუმის წინდები და ფეხსაცმელები, რომ თავ-ფეხიანად მოვეცე თაუდუიწყებას, როგორც სიძეკაცს შეშვენის და მთელი გრძნობით გაუფრინდე მისკენ, ვინც საქორწინო ბეჭდის მოლოდინში, უკვე გამოძიწოდა უნაზესი საჩვენებელი თითი! ვიცი, პატიოსან ბუნედიქტელს არ შეშვენის აგრერიგად აცუნდრუკება და ხტუნვა-თაბაში, მაგრამ თქვენი მაღალკეთილშობილების წინაშე აქვე უნდა ვიცეკვო მატლოტი, გაოტი ან ვალს-გალოპი; ამით მინდა ხიხარული გამოუხატო, საპატარძლოსა და ქორწილზე ფიქრისას რომ დამეუფლება ხოლმე. ჰა, ჰა, ჰა! სიყვარულით ტკობისა და ქორწინების საკითხებში მარიფათი ნამდვილად არ მაკლია! და მინდა, რომ თქვენც იცოდეთ ეს, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!

— აღარ მინდოდა, გამეწყვეტინებინა თქვენთვის ეს უცნაურად გონებამახვილური სიტყვა, კრაისლერ, — მიუგო აბატმა, როცა კაპელმაისტერი, ბოლოს და ბოლოს, დადუმდა, — რამეთუ იგი სწორედ იმის დასტური გახლავით, რასაც მე ვამტკიცებდი. მშვენიერად ვგრძნობდი, როგორ გინდოდათ ჩემთვის ნესტარი დაგესოთ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეთ. მაღლობა უფალს, რომ არაფერი მწამს იმ მოჩვენებითი არახორციელი სიყვარულისა, ჰაერში რომ დაფარფატებს და არაფერი აქვს საერთო ბუნებრივ ადამიანურ გრძნობასთან! ნუთუ შესაძლებელია, რომ თქვენისთანა ალგზნებული სულის პატრონი... მაგრამ, კმარა ამის შესახებ! დროა, მივუახლოვდეთ სახიფათო მტერს, გამუდმებით უკან რომ დაგდევთ ნუთუ ზიგპარტს-



ვაილერში ყოფნის დროს არაფერი გსმენიათ უბედური მხატვრის, ლეონპარდ ეტლინგერის ბედ-იღბალზე?

კრაისლერი მთელი სხეულით შეაკრთო იდუმალმა ძრწოლამ, როცა აბატმა ეს სახელი ახსენა. სახეზე უმაღლესი გაუქრა იმ მწარე დაციხვის ყოველგვარი კვალი, სულ ცოტა ხნის წინ რომ მოეცვა მთელი მისი არსება, და ყრუ ხმით იკითხა:

— ეტლინგერი? ეტლინგერიო? კი, მაგრამ, მე რა ხელი მაქვს მასთან? ამ კაცს არც ვიცნობდი; განა მხოლოდ აუადმყოფური წარმოსახვის თამაში არ გახლდათ, როცა ერთხელ მომეჩვენა, თითქოს იგი ტბის ფსკერიდან მესაუბრებოდა?

— დამშვიდდი, — თქვა აბატმა ნაზად და რბილად, თან კრაისლერს ხელზე ხელი მოუჭირა, — დამშვიდდი, შვილო ჩემო, იოჰანეს! შენ არაფერი გაქვს საერთო იმ უბედურთან. მას ძლიერმა გამანადგურებელმა ვნებამ უბიძგა სიკვდილის მორუვისაკენ, მაგრამ იმ საცოდავის საშინელი ბედი შეიძლება შენთვის გამაფრთხილებელი მაგალითი გახდეს. შვილო ჩემო, იოჰანეს! შენ მასზე უფრო მოლიპულ გზაზე დგახარ! ამიტომაც გაიქეცი, გაიქეცი! პედვიგა! იოჰანეს, საშინელ სიზმარს მაგრად შემოუხვევია პრინცესისათვის თავისი რკინის მარწუხები და შესაძლოა, ვერაუინ გახსნას ისინი, თუ თავისუფალი სული არ დაამსხვრევს მათ და შენ?

ამის გამგონე კრაისლერს ათასმა ფიქრმა გაურბინა თავში. მალე დარწმუნდა, რომ აბატმა არამცთუ კარგად იცოდა საერთოდ ზიგჰარტსჰოფის ამბები, არამედ მშვენიერად უწყოდა ყველაფერი, რაც იქ მომხდარიყო, მას შემდეგ, რაც სარბიელზე კრაისლერი გამოჩნდა. ახლა აშკარა გახდა: აუადმყოფურად მგრძნობიარე პრინცესაზე კრაისლერის სიახლოვე დამღუპველად მოქმედებდა, იოჰანესი კი ამის ბაიბურშიც არ იყო. აბა, ქალბატონი ბენცონის გარდა სხვას ვის შეუძლო, ასე აშკარად ეგრძნო მოახლოებული ხიფათი, და ისიც სწორედ ამიტომ ცდილობდა კრაისლერის განდევნას ასპარეზიდან. აშკარაა, რომ ქალბატონი ბენცონი დაკავშირებული იყო აბატთან, და სწორედ მან აუწყა მრჩეველს კაპელმაისტერის სააბატოში ყოფნის ამბავი. ამრიგად, ქალბატონი ბენცონი მისი მაღალკეთილშობილების ყველა წამოწყების აუნჩაუნი გამხდარიყო. კრაისლერს ცოცხლად დაუდგა თვალწინ ის წუთები, როცა შეამჩნია, რომ პრინცესა მართლაც შეეპყრო უჩვეულო ვნებათაღელვას, მაგრამ იმის

გაფიქრებაზე, რომ შეიძლებოდა თავად ყოფილიყო ამ ვნების მიზეზი, კრაისლერმა რაღაც იდუმალი შიში იგრძნო. ასე მოეჩვენა, თითქოს რაღაც უცნობი ძალა ლამობსო მის სულიერ სამყაროში შეჭრას და თავისუფალი განსჯის უნარის წართმევას. ანაზღად პრინცესა პედ-ვიგა მის წინაშე წარდგა და კრაისლერს დაჟინებით მიაპყრო მისე-ული უცნაური მზერა. იმავე წაშში იოჰანესს მთელს სხეულში დენმა დაუარა და თითოეული ძარღვი აუთრთოლა, როგორც მაშინ, რო-დესაც პირველად შეეხო პრინცესის ხელს. სამაგიეროდ, ახლა მასში სრულიად გამქრალიყო უწინდელი იდუმალი შიში და კრაისლერმა მთელ სხეულში საამო სითბო იგრძნო. მერე თითქოს სიზმარშიაო, ჩუმად ჩაილაპარაკა:

— პატარა ეშმაკუნავ, Raja torpedo, ისევ ისე მაბრაზებ, არა? თუმცა, იცი, რომ არაუითარი უფლება არა გაქვს, დაუსჯელად ტკი-ვილი მომაყენო, რადგან მხოლოდ შენდამი წმინდა სიყვარულის გა-მო აღვიკვეცე ბერად.

აბატმა კაპელმაისტერს გამჭოლი მზერა ესროლა, თითქოს ამ მზერით უნდა ჩასწვდესო მის შინაგან „მეს“, მერე საზეიმო ხმით, სერიოზულად ჰკითხა:

— ვის ესაუბრები, შეილო ჩემო, იოჰანეს?

მაგრამ კრაისლერი უკვე გამოერკვა ოცნებიდან. უცბად, თავში აზრად მოუვიდა, თუკი აბატმა ყველაფერი იცის ზიგჰარტსჰოფში დატრიალებული ამბების შესახებ, უთუოდ ისიც გაგებულნი ექნება, რა მოხდა იქ შემდგომშიო, და იქვე გაიფიქრა, კარგი იქნება, თუკი რაიმეს შევიტყობო...

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ, — მიუგო მან აბატს ეშმა-კური ღიმილით, — აბა სხვას ვის გავესაუბრებოდი, თუ არა Raja torpedo-ს, დაუკითხავად რომ ერევა ჩვენს გონივრულ საუბარში და ცდილობს, უფრო მეტად დამიბნოს გონება, ვიდრე თქვენ სწადი-ხართ ამას. მაგრამ, როგორც ვხედავ, ზოგ-ზოგს სასახლის კარის მხატვაროვით, ცხონებულ ლეონჰარდ ეტლინგერიოვით ბრიყვი ვგო-ნივარ. მან არათუ მარტო მაგანი დიდგვაროვანი ბანოვანის დახატვა გადაწყვიტა, რომელიც თავად მას არაფრად აგდებდა, არამედ მისი უდიდებულესობის ისე მხურვალედ შეყვარებაც კი გაბედა, როგორც ჰანსს უყვარდა თავისი გრეტე. ო, ღმერთო ჩემო, განა ერთხელ მაინც გამომიჩენია უპატივცემულობა, როდესაც უშშვენიერესი აკორდე-



ბით თანხლებას ვუწვედი საძაგელ ჭყვიტინს? განა ოდესმე ჩამომიგდია საუბარი უღირს, საჩოთირო საკითხებზე, სიყვარულსა ან სიძულვილზე, როცა მისი პაწია მაღალკეთილშობილება უცნაური მანჭვა-გრუბით იქცეოდა თავს და პატიოსან ადამიანებს მაგნიტური ხილვებით უბნევდა გზა-კვალს? მითხარით, ჩამიდენია ოდესმე მსგავსი რამ?

— გახსოვს, იოჰანეს, — გააწყვეტინა მას აბატმა, — თურმე შენ ერთხელ საუბარი ჩამოგიგდია ხელოვანის სიყვარულზე...

კრაისლერი დაჟინებით მიაშტერდა აბატს, გულხელი დაიკრიფა, მხერა ცისკენ აღაპყრო და წამოიძახა:

— ო, ღმერთო დიდებულო! მაშასადამე, ამის ბრალია ეს ყველაფერი? დიდად პატივცემულო ადამიანებო, — განაგრძო მან და სახეზე ქილიკი ღიმილი გადაეფინა, ხმა კი ღრმა სულიერი მწუხარებისაგან აუკანკალდა, — დიდად პატივცემულო ადამიანებო, ნუთუ თუნდაც ყველაზე ჩვეულებრივ სცენაზე არ გინახავთ, როგორ მიმართავს პრინცი ჰამლეტი ერთ პატიოსან კაცს, ვინმე გილდენსტერნს: „მიწოდეთ მე, რა საკრავის სახელიც გინდათ, მაგრამ ესეც იცოდეთ: შეგიძლიათ გამაწვალთ რამდენიცა გსურთ, ჩემზე დაკვრას კი ვერ მოახერხებთ“. დალახვროს ეშმაკმა! მეც ხომ ზუსტად იგოვე დამემართა! მაშ, რატომ მსტოვრობთ მიმნდობ კრაისლერს, თუკი მის გულში ჩაბუდებული სიყვარულის ჰარმონია მხოლოდ ყურს გჭრით? ო, იულია!

აბატი მოულოდნელად თითქოს რაღაცამ ძალზე გააოცაო, ამოდ ეძებდა საჭირო სიტყვებს, კრაისლერი კი მის წინ იდგა და მონუსხულივით გასცქეროდა შორეული დაისის ცეცხლოვან ზღვას.

ამ დროს სააბატოს სამრეკლოდან ზარების რეკვა მოისმა და საღამოს მწუხრის ეს საოცარი ციური ხმები ოქროსფერად მოლივლივ ღრუბლებს შეერთო.

— ო, დიდებულო ჰანგებო! როგორ მინდა, თქვენთან ერთად ავიჭრა ცაში, — წამოიძახა კრაისლერმა და ხელები ფართოდ გაშალა, — დაე, კაემანი, რომლის სტუმრობასაც თქვენ მაუწყებთ, მწყერივით მოვარდეს ჩემს სულში და თვითონვე წაღეკოს საკუთარი თავი; დაე, თქვენმა ხმებმა ცით მოვლენილი მშვიდობის მოციქულივით მამცნონ, რომ კაემანი იმედმა და მარადიული სიყვარულის მგზნებარე ნეტარებამ გააღლო!

— ზარები მწუხრის ლოცვაზე გვიხმოვენ, — თქვა აბატმა, — აი, წმინდა მამების ხმაც მესმის. ძვირფასო მეგობარო, მე მგონია, დილით ისევ მიუბრუნდებით ზიგჰარტსჰოფში მომხდარ ამბებს.

— ო, — წამოიძახა კრაისლერმა, რომელსაც მხოლოდ ახლა გაახსენდა, რისი დაცინცვლა უნდოდა აბატისათვის, — ო, თქვენო მაღალკეთილშობილებო, ბევრი რამ მინდოდა გამეგო მზიარული ქორწილისა და კიდევ სხვა ამბების შესახებაც. ალბათ, პრინც ჰექტორს ერთი სული აქვს, რაც შეიძლება მალე დაიგულოს თავისად ხელი, რომლისთვისაც ამდენი რამ გადახდა თავს! ჩვენს ბრწყინვალე სასიძოს რაიმე არასასიამოვნო ხომ არ შემთხვევია?

ამის გამგონე აბატს სახეზე უმაღლესი გაუქრა საზეიმო იერი და მისთვის ჩვეული, ოდნავ დამცინავი ხმით წარმოთქვა:

— ჩემო კეთილო იოჰანეს, ბრწყინვალე სასიძოს არაფერი შემთხვევია, მაგრამ იმას კი ამბობენ, მისი ადიუტანტი ტყეში კრაზანას დაუკბენიაო.

— ჰა, ჰა, ჰა! — გადაიხარხარა კრაისლერმა, — ეს ის კრაზანა თუ იყო, რომლის მოსპობაც ცეცხლითა და მახვილით ჰქონდათ განზრახული.

წმინდა მამები დერუფანში შემოვიდნენ და...

(მ. ა. ა.) ...ბოროტი მტერი, პატიოსანი, უწყინარი კატის პირდაპირ ცხვირწინ რომ ცდილობს, დასცინცლოს ნუგბარი ლუკმა? იმ შესანიშნავ თანამეგობრობას, ჩვენი სახლის სხვენზე რომ ჩაეყარა საფუძველი, დიდი დღე არ ეწერა. მან ისეთი ძლიერი დარტყმა იგემა, ძირფესვიანად მოირყა და მოყანყალდა. მთელ ჩვენს კატათა მოდგმას სიხარული მოგვიწამლა მტერმა, რომელიც ძლიერი, მრისხანე ფილისტერის, აქილევსის სახით მოგვოვლინა განგებამ. ჰომეროსისეულ სეზნიასთან ჩვენს მტერს მარტო ის თუ ჰქონდა საერთო, რომ უძველესი გმირებით ისიც ამჰარტავანი, ბაქია და შკვებარა გახლდათ კაცმა რომ თქვას, იგი ერთი ჩვეულებრივი ქოფაკი იყო, მაგრამ დარაჯის მოვალეობას ასრულებდა. მის პატრონს, რომელსაც იგი სამსახურში დასდგომოდა, აქილევსი ჯაჭვზე დაება, რომ მას შშობლიური კერიისადმი სიყვარული გასძლიერებოდა. ამიტომაც ჩვენი მტერი მხოლოდ დამღამობით თუ აღწევდა ხოლმე თავს ტყვეობას. მიუხედავად იმისა, რომ ძალზე უზნეო გახლდათ, ზოგ კატას კი-



დუკაც ეცოდებოდა იგი; მაგრამ თავად აქილევსს არცთუ მაინცდა-  
მაინც ახლოს მიჰქონდა გულთან თავისუფლების დაკარგვა, რამე-  
თუ იმდენად უგუნური გახლდათ, რომ ფიქრობდა, ეს მძიმე ჯაჭვი,  
ჩემდა პატოსაცემად, სამკაულად ჩამომაცვა პატრონმაო. აქილევსი  
საოცრად ბრაზობდა, ჩვენი საუბრები ღამდამობით ძილს რომ უფ-  
რთხობდა, თუმცაღა, მის მოვალეობას შეადგენდა, ფხიზლად სჭე-  
როდა სახლ-კარზე თვალი და კერია მოძალადეთა იერიშებისგან  
დაეცვა. მალე აქილევსი მისი სიმყუდროვის დამრღვევებს სამკვდ-  
რო-სასიცოცხლოდ გადაგვეკიდა. მაგრამ ჩვენი მოსისხლე მტერი  
ძალზე მოუქნელი გახლდათ — არამცთუ სახურავზე, სხვენზედაც  
კი ეერ ამოდითოდა; ამიტომაც ძალღად არაჟინ აგდებდა და ჩვენც  
არხეინად განვაგრძობდით ჩვენს საქმიანობას. მაშინ აქილევსმა სხვა  
ხერხს მიმართა: მალე ჩვენთან ბრძოლა გამოცდილი სარდალივით  
ფარული იერიშებით დაიწყო, მერე კი აშკარა შეტევაზე გადმოვიდა  
და ცეცხლიც გახსნა. მას გარს ეხვია სხვადასხვა ჯურის ფინიების  
მოთელი ამაღლა. მათ იგი დროდადრო თავს უყადრებდა, ეთამაშებოდა  
და თავის მოუქნელ თათებში აბურთავებდა; ჰოდა, როგორც კი სიმ-  
ღერა წამოვიწყეთ, აქილევსის ბრძანებით ფინიებმა ისეთი ჯოჯოხე-  
თური გნიასი ატეხეს, აღარაფერი გაგვეგებოდა, რას ვმღეროდით  
უფრო მეტიც! რამდენიმე ქლესა ფილისტერი სხვენზედაც ამოგვეჭ-  
რა, მაგრამ, როცა დაინახეს, რომ ჩვენც ბრჭყალები მოვიმარჯვეთ  
და ვალში დარჩენას არ ვაპირებდით, თავი აარიდეს ვაჟკაცურ, აშ-  
კარა ბრძოლას და ისეთი საშინელი ხმაური, ალიაქოთი და გნიასი  
ატეხეს, რომ არამცთუ აქილევსს დაუფრთხეს ძილი, თავად სახლის  
პატრონსაც არ მოახუჭვინეს თვალი. ამ უკანასკნელმა დაინახა,  
ხორხოცსა და გნიასს ბოლო არ უჩანსო და ხელი წამოავლო მათ-  
რახს, რომ კისრისტეხით გაეყარა ეს შფოთისთავები, კინაღამ თავზე  
რომ დაამხეს ჭერი.

ო, კატაუ! აი, ვკითხულობ ახლა ამ სტრიქონებს და, თუკი მკერ-  
დში ჭეშმარიტად ვაჟკაცური გული გიძვეს, თავი კი ნათელი გონე-  
ბითა გაქვს გასხივოსნებული, თუკი ყურები ჯერ არ დაგბლაგვებია,  
მაშ, მითხარ, განა არსებობს ამქვეყნად გაკაპასებული ფინიის ჭყი-  
პინა, გამკოვან ყეფაზე საზიზღარი, საძულველი და ამაზრზენი რამ,  
ყველა ტონში დისონანსურ ბგერებს რომ გამოსცემს? კატაუ, უფრ-  
თხილდი ამ პატარა, კუდქიცინა, წკმუტუნა, თაღლით არსებას! ნუ

ენდობი მას! მერწმუნე, ფინიის მოჩვენებითი გულითაღობა ვეფხვის გამოწვდილ ბრჭყალებზე უფრო სახიფათოა! მაგრამ, მოდი, ღუმი-ლით აუუაროთ გვერდი იმ მწარე, მაგრამ ჰაი, ჰაი, მდიდარ გამოცდილებას, ამ მხრივ რომ დაუგროვეთ, და ჩვენი თაუგადასაულის შემდგომი ფურცლები გადავშალოთ.

მაშ, ასე, როგორც უკვე მოგახსენეთ, სახლის პატრონმა მათრახს დაავლო ხელი ჩხუბისთაუების სხვენიდან გასარუკად. მაგრამ, რომ იცოდეთ, რა მოხდა? ფინიები კუდის ქიცინით შეეგებნენ გაანჩხლებულ სახლის პატრონს, ფეხები აულოკეს და დაარწმუნეს, თითქოს მთელი ეს აურზაური მისივე სიმშვიდის დასაცავად ატეხეს, თუმცა, სახლის პატრონს სწორედ მათმა გნიასმა გაუფრთხო ძილი. ასე ბრძანეს: ყეფა მხოლოდ კატების გამო დავიწყეთ, რამეთუ თქვენი სახლის სახურავზე ათას უმსგავსობას სჩადიოდნენ, აუტანლად ხმაურობდნენ და სიმღერებს მეტისმეტად გამკივანი და მკვეთრი ხმით ასრულებდნენო. ვაი, რომ სახლის პატრონიც წამოეგო ლაქლაქა ფინიების მჭვერმეტყველების ანკესზე და მყისვე ირწმუნა მათი მონაყოლი. მით უმეტეს, რომ, როდესაც აქილევსს ჰკითხა, მართალია თუ არა ეს ყველაფერიო, დარაჯმა კვერი დაუკრა, რადგან გული ჩვენი სიძულვილით ჰქონდა საუსე. და აი, დაიწყო დენა. მსახურებმა ცოცხები და ქვეები მოიმარჯვეს და სადაც კი მოგვიხელთებდნენ, არ გვზოგავდნენ. ყველგან მახეები და ხაფანგები დააგეს, და ვაი, რომ მართლაც ბევრი ჩვენგანი გაება! თავად ჩემს საყვარულ მეგობარ მუციუსსაც საშინელი განსაცდელი ეწია, უკანა თათი მოჰყვა ხაფანგში და ერთიანად დაეჩეჩქვა.

აი, ასე დასრულდა ჩვენი მხიარული, დარდიმანდული ცხოვრება. მეც ისევ პატრონთან დაუბრუნდი და ღუმელქვეშ მოვიკალათე, რომ მარტოობაში დამეტირებინა ჩემი უიღბლო მეგობრის მუხთალი ბედი.

ერთხელაც ჩემს პატრონს ესთეტიკის პროფესორი, ბატონი ლოტარიო ეწვია სტუმრად, მის ფეხდაფეხ კი ოთახში პონტო შემოკუნტრუმდა.

ვერც კი წარმოიდგენთ, რა უსიამოვნო, აუბედითი გრძნობა დამეუფლა პონტოს დანახვაზე. მართალია, იგი არც მოდარაჯე ძალლი იყო და არც ფინია, მაგრამ მაინც იმ მოდგმის წარმომადგენელი გახლდათ, რომლის ვერაგი, მტრული მსოფლმხედველობის წყალო-



ბით ბურში კატების საზოგადოებაში მხიარული დროსტარება და სიხარული მომესპო. აი, უკვე ამის გამო ფრიად საეჭუოდ მოვიჩნედი იმ მუგობრულ გრძნობას, პონტო ჩემდამი რომ იჩენდა. ამას გარდა, პონტოს შხერაში, მთელს მის არსებაში, რაღაც ამპარტავნული და დამცინავი შევაძინე. ამიტომაც გადავწყვიტე, უკეთესი იქნება, თუ საერთოდ არ დაველაპარაკები-მეთქი. ჩუმ-ჩუმად ჩამოეცოცდი ბალიშიდან, ერთი ნახტომით ღუმელში შევარდი და კარიც მოვიხურე.

ბატონი ლოტარიო და ჩემი პატრონი აქეთურ-იქითურზე საუბრობდნენ, რაც ჩემთვის სრულიად არ იყო საინტერესო, მით უმეტეს, რომ ახლა მთელი ჭკუა და გონება პონტოსკენ მქონდა. იგი ოთახში ცეკვა-ცეკვით დაკუნტრუშობდა და თავისთვის კეკლუცად რაღაც სიმღერას ღიღინებდა. მერე ფანჯრის რაფაზე შეხტა, თავი გარეთ გადაყო, როგორც მატრაბაზებს სჩვევიათ ხოლმე და ქუჩაში აღარაუინ გაატარა, თავი რომ არ დაეკრა და არ მისაღმებოდა. დროდადრო ოდნავ გასაგონად წკაუნწკაუებდა კიდეც; ალბათ, უნდოდა, ამით თავისი მოდგმის ლამაზმანთა ყურადღება მიექყრო. როგორც ჩანს, ამ თავქარიანს ჩემი არსებობაც კი არ გახსენებია, და, თუმცა, როგორც უკვე მოგახსენეთ, სრულიად არ ვაპირებდი პონტოსთან გამოლაპარაკებას, მაინც საშინლად არ მეპიტნავა, რომ არც კი მიკითხა. სრულიად სხვაგვარად, და ჩემის აზრით, ბევრად თავაზიანად და ჭკვიანურად იქცეოდა ესთეტიკის პროფესორი, ბატონი ლოტარიო; მან ოთახს თვალი მოაუღლო და, როცა ვერ დაშინახა, ჩემს პატრონს მიუბრუნდა:

— კი, მაგრამ, სად ბრძანდება თქვენი პატოცემული ბატონი მური?

პატიოსანი ბურში კატისთვის არაფერია იმაზე უფრო შეურაცხმყოფელი, ვიდრე „ბატონობით“ მიმართვა. მაგრამ რის ატანა არ გვიხდება ამქვეყნად ესთეტიკოსებისაგან! შე უხმოდ გადავყლაპე პროფესორის შეურაცხყოფა.

მაესტრო აბრაჰამმა პროფესორს მიუგო, ეს ერთი ხანია მური ახლოს აღარ მეკარება, იშვიათად არის სახლში, განსაკუთრებით კი ღამლამობით, ამიტომ საშინლად გადაღლილი და გასავათებული სახე აქვსო. თუმცა, მოითმინეთ, ეს-ეს არის, დაუინახე, ბალიშზე იწვა და მართალი გითხრათ, არ ვიცი, სად შეიძლება გამქრალიყო ასე ელვის სისწრაფითო.

— მე კი ეჭვი მაქვს, ბატონო აბრაჰამ, — განაგრძო პროფესორმა, — რომ თქვენი მური... ხომ არ დაიძალა ოთახში სადმე და ახლა ყურს არ გვიგდებს? მოდი, მოუძებნოთ!

ღუმლის უკანა კუთხეში შევიყუყუე და გავიღურსე. მაგრამ, წარმოიდგინეთ, როგორ დაეცქვეტილი ყურებს! საუბარი ხომ მე შემეხებოდა! პროფესორმა გულმოდგინედ დაათვალიერა კუთხე-კუნჭული, მაგრამ ამაოდ. მისი საქციელით გოცებულმა მაესტრო აბრაჰამმა კი სიცილით წამოიძახა:

— მართლაცდა, პროფესორო, გაუგონარ პატივსა სდებთ ჩემს მურს!

— ოჰო! — მიუგო მაესტროს სტუმარმა, — ტვინიდან არ გამოძის ფიქრი თქვენზე და თქვენს პედაგოგიურ ცდებზე, რომლითაც მიზნად ისახავთ კატისაგან მგოსანი ან მწერალი გამოიყვანოთ ან იქნებ უკვე აღარც ის სონეტი გახსოვთ და აღარც ის გლოსა, ჩემმა პონტომ მურს პირდაპირ თათებიდან რომ გამოჰგლიჯა. მაგრამ, ასეა თუ ისე, მინდა ვისარგებლო თქვენი კატის არყოფნით და ჩემი ეჭვი გაგიზიაროთ, ამასთან, დაბეჯითებით გთხოვთ, თვალყური ადევნოთ მურის საქციელს. მართალია, ადრე კატებით ნაკლებად ვიყავი დაინტერესებული, მაგრამ მაინც შემჩნეული მაქვს, რომ ბევრი თავაზიანი და გონიერი კატა უწინდებურად აღარ იქცევა და უხეშად არღვევს წესრიგსა და ადათ-წესებს. ისინი ძველებურად მორჩილად აღარ იზნიქებიან წელში და ალერსიანად აღარ გვეხახუნებიან ფეხებზე; ერთი სიტყვით, საშინლად გაამპარტავებული არიან და აღარ ერიდებიან თავიანთი პირველყოფილი ველური ბუნების გამომჟღავნებას, ბოროტად აკვესებენ თვალებს, მრისხანედ ღნავიან და ბრჭყალებსაც ხშირად აჩენენ ხოლმე. დიახ, ეს გათავხედებული კატები აღარად დაგიდევნ იმას, რომ წესიერ საზოგადოებაში გამოსული კაცის გარეგნობა ჰქონდეთ და აღარც დინჯსა და დარბაისლურ საქციელს. უღვაშების წმენდასაც თავი მიანებეს, აღარც ბეწვის ბზინვარება აღარდებთ და ზომაზე მეტად წამოზრდილი ბრჭყალების მოკვნეტითაც აღარ იწუხებენ თავს. დიახ, დიახ, ასე კუდაბურძგნილები, გაწწილ-გაჩეჩილები დაძრწიან ყველგან და წესიერი კატების აღშფოთებასა და გულისწყრომას იწვევენ. მაგრამ განსაკუთრებით აუტანელი და გაკიცხვის ღირსია ის საიდუმლო თაყვრილობები, ეს არამზადები ღამლამობით რომ აწყობენ. ამასთან,



იწყებენ ეგრეთ წოდებულ სიმღერას, თუმცა, უნდა გითხრათ, რომ არ არსებობს ადამიანის ყურისთვის ამ არიტმულ, ყალბ და ყოველგვარ ჰარმონიას მოკლებულ კოვილზე უფრო ამაზრზენი რამ, და მას კაცმა მხოლოდ უხამსი თუ შეიძლება უწოდოს. ვშიშობ, ძალზე ვშიშობ, ბატონო აბრაჰამ, რომ თქვენს მურს ამგვარ მოლიპულ გზაზე აქვს ფეხი შედგმული და ამ აღვირახსნილი თაყყრილობების მონაწილე გახლავთ; ეს კი მას კაი ლაზათიანი ცემა-ტყეპის მეტს არაფერს უქადის კარგს. ძალიან მეწყინება, თუ გავიგებ, რომ ამას გამოდგა თქვენი შრომა, რომელიც ამ ნაცარა ვაჟბატონის კუთილდღეობისათვის გაგიწვიათ დასანანია, თუ მთელი თავისი განსწავლულობის მიუხედავად, გახრწნილი და ბილწი კატების ბინძურ წუმპემდე დაეშვება.

ჩემდა უნებურად, ღრმა ოხვრა აღმომხდა, როდესაც საკუთარი ყურით გავიგონე, როგორ მათრევდნენ და მსვრიდნენ ლაფში მეც, საყვარულ მუციუსსაც და ყველა ჩემს ძმაც.

— კი, მაგრამ, რა იყო ეს? — წამოიძახა პროფესორმა, — დარწმუნებული ვარ, მური სადღაც აქ, ოთახშია დამალული. პონტო! Allons! მიდი, ეძებე, ეძებე!

პონტომ თვალის დახამხამებაში ისკუპა ფანჯრის რაფიდან და ყნოსვა-ყნოსვით შემოირბინა მთელი ოთახი. მერე ღუმელთან შეჩერდა, ერთი კი დაიწკაუწკაუა, ბოლოს ხმამაღლა შეჰყეფა და შეიკუნტრუშა.

— ღუმელშია! ეჭვი არ არის, მური ღუმელშია! — განაცხადა ჩემმა პატრონმა და ღუმლის კარი გამოაღო. მე არ გავნძრეულვარ, წყნარად ვიჯექი და ვუყურებდი პატრონს ნათელი, გაბრწყინებული თვალებით, — ხომ გითხარით! — წამოიძახა მან. მართლაც აქ ბრძანებულა. სულ უკან შეყუყულა და იქა ზის არხენად. აბა, ჩემო კარგო! ხომ არ ინებებდი გამობრძანებას? მურ, გამოდი ახლავე!

და თუმცა, არავითარი სურვილი არა მქონდა, დამეტოვებინა ჩემი თაუშესათარი, მეტი რა ჩარა იყო, უნდა დაემორჩილებოდი პატრონის ბრძანებას, თუ არ მინდოდა, რომ ჩემზე ძალა ეხმარათ და ამრიგად, დავზარალებულიყავი. პოდა, მეც ვიკადრე ნელ-ნელა გამოძრომა. ჩემს დანახვაზე პროფესორმა და მაესტრომ ერთხმად წამოიძახეს:

— მურ, მურ! რას დამსგავსებხარ? ერთი მითხარი, რას ნიშნავს ყოველივე ეს?

რალა თქმა უნდა, თავიდან ფეხებამდე ნაცარში ვიქნებოდი ამო-  
განგლული; ამას გარდა, ამ ბოლო ხანებში მართლაც რომ უბადრუ-  
კი შესახედავი გახლდით; ამიტომაც იძულებული ვიყავი, მეღიარები-  
ნა: ახლა აღარაფრით განვსხვავდებოდი იმ გარეწარი კატებისაგან,  
პროფესორმა რომ აღწერა, და სავსებით ცხადად წარმოვიდგინე,  
რა საცოდავი სანახავი უნდა ვყოფილიყავი იმ წუთს. ანაზღად ჩემი  
საცოდავი თავი პონტოს გარეგნობას შევადარე, ბრწყინვალედ შე-  
ჟერილ და ლამაზად დახუჭუჭებულ ბეწვის ქურქში რომ გახლდათ  
გამოწყობილი, და სირცხვილით კინალამ დავიწვი. დამწუხრებული  
ჩემად მივიყუთე კუთხეში.

— ღმერთო, ნუ დამაჯერებ, რომ ეს ის გონიერი და თავაზიანი კა-  
ტა მურია, — წამოიძახა პროფესორმა, — აფსუს, რა სერიოზულ და  
მახვილგონიერ მგოსნად იცნობს ხალხი? რა სონეტები და გლოსე-  
ბი გამოსულა მისი თათებიდან! არა, გენაცვალე, ეს ერთი ჩვეულებ-  
რივი შინაური კატაა, რომლის მსგავსიც ბლომად მოიძებნება. ასეთი  
ჯურის კატები მთელი დღე უსაქმოდ დაეხეტებიან საშხარეულოში,  
სარდაფსა თუ სხვენზე და თავგების ჭერის მეტი არა იციან რა. აბა,  
ერთი მიბრძანე, ჩემო ზრდილო კატავ, რამდენ ხანში მიიღებ დოქ-  
ტორის ხარისხს და როდის აპირებ ესთეტიკის კათედრაზე ფეხის  
შედგმას? ოჰო, ეს რა შშვენიერი სადოქტორო მანტია მოგისხამს  
მხრებზე?

მსგავსი დამცინავი სიტყვები კიდევ კარგა ხანს გაისმოდა. რა უნ-  
და მეღონა? ისღა დამრჩენოდა ყურებგალურსული და გატრუნული  
ემჟღარეყავი, — ასე ვიქცეოდი ყოველთვის, როცა აუგად მიხსენი-  
ებდნენ და დამცინოდნენ.

ბოლოს პროფესორსა და ჩემს პატრონს ხარხარი აუტყდათ ამის  
გაგონებაზე გული ჩამეთუთქა. მაგრამ, თქვენ წარმოვიდგინეთ, იმათ  
დაცინვაზე მეტად პონტოს საქციელმა მომიკლა გული; ათასნაირი  
მანჭკა-გრუბითა და კუდის ქიცინით არათუ უწონებდა თავის პატ-  
რონს ჩემს აბუჩად აგდებას, არამედ არ მაღაუდა, რომ ეშინოდა ჩემ-  
თან მოახლოებისა, ვაითუ, დავისუარო ჩემი ლამაზი სუფთა ქურქიო.  
უნდა გამოგიტყდეთ, საშინლად ძნელია ვიღაც კოხტაპრუნა პუდე-  
ლის დაცინვის ატანა იმ კატისათვის, მშვენოვრად რომ იცის თავისი  
ფასი და ყადრი.



პროფესორმა ჩემს პატრონს ხანგრძლივი საუბარი გაუბა, ეტყობა, ამჯერად ჩემზე და ჩემს მოდგმაზე აღარ იყო ლაპარაკი; ესეც არ იყოს, მათი ნალაპარაკებიდან ბევრიც ვერაფერი გაუიგე, მაგრამ თუ სწორად მივხვდი, საუბარი ეხებოდა შემდეგს: რა სჯობია, ამკარად აღვუდგეთ წინ აღვირახსნილი ახალგაზრდობის მცდარსა და დაუოკებელ მიზანწრაფვებს თუ მარჯვედ და შეუძინველად შევზღუდოთ, მივცეთ ასპარეზი გამოცდილების შესაძენად, რაც იმის საწინდარი გახდება, რომ მალე თავისთავად მოეღება ბოლო მის უჩვეულო გატაცებებს. პროფესორი ამკარა ძალადობის მომხრე გახლდათ; მიაჩნდა, რომ ამქვეყნად ყველაფერი საყოველთაო კეთილდღეობისათვის ბრძოლას უნდა ესადაგებოდეს; აქედან გამომდინარე, ყველა ადამიანი, თუნდაც თავად ამის წინააღმდეგი იყოს, რაც შეიძლება დროულად უნდა იქნეს ჩამოსხმული ყალიბში, რომელიც განაპირობებს ცალკეული ნაწილების ურთიერთდამოკიდებულებას მთელისადმი; წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმოიქმნება საშინელი შეუსაბამობა, თავის მხრივ, ათასნაირი უბედურების გამოწვევა რომ ძალუძს. ამასთან, პროფესორმა ახსენა ის ადამიანებიც, განსაკუთრებით რომ უყვართ მინების მსხვრევა და ამ დროს თან გაჰყვირიან „Pereat“<sup>1</sup>-ო. აი, ამის არსს კი საუსებით კარგად ვერ ჩავწვდი. ჩემი პატრონი იმ თვალსაზრისის გახლდათ, აღვირახსნილ ახალგაზრდობას, მისი ხასიათიდან გამომდინარე, ისე უნდა მოექცეს კაცი, როგორც ნახევრად გიჟებსო: მას რომ ამკარა წინააღმდეგობა გაუწიოთ, უფრო მეტად გადაირევა, ხოლო თუ საკუთარ შეცდომებს თავისით მიხვდება და დამოუკიდებლად აღიარებს, ამით სამუდამოდ განიკურნება და ამ აუადმყოფობის შებრუნების საშიშროებაც აღარ იქნებაო.

— მაშ, ასე, — წამოიძახა ბოლოს პროფესორმა, წამოდგა და ხელჯოხი და ქუდი აიღო, — მაშ, ასე, ბატონო აბრაჰამ, იმაში კი უნდა დამეთანხმოთ, რომ ძალადობა დაუნდობლად მაშინ მაინც უნდა გამოვიყენოთ აღვირახსნილი მიზანწრაფვების ჩასახშობად, როცა ისინი გამანადგურებლად იჭრებიან ცხოვრებაში. ამიტომაც — მე ისევ თქვენს კატა მურთანა ვარ, — ვამბობ: ძალიან მიხარია, რომ, როგორც ჩემს ყურამდე მოვიდა, წესიერების მოყვარულმა ფი-

<sup>1</sup> დაიქცეს, დაიღუპოს (ლათ).

ნებმა კუდით ქვა ასროლინეს ამ ოხერ კატებს, ასე შემზარაჟად რომ გაჰკიოდნენ, და თანაც ამ დროს თავი უდიდეს ვირტუოზებადაც მოჰქონდათ.

— გააჩნია, როგორ შეხედავს კაცი ამ საკითხს, — მიუგო ჩემმა პატრონმა, — მაგ კატებისათვის რომ სიმღერის ნება დაერთოთ, ვინ იცის, იქნებ მართლაც გამხდარიყვნენ ნამდვილი ვირტუოზები, როგორც მათ ეს მანამდე მცდარად ეგონათ, ახლა კი ისინი თავიანთი ჭეშმარიტი ვირტუოზობის საკითხსაც ეჭვის თვალით უყურებენ.

პროფესორი დაემშვიდობა მასპინძელს, პონტოც ფეხდაფეხ დაედგნა მას კუნტრუშით, ასე რომ, ჩემთან გამომშვიდობებაც კი არ იკადრა. უწინ კი რა ალერსიანად დამიქნევდა ხოლმე თავს!

— არც მე ვარ მაინცდამაინც კმაყოფილი შენი საქციელით, მურ! — მომიბრუნდა ჩემი პატრონი, — დროა, ერთხელ და სამუდამოდ მოიკრიბო ჭკუა-გონება და კვლავ მოიხვეჭო ის კარგი სახელი, რომლითაც ადრე სარგებლობდი. ჩემი გაგება რომ შეგძლებოდა, ასეთ რჩევას მოგცემდი: ყოველთვის მშვიდი და ალერსიანი იყავი და ყველაფერი, რისი გაკეთებაც კი გუნებაში მოგოვა, უჩუმრად მოიმოქმედე-მეთქი, რადგან ეს გზა კარგი სახელის მოსახვეჭად ყველაზე საიმედო და იოლია. მაგალითისათვის ორი ადამიანი შემიძლია დაგასახელო: ერთი მათგანი ყოველ ცისმარე დღეს მიჯდება ხოლმე კუთხეში და თავისთვის წყნარად ღვინოს მიეძალევა, სანამ კარგა მაგრად არ გამოთვრება. მაგრამ ამდენი სმით ისეა გაკაჟებული და გამობრძმედილი, ისე მშვენოვრად შეუძლია შენიღბოს თავისი სიმთვრალე, რომ არავის მოუვა აზრად, მასზე თქვას, ლოთიაო. მეორე კი, პირიქით, იშვიათად თუ გადაკრავს ხოლმე ერთ ჭიქა ღვინოს მზიარულ, გულითად მეგობრებთან ქეიფის დროს. პოდა, იგი ღვინისგან ჭიკჭიკს იწყებს და ყველას გადაუშლის გულს; აი, მისი მზიარული განწყობილება უფრო და უფრო მატულობს, დაუსრულებლად ბევრს და თანაც მგზნებარედ ლაპარაკობს, მაგრამ თავისი საქციელით არამც და არამც არ შეურაცხყოფს არც დამსწრე საზოგადოებას და არც ადათ-წესებს. და აი, წარმოგიდგენია? ხალხი სწორედ მას ეძახის ღვინის ბოლლიწოს, იმ ქვეშქვეშა ლოთბაზარას კი წყნარი და წესიერი კაცის სახელი აქვს გაფარდნილი. ეჰ, მურ, ჩემო ძვირფასო კატავ, შენ რომ ამ ცხოვრებას ცოტათი მაინც იცნობდე, დაინახავდი, რომ ყველაზე ჭკვიანურად თავის ნაჭუჭში და-



მალული ფილისტერი იქცევა! მაგრამ, აბა, შენ საიდან უნდა იცოდე, რა არის ფილისტერი, თუმცა, ასეთები შენს მოდგმაშიც, ალბათ, ბლომად მოიძუებებიან!

ამ სიტყვების გაგონებაზე თავი ველარ შევიმაგრე და ხმამაღალი კრუტუნის მოვრთე; სულითა და გულით გამახარა იმის გაფიქრებამ, რომ მუციუსის შეგონებების თუ საკუთარი გამოცდილების წყალობით ასე ღრმად ჩავწვდი კატათა მოდგმის ყველა საიდუმლო.

— მურ, ჩემო კარგო კატავ! — წამოიძახა ჩემმა პატრონმა და ხმამაღლა გაიცინა, — ასე მგონია, მართლა გესმის ჩემი ლაპარაკი-მეთქი. იქნებ პროფესორი არც კი ტყუის, როცა განსაკუთრებული ტვინის პატრონი ჰგონიხარ და ეშინია, ესთეტიკაში შენი სახით მეტოქე არ გამოუჩნდეს?

მეწადა, დამედასტურებინა, ეს მართლაც ასეა-მეთქი და ამიტომაც ჩემს პატრონს წკრიალა, ნარნარი „მიაუთი“ შევებმიანე, მერე კი მოურიდებლად მუხლებზე შევახტი. ის კი ველარ გავითვალისწინე, რომ მაესტრო ეს-ეს არის გამოწყობილიყო თავის დიდყვაილებიან, აბრეშუმის ყვითელ ხალათში. ჰოდა, რა თქმა უნდა, დაუუსვარე. პატრონმა განრისხებით წამოიძახა: „ოჰ, შენო“ და ისე გამეტებით მომისროლა, ჰაერში რამდენჯერმე ამოვტრიალდი; საშინლად შეშინებულმა იატაკზე მოუადინე ზღართანი. თვალედახუჭულსა და ყურეგალურსულს განძრევა ვერ გამებედა. მაგრამ, აბა, როგორ არ უნდა შეასხას კაცმა ხოტბა-დიდება ჩემი სათნო პატრონის ღმობიერ გულს?!

— აბა, აბა, მურ, ჩემო კარგო კატავ! — მითხრა ალერსიანად, — ხომ გრძნობ, რომ ბოროტი განზრახვა არ მქონია გულში! ვიცი, განა არ ვიცი, რომ შენც კეთილი მიზნები გამოძრავებდა: გინდოდა, დაგემტკიცებინა ჩემთვის, თუ როგორ გიყვარვარ, მაგრამ ძალიან მოუხერხებლად გამოგვიდა; ასეთ შემთხვევებში კი, აბა, ვინ რას დაგიდევს კეთილ მიზნებს! მოდი, მომიახლოვდი, ჩემო პატარა თხუპნიავ! ახლა კი გაგწმენდ და გაგაკრიალებ, რომ ისევ წესიერ კატას დაგამგვანო.

ჩემმა პატრონმა ხალათი გაიხადა, ხელში ამიყვანა და ბეწვი რბილი ჯაგრისით გამისუფთავა. შევატყვე, ამის გაკეთება არ შეზიზღუბია. მერე პატარა სავარცხელი აიღო და ისე დამვარცხნა თმა, ბზინვ დააწყებინა.

როცა გაწმენდილ-დაფარცხნილმა სარკის წინ გავიარ-გამოვიარე, თვალებს აღარ დაუუჯერე. ისე შევცვლილიყავი, საკუთარი თავი ვეღარ ვიცანი. სარკეში ისე ლამაზად და მომხიბლავად გამოვიყურებოდი, ვეღარ მოვითმინე და სიამოვნებისაგან ჩემსავე თავს შევკრუტუნე. არ დაგიმაღაუთ იმ წუთში პირველად შევხედე ეჭვის თვალით ბურშების თავყრილობების აუცილებლობასა და სარგებლიანობას. ახლა კი დავრწმუნდი, თუ რა ბარბაროსობა იყო ჩემის მხრივ ღუმელში შეძრომა, მივხვდი, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ჩემი გაველურების ბრალი იყო, ამიტომაც სავსებით ზედმეტად ჩუთვალე ჩემი პატრონის გაფრთხილება: „იცოდე, ღუმელში შემძვრალი აღარ დაგინახო!“

მომდევნო ღამით მომეჩვენა, თითქოს კარზე ვიღაცა აფხაჭუნებდა. ძალე შეშინებული ნაცნობი კნაუილიც შემომესმა. ფეხაკრუფით მივედი და ვიკითხე, ვინ არის-მეთქი. პასუხი გამცა თუ არა, ხმაზე უმაღლ ვიცანი ჩვენი მარიფათიანი მამასახლისი პუფი:

— ეს მე ვარ, ჩემო ერთგულო ძმაო მურ! ძალზე სამწუხარო ამბის მაცნედ მოუსულვარ!

— ო, ღმერთო ჩემო, რა...

(სამაკ. თაბ.) ...რა უსამართლო ვიყავ, ჩემო ძვირფასო, საყვარულო მეგობარო! არა, შენ მეგობარზე გაცილებით მეტი ხარ ჩემთვის. შენ ჩემი ერთგული დაიკო ხარ. ეტყობა, ისე ვერ გამოვხატავდი ჩემს სიყვარულს, როგორც საჭირო იყო, ისე არ გენდობოდი, შენ რომ იმსახურებდი. ახლა კი გადაგიშლი გულს, მხოლოდ ახლავა შემიძლია ყველაფერი გაგანდო, როცა ვიცი, რომ...

პრინცესას ენა დაება და თვალთაგან ცრემლები წასკდა. მერე კვლავ ნაზად მიიკრა მკერდზე იულია.

— ჰედვიგა, — ალერსიანად უთხრა იულიამ, — განა უწინ კი არ გიყვარდი სულითა და გულით? განა ოდესმე გქონია ჩემგან დამალული საიდუმლო, რომელსაც ვერ მანდობდი? მითხარ, რა იცი? რა გაიგე ახლა ასეთი? მაგრამ არა, არა! ხმა-კრინტი არ დაძრა, ვიდრე გული კვლავ საგულეში არ ჩაგიდგება, ვიდრე თვალებში არ ჩაგიქრება უკმოელვარე ცეცხლი!

— პირდაპირ ვერ გამიგია, რა გინდათ ჩემგან, — უეცრად გაღიზიანებული ხმით თქვა თითქმის განაწყენებულმა პრინცესამ, — ყვე-



ლას გგონიათ, აჟად ვარ; მე კი არასოდეს მიგრძნია თავი ასე მხნედ და ჯანმრთულად. ნუთუ ჩემმა უცნაურმა აჟადმყოფობამ შეგაშინათ?! მაგრამ ეგებ ასეთი ელექტრული დარტყმა, ადამიანში სასიცოცხლო მოქმედებას მთლიანად რომ ამუხრუჭებს, უფრო სასარგებლოა და საჭირო იყო ჩემთვის, ვიდრე ყველა ის უბადრუკი საშუალება, რომელთაც მედიცინა გეთავაზობს, და ამით ჩვენც გვატყუებს და საკუთარ თავსაც. ო, რა ღვთით მოვლინებული რისხვაა ჩემთვის ეს მკურნალი, მას ადამიანი საათის მექანიზმი ჰგონია: საკმარისაა, გაწმინდოს და მომართოს და ყველაფერი წესრიგში იქნება! ო, როგორ მეზიზღება იგი თავისი წვეთებითა და წამლებით! ნუთუ შეიძლება ასეთ სასულელეებზე იყოს დამოკიდებული ჩემი კეთილდღეობა? არა, არა, მაშინ ამქვეყნიური ცხოვრება მსოფლიო სულის ყველაზე საშინელი დაცინვა იქნებოდა!

— ჩემო ჰედვიგა, — გააწყვეტინა იულიამ პრინცესას, — შენი უჩვეულო მღელვარება სწორედ იმას მოწმობს, რომ ჯერ კიდევ საუსებით არ გამოკეთებულხარ, და საჭიროა თავს უფრო მეტად მოუფროთხილდე.

— მაშ, შენც გინდა, გული მატკინო, არა? — წამოიძახა პრინცესამ და სასწრაფოდ წამოხტა; მერე ფანჯარასთან მიირბინა, გამოაღო და პარკში გადაყო თავი. იულია ფეხდაფეხ მიჰყვა მეგობარს, წელზე ხელი შემოხვია და ნაზი და ნალვლიანი ხმით შეევედრა, შემოდგომის მკაცრ ქარს მაინც მოერიდე, ეცადე, წყნარად და მშვიდად იყო, რადგან მყუდროება, ექიმის აზრით, ესოდენ აუცილებელია შენთვისო. პრინცესამ მიუგო, სწორედ ფანჯრიდან შემოჭრილი ცივი ჰაერის ჭავლები მახალისებს და ძალ-ღონეს მმატებსო.

იულიამ მთელი გრძნობით წამოიწყო ლაპარაკი ამასწინანდელ ამბებზე, გაიხსენა, როგორ გადაუქროლათ თავზე მრისხანე, ბოროტმა დემონმა, და მეგობარს მოუწოდა, მთელი ჩვენი სულიერი ძალა მოვიკრიბოთ, რომ იმ საშინელი ამბების ორომტრიალმა გონება არ დაგვაკარგვინოს. მათ გახსენებაზე ისეთი შიში მიჰყრობს, თითქოს ღამის სიბნელეში აშლილ აჩრდილებს ვხედავო. იულია პრინც ჰექტორსა და კრაისლერს შორის მომხდარ საიდუმლოებით მოცულ შეტაკებას გულისხმობდა, მას საშინელ ეჭვებს რომ აღუძრაჲდა; როგორც ეტყობა, საბრალო იოჰანესი შურისმაძიებელი

იტალიელის ხელით განგმირული დაეცა, მაგრამ თუკი გადაურჩა  
ვას, როგორც ეს მაესტრო აბრაჰამმა თქვა, მხოლოდ და მხოლოდ  
სასწაულს უნდა დავაბრალოთო.

— ნუთუ ის საშინელი ადამიანი უნდა გამხდარიყო შენი ქმა-  
რი? — თქვა იულიამ, — არა, არასოდეს! დიდება ყოვლისშემძლე  
ღმერთს, შენ რომ გიხსნა ჰედვიგა! ის კი აღარასოდეს დაბრუნდება.  
ხომ მართალია, ჰედვიგა? აღარასოდეს!

— აღარასოდეს! — მოგუდული, ოდნავ გასაგონი ხმით მიუგო  
პრინცესამ, მერე ღრმად ამოიოხრა, და თითქოს სიზმარშიაო, ჩუ-  
მად თქვა, — დაე, ეს წმინდა, ციური ცეცხლი ირგვლივ ყველაფერს  
მხოლოდ ანათებდეს და ათბობდეს, დაე, ნურავის დასწვავს და და-  
ფერფლავს ამ ცეცხლის ენები, და, დაე, ხელოვანის გულში ჰოვოს  
დასაბამი იმ სანუკუარმა ოცნებამ, სიყვარული რომ ჰქვია! სწორედ  
ამ ადგილას ვიდექით, როცა ამას მეუბნებოდა მაშინ...

— ვინ გეუბნებოდა? — წამოიძახა შეძრწუნებულმა იულიამ, —  
ვინ გაგახსენდა ახლა, ჰედვიგა?

პრინცესამ ხელისგული შუბლზე მოისვა, თითქოს სიზმრიდან გა-  
მორკვევას ცდილობსო. მერე იულიას დახმარებით საუარძლისაკენ  
წაბარბაცდა და სავსებით ქანცმილუული შიგ ჩაესვენა. მეგობრის  
მდგომარეობით შეშფოთებულ იულიას უნდოდა საფექალი ეხმო,  
მაგრამ ჰედვიგამ ნაზად მოისვა გვერდით და წასჩურჩულა:

— არა, ჩემო გოგონავ! შენ, მხოლოდ შენ უნდა იყო ჩემ გვერდით!  
არ გვეგონოს, თითქოს კვლავ რაიმე სენმა შემიპყრო! არა, ეს იყო  
ფიქრი იმ უდიდეს ნეტარებაზე, მთელი არსებით რომ შევიგრძენი,  
და ჩემს გულს დამსხვრევით რომ ემუქრება; დიახ, ამ ნეტარებით  
გამოწვეული აღფრთოვანება სასიკვდილო ტკივილად იქცა! დარჩი  
ჩემთან, ჩემო გოგონავ! თავად, ალბათ, წარმოდგენაც კი არა გაქვს,  
რა საოცრად მოქმედებს ჩემზე შენი ჯადოსნური ძალა. ნება მომეცი  
ჩაუიხედო შენს სულში, ვითარცა კრიალა, გამჭვირვალე სარკეში,  
რათა იქ კვლავ შევიცნო საკუთარი თავი! იულია, ხშირად მიფიქ-  
რია, რომ რაღაც ციური ზეშთაგონება გარდმოგვევლინება ხოლმე  
და მგონებია, შენს ტკბილ ბაგეთაგან სიყვარულის სუნთქვასავით  
მოწვევითილი სიტყვები მანუგეშებელი წინასწარმეტყველებაა-მეთ-  
ქი. იულია, ჩემო გოგონავ! დარჩი ჩემთან და ნურასოდეს, ნურასო-  
დეს მიმატოვებ!



ეს თქვა თუ არა, პრინცესამ მაგრად ჩააულო ხელი იულიას და თვალდახუჭული მიყვრდნო საყარძლის ზურგს.

იულია მიჩვეული იყო იმას, რომ პრინცესის სულიერი დაძაბულობა დროდადრო უმაღლეს წერტილს აღწევდა ხოლმე, მაგრამ მეგობრის ამჟამინდელი აღგზნებული გუნება-განწყობა მისთვის სრულიად უჩვეულო, დიახ, უჩვეულო და გამოუცნობი იყო. უწინ გახლდათ ეს შმაგი გაბოროტება, რომელიც პრინცესას სულიერ სამყაროსა და მის ყოველდღიურ ცხოვრებას შორის შეუსაბამობით იყო გამოწვეული და თითქმის სიძულვილში გადადიოდა. ეს კი სასტიკად შეურაცხყოფდა მიაშიტ იულიას. ახლა კი ჰედვიგა ტკივილისა და ვნით გამოუთქმელი სევდისაგან სრულიად ქანცმილეული ჩანდა. სწორედ ამ გაუქარვებელმა მწუხარებამ ჩააგდო იულია საგონებელში და გაუძლიერა შიში საყვარელი მეგობრის გამო.

— ჰედვიგა! — წამოიძახა მან, — საყვარელო ჰედვიგა, აბა, როგორ მიგატოვებ?! ჩემზე ერთგული ნეტავ ვინა გყავს? მაგრამ მითხარი, მითხარი, გამანდე, რა გტანჯავს და გაწამებს ასე? მეც შენთან ერთად მივეცემი სადარდელს, შენთან ერთად ვიტირებ!

ჰედვიგას სახეზე უცნაურმა ღიმილმა გადაურბინა, ლოყები ვარდისფრად შეფუკლა და თვალდახუჭულმა წაიჩურჩულა:

— იულია, ხომ მართალია, რომ არაფერს გიყვარს?

საოცარი გრძნობა დაეუფლა ამ შეკითხვაზე იულიას, თითქოს შიშმა ხელ-ფეხი შეუკრაო.

აბა, რომელი ქალიშვილის გული არ აუფართხალებია ვნებათაღელვის წინათგრძნობას! განა თავად ვნება არ გახლავთ ქალის არსებობის უმთავრესი პირობა, რამეთუ მხოლოდ სიყვარულს ნაზიარები ქალი თუ ჩაითვლება ჭეშმარიტ ქალად? მაგრამ უმწიკვლო, წმინდა, ღვთისმოსავი და ბავშვური ბუნების ქალი არ აპყვება ხოლმე სისხლის ყოვილს, არაფითარი სურვილი არა აქვს, უსმინოს მის ხმას და ავხორცი თავხედობით უხეშად შეაღოს ტკბილი საიდუმლოს კარი; ეს კარი ხომ მხოლოდ იმ საოცარი წუთის კარნახით უნდა გაიღოს, რომელიც უმაღლეს ნეტარებას გვპირდება ამქვეყნად. ასე დაემართა იულიასაც. მას მოულოდნელად ის კითხვა დაუსვეს, რაზედაც თავად გაფიქრებასაც კი ვერ ბედავდა. გოგონას ისე შეეშინდა, თითქოს რაღაც ცოდვა ჩაედინოს, რაზედაც თავად

წარმოდგენაც კი არ ჰქონდა; და, აი, ახლა თავს ძალას ატანდა, რომ საკუთარი სულის სიღრმეში ჩაეხედა.

— იუღია, — გაუმეორა პრინცესამ, — მითხარი, ხომ არაუინ გიყვარს? მითხარი! გულწრფელად მითხარი!

— რა უცნაური შეკითხვა მომეცია, — მიუგო იუღიამ, — აბა, რა შემძლია ამაზე გიპასუხო?

— ო, მითხარი რა, მითხარი, — კვლავ შევედრა პრინცესა. და აი, სწორედ იმ წუთში იუღიას მთელი არსება თითქოს შინაგანი სხივით განათდაო. გოგონამ იპოვა იმ გრძნობის გამომხატველი სიტყვები, თავისი სულის სიღრმეში რომ დაინახა.

— ჰედვიგა, რა ხდება შენს სულში ისეთი, ამას რომ მეკითხები? — წამოიწყო ძალზე დაფიქრებით და მშვიდად, — გესმის კი რას ნიშნავს სიყვარული, რომელზედაც მეკითხები? ეს, ალბათ, ის გრძნობაა, როცა საყვარელი ადამიანისკენ დაუოკებელი ლტოლვა არ გასვენებს და მხოლოდ მასზე ფიქრითა და ოცნებით ცოცხლობ, როცა მისი გულისთვის საკუთარ თავსაც განუდგები, როცა მასში ხედავ შენს ყველა მიზან-მისწრაფებას, იმედს, საწადელს. მთელს შენს სამყაროს? და, ალბათ, ასეთ ვნებას აჰყავს ხოლმე ადამიანი ნეტარების მწვერვალზე, არა? მე კი თავბრუ მესხმის, როდესაც ასეთი სიმაღლიდან ძირს ვიხედები; ქვევით ხომ უძირო უფსკრულს დაუღია ხახა, სადაც გარდაუვალი და ტანჯვით სავსე აღსასრული გველის. არა, ჰედვიგა, ჩემს გონებას არ ძალუძს ჩასწვდეს ამ საშინელი და თან ცოდვილი სიყვარულის არსს, და მტკიცედ მწამს, რომ ეს გული თავისუფალი და წმინდა დარჩება. რა თქმა უნდა, ისიც ხდება, რომ რომელიმე მამაკაცს გამოუარჩევთ სხვა დანარჩენებში, და მისი ძლიერი, ვაჟკაცური სულით მოხიბლულნი, ჭეშმარიტ აღფრთოვანებასაც კი გამოვხატავთ ხოლმე. უფრო მეტსაც გეტყვი: მისი თანდასწრებით რაღაც იდუმალ, უჩვეულო სიამეს ვგრძნობთ, ასე გვგონია, ჩვენს მთელმარე სულს ეს-ეს არის გამოელვიძაო და ისეთი გრძნობა გვეუფლება, თითქოს მხოლოდ ახლა აღმოვჩინა და ჩვენი წილი მზე; ჩვენს სიხარულს საზღვარი არა აქვს, თუ იგი ახლომახლო გვეგულება, და საშინელი კაემანი შეგვიპყრობს ხოლმე, როცა მიგვატოვებს და გაუჩინარდება. შეიძლება ყოველივე ამას სიყვარული უწოდო? თუ ასეა, მაშ, რაღა მაქვს დასამალი, რომ უგზო-უკვლოდ დაკარგული კრაისლერი ჩემში ასეთ გრძნობებს იწვევს და უძირობა ძალზე მიმძიმს?



— იულია! — წამოიძახა პრინცესამ, მოულოდნელად წამოხტა და იულიას ანთებული შხერა შეაჯლო, — შეგიძლია იგი სხვის მკლავებში წარმოიდგინო და ენით გამოუთქმელი ტკივილი არ იგრძნო?

იულია გაწითლდა და მეგობარს ისეთი ხმით უპასუხა, რომ აშკარად დაეტყო: იგი საშინლად შეურაცხევს.

— ვერასოდეს წარმოვიდგენ მას ჩემს მკლავებში, ვერასოდეს!

— მაშასადამე, არ გყვარებია! დიახ, არ გყვარებია! — უხეშად წამოიძახა პრინცესამ და კვლავ საგარძელში ჩაესვენა.

— ო! — თქვა იულიამ, — რა იქნება, დაბრუნდეს! წმინდაა და უმწიკვლო ჩემი გრძნობა ამ ძვირფასი ადამიანისადმი, ხოლო თუ განგებამ ჩვენი სამუდამოდ დაშორება ინება და აღარ შეგვახვედრა ერთმანეთს, არასოდეს დაუფიწყებ მას. დიახ, ის ჩემი ცხოვრების მანათობელი შშვენიერი ვარსკვლავი იქნება! მაგრამ რას ვამბობ, რა თქმა უნდა, დაბრუნდება! განა შეიძლება...

— არასოდეს! — მკვახედ შეაწყვეტინა იულიას გაღიზიანებულმა პრინცესამ, — იგი ვერასოდეს შეძლებს და ვერც გაბედავს დაბრუნებას. ამბობენ, ამჟამად კანცჰაიმის სააბატოშია და ამ ქვეყნიდან განდგომა და წმინდა ბენედიქტეს ორდენში შესვლა გადაუწყვეტიაო.

იულიას თვალები ცრემლით ავესო, უხმოდ წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა.

— დედაშენი მართალს ბრძანებს, დიახ, სრულიად მართალს, — განაგრძო პრინცესამ, — კიდევ კარგი, რომ მოგვშორდა ის დამთხვეული. ბოროტი სულივით შემოიჭრა ჩვენი გულის წყნარსა და უშფოთველ კუნჭულებში და ერთიანად აგვაფორიაქა. მუსიკა კი მისთვის ის ჯადოსნური ბადე გახლდათ, რომელშიც ასე მარჯვედ გვხვევდა. არა, აღარასოდეს მექნება მისი ნახვის სურვილი.

პრინცესის თითოეული სიტყვა ხანჯალვით ესობოდა გულში იულიას; მან ხელი წამოაჯლო ქუდსა და შალს.

— ჩემო საყვარულო მეგობარო, ნუთუ ჩემი მიტოვება გინდა? — წამოიძახა პრინცესამ, — დარჩი, დარჩი ჩემთან და როგორმე მანუგეშე, თუკი შეგიძლია! იდუმალი საშინელებაა გამეფებული ამ დარბაზებში, ამ პარკში! მაშ, იცოდე... — ეს თქვა თუ არა, ჰედვიგამ იულია ფანჯარასთან მიიყვანა და იმ პაუილიონზე მიუთითა, სადაც პრინცი ჰექტორის ადიუტანტი ცხოვრობდა, მერე კი ყრუ ხმით დაიწყო, — გაიხედე იქით, იულია! იმ კედლების მიღმა რაღაც საში-

ნელი საიდუმლო უნდა იმალებოდეს. კასტელანი და მებაღეები კი ირწმუნებიან, პრინცის გამგზავრების მერე იქ აღარაფერს ცხოვრობს და კარი მაგრად არის ჩაგმანულიო, მაგრამ... ო, ერთი იქით გაიხედე! გაიხედე, ნუთუ ვერაფერს ხედავ ფანჯარაში?

პაუილიონის ფრონტონში გამოჭრილ ფანჯარაში იულიამ მართლაც შავი ჩრდილი შენიშნა, მაგრამ იგი თვალის დახამხამებაში გაქრა.

იულიამ თავის ხელში პრინცესის აუდმყოფურად მოცახცახე ხელი იგრძნო, ამიტომაც შეეცადა, დაემშვიდებინა მეგობარი და განუცხადა: ამაზე ლაპარაკიც კი არა ღირს, არაფითარი ბნელით მოცული საიდუმლო ან რაიმე ზებუნებრივი ამბავი აქ არ შეიძლება იყოს. კაცმა მხოლოდ და მხოლოდ შეიძლება იფიქროს, რომ მსახურთაგან ვინმემ უნებართვოდ დაიკავა პაუილიონი. იქაურობას თუ გაუჩხრეკინებთ, მაშინვე გაირკვევა, რა ჩრდილი ჩანდა ფანჯარაშიო. პრინცესა კიარწმუნებდა იულიას; მოხუცმა ერთგულმა კასტელანმა ჩემი ბრძანებით უკვე ყველა ზომა მიიღო ამის გასარკვევად და იფიცება, პაუილიონში ძეხორციელის ჭაჭანება არ არისო.

— მოდი, მოგიყვები, რა მოხდა გუშინწინ ღამით! — თქვა პრინცესამ, — კარგად მოგეხსენება, ხშირად დასაძინებლად კი დაუწვეები ხოლმე, მაგრამ თვალზე რული არ მეკარება. მაშინ წამოვდგები და ოთახებში დავბორიალებ, ვიდრე არ მოვიქანცები და ძილი არ მომერევა. და აი, იმ ღამითაც სწორედ უძილობა მტანჯავდა და რატომღაც ამ ოთახში გამოვედი. ანაზღად კედელზე მოციგლიგე შუქი შევნიშნე; ფანჯარაში გაიხედე და ოთხი კაცი დავინახე: ერთს ხელში მბჟუტავი ფარანი ეჭირა. ოთხოვენი პაუილიონისაკენ გაემურნენ, მაგრამ მალე თვალს მიეფარნენ და ველარ შევნიშნე, შევიდნენ შიგთუ არა. მცირე ხნის შემდეგ ფანჯარა განათდა და თვალი მოვკარი, როგორ გაიელვეს პაუილიონში რაღაცა ჩრდილებმა, მაგრამ მალე კვლავ სიბნელემ მოიცვა იქაურობა. დიდ დროს არ გაუვლია, რომ ბუჩქებზე დამაბრმავებელი სინათლე აკიაფდა, ეტყობა, პაუილიონის ღია კარიდან გამოდიოდა. შუქი სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდა, ვიდრე ბოლოს ბუჩქებიდან ერთი ბენედიქტელი ბერი არ გამოვიდა. მარცხენა ხელში ანთებული კვარი ეჭირა, მარჯვენაში კი — ჯვარცმა. უკან ოთხ კაცს მხრებით შავმაუდგადაფარებული საკაცე მოჰქონდა. ორიოდ ნაბიჯიც კი არ ექნებოდათ გავლილი, რომ მათ



შესახვედრად ფრიალა მოსასხამში გახვეული უცნობი გამოემართა. ყველანი შედგნენ და საკაცე მიწაზე ჩამოდგეს; უცნობმა გადასაფარებელი გადახადა და გამოჩნდა ცხედარი. ამის შემხედვარემ კინალამ გრძნობა დაუკარგე და მხოლოდ იმასლა შეეასწარ თვალი, რომ იმ ოთხმა კაცმა ისევე ასწია საკაცე და ბერთან ერთად ფეხდაფეხ შეუყვა ფართო ბილიკს, კანცკაიმის სააბატოზე რომ გადიოდა. იმ დღიდან ფანჯარაში ამ აჩრდილს ვხედავ ხოლმე და ასე მგონია, იმ ვერაგულად მოკლული კაცის სული მველინება საიქიოდან, რომ შემაშინოს და გული გამიხეთქოს-მეთქი.

იულიამ გაიფიქრა, პრინცესას ეს ყველაფერი, ალბათ, ან დაესიზმრა, ან არა და, თუ მართლა ფანჯარასთან იდგა და ფხიზლობდა, მაშინ აღწერილი ამბები მისი აუდემყოფური წარმოსახვის შედეგი უნდა იყოსო. ვინ უნდა ყოფილიყო მიცვალებული, რომელიც ასე საიდუმლოდ გამოასვენეს პაუილიონიდან, აქ ხომ ნამდვილად არავინ მომკედარა? განა დასაჯერებელია, რომ უცნობი ღამლამობით კვლავ გამოჩნდეს იქ, საიდანაც უკვე წაასვენებს? იულიამ თავისი ვარაუდი ჰედვიგას გაანდო და დაუმატა, ადვილი შესაძლებელია თვალმა მოგატყუა, ანდა სულაც ჩვენმა მოხუცმა ჯადოქარმა, მაესტრო აბრაჰამმა განიზრახა, ცოტა წაიხუმროს; ხომ იცი, როგორ უყვარს მსგავსი ოინები და შესაძლოა, სწორედ მან გადააქცია უკაცრიელი პაუილიონი მოჩვენებათა სამოსახლოდო.

— რა სწრაფად მოუძებნით ხოლმე ახსნას ყოველივე იდუმალსა და ზებუნებრივს! — ნაზი ღიმილით თქვა პრინცესამ, რომელიც უკვე საესებით დაეუფლა თავს, — ხოლო რაც შეეხება ცხედარს, ნუ დაგავიწყდება, რა ამბები მოხდა პარკში იმაზე ცოტა ხნით ადრე, ვიდრე კრაისლერი მიგვატოვებდა.

— ღვთის გულისათვის, — წამოიძახა იულიამ, — ნუთუ იქ მართლა რაიმე საშინელება დატრიალდა? კი, მაგრამ, ვინ ჩაიღინა ეს, ვისი ხელით აღსრულდა ბოროტება?

— ხომ იცი, ჩემო გოგონავ, — განაგრძო ჰედვიგამ, — რომ კრაისლერი ცოცხალია, მაგრამ ცოცხალია ისიც, ვისაც ასე უყვარხარ. ნუ მიყურებ შეშინებული თვალებით! ნუთუ ვერ ხვდები, რომ რაღაც ისეთი უნდა გითხრა, რაც აუცილებლად უნდა იცოდე, რამეთუ ამის დამალვას შეიძლება შენი დაღუპვა მოჰყვეს? იულია, პრინც ჰექტორს შენ, დიახ, შენ უყვარხარ იმ შმაგი სიყვარულით, როგო-

რიც მხოლოდ იტალიელებს შეუძლიათ მისი საცოლვე მე ვიყავი და დღესაც საცოლედ ვითვლები, მაგრამ ამ კაცს შენ, მხოლოდ შენ უყვარხარ, იულია.

უკანასკნელი სიტყვები პრინცესამ განსაკუთრებით მკვახედ წარმოთქვა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, მათში სრულიადაც არ გამოსჭვივოდა წუხილი.

— ო, ციურო ძალავ! — აღმოხდა იულიას და თვალთაგან ცრემლები წასკდა, — ჰედვიგა, ალბათ, გულის გახეთქა გწადია ჩემთვის? მითხარ, რომელი ბოროტი სული მესაუბრება შენი ბაგეებით? რა თქმა უნდა, მაგ საშინელი სიზმრებით გამოწვეული უგუნებობა შეგიძლია ჩემზე გადმოანთხიო, მაგრამ არა და არა, იმას კი ვერასოდეს დავიჯერებ, რომ შენს საშინელ სიზმრებს ოდესმე ახდენა უწერია. გონს მოგვე, ჰედვიგა! შენ ხომ უკვე აღარა ხარ იმ საშინელი კაცის დანიშნული, ჩვენს დასალუპავად რომ მოგვივლინა ღმერთმა. ის აღარასოდეს დაბრუნდება და შენც აღარასოდეს გახდები მისი ცოლი.

— არა, დაბრუნდება, — მიუგო პრინცესამ, — დიახ, დიახ, დაბრუნდება! გონს მოდი, ბავშვო! მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქორწინების წმინდა ძაფები დამაკაჟშირებს პრინცს, შესაძლოა, აქბადოს ფარდა იმ საშინელ ამბებს, რომელთა წყალობითაც ამდენი უბედურება მეწია! შენ კი თავად მაღალმა ღმერთმა გადაგაფარა მოწყალე კალთა. ჩვენ დაუშორდებით, მე მეუღლეს გაყვები თან, შენ კი აქ დარჩენა მოგიწევს.

შინაგანი მღელვარებით შეპყრობილი პრინცესა დადუმდა. იულიასაც აღარ შესწევდა ძალ-ღონე, კრინტი დაეძრა. მერე აქვითინებული გოგონები ერთმანეთს გადაეხვივნენ.

მსახურმა მოახსენა, ჩაი მზად გახლავთო. იულია საშინლად აღელვებული ჩანდა, რაც ასე უჩვეულო იყო მისი დინჯი და დარბაისული ხასიათისათვის. ახლა არ შეეძლო ხალხის დანახვა, ამიტომ დედამ სიამოვნებით დართო შინ წასვლის ნება, მით უმეტეს, რომ პრინცესასაც მოსვენება ესაჭიროებოდა.

მთაურინას შეკითხვაზე, როგორ გრძნობდაო თავს პრინცესა, ნანეტამ მიუგო, რომ ნასადილევსაც და საღამოთიც პრინცესა მშვენიერ გუნებაზე გახლდათ, მხოლოდ იულიასთან მარტო დარჩენა ინება. მეზობელი ოთახიდან თვალყურს ვადევნებდი მათ და ვხედავდი,



ერთმანეთს ნაირ-ნაირ ამბავს უყვებოდნენ, ბოლოს კი ოხუნჯობაც დაიწყეს, ხან ტიროდნენ, ხან კი იცინოდნენო.

— რა საყვარელი გოგონები არიან! — ჩაილაპარაკა ჰოფმარშალმა.

— წესი მოითხოვს, ბრძანოთ მისი უდიდებულესობა პრინცესა და საყვარელი იულიაო! — შეუსწორა მთავარმა ჰოფმარშალს და თვალები გადაუბრიალა. ამ საშინელი შეცდომით შეძრწუნებულმა ჰოფმარშალმა მოინდომა ერთ ლუკმად გადაეყლაპა ჩაიში ჩამბალი ორცხობილას კარგა მოზრდილი ნაჭერი, მაგრამ ყელში გაეჩხირა და ისეთი საშინელი ხველება აუტყდა, იძულებული გახდა, სასწრაფოდ გასულიყო დარბაზიდან. ლუკმით დახრჩობის სამარცხვინო სიკვდილს იგი მხოლოდ სახლთუხუცესის ხელმარჯვეობის წყალობით გადაურჩა, რომელმაც ზურგზე მუშტით ისეთი ბაგაბუგი აუტეხა, თითქოს დაფდაფსა სცემსო. ამ ორი სამარცხვინო საქმის შემდეგ ჰოფმარშალს შეეშინდა, მესამედაც არ გაკეზიო შარშიო და დარბაზში შებრუნება ვეღარ გაბედა. მსახურს უბრძანა, მთავრისთვის მოეხსენებინა, შეუძლოდ ვარ და ვეღარ გეახლებითო.

ჰოფმარშლის წასვლით იშლებოდა ვისტის თამაში, რითაც საღამოობით მთავარი, ჩვეულებრივ, თავს იქცევდა ხოლმე. აი, მსახურებმა სათამაშო მაგიდები მოაშხადეს და ყველამ მოუთმენლად დაუწყო ლოდინი, რას მოიმოქმედებდა ამ გადამწყვეტ წუთებში მისი უდიდებულესობა. მაგრამ მთავარს არაფერიც არ მოუმოქმედებია; მან დანარჩენებს ანიშნა, თამაშს შესდგომოდნენ, მერე ქალბატონ ბენცონს მკლავი გამოსდო, საუარძელთან მიიყვანა, სთხოვა, დაბრძანებულიყო და თვითონაც გვერდით მიუჯდა.

— ძალიან მეწყინებოდა, ჰოფმარშალი რომ ორცხობილათი დამხრჩვალიყო, — უთხრა მთავარმა ბენცონს, როგორც ყოველთვის ჩუმად და ნაზად, — ძალზე დაბნეული რომ არის, ეს ამბავი არა ერთხელ და ორჯერ შემინიშნავს. აი, წელანაც ხომ გაიგონეთ, პრინცესა ჰედვიგა გოგონად რომ მოიხსენია. ასეთ დაბნეულობას კი ვისტის თამაშის დროს შეიძლებოდა დამღუპველი შედეგი მოჰყოლოდა. ასე და ამრიგად, ძვირფასო ბენცონ, ძალზე მსიამოვნებს და მიხარია, რომ დღეს ვისტის თამაშის ნაცვლად შემიძლია თქვენ გვერდით მყუდროდ ვიჯდე და ძველებურად გულითადად გესაუბროთ აჰ, ძველებურად! მოწყალეო ქალბატონო, ხომ კარგად მოგეჩ-

სენებათ, როგორ მიყვარხართ და ისიც ხომ იცით, რა მარადიულია თქვენდამი ეს სიყვარული! თქვენი მთავარი ძალზე ერთგული ბუნების კაცია, და მანამდე არ იცვლის თავის შეხედულებებს, ვიდრე ამას რაიმე გაუთვალისწინებელი გარემოება არ მოითხოვს ხოლმე.

ეს თქვა თუ არა, მთავარმა აიღო ქალბატონი ბენცონის ხელი და გაცილებით ნაზად ეამბორა, ვიდრე ამის უფლებას მისი მდგომარეობა, ასაკი თუ გარემოება აძლევდა.

ქალბატონ ბენცონს სიხარულისაგან თვალები აუციმციმდა და მოახსენა, კარგა ხანია მწყურია თქვენს უდიდებულესობასთან პირისპირ საუბარი, რამეთუ მინდა ზოგიერთი ისეთი რამ გაცნობოთ, რაც, ვგონებ, თქვენთვის ფრიად სასიამოვნო უნდა იყოსო.

— აი, რა მინდოდა, მომეხსენებინა თქვენთვის, მოწყალეო ხელმწიფე, — თქვა ქალბატონმა ბენცონმა, — საელჩოს საიდუმლო მრჩველმა განმეორებით მოგვწერა, რომ ჩვენი საქმე სრულიად მოულოდნელად ძალზე სასიკეთოდ შემოტრიალდა და...

— ჩუმად, ჩუმად, ჩემო ძვირფასო! — გააწყვეტინა მთავარმა, — კრინტი აღარ დაძრათ სახელმწიფოებრივ საქმეებზე! განა ძილის წინ მთავარი კი არ იცვამს პერანგს და არ იხურავს საღამურ ჩაჩს, როცა მმართველობის ჭაპნით წელში გაწყვეტილი მოსასვენებლად მიეშურება ხოლმე?! რა თქმა უნდა, გამონაკლისი გახლდათ პრუსიის მეფე ფრიდრიხ დიდი, რომელიც ლოგინშიც კი არ იცილებდა თავიდან ფეტრის ქუდს; თუმცა, თქვენ ფრიად განსწავლული მანდილოსანი ბრძანდებით და, ალბათ, უჩემოდაც მშვენივრად მოგეხსენებათ ეს ამბავი. ერთი სიტყვით, ჩემის აზრით, მთავარსაც ახასიათებს ბევრი ისეთი რამ... დიახ, მისთვისაც არ არის უცხო ბევრი ისეთი გრძნობა, რაც მდაბიოთა არსებობის საფუძველს შეადგენს: ცოლქმრული სიყვარული, მამობრივი გრძნობა და სხვა ამგვარი. და მას არ შესწევს ძალ-ღონე, თავი დააღწიოს ამ გრძნობებს; donec,<sup>1</sup> ყოველ შემთხვევაში, ეპატიება, თუ მხოლოდ იმ დროს დაიწყებს ასეთ საკითხებზე ფიქრს, როცა მისი გონება ქვეყნისა და სასახლის კარის ბედზე ზრუნვით არ არის დაკავებული. ძვირფასო ბენცონ! ეს დროც დადგა! შვიდი ხელმოწერილი ქაღალდი მიდევს ჩემს სამუშაო ოთახში, ახლა კი ნება მიბოძეთ, სრულიად დაუფიქრო ჩემი წარმოშობა

<sup>1</sup> ასე რომ (ფრანგ.).



და აქ, ჩაის სმის დროს, ჩემი თავი მხოლოდ და მხოლოდ ოჯახის მამად, დიახ, ბარონ ფონ გემინგენის „გერმანული ოჯახის მამად“<sup>1</sup> წარმოგიდგინოთ! დამრთეთ ნება, დღეს მხოლოდ ჩემს შვილებზე ვისაუბრო, დიახ, მხოლოდ შვილებზე; მათგან ხომ ისე ვარ გამწარებული, რომ ხანდახან მთლიანად მეშხამება ხოლმე გუნება!

— მოწყალეო ხელმწიფე, მაშ, ლაპარაკი თქვენს შვილებზე, ესე იგი, პრინც იგნატიუსზე და პრინცესა ჰედვიგაზე გვექნება, არა? — გესლიანად ჩაეკითხა ქალბატონი ბენცონი, — ბრძანეთ, იქნებ მეც შეეძლო და მაესტრო აბრაჰამივით რაიმე სანუგეშო გითხრათ.

— დიახ, — განაგრძო მთავარმა, — ვისიმე რჩევა-დარიგება და ნუგეში დროდადრო აუცილებელია ხოლმე ჩემთვის. მაშ, ასე, ჩემო კეთილო ბენცონ, თავდაპირველად პრინცზე მინდა მოგახსენოთ; რა თქმა უნდა, მას სრულიად არ სჭირდება განსაკუთრებული ნიჭიერება; ბუნება ამ მადლს ჩვეულებრივ იმათ სცხებს ხოლმე, ვინც უამისოდ თავისი მდაბიო წარმოშობის გამო სიდუხჭირესა და უმეცრებას ვერ აღწევს თავს. მაგრამ კაცმა რომ თქვას, ჩემს ძესაც არ აწყენდა ცოტაოდენი Esprit,<sup>2</sup> იგი Simple<sup>3</sup> გახლავთ და ასეთადვე დარჩება. აი, ახლაც, შეხედეთ, ზის, ფეხებს იქნევს, ბანქოს თამაშში შეცდომას შეცდომაზე უშვებს და შვიდი წლის ბიჭვით ხითხითებს და იცინის! ბენცონ! Entre nous soit dit<sup>4</sup> და ჩემი პირშო ვერასოდეს შეძლებს იმდენად დაეუფლოს წერის ხელოვნებას, როგორც მას შეეფერება, — მისი უდიდებულესობის ხელმოწერა ბატიფეხურსა ჰგავს. ღმერთო დიდებულო, რა მოგველის? ამას წინათ რაღაც საქმეებში ვიყავ ჩაფლული. უეცრად აზროვნების ძაფი ამაზრზენმა ყეფამ გამაწყვეტინა, ფანჯრების ქვეშ რომ გაისმა. გადავიხედე, რომ მსახურისათვის მებრძანებინა, გაეგდო ეს საძაგელი ფინია და არ იკითხავთ, რა იხილეს ჩემმა თვალებმა? ალბათ, არც კი დამიჯერებთ, ჩემო ძვირფასო! ეს პრინცი გახლდათ, იგი ხმამაღალი ყეფით შლუგვიანვით დაჯირითობდა და მებაღის ბიჭს დასაჭურად დასდევდა. თურმე „კურდღლობანას“ თამაშობდნენ და ჩემი ვაჟი მეძებარი ყოფილა. უკვე იმაშიც

<sup>1</sup> „გერმანული ოჯახის მამა“ — გერმანელი დრამატურგის, სენტიმენტალისტ ოტო ჰაინრიხ გემინგენის (1755-1836) პიესა, დაწერილი 1780 წელს დიდროს პიესა „ოჯახის მამის“ მიბაძვით

<sup>2</sup> ჭკუა (ფრანგ.).

<sup>3</sup> სულელი (ფრანგ.).

<sup>4</sup> ჩვენ შორის დარჩეს (ფრანგ.).

ეჭვი მეპარება, საერთოდ, გააჩნია კი ტვინის ნატამალი? განა ასე უნდა ერთობოდეს მისი უდიდებულესობა მთავრის ძე? ნუთუ პრინცი ოდესმე შეძლებს სულ მცირე დამოუკიდებლობას მაინც მიაღწიოს?

— ამიტომაც აუცილებელია პრინცს სასწრაფოდ ცოლი შეერთოს, — მიუგო ქალბატონმა ბენცონმა, — თან ისეთი საცოლე უნდა შევეურჩიოთ, მისმა სილამაზემ, მომხიბვლელობამ და ნათულმა გონებამ პრინცს მთვლემარე გრძნობები გაუღვიძოს. პრინცის მეუღლე საკმაოდ კეთილი გულის უნდა იყოს, რათა მოწყალე თვალთ შეხედოს მისი უდიდებულესობის ცელქურ გამოხდომებს და თანდათანობით საკუთარ თავამდე აღამაღლოს იგი. პრინცის საბედოს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ეს თვისებები, რათა შეძლოს თავისი მეუღლის მძიმე მდგომარეობის შემსუბუქება. გული მტკივა, ამას რომ გეუბნებით, მოწყალეო ხელმწიფევ, მაგრამ ძალზე ადვილი შესაძლებელია პრინცის ავადყოფობა ნამდვილ სიგიჟეში გადაიზარდოს. ამიტომაც, ამ შემთხვევაში, საპატარძლოს შერჩევისას გადაწყვეტი სწორედ ეს თვისებები გახლავთ; გვარიშვილობას კი ძალიან დიდი ყურადღება არ უნდა მიაქციოთ.

— არასოდეს, — თქვა მთავარმა და შუბლი შეიკრა, — არასოდეს ყოფილა ჩვენს გვარში შეუფერებელი ქორწინება. თავიდან ამოიღეთ ეგ აზრი; ვერაფრით მოგიწონებთ მას. სხვაფრივ კი, მოგეხსენებათ, ყოველთვის მზად ვიყავ და ახლაც მზად გახლავართ, შევასრულო თქვენი ყველა სხვა სურვილი.

— ო, ეს მე რატომღაც არ ვიცოდი! — მკვახედ მიუგო ბენცონმა, — რა ხშირად ვიყავ ხოლმე იძულებული, ამელაგმა ჩემი სამართლიანი სურვილები რაღაც უაზრო მოსაზრებების გამო! მაგრამ არსებობს მოთხოვნები, ყოველგვარ პირობითობაზე მაღლა რომ დგას ხოლმე...

— *Laissons cela,*<sup>1</sup> — გააწყვეტინა ბენცონს მთავარმა, ჩაახველა და ბურნუთი აიღო. მცირე ხნის დუმილის შემდეგ კი განაგრძო, — პრინცზე უფრო პრინცესას ბედი მალეღვებს. მითხარით, ბენცონ, რატომ უნდა გვყოლოდა მე და ჩემს მეუღლეს ასეთი უცნაური ზნის ქალიშვილი? სად, სად უნდა იღებდეს სათავეს ის საოცარი სენი, რომელიც სასახლის კარის მკურნალსაც კი საგონებელში აგდებს?

<sup>1</sup> მოუშვათ ამას (ფრანგ.).



მთავრინა ხომ ყოველთვის გამოირჩეოდა ჯანის არაჩვეულებრივი სიმართლით? განა ოდესმე ჰქონია მას მიდრეკილება ასეთი მისტიკური ნერვიული შეტევებისაკენ? და თავად მე? მე ხომ სულითაც და ხორცილთაც ყოველთვის ძლევამოსილი მთავარი გახლდით მაშ, როგორღა ვშვით ამქვეყნად პირშმო, რომელიც, — ჩემდა საუბედუროდ უნდა ვაღიარო, — ხშირად სრულიად უგუნურის შთაბეჭდილებას ტოვებს და კეთილშობილი სისხლისა არაფერი სცხია?

— პრინცესის ბუნება ჩემთვისაც ამოუხსნელ გამოცანად რჩება, — მიუგო ქალბატონმა ბენცონმა, — დედამისი მშვიდი და გონიერი ქალი გახლავთ, რომლისთვისაც უცხოა გამანადგურებელი, მხურვალე ვნებები, — უკანასკნელი სიტყვები ქალბატონმა ბენცონმა ფრულ, თავისთვის წარმოთქვა და თვალები დახარა.

— თქვენ მთავრინა გყავთ მხედველობაში? — ჰკითხა მთავარმა ხაზგასმით, რამეთუ უპატოვცემულობად ჩათვალა, რომ სიტყვა „დედა“ მთავრინას გარეშე წარმოთქვეს.

— სხვა ვინ შეიძლებოდა მყოლოდა მხედველობაში? — თავშეკავებით უპასუხა ქალბატონმა ბენცონმა.

— განა იმ უკანასკნელმა ავბედითმა შემთხვევამ, პრინცესას რომ გადახდა, წყალში არ ჩამიყარა მთელი ჩემი მეცადინეობა და არ მომისპო ქალიშვილის მომაკალი ქორწინებით გამოწვეული სიხარული? *Entre nous soit dit*, ჩემო საყვარელო, პრინც ჰექტორის უეცარი გამგზავრების მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ პრინცესის კატალეფსიური შეტევა უნდა იყოს, რომელსაც თავად მე ძლიერ გაცოვებას მოვწერ. მას განუზრახავს, გაწყვიტოს ჩვენთან ყოველგვარი ურთიერთობა, — *juste ciel!* — და უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამისათვის დიდად არც ვადანაშაულებ. ასე რომ, ჩვენი ადათ-წესები თავისთავად რომ არ მიკრძალავდეს ყოველგვარ შემდგომ ურთიერთობას მასთან, პრინცის გამგზავრება უკვე საკმარისი იყო იმისათვის, რომ მე, მთავარს, თავი შემეკავებინა და არ გადამედგა შემდგომი ნაბიჯები ჩემი სურვილის აღსასრულებლად. დიახ, ახლა იძულებული ვარ, უკან დავიხიო და უარი ვთქვა ჩემს ამ სურვილზე. ალბათ, დამეთანხმებით, ძვირფასო ქალბატონო, ცოტა არ იყოს, საშიშია გყავდეს მეუღლე, რომელსაც ასეთი უცნაური შეტევები ემართება. აბა, ერ-

<sup>1</sup> ღმერთო, დიდებულო (ფრანგ.).

თი წარმოიდგინეთ, რა საშინელება იქნება, ერთ მშვენიერ დღესაც მისი კეთილშობილი წარმოშობის, მაგრამ კატალეფსიით შეპყრობილი მეუღლე სასახლეში ბრწყინვალე დიდგვაროვანთა თავყრილობის დროს მოულოდნელად გაშეშდეს და იქ დამსწრენიც აიძულოს, მიჰხადონ მას და ასე გაქკეპებული დარჩნენ? რასაკვირველია, საყოველთაო კატალეფსიით შეპყრობილი სასახლის კარი თავისთავად ყველაზე საზეიმო და ამაღლებული სანახაობა იქნებოდა ამქვეყნად, რამეთუ იქ ყველაზე ქარაფშუტა კაცი სათვისაც კი შეუძლებელი გახდებოდა ჯეროვანი წესების სულ მცირე დარღვევაც კი. მაგრამ გრძნობა, ოჯახსა და შვილებზე ზრუნვის წუთებში რომ დამეუფლება ხოლმე, უფლებას მაძლევს, შევნიშნო: საპატარძლოს ასეთი მდგომარეობა მის უდიდებულესობა სასიძოში საშინელ ძრწოლას უნდა იწვევდეს; ამიტომაც, ბენცონ, რამდენადაც თქვენ ღირსეული და გონიერი ქალი ბრძანდებით, ვგრძნობ, გამონახავთ გზას, რომ პრინცთან როგორმე მოვათავოთ საქმე; ალბათ, არსებობს რაიმე საშუალება...

— ეს სრულიადაც არ არის საჭირო, მოწყალეო ხელმწიფევ! — ცოცხლად გააწყვეტინა მთავარს მრჩეველმა, — პრინცის უეცარი გამგზავრების მიზეზი სრულიადაც არ გახლავთ პრინცესის ავადყოფობა. ამ თამაშს სხვა საიდუმლო აქვს, ამ საიდუმლოში კი კაპელმაისტერი კრაისლერია გარეული.

— როგორ? რა ბრძანეთ, ბენცონ? კაპელმაისტერი კრაისლერიო?  
— წამოიძახა ძალზე გაოცებულმა მთავარმა, — მაშ, მართალია ის ამბავი, რომ იგი...

— დიახ, ყოვლადმოწყალეო ხელმწიფევ, — დაუდასტურა ქალბატონმა მრჩეველმა, — პრინცის გაქცევის მიზეზი კრაისლერთან შეტაკება გახლავთ. და როგორც ეტყობა, ამ ორთაბრძოლას ფრიად გმირული დასასრული უნდა ჰქონოდა.

— რაო, შეტაკებო? — გააწყვეტინა მთავარმა ქალბატონ მრჩეველს, — ორთაბრძოლას გმირული დასასრული ჰქონდაო? გასროლა პარკში! გასისხლიანებული ქუდი! ბენცონ! ეს ხომ შეუძლებელია! პრინცი და კაპელმაისტერი! დუელი და Rencontre!<sup>1</sup> ერთიცა და მეორეც დაუჯერებელია!

<sup>1</sup> ორთაბრძოლა (ფრანგ.).



— მოწყალეო ხელმწიფევ, — განაგრძო ქალბატონმა მრჩეველმა, — ეჭვი არ არის, კრაისლერმა დიდი გავლენა მოახდინა პრინცესის გრძნობებზე. დიახ, ის აუხსნელი შიში, უფრო მეტიც, ის ძრწოლა, ჰედვიგას კრაისლერის დანახვაზე რომ შეიპყრობდა ხოლმე, დამღუპველ ვნებად გადაიქცა. ეტყობა, პრინცს საკმაოდ დაკვირვებული თვალი აქვს, პოდა, ალბათ, შეამჩნია, რომ კრაისლერის სახით, რომელიც მას მტრული, გესლიანი დაცინვით გაუმასპინძლდა, სახიფათო მოქიშპე ჰყავდა. ამიტომაც კაპელმაისტერის თაუიდან მოშორება გადაწყვიტა. სწორედ ამ განზრახვამ ჩაადენინა ისეთი რამ, რასაც, მადლობა უფალს, შედეგი არ მოჰყოლია. პრინცის ეს საქციელი შეიძლება მხოლოდ ეჭვიანობითა და იმ საშინელი სიძულვილით გაამართლოს კაცმა, რაც მასში თაუმოყვარეობის შელახვამ გამოიწვია. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ეს ყველაფერი ვერ ხსნის პრინცის უეცარი წასვლის მიზეზს; აქ, როგორც უკვე მოგახსენეთ, რაღაც იმალება. იულიას სიტყვებს თუ დაუუჯერებთ, პრინცი შეუშინებია რაღაც სურათს, რომელიც მისთვის კრაისლერს უჩვენებია, და რომელსაც ეს უკანასკნელი თურმე მუდამ თან დაატარებს. მაგრამ რაც მოხდა, მოხდა; კრაისლერი აქ აღარ არის და პრინცესაც უკეთ გრძნობს თავს. მერწმუნეთ, მოწყალეო ხელმწიფევ, კრაისლერი რომ აქ დარჩენილიყო, პრინცესას ახალი ძალით შეიპყრობდა ვნების ცეცხლი და პრინცის ცოლობას სიკვდილს ამჯობინებდა. ახლა კი ყველაფერი წაღმა შემოტრიალდა; პრინცი ჰექტორი სულ მალე კვლავ დაბრუნდება და მათი ქორწინება ბოლოს მოუღებს ყველა მღელვარებას.

— ბენცონ! — აპილპილდა მთაყარი, — იმ უბადრუკმა მუსიკოსმა როგორ გაბედა ასეთი თავხედობა! მაშ, პრინცესას მისი ტრფობა განუზრახავს და ამის გამო ეუბნება ცოლობაზე უარს ღირსეულ პრინცს, არა? Ah, le coquin!<sup>1</sup> ო, მხოლოდ ახლაღა მიგიხვდით, მაესტრო აბრაჰამ! როგორმე უნდა მომაცილოთ თაუიდან ეს ავბედითი კაცი, რომ აღარასოდეს დაბრუნდეს აქ!

— რა რჩევა-დარიგებაც უნდა მოეცა ამ შემთხვევაში ბრძენ მაესტრო აბრაჰამს, ამას არავითარი აზრი არ ექნებოდა, — თქვა ქალბატონმა მრჩეველმა, — რაც უნდა მომხდარიყო, ყველაფერი მოხ-

<sup>1</sup>ო, არაშხადა (ფრანგ.).

და. კრაისლერი კანცკაიმის საბატოშია და, როგორც აბატი ქრი-  
ზოსტომუსი მატყობინებს, ალბათ, განუდგება სოფელს და ბერად  
აღიკვეცება. ხელსაყრელი დრო ჩავიგდე თუ არა ხელში, ეს ამბავი  
პრინცესას როგორღაც შეჰპარუ და, რადგანაც ვერავითარი მღელ-  
ვარება ვერ შევნიშნე, შემიძლია სრული თავმდება ვიყო იმისა, რომ,  
როგორც უკვე მოგახსენეთ, ხიფათმა განულო.

— რა დიდებული, ბრწყინვალე ქალი ბრძანდებით! — თქვა მთა-  
ვარმა, — რაოდენ ერთგულებას იჩენთ ჩემდამი და ჩემი შვილების-  
სადმი! როგორ ზრუნავთ ჩემი ოჯახის კეთილდღეობასა და ბედნი-  
ერებაზე!

— როგორ გეკადრებათ? — მწარედ შენიშნა ქალბატონმა ბენ-  
ცონმა, — ნუთუ ჩემზე ბრძანებთ ამას? განა შემეძლო კი, ან მქონდა  
უფლება, ყოველთვის არ მეზრუნა თქვენი შვილების კეთილდღეო-  
ბაზე?

ქალბატონმა ბენცონმა ამ სიტყვებს განსაკუთრებით გაუსვა ხა-  
ზი; მთავარი უხმოდ დასცქეროდა თავის ფეხებს და ერთმანეთზე გა-  
დაჭდობილი ხელების ცერებს ათამაშებდა. ბოლოს ძლივს გასაგო-  
ნად წაიბურტყუნა:

— ანჯელა! ისევ და ისევ არ ჩანს არავითარი კვალი, არა? ნუთუ  
სამუდამოდ დაიკარგა?

— დიახ, ასეა, — მიუგო ბენცონმა, — და გული მეუბნება, საბ-  
რალო ბავშვი რაღაც ბოროტების მსხვერპლი უნდა გამხდარიყო.  
ამბობენ, თითქოს ვენეციაში უნახავთ, მაგრამ აქ რაღაც შეცდო-  
მაა. გამოტყდით, ყოვლადმოწყალეო ხელმწიფევ, რომ საშინელი სი-  
სასტიკე ჩაიდინეთ, როცა უბრძანეთ, დედის მკერდიდან აუგლიჯათ  
თქვენოვე თოთო ბავშვი და სამუდამოდ გადაგეკარგათ! ეს იარა, მაგ  
თქვენი სისასტიკით რომ მომაყენეთ, ალბათ, არასოდეს მომიშუშ-  
დება.

— ბენცონ, — თქვა მთავარმა, — განა თქვენცა და ბავშვებსაც ყო-  
ველწლიურად არ გამოგიყავით კარგა მოზრდილი თანხა? აბა, მეტი  
რისი გაკეთება შემეძლო? ანჯელა რომ აქ დარჩენილიყო, სულ ერ-  
თაჟად იმის შიშში უნდა ვყოფილიყავით, რომ გამოაშკარავდებოდა  
ჩვენი faiblesses.<sup>1</sup> ეს კი, ხომ იცით, როგორ არეუ-დარეუას გამოიწ-

<sup>1</sup> სისუსტეები (ფრანგ.).



ვევდა სასახლის კარის უშფოთველ ცხოვრებაში! მშვენივრად იცნობთ მთავრინას და ისიც მშვენივრად მოგეხსენებათ, რომ ხანდახან საშინლად ახირებული ხასიათი აქვს.

— მაშ, თქვენ ფიქრობთ, რომ ფული შეიძლება იყოს დედისათვის პირშშოს დაკარგვით გამოწვეული ცრემლების, ტკივილისა და სასწარკვეთის საზღაური, არა? ისე, მოწყალეო ხელმწიფე, რა თქმა უნდა, შეგეძლოთ სხვაგვარად გამოგეჩინათ ზრუნვა საკუთარ შვილზე. განა არ იცით, რომ ვერავითარი ოქრო ვერ ანუგეშებს უბედურ დედას? ამისათვის რაიმე სხვა გზა უნდა გამოგენახათ!

ქალბატონმა ბენცონმა ეს სიტყვები ისეთი სახითა და კილოთი წარმოთქვა, მთავარი, ცოტა არ იყოს, შეცბა.

— დიდად პატივცემულო ქალბატონო, — დაიწყო დაბნეულმა მთავარმა, — ეს რა უცნაური აზრები მოგდით თავში? ან იქნებ გგონიათ, ჩემი საყვარელი ანჯელას უგზო-უკვლოდ დაკარგვა არ მადარდებს და გულს არ მიკლავს? მისგან, ალბათ, მშვენიერი, ზრდილი ქალიშვილი დადგებოდა; იგი ხომ ლამაზი, მომხიბლავი მშობლების პირშშო გახლდათ?!

მთავარი კვლავ ძალზე ნაზად ეამბორა ხელზე ქალბატონ ბენცონს, მაგრამ ქალმა სწრაფად გამოსტაცა ხელი და თვალეხანთუბულმა გაგულისებით ჩასჩურჩულა:

— რატომ არ გინდათ, გამოტყდეთ, მოწყალეო ხელმწიფე, რომ ძალზე დიდი უსამართლობა და სისასტიკე ჩაიდინეთ, როცა ბავშვის გადაკარგვა დაიჟინეთ და ამის მერე, განა ვალდებული არ ბრძანდებით, აღასრულოთ ჩემი ყოველი სურვილი? ღმერთს ჩემთვის კეთილი გული მოუცია, ამიტომაც ამას სიამოვნებით ჩავთვლიდი ჩემი ტანჯვა-წამების გარკვეულ საზღაურად.

— ბენცონ, — უფრო თვინიერად უთხრა მთავარმა, — გულკეთილო, ზღაპრულ ბენცონ, ნუთუ ჩვენი ანჯელას პონის ყოველგვარი იმედი გადაგვეწურა? აი, ნახეთ, როგორ გმირობას ჩავიდენ იმისათვის, რომ თქვენი ყველა სურვილი აღვასრულო. ძვირფასო ქალბატონო! მინდა ეს ამბავი მაესტრო აბრაჰამს გაუანდო და ყველაფერი მასთან ერთად აუწონ-დაუწონო. ის გონიერი, საქმეში ჩახედული კაცია და, ალბათ, შეძლებს, გვიშველოს...

— ო, — გააწყვეტინა ბენცონმა მთავარს, — დაეხსენით მაესტრო აბრაჰამს! ნუთუ გგონიათ, მოწყალეო ხელმწიფე, რომ იგი მართლა

ზრუნავს თქვენი ოჯახის კეთილდღეობაზე? აბა, რაღას შეიტყობს იგი ანჯელას ბედ-იღბალზე, როცა ფლორენციასა და ვენეციაში გოგონას პოვნის ყოველგვარი ცდა ამოიგამოდგა; და რაც ყველაზე საშინელია, მაესტროს ხომ მოსტაცეს ის საიდუმლო იარაღი, რომლის საშუალებითაც იგი იღუმალ საგნებსა და მოვლენებს სწვდებოდა!

— თქვენ, ალბათ, მის ცოლს, ბოროტ ჯადოქარ კიარას გულისხმობთ, არა? — ჰკითხა მთავარმა.

— ძალიან ვეჭვობ, — მიუგო ქალბატონმა მრჩეველმა, — რომ ის ქალი ასე მოხსენიების ღირსი იყოს. იგი ხომ განგებას არაჩვეულებრივი, ზებუნებრივი ნიჭით დაეჯილდოებინა; გარდა ამისა, მას კიდევ ვიღაცის შთაგონება სჭირდებოდა, რომ აღეგზნო საკუთარი თავი. ყოველ შემთხვევაში, ძალზე დიდი უსამართლობა და ბოროტება გახლდათ მაესტრო აბრაჰამისათვის ძვირფასი არსებობის წართმევა; ეს ქალი ხომ მას სულითა და გულით უყვარდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, იგი ამ ადამიანის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა.

— ბენცონ! — წამოიძახა საოცრად შეშინებულმა მთავარმა, — ბენცონ, დღეს პირდაპირ ვეღარა გცნობთ! სულმთლად ამერია გონება! განა თქვენივე სურვილით არ მოვიშორეთ თავიდან ის სახიფათო ქალი, რომ მაესტროს მისი შემწეობით ფარდა არ აეხადა ჩვენი ურთიერთობისათვის? განა თავად არ მოიწონეთ უსტარი, სადაც ჰერცოგს ვატყობინებდი, ქვეყანაში კარგა ხანია აიკრძალა ჯადოქრობა, ამიტომ მიზანშეწონილი არ არის, ჩვენ გარშემო ავიტანოთ ის ტიპები, რომლებიც ამ საქმიანობით არიან დაკავებული და უსაფრთხოების მიზნით საჭიროა მათი დროებით დაპატიმრება-მეთქი? განა მხოლოდ და მხოლოდ მაესტრო აბრაჰამისადმი სიბრალული არ გახლდათ იმის მიზეზი, რომ იღუმალი კიარა საჯაროდ არ დასაჯეს? სწორედ ამიტომ შეიპყრეს ყოველგვარი აურზაურის გარეშე და გაასახლეს. სად გადაკარგეს, ამის თაობაზე არაფერი ვიცი, რადგან ამ ამბით შემდგომში აღარ დაუინტერესებულვარ. აბა, მითხარით, რა შეიძლება მისაყვედუროს კაცმა?

— მოწყალეო ხელმწიფე, — უპასუხა მთავარს ქალბატონმა ბენცონმა, — გთხოვთ, მომიტევოთ კადნიერება, მაგრამ შეიძლება იმისათვის გისაყვედუროთ კაცმა, რომ თქვენი საქციელი, სულ ცოტა, ნაჩქარევი გახლდათ. მაშ, იცოდეთ, მოწყალეო ხელმწიფე, მაესტრო



აბრაჰამმა შეიტყო, რომ კიარა თქვენი ბრძანებით გააქრეს. ვერაფერს იტყვი: იგი ჩუმადაა, გულითადიც კი ჩანს, მაგრამ ნუთუ ფიქრობთ, რომ გული ბოლმითა და სიძულვილით არა აქვს საესე და არა სწყურია, ჯავრი იყაროს მასზე, ვინც მას ამქვეყნად უძვირფასესი არსება წაართვა? აი, ასეთ ადამიანს გინდათ ენდოთ და სული და გული გადაუშალოთ?

— ბენცონ, — თქვა მთავარმა და შუბლიდან ოფლის მსხვილი წვეთები მოიწმინდა, — ბენცონ! უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენმა სიტყვებმა საოცრად, დიახ, დიახ, ენით აუწერლად აღმაშფოთა! ღმერთო დიდებულო! განა მთავარს შეშვენის, ასე დაკარგოს *contenance*?<sup>1</sup> დალახვროს ეშმაკმა! ღმერთო ჩემო, რაიმე უწმაწური ხომ არ წამომცდა ამ სუფრასთან! ბენცონ! რატომ ადრევე არ მითხარით ეს ამბავი? მაშ, ყველაფერი იცისო, არა? პრინცესის აუღმყოფობით ისე ვიყავ გულმოკლული, მაესტროს იქ, მეთევზის ქოხში ვესტუმრე და მთელი ჩემი ხვაშიადი გავუმხილე. ეს რა საშინელება დამემართა, ბენცონ! ანჯელაზე ყველაფერი მოუყევი, ყველაფერი გაგანდე. *J'etais un*<sup>2</sup> სახედარი! *Voilà toit*.<sup>3</sup>

— იმან, იმან კი რა გითხრათ? — დაძაბული ხმით ჰკითხა ბენცონმა.

— თუ მეხსიერება არ მღალატობს, — განაგრძო მთავარმა, — მაესტრო აბრაჰამმა თაუდაპირველად ჩვენს ძველ *attachement*<sup>4</sup>-ზე ჩამოაგდო სიტყვა, მითხრა, რა ბედნიერი მამა შეგეძლოთ ყოფილიყავით, ახლა კი რა უბედური ბრძანდებითო. ასე იყო თუ ისე, როდესაც ჩემი აღსარება დაუასრულე, მაესტრომ ღიმილით მომიგო: უყველაფერი უკვე კარგა ხანია ვიცი, ანჯელას ადგილსამყოფელი, ალბათ, მალე გაირკვევა, მაშინ კი ბევრ საიდუმლოს აქდება ფარდა და ბევრი სიცრუეც გამომჟღავნდებაო.

— ეს ყველაფერი მაესტრომ გითხრათ? — იკითხა ტუჩებაკანკალებულმა ბენცონმა.

— *Sur mon honneur*,<sup>5</sup> — მიუგო მთავარმა, — მისი საკუთარი

<sup>1</sup> წონასწორობა (ფრანგ.).

<sup>2</sup> მე ვიყავ (ფრანგ.).

<sup>3</sup> მორჩა და გათაუდა (ფრანგ.).

<sup>4</sup> სიყვარულზე (ფრანგ.).

<sup>5</sup> პატიოსნებას გეფიცებით (ფრანგ.).

სიტყვებია! დალახვროს ეშმაკმა! მომიტყუეთ, ბენცონ, მაგრამ ძალზე განრისხებული ვარ. ვაითუ, მოხუცმა სამაგიეროს გადახდა მომინდომოს? ბენცონ, que faire?<sup>1</sup>

მთავარი და ქალბატონი ბენცონი უხმოდ მისჩერებოდნენ ერთმანეთს.

— თქვენო ბრწყინვალეებო! — ჩურჩულით მოახსენა მსახურმა და მთავარს ჩაი მიართვა.

— Bête!<sup>2</sup> — წამოიძახა მთავარმა, სწრაფად წამოხტა და მსახურს ხელიდან ფინჯნიანი ლანგარი გააგდებინა. ბანქოს მოთამაშეები შეძრწუნებული წამოიშალნენ. თამაში დამთავრდა; მთავარმა თავს ძალა დაატანა და გაიღიმა, მერე შეშინებულ საზოგადოებას თავაზიანი „Adieu“ ესროლა და მეუღლესთან ერთად თავის პალატებს მიაშურა. სახტად დარჩენილ დამსწრეთა სახეზე აშკარად ამოიკითხავდით „ღმერთო ჩემო, რაშია საქმე, ნეტავ რა მოხდა? მთავარს ბანქო არ უთამაშია, ნაცვლად ამისა, ქალბატონ ბენცონს გაცხარებით უხსნიდა რაღაცას, მერე კი ასე საშინლად განრისხდაო“.

ქალბატონ ბენცონს კი, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა, სცოდნოდა, ამასობაში რა ამბები ხდებოდა მის საკუთარ სახლში, პირდაპირ სასახლის გვერდით რომ იდგა. ფეხიც კი არ ჰქონდა ოთახში შედგმული, რომ მას გაოგნებული იულია გამოეგება და... დიახ, ჩვენი ბიოგრაფი ძალზე კმაყოფილია, რომ ამჯერად საშუალება ეძლევა ძვირფას მკითხველებს წვრილად მოუყვეს, რაც იულიას შემთხვა, იმ დროს, როცა დანარჩენები სასახლეში ჩაის სმით იყვნენ გართული. ყოველ შემთხვევაში, იგი შეძლებს, ყველაფერი გაცილებით კარგად მოგახსენოთ, ვიდრე ამას აქამდე ახერხებდა საშინლად ჩახლართული და ბუნდოვანი ამბების გადმოცემისას.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ იულიას შინ ადრე წასვლის ნება დართეს. გოგონას სახლისაკენ მიმავალ გზას მონადირეთუხუცესი უნათებდა ჩირაღდნით. სასახლეს რამდენიმე ნაბიჯით გასცდნენ თუ არა, მონადირეთუხუცესი ანაზღად შედგა და ჩირაღდანი ზეჟით ასწია.

— რა იყო? — ჰკითხა იულიამ.

— ეჰე, — გაბმით თქვა მონადირეთუხუცესმა, — შეამჩნიეთ, ელაცამ პირდაპირ ჩვენ წინ, აი, იქ, ბუჩქებში რომ გაიშლიგინა? არც

<sup>1</sup> რაღა ექნა (ფრანგ.).

<sup>2</sup> პირუტყუო (ფრანგ.).



კი ვიცი, რა შეიძლება იფიქროს კაცმა; აი, უკვე რამდენიმე საღამოა, ამ ადგილებში ვიღაც დაძრწის, თან ისე გულდაგულ ეძალეობა ყველას, აშკარად ეტყობა, კეთილი ზრახვები არ უნდა ჰქონდეს. ათასნაირი მახე დაუუგეთ, რომ როგორმე ხელში მოგვეგდო, მაგრამ ამოდ, ისე მოულოდნელად გაძვრება ხოლმე თვალსა და ხელს შუა, როგორც მოჩვენება ან ბოროტი რამ სული.

იულიას პაუილიონის ფანჯარაში დანახული მოჩვენება გაახსენდა და შიშისაგან აკანკალდა.

— აჰ, სასწრაფოდ, სასწრაფოდ გაეშორდეთ აქაურობას! — შესძახა მან, მაგრამ მონადირეთუხუცესმა სიცილით განუცხადა: კეთილო გოგონაჲ, არაფერმა შეგაშინოთ. ვიდრე მოჩვენება თქვენამდე მოაღწევდეს, ჩემთან ექნება საქმე. გარდა ამისა, ჩვენს არუმარუხე შემჩნეული ეს უცნაური არსება განა ყველა მოკვდავით ძვალრბილის ნადულს არ წარმოადგენს? ჰოდა, ეტყობა, დიდი ლაჩარი ვინმეა, რადგან დღის სინათლისა სიკვდილოვით ეშინია. ვერა ხედავთ, კურდღელივით მხდალიაო?

იულიამ მოახლე გაუშვა, რადგან ნანეტა დღეს თავის ტკივილსა და უგუნებობას უჩიოდა და საღამური სამოსი თავად ჩაიცვა. ახლა, როდესაც თავის ოთახში მარტო დარჩა, მის გონებაში მთელი სიციხადით ამოტოვტოვდა ჰედვიგას სიტყვები. მართალია, იულია პრინცესის ნალაპარაკებს მისი აუადმყოფური აღგზნების შედეგად მიიჩნევდა, მაინც ეჭვგარეშე იყო, რომ ასეთი წარმოსახვის გამოწვევა მხოლოდ და მხოლოდ რაღაც ფსიქიკურ მიზეზს ძალუძდა. ამგვარ ჩახლართულ ამბებში უმწიკვლო, სულით სპეტაკი ქალიშვილები იშვიათად თუ არჩევენ ხოლმე, სად არის ტყუილი და სად მართალი. სწორედ ასე დაემართა იულიასაც. როდესაც გონებაში აღადგინა ყველაფერი, ისღა გაიფიქრა, ჰედვიგა უჩვეულო ვნებით არის შეპყრობილი, და ეს ვნება თავად ისე ცოცხლად წარმოიდგინა, თითქოს მის საკუთარ სულში ყოფილიყოს ჩაბუდებული. იულიას აზრით, სწორედ პრინცი იყო ის ადამიანი, ვის ტრფობასაც მთელი არსებით მოეცვა პრინცესა. და აი, ახლა, — დაასკვნა მან, — უფალმა უწყის, რატომ, ჰედვიგა გიჟურ ეჭვს შეუპყრია, თითქოს პრინცს ვიღაც სხვა უყვარდეს; ეს აზრი მას მოჩვენებასავით თან დასდევს და ტანჯავს და სწორედ ამის გამო არის ასე საშინლად აღელვებული და აფორიაქებული.

„ოჰ, — თქვა იულიამ თავისთვის, — ჩემო კუთილო, საყვარელო პედვიგა! აი, ნახავ, პრინცი პექტორი როგორც კი დაბრუნდება, მყისვე დარწმუნდება, რომ შენი მეგობრისგან არავითარი საფრთხე არ გელის!“

მაგრამ იულიამ ეს სიტყვები თქვა თუ არა, გონებაში გაუელვა აზრმა, რომ პრინცს მართლა უყვარს იგი. იულია შეაძრწუნა ამ აზრის ცხოველმყოფელმა ძალამ და ენით აუწერული შიში იგრძნო. თუ ის ყველაფერი, რაც პრინცესამ თქვა, მართალია, მაშინ იგი დასაღუპაუად ყოფილა განწირული. გოგონას კვლავ გაახსენდა ის უცნაური, შემზარავი შთაბეჭდილება, პრინცის მხერამ, და საერთოდ, მთელმა მისმა არსებამ რომ გამოიწვია იულიაში და კვლავ ის ნაცნობი შიშის გრძნობა დაეუფლა. მას თვალწინ დაუდგა, როგორ გადახვია პრინცმა მხარზე ხელი იქ, ხიდზე, და დაპურება დაუწყო გედს. რა უწყინრად უგდებდა მაშინ ყურს მის მიკიბულ-მოკიბულ ლაპარაკს, რომელსაც გოგონასათვის ახლა ღრმა მნიშვნელობა მიეცა. იულიამ ის დაწყველილი სიზმარიც გაიხსენა, ვიღაცამ რკინის ჭანგებოვით რომ შემოხვია მკლავები და ეს მკლავები პრინცისა გამოდგა; მერე ის იყო, გამოედვიდა და ბაღში კრალსლერი შენიშნა, ისეთი თავისიანი და სულით ახლობელი, რომ გაიფიქრა, ეს ადამიანი უთუოდ დამიცავს პრინცისაგანო.

— არა! — წამოიძახა იულიამ, — არა და არა! ეს არ არის ასე, არ შეიძლება ასე იყოს, ეს წარმოუდგენელია! მე უბედურს, თავად ჯოჯოხეთის ბინადარი ბოროტი სული მოვსებს ეჭვებით გულს! არა, იგი ვერასდობებით ვერ მოიპოვებს ძალაუფლებას ჩემზე!

იულია ისევ და ისევ ფიქრობდა პრინცზე და, როდესაც ის სახიფათო წუთები გაახსენდა, მისი მგრძნობიარე სულის იდუმალ კუნჭულებში რაღაც უჩვეულო გრძნობამ გაიღვიძა, რომელიც, ეტყობოდა, ამაზრზენი უნდა ყოფილიყო მისთვის. კაცი მაშინვე მიხვდებოდა, რომ ამ გრძნობით გამოწვეულმა სირცხვილმა შეუფაკლა გოგონას ღაწვები და თვალებიც ცრემლებით აუვსო. ბედი მშვენიერი, ღვთისმოსავი იულიასი, რომ იგი საკმაოდ ძლიერი იყო, ძალუძდა განედევნა ბოროტი სული და არ მიეცა უფლება, მის არსებაში დამკვიდრებულიყო.

აქ საჭიროება მოითხოვს, კვლავ გავიმეოროთ, რომ პრინცი პექტორი ენით აუწერული სილამაზის მამაკაცი გახლდათ; ამავე დროს



საოცრად თავზიანიც იყო, არაჩვეულებრივად ფლობდა ხელოვნებას, თავი მოეწონებინა ქალებისათვის, ამას კი მშვენიერი სქესის ღრმა ცოდნა ედო საფუძვლად, რაც თავისი ბედნიერი თავგადასავლებით მდიდარ ცხოვრებაში შეეძინა. ამიტომაც, ბუნებრივია, სწორედ ახალგაზრდა, უმწიკვლო გოგონას შეაშინებდა მისი არწივისებური შხერის, მთელი მისი არსების არაჩვეულებრივი ძლიერება.

— ო, იოჰანეს! — თქვა იულიამ ნაზად, — ო, ჩემო კეთილო, ჩემო ძვირფასო ადამიანო! ნუთუ არ შეასრულებ მოცემულ პირობას და არ დამიფარავ ბოროტებისაგან? ნუთუ არ მანუგეშებ, არ გამაგონებ იმ ციურ ხმებს, ძლიერ ექოდ რომ ხმიანობენ ჩემს გულში?

იულიამ ფორტეპიანოს თავი ახადა და კრაისლერის საყვარული ნაწარმოებების დაკვრა და სიმღერა დაიწყო. მალე გოგონა მართლაც დამშვიდდა და გამხიარულდა, სიმღერამ სხვა სამყაროში გადაიყვანა. იულიასთვის აღარ არსებობდა აღარც პრინცი და თავად ჰედვიგაც კი, რომლის ჯადმყოფურმა ზმანებებმა აგრერიგად გაუფუჭა გუნება-განწყობა.

— ახლა ერთი ჩემი საყვარული კანცონეტაც ვიმღერო! — თქვა იულიამ და „Mi lagnero tacendo“<sup>1</sup> წამოიწყო. ამ სიმღერის სიტყვები ბევრ კომპოზიტორს გადაეტანა მუსიკაზე, მაგრამ მასში გამოხატული მგზნებარე სიყვარულის ტკბილი კაემანი კრაისლეროვით ვერავის ფერძნო. მისი უბრალო და გულში ჩამწვდომი ჰანგები მთელი ძალით იპყრობდა ყველას, ვისაც კი მგრძნობიარე სული გააჩნდა.

იულიამ სიმღერა დაამთავრა. მერე მთლიანად კრაისლერზე ფიქრით შეპყრობილმა, მოწყვეტით აიღო რამდენიმე აკორდი, რომელთა ხმაც თითქოს იულიას განცდების ექოდ გაისმა ოთახში. ანაზდად კარი გაიღო, იულიამ თავი შემოატრიალა, მაგრამ ვიდრე სკამიდან წამოხტომას მოასწრებდა, პრინცი ჰექტორი უკვე მის ფერხთით დაეცა და ხელებში სწვდა. უეცარი შიშით შეპყრობილმა იულიამ დაიყვირა. პრინცი ჰექტორი ღვთისმშობელსა და ყველაწმინდას აფიცებდა, დამშვიდებულიყო, ევედრებოდა, ორიოდე წუთით მაგრძნობინე ციური ნეტარება და ნება მომეც, დაუტკბე შენი სმენითა და ცქერითო. პრინცი ისე ლაპარაკობდა, როგორც მხოლოდ ვნებით გაშმაგებულ კაცს ძალუძს ლაპარაკი: არწმუნებდა იულიას, მხო-

<sup>1</sup> „ჩუბად მოუთქვამ“ (იტალ.).

ლოდ შენ მიყვარხარ, ჰედვიგასთან ქორწინებაზე ფიქრიც კი მზარავს, მასთან შეუღლება ჩემთვის სიკვდილის დარია და სწორედ ამიტომ გადაუწყვიტე გაქცევაო. მაგრამ ვნებამ კვლავ ისეთი ძალით შემიპყრო, იძულებული გაუხდი, უკან დაებრუნებულიყავი; იულია, მხოლოდ შენი დანახვა მქნადა, მინდოდა მეთქვა, რომ ეს საოცარი სიყვარული ჩემთან ერთად მოკვდება, რომ შენა ხარ ჩემი ცხოვრების მიზანიაო.

— მომშორდით! — სრულიად უიმედოდ წამოიძახა შეძრწუნებულმა იულიამ, — მომშორდით აქედან! ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ვუთქვენი საქციელი სიკვდილს მიახლოებს!

— არასოდეს! — წამოიძახა პრინცმა და სიყვარულით გაშმაგებული იულიას ხელს დაეკონა, — არასოდეს! ჩემთვის ყოფნა-არყოფნის წამი დადგა. იულია, ჩემო ანგელოზო! ნუთუ ხელსა ჰკრავ ასე გაწირავ ადამიანს, რომელიც შენში ხედავს თავისი ცხოვრების აზრსა და ბედნიერებას? იულია, ვიცი, რომ გიყვარვარ! ო, ერთხელ მაინც მასმინე ეს სიტყვები და ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნება ამ ქვეყანაზე.

ესა თქვა თუ არა, პრინცმა ხელი მოხვია შიშისა და ძრწოლისაგან თითქმის გონებაშიხდილ იულიას და შმაგად მიიკრა მკერდზე.

— ვაი, მე უბედური! ნუთუ არავინ გამოჩნდება მშველელი! — წამოიძახა სულშეგუბებულმა იულიამ.

სწორედ ამ დროს ფანჯრები ჩირალდნებით განათდა და კართან ხმები გაისმა. მხურვალე კოცნამ ტუჩები დასწვა იულიას. პრინცი გაქრა.

როგორც უკვე მოგახსენეთ, იულია სავსებით გაოგნებული შეეგება დედას და ყველაფერი უამბო, რაც თავს გადახდა. ქალბატონი ბენცონი შეშინებული უსმენდა შვილს, მერე კი შეეცადა, დაემშვიდებინა საბრალო. არწმუნებდა, აი, ნახავ, პრინცს სამარცხვინოდ გამოკათრევი საიდუმლო საფრიდან, რადგან, როგორც ეტყობა, სადღაც აქ უნდა იმალებოდესო.

— ო, დედა, გემუდარები, ნუ იზამ ამას! — თქვა იულიამ, — ეს ყველაფერი მთავარმა ან ჰედვიგამ რომ შეიტყონ, უთუოდ დავიღუპები... — იგი ქვითინით მოეხვია დედას და სახე მის მკერდში ჩარგო.

— მართალი ხარ, ჩემო საყვარულო, კუთილო შვილიკო, — მიუგო ქალბატონმა ბენცონმა, — ჯერჯერობით კაციშვილმა არ უნდა



იცოდეს, რომ პრინცი აქ იმალება და შენ გდევნის, ჩემო კარგო, ჩემო სათნო იულია! შეთქმულნი იძულებულნი იქნებიან, ჯერჯერობით ჩუმად იყვნენ. დიახ, დიახ, ეჭვგარეშეა, პრინცს მოკავშირეები ჰყავს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ შეძლებდა ზიგჰარტსვაილერში შეუმჩნეველად დარჩენას და ჩვენთან შემოპარვას. საოცარია, პირდაპირ, ისე ჩუმად როგორ გამოვიდა ჩვენი სახლიდან, რომ ვერც მე შევნიშნე და ვერც ფრიდრიხმა; იგი ხომ გზას მინათებდა! ბებერ გეორგს რატომღაც საეჭვოდ ღრმა ძილისთვის მიუცია თავი. კი, მაგრამ, ნანი, ნანი სადღაა?

— ჩემდა საუბედუროდ, — წაილულლულა იულიამ, — ნანი შეუძლოდ გრძნობდა თავს და იძულებული ვიყავი, დამეთხოვა.

— დამაცადოს, როგორმე შევძლებ მის განკურნებას, — თქვა ქალბატონმა მრჩეველმა და მეზობელი ოთახის კარი შეაღო. იქ, სრულიად ჩაცმული იდგა „აუადმყოფი“ ნანი. მას აშკარად ყური ჰქონდა კარზე მიღებული და დედა-შვილის საუბარს ისმენდა. ახლა იგი შეშინებული და შეძრწუნებული ჩაუვარდა ფეხქვეშ ქალბატონ ბენცონს.

ორიოდე შეკითხვა საკმარისი აღმოჩნდა, და ქალბატონმა მრჩეველმა ყველაფერი შეიტყო: თურმე პრინცს, მოხუცი კასტელანის დახმარებით, რომელსაც სასახლეში ყველა ერთგულ კაცად იცნობდა...

(მ. ა. ა.) ...ეს რა ისმინა ჩემმა ყურებმა! თურმე მუციუსს, ჩემს ერთგულ მეგობარსა და ძმადნაფიცს, უკანა თათზე ჭრილობა გამიზეზებია და სული განუტევებია. ამ თავზარდამცემმა ამბავმა ერთიანად შემძრა. მხოლოდ ახლავა მივხვდი, რა იყო ჩემთვის მუციუსი. პუფმა მაცნობა, რომ პანაშვიდი ხვალ საღამოს შედგებოდა ჩემი პატრონის სახლის სარდაფში, სადაც უკვე გადმოესვენებინათ მუციუსის ცხედარი. მეც შევპირდი, არამცთუ მოვალე დათქმულ დროზე, საჭმელ-სასმლის საკითხსაც მოვავარებ, რომ ჩვენს ძველ, კეთილშობილურ ადათ-წესებს არ ვუღალატოთ და მიცვალებულს შესაფერისი პატივი ვცეთ-მეთქი. მართლაც, ძალ-ღონე არ დამიშურებია და მთელი დღე ვეზიდებოდი სარდაფში თევზის ნარჩენებს, ქათმის ძვლებსა და ბოსტნეულის მარაგს.

ცნობისმოყვარე მკითხველი, ალბათ, მოისურვებს შეიტყოს, რო-

გორ მოვახერხე სარდაფში სასმელების ჩატანა. ჰოდა, მოვახსენებთ ამ საქმეში ძალზე მომეხმარა ერთი კუთილი მოსამსახურე გოგო, ისე, რომ, თავად მე დიდი ჯაფა არ დამდგომია. ამ გოგოს ხშირად ეხვდებოდი სარდაფში. გარდა ამისა, დროდადრო საშხარულოშიც ვწვევოდი ხოლმე, რადგანაც აშკარად ვატყობდი, კუთილად იყო განწყობილი ჩემი მოდგმის წარმომადგენლების მიმართ, მე კი ისე შევუყვარდი, შევხვდებოდით თუ არა ერთმანეთს, მაშინვე მხიარულად ვიწყებდით თამაშს. კუთილი გოგო ხშირად ნაირ-ნაირი საჭმლით მიმასპინძლდებოდა. უნდა გამოგიტყდეთ, მისი საჭმელი ვერ იყო ჩვენს საშხარულოში დამზადებული კერძებით გემრიელი, მაგრამ ზრდილობის გამო თავს ისე ვიჭერდი, ვითომ აღფრთოვანებული ვიყავი. ასე და ამრიგად, სრულიად მოვინადირე იმ გოგოს გული და ისიც სწორედ იმას აკეთებდა, რასაც, კაცმა რომ თქვას, მე თვითონ ვუმიზნებდი ხოლმე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გოგოს მუხლებზე ვახტებოდი, ის კი ისე საამურად მითათუნებდა ხელს თავსა და ყურებზე, სიამოვნებისა და ნეტარებისაგან პირდაპირ ვდნებოდი. მალე ძალზე მივეჩვიე ამ ხელს, რომელიც როგორც იტყვიან, „შაბათობით სახლსა ჰგვის ცოცხით, კვირა დღეს კი სხვაზე უკეთ გვატკობს“.<sup>1</sup> ჰოდა, ამ გულკუთილ არსებას სწორედ იმ დროს მივეახლე, როცა სარდაფიდან ქოთნით გემრიელი რძე ამოჰქონდა. მეც, რა თქმა უნდა, ძალ-ღონე არ დამიშურებია, მეგრძნობინებინა მისთვის, ძალიან მაღლიერი ვიქნები, თუ ამ რძეს დამიტოვებ-მეთქი.

— სულელო მურ, — სახელით მომმართა გოგომ, რადგან არა მარტო მან და ჩვენი სახლის ბინადრებმა იცოდნენ ჩემი ვინაობა, არამედ ახლომახლო სახლებშიც მიცნობდა ყველა, — როგორც გეტყობა, რძეს მარტო შენთვის არ უნდა მთხოვდე, ალბათ, გინდა მეგობრებსაც გაუმასპინძლდე, არა? კუთილი, რაც არის, არის, ეს რძე შენთვის მიჩუქნია, ჩემო ნაცარავ, მე კი ხელახლა გაგავსებ ქოთანს ზევით ასატანად, — გოგომ რძიანი ქოთანი მიწაზე დადგა და ზურგზე ხელი მომითათუნა. მთელი ჩემი სიხარული და მაღლიერება იმით გამოვხატე, რომ მიწაზე ნარნარად დავიწყე ბზრიალი და კოტრიალი, მერე კი კიბეს ავუყვვი და ზევით ავედი. ჭაბუკო კატავ! გახსოვდეს, რომ ალერსიანი მზარეული გოგოს ნაცნობობა, მასთან

<sup>1</sup> „ვინც შაბათობით სახლსა ჰგვის ცოცხით, კვირა დღეს სხვაზე უკეთ დაგვატკობს“ — ციტატა გოეთეს „ფაუსტიდან“, ნაწილი I, სურათი „ქალაქის კარიბჭესთან“.



გულითადი მეგობრობა არა მარტო სასიამოვნოა ჩვენი მოღვაწის ყმაწვილკაცისათვის, არამედ სასარგებლოც.

შუალამისას სარდაფში ჩავედი. ო, რა საშინელი, გულისმომკვლელი სანახაობა გადამეშალა თვალწინ! ძვირფასი და საყვარელი მეგობრის ცხედარი კატაფალკზე ესვენა; ჭირისუფლებს გაეთვალისწინებინათ განსვენებულის თავმდაბლობა და ზედ ბლუჯა თოვა დაეყარათ მხოლოდ. კატათა მთელი საკრებულო უკვე ადგილზე გახლდათ აღარავის ძალუძდა კრინტის დაძვრა. ამიტომაც ურთიერთს უხმოდ ჩამოვართვით თათი და თვალცრემლიანები ცხედარს გარშემო შემოვუსხედით უეცრად სამგლოვიარო სიმღერამ შეშხარავად გაიხმიანა სარდაფის თაღებქვეშ. ეს გახლდათ საშინელი, შემაძრწუნებელი გლოვის ზარი, რომლის მსგავსი, ალბათ, არავის სმენია, — ადამიანის ყანყრატოს არ ძალუძს გამოსცეს მსგავსი ხმები.

სიმღერის დამთავრების შემდეგ იქ დამსწრეთ გამოვეყო მოხდენილი, შავ-თეთრ სამოსელში გამოწყობილი ჭაბუკი, თავთან დაუდგა განსვენებულს და წარმოთქვა ქვემოთ მოყვანილი სამგლოვიარო სიტყვა. მოგვიანებით, ეტყობა, მას ეს სიტყვა ქალაქზე გადაუტანია და ხელნაწერის სახით გადმომცა; მაშინ კი, იმ აღტყინების წუთებში, ჭაბუკმა იგი წაუბორძიკებლად, მუნასიბად თქვა.

**პოეზიისა და მჭევრმეტყველების კანდიდატის,  
კატა ჰინცმანის სამგლოვიარო სიტყვა,  
წარმოთქმული უდროოდ დაღუპული მეგობრის,  
ფილოსოფიისა და ისტორიის მეცნიერებათა  
კანდიდატის კატა მუციუსის საფლავზე**

*ჭმუნვის უამს შეკრებილო ძვირფასო ძმებო!  
გულადო, დიდბუნებოვანო ბურშებო!*

რა არის კატა! მოგეხსენებათ, როგორც ყველა და ყოველი ამქვეყნად, ისიც სიკვდილის შვილია! თუკი ცნობილი ექიმებისა და ფიზიოლოგების აზრს ვირწმუნებთ, რომ სიკვდილი ყველა სულდგმულის ხვედრი გახლავთ, და ძირითადად სუნთქვის სრულ შეწყვეტაში მდგომარეობს, ო, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი ალაღ-მართალი, გულითადი ძმა და მეგობარი, ჩვენი გულშემატკივარი ჭირსა და ლხინ-

ში, ჩვენი ერთგული მუციუსი, ჭეშმარიტად მკვდარია. შეხედეთ! აი, იქ, ცოცხალ თვალებზე თათებგაშოტილი წვეს ჩვენი კუთილშობილი რაინდი! სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობა მის სამარადისოდ დადუმებულ ბაგეებს. თვალებში სინათლე ჩაჰქრობია, ხან ნაზი სიყვარულის მომწვანო-მოოქროსფრო ათინათად, ხან კი სიძულვილის გამანადგურებელ ცეცხლის ენებად რომ კიაფობდა ხოლმე. სიკვდილის ფერი დასდებია სახეზე; უმწეოდ ჩამოუყრია ყურები, კუდიც უსიცოცხლოდ ჩამოუარდნია. ო, ძმაო მუციუს, ვაი, რომ შენებურად ვეღარ შეჰკრაუ ცაში კამარას! სად გაქრა შენი ხალისიანი გუნება-განწყობა, შენი წკრიალა, მხიარული „მიაუ“<sup>1</sup>, შენი სიმამაცე, შემართება, ჭკუა-გონება თუ მოსწრებული სიტყვა-პასუხი? ყოველივე, ყოველივე წარიტაცა მუხთაღმა სიკვდილმა! ახლა კი თავადაც აღარ უწყი, არსებობდი კი საერთოდ ოდესმე? შენ ხომ ჯან-ღონისა და ძალის განსახიერება იყავ და არ იცოდი, თუ რას ნიშნავს ტკივილით გამოწვეული ტანჯვა! ასე გვეგონა, მარადიული სიცოცხლე გქონდა! შენი შინაგანი მექანიზმის არც ერთი ჭანჭიკი არ ყოფილა დაზიანებული. მიქელ-გაბრიელმა ვერ მოასწრო, შენთვის სიკვდილის ცელი მოექნია, რამეთუ მექანიზმი თავისით გაჩერდა და შემდგომ უკვე შეუძლებელი გახდა მისი ამუშავება! მტრული საწყისი ძალადობით შემოიჭრა შენს სხეულში და მუხანათურად მოსპო ის, რასაც ჯერ კიდევ დიდხანს ეწერა აყვავებული და გაფურჩქნილი ყოფილიყო. დიახ, ჯერ კიდევ არაერთხელ აგიციმციმდებოდა ეგ თვალები, მაგ ბაგეთაგან, მაგ გაყინული მკერდიდან ამოხეთქილ არაერთ მახვილ სიტყვასა და მხიარულ სიმღერას გავიგონებდით კიდევ, არაერთხელ დაგრაგნიდი მაგ კუდს, პატრონის სულიერ საჭარმაგეს რომ გვამცნობდა; ეგ ღონიერი თათები არაერთხელ დაგვიმტკიცებდნენ თავის ძლიერებას, არაერთხელ გვიჩვენებდნენ გაბედული ნახტომების ნატიფ ხელოვნებას. ო, როგორ გაიმეტა დედაბუნებამ, ასე ერთი ხელის მოსმით, უდროოდ გაენადგურებინა ესოდენ მძიმე შრომით შექმნილი და დიდი ხნის არსებობისათვის გამიზნული საკუთარი ქმნილება? ან იქნებ მართლა არსებობს შემთხვევად წოდებული ბოროტი სული?! იგი დესპოტური,

<sup>1</sup> „სად გაქრა შენი ხალისიანი გუნება-განწყობა, შენი წკრიალა, მხიარული „მიაუ“ — პაროდია ჰამლეტის მონოლოგზე იორიკის თავის ქალასთან: „სად არის ახლა შენი მხიარულება, შენი სიცელქე? შენი სიმღერა? ნაპერწყლები შენი ოხუნჯობისა, რაც ყველა მონადიმეთ აცინებდა, ახარხარებდა? (შექსპირი, „ჰამლეტი“. მოქმედება 5, სურათი I).



დაუდგარი აღვირა ხსნილობით სობს და ანადგურებს ბუნების მარადიული საწყისების ძამოდრეკებელ რიტმულ რხევებს, რაც, როგორც ეტყობა, ყოველგვარი არსებობის ჭეშმარიტ საფუძველს უნდა შეადგენდეს. ო, განსვენებულს რომ შექედლოს მოახსენოს ამის თაობაზე აქ დამსწრე დამწუხრებულ, მაგრამ საღ-საღამათ საზოგადოებას! მაგრამ, ჩემო ძვირფასო, მამაცო თანამოძმენო! მოდი, ნუ მოუპოტინებით მაღალფარდოვან მსჯელობებს და მთლიანად მოეცეთ ჩვენს უდროოდ დაკარგულ მეგობარზე დარდსა და გლოვას!

საყოველთაოდ მიღებული გახლავით, რომ სამგლოვიარო სიტყვის წარმოთქმისას დამსწრე საზოგადოებას დაწვრილებით აცნობენ განსვენებულის ცხოვრებას; ამ დროს მისი მისამართით ქება-დიდებასა და სხვადასხვა შენიშვნასაც ჩაურთავენ ხოლმე; ეს მშვენიერი ადათ-წესი გახლავით, რამეთუ იგი დამგლოვიარებულ მსმენელში მოწყენილობასა და ზიზღს აღძრავს. ხოლო ცნობილი ფსიქოლოგების თქმით, დარდისა და ნაღველის გასაფანტავად არ არსებობს მოწყენილობაზე უებარი წამალი. ამრიგად, სამგლოვიარო სიტყვის წარმოთქმისას კაცი ორ საქმეს აკეთებს ერთდროულად: თან განსვენებულს მოიხსენიებს ქება-დიდებით, თანაც ნუგეშსა სცემს მისი სიკედილით გულმოკლულ ადამიანებს. ამის მრავალი მაგალითი მოიძებნება, და არც არის გასაკვირი, რომ დარდით ყველაზე გულმოკლული ჭირისუფლებიც კი შინ კმაყოფილი და მხიარული ბრუნდებიან. მათ სიხარულს საზღვარი არა აქვს, რამეთუ თავი დააღწიეს სამგლოვიარო სიტყვით გამოწვეულ ტანჯვა-წამებას, და ამიტომაც ისე მტკივნეულად აღარ განიცდიან ახლობელი ადამიანის დაკარგვას. აქ შეკრებილო ძვირფასო ძმებო! რომ იცოდეთ, რა სიამოვნებით აღვასრულებდი ჩვენს ნაქებ ადათ-წესს, რა სიხარულით გაგაცნობდით ჩვენი აწ განსვენებული ძმისა და მეგობრის წარსულ ცხოვრებას. ო, ჩემო დამწუხრებულო თანამოძმენო! დარწმუნებული ვარ, მაშინ მაგ ჭმუნვას მხიარულებით შეგიცვლიდით, მაგრამ ეს შეუძლებელია, დიახ, ჭეშმარიტად შეუძლებელი. ყური მიგდეთ, ჩემო ძვირფასო, საყვარელო ძმებო! საქმე ის არის, რომ თითქმის არავითარი ცნობები არ მოგვეპოუება განსვენებულის დაბადების, აღზრდისა თუ შეძგომი ცხოვრების შესახებ. რასაკვირველია, შემედლო ნაირ-ნაირი ზღაპარი შემეთხზა, მაგრამ ეს ხომ მკრებელობა იქნებოდა როგორც თვით მიცვალებულის, ასევე აქ მყოფი საზვიამო საკრებულოს მიმართაც. ნუ განმსჯით, ძმანო ჩემნო! თავს

აღარ შეგაწყენთ გრძელი, მოსაწყენი ლაქლაქით და ორიოდ სიტყვით მხოლოდ იმასლა მოგახსენებთ, თუ რა საკვალად დასრულდა ამ უბედურის ცხოვრების გზა. ახლა იგი უმოძრაოდ გამოტილა ჩვენ წინ; თუმცა, ალბათ, გახსოვთ, რა პატიოსანი და გამრჯე ყმაწვილი გახლდათ სიცოცხლეში! მაგრამ, ღმერთო დიდებულო, ვგონებ, სრულიად დაუარღვიე მჭურმეჭყველების წესები და კანონები, მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერების კანდიდატი გახლავართ და, თუ განგებაც ინებებს, იმედია, მალე *professor poeseos et eloquentiae*<sup>1</sup> გახდები.

(პინცმანი დადუმდა, მერე მარჯვენა თათი ცხვირ-პირზე, ყურებსა და წვერზე ჩამოისვა; კარგა ხანს ასე გაოგნებული დასცქეროდა მეგობრის ცხედარს. ბოლოს ჩაახველა, თათი ღრუნჩხე გაისვ-გამოისვა და ომახიანად განაგრძო.)

ო, მუხთალო ბედო, ო, დაუნდობელო სიკვდილო! ჩვენს ძვირფას მეგობარს სწორედ გაფურჩქნის ხანაში რატომ მოუსვი ასე დაუნდობლად შენი მახვილი ხელი? ძმანო ჩემნო, მოგეხსენებათ, ენამჭერი კაცის წესია, ჯიქურ გაუმეოროს თავის მსმენელებს ცნობილი ჭეშმარიტება. ამიტომ ახლა მინდა იმის თაობაზე მოგახსენოთ, რაც ყველა თქვენგანისთვის კარგად არის ცნობილი, სახელდობრ კი აი, რა: ჩვენი აწ განსვენებული მეგობარი ფილისტერი ფინიების გააფთრებული მძულვარების მსხვერპლი გახდა. იქ, იმ სახლის სახურავზე, სადაც ადრე ვეძლეოდით დროსტარებას და ჩვენ გარშემო ყოველთვის სიმშვიდე და მხიარულება სუფევდა, საიდანაც ეფინებოდა არუმარუს ჩვენი წკრიალა სიმღერები, გადაუხვევდით ერთმანეთს თათებს, მკერდს მკერდზე გადაუჭდობდით და უერთმანეთობა ვერ წარმოგვედგინა, სწორედ იმ სახურავზე ნდომებია თურმე ასვლა უბედურს, რომ მამასახლის პუფთან ერთად მისცემოდა მოგონებას აწ გარდასულ სვებედნიერ დროზე; ეს ხომ ჭეშმარიტად არანხუესის წარმტაცი და განუმეორებელი დღეები გახლდათ! მაგრამ, მოგეხსენ-

<sup>1</sup> პოეზიისა და მჭურმეჭყველების პროფესორი (ლათ).  
<sup>2</sup> „ეს ხომ ჭეშმარიტად არანხუესის წარმტაცი და განუმეორებელი დღეები გახლდათ!“ — იგულისხმება მეფის მოძღვრის, დომინგოს სიტყვები შილერის დრამიდან „დონ კარლოსი“: „აი, დამთავრდა სიხარულით სავსე დღეები არანხუესში“ (შილერი, „დონ კარლოსი“, მოქმედება I, გამოსვლა I).



ნებათ, ფილისტერი ფინიები ძალ-ღონეს არ იშურებენ ჩვენი ყოველ-  
გვარი თავყრილობის დასარბევად. და აი, ახლაც, სარდაფის ბნელ  
კუნჭულებში ხათვანგები დაუდგამთ სწორედ ჩვენი მტრის დაგებულ  
ერთ-ერთ მახეში გაება საცოდური მუციუსი, უკანა თათი დაიზიანა  
და სიკვდილს თავი ვეღარ დააღწია! ო, რა მტკივნეულ და სახიფათო  
ჭრილობებს გვაყენებენ ფილისტერები, რამეთუ ყოველთვის ბლაგვ-  
სა და დაკბილულ იარაღს იყენებენ ხოლმე ჩვენს წინააღმდეგ. მაგ-  
რამ, მოგეხსენებათ, რა მაგარი და ჯანიანი ბიჭი გახლდათ ჩვენი აწ  
განსვენებული მეგობარი, ამიტომაც შეუძლო აღვილად მოეშუშებინა  
მძიმე და სახიფათო ჭრილობები და ფეხზე წამომდგარიყო. მაგრამ,  
ო, რა ძნელია თურმე ფინიებთან ბრძოლაში დამარცხებულად ცნო  
კაცმა თავი, მაშინ როცა დიდების მწვერვალზე დგახარ! რა ძნელი  
ყოფილა, როცა არ გასვენებს იმაზე ფიქრი, რომ თავს ლაფი და-  
გასხეს, — ეს კი, მეგობრობო, ყველა ჩვენგანს გამოუცდია. აი, ამ  
საშინელ დარდს ვერ გაუძლო ჩვენმა მეგობარმა და აკი მოესწრაფა  
კიდევაც სიცოცხლე! საბრალოს უარი განუცხადებია ყოველგვარ  
გადახვევებსა და წამლებზე და როგორც ამბობენ, სიკვდილს ხელ-  
გაშლილი შეჰკებებია!

(პინცმანის ამ სიტყვებმა ყველას ისე აგვიჩუყა გული და ისეთი  
საწყალობელი კნავილი და ჩხავილი ატეხეთ, ჩვენი მოთქმა-ვაება  
კლდესაც კი გააღლოდა. ცოტა ხნის მერე დაუმშვიდდით და კვლავ  
მოსასმენად მოვეშხადეთ პინცმანმაც მგზნებარედ განაგრძო).

— ო, მუციუს, მოგვაპყარი შხერა შენს მეგობრობს! ნუთუ ვერ ხე-  
დავ, რა ცხარე ცრემლებით დაეტირით შენს ცხედარს, ნუთუ არ გეს-  
მის ჩვენი უიმედო გოდება? დიახ! ოღონდ ერთხელ მაინც შეგკავლე  
თვალი და როგორც გენებოს: გინდა ზემოდან გადმოგვხედე, გინდა  
ქვემოდან მოგვაპყარ შხერა; დაე, სული შენი ჩვენ შორის დაფარფა-  
ტებდეს აწ და მარადის, თუკი იგი ამუამად გაგაჩნია, თუკი იგი კვლავ  
ბატონობს შენს არსებაზე და სადმე სხვაგან არ დაშშთარა ამაოდ!  
ძმანო ჩვენნო, როგორც უკვე მოგახსენეთ, შევეცდები, ენას კბილი  
დაუაჭირო და გვერდი აუუარო აწ განსვენებულის ცხოვრებას, რამე-

<sup>1</sup> „და როგორც ამბობენ, სიკვდილს გულხელგაშლილი შეჰკებებია!“ — ციტატა  
შილერის დრამატული პოეზიიდან „კალენშტაინის სიკვდილი“ (მოქმედება 4, ხურათი 10).

თუ არაფერი ვიცი მის შესახებ. სამაგიეროდ, მეხსიერებამ ცოცხლად შემოინახა მისი შესანიშნავი თვისებები. ამიტომაც, უსაყვარლესო ძმებო, სწორედ მისი ეს თვისებები მინდა გაჯახოთ პირდაპირ დრუნჩში, რომ მთელი ძალით იგრძნოთ, რა დიდი დანაკლისი იყო ჩვენთვის ამ საოცარი კატის სიკვდილი! ო, ჭაბუკო კატებო! ვიცი, გადაწყვეტილი გაქვთ, არასოდეს გადაუხვიოთ სიკეთისა და სიქველის გზიდან! მაშ, ყური მიგდეთ! მუციუსი კატათა საზოგადოების ღირსეული წევრი გახლდათ! ეს კი, მოგეხსენებათ, რჩეულთა ხვედრია მხოლოდ. და განა მარტო ეს! იგი ამავე დროს იყო კეთილი და ერთგული მეუღლე, შესანიშნავი, მოსიყვარულე მამა, სამართლიანობისათვის მგზნებარე მებრძოლი და დღენიადაგ სიმართლის დამცველი, დაუცხრომელი ქველმოქმედი, ღუხჭირთა იმედი და ნუგეში, გაჭირვებული კაცის საიმედო მეგობარი.

მოგახსენეთ, ჩვენი ძვირფასი მეგობარი კატათა საზოგადოების ღირსეული წევრი გახლდათ-მეთქი. დიახ, ასეა! რამეთუ ყოველთვის ყურადსაღებ აზრებს გამოთქვამდა, ყოველ წუთს ძხად იყო, მსხვერპლიც კი გაელო, თუკი დაინახავდა, რომ მისი ყველა ნება-სურვილი სიტყვის შეუბრუნებლად სრულდებოდა. მუციუსი მხოლოდ იმათ მტრობდა, ვინც მის ნებას ეურჩებოდა და კრიჭაში ედგა. კეთილი და ერთგული მეუღლე იყო-მეთქი, გითხარით მასზე. დიახ! ესეც სრული ჭეშმარიტებაა, რამეთუ სხვა კატებს მხოლოდ იმ შემთხვევაში აედევნებოდა, თუ დაინახავდა, რომ ისინი მის მეუღლეზე უფრო ლამაზები და ახალგაზრდანი იყვნენ, და მაშინ, თუ ვნების დაოკებას ვეღარ მოახერხებდა ხოლმე. შესანიშნავი და მოსიყვარულე მამა იყო-მეთქი, ესეც ვთქვი! დიახ! რამეთუ ჩვენი მოდგმის ბევრი სხვა უსულგულო მამებოვით შიმშილის წუთებში არასოდეს მოსვლია თავში აზრად, საკუთარი პირში შეეხრამუნებინა. პირიქით, განსვენებული ძალზე კმაყოფილი რჩებოდა, როცა დედას თან მიჰყავდა პატარები და ამიერიდან ჩვენს ძვირფას მუციუსს მათი ბედობალი აღარ ეკითხებოდა. მოგახსენეთ, სიმართლისა და სამართლიანობის მგზნებარე დამცველი გახლდათ ჩვენი მეგობარი-მეთქი! სრული ჭეშმარიტებაა! იგი სამართლიანობისა და სიმართლისათვის თავს არ დაიშურებდა, მაგრამ ამავე დროს მშვენიერად ესმოდა, რომ სიცოცხლე კაცს მხოლოდ ერთხელ ეძლევა და ამიტომაც მაინცდამაინც არ იტკივებდა თავს ამგვარ ამბებზე ფიქრით. რა თქმა



უნდა, მეგობრობო, ამაში მისი დადანაშაულება არ შეიძლება. აქვე აღვნიშნე, ჭეშმარიტი ქველმოქმედი და დუხჭირთა ნამდვილი იმედი იყო-მეთქი ჩვენი ძვირფასი მუციუსი. დიახ! ესეც სრული სიმართლე გახლავთ! საბრალოს ჩვეულებად ჰქონდა, ახალი წლის დამდევს საცოდავი, დამშეული ძმაკაცებისთვის ეზოში ქაშაყის კუდისა და ქათმის წვრილ-წვრილი ძვლების გამოტანა: მოგეხსენებათ, მუციუსი კატათა მოდგმის ღირსეული მეგობარი იყო და ცდილობდა, კუთილი საქმით მოეხადა მათ წინაშე თავისი ვალი. იმ გაუბედურებულ შშიერ-მწყურვალ კატებს კი, რომლებიც ცდილობდნენ კიდევ რაიმე დაეცინცლათ მისთვის, მოუბრუნდებოდა და სამართლიანად დაუტატანებდა ხოლმე. ჩვენი მუციუსი გაჭირვების ტალკვესი იყო-მეთქი, ვგონებ, მოგახსენეთ, არა? დიახ! თუკი თავად რამე გაუჭირდებოდა, არასოდეს ჰკრავდა ხელს იმ მეგობრობს, რომლებიც, ჩვეულებრივ, მიტოვებული და მივიწყებული ჰყავდა.

აწ ჩვენგან წასულო, ძვირფასო ძმაო! აბა, რა გითხრა შენს მაცობაზე, იმ მაღალ, ნათელ გრძნობებზე, მშვენიერისა და კუთილ-შობილისაკენ სწრაფვის საწინდარი რომ იყო შენთვის; აბა, რისი თქმა შემიძლია შენს განსწავლულობაზე, მაგ შენს ნატიფ, მხატვრულ გემოვნებასა და ათას სხვა სიკეთეზე; შენში ეს ყველაფერი ხომ საოცრად იყო ერთმანეთთან შეხამებული?! აბა, მითხარ, განა შემიძლია ვილაპარაკო ახლა შენს დიდებულ პიროვნებაზე ისე, რომ არ გაგვიძლიერდეს სამართლიანი წუხილი შენი ამ ქვეყნიდან წასვლის გამო? ჩემო მეგობრობო! ჩემო დამგლოვიარებულო ძმებო! თქვენს არაორაზროვან მოძრაობებზე მოხვდი, რომ ჩემდა გასაკვირად, თურმე შემძლება თქვენი შეძვრა. მაშ, ასე, დამწუხრებულო ძმებო! მოდი, აწ განსვენებულ მუციუსს მივბაძოთ ყველაფერში და მოყვეთ მის ღირსეულ ნაკვალევს! მოდი, შვეცადოთ, ვიყოთ მასავით უნაკლო, და მაშინ, ალბათ, განსვენებული მეგობრის მსგავსად, სიკვდილში ჩვენც ვპოვებთ იმ სიმშვიდესა და მოსვენებას, რაც ჭეშმარიტად ბრძენსა და ყველა სიკეთით შემკულ კატას ეკადრება.

ო, ერთი შეხედეთ, როგორ მიყუჩებულა ჩვენი ძვირფასი მეგობარი, რა მშვიდია და უშფოთველი მისი ძილი; თათის განძრევაც კი არ ძალუძს საბრალოს. რა უძლურია ჩემი ხოტბა-დიდება, გამოიწვიოს მასში ოდნავი კმაყოფილების ღიმილიც კი! მაგრამ, მჭმუნვარე ძმებო, შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ახლა მწარე გაკიცხვა და ბო-

როტი, შეურაცხყოფელი ლანძღვა-გინებაც ვეღარ დაარღვევდა აწ განსვენებული მეგობრის მარადიულ ძილს. მოგეხსენებათ, როგორ ვერ იტანდა ჩვენი მუციუსი ფილისტერ ფინიებს: ყოველთვის მზად იყო, თვალები ამოეკორტნა მათთვის. თქვენ წარმოიდგინეთ, ახლა მისი ეს დაუძინებელი მტერიც რომ მობრძანდეს და მის ცხედართან დადგეს, მისი დანახვა ოდნავადაც არ განარისხებს ჩვენს მეგობარს და ვერ დაურღვევს საუკუნო მოსვენებას. დიახ, ჩვენი საოცარი მეგობარი ყველა ამქვეყნიურ ამაოებაზე მაღლა დგას ახლა: მისთვის სულერთია ხოტბა-დიდებაცა და ლანძღვა-გინებაც, ქიშპობაცა და მტრობაც, დაცინვაცა და აუგიც. მისი მეგობრები ვეღარ ველირსებით ვერც მის კუთილ ღიმილს, ვერც მის ამბორსა და თათის ვაჟკაცურ ჩამორთმევას, სამაგიეროდ, მტერსაც ვეღარ გაჰკრავს ბასრ კბილებსა და ბრჭყალებს. თავისი სიკუთისა და სათნოების წყალობით საბრალლო მუციუსმა სიკვდილში პოვა სულის სიმშვიდე, ამაოდ რომ ელტვოდა სიცოცხლეში. მაგრამ, ჩემის აზრით, ყველა ჩვენგანი, ვინც კი აქ ძვირფასი მეგობრის დასატირებლად მოსულა, შეძლებს ისე იცხოვროს მშვიდად და უშფოთველად, რომ არ მიჰბადოს განსვენებულს და არ შეეცადოს, მასავით სიკუთისა და სიქველის განსახიერება იყოს. ვფიქრობ, კაცს სხვა მიზან-მისწრაფებებიც აქვს, რისი წყალობითაც შეუძლია საკუთარი თავის სრულყოფა. სწორედ ამიტომაც მგონია, სასუფეველზე ოცნება ამქვეყნად ერთადერთი სწრაფვა არ უნდა იყოს-მეთქი ჩვენთვის. მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდი გახლავთ და წინადადება შემომმაქვს, იგი ჩვენი შემდგომი სჯა-ბაასის საგნად გავიხადოთ.

ეს-ეს არის, თქმას ვაპირებდი, ეცადეთ, მთელი თქვენი სიცოცხლე იმის შესწავლას შეაღიოთ, თუ როგორ შეიძლება კაცმა ჩვენი ძვირფასი მუციუსით ლამაზად განუტევოს სული-მეთქი, მაგრამ უმჯობესი იქნება, თუ გავჩუმდები და არაფერს ვიტყვი, რადგან ამასთან დაკავშირებით, ალბათ, ყველანი შემომედავებით. სახელდობრ, შეგიძლიათ მითხრათ, ურიგო არ იქნებოდა, თუ ჩვენი აწ განსვენებული მეგობარიც გამოიჩენდა სიფრთხილეს და მოერიდებოდა ხაფანგებს, რომ უდროოდ არ გამოსთხოვებოდა წუთისოფელსო. მაგონდება ერთი ჩვენი მოდგმის ოსტატი თავის შვეირდ ციცუნებებს როგორ ასწავლიდა: კატამ მთელი თავისი შვენებული ცხოვრება იმაზე ზრუნვას უნდა შეაღიოს, რომ ღირსეულად ისწავლოს



სიკვდილით. ამაზე ერთმა გუნდმა შეჰირდმა თავხედურად უპასუხა თავის ოსტატს: „მაგას რა სწავლა უნდა, ეგ სულაც არ უნდა იყოს ძნელი, რადგან ეს საქმე ყველას პირველსავე ცდაზე გამოსდისო!“ ახლა კი, მოდი, მწუხარე ჭაბუკნო, მცირე ხნის დუმილით პატოვი ვცუთ განსვენებულის ხსოვნას!

(პინცმანი გაჩუმდა და კვლავ ჩამოისვა თათი ყურებსა და დრუნჩზე, მერე თვალები მაგრად დახუჭა და, ეტყობა, ღრმა ფიქრებს მიეცა. ბოლოს და ბოლოს, როდესაც ამ ამბავმა კარგა ხანს გასტანა, მამასახლისმა პუფმა პინცმანს თათი წაჰკრა და ჰკითხა: „ჰა, ხომ არ დაგეძინა? იქნებ გეშველოს და როგორმე ჩაათავო ეგ შენი სამგლოვიარო სიტყვა, ვერა ხედავ, შიმშილისაგან ლამის სული გაგეძვრეს სუყველასო!“ პინცმანი წამოდგა, კვლავ სიტყვის სათქმელად მოეშადა და განაგრძო:)

— ძვირფასო ძმებო! იმედი მქონდა, იქნებ ერთი-ორი ამაღლებული აზრი მომივიდეს თავში და ბრწყინვალედ დაგამთავრო ჩემი საზეიმო სიტყვა-მეთქი, მაგრამ ამაოდ, ტვინი არ მიმუშაუვებს; ვგონებ, ამ დიდმა მწუხარებამ გამომათავანა, მე კი ისე სასოებით ვცდილობდი ჩემი დარდის გამოხატვას! ამიტომ ნება მომეცით, დაგამთავრო სიტყვა. იმედია, ჩემს გამოსვლაზე აუგს ვერ იტყვიან, და, პირიქით, ერთხმად მომიწონებთ კიდევ. ახლა კი, მოდი, ჩვენი წესის თანახმად „De“ ანუ „Ex profundis“<sup>1</sup> შევასრულოთ.

ასე დაასრულა ამ თავაზიანმა ჭაბუკმა თავისი სამგლოვიარო სიტყვა. მიუხედავად იმისა, რომ მჭევრმეტყველების თვალსაზრისით მისი გამოსვლა გამართული და შთამბეჭდავი მეჩვენა, მასში ბევრი რამ მაინც ზედმეტად ჩავთვალე. ღმერთო, შეგცოდე და, ასე მგონია, პინცმანი უფრო თავისი ენამჭევრობის გამოძხეურებას ცდილობდა და დიდად არ იყო დაინტერესებული, საბრალო მუციუსისათვის სათანადო პატოვი მიეზლო მისი ესოდენ სამწუხარო აღსასრულის გამო. მისი სამგლოვიარო სიტყვიდან სრულიად არაფერი ესადაგებოდა მუციუსს; ამ თავმდაბალი, უეშმაკო, კუთილი და ერთგული

<sup>1</sup> უფსკრულიდან (ლათ).

კატის პატიოსნებასა და გულწრფელობაში ხომ არაერთხელ დაუ-  
რწმუნებულვარ! გარდა ამისა, ჰინცმანის ხოტბა-დიდება საკმაოდ  
ორაზროვანი გახლდათ და კაცმა რომ თქვას, სამგლოვიარო სიტყვა  
მისი წარმოთქმის შემდეგ სწორედ ამის გამო არ მომეწონა; თორემ  
მანამდე, ვიდრე ჰინცმანი ენამჭვერობდა, მომისყიდა ამ სიტყვის სი-  
ნატიფემ და ნიჭიერი ჭაბუკის მგზნებარე გამოსვლამ. ეტყობოდა,  
მამასახლისი პუფიც იმავე აზრისა გახლდათ. მზერაში, ერთმანეთს  
რომ ვესროლეთ, აშკარად გამოუხატეთ ჩვენი ერთსულოვანი აზრი  
ჰინცმანის სიტყვის გამო.

როგორც წესი მოითხოვდა, გამოსათხოვარი სიტყვის დამთავ-  
რების შემდეგ „De profundis“ წამოვიწყეთ და თქვენ წარმოიდგი-  
ნეთ, იგი უფრო მწუხარედ და გულის გამგძირავად ჟღერდა, ვიდრე  
გამოსათხოვარი სიტყვის წინ შესრულებული შემზარავი გლოვის  
სიმღერა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენი მოდგმის მომღერ-  
ლებს უზადოდ ძალუძთ სიმღერით ღრმა მწუხარებისა და უნუგეშო  
დარდის გამოხატვა, იქნება ეს ვაი-ვიში მგზნებარე ან შეგინებულ  
სიყვარულზე თუ ძვირფასი კუდის დაკარგვით გამოწვეული გლო-  
ვის მოძახილი. თვით ისეთი გულცივი და უგრძნობი არსებაც კი,  
როგორიც ადამიანია, ღრმად შეძრწუნდება ხოლმე ჩვენი სიმღე-  
რის გაგონებაზე და ცდილობს აფორიაქებული გული ლაზათიანი  
ლანძღვა-გინებით მოიოხოს. „De profundis“-ის დამთავრებისთანავე  
მიცვალებული კატის ცხედარი ავწიეთ და ღრმა სამარეში ჩავუშვით,  
სარდაფის კუთხეში რომ იყო გაჭრილი.

მაგრამ სწორედ იმ წუთში ძალზე მოულოდნელი და ამაღელვე-  
ბელი ამბავი მოხდა: ღია სამარესთან სამმა პირმშვენიერმა კატამ  
მიირბინა და შიგ კარტოფილის ბოლქვებსა და ოხრახუშის ძირებს  
დაუწყო ჩაყრა, მეოთხე კი, მათ შორის ყველაზე უფროსი რომ ჩანდა,  
ამ ღროს უბრალოდ, მაგრამ, გულის ამარყებლად მოჰყვა სიმღე-  
რას. ჰანგი რალაც ნაცნობად მომეჩვენა. თუ არ ვცდები, ეს სიმღერა  
შემდეგი სიტყვებით იწყებოდა: „ნაძვის ხეო, ნაძვის ხეო!“ და ა.შ.  
მამასახლისმა პუფმა ყურში წამჩურჩულა, ეს მუციუსის ქალიშვი-  
ლები არიან, და, ასე ცდილობენ თავიანთი მამილოსათვის აღაპის  
გადახდასო.

თვალს ვერ ვაშორებდი მომღერალ ციციუნას; მართლაც რომ  
მშვენიერი სანახავი გახლდათ მისმა ტკბილმა ხმამ, სამგლოვია-



რო სიმღერის გულის ამაჩუყებელმა, ღრმად მგრძნობიარე ჰანგებმა ერთიანად შემძრა. ცრემლების შეკალება ველარ შევძელი, მაგრამ ამ სიმღერით გამოწვეული კაემანი ძალზე უჩვეულო და თავისებური გახლდათ, რამეთუ საოცარი შვება და სიამე მომგვარა.

გულახდილად გეტყვით, მშვენიერმა ციციუნამ უმაღლ დაიპყრო ჩემი გული. ასე მეგონა, არასოდეს მინახავს ასეთი ნარნარი მიხრამოხრა და ასეთი მომხიბლავი მზერა, ჩემს სიცოცლესში არ შემხვედრია ასეთი ენით აუწერელი სილამაზე-მეთქი.

ოთხმა ზორბა კატამ ბრჭყალებით მოფხოჭვნა რაც შეიძლება ბევრი მიწა და ქვიშა და ვაი-ვაგლახით ამოავსო სამარე. მიცვალებული მიწას მოვაბარეთ თუ არა, სუფრას მივუსხედით. მუციუსის მშვენიერმა, ტანკენარმა ქალიშვილებმა წასვლა დააპირეს, მაგრამ ჩვენ არ დაუანებეთ, ისინიც იძულებული გახდნენ თავიანთი მამილოს სულის მოსახსენიებელ პურისჭამაში მონაწილეობა მიეღოთ: მეც დიდი მარიფათი გამოვიჩინე, მუციუსის ტურფა ასული სუფრასთან დაუსვი და თავადაც გვერდით მივუჯექი. სულ ცოტა ხნის წინ თუ მისმა სიმშვენიერემ დამაბრძოლა და სირინოზის ხმამ მომაჯადოვა, ახლა გოგონას ნათელმა გონებამ, გულწრფელობამ, გრძნობათა სიფაქიზემ, კდემამოსილებამ და ქალურობამ დამატყვევა. ტურფა ასული ტოროლასავით ჟღურტულედა და მისი ტკბილი, ნაზი საუბარი თილისმასავით მოქმედებდა ჩემზე. ერთი სიტყვით, ბედნიერებისაგან მეცხრე ცაზე ვიყავ. მერე ის იყო, მშვენიერმა ფისუნამ გული გადამიშალა და საოცარი გრძნობით მომიყვა, ძვირფასი მამიკოს გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე როგორ მაღიანად მიირთვა რძის ფაფა. მეც ჩაუურთე, ჩემი პატრონის სახლში ფაფებს შესანიშნავად ამზადებენ და თან კარაქსაც ბლომად უმატებენ-მეთქი. კეკლუცმა ფისუნამ სპეტაკი, ზურმუხტის სხოვით გაციისკროვნებული გულუბრყვილო მზერა მტყორცნა, მერე კი ისეთი ხმით მკითხა: „ო, ნუთუ მართლა, ბატონო ჩემო, ნუთუ თქვენც გიყვართ რძის ფაფა კარაქითო?“, რომ გულმა კვნესა დამიწყო. ჩემი გულის ვარდი ასე შეიღი, რვა თვის თუ იქნებოდა, ხოლო, მოგეხსენებათ, ამ ასაკში ათქვირებულ ქალიშვილს არაფერი ალამაზებს ისე, როგორც ოდნავ მეოცნებე მზერა. დიახ, ეს მზერა უმაღლ დააყრვეინებს ხოლმე კაცს ფარ-ხმალს. ალბათ, სწორედ ეს გახლდათ მიზეზი იმისა, რომ ტრფობით აღგზნებულმა მხურვალედ მოუუჭირე პაწიას თათზე თათი და წამოვიძახე:

— ანგელოზების მოდგმისაუ! დამდე პატოვი და საუზმეზე მქწვიე. რძის ფაფით გაგიმასპინძლდები. იცოდე, ჩემზე ბედნიერი კაციშვილი არ იქნება ამქვეყნად!

ლამაზმანი თითქოს შეცბაო, სახეშეფაკლულმა მორცხვად დახარა წამწამები, მაგრამ თათის წართმევა არ უცდია და ამან იმედის ხსოვი ჩამისახა გულში. ერთხელ ჩემს პატრონს ვილაც ხანში შესული სტუმარი ქწვია, მგონი, ვუქილი უნდა ყოფილიყო; პოდა, იმის ხიტყვები გამახსენდა: ნორჩი ქალიშვილისთვის ძალზე სახიფათოა მამაკაცის ხელში ხელის დიდხანს დატოვება. ადვილი შესაძლებელია, ამ უკანასკნელმა იფიქროს, რომ ეს *traditio brevi manu*<sup>1</sup> გახლავთ და ისეთი მოთხოვნები წამოუყენოს, რომელთა უსაფუძვლობაში შემდგომ მისი დარწმუნება დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. პირადად მეც დამებადა მსგავსი სურვილი და დაუპირე კიდევ ლამაზმანისთვის ჩემი უფლებების წამოყენება, მაგრამ სწორედ ამ დროს განსვენებულის შესანდობარი სადღეგრძელო წამოიწყეს და ჩვენც შევწყვიტეთ საუბარი.

ამასობაში მუციუსის სამმა ნორჩმა ქალიშვილმა დამსწრე მამაკაცთა საყოველთაო აღტაცება გამოიწვია თავიანთი გიჟმაჟი დაუდგრობითა და მომხიბლავი მიაძიებობით ნუგბარ საჭმელებსა და ხასმელს თითქმის უკვე გაენელებინა სამგლოვიარო განწყობილება და თანამეინახეებსაც სულ უფრო და უფრო მოსძალებოდათ მხიარულება. ყველანი ოხუნჯობდნენ. ჩვენი მამასახლისი პუფი საერთოდ მკაცრი და მომთხოვნი კაცი იყო, მაგრამ ახლა თავად შემოგვთავაზა, მოდი, ცოტა წავიცეკვოთო. თვალის დახამხამების უმაღლ მოასუფთავეს საცეკვაო ადგილი. სამმა მომღერალმა კატამ უმაღლ შეუწყო ერთმანეთს ხმა, მუციუსის ქალიშვილებს კი კვლავ აღეძრათ უდარდელი ცხოვრების მადა და ჭაბუკ მოცეკვავეებთან ერთად მხიარულ ფერხულში ჩაებნენ.

ერთი წუთითაც არ მოეშორებოვარ გვერდიდან ჩემი გულის ვარდს; მერე საცეკვაოდაც გავიწვიე. მან თათი გამომიწოდა და ჩვენც მოცეკვავეთა რიგებს შევუერთდით მშვენიერი ფისუნიას სუნთქვა ლოყაზე მელამუნებოდა, მისი მკერდი მჭიდროდ ეხებოდა ჩემს მთართოლარე მკერდს და გონებაშიხდილს თათებში ვნებით მეპყრა მისი მშვენიერი სხეული! ო, ნეტარო, ღვთაებრივო წამებო!

<sup>1</sup> შუთავაზება ცერემონიის გარეშე (ლათ).



ორჯერ თუ სამჯერ ცეკვა-ცეკვით შემოუარეთ სარდაფს. მერე ჩემი ლამაზმანი კუთხეში გავიხმე და როგორც წესი მოითხოვდა, ყველა იმ გამაგრილებელი სასმლით გაუმასპინძლდი, რაც კი სარდაფში მოგვეძვეებოდა. მოგეხსენებათ, ჩვენი ეს თავყრილობა სულაც არ იყო გამიზნული ცეკვებისათვის. აი, ამის მერე კი მოვეცი გასაქანი ჩემს გრძნობებს. დროდადრო ლამაზმანის თათი ტურჩებთან მიმქონდა და ვეფიცებოდი, ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნება ამქვეყნად, თუ ოდნავ მაინც მოწყალე თვალთ გადმომხედავ-მეთქი.

— უბედურო! — მომესმა ანაზღად ზურგს უკან ხმა, — უბედურო! ვის უპირებ ნამუსის შებღალვას? ეს ხომ შენი ღვიძლი შვილია, შენი მინა!

კანკალმა ამიტანა, რადგან ხმაზე მყის ვიცანი, მისმისი უნდა ყოფილიყო!

რა შზაკვრულად მიგებდა მახეს მუხთალი ბედი! ის-ის იყო, გავიფიქრე, რა კარგია, მისმისი მთლიანად ამოვიღე გულიდან-მეთქი, და საშინელი ამბავი ესმა ჩემს ყურებს: თურმე საკუთარ ქალიშვილს დაუნთია ტრფობის ცეცხლი ჩემს გულში. ეჰ, მე უბედურს, ამის გაფიქრებაც კი არ შემეძლო! მისმისი მთლიანად ძაძებში იყო გახვეული. ცოტა არ იყოს, დავიბენი და აღარ ვიცოდი, რა მეფიქრა.

— მისმის, — ვკითხე ნაზად, — რამ მოგიყვანათ აქ? რატომ გაცვიათ შავები? ო, ღმერთო დიდებულო! ნუთუ ეს გოგონები მართლა მინას დები არიან?

აი, მაშინ კი საკმაოდ უჩვეულო აღსარება მოვისმინე: ალბათ, გახსოვთ, ჩემი რაინდული შემართების წყალობით როგორ გავასწორე მიწასთან საძულველი მეტოქე — ჭრულა კატა. ჰოდა, ამ ორთაბრძოლის შემდეგ მას ჭრილობები მოშუშებია თუ არა, უმაღლ მიუტოვებია მისმისი და უგზო-უკვლოდ გადაკარგულა. მაშინ მუციუსს უთხოვია ქალისთვის ხელი და ისიც სიამოვნებით დათანხმებულა. ის ამბავი, რომ მუციუსს ამის შესახებ ჩემთან კრინტი არ დაუძრავს, ერთხელ კიდევ მიუთითებდა მის დიდბუნებოვნებასა და გულისხმიერებაზე. მაშ, ასე, ის მხიარული, მიამიტი ფისუნიები მინას ნახევარდები გამოდგნენ!

— ო, მურ! — ნაზად წამოიძახა მისმისმა აღსარების შემდეგ, — ო, მურ! მოზღვავებულმა გრძნობებმა შეგიყვანათ შეცდომაში და ვეღარ გაარკვიეთ, რამ აგიძგერათ ასე ძალუმაღ გული. დიახ, მინას

დანახვამ შმაგი ვნებიანობა კი არა, უნაზესი მამობრივი სიყვარული აღგიძრათ! ჩვენი მინა! ო, როგორ ელამუნება ყურს ეს სიტყვები! მურ! ნუთუ შეიძლება გულგრილი დარჩეთ ამ სახელის გაგონებაზე? ნუთუ მაგ გულში მთლიანად ჩაქრა სიყვარულის ცეცხლი არსებისადმი, ვისაც ასეთი თავდავიწყებით უყვარდით და დღესაც უყვარხართ?! ოჰ, ღმერთო ჩემო! იგი ხომ კუბოს ფიცრამდე თქვენი ერთგული დარჩებოდა, რომ არა ის მაცდური კატა, რომელმაც თქვენი სატრფო თავისი დახვეწილი სატრფიალო ხელოვნებით მოხიბლა? ო, უნებისყოფობაჲ, კატა უნდა გერქვას შენ! ვიცი, ვიცი, რომ ასე ფიქრობთ ახლა, მაგრამ კარგი ვაჟკაცის მაღალი ზნეობა სწორედ იმაში არ იჩენს ხოლმე თავს, რომ შეუნდოს სუსტ დიაცს?! მურ! მშვენივრად ხედავთ, როგორ გამტეხა წელში, როგორი მჭმუნვარებით აღმივსო გული მესამე მეუღლის დაკარგვამ; მაგრამ ამ უსასობის ჟამს კვლავ ვგრძნობ, ნელ-ნელა როგორ ღვივდება ჩემში ძველი ტრფობის ნაპერწკალი! განა წარსულში სწორედ ეს ტრფობა არ შეადგენდა ჩემს ბედნიერებას, ჩემს სიამაყესა და ჩემი ცხოვრების მიზანს?! მურ, ისმინეთ ჩემი აღსარება: ისევ და ისევ მიყვარხართ და, რატომღაც მგონია, კვლავ დავიწერდი-მეთქი ჯვა... — საბრალოს ცრემლებმა წაუჭირეს ყელში.

ძალიან მტანჯველი იყო ჩემთვის ყოველივე ამის მოსმენა. მინა შორიახლოს იჯდა ფერმკრთალი და მშვენიერი. იგი პირველ თოვლს მაგონებდა, გვიან შემოდგომაზე უკანასკნელ ყვავილებს რომ დაუვლის ხოლმე ამბორით, მერე კი მღვრიე ნაკადად გადაქცეული, მიწაში გაუჩინარდება.

**(გამოცემლის შენიშვნა: მურ! მურ! ისევ და ისევ გინდა თვალი აგვიხვიო, არა? „პეტერ შლეშილის საოცარ თავგადასავალში“<sup>1</sup> ნაწარმოების გმირიც ხომ ზუსტად ამ სიტყვებით მიმართავს თავის სატრფოს და მასაც ხომ მინა ჰქვია!)**

უხმოდ ვათვალიერებდი დედა-შვილს და, რა დასამალია, რომ ქალიშვილი გაცილებით მომწონდა. მოგეხსენებათ, ჩვენს მოდგმაში ახლო ნათესაებს შორის ქორწინება კანონით არ იკრძალება...

<sup>1</sup> „პეტერ შლეშილის საოცარი თავგადასავალი“ (1814) — გერმანელი მწერლის, ადელბერტ ფონ შამისოს რომანტიკული მოთხრობა.



ეტყობა, შხერამ გამცა, რადგან მისმისმა გულთმისანივით ამოიკითხა ჩემი სანუკვარი ფიქრები.

— მტარვალო! ვისი ნამუსის შებღაჟლა ჩაგიდვია გულში, ჰა? — წამოიძახა მისმისმა, მერე სწრაფად გადახტა მინასკენ, თათი მოხვია და მხურვალედ ჩაიკრა გულში, — როგორ? ნუთუ გინდა, შეურაცხყო ჩემი მოსიყვარულე გული და ერთ ბოროტებას მეორეც ზედ დაურთო?

მაინცდამაინც კარგად ვერ გავრკვეულიყავი, რა საყვედურის თქმა შეუძლო ჩემთვის მისმისს, ან ასეთი რა ბოროტმოქმედება მაწვა ზურგზე, მაგრამ გადაუწყვიტე, უმჯობესი იქნება, თუ უდავინდარაბოდ გავეცლები აქაურობას-მეთქი. არავითარი სურვილი არ მქონდა, წამემწარებინა მხიარული განწყობილება, ყველას რომ დაუფლებოდა ქელეხის შემდეგ. ამიტომაც გააჟებულ მისმისს შევლადადე, ჩემო მარად მშვენიერო, შენი და მინას საოცარმა მსგავსებამ შემეყვანა შეცდომაში და კვლავ გამიღვიძა ის დიდი გრძნობა, ასეთი სასოებით ისევ და ისევ შენთვის რომ ვინახავდი-მეთქი. მისმისმა მყისვე შეიშშრალა ცრემლები, გვერდით მომიჯდა და ისეთი გულითადი საუბარი გამიბა, ვითომ ჩვენ შორის არასოდეს არაფერი მომხდარიყოს. ამას ისიც დაერთო ზედ, რომ ჭაბუკმა ჰინცმანმა საცეკვაოდ გაიწვია მშვენიერი მინა. ალბათ, წარმოიდგენთ, რა არასასიამოვნო, მტანჯველ მდგომარეობაში ვიქნებოდი.

ჩემდა საბედნიეროდ, მამასახლისმა პუფმა დასკვნით ცეკვაზე მიიწვია მისმისი, თორემ უფალმა უწყის, კიდევ რამდენი გიჟური აზრის მოსმენა მომიხდებოდა მისგან. ჩუმ-ჩუმად ამოვიპარე სარდაფიდან და გავიფიქრე, ნეტავ რას მიპირებს მომავალი? თუმცა, მაგასაც მალე დავინახავთ-მეთქი, აღდგომა და ხვალეო.

ეს ქელეხი ჩემთვის ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ, რამეთუ ამ დღეს დამთავრდა შეგირდობის თვეები და დაიწყო ჩემი ცხოვრების სრულიად ახალი ხანა.

(სამაკ. თაბ.) ...დილაადრიან მოახსენეს, აბატი სასწრაფოდ თავისთან გიბარებსო. კრაისლერი სწორედ იმ დროს ეახლა წმინდა მამას, როცა იგი ცულითა და სატეხით ხელში უზარმაზარ ყუთს ხსნიდა. ყუთს მოყვანილობაზე ეტყობოდა, შიგ რალაც დიდი სურათი უნდა ყოფილიყო.

— ო! — შეაგება აბატმა ოთახში შემოსულ კრაისლერს, — კარგია, რომ მოხვედით, კაპელმაისტერ! ამ რთულ საქმეში თქვენი დახმარება მჭირდება. ყუთში იმდენი ლურსმანი ჩაუჭედებიათ, თითქოს სამარადისოდ გადაუწყვეტიათ მისი დაგმანგაო. ეს ძღვენი პირდაპირ ნეაპოლიდან გახლავთ გამოგზავნილი. ყუთში სურათია მოთავსებული. ჯერჯერობით მინდა იგი ჩემს ოთახში დაკიდო და წმინდა მამებს არ ვაჩვენო. ამიტომაც არავისთვის მითხოვია დახმარება, თქვენ კი უნდა მომეხმაროთ, კაპელმაისტერ!

კრაისლერი და აბატი მყისვე შეუდგნენ საქმეს და მალე ყუთიდან ოქროსვარაყიან დიდებულ ჩარჩოში ჩასმული მშვენიერი სურათი ამოიღეს. კრაისლერს ძალზე გაუკვირდა, როცა აბატის სამუშაო ოთახში მიმოიხედა და საკურთხევლის ზემოთ დარჩენილ ცარიელ ადგილს შეავლო თვალი. იქ, ჩვეულებრივ, ლეონარდო და ვინჩის მშვენიერი სურათი, „წმინდა ოჯახობა“ ეკიდა ხოლმე. აბატი ამ ტილოს ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესოდ თვლიდა თავის მდიდრულ სურათებს შორის, თუმცა, ყველა მათგანი ფუნჯის ძველ დიდოსტატთა ნახელავი გახლდათ და აი, ახლა, ხელოვნების ამ დიდებულ ქმნილებას ადგილი ახალი სურათისთვის უნდა დაეთმო: კრაისლერი ერთი შეხედვისთანავე მოიხიბლა ტილოს უჩვეულო სილამაზით და ამავე დროს მისმა ახლებურმა შესრულებამ განაცვიფრა.

აბატმა და კრაისლერმა რის ვაი-ვაგლახით მიამაგრეს სურათი კედელზე ხრახნებით; მერე აბატმა ცოტა უკან დაიწია, რომ მისთვის მოხერხებულად შეეგლო მხერა, და ისეთი დაუფარავი სიხარულით, ისეთი ჭეშმარიტი ნეტარებით დაუწყო თვალიერება, კაცი აშკარად იფიქრებდა, აბატი მარტო მხატვრის დიდოსტატობით არ არის მოხიბლული, აქ კიდევ სხვა რაღაც იმალებაო. სურათზე, სასწაულს რომ გამოხატავდა, წმინდა ქალწულს მარცხენა ხელში შროშანა ეპყრა, მარჯვენა ხელის ორი თითით კი ვილაც ჭაბუკის შიშველ მკერდს ეხებოდა. მის თითებქვეშ ღია ჭრილობებიდან სისხლის მსხვილი წვეთები მოწანწკარებდა. ეტყობოდა, ჭაბუკი აქამდე სარუცელზე ყოფილიყო გართხმული, ახლა კი წამომდგარიყო. კაცი იფიქრებდა, სასიკვდილო ძილისთვის დაუღწევია თავიო. თვალები ჯერ კიდევ დახუჭული ჰქონდა, მაგრამ მშვენიერ პირისახეზე გადაფენილი გაცისკროვნებული ღიმილი მხოლოდ ერთს მოასწავებდა: დაჭრილი ნეტარ სიზმარში მაცხოვარს ხედავდა, მას ჭრილობებს



რომ უშუშებდა, სიკვდილი კი ამასობაში ნელ-ნელა კარგავდა თავის ძალას. საქმეში ჩახედულ კაცს გააკვირვებდა ნახატის სიზუსტე, სხეულთა ოსტატური განლაგება, დიდებულად დაწერილი სამოსი, წმინდა მარიამის პირისახის მაღალმშვენიერება. უჩვეულო გახლდათ ფერთა ცხოველმყოფელობაც, რაც ესოდენ მიუწვდომელი იყო ახალი დროის მხატვრებისათვის. და მაინც, ყველაზე საოცრად და მკაფიოდ შემოქმედის გენია სურათის გმირთა სახეების უჩვეულო გამომეტყველებაში ვლინდებოდა. შეხედვისთანავე დაინახავდით, რომ მარიამი უმშვენიერესი და ულამაზესი ქალი იყო და ამავე დროს, მის ფიქალ შუბლს ღვთაებრივი დიდებულებაც დაჰკრავდა, ხოლო მისი მუქი თვალებიდან არაამქვეყნიური სისპეტაკის სხივი გამოკრთოდა. ზემთაგონების უშუალო ძალით შეპყრობილ მხატვარს გაცოცხლებული ჭაბუკის სახეზედაც ასეთივე ოსტატობით გადმოეცა ციური აღმაფრენის კვალი. უახლესი დროის მხატვრობაში კრაისლერი მართლაც რომ არ იცნობდა მეორე ნაწარმოებს, ამ ხელთუქმნელ ტილოს გვერდში რომ ამოუდგებოდა. კაპელმაისტერმა თავისი მოსაზრება აბატს გაუზიარა, დაწვრილებით შეჩერდა ამ საოცარი ქმნილების ცალკეულ ღირსებებზე, ბოლოს კი დასძინა: ვეჭვობ, ახალი დროის მხატვრებმა ამაზე სრულყოფილი რამ შექმნანო.

— ამას თავისი მიზეზები აქვს, კაპელმაისტერ! — ღიმილით მიუგო აბატმა, — ხოლო რა მიზეზებია, ახლავე მოგახსენებთ უცნაური რამ სენი სჭირთ ჩვენს ახალგაზრდა მხატვრებს. სწავლობენ და სწავლობენ, გაუთავებლად ვარჯიშობენ, ხატავენ, აჭრულებენ უზარმაზარ ტილოებს; ბოლოს და ბოლოს კი ხელიდან უმოძრაო, ცივი სურათები გამოუდით, რომელნიც უძღურნი არიან, კაცს სიცოცხლეს აგრძნობინონ, რამეთუ თავად მათში არ ფეთქავს სასიცოცხლო ძარღვი. განა უკეთესი არ იქნებოდა, ჩვენი მხატვრები გულდასმით რომ გადაიღებდნენ ასლებს იმ დიდოსტატთა ტილოებიდან, თავიანთ ხატად რომ დაუსახავთ, და ამ გზით ჩასწვდომოდნენ მათ თვითმყოფად ნიჭს? ნაცვლად ამისა, ჩვენს მხატვრებს ერთი სული აქვთ, ამ დიდოსტატებს ტოლი არ დაუდონ და ზუსტად მათსავით წერონ, სწორედ ამის გამო კი მხოლოდ და მხოლოდ წვრილმან მიმბაძველებად იქცნენ. მაგრამ, რაოდენ სასაცილოა და ბავშვური მათი მიმბაძველობა! მათ საქციელზე ის უგუნური კაცი მახსენდება, ჩახველებაში, მიხრა-მოხრასა და ლაპარაკში რომ ცდილობს ხოლმე, მიპ-

ბაძოს ვინმე გამოჩენილ ადამიანს. დიახ, ჩუენი დროის ახალგაზრდა მხატვრებს შთაგონება აკლიათ, ჭეშმარიტი შთაგონება! მაშინ, როცა მხოლოდ შთაგონებას ძალუძს გამოუხმოს ხელოვნების ქმნილებას სულის ლაბირინთებიდან და მხატვრის მხერას იგი ცხოვრებისეული ბრწყინვალეობითა და სისაუსით დაანახოს. რაძღენი მათგანი დამაშვრალა ამოდ იმ ზეაწეული სულიერი აღტყინების მოლოდინში, უროძლისოდაც არ შექმნილა ხელოვნების არც ერთი ნიძუში.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ძველ დიდოსტატთა ნათულსა და მშვიდ სულს ჭეშმარიტი შთაგონება ეუფლებოდა ხოლძე. ის კი, რაც ამ საცოდავებს შთაგონება ჰკონიათ, ერთი მხროუ, საკუთარი ჩანათვიქრით აღფრთოვანება გახლავთ, ხოლო მეორე მხროუ კი, ლაჩრული, მტანჯველი შიში: ვაითუ, სათანადოდ ვერ მოვბაძოთ ძველ ოსტატთა სწორუპოვარ ქმნილებებსო. ჰოდა, სწორედ ამის გამო ხდება, რომ თავისთავად ცოცხალი სახე შემზარავ ნიღბად გადაიქცევა ხოლძე.

ჩვენს ახალგაზრდა მხატვრებს არ ძალუძთ სახუებისთვის იმ მკაფიო გამომსახველობის მინიჭება, მათი სულის სიღრმიდან რომ აძოტოტოვდება. შესაძლოა, ეს იმის გამოც ხდება, რომ ხატვაში არა უშავთ რა, კოლორიტში კი მოიკოჭლებენ? მოკლედ რომ ვთქვათ, უკეთეს შემთხვევაში ისინი მხატვრები არიან და არა ფერმწერები. სწორი არ არის, როცა ამბობენ, ფერთა შეგრძნებისა და მათი გამოყენების ნიჭი ახალგაზრდა მხატვრებმა საუსებით დაკარგესო, ანდა მიაჩნიათ, თითქოს ჩვენს დღევანდელ ახალგაზრდობას მუყაითობა აკლდეს. უნდა მოგახსენოთ, რომ ჰირველი ბრალდება საერთოდ უაზრობაა. ფერწერას, მოყოლებული ქრისტიანობიდან, როდესაც იგი ჰირველად იქცა ჭეშმარიტ ხელოვნებად, არასოდეს უტყუანია ერთი ადგილი. ჰირიქით, ოსტატისაგან შეგირდისაკენ, შეგირდისგან კი ოსტატისკენ მიემართებოდა უწყვეტი მოძრაუი ჯაჭვი, და თუძცა, ამ მოძრაობამ ჭეშმარიტი ხელოვნების გზიდან მცირეოდენი გადახრები გამოიწვია, ამას არაფრით არ შეიძლებოდა უარყოფითი გავლენა მოეხდინა საშემსრულებლო ოსტატობის შემკვიდრობაზე; ხოლო, რაც შეეხება მუყაითობას, ჩვენს მხატვრებს შეიძლება კაცმა უფრო მისი სიჭარბე უყიჟინოს, ვიდრე ნაკლებობა. ერთ ახალგაზრდა მხატვარს ვიცნობ. ჰოდა, აი, წარმოიდგინეთ, იგი იწყებს ხატვას. მალე სურათი თითქმის მზად არის. ის კი მაინც ხატავს, თხაპნის და



თხაპნის, ვიდრე ყველაფერი მრუმე ფერებში არ შთაინთქმება. აი, მხოლოდ ახლა პასუხობს ეს სურათი მხატვრის ჩანაფიქრს, თუმცა, მის მიერ შექმნილ სახეებს არ ძალუძთ შეიძინონ სისხლსავსე ცხოვრების ცხოველმყოფელობა!

ერთი ამას შეხედეთ, კაპელმაისტერ! აი, ეს გახლავთ სურათი, რომელშიც იგრძნობა ჭეშმარიტი ცხოვრების სუნთქვა, რამეთუ იგი ასევე ჭეშმარიტად სპეტაკი შთაგონების ნაყოფია. სასწაულის არსი თქვენთვის გასაგებია. სარუცელზე წამომჯდარი ჭაბუკი მკვლევებს სრულიად ღონემიხდილი მიუტოვებით: იგი სასიკვდილოდაა განწირული. ჭაბუკი დღემდე ურწმუნო იყო და გიჟური დაჟინებით გაურბოდა ეკლესიას, ახლა კი თვითონვე ხმამაღლა ევედრება ღვთისმშობელს. ისიც იხსნის ჭაბუკს სიკვდილისაგან, რომ იგი კვლავ დატკბეს სიცოცხლით, მოინანიოს ცოდვები და მთელი თავისი ძალ-ღონე ეკლესიის ღვთისმოსავ, ერთგულ სამსახურს შეაღოს. და სწორედ ეს ჭაბუკი, რომელსაც უზენაესმა ამდენი მადლი უწყალობა, არის ამავე დროს ამ სურათის მხატვარი.

კრაისლერმა გაოცება გამოთქვა: როგორც ეტყობა, სასწაული ჩვენს დროში უნდა მომხდარიყო.

— ჩემო ძვირფასო იოჰანეს, — ტკბილად და ალერსიანად წამოიწყო აბატმა, — მაშ, თქვენც იზიარებთ იმ უცნაურ აზრს, თითქოს ჩვენს დროში უფალს სამუდამოდ დაეხშოს კაცთათვის მოწყალების კარი?! თითქოს აღარ დააბიჯებს ამქვეყნად თანაგრძნობა და შეწყალება წმინდანთა სახით, ვისაც უხმობს ხოლმე სიკვდილის შიშით შეპყრობილი, სასოწარკვეთილი ადამიანი?! თითქოს აღარ არსებობს ამქვეყნად ნუგეში, მაღამოდ რომ დაედებოდა დამაშვრალი კაცის გულს?! მერწმუნეთ, იოჰანეს, სასწაულები ხდებოდა და ხდება კიდევაც; მაგრამ ადამიანი დაუბრძალებია ცოდვილ უღმერთობას, მის თვალს აღარ ძალუძს გაუძლოს ცის არამიწიერ ბრწყინვალებას და დაინახოს უზენაესის მადლი და სიკეთე მაშინაც კი, როდესაც იგი ხილულია და აშკარად შესაგრძნობი. ასეთი ისე, ჩემო ძვირფასო იოჰანეს, ყველაზე დიდი სასწაული მაინც ადამიანის სულის სიღრმეში ხდება და სწორედ ამ სასწაულზე უნდა ილაღადოს ადამიანმა სიტყვით, ჰანგებითა თუ ფერებით. სწორედ ეს სასწაული გვაუწყა ასე უბადლოდ ამ სურათის მხატვარმა — ბერმა, როცა შეეცადა ფერებში აღწერა თავისი რჯულზე მოქცე-

ვის აბაჟი. იოჰანეს, თქვენზედაც ზუსტად ამის თქმა შემიძლია, და ხულითა და გულით ნათქვამი სიტყვები გახლავთ დიახ, კრაისლერ, თქვენც ხომ გულის იდუმალი კუნჭულებიდან აღმომხდარი ძლე-ვაძოსილი ჰანგებით გვამცნობთ სასწაულს, თუ როგორ ხდება მარადიული ნათელის შეცნობა! და ის, რომ ამის გაკეთება ძალგით, განა არ არის ღვთით მონიჭებული მადლი, თქვენზე ხსნისათვის რომ მოგფინათ უზენაესმა?

აბატის სიტყვებმა უჩვეულოდ ააღელვა კრაისლერი და საკუთარი შემოქმედებითი ძალისადმი საოცარმა რწმენამ მოიცვა, რაც ასე იშვიათად ემართებოდა. კაპელმაისტერს თვალი ვერ მოეცილებინა ამ ბრწყინვალე ფერწერული ტილოსათვის. ხშირად ადამიანს სურათის ჭკრუტისას ისე გაიტაცებს ხოლმე წინა პლანის შუქრდილის ეფექტები, რომ შეუმჩნეველი რჩება უკანა პლანზე განლაგებული საგნები. ასე დაემართა კრაისლერსაც. მან მხოლოდ ახლავდა შენიშნა ფართო წამოსასხამში გახვეული უცნობი, კარში გაპარვას რომ ლამობდა. ცის დედოფალი კაშკაშა სინათლის შარავანდედში გახვეულიყო. მხოლოდ ერთი სხოვი ეცემოდა ხანჯალს, უცნობს ხელთ რომ ეპყრა და მასში მკვლელს ამხილებდა. მაყურებლისაკენ მობრუნებული მისი პირისახე უსაზღვრო შიშს დაემანჭა.

უეცრად კრაისლერი მეხდაცემულივით შეკრთა: მკვლელის სახეში მან პრინც ჰექტორის ნაკვთები ამოიცნო. იმავე წუთს მოეჩვენა, რომ ის გაცოცხლებული ჭაბუკიც, თუმცა, გაკვრით, მაგრამ მაინც, სადღაც უკვე ენახა. რაღაც იდუმალმა შიშის გრძნობამ თავი შეაკავებინა და აბატისათვის არაფერი უთქვამს, მაგრამ მერე მაინც ჰკითხა, ცოტა უჩვეულო ხომ არ არის და შთაბეჭდილებას ხომ არ ანულებს ის, რომ მხატვარმა უკანა პლანზე, მართალია, ჩრდილში, მაგრამ მაინც, თანამედროვე ყოფის ამსახველი საგნები მოათავსა და როგორც მხოლოდ ახლა შევნიშნე, გაცოცხლებული ჭაბუკი, ანუ საკუთარი თავი, თანამედროვე ტანსაცმლით შემოსაო.

მართლაც, სურათის უკანა ნაწილში, ნაპირას, პატარა მაგიდა იდგა, მის გვერდით კი — სკამი. სკამის თავზე თურქული თავშალი იყო გადაფენილი, ხოლო მაგიდაზე ოფიცრის ჯილიანი ქუდი და ხმალი იდო. ჭაბუკს თანამედროვე საყელოიანი პერანგი, გახსნილი ფილეტი და მუქი, ასევე თავიდან ბოლომდე შეხსნილი ქურთუკი ეცვა, რომლის თავისებურად აჭრილი კალთებიც რბილ ნაოჭებს იყ-



რიდა. ცის დედოფალი ჩვეულებისამებრ იყო შემოსილი, როგორც ცნობილი ძველი დიდოსტატების სურათებზე გვხვდება ხოლმე.

— სრულიადაც არ მეხამუშება, — უპასუხა აბატმა კრაისლერს, — არც უკანა პლანზე მოთავსებული საგნები და არც ჭაბუკის ქურთუკი. პირიქით, ჩემის აზრით, მხატვარს სულ მცირე წვრილმანშიც რომ ელაღატა ჭეშმარიტებისათვის, იგი ღვთიური მადლით კი არ იქნებოდა ცხებული, არამედ ამქვეყნიურ ამაოებასა და სიგიჟეს იქადაგებდა. იგი მოვალე იყო, სასწაული ისე აღეწერა, როგორც ეს სინამდვილეში მოხდა. ზუსტად უნდა გადმოეცა ადგილი, სადაც ეს ამბები გათამაშდა, მოქმედ პირთა სამოსი და სხვა; სწორედ ამის გამო ყველასათვის ცხადია, რომ სასწაული ჩვენს დროში ხდება, და ამრიგად, დღევანდელი უნდობლობისა და გახრწნილების ხანაში ღვთისმოსავი ბერის მიერ დახატული სურათი ძლევამოსილი ეკლესიის უშესანიშნავეს ნადავლად იქცა.

— და მაინც, — თქვა კრაისლერმა, — ეს ხმალი, თავშალი, მაგიდა და სკამი გულს არ ეკარება. კარგი იქნებოდა, თუ მხატვარი უკანა პლანიდან მოხსნიდა ამ ყოფით საგნებს და ქურთუკის ნაცვლად კვართს ჩამოიცვამდა. აბა, თავად ბრძანეთ, თქვენო უწმინდესობაჲ, განა შეგიძლიათ წარმოიდგინოთ თანამედროვე სამოსელში გამოწყობილი წმინდანები: წმინდა იოსები — ხიფთანში, მაცხოვარი — ფრაკში, წმინდა მარიამი — შლეიფიან კაბაში, მხრებზე თურქულ შალწამოსხმული? განა ეს ყველაფერი თქვენს თვალში რაღაც ყველაზე ამაღლებულის საშინელი, უღირსი გაყალბება არ იქნებოდა? მიუხედავად ამისა, ძველი ოსტატები, — განსაკუთრებით კი ეს გერმანელებზე ითქმის, — ყველა ბიბლიურ გმირებს თავისი დროის ტანსაცმელში ხატავდნენ, და, ალბათ, არასწორი იქნება, თუ იმის მტკიცებას მოვყვებით, თითქოს იმდროინდელი სამოსი ფერწერული გამოსახვისათვის უფრო მისაღები იყო, ვიდრე დღევანდელი, თუმცა, კაცმა რომ თქვას, თანამედროვე ტანსაცმელიც საკმაოდ სულელური და არამხატვრული გახლავთ, თუ არ ჩავთვლით ქალის ზოგიერთ კაბას. ძველ დროში ხომ საშინლად ზიზილ-პიპილო ტანსაცმელი იცოდნენ, და შეიძლება ითქვას, ჩაცმა-დახურვის საკითხი უკიდურესობამდე იყო მიყვანილი. გავიხსენოთ თუნდაც ერთ არშინზე ცხვირაპრუხილი, წვეტიანი ფეხსაცმელები, გაფარფაშებული შარვლები, ჩაჭრილი კაშხოლები და სახელოები და ვინ მოთვლის,

კიდევ რამდენი რამ. აბა, გაიხსენეთ, რა საშინლად უმახინჯებდა ქალს პირისახესა და ტანს ბუერი სამოსი. ამ ძველებურ სურათებზე ატმის ყვაუილოვით აფეთქებული, კალმით ნახატი ნორჩი ქალწულები ხანში შესულ, პირქუშ დედაკაცებს ჰგავდნენ. მიუხედავად ამისა, ამ სურათებზე არავინ ამბობდა, საძაგლობააო.

— ჩემო ძვირფასო იოჰანეს, — უპასუხა აბატმა, — ახლა კი გამიადვილდება, ორიოდ სიტყვით აგიხსნათ, თუ რა განსხვავებაა ძველ ღვთისმოსაში დროსა და გახრწნილ დღევანდელობას შორის. აი, რა შემიძლია გითხრათ: ძველად საღმრთო წერილი ისე ღრმად იყო შეჭრილი ადამიანის ცხოვრებაში, უფრო სწორად, ცხოვრება იმდენად იყო მასზე დამოკიდებული, რომ ყველას სჯეროდა: სასწაული ჩვენ თვალწინ ხდება და ყოვლისშემძლე ღმერთს, რა დროსაც მოინდომებს, შეუძლია ახალ-ახალი სასწაულების მოწმე გაგვხადოსო. ასე და ამრიგად, საღმრთო წერილი, რომელსაც მორწმუნე მხატვარი თავის შინაგან მზერას მიაპყრობდა ხოლმე, მისთვის თანამედროვე ცხოვრების იერს იღებდა. იგი დროდადრო მოწმე ხდებოდა, როგორ გადაეფინებოდა ხოლმე ღვთიური მადლი მის გარშემომყოფ ადამიანებს და ცდილობდა ყველაფერი ისე გადაეტანა ტილოზე, როგორც ცხოვრებაში ხედავდა. დღეისათვის კი საღმრთო წერილში აღწერილი ამბები ძალზე შორეული გვეჩვენება, თითქოს ისინი სრულიად მოწყვეტილი არიან დღევანდელობას და მხოლოდ მოგონებებში თუ და განაგრძობენ უღიმღამო არსებობას. და ხელოვანი ამაოდ დაშთება, როცა შეეცდება საღმრთო წერილი სინამდვილეს მიუსადაგოს, რამეთუ, — დაე, საკუთარ თავსაც ნუ გამოუტყდება ამაში, — მისი სული ამქვეყნიური ამაოებით არის წაბილწული. ძველ ოსტატებს სამოსის არცოდნას უყიჟინებენ და ამ არცოდნით ხსნიან იმ ამბავს, თითქოს ძველი მხატვრები თავიანთ სურათებზე მხოლოდ თავიანთი დროის ტანსაცმელს ხატავდნენ; ეს დიდი უხამსობაა და კაცს ნამდვილად ღიმილს მოჰგვრის, მაგრამ ასეთივე უხამსობაა, როცა ახალგაზრდა მხატვრები წმინდანებს შუა საუკუნეების დროინდელ უცნაურ, უგემოვნებო ტანსაცმელს აცმევენ. ამით იმის ჩვენება უნდათ, ვითომ ტილოზე ასახული ამბები უშუალოდ ცხოვრებაში კი არ გვიჭვრეტია, არამედ მხოლოდ იმის გადმოღებით დაკკმაყოფილებულვართ, რაც უკვე შეუქმნიათ ძველ ოსტატებსო.

ამ ღვთისმოსავი გადმოცემების გმირები სურათზე თანამედროვე



ტანსაცმელში გამოწყობილი რომ დავინახოთ, რა თქმა უნდა, ჩავთვლით, რომ ეს ძალზე დიდი უგემოვნებობა, საძაგლობა და თქვენ წარმოიდგინეთ, მკრეხელობაც კია. ეს კი იცით, რატომ ხდება? სწორედ იმიტომ, ჩემო ძვირფასო იოჰანეს, რომ დროება ასე საშინლად წაიბილწა და საერთო აღარაფერი აქვს იმ წმინდა გადმოცემებთან, სწორედ იმიტომ, რომ აღარაფის ძალუძს წარმოიდგინოს, თითქოს ეს სასწაულები სწორედ ჩვენ თვალწინ ხდება. მაგრამ, თუკი უზენაესი ინებებს, რომ მართლა გავხდეთ ამ სასწაულების მოწმენი, მაშინ, რა თქმა უნდა, საერთოდ დაუშვებელი იქნებოდა ჩვენი დროის ტანსაცმლის რაიმე სხვათი შეცვლა. სწორედ ასე უნდა შეხედონ ამ საკითხს ახალგაზრდა მხატვრებმაც, თუკი უნდათ, რომ ფეხქვეშ მყარი ნიადაგი იგრძნონ. დიახ, ყოველნაირად უნდა ცდილობდნენ, შორეული ამბების ტილოზე გადატანისას, რაც შეიძლება მართლად ხატონ გარდასული დროის გმირთა სამოსი. დიახ, კვლავ ვიმეორებ: სავსებით მართალი იყო ამ სურათის მხატვარი, როცა თავის ქმნილებაში ჩვენს დროებაზე მიგვანიშნა. ჩემო იოჰანეს, სწორედ ეს ყოფითი საგნები, თქვენ რომ ასე უადგილოდ მოგეჩვენათ სურათზე, აღმაკვებს იდუმალი ძრწოლით; ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს ეს-ეს არის უნდა შევდგა-მეთქი ფეხი ნეაპოლის ერთ პატარა სახლში; რამდენიმე წლის წინ ხომ სწორედ აქ, ამ სახლში აღსრულდა სასწაული და ჭაბუკმაც აქ დააღწია თავი საუკუნო ძილს!

წმინდა მამის სიტყვებმა კრაისლერი საგონებელში ჩააგდო: იძულებული იყო, ეღიარებინა, აბატი ბევრ რამეში მართალიაო; მაგრამ მაინც იმ აზრს ადგა, რომ წმინდა მამა ძველი დროის დიდ ღვთისმოსაობასა და დღევანდელ გახრწნილებას როგორც ბერი, ისე განსჯიდა. სწორედ ამიტომ მიაჩნია, გაიფიქრა კაპელმაისტერმა, რომ ადამიანს ჩვენს დროშიც აუცილებლად სჭირდება ზეციური სასწაულები, ნიშნებიან წმინდანთა გამოცხადება, და იგი თავის გარშემო მართლაც ხედავს ყოველთაგან ამასო. მაგრამ ღვთისმოსაობის უბიწო, ბავშვური გრძნობებისათვის უცხოა გაღმერთების გამაბრუებელი, მძრწოლავი აღტყინება; მას სრულიადაც არ სჭირდება სასწაულები იმისათვის, რომ ჭეშმარიტად ქრისტიანული სათნოება გამოავლინოს. აი, სწორედ ეს სათნოება არ გამქრალა ამქვეყნად; ეს რომ მართლა მომხდარიყო, უზენაესი სამუდამოდ შეგვაქცევდა ზურგს, პირქუში დემონის ლუკმად გაგვხდიდა და კერავითარი სასწაული

ველარ შეძლებდა ჩვენს დაბრუნებას ჭეშმარიტების გზაზე.

მაგრამ კრაისლერს აღარაფერი უთქვამს აბატისათვის, ფიქრებში ჩაძირული, უხმოდ განაგრძობდა სურათის თვალიერებას. რაც უფრო გულდასმით აკვირდებოდა მკვლელის სახეს უკანა პლანზე, მით უფრო თვალნათლივ იკვეთებოდა მის წინაშე ნაცნობი ნაკეთები. და კრაისლერი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მკვლელს პრინც ჰექტორის სახე ჰქონდა.

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ, — წამოიწყო კრაისლერმა, — აი, აქ, სურათის ჩაბნელებულ ადგილას მაგან თავისუფალ მსროლელს ვხედავ. მაშაც რაინდს მიზანში ისეთი კეთილშობილი ნადირი ამოუღია, როგორც გახლავთ ადამიანი, და გადაწყვეტილი აქვს, რადაც უნდა დაუჯდეს, სიცოცხლე მოუსწრაფოს. როგორც ვხედავ, ამჯერად მას ხელში მშვენივრად ნაკეთები ფოლადის ხაფანგი მოუმარჯვებია და არც შემცდარა: ცეცხლმსროლელ იარაღთან ამკარად მწყრალად გახლავთ! სწორედ ამ ცოტა ხნის წინ იყო, რომ ნადირობა მოაწყო ფეხმარდ ირუშზე, მაგრამ ბედმა უმტყუნა. რაღა დაგიძალოთ და, ძალიან მინდა გავიგო ამ მაშაცი მონადირის Curriculum vitae,<sup>1</sup> ანდა მისი ცხოვრების იმ მონაკვეთებს მაინც გავუცნო, რომელთა წყალობითაც იქნებ მეღირსოს და შევიტყო, სად არის ამქვეყნად ჩემი ადგილი! უმჯობესი ხომ არ იქნებოდა, პირდაპირ ღვთისმშობლისათვის მიმემართა და მეთხოვა, მფარველი კალთა გადაეფარებინა ჩემთვის?

— დრო, დიახ, დრო ყველაფერს გვეტყვის, კაპელმაისტერ! — თქვა აბატმა, — დარწმუნებული ვარ, მოკლე ხანში ბევრი ისეთი რამ გაირკვევა, რასაც ჯერჯერობით იღუმალების ფარდა აქვს ჩამოფარებული. აი, თქვენს სურვილებს კი, სულ ახლახან რომ მაუწყეთ, ნამდვილად კეთილად ახდენა უწერია. ჯერჯერობით მხოლოდ ამის თქმა შემიძლია: პირდაპირ გაკვირვებასა ვარ, რომ ზიგჰარტსჰოფში ასეთი მცდარი აზრისა ბრძანდებიან თქვენზე; ვგონებ, მაესტრო აბრაჰამი ერთადერთი ადამიანი უნდა იყოს, ვისაც ესმის თქვენი.

— რა ბრძანეთ, მაესტრო აბრაჰამიო? — წამოიძახა კრაისლერმა, — განა თქვენ იცნობთ მოხუცს, თქვენო მაღალკეთილშობილებავ?

— ნუ გავიწყდებათ, — ღიმილით მიუგო აბატმა, — რომ ჩვენს

<sup>1</sup> ცხოვრება (ლათ.).



შესანიშნავ ახალ ორღანს მანქანის აბრაჰამის ხელოვნებას უნდა ვუმაღლოდეთ მაგრამ კმარა ამაზე ლაპარაკი! მოთმინებით აღვიჭურვით და დაველოდოთ, რას მოგვიტანს მომავალი.

კრაისლერი დაემშვიდობა აბატს და პარკისკენ გასწია; უნდოდა, როგორმე გამკლაუებოდა მეწყეროვით მოვარდნილ ფიქრებს. ის-ის იყო, კიბეზე ჩავიდა, რომ ვილაცის ხმა შემოესმა: „Domine, domine Capellmeistere, paucis te volo!“<sup>1</sup> ეს მამა ჰილარიუსი გახლდათ მან კაპელმაისტერს მოახსენა, დიდი მოუთმენლობით ველოდი, როდის დაამთავრებდით აბატთან ხანგრძლივ საუბარსო. ეს-ესაა, ამოვედი სარდაფიდან, ბერებისთვის ღვინო უნდა ამომეტანა და სრულიად შემთხვევით ხელში ჩამივარდა ღმერთოვით ვიურცბურგული ღვინო. ძალიან ძველი უნდა იყოს. ახლა კი საუზმეზე უსიკვდილოდ უნდა გადაკრათ ერთი ჭიქა. მინდა დარწმუნდეთ, ეს კეთილშობილი სასმელი როგორ მატებს ადამიანს სიმხნვეს, როგორ უჩუხჩუხებს ძარღვებში სისხლს. ეს ღვთაებრივი ნექტარი უდავოდ იმსახურებს იმას, თქვენისთანა ღირსეულმა კომპოზიტორმა და ბრწყინვალე მუსიკოსმა იგემოსო. კრაისლერმა იცოდა, რომ ამო იქნებოდა ყველა ცდა, თავიდან აეცილებინა მამა ჰილარიუსის მიწვევა, საკუთარ საზრიანობას ასე რომ აღეფრთოვანებინა. ამას გარდა, კაპელმაისტერი ისეთ გუნებაზე იყო, თავადაც მოუნდა, გადაეკრა ერთი ჭიქა კარგი ღვინო. ამიტომაც მხიარულ ბერს ფეხდაფეხ მიჰყვა სენაკში. იქ, სუფთა ხელსახოცგადაფარებულ პატარა მაგიდაზე, კრაისლერს უკვე ელოდა ღვთაებრივი სასმლით სავსე ბოთლი, ახალგამომცხვარი თეთრი პური, მარილი და ზირაკი.

— Ergo bibamus! — წამოიძახა მამა ჰილარიუსმა და ღვინო მწვანე, წერწეტა ღვინის ჭიქებში დაასხა, — ხომ არ ვცდები, კაპელმაისტერ? — განაგრძო მან, მერე თავისი ჭიქა მხიარულად მიუჯახუნა კრაისლერისას და ორივემ შესვა, — მისი მაღალკეთილშობილება, ვგრძნობ, ძალიან უნდა იყოს მოწადინებული, ტანზე ბერის სამოსი ჩაგაცვათ?! მართალი ვარ თუ არა? ნუ იზამთ ამას, კრაისლერ! თავად მე ამ გრძელ კაბაში თავს სრულიად არ ვგრძნობ ცუდად და არც არავითარი სურვილი მაქვს მისი გახდისა, მაგრამ *distinguendum est inter et inter!* მე ერთი ჭიქა კარგი ღვინო და ტკბილი საეკ-

<sup>1</sup> ბატონო, ბატონო კაპელმაისტერო, ერთი წუთით! (ლათ).

ლესიო გალობა მთელ ქვეყანას მიჩვენია! თქვენი საქმე კი სულ სხვაა! თქვენ ხომ სულ სხვა რამისთვის ხართ დაბადებული! დიახ, კრაისლერ, ბედი სულ სხვაგვარად გილიბით და შხის სხოვებიც სულ სხვანაირად გინათებთ. მათი ნათება სრულებით არა ჰგავს კანდელუბის შუქს! მაშ, ასე, კრაისლერ, მოკლედ რომ ვთქვათ, მივუჭახუნოთ ერთმანეთს სასმისები! *Vivat* თქვენს სატროფოს და იცოდეთ აბატი როგორც უნდა გაბრაზდეს, ქორწილზე მაინც გამოგიგზავნით საუკეთესო ღვინოს ჩვენი ყველაზე მდიდარი სარდაფიდან!

კრაისლერი ამის გაგონებაზე უსიამოდ შეიშშუშნა: ადამიანს ყოველთვის გული სტკივა ხოლმე, როცა ხედავს, მოუქნელი, უხეში ხელებით როგორ ეხებიან რაღაც თოვლივით სპეტაკსა და ნაზს.

— ვითომ ოთხ კედელს შუა ხართ გამოძწევდელი და ყველაფერი კი იცით ამ მთისა თუ ბარისა, — უთხრა კრაისლერმა და ჭიქა უკან გასწია.

— *Domine, domine Kreislere!*<sup>1</sup> — წამოიძახა მამა ჰილარიუსმა, — ნუ გამიჯაგრდებით! *Video mysterium*,<sup>2</sup> მაგრამ ენას კბილი უნდა დავაჭირო. მაშ, არ გინდათ დალიოთ სადღეგრძელო თქვენი... კარგი, კარგი, მოდი, წავიხეძსოთ *in camera et faciemus bonum cherubim*<sup>3</sup> და *bibamus*, რათა უფალმა ჩვენს სააბატოს სიშშვიდე და მხიარულება არ მოაკლოს, აქამდე რომ სუფევდა აქ!

— რაო, განა ყველაფერ ამას საფრთხე ეშუქრება? — ცნობისმოყვარეობით იკითხა კრაისლერმა.

— *Domine*, — წაიჩურჩულა მამა ჰილარიუსმა და კრაისლერისაკენ ნდობით მიაჩოჩა სკამი, — *Domine dilectissime!*<sup>4</sup> უკვე საკმაოდ დიდი ხანია ჩვენთან იმყოფებით და კარგად მოგეხსენებათ, რა მუგობრულად ვცხოვრობთ ყველანი. ხედავთ, წმინდა მამების სხვადასხვა მიზან-მისწრაფება რა შშვენოვრად ესადაგება სააბატოში გამეფებულ მხიარულ განწყობას, რასაც აგრერიგად უწყობს ხელს მონასტრის არამკაცრი წესდება, ჩვენი ცხოვრების ყაიდა და საერთოდ, ჩვენ გარშემო ყველაფერი. ჰოდა, ასე ალბათ ძალიან დიდხანს გაგრძელდებოდა! მაგრამ, იცოდეთ, კრაისლერ! რომის პაპის და-

<sup>1</sup> ბატონო, ბატონო კრაისლერ (ლათ).  
<sup>2</sup> ეხედავ რაღაც საიდუმლოს! (ლათ).  
<sup>3</sup> სენაკში და კარგა გვარიანად ვადაჯერათ (ლათ).  
<sup>4</sup> ძვირფასო ბატონო (ლათ).



ჟინებული მოთხოვნით ეს-ეს არის ჩამობრძანდა მამა კიპრიანუსი, რომელსაც კარგა ხანია ველით მართალია, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, მაგრამ მის გამოფიტულ, არაფრისმთქმელ სახეს მხიარულების ნიშანწყალსაც ვერ დაატყობს კაცი; პირიქით, წმინდა მამის გაყინული სახის ნაკეთები შემზარავი სისასტიკით სუნთქავენ და მასში საშინელ თვითგვემამდე მისულ ასკეტს ამხელენ. ამასთან, თავისი საქციელით ცდილობს, გვაგრძნობინოს, რომ ყველასადმი მტრულადაა განწყობილი. ალბათ, ეს იმის გამო ხდება, რომ გრძნობს თავის აშკარა უპირატესობას ჩვენთან შედარებით. გაკვრით უკვე გაუკითხ-გამოუკითხავს მონასტერში არსებულ წესრიგზე და ძალიან განრისხებულა, როცა გაუგია, როგორ ცხოვრებას ქვეყიან წმინდა მამები. აი, ნახათ, კრაისლერ! ეს გადამთიელი თაუდაყირა დააყენებს აქ ყველაფერს და დაგვანატრებს ყოველივე იმას, რაც ბედნიერებას გვანიჭებდა აქამდე! აი, ნახათ, nunc probi! ფარისევლები მყისვე მხარში ამოუდგებიან და მალე შეიქმნება დაჯგუფება აბატის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, გამარჯვებაც მათ დარჩებათ, რამეთუ დარწმუნებული ვარ, მამა კიპრიანუსი მისი უწმინდესობის, რომის პაპის ემისარი გახლავთ, ხოლო ასეთი კაცის წინაშე აბატი იძულებული გახდება, ფარ-ხმალი დაყაროს. კრაისლერ, ნეტავ რა ბედი გელით თქვენ და თქვენს მუსიკას აქ, ჩვენს მყუდრო საფანეში? მამა კიპრიანუსს უკვე მოვახსენე, მშვენივრად შეხმატკბილებული გუნდი გვყავს და უკვე საკმაოდ კარგად შეგვიძლია შევასრულოთ ცნობილ დიდოსტატთა ქმნილებები-მეთქი, მაგრამ პირქუშ ასკეტს სახე დაემანჭა და განაცხადა, მსგავსი მუსიკა მხოლოდ ამქვეყნიურ ამოებას ქადაგებს და ეკლესიისთვის სრულიად მიუღებელია. პაპმა მარცელუს II-მ სწორედ ამის გამო საუსებით სამართლიანად მოითხოვა ამ მუსიკის საერთოდ განდევნაო.<sup>2</sup> Per diem! თუ გუნდს აკრძალავენ და ღვინის სარდაფის კარსაც მიგვიხურავენ, მაშინ... მაგრამ ჯერჯერობით bibamus! წინასწარ მარჩიელობას აზრი არა აქვს; ergo — ყლუპ-ყლუპ!

<sup>1</sup> ახლა დაუმტკიცებ (ლათ).

<sup>2</sup> „მსგავსი მუსიკა მხოლოდ ამქვეყნიურ ამოებას ქადაგებს და ეკლესიისთვის სრულიად მიუღებელია. პაპმა მარცელუს II-მ სწორედ ამის გამო საუსებით სამართლიანად მოითხოვა ამ მუსიკის საერთოდ განდევნაო“ — პაპი მარცელუს II (1501-1555) კიცხავდა თავისი დროის კათოლიკურ მუსიკას ვითომდა მისი უკიდურესად საერო ხასიათისა და სირთულის გამო.

კრაისლერმა მიუგო, შესაძლოა ახალმოსული სინამდვილეში არც ისეთი მკაცრია, როგორც ერთი შეხედვით ჩანსო, და მერე დასძინა, არაფრით არა მგონია, ჩვენი აბატისთანა მტკიცე ხასიათის კაცი ასე ადვილად დაჰყვეს ჩამოსული ბერის ნებას, მით უმეტეს, რომ თავადაც ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს გაუღენიან პირებთან რომშიო.

სწორედ ამ დროს ზარმა დაიგუგუნა. ეს იმის მაუწყებელი გახლდათ, რომ უნდა დაწყებულიყო მამა კიპრიანუსის საზეიმო მიღება წმინდა ბენედიქტეს ორდენში.

მამა ჰილარიუსმა ჭიქაში დარჩენილი ღვინო თითქმის შეშინებულმა bibendum quid-ის შედახილით დალია და კრაისლერთან ერთად ეკლესიისაკენ გასწია. დერუფნის ფანჯრიდან, აბატის პალატებს რომ გადაჰყურებდა, შეიძლებოდა დანახვა, თუ რა ხდებოდა მის ადგილსამყოფელში.

— შეხედეთ, შეხედეთ! — წამოიძახა მამა ჰილარიუსმა და კრაისლერი ფანჯარასთან მიიყვანა.

კრაისლერმა გაიხედა და ოთახში ვიღაც ბერი დაინახა, რომელსაც სახელაწილი და აღელვებული აბატი რაღაცას უხსნიდა. ბოლოს და ბოლოს იგი ბერის წინ მუხლებზე დაეცა და მანაც დალოცა იგი.

— აბა, მითხარით, ხომ მართალი ვიყავ, როცა ვთქვი, — წაიჩურჩულა მამა ჰილარიუსმა, — ამ ჩამოსულ ბერს, ასე ღვთის რისხვასაგით რომ დაგვატყდა თავს, რაღაც უცნაური და უჩვეულო აქვს მეთქი?

— დიახ, — უპასუხა კრაისლერმა, — ამ კიპრიანუსთან ნამდვილად რაღაც ამბები უნდა იყოს დაკავშირებული და სულაც არ გამიკვირდება, თუ მოკლე ხანში აქ ზოგ-ზოგი საიდუმლო საქმე გაიხსნება.

მამა ჰილარიუსმა წმინდა მამებს მიაშურა, რომ შეერთებოდა ეკლესიისაკენ მიმავალ პროცესიას. წმინდა მამებს წინ ჯვარი მიჰქონდათ, გვერდით კი ანთებული სანთლებითა და საეკლესიო დროშებით ხელში მორჩილები მიჰყვებოდნენ.

კრაისლერს აბატმა ჩამოსული ბერის თანხლებით წინ ჩაუარა. კაპულმაისტერმა კიპრიანუსში მყისვე შეიცნო ჭაბუკი, უცნობი მხატვრის სურათზე ღვთისმშობელმა სიცოცხლე რომ დაუბრუნა.



უეცრად კრაისლერს თავში რაღაც აზრმა გაუელვა. იგი სწრაფად აიჭრა ზეჟით, თავის სენაკში, და აბრაჰამის ნაჩუქარი პატარა სურათი გადმოიღო. დიახ, იგი არ შემცდარა! ეს სწორედ ის ჭაბუკი გახლდათ, ოღონდ ოფიცრის მუნდირი ეცვა და უფრო ახალგაზრდა და სიცოცხლით საუსე ჩანდა. მაგრამ, როდესაც...

**ნაწილი მეოთხე**  
**უმაღლესი კულტურის ცხოველმყოფელი მადლი.**  
**დაუაუკაცების ხანა**

(მ. ა. ა.) ...ჰინცმანის გულის ამაჩუყებელმა სამგლოვიარო სიტყვამ, ქელეხმა, პირმშვენიერი მინას ხილვამ, მისმისთან ხელახალმა შეხვედრამ, ცეკვამ, — ყველაფერმა ამან საწინააღმდეგო გრძნობების ჭიდილი და შეხლა-შემოხლა გამოიწვია ჩემში. როგორც იტყვიან ხოლმე, ჭკუაზე აღარ ვიყავი და იმასლა ვნატრობდი, ნეტავ ჩემს მეგობარ მუციუსთან ერთად მეც ცოცხალ სარდაფში განვისვენებდეთ-მეთქი.

ასე და ამრიგად, მეტის ატანა აღარ ძალმიძდა, და მართალი გითხრათ, არც კი ვიცო, რას აუტუტებდი თავს, რომ ჩემს არსებაში უხვად მომადლებულ ჭეშმარიტ პოეტურ აღმაფრენას არ ეძძლავრა. სწორედ მისი წყალობით გავხდი ლექსების უხვი ნობათის პატრონი და მეც აღარ დამიხანებია, ჩემი პოეტური შემოქმედება სასწრაფოდ გადავიტანე ქალაქდზე. თუმცა, რითმების ძებნაში ხანდახან ცხრა პირი ოფლი გადაგვიყა ხოლმე, მაინც პოეზიის ღვთაებრიობა იმაშია, რომ ლექსის წერა უდიდეს სულიერ სიხარულს ანიჭებს კაცს, ავიწყებს ამქვეყნიურ ტანჯვა-წამებას, და როგორც ამბობენ, შიმშილსა და კბილის ტკოვილსაც კი უქარვებს ხოლმე. აი, მაგალითად, როდესაც უღმობელი სიკვდილი ხელიდან გამოგვაცლის მშობელ დედას, მამას ან მეუღლეს, ასე გგონია, დარდისაგან ჭკუაზე შეიშლები, მაგრამ, როგორც კი გაგახსენდება, რომ ამქვეყნად არსებობს ღვთაებრივი სამგლოვიარო ჰანგები, ჩვენი სულის სიღრმეში რომ პოეზიას დასაბამს, უმაღლესი სიმშვიდე გეუფლება. და აი, ხელახლა ვიწყებთ გულის სწორის ძებნას, რომ კვლავ გვქონდეს იმედი, მომავალშიც განვიცადოთ მსგავსი ტრაგიკული აღმაფრენა.

აი, ის სტრიქონებიც, ჭეშმარიტად პოეტური ძალით რომ გამოხატავენ ჩემს იმდროინდელ გუნება-განწყობას და ასახავენ ჩემში მწუხარებისა და სიხარულის უჩვეულო მონაცვლეობას:



„ჩუ! უდროო დროს ამ ყრუ დიღვეში  
ვინ დაფათურობს ჩუმი ხმაურით?

ეს ვინ მეძახის ხმით საშინელით,  
ვისია ეს ხმა, ხმა საცნაური?  
აქ მუგობარი წვეს სამარეში  
და სული ჩემკენ მოიწვეს მორცხვად,  
მოეფინება ჩემგან ალერსი,  
რაიც დაუპირდი ჯერ კიდევ ცოცხალს.

არა! ეს მისი არაა ლანდი,  
არც მისი ხმაა — ქცეული ორთქლად.  
დიღვეში მისი მეუღლე დადის,  
გულამოსკენილი ტირის და მოთქვამს.  
უნდა რინაღდოს — წამოდგეს, იცის —  
კვლავ სიყვარულის იგება მახე,  
მაგრამ რა ხდება! უყურებს იჭვით,  
სურს, ჩამოხოკოს ფრჩხილებით სახე.

სად მიხვალ ახლა! — ის არის — ცოლი!  
აბორუდა გული, ზღვად იქცა თითქო  
და როგორც ნორჩი, პირველი თოვლი,  
ვგრძნობ მთელს სხეულში სიცოცხლის სიტკბოს.  
ცეკავს და როკავს, მოქრის და მიქრის,  
ბედნიერებით ვივსები სრულით,  
ნაზი სურნელი იფრქვევა ირგვლივ,  
მოეშვა სხეულს, დამძიმდა გული.

მოკვდა ძმობილი... და ჰა, ღვთის მადლი —  
ტკბობა! — სიამე! — ტკივილი მწარე,  
მეუღლე — შვილი — ახალი დარდი!..  
საბრალო გულო, ო, გასკდი ბარემ.  
მთლად ავირიე, მგონი, ვერც ვარჩევ  
მზიარულ ცეკვას და გლოვას მწარეს.  
ო, არა! უნდა განუდგე გამჩენს, —  
ყალბი ნათული მიბრმავებს თვალებს.

განუდ, ცდუნებაჲ ცრუ მოლანდების  
და გზა, გზა მიეც ოცნებას დიადს:  
აწონ-დაწონო უნდა რამდენი —  
უყვარხარ! სძულხარ! — ასეა კია?  
ხმა! არ მეჩვენო, მომწყველლო შხამო,  
მაცდურო ლანდო, ო, მინა, მისმის...  
უნდა გაუიქცე, მუციოს გამო  
გაქცევით უნდა ავილო სისხლი.

სულკურთხეულო! შიშხინა მწკადი,  
შემწჳარი თევზი თუ პურის ყუა —  
შენს თავს მაგონებს, ვოსები დარდით, —  
შენს სიმამაცეს, სიბრძნეს და ჭკუას.  
გგლახ, რომ, ძმარ, ვერაგის ხელით  
შენი სიცოცხლე დასრულდა ასე.  
ვაი, სირცხვილო! ცრემლი მდის ცხელი,  
შურისგებით ვარ ყელამდე სავსე.

დარდი და ბოღმა მაწკება გულზე  
ასე უმწეოდ და უსაშველოდ,  
მაგრამ ვუმაღლი მოწყალე მუზებს,  
რომ მახვევიან გუნდად გარშემო.  
უკეთაც გაუხდი, მადლობა უფალს,  
ჯანიც კარგი მაქვს, თვალიც და ყურიც,  
ყელზედაც აღარ მადგება ლუკმა,  
პოეზიითაც სავსე მაქვს სული.

ო, პოეზიაჲ! შენა ხარ ჩვილი,  
ცით მოუღენილი უმანკო ბავშვი,  
მწუხარებაში ნუგეში ტკბილი  
ფრთების ლაღი და მსუბუქი გაშლით.  
„ო, მურ“, — ძმაკაციც მეძახის ასე,  
„ო, მურ“, — ამბობენ ნაზად ქალები...  
ოი, პოეტო, გული გაქვს სავსე  
სამო დრტვინვით და ნეტარებით“.



დიახ, დიახ, შემოქმედებითი წვა იმდენად საამური აღმოჩნდა, ერთ ლექსს აღარ დაუჯერებოვარ და აღფრთოვანებულმა ასევე ადვილად რამდენიმე შედეგრი შექმენი. მათ შორის ყველაზე საუკეთესო ნიმუშებს აქვე გააცნობდი ძვირფას მკითხველს, მაგრამ განზრახული მაქვს მათი გამოქვეყნება იმ ნაწარმოებებთან ერთად, თავისუფალ დროს რომ ვქმნიდი ხოლმე. ამ მუნასიბებისა და ნაკვესების მართო გახსენებაზეც კი ლამის სიცილით გავიგუდო. ეს ყველაფერი მინდა ერთ წიგნად გამოვცე, სათაურად კი წარვუძღვარო: „შემოქმედებისა და აღმაფრენის ნაყოფი“. ჩემდა საამაყოდ უნდა მოგახსენოთ, რომ თვით ყმაწვილკაცობის წლებშიც კი, როცა ვნებათაღელვა ქარიშხალისაგან შემომიტევდა ხოლმე, არასდროს დამიკარგავს ნათელი გონება თუ ზომიერების ნატიფი გრძნობა, და ყოველთვის ვცდილობდი, დროულად ჩამეხშო ჩემში მოძალებული ქვენა გრძნობები. ამჯერადაც სწორედ ამის წყალობით შევძელი, ამელაგმა მშვენიერი მინასადმი ანაზღად გაღვიძებული ტრფობა. კარგად რომ ავწონ-დავწონე, ვიფიქრე, ჩემი მდგომარეობის კაცისათვის ასე აცუნდრუკება, ცოტა არ იყოს და, უგუნურობაა-მეთქი. გარდა ამისა, გავიკითხ-გამოვიკითხე და შევიტყვე, რომ ეს ჩვენი მინა თურმე ოსტატურად თვალთმაქცობს და თავს იკატუნებს, ვითომ ასეთი მიაშიტი და გულუბრყვილო ვარო, სინამდვილეში კი საკმაოდ თავხედი ვინმე ყოფილა და თურმე შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, ჩვენი საცოდავი ბიჭებისათვის თავისი ბასრი ბრჭყალებით თვალები არ ამოეკორტნა. არაუითარი სურვილი არ მქონდა, ხელახლა მომდებოდა ვნების ცეცხლი, ამიტომაც გულდაგულ ვცდილობდი, ამერიდებინა თავიდან მინასთან შეხვედრა. ამასაც თავი დაუანებოთ და, მისმისი ისე გამომწვევად იქცეოდა და ისე ვნებიანად მიტევდა, შეშინებული იძულებული გავხდი, ოთახში ჩაკეტილიყავი და გარეთ ცხვირი აღარ გამეყო. იმის შიშით, რომ ან ერთს არ შევხვედროდი და ან მეორეს, ამიერიდან ფეხი ამოვიკვეთე სარდაფშიც, სახურავზეც და სხვენზედაც.

ეტყობა, პატრონი კმაყოფილი იყო ჩემი განდევნილი ცხოვრებით ნებას მრთავდა, მის საუარძელზე მოკალათებულიყავ, როცა თავად საწერ მაგიდასთან წიგნებს ჩაჰკირკიტებდა. მეც ხელიდან არ ვუშვებდი შემთხვევას, კისერს წავიგრძელებდი და ვცდილობდი, როგორმე ჩამეხედა წიგნში, ის რომ კითხულობდა. ამრიგად ჩვენ, ესე იგი, მე და ჩემმა პატრონმა, მრავალი შესანიშნავი წიგნი გადავი-

კითხეთ ასე მაგალითად: არპეს „De prodigiosis naturae et artis operibus, Talismanes et Amuleta dictis“,<sup>1</sup> ბეკერის „მოჯადოებული სამყარო“,<sup>2</sup> ფრანჩესკო პეტრარკას „ღირსსახსოვარი საგნების შესახებ“<sup>3</sup> და სხვა მრავალი. წიგნების კითხვამ არაჩვეულებრივად გამართო და ჩემს სულს ახალ-ახალი შთაგონებისათვის საზრდო მისცა.

ერთხელაც ჩემი პატრონი სადღაც წავიდა. მზე ისე საამურად ანათებდა, გაზაფხულის სურნელი ისე მაცდუნებლად იჭრებოდა ფანჯარაში, ჩემი გადაწყვეტილება მთლად დამჟღავნდა და სახურავზე გასეირნება განვიზრახე. მაგრამ, ზემოთ აყედი თუ არა, უმაღლ შვენიშნე მუციუსის ქვროვი, საკვამურის უკან რომ მიმალულიყო, ახლა კი ჩემს შესახვედრად გამოემართა. შეძრწუნებული მქდაკრულივით შევდექი იმის მოლოდინში, აი, ან ახლა, ან ახლა დამატყდება-მეთქი თავს საყვედურისა და წყევლა-კრულვის ქარტეხილი! მაგრამ ნურას უკაცრაჟად, თურმე რა მწარედ ვცდებოდი! მშვენიერ ქვროვს ჭაბუკი ჰინცმანი მოჰყვა ფეხდაფეხ და ქალს ქათინაური ქათინაურზე ესროლა. ისიც შეჩერდა და ჭაბუკს ალერსიანი სიტყვები შეაგება. ერთი სიტყვით, ქალ-ვაჟი ერთობ ალერსიანად მიესალმა ერთმანეთს, მერე კი ისე ჩამიარეს, არც კი მომსალმებიან, ვითომ ვერც დამინახესო. ერთი კია, ჰინცმანი საშინლად დარცხვენილი ჩანდა, თავი ჩაელუნა და თვალები ძირს დაქარა. იმ ქარაფშუტა, კვლევცმა ქვროვმა კი მაინც მესროლა დამცინაჟი მზერა.

აქვე უნდა გამოგიტყდეთ, რომ კატა, — და ეს უპირველეს ყოვლისა მის ფსიქიკას შეეხება, — ერთობ ახირებული და გიჟი ბუნებისაა. აბა, მითხარით, ხომ სიხარულით ცას უნდა ვწეოდი, რომ მუციუსის ქვროვმა სხვა საყვარელი გაიჩინა? მაგრამ არა! თქვენ წარმოიდგინეთ, გულიც კი დამწყდა, ბოლმაც მომერია და ეს ჩუმი გუ-

<sup>1</sup> პეტერ ფრიდრიხ არპე (1682-1748) — გერმანელი ფილოლოგი. მისი ლათინური თხზულება: „ბუნებისა და ხელოვნების საოცარი ქმნილებების შესახებ, თილისმებისა და აუგაროზების სახელით რომ არიან ცნობილი“ (1717), გერმანულ ენაზე 1792 წელს გამოიცა.

<sup>2</sup> ბეკერის „მოჯადოებული სამყარო“ — ბალთაზარ ბეკერი (1634-1698), თავისუფლადმოაზროვნე ლეთისმეტყველი ფრისლანდიიდან, უმიგრაციაში წავიდა პოლანდიაში. წიგნში „მოჯადოებული სამყარო“ (1690-1693) უარყოფდა ეშმაკებისა და აუხულების არსებობას, რისთვისაც ეკლესიიდან განკვეთეს.

<sup>3</sup> ფრანჩესკო პეტრარკა (1304-1374) — იტალიელი პოეტი, ჰუმანისტი. მისი წიგნი „ღირსსახსოვარი საგნების შესახებ“ (1341) წარმოადგენს ძველი რომაელი და თანამედროვე პოეტების ნაკვესებისა და თავად პოეტის ნოულების კრებულს.



ლისტკოვილი ეჭვიანობას წააგაუდა ფრიად. აი, მაშინ კი დაუფიცი, რომ დღეის იქით ჩემი ფეხი აღარ იქნება სახურავზე-მეთქი, რადგან, რამდენადაც მახსოვდა, ყველაზე დიდი შეურაცხყოფა სწორედ იქ ვიგეძე. ჰოდა, ამიერიდან ასე შორს აღარ მივდიოდი სასეირნოდ. ნაცვლად ამისა, შევხტებოდი ფანჯრის რაფაზე, ვეფიცებოდი მზეს და გულის გადასაყოლებლად ქუჩას გავცქეროდი. მერე კი ღრმად ჩავფიქრდებოდი ხოლმე ამ ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე და დიდად კმაყოფილი ვიყავ ჩემი ცხოვრების. ერთი სიტყვით, როგორც იტყვიან, შარი ხეირად მექცა. ვიჯექი განმარტოებით და აი, რას ვფიქრობდი: ნეტავ რა უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ თავში არასოდეს მომსვლია აზრად და არც არასოდეს მქონია სურვილი, სახლის კართან ჩამოვმჯდარიყავი, ანდა ქუჩაში სეირნობა დამეწყო-მეთქი. არადა, ჩემი მოდგმის თითქმის ყველა წარმომადგენელი ყოველგვარი შიშისა და სიფრთხილის გარეშე დაეხეტებოდა გარე-გარე. ჰოდა, ჩემს თავს ვუთხარი, ალბათ, ძალზე სასიამოვნო უნდა იყოს ასე თავისუფლად სეირნობა-მეთქი და იმ დასკვნამდე მივედი, ვინაიდან უკვე მოწიფული კატა მეთქმის და ცხოვრებისეული გამოცდილებაც არ მაკლია, სრულიად აღარ მემუქრება ის საფრთხე, განგებამ ჯერ კიდევ გამოუცდელ ჭაბუკს რომ დამატეხა თავზე, როცა საზოგადოებაში გამომიყვანა-მეთქი; ამიტომაც თამამად დაუყევი კიბეს, მერე კი კარის ზღურბლზე მოვიკალათე და მზეს შევეფიცე. თავი, რა თქმა უნდა, ისე დავიჭირე, კაცი შემომხედავდა თუ არა, მიხვდებოდა, რა ნასწავლი და ზრდილი კატა გახლდით ზღურბლზე ჯდომა საშინლად მომეწონა. ვიდრე მზის სხივები საამურად მელამუნებოდა ბეწვზე, თათი მოვკაკვე და დრუნჩი და წვერ-ულვაში გულდაგულ დაუიბანე. სწორედ ამ დროს გვერდით გოგონებმა ჩამიარეს. უზარმაზარ ჩანთებზე ეტყობოდათ, სკოლიდან ბრუნდებოდნენ. დამინახეს თუ არა, აღფრთოვანებული შემომეგებნენ, მერე კი ფუნთუშაც შემომთავაზეს. მეც ჩვეული თავაზიანობით უღრმესი მადლობა მოვახსენე.

ჩვეულებრივ, საჩუქრის მიღება უფრო მახარებდა ხოლმე, ვიდრე მისი შესანსვლა, მაგრამ წარმოიდგინეთ, რაოდენ დიდი იყო ჩემი შეძრწუნება, როცა მოულოდნელად ხმამაღალი ღრუნა მომესმა. გუნება მყისვე გამიფუჭდა. ჩემ წინ ის ზორბა მოხუცი დაუინახე: პუდელი სკარამუში გახლდათ, პონტოს ბიძად რომ მოხვდებოდა.

ვიფიქრე, თავქუდმოგლეჯილი გავვარდები აქედან-მეთქი, მაგრამ სკარამუშმა დამიყვირა:

— აბა, აბა, ლაჩრობას თავი დაანებე და მანდ წყნარად იჯექი! შენ რა, იქნება გგონია, შესანსვლას გიპირებ?

ძალიან მორჩილად და თავმდაბლად ვკითხე, ბატონო სკარამუშ, ჩემისთანა არარაობა რით შეუძლია ემსახუროს ისეთ პატივცემულ პიროვნებას, როგორიც თქვენ ბრძანდებით-მეთქი.

— აბა, შენ რა სამსახური უნდა გამიწიო, ბატონო მურ. ამაზე ფიქრიც კი სისულელეა. მაგრამ ერთი შენთვის მინდოდა, მეკითხა, ხომ არ იცი, სად ჯანდაბაშია გადაკარგული ის ჩემი ნამუსგარეცხილი ძმისწული, ჭაბუკი პონტო? ვგონებ, ერთხანს სულ ერთად დახეტილებდით და ჩემდა გულის გასახეთქად, ძმაკაცებიც კი ბრძანდებოდით! პოდა, იქნებ იცი, სად დაეთრევა ის არამზადა? აი, უკვე რამდენიმე დღეა, თვალი აღარ მომიკრავს მისთვის.

ამ ჯაჯღანა მოხუცის გულზვიადმა და აგდებულმა კილომ საშინლად შეურაცხმყო. ამიტომ ძალზე ცივად მიუუგე: ჩემი და ჭაბუკი პონტოს ძმაკაცობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია; ჩვენ შორის არასოდეს ყოფილა ასეთი ახლო მეგობრობა; ამ ბოლო ხანებში კი სრულიად ჩამომცილდა და თავად მეც არცთუ მაინცდამაინც დიდად ველტვი მასთან შეხვედრას-მეთქი.

— აი, შენ გაგახარა ღმერთმა, ძალიან კი მააბე, — წაიდუდღუნა ბებერმა, — კიდევ რალაცის იმედი შეიძლება ჰქონდეს კაცს, როცა ხედავს, რომ ბიჭს მთლად არ დაუკარგავს სირცხვილ-ნამუსი და ყველა ვიგინდარას თავს არ უყადრებს.

ამის ატანა კი უკვე აღარ ძალმიძდა. სიბრაზე მომერია, ამაყ ბურშს ასე როგორ შემიღახეს თავმოყვარეობა-მეთქი. ვისლა ახსოვდა შიში! აღშფოთებული მიუბრუნდი საზიზღარ სკარამუშს და ბებერო ხეპრევ-მეთქი, პირდაპირ სახეში მივახალე, თან ბრჭყალებ-გამოწვდილი მარჯვენა თათი მარცხენა თვალში მოუუქნიე. ახლა კი იკადრა ბებერმა და რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია, მერე ცოტა მომბაღმა მითხრა:

— აბა, აბა, მურ, ჩემს ნათქვამს საწყენად ნუკი მიიღებთ! საერთოდ, ცუდი კატა არ უნდა იყოს და ამიტომ, აი, რა მინდოდა მერჩია თქვენთვის: ყოველნაირად ერიდეთ იმ ყაჩაღანა პონტოს! მერწმუნეთ, ბუნებით კი პატიოსანი ბიჭია, მაგრამ ქარაფშუტაა, და ამიტომ



მაც კაცმა არ იცის, როდის რა ოინბაზობას ჩაიდენს; ცხოვრებას, მოგეხსენებათ, აგდებულად უყურებს, არაჟითარი ადათ-წესი მისთვის არ არსებობს! ყურად იღეთ ჩემი რჩევა და ერიდეთ ამ ყმაწვილს; იცოდეთ, სულ მალე თქვენთვის მთლად მიუღებელი წრის ხალხთან დაგატყრინებთ საქმეს. აი, მაშინ კი მოგიხდებათ ძალის დაძაბვა, რომ შეეჩვიოთ მაღალ საზოგადოებაში ტრიალსა და მისთვის გუნდრუკის კმეკას. და ეს მაშინ, როცა ამ წრის აზრები და მსოფლმხედველობა სავსებით უცხოა თქვენი ბუნებისათვის; ამიტომ ეს ყველაფერი დამღუპველად იმოქმედებს თქვენს უბრალო და სამართლიან ცხოვრებისეულ მრწამსზე; ხოლო ეს რომ ნამდვილად ასეა, ამაში ეს-ეს არის, თავად დაერწმუნდი. ძვირფასო მურ, კატის კვალობაზე ძალზე პატოსაცემი პიროვნება ბრძანდებით, ამის შესახებ უკვე მოგახსენეთ ჩემი აზრი; პოდა, ახლა იმასაც ეხედავ, რომ მშვენიერად გცოდნიათ ბრძნული რჩევა-დარიგების ფასი და ყადრი! ახლა კი აი, რისი თქმა მინდოდა: რა ანცი და გიჟმაჟიც უნდა იყოს ახალგაზრდა კაცი, როგორადაც უნდა თავნებობდეს და ოინბაზობდეს, ხანდახან მასში მაინც იჩენს ხოლმე თავს საოცარი გულჩვილობა, მე ვიტყვოდი, ზედმეტი გულკეთილობაც კი, რაც ესოდენ დამახასიათებელია სანგვინიკური ბუნების კაცისათვის. მოგახსენებთ, ასეთ შემთხვევაში ფრანგულ გამოთქმას მოიშველიებენ ხოლმე და ამბობენ: *Au fond*,<sup>1</sup> რაც უნდა იყოს, კეთილი ბიჭიაო, აი, ყმაწვილკაცს მაშინ კი ეპატიება ყველა დანაშაული, რასაც ჩაიდენს ადათ-წესებისა და წესრიგის წინააღმდეგ. მაგრამ ეს „ფონდ“, რომელშიც სიკეთის მარცვალია მოთავსებული, თავად ისე ღრმად არის სადღაც მიმაღული და აღვირახსნილი ცხოვრების იმდენი სიბილწითაა გაჟღერითილი, ჩანასახშივე დასაღუპავად არის განწირული. დიახ, ჭეშმარიტი სიკეთის ნაცვლად ხშირად ამ მოგონილ გულკეთილობას გთავაზობენ ხოლმე. ეშმაკმა დალახვროს მაგისი თავი, რამეთუ მისი წყალობით გვერთმევა უნარი, ბრწყინვალე ნიღაბს ამოფარებული ბოროტი სული ამოვიცნოთ ო, კატავ, ენდე ბებერი პუდელის გამოცდილებას; მის თავზე ცხოვრებაში ბევრ ქარტეხილს გადაუვლია! ნუ გაისულელებ თავს, როცა იტყვიან, *Au fond*, რაც უნდა იყოს, კეთილი ბიჭიაო! თუკი იმ ჩემს გათახსირებულ ძმისწულს ნახავთ, შეგიძლიათ

<sup>1</sup> სერიოზო ჯამში, ძირითადად (ფრანგ.).

სიტყვასიტყვით მოახსენოთ, რაც აქ გითხარით! ჩემი რჩევა იქნება, საერთოდ გაწყვიტოთ მასთან ყოველგვარი შეკობრობა. აბა, თქვენ იცით, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ! ამის მირთმევას კი, გეტყობათ, აღარ აპირებთ, არა, ჩემო ძვირფასო მურ?

ამის თქმა იყო და პონტოს ბებერმა ბიძამ ხარბად ჩააგლო კბილები ჩემ წინ დაგდებულ ფუნთუშას, მერე კი გაბანჯგელული ყურების ბარტყუნითა და კუდის ქიცინით თაყნალუნული გაუყვა გზას.

ჩაფიქრებულმა გაგაყოლე თვალი ნელი ნაბიჯით მიმაკალ ბერიკაცს. მისი ბრძნული სიტყვები ღრმად ჩამებეჭდა გონებაში.

— ბოლოს და ბოლოს, წავიდა, სულ წავიდა? — ჩამესმა ზურგს უკან ვიღაცის ჩურჩული. წარმოიდგინეთ, რაოდენ დიდი იქნებოდა ჩემი გაკვირვება, როცა წინ ჭაბუკი პონტო ამეტუზა! თურმე კარს უკან მოფარებული ელოდა, როდის წავიდოდა ბიძამისი. მოულოდნელად გამოჩენილი პუდელის დანახვაზე, ცოტა არ იყოს, შევცბი. აღარ ვიცოდი, როგორ მოექცეულიყავ. მოხუცი ბიძის დანაბარების შესრულება, იმ ვაჟბატონს უკლებლოვ გადაეცი ჩემი თითოეული სიტყვაო, ამჟამად, ცოტა არ იყოს, სახიფათოდ ჩავთვალე. მერე პონტოს ის შემზარავი მუქარაც გამახსენდა: „იცოდე, გირჩევნია, რაიმე ავი ზრახვა არ ჩაიდო გულში, თორემ მშვენიერად მოგეხსენება, შენზე ძლიერიცა ვარ და მოქნილობაშიც ტოლს არ გიდებ, საკმარისია, ერთი ჩემებურად ვისკუპო და ბასრი კბილები გაგკრა, რომ მყისვე შავი დღე დაგადგება!“ — ჰოდა, მეც ჭკუას მოუხმე და გაჩუმება ვამჯობინე.

არ ვიცი, ამ ჭოჭმანის ბრალი იყო, თუ რა, ეტყობა, ძმაკაცს გულცივად და დაძაბულად შევხვდი. პონტომ ერთი კი მესროლა თავისი მახვილი მხერა, მაგრამ მერე გულიანად გადაიხარხარა და წამოიძახა:

— მივხვდი, ყველაფერს მივხვდი, ჩემო მურ! ღმერთმა უწყის, ბებერმა ქოფაკმა რა საშინელებები მოგიყვა ჩემზე, არა? ალბათ, გითხრა, ეგ ჩემი პატიოსანი ძმისწული ისეთ აღვირახსნილ ცხოვრებას ეწევა, კაცის ენა ვერ აღწერსო! ვიცი, იმასაც გეტყოდა, გარყვნილების წუმპეშია ჩაფლულიო. ერთი სიტყვით, ეშმაკმა უწყის, რა სისულელეები არ მოჩმახა! მაგრამ არ გასულელდე და მისი არც ერთი სიტყვა არ დაიჯერო! აბა, ერთი დაკვირვებით შემომხედე და მითხარ, როგორი ბიჭი ვარ გარუგნობით?



მართლაც გულდასმით ავთავალიერ-ჩავთვალერიუ ჭაბუკი პონტო და დავასკვენი, რომ არასოდეს ჰქონია ასეთი ბრწყინვალე შესახედაობა, არასოდეს სცმია ჯგზომ ლამაზი კობტა ტანსაცმელი, ერთი სიტყვით, ჩემი ძმაკაცი არასოდეს მჩვენებია ესოდენ უზადო და სრულყოფილი. მეც, რა თქმა უნდა, პირუთვნელად მოვახსენე ჩემი აზრი ამის თაობაზე.

— კუთილი და პატიოსანი, ჩემო კარგო მურ, — მითხრა პონტომ, — ერთი წუთით, დავუშვათ, რომ მართლა ცუდ წრეში ვტრიალებ, გარყვნილების წუმპეში ვარ ჩაფლული და აღვირახსნილ ცხოვრებას ვწევი, თანაც იმიტომ კი არა, რომ ამაში რაღაც სიამოვნებას ვპოულობ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მოწყენილობას დაუღწიო თავი და დრო როგორმე მოკლა, როგორც ამას ბევრი პუდელი სჩადის. კი ბატონო, დაე, ყველაფერი ასე იყოს, მაგრამ, ნუთუ ფიქრობ, რომ ასეთ ძაღლს შეიძლებოდა ჩემისთანა გარეგნობა ჰქონოდა? განა თავად არ აღნიშნე, საოცრად დახვეწილი და უზადო შესახედაობა გაქვსო? ეს კმარა იმისათვის, რომ მიხვდე, თუ რა მწარედ ცდება ჩემი გულღვარძლიანი ბიძა. ჰოდა, ვინაიდან ლიტერატურაში კარგად ჩახედული კატა ბრძანდები, ბარემ ერთი ბრძენის ამბავიც გაიხსენე. გახსოვს, ვიღაცა თურმე საშინლად კიცხავდა მრუშებს, განსაკუთრებით კი იმას უყიჟინებდა, არასრულყოფილი და არაჰარმონიული გარეგნობის პატრონები ბრძანდებიანო. აი, მაშინ მიუბრუნდა ეს ჩვენი ბრძენი იმ მაჟან განმჭიქებელს და მიუგო: „განა კი სადმე გინახავთ ჰარმონიული სიმრუშეო?“<sup>1</sup> ერთი წუთითაც ნუ გაგიკვირდება, ჩემო მურ, ჩემმა ბებერმა ასე რომ გამაშაჟა. მოგეხსენება, რა ღვარძლიანი და ძუნწია ყველა ბიძა. ახლა იმასაც მოგახსენებ, ბიძაჩემმა მთელი თავისი ბოღმა და ბაღღამი ჩემზე რატომ გადმონათხია. ბებერს ნაცნობი ბაყალისთვის ჩემ მაგიერ უნდა გადაეხადა მცირეოდენი ვალი par honneur.<sup>2</sup> ეს ბაყალი აზარტული თამაშობების ნებას გვრთავდა და მოთამაშეებს სესხსაც გვაძლევდა ტვინითა და ღვიძლით გატენილი ძეხვების სახით. ბებერს ვერა და ვერ დაუვიწყებია ჩემი ცხოვრების ის ხანა, როცა მართლა საშინ-

<sup>1</sup> „აი, მაშინ მოუბრუნდა ეს ჩვენი ბრძენი იმ მაჟან განმჭიქებელს და მიუგო: „განა კი სადმე გინახავთ ჰარმონიული სიმრუშეო?“ — მინიშნება დიდროს (1713-1784) წიგნზე „რამოს ძმისწული“.

<sup>2</sup> ღირსებისათვის (ფრანგ.).

ლად ვიქცეოდი და სამართლიან გაკიცხვასაც ვიმსახურებდი. ის დრო დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა და დღეისათვის შემძლია თამამად ვთქვა, რომ მეც კაცი მქვია.

სწორედ ამ დროს ერთმა თავხედმა პინჩერმა ჩაგვიარა. ჩემს დანახვაზე თვალები ისე გადმოქაჩა, თითქოს კატა ჯერ არ ენახა და თავზე უშვერი ლანძღვა-გინება გადმომანთხია. მერე კი ამ ჩემს ნარნარად გაბზეკილ კუდში მწვდა, ეტყობოდა, მაინცდამაინც არ მოუვიდა თვალში. მაგრამ, ვიდრე ტანს შევმართავდი და თავდაცვისათვის მოვეშხადებოდი, პონტო უკვე ეკვეთა თავზე ხელალებულ ჩხუბისთავს, თავისებურად სათებში ჩაბუბნა და რამდენჯერმე ისე დააწყვიტა მიწაზე, ჩემი მოწინააღმდეგე საწყალობელი ვიშვიპით გაიბურწა. ჰოდა, პონტოს ვაჟკაცურმა გამოსარჩლებამ და მეგობრულმა თავდადებამ ძალზე ამიჩუყა გული. ვიფიქრე, Au fond, რაც უნდა იყოს, კეთილი ბიჭია-მეთქი. ამ წინადადების მნიშვნელობა ამკარად არასწორად ამიხსნა ბიძია სკარამუშმა; ისე კი, ცხადია, უფრო უკეთესი იქნება, თუ კაცი ამ გამოთქმას პონტოს მიმართ იხმარს და არა სხვა ვინმეს მიმართ. პონტო ისეთი ბუნების ბიჭია, კაცმა მას ნებისმიერი დანაშაული შეიძლება შეუნდოს და აპატიოს. მერე ისიც კი გადავიფიქრე, ეტყობა, ბებერი ამქვეყნად ყველაფერს მრუმე ფერებში ხატავს და მიუხედავად იმისა, რომ პონტო ძალზე ქარაფშუტა ყმაწვილია, ბოროტების ჩადენა მაინც არ ძალუძს-მეთქი. ჩემი პირუთვნელი აზრი მეგობარს პირდაპირ მოვახსენე და გამოსარჩლებისათვის თავაზიანი მადლობაც გადაუხადე.

— ძალზე მოხარული ვარ, საყვარელო მურ, — მომიგო პონტომ და თვალები თავისებურად მხიარულად აუციმციმდა, — ბებერმა პედანტმა შენი შეცდომაში შეყვანა რომ ვერ მოახერხა, შენ კი იმის უნარი აღმოგაჩნდა, ჩემი სიკეთე დაგენახა. მართალი მითხარი, მურ, ხომ გვარიანად შევახურე ის გათავხედებული ლიფსიტა? არა უშავს, დიდხანს ვეღარ დაივიწყებს ჭაბუკ პონტოს! ისე, კაცმა რომ თქვას, დღეს მთელი დღეა მაგ არაშხადას ვყარაულობ: გუშინ საღამოს ძეხვის ნაჭერი ამწაპნა და ვაღდებულნი გახლდათ, ამისათვის ჯეროვანი პასუხიც ეგო, ხოლო რაც შეეხება იმას, რომ შენ მაგოვრადაც მოვიოხე გული, შური ვიძიე და ამით შესაძლებლობა მომეცა შენთვის ჩემი მეგობრობა დამემტკიცებინა, ეს მხოლოდ და მხოლოდ მსია-მოუნებს და გულს სიხარულით მოვსებს; იმ ანდაზისა არ იყოს და,



ორი კურდღელი ერთბაშად დავიჭირე. ახლა კი, მოდი, კვლავ ჩვენს საუბარს დაუბრუნდეთ. აბა, ერთხელ კიდევ შემომხედეთ, ოღონდ ძალიან დაკვირვებით, და მითხარ, ჩემს გარეგნობაში რაიმე ცვლილებებს ხომ ვერ ამჩნევ?

მე კვლავ გულდასმით აუთვალეირ-ჩაუთვალეირე ჩემი ჭაბუკი მუგობარი და დახეთ! მხოლოდ ახლადა შევნიშნე მის ყელზე ჩამობმული ვერცხლის კოხტა სახელი, რომელზედაც ამოტვიფრული იყო: „ბარონი ალკიბიადე ფონ ვიპი, მარშალშტრასე, 46“.

— პონტო, ეს რა მესმის! — წამოვიძახე გაოცებულმა, — ნუთუ ესთეტიკის პროფესორი მიატოვე და ბარონთან გადაბარგდი?

— რომ გითხრა, ჩემი ნებით მივატოვე ძველი პატრონი-მეთქი, ტყუილი გამოძევა, — მომიგო პონტომ, — აი, როგორ მოხდა ეს ყველაფერი: პროფესორმა ჯერ გემრიელად მიმბუგვა, ფერდები გვარიანად ჩამიზილა წიხლებით, მერე კი ქუჩაში გამომიძახა.

— ნუთუ მართლა! — ვკითხე გაოცებულმა, — რამდენადაც მახსოვს, პატრონს ძალიან უყვარდი და პატოსაც გცემდა?

— ოჰ, — წამოიძახა პონტომ, — ნუღარ გამახსენებ ამ სულელურ და არასასიამოვნო ამბავს. კიდევ კარგი, ბედმა გამიღიმა და ყველაფერი კეთილად დამთავრდა. მთელი უბედურების მიზეზი კი ჩემი სულელური მიაშიტობა გახლდათ, რომელსაც პატომოყვარე ბაქიაობა და ტრაბახიც ემატებოდა. ძალიან ვცდილობდი, რაც შეიძლება ყურადღებიანი ვყოფილიყავი ჩემი პატრონის მიმართ და, ცოტა არ იყოს, თავიც მომქონდა ჩემი მოხერხებულობითა და სწავლა-განათლებით. ასე მაგალითად, ძალიან მინდოდა პროფესორის გული მომეგო და ყოველგვარი თხოვნისა და ბრძანების გარეშე მივურბენინებდი ხოლმე იატაკზე გაბნეულ ნივთებს. ალბათ, გაგონილი გექნება, რომ პროფესორ ლოტარიოს ახალგაზრდა, ათქვირებული ცოლი ჰყავს; პირდაპირ კალმით ნახატი მზეთუნახავია. ეტყობა, ქალს ძალზე ნაზად უყვარდა თავისი მეუღლე; პროფესორსაც არავითარი საბაბი არ ჰქონდა, ეჭვქვეშ დაეყენებინა თავისი ლამაზი ცოლის გრძნობა, რამეთუ ქალი ყოველ ნაბიჯზე სიყვარულს ეფიცებოდა. განსაკუთრებით კი მაშინ გაუცხოველდებოდა ალერსის სურვილი, როცა პროფესორი წიგნებს ჩაუჯდებოდა და მორიგი ლექციისათვის მზადებას შეუდგებოდა. ჩემი ლამაზი დიასახლისი შესანიშნავი მეოჯახე გახლდათ; სახლიდან თორმეტ საათზე ადრე არასოდეს გა-

მოადგამდა ფეხს. ლოგინიდან კი თერთმეტის ნახევრამდე არ წამოდ-  
გებოდა. ჩემს პატივცემულ ქალბატონს არასოდეს ეჩოთირებოდა,  
თავისი მზარეული ანდა მოახლე გაუხადა გულის მესაიდუმლედ და  
ამავე დროს მშვენივრად სარგებლობდა მათი ქისებით. ამის მიზეზი  
კი ის გახლდათ, რომ როგორც წესი, მთელი კვირის სანოუგისათ-  
ვის გათუალისწინებულ თანხას თვალის დახამხამების უმაღლეს  
წილად არადანიშნულებისამებრ გააქრობდა, პროფესორისთვის ფუ-  
ლის ხელმეორედ თხოვნა კი ვეღარ გაეებდა ხოლმე. მოახლეებისგან  
აღებული სესხის პროცენტებს ჩემი ქალბატონი თითქმის მთლად  
უხმარი კაბებისა და ქუდეების სახით გასცემდა. ჩვენი მოახლე გოგო  
კვირა დღეს პროფესორის მეუღლის სამოსში გამოწყობილი მედი-  
დურად აუვლიდა და ჩაუვლიდა სასეირნოდ გამოსულ სხვა მოსამ-  
სახურე გოგოებს, მის დანახვაზე გაოცებას რომ ვერ მალავდნენ.  
ეტყობოდა, ასე გულუხვად ჩვენს მოახლეს ქალბატონი რაღაც საი-  
დუმლო სამსახურისთვის ასაჩუქრებდა.

ამ ყოველმხრივ შემკულ მშვენიერ ბანოვანს ერთი ახირებული ზნე  
სჭირდა, თუკი ამას ახირებული შეიძლება უწოდოს კაცმა. სახელ-  
დობრ, აი, რა: დღედაღამ იმაზე ფიქრით იყო შეპყრობილი, უკანას-  
კნელ მოდაზე ყოფილიყო ჩაცმული. საოცარია პირდაპირ, ყველაზე  
მოხდენილ და ძვირფას სამოსსაც კი სულ მალე ეკარგებოდა მის  
თვალში ფასი; საკმარისი იყო ერთსა და იმავე კაბასა თუ ქუდში სამ-  
ჯერ-ოთხჯერ ენახა ხალხს, ანდა ძვირფასი თურქული შალი ერთი  
თვე მაინც ეტარებინა, რომ აითვალწუნებდა და გროშებად გაყიდ-  
და, ან არა და, როგორც უკვე გითხარით, თავის მოახლეებს დაასა-  
ჩუქრებდა ხოლმე. ის ამბავი, რომ ესთეტიკის პროფესორის მეუღ-  
ლეს ნატიფი გემოვნება და სილამაზის აღქმის გამორჩეული უნარი  
ჰქონდეს, ეგონებ, სრულიად არ უნდა იყოს გასაკვირი. პატივცე-  
მულ პროფესორს უნდა უხაროდეს, როდესაც მისი ლამაზი ცოლი  
თავის ესოდენ ნატიფ გემოვნებას იმაში ამჟღავნებს, რომ ცეცხლო-  
ვან მზერას შეაუღლებს ხოლმე ახოვან ჭაბუკებს და ხანდახან საპასუ-  
ხო მზერის დაჭერასაც კი ლამობს. ხშირად შემიმჩნევია, ლექციაზე  
მოსულ თავაზიან ყმაწვილკაცებს როგორ აბნევიათ გზა-კვალი<sup>1</sup> და

<sup>1</sup> „ლექციაზე მოსულ თავაზიან ყმაწვილკაცებს როგორ აბნევიათ გზა-კვალი“ —  
პოფმანის დროს უნივერსიტეტის პროფესორები ხშირად თავიანთ ბინაში უკითხავდნენ  
ხოლმე სტუდენტებს ლექციებს.



პროფესორის სამუშაო ოთახის ნაცვლად ქურდულად მისი ლამაზი მეუღლის ოთახის კარში უხურწიათ თავი. ღმერთო, შეგცოდე და, ეჭვიც კი შემპარვია, კარი განგებ ხომ არ ეშლებათ-მეთქი. ასე იყო თუ ისე, ერთ რამეს აშკარად ვამჩნევდი: შეცდომის გამოსწორებას არაუინ ცდილობდა. გზააბნეული ჭაბუკები ჩვეულებისამებრ კარგა ხანს რჩებოდნენ პროფესორის მეუღლის ოთახში და ბოლოს და ბოლოს ისეთი ნეტარი და კმაყოფილი სახით გამოდიოდნენ, კაცი იფიქრებდა, ამ ლამაზი ბანოჯანის მონახულება სწავლას მოწყურებული ყმაწვილებისათვის ისევე სასარგებლოა და სასიამოვნო, როგორც ესთუტიკის ლექციაზე დასწრებაო. უნდა გითხრა, რომ მშვენიერი ლექცია — ასე ერქვა პროფესორის მეუღლეს, — არცთუ მაინც-დამაინც მწყალობდა. აშკარად ვერ იტანდა, როცა თავის ოთახში შესულს დამინახავდა ხოლმე, და კაცმა რომ თქვას, თავისებურად მართალიც იყო; თვით ყველაზე ზრდილი პუდელის შესვლაც კი არ არის მიზანშეწონილი იქ, სადაც მან, შეიძლება ვერ გაუძლოს ცდუნებას და ნაკუნ-ნაკუნად აქციოს ყოველ ნაბიჯზე გაბნეული მაქმანები, ანდა დასვაროს სკამებზე მიყრილ-მოყრილი ტანსაცმელი. მაგრამ ერთხელაც იყო და, ბოროტმა ბედისწერამ მის ბუღუარში ამომაყოფინა თავი.

ერთ მშვენიერ დღეს პროფესორმა სადილზე ზომაზე მეტი ღვინო გადაკრა და მეტისმეტად აცუნდრუკდა. ნასადილვეს მერე ჩვეულებისამებრ თავის სამუშაო ოთახში ჩაიკეტებოდა ხოლმე, ამჯერად კი შინ დაბრუნდა თუ არა, პირდაპირ ცოლის ოთახისაკენ გაეშურა. თავადაც არ ვიცი, წერამ თუ ამიტანა, ფეხდაფეხ მიფეხვი ჩემს პატრონს. პროფესორის მეუღლე თოვლივით თეთრ პენუარში გამოწყობილიყო. ქალის ერთი შეხედვით თითქოსდა დაუდევარ ჩაცმულობაში კაცი აშკარად იგრძნობდა ნატიფ გემოვნებას, რომლისთვისაც ესოდენ დამახასიათებელია გარეგნული სისადავე და უბრალოება. ეს კი, მოგეხსენებათ, კარგად შენიღბულ მტერზე უფრო სახიფათოა. ჩემი ქალბატონის შეხედვას მართლაც რომ არაფერი სჯობდა და ოდნავ შეჭიკჭიკებულმა პროფესორმა მისი მშვენიერება ისეთი ძალით შეიგრძნო, როგორც არასდროს. აღტაცებული და ტრფობის აღმოდებული ათასნაირ სააღერსო სახელს უწოდებდა თავის მზეთუნახავს, ნაზად ეფერებოდა და სრულიადაც ვერ ამჩნევდა, რომ ქალის საქციელში რაღაც დაბნეულობა, მოუსვენრობა და უკმაყოფი-

ლება გამოსჭვიოდა. მერე ის იყო, ისედაც აღზნებული ესთეტიკოსი სულ უფრო და უფრო შეიპყრო ვნებათაღელვამ და ჩემთვის ძალზე არასასიამოვნო და მძიმე გახდა ყოველივე ამის ყურება. ვიფიქრე, თავს როგორმე შევიქცევ-მეთქი და ჩემებურად დავიწყე ოთახში ბოლიაღი. და სწორედ იმ დროს, როდესაც ნეტარებისაგან თავბრუდახვეულმა პროფესორმა შესძახა: „ღვთიურო, შეუდარებელო, განუმეორებელო არსებაჲ, მომიახლოდით“, მე უკანა თათებზე შემდგარი ნარნარი რხევით მიუახლოვდი ჩემს პატრონს, და როგორც ასეთ შემთხვევებში მჩვეოდა ხოლმე, კულის ქიციანით გადავეცი მამაკაცის ვეითული ტყავის ხელთათმანი, საყარძლის ქვეშ რომ აღმოვაჩინე.

პროფესორი ხელთათმანს დააშტერდა და თითქოს ბურანიდან გამოერკვაო, წამოიძახა: „რა არის ეს? ვისი ხელთათმანია? როგორ მოხვდა შენს ოთახში?“ მერე ხელთათმანი კბილებიდან გამოშვლივს, გულდასმით დაათვალიერა, ცხვირთან მიიტანა და კვლავ შესძახა: „ხმა ამოიღე, ლექტიცია, საიდან გაჩნდა აქ ეს ხელთათმანი? ახლავ მითხარი, ვინ ბრძანდებოდა შენთან?“ — „ხანდახან რა უცნაური ხარ ხოლმე, ძვირფასო ლოთარ! — არცთუ მაინცდამაინც მტკიცე ხმით შეეპასუხა ქმარს შემცბარი ლექტიცია, თან ამაოდ ცდილობდა უხერხულობა დაემალა, — ვისიაო ეს ხელთათმანი, ვგონებ, მკითხე, არა? დღეს ჩემთან მაიორის მეუღლე ბრძანდებოდა სტუმრად და იმას თუ დარჩა. წასვლისას ბევრი ეძება, მაგრამ ვერსად ნახა და იფიქრა, ალბათ, კიბეზე დამივარდაო“. — „რაო, რაო, მაიორის მეუღლეო? — დაიღრიალა გამძვინვარებულმა პროფესორმა, — გინდა თქვა, რომ ეს ხელთათმანი იმ პატარა, ნაზ ქალს ეკუთვნის? მას ხომ მთელი ხელი ჩაეტევა ამ ხელთათმნის მარტო ერთ თითში! დალახვროს ეშმაკმა! ვინ იყო ის გადაპრანჭული რუგვენი?! დახე, თან რა სურნელოვანი საპნის სუნი ასდის ამ ოხერ ხელთათმანს! უბედურო, გირჩევნია, მითხრა, ვინ გყავდა აქ? რა ჯოჯოხეთურმა ძალამ დაძინგრია ბედნიერება და მყუდროება, უნამუსო, როსკიპო დედაკაცო!“

ის-ის იყო, პროფესორის მეუღლეს გული უნდა წასვლოდა, რომ სწორედ ამ დროს მოახლე გოგო შემოვიდა. მისმა დანახვამ ძალიან გამახარა, რადგან მინდოდა ცოლ-ქმრის საბედისწერო შეხლა-შემოხლისათვის თავი ამერიდებინა, რის მიზეზიც, როგორც უკვე გითხარ, თავად გახლდი. ამიტომ კარი გაიღო თუ არა, უძალ გარეთ გამოვიძურწე.



მეორე დღეს პროფესორს ბოლბისაგან დანა პირს არ უხსნიდა და ძალზე ჩაფიქრებული ჩანდა. ეტყობოდა, თავში ერთადერთი ფიქრი უტრიალებდა და ერთადერთი აზრი უღრღნიდა ტვინსა და გონებას: „ვინ უნდა იყოს, ვინ შეიძლება იყოს იგიო?“ აი, ეს სიტყვები დროდადრო თავისდა უნებურად აღმოხდებოდა ხოლმე საბრალოს. საღამო ჟამს პროფესორმა ხელში ხელჯოხი და ქუდი აიღო. ახლოს მივიჭერ და სიხარულით შევეყეფე. მან ჯერ კარგა ხანს მიყურა, მიფურა, თვალები კამკამა ცრემლებით აფსო და დარდისაგან გულმოკლულმა ესლა მითხრა: „ჩემო კარგო პონტო, ჩემო უანგარო, ერთგულო მეგობარო“, მერე კი სწრაფი ნაბიჯით ჭიშკრისაკენ გაემურა. მეც ფეხდაფეხ დავედევნე. ვიფიქრე, ძალ-ღონეს არ დავიშურებ, რაც კი შემიძლია ვიოინბაზებ, რომ როგორმე გაგამხიარულო ჩემი პატრონი-მეთქი. ჭიშკარში გავედით თუ არა, იქვე ქუჩაში ბარონი აღკიბიადე ფონ ვიპი შემოგვხვდა, ჩვენს ქალაქში ერთ-ერთ ფველაზე პეწენიკ მამაკაცად რომ იყო ცნობილი. ახლა ბარონი ლამაზ ინგლისურ ცხენზე გადამჯდარი დასეირნობდა ქუჩაში წინ და უკან. პროფესორს თვალი მოჰკრა თუ არა, მყისვე ჩვენკენ გამოვირითდა და ჩემი პატრონი ოჯახობით მოიკითხა. პროფესორს აშკარად წაუხდა საქციელი და თავისთვის რაღაც წაიბურტყუნა. „დიახ, დიახ, დღეს მართლაც კარგა გვარიანად ჩამოცხა“, — თქვა ბოლოს ბარონმა და ქურთუკის ჯიბიდან აბრეშუმის ხელსახოცი ამოიღო, ხოლო ხელთათმანი, ხელსახოცს შემთხვევით ჯიბიდან რომ ამოაფოლა, მიწაზე დაუვარდა. მეც, რაღა თქმა უნდა, აღარ დამიყოვნებია, როგორც საერთოდ შჩვევია, პირი დავაუღე და უმაღლ ჩემს პატრონს მივუცუნცულე. პროფესორმა ელვის სისწრაფით გამომგლიჯა კბილებიდან ხელთათმანი და წამოიძახა: „ეს ხელთათმანი თქვენი ხომ არ გახლავთ, ბატონო ბარონო?“ — „რასაკვირველია, — მიუგო პროფესორს მისი მოულოდნელი სიფიცხით, ცოტა არ იყოს, გაცოცხლებლმა ბარონმა, — თუ არ ვცდები, ხელთათმანი ჯიბიდან უნდა ამომვარდნოდა, თქვენმა პუდელმა კი თავაზიანად მოგაწოდათ იგი“. — „ასეთ შემთხვევაში, — მკვახედ უპასუხა პროფესორმა, — დიდ პატივს დამდებოთ, თუკი ნებას დამრთავთ, დაგიბრუნოთ ამ ხელთათმნის მეორე ცალიც, რომელიც გუშინ დაკარგეთ“, — ესა თქვა თუ არა, პროფესორმა ბარონს თავის ცალ ხელთათმანთან ერთად მეორეც გაუწოდა, სწორედ ის, გუშინ მე სავარძლის ქვეშ რომ

ვიპოვე. პროფესორს აღარ დაუცდია, რა პასუხს გასცემდა შემცბარი ბარონი, თავქუდმოგლეჯილი გაეცალა იქაურობას.

რალა თქმა უნდა, თავში აზრადაც აღარ მომსვლია, ჩემს პატრონს მისი ძვირფასი მეუღლის ოთახში შევეყოლოდი, რადგან გული მიგრძნობდა ქარიშხლის მოახლოებას. და მართლაც, სულ მალე, გრგვინვა და ჭექა-ქუხილი უკვე წინკარში აღწევდა. აი, სწორედ აქ მოვიკალათე და კუთხეში მიმჯდარი ყურს ვუგდებდი, როდის გაჟარდებოდა მუხი. მალე დავინახე, სახეალწილმა და საშინლად განრისხებულმა პროფესორმა, კინწისკვრით როგორ გამოაგდო მოახლე გოგო, ხოლო, როცა ამ უკანასკნელმა ენის ტლიკინი არ დაიშალა და ჩემს პატრონს თავხედურად შეეპასუხა, საერთოდ ქუჩაში გაუძახა. სავსებით გასაუთუბელი პროფესორი მხოლოდ გვიან ღამით გაემართა თავისი ოთახისაკენ. მორიდებული წკავწკავით ვაგრძნობინე საბრალოს, თანამონაწილე ვარ შენი უდიდესი მწუხარების-მეთქი. მანაც ხელი კისერზე მომხვია და გულითადი მეგობაროვით მიმიკრა მკერდზე. „ჩემო კეთილო, ერთგულო პონტო, მხოლოდ შენის წყალობითა და დახმარებით დავაღწიე თავი სიყალბის ბურანს, რომელიც ხელს მიშლიდა, შემეტყო ჩემი თავლაფდასხმის ამბავი. შენ, მხოლოდ შენ უნდა გიმადლოდე, რომ გადაგაგდე მონობის უღელი, მაგ შხაკვარმა დედაკაცმა რომ დამადგა კისერზე. დღეის შემდეგ კვლავ თავისუფალი და უზრუნველი კაცი ვარ, ძვირფასო პონტო, მითხარ, როგორ გადაგიხადო მადლობა? სიტყვა მომეცი, რომ არასოდეს, არასოდეს მიმატოვებ! მე კი, ჩემის მხრივ, ვეცდები, მოვლავ პატრონობა არ მოგაკლო, ჩემო ერთგულო მეგობარო! მხოლოდ შენ ერთს ძალგიძს ჩემთვის ნუგეშის ცემა, როდესაც მტანჯველი ფიქრები ამეშლება და ჩემი უკუღმართი ბედ-იღბალი გამახსენდება“.

ჩემს გულკეთილ და კეთილშობილ პატრონს დამთავრებული არ ჰქონდა თავისი გულის ამაჩუყებელი სიტყვა, რომ ოთახში შხარეული ქალი შემოვარდა და მთლად სახეგაფითრებულმა პროფესორს დაბნეული სახით შეშხარავი ამბავი მოახსენა: ქალბატონს საშინელი კრუნჩხვები დაეწყო და საცაა სულს დალევსო. პროფესორი თავქუდმოგლეჯილი დაეშვა კიბეზე.

ამ ამბის მერე პატრონისათვის რამდენიმე დღე თვალი აღარ მომიკრავს. ჩვეულებრივ ჩემს ჭამა-სმარზე პროფესორი ზრუნავდა ხოლმე, ახლა კი ეს საქმე შხარეულს გადააბარა და ეს საძაგელი,



ჯაჯლანა დედაკაცი ძველებური გემრიელი საჭმელების ნაცვლად სალაფავს თუ იმეტებდა ჩემთვის, და ისიც, ვაი-ვაგლახით ხანდახან ჩემი არსებობა საერთოდ ავიწყდებოდა და მაშინ კი მეტი გზა არ მქონდა, ან ჩემს კუთილ ნაცნობებში ვმათხოვრობდი, ანდა იძულებული ვიყავი, ნადირობისთვის მიმეყო ხელი, რომ კუჭი როგორმე გამეძლო.

ერთხელაც, როცა შშიერი და სასომიხდილი, ყურებჩამოყრილი დაუბორიალებდი სახლში, ჩემმა პატრონმა, როგორც იქნა, გამხადა ყურადღების ღირსად. „პონტო, — წამოიძახა მან და მთვარესავით გაიბადრა, — პონტო, ჩემო ძველო, ერთგულს მეგობარო, კი, მაგრამ, სად დაიკარგე? რა ხანია თვალი აღარ მომიკრავს შენთვის. დარწმუნებული ვარ, ჩემი თხოვნა ერთი ყურიდან შეუშვეს და მეორიდან გამოუშვეს, სრულიად უპატრონოდ მიგაგდეს და ჭამითაც, ალბათ, არაფერს გაჭმევენ. აბა, ერთი მოდი ჩემთან! ჩემო კარგო, დღეს კი საკუთარი ხელით დაგაპურებ!“

ჩემს კუთილ პატრონს ფეხდაფეხ შევყვები სასადილო ოთახში. პროფესორს ვარდოვით გაფურჩქნილი ლეტიცია გამოეგება. თავისი მეუღლის მსგავსად ქალსაც სახე ერთიანად უციმციმებდა. ცოლქმარი თვალებში შესცივინებდა ერთმანეთს, რაც წინათ ასე აშკარად არასოდეს შემინიშნავს. ქალი ქმარს „ჩემო ანგელოზო!“ ეუბნებოდა, კაცი კი პასუხობდა: „შენ კი ჩემი თავუნია ხარო!“ ამ დროს თან მტრუდებოვით ღულუნებდნენ და ერთმანეთის ფერებას და ალერსში იყვნენ. გულს უხაროდა მათი შეხედვა. პროფესორის ლამაზი მეუღლე მეც ისე ალერსიანად მექცეოდა, როგორც არასდროს და, ალბათ, თავადაც მიხვდებით, ჩემო ძვირფასო მურ, რომ ჩემი თანდაყოლილი თავაზიანობის წყალობით ძალიან კარგად მეჭირა თავი. აბა, რა ვიცოდი! თურმე რა დღეები მელოდა?!

მე ჩემდათვად ძალიან მიჭირს და შენთვისაც, ალბათ, დამღლეული იქნება, რომ მოვდგე და დაწვრილებით მოგიყვე ყველა იმ ვერაგობასა და ხრიკებზე, მტრებმა ჩემს დასალუპავად რომ მიმართეს. მხოლოდ იმას შევეცდები, დაახლოებით მაინც დაგიხატო ჩემი გაუხარული ყოფის ჭეშმარიტი სურათი. პროფესორს ჩვეულებად ჰქონდა: სადილობის დროს ჩემს წილ წვნიანს, ხორცსა და მწვანილს ოთახის კუთხეში, ღუმელთან დამიდგამდა ხოლმე. მეც ისე ფრთხილად და სუფთად გეახლებოდით, იატაკზე ქონის ოდნავი ლაქაც კი

არ დარჩენილა არასოდეს. ამიტომაც საშინლად შევძრწუნდი, როცა ერთხელ, სადილობისას, ჩემი ჯამი, ისე, რომ მას ხეირიანად არც კი მივკარებოვარ, ნამსხვრევებად იქცა და მსუყე წვნიანი სარკესავით მოპრიალებულ იატაკზე დაიღვარა, განრისხებული პროფესორი საშინელი ლანძღვა-გინებით მომვარდა; ჩემი ქალბატონის გაფითრებულ სახეზედაც აშკარა გულისწყრომას ამოიკითხაუდა კაცი, თუმცა, იგი ყოველნაირად ცდილობდა ჩემს გამართლებას. ეს მან გამოთქვა აზრი, ამ საზიზღარი ლაქის ამოღება, ალბათ, აღარ მოხერხდება და ეს ადგილი ან ამოსაფხეკი გახდება, ან არა და, ახალი ფილის ჩადგმა მოგვიხდებაო. პროფესორს კი ჭირის დღესავით სძულდა ყოველგვარი შეკეთებ-შემოკეთება: აი, მას უკვე ყურში ჩაესმა შალაშინისა და ჩაქუჩის ხმა; ასე და ამრიგად, ქალბატონის სიტყვებმა, ვითომდა ჩემს გასამართლებლად რომ იყო ნათქვამი, პროფესორს უფრო ცხადად აგრძნობინა ჩემი მოუქნელობა, რის გამოც ჩემი პატრონი მარტო ლანძღვა-გინებას არ დასჯერდა და რამდენჯერმე კარგა ლაზათიანი პანლურიც ამომკრა. ვგრძნობდი, უდანაშაულო ვიყავ, შემცბარი ადგილიდან არ ვიძროდი და აღარ ვიცოდი, რა მელონა, ან რა მეთქვა. და როცა მსგავსი ამბავი კვლავ განმეორდა, გაგიხარია, მივხვდი, რა შხაკვრობაც იმალებოდა ყოველივე ამის მიღმა: აშკარა იყო, განზრახ მიდგამდნენ გაბზარულ ჯამს, რომელიც სულ ოდნავ მიკარებაზედაც კი ნამსხვრევებად იქცეოდა ხოლმე. ამიერიდან სასადილო ოთახში შესვლას ვეღარ ვბედავდი. საჭმელი მზარეულ ქალს გამოჰქონდა გარეთ და კარს უკან მიდგამდა, მაგრამ ის ოხერი ისეთი ძუნწი იყო და ისეთ პატარა ულუფებს იმეტებდა ჩემთვის, შიშშილისაგან გამუდმებით კუჭი მეწვოდა და სულ იმის ფიქრში ვიყავი, როგორ მომეგდო ხელთ პურის ნაჭერი ანდა სახრაფი ძვალი. ამის გამო სახლში საშინელი აურზაური ატყდებოდა ხოლმე და მეც მეტი რა გზა მქონდა, უნდა მესმინა, როგორ მიწოდებდნენ ქურდბაცაცასა და თავკერძას, და ეს მაშინ, როცა საქმე უბრალო სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას შეეხებოდა.

მერე და მერე სულ უფრო ცუდად წამოვიდა საქმე. ერთ დღესაც მზარეულმა საშინელი წვილ-კვილი ატეხა, სამზარეულოდან ცხვრის მთელი ბარკალი გაქრაო. რალა თქმა უნდა, ეჭვი აშკარად ჩემზე ჰქონდათ. ამ ამბავმა ოჯახში დიდი გნიასი გამოიწვია და პროფე-



სორის ფურამდეც მიაღწია. ჩემმა პატრონმა თქვა, ამ ძაღლისთვის არასოდეს შემიწინააღმდეგავს ქურდობა და არ ვიცი, ახლა რაღა ღმერთი უნდა გასწყრომოდოდო. გარდა ამისა, დაუჯერებელია, ცხერის მთელი ფეხი ისე შეესანსლა, მისგან კვალიც აღარ დარჩენილიყო. ძებნა დაიწყეს და, შენ წარმოიდგინე, ბარკლის ნარჩენები საწოლში არ მიპოვეს? მურ, ვფიცავ გამჩენს! გულზე თათი უნდა დაეიდო და გითხრა, რომ ამ საქმეში არავითარი ბრალი არ მიმიძღვის. აბა, თავში როგორ მომივიდოდა აზრად, შემწვარი ცხერის ხორცი მომეპარა?! მაგრამ რაღას მიშველიდა ფიცი და ვედრება, უდანამაულო ვარ-მეთქი, როცა ყველაფერი ჩემს წინააღმდეგ ლაპარაკობდა! პროფესორის რისხვას საზღვარი არ ჰქონდა. უფრო იმან გაამწარა, რომ იგი აშკარად ცდილობდა ჩემს გამოსარჩლებასა და გამართლებას, და აი, ახლა კი მოტყუებული და გაბითურებული დარჩა. ამ ამბის გამოც კარგა ლაზათიანი პანღურები მოვიღე.

ეს დღე იყო და ეს დღე. პროფესორი ჩემს სიძულვილს ვეღარ ძალაჟდა და აშკარად მაგრძნობინებდა კიდევ, ჩემი ქალბატონი კი, პირიქით, ისეთი ალერსითა და სიყვარულით მეპყრობოდა, გაცივბასლა ვიყავი. შენ წარმოიდგინე, მურ, თავზე ხელს გადამისვამდა და დროდადრო რამე სასუსნავსაც კი გადმომიგდებდა ხოლმე, რაც ასე უჩვეულო იყო მისთვის. გენაცვალე, აბა, რას ვიფიქრებდი, რომ ასეთი საქციელის მიღმა საშინელი ვერაგობა და შხაკვრობა იმალებოდა? მაგრამ ძალე ყველაფერს ფარდა აეხადა.

სასადილო ოთახის კარი ღია დაეტოვებინათ კუჭგამოცარიელებული, ტანჯული სახით შევცქეროდი გაშლილ სუფრას და ნაღვლიანად ვიგონებდი იმ ბედნიერ დღეებს, როცა ჩვენს სახლში შემწვარი ხორცის სურნელი დატრიალდებოდა ხოლმე, მე კი მაუედრებელი შხერით ამაოდ არ შევყურებდი ჩემს პატრონს, რადგან დარწმუნებული ვიყავ, ჩემს კუთვნილ ულუფას ყოველ მიზეზგარეშე მივიღებდი. ამ დროს, როგორც იტყვიან, ყოველთვის ვგრძნობდი, საიდანაც ქროდა ქარი. მოულოდნელად პროფესორის მეუღლემ დამიძახა: „პონტო, პონტო!“ და შემწვარი ხორცის მშვენიერი ნაჭერი გამომიწოდა, თავის ლამაზ თითებში კოხტად რომ ეჭირა. ეტყობა, შიმშილისაგან გონებადაკარგულმა მანძილი ვეღარ მოეზომე და ხორცს ზომამზე ხარბად ვეკვეთე. მაგრამ ძალიან გთხოვ, დამიჯერო, მურ, რომ ქალბატონის შროშანასაგით თუთრსა და ნაზ ხელს ჩემი კბილე-

ბი ნამდვილად არ მოხვედრია. პროფესორის მეუღლემ კი რატომ-ღაც შეჰყვირა: „აჰ, შე ავო ძაღლო, შენაო!“ და ვითომდა გულწასული საკარძელში ჩაესვენა. წარმოიდგინე ჩემი შეძრწუნება, როცა მის ცერზე რამდენიმე წვეთი სისხლი შევნიშნე. ამის შემხედვარე პროფესორი პირდაპირ გაცოფდა, მერე მომდგა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, წიხლებით უმოწყალოდ დამიწყო ცემა. რის ვაი-ვაგლახით დაუძვერი ხელიდან და თაქუდმოგლეჯილმა მოუქუსლე, თორემ, ჩემო საყვარულო მურ, ახლა ხომ ვერ ვიჯდებოდი ასე შენთან ერთად და ვერ შევეფიცებოდი მზეს!

შინ დაბრუნებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. მივხვდი, ვერაფრით დაუღწევდი თავს ცილისწამების ქსელს, რომელშიც პროფესორის მეუღლე ასეთი მონღოლებით ცდილობდა ჩემს გახვევას. დიახ, ასე და ამგვარად უნდოდა შური ეძია ჩემზე ბარონის ხელთათმნის გამო. ჰოდა, მეც გადავწყვიტე, ახალი პატრონი მეშოვა. ძველი დრო რომ ყოფილიყო, ამ საქმეს, რა თქმა უნდა, ძალიან ადვილად მოვვლებოდა; მოგეხსენება, დედაბუნებას ჩემთვის არც სილამაზე დაუშურებია და არც ნიჭიერება. ახლა კი შიმშილისა და ბოლმისაგან ისე ვიყავ გასაუათებელი და ისე საწყალობლად გამოვიყურებოდი, ახალ სამსახურში ჩადგომის ყოველგვარი იმედი გადამეწურა. განსაკუთრებით ჭამა-სმის საკითხი მაწუხებდა. და აი, მომაჟალზე ჩაფიქრებული და დადარდიანებული ჭიშკარში გავედი. ანაზღად ჩემ წინ მიმაჟალი ბარონი ალკიბიადე ფონ ვიპი შევნიშნე. ახლა რომ მკითხო, ვერც კი გეტყვი, საიდან გამიჩნდა მოულოდნელად თავში აზრი, ბარონისათვის ჩემი სამსახური შემეთავაზებინა. ეტყობა, გუჟანით ვიგრძენ, რომ მხოლოდ ამ გზით შევძლებდი უმადური პროფესორისათვის სამაგიეროს გადახდას და მომაჟალმაც აკი კიდევაც დაადასტურა ჩემი მაშინდელი ვარაუდის სისწორე. უკანა თათებზე შემდგარი ცეკვა-ცეკვით მიჰყავხლე ბარონს და როცა მის სახეზე კეთილი ღიმილი დავინახე, ბჟერი აღარ მიფიქრია, სახლამდე გავეყვი. „ერთი შეხედეთ, ფრიდრიხ, — მიმართა ბარონმა ყმაწვილს, რატომღაც კამერდინერს რომ უწოდებდა, თუმცა, მის გარდა შინ სხვა მსახური საერთოდ არ ჰყოლია, — ერთი შეხედეთ, როგორი პუდელი ამეკიდა გზაში? ცოტა ხეირიანი შესახედავი მაინც ყოფილიყო!“ მაგრამ ფრიდრიხმა უმალ შემიქო დრუნჩი და ტანკენარობა, თან ისიც თქვა: „ეტყობა, ძველი პატრონი ძალიან აბუჩად იგდებდა, ჰოდა, ეს საბრალოც ამდგარა



და გამოსცლიაო“. მერე კი დასძინა: „თუ პუდელი საკუთარი გულის კარნახით აეკიდა ადამიანს, ეს დღეა და ეს დღე, ამიერიდან ძალზე ერთგულად და პატიოსნად ემსახურება თავის პატრონსო“. ბარონ-საც ბევრი აღარ უფიქრია და გადაწყვიტა, თავისთან დავეტოვებინე. მართალია, ფრიდრიხის მეცადინეობის წყალობით ახლა უკვე საკმაოდ სასიამოვნოდ გამოვიყურებოდი, მაგრამ, ეტყობა, ბარონს ჯერ კიდევ მაინცდამაინც არ მოედიოდი თვალში, ამიტომაც დიდის ვაივაგლახით მთანხმდებოდა, ქუჩაში ერთად გვესეირნა ხოლმე. მაგრამ სულ მალე ყველაფერი წაღმა შემოტრიალდა. ერთხელაც, სეირნობის დროს, პროფესორის მეუღლე შემოგვხვდა. ეპ, ჩემო ძვირფასო მურ, შენს მეგობარ პონტოს მართლაც რომ ოქროს გული აქვს, დიახ, დიახ, სრულ ჭეშმარიტებას მოგახსენებ. ხომ გახსოვს, პროფესორის მეუღლის წყალობით რამდენ უსიამოვნებას გადავეყარე! მაგრამ, შენ წარმოიდგინე, მისი დანახვა მაინც გულწრფელად გამიხარდა. ყოფილი ქალბატონის წინ ხტუნვას მოვყევი, მზიარულად ვყეფდი და ყოველნაირად ვცდილობდი, მეგრძნობინებინა, რომ მასთან შეხვედრა ძალზე მესიამოვნა. „ერთი ამას დამიხედეთ! ნუთუ ეს შენა ხარ, პონტო?“ — წამოიძახა ლამაზმანმა, თავზე ხელი გადამისვა და მრავალმნიშვნელოვანი შხერა ესროლა იქვე მდგომ ბარონ ფონ ვიპს. ახლა კი ხტუნვა-ხტუნვით ისევ ჩემს პატრონს მივყახლე და იმანაც ალერსიანად მომიმთათუნა ზურგზე ხელი. აშკარად ეტყობოდა, ბარონს რაღაც აზრმა გაუელვა თავში, რადგან რამდენჯერმე თავისთვის წაიდუდღუნა: „ეპ, პონტო, პონტო, ეს რომ შესაძლებელი იყოსო!“

იქვე ახლოს მდებარე პარკს მივაშურეთ. მერე პროფესორის მეუღლე კვლავ ნაცნობ-მეგობრების წრეში გაერია და ერთ-ერთ მაგიდას მიუჯდა. ჩემს საყვარელ, კეთილ პროფესორს კი ვერსად მოვკარი თვალი. ბარონ ფონ ვიპმაც იქვე, ცოტა მოშორებით, ისეთი ადგილი შეარჩია დასაჯდომად, რომ არც იქ დამსწრეთა ყურადღება მიეპყრო და თან პროფესორის მეუღლისთვისაც თვალყური ედევნებინა. ჩემს პატრონს წინ ავეტუზე და კუდის ქიციანით ისე შევცინე თვალებში, აშკარად ვაგრძნობინე, შენს ბრძანებას ველი-მეთქი. „პონტო, ნუთუ ეს შესაძლებელია? — კვლავ გაიმეორა ბარონმა, — მაშ, აბა, ვნახოთ, — დასძინა მცირე ხნის დუმილის შემდეგ, — როგორც იტყვიან, ცდა ბედის მონახვერეაო“. ესა თქვა თუ არა, უბის

წიგნაკიდან ფურცელი ამოხია და ზედ ფანქრით რამდენიმე სიტყვა დაწერა. მერე დაგრაგნილი ქაღალდი საბელის ქვეშ ამოხილ, პროფესორის ცოლზე მაჩვენა და წამჩურჩულა: „პონტო, allons“-ო.<sup>1</sup> რუგკენი და შტერი უნდა ვყოფილიყავი, რომ ვერ მივმხვდარიყავი, რაში იყო საქმე. უმაღლ მივირბინე ჩემი ყოფილი ქალბატონის მაგიდასთან და თავი ისე დავიჭირე, ვითომ ერთი სული მქონდა, როდის გაუსინჯავდი გემოს გემრიელ ნამცხვარს, პროფესორის მეუღლეს რომ ედო წინ. ქალმა აღერსიანად შემომხედა, ცალი ხელით ნამცხვარი გამომიწოდა, მეორე კი კისერზე მომიტათუნა. მერე ისიც ვიგრძენ, როგორ გამომაძრო საბელიდან ბარათი, ხოლო მცირე ხნის შემდეგ კი წამოდგა, საზოგადოება მიატოვა და ერთ-ერთ გვერდით ბილიკს დაუყვა. ფეხდაფეხ უკან დავედევნე და დავინახე, რა ხარბად კითხულობდა ბარონის უსტარს. მერე ნაქსოვი ჩანთიდან ფანქარი ამოიღო, იმავე ქაღალდზე რამდენიმე სიტყვა მიაწერა და კვლავ დაგრაგნა. „პონტო, — მიმიხმო პროფესორის მეუღლემ, მერე კი ეშმაკური ღიმილით მითხრა, — აბა, პონტო, საქმე მარტო ბარათის წაღებ-წამოღება როდია; ისიც უნდა გესმოდეს, ვის და რა დროს უნდა გადასცე იგი. იცოდე, ჩემო კარგო, შენი საზრიანობის იმედი მაქვს“, — თქვა ეს თუ არა, პროფესორის მეუღლემ ბარათი საბელში ჩამიჩურთა. მეც აღარ დამიყოვნებია და სასწრაფოდ ჩემს პატრონს მიუცუნცულე. ბარონი მყისვე მიხვდა, რომ პასუხით დავბრუნდი და საბელიდან დაუყოვნებლივ გამომაძრო ბარათი. ეტყობოდა, პროფესორის მეუღლე რაღაც ძალზე სასიამოვნოსა და სანუგეშოს ატყობინებდა, რადგან ბარონს თვალები გაუბრწყინდა და აღფრთოვანებულმა წამოიძახა: „პონტო, პონტო, ნამდვილად რომ ზღაპრული პუდელი ხარ; რა ბედნიერ ვარსკვლავზე ვყოფილვარ დაბადებული, რომ შენ გიპოვე!“ აღბათ, მიხვდები, ჩემო ძვირფასო მურ, რაოდენ დიდი იყო ჩემი სიხარული, რომ მოულოდნელად ასე აკმაღლდი ბატონის თვალში!

ჰოდა, ყოველგვარი თხოვნის გარეშე მოყვები ხტუნვა-თამაშს. თავს არ ვზოგავდი, მინდოდა, რაც შეიძლება სრულყოფილად გამოემეღლაუნებინა მთელი ჩემი ხელოვნება. ძალღურ ენაზე ვაფრქვევდი მჭევრმეტყველების ნაკადს, გავითამაშე სიკვდილ-სიცოცხლის სცე-

<sup>1</sup> წინ! (ფრანგ.).



ნა: ვითომ ვკედებოდი, მერე კი კვლავ ვდგებოდი მკვდრუთით, უარი განაცხადე ებრაელის ხელით შემოთავაზებულ ფუნთუშაზე, სამაგიეროდ, მადიანად გეახელით ნამცხვარი, ქრისტიანმა რომ მომაწოდა და ა.შ. „საოცრად გონიერი ძაღლია!“ — წამოიძახა ხანში შესულმა ბანოვანმა, პროფესორის მეუღლეს რომ ეჯდა გვერდით „დიახ, ნამდვილად ძალიან გონიერია!“ — დაუდასტურა ბარონმა. „რალა თქმა უნდა, არაჩვეულებრივად გონიერი ძაღლია!“ — ექოსავით გაიხშიანა ჰაერში პროფესორის მეუღლის ხმამ. მოკლედ, ჩემო კარგო მურ, რალა ბევრი გაგაგრძელო: ჩემს თავზე ავიღე ეს უცნაური შიკრიკობა და ამ მოვალეობას დღემდე პირნათლად ვასრულებ. ხან ვიცი ხოლმე, რომ პროფესორი შინ არ არის და უსტარით მასთან სახლშიც კი ვბედავ შესვლას. დროდადრო კი, როცა ბარონი ალკიბიადე ფონ ვიპი საღამოს ბინდბუნდში თავის მშვენიერ ლექტიციასთან მიძვრება, ჭიშკართან ვრჩები. საკმარისია, შინ მომაგალ პროფესორს მოვკრა თვალი და ისეთ ჯოჯოხეთურ ყეფასა და გნიასს ავტეხ, ბარონი უმაღ გრძნობს მტრის მოახლოებას და მაშინვე შველის ხოლმე თავს.

გულში გავიფიქრე, აბა, როგორ შეიძლება პონტოს საქციელი გაამართლოს კაცმა-მეთქი. მერე განსვენებული მუციუსი გამახსენდა, ისევ და ისევ საშინელი ზიზლი ვიგრძენი ყოველგვარი საბელუბისადმი და ჩემმა ფიქრებმა აი, რა დასკვნამდე მიმიყვანა: ბუნებით პატიოსანი, ვაჟკაცი კატა არავითარ შემთხვევაში არ იკადრებს ასეთ სამარცხვინო მაჭანკლობას-მეთქი. ეს აზრი პონტოსაც პირუთვნელად მოვახსენე. მან კი სახეში შემომცინა და მკითხა: დავიჯერო ზნეობის საკითხებში ასეთი მკაცრი ბრძანდებით კატებიო? ნუთუ შენს სიცოცხლეში სხვის სარკმელში არ გადამძვრალხარ, ერთი სიტყვით, არ ჩაგიდენია ისეთი რამ, რაც ზნეობრიობის ვიწრო ჩარჩოებში ვერ თავსდებაო? მაშინვე შინა გამახსენდა და გავიტრუნე.

— ჩემო ძვირფასო მურ, — განაგრძო პონტომ, — უპირველეს ყოვლისა, არსებობს ძალზე მარტოვი ცხოვრებისეული სიბრძნე: რაც უნდა იბზრიალო და იტრიალო, ბედისწერას ვერსად გაექცევი. ნასწავლი კატა ბრძანდები და თუ გაინტერესებს, ეს ყველაფერი ერთ მშვენიერ წიგნში შეგიძლია ამოიკითხო. ნაწარმოები ნატიფი სტილითაა დაწერილი და „Jacques le fataliste“<sup>1</sup> ჰქვია. სწორედ განგე

<sup>1</sup> „ფატალისტი ვაკი“ — დიდროს რომანი (დაწერილია 1773 წ.-ს. გერმანულად გამოიცა 1792 წ.-ს).

ბამ ინება, რომ ესთეტიკის პროფესორი, ბატონი ლოტარიო ქორბუდა გამხდარიყო და... ჩემო ძვირფასო მურ, ვგონებ მიმიხვდი, რის თქმაც მინდოდა, არა? გარდა ამისა, ხომ კარგად გახსოვს, იმ აუბედითი ხელთათმნის ამბავი როგორ გახმაურდა? პოდა, პროფესორმა სწორედ მაშინ დაამტკიცა, რომ შეუძლია იმ ორდენის ღირსეული წევრი გახდეს, რომლის სახელსაც ამდენი მამაკაცი ატარებს ბლენძითა და ბრუქით, თუმცა, ბევრმა მათგანმა არც კი უწყის, ამ საპატიო საზოგადოების წევრი თუ ბრძანდება. როგორ ფიქრობ, ბატონი ლოტარიო მაშინ სხვანაირად მოიქცეოდა, ამქვეყნად ბარონი ალკიბიადე ფონ ვიპი, ანდა მე რომ არ ვყოფილიყავით? ნურას უკაცრაჟად! პროფესორმა თავისი საქციელით განა არ დაიმსახურა, რომ მისი მოსისხლე მტრის ბანაკში ამომეყო თავი? მოდი, ერთი წუთით დავუშვათ, რომ მე არ ვარსებობ. სულერთია, ბარონი სხვა გზით მაინც მოახერხებდა პროფესორის მეუღლესთან გამიჯნურებას და ბატონ ლოტარიოს, ასეა თუ ისე, მაინც მოუხდებოდა ქორბუდა რქების ტარება. სამაგიეროდ, მე მომაკლდებოდა ბევრი სიკეთე, რითაც ახლა ასე უხვად ვსარგებლობ ბარონისა და პირმშვენიერი ლეტიციას სასიამოვნო შეხვედრების წყალობით. მოგეხსენება, ჩვენ, პუდელები, ისეთი მკაცრი მორალისტები არ გახლავართ, რომ ასეთ საკითხებზე ფიქრით ტვინი ვიდრძოთ. ამიტომ არასოდეს ვამბობთ უარს ნუგბარ ლუკმაზე, ისედაც ძუნწად რომ გადმოგვიგდებს ხოლმე მუხთალი ბედი.

ჭაბუკ პონტოს ვკითხე, ნუთუ ბარონ ალკიბიადე ფონ ვიპისაგან იმდენი გამორჩენა გაქვს, რომ გამოისყიდის შენს შრომასთან დაკავშირებულ დამცირებას, ჩაგვრას და აბუჩად აგდებას-მეთქი? ამით აშკარად ვაგრძნობინე მეგობარს, რომ სწორედ ეს დამცირება და აბუჩად აგდება იყო ყველაზე დიდი უბედურება კატისათვის, ვის მკერდშიაც თავისუფლებისმოყვარე გული ძგერდა.

— ძვირფასო მურ, — მომიგო პონტომ და დამცინავად ჩაიღიმა, — ჩემს სამსახურზე ისე მსჯელობ, როგორც ეს შენ გესმის; უფრო სწორად რომ ვთქვათ, შენი გამოუცდელობის წყალობით ცაში დაფრინავ და ცდილობ ჩემი საქციელიც ისე შეათასო. ამ დროს წარმოდგენაც კი არა გაქვს, თუ რას ნიშნავს, როცა ისეთ განათლებულსა და თავაზიან ადამიანს უყვარხარ, როგორიც ალკიბიადე ფონ ვიპია. ძვირფასო თავისუფლებისმოყვარე მეგობარო! ჩემი



მხროვ. უსაფუძვლო არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ბარონის დიდი სიყვარული მას მერე დავიძახებ, რაც ჩემი საზრიანობა, გონიერება და ერთგულება დაუმტკიცე. შევეცდები მოკლედ აღგიწერო, თუ როგორ ცხოვრებას ვეწვევით მე და ჩემი პატრონი, რომ ამით საშუალება მოგეცეს, დაინახო, თუ რაოდენ ხელსაყრელ და სახარბიელო მდგომარეობაში ვიმყოფები ამჟამად.

ვერ ვიტყვი, დილაობით მე და ბარონი ძალიან ადრე ან ძალიან გვიან ვიღვიძებთ-მეთქი. მხოლოდ მაშინ ვახელთ თვალებს, როცა საათი თერთმეტს დაჰკრავს. ამასთან, უნდა მოგახსენო, რომ ჩემი განიერი, რბილი საწოლი ბარონის საწოლთან ძალიან ახლოსაა. ორივენი ისე ხმაშეწყობილად ვხვრინავთ, უეცარი გამოღვიძებისას ვერც კი ვხვდები ხოლმე, ჩვენ შორის რომელი ხვრინავდა. მერე ბარონი ზარს ჩამორეკავს და ოთახში თვალის დახამხამების უმაღლესი მსახური გაჩნდება. მას ბარონისთვის ცხელ-ცხელი შოკოლადით სავსე ფინჯანი შემოაქვს, ჩემთვის კი სურნელოვანი ტკბილი ყავითა და ნალებით სავსე ფაიფურის ჯამი. უნდა აღინიშნოს, რომ მე და ჩემი პატრონი მადით ერთმანეთს არ ჩამოვუვარდებით. საუზმის მერე ერთხანს თამაშით ვერთობით. ასეთი ვარჯიში მარტო სხეულს კი არ აკაჟებს, სულსაც მხნეობას მატებს. თუ კარგი დარია, ბარონი ჩვეულებისამებრ ფანჯარაში გადადგება და ლორწოვან უჭვრიტინებს გამვლელ-გამომვლელს. მაგრამ თუკი ქუჩაში ხალხის ნაკლებობაა, ბარონს სხვა გასართობიც აქვს, რაზედაც შეუძლია საათობით დაკავდეს ისე, რომ დაღლა არ იგრძნოს. ჩვენი ფანჯრის წინ არაჩვეულებრივად ლამაზი, მოწითალო ქვა მიწაში ჩაფლული. შუაში ის ქვა ცოტათი ამოღრუტნულია. ბარონის მიზანი კი, აი, რაში მდგომარეობს: ცდილობს ისე ოსტატურად გადააპურჭყოს, რომ ნაფურთხი პირდაპირ იმ ღრმულში მოხვდეს. ხშირი, დაუღალავი ვარჯიშის წყალობით, ჩემი პატრონი ამ საქმეში დიდად დაოსტატდა, ახლა იგი ძმაკაცებთან სანაძლეოსაც კი დებს ხოლმე, რომ მესამე ცდაზე მოახვედრებს მიზანს. ჰოდა, ნაძლევი არაერთხელ მოუგია კიდევაც.

ასეთი ვართობის მერე ჩემი პატრონი ჩვეულებისამებრ მორთვა-მოკაზმვას იწყებს. თმის დახვევა-დაფარცხნას, ყელსახვევის კეკლუცად გამოსკვნას ბარონი მსახურის გარეშეც მშვენივრად ახერხებს. ამრიგად, საკმაო დროს ანდომებს საკუთარ თავს, ფრიდრიხი კი ამასობაში უქმად არ არის და მე მოვლის. ნელთბილ წყალში დასველე-

ბული ღრუბლით მბანს ბეწეს, მვარცხნის თმას, დალაქმა საჭირო ადგილებში რომ დამიტოვა, და ყელზე ვერცხლის ლაქაზ საბელს მაცვამს: ეს საჩუქარი ბარონისაგან სწორედ მაშინ მოვიღე, როდესაც აღმოაჩინა, რომ ასეთი ჭკუა-გონების პატრონი გახლდით.

ამის შემდეგ ჩვენი თავისუფალი დრო ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებას ეთმობა. სხვა სიტყვებით რომ ეთქვას, რესტორანში ან კაფეში მოვეშურებით, გეახლებით შემწვარ სუკებს ანდა ნეკნებს, ზედ თითო ჭიქა მადერასაც დაუყოლებთ, მერე კი ახალ ჟურნალ-გაზეთებსაც გადაუვლებთ თვალს. ყველაფერ ამას რომ მოუათავებთ, სტუმრად ჩამოვლას ვიწყებთ ჩვეულებისამებრ, ვინმე ცნობილ მსახიობს, მომღერალს ან მოცეკვავეს ვწვევით ხოლმე, რომ ახალ-ახალი ამბები ვამცნოთ საუბარი, ძირითადად, იმას ეხება, თუ როგორ ჩაიარა გუშინ მაგანი და მაგანი მსახიობის დებიუტმა. პირდაპირ გასაოცარია, რა ოსტატურად სჩვევია ბარონ ალკიბიადე ფონ ვიპს ახალ-ახალი ამბების მოყოლა. ალბათ, სწორედ ამის ბრალია, რომ მანდილოსნები მისი თანდასწრებით საოცრად კარგ გუნებაზე დგებიან ხოლმე. ნუ იფიქრებთ, რომ ოდესმე ეღირსება დიდება და აღიარება იმ ცნობილი ბანოუანის მტერს ანდა თუნდაც მეტოქეს, ვის ბუღუარშიც ბარონი ამჟამად არის; თავად მასპინძელი კი ამ დროს, რა თქმა უნდა, დიდების შარაუანდედითაა მოსილი. ჩემი პატრონი მის საამებლად იტყვის ხოლმე: „ეჰ, ის თქვენი საბრალო მეტოქე სტვენით აიკლეს“, ანდა „რომ იცოდეთ, როგორ მასხრად აიგდესო“, მაგრამ თუკი ვედარაფრით ხერხდება იმის მიჩქმალვა, რომ მეტოქეს საოცარი წარმატება ხვდა წილად და ტაშსაც ბოლო არ უჩანდა, აი, მაშინ კი ბარონი აღარ დააყოვნებს და მის შესახებ რაიმე სასკანდალო ამბავს შეითთხნის. ჭორს გაფაციცებით უგდებენ ყურს, რომ მერე თავიანთი მყრალი ყიიდან ამონთხეული შხამით ადრე და მალე ჩააჭკნონ დიდების გვირგვინში ჩაწნული ყვავილები. მაგან და მაგან გრაფის მეუღლესთან, ბარონესასთან, ელჩის მეუღლესთან სტუმრობას თითქმის ოთხის ნახევრამდე მიაქვს დრო; აი, მაშინ კი, როდესაც ძირითადი საქმეები უკვე მომთავრებულია, ბარონს თავისუფლად შეუძლია სუფრას მიუჯდეს და ჩვენ კვლავ რესტორნისკენ მოვეშურებით. ნასადილევს კაფეში მოვდივართ, ერთ ხელ ბილიარდს ვითამაშებთ, მერე კი, თუ ამინდიც ხელს გვიწყობს, ცოტას გავისეირნებთ კიდევ. რა თქმა უნდა, ამ დროს მე საკუთარ



ოთხზე ვდგავარ, ბარონი კი ან ცხენზე ზის, ანდა ფეხით მომყვება გვერდით.

აი, ასე შეუმჩნევლად მოგვეპარება ხოლმე თეატრში წასვლის დრო: ბარონი არამც და არამც არ გააცდენს არც ერთ წარმოდგენას. ჩემი მოკლე ჭკუით, ალკიბიადე ფონ ვიპი თეატრში ძალიან მიღებული კაცი უნდა იყოს. იგი დამსწრე საზოგადოებას მარტო კულისებს მიღმა ცხოვრებასა და პიესაში მონაწილე მსახიობებს კი არ აცნობს, არამედ იმის მითითებასაც იძლევა, თუ როდის შეიძლება ამა თუ იმ მსახიობის ან ქება, ანდა ლანძღვა-გინება. ერთი სიტყვით, ჩემი პატრონის ვაღია, საზოგადოების გემოვნება სწორი გზით წარმართოს და, ეტყობა, თვითონაც სწორედ ამაში ხელავს თავის ჭეშმარიტ მოწოდებას. ვინაიდან და რადგანაც ჩემი მოდგმის ყველაზე დიდგვაროვან წარმომადგენელსაც კი სრულიად უსამართლოდ, სასტიკად აკრძალული აქვს თეატრში სიარული, მე და ბარონი მხოლოდ და მხოლოდ ამ დროს ვშორდებით ერთმანეთს და, ვიდრე იგი პიესის ცქერით ტკბება, მეც ვცდილობ ჩემს ნებაზე გაუტარო დრო. კეთილო მურ! თუ როგორ ვახერხებ ამას და როგორ ვპოულობ საერთო ენას ლევრეტებთან, ინგლისურ მეძებრებთან, ფინიებსა და სხვა გაულენიან პირებთან, ამას მომავალში შეიტყობ.

წარმოდგენა დამთავრდება თუ არა, ცოტას წაუხემსებთ მერე კი ბარონი კვლავ თავის მხიარულ ძმაკაცებში იწყებს ღრეობასა და დროს ტარებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის და მისი ამფსონები საუბრობენ, იცინიან, და ჰკონიათ, მშვენივრად ვატარებთ დროსო. სინამდვილეში კი არც ერთმა არ იცის, რას ლაპარაკობს, რატომ იცინის ანდა რატომ ფიქრობს, რომ მათზე უკეთ არაფერია ერთობა ამქვეყნად. თუმცა, კაცმა რომ თქვას, სწორედ ამაშია მსგავსი საუბრების ეშხი, სწორედ ამაშია მათი საზოგადოებრივი დანიშნულება, ვინც ჩემი პატრონის მსგავსად მაღალი წრის რწმენის სიმბოლოებით აზროვნებას ქადაგებს. ხანდახან გვიან ღამით ბარონი თანამეინახებთან ერთად სხვაგან წაბრძანდება ხოლმე საქეიფოდ. აი, ასეთ თავყრილობაზე კი, ალბათ, ტოლს არ უდებს არაფერს! მაგრამ ამაზე დაბეჯითებით არაფრის თქმა არ შემიძლია, რადგან ბარონს არასოდეს წაუყვანია თან; ამისათვის კი, ეტყობა, საპატიო მიზეზები უნდა ჰქონდეს! ის ხომ უკვე მოგახსენე, რა მშვენივრად მძინავს ბარონის გვერდით თბილ ლოგინში.

ესეც ასე, ჩემო მურ! ვგონებ, ახლა მაინც მიხვდი, თუ როგორ ვცხოვრობ! ერთი მითხარ, ჩემო ძვირფასო კატავ, განა ჩემს ჯაჯლანა, ბებრუხანა ბიძას აქვს იმის თქმის უფლება, აღვირახსნილი და ველური ბუნების ყმაწვილიაო? მართალია, ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ჰქონდა საბაბი, სამართლიანი საყვედურები ეთქვა ჩემთვის. თუ გახსოვს, შენთან ერთხელ კიდევაც ვაღიარე ეს ამბავი. რას იზამ, იმ დროს იყო, საექვო ძმაკაცები რომ გავიჩინე მგობრებად. განსაკუთრებით ვიოხებდი გულს, როცა დაუპატიჟებლად სადმე თავყრილობაზე შეცვოდებოდით ხოლმე და უმიზეზოდ აურზაურს ავტყბდით. ქორწილებზე მივარდნა ხომ დიდი სიამოვნება იყო ჩემთვის. მაგრამ არ გვგონოს, ყველაფერ ამას იმიტომ ჩავდიოდი, თითქოს ჩხუბისა და აყალმაყალის დიდი მოყვარული გახლდით. არა, ჩემო კარგო. ამის ერთადერთი მიზეზი ის იყო, რომ არ ვიცოდი ხალხში თავდაჭერისა და ზრდილობიანი ქცევის წესები. აბა, პროფესორის ოჯახში სად იყო ამის სწავლის პირობები? მოგჭსენება, რა ხალხთან მქონდა საქმე! ახლა კი ძირფესვიანად შეიცვალა ყველაფერი. ო, ამას ვის ხედავს ჩემი თვალები? თავად ბარონი ალკიბიადე ფონ ვიპიც მობრძანდება! ხედავ, თვალებს როგორ აცეცებს, ეტყობა, მე დამეძებს. აი, დაუსტვინა კიდევ! Au revoir,<sup>1</sup> ჩემო ძვირფასო!

პონტო ელვის სისწრაფით მიეჭრა პატრონს. ბარონი ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როგორც ჩემმა მგობარმა ამიწერა. ძალიან მაღალი ტანისა გახლდათ და იმდენად ტანკენარი არ ეთქმოდა, რამდენადაც გამხდარი. ბარონის ტანისამოსი, სიარული თუ მიხრა-მოხრა იმაზე მეტყველებდა, რომ საკმაოდ დიდ ხარკს უხდიდა მოდას; მაგრამ ამავე დროს ისეთი უცნაური შესახედავი იყო, კაცი ნამდვილად იფიქრებდა, ბარონს ნამდვილად გადაუმლაშებიაო. ხელში ფოლადისბუნიკიანი წვრილი ხელჯოხი ეჭირა და პონტო რამდენჯერმე გადაახტუნა ზედ. მართალია, მგობრის მონური მორჩილება საშინლად შეურაცხყოფლად მეჩვენა, მაგრამ იძულებული გავხდი, მეღიარებინა: პონტო ხომ საერთოდ გამოირჩეოდა მოქნილობითა და ძალ-ღონით, მაგრამ ამ ბოლო ხანებში მოძრაობები საოცრად ნარნარი და დახვეწილი გახდომოდა, რაც

<sup>1</sup> ნახუამდის (ფრანგ.).



წინათ არასოდეს შემიძინებია. როგორც ვთქვი, ბარონი ძალზე უცნაური შესახედავი იყო: მკერდი წინ წამოეწია, მუცელი შეხნიქა და აფხორილი მამალთვით მოაბიჯებდა. პონტო კი გარს უვლიდა თავის პატრონს, თან ურთულეს ილეთებს ასრულებდა და ოდნავ შესამჩნევი, ამპარტავნული თავის დაკვრით ესალმებოდა თავის ძმაკაცებს. გულახდილად რომ გითხრათ, თუმცა, მისი საქციელი სრულიად გაუგებარი და მიუღებელი იყო ჩემთვის, მაინც აღმიძრავდა რაღაცნაირ მოწონების გრძნობას. ბუნდოვნად მივხვდი, რას გულისხმობდა პონტო მაღალ კულტურაში, და შევეცადე, გავრკვეულიყავი ამაში, მაგრამ, როგორც შევითქვე, ეს არცთუ ისე ადვილი საქმე უნდა ყოფილიყო და ჩემი მეცადინეობაც ამაო იქნებოდა.

მოგვიანებით დავრწმუნდი, რომ ამქვეყნად ზოგჯერ ისეთ მოვლენებთან გვაქვს ხოლმე საქმე, რომელთა ახსნაც კაცს არავითარი მსჯელობით არ ძალუძს და რომელთა შემეცნებაც მხოლოდ და მხოლოდ ცხოვრებისეული გამოცდილების წყალობით თუ შეიძლება. ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ის მაღალი კულტურა, რომლის მაღლსაც ბარონი აღკიბიადე ფონ ვიპი და პუდელი პონტო დახვეწილ ადამიანებთან ურთიერთობაში ეზიარნენ, ამ რიგის მოვლენებს განეკუთვნებოდა.

ბარონმა გვერდით ჩამიარა და დავინახე, როგორ დაჟინებით დამაშტერდა ლორნეტით. მის მხერაში ცნობისმოყვარეობა და ამავე დროს განრისხებაც შევნიშნე. ვიფიქრე, ალბათ, თვალი მოგვკრა, მე და პონტო ერთმანეთს რომ ვესაუბრებოდით და არ ესიამოვნა-მეთქი. ცოტა არ იყოს, შიშმა შემიპყრო და სასწრაფოდ კიბეზე ავძვერი.

მინდა ბოლომდე ავიღო თავზე ავტობიოგრაფის მოვალეობა და ხელახლა აღვწერო ჩემი სულიერი მდგომარეობა, მაგრამ ამის გაკეთებას ყველაზე უკეთ, ალბათ, ჩემი ამაღლებული ლექსებით შევძლებ, აი, ეს რამდენიმე ხანია, უშრუტი მადანთვით რომ მდის და გადმომდის. მაგრამ მაინც უმჯობესია...

(სამაკ. თაბ.) ...ჰეი, შენ ჩემო თავო! ამ სულელურ, უბადრუკ სათამაშოებს შეაღიე შენი ცხოვრების საუკეთესო წლები! ახლა კი წუწუნებ, ბებერო სულელო, და ამბობ, ყველაფერი ბედისწერის ბრალიაო, მაშინ როცა მას ასეთი სიჯიუტით თავად აღუდექი წინ!

აბა, მითხარი, რა ხელი გქონდა დიდგვაროვან ბატონებთან? რაში გეკითხებოდა მთელი ეს სამყარო? ყველანი სულელებად მიგაჩნდა, ყველას მასხრად იგდებდი, არა? ბოლოს თუად კი აღმოჩნდი ყველაზე დიდი სულელი. რატომ აითვალწუნე შენი ხელობა, შენი საქმე, განა ცუდ ორღანებს აგებდი? რაში გჭირდებოდა, ჯადოქრად და თვალთმაქცად რომ ასაღებდი თავს? ეჰ, მაშინ ხომ ვერაინ მომტაცებდა მას და დღესაც გვერდით მუყოლებოდა ჩემი სათაყვანებელი ცოლი. გამრჯე მუშაკოვით მოუუჯდებოდი დაზგას, ჯან-ლონით საუსე შეგირდები გააყრუებდნენ ჩემ გარშემო არუმარეს ჩაქურების კაკუნითა და ბრაზუნით; დიახ, ორღანებს აუაგებდით, ხმოვანებით ყველაზე საუკეთესო რომ იქნებოდა და დარწმუნებული ვარ, არ შეარცხვენდა თავისი დიდოსტატის სახელს. კიარა! ალბათ, შვილებიც გვეყოლებოდა. ონაგარ ბიჭუნებს კისერზე შევისვამდი, პატარა პირმშვენიერ გოგუცუნას კი ხელში ავიტატებდი და ისე ვუნანაგებდი. დალახვროს ეშმაკმა! ნეტავ რა მიშლის ხელს, ახლავე გავექცე აქაურობას, მთელი ქვეყანა გადაუბრუნო და რადაც უნდა დამიჯდეს, ვიპოვო ჩემი ცოლი?" — ასე ესაუბრებოდა მაესტრო აბრაჰამი საკუთარ თავს, მერე ეს-ეს არის დაწყებული პატარა მოსამართი თოჯინა და ხელსაწყოები მაგიდის ქვეშ შეფარა, სწრაფად წამოხტა და ოთახში გამალებით დაიწყო ბოლთის ცემა. კიარაზე ფიქრი ამ ბოლო ხანებში გამუდმებით თან სდევდა მაესტროს. აი, დღესაც ქალის სახელის გახშიანებამ მის სულში აუდმყოფური ტკივილი გამოიწვია. კიარას გამოჩენის დღიდან მაესტრო აბრაჰამისათვის ხომ ახალი, რადაც ამაღლებული ცხოვრება დაიწყო! და ახლაც, საყვარელი ქალის მარტოოდენ გახსენებაც კი საკმარისი აღმოჩნდა, რომ მაესტროს თავის სულში ჩაეხშო მდაბალი გრძნობების ამბოხი, მიმართული იმის წინააღმდეგ, რომ გაბედა, თავის ხელობაზე უარი ეთქვა, და ჭეშმარიტი ხელოვნების სამსახურში ჩამდგარიყო. მაესტრომ სვერინოს წიგნი გადაშალა და დიდხანს, ძალიან დიდხანს დასცქეროდა პირმშვენიერი კიარას სურათს, მერე კი ოთახის იმ კუთხისკენ გალასლასდა, სადაც სკოვრი იდგა. მთვარეულივით შუგრძნებადაკარგული, ახლა თითქოს ქვეცნობიერად ემორჩილებოდა გონების კარნახს. სკოვრზე დახვავებული წიგნები და საგნები ძირს ჩამოაწყო, თავი ახადა და იქიდან ჯერ მინის ბურთი ამოიღო, მერე კი ყველა ის ხელსაწყო ამო-



ალაგა, უჩინარ გოგონაზე საიდუმლო ცდების ჩატარების დროს რომ სჭირდებოდა ხოლმე. მინის ბურთი ჭერზე მიბმულ აბრეშუმის წვრილ ზონარზე მიამაგრა და ყველაფერი ისე დააწყო ოთახში, როგორც მალული მისნის გამოხმობის დროს აწყობდა. და როცა ყველაფერი უკვე მზად იყო, მხოლოდ მაშინ გამოერკვა მაესტრო ამ ეფემერული ხილვებიდან და ფრიად გაოცდა, ეს რა ჩავიდინეო. „აჰ, — წამოიკვნესა მაესტრომ, — აჰ, კიარა, ჩემო საბრალო კიარა! ველარასოდეს გავიგონებ შენს საამურ ტიტინს! გახსოვს, მაგ ტკბილი ხმით როგორ მაუწყებდი ხოლმე ადამიანის სულის კუნჭულებში მიმალულ საიდუმლოებებს? შენ მერე ამქვეყნად მხოლოდ ერთი შვება, ერთი ნუგეშილა დამრჩენია: მოთმინებით ველოდო ჩემი აღსასრულის დღეს!“

სწორედ ამ დროს მინის ბურთი შექანდ-შემოქანდა და ისეთი საამური ხმები გაისმა, თითქოს ქარის სუნთქვა შეეხო არფის სიმებსო. მალე ის ხმები სიტყვებად გამოიკვეთა:

*„ეს ცხოვრება ჯერ სადაა, აცადე!  
ჯერ წინ კიდევ ბჟრი ფაციფუცია.  
მტკიცე ფიცი თუ არა ჰკრავს საწადელს,  
სუსტ გონებას მარტო რა შეუძლია.  
მხნედ იყავი, მოკეთდები, მაესტრო!  
ჯერ იმედი როდი გადაწყვეტილა.  
ჭრილობებიც გამრთელდება... საერთოდ, —  
ყველაფერი დამთავრდება კეთილად“.*

„ო, ღმერთო დიდებულო! — აკანკალებული ხმით თქვა მოხუცმა, — ეს ხომ ის არის, ის! დიახ, თავად ის მესაუბრება ზეციდან! მაგრამ ვაი, რომ ცოცხლებში უკვე აღარ წერია!“ ამ დროს კვლავ გაისმა წელანდელი ტკბილი ხმები და უფრო შორს, ძლივს გასაგონი ჩურჩულით თქმული სიტყვები:

*„რას გახდება თვით სიკვდილიც, თუკი  
გულში ისევ სიყვარული ანთია.  
გაგინათებს საღამოის მწუხარი,  
უნუგეშოდ თუ ხედებოდი განთიადს.“*

დრო დადგება, განქარდება ბოლოს  
ყველა დარდი, ტანჯვა ამქვეყნიური,  
გაბედუ და აღასრულე მხოლოდ,  
რასაც გთხოვენ ძალნი მარადიულნი“.

იდუმალი, საამური ხმა ხან ძლიერდებოდა, ხან კი კვლავ მიჩუმდებოდა და საოცრად ელამუნებოდა მოხუცის სმენას. მალე ძილმა თავის შავ მოსასხამში გახვია იგი და წარსულის ეტლით სადღაც გააქროლა. უკუნეთ წვდიადში მოკიაფე ვარსკვლავი ეზმანა: ეს გარდასულ დღეთა ბედნიერება იყო. აი, კიარა კვლავ გულზე ჰყავს მიხუტებული, ოროენი ისევ ახალგაზრდები და ბედნიერები არიან და არაუითარ ბოროტ ძალას არ ძალუძს მათ სიყვარულს ჩრდილი მიყენოს...

**ახლა კი გამოცემელმა კვირვას მკითხველს აი, რა უნდა მოახსენოს:** ამ ადგილას კატას კვლავ პირწმინდად ამოუგლეჯია რამდენიმე სამაკულატურო თაბახი. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ წიგნში, სადაც ისედაც ბლომად არის გამოტოვებული ადგილები, კვლავ გაჩნდა მთელი რიგი ხარვეზებისა. მაგრამ გვერდების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ბევრი არ არის ამოგლეჯილი. იმ რვა გვერდზე, ნაწარმოებს რომ აკლია, არაფერი უნდა იყოს მაინცდამაინც ღირსშესანიშნავი, რადგან ყველა მომდევნო გვერდი, საერთო ჯამში, მშვენივრად ესადაგება წინას. ამრიგად გაგრძელება ასეთია:

...არ შეეძლო ლოდინი. მთავარი ირენეუსი ყოველგვარი უჩვეულო ამბისა და თავგადასავლის დაუძინებელი მტერი გახლდათ, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საჭირო იყო, მისი ბრწყინვალეობა თავად გასცნობოდა საქმეს. ამიტომაც, როგორც ყოველთვის ასეთ დროს, ამჟამადაც სათუთუნედან ბლომად ამოიღო ბურნუთი, მერე კი მონადირეთუხუცესს ფრიდრიხ დიდისეული გამგმირავი მზერა ესროლა და თქვა:

— ლებრუხტ, შემთხვევით მთვარეული ხომ არა ხარ? მაშ, რისი ბრალია, რომ დღენიადაგ რაღაც აჩრდილები გელანდება, ჭკუას ძალას არ ატან და უაზრო ხმაურსა და აურზაურს ატეხ ხოლმე?

— მოწყალეო ხელმწიფევ, — ძალზე მშვიდად მიუგო მონადირეთუხუცესმა, — უბრძანეთ, კისრისტეხით გამაგდონ აქედან ვით



უკანასკნელი არაშხადა, თუ ჩემს ნათქვამში იოტი სოდენა ტყუილი ერიოს! დიახ, ისევ და ისევ უშიშრად და დაუფარავად ვიმეორებ: ჯ თქვენი რუპერტი პირწაყარდნილი არაშხადა გახლავთ!

— რაო, რაო, ვინა, რუპერტო? — წამოიძახა საშინლად განრისხებულმა მთაყარმა, — და ამას შენ ჩემს მოხუც სახლთუხუცესზე ბრძანებ, ორმოცდაათი წელიწადი ერთგულად რომ ემსახურებოდა ჯერ ჩემს მამა-პაპასა და მერე კი მე? განა ოდესმე გინახავთ, რომ სასახლეში რომელიმე საკეტს ჟანგი მოჰკიდებოდეს, ან კარები დროულად არ გაღებულყოფს? ჰოდა, ეს ყველაფერი მისი ზრუნვის წყალობით ხდებოდა. ახლა კი დამდგარხარ და ასეთ კაცზე ბრძანებ, არაშხადაო? ლებრუხტ! ნამდვილად ვერ უნდა იყო ჭკუაზე! ეტყობა, მართლაც ეშმაკი დაჰპატრონებია შენს სულს! თორემ დასწყველოს ღმერთმა, რა ჯანდაბა...

მთაყარს ენა დაება. ასე ემართებოდა ყოველთვის, როცა თავის თავს ლანძღვა-გინებაზე დაიჭურდა, აშკარად რომ არ ეკადრებოდა არც მის გვარიშვილობასა და არც მდგომარეობას. მონადირეთუხუცესმა ისარგებლა ამ წუთით და სასწრაფოდ დაუმატა:

— მოწყალეო ხელმწიფე, თქვენ კი ძალიან ცხარობთ და საშინლად ილანძღებით, მაგრამ რისი თქმაც საჭიროა, უნდა ითქვას. გაჩუმება არაფრით არ შეიძლება. სიმართლის დამალვა დიდი ცოდვაა.

— რაო, რა ბრძანე, ცხარობ და ილანძღებიო? — თქვა მთაყარმა, როცა ცოტათი დამშვიდდა, — შენ იცი, თუ არა, ვინ ილანძღება? ალბათ, მოგეხსენება, რომ ვირები ილანძღებიან! ახლა კი კეთილინებე და ყველაფერი, რაც შეიძლება მოკლედ გამიმეორე. ამ საქმის თაობაზე ჩემს მრჩევლებს საიდუმლო თათბირზე უნდა მოვახსენო. ისინი ყველაფერს დაწვრილებით განიხილავენ და შესაბამის ღონისძიებასაც დასახავენ. თუკი რუპერტი მართლა არაშხადა გამოდგა, მაშინ... მაგრამ ამას მომაკალი გვიჩვენებს.

— როგორც უკვე მოვახსენეთ, — დაიწყო მონადირეთუხუცესმა, — წუხელ ღამით ჩირაღდნით ხელში ჩვენს საყვარელ იულიას ვაცილებდი სახლში. სწორედ ამ დროს იქვე ახლოს ვიღაც უცნობმა გაიშლიგინა. აი, უკვე, ერთი ხანია, შევამჩნიე, რომ ამ არემარეზე ეს კაცი ჩუმ-ჩუმად დაძვრება. დამაცადე, ჩამოვარდები ხელში და მერე ნახავ სეირს, შე სატანავ, შენა-მეთქი, გავიფიქრე გუნებაში. იულია კარამდე მივაცილე, ჩირაღდანს ჩავაქრე და ბნელში გავისუსე. დიდ

დროს არ გაუვლია და აი, დაუინახე, რომ ის იდუმალებით მოცული უცნობი ბურქებიდან გამოძვრა და კარზე მიაკაკუნა. მეც, რაც შეიძლება ფრთხილად მოვეყვი უკან. უეცრად კარი გაიღო და მოსამსახურე გოგომ უცნობი სახლში შეიყვანა. ეს ნანი გახლდათ თქვენი ბრწყინვალეზ, ვგონებ, უნდა იცნობდეთ კეკლუც ნანის, ქალბატონი მრჩველის მოახლეს?

— Coquin,<sup>1</sup> — წამოიძახა მთავარმა, — ერთი მითხარ, ვინ მოგცა შენს მბრძანებელთან ასეთი ლაპარაკის უფლება? ჰმ, კეკლუცი ნანო? განა შეიძლება ასეთი სიტყვების ხმარება? მერე, მერე, mon fils,<sup>2</sup> განაგრძე, მერე რა მოხდა?

— დიახ, დიახ, სწორედ კეკლუცი ნანი იყო, — განაგრძო მონადირეთუხუცესმა, — როგორ ვიფიქრებდი, რომ ეს ქალი ასეთი ტუტრუცანა გამოდგებოდა? თავდაპირველად ვთქვი, ეტყობა, აქ სამიჯნურო საქმეები ტრიალებს და სხვა არაფერი-მეთქი, მაგრამ გულმა მაინც რჩხი მიყო და თავიდან ვერაფრით მოვიცილე ეჭვი, რომ ყველაფერ ამის უკან რაღაცა საიდუმლოება იმალებოდა. კარგა ხანს ვიდექი სახლთან ასე ატუხული. მერე ის იყო, ქალბატონი მრჩველიც დაბრუნდა შინ. კარში ფეხი შედგა თუ არა, ზვეით ფანჯარა გაიღო, მერე კი, უჰ, გენაცვალეთ, სწორედ ის უცნობი საოცარი სიმარდით გადმოხტა და იქვე ქოთნებით გამწკროვებულ მშვენიერ მიხაკებსა და ლეკოიონებს დააცხრა ზედ! მოგეხსენებათ, ჩვენი იულია როგორ ბავშვივით უფრთხილდება და უვლის თავის ყვაილებს! მებაღეც ლამის ცოფს ყრის. აი, ახლაც დამსხვრეული ქოთნები ამოუჩრია ხელში და გართ იცდის. პირადად თქვენს უდიდებულესობასთან სწადია საჩიურის აღძვრა. მაგრამ, მე, რა თქმა უნდა, არ დაუანებე შემოსვლა; ის ბედოულათი დილიდანვე გადაყლურწულშია...

— ლებრეხტ, ვრწმუნდები, რომ მიბაძვის საოცარი ნიჭი გქონია, — გააწყვეტინა მთავარმა მონადირეთუხუცესს, — განა ზუსტად იგივე ამბები არ ხდება ბატონი მოცარტის ოპერაშიც, „ფიგაროს ქორწინება“ რომ ჰქვია?<sup>3</sup> ეს ოპერა პრალაში მაქვს ნანახი. ლებრეხტ, შეეცადე სიმართლეს არ გადაუხვიო!

<sup>1</sup> არაშხადე! (ფრანგ.).

<sup>2</sup> შეილო ჩემო (ფრანგ.).

<sup>3</sup> „განა ზუსტად იგივე ამბები არ ხდება ბატონი მოცარტის ოპერაშიც, „ფიგაროს ქორწინება“ რომ ჰქვია?“ — იგულისხმება პაუი ქერუბინოს გადმოხტომა ფანჯრიდან მოცარტის ოპერაში „ფიგაროს ქორწინება“, (1785), I მოქმედება.



— თქვენო ბრწყინვალეებო, — განაგრძო მონადირეთუხუცესმა, — შემიძლია ხატზე და ჯვარზე დავიფიციო, რომ სრულ ჭეშმარიტებას მოგახსენებთ პო, იმას ვამბობდი: ის ვაჟბატონი ფანჯრიდან გადმოხტა. ის-ის იყო, ხელი უნდა მეტაცა მისთვის, რომ ელვის სისწრაფით წამოხტა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოუსვა. აღარ იკითხავთ, საით? როგორ გგონიათ, თქვენო ბრწყინვალეებო, საით მოქუსლავდა უცნობი?

— მე არაფერი არ მგონია, — მედიდურად მიუგო მთავარმა, — ნუ შემაწუხებ მაგ შენი აბეზარი შეკითხვებით, როგორ გგონიათ, რას ფიქრობთო! დინჯად მოჰყევი ყველაფერს და თხრობა დაასრულე; აი, მაშინ კი უკვე შემეძლება ტვინი ავამუშაო.

— უცნობმა პირდაპირ უკაცრიელი პავილიონისაკენ აიღო გეზი! დიახ, დიახ, უკაცრიელი პავილიონისაკენ! — განაგრძო მონადირეთუხუცესმა, — კარზე მიაკაკუნა თუ არა, სახლში სინათლე აინთო და მის შესაგებებლად არ იკითხავთ, ვინ გამობრძანდა? ვინა და თქვენი ერთგული და პატიოსანი ბატონი რუპერტი. მან უცნობი სახლში შეიყვანა და კარი კვლავ მაგრად ჩაკეტა. ახლა ხომ დარწმუნდით, თქვენო ბრწყინვალეებო, რომ რუპერტს ვიღაც სახიფათო გადამთიელებთან აქვს საქმე. აშკარაა, ამ ხალხს რაღაც ავი ზრახვები უნდა ედოს გულში, თორემ ასე რატომ უნდა იმალებოდნენ? ეშმაკმა უწყის, გუნებაში რა აქვთ, ვინ იცის, იქნებ ეს არამზადები ამ ჩვენს წყნარსა და მშვიდ ზიგპარტსპოფში იმისათვის დაძვრებიან, რომ თქვენი ბრწყინვალეების ხელყოფასაც კი აპირებენ?

მთავარი საკუთარ თავზე უჩვეულოდ დიდი წარმოდგენისა გახლდათ და, ბუნებრივია, დროდადრო ეჩვენებოდა, თითქოს სასახლის კარი მზაკვრული ხრიკებისა და ბოროტმოქმედების ბუდედ იყო გადაქცეული. ამიტომაც მის უდიდებულესობას მონადირეთუხუცესის ნათქვამი ისარივით მოხვდა გულზე და რამდენიმე წამით ღრმა ფიქრებს მიეცა.

— დიახ, ლებრეხტ, შენ მართალი ხარ, — თქვა მთავარმა და თვალები გადმოკარკლა, — ვიღაც ოხერი დამლამობით ჩუმად დაუბეტება ჩემს სამფლობელოში, უკაცრიელ პავილიონში კი სინათლე ანთია. დიახ, დიახ, ეს ყველაფერი ბევრად უფრო საეჭვოა, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს კაცს. რა თქმა უნდა, ჩემი ყოფნა-არყოფნის საკითხს მამაზეციერი განაგებს; მაგრამ, იმის

უარყოფაც არ შეიძლება, რომ გარშემო ერთგული ხალხიც ბლომად მახვევია; და, თუკი რომელიმე მსახური ჩემი გულისთვის თავს დასდებს, რა თქმა უნდა, მის ოჯახს ყელამდე აუავსებ სიმდიდრითა და ქონებით! მაშ, ასე, კეთილო ლებრეხტ! ეს ამბავი დაუყოვნებლივ აცნობე ჩემს ქვეშევრდომებს! მოგეხსენება, არც მხდალი ვარ და არც სიკვდილისა მეშინია, მაგრამ ხომ არსებობს მოვალეობის გრძნობა ჩემი ხალხის წინაშე! სწორედ მისი გულისთვის მმართველს თავის გაფრთხილება, განსაკუთრებით კი მანამდე, ვიდრე ტახტის მემკვიდრე სრულწლოვანი არ შეიქნება. სასახლიდან ფეხს არ მოვიცვლი, სანამ პავილიონში შეთქმულებას არ ჩავახშობთ. ვბრძანებ: ტყისმცველი თავისი კურძალებითა და სატყეო უწყების ყველა მსახურით დაუყოვნებლივ ჩემთან გამოცხადდეს! ჩემს ხალხს კი ახლავე უბრძანეთ, შეიარაღდეს! პავილიონს სასწრაფოდ ალყა შემოარტყით, სასახლე კი ისე ჩაკეტეთ, ბუზიც ვერ შემოფრინდეს! სანადირო დანას თვითონვე შემოვირტყამ წელზე, დამბაჩები კი შენ დამიტენე თოფისწამლით; ოღონდ, ჩახმახების დაშვება არ დაგავიწყდეს, რომ რამე უბედურება არ დაუატრიალოთ. მყისვე მაცნობონ, როგორც კი პავილიონზე იერიშს მიიტანენ და შეთქმულებს იარაღს აყრიან, რომ ჩემს პალატებში მოსასვენებლად გაუჩინარდე! ვიდრე ტყვეები სამსჯავროს წინაშე წარდგებიან, გულდასმით გაჩხრიკეთ; ვინ იცის, რისი ჩადენა ძალუძს სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ კაცს! კი, მაგრამ, რატომ მიყურებ ასე თვალებდაჭყეტილი? რატომ იღიმები? ამიხსენი, რას ნიშნავს ყოველივე ეს, ლებრეხტ?

— ო, თქვენო ბრწყინვალებაჲ, — მიუგო მონადირეთუხუცესმა ეშმაკური ღიმილით, — მე კი მგონია, სრულიად ზედმეტია ტყისმცველისა და მისი ხალხის გამოძახება.

— ვითომ რატომაო? — გაჯავრებით ჰკითხა მთავარმა, — როგორც გატყობ, თავნებობ და არ გინდა დამემორჩილო, არა? ხომ ხედავ, საშიშროება ყოველ წუთს მატულობს! დალახვროს ეშმ... ლებრეხტ, აბა, ცოცხლად მოახტი ცხენს! ტყისმცველი, მისი ხალხი, დატენილი თოფები: ეს ყველაფერი თვალის დახამხამებაში უნდა გაჩნდეს აქ!

— ისინი ხომ უკვე გეახლნენ, თქვენო ბრწყინვალებაჲ! — თქვა მონადირეთუხუცესმა.



— კი, მაგრამ, როგორ რანაირად? — წამოიძახა მთავარმა და გაოცებისაგან პირი ღია დარჩა.

— ინათა თუ არა, უმაღლესმცველთან გაექანდი. პავილიონს კარგა ხანია ალფა აქვს შემორტყმული და იქიდან თაგვიც კი ვერ გამოძვრება, არამცთუ ადამიანი.

— ლებრუხტ, მართლაც რომ შესანიშნავი მონადირეთუხუცესი და სასახლის კარის ერთგული მსახური ყოფილხარ, — თქვა გულაჩუყებულმა მთავარმა, — თუკი ამ საფრთხეს თავიდან ამაცილებ, შეგიძლია დარწმუნებული იყო, რომ აუცილებლად მიიღებ საპატიო მედალს. არაუინ იცის, რამდენი კაცი შეეწირება მსხვერპლად ამ ამბოხების ჩახშობას; მაგრამ, როგორც კი პავილიონზე შეტყუა დამთავრდება, თავად შეექმნი მედლის ნიმუშს და ვუბრძანებ, ოქროსა და ვერცხლში ჩამოასხან.

— თქვენ ოღონდ გვიბრძანეთ, თქვენო ბრწყინვალეებო, და ჩვენ ხაქმეს არ დაგაყოვნებთ შევამტკრევთ პავილიონის კარს და შევიპყრობთ იქ მოკალათებულ აუზაკთა ბრბოს, მორჩა და გათავდა! დიახ, დიახ, მერწმუნეთ, ამჯერად კი ველარ დამიძვრება ხელიდან ის ვაჟბატონი, კალიასავით რომ დახტის სასახლის მიდამოებში. ერთი დამიხედეთ ამ არაშხადას, როგორ მოკალათებულა უკაცრიელ პავილიონში?! ნეტავ ვინ დაპატიჟა, მობრძანდიო? დამაცადოს, ჩვენი იულიას შეშინებას განა აგრე აღვილად შეჰარჩენ მაგ აუზაკსა...

— რაო, რაო, ვინ აუზაკი აშინებს იულიასო? — იკითხა ოთახში შემოსულმა ქალბატონმა ბენცონმა, — რაზეა საუბარი, კეთილო ლებრუხტ?

მთავარმა საზეიმო და ამავე დროს იდუმალი სახე მიიღო და ისე გაემართა ქალბატონი ბენცონისაკენ, თითქოს მხრებზე რაღაც დიდი და უჩვეულო ტვირთი აწევს, მისი სულიერი ძალის უკიდურეს დაძაბვას რომ მოითხოვსო. მერე ქალს ნაზად მოჰკიდა ხელი და ალერსიანი ხმით დაიწყო:

— ბენცონ, ქვეყნის გამგებელი თურმე ვერც კარჩაკტილი ცხოვრებითა და ვერც განდევილობით ვერ დააღწევს თავს საფრთხეს. ასეთი ყოფილა ხვედრი ძლიერთა ამა ქვეყნისა: არც მის უსაზღვრო ღმობიერებასა და კეთილ გულს ძალუძს დაიცვას იგი ბოლმისა და შურისაგან. ამ შურს კი მოღალატე ვასაღთა გულში სამეფო ტახტის ხელში ჩაგდებას წყურვილი აღვიძებს. ბენცონ, ლალატის სუნი

ტრიალებს ირგვლივ. ვერაგ ურჩხულს ჩემს წინააღმდეგ შემზარავი თავი აღუმართავს. სწორედ რომ უდიდესი საფრთხის წუთებში მომისწართ ვგონებ, განკითხვის ჟამი მალე დადგება! თუ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, მაშინ აი, ამ მსახურს უნდა ვუმაღლოდე ტახტისა და გვირგვინის შენარჩუნებას! მაგრამ თუ ბედისწერა სხვას მიმზადებს, რა გაქწყობა, დაე, აღსრულდეს ნება მისი! ბენცონ! ვიცი, რომ ჯერაც არ გაგნელებიათ ჩემ მიმართ გრძნობა. გახსოვთ, იმ გერმანელი პოეტის ტრაგედია, რითაც ამას წინათ ჰედვიგამ საღამოს ჩაიზე სიცოცხლე მომიწამლა?! ჰოდა, მეც სწორედ ის სიტყვები შემიძლია წამოვიძახო, მეფეს რომ აღმოხდება იმ ტრაგედიაში: „რადგან ვხედავ, რომ მე მეკუთვნის ჯ თქვენი გული... ჩემო ძვირფასო, არაფერია ჯერ დაკარგული!“<sup>1</sup> მაშ, მოდიოთ, შეამბოროთო, ძვირფასო ბენცონ! ჩემო ერთგულო მალჰენ! ჩვენ იგივე ვართ მარად და მარად! ღმერთო დიდებულო! მგონი, გულაჩუყებული, სისულელეების ბოდვას მოუყვები, არა? უნდა გაუმხნევდეთ, ჩემო სიცოცხლევ! როდესაც მოლაღატებს შეიპყრობენ, ჩემი ერთი მზერაც კი საკმარისი იქნება, რომ ნაცარტუტად ვაქციო ისინი. მონადირეთუხუცესო! დაიწყე იერიში პავილიონზე!

მონადირეთუხუცესი სასწრაფოდ კარს მიაწყდა.

— შეჩერდით! — წამოიძახა ქალბატონმა მრჩეველმა, — რა იერიში, რის იერიში? გამაგებინეთ, რაზეა ლაპარაკი?

მთავარმა ლებრუხტს უბრძანა, ყველაფერი ხელახლა დაწვრილებით მოეთხრო ქალბატონი მრჩეველისათვის.

ქალბატონი ბენცონი დიდი ყურადღებით უსმენდა თხრობის ეშხში შესულ მონადირეთუხუცესს, ბოლოს კი სიცილით წამოიძახა:

— თქვენო ბრწყინვალებაჲ, მერწმუნეთ, ეს მხოლოდ და მხოლოდ სასაცილო გაუგებრობაა! ძალიან გთხოვთ, ტყისმცველსა და მის ხალხს უბრძანოთ, დაუყოვნებლივ დაიშალონ. თქვენო ბრწყინვალებაჲ! რაიმე შეთქმულებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, ასე რომ, არავითარი საფრთხე არ მოგელთ. პავილიონის უცნობი ბინადარი თქვენი ტყვეა უკვე.

<sup>1</sup> „რადგან ვხედავ, რომ მე მეკუთვნის ჯ თქვენი გული... ჩემო ძვირფასო, არაფერია ჯერ დაკარგული!“ — ასე მიმართავს მეფე კარლოს VII თავის სატროფოს, აგნესა სორელს, მას შემდეგ, რაც გაიგებს საფრანგეთის ჯარის განადგურების ამბავს (შილერი, „ორლეანელი ქალწული“, მოქმედება I, სურათი 4).



— როგორ? — იკითხა სახტად დარჩენილმა მთავარმა, — მითხარით, ვინ არის ის უბედური, პავილიონში ჩემი ნებართვის გარეშე რომ მოუკალათებია?

— იქ პრინცი ჰექტორი იმალება, — ჩასწურჩულა ქალბატონმა ბენცონმა მთავარს.

მთავარი ირუნესი თოფნაკრაფივით გახტა განზე, მერე კი წამოიძახა:

— ვინაო? როგორ? Est-il possible! ბენცონ, თავი სიზმარში მგონია! პრინცი ჰექტორი? — მთავარმა მზერა მონადირეთუხუცესზე შეაჩერა, რუტდასხმულივით რომ იდგა და აღელვებისაგან ქუდს ჭმუჭნიდა.

— ეი, შენ, — დასჭყივლა მთავარმა, — ახლავე დაიკარგე აქედან! ტყისმცველმა და მისმა ხალხმაც თავის საქმეს მიხედონ! აღარაუინ დაგინახოთ აქ ჩემმა თვალებმა! — მერე კი ქალბატონ მრჩვეულს მიუბრუნდა, — ბენცონ, ჩემო კეთილო ბენცონ! წარმოგიდგენიათ, ლებრეხტმა პრინც ჰექტორს ვიგინდარა და აუზაკი უწოდა! ოი, უბედური, ეგა! იცოდეთ, ყველაფერი ჩვენ შორის უნდა დარჩეს; ეს ხომ სახელმწიფო საიდუმლოებაა. მაგრამ ერთი გამაგებინეთ, პრინცმა ჰექტორმა ხომ განაცხადა, აქაურობას ვტოვებ და მივდივარო, მაშ, რატომღა დარჩენილა და დამალულა აქ? იმისათვის ხომ არა, რომ რაიმე ფათერაკს გადაეყაროს?

ქალბატონი მრჩვეული მიხვდა, რომ მონადირეთუხუცესის წყალობით ატეხილი აურზაური შესაძლებლობას აძლევდა, თავი დაეღწია შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან. ქალი, ერთი მხრივ, სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ძალზე არაგონივრულად მოიქცეოდა, თუკი მთავარს აუწყებდა პრინცის ზიგჰარტსჰოფში ყოფნის ამბავს და მით უმეტეს უჭკუობა იქნებოდა, თუ გაახმაურებდა, რომ პრინცი იულიას მიუხტა. მეორე მხრივ, ამ ამბის ასე დატოვებაც შეუწყნარებლად მიაჩნდა, რადგან გრძნობდა, რომ შეიძლებოდა იულია ამის გამო ხიფათს გადაჰყროდა და იმ საქმესაც საფრთხე ელოდა, რომლის შეკოწიწებასაც იგი დიდის ვაი-ვაგლახით ახერხებდა. და აი, ახლა, როცა ბენცონმა გაიგო, რომ მონადირეთუხუცესმა უკვე აღმოუჩინა პრინცის ადგილსამყოფელი და მას იქიდან არცთუ მა-

<sup>1</sup> ეს შეუძლებელია! (ფრანგ.).

ინცლამაინც სტუმართმოყვარულად უპირებენ გამობრძანებას, დაასკვნა, ახლა კი მაქვს უფლება, მთავარს ეს ამბავი გაუანდო, ისე, რომ იულიას ბედი საფრთხეში არ ჩაუგდო. ასეც მოახსენა მის უდიდებულესობას, ეტყობა, პრინცსა და პრინცესას შორის რაღაც სასიყვარულო განხეთქილებას ჰქონდა ადგილი, რამაც აიძულა პრინცი, ჰედვიგასთვის მოულოდნელი გამგზავრების ამბავი ეუწყებინა, სინამდვილეში კი თავის ერთგულ მსახურთან ერთად სატრფოს სიახლოვეს დაიდო ბინაო. დიახ, პრინცის საქციელში უდავოდ იგრძნობა რაღაც უჩვეულო და რომანტიკული, მაგრამ განა მიჯნურისათვის დასაძრახისია ესაო? სხვათა შორის, პრინცის მსახური ჩემი მოახლის თაყვანისმცემელი გახლავთ, ჰოდა, ეს ამბავიც სწორედ ნანიმ გამანდო.

— ო, მადლობა უფალს! — წამოიძახა მთავარმა, — მაშ, თქვენთან სახლში თურმე პრინცი კი არა, მისი მსახური შემოპარულა, არა? მერე კი პაჟი ქერუბინოსაჟით ფანჯრიდან გადმომხტარა და ყვავილების ქოთნებს დახტომია ზედ. მე კი, ღმერთმა უწყის, რა ეჭვებმა არ გამიელვა თავში?! ვიფიქრე, როგორ? განა პრინცს ეკადრება ფანჯრიდან გადმომხტომა? ეს ხომ სრულიად წარმოუდგენელი ამბავია-მეთქი!

— ო, — ეშმაკური ღიმილით მიუგო ქალბატონმა ბენცონმა, — მე კი, მაგალითად, მშვენივრად ვიცნობ ფრიად პატოსაცემ პირს, არარად რომ არ დაგიდევდათ კარის ნაცვლად ფანჯრიდან გაბრძანებას, როცა...

— ო, როგორ მტკენტ ხოლმე ხანდახან გულს თქვენი სიტყვებით, ბენცონ! — გააწყვეტინა მთავარმა ქალბატონ მრჩვეულს, — დიახ, ნამდვილად ძალიან მტკენტ ხოლმე. მოდი, შევეშვათ წარსულს. უმჯობესია, მოვიფიქროთ, რა შეიძლება მოუხერხოთ პრინცს? ხომ ხედავთ, მთელი დიპლომატია, მთელი სახელმწიფო კანონმდებლობა, სასახლის კარის მთელი ადათ-წესები ამაოა ამჟამად. რა უნდა ვქნა, რა გზას დაუდგე? საერთოდ არ მივაქციო პრინცს ყურადღება თუ ისე დავიჭირო თავი, ვითომ სრულიად შემთხვევით მივაგენით მის ადგილსამყოფელს? ღმერთო ჩემო, რა ვიღონო, რა ვქნა, პირდაპირ აღარ ვიცი! ფიქრისგან ლამის ტვინი ამიდუღდეს! აი, რა შედეგი მოჰყვება ხოლმე, როცა სამეფო გვარის ნაშიერი ღირსებას კარგავს და უცნაური ოინბაზობებით იქცევს თავს.



ქალბატონ ბენცონსაც მთლად აერია დაუთრები; წარმოდგენა აღარ ჰქონდა, ამიერიდან როგორ დაეჭირა თავი პრინცთან. მაგრამ სულ მალე ეს სიძნელეც გადაიჭრა. ის-ის იყო, ქალბატონმა მრჩეველმა დააპირა მთავრისათვის პასუხი გაეცა, რომ სწორედ ამ დროს ოთახში სახლთუხუცესი რუპერტი შემოვიდა, მთავარს პატარა, დაკვიცილი ქალაქი გადასცა, თან ეშმაკური ღიმილით დასძინა: ეს ბარათი ერთმა სამეფო პირმა გამოგიგზავნათ; მე კი პატონი მქონდა, მისი უდიდებულესობის მცველი ვყოფილიყავი, რამეთუ იგი ნებაყოფლობით პატიმრობაში იმყოფებოდაო.

— მაშასადამე, შენ იცოდი, რუპერტ, რომ... — მოწყალე ხმით მიმართა მთავარმა მოხუცს, — მეც არა ვთქვი... ტყუილად ხომ არ გთვლიდი ჩემს ერთგულ მსახურად! ამჯერადაც ერთხელ კიდევ დამიმტკიცე თავდადება და ერთგულება, რადგან პირნათლად შეასრულე შენზე დაკისრებული მოვალეობა და უსიტყვოდ ემორჩილებოდი მის ბრწყინვალეობა პრინცს, ესე იგი, ჩემს სასიძოს. დიახ, ბატონო, ახლა კი ნამდვილად ვიზრუნებ შენს დაჯილდოებაზე.

რუპერტმა მის უდიდებულესობას უღრმესი მადლობა მოახსენა და გაუჩინარდა.

ცხოვრებაში რა ხშირად ხდება ხოლმე, რომ კაცს განსაკუთრებით პატიოსანი და კეთილშობილი ადამიანის სახელი სწორედ მაშინ გაუვარდება, როდესაც რაიმე მზაკვრობასა და თაღლითობას სჩადის.

სწორედ ამ აზრმა გაუელვა ახლა თავში ქალბატონ ბენცონს, რადგან მშვენივრად იცოდა იულიაზე პრინცის ავაზაკური თავდასხმის ამბავი და ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ბებერი თაღლითი რუპერტი ამ საიდუმლო საქმეების თანამონაწილე იყო.

მთავარმა ბარათი გახსნა და წაიკითხა:

*„Che dolce piú, che piú giocondo stato  
Saria, di quel d'un amoroso core?  
Che viver piú felice e piú beato,  
Che ritrovarsi in servitu d'Amore?  
Se non fosse l'huom sempre stimolato  
Da quel sospetto rio, da quel timore,  
Da quel martir, da quella frenesia,  
Da quella rabbia, detta gelosia“.*

თქვენო უდიდებულესობავ! უკვდავი პოეტის ამ სტრიქონებში, ვგონებ, ამოიკითხავთ ჩემი საქციელის ფარულ მიზეზს. რატომღაც მეგონა, რომ სათაყვანებელმა არსებამ ხელი მკრა და ეს მაშინ, როცა მთელ ჩემს ბედნიერებასა და იმედს მხოლოდ მასზე ვამყარებდი. დიახ, ახლაც მხოლოდ მისთვის ძგერს ჩემი აღმურმოდებული გული! და ჰოი, ბედნიერებავ! საბოლოოდ დაურწმუნდი, განგებას თურმე არ ნდომებია ჩემი განწირვა. აი, სულ ცოტა ხნის წინ შევიტყვე, რომ საძულველი არ ვყოფილვარ ჩემი ღვთაებისათვის და გამოვედი კიდევაც საფრიდან. სიყვარული და ბედნიერება! ამიერიდან ეს ორი სიტყვა შუქურვარსკვლავეფით გამინათებს ცხოვრების გზას!

ძვირფასო მთავარო, მოხარული ვარ, რომ სულ მალე შესაძლებლობა მომეცემა, გადაგეხვიოთ და შეილოვით ჩაგეკრათ მკერდში! ჰექტორი“.

ვგონებ, ძვირფასი მკითხველი არ გვიწყენს, თუ აქ ცოტა ხნით თხრობას შევწყვეტთ და ზემოთ მოყვანილი იტალიური ლექსის თარგმანს გაგაცნობთ იგი დაახლოებით შემდეგი შინაარსისა გახლავთ:

„განა არსებობს ნეტარება იმაზე მეტი,<sup>1</sup>  
როდესაც გულში სიყვარულის გიზგიზებს ალი?  
ცით მოვლენილი სიტკბოებით გიბორგავს მკერდი,  
ხარ დაბორკილი ყოვლისშემძლე ღვთიური ძალით.  
ვერა, ვერ შეძლებს დაიმონოს ხალხთა გულები  
ცილისწამებამ — ბნელმა სულმა, კანკალმა შიშის,  
უნუგეშობის წყარო, თესლი უბედურების —  
ექვიანობა! — ასეთია სახელი მისი“.

მთავარმა რამდენჯერმე ყურადღებით გადაიკითხა ბარათი და გოროზად შეიკრა შუბლი.

— ბენცონ, ერთი გამაგებინეთ, რა არის პრინციის თავს? — იკითხა მან ბოლოს, — განა ოდესმე გსმენიათ, რომ ქვეყნის მმართველი რომანების სიუჟეტის მიხედვით

<sup>1</sup> „განა არსებობს ნეტარება იმაზე მეტი“ — 31-ე სიმღერის დასაწყისი არიოსტოს (1474-1533) პოემისა „შმაგი როლანდი“ (1507-1532). პოემა დაწერილია შუა საუკუნეების ფრანგული ეპოსის „სიმღერა როლანდზე“ და „მრგვალი მაგიდის“ კურტუაზიული რომანების სიუჟეტის მიხედვით.



ველს, გვირგვინოსან სასიამოვნოს ადამიანური ახსნა-განმარტების ნაცვლად რაღაც აბდაუბდა ლექსებს უგზავნიდნენ? მითხარით, რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს? ღმერთო ჩემო, რა ბოდვაა! როგორც ეტყობა, პრინცი ძალზე აღგზნებული უნდა ბრძანდებოდეს! რამდენადაც მოეხვდი, ლექსში ტრფობით გამოწვეულ ბედნიერებასა და ეჭვიანობის ტანჯვა-წამებაზეა ლაპარაკი! გამაგებინეთ, რისი თქმა სწადია ამით პრინცს? რა შუაშია აქ ეჭვიანობა? აი, ახლა მითხარით, ჩემო ძვირფასო ბენცონ, შეიძლება კაცმა ამ ბარათში თუნდაც ერთი ჭკვიანური სიტყვა ამოიკითხოს?

ქალბატონი ბენცონი საშინლად შეაკრთო პრინცის ბარათის მალულმა აზრმა. იმ ამბის შემდეგ, რაც გუშინ მის სახლში მოხდა, ყველაფერი ადვილი მისახვედრი იყო. ამასთან, ძალიან გაოცდა, როცა გაიგო, თუ რა ეშმაკურ ფანდს მიმართა პრინცმა ჰექტორმა იმისათვის, რომ საფრიდან უვნებლად გამოსულიყო. რა თქმა უნდა, ქალბატონ ბენცონს აზრადაც არ ჰქონია, ეს ყველაფერი მთავრისათვის გაენდო. ქალი იმაზე იმტვრეულა თავს, როგორ მოქცეულიყო, რომ რაც შეიძლება უკეთ ესარგებლა შექმნილი ვითარებით კრაისლერი და მაესტრო აბრაჰამი — აი, ამ ორი კაცისა განსაკუთრებით ეშინოდა ქალბატონ მრჩვეულს, რადგან ფიქრობდა, მხოლოდ მათ ძალუბთ ჩასწვდნენ ჩემს იდუმალ ზრახვებს და მთელი გეგმები ჩამიშალონო. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა, მათ წინააღმდეგ მიემართა ის იარაღი, ბედნიერი შემთხვევის წყალობით ხელში რომ ჩაუვარდა.

ქალბატონმა ბენცონმა მთავარს მოაგონა, ალბათ, გახსოვთ, რომ გეუბნებოდით, პრინცესა საშინელმა ვნებათაღელვამ შეიპყრო-მეთქი, და იქვე დასძინა: პრინცის გამჭრიახ მზერას არ შეიძლებოდა გამოჰპაროდა არც ჰედვიგას უცნაური გუნება-განწყობა და არც კრაისლერის გიჟური, თავზე ხელაღებული ქცევა. ეს კი საკმაო საბაბი გახლდათ იმისათვის, რომ პრინცს ეჭვი აეღო და ეფიქრა: ქალ-ვაჟს შორის სიყვარულის ძაფია გაბმულიო. სწორედ ამის გამო დასდევდა კრაისლერს მოსაკლადად, პარკში მომხდარი ამბების შემდეგ კი უგონა, კაპელმანისტერი მოუკალიო და ამიტომაც გადაწყვიტა თვალთ ადარ დანახვებოდა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ, დამწუხრებულ ჰედვიგას. მაგრამ მერე, როდესაც პრინცი დარწმუნდა, რომ კრაისლერი გადარჩა, მყისვე უკან დაბრუნდა და ჩუმ-ჩუმად დაუწყო თვალთვალი საპატარძლოსო.

— დიახ, დიახ, აბა, მითხარით, სხვა ვისზე შეიძლებოდა ეჭვიანა პრინცს, თუ არა კრაისლერზე? და მის ლექსშიაც სწორედ ამ ეჭვზეა ლაპარაკი. ძალზე გონივრული იქნება, — განაგრძობდა ქალბატონი მრჩველი, — თუკი კრაისლერს საერთოდ აეკრძალება სასახლის კარზე გამოჩენა, რადგანაც ის და მანესტრო აბრაჰამი მთელი სასახლის წინააღმდეგ აშკარად შეთქმულების მოწყობას აპირებენო.

— ბენცონ, — ძალზე დაფიქრებით თქვა მთავარმა, — ყოველნაირად ავწონ-დავწონე მოსაზრება, ჰედვიგას მდაბალი და უღირსი მიდრეკილების თაობაზე რომ გამოთქვით და არაფრით არ შემძღია, დაგეთანხმეთ. ნუ გავიწყდებათ, რომ პრინცესის ძარღვებში კეთილშობილური სისხლი ჩქეფს.

— მოწყალეო ხელმწიფე, — გაანჩხლებით წამოიძახა ქალბატონმა ბენცონმა და თმის ძირებიანად გაწითლდა, — იქნებ გგონიათ, რომ დიდგვაროვანი წარმოშობის ქალი უფაღს განსაკუთრებული უნარით დაუჯილდოებია და ამის გამო ძალ-ღონე შესწევს თავის ნებაზე მართოს საკუთარი გულისცემა, ანდა, შეუძლია, როცა მოესურვება, მაშინ შეაჩეროს თავის ძარღვებში მოჩუხჩუხე სისხლი?

— მრჩველო, დღეს თქვენ რაღაც უცნაურ გუნებაზე ბრძანდებით! — გაბრაზებით უთხრა მთავარმა ქალბატონ ბენცონს, — გიმორებოთ თუკი პრინცესის გულში მართლა იფეთქა რაღაც ვნებისმაგვარმა, დარწმუნებული ვარ, ეს მხოლოდ და მხოლოდ აუდმყოფური შეტევა გახლდათ. მოგეხსენებათ, როგორ იტანჯება ხოლმე საბრალო კრუნჩხვებისაგან. ჰოდა, ეს ყველაფერი ამ სენის ბრალი იყო და, ალბათ, ძალეც გაივლიდა; ხოლო, რაც შეეხება კრაისლერს, იგი უდავოდ ძალზე საინტერესო პიროვნებაა, თუმცა, ცოტა გაუთლელი კია. არაფრით არა მგონია, ჰყოფნოდა იმის თავხედობა, რომ პრინცესასთან სიახლოვე ჩაედო გულში. მართალია, თავნებაა, მაგრამ სულ სხვა ყაიდისა და ყალიბისა. მოდი, ერთი წუთით დავუშვათ, რომ ისეთი ძალადი წრის ქალი, როგორიც ჰედვიგა გახლავთ, მისმა ტრფობამ შეიპყრო. მაგრამ, ალბათ, დამეთანხმებით, ბენცონ, რომ პრინცესას არაფრით არ შეუძლო კრაისლერისთანა უცნაური შეხედულებების მქონე კაცის ოცნების საგანი გამხდარიყო. განა არ იცით, ბენცონ, — *entre nous soit dit*, — რომ კაპელმაისტერს ჩვენისთანა გვირგვინოსანი პირები ჩალის ფასადაც არ უღირს. აი, სწორედ ამ უცნაური და სულელური ახირებულობის გამო შეიძლება



აეკრძალოს სასახლის კარზე ყოფნა! დაე, იცხოვროს თავისთვის, ყველასაგან მოშორებით! მაგრამ, თუკი ოდესმე კელაუაც დაგვიბრუნდება, სულითა და გულით გამიხარდება და ვეტყვი, კუთილი იყოს შენი მობრძანება-მეთქი! ისიც კმარა, რაც მაესტრო აბრაჰამისაგან შევითქვე... დიახ, ქალბატონო მრჩეველო, ძალიან გთხოვთ, მაესტრო აბრაჰამს ამ საქმეში ნუ გარუფთ! თუკი რომელიმე შეთქმულებაში მისი ხელიც ყოფილა გარეული, ამას სასახლისათვის მხოლოდ და მხოლოდ სიკეთე მოუტანია. ჰო, მართლა, აი, რისი თქმა მინდოდა: როგორც მაესტრო აბრაჰამმა მომახსენა, თურმე კაპელმაისტერი იძულებული გაუხდიათ, აქედან გაქცეულიყო, თუმცა, იგი სასახლის კარზე კუთილგანწყობით მოვიღე. ამასაც თავი დაუანებოთ, კრაისლერს გონიერ ადამიანად ვთვლიდი. მისი ოხუნჯობა ყოველთვის კარგ გუნებაზე მაყენებდა, თუ მხედველობაში არ მოვიღებთ მის ახირებულ ქცევებს, et cela suffit!

ქალბატონი მრჩეველი აღშფოთებისაგან ადგილზე გაქვავდა, რადგან მიხვდა, რომ პირში ჩალაგამოვლებული დატოვეს. აბა, რას წარმოიდგენდა, სწორედ იმ დროს თუ დაეტაკებოდა წყალქვეშა რიფს, როდესაც დარწმუნებული იყო, მშვიდად მოყვები მოტორტმანე დინებასო.

ანაზღად სასახლის ეზოში საშინელი გნიასი და ჩოჩქოლი ატყდა. დიდი ჰერცოგის ჰუსართა რაზმის თანხლებით სასახლის თაღში ერთიმეორის მიყოლებით ეტლების გრძელი მწკრივი შემოგრიალდა. ეტლებიდან სასწრაფოდ გადმობრძანდნენ: ობერპოფმარშალი, პრეზიდენტი, მთავრის მრჩეველები და ზიგჰარტსვაილერის რამდენიმე დიდგვაროვანი. ბოლოს და ბოლოს, აი, რა გამოირკვა: თურმე მათ ყურამდე მიულწევია ხმას, სასახლეში ამბოხებამ იფეთქა და მთავრის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. ჰოდა, აი, ეს ერთგული ვასალები სასახლის კარის სხვა ქვეშევრდომებთან ერთად გამოეცხადნენ მის ბრწყინვალეებას, რომ თავისი ერთგულება დაემტკიცებინათ და მის გარშემო დარაზმულიყვნენ. ესეც არ იკმარეს, მთავარს საშობლოს დამცველთა რაზმიც აახლეს, დიდის ვაი-ვაგლახით რომ გამოსთხოვეს თურმე გუბერნატორს. ქვეშევრდომები მხურვალედ ეფიცებოდნენ მის ბრწყინვალეებას, თქვენი გულისთვის

<sup>1</sup> ჰოდა, ამაზე კმარა! (ფრანგ.).

წყალში გადავცვოდებითო. ამ გნიასს ისე გაეოგნებინა მთავარი, ხმის ამოდებას ველარ ახერხებდა. მერე ის-ის იყო, რაღაცის თქმა დააპირა, რომ სწორედ ამ დროს რაზმის უფროსი შემოვიდა და იკითხა, რას გვიბრძანებს თქვენი ბრწყინვალეობა, რა მოვიმოქმედოთ შემდეგშიო.

რას იზამ, ასეთი ყოფილა კაცის ბუნება: თუ დიდი ხიფათი, ადამიანს შიშსა და ძრწოლას რომ მოჰგვრის და თვალსა და ხელს შუა უბადრუკი, საცოდავი ქონდრისკაცოვით დაპატარავდება და გაქრება, ეს აუცილებლად ჩვენს უკმაყოფილებას გამოიწვევს. ჭეშმარიტ სიხარულს კაცი მხოლოდ მაშინ განიცდის, როცა აშკარა საფრთხეს დააღწევს ხოლმე თავს, და არა მაშინ, როცა მოჩვენებითს გაექცევა.

და აი, ახლაც, მთავარი ძლივს ერეოდა თავს, რომ რისხვა არ ამოენტხია ამ უმიზეზოდ ატეხილი აურზაურის გამო. აბა, რა პირით უნდა ეთქვა ამდენი ხალხისათვის, მთელი ეს ორომტრიალი იმით არის გამოწვეული, რომ ერთმა კამერდინერმა მოსამსახურე გოგოს პაემანი დაუნიშნა, ხოლო ტრფობის აღმოდებული პრინცი სულელურმა, უსაფუძვლო ეჭვიანობამ შეიპყრო? მთავარმა ხან ასე აწონ-დაწონა მდგომარეობა და ხან ისე. დარბაზში გამეფებულ სამარისებურ სიჩუმეს მხოლოდ ჰუსართა ცხენების ვაჟკაცური, გამარჯვების მომასწავებელი ჭიხვინი არღვევდა, და სწორედ ეს სიჩუმე აწვა მთავარს გულზე მძიმე ლოდოვით.

მისმა ბრწყინვალეობამ, ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, ჩაახველა და ერთობ საზვიამო ხმით დაიწყო:

— ბატონებო, სწორედ განგებამ ინება... აბა, რა გნებავთ, mon ami?!

აი, ამ შეკითხვით მიუბრუნდა მთავარი ჰოფმარშალს და საკუთარ თავს სიტყვა გააწყვეტინა. და, მართლაც, ჰოფმარშალი რა ხანია თავს აკანტურებდა და მის ბრწყინვალეობას თვალთ ანიშნებდა, რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი მინდა გაცნობოთ საიდუმლოდო. გამოირკვა, რომ პრინცი ჰექტორი ეს-ეს არის დაბრუნებულიყო და მიღებას ითხოვდა.

მთავარს შეჭმუნხილი შუბლი გაეხსნა. გუნებაში გაიფიქრა, ახლაკი მომეცა შესაძლებლობა ორიოდ სიტყვით მოვახსენო შეკრებილთ

<sup>1</sup> ჩემო მეგობარო (ფრანგ.).



საფრთხეზე, რომელიც ვითომდა ემუქრებოდა ჩემს გვირგვინს და დიდგვაროვნათა ეს საპატიო თაყვრილობა ჯადოსნური წყლის ერთი აქსეჯით სასახლის კარის ზეიმად გადაუქციო.

ასედაც მოიქცა.

დიდ ხანს არ გაუვლია და დარბაზში პრინცი ჰექტორი შემობრძანდა. ბრწყინვალე ტანსაცმელში გამოწყობილი, ისეთი ვაჟკაცური და ლამაზი შესახედი გახლდათ და ისე ამაყად გამოიყურებოდა, კაცი იფიქრებდა, ნაძვეილი ღმერთკაციაო. მთავარმა პრინცის შესახვედრად რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მაგრამ მყისვე მუხდაცემულივით შედგა. საპატიო სტუმარს დარბაზში ფეხდაფეხ პრინცი იგნატიუსი შემოჰყვა. ყველასათვის აშკარა იყო, რომ მთავრის ძე საუბედუროდ დღითი დღე სულ უფრო და უფრო სულელდებოდა და ლენჩდებოდა. აი, ახლაც ტახტის მემკვიდრეს საშინლად მოსწონებოდა ეზოში ჩამომხტარი ჰუსარები და ერთ-ერთი მათგანისათვის ხმალი, ჩანთა და კივერი დაეცინცლა, ახლა კი მთელი ეს ავლადიდება ტანზე აეჩონჩხლა. აი, მან ქარქაშიდან ხმალი დააძრო და მხიარული სიცილ-ხარხართა და ფეხების ბაკაბუკით შემოურბინა დარბაზს, ვითომ შემომხედეთ, როგორ დაუჯირითობ ცხენითო.

— Partez, décampez! Allez-vous-en, tout de suite! — მუხით დაიგრგვინა მთავარმა და შეშინებულ იგნატიუსს თვალები ისე გადაუბრიალა, საბრალო უმაღლ გაიძურწა დარბაზიდან.

რალა თქმა უნდა, დამსწრეთ ეყოთ თავაზიანობა, არ შეუძინიათ არც პრინცი იგნატიუსი და არც იქ მომხდარი ამბავი; მთავარს იმავე წუთს კვლავ ჩვეული კუთილი და მხიარული გუნება-განწყობა დაეუფლა და პრინცს ხანმოკლე საუბარი გაუბა. მერე კი ორივემ შემოუარა დარბაზს და სტუმრებს თავაზიანად გამოელაპარაკა. მალე მიღებაც დამთავრდა, რამეთუ ამოიწურა ყველა თემა იმ მახვილგონიერი და ჭკვიანური საუბრებისათვის, ჩვეულებრივ ასეთ დროს რომ იმართება ხოლმე. მთავარი პრინცთან ერთად მთავრინას პალატებისაკენ გაეშურა; მერე კი გადაწყვიტა, რომ სტუმარს ჰედვიგასაც აახლებდა, რადგანაც პრინცმა დაიჟინა, გინდა თუ არა, მოულოდნელი სტუმრობით უნდა გაუახარო ჩემი ძვირფასი საცოლევო. სწორედ იმ დროს იულიაც იქ დახვდათ.

<sup>1</sup> წადით, მომშორდით! ახლავე მომშორდით აქედან! (ფრანგ.).

პრინცი ტრფობის აღმოდებული მიჯნურით შმაგად გაექანა პრინცესისაკენ, ნაზად დაუწყო კოცნა ხელზე, თან ეფიცებოდა, მხოლოდ შენზე ოცნებით ვცოცხლობ, ამ აუბედითი გაუგებრობის გამო ჯოჯოხეთურად ვეწამე, უშენოდ ყოფნა აღარ შემიძლია, ჩემი ღვთაება ხარ და მხოლოდ ახლა, შენს დანახვაზე ვიგრძენ, თუ რა ყოფილა ჭეშმარიტი ბედნიერებაო.

ჰედვიგა პრინცს ძალდაუტანებლად და მხიარულად შეხვდა, რაც ასე უჩვეულო იყო მისთვის. საქმროს ნაზი ალერსი ქალმა ისე მიიღო, როგორც საპატარძლოს შემვენის, რომელიც არ ჩქარობს დროზე ადრე აუსრულოს საწადელი გულის სწორს. ჰედვიგამ ხელიდან არ გაუშვა შემთხვევა და პრინცს ხუმრობა-ხუმრობით დაუწყო ლაპარაკი მის საიდუმლო საფარზე. პრინცესა არწმუნებდა საქმროს, ვერც კი წარმოიდგენთ, რა სასაცილოა, როცა ხედავ, რომ ქუდის კოპიტულა თვალსა და ხელს შუა პრინცის თავად გადაიქცევა. ეს ყველაფერი კი აი, რატომ მოხდა: ჯგ თქვენი თავი, პაუილიონის ფანჯარაში რომ გქონდათ ხოლმე გადმოყოფილი, თავდაპირველად ქუდის კოპიტულა მეგონაო. ამ ამბავმა დამსწრენი კარგ ხასიათზე დააყენა. ყველანი მხიარულად იცინოდნენ, რადგან საბაბი მიეცათ, გახუმრობოდნენ ბედნიერ წყვილს. ეტყობა, ამან მთავარსაც კი გამოუკეთა გუნება-განწყობა. მისი ბრწყინვალეობა მხოლოდ ახლადა დარწმუნდა საბოლოოდ, რომ ბენცონი ძალზე ცდებოდა, როცა ცდილობდა, ყველაფერი კრალსლერისათვის გადაებრალებინა. მისი აზრით, უკვე საუსებით ცხადი გახდა, რომ ჰედვიგა ამ უმშვენიერესი მამაკაცის მიმართ არამც და არამც გულგრილი არ უნდა ყოფილიყო. კაცს აშკარად ეცემოდა თვალში, რომ პრინცესა საოცრად გალამაზებულიყო და გაფურჩქნილიყო, უფრო სიტყვამოსწრებული და გამჭრიახი გამხდარიყო: მოგეხსენებათ, ასე სჩვევიათ ხოლმე ბედნიერ საპატარძლოებს. სამაგიეროდ, იულია პრინცის დანახვაზე შიშისაგან ციებცხელებიანივით აკანკალდა. მიტკალივით გაფითრებული და თვალვებდახრილი იდგა საბრალო და ძლივს იკაუებდა თავს, რომ გრძნობა არ დაეკარგა.

საკმაო ხანმა განვლო, ვიდრე პრინცი ბოლოს და ბოლოს მისკენ მობრუნდებოდა და ეტყოდა:

— თუ არ ვცდები, ვგონებ, ფროილან ბენცონი უნდა ბრძანდებოდეთ, არა?



— პრინცესის ბავშვობის მეგობარი გახლავთ. ღვიძლი დებოთ არიან ერთმანეთთან შეზრდილი! — მთავარმა ეს სიტყვები თქვა თუ არა, პრინცმა იულიას ხელში ჩააგლო ხელი და ყურში ჩუმად, ძალიან ჩუმად წასჩურჩულა:

— იცოდე, თითოეული ჩემი სიტყვა მხოლოდ შენთვის იყო განკუთვნილი!

იულიამ წაიბორძიკა, მტანჯველი შიშისაგან თვალები ცრემლით ავესო და, ალბათ, იქვე ჩაიკეცებოდა, პრინცესას ხელი რომ არ შეეშველებინა და საუარძელზე არ დაესვა.

ჰედვიგა საბრალო გოგონასა კენ დაიხარა და ჩურჩულით უთხრა:

— იულია! ეცადე, ძალ-ღონე მოიკრიბო! ნუთუ ვერ ხვდები, მეც რა დღეში ვარ?

მთავარმა კარი გამოაღო და ბრძანა, Eau de Luce<sup>1</sup> მოეტანათ.

— ეგ წვეთები არ წამომიღია, — თქვა დარბაზში შემოსულმა მაესტრო აბრაჰამმა, — სამაგიეროდ, ეთერი თანა მაქვს. რა მოხდა? ვინმეს გულყრა აქვს? თუ ასეა, ეთერიც მშვენივრად უშველის.

— სწრაფად, სწრაფად, მაესტრო! — მიუგო მთავარმა, — ფროილან იულიას მიხედეთ სასწრაფოდ!

მაგრამ მაესტრო აბრაჰამი დარბაზში შემოვიდა თუ არა, უჩვეულო რამ მოხდა. ერთიანად გაფითრებული პრინცი ჰექტორი თვალებში მიაჩერდა მას. კაცი იფიქრებდა, შიშისაგან თმა ყალყზე დაუდგაო, შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა. მერე ტანი შემართა, ერთი ნაბიჯი წინ გადადგა და მაესტროსაკენ ხელები გაიშვირა. მაესტრო კი ამ წუთში მაკბეტს მოგაგონებდათ, ბანკოს შემზარავ, სისხლივით მოსვრილ აჩრდილს რომ შეჰყურებს, როცა იგი მაგიდასთან ცარიელ ადგილს მიუჯდება. მერე მშვიდად ამოიღო წამლის შუშა და იულიასთან მისვლა დააპირა.

ამან თითქოს გამოაცოცხლაო პრინცი.

— სვერინო, ნუთუ ეს თქვენა ხართ? — ყრუ ხმით თქვა შეძრწუნებულმა.

— რა თქმა უნდა, — მიუგო მაესტრო აბრაჰამმა, ისე, რომ არც აღელვებულა და არც სახის გამომეტყველება შესცვლია, — ძალზე სასიამოვნოა, რომ არ დაგვიწყებოვართ, მოწყალეო ხელმწიფევ; თუ

<sup>1</sup> აქ: საყნოსავი წვეთები (ფრანგ.).

არ ვცდები, პატოვი მქონდა, ერთ ღროს თქვენთვის ნეაპოლში მცირე სამსახური გამეწია.

მაესტრომ კიდევ ერთი ნაბიჯით წაიწია წინ, მაგრამ ამ ღროს პრინცმა მკლავეში ხელი ჩააუღო, თითქმის ძალით გაათრია განზე, და, აი, აქ მათ შორის ხანმოკლე საუბარი გაიმართა. დარბაზში მყოფნი სრულიად ვერაფერს მიხვდნენ, რადგან მოსაუბრენი გამაღლებით ლაპარაკობდნენ და თანაც ნეაპოლურ კილოკავზე.

— სვეერინო! კი, მაგრამ, იმ კაცთან როგორ გაჩნდა ის სურათი?  
— მე მას თავად გადაუეცი, რომ ამ გზით თქვენგან თავის დაცვა შესძლებოდა.

— თვითონ მან იცის რაზე?

— არა.

— შეგიძლიათ ენას კბილი დააჭიროთ?

— ჯერჯერობით კი.

— სვეერინო! ხომ ხედავთ, ღმერთსაც და ეშმაკსაც ჩემს წინააღმდეგ შეუკრავთ პირი! რას ნიშნავს ეს თქვენი „ჯერჯერობით“?

— გაჭრუმდები, თუკი ჩემს ნება-სურვილს დაემორჩილებით და დაეხსნებით კრაისლერსა და აი, იმ გოგონას.

პრინცმა ხელი უშვა მაესტროს და ფანჯარასთან მივიდა.

ამასობაში იულიაც გონს მოეგო. საბრალომ სვედით საუსე თვალებით შეხედა მაესტროს და უფრო წაიჩურჩულა, ვიდრე თქვა:

— ო, ჩემო ძვირფასო, საყვარულო მაესტრო! თქვენ ხომ ძალიან ბევრის გაკეთება შეგიძლიათ! თქვენი ხელოვნების წყალობით შეიძლება ჯერ კიდევ სასიკეთოდ წარიმართოს ყოველივე!

მაესტრო აბრაჰამს უცნაურად ენიშნა იულიას სიტყვები, რადგან მის ნათქვამსა და პრინცთან ახლახან გამართულ საუბარს შორის გაბმული რაღაც იდუმალი ძაფი დაიჭირა. თითქოს გოგონა გრძნობის დაკარგვამ ცნობადობის უმაღლესი ნიჭით დააჯილდოვა და აი, ახლა ყოველივეს მიხვდა და მთელი საიდუმლო ამოიცნო.

— ჩემო კარგო, შენ ხომ კეთილი ანგელოზი ხარ, — წასჩურჩულა მაესტრომ იულიას ყურში, — ამიტომაც, აბა, მითხარ, ცოდვასა და ბოროტებას რა ხელი აქვს შენთან?! იცოდე, გამხნევდი და მთელი არსებით მომენდე! გახსოვდეს ჩვენი იოჰანესი!

— აჰ, — მწუხარედ წამოიძახა იულიამ, — აჰ, იოჰანეს! მითხა-



რით, მაესტრო, ხომ აუცილებლად დაბრუნდება? ხომ შევძლებ კვლავ მის ნახვას?

— რა თქმა უნდა, — მიუგო მაესტრომ და თითი ტუჩზე მიიღო; იულია მიუხვდა მას.

პრინცი ცდილობდა, რაც შეიძლება უდარდელად დაეჭირა თავი. მან დამსწრეთ მოახსენა: აი, ეს კაცი, აქ თურმე მაესტრო აბრაჰამს რომ ეძახიან, ერთი ძალიან სამწუხარო ამბის მოწმე გახლდათ, ამ რამდენიმე წლის წინ რომ დატრიალდა ნეაპოლშიო. და იქვე დასძინა, უნდა გამოგიტყდეთ, იმ საქმეში მეც ვიყავი გარეული, მაგრამ ახლა, ჯერჯერობით, არ არის საჭირო იმის მოყოლა, თუ რა მოხდა მაშინ, იქ, თუმცა, საერთოდ, დასამალი არაფერი მაქვს და თავის დროზე ყველაფერს მოგახსენებთო.

მაგრამ პრინცის სულში ისეთი ძლიერი ქარიშხალი ბობოქრობდა, არ შეიძლებოდა ზედაპირზეც არ ამოეხეთქა, თუმცაღა, უდარდელი საუბრით ცდილობდა, დაეღწია თავი ამ საუაღალო მდგომარეობისგან. ეს უდარდელობა კი სრულიად არ ესადაგებოდა მისი სახის გამომეტყველებას, რომელზედაც სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ შერჩენოდა. პრინცესამ პრინცზე უკეთ შეძლო თავს მორეოდა და გადაელაზა ეს საშინელი დაძაბულობა. ქალმა თავის იარაღად ირონია მოიშველია, როცა ეჭვიცა და წყენაც ოსტატურად არის შენიღბული და მოხერხებულად მიიღებს ხოლმე ბოროტი დაცინვის სახეს. ჰედვიგა ცდილობდა პრინცი ამ გზით სულ უფრო და უფრო ღრმად შეეტყუებინა თავისსავე აზრების ლაბირინთებში. პრინცი ჰექტორი მაღალი წრის კაცი გახლდათ და გაქნილობაც არ აკლდა. ამასთან, მთელ მის სხეულში სულიერი გახრწნილობის ის სენი ჩაბუდებულიყო, ყოველივე ცოცხალს, გულწრფელსა და სპეტაკს ჩანასახშივე რომ სპობს და ანადგურებს. ჰოდა, აი, ასეთი კაცი ახლა ვერას გამხდარიყო ამ უცნაურ არსებასთან. რაც უფრო მეტად ბობოქრობდა და ღელავდა ჰედვიგა, რაც უფრო ცეცხლოვანი ხდებოდა მისი მახვილგონიერი დაცინვის ნაკადი, მით უფრო მოუსვენრად და უხერხულად გრძნობდა თავს პრინცი. ბოლოს და ბოლოს, ვეღარ აიტანა ყოველივე ეს და სასწრაფოდ გაემართა კარისაკენ.

მთავარს ამჯერადაც იგოვე დაემართა, რაც ასეთ დროს ჩვეულებრივ ემართებოდა ხოლმე; იგი უბრალოდ ვერ მიმხვდარიყო, თუ რა ხდებოდა მის გარშემო. მისი ბრწყინვალეობა იმით დაკმაყოფილდა,

რომ პრინცს რამდენიმე უმნიშვნელო ფრანგული წინადადება ესროლა, რაზედაც სასიძომ ასევე უპასუხა. ის-ის იყო, პრინცი დარბაზიდან უნდა გასულიყო, რომ მოულოდნელად სახეშეშლილი ჰედვიგა იატაკს დააშტერდა და შემაძრწუნებელი ხმით შეჰკოცლა:

— აი, აი, აქ ვხედავ მკვლელის სისხლიან კვალს! — მერე კი, თითქოს ღრმა ძილიდან გამოერკვაო, მხურვალედ მიიკრა იულია მკერდზე და ჩასჩურჩულა, — ჩემო პატარავ, ჩემო საბრალოვ, ყოველნაირად შეეცადე, არ მოტყუვდე!

— ღმერთო დიდებულო! ყველაფერი რა საიდუმლოებითაა მოცული, ეს რა სისულელეები და რომანტიკული ბოდვა მესმის ყველგან! — კბილებში გამოცრა გაბრაზებულმა მთავარმა, — Ma foi,<sup>1</sup> ველარ მიცნია ჩემი სასახლე. მაესტრო აბრაჰამ, ჩემი საათი გაფუჭდება თუ არა, უმალ შემიკეთებთ ხოლმე. ახლაც მსურს შეამოწმოს, რა დაზიანდა ასეთი საათის მექანიზმში, დღემდე შეუცდომლად რომ მუშაობდა. ჰო, მართლა, ერთი გამაგებინეთ, ვინ არის ეს სვეერინო?

— ნეაპოლში ამ სახელით გამოვდიოდი, — მოახსენა მაესტრომ მთავარს, სწორედ ამ სახელით ვუჩვენებდი ჩემს ოპტიკურ და მექანიკურ ხელოვნებას.

— მაშ, ასე, მაშ, ასე, არა? — თქვა მთავარმა და დაჟინებით მიაშტერდა მაესტროს, თითქოს რალაციის კითხვა უნდაო, მაგრამ მყისვე მიბრუნდა და უხმოდ გავიდა ოთახიდან.

შესაძლოა, იფიქროს, ქალბატონი ბენცონი ამ დროს მთავრინასთან იმყოფებოდაო, მაგრამ არა. იგი შინისაკენ გაეშურა.

იულიამ სუფთა ჰაერზე გაულა მოინდომა და მაესტრომ იგი პარკში ჩაიყვანა. სეირნობ-სეირნობით დაუყვანენ თითქმის უკვე ფოთლებშემოდარცული ხეების რიგებს, საუბრობდნენ კრაისლერსა და მის ცხოვრებაზე საბატოში. ასე ტაატით მოვიდნენ მეთევზის ქობამდე. იულიას დასვენება მოუნდა და შიგნით შევიდა. კრაისლერის ბარათი მაგიდაზე იდო. მაესტრომ გაიფიქრა, ისეთი არაფერი წერია შიგ, რაც იულიასათვის უსიამოვნო იქნებაო. გოგონამ ბარათი გახსნა და კითხვას შეუდგა. მაესტრომ დაინახა, როგორ აუვარდისფრდა იულიას ლოყები, როგორ აკიაფდა მის თვალებში სინაზის ნაპერწკალი, გულწრფელი სიხარულის ეს უტყუარი მაცნე.

<sup>1</sup> პატიოსან სიტყვას გაძლევთ (ფრანგ.).



— ჩემო საყვარელო გოგონავ, — ალერსით უთხრა მან, — აი, ხომ ხედავ, ჩვენი იოჰანესის კუთილი სული როგორ გესაუბრება და გამშვიდებს შორიდან? აბა, როგორ შეიძლება, გაშინებდეს რაიმე ხიფათი, როცა თავად ერთგულება, სიყვარული და სიმამაცე გიცავს იმ მტარვალისაგან?

— ღმერთო დიდებულო! — წამოიძახა იულიამ და მზერა ზეცაში ალაპყრო, — გვედრები, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავისაგან დამიფარე! — გოგონა საშინლად შეაშინა გულის სიღრმიდან აღმომხდარმა სიტყვებმა და მთელი სხეულით აკანკალდა, მერე ნახვერად გონმიხდილი სავარძელში ჩაესვენა და აღმურმოდებული სახე ხელებში ჩამალა.

— ჩემო გოგონავ, არაფერი მესმის შენი, — თქვა მაესტრომ, — ეტყობა, საკუთარი თავისა თვითონაც არაფერი გაგვება. სწორედ ამიტომაც საჭირო, ჩაიხედო მაგ სულის სიღრმეში და საკუთარ თავს ყველაფერში გამოუტყდე, არაფერში დაინდო იგი მაშინაც კი, თუკი მისდამი სიბრალულის გრძნობა შეგბიპყრობს!

მაესტრომ იულიას აცალა, ღრმა ფიქრებში წასულიყო, თვითონ კი გულხელი დაიკრიფა და საიდუმლო მინის ბურთს შეჭედა. საშინელმა კაემანმა შეუკუმმა გული და უცნაური წინათგრძნობით შეპყრობილმა წამოიძახა:

— დიახ, შენ უნდა გკითხო რჩევა-დარიგება, შენ, ჩემი ცხოვრების მშვენიერო, ღვთაებრივო საიდუმლოვ! მაშ, მოდი, მითხარი რამე, გამაგონე შენი ხმა! შენ ხომ მაინც კარგად უწყვი, რომ არასოდეს ვყოფილვარ ბილწი გულის წადილის კაცი, თუმცა, ბევრი მთელიდა ასეთად. არა და არა! ჩემში მუდამ გრძნეული სიყვარულის ცეცხლი ენთო და აბა, მითხარ, განა ეს არ არის მარადიული სული?! დიახ, დიახ, ჩემს გულში ის ნაპერწკალი კიაფობდა, შენმა სუნთქვამ ნათელ, კუთილშობილ ცეცხლად რომ აქცია. არ გვგონოს, კიარა, რომ ეს გული დაბერდა, გაიყინა და ისე ძალუმად ვეღარ ძგერს, როგორც იმ დროს, როცა იმ მტარვალ სვეერინოს გამოვტაცე შენი თავი. არ იფიქრო, თითქოს ახლა უფრო ნაკლებად ვიმსახურებდე შენს სიყვარულს, ვიდრე იმ დღეს, გახსოვს, თავად რომ მომძებნე?! დიახ, ოღონდ მასმინე ეგ ხმა და ფეხმარდი ბიჭვით გამოვექანები შენს შესახვედრად, და მაშინ კი, უთუოდ გიპოვი, ჩემო ძვირფასო. მერე ისევ ერთად ვიქნებით, განვაახლებთ ჩვენს ჯადოსნურ თანამშ-

რომლობას და ხელს მოკიდებთ უმაღლეს მაგიას, რომელსაც ხანდახან თავისდა უნებურად თვით ყველაზე ჩვეულებრივი ადამიანებიც კი ეზიარებიან ხოლმე, თუმცაღა, არაფერი სწამთ და სჯერათ მისი. იქნება შენი სხეული აქ, ჩვენ შორის, მიწაზე არც იმყოფება? მაშინ მე იმითაც ბედნიერად ჩავთვლი თავს, თუკი შენი ხმა სულების სამეფოდან შემომესმება. ამიერიდან კიდევ უფრო გააკეთილშობილდები და აუმაღლდები. მაგრამ, არა! არა! გახსოვს, როგორ უღერდა შენი სიტყვები, ჩვეულებრივ რომ მომმართავდი ხოლმე?

„რას გახდება თვით სიკვდილიც, თუკი გულში ისევ სიყვარული ანთია. გაგინათებს საღამოს მწუხრი, უნუგეშოდ თუ ხვდებოდი განთიადს“.

— მაესტრო! — წამოიძახა იულიამ; გოგონა ფეხზე წამომდგარიყო და გაოცებით უგდებდა ყურს მოხუცის სიტყვებს, — კი, მაგრამ, ვის ესაუბრებოდით? მითხარით, რა განიზრახეთ? გავიგონე, სვერიონო რომ ახსენეთ ღმერთო დიდებულო! შეშინებული პრინცი გონს რომ მოეგო, განა სწორედ ამ სახელით არ მოგმართათ? მითხარით, რა საშინელი საიდუმლოება იმალება ყოველივე ამის მიღმა?

იულიას ხმის გაგონებაზე მოხუცი მყისვე მოეგო გონს. სახეზე რაღაც უცნაური, ირონიული ღიმილი გადაეფინა, რაც კარგა ხანია უცხო გამხდარიყო მისთვის, და აგრერიგად არ ეხამებოდა მის გულწრფელსა და ალალ ბუნებას. ეს აუბედითი ღიმილი მთელს მის არსებას რაღაც ბოროტ იერს აძლევდა.

— ჩემო მომხიბლავო გოგონაუ! — ისეთი გამკივანი ხმით შესძახა მაესტრომ, როგორითაც მოხეტიალე ჯამბაზები ბრბოს თავიანთ ხელოვნებას უქებენ ხოლმე, — ჩემო ძვირფასო, ცოტაოდენი მოთმინება გმართებთ მხოლოდ; მერე კი პატივი მექნება, აქ, მეთევზის ქოხში, ისეთი უცნაური სანახაობა წარმოგიდგინოთ, რომ გაგაოცებთ; მალე იხილავთ მოცეკვავე კაცუნებს, პატარა თურქს, რომელმაც მშვენიერად იცის, ვინ რამდენი წლისაა; მოსამართ თოჯინებს, ურჩხულთა ემბრიონებს, ზღაპრულ სურათებს, ოპტიკურ სარკეებს. ეს ყველაფერი მშვენიერი, ჯადოსნური სათამაშოები გახლავთ მაგრამ მე ჯერ კიდევ არაფერი მითქვამს მათ შორის ყველაზე საუცხოოზე.



ჩემი უჩინარი გოგონა აქ იმყოფება. აბა, ერთი დააკვირდით, იგი უკვე ზევით, მინის ბურთზე ზის! მაგრამ ჯერჯერობით დუმს; ეტყობა, ძალზე დაუღლია მოგზაურობას; ის ხომ შორეული ინდოეთიდან დაბრუნდა! რამდენიმე დღეში ჩემი უჩინარი გოგონა გონს მოჰგება და აი, მაშინ უკვე შეგვეძლება ჩავეკითხოთ მას პრინც ჰექტორზეც, სვერინოზეც და წარსულსა და მომავალზეც! ახლა კი, მოდი, უბრალოდ ცოტა თავი შევიქციოთ!

ესა თქვა თუ არა, მაესტრო ჭაბუკური სიმკვირცხლით წამოხტა და ოთახს დაურბინა; ჯერ მანქანები ჩართო, მერე კი მაგიური სარკეები დააყენა. და აი, ოთახის ყველა კუთხე მოულოდნელად თითქოს გაცოცხლდაო, ყველაფერი ამოდრაჟდა: მოსამართმა თოჯინებმა სიარული და თავების კანტური იწყეს, მექანიკურმა მამალმა ფრთა ფრთას შემოჰკრა და „ყიყლიყო“ შემოსძახა, თუთიყუშები ყურისწამლებად მოჰყვნენ ყრანტალს. კაცს ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს იუღია და მაესტრო ერთსა და იმავე დროს ოთახშიც იდგნენ და ეზოშიც. თუმცა, იუღია უკვე კარგა ხანია შეჩვეული იყო მსგავს სანახაობებს, მაინც შიშის ძრწოლამ აიტანა, როცა დაინახა, რა უცნაურ გუნებაზე იყო მაესტრო.

— მაესტრო, — წამოიძახა შეშინებულმა გოგონამ, — კი, მაგრამ რა დაგემართათ?

— შვილო ჩემო, — ახლა უკვე ჩვეულებრივი სიდინჯით მიუგო მაესტრომ, — მოულოდნელად რაღაც ძალზე უცნაური და მშვენიერი გრძნობა დაეუფლა მთელს ჩემს არსებას, მაგრამ სრულიადაც არ არის საჭირო, შენ ამის შესახებ რაიმე იცოდე. დაე, ამ მკვდრეთით აღმდგარმა სულებმა თავიანთი ხელოვნებით დაგვატკბონ, მე კი ამასობაში ბევრ ისეთ ამბავს გაგანდობ, რისი ცოდნაც შენთვის საჭირო და სასარგებლო იქნება. ჩემო ძვირფასო იუღია! მშობელმა დედამ დაგიგმანა თავისი გულის კარი. მე კი მინდა, გაუხსნა იგი, რათა მასში ჩახედვა შეძლო. ასე და ამრიგად, მინდა დაგანახვო, რა საფრთხეში ხარ, რომ თავი დააღწიო მას. მაშ, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე გეტყვი, რომ დედაშენს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, არც მეტი, არც ნაკლები...

(მ. ა. ა.) ...ამაზე ჯერჯერობით არას ვიტყვი. ჭაბუკო კატაჟ, შეეცადე ჩემსავით თავმდაბალი იყო და ნუ მოინდომებ, საკუთა-

რი აზრები ლექსებით გამოხატო, თუკი შეძლებ, ამ საქმისათვის უბრალო, მაგრამ კეთილშობილი პროზა გამოიყენო! პროზად დაწერილ წიგნში ჩართული ლექსები ძეხვში ჩადებულ ქონს უნდა მოგვაგონებდეს. ყველასათვის ცნობილია, თუ სატენში აქა-იქ გაბნეული ქონის პატარ-პატარა ნაჭრები მთელ ძეხვს რა ეშხიან ბზინვარებასა და სასიამოვნო გემოს აძლევს! სრულიადაც არა მაქვს იმის შიში, რომ ჩემი თანამოკალმენი ასეთ შედარებას უხამსად და არაკეთილშობილურად ჩამითვლიან, რამეთუ იგი ჩვენი მოდგმის საყვარელ სასუსნავთან დაკავშირებით მოვიყვანე მაგალითად. ჭეშმარიტად, ხანდახან კარგ ლექსს შეუძლია ისეთივე სამსახური გაუწიოს რომელიმე საშუალო რომანს, როგორიც ქონის პაწია ნაჭურმა მჭლე ძეხვს. ყოველივე ამას მოგახსენებთ კატა, რომელსაც ესთეტიკური განათლება აქვს მიღებული და ცოდნა-გამოცდილებაც არ აკლია!

ჩემი ადრინდელი ფილოსოფიური და ზნეობრივი შეხედულების პატრონს, როგორადაც უღირსად და უბადრუკად უნდა მჩვენებოდა პონტოს საქციელი, მისი ცხოვრების ყაიდა, მისი პირმოთნეობა, რითაც იგი თავის პატრონის გულის მოგებას ცდილობდა, მაინც ძალზე მომწონდა და მიზიდავდა მეგობრის მსუბუქი, ნარნარი მიხრა-მოხრა და ხალხში თავის დაჭერა. ყოველნაირად ვცდილობდი, შთამუგონებინა საკუთარი თავისათვის, რომ ჩემი მეცნიერული განსწავლულობითა და საქმისადმი ბრძნული დამოკიდებულებით გაცილებით უფრო მაღლა ვიდექი, ვიდრე უქნარა პონტო, აქა-იქ ყურმოკრული ამბებით რომ მიელო ზერულე განათლება. და მაინც, ქვეცნობიერად აშკარად ვგრძნობდი, რომ პონტო ყველა საკითხში ხელის ერთი მოსმით ჩამისვამდა ჯიბეში. იძულებული ვიყავ, მეღიარებინა, რომ არსებობდა ჩვენს მოდგმაზე მაღალი ფენა, და რომ პუდელი პონტო სწორედ ამ ფენის წარმომადგენელი გახლდათ.

თუკი კაცს მხრებზე გენიოსის თავი აბია, აი, მაგალითად, ისეთი, როგორიც მე, მისთვის ნებისმიერი ცხოვრებისეული დაკვირვება, ნებისმიერი შემთხვევა ორიგინალური აზრების გამომწვევ მიზეზად იქცევა ხოლმე. აი, ახლაც, ზედმიწევნით გულდასმით ავწონ-დავწონე ჩემი და პონტოს ურთიერთობის ყველა წვრილმანი და ძალზე მნიშვნელოვანი აზრები დამებადა, რომლებიც საესებით იმსახურებენ იმას, რომ ჩემს ძვირფას მკითხველს გავუზიარო...



ნეტავ რატომ ხდება ხოლმე, — ვეკითხებოდი საკუთარ თავს და თან ღრმააზროვნად მქონდა ჩამოყრდნობილი შუბლი თათუბზე, — რატომ ხდება, რომ ბრწყინვალე მგოსნები და საქვეყნოდ ცნობილი ფილოსოფოსები ასე უმწეოდ გამოიყურებიან ვგრეთ წოდებულ მაღალ საზოგადოებაში? ალბათ, იმიტომ, რომ ისინი ცხვირს სწორედ იქ ყოფენ, სადაც მათი ადგილი არ არის, მაშინ იწყებენ ლაპარაკს, როცა ენას კბილი უნდა დააჭირონ, და, პირიქით, გაჩუმებული არიან, როცა ხმის ამოღებაა საჭირო. თავიანთი აზრებითა და მიზან-მისწრაფებებით ისინი ყოველთვის უპირისპირდებიან საზოგადოების მიერ დადგენილ წესებსა და კანონებს, და ამით ყველგან და ყოველთვის შეურაცხყოფენ სხვებსაც და საკუთარ თავსაც. ერთი სიტყვით, ისინი იმ ადამიანს მაგონებენ, მხიარულად მოსეირნე ხალხის ნაკადში საპირისპირო მიმართულებით თავქუდმოგლეჯილი რომ იკაფავს გზას და მთელ წესრიგს არღვევს. ვიცი, იტყვიან, ეს ყველაფერი უკულტურობის ბრალიაო, კულტურას კი, მოგეხსენებათ, საწერ მაგიდასთან ჯდომით ვერ ეზიარება კაცი. მიუხედავად ამისა, მაინც მგონია, არც ისე ძნელი უნდა იყოს ამ კულტურის შექმნა, თუმცა, ამავე დროს იმასაც ვფიქრობ, რომ ეს გადაულახავი უმწეობა, თქმა არ უნდა, რაღაც სხვა მიზეზებითაც უნდა იყოს გამოწვეული.

აბა, როგორ შეიძლებოდა პოეტზე ან ფილოსოფოსზე გვეთქვა, დიდიაო, თუკი თავად ვერ იგრძნობდა საკუთარ სულიერ უპირატესობას; ამავე დროს იგი ვერ იქნებოდა ამ ღრმა გრძნობის პატრონი, აგრერიგად რომ არის დამახასიათებელი ყველა გენიალური ადამიანისათვის, თუკი ვერ მიხვდებოდა, რომ მისი ეს უპირატესობა არ შეიძლებოდა აღიარებული ყოფილიყო, რამეთუ ამის აღიარება დაარღვევდა წონასწორობას; ხოლო წონასწორობის შენარჩუნება, მოგეხსენებათ, ვგრეთ წოდებული მაღალი საზოგადოების უმთავრეს საზრუნავს შეადგენს. ამ საზოგადოებაში თითოეული ხმა ჰარმონიულად უნდა იყოს შერწყმული დანარჩენ ხმებთან, ყველამ ერთად კი მთლიანი, სრულყოფილი კეთილხმოვანება უნდა შექმნან. პოეტის ხმა ამ დროს არაკეთილხმოვნად გაისმის ხოლმე; და თუმცა, შესაძლებელია, სხვა პირობებში, ცალკე, სასიამოვნო მოსასმენიც კი იყოს, მაგრამ აქ, ამ შემთხვევაში, მოწონებას ვერ დაიმსახურებს, რამეთუ სრულიად არ ეხამება ხმათა ერთობლივ ქლერადობას. კარ-

გი საქციელი კი, მოგახსენებათ, ისევე როგორც კარგი გემონება, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ თავისუფალია ყოველგვარი უადგილობისა და უწესობისაგან.

აი, კიდევ რა მინდა მოგახსენოთ ცუდი გუნება-განწყობილება პოეტში ანდა ფილოსოფოსში იმის შეგნებას ბადებს, რომ ერთმანეთთან სრულიად შეუსაბამოა, ერთი მხრივ, საკუთარი უპირატესობის განცდა, ხოლო მეორე მხრივ, მაღალ საზოგადოებაში გამოჩენა. ეს კი პოეტს ან ფილოსოფოსს, რომელიც ჩახედული არ არის მაღალი საზოგადოების წესებსა და კანონებში, ხელს უშლის გაეცნოს ამ საზოგადოების ცხოვრებას და ამაღლდეს მასზე. აუცილებლობა მოითხოვს, ასეთ დროს კაცმა გადაჭარბებული შეფასება არ მისცეს საკუთარ სულიერ უპირატესობას; და რაც უფრო ადრე ჩახვდება იგი ამ ჭეშმარიტებას, მით უფრო გაუადვილდება, გაზვიადებულად არ შეაფასოს ეგრეთ წოდებული მაღალი წრის კულტურა; ამ კულტურის არსი ხომ მხოლოდ და მხოლოდ იმაში მდგომარეობს, ყველა წახნაგი და მახვილი კუთხე დააბლაგვოს და გლუვი გახადოს, ყველა ადამიანი ერთ თარგზე მოჭრას და სწორედ ამით დაუკარგოს მას ყოველგვარი თვითმყოფადობა. აი, პოეტი მაშინ კი შეძლებს, მოერიოს თავის ცუდ გუნება-განწყობილებას, მოახერხებს, ჩასწვდეს ამ კულტურის არსსა და იმ უბადრუკი წანამძღვრების მნიშვნელობას, რომელსაც ეს კულტურა ემყარება; ყოველივე ამის შემეცნება კი უკვე საკმარისია იმისათვის, რომ პოეტმა ალღო აუღოს უცნაურ სამყაროს, ამ კულტურის კანონთა განუხრელად დაცვას რომ მოითხოვს.

სულ სხვაგვარია ბედი იმ ხელოვანის, პოეტისა თუ მწერლისა, რომელსაც ზოგჯერ ვინმე დიდგვაროვანი მიიწვევს ხოლმე თავის კარზე, რათა ამით ფეხის ხმას აჰყვეს და ხარკი მიუზღას ხელოვნებისადმი სიყვარულს. სამწუხაროდ, ასეთ ხელოვანთა უმრავლესობა ხელოსნის დონემდე ეშვება და ამიტომაც, ან პირმოთნეობასა და მაამებლობას იწყებს, ან არა და თავხედი და უხეში ხდება ხოლმე.

**(გამომცემლის შენიშვნა: მურ, ძალიან მწყინს, რომ ასე ხშირად გებადება სურვილი, სხვათა სამკაულებით მოირთო და მოიკაზმო; და არცთუ უსაფუძვლოდ ვშიშობ, რომ ამის გამო ძვირფას მკითხველს, ბოლოს და ბოლოს, დაეკარგება შენდამი პატივისცემა.**



გე შეხედულებები, რომლებითაც ასე მოგაქვს თავი, პირდაპირ კაპელმაისტერ იოჰანეს კრაისლერს ხომ არ აართვი? და, საერთოდ, ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთი ცხოვრებისეული გამოცდილება დაგვეგროვებინა და ასე ღრმად ჩასწვდომოდი ამ ქვეყნის ყველაზე საოცარ საიდუმლოებას, ესე იგი, შეგძლებოდა გეჭვრიტა შემოქმედი ადამიანის სულის კუნჭულები).

„ვითომ რატომ, რატომ ვერ უნდა შეძლოს გენიალურმა კატამ, — განვაგრძობდი ფიქრს, — პოეტი იქნება ის, მწერალი თუ ხელოვანი, მისწვდეს უმაღლესი კულტურის მწვერვალებს და დაუღალავი მეცადინეობის წყალობით გამოიყენოს ამ კულტურის გარეგნული მშვენიერებისა და მომხიბვლელობის გამოვლინების ყველა საშუალება? განა ბუნებამ მისი მაღლი მხოლოდ და მხოლოდ ძალთა მოდგმას დააფრქვია? თუ კატები, ასე თუ ისე, მაინც განვსხვავდებით ამ გოროზი არსებებისაგან ჩაცმულობით, ცხოვრების ყაიდით, ქცევითა თუ ადათ-წესებით, განა დედაბუნებამ ჩვენც ისევე არ დაგვასაჩუქრა სისხლითა და ხორციით; და, ბოლოს და ბოლოს, იმისათვის, რომ იარსებონ, განა ძაღლებიც ამასვე არ სჩადიან, რასაც ჩვენ?! მათთვის ხომ ისევე აუცილებელია ჭამა-სმა, ძილი და ა.შ., როგორც ჩვენთვის? და განა ცემის დროს ისინიც ისევე არ განიცდიან ტკივილს, როგორც ჩვენ? ჰოდა, რა დასკვნა შეიძლება გააკეთოს აქედან კაცმა?“

გადავწყვიტე, ყურად მელო ჩემი ჭაბუკი მეგობრის, დიდგვაროვან პუდელ პონტოს რჩევა-დარიგება, და ყოველგვარი ჭოჭმანის გარეშე მაესტროს ოთახში შევბრუნდი. სარკეში თვალი შევაღლე თუ არა საკუთარ თავს, მყის დავრწმუნდი: მაღალი კულტურის მწვერვალებისაკენ მარტოოდენ სწრაფვის სურვილსაც კი უკვე თავისი მაღლიანი კვალი დაემჩნია ჩემს გარეგნობაზე. უდიდესი ნეტარებით შევცქეროდი საკუთარ თავს. გავიფიქრე, ნუთუ არსებობს ამქვეყნად უფრო სასიამოვნო განცდა, ვიდრე საკუთარი თავით ტკბობაა-მეთქი და სიამოვნებისაგან კრუტუნი მოვრთე.

მეორე დღეს ზღურბლზე ჯდომას აღარ დავჯერდი და ქუჩაში გავედი სასეირნოდ. ანაზდად შორიდან ბარონი ალკიბიადე ფონ ვიპი შევნიშნე; უკან კუნტრუშით ჩემი ანცი მეგობარი, პონტო მოჰყვებოდა. ამაზე ხელსაყრელი შემთხვევა, ალბათ, არც არასდროს

ჩამოვარდებოდა ხელში... ჰოდა, წელში გავიზნე და მეგობრის შესახვედრად ნარნარი რხევით გაუწიე; მოგეხსენებათ ამ მოძრაობების შესწავლა კაცს არაუითარი მეცადინეობით არ ძალუძს, რამეთუ იგი კალთამადლიანი დედაბუნების ნობათი გახლავთ მაგრამ, ჰოი, საშინელებავ! რომ იცოდეთ, რა მოხდა სწორედ ამ დროს! ბარონმა თვალი მომკრა თუ არა, შეჩერდა, ლორწეტი მოიმარჯვა და უდიდესი ყურადღებით შემათვალიერა, მერე კი წამოიძახა: „Allons, პონტო, ეცი, ეცი, მაგ კატასო!“

ჩემი ვერაგი მეგობარიც გააფთრებით გამოექანა ჩემკენ! ამ სამარცხვინო დალატის დანახვამ შემადრწუნა და ისე წავხდი, რომ თავდაცვის ყოველგვარი უნარი დაუკარგე, შეშინებული მუშტოვით მოვიკუნტე, იქნება ასე მაინც დაუძვრე პონტოს ბასრ კბილებს-მეთქი, ღრენის დროს რომ აჩენდა. მაგრამ პონტო რამდენჯერმე გადამახტ-გადმომახტა თავზე, ისე, რომ არც კი შემხებია, და წამჩურჩულა: — „მურ! ნუ სულელობ, იცოდე, არ შეგეშინდეს! ნუთუ ვერა ხედავ, რომ არას გერჩი. ასე იმიტომ ვიქცევი, რომ ჩემს პატრონს ვასიამოვნო!“ პონტო კვლავ მოჰყვა ხტომასა და კუნტრუშს და თავი ის დაიჭირა, თითქოს ყურიდანაც კი დამითრია, თუმცა, ამ დროს მცირეოდენი ტკივილიც არ მოუყენებია ჩემთვის. „აბა, ჩემო მეგობარო, ახლა კი დაიკარგე აქედან! — წამჩურჩულა მან ბოლოს, — აი, იქით, სარდაფისაკენ მოუსვი!“ სიტყვის გამეორება აღარ დამჭირვებია, ტყვიასავით გავვარდი იქით, საითაც პონტომ მანიშნა. მეგობარმა კი დამარწმუნა, არაფერს გერჩიო, მაგრამ მაინც მეშინოდა; ასეთ მძიმე შემთხვევებში ძნელია დაბეჯითებით თქმა, იმდენად ძლიერი კია მეგობრობის გრძნობა, რომ კაცმა ამისათვის ბუნებრივი ინსტინქტი დასძლიოს?

უკვე სარდაფში მოვასწარი ჩაძრომა, პონტო კი კვლავ განაგრძობდა ოინბაზობას თავისი პატრონის გულის მოსაგებად. ახლა იგი სარდაფის სარკმელს მოადგა და ღრენასა და ყეფას მოჰყვა. მერე ღრუნჩი ფანჯრის გისოსებში შემოყო და თავი ისე დაიჭირა, ვითომ ძალზე გაბრაზებული იყო, რომ დაუძვერი და ვერ მოახერხა ჩემი ხელში მოგდება. „ახლა მაინც ხომ მიხვდი, — ჩამომძახა პონტომ სარდაფში, — თუ რა დიდი ყოფილა უმაღლესი კულტურის მადლი? ეს-ეს არის, პატრონს ჩემი წესიერება და ერთგულება დაგანახვე, მაგრამ ისე, რომ შენც არ გამიხდინარ მტრად, ძვირფასო მურ!“



ასე კი ჭეშმარიტად დახვეწილი ადამიანები იქცევიან, აი, ისინი, ვისაც ძლიერნი ამა ქვეყნისანი განგების კარნახით თავიანთ იარაღად იყენებენ ხოლმე. ვთქვათ, შეგაგულიანეს და თავის მსხვერპლს მიგიქსიეს. ამ დროს უნდა შეეცადო, ძალზე მოხერხებულად ეკვეთო მტერს და მხოლოდ მაშინ უკბინო, როცა ეს თავად შენთვის არის ხელსაყრელი“. მეც აღარ დამიყოვნებია და ვთხოვე მეგობარს, ძალზე დიდი სურვილი მაქვს ზოგიერთი რამე გადავიღო შენგან და, თუ ძმა ხარ, ერთი მეც მაზიარე მაგ უმაღლეს კულტურას-მეთქი. მერე ისიც ვკითხე, როგორ და რა გზით შეიძლებოდა შეგირდად დაუდგომოდი. პონტო ერთხანს ჩაფიქრდა, მერე კი მომიგო: იმას არაფერი სჯობია, თუკი თავიდანვე თვალსაჩინოდ დაინახავ იმ მჩქეფარე და სისხლსავსე ცხოვრებას, მაღალი წრის ხალხი რომ ეწევა. ამ წრეში ახლა დიდი გასაუალი მაქვს და ძალიან კარგი იქნება, თუკი ერთად ვეწვევით პირმშვენიერ ბადინას; მასთან საზოგადოება თეატრალური წარმოდგენების საათებში იკრიბებაო. ბადინა სასახლის უფროსი სეფექალის ლეჟრუტი გახლდათ.

რაც შემეძლო კოპწიად გამოვეწყვე, ერთხელ კიდევ გადავუვლე თვალი კნიგეს თხზულებებს, გადავიკითხე პიკარის რამდენიმე ახალი კომედია, რომ საჭიროების შემთხვევაში ფრანგული ენის ბრწყინვალე ცოდნაც გამომემჟღავნებინა და სახლიდან გამოვედი. დიდხანს არ დამჭირვებია ლოდინი. მალე პონტოც გამოჩნდა და ჩვენც ძმაბიჭურად გავუყვებით ქუჩას. მალე ბადინას კაშკაშა სინათლეებით განათებული სახლიც გამოჩნდა. რა ჯურის ძაღლი გინდათ, აქ არ ყოფილიყო მოგროვილი: პუდელები და გოშიები, ფინიები და ლეჟრუტები. ზოგ მათგანს წრე შეეკრა და ისე მოკალათებულიყო, ზოგიც კუთხეში მიმჯდარიყო განცალკევებით.

გულმა ბაგაბუგი დამიწყო, როცა ჩემთვის ესოდენ საძულველი ამდენი არსება ერთად თავმოყრილი დავინახე. ზოგ-ზოგმა პუდელმა ამრუზით და გაკვირვებით დამიწყო თვალიერება, თითქოს მეუბნებოდა: „ნეტავ ეს მდაბიო კატა როგორ გაერია ასეთ კუთილშობილ საზოგადოებაშიო?“ დროდადრო ვინმე კოხტაპრუწა გოშია შემომიღრუნდა და აშკარად მაგრძნობინებდა: ო, რომ იცოდე, რა სიამოვნებით გეცემოდი ყანყრატოში კბილებით, სტუმარმასპინძლობის ადათ-წესები რომ არ კრძალავდეს ყოველგვარ ჩხუბსა და დავიდარებას, როგორც ზრდილი ხალხისათვის ყოულად დაუშვებელსა და

შეუწყნარებელსო. ამ მძიმე მდგომარეობიდან ისევ პონტომ გამო-  
მიყვანა და ჩემი თავი შშვენიერ დიასახლისს წარუდგინა. მასპინ-  
ძელმა ნარნარად და თან ლმობიერად მომახსენა, დიდად ბედნიერი  
ვარ, რომ შესაძლებლობა მომეცა ჩემ ჭურჭვეშ ვიხილო თქვენისთანა  
სახელგანთქმული კატაო. და აი, მხოლოდ მას მერე, რაც ბადი-  
ნამ ორიოდ სიტყვით მომმართა, ზოგ-ზოგმა სტუმარმა ჭეშმარი-  
ტად ძალღური გულკეთილობა გამოიჩინა და რამდენადმე მეტი ყუ-  
რადლება მომაქცია. ასე განსაჯეთ, საუბარიც კი გამიბეს; ლაპარაკი  
ჩამოაგდეს ჩემს მწერლობაზე და აღნიშნეს, თქვენი შემოქმედების  
წყალობით არაერთხელ გვიგრძნია ენით აუწერული ტკბობაო. სი-  
ხარულისაგან სასიამოვნო თავბრუსხვევა ვიგრძენ და ვერც კი შევ-  
ნიშნე, რომ კითხვებს კი მისვამდნენ, მაგრამ ჩემს პასუხებს აინუნ-  
შიაც არ აგდებდნენ, ნიჭს მიქებდნენ ისე, რომ, აზრზე არ იყვნენ, რა  
ტვინის პატრონი ვიყავი, ხოტბა-დიდებას ასხამდნენ ჩემს შემოქ-  
მედებას, თუმცაღა, არაფერი გაუგებოდათ მისი. გუმანით ვიგრძენ,  
რომ მათთვის იმავე სახით უნდა გამეცა პასუხები, როგორც თავად  
მეკითხებოდნენ, ეს კი იმას ნიშნავდა, ყურადლება არ უნდა მიმექცია  
დასმული კითხვებისათვის, საერთოდ უნდა მელაპარაკა მოკლედ და  
ზოგადად, ჩემი სიტყვები უნდა მისადაგებოდა ყველაფერს, თუმცა,  
ამავე დროს უნდა ვცდილიყავი, მათში არ ყოფილიყო ჩაქსოვილი  
არაუითარი აზრი, რომ ჩვენი მსუბუქი საუბრიდან ღრმა მსჯელო-  
ბებზე არ გადავსულიყავით. პონტომ დრო იხელთა და მაუწყა, ერთ-  
მა მოხუცმა ფინიამ შენზე მითხრა, ძალზე თავშესაქცევი კატაა და  
ეტყობა, დარბაისელი მოუბარიც უნდა იყოსო. მსგავსი შექება თვით  
ყველაზე პირქუშ სკეპტიკოსსაც კი კარგ გუნებაზე დააყენებდა!

ჟან-ჟაკ რუსო თავის „აღსარებაში“ მოგვითხრობს, როგორ  
მოუპარავს ერთხელ ბაფთა, და როცა დაუნახავს, რომ ჩადენილი  
ქურდობისთვის თურმე სრულიად უდანაშაულო გოგონას სჯიდ-  
ნენ, მაინც არ უღიარებია თავისი დანაშაული. რუსო ამბობს, ძალ-  
ზე მიმძიმდა მოგვიანებით ამ შემთხვევის გახსენებაც კი, რადგან  
იგი ჩემს სულიერ დაცემაზე მეტყველებდაო. ახლა მეც ზუსტად ამ  
პატივსაცემი მწერლის მდგომარეობაში აღმოვჩნდი. უნდა მოგახსე-  
ნოთ, რომ სინდისი სუფთა მაქვს და არაუითარი ბოროტმოქმედება  
არ ჩამიდენია, მაგრამ, რადგანაც ბოლომდე სიმართლის თქმა მაქვს  
განზრახული, ისიც უნდა ვაღიარო, რომ იმ საღამოს კარგა გვარი-



ანი სისულელე ჩავიდინე. ამ ამბავმა ისე იმოქმედა ჩემზე, კინაღამ გამაგიჟა. ეჰ, თურმე ადამიანისთვის ისევე ძნელი ყოფილა საკუთარი სისულელის აღიარება, როგორც ჩადენილი ბოროტმოქმედებისა, ხანდახან კი, შესაძლებელია, უფრო ძნელიც!

დიდ ხანს არ გაუვლია, რომ ძალზე ცუდ გუნებაზე დაედექი. გულზე საშინელი ბოღმა შემომაწვა. ვიფიქრე, ნეტავ ახლა ჩემი პატრონის ღუმელქვეშ ვიყო მოკალათებული და მეტი არაფერი მინდა-მეთქი. ისე მომეშხამა გუნება, ყოველგვარი ზრდილობა დავოვიწყე. ჩუმად შევიძურწე ოთახის შორეულ კუთხეში და გადაუწყვიტე, ცოტა თვალს მოვატყუებ-მეთქი, რადგან ძაღლების ბუბუნმა ძილი მომგვარა.

ეტყობა, ჩემმა უგუნებობამ შეცდომაში შემიყვანა და ამის გამო ახლა მათი ლაპარაკი უაზრო და უხამს ლაყბობად მეჩვენებოდა. პოდა, სტუმრების წიკვინა ხმები წისქვილის სარეკლას ერთფეროვანი რაკუნით ჩამესმოდა ყურში და სასიამოვნოდ მაბრუებდა, რაც ჩვეულებრივ, ხშირად, ღრმა და ჯანსაღ ძილში გადადის ხოლმე. მოულოდნელად ბურანიდან გამოვერკვიე, ხანმოკლე თავდაუიწყება თვალის დახამხამების უმაღლ გაქრა: დახუჭულ ქუთუთოებთან კაშკაშა შუქმა გამიკიაფა. თვალი გავახილე და რა ვიხილე! ჩემ წინ თოვლივით თეთრი, ნარნარი ქალწული იდგა. ეს ბადინას პირმშვენიერი დისწული გახლდათ. მოგვიანებით შევიტყვე, რომ ლამაზმანს თურმე მინონა ერქვა.

— ბატონო ჩემო, — ისეთი ტკბილად მოჩურჩულე ხმით მომმართა მინონამ, რომ მღელვარებისაგან გულმა ძალუმად დამიწყობგერა, — კი, მაგრამ, რატომ ზიხართ აქ ასე განმარტოებით? ეტყობა, მოწყენილი უნდა ბრძანდებოდეთ. ო, რა სამწუხაროა! თქმა არ უნდა, თქვენსაგან ბუმბერაზსა და ღრმად მოაზროვნე პოეტს, დღენიადაც ცაში რომ დაფრინავს, ამქვეყნიური ცხოვრება საშინლად უხამსი და ამაო მოეჩვენება.

ცოტა არ იყოს, შევცბი და ფეხზე წამოვდექი. მერე კი გაგიხართათ, ჩემი უწესო საქციელის გამო ბევრი ვინანე, მაგრამ იმ წუთში კატური ბუნება ისე მომეძალა, თავს ვეღარ მოვერიე და ჩვენებურად კარგა გვარიანად გავიზნიქე წელში, ამან კი ვგონებ, მინონას პირზე ღიმილიც კი მოჰგვარა.

მაგრამ მყისვე გონს მოვეგე; მშვენიერი ქალწულის თათი ფრთხი-

ლად მოვიტანე ტუჩებთან და რაინდული შემართებით წამოვიწყე ლაპარაკი იმ შთაგონებაზე, პოეტს ხანდახან განგება რომ დაასაჩუქრებს ხოლმე. მინონა დიდის გულისყურით და სასოებით მისმენდა; მეც მჭევრმეტყველების ეშხში შევედი და ისე მაღლა-მაღლა ავიჭერი წმინდა პოეზიის სფეროებში, ბოლოს და ბოლოს, თავადაც ხვირიანად აღარ გამეგებოდა საკუთარი თავისა.

ეტყობოდა, მინონასაც მაინცდამაინც კარგად არ ესმოდა ჩემი, მაგრამ არაჩვეულებრივად აღფრთოვანებული კი ჩანდა და მარწმუნებდა, გენიალური მურის გაცნობა ჩემი დიდი ხნის ოცნება გახლდათ, ამიტომ მიმაჩნია, რომ ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი და სანეტარო წუთებიაო... აბა, სხვა რაღა გითხრათ! მალე აღმოჩნდა, რომ მინონას თურმე წაკითხული ჰქონია ჩემი ქმნილებები, ჩემი ყველაზე მაღალფარდოვანი ლექსები. არა, მომითმინეთ! არათუ მხოლოდ წაუკითხავს, არამედ მათ სიღრმესაც ჩასწვდომია! მშვენიერმა ასულმა ბევრი მათგანი ზეპირად იცოდა და დიდის შთაგონებითა და სინარნარით წამიკითხა კიდევაც. აღფრთოვანებულს თავი პოეზიის წმინდა სავანეში მეგონა; უფრო კი ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ ჩემი საკუთარი ლექსები ძაღლთა მოდგმის უმშვენიერესი წარმომადგენლის ბაგეთაგან მოვისმინე.

— ჩემო ძვირფასო, შეუდარებელო ფროილაინ! — წამოვიძახე ნეტარებისაგან თავბრუდახვეულმა, — თქვენ შეძელით, ჩასწვდომოდით ჩემი სულის სიღრმეს, ჩემი ლექსებიც გისწავლიათ ზეპირად! ო, ღმერთო დიდებულო! განა არსებობს ამაზე დიდი ნეტარება მგოსნისათვის, რომელიც პოეზიის მწვერვალებისაკენ მიილტვის?

— მურ, — წამჩურჩულა მინონამ, — გენიალურიო კატავ, განა შესაძლებელია, რომ სათუთი სულის პატრონი, პოეტური გრძნობებისა და განცდების ადამიანი ვერ ჩასწვდომოდა თქვენი სულის სიღრმეს და ვერ გაეგო თქვენი? — ესა თქვა თუ არა, მინონამ მოჭარბებული გრძნობებისაგან ისე ღრმად ამოიოხრა, საბოლოოდ დაიპყრო ჩემი გული...

და განა ამის მერე შეიძლებოდა სხვაგვარად მომხდარიყო? დიახ, სიგიჟემდე შემიყვარდა მშვენიერი ლევრუტი ქალწული. ტრფობისაგან გონებადაბინდულმა და თვალებდაბრმავებულმა ვერც კი შევნიშნე, რომ მან საუბარი ანაზღად სწორედ მაშინ გაწყვიტა, როდესაც ჩემმა აღფრთოვანებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, და უხამსი მას-



ლაათი გააბა ვილაც მანჭია, რუგვენ გოშიასთან. ვერც იმას მოხვდი, რომ ჩემი ანგელოზი მთელი საღამო გამირბოდა; აღარც მისი უცნაური ქცევებისათვის მიმიქცევია ყურადღება, თორემ, რა თქმა უნდა, დავინახავდი, რომ ჩემი ლამაზმანის უჩვეულო აღფრთოვანებაცა და მის მიერ ჩემთვის საქებ-სადიდებლად ნათქვამი ყველა სიტყვაც საკუთარი პიროვნებით იყო გამოწვეული. რალა ბევრი გაუგებრობა ტრფობამ მთლად დამაბრმავა და გამომაჩერჩეტა. სადაც კი მოგახელთებდი, კუდში დაუდევდი პირმშვენიერ მინონას, ვუძღვნიდი შესანიშნავ ლექსებს და რამდენიმე გიჟმაჟი მოთხრობის გმირადაც კი გამოვიყვანე. ვცდილობდი, როგორმე შევძებრალიყავი საზოგადოებაში, სადაც ჩემი ადგილი არამც და არამც არ იყო; ყველაფერ ამისათვის კი, რომ იცოდეთ, რამდენ მწარე დაცინვას, აბუჩად აგდებასა და შეურაცხყოფას ვიტანდი!

ხშირად თვალზე ბინდი გადამეცლებოდა და მაშინ კი მთელი სიცხადით ვხედავდი, რა სულელურად ვიქცეოდი. მაგრამ მერე და მერე, უდროო დროს გამახსენდებოდა ხოლმე ტასო და უფრო და უფრო გვიანდელი დროის რაინდული სულისკვეთების პოეტები; მათი ცხოვრების მიზანი ხომ მხოლოდ ის გახლდათ, რომ თავიანთი ეცათ თავიანთი მიუწვდომელი ოცნებების მეუფისათვის, მისთვის სიმღერები ეძღვნათ და ელოცათ მასზე, როგორც ლამაზჩელს თავის დულცინეაზე! აი, მაშინ კი გავიფიქრებდი, რითა ვარ ტასოზე ნაკლები-მეთქი; მერე კი ჩემს აუხდენელ ზღაპარს, ნარნარსა და ქათქათა ქალწულს, კუბოს ფიცრამდე ერთგულებას ვეფიცებოდი და რაინდულ სამსახურს ვპირდებოდი. ამ საშინელი სიგიჟით შეპყრობილი, სისულელეს სისულელეზე ჩავდიოდი. მტრებმა ყოველი მხრიდან ალყა შემომარტყეს და ჩემს ხაფანგში მომწყვდევას ლამობდნენ. პონტო დაჟინებით მთხოვდა, ანკესზე არ წამოეგო და რამე უბედურებას არ გადაეყარო, მაგრამ როცა დაატყო, რომ მისი მეცადინეობა ამაო იყო, იძულებული გახდა, გამრიდებოდა. და ვინ იცის, რა ბედი მეწეოდა, ბედნიერ ვარსკვლავზე რომ არ ვყოფილიყავი დაბადებული. სწორედ იმ ბედნიერ ვარსკვლავს უნდა ვუმაღლოდე, რომ ერთხელ გვიან ღამით ბადინასთან გადავწყვიტე შეპარვა მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ ჩემი გულის სატრფო მინონა მენახა. მაგრამ კარი დაგმანული დამიხვდა. ყველა ცდა, როგორმე შევძებრალიყავი სახლში, ამაო გამოდგა და ამრიგად, მთელი იმედი წყალში ჩამეყარა.

გული ტრფობითა და ნეტარებით მიძგერდა და ვიფიქრე, ჩემს გულის სწორს იმას მაინც გაუგებინებ, რომ აქა ვარ-მეთქი. ფანჯრის წინ ჩამოვჯექი და ესპანური სიმღერა შემოვძახე. ეს გახლდათ ყველაზე ნაზი ჰანგი, რომელიც კი ოდესმე შეუქმნია ადამიანს. ალბათ, ძალზე გულსაკლავად თუ ვმღეროდი. მალე ბადინას ყეფა შემომესმა, დროდადრო კი მას მინონას ტკბილი ხმაც უერთდებოდა. მაგრამ გონს მოსვლა ვერ მოვასწარი, რომ ელვის სისწრაფით გაიღო ფანჯარა და ვილაცამ თავზე საუსე კასრი ყინულოვით ცოვი წყალი გადმომასხა. ხომ წარმოგიდგენიათ, რა სისწრაფით მოუქუსლავდი შინისაკენ! მაგრამ, მოგეხსენებათ, აღმოღებული გულის სიმხურვალე და ბეწვზე გადასხმული ყინულოვანი წყალი რა ცუდად ეხამებოდა ერთმანეთს; ამიტომაც, ბუნებრივია, აქედან სახეიროს არაფერს უნდა ელოდეს კაცი და ციებ-ცხელებაც ნაღდად არ ასცდება. ჩემი პატრონის სახლში რომ შევედი, კბილს კბილზე უწყალოდ მაცემინებდა, სახე გამფითრებოდა, თვალებში ცეცხლი ჩამქრობოდა, შუბლი გავარვარებული მქონდა და მაჯაც არათანაბრად მიცემდა; ჰოდა, ჩემი პატრონი უმაღლ მიხვდა, რომ აუად ვიყავი. მყისვე დამიდგა წინ თბილი რძე. მეც გულდაგულ ამოვსვლიპე, რადგან წყურვილისაგან ენა სასაზე მიმკვროდა. მერე ის იყო, საბანში გავეხვიე, საწოლზე მოვიკუნტე და მთელი არსებით აუადმყოფობას მივეც თავი. სიცხისაგან გათანგულს თავდაპირველად საოცარი ზმანებები ამეკვიატა; მესიზმრებოდა დიდგვაროვანთა კულტურა, ლევრუტი ძაღლები და ა.შ. მაგრამ თანდათანობით ჩავწყნარდი და ბოლოს ისეთი ღრმა ძილით დამეძინა, გაუზვიადებლად შემიძლია ვთქვა, სამ დღე-ღამეს ფეხიც კი არ გამინძრევია.

როცა ბოლოს და ბოლოს გამომეღვიძა, თავს მსუბუქად და მხიარულად ვგრძნობდი. ციებ-ცხელებამ საუსებით გამიარა და ამავე დროს, ჰოი, საოცრებაუ! იმასაც მოვხვდი, რომ ჩემი შმაგი სიყვარულისაგან განვიკურნე. მთელი სიცხადით დამიდგა თვალწინ ის სიგიჟე, პონტოს წყალობით რომ დამატყდა თავს. მოვხვდი, რომ დიდ სისულელეს ჩავდიოდი, როდესაც ვცდილობდი, ძაღლთა საზოგადოებაში გავრუულიყავი. მე ხომ განგებამ კატად ყოფნა მარგუნა ხვედრად! ჰოდა, ისინი აბუჩად მიგდებდნენ, რადგან არ ძალუძდათ ჩასწვდომოდნენ ჩემი სულის სიღრმეს; დიახ, ჩემი მტრები, საკუთარი თავის არარაობიდან გამომდინარე, მთელ ყურადღებას გა-



რეგნულ მხარეზე ამახვილებდნენ და ამიტომაც ჩემთვის მხოლოდ მარცვალგამოცლილი ჩენჩოს შემოთავაზება თუ შეეძლოთ აი, ახლა კი ახალი ძალით იფეთქა ჩემში მეცნიერებისა და ხელოვნებისადმი სიყვარულმა, ხოლო პატრონის ბინაზე გამეფებული სიმყუდროვე ისე მიზიდავდა, როგორც არასდროს. დიახ, ბოლოს და ბოლოს ვაჟ-კაცური სიმწიფის თვეებიც დამიდგა! ახლა უკვე აღარც კატა ბურში ვიყავი და აღარც დარდიმანდი ჭაბუკი. საუსებით ცხადად ვიგრძენი, რომ ამიერიდან ვერც ერთი ვიქნებოდი და ვეღარც მეორე, და ყოველნაირად ვცდილობდი ისე აღმეზარდა საკუთარი თავი, როგორც ამას ცხოვრების საუკეთესო და უფრო დიადი მიზნები მოითხოვდა.

ჩემი პატრონი სადღაც გამგზავრებას აპირებდა და გადაწყვიტა, დროებით თავის მეგობართან, კაპელმაისტერ იოჰანეს კრაისლერთან გადავეყვანე. და, რადგანაც საცხოვრებელი ადგილის შეცვლით ჩემს ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება, ამიტომ აქ დავასრულებ თხრობას. ჭაბუკო კატავ, ვიმედოვნებ, რომ ჩემს ნაამბობში ბევრ ბრძნულ რჩევა-დარიგებას ამოიკითხავ და მომავლისთვის გამოიყენებ.

(სამაკ. თაბ.) ...შორეული, ყრუ ხმები მოისმა და გაიგონა, ბერები როგორ მოაბიჯებდნენ დერეფანში. როცა კრაისლერი ძილიდან საბოლოოდ გამოერკვა, ფანჯარაში გაიხედა და დაინახა, რომ ეკლესია განათებული იყო, მერე გუნდის უღიმღამო გალობაც მოისმა. ეტყობოდა, რაღაც უჩვეულო მომხდარიყო. შუალამის საათმა ხომ უკვე დაჰკრა! და კრაისლერს საფუძველი ჰქონდა, ეფიქრა, ეტყობა, ვინმე მოხუც ბერს მოულოდნელი სიკვდილი ეწვია, და ახლა მისი ცხედარი, მონასტრის წესდების თანახმად, ეკლესიაში გადაასვენესო. კაპელმაისტერმა სასწრაფოდ ჩაიცვა ტანთ და იქით გასწია...

დერეფანში კრაისლერი ნამძინარე მამა ჰილარიუსს შეეფეთა. იგი ხმამაღლა ამთქნარებდა; ფეხარეულს, აშკარად უჭირდა მყარად ნაბიჯის გადადგმა და ბანცალ-ბანცალით მიდიოდა. ანთებული სანთელი, ხელში რომ ეჭირა, ისე გადაეხარა გვერდზე, გამდნარი წვეთები ტკაცატკუცით ეცემოდა იატაკზე და სანთელი წუთიწუთ ჩაქრობას აპირებდა.

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ბატონო აბატო, — წაილულ-ლულა ჰილარიუსმა, როცა მას კრაისლერი შეეხმინა, — განა ყოველივე ეს არ ეწინააღმდეგება ჩვენს წესებსა და კანონებს?! აბა, სად

გაგონილა, შუალამისას სულის მოსახსენებელი ლოცვის წაკითხვა? და ეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ მამა კიპრიანუსმა ასე დაიჟინა! Domine, libera nos de hoc monacho.<sup>1</sup>

კრაისლერმა ნახევრად მძინარე ჰილარიუსი რის ვაი-ვაგლახით ჩააგდო გულისხმაში და გააგებინა, რომ მას აბატი კი არა, კაპელმაისტერი ელაპარაკებოდა. მერე კი ძლივძლივობით ამოაღერღინა წმინდა მამას, რომ თურმე ღამით, კაცმა არ იცის, საიდან და როგორ მონასტერში ვილაცის ცხედარი მოუსვენებიათ ბერმა ისიც დასძინა: როგორც ეტყობა, მარტო კიპრიანუსმა უნდა იცოდეს მიცვალებულის ვინაობა. ეჭვგარეშეა, ცხედარი ვინმე დიდგვაროვანისაა, რადგან კიპრიანუსის დაჟინებული თხოვნით აბატი დათანხმდა, დაუყოვნებლივ ეწირათ მიცვალებულის სულის მოსახსენებლად, რომ პირველ ცისკრის ლოცვისთანავე შესძლებოდათ ცხედრის გატანა მონასტრიდანო.

კრაისლერი ჰილარიუსს ფეხდაფეხ შეჰყვა ეკლესიაში. ცუდი განათების წყალობით იქაურობა შემზარავ სანახაობას წარმოადგენდა.

სანთლები მხოლოდ ლითონის დიდ ქორკანდელში ენთო, მაღალი ჭერიდან მთავარი საკურთხევის წინ რომ ეშვებოდა, და ამის გამო მოციმციმე სინათლე ეკლესიის ნეფებამდე ძლივს აღწევდა; გვერდით ეკედერებში კი იღუმალი ათინათი იჭრებოდა მხოლოდ. წმინდანთა ოდნავ განათებული ქანდაკებები მოჩვენებებს დამსგავსებოდნენ, კაცს ეგონებოდა, ამოდრაუებულან და ჯიქურ მიიწვევენ ურთიერთისკენო. ქორკანდელის ქვეშ, ყველაზე შუქიან ადგილას, თავდაუხურავი კუბო დაედგათ, რომელშიც მიცვალებული ესვენა. კუბოს გარსშემოხვეული გადაფითრებული, უმოდრაო ბერები თავდაც სამარიდან ამოღებულ მიცვალებულებს ჰგავდნენ. მოგუდული, ჩახლექილი ხმით გაბმით გალობდნენ რეკვიემის სტროფებს, ხოლო როცა გუნდი მიჩუმდებოდა, მხოლოდ და მხოლოდ ქარის გაავებული გნიასი და მაღალი ფანჯრების უცნაური ზრიალი თუ არღვევდა სიჩუმეს; კაცი იფიქრებდა, აწ გარდასული ლანდები მოსდგომიან სახლის კარსო, საიდანაც გლოვის ზარი და ვაი-მოთქმა გამოდიოდა. კრაისლერი წმინდა მამების საკრებულოს მიუახლოვდა და მიცვალებულში პრინც ჰექტორის ადიუტანტი შეიცნო.

<sup>1</sup> უფალო, გვიხსენი ამ ბერისაგან! (ღათ).



და აი, აქ კი კრაისლერის არსებაში კვლავ აბობოქრდნენ ბოროტ-  
ტი სულები, რომელთა მონობაშიც იგი ასე ხშირად ექცეოდა ხოლ-  
მე, და ბასრი კლანჭები ჩასჭიდეს მის დაკოდილ გულს.

„სულთ ბოროტო, — მიმართა მან საკუთარ თავს, — აქ იმისათვის  
მომიყვანე განა, რომ სისხლმა კვლავ იწყოს ჟონვა ამ უსიცოცხლო  
გვამიდან? ხომ ამბობენ, მკვლელის მოახლოებაზე მოკლულს ჭრი-  
ლობები ხელახლა ეხსნება და სისხლი კვლავ იწყებსო წანწკარს. კმ,  
თითქოს არ ვიცოდე, რომ იგი წვეთ-წვეთად დაიცალა სისხლისაგან  
იმ აუბედით წუთებში, როცა სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარე თა-  
ვისი ცოდვების მონანიებას ლამობდა? დაე, თუნდაც მიუახლოვდეს  
დაწრეტილ ცხედარს მკვლელი. მასში ხომ ერთი წვეთიც კი აღარ  
არის დარჩენილი იმ შხამნარევი სისხლისა, რომლითაც იგი შეძ-  
ლებდა თავისი მტრის მოწამვლას? იოჰანეს კრაისლერს კი ეს ამბავი  
ყველაზე ნაკლებად აღელვებს; აბა, რა ხელი აქვს მას შხამიან ას-  
პიტთან, სწორედ მაშინ რომ გაუჭეჭყა თავი, როდესაც იგი თავისი  
გესლიანი ენით კრაისლერისთვის სასიკვდილო ჭრილობის მიყენე-  
ბას ლამობდა. ეი, შენ, მიცვალებულო, აბა, ერთი თვალი გაახილე  
და შესაძლებლობა მომეც, დაჟინებით დაგაშტერდე სახეზე; აი, მა-  
შინ კი აუცილებლად მიხვდები, რომ ცოდვაში ჩემი ხელი არ ურე-  
ვია. მაგრამ ვაი, რომ არ ძალგიდს ამის გაკეთება. ვინ გიბრძანა, ერ-  
თიმეორესთან დაგეპირისპირებინა ორი ადამიანის სიცოცხლე? ასე  
შხაკრულად რატომ გაეთამაშე სიკვდილს, ისე, რომ გულში არც  
კი გაგივლია, მოშხადებული შეხვედროდი დამარცხებას? მაგრამ უ  
შენი სახის ნაკეთები სათნოებასა და სიკეთეზე მეტყველებენ; საბრა-  
ლო ჭაბუკო, სასიკვდილო ტანჯვა-წამებას ერთიანად წაუშლია შენს  
მშვენიერ სახეზე ბოროტი ცოდვის ყოველგვარი კვალი. ვაი, რომ  
ახლა ჩემს სიტყვებს აზრი აღარ ექნებათ; თორემ ვიტყვოდი, სასუფე-  
ველი დაგიმკვიდროს-მეთქი უფალმა, რამეთუ უგ გული სიყვარულით  
ფეთქავდა. მაგრამ, როგორ? ვაითუ, შეცდომა ჩავიდინე? ვაითუ, ეს  
ყველაფერი არც შენი ნახელავია და არც ბოროტი სულისა? იქნებ  
თავად ჩემმა ბედნიერმა ვარსკვლავმა აღგამართვინა ხელი, რომ ამ  
გზით გავქცეოდი პირქუშ უფსკრულთან ვერაგულად ჩასაფრებულ  
ყისმათს? მაშ, გაახილე თვალი, ფერმიხდილო ჭაბუკო, შემაღლე უ  
შენი მიმქრალი მხერა და ყველაფერი გამანდე, დიახ, ყველაფერი.  
დაე, სული ამომხადოს შენზე დარდმა და ვაებამ, დაე, ბოლო მომი-  
ღოს საზარელმა, დაუოკებელმა შიშმა, რომ ფეხდაფეხ დადევნებული

შავი აჩრდილი ან ახლა ჩამავლებს-მეთქი თავის მსახვრალ ხელს და ან ახლა; დიახ, აბა, შემომხედე, თუძცა, არა, არა, ვაითუ, ეგ შენი მხერა ლეონჰარდ ეტლინგერის მხერას მივამსგავსო და უცბად ის მგონოს?! მაშინ? მაშინ მეტი გზა არ გექნება, ჩემთან ერთად უნდა გადმოეშვა უფსკრულში, საიდანაც ასე ხშირად შემომესმის ხოლმე იმ უბედურის მოგუდული, მიმქრალი ხმა; მაგრამ, რაო, რაო? რატომ ჩაიციინე? რატომ შეგეფაკლა ეგ ღაწკები, რატომ აგიუარდისფრდა ბაგე? რაო? განა სასიკვდილო მახვილი შიგ გულში არ ჩაგესო? არა, არა, შენთან ერთაბრძოლას სულაც აღარ ვაპირებ, მაგრამ...”

თავის თავთან ლაპარაკში გართულმა კრაისლერმა თავისდა უნებურად ცალ მუხლზე ჩაიჩოქა და მეორე მუხლზე ორივე იდაყვით ჩამოყრდნობილმა განაგრძო დგომა. მაგრამ უეცრად მოსხლეტით წამოხტა: ალბათ, რაიმე საზარელისა და უჩვეულოს ჩადენას თუ აპირებდა. სწორედ იმ წუთში წმინდა მამები დადუმდნენ და ბიჭების გუნდმა ორღანის ჩუმი თანხლებით „Salve, Regina“<sup>1</sup> წამოიწყო. კუბოს თავი დაახურეს და ბერებმა საზეიმო ნაბიჯებით დატოვეს ტაძარი. აი, ბოროტი სულები მხოლოდ მაშინდა დაქსნენ კრაისლერს და საბრალო, ტკოვილისა და მწუხარებისაგან საუსებით ქანცმილეული, თავდახრილი მიჰყვა წმინდა მამებს. ის-ის იყო, კარში გასვლას აპირებდა, რომ ბნელი კუთხიდან ვიღაც წამოიმართა და ჯიქურ კრაისლერისკენ გამოსწია.

ბერები შეჩერდნენ და მათი სანთლების შუქი ჯმუხი აღნაგობის, ზორბა ჭაბუკს დაეცა. იგი თვრამეტი-ოციოდე წლისა თუ იქნებოდა. ისედაც მახინჯ სახეზე ველური ბოროტება დასთამაშებდა, აწეწილი შავი თმა შუბლზე ჩამოშლოდა, ცისფერზოლიანი ტილოს დაგლეჯილი ქურთუკი ძლივს უფარავდა ტანის სიშიშველეს, ხოლო ასევე ტილოსაგან შეკერილი მეზღვაურის შარვალი წვივებამდე სწვდებოდა, ისე, რომ აშკარად ეტყობოდა, რა გოლიათური ჯან-ღონის პატრონიც უნდა ყოფილიყო.

— წყეულო, რატომ მომიკალი ძმა? — ისე გაშმაგებით შეჰყვირა ჭაბუკმა, მისი შედახილის ექომ მთელს ეკლესიაში გაიხშიანა. მერე ვეფხვივით ისკუპა კრაისლერისაკენ და მარწუხებივით შემოაჭდო ყელზე ხელები.

<sup>1</sup> საღამი შენდა, დედოფალო (ღათ).



ვიდრე ამ უეცარი თავდასხმით გაოგნებული კრაისლერი თავდაცვაზე ფიქრს მოასწრებდა, მამა კიპრიანუსი მათ შორის ჩადგა და უცნობს ჟღერადი, მბრძანებლური ხმით მიმართა:

— ჯუზეპე, შე სულცოდვიანო შენა, აქ რა გინდა? დედაბერი სადღა მიგიტოვებია? აბა, ახლავე წაეთრიე აქედან! თქვენო მაღალკუთილშობილებავ, ბატონო აბატო, უბრძანეთ მსახურებს, ეს მტარული მონასტრიდან გააძევეთ!

როგორც კი კიპრიანუსი ჯუზეპეს წინ ჩაუდგა, ყმაწვილმა უმაღლესმა ხელი კრაისლერს.

— აბა, აბა, — წაიბუზღუნა ყმაწვილმა, — არა ღირს ამდენი აურზაურის ატეხა იმის გამო, რომ კაცმა თავისი უფლებების დაცვა მოინდომა, ბატონო წმინდანო. განა ვერ ხედავთ, ჩემი ფეხით მივდივარ აქედან, ამიტომ აღარ დაგჭირდებათ მონასტრის მსახურების მოხმობა, — ეს თქვა თუ არა, ყმაწვილი სასწრაფოდ გაიჭრა ღია კარში. ეტყობა, ეკლესიის მსახურებს მისი ჩაკეტვა დავიწყებოდათ და უცნობი ეკლესიაში ამავე გზითვე შემოპარულიყო. ამასობაში მსახურებიც მოვიდნენ, მაგრამ ყველამ ერთხმად გადაწყვიტა, ამ შუაღამისას აღარ დადევნებოდნენ თავხედს.

კრაისლერი ასეთი ბუნების კაცი გახლდათ: საკმარისი იყო გამარჯვებული გამოსულიყო ქარიშხალთან ბრძოლაში, მას წალეკვით რომ ემუქრებოდა, და უჩვეულო, იღუმალის ამბებით გამოწვეული დაძაბულობა მასზე კუთილმყოფელ ზემოქმედებას ახდენდა.

ამიტომაც აბატს, ცოტა არ იყოს, უცნაურად მოეჩვენა, როცა მეორე დღეს კრაისლერი ეახლა და გასაოცარი სიმშვიდით მოუყვა, თუ რა შემადრწუნებლად იმოქმედა მასზე ცხედრის დანახვამ: ეს ადამიანი ხომ მის მოკვლას ლამობდა, ბოლოს კი თავად გახდა კრაისლერის სამართლიანი თავდაცვის მსხვერპლი.

— ძვირფასო იოჰანეს, — თქვა აბატმა, — არც ეკლესიასა და არც საერთო კანონებს უფლება არა აქვთ, დანაშაულად ჩაგითვალოთ ამ ცოდვილი ადამიანის სიკვდილი. თუმცა, თავად თქვენ ჯერ კიდევ დიდხანს იგრძნობთ სინდისის ქენჯნას. სწორედ სინდისი გეტყვი, რომ უმჯობესი იქნებოდა თავად გამოსალმებოდით სიცოცხლეს, ვიდრე ის, რომ მოწინააღმდეგე დაცემულიყო თქვენი ხელით განგმირული. ეს კი აი, რას მოწმობს: უზენაესის ნება იყო, მსხვერპლად მოგეტანათ საკუთარი სიცოცხლე, და არა ის, რომ ნაჩქარავი საქცი-

ელისა და სისხლის დაღვრის ფასად შეგენარჩუნებინათ იგი. მაგრამ, მოდი, ეს საუბარი დროებით გადავდოთ, რამეთუ დღეს სულ სხვა, ბევრად გადაუდებელ საქმეზე ვაპირებ თქვენთან მოლაპარაკებას.

აბა, მითხარით, მოკვდავთა შორის ვის აქვს უნარი, განჭვრიტოს, მოძაჟლის ჟამთასვლა როგორ შემოატრიალებს მოვლენათა მსვლელობას? სულ მცირე ხნის წინ მტკიცედ ვიყავი დარწმუნებული, რომ თქვენივე სულის კეთილდღეობისათვის არაფერი იქნებოდა იმაზე უკეთესი, ვიდრე ქვეყნისაგან განდგომა და ჩვენს ორდენში შემოსვლა. ამჟამად კი სულ სხვა აზრისა გახლავართ მართალია, ძალზე შემაყვარეთ თავი და ჩემთვის ძვირფასი ადამიანი ხართ, მაგრამ ჩემი კეთილი რჩევაა, რაც შეიძლება მალე დატოვოთ სააბატო. ნუ შეეცდებით მიზების გაგებას, ძვირფასო იოჰანეს; ნუ მკითხავთ, ჩემი რწმენისდა საწინააღმდეგოდ რატომ ვემორჩილები უცხო ნებას, რომელიც წალეკვით ემუქრება ყველაფერს, რაც მე ესოდენ მძიმე შრომით შემიქმნია. კიდევაც რომ მომესურვებინა და გამენდო თქვენთვის ის მიზეზები, რომლებიც მაიძულებენ ასე მოვიქცე, მაინც ვერ შეძლებდით ჩემს გაგებას, რადგან ამისათვის საჭიროა, ღრმად იყოთ ჩახედული ეკლესიის საიდუმლო საქმეებში. მიუხედავად ყველაფრისა, თქვენთან უფრო თავისუფლად შემიძლია ლაპარაკი, ვიდრე ვინმე სხვასთან. მაშ, ასე, იცოდეთ: სულ მოკლე ხანში სააბატოში ყოფნით ვეღარ იგრძნობთ უწინდებურ მადლიან სიძშვიდეს. უფრო მეტსაც მოგახსენებთ თქვენს ღრმა მიზან-მისწრაფებებს სასიკვდილო ლახვარს ჩასცემენ და ამიერიდან მონასტერი მწირ უდაბნოდ, პირქუშ საპყრობილედ მოგეჩვენებათ მონასტრის მთელი შინაგანაწესი იცვლება. ბოლო მოელება თავისუფლებას, რომელიც ასე კეთილად იყო შეხამებული სასარგებლო საქმიანობასთან, და ამ კედლებში სულ მალე დაუოკებელი სიმკაცრით ჩაიბუდებს ფანატიკოსი ბერებისათვის ჩვეული პირქუში სული.

ო, ჩემო იოჰანეს, თქვენს შშვენიერ სიმღერებს აღარ უწერიათ, აგვამაღლონ ჭეშმარიტ ღვთისმოსაობამდე. გუნდს დაშლიან და მალე ყური ვერაფერს გაიგონებს, გარდა ერთფეროვანი რუსპონზორიუმებისა, რომელთა გალობასაც უნიათოდ, ჩახლეჩილი ხმით მოჰყვებიან უფროსი ძმები.

— და ეს ყველაფერი ახლახან მოსული ბერის, კიპრიანუსის ბრძანებით მოხდება? — იკითხა კრაისლერმა.

— დიახ, ყველაფერი მისი წყალობა გახლავთ, — თქვა გულმოკ-



ლულმა აბატმა და თვალები დახარა, — და ჩემი ბრალი არ არის, რომ არაფრის შეცვლა არ ძალმიძს. მაგრამ, ასეა თუ ისე, — საზეიმო ხმით დაუმატა აბატმა ხანმოკლე დუმილის მერე, — უნდა აღსრულდეს ყოველივე, რაც კი ხელს შეუწყობს ეკლესიის დიდებული შენობის განმტკიცებას, და ჩვენც არაფითარი მსხვერპლი არ უნდა დავიშუროთ ამისათვის.

— ერთი მითხარით, რას წარმოადგენს ეს თქვენი მაღალი წოდების ყოვლისშემძლე წმინდანი? — უკმაყოფილო ხმით იკითხა კრაისლერმა, — დიახ, მითხარით, ვინ არის ეს კაცი, ვისაც თქვენზე მბრძანებლობის უფლება აქვს, ვისი ერთი სიტყვაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ შეეჩერებინა ავაზაკი, რომელიც ჩემს მოკვლას ლამობდა?

— ძვირფასო იოჰანეს, — მიუგო აბატმა, — იცოდეთ, ერთ საიდუმლოებაში ხართ გარეული, თუმცა, ჯერჯერობით თავადაც მთლად კარგად ვერ გარკვეულხართ, რაშია საქმე... მაგრამ სულ მალე ძალიან ბევრ რამეს შეიტყობთ, დიახ, გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე მე ვიცი, და შეიტყობთ მაესტრო აბრაჰამისაგან. კიპრიანუსი, რომელსაც ჩვენ ჯერჯერობით კვლავ წმინდა მამად მოვიხსენიებთ, ბედის რჩეულია. მას წილად ხვდა უშუალო კავშირი გაება მარადიულ ციურ ძალებთან, და ჩვენც იძულებული ვართ, განვადიდოთ იგი, ვითარცა წმინდანი. ხოლო რაც შეეხება იმ თავზე ხელაღებულ ყმაწვილს, მიცვალებულისათვის წესის აგების დროს ეკლესიაში რომ შემოიპარა და ყელში ხელი გტაცათ, უბრალოდ ნახევრად გიჟი ბოშაა. ჩვენმა მამასახლისმა უკვე რამდენჯერმე კარგა გვარიანად გააროზგვინა იმისათვის, რომ სოფელში გლახებს დედლებს ჰპარავდა. მის გაგდებას სწორედ რომ არაფითარი სასწაულმოქმედება არ სჭირდებოდა, — უკანასკნელი სიტყვების წარმოთქმისას აბატს ტუჩების კუთხეებში ოდნავ შესამჩნევმა დამცინავმა ღიმილმა გადაუარა და ასევე სწრაფად გაუქრა.

კრაისლერს ღრმა მწუხარებამ გუნება მოუშხამა. იგი მიხვდა, რომ ღირსეულად მოაზროვნე, საღი გონების აბატი მასთან შხაკვრულ თამაშს ეწეოდა. კრაისლერისთვის აშკარა გახდა: როცა აბატი მას მონასტერში ბერად აღკვეცას ურჩევდა და ამისათვის ათასნაირ მიზეზს უსახელებდა, იგი რაღაც საიდუმლო ზრახვების დამალვას ლამობდა. ასე იყო ახლაც: წმინდა მამამ კვლავ სხვადასხვა მიზეზი

მოიშველია, რომ კრაისლერისათვის ამჯერად საწინააღმდეგო და-  
ემტკიცებინა. კაპელმაისტერმა გადაწყვიტა, დაეტოვებინა სააბატო,  
რომ როგორმე დაედწია თავი ამ სახიფათო საიდუმლოებების ქსე-  
ლისათვის. საკმარისი იყო, ცოტა ხანს კიდევ დარჩენილიყო აქ და  
შესაძლოა, ისე გახლართულიყო ამ ქსელში, ხსნა არსაიდან აღარ  
ყოფილიყო. და როგორც კი გაიფიქრა, ახლა კი შემიძლია კვლავ  
დავბრუნდე ზიგჰარტსჰოფში მაესტრო აბრაჰამთან, კვლავ ვიხილო  
ჩემი ოცნება, ჩემი არსებობის ერთადერთი მიზანი, კვლავ გავიგონო  
მისი ხმაო, მკვრდში ენით აუწერული ნეტარება იგრძნო, მზურვალე  
სიყვარულის ეს უტყუარი მაცნე.

ღრმად დაფიქრებული კრაისლერი ნელა მიაბიჯებდა პარკის  
მთაუარ ხეივანში, როდესაც მამა ჰილარიუსი წამოეწია და მყისვე  
დაიწყო:

— კაპელმაისტერ, აბატთან იყავით და მან ყველაფერი გითხრაო,  
ხომ? აბა, ახლა რაღას იტყვით? ვიყავი თუ არა მართალი? უპ, რო-  
გორ ვიღუპებით ყველანი?! ეგ ტაკიმასხარა ეგა! ოპ, მაინც წამომც-  
და ეს სიტყვა! მაგრამ არა უშავს რა, ჩვენ გარდა აქ არავინაა! როცა  
იგი, — იცით, ვისზედაც მოგახსენებთ, — ანათორაში გამოწყობილი  
ხლებია პაპს რომში, მის უწმინდესობას დაუყოვნებლივ მიუღია ჩვე-  
ნი წმინდანი. ესეც მუხლებზე დაცემულა და პაპის ფეხსაცმელზე  
მზურვალე ამბორი აღუბეჭდავს. და, რამეთუ წმინდანი თურმე წა-  
მოდგომას აღარ აპირებდა, მის უწმინდესობას, პაპს, მთელი საათი  
დაუტოვებია ასე მიწაზე გართხმული. „დაე, ეს შენთვის პირველი  
საეკლესიო საკანონოს დადება იყოსო,“ — უბრძანებია მის უწმინ-  
დესობას, მერე კი გრძელი ქადაგება წარმოუთქვამს იმ ცოდვებზე,  
კიპრიანუსს რომ ჰქონია ჩადენილი. შემდგომ ამისა, წმინდა მამას  
უკვე პაპის საიდუმლო პალატებში მიუღია რჩევა-დარიგებანი და  
სალაშქროდ ისე გაუწევია. რა ხანია აღარ გვეყოლია წმინდანები! მე  
ვიტყოდნი, სასწაულმა — ვგონებ, ნანახი უნდა გქონდეს ის სურათი,  
კრაისლერ, — დიახ, სასწაულმა თავისი ჭეშმარიტი სახე რომში მი-  
იღო! მე ხომ ერთი პატროსანი ბენედიქტელი ბერი და ერთი მაშვრა-  
ლი praefectus chori<sup>1</sup> გახლავართ მხოლოდ! იმედია, არ გამაწბილებთ  
და დამეთანხმებით ამაში. გარდა ამისა, სიამოვნებით გადავკრავ

<sup>1</sup> გუნდის რეჟენტი (ლათ).



ხოლმე თითო ჭიქა ნირენშტაინულ ან ვიურცბურგულ ღვინოს ჩვენი მხსნელის, დედაეკლესიის სადიდებლად. ერთი რამ თულა დამრჩენია ნუგეშად: ჩვენი წმინდანი აქ დიდხანს ვერ გაძლებს. მისი მოწოდება მოგზაურობაა. *Monachus in clauastro non valet ova duo: sed quan do est extra, bene valet triginta!*<sup>1</sup> ო, გაგიხარია, ეგ დაატრიალებს სასწაულებს. ერთი შეხედეთ, კრაისლერ, შეხედეთ, აი, ისიც! ბილიკი გადმოჭრა და აქეთ მოდის. მაშინვე შეგვნიშნა და გუნებაში უკვე მოიფიქრა, როგორი მანჭვა-გრუბით უნდა შეგვხვდეს.

კრაისლერმა დაინახა მამა კიპრიანუსი. იგი საზეიმოდ მოაბიჯებდა, ცას დაჟინებით შესცქეროდა და ხელები ლოცვად აღეპყრო. დაბურული ხეივანით ისე ნელ-ნელა უახლოვდებოდა მოსაუბრეებს, კაცი ნამდვილად იფიქრებდა, ღვთისმოსაობის აღტყინებითაა შეპყრობილიო. პილარიუსი სასწრაფოდ გაუჩინარდა, კრაისლერი კი ადგილიდან არ დაძრულა და დაკვირვებით დაუწყო ყურება ბერს, რომელიც მთელი თავისი არსებით განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა. იყო მის სახეში რაღაც თავისებური და უცხო, რაც მას თითქოსდა განასხვავებდა სხვა ადამიანებისაგან. გამორჩეული, უჩვეულო ბედ-იღბალი თავის დაღს ასვამს ხოლმე კაცს და შესაძლოა, კიპრიანუსის გარეგნობასაც სწორედ მისმა სასწაულებრივმა ყისმათმა დაადო ამჟამინდელი იერი.

თავდავიწყებაში მყოფ ბერს კრაისლერისათვის გვერდის ავლა უნდოდა, თითქოს ვერც კი შენიშნაო, მაგრამ კაპელმაისტერს სურვილი დაებადა, გზაზე გადასდგომოდა მისი უწმინდესობის, პაპის პირქუშ დესპანს, ამქვეყნად ყველაზე ღვთაებრივ ხელოვნებას რომ მოჰკიდებოდა მტრად.

კრაისლერი წმინდანს წინ გადაუდგა და უთხრა:

— თქვენო უწმინდესობაჲ, ნება მიბოძეთ გულითადი მადლობა გადაგიხადოთ. თქვენი ერთი შეძახილის წყალობით დაუძვერი გუშინ ხელიდან იმ მაწანწალა ბოშას; თქვენ რომ არა, ალბათ, მოპარული ქათამივით გამაცხებინებდა სულს.

ბერი თითქოს ბურანიდან გამოერკვაო; შუბლზე ხელი გადაისვა და კარგა ხანს აღარ მოუცილებია შხერა კრაისლერისათვის, თითქოს ცდილობს, გაიხსენოს, ვინ დგას მის წინო. და აი, წმინდანს

<sup>1</sup> მონასტრის კედლებში ბერი ორი კვერცხის საფასურიც არა ღირს, მის კედლებს გარეთ კი სამ ათეულ კვერცხსაც არ დაინანებს კაცი (ლათ).

სახე უეცრად საშინელმა მძვინვარებამ დაუმანჭა და რისხვით თვალებანთებულმა მეხოვით დაიქუხა:

— თავხედო, ბიწიერო ადამიანო! ღირსი ხარ, რომ ასე ცოდვებში ჩაფლული დაგტოვოს კაცმა! ეს შენ შებილწე მაგ მიწიერი ჟღარაჟღურით ჩვენი წმინდა ღვთისმსახურება, ჩვენი რწმენის უდრეკი დედაბოძი! ეს შენ აცდუნე მაგ შენი ფუჭი ნაცოდვილარით მორწმუნენი, ახლა რომ ზურგს აქცევენ ყოველივე ღვთიურს და შენი მაცდური სიმღერების წყალობით ამქვეყნიურ ტკბობას ეძლევიან.

კრაისლერი საშინლად შეურაცხყო ამ ახირებულმა საყვედურმა, მაგრამ მერე კი გაამხნევა ბერის უგუნურმა ამპარტავნობამ, კაპელმაისტერის წინააღმდეგ იაფფასიან იარაღად რომ იყენებდა.

— განა მოკვდავნი იმავე ენით არ განზადიდებთ უზენაესს, — თქვა კაპელმაისტერმა მშვიდად და ბერს თვალი თვალში გაუყარა, — თავად მასვე რომ უბოძებია ჩვენთვის, რათა ღვთით მონიჭებულ ამ წყალობას ადამიანთა გულებში მზურვალე სასოების ცეცხლი დაენთო? უფრო მეტსაც ვიტყვოდი: ყოვლისშემძლე ამ მადლს ხომ იმისათვის გეცხებდა, რომ ჩვენთვის უხილავის შეცნობა გაეადვილებინა. განა სიმღერის ღვთაებრივი ფრთები არ აღგვამაღლებს ხოლმე ამქვეყნიურ ჭირ-ვარაშხე? ღვთისმოსავი სიყვარულითა და ნეტარებით შეპყრობილნი, განა მისი წყალობით არ მივილტვით ხოლმე უზენაესისაკენ?! ჰოდა, თუკი ეს ყველაფერი შეიძლება კაცს ცოდვად ჩაეთვალოს, მაშინ, თქვენო მაღალღირსებაჲ, საუსებით მართალი ბრძანდებით და მე, მართლაც, უდიდესი ცოდვილი ვყოფილვარ. მაგრამ ნება მიბოძეთ, საპირისპირო შეხედულება გამოვთქვა და ღრმად მწამდეს, რომ ღვთისმსახურებას არ ექნებოდა ჭეშმარიტად დიდებული ელფერი და არამიწიერი აღფრთოვანება, გუნდი რომ დადუმებულიყო.

— მაშ, შეპყვდრე ყოვლადწმინდას, — მიუგო ბერმა მკაცრად და ცოვად, — დაე, მან ჩამოგაცილოს თვალთაგან ლიბრი და შეგაგნებინოს შენი მკრეხელური შეცოდებანი.

— ერთი კომპოზიტორისთვის უკითხავთ,<sup>1</sup> — შეუპასუხა ბერს კრაისლერი ნაზი ღიმილით, — რისი ბრალთა, რომ ყველა შენი საეკ-

<sup>1</sup> „ერთი კომპოზიტორისათვის უკითხავთ“ — მწერალი გულისხმობს ავსტრიელ კომპოზიტორ იოზეფ ჰაიდნს (1732-1809).



ლესიო ნაწარმოები ღვთიური აღმაფრენითაა გაუღენთილიო. ამაზე მორწმუნე, ბავშვივით სპეტაკი სულის მანესტროს უპასუხია: „როდესაც ნაწარმოები არ გამოძდის, ოთახში ვიწყებ ბოლთის ცემას, თან რამდენიმეჯერ „ღვთისმშობელს“ გადავიკითხავ ხოლმე და ხელახლა ვოვსები ახალი ჰანგებით“. იგივე მანესტრო თავის სხვა ბრწყინვალე საეკლესიო ნაწარმოებზე ამბობდა:<sup>1</sup> „როდესაც ჩემი კომპოზიცია ნახევრად მოუთავე, მხოლოდ მაშინ ვთქვი, მგონი, ცუდად არ უნდა გამოძდიოდეს-მეთქი. არასოდეს ვყოფილვარ ისე მორწმუნე, როგორც იმხანად, ამ ნაწარმოებზე მუშაობისას. ყოველ ცისმარუდღეს მოვიყრიდი მუხლს და ვკედრიდი უფალს, მოეცა ჩემთვის ძალა, წარმატებით დამესრულებინა ჩემი შრომაო“. ჩემი აზრით, თქვენო მაღალღირსებაჲ, არც ზემოხსენებულ მანესტროს და არც მოხუც პალესტრინას<sup>2</sup> არავითარი ცოდვილი აზრები არ უტრიალებდათ თავში და მხოლოდ ასკეტის გაბოროტებულ, გაყინულ სულს არ ძალუძს აღფრთოვანდეს საგალობლების ღვთიური სიწმინდით.

— ეი, შენ, კაცუნაჲ, — მრისხანედ შესძახა ბერმა, — ერთი მითხარ, ვინა გდიხარ, რომ კამათს ბედაჲ, ნაცვლად იმისა, რომ ჩემს ფერხთით მტკვერში დახოხავდე? ახლავე წაეთრიე სავანიდან, რომ შენი აქ ყოფნით არ წაბილწო ეს წმინდა ალაგი.

ბერის მბრძანებლური კილოთი უაღრესად აღშფოთებულმა კრახლერმა ფიცხლად წამოიძახა:

— შენ, შენ კი თავად ვინა ხარ, შეშლილო ბერო, რომ გინდა ყოველივე ადამიანური გადათულო და მოსრა? ან იქნებ დაბადებით უცოდველი ბრძანდები? იქნებ არასოდეს დატანჯულხარ ჯოჯოხეთზე ფიქრით? ან იქნებ ის მითხრა, რომ არასოდეს აგცდენია ფეხი მოლიპულ გზაზე, ცხოვრებაში თავად რომ აგირჩევია სავალად? და თუ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა მართლა გამოგტაცა ხელიდან სიკვდილს, რომელსაც, ეტყობა, საუსებით იმსახურებდი, რამეთუ აშკარად რაღაც ბოროტმოქმედება გქონდა ჩადენილი, ეს წყალობა მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის გიბოძა, რომ მორჩილად მოგენა-

<sup>1</sup> „იგივე მანესტრო თავის სხვა ბრწყინვალე საეკლესიო ნაწარმოებებზე ამბობდა“, — ლაპარაკია ჰაიდნის ორატორიაზე „სამყაროს შექმნა“ (1798).

<sup>2</sup> ჯოვანი პერლუიჯი და პალესტრინა (1526-1594) — იტალიელი კომპოზიტორი, საეკლესიო ნაწარმოებების ავტორი.

ნიებინა და გამოგესყიდა ყველა ცოდვა, და არა იმისათვის, რომ თავხედურად გებაქიბუქა ღვთის მიერ ბოძებული წყალობით; მერე იმასაც არ დასჯერდი და თავზე წმინდანის შარავანდედიც დაიდგი.

ბერი გამანადგურებელი მზერით მისჩერებოდა კრაისლერს და გაურკვევლად რაღაცას ბუტბუტებდა.

— აბა, გულზვიადო ბერო, — სულ უფრო აგზნებული ხმით განაგრძო კაპელმაისტერმა, — ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც აი, ამ სამოსს ატარებდი... — ესა თქვა და ბერს თვალებთან მიუტანა სურათი, თავის დროზე მაესტრო აბრაჰამმა რომ გადასცა. სურათის დანახვაზე ბერმა სასოწარკვეთილებისაგან შეშლილივით შემოირტყა თავში ხელი და ისეთი შემზარავი, ტანჯული კვნესა აღმოხდა, თითქოს სასიკვდილოდ განგმირუსო.

— ბოროტო ბერო, — წამოიძახა კრაისლერმა, — თავად, დიახ, თავად წაეთრიე ამ წმინდა საუნიდან და თუ გზად შენს ქათმისპარია ძმაკაცს შეხვდები, მოახსენე, რომ აღარ ძალგიძს და აღარ გსურს ამიერიდან ჩემი გამოქომაგება. ისიც გადაეცი, მომერიდოს და ნულარ შეეცდება, ჩემი კისრისკენ თათების გამოწვდენას, თორემ ან წიწილივით წავაცლი თავს, ან არა და თავის ძმასავით გაუხვრეტ მკერდს. მკერდის გახვრეტა, მოგეხსენებათ... — მაგრამ აქ საკუთარი თავით შეძრწუნებული კრაისლერი დადუმდა. ბერი უმოძრაოდ, გაოგნებული იდგა მის წინ, მუშტები შუბლზე მიედო და კრინტის დაძვრა ვერ მოეხერხებინა. ანაზდად კრაისლერს მოეჩვენა, თითქოს ბუჩქებში რაღაცამ გაიშლიგინა. გაიფიქრა, ალბათ, გაბოროტებული ჯუზეპე მიპირებს თავდასხმასო და სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას. მერე ის იყო, ბერებმა მწუხრის ლოცვა წამოიწყეს და მანაც ეკლესიას მიაშურა იმ იმედით, რომ იქ შეძლებდა აფორიაქებული, ღრმად შეურაცხყოფილი სულის დაშოშმინებას.

მწუხრის ლოცვა დამთავრდა თუ არა, ბერებმა პატრონიკე მიატოვეს და წავიდნენ. აი, სანთლებიც ჩამოიღვენთა და ჩაქრა. კრაისლერი ფიქრებით კვლავ იმ ღვთისმოსაჲ, ძველ დიდოსტატებს მიუბრუნდა, წელან კიპრიანუსთან შეხლა-შემოხლისას რომ ახსენა. და აი, ჰანგებმა, ღვთაებრივმა ჰანგებმა გაიხშიანეს მის სულში: ეს იულია მღეროდა და მისი ხმის გაგონებაზე მყისვე ჩადგა კრაისლერის მკერდში აბობოქრებული ქარიშხალი. მერე გადაწყვიტა, ეკვდერს



გაუყვები, იქიდან კი კარი გრძელ დერეფანში გადის, რომელიც კიბით მთავრდება, და ამ კიბით ჩემს ოთახში ავალო.

როდესაც კრაისლერი ეკვდერში შევიდა, დაინახა, რომ ვიღაც ბერი რის ვაი-ვაგლახით წამოდგა იატაკიდან, სადაც იგი ეს-ეს არის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის წინ გართხმული იწვა. მარადუქრობი კანდელის შუქზე კრაისლერმა კიპრიანუსი შეიცნო, მაგრამ ისეთი საცოდავი და უმწეო იყო, თითქოს გრძნობადაკარგული მხოლოდ ახლა მოეგო გონსო. კრაისლერმა იფიქრა, მივებმარუბიო და ხელი გაუწოდა. მაშინ კი ბერმა მიმქრალი, აკანკალებული ხმით თქვა:

— მგონი, გიცანით. კრაისლერი უნდა ბრძანდებოდეთ, არა? შემიბრალეთ, ნუ მიმატოვებთ მარტო; მომებმარეთ, აი, იმ კიბეზე მინდა ასვლა და ჩამოჯდომა. თქვენც გვერდით მომიჯექით. დაე, მხოლოდ ყოვლისშემძლე ღმერთმა გვისმინოს! იქონიეთ მოწყალება და შემინდეთ, — განაგრძო ბერმა, როდესაც ისინი საკურთხევის კიბეზე ჩამოსხდნენ, — ყველაფერი გულახდილად გამანდეთ: ეგ აუბედითი სურათი მოხუცი სვეტრინოს წყალობით ჩაგიფარდათ ხელში და ის საშინელი საიდუმლოებაც ცნობილია თქვენთვის, არა?

კრაისლერმა გულახდილად აღიარა, სურათი აბრაჰამ ლისკომ გადმომცაო, მერე კი უშიშრად გაანდო კიპრიანუსს ყველაფერი, რაც კი ზიგჰარტსჰოფში გადახდა თავს. ბოლოს ისიც უთხრა, მხოლოდ მას შემდეგ დაურწმუნდი, რომ აქ რაღაც ბოროტება იმალება, როდესაც სხვადასხვა ამბავი დაუუპირისპირე ერთმანეთსო. როგორც ეტყობა, ეს სურათი იმ ბოროტმოქმედების ცხოველი გახსენებაა და მის შემზარავ სამხილებელ საბუთს უნდა წარმოადგენდესო.

როგორც ჩანდა, ბერი განსაკუთრებით კრაისლერის ნაამბობის ზოგიერთ ადგილს შეეძრწუნებინა. რამდენიმე წუთს კრინტი არ დაუძრავს, მერე კი ძალ-ღონე მოიკრიბა და მხნედ წამოიწყო:

— ძალზე ბევრი რამ გცოდნიათ, კრაისლერ. ამიტომ საჭიროა, ყველაფერი ბოლომდე შეიტყოთ. მაშ, მომისმინეთ. თქვენი დაუძინებელი მტერი, პრინცი ჰექტორი, ჩემი უმცროსი ძმა გახლავთ. ორივენი ერთი დიდგვაროვანი შტოს ნაშიერები ვართ, და მე ტახტის მემკვიდრე ვიქნებოდი, ეს ტახტი დროის ქარტეხილს რომ არ გა-

დაუყირავებინა. ომი დაიწყო; ოროვენი არმიაში შევედით და სამხედრო სამსახურმა ჯერ მე, მერე კი ჩემი ძმაც ნეაპოლში მიგვიყვანა. იმ წლებში მაღალი წრის კაცისათვის ჩვეულ გახრწნილ ცხოვრებას ვეწეოდი, განსაკუთრებით კი შშვენიერი სქესისადმი ლტოლვით ვიყავი შეპყრობილი. საყვარლად ერთი მოცეკვავე მყავდა. საოცარი სილამაზის პატრონი იყო, მაგრამ ასევე საოცრად ბილწი სული ჰქონდა. ეს ხელს არ მიშლიდა, ყველა კახპას გამოვკიდებოდი კუდში, ვინც კი გზაზე გადამეყრებოდა.

ერთხელაც, ახალი შებინდებული იყო, მოლოს ქუჩაზე რამდენიმე ბილწი არსების დევნით ვიყავი გართული. ის-ის იყო, ხელთ უნდა მეგდო ისინი, რომ სწორედ ჩემს ყურთან გამკივანი ხმა გაისმა: „ო, რა ნაცარქექია ვინმე ყოფილა ეს ჩვენი პრინცი. აქ უბრალო კახპებს ასდევნებია, მაშინ, როცა შეუძლია უმშვენიერესი პრინციესის სიყვარულით დატკბესო“. მზერა ჩამოკონკილ ბოშა ქალზე შევაჩერე; გამახსენდა, რამდენიმე დღის წინ ტოლედოს ქუჩაზე სბირები<sup>1</sup> რომ მიათრევდნენ; ჩხუბის დროს თურმე თავისი ხელჯობით მიწაზე გაეგორებინა წყლის გამყიდველი, თუმცა, ეს უკანასკნელი კაი ჯანიანი ბიჭი ჩანდა. „რა გინდა ჩემგან, ბებერო კუდიანო-მეთქი?“ — შევძახე ქალს, მაგრამ მან ბილწსიტყვაობის ისეთი ნაკადი გადმომაფრქვია, გარშემო უმაღლ შემოგვებვია უსაქმურების ბრბო. შემცბარი რომ დამინახეს, ატყდა ერთი ხორხოცი და გნიასი. მინდოდა გავცლოდი იქაურობას, მაგრამ ბებერმა მაგრად ჩამავლო ხელი ქურთუკის კალთაში, დამცინავი ღიმილით დამანჭა საზიზღარი სახე და ჩუმად მითხრა: „ნუ ჩქარობ, ძვირფასო პრინციო! უმჯობესია, ყური მიგდო, რას მოგიყვები პირმშვენიერ ანგელოზზე, შენი სიყვარულით რომ ჭკუაზე აღარ არის“. დედაბერი ხელზე მომებლაუჭა, ვაი-ვაგლახით წამოდგა და ჩურჩულით დამიწყო მოყოლა ვიღაც კალმით ნახატ მზეთუნახავზე, რომელიც თურმე ყველა სიკეთესთან ერთად დილის ნამოვით სპეტაკი და უცოდველიც ყოფილიყო. ვიფიქრე, ეტყობა, დედაბერი ჩვეულებრივი მაჭანკალია-მეთქი და შევეცადე, რამდენიმე დუკატი მიმეჩიჩებინა მისთვის, რომ სასწრაფოდ თავიდან მომეშორებინა, რადგან არავითარი სურვილი არ

<sup>1</sup>XIX საუკუნემდე იტალიაში, სახელდობრ კი, პაპის ოლქში, სასამართლოსა და პოლიციის მოსამსახურენი.



მქონდა, ხელახლა რაიმე შარში გაუხვეულიყავი. მაგრამ მან ფული არ აიღო, ხოლო როცა წამოვედი, ხმამაღალი სიცილით დამადევნა: „წადი, წადი, ჩემო კეთილო, მაგრამ იცოდე, გულზე ბოღმა შემოწოლილი, მალე თავად მომძებნის“.

რამდენიმე დღემ განვლო. ბოშა დედაკაცი აღარც კი გამხსენებია. და აი, ერთხელაც, სეირნობისთვის განკუთვნილ ადგილზე, ვილა რეალეს რომ ეძახიან, ისეთი ზღაპრული სილამაზის ქალიშვილმა ჩამიარა, რომლის მსგავსიც აქამდე არ მენახა. ფეხს ავუჩქარე, წინ გაუხსწარი ლამაზმანს და როდესაც სახეზე შევხედე, ასე მეგონა, თავად ღვთაება ვიხილე-მეთქი. ასე ვფიქრობდი მაშინ, რამეთუ ცოდვილი ვიყავ. მოგეხსენებათ, ახლა მიწიერ სილამაზეზე ბევრის თქმის უფლება აღარ მაქვს და, ალბათ, აღარც შემწვევს საამისო უნარი. მაგრამ თუკი ჩემს ბიწიერ აზრებს კვლავაც ვიმეორებ, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ყველაზე უკეთესად გადმოგცემენ იმ მშვენიერებას, რომლითაც უფალმა მომხიბლაღვი ანჯელა დააჯილდოვა. მზეთუნახავს გვერდით მოჰყვებოდა, უფრო სწორად, კოჭლობით მიფრატუნებდა საკმაოდ ხანში შესული, კარგად ჩაცმული მანდილოსანი. კაცს მხოლოდ მისი უჩვეულო სიმსუქნე და მოუქნელობა ეცემოდა თვალში, და თუმცა, სულ სხვა ტანსაცმელი ემოსა, ხოლო სახეზე ნახევრად ჩაჩი ჰქონდა ჩამოფხატული, მოხუც მანდილოსანში მყისვე შევიცანი ბოშა ქალი, მოლოს ქუჩაზე რომ ამეკიდა მაშინ. დედაბრის ოინბაზურმა ჩაღმილებამ და ოდნავ შესამჩნევმა თავის დაკანტურებამ დამარწმუნა, რომ არ ვცდებოდი.

თვალს ვერ ვაშორებდი ზღაპრულ საოცრებას. მშვენიერმა ანჯელამ თვალები დახარა. ანაზღად მარაო გაუვარდა ხელიდან, მეც სასწრაფოდ მივაწოდე. მარაოს გადაცემის დროს ხელი მის თითებზე მომიხვდა და ვიგრძენი, როგორ უცახცახებდა. ჯოჯოხეთურმა ვნებამ იფეთქა ჩემში და ვერც კი მოეხვდი, რომ განგება საშინელ გამოცდას მიწყობდა და მისი პირველი წამები უკვე დამდგარიყო. გონება ამერია. გაოგნებული ვიდექი და კინალამ გამომეპარა, მზეთუნახავი და მისი მეგზური ეტლში რომ ჩასხდნენ, რომელიც ხეონის ბოლოს იცდიდა. მხოლოდ მაშინ მოვეგე გონს, როდესაც ეტლი დაიძრა და გიჟოვით უკან დავედევნე. კიდევ კარგი, დროზე მოუხსწა-

რი და დაუინახე: ეტლი რომელიდაც სახლის წინ გაჩერდა, ვიწრო ქუჩაზე, ლარგო დელე პიანეს უზარმაზარ მოედანზე რომ გადიოდა. მზეთუნახავი და მისი მეგზური ამ სახლთან გადმოვიდნენ. როგორც კი სადარბაზოში შევიდნენ, ეტლს აღარ დაუცდია და მაშინვე წავიდა, რის გამოც სამართლიანად დაუასკვენი, რომ მათი ადგილსამყოფელი აქ უნდა ყოფილიყო.

ლარგო დელე პიანეს მოედანზე ჩემი ბანკირი სენიორ ალესანდრო სპერცი ცხოვრობდა. თვითონაც არ ვიცი, რატომ, უეცრად გადაუწყვიტე, მომენახულებინა იგი. მან იფიქრა, რომ საქმეზე ვიყავ მისული და ლაპარაკი ფინანსურ საკითხებზე დამიწყო, მაგრამ მისი არც ერთი სიტყვა არ გამიგონია. უცნობი ქალიშვილის გარდა არაფერი მახსოვდა, მხოლოდ მას დასტრიალებდა ჩემი ფიქრები. ბოლოს კი ასე მოხდა: ნაცვლად იმისა, სენიორ სპერცისათვის პასუხი გამეცა მის შეკითხვებზე, ჩემი თავბრუდამხვევი თავგადასავალი ვუამბე. ბანკირმა მზეთუნახავზე გაცილებით უფრო მეტი მიაგებო, ვიდრე მოველოდი. თურმე აუგსბურგის ერთი საგაჭრო ფირმა ქალიშვილისათვის ბანკირის სახელზე ექვს თვეში ერთხელ კაი გვარიან თანხას რიცხავდა. ქალიშვილს ანჯელა ერქვა, გვარად ბენცონი გახლდათ, დედაბერს კი ქალბატონ მაგდალა სიგრუნად იცნობდნენ. თავის მხრივ, სენიორ სპერცი ვალდებული იყო, აუგსბურგის საგაჭრო ფირმისათვის მიეწოდებინა ცნობები ქალიშვილის შესახებ. ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე სენიორ სპერცი ანჯელას ქონების გამგებელი გახდებოდა, გოგონას აღზრდაზე ზრუნავდა ვვალეობდა, და ამდენად ბანკირი მის მეურვედაც ითვლებოდა. სენიორ სპერცის აზრით, ანჯელა ვილაც დიდგვაროვანი პირების საიდუმლო კავშირის ნაყოფი უნდა ყოფილიყო.

სენიორ სპერცის გაუანდე ჩემი აზრი და მოვახსენე, ძალზე გოცმებული ვარ, ასეთ საუნჯეს ამ ორგულ დედაკაცს როგორ ანდობენ, დაგლეჯილ, ჭუჭყიან, ბოშურ სამოსელში გამოწყობილი ქუჩა-ქუჩა რომ დაწანწალებს და, როგორც ეტყობა, მაჭანკლობს-მეთქი. ამაზე ბანკირმა მომიგო, ალბათ, ქვეყნად არ მოიძებნება მასზე უფრო ერთგული ძიძა. იგი ანჯელასთან ერთად მაშინ ჩამოვიდა აქ, როცა გოგონა მხოლოდ ორი წლის იყო. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ დედაბერი დროდადრო ბოშურ სამოსში ირთვება, ეს მისი უცნაური



ახირებულობის ბრალია; ეს კი, აქ, კარნაულების ქვეყანაში, დიდ ცოდვად არ ჩათვლება კაცსო.

ნება მიბოძეთ, ამბავი ძალიან არ გაუჭიანურო. ბოშურ ტანსაცმელში გამოწყობილმა დედაბერმა მალე მომძებნა და თაუად მიმიყვანა ანჯელასთან. გოგონა უბიწო ქალწულისთვის ჩვეული სიმორცხვით გამომიტყდა სიყვარულში. მე კი მაინც ვერა და ვერ დამეჯერებინა, რომ ბოშა დედაბერი ღმერთს არ სცოდაუდა და არ მაჭანკლობდა. მაგრამ მალე დაურწმუნდი, რომ ვცდებოდი: ანჯელა თოვლზე სპეტაკი და უმწიკვლო აღმოჩნდა. მე ამ ზღაპრული მშვენიერებით უსინდისოდ ვაპირებდი ტკობას, მან კი მაიძულა, მისი სათნოება მერწმუნებინა, რაც ახლა, რა თქმა უნდა, ჯოჯოხეთურ, სატანისებურ სიცრუედ უნდა ჩათვალოს. რაც უფრო და უფრო მიცხოველდებოდა ვნების ცეცხლი, მით უფრო ვექცეოდი დედაბრის გაკლენის ქვეშ. ის კი გაუთავებლად ჩამწურჩულებდა, შენ და ანჯელა აუცილებლად ცოლქმრობის ძაფებით უნდა დაუკავშირდეთ ერთმანეთსო. დაე, თქვენი ქორწინება ჯერჯერობით საიდუმლოდ დარჩეს, — დასძენდა ხოლმე ბებერი, — მაგრამ დადგება დღე, როცა შეძლებ თაუად დაადგა თაუზე დიადემა შენს დედოფალს, რადგან ანჯელა გპარიშვილობით არამც და არამც არ ჩამოგოვარდებაო.

ჯვარი სან-ფილიპოს ეკლესიის კაპელაში დაეწერეთ ვფიქრობდი, საზღვარი არა აქვს ჩემს ბედნიერებას-მეთქი. შევეშვი უწინდელ აღვირახსნილ ცხოვრებას, სამხედრო სამსახურიდანაც გამოვედი, აღარც იმ თავყრილობებზე დაუდიოდი, სადაც წინათ საშინელი გარყვნილებისა და ბიწიერების წუმპეში ვიყავი ჩათრეული. მაგრამ სწორედ ცხოვრების შეცვლამ დამღუპა. მოცეკვავე ქალი, საყვარლად რომ მყავდა, მივატოვე. პოდა, სწორედ ის დამიდარაჯდა, გაიგო, სად დაუდიოდი ყოველ საღამოს და ჩემს ძმას გაანდო ეს ამბავი იმ იმედით, რომ ამ გზით თავისი მომავალი შურისძიების თესლს მოუშხადებდა ნიადაგს. ერთხელაც ჩემი ძმა თურმე უჩუმრად მომყოლია უკან. მერე ის იყო, ოთახში ანჯელას მკლავებში ჩახვეულს შემომისწრო. ჰექტორმა თავისი ახირებული საქციელი ხუმრობაში გაატარა და მისაყვედურა, ისეთი თავკერძა ხარ, უბრალო, მეგობრული ნდობის ღირსადაც კი არ მხდით. მაგრამ მშვენიერად შევნიშნე, როგორი გაოცებული დარჩა ანჯელას უჩვეულო სილაშაზით. პოდა,

ეს დღე იყო და ეს დღე, ნალვერდალი გაღვივდა და ვნებათაღელვამ მოიცვა მთელი მისი არსება. ჩვენთან სიარულს მოუხშირა, თუმცა, მხოლოდ მაშინ მოდიოდა, როცა მე შინ ვეგულეობდი. ერთხელაც მომეჩვენა, რომ ანჯელა პასუხობდა მის გიჟურ სიყვარულს. იმ დღიდან ეჭვიანობის ფურიებმა დაისადგურეს ჩემს სულში და ჯოჯობეთურმა ტანჯვამ შემიპყრო...

ერთხელაც ანჯელასთან რომ მივედი, მეზობელი ოთახიდან ჰექტორის ხმა შემომესმა. ასე მეგონა, სიკვდილმა ჩამავლო თავისი კლანჭები-მეთქი, გაოგნებული ადგილზე გავქავდი. უეცრად აჭარხლებული ჰექტორი შემლილოვით გამოვარდა ოთახიდან. „წყეულო, კიდევ გადამელობები გზაზეო?!“ — მომადახა თვალებანთებულმა, ხანჯალი იძრო და ტარამდე ჩამცა მკერდში. საშველად მოსულმა დასტაქარმა თქვა, შიგ გულშია მოხვედრილიო. ყოვლისშემძლე უფალმა მოწყალე თვალით გადმომხედა: სასწაულისამებრ გადავურჩი სიკვდილს.

უკანასკნელი სიტყვა ბერმა ჩუმი, მთრთოლარე ხმით თქვა, მერე კი მიყუჩდა, ეტყობა, ფიქრებს მიეცა.

— ანჯელას რაღა დაემართა? — ჰკითხა კრაისლერმა.

— როცა მკვლელმა თავისი ბოროტების ნაყოფით დატკბობა მოინდომა, ჩემმა სატრფომ სასიკვდილოდ დაიწყო ფართხალი, — მიუგო ბერმა ყრუ, სამარისებური ხმით, — მან ჩემი ძმის მკლაფზე დალია სული. შხამი... — ესა თქვა თუ არა, ბერი მიწაზე დაენარცხა და მომაკვდავით ხროტინი ამოუშვა. კრაისლერმა სასწრაფოდ ზარებს შემოჰკრა და მთელი მონასტერი ფეხზე დააყენა. წმინდა მამები მოცკოვდნენ და გულწასული კიპრიანუსი მონასტრის ლაზარეთში გადაიყვანეს.

მეორე დილას კაპელმაისტერს აბატი ძალზე მხიარულ გუნებაზე დაუხვდა.

— ხა, ხა, ხა, იოჰანეს, — გადაიხარხარა მან, — აკი არ გინდოდათ, გერწმუნებინათ, რომ ჩვენს დროშიც ხდებოდა სასწაულები, გუშინ საღამოს ეკლესიაში კი თავად ჩაიდინეთ საოცარი სასწაული. ერთი გამაგებინეთ, ასეთი რა უყავით ამ ჩვენს გულზეიად წმინდანს? იგი სრულიად გულმოკლულია და ლოცვით ცდილობს ცოდვების მონანიებას; სიკვდილის წინაშე ბავშვით შიშს შეუპყრია და სუ-



ლითა და გულით გვეყვარება. შეშინდეთ რაბეთი თქვენზე ამაღლება მოვინდომო. ეგონა, აღსარებას გათქმევინებდათ თქვენ კი, აღბათ თავად აიძულეთ, აღსარებით წარმდგარიყო თქვენ წინაშე. არა?

კრაისლერს არავითარი საფუძველი არ ჰქონდა. აბატი სათუთის დაეძალა, რაც მასა და კიპრიანუსს შორის მოხდა. ამიტომაც მის უწმინდესობას ყველაფერს დაწვრილებით მოუყვა. დაიწყო იმით თუ რა მკვახე პასუხი გასცა გაყოფილებულ ბერს, როდესაც ამ უკანასკნელმა მოინდომა ლაფში ამოესვარა მისი სათაყვანებელი მუსიკალური ხელოვნება, და მოყოლა იმით დაამთავრა, თუ რა საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა კიპრიანუსი, როდესაც მას სიტყვა „შხამი“ აღმოხდა. მერე კრაისლერმა დასძინა, კაცმა რომ თქვას, ისევე ვერაფერი გამიგია: პრინც ჰექტორს კი ეშინია ამ სურათის დანახვისა, მაგრამ ზუსტად ასეთსავე შიშს რატომ უნდა იწვევდეს იგი კიპრიანუსშიცო. სრულიად გაუგებარია ისიც, მაესტრო აბრაჰამი როგორ აღმოჩნდა გარეული ამ საშინელ ამბებშიო.

— ჭეშმარიტად, ძვირფასო შვილო ჩემო, იოჰანეს, — თქვა აბატმა და სასიამოვნოდ გაიღიმა, — ახლა კი ერთმანეთის წინაშე სულ სხვაგვარად წარვდგებით, ვიდრე ამ ცოტა ხნის წინ. ამქვეყნად ყველაზე დიდ პატივისცემას იმსახურებს უდრეკი ნებისყოფა, მტკიცე შინაგანი რწმენა და ჭეშმარიტად ღრმა, ხალასი გრძნობები, წინასწარმეტყველური ზემთაგონების მსგავსად რომ იმალება ჩვენს გულში, მათ შეუძლიათ მიაღწიონ უფრო მეტს, ვიდრე გამჭრიახმა გონებამ და გამოცდილმა, შორსმჭერტელმა მხერამ. შენ ეს დაამტკიცე, ჩემო იოჰანეს, როცა გამოიყენე იარაღი, რომელიც, მართალია, ხელში მოგცეს, მაგრამ არკი გასწავლეს, როგორ უნდოდა მისი მოხმარება. შენ იგი ისე მოხერხებულად, ისე შესაფერის დროს აღმართე, უმაღლ მიწაზე განართხე მტერი, რომლის მზაკვრული ჩანაფიქრის სააშკარაოზე გამოტანა არცთუ ადვილი საქმე იყო. ამით შენდა უნებურად უდიდესი სამსახური გამიწიე მეც, მონასტერსაც და ჩვენს წმინდა ეკლესიასაც. დიახ, უსაზღვროა მაგ შენი კეთილი სამსახურის მადლი. ახლა კი საჭიროება მოითხოვს და ჩემი სურვილიც არის, შენთან გულახდილი ვიყო. იცოდე, დღეიდან ზურგს ვაქცევ იმათ, ვისაც უნდოდა ზიანი მოეყენებინა შენთვის და ამის გამო ჩემი შეცდომაში შეყვანა ეწადათ მომენდე, იოჰანეს! ნება მომეცი,

ვიზრუნო იმაზე, რათა აგიხდეს შშვენიერი ოცნება, ასე სასოებით რომ ინახავ გულში. შენი ცეცილია — კარგად იცი, ვინც არის ეს შშვენიერი არსება... მაგრამ, მოდი, ჯერჯერობით დუძილით ავუაროთ ამას გვერდი.

ვიცი, გაინტერესებს ნეაპოლში მომხდარი საზარელი ამბები. ყველაფერი ეს ორიოდ სიტყვით შეიძლება მოჰყვეს კაცმა. უპირველეს ყოვლისა, ჩვენმა ღირსეულმა ძმამ კიპრიანუსმა არ მოინდომა ერთი გარემოება ეხსენებინა: ანჯელა იმ შხამის მსხვერპლი შეიქნა, ეჭვიანობით გაგიჟებულმა თავად რომ ჩაუყარა ქალს. მაესტრო აბრაჰამი იმ დროისათვის სვერინოს სახელით ცხოვრობდა ნეაპოლში. იმედს არ კარგავდა, იქნებ მიუგნო ჩემი კიარას კვალსო, და იპოვა კიდევ, რადგან იქ შემთხვევით შეხვდა შენთვის უკვე კარგად ცნობილ ბოშა ქალს, მაგდალა სიგრუნს. დედაბერი მასთან ყოველივე იმის მერე მივიდა, რაც მოხდა, და ვიდრე ნეაპოლს მიატოვებდა, მაესტრო აბრაჰამს აი, ეს სურათი გადასცა, რისი საიდუმლოებაც შენ ჯერ კიდევ მთლიანად არ იცი. აბა, თითი დააჭირე ფოლადის პატარა ღილაკს; ანტონიოს სურათი მყისვე ამოვარდება, იგი მხოლოდ თავსახურის როლს ასრულებს; მის ქვეშ მარტო ანჯელას სურათი არ არის! შენს ხელთ აღმოჩნდება რამდენიმე ძალზე მნიშვნელოვანი ქალაქდიც, რადგან მათში ორმაგი მკვლელობის საბუთს ნახავ. ახლა ხომ მიხვდი, რატომ იყო ასე ყოვლისშემძლე შენი თილისმა. როგორც ჩანს, მაესტრო აბრაჰამს სხვა გარემოებაშიც მოსვლია ძმებთან შეხლაშემოხლა, მაგრამ ამას თავად ჩემზე უკეთ მოგიყვება. ახლა კი, წავიდეთ, გავიგოთ, როგორ გრძნობს თავს მამა კიპრიანუსი.

— კი, მაგრამ, „სასწაული“? — იკითხა კრაისლერმა და იქით გაიხედა, სადაც მან აბატთან ერთად პატარა საკურთხევის თავზე სურათი დაკიდა. ეს სურათი ჩვენს ძვირფას მკითხველს, ალბათ, ჯერ კიდევ ახსოვს, მაგრამ რაოდენ დიდი იყო მისი გაოცება, როდესაც იმ ადგილას კვლავ ლეონარდო და ვინჩის „წმინდა ოჯახობა“ დაინახა.

— კი, მაგრამ, „სასწაული“? — ხელახლა იკითხა მან.

— თქვენ, ალბათ, გულისხმობთ იმ შშვენიერ სურათს, წინათ აქ რომ ეკიდა, არა? — უთხრა აბატმა და უცნაურად შეხედა კრაისლერს, — ლაზარეთში ვუბრძანე მისი დაკიდება; ვიფიქრე, იქნებ მისმა ჭკრუტამ ცოტა გაუმაგროს გული ჩვენს კიპრიანუსს-მეთქი.



ხომ შეიძლება ყოვლისშემძლემ კვლავ მოწყალების თვალით გადმოხედოს საბრალოს?!

კრაისლერს თავის ოთახში მაესტრო აბრაჰამის ბარათი დახვდა. აი, რას იწერებოდა იგი:

„ძვირფასო იოჰანეს!

დაუყოვნებლოდ, სასწრაფოდ მიატოვეთ სააბატო! იჩქარეთ! ეტყობა, აქ ეშმაკმა თავის შექცევა გადაწყვიტა და ჩვენ გარშემო ისეთი ორომტრიალი ატეხა, გაგეცინება! დანარჩენს, როცა გნახავ, მაშინ მოგიყვები. წერის არაქათიც კი აღარა მაქვს. ბოლმა ყელში ბურთოვითა მაქვს გაჩრილი და მახრჩობს. საკუთარ თავზე და იმ იმედის ვარსკვლავზე, ჩემ წინ რომ აღმობრწყინდა, ჯერჯერობით კრინტს არ დავძრავ. ერთი სული მაქვს, გაცნობო: აქ თქვენ ქალბატონ ბენცონს ვეღარ იხილავთ, იგი ახლა გრაფინია ეშენაუ გახლავთ ვენიდან უკვე მოვიდა დიპლომი, და თითქმის ოფიციალურადაა გამოცხადებული იულიასა და ღირსეული პრინცი იგნატიუსის ქორწინების ამბავი. მთავარი ირენეუსი ახლა იმაზე ფიქრითაა შეპყრობილი, როგორ იგდოს ხელთ ახალი ტახტი, რომელზედაც ყოვლისშემძლე მბრძანებლად დაბრძანდება. ქალბატონი ბენცონი, ან, უფრო სწორად, გრაფინია ეშენაუ დაუდგა ამის თავდებად. პრინცი პექტორი იმდენ ხანს თამაშობდა კუკუძალულობას, ვიდრე მართლა არ გაიწვიეს ჯარში. მალე დაბრუნდება კიდევაც და, ალბათ, ორ ქორწილს ერთად გადაიხდიან. აი, მაშინ კი უყურე სეირს! მესაყვირეები უკვე იწმენდენ ყანვრატოებს, მუვიოლინეები ხემებს პოხავენ, მეჩირაღდნეები სანთლებს ასხამენ! მაგრამ მალე მთავრინას სახელობის დღე მოდის. აი, მაშინ გაგიხარია, დაუატრიალებ საოცარ ამბებს! ოღონდ თქვენი აქ ყოფნაა საჭირო. კარგი იქნება, თუ მაშინვე წამოხვალთ, როგორც კი ამ ბარათს წაიკითხავთ აბა, მოკურცხლეთ მანდედან, რაც ძალი და ღონე გაქვთ ალბათ, მალე შევხვდებით ერთმანეთს. *A propos,*<sup>1</sup> უფროთხილდით მღვდლებს. თუმცა, აბატი კი ძალიან მიყვარს. ჯერჯერობით!

მოხუცი მაესტროს ბარათი ისეთი სიტყვაძუნწი და ამავე დროს ისეთი მრავლისმთქმელი იყო, რომ...

<sup>1</sup> სიტყვამ მოიტანა და (ფრანგ.).

## გამოცემლის ბოლოთქვა

მეორე ტომის დასასრულს გამომცემელი იძულებულია, ძვირფას მკითხველს ფრიად სამწუხარო ამბავი აუწყოს. ჩვენს გონიერს, ღრმად განათლებულ ფილოსოფოსსა და პოეტს კატა მურს უღმობელი სიკვდილი სწორედ შემოქმედებითი ნიჭის გაფურჩქნის ხანაში ეწვია. ჭეშმარიტი ბრძენის სიმშვიდითა და შეუპოვრობით აღმოხდა სული ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ტანჯვის მერე ღამით, ოცდაცხრა და ოცდაათი ნოემბრის გასაყარზე.

ასე და ამრიგად, ერთხელ კიდევ დადასტურდა ჭეშმარიტება, რომ ღროზე ადრე მომწიფებულ გენიოსებს მაინცდამაინც კარგად ვერ მისდით საქმე. უსულგულო გულგრილობით გარემოცულნი, ისინი ან უდროოდ ჭკნებიან და იფიტებიან, ხოლო მერე კი ჩვეულებრივ მოკვდავთა უფერულ ბრბოში იკარგებიან, ან არადა ამქვეყნად დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერიათ საბრალო მურ! ძვირფასი მეგობრის, მუციუსის, სიკვდილი შენი საკუთარი აღსასრულის მაცნე იყო თითქოს. ჩემთვის რომ მოენდოთ შენს საფლაფზე გამოსათხოვარი სიტყვის თქმა, ჰინცმანოვით გულცოვად კი არ დაგემშვიდობებოდი, სულითა და გულით ვიგლოვებდი შენს დაკარგვას, რამეთუ მართლა მიყვარდი და ბევრ ვინმეზე მალლა გაყენებდი... ამიერიდან განისვენე მშვიდად. ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროს!

რა დასანანია, რომ ცხონებულმა მურმა ვერ მოასწრო თავისი ცხოვრებისეული ფილოსოფიის დასრულება და მის ჩანაწერებს ასე ფრაგმენტების სახით დარჩენა უწერია. თუმცა, განსვენებულის ქალღმერთებში კიდევ აღმოჩნდა არა ერთი და ორი შგონება თუ შენიშვნა; ეს ყველაფერი, ეტყობა, მაშინ არის დაწერილი, როცა მური კრაისლერის ბინაში ცხოვრობდა. გარდა ამისა, შემორჩენილია მის მიერ დაგლეჯილი წიგნის კარგა გვარიანი ნაწილი, რომელიც კრაისლერის ბიოგრაფიას მოიცავს.

ამ წიგნის შესამე ტომის გამოცემა გათვალისწინებულია სააღდგომო ბაზრობისათვის და გამომცემელი ფიქრობს, რომ არაფერია იმაში უჩვეულო, თუ იგი გაკადნიერდება და ამ ტომში ძვირფას მკითხველს კრაისლერის ბიოგრაფიიდან ახალ-ახალ ნაწყვეტებს შესთავაზებს და მხოლოდ ალაგ-ალაგ ჩაურთავს კატა მურის იმ შგონებებსა და შენიშვნებს, რომლებსაც იგი გამოსაქვეყნებლად ვარჯისად ჩათვლის.



# სარჩევი

გამომცემლის წინათქმა.....	7
ავტორის წინათქმა .....	11
ავტორის წინათქმა .....	12
შენიშვნა.....	13

## ტომი პირველი

ნაწილი პირველი	
ამქვეყნიური ცხოვრების მაღლი. სიყრმის თვეები.....	14

ნაწილი მეორე	
ჭაბუკი ცხოვრებისეულ გამოცდილებას იძენს. მეც ვყოფილვარ არკადიაში.....	121

## ტომი მეორე

ნაწილი მესამე	
სწავლის თვეები. შემთხვევის ჭირვეული თამაში.....	252

ნაწილი მეოთხე	
უმალლესი კულტურის ცხოველმყოფელი მაღლი. დავაჟკაცების ხანა .....	403

გამომცემლის ბოლოთქმა.....	491
---------------------------	-----

წიგნის ელექტრონული ვერსია მოამზადა  
საიტმა: [www.PDF.ChiaturaINFO.GE](http://www.PDF.ChiaturaINFO.GE)